ბიორნ ჯონსონი

ორი ქალაქი

ეროტიკული

ბეჭდვისათვის ხელმოწერილია ##
1966 წლის ივნისი



შესავალი

ქართველი კაცი მოსწავლის მერხიდანვე ეზიარება ხოლმე ილია ჭავჭავაძის მხატვრულ შემოქმედებას და მთელი სიცოცხლის მანძილზე მას ველარ შორდება. ფილოლოგები ათეულ წლებს ანდომებენ ილიას მემკვიდრეობის, როგორც დიდი ეროვნული განძის, მეცნიერულ ანალიზს. ეს სავსებით ბუნებრივი, კანონზომიერი ფაქტია. „აჩრდილის“ ავტორი ისე ორგანულად ჩაექსოვა ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, ისე დაუკავშირდა თავისი ერის კატაკლიზმებით აღსავსე ქარიშხლიან ყოფას, რომ შეუძლებელი ხდება განიხილო ჩვენი წარსულის საკვანძო პრობლემები და ილია ჭავჭავაძეს გვერდი აუარო. ილია და საქართველო განუყრელია, როგორც რუსთაველის, ბარათაშვილის, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის დიდ სახელებს მას ვერ დავაშორებთ. ეს ჩვენი გენიოსი ოქროპირები, თავიანთი ერის განუმეორებელი მშვენებანი და დიდებანი, ყოველთვის იქნებიან ქართველი კაცის არა მარტო მოძღვარი-შთამაგონებლები, სულიერი გამამხნევებლები და აღმზრდელები, არამედ გულისა და სულის მესაიდუმლენიც. მათი ღრმად შესწავლა ყოველთვის იქნება ქართველ მეცნიერთა გატაცების საგანი.

ჩვენც იმ ქართველ ლიტერატორთა ჯგუფს ვეკუთვნით, რომლებიც ათეული წლობით „აჩრდილის“ ავტორს მეცნიერულად სწავლობენ. ეს მონოგრაფია ხანგრძლივი ფიქრის, წლების მანძილზე რუდუნების შედეგია —ორ-სამ წელიწადში მისი დაწერა სრულიად შეუძლებელი იყო. ათეული წლების განმავლობაში ჩვენ ისე ვსწავლობდით და ისე ვითვისებდით ილიას მემკვიდრეობას, როგორც არქეოლოგები იკვლევენ გარდასული დროის ძეგლებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ, თუ ილია ჭავჭავაძე წარსულ ეპოქას ეკუთვნის, როგორც ადამიანი, სამაგიეროდ, როგორც მწერალი, მოაზროვნე, მოღვაწე, ჩვენი წინამორბედია, ჩვენი თანამედროვე.

დიდი ხელოვანი ყოველთვის შეპირობებულია თავისი დროის კონკრეტული სინამდვილით, მაგრამ თანამედროვეობის ასახვასთან ერთად იგი წარსულის მემკვიდრედ და მომავლის მენტორად გვევლინება, როგორც ბუნებრივი პროცესის სავსებით კანონზომიერი შედეგი. აწმყო ხომ შობილია წარსულისაგან და მშობელია მომავალისა, როგორც ლაიბნიცის გენია იტყოდა, როგორც ეს სწამდა ილია ჭავჭავაძეს, გასული საუკუნის საქართველოს 60-იანი წლების ყველაზე დიდ წარმომადგენელს, მეთაურსა და მესიტყვეს.

რუსეთსა და საქართველოში 60-იანი წლები ერთ-ერთი მღელვარე ეპოქა იყო, როცა, ლენინის კლასიკური დახასიათებით, სოციალიზმი და დემოკრატიზმი განუყოფელ მთელს წარმოადგენდა. ამ ეპოქამ სრულიად

ასალი იდეები მოიტანა: ფილოსოფიაში მატერიალიზმი გააბატონა, ესთეტიკაში —უტილიტარიზმი, ლიტერატურაში— რეალიზმი, სოციოლოგიაში —უტოპიური სოციალიზმი; ბრძოლა გამოუცხადა თვითმყრობელობასა და ბატონყმობას, მთელი სისტემის სახით ჩამოაყალიბა განმანათლებლობა, როგორც მოქმედების პროგრამა. ვიწრო შეზღუდულობას, რომელიმე დარგით, საფუძველი გამოეცალა; ცხოვრებამ მოითხოვა მოღვაწეობის ფართო ასპარეზი, მრავალმხრივობა, ენციკლოპედიური ცოდნა, და ამიტომ გასაკვირი აღარ არის, თუ რატომ გვეველინებიან ერთი და იგივე ადამიანები, ერთსა და იმავე დროს, მრავალი დარგის წარმომადგენლებად.

ილია ჭავჭავაძე ამ მხრივაც თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია. უაღრესად ვრცელი იყო მისი მოღვაწეობის სფერო: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ისტორია, ენის თეორია, სამართალი, ეკონომიური მეცნიერება, პუბლიცისტიკა, ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი, პერიოდიკა —„საქართველოს მოამბე" და „ივერია", პედაგოგიკა, ლიტერატურული კრიტიკა, თარგმანი, —ყველა ამ დარგში ილია ჭავჭავაძემ ღრმა კვალი გაავლო, როგორც მოაზროვნემ, მხატვარმა და საზოგადო მოღვაწემ.

სულ ზოგადად რომ გადავავლოთ თვალი ილია ჭავჭავაძის პოეტურ შემოქმედებას, განსაკუთრებით 60-იან წლებში, —ეს პერიოდი კი ყველაზე ნაყოფიერი იყო, —გაგვაცნებს ინტერესთა ფართო წრე, დიდი მხატვრული შთაგონება და იდეების სრული გარკვეულობა. ილია ჭავჭავაძე უკვე სტუდენტობის დროიდან იმუშავებს იმ მსოფლმხედველობას, რომელიც შემდეგ ასე ვრცლად გაიშალა მის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში, იმუშავებს პროგრამას, საფუძვლად რომ დაედო მთელ მის პრაქტიკულ მოღვაწეობას. ეს იყო განმანათლებლის პროგრამა, იმდროინდელი საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით, პროგრამა, რომლის მიხედვითაც წარიმართა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

რა ახასიათებს საერთოდ განმანათლებლობას რუსეთში, ევროპასა და საქართველოში? უმთავრესად სამი ძირითადი ნიშანი: I. ფეოდალიზმის, ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა; II. განათლების, ცხოვრების ევროპული ფორმების, თვითმმართველობის დაცვა; III. ხალხის, უმთავრესად გლეხთა მასებისადმი რწმენა, რწმენა იმისა, რომ ფეოდალიზმის, ბატონყმობის მოსპობას აუცილებლად მოჰყვება საყოველთაო კეთილდღეობა. სამივე ეს ნიშანი მკვეთრად ახასიათებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც განმანათლებელს. მას, როგორც განმანათლებელს, „...სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს".* ლენინმა გენიალურად შენიშნა, რომ „განმანათლებლები" სრულიად არ აყენებდნენ რეფორმის მერმინდელი დროის გახვითარების საკითხებს; ისინი სჯერდებოდნენ მხოლოდ რეფორმის წინადროის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, კმაყოფილდებოდნენ რუსეთის ევროპულად

* ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 446.

განვითარებისათვის გზის გაწმენდის უარყოფითი ამოცანით.* ამ გზით მიდიოდა ილია ჭავჭავაძეც, მაგრამ იგი ზოგჯერ არღვევდა „განმანათლებლის“ კრედოს მ ე რ მ ი ს ის საკითხში და აქ უკვე მისი ორიგინალური თვალსაზრისი უნდა დავინახოთ. ილია ჭავჭავაძის განმანათლებლობით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ იგი ყოველთვის მ თ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს, მ თ ე ლ ი ე რ ი ს ა ხ ე ლ ი თ ლ ა პ ა რ ა კ ო ბ დ ა და არა რომელიმე კლასის ან რომელიმე წოდების სახელით, სწორედ ისე, როგორც საერთოდ „განმანათლებლები, მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ“.**

ყველა ეს ნიშანდობლივი თვისება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასა, ნააზრევსა და პრაქტიკულ საქმიანობაში სრულიად გარკვეული სახით არის წარმოდგენილი, და ყველაფერი სამშობლოსადმი სიყვარულის, პატრიოტიზმის მხურვალე გრძნობითაა გამთბარი. სამარცხვინო ბოძზე აკრავდა, დასცინოდა თუ სიძულვილს უცხადებდა ყოველივე იმას, რაც დასაგმობი და უარსაყოფი იყო, მიზანი მდგომარეობდა ხალხისადმი ერთგულ სამსახურში, რაც ასე ოსტატურად გამოითქვა ლექსში —„ჩ ე მ ო კ ა ლ ა მ ო“, რომელშიაც პოეტი, როგორც განმანათლებელი, ბრძოლას უცხადებს ბოროტებას (აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ —ბატონყმობას), მზად არის „წმინდა სიტყვა უშიშრად“ მოჰფინოს ხალხში (ე. ი. განათლება შეიტანოს), ემსახუროს „ქართვლის ბედს“ — მთელ ქართველ ხალხს, და სიყრმიდანვე არჩეულ გზას არასოდეს არ გადაუხვიოს:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა,
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.
ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

ამ აზრითა და ამ შეგნებით გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობას „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ შ ი“ (1859 წელი), „კ ა ც ი ა დ ა მ ი ა ნ შ ი“ (1859—1863 წლები), „ა ჩ რ დ ი ლ შ ი“ (1859 წელი), „კ ა კ ო ყ ა ჩ ა ღ შ ი“ (1860 წელი); მეფის თვითმპყრობელობას და მთელ მის ბიუროკრატიულ აპარატს „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი“ (1861 წელი), „ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ“ (1879 წელი); ძალმომრეობასა და ადამიანთა ჩაგვრას —მთელ რიგ მხატვრულ ქმნილებებში. რეალისტის ფხიზელი თვალით დაინახა ილია ჭავჭავაძემ სოციალური უსამართლობით გამოწვეული ხიდჩატეხილობა და ქართული პროზის შედევრში — „ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი“ (1887 წელი) ამ ნიადაგზე წარმოშობილი მძიმე ადამიანური ტრაგედია გვიჩვენა. მწერალი მიუხვდა თავისი ერის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს, ჩასწვდა მათ სიღრმეს, ჩამოაშანდაკა მხატვრულ სახეებში და წინ დაუყენა, როგორც სარკე, თანამედროვეობას. ეს იყო მისი დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა, უანგარო სამსახური, და ამ მიხვედრაში ერთხელ კიდევ გამჟღავნდა ის ჭეშმარიტება, რომ გ ე ნ ი ო ს ე ბ ი ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს პ ი რ ვ ე ლ ნ ი შ ე ნ ი შ ნ ა ვ ე ნ ხ ო ლ მ ე

* ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 446.
** ი ქ ვ ე, გვ. 467.

ხალხის, ერისა და ბუნების განვითარებაში მომხდარ ცვლილებებს. სწორედ ამ ცვლილებებმა დაანახეს ილია ჭავჭავაძეს ლელთ ღუნია, რომელიც მოხევურ კილოზე მოუქცევდა —„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყოდნესო". ამ ცვლილებებმა ათქმევინეს დიდ მოაზროვნეს, რომ „...ცხოვრება ოც კუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება..." * ამ ცვლილებებმა შეამჩნევინეს, ჯერ კიდევ 1860 წელს, გაუკითხავად ტანჯული სახე მუშისა, მისი ნაღვლიანი ხმა, „დღიურ ლუკმისთვის ტანჯვაჲ შრომა და მწუხარება".

სინამდვილის ცოცხალი სახეების წარმოსახვასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე, ისევე როგორც აკაკი წერეთელი, ისტორიულ რეალიებსაც მიმართავდა, უმთავრესად, პატრიოტული გრძნობის გაძლიერების მიზნით. ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული" (1878 წელი) და მინიატურული მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" (1880 წელი). ორივე ნაწარმოებში სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლის სახეა ნაჩვენები: პირველი —დიმიტრი მეფე, რომელიც თავს სწირავს ხალხის კეთილდღეობას, ხოლო მეორე — ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი მტერზე იმარჯვებს.

რა თემისთვისაც არ უნდა მოეკიდნა ხელი, ილია ჭავჭავაძე ყველაფერს თავისი დროის მოთხოვნებს, თანამედროვეობის საჭიროებას უქვემდებარებდა. ასევე მოექცა იგი ერთი შეხედვით ისეთ განყენებულ თემას, როგორიცაა განდეგილობა, წარმოშობილი რომის იმპერიის დაშლის შედეგად. „განდეგილში" ილია ჭავჭავაძემ უფრო ღრმა აზრი ჩააქსოვა, ვიდრე ზოლამ „აბატ მურეს შეცდომაში", გუსტავ ფლობერმა „წმინდა ანტონის ცდუნებაში" და ანატოლ ფრანსმა „თაისში". ეს იყო ძლიერი ხაზგასმა ასკეტური იდეალის აუცილებელი კატასტროფისა, იმის ქადაგება, რომ ადამიანი — საზოგადოებრივი არსებაა, საზოგადოებას ვერ გაექცევა, თუნდაც ბეთლემის მონასტერს შეაფაროს თავი, ხოლო თუ გაექცა, გარდუვალად დაიღუპება.

როგორც რეალისტი მხატვარი, რომელიც საგნებსა და მოვლენებს არა განჭვრეტის, არამედ ცოცხალი სინამდვილის ფორმაში განიხილავს, ილია ჭავჭავაძე ტიპებისა და ხასიათების ბრწყინვალე ოსტატია. ქართულ ლიტერატურაჲა და თვით ხალხის ცნობიერებაში განუმეორებელ, ცოცხალ სახეებად დარჩნენ ლუარსაბ თათქარიძე, დარეჯანი, დათიკო, გაბრო, კაკო ყაჩაღი, ოთარაანთ ქვრივი, არჩილი, კესო, გიორგი, მწირი, ქართველის დედა, დიმიტრი თავდადებული, მოხევე ლელთ ღუნია, გლახა ჭრიაშვილი, პეტრე და მრავალი სხვა. ლირიკული გმირი კი მისი პოეზიის თვით ავტორის სახით დგას ყველა ქართველის წინაშე. ეს გმირი სულიერად ფაქიზი, ფილოსოფიურად განწყობილი და სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებულია. მისი ლექსები გრძნობებითა და აზრებით. მაგრამ უფრო აზრებით გამოირჩევა, თითქოს აზრი გრძნობას წინ უსწრებდეს. ამ მოვლენას თავისი მიზეზები აქვს, რომლებიც ახსნასა და განმარტებას საჭიროებენ.

თითქმის ყველა ერის პოეზიაში მეტნაკლებად შეინიშნება ის მოვლენა, რომ პოეტების უმრავლესობა ლირიკით იწყებს და ლირიკითვე ამთავრებს. ილია ჭავჭავაძე ამ მხრივ გამონაკლისია. მართალია, მისი ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ლექსი —„ყვარლის მთებს" ლირიკული განწყობითაა

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 269.

დაწერილი, მაგრამ იგი პირველყოვლისა პატრიოტული ნაწარმოებია და არა ლირიკული. ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ლირიკას თავისებური ელფერი დაჰკრავს, განსხვავდება არამარტო ძველი ქართველი ლირიკოსების, არამედ მისი თანამედროვე პოეტებისაგან. შესაძლოა ამის მიზეზი ლირიკის იმ თეორიაშიც ვეძიოთ, რომლის მიმდევრადაც ილია გვევლინებოდა. მას სრულიად ორიგინალური თვალსაზრისი ჰქონდა ლირიკის არსებასა და მნიშვნელობაზე, ფიქრობდა, რომ, მართალია, ლირიკის გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ მარტოოდენ ლირიკა მაინც ვერ მოიცავს მთელ პოეზიას, ვერ დაიტევს მის კიდე-განს. ლირიკა უფრო ვიწრო ჩარჩოა, ვიდრე თვით პოეზიის ბუნება. როგორც ლიტერატურის დარგი, პოეზია გულისხმობს ცხოვრების წარმოსახვას, მაგრამ თუ პოეზია ლიტერატურის კერძო დარგია, თვით ლირიკა, როგორც პოეზიის ჟანრი, კერძო დარგს წარმოადგენს, ისევე, როგორც ერთი ადამიანი საზოგადოების მიმართ კერძოა, და არა მთელი საზოგადოება. ამდენად, მარტოოდენ ლირიკას არ შეუძლია ცხოვრების სრულად გამოხატვა, პოეზიამ კი სწორედ ცხოვრება უნდა გამოხატოს.

მაინც რა არის ლირიკული პოეზია, რა არის მისი საგანი და როგორ განმარტებას გვაძლევდა ილია ჭავჭავაძე?

დაუმთავრებელ კრიტიკულ ნაწყვეტებში — „ცისკარი 1857 წლიდან 1862 წლამდინა“ ჩვენ ვპოულობთ ლირიკული პოეზიის საკითხებით დასრულებულ კონცეფციას, რომელიც მრავალმხრივ საგულისხმო და სანიშნებელია. ეტყობა, ჟურნალ „ცისკარში“ ხუთი წლის მანძილზე დაბეჭდილი პოეტური ნაწარმოებების საფუძვლიან შესწავლას ილია ჭავჭავაძე გარკვეულ დასკვნებამდე მიუყვანია. ამ დასკვნებს დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და მათი ანალიზი უთუოდ ლიტერატურულ ინტერესთა ფართო წრის შემცველია, მით უფრო, რომ ლირიკული პოეზიის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენი მწერლობის დღევანდელ ვითარებასაც.

რას წარმოადგენს, ზოგადი თვალსაზრისით, ლირიკა, როგორც ჟანრი?

ილია ჭავჭავაძე საკითხს მართებულად განმარტავს, რომ ლირიკა „...არის ერთი გვარი პოეზიისა“ და მას „...მუსიკის და პოეზიის შუა ადგილი უჭირავს“.* ამიტომ „...ამგვარი ლექსი სულ მუდამ თითქმის უფრო სამღერალია; ასე გგონია — მთელი არ არისო, ასე გგონია — რაღაც აკლიაო, როცა არ დაიმღერება; მუსიკა აქ თითქოს ჰშველისო პოეზიასა, პოეზია — მუსიკასა“**. საკითხით ნათელია, რომ ლირიკა მართლაც პოეზიის ერთ-ერთი გვარია, ერთ-ერთი ჟანრია, როგორც ილია ამბობს, მართლაც უკავია მას შუა ადგილი მუსიკასა და პოეზიას შორის, ვინაიდან პოეზიისათვის საჭირო სისრულე აკლია, ხოლო ჰარმონიულობისა და ჟღერადობის მიუხედავად, მუსიკის სიმაღლემდე მაინც ვერ აღწევს. ლირიკული ლექსი მკითხველში ყოველთვის აღძრავს მუსიკალურ გრძნობას და ყოველ ლირიკულ ლექსს, თუ იგი პოეტურად მაღალი და დახვეწილია, საკუთარი მუსიკალური ნოტები აქვს, მათი ამოკითხვაც ისევე შეიძლება, როგორც გენიალურმა გლინკამ ამოიკითხა პუშკინის ლირიკული ლექსების მუსიკა. ლირიკა სულის შინაგან სიმღერას წარმოადგენს; ლექსში ეს სიმღერა მორცხვად იხედება, ხოლო როცა მუსიკის

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 459.
** იქვე, გვ. 459.

ენით ამეტყველდება, ის მთლიანად გაამჟღავნებს თავის თავს, საკუთარი სახის სრულ ფორმაში გამოჩენით. შეიძლება ჩვენ ისე ხელშესახებად ვერა ვგრძნობთ, მაგრამ უეჭველია, რომ ყოველი ჭეშმარიტი ლირიკული ნაწარმოების კითხვის დროს გულში უხმოდ ვიწყებთ იმ სიმღერას, რომლის დაუწერელი ნოტებითაც პოეტს თავისი ლექსი სიტყვების გზით ქაღალდზე გადაუტანია. ასე ავსებენ ერთმანეთს ლ ი რ ი კ უ ლ ი პ ო ე ზ ი ა და მ უ ს ი კ ა. არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მომენტები აქვს მხედველობაში ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ეს, როცა იგი ლირიკის ადგილს განსაზღვრავს, ლირიკული ლექსის მუსიკალური ხასიათის, უსრულობის, პოეზიისა და მუსიკის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ლაპარაკობს.

აქვეა საძიებელი თვით ლირიკული პოეზიის საგანი. მაგრამ ეს საკითხი ილია ჭავჭავაძემ ისე სრულად განმარტა, რომ მის გასაგებად სავსებით საკმარისი იქნება მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვები: „საგანი ამგვარი პოეზიისა (ე. ი. ლირიკული პოეზიისა — გ. ჯ.) თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში: წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთი სიტყვით, თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას სტავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ლბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძვნია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი. ეს მიმართულება ისე გაუფლებულია ჩვენში, რომ არამც თუ ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი პოეტები, არამედ ისიც, ვინც კი უნიჭოდ მოაწყობს ხოლმე ორ რითმას, ისიც კი ამგვარ პოეზიის მიმდევარია“.* აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ლირიკული პოეზიისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. თუ ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებულ სიტყვებს ასე გავიგებდით, მაშინ უთუოდ შეცდომასთან გვექნებოდა საქმე. არა, აქ მხოლოდ ის არის ხაზგასმული, რომ ლირიკული ს უ ბ ი ე ქ ტ ურ ს წამოსწევს წინ, შემოქმედის სულიერ განწყობას გამოხატავს, ხან გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში. უფრო სუსტად, ხოლო შინაგან „მ ე ს“ — უფრო ძლიერად. ამიტომ, როგორიც არ უნდა იყოს, რა მიმართულებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ლირიკოსი ამ ძირითად საგანს ვერ გაექცევა. რაკი საგანი უცვლელი რჩება, სხვადასხვა დროის ლირიკოსთა ლექსები ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს, თუმცა, რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ არის და არც შეიძლება იყოს რ ე ნ ე ს ა ნ ს ი ს ან კ ლ ა ს ი ც ი ს ტ ურ ი ხანის ლირიკა, მით უფრო ჩვენი დროის სრულიად ახალი — საბჭოთა ლირიკა.

ლირიკული ჟანრი ყველა ერისა და ყველა ხალხის ლიტერატურაში ბატონობდა, გამონაკლისს არც ქართული მწერლობა წარმოადგენს. ქართული პოეზიის ისტორია მრავლად იცნობს ლირიკულ შედევრებს, მაგრამ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ფიქრობს, რომ დიდი პოეზიის შექმნა შეუძლებელია ე პ ო პ ე ი ს გარეშე და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იმითაც იყო დიდი, რომ „მოლეშსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, თუმცა იმის პოემაშიაც ურევია ბევრი ლირიკა; უნიჭობა ჩვენი მწერლობისა, რომელთაც უნ-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 459.

დოდათ მის მსგავსი დაეწერათ რამე, მაგრამ მაინც ლირიკაზე გადადიოდნენ“.*

ამგვარად, საესებით ნათელი ხდება, რომ ილია ჭავჭავაძისათვის ეპიკური ნაწარმოები უფრო რთული, უფრო დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, ვიდრე ლირიკული; ეპოპეა, როგორც ქანრი, უფრო მეტ ნიჭსა და მეტ ოსტატობას მოითხოვს, ვიდრე ლირიკული, როგორც ქანრი. შესაძლოა აქ ისეთივე მდგომარეობასთან გვქონდეს საქმე, როგორც ბელეტრისტიკისა და დრამატურგიული ხელოვნების შეჯერებისას. დრამა ხომ ურთულეს ხელოვნებას განეკუთვნება, რასაც თვით ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება წერილში — „ა ხ ა ლ ი დ რ ა მ ე ბ ი ს გ ა მ ო“, რომელიც უფრო გვიან, 1890 წელს არის დაწერილი, და რომელშიც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „...დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდა ნიჭიერიც — ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს“.** თუ ასეა, თუ ეპიკური უფრო რთულია, ვიდრე ლირიკული, ხომ არ შეუცვლია თავისი აზრი ილია ჭავჭავაძეს, ან შემთხვევით ხომ არ წამოუყენებია ეს შეხედულება? არა, მართალია, იმავე წერილში, მაგრამ სხვა ადგილას. იგი კვლავ იმეორებს თავის შეხედულებას, ცოტა ვრცლად. და მიუთითებს, რომ „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, ასე რომ აქომამდე მის მეტი თითქმის არავინა ჩანს. თუმცა არიან ზოგიერთნიც ჩვენ ლიტერატურაში, რომელთაც მოინდომეს მიბაძვა რუსთაველისა, მაგრამ არც ერთს მათგანს არც ნიჭი ჰქონდა იმდენი, რომ წარმატებით ეცლოთ რუსთაველისაგან ნაჩვენებ გზაზედ და არც განათლება. იგინი ხშირად იწყებდნენ მოთხრობებით (ამ შემთხვევაში იგულისხმება ეპოპეა — გ. ჯ.), და ბოლოს მაინც ლირიკისაკენ გადაუხვევდნენ ხოლმე“...***

რა იყო ამის მიზეზი?

დავეთანხმებით, თუ არ გავიზიარებთ ამ მიზეზების ახსნაში ილია ჭავჭავაძის აზრს, ერთი რამ მაინც ცხადი ხდება: ილია თავის შეხედულებას კატეგორიული ფორმით გამოსთქვამს, და აღნიშნავს, რომ „მიზეზი ამისთანა მოვლენისა“ არის „სისუსტე ტალანტებისა“.**** ეს ეხება ლირიკული პოეზიით გატაცებას, ლირიკულ ნაწარმოებთა სიმრავლეს, და არა საერთოდ ქართულ პოეზიას, რომელსაც თამამად უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი მსოფლიო პოეზიაში და რომელსაც თვით ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა. პირველმა სწორედ მან მოგვცა ძველი პოეზიის არსების ღრმა ანალიზი, განსხვავებით მ ა მ უ კ ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს პოეტიკური ძიებისა „ჭაშნიკში“, ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ვერსიფიკატორული ანალიზისა „კალმასობაში“ და ს ო ლ ო მ ო ნ დ ო დ ა შ ვ ი ლ ი ს ზოგად-რეტროსპექტული ექსკურსისა „მოკლე განხილვაში“. ილია ჭავჭავაძემ თეორიულად პირველმა გამოაჩინა ძველი პოეზიის იდეა და გამოთქმის ფორმა.

რა არის ერთი ან მეორე?

პირველი: „ა) ჩივილი, წუთის-სოფლის მდურვა; კაცის ამაოება, აქაურ ცხოვრების ამაოება და ნუგეშით თვალ-შეჩერება ცისა, სადაც მოელიან საუ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 457.
** იქვე, გვ. 186.
*** იქვე, გვ. 459.
**** იქვე, გვ. 457.

კუნო განსვენებას და მართლ-მსაჯულებას; ბ) სიყვარული უფრო პლატონიური, მუხთლობა სიყვარულისა და დაუდგრომელობა; თუ აქ არ შევხვდით ერთმანეთს — ცაში და-ძმანი ვიქნებითო; გ) ქალი ან ანგელოზია და უფრო ხშირად — დემონი, წამწყმედი კაცისა; დ) ბუნება წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ; ბუნება თუ არის მშვენიერი, — იმათ გრძნობის მიხედვით; ის, როგორც ობიექტი, არ არსებობს იმათთვის".* ეს არის იდეა, რომელსაც ძველი პოეზია გამოხატავდა;

მეორეა: „ფიგურობა და ალეგორია სპარსულის ლიტერატურის გავლენისა გამო". ეს არის ფორმა, რომლითაც ძველი პოეზია თავის იდეას გამოხატავდა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე ძველი პოეზიის მარტოოდენ იდეისა და ფორმის ანალიზზე არ შეჩერებულა. მან სცადა ძველი პოეზიის ფორმების რღვევა ეჩვენებინა ახალ საუკუნეებში დავით გურამიშვილის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მაგალითზე და დაეხასიათებინა თვითეული მათგანი: „დავით გურამიშვილი, რომელმაც სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში; ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის გავრცელებასა, მაგრამ მაგასაც აქვს ფიგურალი ლექსი; გრ. ორბელიანი, გამგრძელებელი ევროპეიზმისა; ნ. ბარათაშვილი, ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა; ეხლანდელი მწერლები, რომელნიც ბაძავენ მაგ ევროპიულ გამოთქმასა, მაგრამ თავის აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან"**. ეს უკანასკნელი მოსაზრება ილია ჭავჭავაძემ კიდევ უფრო მკაფიოდ გაიმეორა იმავე წერილის მესამე ნაწყვეტში, სადაც თავის თანამედროვე პოეტებს უსაყვედურა ძველ პოეტებთან მსგავსება. „რაკი ყურადღებით გადავიხილეთ ექვსის წლის ნაწარმოები ლექსები, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — ჩვენ შევნიშნეთ, რომ „ცისკრის" ახალ მოლექსეებს, ზოგიერთ გარდა, დიდი კავშირი აქვთ ძველებზედა, კავშირი ისტორიულ განვითარებისა კი არა, მსგავსებისა. ეხლანდელი მოლექსენი თითქოს იმას იმეორებენ, რაც უწინდელებს უთქვამთ, ისეთ-ნაირად ჰგვანან ამათი აზრები იმათ აზრებსა, ამათი მიმართულება-იმათ მიმართულებასა"***. ამიტომ ილია ჭავჭავაძეს არ შეეძლო გაეზიარებინა მისი თანამედროვე პოეტების ეს ხაზი, აჰყოლოდა მათ გზას. იგი სულ სხვა მიმართულებით წავიდა, მიმართულებით, რომელიც რუსეთსა და ევროპაში რეალიზმად იწოდებოდა, ხოლო ქართულ დრამატურგიაში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმული ჰქონდა. შესაძლოა ძველი და ახალი ლიტერატურის ილიასეული შეფასების ყველა დებულება დღეს აღარ გავიზიაროთ, მაგრამ იგი რომ სწორი გზით წავიდა, ეს სრულიად უეჭველია. მან შესცვალა არა მარტო იმდროინდელი ლიტერატურის მიმართულება, არამედ, ასევე ახალ გზაზე დააყენა ქართული ლირიკა, გააფართოვა მისი საზღვრები, გასწია ეპიკურისაგან მისი წყალგამყოფი საზოგადოებრივისაკენ, ისე, რომ მხოლოდ ერთი კიდე დასტოვა ეპიკურთან მისასვლელად. მაგრამ ამით ოდნავაც არ შეუბღალავს

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 457.

** იქვე, გვ. 457.

*** იქვე, გვ. 458.

ლირიკულის თვითმყოფობა. მან ლირიკულს როგორღაც სულის მეტი შინაგანი სიმაგრე მისცა, თითქოს „ვიწრო პიროვნულიდან“ იგი გადაიზარდა „ზოგად პიროვნულში“. ასეთ ლირიკულ ლექსთა წყებას მიეკუთვნება ილია ჭავჭავაძის ორივე „ლოცვა“ (1858 წელი), „უცხოეთში“ (1858 წელი), „მარტო ვიცურავ ცხოვრების ზღვაში“ (1858 წელი), „დაე თუნდ ჰოვკვდე“ (1858 წელი), „ბევრი ვიტანჯე“ (1858 წელი), „ელეგია“ (1859 წელი), „მტკვრის პირას“ (1859 წელი), „ალაზანს“ (1859 წელი), „დაბნელდა სული“ (1860 წელი), „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“ (1861 წელი) და „ჩემო კალამო“ (1861 წელი). ყველა ეს ლექსი წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის ლირიკულ შემოქმედებას და თუ როგორ გადადის „ვიწრო პიროვნული“ — „ზოგად პიროვნულში“, შეიძლება საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ერთ-ერთი მათგანი, ვთქვათ, პირველი „ლოცვა“:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ-წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხ-ვყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“*

ან კიდევ მეორე ლექსი:

„მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თუნდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.
დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰკრავენ
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“.**

ეს პოეზია, მოვალეობის ეს მაღალი გრძნობა გასულ საუკუნეში ახალმა შინამდვილემ წარმოშვა, სწორედ გასულმა მეცხრამეტე საუკუნემ დაბადა „ახალი ქართლი“, როგორც წინა საუკუნეების ბუნებრივი მემკვიდრე.

ამ „ახალი ქართლის“ დაბადებას, ერეკლეს სახელთან დაკავშირებულს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა 1842 წელს ძეგლი აუგო მრავლისმეტყველი ლექსით — „სოფლავი მეფის ირაკლისა“, რომელშიც მუხლი მოიდრიკა მხცოვანი გმირის საფლავის წინაშე, ცრემლი დაანთხია ბრძენი მეფის სახელზე და თაყვანი სცა ანდერძს, წინასწარ რომ განსაზღვრა საქართველოს მომავალი. ასე აღსრულდა ერეკლეს ხელმწიფური აზრი, ტკბილი ნაყოფი გამოიღო „ნაანდერძებმა, წინასწარად თქმულმა“, შემოვიდა მასში „განათლება და ხმა საამო“, შეიცვალა „ჟამთ ვითარება“, და პოეტმაც ისტორიული სურათი წარმოსახა, როცა თქვა:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 21.
** იქვე, გვ. 72.

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელი!“*

ყველა ეს ცვლილება ბუნებრივი შედეგებით დაგვირგვინდა. სულ სხვა სახე მიიღეს საგნებმა და მოვლენებმა. ახალმა დრომ ახალი მდგომარეობა შეჰქმნა, რომელმაც თავის მხრივ ახალი აზრები და ასევე ახალი განწყობილებები გამოიწვია. სამუდამოდ წავიდა ძველი და

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავი ზღვის ზვირთნი ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგებრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა“.**

ასე დაიწყო „ახალი ქართლის“ ისტორია. მაგრამ ეს ახალი არ დაბადებულა უმტკივნეულოდ. ყოველი ახლის წარმოშობა მშობიარობის ტკივილებთან არის დაკავშირებული, ისევე როგორც ძველი უმტკივნეულოდ არ კვდება. „ახალი ქართლის“ ეს ტკივილები და მომავლის სახე ღრმად შეიცნო ილია ჭავჭავაძემ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის დაწერიდან თექვსმეტი წლის შემდეგ, გენიალურ „ქართველის დედაში“, რომელშიც გასული საუკუნის 60-იანი წლების სამოქმედო მთელი პროგრამა გადაშალა:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...***

სწორედ ხალხისათვის ამ მომავლის მისაცემად დაიწყო ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ სალიტერატურო ასპარეზზე პირველი გამოსვლისთანავე 1861 წელს, როცა ჟურნალ „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი „ორიოდე სიტყვა თავადრევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“. ეს იყო ისეთივე დიდი მნიშვნელობის მოვლენა ქართულ ლიტერატურაში, როგორიც რუსული მწერლობისათვის ჰქონდა ბესარიონ ბელინსკის პირველ ვრცელ წერილს „Литературные мечтания“, რომელიც 1834 წელს „Молва“-ში გამოქვეყნდა. მაგრამ თუ ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის სახით ავიღებთ, ილია ჭავჭავაძის წერილს უფრო მეტი როლი დაეკისრა საქართველოს იმდროინდელი ცხოვრებისათვის, ვიდრე გენიალური რუსი კრიტიკოსის ნაშრომს რუსული ყოფის მიმართ. ილია ჭავჭავაძის პირველი წერილი 60-იანი წლების დასაწყისის მთელ ქართულ ლიტერატურას თითქოს გრიგალივით მოევლინა, შეურყია ძველი დედაბოძები, გადაუშალა სრულიად ახალი ჰორიზონტები და ასევე სრულიად ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. დროის ყინული გაიბზარა, ძველი რწმენა შეირყა, წარმოითქვა ისეთი ქადაგება, რომ ძველი კერპების ნაცვლად ახალი ლიტერატურული იპოსტასი უნდა გაბატონებულიყო.

---

* ნიკოლოზ ბარათაშვილი, ლექსები, 1922 წ., გვ. 44.
** იქვე.
*** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 30.

ყო. საჯაროდ გამოტანილ იქნა ახალი აზრებითა და ახალი იდეებით შთაგონებული მთელი პროგრამა. ლიტერატურის მთავარ ამოცანად გამოცხადდა ხალხის უშუალო ცხოვრების, მისი ჰირვარამის გამოხატვა; აღიარებულ იქნა ენობრივი რეფორმაციის აუცილებლობა, როგორც ცხოვრების განვითარების ბუნებრივი შედეგისა; თვით ლიტერატურული წარსული და ძისი აწმყო სრულიად ახალი სახით წარმოსდგა. არამარტო მწერლობამ, თვით ერმა იგრძნო, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მოვიდა ცოცხალი, ენერგიით სავსე, ახალგაზრდა თერგდალეული, როგორც რუსეთში კარი შეაღო რაზნოჩინეცმა. გამოჩნდა საზოგადო მოღვაწეთა მთელი ფალანგა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და ამ პლეადაში შედიოდნენ აკაკი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე... გამოვიდა ახალი, სრულიად ორიგინალური ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, რომელმაც ხალხის სამსახური თავის დროშაზე წააწერა, დაიწყო ქადაგება უტილიტარული ესთეტიკის პრინციპებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების უმჭიდროესი კავშირისა, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეების გავრცელება, საზოგადოებრივი კუთხით მშობლიური ენის საკითხების დაყენება, და თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ყოველივე ამას, შეიძლება ენის გარშემო იმდროინდელი ბრძოლითაც წარმოვიდგინოთ.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიულ განვითარებაში თანამედროვე ფილოლოგია სამ ძირითად პერიოდს აღნიშნავს: ძველს, საშუალოსა და ახალს, ან კიდევ ორს — ძველსა და ახალს.* პირველი მოსაზრების წარმომადგენელია აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ხოლო მეორე შეხედულებისა—აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა. ძველი პერიოდი მოჰყავთ მესუთე საუკუნიდან მეთერთმეტე საუკუნის დამლევამდე, ხოლო მეორე პერიოდი — მეთორმეტე საუკუნიდან დღემდე (არნ. ჩიქობავა); ან კიდევ: პირველი პერიოდი — მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნემდე, მეორე — ამ დროიდან მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, ხოლო მესამე— მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან დღემდე (კორნ. კეკელიძე). ყოველ შემთხვევაში, მე-19 საუკუნე ახალი ქართულის საუკუნეა, და ყველაზე დიდი წარმომადგენელი, რომელმაც ახალი სალიტერატურო ენის ხალხური საფუძვლები, როგორც თეორიულად, ისე მხატვრული პრაქტიკით განამტკიცა. ილია ჭავჭავაძეა. აკაკი წერეთელთან, ვაჟა-ფშაველასთან დაიაკობ გოგებაშვილთან ერთად.

დროთა სვლამ, ქართული მეცნიერების განვითარებამ, სავსებით დაადასტურა, რომ ილია ჭავჭავაძე მართალი იყო ანტონ პირველის რიტორიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, მართალი იყო, როცა გაილაშქრა „სამი სტილის თეორიის“ წინააღმდეგ, მართალი იყო, როცა მართლწერიდან განდევნა ზედმეტი ასოები, მართალი იყო, როცა ე. წ. „მამებს“ ებრძოდა სალიტერატურო ქართულის საკითხებში და ამტკიცებდა, რომ ენა ერის საუნჯეა. ილია წერდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოე-

---

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951 წ., გვ. 27—34; არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950 წ., გვ. 018—028).

ბა. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთა-
მომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით
ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო
საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".*

ასევე მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, როცა ე. წ. „მამებს" უმტკიცებდა,
რომ „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... აზრი
და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას".** „კაცის ენა კერძო
პირისავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი
ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭი-
რონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; ამიტომ ახალი ენა ძველს ენას
არა ჰგავს. როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა";*** „ენას კანონსა
თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა";**** „ხალხია ენის კანონის დამ-
დები და არა ანბანთ თეორეტიკა".***** ეს თეორიული პრინციპები თვით
ილიამ განახორციელა თავის ნაწერებში, კერძოდ, ეს ახალი ენა გამოიყენა მან
უცხოური ლიტერატურიდან თარგმანებშიც.

ქართულ მწერლობაში მთარგმნელობითი ტრადიცია მდიდარ სათავეს
ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელების — ათონელების
ლიტერატურული პრაქტიკიდან იღებს, თუმცა, გაცილებით უფრო ადრეც, მე-
ხუთე საუკუნეში, ქართული თარგმანი ცნობილია „საღმრთო წერილის" სახით,
როგორც ეს გარკვეული აქვს აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს.****** მეათე,
მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში ქართული თარგმანი უდიდეს წარ-
მატებას აღწევს; რელიგიური ლიტერატურის გვერდით ითარგმნება პოეტური და
პროზაული თხზულებანი, ძალიან ფართოდ კი ფილოსოფიური წიგნები. საკმა-
რისია დავასახელოთ თუნდაც მარტოოდენ იოანე პეტრიწის თარგმანები
მეცამეტე საუკუნეში, მონღოლთა გამანადგურებელი შემოსევის შედეგად, ქარ-
თული მთარგმნელობითი მუშაობა ერთგვარად წყდება ქვეყნის საერთო უბე-
დურების მიზეზით, მაგრამ იგი კვლავ ახლდება მე-16 საუკუნიდან, როცა ქარ-
თველი პოეტების მთელი პლეადა ხელს ჰკიდებს ნაციონალური ლიტერატურის
აყვავების დიდ საქმეს. ამ პოეტთა შორის შეიძლება საილუსტრაციოდ მოვიხ-
სენიოთ სერაპიონ კედელაური, თეიმურაზ პირველი, ვახ-
ტანგ მეექვსე, სულხან-საბა ორბელიანი და მრავალი სხვა.
მე-19 საუკუნეში კვლავ გრძელდება მთარგმნელობითი მუშაობა, ითარგმნება.
როგორც პროზაული, ისე პოეტური და დრამატული თხზულებანი, გავიხსენოთ
ალექსანდრე ჭავჭავაძის თარგმანები ვოლტერიდან და პუშ-
კინიდან, ბარათაშვილისა — ლეიზევიციდან, გიორგი
ერისთავისა — მიცკევიჩიდან, დიმიტრი ყიფიანის,
სარდიონ ალექსი-მესხიშვილის თარგმანები. ამ საქმეს ხელს
უწყობს იმ დროს ერთადერთი ქართული ჟურნალი „ცისკარი". იმავე

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ. „პასუხი", გვ. 26-27.

** იქვე, გვ. 38.

*** იქვე, გვ. 38.

**** იქვე, გვ. 38.

***** იქვე, გვ. 40.

****** კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1951 წ., გვ. 383—384.

საუკუნის 60-იან წლებში ქართული თარგმანი კიდევ უფრო ძლიერდება. თერგდალეულები უმთავრესად თარგმნიან რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს. თარგმანის საკითხები ხდება სპეციალური განხილვის საგანი, რასაც მოწმობს „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ნაწყვეტის ის თარგმანი, რომელიც 1846 წელს ივანე ევლახოვს შეუსრულებია და დავით ჩუბინაშვილის გულისწყრომა გამოუწვევია. გაზეთ „კავკაზის“ 1846 წლის ნომრებში ლიტერატურული კამათი ჩუბინაშვილსა და ევლახოვს შორის იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ ორივე მხარემ დაიცვა სავსებით ჰეშმარიტი აზრი: თარგმანი არ ნიშნავს ცალკეული სიტყვების თარგმნას, ეს უნიჭობის მომასწავებელი იქნებოდა; თარგმანი ნიშნავს ორიგინალის ღირსებათა და განმასხვავებელ ნიშანთა შენარჩუნებას.

ეს ძირითადი თეზისი 60-იან წლებში თერგდალეულებმაც დაიცვეს, მხოლოდ მიუმატეს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპები, — მხედველობაში გვაქვს თვით თარგმანის ობიექტი. ილია ჭავჭავაძემ თავის პირველ კრიტიკულ წერილში — „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვისმიერ „შეშლილი“-ს თარგმანზედა“ 1861 წელს თარგმანის მთელი თეორია განავითარა და გაბაზა თვით სათარგმნ ნაწარმოების შერჩევაში პასუხისმგებლობის აუცილებლობა. გარდა ერთადერთი შემთხვევისა, ისიც მოგვიანებით, როცა ილიამ თარგმნა ვრცელი რომანი „იზა“, მის მიერ ქართულ ენაზე სათარგმნელად შერჩეული ნაწარმოებნი სწორედ ამ მხრივაც იქცევენ ყურადღებას.

ვის მიმართა ახალგაზრდა პოეტმა?

გოეთეს, შილერს, ვალტერ სკოტს, ბაირონს, ტომას მურს, პუშკინს, ჰაინეს, რიუკერტს, ლერმონტოვს, ანდრე შენიეს. მხატვრული სიტყვის ამ დიდი წარმომადგენლების შემოქმედებიდან მან აიღო ლირიკული ან ეპიკური თხზულებანი, მაგრამ მხოლოდ ისეთნი, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად გამოეხმაურებოდნენ, უშუალოდ ან ალეგორიულად, თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებს. ერთმანეთს თუ შევუდარებთ ილია ჭავჭავაძის ორიგინალურ ლექსებსა და მის მიერვე თარგმნილ თხზულებებს, შეუძლებელია არ დავინახოთ ის ერთი დიდი საერთო ხაზი, რომელიც მათ შორის გამავალია, როგორც აკიდოს ძაფი. განა გოეთეს „ბედა მქადაგებელი“, რომელიც ოცი წლის ყმაწვილს 1857 წელს პეტერბურგში უთარგმნია, თავისი იდუური შინაარსით არ ენათესავება პოეტის იმავე პერიოდის განწყობილებას? და რა არის „ბედა მქადაგებლის“ მოკლე შინაარსი? ის, რომ ქვეყნად გამეფებულია მაცდურობა და მატყუარობა, ადამიანები არც კი ისმენენ ღვთიურ ქადაგებას, რომელიც მათივე სიკეთით არის შთაგონებული; რომ ბრმა, მაგრამ კეთილი მოძღვარი ბედა მოტყუებული რჩება, დაცინებულიც, მხოლოდ უსულო ქვები, ადამიანების ნაცვლად, მისძახიან მისი ქადაგების პასუხად — „ამენ!“ ასეთივე მარტოობა, კეთილი მოძღვრისა და მასის გათიშვა ტანჯავდა ილია ჭავჭავაძის პოეტურ მუზასაც და შემთხვევითი არ იყო მისი ლექსების გოდება:

„მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,

რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრი ეანდო, გრძნობა ჩემი განეუზიარო!"*

ისევე როგორც მოხუცმა ბედამ თავისი ქადაგება ვერავის მიაწვდინა. ან კიდევ: „თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი".**

ეს არ იყო მარტოოდენ პესიმისტური მოთქმა-გოდება, ინდივიდუალისტური განდგომა, ისევე როგორც ელეგიური სიტყვები: „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!",*** „ყოველი ჰხუმობს გარშემო ჩემსა",**** „როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?,***** „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში",****** „ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა",******* „დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა, სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემს გულში",******** „როცა წუხილი მჩაგრავს უწყალო, კაცთან არ ვილტვი მის განქარვებლად".********* ამ სიტყვებთან ერთად ისმოდა ბედთან შეურიგებლობის ბარათაშვილისებური ჰანგი ან კიდევ ანდრე შენიესებური გონდოლიერის სიმღერა — უშიშარი სიმღერა — „ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად მშფოთვარე ზვირთთა-ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ..." ილიასაც ხომ თავისი თავი წარმოდგენილი ჰქონდა მარტოდმარტო მყოფ ადამიანად ზღვისღელვაში, გრიგალთ ქროლაში", და ამბობდა:

„ზვირთნი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,
ჯერ ჩემს მცირე ნავს ზედ ასკდებიან".

ეს იყო ბრძოლა, რომელიც ჰაბუკმა პოეტმა ცხოვრების ძველ ნორმებს გამოუცხადა; იგი უშიშრად გამოვიდა სარბიელზე, რათა ბევრი ტანჯვის მნახველს მომავალშიც ბევრი სხვა ტანჯვა გადაეტანა; გაეძლო ბედის უკუღმართობისათვის, ოღონდ საზოგადოებრივი ცხოვრების სასარგებლო საქმე გაეკეთებინა. ამ გზაზე იგი მზად იყო ყველა და ყოველგვარი განსაცდელის შესახვედრად:

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალშიძს, ძმანო, ვერ რით გაძლება!"

ამ განწყობილებებსა და შეუპოვარი ბრძოლის სურვილს პოეტის არსებაში აძლიერებდა სამშობლო ქვეყნისადმი ზრუნვა, რაც ასე მძლავრად ჯერ კიდევ ჰაბუკობისდროინდელ „ყ ვ ა რ ე ლ ი ს მ თ ე ბ შ ი" გამოიხატა 1857 წელს, ხოლო შემდეგ ლეიტმოტივად დაედო მთელ მის შემოქმედებას. ეს იყო პატრიოტიზ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული", 1861 წ.
** „ჩემო ქალამო..." 1861 წ.
*** „ელეგია", 1859 წ.
**** „უცხოეთში", 1858 წ.
***** „როდემდის", 1858 წ.
****** „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში", 1858 წ.
******* „მწუხარება", 1860 წ.
******** „დაბნელდა სული"... 1860 წ.
********* „როცა წუხილი მჩაგრავს"... 1860 წ.

მის ქადაგება მხატვრული სიტყვის ყველა საშუალებით, მათ შორის თარგმანითაც, და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ თხუთმეტი წლის შემდეგ, „ყვარლის მთების“ დაწერიდან, ილია მიაშურებს ტომას მურს, თარგმნის მის პატრიოტულ ლექსს „ირლანდიისადმი“, რომელიც ისევე იწყება, როგორც „ყვარლის მთები“:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენს ხსოვნას ვერ მივცემ მე დაეიწყებასა“.

ტომას მური ამავე სიტყვებით მიმართავს თავის სამშობლო ირლანდიას:

„არ დაგიეიწყებ. არა, არა!.. ვიდრე ჰფეთქს გული,
ვიდრე მიდგია ძარღვში სისხლი და პირში სული“.

ანალოგიურმა მოსაზრებებმა უკარნახეს ჭაბუკ ილია ჭავჭავაძეს 1858 წელს ქართულად გადმოეღო ერთი ლექსი ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან“ — „სტიროდეთ!“. როგორც ღრმა თანაგრძნობის გამოხატულება ყველა მათდამი, რომლებმაც საკუთარი კარი დაჰკარგეს და

„...ვისიც ტაძარნი ნანგრევ არიან,
ვისიც მაშული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!“

ყოველივე ამით ილია ჭავჭავაძის სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა ახალ ქართულ ლიტერატურას, რომელმაც სრულიად ახალი გზები და ახალი ჰორიზონტები გადაშალა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურის ისტორიაში.

თითქმის ყველა ევროპული ქვეყანა ახალი ლიტერატურის ისტორიას მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ზოგჯერ უფრო ადრეც იწყებს, როგორც მაგალითად რუსული და გერმანული ლიტერატურა. მარტინ ოპიცის შემდეგ (მე-17 საუკუნე). გერმანიაში მხოლოდ ლესინგი ახერხებს ოპიცის საქმე აღადგინოს და გააგრძელოს, საფუძველი ჩაუყაროს ახალ გერმანულ ლიტერატურას, ხოლო 1763 წელს, როცა „ლაოკოონი“ გამოდის, მისი გავლენის ქვეშ ექცევიან გოეთესთან ერთად „შტურმ უნდ დრანგ პერიოდეს“ უკვე ცნობილი პლეადის მწერლები. ეს არ იყო მარტოოდენ სტილის საკითხი. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიეცა, პირველყოვლისა, ახალ იდეებსა და ლიტერატურის ახალ ამოცანებს, როგორც, მაგალითად, რუსეთში რადიშჩევისა და კარამზინის სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის დროს, თუმცა ახალმა იდეებმა ბუნებრივად მოიტანეს ახალი სტილი. ქართულმა რომანტიზმმა მარტოოდენ სტილი კი არ შემოიღო, ახალი იდეებიც წამოაყენა და ამით მთელ ლიტერატურას სრულიად სხვა მიმართულება მისცა. ამდენად, უნაყოფო იქნებოდა იმის ცდა, ვინმეს რომ ემტკიცებინა, თითქოს ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი შეიძლებოდა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში გაჩენილიყო. ჩვენი ლიტერატურისათვის ამ უკანდამხევი დებულების წინააღმდეგ თვით ილია ჭავჭავაძე გაილაშქრებდა, ვინაიდან მისთვის ლიტერატურა და ლიტერატურის საზოგადოებრივი ამოცანები ყოველთვის პიროვნულ ღირსებაზე მაღლა იდგა.

ახალი ქართული ლიტერატურა, რუსეთისა და ევროპის მსგავსად, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟიდანვე იწყება, თუ ცოტა უფრო ადრე არა, ყოველ შემთ-

ხვევაში, მისი სათავე დადებული აქვს ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორც ქართული რომანტიზმის პირველ წარმომადგენელს. ფუძემდებელი კი გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილია, რომელმაც ყველაზე უფრო სრულად გამოთქვა ის იდეები, შეხედულებები და განწყობილებები, 60-იანი წლების თერგდალეულებმა რომ განავითარეს, წინ წასწიეს და ახალ სიმაღლეზე აიყვანეს. სწორედ ეს მომენტი აქვს მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როცა მაღალ შეფასებას აძლევს ნიკოლოზ ბარათაშვილის დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე და აღნიშნავს, რომ „...ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთათქმას, ჩვენს ჰკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“*. ილია ჭავჭავაძისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილი „...ერთად ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალგადუწედელს სფეროში, საცა ზოგადკაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“.** ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე ნიკოლოზ ბარათაშვილის უდიდესი დამსახურება ილია ჭავჭავაძისათვის იმდენად თვალშესადგამი და ხელშესახები იყო, რომ დამტკიცებასაც არ საჭიროებდა. „გზა-კვალი მისის პოეზიისა, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე, — სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირსშესანიშნავია, რომ დაუსაბუთებლად ადვილად დასჯერი იყოს. იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში“.***

ნიკოლოზ ბარათაშვილი ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელია; ეს ადგილი მას თვით ილია ჭავჭავაძემ მიაკუთვნა და ილიას არც ესაჭიროება დაიდგას დაფნის ის გვირგვინი, რომელიც საკუთარი ხელით სხვას დაადგა, სამაგიეროდ მისი დაფნის გვირგვინია ახალი ქართული ლიტერატურის ყველაზე დიდი წარმომადგენლობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. თერგდალეულთა მეთაურობა და ამავე პერიოდში საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ბელადის სავსებით დამსახურებული სახელი. როგორც ჭავჭავაძის, ისე სხვა თერგდალეულთა იდეები 60-იან წლებში დასაწყისს სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში პოულობენ. საკმარისია დავასახელოთ „ფიქრნი მტკვრის პირას“ (ქვეყნისათვის პრაქტიკული ზრუნვისა და მოქმედების ფილოსოფია; ილიას— „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“), „სული ობოლი“ (სულიერი მარტოობის გრძნობა; ილიას — „ელეგია“ და „...შენს შიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო“). „სუმბული და მწირი“ (თავისუფლების იდეა; ილიას — „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი“), „მერანი“ (ბედთან შეურიგებლობა, შთამომავლობისათვის გზის გაკაფვა; ილიას — „გავსწორდეთ ბედო“ და „...ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან

---

* ილია ჭავჭავაძის „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“. თხზულებათა სრული კრებული“, ტ. III, 1953 წ., გვ. 219.

** იქვე, გვ. 219.

*** იქვე, გვ. 221.

ვლიან"), „საფლავი მეფის ირაკლისა", „ბედი ქართლისა" (ახალი ქართლი, მისი კეთილდღეობა; ილიას—„ქართველის დედას", „ქართველის დედა", „აჩრდილი") და ა. შ. მაგრამ ვერც ჭავჭავაძე და ვერც სხვა თერგდალეულები ვერ დაკმაყოფილდებოდნენ მარტოოდენ ამ იდეებით, რომლებიც წინა თაობამ, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილმა შეიმუშავა. ცხოვრება წინ იყო წასული, საგლეხო რეფორმის საკითხი დღის წესრიგში იდგა, გატარდა კიდეც, ამიტომ, ბუნებრივია, ბატონყმობის გაუქმებისა და ახალ სოციალურ ურთიერთობათა შედეგად, თერგდალეულთა, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ამ თემას დიდი ადგილი დაეთმო (პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტიკა, ეკონომიური მოძღვრება). როგორც ჭავჭავაძემ, ისე სხვა თერგდალეულებმა შეითვისეს ის იდეები, რომლებსაც რუსეთში ბელინსკი, ჩერნიშევსკი და დობროლუბოვი ქადაგებდნენ. სრულიად უეჭველია, რომ ისინი მათ მოძღვრებაზე, რაზნოჩინელების შეხედულებებზე აღიზარდნენ. მათი მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოშიც გამოძახილს პოულობდა, კერძოდ, პედაგოგიკის დარგშიც, და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ილია ჭავჭავაძე პედაგოგიური მეცნიერების საკითხებსაც ფართოდ ეხებოდა, სამაგალითოდ მიიჩნევდა რუნესანსის ეპოქის, მე-14 საუკუნის გამოჩენილი პედაგოგების — ვიტორინო დე-ფელტრეს, როგორც პრაქტიკოსის, ხოლო პაოლო ვერჟერიოსა და მატეო ვეჯიოს, როგორც თეორეტიკოსების მიერ დამუშავებულ აღზრდის პრინციპებს. განახლების ეპოქის ჰუმანიზმის ქადაგებაში, კერძოდ, ფრანსუა რაბლეს „გარგანტიუა და პანტაგრუელში" — მე-16 საუკუნის ამ უბრწყინვალეს ლიტერატურულ ძეგლში ილია ჭავჭავაძემ დაინახა მისი დროისათვის საჭირო მრავალი ჭეშმარიტება, სწავლების ძველი, სქოლასტიკური წესების დაგმობა, და იმ აუცილებელი კანონის აღიარება, რომ აღზრდა, პირველყოვლისა, აღსაზრდელის ჰარმონიულ განვითარებას უნდა გულისხმობდეს, მისი შემოქმედებითი ძალების ამოქმედებას, ფიზიკურ წვრთნას, სულიერ ამაღლებას, მეცნიერებასთან ერთად, თვით ცხოვრების შესწავლას. ამით ძირი ეთხრებოდა სწავლა-აღზრდის სქოლასტიკურ დოქტრინას, და ილია მართალი იყო, როცა შენიშნავდა, რომ ეს დოქტრინა საბოლოოდ დაამსხვრია მე-16 საუკუნის დასაწყისშივე დიდმა ფილოლოგმა, მოაზროვნემ და სატირიკოსმა, „სისულელის ქების" ავტორმა დეზიდერ ერაზმ როტერდამელმა.* მან უკუაგდო აღზრდის ეკლესიური სისტემა, აღსაზრდელი მიიჩნია „წმინდა ტაძრად", რომლის სრული გარდაქმნა სკოლასა და ოსტატს შეუძლია; ამიტომ, როგორც თვითონვე ამბობდა, იგი დიდ ტვირთს ჰკიდებდა აღმზრდელს, სამაგიეროდ, ამითვე უმცირებდა აღსაზრდელს.

ამ საკითხებს ეხებოდა ილია ჭავჭავაძე „პედაგოგიის საფუძვლებში", რომელიც 1888 წელს მიეკუთვნება. გარდა ამისა, სახალხო განათლებას მიუძღვნა მან წერილების სერია, რომლებშიც განიხილა არამარტო ზოგადთეორიული, არამედ, სწავლა-აღზრდის უაღრესად კონკრეტული პრობლემები: ქართული საშუალო სასწავლებლების დაარსების საჭიროება, რა მნიშვნელობა

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1955 წ., ტ. IV, გვ. 309. ილია შენიშნავს (გვ. 303), რომ აღორძინების ხანის პედაგოგების შესახებ ცნობები „თითქმის სიტყვა-სიტყვით" ამოწერილი აქვს წიგნიდან „პედაგოგიური თეორიები განახლების ეპოქისა".

აქვს საშეურნეო დაბალ სკოლებს, სოფლის მეურნეობის ქალთა სასწავლებლებს, ხილნარობისა და მევენახეობის სასწავლებლებს.

1898 წელს ილია ჭავჭავაძემ პირველმა წამოაყენა ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში ის იდეა, რომლის განხორციელება მაშინ შეუძლებელი შეიქნა და რომელსაც ჩვენ დღეს პოლიტექნიკურ განათლებას ვუწოდებთ. მან დაიცვა ეს იდეა, ისიც მიუთითა, რომ „...სახელოსნო და სასპეციალო-სატექნიკო სკოლები აუცილებელი საჭიროებაა და ცხოველმყოფელი სახსარია ჩვენის წასულის საქმის ხელ-ახლად გამობრუნებისათვის და ჩვენის ღონემილეულ ქვეყნის გაღონიერებისათვის“*. იმ დროს მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა ამ საქმეზე, მხოლოდ აზრის წამოყენება, მაგრამ ესეც პრაქტიკული როლის შესრულებას უდრიდა, ვინაიდან ილიას სწამდა, რომ „...აზრი მამაა საქმისა და სურვილი დედა“.**

ასე მრავალმხრივი მოაზროვნე და დაკვირვებული მკვლევარი იყო ილია ჭავჭავაძე; ასეთ პროგრესულ შეხედულებებს იცავდა იგი თავის მხატვრულ შემოქმედებასა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში.

რა ვუყოთ, თუ თანამედროვე მეცნიერული აზრი ვერ გაიზიარებს ილია ჭავჭავაძის მთელ რიგ შეხედულებებს, მაგალითად, ვერ დავეთანხმებით ჩახრუხაძისა და თეიმურაზ პირველის ლიტერატურულ ღირსებათა გადაფასებას, საქართველოს ისტორიაში კლასთა და წოდებათა ილიასეულ კონცეფციას, თვითმმართველობის როლის მეტაფიზიკურად გაზვიადებას, „მეოთხედობის“ ზოგიერთ პუნქტს, მაგრამ, როგორც ენგელსი ჩერნიშევსკის მისამართით ამბობდა, გასაკვირი ეს შეცდომები კი არ არის, არამედ ის, რომ შეცდომები ასე ცოტა იყო. მართალია, წარსულის ყველა მოღვაწე თანამედროვეობის თვალით ფასდება, თანამედროვეობის სამსჯაროს წინაშე გამოდის, მაგრამ, როგორც ლენინი მიუთითებდა, ყოველი მოღვაწე არამარტო ამ თვალთახედვის წერტილიდან უნდა შეფასდეს, ეს აუცილებელია, არამედ, იმ კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებითაც, რომლებშიც მას მოღვაწეობა მოუხდა. თუ ასე მივუდგებით ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განსჯას, სხვანაირი მიდგომა კი მეცნიერული აზრისა და ჭეშმარიტების უკუპროპორციული იქნებოდა, მაშინ მხოლოდ ერთადერთი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ილია ჭავჭავაძის სახით თანამედროვეობის წინაშე დგას ის ადამიანი, რომლის დახასიათებასაც ამ ერთი საუკუნის წინათ თვით ილია იძლეოდა, როცა ამბობდა: „ცხოვრების ტალღა მეტად ძლიერია და ჩვეულებრივი კაცი მეტად სუსტი, რომ თან არ წაიყოლიოს იმ ტალღამ. მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორსმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტევრსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა“.***

ამ სიტყვებით ყველაზე კარგად არის დახასიათებული თვით ილია ჭავჭავაძე, მისი ცხოვრებაც და შემოქმედებაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ბუმბერაზივით წამოიმართა გასული საუკუნის 60-იან წლებში

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1955 წ., ტ. IV, გვ. 390.

** იქვე, გვ. 391.

*** ილია ჭავჭავაძე, „საქართველოს მოამბეზედ“, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, გვ. 57.

და დღესაც ასეთივე სახით დგას ჩვენს წინაშე. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არც ერთი ჩვენი საზოგადო მოღვაწე ასე მრავალმხრივი არ ყოფილა და ასე ენციკლოპედიური ცოდნით არ გამორჩეულა. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეეძლო გამხდარიყო მთელი ერისა და მისი განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური.

მაგრამ ასეთი ადამიანის ცხოვრება ყოველთვის უდიდეს განსაცდელთან არის დაკავშირებული. ეს განსაცდელი თან სდევდა ილია ჭავჭავაძეს და საბედისწერო წამმაც არ დააყოვნა მას შემდეგ, რაც ეს ბუმბერაზი, მაგრამ მცირე ერების მოსარჩლე, სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს 1906 წლის აპრილში. ერთი წლის შემდეგ, 1907 წლის ივნისში, საბჭოს მეორე სესიამ მუშაობა რომ დაამთავრა, ილია უკანასკნელად მოეშურება სამშობლოსაკენ, მშვიდობით ბრუნდება დედაქალაქში, ხოლო ორი თვის შემდეგ, იმავე წლის 30 აგვისტოს, წიწამურთან შუბლგახვრეტილი ეთხოვება სიცოცხლეს.

ადამიანი, რომელიც რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო საბჭოში გამოვიდა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, საზარელი მკვლელის ხელით იღუპება.

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დიდხანს საიდუმლოებით იყო მოცული, თუმცა არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა, რომ დიდი პოეტი თვითმპყრობელობის მსხვერპლი შეიქნა.

მხოლოდ 34 წლის შემდეგ აეხადა ფარდა წიწამურის საშინელ ტრაგედიას. მაგრამ გამოუსწორებელს ვინღა გამოასწორებდა: 1907 წლის 30 აგვისტოს საქართველომ აუნაზღაურებელი მსხვერპლი გაიღო, ვინაიდან ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულად დაღუპვა ერთ-ერთი დიდი დანაკლისი იყო, როგორიც კი მანამდე ოდესმე განუცდია ისტორიულად მრავალტანჯულ გმირსა და მებრძოლ ქართველ ხალხს. წიწამურის ტრაგედია ქართველი ხალხის ხსოვნაში დარჩა, როგორც ძალმომრეობის, ჰეშმარიტების დათრგუნვისა და ეროვნული უბედურების სიმბოლო, ისევე, როგორც კრწანისის კატასტროფა: ორივემ მძლავრად შეატოკა ხალხის გული და ორივე ერთი სხეულის ჭრილობა იყო, საიდანაც უმანკო სისხლი მოედინებოდა.

მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს ამაოდ არ ჩაუვლია. ერთმაც და მეორემაც ხალხის არსებაში ისეთი ღრმა კვალი გაავლო, რომ დააგუბა მრისხანების ზღვა. მისი ტალღების მისკდომამ მთელი ხალხი გამოაღვიძა, დასძრა ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამართლდა დიდი პოეტის სიტყვებიც, რომ ძველი ქვეყანა ვერ გაუძლებდა „განახლებულსა გრიგალის ქროლვას“, რომ ჰეშმარიტებით აღძრული ბრძოლა ბოლოს მოუღებდა ქვეყნის მძარცველს; დაიმსხვრეოდა ადამიანთა ცხოვრების შემფერხებელი ბორკილი და ქვეყანა სრულიად ახალ ნერგზედ აყვავდებოდა.

ეს აზრები თითქმის ერთი საუკუნის წინათ იქადაგა ილია ჭავჭავაძემ; თითქმის ერთი საუკუნის წინ, 1859 წელს წინასწარმეტყველებდა პოეტი, რომ მე-19 საუკუნის ტვირთს შრომის განთავისუფლება შეადგენდა, ხოლო როცა ძველი ქვეყანა დაიმსხვრეოდა, მაშინ მოვიდოდა „შრომის სუფევა“, „თანასწორადა ნიჭთა მფენელი“, ადამიანი აღსდგებოდა თავის ადამიანურს უფლებებში, ქვეყნად ძალმომრეობა მოისპობოდა. ეს იქნებოდა დრო, რომელსაც პოეტი შემდეგი სიტყვებით შესტრფოდა:

„შაშინ, მაშკრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიშთა კვლავ მოიპოვებ.
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონავი და არც იმონებ“.*

ამ დროის მოახლოებას ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი შემოქმედებითა და ცხოვრებით! ამ დროისათვის მღეროდა მისი პოეტური ჩანგიც ერთი საუკუნის წინათ ასეთ პატრიოტულ, მამულიშვილურსა და ერის წინაშე ღრმად შეკნებული მოვალეობის გამომხატველ სიტყვებს:

„დაე თუნდ მოკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ. ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;
რომ ჩვმს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმან, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:
იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა,
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“.

თვით დრომ დაამტკიცა ამ სიტყვების სიმართლე; თვით დრომ ცხადჰყო, რომ ამ სიტყვების ავტორს მართლაც არ ეშინოდა. მომკვდარიყო, ოღონდ ბარათაშვილის მერნისებურად კვალი გაეკლო ცხოვრებაში, რათა მოძმეს, ვინც მის შემდეგ გაივლიდა, ენახა ეს კვალი და ეგრძნო, რომ პოეტს თავისი ვალი შთამომავლობის წინაშე ნამდვილად მოხდილი ჰქონდა. ამ კვალს ქართველი ხალხის ყველა თაობა პოულობდა და პოულობს დღემდე; ამ კვალზე იზრდებოდა და იზრდება დღესაც; თაობები მიდიოდნენ და დღესაც მიდიან პოეტის საფლავთან, რომელიც მამადავითის მთას გაჰკვრია; და იქ, მთაწმინდაზე, სადაც უკვდავ სავანეს თავს დასდგომია „მწუხარე საქართველოს“ სიმბოლო, იაკობ ნიკოლაძის მიერ ოსტატურად გამოკვეთილი მგლოვიარე ქალის სახით, ხელთ რომ დამსხვრეული ჩანგი უკავია, მიდიან თაობები, და გულწრფელობითა და სიმართლით ეუბნებიან პოეტს, რომ მშვიდობით განისვენოს თავის მყუდრო ძილში, მას უცოცხლია ისე, როგორც უნდა ეცხოვრა ქართველი ხალხის უანგარო მოამაგეს, რომლის ჩანგს ჩვენთვის არც დღემდე უხმაურია ამაოდ და მომავალშიც ამაოდ არ იხმაურებს!

ასე დიდი ადამიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული გაგება შეუძლებელია, თუ მისი ცხოვრება დაწვრილებით არ გვეცოდინება. ამიტომ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, ჩვენ ახლა ხელი უნდა მოვკიდოთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული ფაქტების შესწავლას და თანმიმდევრულად გავყვეთ უანგარო მოღვაწის სამოცდაათწლიანი ცხოვრების ვრცელ გზას.

---

* „აჩრდილის“ XIV თავი, იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ.133.

1. ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა

I.

მყინვარივით აღმართული დგას თვითეული ქართველის წინაშე ილია ჭავჭავაძე. მისი გიგანტური ფიგურა მოსილია უკვდავი შარავანდით. როგორც საბაორბელიანს, ილია ჭავჭავაძესაც კანონიერად უწოდებენ „საქართველოს მამას“. იგი ისევე საყვარელია ჩვენთვის, როგორც დიდი ოქროპირები—რუსთაველი და ბარათაშვილი, აკაკი და ვაჟა.

ილია ჭავჭავაძე იმ წელს დაიბადა, როცა რუსული პოეზიის დიდება ალექსანდრე პუშკინი გარდაიცვალა.

ავტობიოგრაფიაში, რომელიც პოეტს 1902—1903 წლებში ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონისათვის დაუწერია, ნათქვამია: „დავიბადე 27 ოქტომბერს* 1837 წელს სოფელ ყვარელში“.**

ეს არის კახეთის ერთი ულამაზესი სოფელი, რომელიც მაშინ თელავის მაზრაში შედიოდა. მისი მშვენიერი მთა-გორები, ამწვანებული მიდამო, გიჟმაჟი დურუჯი —ყველაფერი ეს მომავალი პოეტის ფანტაზიაზე სასიკეთო გავლენას ახდენდა და მის შემოქმედებასაც გარკვეული კვალი დააჩნია.

ყვარელი იყო ის სოფელი, სადაც ჭავჭავაძეთა გვარის შორეული წინაპრები დასახლდნენ. თუ როგორ წარმოიშვა იგი, დღემდე შემონახულა თქმულებანი და ლეგენდები, რომლებიც ხალხში ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ეს ლეგენდები ყვარლის წარმოშობას უკავშირებენ ფშავიდან ჭავჭავაძეების ერთი შტოს კახეთში გადმოსახლებას. სწორედ ფშავში იყო სოფელი ყვარა, საიდანაც ჭავჭავაძენი მოსულან იქ, სადაც ახლა სოფელი ყვარელია. ახალ ადგილზე ახალდასახლებულებს ყვარლელები ეწოდათ, ხოლო სოფელს—ყვარელი.*** შემდეგ ჭავჭავაძეთა ეს შტო მუდმივად შერჩა ამ ადგილს და ყვარელიც კახეთის ერთ-ერთი განთქმული სოფელი შეიქნა.

მართალი არ არის ილიას პირველი ბიოგრაფი გიგა ყიფშიძე, როცა წერს, რომ თითქოს „ჭავჭავაძისთ გვარი მხოლოდ მეჩვიდმეტე საუკუნეში

---

* ილიას მეტრიკაში აღნიშნულია: დაიბადა 1837 წლის 20 იანვარს და მოინათლა იმავე წლის 26 იანვარსო.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. IX, გვ. 307.

*** ეს ლეგენდა ჩაიწერა გრ. ჩიქოვანმა („კომუნისტი“, 1947 წ., № 135) და ვრცლად გამოიყენა ლეონ ასათიანმა („რჩეული ნაწერები“, 1958 წ., ტ. I, გვ. 217).

გამოვიდა საისტორიო ასპარეზზედ...“* ბიოგრაფს ხელთ არ ჰქონია ჰავჰავაძეთა გენეალოგიური შტოს ის მასალები, რომლებიც შემდეგ იქნა მიკვლეული და რომლებსაც ჩვენ შევეხებით. ამ მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ჰავჰავაძეთა გვარის შტოუკვე მეთხუთმეტე საუკუნიდან, თუ უფრო ადრე არა, ცნობილია ისტორიულ წყაროებში, თვით ქართველ მეფეთა კარზე. ილიას პირველი ბიოგრაფის მეორე ცნობა ფრიად მნიშვნელოვანია. კახეთის გარდა, ჰავჰავაძენი თურმე მოსახლეობდნენ საქართველოს სხვა კუთხეებშიც. „გარდმოცემა ამბობს, —წერს გიგა ყიფშიძე, —რომ ჰავჰავაძენი ხევსურეთის მკვიდრნი იყვნენ, იქიდან არიან გადმოსულნი და ამ გვარის კაცნი დღესაც არაერთი და ორი კომლია ხევსურეთშიო. ეს გვარი აქა-იქ გლეხკაცებადაც სცხოვრობს დღეს ქართლშიაც, მაგალითად, ცეროწის-ავლევში“.**

თუ რას ემყარება ბიოგრაფის ეს ცნობა ან რომელ გადმოცემაზეა ლაპარაკი, — ჩვენთვის უცნობი როდია. ავტორს სრული საფუძველი გააჩნდა და ფაქტიც თავისი ხასიათით ისეთი იყო, რომ შეიძლებოდა თავიდანვე სარწმუნოდ მიეჩნიათ.

ჰავჰავაძეთა ორივე შტო (ყვარლისა —უძველესი და წინანდლისა —შემდგომი) კახეთში დასახლებულან ფშავ-ხევსურეთიდან. გიორგი XII შვილი, მწიგნობარი და მწერალი იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“ შემთხვევით არ ალაპარაკებს გარსევან ჰავჰავაძეს (ერეკლეს ცნობილ ელჩს რუსეთის კარზე), რომ „მე მთის კაცი ვარ და რა კაცის მტრობა ჩავა ჩემს გულში, არღა ამოვაო“.*** მართალია, იოანე ბატონიშვილს უარყოფითად მოუხსენებია გარსევან ჰავჰავაძე (იოანე ხელაშვილი მას სასტიკად აკრიტიკებს, მოღალატეს, ქონების მხვეჭელსა და კაენზე უფრო დამნაშავეს უწოდებს —„კაენმან ერთი ძმა მოჰკლა და თქვენ ათასიო“), მაგრამ ეს მხოლოდ ბატონიშვილთა ერთი ჯგუფის სრულიად უსაფუძვლო ბრალდებაა ნიჭიერსა, ერთგულსა და სპეტაკ გარსევან ჰავჰავაძეზე. ყოველ შემთხვევაში, ჰავჰავაძენი რომ კახეთში მთიდან იყვნენ მოსულნი, ეს არ შეიძლებოდა იოანე ბატონიშვილს ზუსტად არ სცოდნოდა. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს დართული ჰქონდა საქართველოში მცხოვრებ თავადთა და აზნაურთა გვარების აღწერა, რომელშიც მითითებული იყო, რომ ჰავჰავაძენი ორ გვარად განიყოფებიან: „პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარს, ყვარელსა შინა, იგინი არიან ძეულადგანვე დროსა მეფისა ლეონისასა, წელსა ქრისტეს აქეთ 1529. ესენი იყუნენ ადგილით ფშავის მთითვე ჰავჰეთის ადგილით და მუნ მოსახლენი თავადადვე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა მეფემან ადგილნი, რომელნიცა აწ არიან: 1) გლახას შვილები და ძმათა ამისისა, 2) მელქისადეკის შვილები“.**** მაგრამ მათზე უფრო ადრე ჰავჰავაძენი მოხსენიებულნი არიან სხვა წყაროებში. ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჰავჰავაძეთა მეორე შტოს გენეალოგიაც

---

* ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, გვ. ყიფშიძის შიერ შეღგენილი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია. გვ. 11.

** იქვე.

*** იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1936 წ., გვ. 129, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.; ლევან ასათიანი. რჩეული ნაწერები, 1958 წ., გვ. 216.

**** ამონაწერი მოტანილი აქვს ლევან ასათიანს, იხ. მისი „რჩეული ნაწერები“, 1958 წ., ტ. I, გვ. 218.

ვიცოდეთ. გეორგიევსკის ტრაქტატზე დართული დოკუმენტი იმასაც გვაუწყებს, რომ „...მეორე ჰავჰავაძენიც (ე. ი. წინანდლის შტო — გ. ჯ.), არიან მუნვე ადგილიდამ მოსულნი (ე. ი. ყვარლის შტოს ადგილიდან — ფშავიდან—გ. ჯ.), რომელნიც ამბობდენ მონათესაობასა მათსა, გარნა არა აქვნდათ მათთან მამულნი და ამით მსახურეს ერეკლესა მეფესა (პირველს, მეფობდა 1688—1703 წლებში — გ. ჯ.) თუშეთს და ოდეს გამეფდა მეფე ირაკლი პირველი... შემდგომად მსახურებისათვის დაასახლნა ადგილსა წინანდალს და მიიღო აზნაურად... შემდგომად მეფემან თეიმურაზ (იგულისხმება თეიმურაზ II, ერეკლე II მამა—გ. ჯ.), აღიყვანა მცირე თავადის ხარისხსა შინა და უბოძა მცირე რამ ყმა და ზვარი სამეფო და უკანასკნელ უფრორე მეფემან მეორემან ირაკლიმ დაუმტკიცა ჰავჰავაძეობა და არიან მუნიდგან წოდებულნი, რომელნი პირველ იწოდებოდნენ მამუჩისშვილებად“*... იმავე დოკუმენტში ნათქვამია: „თავადი ჰავჰავაძე არიან ძირით ფშაველნი აზნაურნი ჰავჭვეთს და ესენი გაათავადა მეფემან ერეკლე პირველმა, ოდეს მოვა რუსეთიდამ (ერეკლე პირველი, თეიმურაზ პირველის შვილიშვილი, რუსეთის კარზე იმყოფებოდა 1652 წლიდან — გ. ჯ.) თუშეთსა შინა, მუნ მსახურა ჰავჰავაძემან და შემდგომად ტფილის მეფობისა მისცა საოავადო მამული კახეთს ქრისტეს აქეთ, 1688. და არიან კახეთსა შინა, გალმა მხარს და გამოღმა მხარს. მამუჩიშვილებიც ჰავჰავაძის გვარნი არიან“.**

ყველაზე შორეული წინაპარი ჰავჰავაძეთა, ჯერჯერობით, ფ ა რ ო დ ი ჰ ა ვ ჰ ა ვ ა ძ ე ა, რომელიც ალექსანდრე პირველის (მეფობდა 1412—1442 წლებში, შემდეგ ბერად აღიკვეცა — გ. ჯ.) ერთ-ერთ სიგელში (1438 წლისაა, როგორც თედო ჟორდანია ამტკიცებს) მოხსენებულია მაშულების უკანონო მიმთვისებლად, მაშასადამე, უცხოვრია მე-15 საუკუნის პირველ მეოთხედში.***

ამ საკითხებს ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით, ახლა კი გვინდა ისევ ბიოგრაფიულ წყაროებს მივუბრუნდეთ.

გიგა ყიფშიძე პირველი იყო, რომელმაც ილია ჭავჭავაძეს წინაპართა საკითხის გარკვევა სცადა. მაგრამ, იმ დროს ქართული ისტორიული მეცნიერების ჩამორჩენილობის გამო, ცხადია, მას არ შეეძლო ყველა მასალა მიეკვლია და გამოეყენებინა. სამაგიეროდ, არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოიძია, განაზოგადა და კეთილსინდისიერად გამოიყენა. ასევე უეჭველია პირველი ბიოგრაფის ცნობა, რომელიც ისტორიული წყაროებიდან მომდინარეობს თავადობაში ჭავჭავაძეთა დამტკიცების შესახებ. „1726 წელს, — წერს გიგა ყიფშიძე, — კახეთის მეფე კონსტანტინემ უბოძა ამ გვარის წარმომადგენელთ თავადობა და ჭავჭავაძენი თავადობის ღირსებით ჩაიწერნენ... უმაღლესის წოდების სიაში...“****

უფრო დაწვრილებითი ცნობები ჭავჭავაძეთა გვარის შესახებ მოპოვებულ იქნა ბოლო ხანებში.

ა კ ა დ ე მ ი კ ო ს მ ა გ ი ო რ გ ი ლ ე ო ნ ი ძ ე მ 1935 წელს გამოაქვეყნა მა-

---

* მოგვყავს ლევან ასათიანის ციტირებით, „რჩეული ნაწერები“, 1958 წ., ტ. I, გვ. 219.

** იქვე.

*** იქვე. გვ. 219—220.

**** ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, გრ. ყიფშიძის მიერ შედგენილი ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფია, გვ. 11.

სალები ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის.* ამ მასალათა შორის გვხვდება ცნობები, რომლებიც ერთგვარად მაინც ნათელს ჰფენენ ილია ჭავჭავაძის გენეალოგიურ შტოს. ჭავჭავაძეთა შორეულ წინაპრად მან მიიჩნია მე-15 საუკუნეში მცხოვრები ოტია ჭავჭავაძე, შემდეგ პაპუნა და მამუკა (მე-17 საუკუნე), ფარემუზ და ბესპაზ ჭავჭავაძეები (მე-18 საუკუნე). მაგრამ, როგორც მივუთითეთ, ოტიას წინ უსწრებს ფარსოდი ჭავჭავაძე, თუმცა ორივენი მე-15 საუკუნეში ცხოვრობენ. ლევან ასათიანმა გაარკვია, რომ „ილიას ძველები თავად ოტია ჭავჭავაძის შთამომავალნი ყოფილან. ამ ოტიასაგან წარმომავალ მეხუთე მუხლში ჩაწერილნი არიან ძმები: პაატა და ბეზპას ჭავჭავაძენი. ბეზპასის ერთ-ერთი შვილიც პაატას სახელს ატარებდა".** სწორედ ამ ბესპაზის შვილია ილიას პაპა პაატა ჭავჭავაძე, რომელსაც ხუთი ვაჟიშვილი ჰყოლია: სვიმონი, ალექსანდრე, გრიგოლი (ილიას მამა), გარსევანი და იოსები.*** მათ შესახებ ქვევით გვექნება საუბარი. გრიგოლს ჰყავდა ექვსი შვილი: ორი ქალი — ნინო, ელისაბედი და ოთხი ვაჟი — კონსტანტინე, ილია, თეიმურაზი, სვიმონი. ჭავჭავაძეთა ეს შტო, როგორც ალვნიშნეთ, გაცილებით ძველია, ვიდრე გარსევან და ალექსანდრე ჭავჭავაძეებისა, რომლებიც უფრო შეძლებულნი იყვნენ.

ზემოთმოყვანილი ილია ჭავჭავაძის გენეალოგიური შტო, როგორც გიორგი ლეონიძე შენიშნავს, დაფუძნებულია „...ტფილისის თავ.-აზნ. სადეპუტ. საკრებულოს არქივიდან ამოღებულ გვარტომობის იმ ორ საბუთზე, რომელიც № 3 რვეულშია დაცული (პირველი. დიმიტრი და სოლომონ ჭავჭავაძეებისა, შედგენილი 1828 წ. პირი 1865 წ. 14 ივნისისა, იხ. რვ. № 2, გვ. 63; მეორე — შედგენილი კონსტ. აფხაზის მიერ)".****

სამწუხაროდ, ლეონიძის ცნობებში ვერ ვხედავთ იასონ ჭავჭავაძეს, რომელიც უკვე მე-16 საუკუნეში გამოჩენილი პირია კახეთის მეფის ალექსანდრეს კარზე. მას უკავია სახლთუხუცესის თანამდებობა და ყველაზე კრიტიკულ დროს მეფის პირდაპირ დავალებას ასრულებს საგარეო ურთიერთობის დარგში. საკმარისია გავიხსენოთ 1596—1597 წლის მრისხანე ამბები, როცა კახეთის იმდროინდელი პოლიტიკით განრისხებულმა შაჰ-აბასმა, ერთგულების დასამტკიცებლად და ნათესაობის დასამყარებლად, ალექსანდრეს მოსთხოვა — შენი ქალიშვილი ცოლად შემრთეო. მდგომარეობა დაძაბული იყო: შაჰ-აბასის უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ალექსანდრემ მტკიცედ აიღო ორიენტაცია რუსეთზე. 1587 წლის 28 სექტემბერს კახეთის მეფემ ფიცი მისცა „სრულიად რუსეთის დიდ ხელმწიფეს და დიდ თავადს თედორე ივანეს-ძეს". ფიცის წიგნში ნათქვამი იყო: «...я, Александръ начальникъ князь Иверские земли, и з детми своими Ираклием и Давидом и Георгием (ალექსანდრეს მეოთხე ვაჟი, გადაგვარებული კონსტანტინე

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 546 — 575.

** ლევან ასათიანი, რჩეული ნაწერები, 1958 წ., ტ. I, გვ. 226.

*** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 550.

**** გ. ლეონიძე. მასალები ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა", წიგნი I, 1935 წ., გვ. 547. ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

შვიდი წლის ასაკიდან სპარსეთის კარზე იყო და ამიტომ აქ მისი მოხსენიება არ შეიძლებოდა — გ. ჯ.). и с своими сановными людьми Иясономъ и Горжаспомъ и Шермазаномъ и Заломъ и Давитомъ и Аидерманомъ...»* და ა. შ. ეს იასონი, რომელიც მეფის დიდებულთა შორის პირველი იხსენიება, არის ჭავჭავაძე, იღიას შორეული წინაპარი. პირველად მისი მოხსენიება აშკარად მოწმობს, რომ იასონ ჭავჭავაძე მეფის დიდებულთაგან ყველაზე უფრო დაახლოებული და ყველაზე დიდი თანამდებობის პირი ყოფილა. შემდგომი დროის ამბები ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებენ.

ალექსანდრეს პოლიტიკით უკმაყოფილო შაჰმა 1596 წელს საქართველოში გამოგზავნა თავისი ელჩი ბირიბეი. ამ ელჩს დავალებული ჰქონდა ალექსანდრეს ქალიშვილი შაჰის ცოლად წაეყვანა. მაგრამ კახეთის მეფემ თავისი ქალი შაჰს არ მისცა, ცოლად შერთო თავად დადიანს და სპარსეთის მპყრობელის მიერ გამოგზავნილი „დიდძალი უნჯიც“ (საქონელი) სიძეს გადასცა. ბირიბეი უკან გაბრუნებულა და თან წაუღია ალექსანდრეს წერილი, რომელშიც კახეთის მეფე შაჰს ატყობინებდა: ვიდრე თქვენს სურვილს შევიტყობდი, ჩემი ქალი ადრე იყო დანიშნული თავად დადიანზე, და ამიტომ ნუ გამომრისხდებიო. შაჰისადმი თავისი პატივისცემის ნიშნად ალექსანდრეს ბირიბეისათვის გაუტანებია დიდძალი მოსაკითხი, მათ შორის აბრეშუმი, რაც ძალიან ძვირად ფასობდა და დეფიციტურ საქონლად ითვლებოდა.**

რაკი ბირიბეის მისია უშედეგოდ დამთავრდა, განრისხებულ შაჰს 1597 წელს ალექსანდრეს კარზე მოუვლინებია მეორე ელჩი — ველი-ხანი. სპარსეთის ახალ ელჩს ჩამოუტანია შაჰის მრისხანე წერილი ულტიმატუმით: თუ ალექსანდრე თავისი ნათესავებიდან საუკეთესო ქალიშვილს ცოლად არ გაუგზავნიდა მას, კახეთის წინააღმდეგ ომის ბრძანებას გასცემდა. ეს არ იყო მარტოოდენ სიტყვიერი მუქარა. პარალელურად შაჰს იმ ქალაქებში, რომლებიც კახეთთან ახლოს დაბურობილი ჰქონდა, დიდძალი ჯარით გამოუგზავნია თავისი ერთგული სარდალი ფერგათ-ხანი. ალექსანდრე იძულებული გამხდარა, განრისხებული შაჰის დასაწყნარებლად, ცოლისძმის შვილი — ამილახვრის ქალი სპარსეთის მბრძანებლისათვის ცოლად გაეგზავნა. თუ რამდენად საპასუხისმგებლო ყოფილა ეს საქმე, იქიდანაც ჩანს, რომ შაჰთან გამგზავრებულები თვით ალექსანდრე მეფეს 20 ვერსზე გაუცილებიათ, ხოლო საზღვრამდე ბატონიშვილებს — დავითსა და იურის (გიორგის). ეს უკანასკნელი იყო ალექსანდრეს ერთადერთი უერთგულესი შვილი, რომელიც მამასთან ერთად მოჰკლა გაშხეცებულმა ძმამ — კონსტანტინე-მირზამ 1605 წლის 12 მარტს.

ვის მიანდო ალექსანდრე მეფემ ამ კრიტიკულ მომენტში ასე რთული მი-

---

* С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. 32, ხაზი ჩვენია—გ. ჯ. იხ. აგრეთვე: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, უმთავრესად ბელოკუროვისა და ვესელოვსკის შრომათა მიხედვით დამუშავებული ნ. პურცხვანიშვილის მიერ, 1944 წ., ნაკვეთი I, გვ. 21.

** იქვე, გვ. 73.

სიის შესრულება? თავის სახლთუხუცესს თავად იასონ ჭავჭავაძეს, რომელსაც დიდი დიპლომატიური გამოცდილება ჰქონია: «...Александръ царь посылает к шаху девку племянницу жены своей родную, і посла своего царь посылает Есония князя».*

იასონ ჭავჭავაძეს დაკისრებული მოვალეობა წარმატებით შეუსრულებია, შაჰი მეტად კმაყოფილი დარჩენილა (ამით კახეთი იმ მომენტში ომს გადაურჩა, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ მძვინვარე შაჰ-აბასმა იგი ენით აუწერელი სასტიკით აოხრა). იასონ ჭავჭავაძე უკან დაბრუნებულა დიდძალი საჩუქრებით.** ეს ფაქტი დადასტურებულია სხვა დოკუმენტებითაც. ნ. ი. ვესელოვსკის რედაქციით გამოცემულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ იმავე 1597 წლის 14 ოქტომბერს «...пришел къ шахъ Аббасу въ Казбинъ городъ посолъ отъ грузинского царя Александра, а привезъ къ шаху девку, сказываютъ, грузинского царя свячина, лет пятнадцать, а рожаемъ де она непомерно красна; а съ нею пріехалъ царевичъ дядя ей молодецъ добре добръ летъ тринадцать, брата его дочь. А встречалъ ее Меркуня бекъ съ великою честію со многими людьми. Да тотчасъ Меркуня бекъ гонца послалъ о томъ деле къ шаху. И шахъ Аббасъ прислалъ въ Казбинъ золота и каменья, жемчужу и мастеровъ отъ себя, а велелъ делати оружіе, чемъ царевича пожаловати; а корму велелъ грузинскому царевичю и послу давати по 4 тюмени на день, противъ русскихъ денегъ двадцати осьми рублев. А девку Меркуня бекъ взялъ на шаховъ дворъ».*** ამავე დოკუმენტში აგრეთვე დადასტურებულია ის ფაქტი, რომ შაჰ-აბასს საქართველოს დელეგაცია არამარტო დიდი პატივით მიუღია, არამედ, დიდ პატივშიაც ჰყოლია. «А какъ взошли на кручъ,—ვკითხულობთ ხსენებულ დოკუმენტში,— и на кручу сидитъ грузинскій царевичъ да посолъ, которые пріехали отъ грузинского царя съ девкою а подле ихъ сидитъ шаховъ дьякъ Максютъ бекъ... И после того пришелъ бухарского царя Абдуллы посолъ и посадили его ниже грузинского посла и царевича».****

როგორც ვხედავთ, ჭავჭავაძიანთ გვარს შორეული წარსულიდანვე მნიშვნელოვანი როლი შეუსრულებია საქართველოს ისტორიაში. მე-15 საუკუნიდან ისინი იხსენიებიან საისტორიო წყაროებში, ძალიან ხშირად მეფის გვერდით დგანან და სამშობლოს მტრებს მამაცურად ებრძვიან. მეტად მნიშვნელოვანია ცნობები, რომლებიც პავლე ინგოროყვას მოჰყავს ჭავჭავაძიანთ შორეულ წინაპრებზე — თეიმურაზ პირველის თანამშრომელ გარსევან გულბათის-ძე ჭავჭავაძისა („იმ ტოლი კაცი იმ დროსა (მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი — გ. ჯ.). მე აღარ მყვანდა მისთანაო", — თქვამს თეიმურაზ პირველს) და კახეთის მეფეების — კონსტანტინე პირველისა და თეიმურაზ მეორის დროინდელ ჭავჭავაძეთა შესახებ. „მამა-პაპანი

---

* С. А. Белокуров, Сношения России с Кавказом, გვ. 311. ხაზი ჩვენია—გ. ჯ.
„მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაწ. I, გვ. 78-79.

** იქვე.

*** «Памятники дипломатическихъ и торговыхъ сношений Московской Руси съ Персией», под редакцией Н. И. Веселовского, т. I, 1890 г., стр. 437. შემდეგ ამ სამტომიან გამოცემას ასე მოვიხსენიებთ: Н. И. Веселовский, «Памятники...».

**** იქვე, გვ. 440—441.

თქვენნიო, — წერს ჭავჭავაძეთა შესახებ კონსტანტინე I — „ერთგულებასა. სამსახურსა შინა აღსრულებულ იყვნეს, რამეთუ მრავალნი შრომანი და ჭირნი თავს ესხნეს; და მრავალჯერ ექსორია ქმნილიყვნეს უცხოთა ადგილთა და ქვეყანათა კურთხეულთა მათ — მამათა და პაპათა ჩვენთა თანა. ხოლო აწ რომელნიცა დაშთომილ იყვნეთ — შვილნი მათნი, უფროსნი მსახურებანი აღასრულენით, რამეთუ არა ჰრიდეთ ხორცთა თქვენთა სიკვდილად...“*

საინტერესოა კიდევ ერთი ცნობა. არჩილის პოემა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გადმოგვცემს ეპიზოდს, რომელსაც ეწოდება „აქა ოხიაყორჩის დავით ასლანის შვილისა და გარსევან ჭავჭავაძის, გულბათის შვილის, ანანურით სათოფეთ წასვლა და ლეკების დახდომა“.** არჩილი თეიმურაზს (პირველს) აამბობინებს შემდეგ ამბავს: ანანურიდან სანადიროდ გამგზავრებულან გარსევან გულბათის-ძე ჭავჭავაძე და მამუკა. ორივენი კარგი ვაჟკაცები ყოფილან, მაგრამ „მამუკა უმჯობე“, როგორც თეიმურაზი ამბობს. როცა სანადირო ადგილისათვის მიუღწევიათ, იქ ჩასაფრებული ყოფილან ლეკები. ერთი მათგანი სათვალთვალო ხეზე ჰყოლიათ, რაც მამუკასა და გარსევანს უმალ შეუმჩნევიათ:

„ლეკი ნახეს ხეზედ მყოფი, მისმა ნახვამ გააცინა,
ერთმანერთსა დაჰპატიჟეს სროლა მისი, სისხლთა მდინა.
ჰგავს გარსევანს უსროლია, მგონი, კიდეც დაეცდინა:
რად ვერ მიხედენ სხვათაც ყოფნას, კარგნი კაცნი რამ აცდინა?“***

თოფის ხმაზე გამოცვენილან ჩასაფრებული ლეკები, გარსევანს ფეხი წასცდენია, დაცემულა, ტყვედ ჩავარდნილა. ხოლო მამუკას ჭკუა უხმარია: თოფი აღარ უსვრია, ვინაიდან ვერაფერს გააწყობდა, პირიქით, მეგობარსაც დაღუპავდა და თავის თავსაც:

„მამუკასაც თუ ესროლა, მოეკლამცა მას ერთიცა,
მასც მოჰკლავდენ უსაცილოდ, ჩაიელიდა იმათიცა,
კაცმან უნდა იმ დღეს ჭკუა მოიხმაროს და ღმერთიცა.
მოსულიყო სადგომს, ეთქვა დიდი რამე მას ფიცია“.****

როგორც ჩანს, მამუკას განუზრახავს შინ დაბრუნებულიყო, შეეკრიბა მებრძოლები, დადევნებოდა გარსევანის გამტაცებლებს და მეგობარი ტყვეობიდან გამოეხსნა. ეს განზრახვა მას მართლაც შეუსრულებია, გაღმა სოფლებში გასულა, ვინც უპოვია, ყველა თან გაუყოლებია, რათა გაეთავისუფლებინა თავისი შებრძოლი მეგობარი, რომლის შესახებაც თვით თეიმურაზი ამბობს: „იმ ტოლი კაცი იმ დროსა მე აღარ მყვანდა მისთანაო“.***** მამუკას თავისი ჭკუით, ძა-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ., პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, გვ. IX.

** არჩილიანი, ტ. II, აღ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1937 წ., გვ. 86.

*** იქვე.

**** იქვე.

***** იქვე, გვ. 87. არჩილის თხზულებაში აღწერილ ეპიზოდს ეხება აგრეთვე ლევან ასათიანი: იხ. მისი „რჩეული ნაწერები“, ტ. I, 1958 წ., გვ. 222 — 223.

ლითა და მოხერხებით მიზნისათვის მიუღწევია. არჩილი ასე ამთავრებინებს თეიმურაზ პირველს გარსევან ჭავჭავაძისა და მამუკას თავგადასავალს:

„ლაგოდახად წაეწივნენ. გარსევან პყავთ ხელშეკრული,
ნახა წინამ ამხანაგმა, აუფეთქდა მწოვედ გული.
მამუკამ თქვა: „არ შესძახოთ, დაიღევით ასე სული,
თორემ იმას იქავ მოჰკლვენ, მეც დავრჩები დაკარგული“.
შეეპარნენ ტყის ბედითა, რა მოვიდენ, შეუზახა.
თვითან მივა ყველას წინა, სხვა არავინ წაუძახა.
ხმლით დახოცა მან ლეკები, აღარც სულთქენა, აღარც ახა,
გარსევანც ლეკი შეიპყრა, რა ესენი დაინახა.
ზოგთა თქვეს, თუ: ესე საქმე მამუკამა ვერ ქნა კარგა,
განა თუ არ მოსწეოდა, მას უკან რადღა ევარგა.
შენ რას იტყვი*, მე კი მამწონს, ჩემწინ იმან კარგა დარგა.
კაი საქმე წახდებოდა, თუ ლეკთ აქ არ დაებარგა“.**

გარსევან გულბაათის-ძე ჭავჭავაძისა და მამუკა ჭავჭავაძის ბრძოლა თავდამსხმელ ლეკთა წინააღმდეგ ცნობილია ხალხური წყაროებითაც. ჭავჭავაძენი შორეული წარსულიდანვე ძალიან ხშირად გვევლინებიან სამშობლოს გულად დამცველებად და განათლებულ პირებად.

თუ ასე გამოიჩინეს თავი შორეულმა წინაპრებმა, ილია ჭავჭავაძის უფრო ახლო ნათესავთაგან საინტერესო პიროვნება ჩანს პოეტის პაპა—პაატა ბესპაზის-ძე ჭავჭავაძე. იგი ერეკლე მეორისა და საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII დროს უკვე გამოჩენილი პირი ყოფილა. პირველს — ბესპაზის ძმის — პაატასათვის 1796 წელს უბოძებია სიგელი, ხოლო მეორეს — ბესპაზის შვილის — პაატასათვის სიგელი „ხუთასისთავობის“ მინიჭებისა. ამიტომ, ნაკლებ დამაჯერებელია პაატა ჭავჭავაძის — ბესპაზის ძმის — პიროვნების, მისი სამხედრო ნიჭის შესახებ პლატონ იოსელიანის შემდეგი ცნობა: 1788 წელს პაატას „...მიანდო მეფემან ირაკლი გამოყვანა 900 ლეკისა და სარდლობაცა იმერეთისაკენ, მუნ მისრულთა ლეკთა შესაწევნელად ქართველთა ჯარისა, ოდეს დასვეს მეფედ სოლომონ. ლეკთა აღაოხრეს იმერეთი, დაიტაცეს ეკკლესიათა სამკაულნი და ბარძიმ-ფეშხუმი ჰქმნეს ჴურჭელად ჭრაქისა ასანთობელად. ესე იწყინეს იმერთა და დიდად ემდურვოდეს მისსა სარდლობასა. იტყვიან დღემდე იმერელთა თფილისისა აღებისა დღესა სპარსთაგან, მაგიერი გარდუხადეს ქართველთაო: ე. ი. გაცარცვეს თფილისიო“.*** პლატონ იოსელიანის ამ ცნობას უფრო ტენდენციური ხასიათი აქვს, ვიდრე ისტორიული ჭეშმარიტების აღდგენისა, ლეკების გამოკლებით. ბევრი ცნობა მას გადმოცემული აქვს პეტერბურგში მცხოვრები ბატონიშვილების ნაამბობის მიხედვით, ხოლო ეს უკანასკნელები რომ ხშირ შემთხვევაში, თავიანთი მდგომარეობის გამო, მოკლებულნი იყვნენ ობიექტურობის გრძნობას, სრუ-

* გაბაასებაა და თეიმურაზი რუსთაველს ეკითხება: შენი აზრი როგორია, მე კი მომწონს, რომ მამუკამ ასეთი მოხერხება გამოიჩინაო.

** არჩილიანი, ტ. II, გვ. 87.

*** პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936 წ., გვ. 263.

ლიად უეჭველია. ისიც საყურადღებოა, რომ თვით ალექსანდრე ორბელიანს, ერეკლეს ქალიშვილის — თეკლეს შვილს, არ მოეწონა პლატონ იოსელიანის შრომა (ეს, რა თქმა უნდა, მეტად მკაცრი შეფასებაა), ეჭვი შეიტანა არა ერთ ფაქტში, რომელიც ავტორს „ზეპირად" გაუგონია".* უთუოდ ამიტომ იყო, რომ პლატონ იოსელიანმა სიცოცხლეში ვერ გამოაქვეყნა თავისი შრომა, მოერიდა ალექსანდრე ორბელიანის გარდა სხვა თანამედროვეთა კრიტიკასაც.

რაც შეეხება ბესპაზის შვილის — პაატას პიროვნებას, სრულიად უეჭველია, რომ მისი დამსახურება თავის დროზე სათანადოდ იყო აღნიშნული, როგორც ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. გარდა ამისა, საგულისხმოა შემდეგი ფაქტი: „1798 წელს, როდესაც გარდაიცვალა ღვაწლით მოსილი პატარა კახი... პაატა იყო ერეკლეს დამტირებელთა შორის; პაატას, ქართლ-კახეთის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ჩამოუსვენებია ერეკლეს ცხედარი თელავიდან — მცხეთაში"...** გარდა ამისა, მოგვეპოვება სხვა ცნობები, რომლებიც პაატას პიროვნებას კიდევ უფრო მეტ ნათელს ჰფენენ. როცა ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ტახტის მემკვიდრეობისათვის შინაური შფოთი ატყდა ასე მრავალრიცხოვან ბატონიშვილთა შორის, რასაც ზედ დაერთო დედოფალ დარეჯანის ახირებული პრეტენზიები გამხდარიყო ქართველთა ეკატერინა,—„მე მინდა მეფობა, ვითარცა ეკატერინა იყო დედოფლად რუსეთში"***, პაატა გონივრულად იქცევა, საქართველოს ახალი კანონიერი მეფის, ერეკლეს უფროსი ვაჟის გიორგის ერთგული რჩება. ამ ფაქტს გვიდასტურებს პლატონ იოსელიანი, რომელიც თბილისში ჩამოსული ახალი მეფისადმი ფიცმიცემულ პირთა შორის პაატა ჭავჭავაძესაც ასახელებს. „დიდად ერთგულად შერჩნენ მეფესა, — წერს პლატონ იოსელიანი, — იოანე ჯანდიერიშვილი... შემდეგ მისსა იყვნენ ერთგულადვე და თავგამოდებულად პაატა ჭავჭავაძე და სვიმონ ჯანდიერიშვილი..."**** თუ ამის გამო დედოფალი დარეჯანი უსაყვედურებდა, პაატასაც შეეძლო ეთქვა იოანიკე ბერძენის მსგავსად: „ერთგული მეფისა ირაკლისა, ჩემისა მწყალობელისა, ვარ ერთგული პირმშოჲსა მისისა შვილისა".***** თან დაემატებინა, როგორც იოანიკე ბერძენმა უთხრა დარეჯანს: „ბატონო დედოფალო, ნუ ამღვრევთ მეფობასა, მოგახსენებთ ერთგულობით"...****** ასეთი ერთგული ჩანს თავისი ქვეყნისათვის ილიას გამოჩენილი წინაპარი, განსაცდელის ჟამს ყოველთვის თავისი მოვალეობის სწორად გამგები და შემსრულებელი, გონიერი და მამაცი პატრიოტი.

ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება: „ყაზახის თათრების" მოურავი გარსევან ჭავჭავაძე და „ირაკლის ციხის" მოურავი იოსებ ჭავ-

---

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი გაწერელიას შესავალი წერილით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1936 წ., გვ. XXXVIII, ა. გაწერელიას კომენტარი.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ., ტ. ინგოროყვას შესავალი წერილი, გვ. X. ტ. ინგოროყვას შეცდომით ჰგონია ილიას პაპა, ნამდვილად კი ეს ბესპაზის ძმა პაატა იყო.

*** პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 50.

**** იქვე, გვ. 157.

***** იქვე, გვ. 160.

****** იქვე.

ჭავჭავაძე მეფის კარზე ძალიან მიღებულ პირებად ჩანან. ეს ჭავჭავაძენი მოხსენიებულია პლატონ იოსელიანის წიგნში — „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“. ავტორისეულ დამატებით შენიშვნებში, იქ. სადაც ჩამოთვლილია „დროთა მეფობისა მისისა გვამნი, წარჩინებულნი, გვარშთამოებითა საქმითა, სიტყვითა, ცხოვრებითა...“ გვხვდება „იოსებ ჭავჭავაძე, ნაზირი მეფისა“.* მის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ჩვენ არა გვაქვს. ვიცით მხოლოდ, რომ იოსებ ჭავჭავაძე. ერეკლესა და გიორგის მეფობაში სახელგანთქმული კაცი, უკანასკნელი მეფის დროის ვეზირი, მოხსენიებულია აგრეთვე ერთ სიაში, რომელშიც ჩამოთვლილია „მოხელენი მოურავად მეფისა გიორგისა დროსა“ ვინც ითვლებოდა. ამ დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ გარსევან ჭავჭავაძე „ყაზახის თათრების“ მოურავია, ხოლო იოსებ ჭავჭავაძე, მეფის ვეზირი, კახეთის მოურავთა რიცხვშია. მას აბარია „ირაკლის ციხის“** მოურავობა. ეს ძალიან საგულისხმო ფაქტია, ვინაიდან იოსები მოურავია არა რომელიმე სოფლისა. იქნება ეს მანავი, უჯარმა, ბოჭორმა თუ კალაური, არამედ „ირაკლის ციხისა“. ეს უნდა ყოფილიყო ის „ირაკლის ციხე“, რომელიც მოხსენიებული აქვს იოჰან გიულდენშტედტს თავის „მოგზაურობაში“. იქ ნათქვამია, რომ 21 თებერვალს, 1772 წელს, საღამოს 5 საათზე, ერეკლე მეფე 1000 მხედრის თანხლებით კახეთისაკენ გაემგზავრა. იმავე დღეს ამალა მივიდა სოფელ ხაჯთლუღში, რომელიც „მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირას, შესდგება დაახლოებით 50 სახლისაგან და, გარდა ამისა, აქაური ჩვეულების მიხედვით, ბევრი მიწურებისაგან (რუსულად „ზემლიანკა“). მოსახლეობა ქართველებია. ახლანდელმა მეფემ შემოარტყა ოთხკუთხა კედელი ადგილს, დიამეტრით 80 ნაბიჯი, და დაატანა მრგვალი კოშკი. ამიტომ მას დაარქვეს ერეკლეს ციხე“.*** სრულიად უეჭველია, რომ თბილისიდან 6 ვერსზე მდებარე „ერეკლეს ციხე“ სამხედრო ობიექტს წარმოადგენდა, რომელსაც დედაქალაქის დაცვაში განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა. მის მოურაობას, ცხადია, მეფე მიანდობდა უველაზე ერთგულ ადამიანს. თავისთავად იგულისხმება, რომ იოსები სამხედრო საქმის კარგი მცოდნე უნდა ყოფილიყო, რაკი ასეთ მოვალეობას ასრულებდა. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ ნიახურას ომში, სადაც რუსებისა და ქართველების შეერთებულმა ძალებმა სასტიკად დაამარცხეს ომარ-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლესა და დარეჯანის შვილი, ტახტის მაძიებელი) ჯარები, იოსებ ჭავჭავაძეს თავი გამოუჩენია ბრძოლაში უშუალო მონაწილეობითა და მსნეობით.**** ამით იოსებს გაუწევია დიდი ერთგულება საქართველოს უკანასკნელი მეფისადმი. გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, როცა ირაკლისა და დარეჯანის შვილი — იულონი თავის თავს მეფედ თვლიდა მამის ერთ-ერთი ანდერძის თანახმად, ხოლო გიორგის ძე — დავით ბატონიშვილი, საქართველოს მეფობის გამგედ (რეგენტად) დანიშნული. ყოველდღე მოელოდა

---

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 269.

** იქვე, გვ. 272.

*** გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, 1962 წ., ტ. I, გვ. 17.

**** პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 275.

რუსეთიდან მეფედ დამტკიცებას, იოსებ ჭავჭავაძე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა. სამეფო ტახტისათვის 1801 წელს ბატონიშვილთა ორი შტოს — ირაკლისა და გიორგის შვილების საშინელი აშლილობა, რასაც თან ერთვოდა დარეჯან დედოფლის დამღუპველი კაპრიზები, იოსებ ჭავჭავაძესაც უბედურებად თავს დასტებია. იგი დაუპატიმრებიათ დავით ბატონიშვილის ბრძანებით სხვა კახელ დიდებულებთან ერთად. ამ ფაქტს პლატონ იოსელიანი ასე გადმოგვცემს: დარეჯან დედოფლის მოწოდებით, რომელიც ამ დროს თავისი შვილის — იულონის გამეფებას მოითხოვდა, „...აშფოთდა კახეთი, გადვიდნენ იულონისაკენ ბოდბელი იოანე და დიდნი თავადნი. ესენი ითხოვდნენ რუსთა ღუნერლისაგან იმპერატორისა უფლებისა ქვეშე მეფესა და მოსწერესცა წერილი, რათა უმეტეს 1000 წლისა ჰყოლიათ მეფე ბაგრატიონთა გვარისა, რომელთაცა მათთან ერთად იყვნენ ქვეყანისათვის თავდადებულნი, წმინდანი და მოწამენი და რათა არ მოელისთ მათ მეფე... განმგემან მეფობისა, მიწერითა კათოლიკოსისადმი, ჩამოართვა მღვდელმთავრობა ამბროსი ნეკრესელსა და სტუქსა ნიკოლოზ ხარუაშნელი. მასვე დროსა შეიპყრეს და მისცეს პყრობილებას ოთარ ამილახვარი, ვითარცა მოურავი გორისა და ივანე ამილახვარი, არქიმანდრიტი ბარსანოფე ავალიშვილი, ნათლისმცემლისა უდაბნოსა შინა მყოფი, ელევთერი მღვდელი, იოსებ ჭავჭავაძე და თვით დავით ალექსიშვილი. რექტორი თელავის სემინარიისა".*

პლატონ იოსელიანი აქ განზრახ არ იხსენიებს იმ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს, რასაც შემდეგ უბრუნდება- ეს არის ირაკლი მეფის ყოფილი კანცლერის, საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებული მებრძოლისა და ბატონიშვილების აშლილობის სასტიკი მოწინააღმდეგის — სოლომონ ლიონიძის დაპატიმრება იმავე დავით ბატონიშვილის ბრძანებით. „მეფის ძე და მემკვიდრე დავით, ვითარცა რეგენტი ანუ განმგე საქართველოჲსა ელოდა წერილთა თვისთა მიწერილთა იმპერატორისადმი პავლესა. პასუხთა (დავითს ორი წერილი მიუწერია იმპერატორ პავლესადმი: პირველი, 1800 წლის 24 დეკემბერს (მაშის — გიორგი მეფის გარდაცვალებამდე ოთხი დღით ადრე, როცა საბოლოოდ დაიწურა იმედი ავადმყოფის მობრუნებისა), და 28 დეკემბერს (გიორგი მეფის გარდაცვალების დღეს). ამ თარიღებს თვით იმპერატორი პავლე იხსენიებს თავის მეორე რესკრიპტში დავით ბატონიშვილისადმი, 1801 წლის 18 იანვრის თარიღით — გ. ჯ.). შესული, რეცა სრულსა განმგეობითსა ძალსა, იქმოდა სამართალსა, მიიღებდა მოჩივართა და უძღვიდა სამეფოსა. განრისხებულმან ვიეთთამე გვამთა ზედა ვითამცა ურჩთა, ბრძანა და მისცა საპყრობილესა სარდალი ოთარ ამილახვარი და სხვანიცა. ამათ შორის იყო თვით უუგონიერესი სოლომონ ლიონიძე. ესე თვით საპყრობილესაცა შინა არა დასცხრებოდა სიტყვითა და თქმითა გლოვითითა: „დავითმან დაღუპა ოჯახი მეფეთა, გამოსპრა ყელი მეფობასა და დაამცირა ერი თვისი და თვით თავი თვისი". დასადუმებელად მწარედ მოუბარისა ენისა ამის ურჩიევეს მემკვიდრესა დავითს, მისცეს მას შემთხვევა ლტოლვისა საპყრობილედამ. მაშინ მიუჩინეს იდუმალ კაცნი და აღუთქვეს გააპარონ იგი იმერეთსა. ეთანხმა სოლომონ ლიონიძე, გამოვიდა

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 221-222, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

იდუმალ ციხიდამ და წარვიდა ქუთაისს და შეეხიზნა იმერეთისა მეფესა სოლომონს... ვუწოდებ მას (ე. ი. სოლომონ ლიონიძეს — გ. ჯ.) პატიოსნებისა გამო მაღალისა დროთა ამათ, ფაბრიციოდ ქართველთა (იგულისხმება მესამე საუკუნის რომაელ სარდალ ფაბრიციოსის პატიოსნება, ვაჟკაცობა, სამშობლოსადმი სიყვარული — გ. ჯ.); და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა ნამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად"* (აქ პლატონ იოსელიანი უთუოდ გულისხმობს კატონ მცირეს (96—46 წლები ჩვენს ერამდე), რომელიც ებრძოდა რომის პირველ ტრიუმვირატს, სამოქალაქო ომის დროს პომპეუსს მიემხრო, ხოლო, როცა პომპეუსის მომდევრები დამარცხდნენ და ცეზარმა 46 წელს დიდი გამარჯვება მოიპოვა, აფრიკაში გადახვეწილმა კატონმა თავი მოიკლა. პატიოსნებით, სამშობლოსადმი სიყვარულითა და პოლიტიკური ბედით სოლომონ ლიონიძე მართლაც წააგავს ამ კატონ მცირეს — გ. ჯ.).

ასეთ ისტორიულ ქარტეხილებში, სამშობლოს მამაც შვილებთან ერთად არის იოსებ ჭავჭავაძე, ილიას ახლო წინაპარი, მაგრამ ამჯერად ისევ ბესაპაზის შვილს — პაატას, ილიას პაპას მივუბრუნდეთ.

ეტყობა. პაატას ვაჟიშვილებიც მამის გზას გაჰყოლიან. ხუთიდან ოთხი სამხედრო სამსახურში შესულა, როგორც ეს ჩანს თბილისის სამხედრო გუბერნატორის შუამდგომლობიდან ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი გრიგოლ პაატას-ძე ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო მისი ობლების — ილიასა და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სასწავლებელში მიღების შესახებ. ხსენებულ შუამდგომლობაში ნათქვამია, რომ გრიგოლ პაატას-ძე ჭავჭავაძის სამი უფროსი ძმა მტერთან ბრძოლაში დაეცა. „...ყოფილი ქართული გრენადერთა პოლკის პორუჩიკი სიმონი, კავკასიის მესანგრეთა ბატალიონის შტაბს-კაპიტანი გარსევანი და პრაპორშჩიკი ალექსანდრე თავადნი ჭავჭავაძენი მსხვერპლად დაეცნენ სამხედრო საქმეებში მტრის ტყვიით: პირველი — სიმონი, 1827 წელს სპარსეთთან ომში, როცა ის ასეულით დევნიდა სპარსელებს ერთი მთავარი მაღლობიდან, რომელიც შეუპოვრად ჰქონდათ სპარსელებს დაკავებული, მეორე — გარსევანი — დაღესტანში... მესამე კი ალექსანდრე — დაღესტანში, გენ. ფეზის რაზმში".**

ძმების ამ მძიმე ხვედრმა აიძულა გრიგოლ ჭავჭავაძე სამხედრო სამსახურისათვის თავი მიენებებინა და ყვარელში დაბრუნებულიყო, რათა ოჯახის აწეწილი საქმეები მოეგვარებინა.

ახლა გავიხსენოთ ზოგიერთი რამ ილია ჭავჭავაძის წინაპართა ცხოვრებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას წინაპრები დიდი ხნიდან თავადები იყვნენ, 1820 წელს პოეტის პაპა იძულებული ხდება შემდეგი თხოვნა შეიტანოს მელიქსედექ იოსების-ძე ჭავჭავაძესთან ერთად:

«Так как предки наши издревле имели княжеское достоинство, от которых также мы происходим, то дабы известно было оному Дворянскому собранию, честь имеем при сем представить две грамоты грузинских царей: 1-ую Ираклия, 1796, пожалованную предкам нашим на

---

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 229—230, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 168.

имения и крестьян; 2-ую — последнего Георгия на чин из нас Паате, хутасистаоба, в которой упоминается наше княжество, равно свидетельство от 12 благородных особ, что наша фамилия в числе протчих князей показана в трактате, заключенном Росийским императорским двором, с царем Ираклием в 1783 году, с посемейным списком и родословною. Покорнейше просим внесть род наш в дворянскую родословную книгу и выдать в свое время грамоту, доложив при этом, что древние наши грамоты на достоинство и имения утеряны еще предками во время нахождения Грузии под игом персидских и турецких владетелей».*

რატომ დასჭირდა პაატა ჭავჭავაძეს თხოვნა დაეწერა საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოსადმი, რომ მისი გვარი თავადაზნაურთა საგვარტომო ნუსხაში შეეტანათ? ჭავჭავაძენი ხომ ძველთაგანვე თავადიშვილები იყვნენ?

ეს საკმაოდ რთული, თან ისტორიულად საინტერესო ფაქტია და უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

პლატონ იოსელიანი გვიმოგვცემს, რომ ჯერ კიდევ მეფე ერეკლე II დროს, 1787 წელს, წამოჭრილა საკითხი განახლებულიყო დაძველებული „გრამატები“, რისთვისაც კათალიკოს ანტონ II, მეფის შვილს, ტრიფილე არქიმანდრიტს, მწიგნობარ ისაკს, სოლომონ დეკანოზს და მის მამას ალექსის გარკვეული მუშაობა ჩაუტარებიათ. „ძველნი და დროთაგან გამქრალისა მელნითა ნაწერნი და ძნელად წარსაკითხნი შეწირულობათა ყმისა და მამულისა გუჯარნი, წარიკითხეს და გარდაწერეს კერძო წიგნად ხუცურად, უმეტნაკლებოდ და გარკვევით. კათოლიკოსმან ანტონი მიართვა ესე მამასა თვისსა და სთხოვა ინებოს და განსაახლებელად დაძველებულთა ასვას თვითეულსა სამეფო თვისი ბეჭედი. მეფემან ირაკლი, განმხილველმან წიგნისა ამისა, არა ინება დამტკიცება მათი ბეჭდითა თვისითა; მრავალი მათთაგანთა გუჯრებთა ყმანი და მამულნი დროთი დროთ ანუ იყვნენ სხვათადმი გარდაცემულნი, ანუ სრულიად დაკარგულნი და სხვათა მფლობელობაში შესულნი, ხოლო სხვანი საიქონი და სადღოდ მისაღებელნი. დასაცხრომელად კათოლიკოსისა თხოვათა, ბრძანა სახალხოდ და ყოველთათვის გასაგონად: „როგორც ყორანსა არ დავამტკიცებ, ისე ამათ ბეჭედსა ჩემსა არ დაუსვამ“. ესრეთ დაშთა მიუღებელად და შეუწყნარებელად წიგნი ესე, რომელსაცა უწოდეს სახელად და დღესაც ეწოდების: „რაორტაგი“. კათოლიკოსმან ანტონი განუმეორა თხოვნა ესე მეფესა გიორგის ძმასა თვისსა. მეფემან უბრძანა დაუტევოს მას წიგნი იგი წარსაკითხავად. მამაჩემი ეგნატი, მიწოდებული მეფისაგან, სამსა დღესა უკითხავდა მას და დიდის ყურადღებითა მოისმენდა ძველთა წერილთა. 300-მდე მათგანი წარუკითხა მეფეს და ბრძანა: „მიერთოს ბატონს კათოლიკოსსა და მოხსენდეს, რომ კურთხეულისა მამისა ჩემისა სწორესა ჰაზრსა ამა წიგნზედ მე ვერ შევსცვლი და ნურცა ეწყინება, რომ ბეჭედს ჩემსა ვერ იხილვენ წიგნისა ამისა მუხლნი“... ესრეთ დაბოლოვდა მეცადინება კეთილი თავით თვისით კათოლიკოსისა, შეკრებისათვის ერთად გრამატათა და გუჯართა, გარნა უაზრო და სავნოდ მართლად დავათა გამო, რომელნიცა აღდგებოდენ, უკეთუ დამტკიცდებოდა წიგნი ესე“.**

---

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 161, ა. იოვიძის პუბლიკაციით.

** პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 85.

მაგრამ დავა და არევ-დარევა შემდეგ მოხდა, როცა პრაქტიკულად დაისვა წოდების დამამტკიცებელი დოკუმენტების საკითხი.

როგორც ცნობილია, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად რუსეთის თავადაზნაურობას გაუთანასწორეს. ამიტომ იყო, რომ ტრაქტატს დამატებებში დართული ჰქონდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა სია,* რაც საკმარისად უნდა მიეჩნიათ გვარტომობის დასადასტურებლად. მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ეს მომენტი მივიწყებულ იქნა და რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ მეფის მოხელეებმა ქართველ თავად-აზნაურებს მოსთხოვეს წერილობითი დოკუმენტები თავიანთი „ღირსების“ უფლებათა აღიარებისათვის. გაჩნდა საქმე, რომელმაც მთელი აპარატი მოითხოვა, ხოლო ბევრი თავადი და აზნაური, ვისაც საბუთები არ გააჩნდა (საუკუნეების მანძილზე დაეკარგა, გაუნადგურდა და სხვ.), დილემის წინაშე აღმოჩნდა. „საქმის“ საწარმოებლად 1818 წელს (თარიღი საეჭვოდ მიაჩნია დ ი მ ი ტ რ ი უ ყ ი ფ ი ა ნ ს, რომელმაც თავის „მემუარებში“ ეს საკითხი შედარებით ფართოდ გააშუქა) დაუარსებიათ თავადაზნაურთა სადეპუტატო საკრებულო. „მაგრამ საყურადღებო ის კი არ არის, —წერს დიმიტრი ყიფიანი, —თუ როდის დაწესეს, არამედ ისა, რომ იმას უნდა ემოქმედნა შიდა რუსეთში არსებული საერთო წესების ზედმიწევნით დაცვით. ხოლო ამ წესებით აღიარება ჩამომავლობისა ტიტულიანი და უტიტულო აზნაურობის ღირსებით შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ უწინდელი დროის აქტების მიხედვით, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ეს ღირსება უეჭველად ეკუთვნოდა ამა თუ იმ ჩამომავლობას, ხოლო ვინ ეკუთვნოდა ამ ჩამომავლობას, ამის დამტკიცება შეეძლოთ მეტრიკული მოწმობებით“.** ეს წესი, როგორც დ ი მ ი ტ რ ი უ ყ ი ფ ი ა ნ ი აღნიშნავს, შეუფერებელი იყო საქართველოსათვის ორი მოტივით: 1) ისეთ პატარა სამეფოში, როგორიც საქართველოა, დინასტიურ მეფეს „არ შეეძლო პირადად არ სცნობოდა თავისი თავად-აზნაურობა“; 2) გარდა ამისა, ქართლ-კახეთის თავადაზნაურობის „ყველა ჩამომავალნი ცნობილნი იყვნენ ისეთი აქტით, როგორიც არის ტრაქტატი“.*** მაგრამ, ყოველივე ეს, განსაკუთრებით ტრაქტატის ძალა ამ საქმეში, მივიწყებულ იქნა და „საქართველოს თავადაზნაურობ ავტორიტეტულად განუმარტეს, რომ პეტერბურგში სენატის გეროლდის წინაშე ვინც ვერ დაამტკიცებდა სადეპუტატო საკრებულოს მეშვეობით თავის თავადობის ან აზნაურობის ღირსების უფლებას, ის მოხარკე წოდებაში იქნება გადარიცხულიო“.****

ასეთი ვითარება ბუნებრივად გამოიწვევდა იმას, რაც ნამდვილად მოხდა: თავადებმა და აზნაურებმა თავიანთი შთამომავლობის დასამტკიცებლად „...ათშუაკეს ყოველი ღონისძიება: თუ თხოვნები, თუ ფული, რაც კი გააჩნდათ, თუ ძველებური ოქრო-ვერცხლის სამკაული ოჯახისა, ოღონდ კი როგორმე მიეღოთ წერილობითი საბუთი; გამოამზევეს გაყვითლებული დოკუმენტები; განვითარდა მათი ფალსიფიკაციის დანაშაულობა“.***** ეს ფალსიფიკაცია იმდროინდელ ხელისუფლებას დიდხანს ვერ შეუმჩნევია. მხოლოდ 1830 წელს

---

* დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930 წ., სიმონ ხუნდაძის რედაქციით, შენიშვნებით და წინასიტყვაობით, გვ. 156. რედაქტორის შენიშვნები.

** დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930 წ., გვ. 29.

*** ი ქ ვ ე, გვ. 30.

**** ი ქ ვ ე, გვ. 30—31.

***** ი ქ ვ ე, გვ. 31.

დაუარსებიათ ყალბი დოკუმენტების გამომრკვევი კომისია, რომელსაც მთელი ათი წელიწადი უმუშავნია. მაგრამ არავის გაურკვევია ამ საქმის ძირითადი მიზეზი, არც აღრე, კომისიის დაარსებამდე, და არც მისი „მოღვაწეობის შედეგების საბოლოო განხილვის დროს“. საკითხის ამგვარ ზერელე გარჩევას შედეგად მოჰყოლია 1844 წელს გამოსული ბრძანებულება, რომელსაც ისეთი წესი შემოჰქონდა, რომ მართლა „... სპობდა ღრამატების ყალბად შედგენას შემდეგში, მაგრამ სრულიად შეუძლებლად ხდიდა თავადობის ან აზნაურობის ჩამომავლობის დამტკიცებას ისეთ გვარიშვილებისათვისაც კი, როგორიც არიან ერისთავები, ამილახვრები, აბაშიძეები, ანდრონიკოვები და მრავალი სხვები“.*

ასეთი ბრძანებულების გატარება პირდაპირ შეუძლებელი გამხდარა, ვინაიდან მისი მოთხოვნები მეტად მკაცრი ყოფილა, ისეთ დაბრკოლებებთან დაკავშირებული, რომ აბსოლუტური უმრავლესობა მონდომების პირობებშიც მიზანს ვერ მიაღწევდა. დიმიტრი ყიფიანს მოჰყავს ხსენებული ბრძანებულების შემდეგი მოთხოვნები შთამომავლობის უფლების მიღებისათვის:

„1. წარმოედგინათ ღრამატა თავადობის ან აზნაურობის ღირსების ბოძებისა.

2. სინამდვილე და უეჭველობა ამ ღრამატისა უნდა დამტკიცებულიყო მთავრობისათვის ცნობილ ორმოცდარვა თავადისა და აზნაურის მოწმობით, რომელიც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ფიცის ქვეშ თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს თანადასწრებით.

3. თუ ბოძებული ღრამატა თავადობაზე ან აზნაურობაზე დაკარგული იყო, უნდა წარმოედგინათ იმნაირადვე და იქვე, მაზრის ყველა თავად-აზნაურთაგან და ზოგს შემთხვევაში მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთაგანაც ჩვენება იმის შესახებ, რომ იმათ პირადად იციან, რომ იყო ესა და ეს ღრამატა, ამადაამ მეფისა ამადაამ პირზე ბოძებული და რომ ის დაიკარგა ამადაამდროს, ამადაამ შემთხვევის გამო და ყოველივე ეს ამრიგად უნდა გატარებულიყო თვითეულ გვარზე ცალცალკე“.**

თუ რა პირობებში მოხდა 1844 წლის ბრძანებულების გაუქმება, დიმიტრი ყიფიანი დაწვრილებით გადმოგვცემს, მაგრამ ჩვენ აქ არ შევეხებით. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ 1845 წელს, როცა მეფის მოადგილედ მიხეილ სემიონის ძე ვორონცოვი იყო, ჰკვიანი მოხელე დარწმუნებულა (თვით დიმიტრი ყიფიანის, რომელიც მაშინ მთავარმმართველობის კანცელარიის განყოფილების უფროსად მუშაობდა, ურყევი არგუმენტების წყალობით) ხსენებული ბრძანებულების უარზობაში, 1846 წელს იმპერატორ ნიკოლოზისათვის მიეცია ამ საკითხზე „მოხსენების პროექტი“, რასაც შედეგად მოჰყოლია 1844 წლის ბრძანებულების გაუქმება.***

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია, თუ რატომ დასჭირდა ილიას პაპას — პაატა ბესპაზის ძე ჭავჭავაძეს, მ ე ლ ი ქ ს ე დ ე ქ ი ო ს ე ბ ი ს ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს თ ა ნ ერთად, 1820 წლის 27 ნოემბერს თხოვნით მიემართა საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოსადმი.

მაგრამ, ეტყობა, საჭირო ხდებოდა თავადობის წოდებაში ოჯახის ყოველი

---

* დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930 წ., გვ. 31, ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 31—32.

*** იქვე, გვ. 33—34.

ახალი წყების დაფორმება ამას გვიდასტურებს 1841 წლის 15 იანვრის თარიღით ოჯახ ილიას მამის—კრიტოლ პაატას ძე ჭავჭავაძის თხოვნა საქართველო-იმერეთის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოსადმი მისი შვილის—კონსტანტინეს და ილიას თავადის წოდებაში დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტებში ვკითხულობთ:

«После представления доказательства княжеского рода нашего происхождения, родились у меня сыновья Константин и Илья, о рождении и крещении коих при сем представляя два свидетельства, выданные из Грузино-Имеретинской синодальной конторы за №№ 3113 и 3109. покорнейшие прошу оное Собрание сделать дополнительное определение о причислении к роду нашему сыновей моих и выдать на имя их копию с дополнительного определения о признании их в княжеском достоинстве и копии со свидетельства Грузино-Имеретинской синодальной конторы за подлежащим подписом и приложением печати нужны им для определения в учебное заведение, а потом — Государственную службу».*

ზემოთ მდგომარეობაში ჩავარდნილი გრიგოლ ჭავჭავაძე (რომელსაც ბეტყობილად პაჭუას ეძახდნენ, როგორც ილია მეუნარგიას მიუკვლევია) იძულებული ხდება 1846 წლის 15 იანვარს მიმართოს საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს და სთხოვოს სიღარიბის მიზეზობა. გრიგოლ ჭავჭავაძის თხოვნაში ნათქვამია:

«Вашему сиятельству небезызвестно, что при ограниченном состоянии моем, подлежащем дележу на три части между мною, младшим братом и сиротами старшего брата, не могу дать детям своим — Константину, Илье и дочери Элисабед — приличного по званию моему воспитания, и поэтому я желаю просить о воспитании детей моих в одном из казенных учебных заведений. А как при этом нужно мне иметь удостоверение вашего сиятельства о недостаточном состоянии моем, то я имею честь покорнейше просить о выдаче мне в сем свидетельства...».**

ეს მოწმობა საქართველო-იმერეთის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს გენერალ-მაიორ დიმიტრი ორბელიანს *** დაუყოვნებლივ გაუცია, იმავე წლის 16 იანვარს, და დაუდასტურებია, რომ შტაბს-კაპიტან თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე.

«...По недостаточному состоянию своему он не имеет средства к приличному воспитанию малолетнего сына своего Ильи на собственном иждивении, в чем подписом и приложением герба моего печати удостоверяю».****

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ გრიგოლ ჭავჭავაძის თხოვნაში კონსტანტინე, ილია და ელისაბედია მოხსენიებული, ხოლო გაცემულ სიღარიბის მოწმობაში — მხოლოდ ილია. რატომ მოხდა ასე? შეიძლება იმიტომ, რომ კონსტანტინე ამ დროს 14 წლის იყო, უკვე სწავლობდა, ილია — 9 წლისა, ჯერ კიდევ შინ, სოფლის მთავართან მეცადინეობდა, ხოლო ელისაბედი — 7 წლისა, რაკი თვითონვე აღნიშნავს, რომ „ვიქნებოდი ასე 13 წლისა. როდესაც მამა მოგვიკვდაო“.***** თუ გავითვალისწინებთ

---

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 161.

** იქვე, გვ. 162.

*** დიმიტრი ორბელიანის შესახებ იხ. დ. ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 87.

**** საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 163.

***** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 556.

ილიას სწავლის დაწყებას 8 წლის ასაკში, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ელისაბედს წინ კიდევ ერთი წელიწადი ექნებოდა დარჩენილი, ვიდრე სწავლას დააწყებინებდნენ. ამიტომ, შესაძლოა თავადაზნაურობის წინამძღოლმა საბუთის მეტი რეალურობისათვის საჭიროდ ჩათვალა გრიგოლის მხოლოდ ერთი შვილი — ი ლ ი ა მოეხსენებინა, რაზედაც, ალბათ, მთხოვნელის თანხმობაც მიიღო და ამ პირობებში მოწმობაც გაიცა.

მაგრამ ერთმანეთზე მიყოლებულმა უბედურებამ, ჯერ მეუღლის — მ ა რ ი ა მ ის გარდაცვალებამ 1848 წელს, ხოლო ოთხი წლის შემდეგ თვით გ რ ი გ ო ლ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს სიკვდილმა 1852 წელს, ილიას ოჯახი პირდაპირ კ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ს წ ი ნ ა შ ე დ ა ა ყ ე ნ ა. ამ ფაქტს შვეცრმეტყველურად ადასტურებს ის დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს თბილისის სამხედრო გუბერნატორის შუამდგომლობას ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსისადმი იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი თავადის გრიგოლ ჭავჭავაძის ს რ უ ლ ი ო ბ ლ ე ბ ი ი ლ ი ა დათ ე მ უ რ ა ზ ი ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ში ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ხ ა რ ჯ ზ ე მ ი ი ღ ო ნ. ეს შუამდგომლობა სათანადო დანიშნულებით იგზავნება 1853 წლის 19 თებერვალს. მასში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახის ტრაგედია, „უბედური ობლების“ ბედი, დიდი ვალები, თვით გრიგოლ ჭავჭავაძის დამსახურებანი ქვეყნის წინაშე, აგრეთვე მისი ადრე გარდაცვლილი ძმებისა, რომლებიც მტრებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. შუამდგომლობაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის ადგილი, სადაც ლაპარაკია, რომ გრიგოლ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი უმნიშვნელო საგვარეულო მამული ვალების გამო თუ გაიყიდა, ობლებს „თ ა ვ შ ე ს ა ფ ა რ ი ც კ ი არ ე ქ ნ ე ბ ა თ“ და მათი ერთადერთი იმედია მარტოოდენ „მ თ ა ვ რ ო ბ ი ს მ ო წ უ ა ლ ე ბ ა“, რომლის მიღების იმედიც ობლებს უფლება აქვთ ჰქონდეთ მამისა და მისი ოჯახის დ ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ი ს გამო. ეს შუამდგომლობა იმდენად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ილიას ბიოგრაფიისათვის, რომ ჩვენ გვინდა იგი ვრცლად მოვიტანოთ.

დოკუმენტში ვკითხულობთ: «Телавский уездный начальник коллежский асессор кн. Андроников, в рапорте своем ко мне от 31-го декабря 1852 года за № 6268, объясняет, что в селении Кварелях, Телавского уезда, 8-го числа декабря 1852 года умер штабс-капитан кн. Григорий Чавчавадзе. Он оставил сыновей: Константина 20, Илью 15, Теймураза 9 и дочь Елизавету 12 лет, без всякой надежды к дальнейшему существованию, лишенными даже призрения, по неимению близких родных, так что участь этих несчастных сирот возбуждает в уезде общее сострадание.

Умерший отец их оставил значительные долги и ничтожное родовое имение, которое он, по своей неопытности и неосторожности, доверил капитану Цилосани для представления залогом по казенным подрядам и оно, по неисправности Цилосани, имеет быть продано в скором времени на пополнение казенного взыскания, павшего на Цилосани; с продажею этого имения, оставшегося после кн. Чавчавадзе, сироты не будут иметь даже убежища.

Единственная надежда их на милосердие правительства, которое они вправе ожидать за заслуги отца и семейства его...*

* აქ გამოვტოვეთ გრიგოლ ჭავჭავაძის ძმების დახასიათება და მათი ღვაწლის აღწერა, რასაც სხვა ადგილას ვეხებით — გ. ჯ.

...Сам покойный штабс-капитан Григорий, один из братьев, умерший в доме своей смертью, об участи сыновей которого он. г. уездный начальник, доносит, служил в Нижегородском драгунском полку. Он вынужден был, за потерею на службе трех братьев, оставить службу для уплаты наделанных ими долгов и поддержки имения, но он и в бытность свою в отставке, по жительству своему на Лезгинской кордонной линии, не переставал посвящать себя службе и оказывать начальству Лезгинской кордонной линии по его приглашению содействие, за что удостоивался наград.

Уездный начальник кн. Андроников, донося об этом, просит об испрошении сиротам умершего кн. Григория Чавчавадзе — Константину, Илье, Теймуразу и дочери Елизавете от щедрот все августейшего монарха за службу отца и братьев его, павших на жертву службы и во внимание крайнего их положения, содержания по 100 р. сер. в год, впредь до их совершеннолетия, или же о воспитании из них Ильи и Теймураза на казенный кошт в одном из учебных заведений. Из сыновей Григория старший, Константин, был отправлен им в Москву для поступления в тамошний университет, но он не мог вступить в оный, по невыдержанию экзамена, и живет в Москве праздно, а потому кн. Андроников также просит о высылке его сюда сделать сношение, с кем следует.

Обо всем этом предоставляя на благоусмотрение в. п., имею честь покорнейше просить распоряжения о принятии из сирот умершего штабс-капитана кн. Григория Чавчавадзе Ильи и Теймураза в учебное заведение на казенный кошт».*

სრულიად უეჭველია, რომ შუამდგომლობა ძალიან კარგად არის მოტივირებული, გარდა ამისა, თან ერთვის გრიგოლ ჭავჭავაძის ნამსახურობის შესახებ ფორმალური სია, სადაც დაწვრილებით არის ნაჩვენები ილიას მამის სამხედრო დამსახურებანი მტრებთან ბრძოლაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის უფროსი 1853 წლის 25 თებერვალს უარყოფით შეტყობინებას უგზავნის თბილისის სამხედრო გუბერნატორს. „განვიხილე რა წარმოდგენილი საქმე, — სწერს მმართველობის უფროსი თბილისის სამხედრო გუბერნატორს, —ვსცანი, რომ თუ (მიაქციეთ ყურადღება —„თუ“?—გ. ჯ.) თავად გრიგოლ ჭავჭავაძის ობლებმა მამის სამსახურით კანონის საფუძველზე მოიპოვეს უფლება პენსიისა ან სახაზინო დახმარებისა, მაშინ თქვენზე იქნება დამოკიდებული აღძრათ ამ საქმის გამო საგანგებო შუამდგომლობა (მეტი რაღა „საგანგებო შუამდგომლობა“ შეიძლებოდა? თუ უფრო მაღალი ინსტანცია იყო საჭირო, მაშინ „თუ“ კი არა, პირდაპირ უნდა მიეთითებინათ —გ. ჯ.). რაც შეეხება გარდაცვლილ ჭავჭავაძის ობლების —თავადების ილიას და თეიმურაზის სახელმწიფო ხარჯზე სასწავლებელში მიღებას, მაშინ, არა მაქვს რა მათს შესახებ ყველა საჭირო დოკუმენტი მსგავსი შემთხვევისათვის, არ შემიძლია მოვახდინო ამ საგანზე არავითარი განკარგულება, მით უმეტეს, რომ ცნობილი არ არის, სახელდობრ რომელ სასწავლებელში სურთ ნათესავებს ობლებისა მოათავსონ ეს უკანასკნელნი“.**

---

* საისტორიო მოამბე. 1947 წ., გვ. 167-168, პუბლიკაცია ა. იოვიძისა.

** იქვე, გვ. 169.

აი, მიზეზიც! ორივე შემთხვევაში კატეგორიული უარი! მხედველობაში არ იქნა მიღებული არც ობლების მძიმე მდგომარეობა და არც მათი მამის, ბიძებს რომ თავი დავანებოთ, საკმაოდ თვალსაჩინო დამსახურებანი. არც პენსია, არც სახელმწიფო ხარჯზე სწავლა, რაც ობლებს ეკუთვნოდათ, გენერალ-ლეიტენანტმა რეუტმა არ ინება.

დარჩა ერთადერთი გზა: მამიდის იმედი და საკუთარი საშუალებები.

ილიას მამის ხელმოკლეობას (რა თქმა უნდა, თავის წოდებასთან შედარებით) გამოუწვევია ის მიჩქმა-მოთქმა და ლექსი, რომელიც ვ. კარბელაშვილს გაუგონია და გიორგი ლეონიძეს მოჰყავს თავის „მასალებში ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის". კარბელაშვილს ასე აქვს გადმოცემული მის მიერ გაგონილი: „გრიგოლ ჭავჭავაძე რო ცოლს ირთავდა, სომხის ქალს, ეს ლექსი გამოუთქვეს:

„გოდერი და კალთაო,
ბებერსა რთვენ ქალთაო,
საწყალ ჭავჭავაძესაო
ჯვარსა სწერენ ძალთაო".

რაკი ვალები ჰქონდა და ღარიბად იყოვო, უნდა ძალაუნებურად დათანხმებულიყოვო".*

გარდა ერთი მომენტისა, რომ გრიგოლ ჭავჭავაძეს მართლაც დიდი ოჯახური დაბრკოლებანი ჰქონდა, დანარჩენი აქ სიმართლეს არ შეეფერება, როგორც ეს გიორგი ლეონიძემაც შენიშნა. როცა შეუღლდნენ (1832 წელს), მარიამი იყო 13 წლის (დაბადებულია 1818 წელს), ხოლო გრიგოლი — 20—21 წლის (დაბადებულია 1812 წელს). ამგვარად, არც ერთი მათგანი „ბებერი" არ იყო, მით უფრო მარიამი, რომელიც სულ პატარა ბავშვი გაუთხოვებიათ, თუმცა ანალოგიური ფაქტები ძველ დროს იშვიათ გამონაკლისს როდი წარმოადგენდნენ. ასეთი რამ უფრო ხშირად სამეფო კარზეც ხდებოდა, რასაც გვიდასტურებს საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XII ცხოვრება: მისი პირველი მეუღლე — ქეთევან პაპუნას ასული ანდრონიკაშვილისა, რომელსაც 9 შვილი ჰყავდა, მიუხედავად იმისა, რომ 28 წლის ახალგაზრდა გარდაიცვალა, გათხოვების დროს 13 წლის იყო (რძლის გარდაცვალების გამო დიდად შეწუხებულ ერეკლე მეფეს უთქვამს: „ახლა დაიღუპა ჩემი ოჯახიო"); იმავე გიორგი XII მეორე ცოლი — მარიამ გიორგის ასული ციციშვილი, რომლის შეურაცხყოფისათვის ხიმშიაშვილმა გენერალი ლაზარევი მოჰკლა, გათხოვების დროს 14 წლის იყო და 10 შვილი შესძინა ერეკლეს ისედაც მრავალრიცხოვან შთამომავლობას.**

მაგრამ, მიუხედავად მთავარ საკითხს. გრიგოლ ჭავჭავაძეს მარიამ ბებურიშვილი, ეტყობა, პირადი ღირსებების გამო უფრო შეურთავს, ვიდრე მატერიალური მოსაზრებებით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ცოლის შერთვის შემდეგ, მიუხედავად სამხედრო სამსახურის მიტოვებისა და თითქმის მუდმივად ოჯახის სამეურნეო საქმეების გაძღოლისა, მისი მატერიალური პირობების

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 547.

** პლატონ იოსელიანი ამ ფაქტებს დაწვრილებით აღწერს თავის წიგნში: „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა" (უნდა იყოს — „მეთორმეტისა" — გ. ჯ.) 1936 წ., გვ. 8 — 14, ღ. ზარევის მოკვლის ამბავი იხ. გვ. 46.

რაიმე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ დასტურდება. რაც შეეხება მათ ცხოვრებას, ისინი ორივენი გამოირჩევიან ცოდნით, კულტურით, ოჯახური სიამტკბილობით, შეგუებული ხასიათით. ყველა, ვინც ილიას დედას პირადად იცნობდა, ადასტურებს, რომ მარიამი მეტად სათნო და კულტურული ქალი ყოფილა. ელისაბედ საგინაშვილი გადმოგვცემს: „...მეუღლე მისი (გრიგოლ ჭავჭავაძისა — გ. ჯ.) შთამომავლობით ბებუროვის ასული. სომხისა, მონათლული ჩვენს სარწმუნოებისა, წლოვანებით ცამეტი წლისა, როდესაც თ. გრიგოლ დანიშნულა, თავის მშობლებისათვის გამოუცხადებია: რადგან ქართველის ოჯახში რძლად შევდივარ, უეჭველად იმათ სარწმუნოებაზედ უნდა გადავიდეო!.. ეს მშობლებს და ძმებს სასიამოვნოდ არ მიუღიათ. ბევრი დაუშლიათ თავისი სურვილი აღესრულებინა, მიუღია ჩვენი სარწმუნოება. თუმცა სომხები იყვნენ, მშვენიერის ქართულის ენით ლაპარაკობდნენ; სამხთო წერილშიაც განვითარებულნი იყვნენ, როგორც სომხურში, ისე ქართულში. თვით დედაჩემმა კარგად თურმე იცოდა და თავისს შვილებს პატარებს — კოტეს. ილიას, ნინას ასწავლიდა ქართულს წერა-კითხვას სამღთო წერილთგან“.*

ყველა ამ ცნობას ავსებს ჭავჭავაძიანთ გამდლის სალომე ლოლაძის სიტყვები: „ილიას დედა სახით ლამაზი დედაკაცი იყო, ხოლო მეტის მეტად სრული. ქართული კარგად იცოდა“.**

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უბედურება დატრიალდებოდა მრავალშვილიან ოჯახში, როცა ასეთ მზრუნველ დედას დაჰკარგავდა. მარიამი გარდაცვლილა სრულიად ახალგაზრდა, 30 წლის ასაკში, 1848 წლის 4 მაისს,*** როცა ილია მხოლოდ 11 წლის ბავშვი იყო. ოთხი წლის შემდეგ, 1852 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა ოჯახის მამაც — გრიგოლ ჭავჭავაძე, 40 წლისა.**** წარმოუდგენელია ახალგაზრდა ქვრივ კაცს, წვრილი შვილების პატრონს, ოთხი წლის მანძილზე მეორე ცოლი არ შეერთო და საფლავში ისე ჩასულიყო, თუ გარდაცვლილი მეუღლის დიდი სიყვარული და პატივისცემა არ ჰქონდა, თუ იგი ანგარებითი მიზნებით ჰყავდა შერთული. ეს „ანგარება“ მას ხომ შეეძლო შეჰდეგაც გამოეჩინა და მეორე ცოლი შეერთო? მაგრამ გრიგოლ ჭავჭავაძემ მეორე ცოლი არ შეირთო, დაქვრივებული და — მაკრინე მოიწვია და მას მიანდო ობოლი შვილების აღზრდა. ილია მეუნარგიაც აღნიშნავს თავის მოგონებაში — „ნანახი და განაგონი ილიას ცხოვრებიდან“, რომ გრიგოლ ჭავჭავაძის ოჯახი ღარიბი იყო. იმ დროს, როცა ილია დაიბადა, — დასძენს მეუნარგია, — „ჭავჭავაძიანთ გვარში დოვლათიანი სახლი მარტო ერთი იყო — ალექსანდრე გარსევანის შვილისა, საქართველოს მგოსნის, რომლის ოჯახისაგან გამოვიდნენ სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე, ნინა გრიბოედოვისა, თამარ ბატონიშვილი — ერეკლეს მეუღლე, ბარონესა ნიკოლაი და სხვ. ამ დროებაში „კნიაზიანთ“ ოჯახს კახეთში მარტო ალექსანდრეს ოჯახს ეძახდნენ. სხვების სიმდიდრე მარტო პური და ღვინო იყო. ილიას

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 554.
** იქვე, გვ. 557.
*** იქვე, გვ. 253.
**** იქვე, გვ. 554.

შამა გრიგოლიც, შექსპირის თქმისა არ იყოს, მარტო სისხლით იყო მდიდარი და არა ქონებით".* მაგრამ ამ კაცს სხვა ღირსება ჰქონდა, რაც მატერიალური ქონებით არ იზომებოდა.

გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე სამშობლოს ერთგული, გულადი ადამიანი, პატრიოტი იყო და მას კარგად ესმოდა მოქალაქეობრივი ვალი როგორც თავისი ქვეყნის, ისე მშობელი ხალხის წინაშე. ამ მოვალეობის გრძნობას, სამშობლოსადმი სამსახურს უნერგავდა იგი თავის შვილებსაც და ეუბნებოდა: „ყველას უყვარს, შვილებო, თავისი ქვეყანა, და როცა უჭირს, ძნელია კაცმა უმტყუნოს და თავი არ გამოიმეტოს. ბევრიც იმეტებდა თავს და ბევრმაც სახელი დაიგდო, სახელი გაითქვა თავისის ვაჟკაცობითა და ქვეყნისათვის თავდადებით."**

ქვეყნისათვის ამ თავდადების მაგალითს გრიგოლ ჭავჭავაძე თვითონვე იძლეოდა. ამიტომ ზედმეტი არ იქნება გავეცნოთ მის მოღვაწეობას ფორმულარული სიის მიხედვით, რაც სავსებით ოფიციალური და სრულიად სარწმუნო დოკუმენტია. სამხედრო დამსახურებისათვის, შედარებით ახალგაზრდა კაცს, იმდროინდელი უმაღლესი მთავრობის ოთხი ჯილდო ჰქონდა მიღებული: წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენი, იგივე მესამე ხარისხისა ლენტით, კვლავ წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი წარწერით — „მამაცობისათვის" და ვერცხლის მედალი 1828 და 1829 წლების თურქეთის ომში მონაწილეობასთან დაკავშირებით. სამხედრო სამსახური მას სრულიად ახალგაზრდას — 16 წლის ასაკში დაუწყია 1828 წლის 30 აპრილს უნტერ-ოფიცრის ხარისხით. თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის 1828 წლის 17 დეკემბერს მიუღია პრაპორშჩიკობა, „Имея тогда от роду семнадцать лет, — ნათქვამია ფორმულარულ სიაში.***

ასეთი წარმატება 17 წლის ახალგაზრდისა ჩვეულებრივი მოვლენა არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ძმების დაღუპვის გამო სამხედრო სამსახურისათვის თავი რომ მალე არ დაენებებინა, სრულიად უეჭველია, გრიგოლ ჭავჭავაძე დიდ საჭსახურებრივ დაწინაურებას მიიღებდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1845 წლის 13 ნოემბერს მთავარსარდლის ბრძანებით და 1846 წლის 8 იანვარს სამხედრო მინისტრის დამტკიცებით გრიგოლს აძლევენ შტაბს-კაპიტნის ხარისხს, თანაც მის მოქმედებას პანეგირიკს უძღვნიან — „отличное мужество и храбрость".

ძმების დაღუპვის გამო გრიგოლ ჭავჭავაძე იძულებული ხდება 1833 წლის 30 აგვისტოს სამხედრო სამსახურს თავი დაანებოს და თითქმის უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს მიხედოს. მთელი 12 წლის მანძილზე გრიგოლი ოჯახშია, ხოლო 1845 წლის 24 მაისს გენერალ-ლეიტენანტ შვარცის ბრძანებით ინიშნება 1000 კაცისაგან შემდგარი კახეთის მილიციის უფროსად. მაგრამ ეს მილიცია ძალიან მალე დაუშლიათ — იმავე წლის აგვისტოში და გრიგოლი ისევ ოჯახს დაბრუნებია.

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, სოლომონ ცაიშვილის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1944 წ., გვ. 181.

** ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. 1937 წ., გვ. 420.

*** გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის ფორმულარული სია, 1853 წლის 25 თებერვლის თარიღით, იხ. „საისტორიო მოამბე", III, 1948 წ., გვ. 170, პუბლიკაცია ა. ბოცვაძისა.

სამხედრო სამსახურში შესვლისთანავე, ჰაბუკი გრიგოლ ჭავჭავაძე უმალ ებმება იმ დროს გაჩაღებულ კავკასიის ომებში და თითქმის ყოველდღიურ ცხარე ბრძოლებშია. 1828 წლის 17 ივნისს ყარსის ციხე-სიმაგრესთან იბრძვის, მთელი ივნისი, ივლისი, აგვისტო გაატარა სასტიკ შეტაკებებში ახალქალაქთან, ახალციხესთან, არდაგანთან და ა. შ. მომდევნო 1829 წელს. ივნისიდან, ისევ მკაცრ ბრძოლებშია ჩაბმული, მონაწილეობას ღებულობს ქალაქ არზრუმის წინ მდებარე თოფ-დახის სიმაღლის, შემდეგ კი თვით არზრუმსა და მისი ციხე-სიმაგრის აღებაში. 11-დან 20 აგვისტომდე უტევს ქალაქ გიუმიშ-ხანს და ისევ უკან ბრუნდება არზრუმისაკენ. 23-დან 26 სექტემბრამდე ებრძვის მოწინააღმდეგის კავალერიას, 27 სექტემბერს კი მონაწილეობას ღებულობს შეტევითი ოპერაციებით ქალაქ ბაიბურთის აღებაში. ეს საბრძოლო გზა აღინიშნება ორდენებით, ქებით. საგულისხმოა, რომ სრულიად ჰაბუკი გრიგოლ ჭავჭავაძე მუდმივად ღებულობს მონაწილეობას „ჯარების რეკოგნოსცირებაში",* ე. ი. დაზვერვაში, რაც ყოველთვის დიდ საშიშროებასთან, რისკთან იყო დაკავშირებული და მოხერხებულობის გარდა ნამდვილ მამაცობას მოითხოვდა.

მაგრამ გულადობა და მამაცობა გრიგოლ ჭავჭავაძის განუყრელ პიროვნულ ღირსებას წარმოადგენდა. ეს მან დაამტკიცა არამარტო სამხედრო სამსახურში ყოფნისას, არამედ, ყვარელში „მშვიდობიანი" ცხოვრების დროსაც. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ყვარელზე შეიარაღებული თავდასხმა და მომხდურის მოგერიებაში გრიგოლ ჭავჭავაძის მიერ გამოჩენილი გმირობა.

ეს თავდასხმა მომხდარა 1850 წლის 14 ივლისს, დილის 5 საათზე. დაახლოებით 500 ცხენოსანი ლეკი ყვარლის ხევში შემოსულა, გადმოულახავს მდინარე დურუჯი, გაუვლია იქვე აგებულ სიმაგრესთან ახლოს, სადაც ყვარლის სამხედრო ნაწილი იდგა თავის უფროსთან ერთად, შეჭრილა სოფელში ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, გაჩერებულა ბაზრის რიგის ცენტრში, ვაჭრებისა და ხელოსნების დუქნებთან, და ძარცვა-გლეჯა დაუწყია.

ეს შემთხვევა დაწვრილებით არის აღწერილი ამიერკავკასიის სამოქალაქო უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ბებუთოვის 1850 წლის 20 ივლისის წერილობითს მოხსენებაში კავკასიის მეფისნაცვალ ვორონცოვისადმი.** მოხსენება ადასტურებს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ შეიარაღებულნი, მართალია, შეუმჩნევიათ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მაგრამ მიუჩნევიათ სოფლის ცხენოსან მილიციად, იმიტომ, რომ ვერ წარმოიდგენდნენ, თუ დღის სინათლეზე მტაცებლები გაბედავდნენ შეჭრა განეხორციელებინათ, მაგრამ. როცა ისინი გამოიცნეს, განგაში ამტყდარა: პირველად მას გამოუწვევია ჩოჩქოლი და დაბნეულობა, შემდეგ კი მალე შეკრებილა რამდენიმე შეიარაღებული მოსახლე და მტრისთვის ზურგიდან სროლა აუტეხია.***

თავდამსხმელთა ერთ ჯგუფს საშუალება მისცემია გაეძარცვა ვაჭართა დუქნები, რომლებიც იმ დროს უკვე გაღებული ყოფილა, იმის წყალობით, რომ თვით ვაჭრები, როცა მათ შეუცვნიათ ვინც იყვნენ, გაქცეულან და გაღებული დუქნები მიუტოვებიათ. ვიდრე შეიარაღებული მცხოვრებლები მოვიდოდნენ,

---

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 171—172.

** იქვე, გვ. 163—165. პუბლიკაცია ა. იოვეძისა.

*** იქვე. გვ. 163.

ცხადია, თავდამსხმელები მოასწრებდნენ გარკვეული ქონების ხელში ჩაგდებას. მაგრამ, უბედურება კიდევ ის იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებთა დიდი ნაწილი კალოზე იმყოფებოდა, ნაწილი კიდევ მთელი ოჯახით—მინდვრის სამუშაოებზე და მხოლოდ უმცირეს ჯგუფს შეეძლო იარაღისათვის ხელი მოეკიდებინა. ამ მცირე ჯგუფმა მაინც ვაჟკაცური ბრძოლა გაუმართა თავდამსხმელებს, გამხნევებულმა იმ მამაცობით, რასაც ხსენებულ მძიმე მომენტში იჩენდნენ პრაპორშჩიკი დავით ჭავჭავაძე, სასოფლო უბნის კორდონის გამგე, და შტაბს-კაპიტანი გრიგოლ ჭავჭავაძე. რამდენიმე წუთის განმავლობაში შეიარაღებულ ყვარელთა მცირე ჯგუფს დავით და გრიგოლ ჭავჭავაძეების ხელმძღვანელობით ადგილზევე დაუწვენიათ 8 მომხდური. ამას გამოუწვევია არევ-დარევა თავდამსხმელთა შორის, რასაც შედეგად მოჰყოლია სოფლიდან მათი გაქცევა. ყვარელთა შეიარაღებული ჯგუფი თანდათან გაზრდილა მტრის დადევნების დროს, მას მიმატებიან დანარჩენები, ვინც გვიან შეიტყო ეს ამბავი, და მოუხერხებიათ კიდევ 4 თავდამსხმელისათვის მოეღოთ ბოლო. გაქცევის დროს თავდამსხმელებს გზაზე დაუყრიათ ნაძარცვი საქონლის ნაწილი, მიუტოვებიათ ტყვედ ჩაგდებული გოგონა, რამდენიმე სული რქიანი პირუტყვი და ერთი ცხენი. თავდამსხმელებს სულ დაუკარგავთ 12 კაცი.

გაქცეულებმა თავი შეაფარეს ტყეს, სადაც მათ რეზერვში ქვეითნი ჰყოლიათ დატოვებული. ამიტომ შეიარაღებულ ყვარლელებს დევნაზე ხელი აუღიათ, რაკი დარწმუნებულან, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფით ვერაფერს გააწყობდნენ მტრის ასეთ ლაშქართან.*

მეტად საინტერესოა ცნობა, რომელიც მოკლულ თავდამსხმელებს შეეხება. ყვარლის საბაზრო ცენტრში პირველ 8 მოკლულთა შორის ყოფილა ერთი, რომელიც დანარჩენთაგან თურმე გამოირჩეოდა შეხედულებით, ტანსაცმლითა და იარაღით. იგი სიკვდილამდე განკარგულებებს აძლევდა თავდამსხმელთა ჯგუფს. როცა ხსენებული მოკლული გაუჩხრეკიათ, ჯიბეში ფულის გარდა უპოვიათ შავი ძვლის კრიალოსანი, რომელსაც ჩამოკიდებული ჰქონია: ვერცხლის ძეწკვზე ვერცხლისავე ბეჭედი და მრგვალი ყუთი ტუშით, რასაც „აზიაში იყენებენ ყველა მნიშვნელოვანი პირნი თავიანთი სახელწოდებითი ბეჭდების დასასმელად“.** როცა ბეჭედი შეუსწავლიათ, აღმოჩენილა, რომ იგი ეკუთვნოდა „აბალუს“.*** ეს ყოფილა მოკლულის — ანწუხ-ყაფუჩას ნაიბის სახელი, როგორც ბებუთოვი ატყობინებს შეფისნაცვალს.****

თავდასხმის შედეგად სოფელსაც დანაკლისი განუცდია: მოუკლავთ 7 მამაკაცი და დაუჭრიათ 3. ყველა ისინი უმთავრესად ყოფილან მოხუცები და მცირეწლოვანი ბავშვები, რომლებიც თავდამსხმელებს გზაში შეხვედრიან და თავდაცვის რაიმე საშუალებას მოკლებულნი ყოფილან.

მეფისნაცვლისადმი მოხსენებაში ბებუთოვი გულისტკივილით აღნიშნავს: თავდამსხმელთა დანაკლისი შეუდარებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა, ყვარლის ციხე-სიმაგრის სამხედრო უფროსს სოფლისათვის რაიმე დახმარება რომ აღმო-

---

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 164.

** იქვე.

*** სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი მოხსენებაში ეორონცოვი ორგან წერს ამ სახელს და ორგანვე არის „ადალუ“ და არა „აბალუ“.

**** იქვე, გვ. 164.

ესინაო. და ეს მომხდარა მაშინ, როცა თავდამსხმელებს დღისით-ც[illegible]ით გაუვლიათ ყვარლის ციხე-სიმაგრის ახლოს. საიდანაც [illegible]ალიკა, თავდამსხმელებმა რომ აირბინეს, დაახლოებით 80 საჟენზე ყოფილა. გარდა ამისა, სამორიგეო ზარბაზანსაც პირი იქითკენ ჰქონია მიშვერილი. ასე რომ, ციხე-სიმაგრის უფროსს პოდპოლკოვნიკ სტაროვს ყველა პირობა ჰქონდა სოფლისათვის დახმარება აღმოეჩინა, ბრძოლაშიც თავი ესახელებინა. მაგრამ მას ხელიც არ გაუნძრევია. სოფლის უფროსსა და თვით მცხოვრებლებს არაერთგზის უთხოვიათ ციხე-სიმაგრის უფროსისათვის — მოგვეშველო, მაგრამ, ამაოდ. პირიქით, სტაროვს ნება არ დაურთავს არც სიღნაღის მაზრის მილიციის ასეულის უფროსს პრაპორშჩიკ ლუარსაბ ვაჩნაძისათვის, რომელიც იმ დროს 60 შეიარაღებული კაცით ციხე-სიმაგრეში იყო და საბრძოლველად გასვლას მოითხოვდა. ეს მილიცია რომ ციხე-სიმაგრიდან სოფლის დასახმარებლად გამოშვებული ყოფილიყო, — დასძენს ბებუთოვი, — მაშინ ის მოასწრებდა ზურგიდან ძლიერი ზარალის მიყენებას, სრულ არევ-დარევას შეიტანდა მტრის რიგებში და აიძულებდა მას ეძებნა არა ნადავლი, არამედ, მხოლოდ თავის გადარჩენა.*

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ასე არ მოხდა ყვარლის ციხე-სიმაგრის სამხედრო უფროსის, პოდპოლკოვნიკ სტაროვის უპასუხისმგებლობის. სიმსდალის, თუ რაღაც სხვა მიზეზის წყალობით. მეფისნაცვალი ვორონცოვი, ეტყობა, ძალიან გაბრაზებული სტაროვის უმოქმედობის გამო, მისი საქმის სპეციალური შესწავლა დაუვალებია თავისივე ადიუტანტ კაპიტან პონსეტისათვის და თვით ფაქტი უცნობებია სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისათვის. ისიც საგულისხმოა, რომ ვორონცოვმა დავით ჭავჭავაძე წარადგინა წმინდა ანას მხოლოდ მეხუთე ხარისხის ორდენზე, გრიგოლ ჭავჭავაძე კი მეორე ხარისხის ორდენის ღირსად ცნო, მის მიერ გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და გულადობისათვის. ეს ორდენი წარწერით — „მამაცობისათვის" გრიგოლ ჭავჭავაძემ მიიღო მეფის ბრძანებით. რასაც ადასტურებს სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვის მიმართვა ვორონცოვისადმი 1851 წლის 26 იანვრის თარიღით.**

ვორონცოვის მიმართვაში სამხედრო მინისტრისადმი არა ჩანს სოფლის ის ექვსი მცხოვრები, რომელთა დაჯილდოების საკითხსაც ბებუთოვი აყენებდა. არა ჩანს არც ყვარელი გლეხი ზურაბ ზურიაშვილი, რომელსაც განსაკუთრებით გამოუჩენია თავი ხელჩართულ ბრძოლაში ციცი იარაღით. თავსა და ხელში ორჯერ დაჭრილი მტერს მაინც დადევნებია. აქედან ცხადია, თუ რა სიძუნწეს იჩენდა მეფის მთავრობა ადგილობრივ მკვიდრთა დაჯილდოებაში და მართლაც რა გმირობა უნდა გამოეჩინა გრიგოლ ჭავჭავაძეს, რომ ორდენები მიეღო.

ყვარელზე 1850 წლის თავდასხმა არ შეიძლება გაზვიადებული იყოს. როგორც ეტყობა, ასეთი 500 შეიარაღებული კაცით თავდასხმები ძველად იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა. ანალოგიური ფაქტები ხშირად გვხვდება მატიანეებში, ხოლო ერთი მათგანი გადმოცემული აქვს პლატონ იოსელიანსაც. 1798 წელს, როცა ერეკლე II გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავი-

---

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 165.

** იქვე, გვ. 167.

და გიორგი XII, გიორგი ციციშვილს მეფის ბრძანებით 500 შეიარაღებული ლეკი (იმ დროს გიორგი მეფეს ტახტისათვის შინაური შფოთის დასაწყნარებლად „3.000 ლეკი ფასითა ნაქირავნი“ ჰყავდა) წაუყვანია „მოსახილველად ვითამცა სამძღვართა“. მაგრამ ყარსის სოფლებში შესვლის დროს, ციციშვილს უბრძანებია სოფელ აჯალღუს აკლება, სადაც 200 მეკომური ყოფილა, აგრეთვე რამდენიმე თათარი და სომეხი ვაჭარი. წამოუღიათ „სპილენძეულნი, ოქროდ და ვერცხლად“ ათასი თუმნისა, წამოუსხამთ მრავალი ცხენი, ჯორი, ცხვარი და ძროხა. მესამე დღეს ნადავლით უკან დაბრუნებულებს, 700 ოსმალო თავს დასხმიათ „მძინარეთა და ქმნეს დიდი მუსრვა ლეკთა“. სარდალს მხლებლებით მოუსწრია თავის დაღწევა, ხოლო ლეკები მთლიანად დაღუპულან, რაც გიორგი მეფეს ძალიან საწყენად დარჩენია.*

ამგვარად, 500-კაციანი ლაშქრობანი გარკვეულ წესს ექვემდებარებოდა, რაც გვაფიქრებინებს ყვარელზე თავდასხმაც გადაჭარბებულად არ მივიჩნიოთ, მით უფრო, რომ იქვე მახლობლად მდგარა 400 კაცისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილი. რაც თავდამსხმელებს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდათ.

ამ მოსაზრებას განამტკიცებს პლატონ იოსელიანის მეორე ცნობაც. 1800 წელს, ჯერ კიდევ გიორგი XII სიცოცხლეში, მომხდარა ლეკების ორი თავდასხმა ქართლზე. პირველი თავდასხმის დროს ნურ მაჰმადი დაღესტნიდან გადმოსულა ორი ათასი შეიარაღებული კაცით, მარტყოფის მთის ხეობით გაუვლია საგურამო, გასულა არაგვში, ტირიფონის გზით შესულა ქართლში და კვირა დილით დასცემია სოფელ საქაშეთს. ვინაიდან თითქმის მთელი მოსახლეობა წირვაზე ყოფილა ეკლესიაში, თავდამსხმელებს მოუხერხებიათ გაეტაცნათ „ცოლი დიმიტრისა დაჲ დიასამიძისა თინათინ (შემდეგ იყო ესე ცოლი მუხრანის-ბატონისა ბაგრატისა) და დედა ქაიხოსრო გარდაცვალებულისა 1862 წელსა; — ბარბარე ამილახვრის გიორგის ცოლი და მღვდელი ილარიონ“.** ტყვეებითა და მიტაცებული სურსათ-სანოვაგით ნურ მაჰმადი დაბანაკებულა დოღლაურის ბოლოს მტკვრის პირად. დადევნებულ ქართველებს მიშველებია 300 რუსი ჯარისკაცი, რომლებიც მაშინ სურამში მდგარან, დანამდვილად უსახელებიათ თავი ვაჟკაცობით. რუს ჯარისკაცებს პირდაპირ რაინდული, ძმური დახმარება გაუწევიათ ქართველებისათვის. ისინი უშიშრად, თავგანწირულად შებმიან რიცხვობრივად შვიდჯერ მეტ თავდამსხმელებს. „მრავალი დახოცეს, ტყვენი გამოიხსნეს და მრავლად იგდეს თოფი და ხრმალი; თვით მღვდელი ილარიონ ლეკისა ცხენისა და თოფის მშოვნელი უკუ იქცა თვისსა ბინაზედ. „ლეკი, რომელსაც ვუჯეგ მე ზურგით ცხენსა, — იტყოდა ილარიონი, — მოკლა შტიკითა სალდათმან მას დროსა, როდესაც შეაგდო ცხენი მტკვარსაო. ცხენი შედგა, ლეკი წყალმა წაიღო და თოფი წყალისა ნაპირს ჩავარდაო; სალდათმან შტიკით მოძებნა და ამოიღო თოფი ლეკისა და მომცა მეო. — მივვარდი მხიარულმან ხელთა საკოც-

---

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 60.

** იქვე, გვ. 89.

ნელად, გარნა სალდათმა არ მიმიშვა და გამაგონა ლეკისა ცხენითა და თოფითა წასვლა შინა სახლად ჩემდა“.*

მიუხედავად ასეთი დამარცხებისა, ნურ მაჰმადი სამი თვის შემდეგ ისევ შემოჰკრიალა ქართლში ახალციხიდან, გადმოულახავს მტკვარი სოფელ კასპის პირდაპირ, მაგრამ ახლა ქართველები (1200 კაცი) თავდამსხმელებს მომზადებული შეხვედრიან, ივრის ნაპირთან გაუმართავთ ბრძოლა, ბევრი დაუხოციათ, ტყვეები გაუთავისუფლებიათ, ხოლო თვით ნურ მაჰმადი სიკვდილს ძლივს გადარჩენილა.**

ასეთი თავდასხმები რომ ძალიან ხშირად ხდებოდა კახეთსა და ქართლზე, გარდა ამისა, იმ დროისათვის საკმაოდ დიდი ძალებით, მოწმობს შემდეგი ფაქტიც: „ოდეს მოხსენდა მეფესა გამარჯვება ესე (1800 წელს ნურ მაჰმადის მეორე თავდასხმის დროს — გ. ჯ.), მასვე დღესა მივიდა კაცი ქართლიდამ და მოახსენეს სხვაცა დამარცხება ლეკისა. 300 ლეკი, ახალციხიდამ მოსრული მთა-მთა, დაეცა ქარელში სოფლისა ნახირსა. მეფის ძემან იოანე, დროსა ამას მუნ მყოფმან, სდევნა, მოეწია საციციანოს ხეობაში ხვედურეთისა ახლოს, და მძინარეთა შემოერტყა. იპრიანა ღმერთმანო, — და ასი ლეკი წაგვივიდაო: სხვანი დაიყლიტენო...“***

ამგვარად, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ კახეთსა და ქართლზე ასეთი თავდასხმები ძალიან ხშირად ხდებოდა დიდი ძალებით — 300, 500 და 2000 შეიარაღებული კაცითაც. თავდასხმები ატარებდა არა შემთხვევით, ეპიზოდურ ხასიათს, არამედ, წინასწარ იყო ორგანიზებული და მოფიქრებული; მიზნად ისახავდა ტერიტორიის ხელში ჩაგდებას კი არა, მხოლოდ ძარცვა-გლეჯას, სურნათ-სანოვაგის, ძვირფასი ქონების, ტყვეების მიტაცებას. ყვარელზე 1850 წლის თავდასხმაც ერთი ასეთი ლაშქრობათაგანი იყო და იგი თავისი ხასიათით ძალიან წააგავს უფრო ადრე მომხდარ ანალოგიურ გამოხდომებს.

ყვარელი განუწყვეტელი თავდასხმების ობიექტი იყო. ამიტომ სოფელს მრავლად ჰქონდა ციხე-კოშკები, რომლებსაც თავს აფარებდნენ ოჯახის წევრები. ჰავჰავაძიანთ ციხე-კოშკი ამ მხრივ ტიპიურია, სამსართულიანი, რომლის მეორე სართულში თვით ილია დაიბადა. ეტყობა, ყვარლელები მშობიარე ქალებს უმეტესად ასეთ ციხე-კოშკებში შეიყვანდნენ ხოლმე, რათა მოულოდნელი თავდასხმა მათთვის საბედისწერო არ გამხდარიყო. ილიას დაბადების დაახლოებით ერთი თვის შემდეგ — 1837 წლის ნოემბერში ყვარელს თავდასხმა განუცდია, ასე რომ, ეს სოფელი მართლაც „...მუდმივ სამხედრო ბანაკს ჰგავდა“.****

---

* პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936 წ., გვ. 89.
** იქვე, გვ. 91.
*** იქვე, გვ. 91—92.
**** ე. ყალანდაძე. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში, 1958 წ., გვ. 4.



ილიას სახლი ყვარელში

1850 წლის თავდასხმის ადგილი— იმდროინდელი ბაზრის რიგის ცენტრი იქ იყო, სადაც ამჟამად ყვარლის აღმასკომის შენობაა (მის პირდაპირ) და გრიგოლ ჭავჭავაძის სახლიდან მხოლოდ 30 ნაბიჯით არის დაშორებული. ასე რომ გრიგოლ ჭავჭავაძე უმალ გაჩნდებოდა თავდამსხმელებთან და უმალვე ბრძოლას გაუმართავდა. რაც შეეხება დავით ჭავჭავაძეს, იგი იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი, ლეკების წინააღმდეგ წლების მანძილზე რომ იბრძოდა. ეს ლეკებმა მას არ აპატიეს — ოთხი წლის შემდეგ — 1854 წელს თავს დაესხნენ წინანდალს, როცა დავითი შინ არ იყო, გაიტაცეს მისი ოჯახის წევრები, რომლებიც შემდეგ მხოლოდ დიდი თანხის გაღებით გამოისყიდეს. გაქცეულ ლეკებთან ბრძოლაში (დადევნების დროს) 1854 წლის 3 ივლისს დაიღუპა გრიგოლის ვაჟიშვილი კონსტანტინე (ილიას უფროსი ძმა), რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთიდან ახალი დაბრუნებული იყო.

ანალოგიური მკვლელობანი ასეთი თავდასხმების დროს არამარტო ოფიცრებისა, არამედ, დიდი თავადებისაც, ხშირად გვხვდება ისტორიულ წყაროებში. იოჰან გიულდენშტედტს, რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით 1771—1772 წლებში საქართველო მოიარა, მოხსენიებული აქვს, რომ „საკმაოდ ძლიერი“ კონსტანტინე ბაგრატიონმუხრანსკი 1758 წელს ლეკებს მოუკლავთ „თბილისის გზაზე“. მას შემდეგ აქ, მუხრანში „ყველაფერი განადგურებულია“, — შენიშნავს გიულდენშტედტი*. ლეკების თავდასხმების შედეგად

* გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962 წ., გვ. 57.

ბევრი სოფელი რომ ნასაბლარს წარმოადგენს, ამაზე კეთილსინდისიერი მოგზაური ძალიან ხშირად მიუთითებს. მისი ჩვეულებრივი გამოთქმებია: „ჩანს სოფ. ფონთხელას ნასახლარები“, „დანგრეული ციხე საგურამო“, „გაპარტახებული სოფელი წეროვან-ყორღანი“,* „მშვენიერი ადგილები უკაცრიელია“, სოფელი მანავი „თითქმის ჭოლიანად განადგურებულია“, „ლეკების თარეშის გამო. ყველაფერი გაუდაბურებულია“ (ვვ. 17). მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ლეკებმა ქართლიდან (ლომისყანიდან) დაიტაცეს დავით გურამიშვილი. თვით გიულდენშტედტი თავისი სამეცნიერო ექსპედიციით ისე ვერ მოგზაურობს, თუ 100 კაცი დამცველი თან არ ახლავს. ამიტომ, თვითონაც შეძრწუნებული ასეთი ბედგოვარეობით, ლეკების მოქმედებას „ყაჩაღურ თავდასხმებს“ უწოდებს.** მთელი აღმოსავლეთ საქართველო ამ დროს სამხედრო ბანაკს მოგვაგონებს თავდასხმების წინააღმდეგ. ერთგან გიულდენშტედტი შენიშნავს: „მკაცრად დადგენილი წესის თანახმად, ყოველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქით, საიდანაც ესმის სროლის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში. არც ისე იშვიათად ცდილობენ ქიზიყელები აინაზღაურონ დანაკლისი ხალხისა და პირუტყვისა; ამიტომ ისინიც ესხმიან თავს მათ მეზობლად მდებარე ლეკურ რაიონს ჭარს და მოაქვთ ყველაფერი, რასაც მოახელთებენ. ასე მაგ., 1772 წლის ზამთარში მათ ლეკებისაგან გადმორეკეს 30.000 ცხვარი“.***

ყოველივე ეს ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებდა აღმოსავლეთ საქართველოს, რომლის პირისპირ იდგა ისეთი ონავარი სახელმწიფო, როგორიც შაჰის ირანი იყო. თვით გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს, 1772 წლის 28 ივნისს, „ლეკები თავს დაესხნენ მუხრანს და გაძარცვეს“.****

II

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფიას. სადაც ვკითხულობთ, რომ პოეტის მამა — გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძე „...რამდენადმე განათლებული კაცი იყო, აფიცრად მსახურობდა ნიკოლოროდის დრაგუნის პოლკში და რუსული კარგად იცოდა“.***** ილიას ედაც — მარიამ ქრისტეფორეს ასული ბებერიშვილი კულტურული ქალი ყოფილა. „დედაჩემმა,—წერს პოეტი. — მშვენივრად იცოდა მაშინდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მო-

---

* გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962 წ., გვ. 59.

** იქვე, გვ. 33.

*** იქვე, გვ. 27.

**** იქვე, გვ. 95.

***** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. IX, გვ. 307.

თხრობა და რომანი, რომელიც კი იშოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი".*

ასეთ კულტურულ ვითარებაში, ნიჭიერი ბავშვი, სრულიად ბუნებრივია, ადრე დაეწაფებოდა ცოდნას, განათლებას. იგულისხმება არა წერა-კითხვის შესწავლა, რაც მომავალ პოეტს შედარებით გვიან — 8 წლის ასაკში დაუწყია, არამედ, გარემო, რომელიც თავისთავად მოახდენდა გავლენას ბავშვზე, მის ვონებრივსა და სულიერ მიდრეკილებებზე. ილია თვითონვე იგონებს, თუ როგორ ზრუნავდა დედა თავისი შვილების გათვითცნობიერებისათვის. დედაჩემი, — ამბობს ილია, — „საღამოობით დაგვსხავდა ბავშვებს და გვიკითხავდა მოთხრობებსა და ამბებს; წაკითხვის შემდეგ გვიამბობდა შინაარსს და მეორე დღის საღამოზედ გვკითხავდა: აბა, ვინ უფრო კარგად მიამბობს, რაც გუშინ გაიგონეთო. ვინც კარგად ეუამბობდით, გვაქებდა და ამ ქებას ჩვენ დიდად ვაფასებდით".**

წერა-კითხვის შესწავლამდე ბავშვის გონებრივი განვითარების ეს გზა პედაგოგიურად სავსებით გამართლებული იყო და სრულიად უეჭველია მან გარკვეული როლი შეასრულა ილიას აღზრდაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ წერა-კითხვა მომავალ პოეტს შეასწავლა ადამიანმა, რომელსაც ცოდნასთან ერთად მასწავლებლისათვის აუცილებელი პირადი თვისებები ჰქონდა. ეს იყო სოფლის მთავარი, ქართულის კარგი მცოდნე, ასევე განთქმული საღმრთო წიგნების კარგი კითხვით. „უმთავრესი ღირსება მისი ის იყო, — წერს ილია, — რომ მომხიბვლელი თქმა იცოდა ამბებისა. გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედნა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცველად... ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული" — თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგ. ერთი კიდევ პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე („ნიკოლოოზ გოსტაშაბიშვილი" — გ. ჯ.). ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთს ადგილს ცხადად ამჩნევია ყვალი მთავრის ამბების გავლენისა".***

ყველა ამ ღირსებასთან ერთად, რაც მთავრის ხელში ილიამ შეიძინა, ისიც ძალიან საინტერესოა, რომ მომავალი პოეტის პირველი ხელმძღვანელი ბავშვების აღზრდას საფუძვლად უდებდა დემოკრატიულ პრინციპს, ამავე დროს, სავსებით სპარტანული დოქტრინის მსგავსად, დიდ ყურადღებას აქცევდა აღსაზრდელთა ფიზიკურ წრთობას. ამას ადასტურებს თვით ილიას სიტყვები, რომ იგი გლეხკაცების შვილებთან ერთად სწავლობდა მთავრის ხელმძღვანელობით და განცალკევებელი არ იყო, როგორც თავადიშვილი. „მთავართან ვსწავლობდი ამავე ჩემ სამშობლო სოფლის გლეხკაცების შვილებთან. რამდენადაც მახსოვს, ხუთნი თუ ექვსნი იყვნენ. ყველანი შინიდან დავდიოდით მთავართან დილ-დილით და სწავლა გვქონდა მხოლოდ შუადღემდე.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. IX, გვ. 307.
** იქვე.
*** იქვე, გვ. 308.

წერა-კითხვას, როგორც მახსოვს, სულ ერთ საათს ვანდომებდით ხოლმე, დანარჩენი დრო შუადღემდე იმაში გადიოდა, რომ ვთამაშობდით თვით მთავრის ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით, და უმთავრესად უფრო იმაში, რომ ვისხედით და ვისმენდით იმის გასატაცებელ ნამბობს".*

სრულიად უეჭველია, რომ თავიდანვე ასეთი პირობები მრავალნაირად შეუწყობდნენ ხელს ბავშვის ნორმალურ გონებრივსა და ფიზიკურ განვითარებას, მით უფრო, როცა ამგვარი სწავლა მთელი სამი წლის მანძილზე გრძელდებოდა იმ დროისათვის ნამდვილად კულტურული, ასევე ნამდვილად მოწინავე აღმზრდელის ხელმძღვანელობით.

როცა დიდი ადამიანის ცხოვრებას ვეცნობით, ჩვენ ყველაფერი გვაინტერესებს და ეს სავსებით ბუნებრივი გრძნობაა: გვინდა ვიცოდეთ, ეს დიდი ადამიანი როგორი იყო ბავშვობაში, სიჭაბუკე როგორ გაატარა, მოწიფულობამ რა თვისებები შესძინა, ცხოვრების ბოლო წლებს როგორ შეხვდა და ა.შ. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაც ასე დიდი ინტერესის შემცველია. ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ფაქტს შეუძლია მნიშვნელოვანი რამ გვითხრას.

როგორი იყო ილია ბავშვობაში?

შედარებით სუსტი ფიზიკურად, მშვიდი და წყნარი. იონა მეუნარგია წერს, რომ ბავშვობაში ილია თურმე ხშირად ავადმყოფობდა. „სანამ ქალაქს ჩამომიყვანდნენ, — გვითხრა ერთხელ პოეტმა (გოგებაშვილთან სადილზე), — მე ხშირად მაციებდა და ტყლიპი გამიდიდდა (აბსტრუქცია მჭონდაო, ოქვა). ქალაქს რომ ჩამომიყვანა მამაჩემმა, ყველა ექიმი დამასიეს, მაგრამ ვერას გახდნენ რა. მაშინ ვიღაც ერთი ფერშალი მომიყვანეს ავლაბრიდან. კაბა ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა, ჩოფურა იყო. რომ ხატვა ვიცოდე, დავხატავ, ისე ცოცხლად მახსოვს იმის სურათი. იმან წამალი დამალევინა. წამისვა ტყლიპზე რაღაც და სთქვა: თავის დღეში ამას არ გააციებსო და, მართლა, მას აქეთ ჩემთვის არ გაუციებიაო, — დასძინა პოეტმა".**

ილიას ახლო ნათესავების მოგონებანი თვალწინ წარმოგვიდგენენ მომავალი პოეტის კარგ ადამიანურ თვისებებს ბავშვობიდანვე. „ჩემის დის ნინასაგან გამიგონია, — ნათქვამია ელისაბედ საგინაშვილის (ილიას უმცროსი დის) მოგონებაში, — ილია ბავშვობიდანვე თავის ტოლებში სრულებით თურმე ირჩეოდა მშვიდი, წყნარი, და-ძმობაში მოსიყვარულე. როდესაც ჩვენ, ბავშვები, ვთამაშობდით, იშვიათად მიიღებდა ჩვენთან მონაწილეობასა თამაშობაშიო".*** ელისაბედ საგინაშვილი დასძენს: „სამოცდა რვა წელიწადი ვიცხოვრეთ, არ მახსოვს, მაღალი სიტყვით გასჯავრებოდეს მოსამსახურეს. ჩვენ და-ძმობაშიც ერთმანეთში დიდი სიყვარულით, თავაზიანობით გვექცეოდა".****

ელისაბედ საგინაშვილის მოგონებათა ამ ნაწილს ადასტურებენ სალომე ლოლაძის სიტყვებიც. იგი 8—9 წლისა მოუყვანიათ ჭავჭავაძიანთ ოჯახში, როცა ილიაც დაახლოებით ამავე ასაკის ყოფილა. „ანგელოზივით ბავშვი იყო, — იგონებს სალომე ლოლაძე. — ცელქობა და თამაშობა აგრერიგად

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. IX, გვ. 308.

** იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 182

*** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 554.

**** იქვე, გვ. 555.

არ უყვარდა... მეტისმეტი ხათრიანი ბავშვი იყო. ხმას არ აუმაღლებდა თავის დღეში მოსამსახურეს".*

მალე სოფლად ცხოვრების პერიოდიც დამთავრდა. მეთერთმეტე წელში გადამდგარი ილია მამამ თბილისში წაიყვანა სწავლის გასაგრძელებლად. მომავალი პოეტი 1848 წელს შეუყვანიათ იმ დროს განთქმულ „რაევსკისა (გრ. ყიფშიძე წერს, რომ იანიშევსკი იყო და არა რაევსკიო — გ. ჯ.) და ჰაკკეს პანსიონში", რომელიც კერძო სასწავლებელთა შორის ყველაზე უკეთესი იყო, როგორც თვით ილია შენიშნავს.

თუ რა პირობებში მიმდინარეობდა პანსიონური სწავლა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ილიას მოგონებებით. იმ დროს, როცა მომავალი პოეტი ამ პანსიონში შეუყვანიათ, სასწავლებლის ხელმძღვანელად მარტოოდენ გერმანელი ჰაკკე ყოფილა. ილია ჰაკკეს ახასიათებს, როგორც „ყოველმხრივ განათლებულ კაცს". იგი გერმანიიდან მოუწვევია ნეიდჰარტს თავისი შვილების აღმზრდელად. მაგრამ ნეიდჰარტის წასვლის შემდეგაც ჰაკკე თბილისში დარჩენილა, ეტყობა, კარგად შეგუებია ადგილობრივ პირობებს და პედაგოგ იანიშევსკისთან ერთად პანსიონი დაუარსებია. თუ რა დამოკიდებულებაში იყო ჰაკკე თავის მოწაფეებთან, ილიას ასე აქვს გადმოცემული: „ჰაკკე სასტიკი კაცი იყო, მაგრამ თან იმოდენად მამობრივს მზრუნველობას იჩენდა თავის შეგირდების მიმართ, იმოდენას სცდილობდა და ყურს უგდებდა მათს ზნეობრივსა და გონებრივ განვითარებას, რომ თითქმის მთელს თავისუფალ დროს, კლასში მეცადინეობის შემდეგ, იმათ ანდომებდა, ხან ემუსაიფებოდა, ხან ართობდა მუსიკით და მართავდა ხელდახელ კონცერტს როიალზედ, რომლის დაკვრაც საუცხოოდ იცოდა".**

ჩვენ არ შევუდგებით ჰაკკეს პანსიონის დახასიათებას, არც იმ პრინციპების გამორკვევას, რომლითაც ჰაკკე ხელმძღვანელობდა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში. ძველი სკოლის დამახასიათებელი ნაკლი მას რომ ჰქონდა, ზოგიერთ დადებითთან ერთად, ეს სრულიად უდავოა. მაგრამ მთავარი იყო იმდროინდელი გაგებით ზრუნვა მოსწავლეთა „ზნეობრივი და გონებრივი განვითარებისათვის", ამავე დროს, აღსაზრდელებთან ახლოს ყოფნა და მათი მრავალმხრივად დატვირთვა, ისე, რომ ბავშვებს დრო უქმად არ დაეკარგათ.

ჰაკკეს პანსიონში ილია ოთხ წელიწადს სწავლობდა. შემდეგ კი, მართალია, იქ ცხოვრობდა, მაგრამ უკვე თბილისის გიმნაზიის მეოთხე კლასში იყო მიღებული და სკოლაში პანსიონიდან დადიოდა. სკოლა, რომელშიც ილია ჭავჭავაძე შეიყვანეს, პირველად დაარსდა 1804 წელს „კეთილშობილთა სასწავლებლის" სახელწოდებით. მის დაარსებას დიმიტრი ყიფიანი უკავშირებს საქართველოს მაშინდელ მთავარმართებელს თავად ციციანოვს (1754—1806), დიდი სამხედრო ნიჭის მქონე ადამიანს (თავი გამოიჩინა რუმიანცევისა და სუვოროვის ლაშქრობებში), მაგრამ მკაცრსა და სასტიკ ადმინისტრატორს. მისი ნებართვით გახსნილმა სასწავლებელმა ამ სახით 1830 წლამდე იარსება, ხოლო შემდეგ გადაკეთებულ იქნა გიმნაზიად. საგულისხმოა, რომ ახლადგახსნილ სასწავლებელს პირველ ხანებში თურმე ყვე-

* ლიტერატურული მემკვიდრეობა. წიგნი I, 1935 წ., გვ. 557.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. IX, გვ. 308—309.

ლა ერიდებოდა. თავად-აზნაურთა შვილებიც კი მხოლოდ დიდი ჯილდოს დანიშვნით მიუზიდავთ: „ყოველ მოწაფეს თვეში 25 მ. ეძლეოდა, რაც შემდეგში 5 მანეთზე ჩამოიყვანეს, — წერს დიმიტრი ყიფიანი, — ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში ამ სასწავლებლის არსებობის დროს, მეც მეძლეოდა ყოველთვე ასეთი სუფსიდია... ხოლო სასწავლებელმა თავისი საქმე გააკეთა. თავის მოწაფეთა შორის ისეთი პირები მისცა საქართველოს, როგორც მაგ.: თ-დი ვასილ იოსების ძე ბებუთოვი. გმირი ბაშ-კადი-კლარისა; თ-დი მ. ზ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, დაღესტნის გმირი; თ-დი ნ. ო. ფალავანდოვი, ტფილისის გუბერნატორად ნამყოფი; თ-დი გრიგოლ დიმიტრის ძე ჯამბაკურ-ორბელიანი, რომელიც ორი წლის განმავლობაში კავკასიის მთავარმართებლის და ნამესტნიკის თანამდებობას ასრულებდა".* აქ აღიზარდნენ აგრეთვე ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე უაზბეგი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, სუმბათაშვილ-იუჟინი, ვასო აბაშიძე, ნემიროვიჩ-დანჩენკო, ივანე ჯავახიშვილი, კოტე მარჯანიშვილი, გიორგი ნიკოლაძე. ეს იყო სკოლა, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა დაამთავრა და სადაც ქართული კულტურის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე აღიზარდა, მათ შორის გიორგი ერისთავი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და სხვ. ახლა ამ სკოლის ფასადის წინ აღმართულია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ძეგლი, დიდ პოსტამენტზე დგას ეს ორი გოლიათი ჩვენი პოეტური შემეცნებისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული დიდების სიმბოლური გამოხატულება.

თუ როგორ მეცადინეობდა გიმნაზიის მოწაფე ილია ჭავჭავაძე და როგორ გამოირჩეოდა მეგობართა შორის, მოწმობენ შემდეგი სიტყვები: „გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებაგახსნილ შეგირდათ ითვლებოდა, — წერს კოხტა აბხაზი,—მაგრამ ზარმაციც დიდი იყო. არასოდეს გაკვეთილებს არ ამზადებდა და მარტო, როდესაც მოახლოვდებოდა გამოცდა, მაშინ ბეჯითად შეუდგებოდა სწავლას და ორს სამს საათში იმოდენას შეისწავლიდა და დასძლევდა, რომ სხვას ამისათვის ორი დღეც მოუნდებოდა. გასაკვირველი ის იყო, რომ ამგვარი შესწავლა, როგორც მოსალოდნელია, არ იყო ზერელე, პირიქით, რასაც კი შეისწავლიდა, უსათუოდ ზედმიწევნით. მოძრაობა ისე რიგათ არ უყვარდა ილიას და პატარაობიდანვე დაბალი ტანისა და ჩასხმული აგებულებისა იყო. ამხანაგებს აგრე-რიგად არ უახლოვდებოდა, მაგრამ ამხანაგის გამტანი და მხარის დამჭერი კი ყოველთვის იყო".**

ასე გავიდა გიმნაზიაში სწავლის წლებიც და დადგა ახალი პერიოდი პოეტის ცხოვრებაში.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ წარსულმა, ჯერ კიდევ ხანმოკლემ, ჰაბუკ ილიაზე დიდი გავლენა იქონია.

ბავშვობის ტკბილი ხანა, კეთილი მშობლების ალერსი და ზრუნვა ილიას

---

* დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 127, ხაზი ყველგან ავტორისაა — გ. ჯ.

** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 563

მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. პირად წერილებსა, ავტობიოგრაფიასა, განსაკუთრებით 1880 წელს დაწერილ მოთხრობაში—„ნ ი კ ო ლ ო ზ გ ო ს ტ ა შ ა ბ ი შ ვ ი ლ ი“ ილია დიდი სიყვარულით იგონებს იმ დროს, როცა პატარა იყო, თავის „პატარა ფუნჩულა და-ძმებ შორის“, როცა შვილებს თავს დაჰხაროდნენ დედა და მამა. ხოლო მათ — ბედნიერი შვილები. აქ მოესმოდა მომავალ პოეტს „ჭკუა დამჯდარი, სიყვარულიანი ლაპარაკი“ დედისა და მამისა—მამამ სომ „ძალიან კარგი ზღაპრები იცოდა“, მთელ სოფელში არა მარტო მამაცობით, გონებამახვილობითაც გამოირჩეოდა. „ბღარტებსავით გარს ეეხვიენით დედ-მამას ორნი დანი და სამნი ძმანი“, — იგონებს პოეტი, — „დღეს ყოველივე ეს მარტო ტკბილი სიზმარია. დღეს იქ, იმ პატარა სოფელში, საცა ამოდენა სასსოვარი აუგია ჩემს გულს, მარტო ხუთი სამარეღაა და ამ სამარეებში მარხია ყოველივე ის, რისთვისაც ეხლა გული მეწვის. გული მედაგება. იქ მარხია ღედა, მამა, ორი ძმა* და ერთი და,** და ამასთან ერთად ჩემი ყმაწვილობაცა, ე'ე იკი, იგი ბედნიერება, რომელიც წავიდა და თავის ღღეში არ მომიბრუნდება... წავიდა ის ბედნიერი დრო და აღარ მოვა. წავიდა და გული ჰკვნესის რაღაც სხვანაირ ტკივილისა, რაღაც სხვანაირ მწუხარებისაგან, რომელსაც ზოგჯერ ადამიანი სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე. ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა. აქ კვნესა ნიავსავით აგრილებს გულისწვასა და ცრემლი ჰნამავს გადამჭკნარ გულსა გამოსაცოცხლებლად. ვიღამაცა სთქვა: დატკბობა საამური ტკივილიაო, და სწორედ მისთანა ტკივილია ეს ტკივილიცა“.***

ილიას სხვა დიდი ტკივილიც ჰქონდა, თავის საყვარელ ძმასთან დაკავშირებული. მხედველობაში გვყავს პოეტის უმცროსი ძმა თ ე მ ურ ა ზ ი (თემური), რომლის შესახებაც ილია თავის უფროს დას — ნინო აბხაზს პეტერბურგიდან სტუდენტობის დროს სწერდა: „თემურ ძალიან კარგად არის. გაიხარე, ნინუცი: კარგი, ჭკვიანი ძმა გეყავს, ღმერთმა აცოცხლოს!“****

მაგრამ პოეტის სწორედ ეს უკანასკნელი სიტყვები შეიქნა საბედისწერო. თ ე მ ურ ს დიდხანს არ უცხოვრია. ილიას ამ წერილის დაწერიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, 1860 წელს პოეტმა მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაეცვალა მაშინ უკვე ერთადერთი ძმა თემური, რომელიც მასთან ერთად იყო პეტერბურგში და კადეტთა კორპუსში სწავლობდა. 21 წლის ჭაბუკი თემური იქვე დაუსაფლავებიათ, ხოლო, თუ რა მძიმედ განიცადა პოეტმა „პატარა ძმის“ უდროოდ დაკარგვა, მოწმობს ილიას პირადი წერილი მამიდა მაკრინე ჭავჭავაძერისთავისადმი 1860 წლის 14 მაისს. წერილში ვკითხულობთ: „ჩემი პატარა თემურა სადღა არის... დავკარგე საუკუნოთ პირველი და უკანასკნელი ძმა, მერე რა ძმა?!. ვეღარა განახავთ ის საწყალი და უბედური; ნეტავი თავის ქვეყანაში, გარშემორტყმული ნათესავებით მაინც მიცვალებულიყო. ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ გამაობლე და დამაგდე, შენ წახვედი, მოგვშორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი... რაც გამოუზრდილვარ, სულ სიკვდილი მესმის გარშემოდამ, სიკვდილის მეტი

---

* სიმონი და კონსტანტინე.

** ნინო აბხაზი.

*** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1937 წ., ტ. I, გვ. 419.

**** წერილის ეს ადგილი მოჰყავს გ. ყიფშიძეს ილიას ბიოგრაფიაში. იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, 1914 წ., ტ. I, გვ. XIII.

ბედი არ დაგვყოლია ჩვენ.. მარტო მე მოვალ შინ... და თქვენი პატარა თემურა საუკუნოთ დარჩება აქ...“ წერილის თავზე ილიას მიუწერია: „ვაიმე საწყალო თემურ! აღარ გაიხარებენ შენ ბედნიერობაზედ არც ძმა შენი უბედური, ვეღარც შამიდა და ვეღარც შენი დები. სად წახვედ, ჩემო საყვარელო ძმაო! შემომხედე მე და შემიბრალე, რომ უშენოთ ასე ვიტანჯები“.*

პოეტის ეს ღრმა ტრაგიკული განცდა თითქოს უცვლელად არის განმეორებული იმავე წელს დაწერილ ლექსში — „ძ მ ი ს ი კ ვ დ ი ლ ზ ე დ“. როცა ვიცით, თუ რა სიყვარული ჰქონდა ილიას თავისი უმცროსი ძმისადმი, მაშინ უფრო გასაგები ხდება უდიდესი გულისტკივილით დაბადებული ლექსის ყოველი სტრიქონი:

„ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე!..
მე დავრჩი მარტო, უბედური შენად მახვრალი.
არ გამითენდა შენ შემდეგ ვაების ღამე,
მთელი ქვეყანა შემექმნა მე ნგრეულ, ტიალი!..
შენთან დავმარხე, ჩემო თემურ, ყოველიფერი!..
ქვეყნად ნუგეშად დამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარე,
სალოცავადა, ძმაო, შენი ობოლი მტვერი
და უცხო ქვეყნად მდგომი შენი წმინდა სამარე!..“**

ეს ღრმა გულისტკივილი, ოხვრა და გოდება, პირადი ჩვედრით გამოწვეული, იმდენად მწარე იყო, რომ 60-იანი წლების ლექსებში პოეტი ხშირად გადმოგვცემს პ ე ს ი მ ი ს ტ ურ განცდებს, რასაც ჩვენ მისი პოეზიის ანალიზის დროს შევეხებით. ახლა კი ცოტა უკან დავიხიოთ და ისევ პოეტის ბიოგრაფიულ მასალებს მივუბრუნდეთ.

თბილისის გიმნაზიის რვა კლასის დამთავრების შემდეგ (საბოლოო გამოცდები არ ჩაუბარებია), ილია ჭავჭავაძე 1857 წელს რუსეთში მიემგზავრება. „აქედან რუსეთში მიმავალს გუდაურზე შეხვდა დიდი მგოსანი გრ. ორბელიანი და, სხვებთან ერთად, მოწიწებით სალამი მიართვა“.*** გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ თ ა ნ ამ შეხვედრის შესახებ ილიას თვითონ ასე უთქვამს ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ს ა თ ვ ი ს: „ჩვენ რომ რუსეთს მივდიოდით და კავკასიონის მთებზე ვიწყეთ ასვლა... მლეთის დაშვებაზე შემოგვეყარა გრიგოლ ორბელიანი, რომელიც რუსეთიდან ბრუნდებოდა ტფილისს. გრიგოლი ფეხით მოდიოდა, ჩვეულებრივად ზურგს უკან ხელშეწყობილი, პირმღიმარე, დაფიქრებული;**** დაშორებით მოსდევდა მას ნელის ნაბიჯით თავისი ეტლი. ჩვენ რომ დავინახეთ პოეტი თავისი ელემენტით — კავკასიის მთებით და ღრუბლით გარშემოხლეტილი, აღტაცებით ვთქვით ერთმანეთში: სწორედ ეხლა, ამ დამშვიდებულ გულზე, ლექსს რასმე უწერს ამ მშვენიერ ბუნებასაო, და იმ დროიდან დაწყებული სიკვდილამდის ილია იყო თაყვანისმცემელი გრ. ორბელიანისა“.*****

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1861 წ., გვ. 19—20.

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 69.

*** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXVII, გ. ყიფშიძის წერილი.

**** მგონი მთლად სწორი არ უნდა იყოს „პირმღიმარე, დაფიქრებული“ (ეს ცნებები ერთმანეთს გამორიცხავენ).

***** ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 182.

რუსეთში ჩასული ილია იმავე 1857 წელს შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე. ეს განყოფილება მიზნად ისახავდა მოემზადებინა სახაზინო მოხელეები, რისთვისაც სტუდენტებს ასწავლიდნენ კამერალურ დისციპლინებს, აძლევდნენ ეკონომიურ-ფინანსური და ადმინისტრაციული დარგების ცოდნას. პეტერბურგის უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა ილიას გამოადგა შემდგომი თავისი მოღვაწეობისათვის, როცა მუშაობდა დუშეთში, განსაკუთრებით კი საადგილმამულო ბანკის დაარსებისა და ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობის დროს. მაგრამ პეტერბურგის პერიოდი, რომელსაც ჩვენ უფრო დაწვრილებით ილიას შემოქმედების გარჩევის დროს დავახასიათებთ, მარტოოდენ კამერალურ მეცნიერებათა შესწავლით არ შემოფარგლულა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი საქმიანობა, რასაც ჭაბუკი პოეტი ოთხი წლის განმავლობაში ეწეოდა. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ილიას ლირიკული ლექსების მთელი ციკლი, რამდენიმე პროზული შედევრი, თარგმანები და პოემების პირველი ვარიანტები.

სად ცხოვრობდა პოეტი პეტერბურგში სტუდენტობის დროს?

„პეტერბურგში ვცხოვრობდით მომეტებულ ნაწილად ვასილევის კუნძულზედ (Средний проспект Калгина),— წერს კოტა აბხაზი. — ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით აქ ვიმყოფებოდით ხოლმე".* ამიტომ არის, რომ პეტერბურგის ლექსების ერთ ნაწილს თარიღთან ერთად მიწერილი აქვს პავლოვსკი („მწუხარება", „მუშა", „ს... ჩ... სას", „ჩ...სას", „პოეტი", „მესმის, მესმის", „ჩემო მკვლელო" — ყველა ეს ლექსი პავლოვსკშია დაწერილი) ან ტიარლევო („მეც შავს თვალებს", „გიყვარდეს", „სიზმარი", „ლოცვა", „უცხოეთში", „ლოთის რჩევა", „როდემდის", „ლოცვა"—მეორე). თუ რა დაძაბულად მუშაობდა ხელმოკლედ მყოფი ახალგაზრდა პოეტი, როგორი გატაცებითა და სიღრმით ეწაფებოდა ცოდნის წყაროს, დიდ შემოქმედებით შრომასთან ერთად, ნათლად მოწმობენ ილიას ახლო მეგობართა გადმოცემანი. კოტა აბხაზი, რომელიც პეტერბურგშიც ილიასთან ერთად ცხოვრობდა ერთ ჭერქვეშ, თავისი მცირე მოგონებით გვიდასტურებს, რომ „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა, აქაც იგივე ჩვეულება ჰქონდა,** მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებს. მოახლოვდებოდა ეგზამენები და ილია სწავლას შეუდგებოდა. დღე-ღამეში ხშირად 18-20 საათს მუშაობდა და რამდენჯერ დამინახავს, რომ წიგნთან მჯდომარეს ჩასძინებია".***


ეს თვისება ილიას მთელი სიცოცხლის მანძილზე ახასიათებდა. ამის ნათელსაყოფად, დროებით წინ გავირბინოთ, და ვიხილოთ პოეტი, რომელსაც ზოგიერთები, რომლებიც მისგან რაღაც უფრო მეტს მოითხოვდნენ (რის გამო სი-

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 564. ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

** რაც გიმნაზიაში, ე. ი. სასწავლო საგნების მხოლოდ გაცოცდების წინ მომზადება—გ. ჯ.

*** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 564.



ილია სტუდენტი

ზარმაცეს უსაყვედურებდნენ), თუ რა თავდადებით მუშაობდა ხოლმე. „ერთხელ ილია ისე გაერთო თურმე მუშაობით, რომ თავს დაათენდა და კინაღამ შუა დღე მოვიდა,— წერს გიგა ყიფშიძე.—ილიას კაბინეტში კი ლამპარი ისევ ანთია. კ-ნა ოლღა ძალიან შეფიქრიანდა, ვაი თუ დაემართა რამეო და შიშით ვერც თითონ ჰბედავდა შესვლას, ვერც მოსამსახურე შეეგზავნა. ამ დროს „ივერიის“ რედაქციაში თავი უკვე მოეყარნათ თანამშრომელთ და კნეინამ ერთ-ერთს მათგანს, განსვენებულს ალ. ნანეიშვილს მიჰმართა, მიშველე რაჰე, ასეა საქმე და ლამის შიშით დავილიოვო. რედაქცია და ილიას ბინა მაშინ ერთად იყო. ნანია, როგორც ვუძახოდით განსვენებულს, მაშინვე დაფაცურდა, შეაღო კაბინეტი და ასეთი სურათი დაუხვდა: ილიას ზურგი შეექცია საწერ მაგიდისთვის და ღრმა ფიქრში წასულიყო... ასე იცოდა ილიამ. ბევრჯერ დასთენებია თავს გონებრივის მუშაობით გართულს“.*

როგორც ვხედავთ, ილია მთლიანი ხასიათის პიროვნებაა და შრომისადმი სიყვარული მას ერთნაირად სჩვეოდა როგორც სტუდენტობის, ისე საზოგადო მოღვაწეობის ხანაში. პეტერბურგშიც ასეთივე დაძაბული მუშაობის შედეგი იყო ორიგინალური ლექსები, პროზული შედევრები, პოეტური მარგალიტები პოემების პირველ ვარიანტებად, და ის დიდი, შეიძლება ითქვას, ყოველმხრივი ფართო განათლება, რომლითაც ილია ჭავჭავაძე სამშობლოში დაბრუნდა ქვეყნისა და ერის თავდადებულ მსახურად. პეტერბურგში ილია ქართველი ახალგაზრდობის წრეში ხელმძღვანელ როლს ასრულებდა, რასაც ჩვენ სხვა ადგილას შევეხებით. კოხტა აბხაზი გადმოგვცემს, რომ ქართველ სტუდენტებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონიათ ერთმანეთთან. „ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზედ, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ, — წერს კოხტა აბხაზი: — ვკითხულობდით ხშირად ქართულს წიგნებს. ყველა ჩვენზედ დიდი გავლენა ჰქონდა ბესარიონ ღოღობერიძეს, რომელსაც „პატრიარქს“ ვეძახდით“.**

ეს იყო მღელვარე 60-იანი წლები რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა რაზნოჩინური ინტელიგენციის მოძრაობამ ყველაზე დიდი გაქანება მიიღო. 60-იანი წლების ახალგაზრდობა გატაცებით დაეწაფა ახალს, ძველის, როგორც დროთმოქმულის კრიტიკას; უმრავლესობა ვერ ასცდა

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXI—XXXII.

** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, გვ. 564, ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

უარყოფის ცალმხრივ გაგებას და თუნდაც მის მთლიანად არ იზიარებდა, თანაგრძნობით მაინც ეკიდებოდა. ამ დროს პისარევისა და ზაიცევის ნიღილისტური ქადაგებანი არანაკლები სიძლიერით ეუფლებოდა ახალგაზრდობის გონებას, ვიდრე ცოტა უფრო ადრე ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის პოზიტიური დოქტრინა. მართალია, ნიჰილიზმი რუსეთში სრული სახით მხოლოდ პეტერბურგიდან ილიას წამოსვლის შემდეგ განვითარდა, მაგრამ ჰაერში ბაზაროვების სული ტრიალებდა, და ილიაც მოწმე იყო სტუდენტთა შორის უკიდურესი მიმართულებების გაჩრცელებისა. ძველი კერპების უკუგდება, ყოველ შემთხვევაში, მკაცრი კრიტიკა, ამ მხრივ მოურიდებლობა და თავშეუკავებელი განქიქება ისეთ ფორმას ღებულობდა, რომ თითქოს ყველაფერი მზად იყო—ხელოვნების დიდი ქურუმებიც კი კვარცხლბეკებიდან ჩამოეგდოთ.* კრიტიკისა და წინააღმდეგობის გრძნობა იმდენად დაეუფლა 60-იანი წლების ახალგაზრდობას, რომ ხშირად საქმე პარადოქსებამდე მიდიოდა. ერთი ასეთი შემთხვევა თვით ილიას თაეისი მეგობრებისათვის არაერთხელ უამბნია, „ნიმუშად მაშინდელ სტუდენტების განუკითხველის უარყოფითის მიმართულებისა და მათის გაწბილებისა, — როგორც გიგა ყიფშიძე შენიშნავს... ერთხელაო, — დაიწყო ილიამ: ერთს იაფ კუხმისტერსკში ვსადილობთ ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილიევის კუნძულზედ, იქაე უნივერსიტეტის ახლოს და რაღაც იურიდიულ საგანზედ ჩამოგვეკარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზრდა რუსიცა, რომელიც იმავე საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შევეკამათეთ და არა დაუთმეთრა, თუმცა მეტად გარკვეითა და სადად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს — შევხედოთ და ის კაცი კათედრაზედ-კია გამოჭიმული უნივერსიტეტში და ლექციასა კითხულობს. აუდიტორია გაჭედილია სტუდენტობითა. ვიკითხეთ მისი ვინაობა და პირ-კატა-კი გვეცა, როცა გვითხრეს, სპასოვიჩია, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო".**

ეს იყო ვლადიმერ დანილის-ძე სპასოვიჩი (1829 — 1908), რომელსაც იმ დროს სახელგანთქმული მეცნიერ-იურისტის კ. დ. კაველინის რეკომენდაციით პეტერბურგის უნივერსიტეტში სისხლის სამართლის კათედრა ეკავა.*** სტუდენტთა შორის სპასოვიჩს დიდი ავტორიტეტი ჰქონია მოპოვებული, როგორც ბრწყინვალე ორატორს, პროგრესულ მოაზროვნეს და ენციკლოპედიური ცოდნით დაჯილდოებულ ადამიანს. მის კრიტიკულ წერილებს შექსპირის, ბაირონის, შილერის, გოეთეს, პუშკინის, ლერმონტოვის, მიცკევიჩისა და სენკევიჩის შესახებ დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა.**** 1861 წელს სპასოვიჩს, სტუ-

---

* დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, 1955 წ., ტ. I, გვ. 199 — 220, 508 — 512, 600 — 610.

** ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXIV — XXV.

*** Судебные речи известных русских юристов. 1957 г., стр. 583.

**** იქვე, გვ. 585.

დენტთა არეულობის გამო. პეტერბურგის უნივერსიტეტი მიუტოვებია. შემდეგ მთელი 40 წელი ვექილად მუშაობდა. მისი ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე გამოსვლა იყო თბილისის სასამართლო პალატაში 1878 წლის 25-30 ნოემბერს დავით და ნიკოლოზ ჩხოტუებისა და სხვათა საქმის გარჩევის დროს წარმოთქმული სიტყვა. სპასოვიჩის ნაწერები გამოცემულია ათ ტომად და მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ.

თუ ასეთ მოწინავე, სტუდენტებისათვის საყვარელ ადამიანს 60-იანი წლების ახალგაზრდები „პირში ეცნენ", გასაგებია რა მდგომარეობაში იქნებოდნენ მემარჯვენე-რეაქციონერი პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც უნივერსიტეტის კათედრები მხოლოდ მეფის ძალმომრეობის წყალობით შეინარჩუნეს.

1861 წელს დაიწყო საუნივერსიტეტო არეულობანი და მეოთხე კურსის სტუდენტი ილია ჭავჭავაძე იძულებული შეიქნა უნივერსიტეტი მიეტოვებინა, მით უფრო, რომ ცხოვრების სახსარი ამ დროს ჩვენს პოეტს ძალიან შეზღუდული ჰქონდა. ამას მოწმობენ ილიას წერილები, რუსეთიდან მოწერილი, თავისი დის — ნინო სადმი, აგრეთვე ნენე ანდრონიკაშვილისა და ანიკო ვაჩნაძისადმი. ერთ-ერთ წერილში, რომელიც 1859 წლის 18 თებერვლის თარიღით არის გამოგზავნილი პოეტის დის — ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისადმი, ილია წერს: „ჩემ ჯიბეში ნეტავი ჩამოგახედა, რა ამბავია. რუსეთულ თაგვებს ისეთი ჯირითი გააქვსთ, რომ მეტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელ-ჭრელ მანეთებს წამოჰკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე. ნეტავი ეხლა მანდ ვიყო, რომ გავძღე უბედობით, ასეთი ლაპარაკი ჰსცოდნია და ჰყვარებია ჯიბე ცარიელობას, რომ ვეღარ მომითმენია".* თითქმის იმავე სიტყვებით, უფრო ადრე, 1858 წელს, ილია ნენე ანდრონიკაშვილს სწერდა: „ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ჭავჭავაძის სისუსტე სად არის — ჯიბეში და ისევ ჯიბეში; უხ! ხანდისხან რა უგრძნო ქარიშხალი წამოუბერავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თაგვები შადგებიან ხოლმე ყალხზედ თითქო ძალათ დაცარიელებულს ჯიბეში; მარამ კი სასოწარკვეთილებაში არ შევალ ხოლმე, ნუგეშ-ვიცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ჩემს თავს: ნუ გეშინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც გაგვიბრწყინდეს მზე მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდაო, მარამ კი, შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავს გავიქნევ ხოლმე და ჩვეულებრივ სპოვებით შევყურებ პირღია ცას, თითქო იქიდამ მოველოდე გაქლიბულს ჭრელ-ჭრელ მანეთებს; მარამ თქვენც იცით, ცას რარიგად ჰსძულს ვერცხლი. მაშასადამე ლოდნა ჩემი ციდამ ფულისა ამაოა".**

რუსეთიდან მოწერილ თითქმის ყველა წერილში ამ ხელმოკლეობაზეა ჩივილი. ასევე მწუხარედ იწერება პოეტი ანიკო ვაჩნაძისადმი 1858 წლის 13 აგ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1961 წ., ტ. X, გვ. 8.

** იქვე, გვ. 13.

ვისტოს გამოგზავნილ ბარათში, რომელშიც ნათქვამია, რომ პეტერბურგი „უდიდესი ქალაქია, ბევრი მხიარულება, ბევრი შეკცევა, მარამ ჩემთვის კი სულ ფუჭია, მისთვის — რომ მე ყოველს ჟამს და ყოველს წუთს ჯიბესთან მწყრალათა ვარ და აბა, ამ ჯიბის მწყრალობით ფეხსაც ვერ გადასდგამს კაცი“.*

მიუხედავად ასეთი ხელმოკლეობისა, ილია სტუდენტობის წლებში არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით მუშაობდა, როგორც ეს ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს. ჟურნალ „ცისკრის“ 1857 წლის პირველ ნომერში დაბეჭდილ ლექსს „ჩიტი“ (ეს იყო ილიას პირველი ბეჭდური ნაწარმოები, დაწერილი 1856 წლის 17 ნოემბერს, ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს), მიჰყვა იმავე „ცისკარში“ გამოქვეყნება შემდეგი თხზულებებისა: გოეთეს „ბედა მჭადაგებელი“, პეტერბურგში 1857 წელს თარგმნილი („ცისკარი“, № 1, 1858 წ.), შილერის „ცრემლთა შინა ნუგეში“, თარგმნილი 1858 წელს („ცისკარი“, № 2, 1859 წ.), „მეც შავ თვალებს“ („ცისკარი“, № 3, 1859 წ.), პუშკინის „წინასწარმეტყველი“, თარგმნილი 1858 წელს („ცისკარი“, № 1, 1861 წ.), „ვაი, მას— ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად“ („ცისკარი“, № 9, 1860 წ.), ლერმონტოვის „ჰაჯი აბრეკი“, თარგმნილი 1859 წ. („ცისკარი“, № 11, 1860 წ.), „ელეგია“ („ცისკარი“, № 11, 1859 წ.), რიუკერტის „ქართა თანა“, თარგმნილი 1859 წ. („ცისკარი“, № 11, 1859 წ.); აგრეთვე „ცისკარში“ პირველად დაიბეჭდა: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, ლერმონტოვის „წინასწარმეტყველი“, „გახსოვს, ტურფავ“ და „როცა წუხილი“.** ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე საზოგადოებისათვის „ცისკრის“ საშუალებით უკვე ცნობილი იყო, როგორც ნიჭიერი პოეტი და ასევე კარგი მთარგმნელი. მაგრამ პირველი დიდი პოპულარობა ჰპბუკ ლიტერატორს მოუპოვა ივანე კერესელიძის ჟურნალ „ცისკრის“ აპრილის (№ 4) ნომერში დაბეჭდილმა კრიტიკულმა წერილმა— „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის მიერ კაზლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელმაც საფუძველი მისცა „მამების“ ბანაკს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისათვის ბელინსკი ეწოდებინა. ამ წერილის უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სხვა ადგილას დავახასიათებთ და ამიტომ აქ აღარ შევეხებით. შემდეგ მას მოჰყვა ილიას ცნობილი „პასუხი“, იმავე ჟურნალის მეექვსე ნომერში დაბეჭდილი, რომელმაც მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა „ქართველი ბელინსკის“ კრიტიკოსებს. ჟურნალ „ცისკართან“ განხეთქილების შემდეგ ილია ჭავჭავაძე განიზრახავს დააარსოს საკუთარი ჟურნალი — „საქართველოს მოამბე“. ძალიან დიდ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, ილია ახერხებს მიიღოს ნებართვა და ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი გამოდის 1863 წლის თებერვალში. მართალია,

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1961 წ., ტ. X, გვ. 17.

** იხ. პ. ინგოროყვას მიერ შედგენილი „ილიას შემოქმედების მატიანე“, თხზულებანი, ტ. X, გვ. 581—632.

ილიას ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი იარსება, სულ თორმეტი ნომერი გამოვიდა, მაგრამ „ცისკართან" შედარებით იგი პროგრესული ორგანო იყო. რომელმაც წარუშლელი კვალი გაავლო არამარტო ქართული პერიოდიკის, არამედ. საერთოდ ქართული აზროვნების ისტორიაში.*

1863 წელი ილიას ცხოვრებაში ორი დიდი მოვლენით აღინიშნა: ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოსვლით და ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილის გაცნობით. ილიას და ოლღას პირველი ურთიერთობა მშვენიერი რომანია, რომელიც აღსავსეა რომანტიკული გატაცებითა და იღეთი სულიერი გრადაციებით, როგორიც შეიძლება მართლაც მხატვრულ ნაწარმოებში არსებობდეს. თავის დროზე ამ რომანს დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია, სერიოზული დაბრკოლებანიც შეხვედრია, ვერ აშორებია ჩვეულებრივ ჭორსა და ცილისწამებასაც. ამიტომ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ეკატერინე გაბაშვილის მოგონებას, ვიდრე ილიას იმდროინდელი სატრფიალო ბარათები ოლღა გურამიშვილისადმი გამოქვეყნებული არ იყო.

ილიასა და ოლღას არაკეთილმოსურნე პირებს გაუკრცელებიათ ხმა, რომ თითქოს „ილიამ, როგორც ღარიბმა თავადიშვილმა, გარიგებით და მოტყუებით შეირთო, არა თავის ღირსი და შესაფერი ცოლიო".** ამ ცილისწამების გასაფანტავად. ეკატერინე გაბაშვილისათვის უთქვამს ახლო ნათესავს ივანე პოლტარაცკის— „ცნობილ ადვოკატს და ნოტარიუსს", ილიას ძველ მეგობარს, რომელსაც ეძღვნება პოემა „ჩრდილი" ილია წინამძღვრიშვილთან ერთად: „გასაოცარი რომანტიკოსია, ეს თქვენი ბრწყინვალე ლიტერატორი და პირველი სორტის ქართველი ილიაო. ბევრი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი გადაიარეს ოლღამ და ილიამ, მანამ ერთმანეთს დაუახლოვდნენ და მერე შეუღლდნენ".*** შემდეგ მოთხრობილია, თუ რა გატაცებით ელოდა ხოლმე ილია ჭავჭავაძე ახლადგაცნობილ ოლღას წერილებს. როგორი თავდავიწყებით უყვარდა იგი, რომ არა ანგარებამ, არამედ, მხოლოდ ადამიანური სიყვარულის გრძნობამ შეაერთა ისინი. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, ისინი „დიდხანს ერთად და ერთგულებით ეწეოდნენ ღარიბი ცხოვრების ჭაპანსო და მაშინლა კანონიერი მეთოთხმეტედი მიიღეს მხოლოდ, ხანში შესულობის შემდეგ, როცა თადეოზი გარდაიცვალა"...****

რაც შეეხება პირადად ოლღას, რომელსაც ეკატერინე გაბაშვილიც ერთად მუშაობით ძალიან ახლოს იცნობდა, იგი „ფრიად მშვენიერი ქალი იყო, ილიაც არ ჩამოუვარდებოდა სილამაზეშიო და როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე, ორ ყმაწვილ და ბედნიერ არსებათ შორის. შეუყვარდათ ერთმანეთი გატაცებით და არავითარ მატერიალურ ანგარიშს ალაგი არა ჰქონია იმათ შორის და არც შეიძლებოდა რომ ჰქონოდაო. მე მოწმე ვარ იმათი იდეალური სიყვარულის და რომანტიულის გატაცების, რის შედეგიც იყო ბებიის საბლიდან ოლღას გამოპარვა და ჩვენი ამხანაგების დახმარებით იმათი საიდუმლო დაქორწინებაო... (ოლღას) ილიას თაყვანება და ერთგულება თავის გენიალუ-

---


* ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემისა და შინაარსის საკითხები იხ. პ. გუგუშვილის წიგნში: „ქართული ჟურნალისტიკა", 1941 წ., გვ. 299 — 388.

** „ლიტერატურის მატიანე", 1—2, 1940 წ., გვ. 113.

*** იქვე, გვ. 114.

**** იქვე, გვ. 116—117.

რი ქმრისა სიკვდილამდე არ შეუცვლია"*. და, მართლაც, ეს სათხო, კულტურული, გულკეთილი ადამიანი ილიას ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი შეიქნა. იგი არაჩვეულებრივი სიყვარულით ეპყრობოდა თავის სახელოვან მეუღლეს, სიკვდილამდე მისი უერთგულესი მეგობარი იყო, თანაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამხმარე და თანაშემწე.



ოლღა გურამიშვილი

ილიასა და ოლღას პირველი გაცნობა 1863 წლის იანვარში მომხდარა. პირველი სამიჯნურო ბარათი ილიას თავისი მომავალი საცოლესათვის 1863 წლის 16 იანვარს გაუგზავნია, როგორც ეს პავლე ინგოროყვამ გამოარკვია. თუ რა გულწრფელი გატაცებით, ჰაბუკური სინაზითა და უანგარო თავდადებით შეუყვარდა ილიას პირველი გაცნობისთანავე ოლღა თადეოზის ასული, ძალიან კარგად ჩანს მშვენიერ წერილებში, რომლებიც ამჟამად შესულია პოეტის თხზულებათა სრული კრებულის მეათე ტომში. ეს წერილები მოწმობენ ილიას მაღალსულიერებას, მორალურ სისპეტაკეს, გეგონება, თითქოს თავის ადრინდელ სატრფიალო ლექსებს პროზით ამეტყველებდეს. 1863 წლის 28 იანვარს გაგზავნილ წერილში ილია თავის საყვარელ მეგობარს, რომელსაც სამუდამო ერთგულებას ეფიცება, სწერს: „მე არ მიყვარს დაშაქრული თუ დაცრემლილი სიტყვები, მე არ მიყვარს საკუთარ გრძნობებზე ლაპარაკი, ჩემო მეგობარო, — ეს მხოლოდ რომანებში იციან, ისიც ფრანგული ყაიდის მოსულელო რომანებში. დამიჯერე, რაც უფრო მეტია სიტყვა, მით უფრო ნაკლებია გრძნობა, ანდა პირიქით, რაც უფრო ნაკლებია სიტყვა, მით უფრო მეტია გრძნობა".** ეს სრული სიმართლეა, მაგრამ თვით ილია ხშირად არღვევს ამ პრინციპს და მთელი გატაცებით ლაპარაკობს თავის გრძნობებზე: დაუსრულებლად ეფიცება ოლღას, თითქმის საესებით ჩერნიშევსკისებურად, სამუდამო მეგობრობას, როგორც იტყვიან. მთელ გულსა და სულს გადაუშლის ხოლმე საცოლეს, და სწერს: „იცოდეთ, მომავალში სიყვარულისა და ერთგულების მეტს ვერაფერს შემოგთავაზებთ. მართალია, ადამიანები ამ ორი რამითაც არიან ბედნიერნი, მეცა მჯერა, რომ შესაძლებელია ასეთი ბედნიერება, მაგრამ, მითხარით, თქვენ თუ გჯერათ ასევე? აი საკითხი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს. იცით თუ არა უველაფერი ჩემი მდგომარეობის შესახებ? იცით თუ არა ჩემი აწმყო? ხოლო. რაც შეეხება მომავალს, იმაზე არც ღირს ლაპარაკი, რაც უფრო შორს ვიხედები, მით უფრო ცოტა-

* „ლიტერატურის მატიანე", 1—2, 1940 წ., გვ. 117.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. 1961 წ., ტ. X, გვ. 179.

ვხედავ სანუგეშოს: მართალია, მე ჩემი თაეი სიღარიბისა და შრომისათვის გადამიდვია; მართალია, არც ერთისა და არც მეორის არ მეშინია, მაგრამ არც თქვენ გეშინიათ მისი? თუ არ გეშინიათ, მე თქვენი ვარ, — ე. ი. შენი ვარ“*.

თაეის წერილებში ილია იმდენად სპეტაკი, სულით მაღალი, ტარიელივით თავდავიწყებამდე შეყვარებული ჩანს, რომ სავსებით მართალია პაველე ინგოროყვა, რომელმაც პირველმა მოიყვანა სისტემაში მთელი ეს მასალა და გარკვია ბევრი ბუნდოვანი მომენტი (თარიღებთან ერთად), როცა წერს: „წერილების ეს ციკლი წარმოადგენს პოემას“**. ჩვენ დავუმატებდით, უმშვენიერეს პოემას, რომელშიც ამაღლებული გრძნობა დაფნულია დიდი ადამიანური უშუალობით. მერე და რა პირდაპირობა, გულწრფელობა, ვაჟკაცური კდემამოსილება იხატება თვითეულ წერილში! როგორ ამკობს პოეტი თავის გულის მეგობარს: „სახელი და დიდება შენ“!; „შენ ისე კარგი ხარ, ჭკვიანი“, „შენ მარტო ჩემი მომავალი მეუღლე კი არა, ჭეშმარიტი მეგობარიცა ხარ“; „ჩვენ ვიცხოვრებთ და ნახავ, ბედნიერებასაც დავიპყრობთ, თუ კი მანამდე თვითონ არ ინება ჩვენთან მოფრენა... ცხოვრება მაშინ არის კარგი, როცა მას ებრძვი. მე და შენ ჯერ ისე ახალგაზრდები ვართ, რომ ამ ბრძოლისათვის ძალა შეგვწევს. მაშ, რაღად გვეშინოდეს ცხოვრებისა. ნურაფრის ნუ გეშინია. მე იმედი მაქვს, შენში ვპოვო დაყრდენი და შენც იგივე ეძიე ჩემში, — გეფიცები, ყველაფერი რიგზე იქნება“; „მე რომ არ მომწონებოდა შენი ზნეობრივი ღირსებები, შენი გონიერება და გული, გინდაც კრეზის სიმდიდრის მფლობელი ყოფილიყავი, პირველსავე პაემანზე შენგან პირს ვიბრუნებდი“; „რა არის სიმდიდრე? სიმდიდრე კარგი რამეა, ჩემო კარგო, მე მის საწინააღმდეგოდ რა ვთქვა, მაგრამ ის მაინც არ არის საჭირო პირობა ბედნიერებისა: უიმისოდ ბედნიერება კარგადა გრძნობს თავს და იგრძნობს კიდეც, თუკი ჩვენ ვიქნებით ისეთი ადამიანები, რომლებიც უპირველესად თავიანთი ზნეობრივი მხარის დაკმაყოფილებას ესწრაფვიან“; „ანგელოზო ჩემო! რა საოცარი ხარ! შენი წერილები, განსაკუთრებით გუშინდელი, ოლიკო, ჩემთვის არის ნამდვილი წყარო, საიდანაც ვღებულობ ძალასაც და იმედსაც. ყოველი შენი სიტყვა სიცოცხლის მომნიჭებელი ცვარ-ნამი არის ჩემთვის. აი, ამიტომ მწყურია ხოლმე შენი წერილები. მე შენად არ ვღირვარ, შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ. არ გეფარისევლები, შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გამოვსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალობა იქნება. რა ჭკვიანი მყავხარ! როგორი ალერსითა და სინაზით მამცნევ ხოლმე ჩემს შეცდომებს! აი კიდევ ახალი ალმასი შენს სხვა ღირსებათა შორის“; „ეს რა გამიჩნდი? დაილოცა ის საათი, როცა მე შენ შეგხვდი. ღმერთმა უშენოდ ერთი საათიც ნუ მაცოცხლოს... ან რატომ უნდა ვიცოცხლო უშენოდ. მე ხომ ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე, სხვანაირად რომ ვთქვა, — მანამდე დამზრალი ვიყავ, ჩემო მეგობარო, — შენ გამომეცხადე და მე დავიწყე სულით აღვსილი ნამდვილი ცხოვრება. უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, თუნდაც მინდოდეს. ცხოვრება ხომ ჩემთვის არსებითად შენა ხარ, ხოლო ცხოვრების გარეშე შეიძლება სიცოცხლე? ტყუილად კი არ გიწოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შე-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1961 წ., ტ. X, გვ. 176.

** იქვე, გვ. 537.

ეძლო ის გაეკეთებინა, რაც შენ ჰქმენ, ჩემო მშვენიერო და კეთილო გენიავ!“ „ეს სულელი პოეტები კი. საფოთი დაწყებული და კერესელიძით გათავებული, უპატივცემულეს საზოგადოებას არწმუნებენ, რომ ამ სურვილებში, ამ თრთოლვაში, შიშში, არისო ბედნიერება. ერთი არაფერი მინდოდა — ჩემს ადგილზე და ჩემს ასლანდელ მდგომარეობაში ყოფილიყვნენ ისინი ჩავარდნილნი. მაშინ ვნახავდი, როგორ მოატყუებდნენ ხალხს. მაშინ სულ სხვა ყაიდაზე იმღერებდნენ. ღმერთმანი, ვერ მომისაზრებია, როგორ გამოვიდე ამ მდგომარეობიდან? შენ რასა ფიქრობ? ისე ვარ დაბნეული, გაწვალებული და გამომწყვდეული, რომ ჩემი თავიც კი მეჯავრება; ბედნიერება, იცი, როდის არის ძვირფასი? როცა მას ბრძოლით ჰპოვებ. ტანჯვით იყიდი, როგორც პოეტები ამბობენ ხოლმე. გამარჯვება წინააღმდეგობის გარეშე გამარჯვება არ არისო, ასე ამბობენ მხედართმთავრები. ჩვენც ხომ გვიხდება პატარ-პატარა წინააღმდეგობების დაძლევა, დავძლიოთ კიდევ. ჩემო მეგობარო! ღმერთმა იმიტომ მოგვცა გრძნობები, რომ იმით ჩვენი სიცოცხლე გავითბოთ, რომ მისთვის ვიბრძოლოთ და გავიმარჯვოთ. ეს ბრძოლა, როგორც უნდა დასრულდეს, მაინც ადამიანისათვის ღირსების მიმნიშველია და თვით დამარცხების დროსაც სასახელოა“*.

განა ყოველივე ეს უმშვენიერესი პოეზია არ არის? როცა ისმენ ამ მაღალ სულიერ ღაღადისს, რომელშიც არა ერთი საოცარი წინათგრძნობაა ჩაქსოვილი, შეუძლებელია გულმა ღელვა არ განიცადოს და უღრმესი სიყვარულით არ განიმსჭვალო ჰაბუკი პოეტისადმი. სულის მართლაც რა კეთილშობილება და გრძნობის რა სინატიფე! რა ნათელი აზრები, როგორი თავგამეტება, რამდენი ადამიანობა გამოსჭვივის თვითეული სტრიქონიდან! როგორი სიმართლით ისახება მომავალი ცხოვრება, როგორც ბრძოლისა და შრომის სარბიელი! რა შესანიშნავი ანალიტიკური მსჯელობითაა ზღვარდებული სიცოცხლე და ცხოვრება! რა მართალი თვალსაზრისია შეუღლების არსებასა და დანიშნულებაზე! როგორი ქებათა-ქებაა ზნეობრივი სისპეტაკისა, გონიერებისა და მართალი გულისა! ყველაფერი ეს რა დიდ სიმდიდრედ არის მიჩნეული, ხოლო ადამიანური ბედნიერებისათვის რა აუცილებელ ინგრედიენტად! სიყვარული რა სწორად არის დასახული ადამიანის ძალისა და იმედის წყაროდ, მოქმედების შთამაგონებლად, ცხოვრების უმშვენიერეს გვირგვინად და არა მარტო ოცნების ოკეანედ, რომელშიც ყველა შეაცურებს თავისი ბედნიერების ნავს! ყველას როდი ძალუძს საყვარელი არსება კეთილ გენიად დასახოს და მისთვის ბრძოლის ველზე რაინდული თავგამეტებით გამოვიდეს! ამისათვის კეთილშობილი სული, ამაღლებული გრძნობა და სპეტაკი გული საჭირო! ასეთი რაინდის დამარცხებაც კი სასახელო გამარჯვების მედალიონია, რომელიც ღირსეული პიროვნების მიმზიდველ სახელს აღნიშნავს.

ყოველივე ეს კარგად ჰქონდა შეგნებული, როგორც ილიას წერილებიდან ჩანს, ოლღა გურამიშვილს: იგი ნდობით მოეკიდა ილიას მართალ გრძნობებს და, მიუხედავად მამის მხრივ გარკვეული წინააღმდეგობისა, თავისი

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 176—229 (ეს ამონაწერი ამოკრებილია ილიას სხვადასხვა წერილიდან, რომლებიც ხსენებულ გვერდთა შორისაა მოთავსებული).

ბედი სამუდამოდ დაუკავშირა თერგდალეულების ახალგაზრდა ბელადს.

1863 წლის 21 აპრილს აღსრულდა პოეტის დიდი წადილი: ამ დღეს ილია ჭავჭავაძე და ოლღა გურამიშვილი შეუღლდნენ. ყველაფერს, რასაც სატრფიალო ბარათებში წერდა, ილია სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ასრულებდა, ხოლო ოლღა ნამდვილად ის აღმოჩნდა. რისი იმედიც მის მეუღლეს არასოდეს დაუკარგავს.

ამ ქორწინების რამდენიმე საინტერესო ფაქტი გადმოცემული აქვს გიგა ყიფშიძეს. თავსმდებლებად ილიას მხრივ ყოფილან დავით ქაიხოსროძე ყიფიანი და ნიკოლოზ დიმიტრიძე ჭავჭავაძე, ხოლო ოლღასი — ფიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი ილია ზაალის ძე ჩოლოყაევი (ჩოლოყაშვილი) და კოლექსკი ასესორი თავადი სულხან ნიკოლოზის ძე თუმანოვი (თუმანიშვილი). ეს ცნობა ილიას პირველ ბიოგრაფს ამოუკითხავს საეკლესიო საბუთებში. სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ახლად შეუღლებულებისათვის ჯვარი დაუწერია ნიკოლოზ არდაზიანოვს*. როგორც გიგა ყიფშიძე აღნიშნავს, ჯვრის წერა მოშხდარა „სამების ეკლესიაში ყოვლის ცერემონიის გარეშე. სულ ორის ეტლით მისულან მეფე-დედოფალი და მეჯვარენი. ნათესაობა სულ არავინ ყოფილა, არც ქალისა და არც ვაჟის მხრივ. ეტყობა თადეოზ გურამიშვილს, დიდ და ვაროზ მემამულეს, სასიამოვნოდ არ დარჩენია, რომ მისი ქალი შეირთო მცირე მამულ-დედულის პატრონმა ჭავჭავაძემ"**. თადეოზი მხოლოდ გვიან შერიგებია თავისი ქალის არჩევანს, როცა უგრძვნია, თუ შეუტყვია სიძის ნამდვილი ღირსებანი. მაგრამ თავიდანვე სიძე-სიმამრს შორის დამოკიდებულება რომ სავსებით ნორმალური არ იყო, ეს თვით ილიას კერძო წერილებიდანაც სრულიად აშკარაა.

თვით ოლღა კი თავდადებული მეუღლე შეიქნა. გიგა ყიფშიძე აღნიშნავს, რომ „...მეუღლე ილიასი აღმოჩნდა ყოვლად კეთილი, საონო ხასიათის ადამიანი, ქველის-მომქმედი, ყოვლის კეთილის თანამგრძნობელი, დიდად მოსიყვარულე თავისის სახელოვანის ქმრისა და მაღმერთებელი მისის ნიჭისა. სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა ოლღა ილიას და თავისნი დღენი იმას სცდილობდა, მისი საწყენი და უსიამოვნო არა მოექმედნა რა"***. მზრუნველი მეუღლის „...საონო ხასიათს, — განაგრძობს გიგა ყიფშიძე, — ილიაც საკმაგიეროდ დიდად აფასებდა და სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა თავის ოლღას, რომელსაც უძღვნა თავისი ხელით გადაწერილი კრებული თავის ლექსებისა და უკეთესი ნაწარმოებები, სახელდობრ „განდეგილი" — ეს გვირგვინი მისის პოეტურის შემოქმედებისა".****

ოლღას დახასიათებას ჩვენ სხვა ადგილსაც ვეხებით, მაგრამ აქ გვინდა ერთი მომენტი გავიხსენოთ. როგორც ყველა აღნიშნავს, ბუნებით საონო, გარეგნულადაც მიმზიდველი ოლღა გურამიშვილი, ნამდვილად ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც განათლება ინსტიტუტში ჰქონდა მიღებული, თავიდანვე

---

* ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXX.

** იქვე, გვ. XXXI.

*** იქვე.

**** იქვე, გვ. XXXII.

მიუხვდა თავისი ცხოვრების ერთგულ მეგობარს ფიქრებსა და ზრახვებს. 20 წლის ქალიშვილი იყო, როცა ბედი დაუკავშირა ახალგაზრდა პოეტს და მთელი ცხოვრებაც მას შესწირა. პირდაპირ იდეალური პირობები შეუქმნა მეუღლეს, რომ ნაყოფიერად ემუშავნა ერის საკეთილდღეოდ. „როცა ილია სწერდა და თავის ოთახში მუშაობდა, — ამბობს გიგა ყიფშიძე, — სახლში ჩამი-ჩუმი არ ისმოდა, სასტიკი მდუმარება იყო გამეფებული, ოღონდ წყალობით, და არავის შეეძლო ხმაურობა რამ აეტეხნა. თვითონაც სულ ფეხაკრეფით დადიოდა ოთახებში, რომ მცირედმა ხმაურობამაც კი არ დაუშალოს ილიას წერა, გონებრივი მუშაობაო“*. და ეს იმ დროს, როცა ილიას მეგობრებს** ეშინოდათ — დაკორწინების შემდეგ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორმა ჟურნალი არ მიატოვოსო.

მაგრამ ილია მთელი არსებით იყო ჩაბმული რედაქტორ-გამომცემლის მომქანცველ საქმიანობაში. მან მოაწესრიგა ჟურნალის დაუგვიანებლად გამოსვლის საკითხი (პირველი ნომრები, სტამბისა და ცენზორის მიზეზით, დაგვიანებით გამოვიდა), მაგრამ, როგორც მითითებული გვაქვს, „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება, უკანასკნელი მე-12 ნომრის შემდეგ მისი გამოცემა შეწყდა.

თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ილია ჭავჭავაძეს თავისი ახლად ფეხადგმული ჟურნალის გამოცემა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ უკვე ტრადიციის მქონე ძველი ორგანოს — „ცისკრის“ მაშინდელი მდგომარეობით. 60-იან წლებში „ცისკრის“ მდგომარეობას იონა მეუხარგია ასე ახასიათებს: „ცისკარი“ კი იბეჭდებოდა, მაგრამ ჟურნალს მკითხველი არ ჰყავდა. დაბეჭდილ ნომრებს რედაქტორი თვითონ უგზავნიდა გაეცნოთ, მწერლობის მოყვარე ნაცნობებს: გრიგოლ ორბელიანს, გიორგი მუხრან-ბატონს, მიხეილ თუმანიშვილს, კოლხიდელს, პლატონ იოსელიანს და მათი შემწეობით დიდი გაჭირვებით არსებობდა ის თვითონ, მისი მესტამბეები და მისი ჟურნალი. თანამშრომლებისათვის ფული არ მოეძებნა რედაქტორს და არც იყო მოსალოდნელი ახლო მომავალში, რადგანაც საზოგადო ცხოვრების პირობები ასეთი იყო მაშინ საქართველოში“.***

ამგვარ უმწეო პირობებში გამოდიოდა „ცისკარი“, მაშინ ერთადერთი ჟურნალი, რომელსაც წლების გამოცდილება, ტრადიცია, სახელი ჰქონდა. აღვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქნებოდა ახალი ორგანო, რომელიც ფეხს პირველად იდგამდა. საზოგადოებრივი ინდიფერენტიზმი „ცისკრისადმი“, გარკვეული პირობით, უთუოდ დაარღვია „საქართველოს მოამბემ“ თავისი მებრძოლი განწყობილებითა და პროგრესული შეხედულებებით. მაგრამ ეს როდი იყო საკმარისი. რომ ინდიფერენტიზმს ბოლო მოღებოდა, ჟურნალებს საარსებო საშუალებანი გასჩენოდათ, თუმცა დრო ხელსაყრელი ჩანდა.

ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთში საგლეხო რეფორმის შემ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXI.

** იხ. „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., ეკატერინე გაბაშვილის „მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე“, გვ. 113, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველოს მოამბის“ გამოცემაში მონაწილეობას იღებდნენ პეტრე ნაკაშიძე, ჩიკოიძე, დავით ყიფიანი, დიმიტრი უაზბეგი და სხვ.

*** იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 183.

დეგ (1861 წელი) საქართველოშიც პირობები მზადდებოდა ბატონყმობის გაუქმებისათვის. ანალოგიური რეფორმა საქართველოში 1864 წელს განხორციელდა. სწორედ ამ წლის დასაწყისში „ნივთიერ საღარის მოსაპოვებლად“ ილია ჭავჭავაძე სამხარეს იწყებს. პოეტი იგზავნება დასავლეთ საქართველოში (იმერეთში), „ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ცალკე მინდობილობათა მოხელედ“. მას დავალებული ჰქონდა გამოერკვია და შეესწავლა ის ურთიერთობანი, რაც ბატონყმობის შედეგად დამკვიდრებული იყო მემამულეთა და გლეხთა შორის. ილიამ ისეთი პოზიცია დაიკავა, ისე იცავდა გლეხთა ინტერესებს, რომ ადგილობრივ თავად-აზნაურთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ამ ფაქტს თვით ილია აღნიშნავს მეუღლისადმი 1864 წლის 22 მაისს ქუთაისიდან გამოგზავნილ წერილში: „...ჩვენი მოსვლა (ქუთაისში — გ. ჯ.) ვერაფრად ეჭაშნიკათ, „აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, ჩვენი ყმების წამრთმეველებიო“. ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებსა ჰყრიან, რადგანაც მე აქაური არა ვარ და იმათი ფიქრით, სხვა ქვეყნიდამ ვარ მოსული“.* ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „კაცია-ადამიანის“, „კაკო ყაჩაღის“ ავტორს, ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეებზე აღზრდილს, შეუძლებელი იყო ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტის წინააღმდეგ მთელი არსებით არ გაელაშქრა პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროშიც. ამას გვიდასტურებს ქრისტეფორე მამაცაშვილი, თავის ბცირე მოგონებაში — „ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდამ“. ამ მოგონებაში გადმოცემულია ორი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომლებიც ბატონყმობის გაუქმების დროიდანაა აღებული.

საგლეხო რეფორმასთან დაკავშირებით, საქართველოშიც დაარსებული იყო თავად-აზნაურთა კომიტეტი. ვიდრე ეს კომიტეტი რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდა, საგუბერნიო მარშალს დ. ი. ყიფიანს ზოგიერთი წარჩინებული პირისათვის უთხოვნია წერილობით გამოეთქვა აზრი — გლეხობა მიწიანად გათავისუფლებულიყო, თუ უმიწოდ. ქრისტეფორე მამაცაშვილის აზრით, „შეკითხული პირებისაგან მარტო ორმა: იოსებმა და კონსტანტინე მამაცაშვილებმა უპასუხეს დ. ყიფიანს, რომ გლეხები მიწიანად უნდა განთავისუფლდნენო“. ასეთ ვითარებაში, ცხადია, კომიტეტმა დაადგინა გლეხების უმიწოდ გათავისუფლება და მოიწვია თავად-აზნაურთა საგანგებო კრება. წაკითხეს ოქმები და დაიწყო კამათი. ამ კამათის დროს, „წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, — წერს ქრისტეფორე მამაცაშვილი, — და ხმა მაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცესო. კრების უმეტესობა ამ კადნიერმა აზრმა აააფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ლანძღვა-გინებით ილიასკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივს-ძლივობით გაიყვანეს კრებიდან“.** მდგომარეობა იმდენად გამწვავებულა, რომ ილიას მეგობრებს გადაუწყვეტიათ მეთვალყურეობა დაეწესებინათ ახალგაზრდა პოეტის დასაცავად. ქრისტეფორე მამაცაშვილი

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 239.

** ქრისტეფორე მამაცაშვილი, ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდამ, იხ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 67.

წერს: „მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა ტფილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარშემოვერტყათ და ბატონყმობის ძოსპობის საქმე დავიცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ან. ფურცელაძე და წერილის ავტორიც მუდმივ შორი ახლოს მივსდევდით ილიას და შზათ ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი“.*

ქრისტეფორე მამაცაშვილი გადმოგვცემს მეორე შემთხვევასაც, როცა ილია შეუპოვრად იცავს გლეხის მიწიანად გათავისუფლების აზრს და ებრძვის თავადაზნაურობას. თუ რა ძალა აქვს ყოველ მის სიტყვას, ნათლად მოწმობს შემდეგი ფაქტი: „მეორე კრებაზე,—წერს ქრისტეფორე მამაცაშვილი, — გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენ. ლეიტ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოთ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავად აზნაურობა მიემხრობაო, მიწიანად კი — მხოლოდ ორიოდე კაცუნაო. ილია ჰავჭავაძემ ორატორს ხელი ტაცა, მოაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შესცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა „რამდენიმე კაცი“.**

ასე მოახდევინა ბოდიში ახალგაზრდა პოეტმა საკმაოდ ხანდაზმულ თავადს, გენერალ-ლეიტენანტის მუნდირით. რომელსაც შემდეგ „გამოცანებში“ მაგარი სილაც გააწნა.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ ქრისტეფორე მამაცაშვილის მოგონებიდან დაწკვნითს სტრიქონებსაც: „ილია გრიგოლის ძე თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადარჩა სიკვდილს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო და შემდეგშიაც არასდროს არ უღალატნია თავის რწმენისათვის. განსვენებული მგოსანი მუდმივი მომხრე იყო წოდებრივ გათანასწორებისა“.***

ილია ჰავჭავაძე რომ ნამდვილად ბატონყმობის გადავარდნის მომხრე იყო, ამასთან მოითხოვდა გლეხის მიწიანად გათავისუფლებას, მოწმობენ მასთან დაახლოებული სხვა პირების მოგონებანიც. მოვიტანთ ზოგიერთ მათგანს: „ილია ჯერ სრულიად ახალგაზრდა მოსულა ჩვენ მამებთან და უთქვამს: „ძმებო. ბატონ-ყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება, მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჯი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთ“.— გახარებულმა ბევრი გველაპარაკა და თანაც საბუთი მოგვცა და წავიდა“;**** „როდესაც ილია ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხებს შებატონებიდან სანადელო მიწებს ურიგებდა, მაშინ ათასაუნიანი თოკი გვეჭირა ხელში და ილია გლეხებს მხარდამხარ მოგვდევდაო, — გვიამბობს პაპიაშვილი, — ჩვენთან ერთად იყვნენ თავადები, აზნაურები, მათი ქალბატონები და მღვდლებიც კი. თავად-აზნაურობა ყოველ ბიჯზე ილიას აყალმაყალს უტეხდა. კბილების ღრჭენით მოგვიბრუნდებოდნენ და გვეტყოდნენ: „ო-ი, და-და-და-და,

---

* ქრისტეფორე მამაცაშვილი, ეპიზოდი ილია ჰავჭავაძის ცხოვრებიდამ, იხ. „ილია ჰავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 67.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 68.

**** „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., გვ. 173, შ. შამანაური, „ცოტა რამ ილია ჰავჭავაძეზე“.

ოქვე ბუგრიანებო, რა დღეს ველირსეთ, რო თქვენ ჩვენ მიწებს იზომავთო!... გვაბსოვს, ერთხელ ილიამ სიცილით უთხრა ხვლეპუზა შაბურიშვილს, „დადგება დრო, რო გლეხკაცებს დარჩებათ თქვენი ველებიც და ტყეებიცო“. აყაყანდებოდნენ მებატონეები, ილია თვალს ჩაგვიკრავდა და გვანიშნებდა. გასწით ბიჭებო თოკსაო, თავს მაღლა აიღებდა და ჩუმათ ჩაიცინებდა გადახტითო... ასე რომ ილიამ იცოდა, რომ დღიურს ორი კაბდო ემატებოდა და საზღვარიც იქ ჩავარდებოდა, გვიხაროდა, გვიხაროდა და შეგეიყვარდა „გადახტი ბატონი“, ესე დავარქვით მაშინ, როცა ილია დუშეთში „მირაოი პოსრედ-ნიკად“ იყო“.*

დუშეთში მომრიგებელ შუამავლად (შუაკაცად, როგორც თვითონ უწოდებს). ილია დაინიშნა 1864 წლის ბოლოს, როცა აღმოსავლეთ საქართველოში (ამერეთში) ბატონყმობა მოისპო. როგორც გიგა ყიფშიძე აღნიშნავს, „ბარონ ნიკოლაიმ, მაშინდელმა უფროსმა ხელმწიფის მოადგილის საბჭოსამ, შემდეგ სწავლა-განათლების მინისტრმა და კარგმა მცოდნემ საზოგადოდ კავკასიის ცხოვრებისამ, მიულოცა, სხვათა შორის, ილიასაც ახალი, ფრიად გულ-მისავალი თანამდებობა მომრიგებელის შუაკაცობისა და უთხრა: იმედი მაქვს დაამტკიცებთ, რომ ახალგაზრდობა ნაკლულევანება კი არ არის, არამედ ღირსებააო... ილიას თხოვნა აღარ უნდოდა. თითონაც მოწადინებული იყო, კარგად ჩაჰკვირვებოდა ახლად გაჩენილ ურთიერთობას ნაყმევთა და ნაბატონართა შორის და, რამდენადაც კი შეიძლებოდა, ხელი შეეწყო მათის მშვიდობიანის ცხოვრებისათვის“.**

მომრიგებელი შუამავლის მოვალეობას ილია მისთვის ჩვეული გულ‘ოდგინებით ასრულებდა. მთავარი იყო ხალხის ცხოვრების ღრმად გაცნობა, მისი ჭირ-ვარამის უშუალოდ შესწავლა. ამ დროს ილია მართლაც ხშირად იმყოფება გლეხებთან. ხშირად ებაასება „...თავის „ჭკვიან პეტრეს“, კეთილს გაბრიელ, გამოყეყეჩებულს გლახა ჭრიაშვილს, თავის ნაცნობ მოხევეს, რადგან ხევ-გუდამაყარიც მის რაიონში იყო, იმ მოხევეს, რომელმაც ისე ჩააფიქრა, ისე დაანაღვლიანა თავის ლაპარაკით მაშინ, როცა პირველად შეხვდა დარიალის ხეობაში რუსეთიდან ახლად დაბრუნებული“.*** ყოველივე ეს ფრიად მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა მწერლისათვის, რომელმაც ცხოვრების მიზნად ხალხის სამსახური დაისახა.

დუშეთში შუაკაცის მოვალეობას ილია ასრულებდა 1868 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე კავკასიაში სასამართლოს რეფორმა გატარდებოდა. როცა 1868 წელს ხსენებული რეფორმა გაატარეს, ილიას იქვე, დუშეთში მიეცდო მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა. როგორც ისტორიული მასალები მოწმობენ, ილია არაჩვეულებრივი კეთილსინდისიერებითა და მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას. გლეხების მოსარჩლე, მათი დიდი გულშემატკივარი, იგი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გაჭირვებულ სოფლის მშრომელებს მიშველებოდა, დახმარებოდა, არამარტო რჩევა-

---

* „ლიტერატურის მატიანე“, 1-2, 1940 წ., გვ. 175, ტ. პაპიაშვილის წერილი —„გადახტი ბატონი“.

** ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXIII.

*** იქვე.

დარიგება მიეცა, არამედ. ყველაზე დავრდომილისათვის მატერიალური შემწეობაც გაეწია.*

ჩვენამდე მოღწეული განაჩენები, რომლებიც ილიას მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს გამოუტანია, სავსებით ადასტურებენ, თუ რა ობიექტურობითა და სიმართლით წყვეტდა იგი საკითხებს, როგორ იცავდა წერა-კითხვის უცოდინარ გლეხს ყოფილი მებატონეების, მემამულეების ძალმომრეობისაგან, როგორ ებრძოდა უსამართლობას, რათა პრაქტიკულადაც განეხორციელებინა დიდი იდეალი „მაშვრალის განკაცებისა“, პოეტურ შემოქმედებაში რომ ასე ღრმა შთაგონებით განასახიერა. 1868 წლის 4 ოქტომბერს ილიას გამოაქვს განაჩენი სახაზინო გლეხის — ნინიკა თომაშვილის საჩივრის გამო აზნაურ ჩრდილელის საქმეზე (ამ უკანასკნელმა თავის სახაზინო გლეხს ბარგი გამოუყარა სახლიდან) და ბრალდებულს ორი კვირით პატიმრებს.** საინტერესოა გლეხ გიო წულიაშვილის საქმეზე 1869 წლის 18 სექტემბერს გამოტანილი განაჩენიც. ამ საქმის ოქმი თვით ილიას შეუდგენია, ხოლო განაჩენში ნათქვამია, რომ აზნაური იოსებ კლიმიაშვილი, რომელსაც საჩივარი აღძრა გლეხ წულიაშვილზე, დამნაშავეა, ვინაიდან, მას პირველს დაურტყამს გლეხისათვის, ხოლო გლეხს აზნაურის წინააღმდეგ ფიზიკური ძალა მხოლოდ შემდეგ გამოუყენებია. ილია ადგენს: გლეხი გიო წულიაშვილი გათავისუფლდეს ყოველგვარი სასჯელისაგან ზემოაღნიშნული ბრალდების გამო, ხოლო სასამართლო ხარჯები დაეკისროს მომჩივანს. აზნაურ იოსებ კლიმიაშვილს, „როგორც უპატიოსნო ბრალმდებელს“ («как на недобросовестного обвинителя»).***

აქაც და ყველგან ჩანს, თუ როგორ იცავს დაჩაგრული, უსწავლელი, მშიერ-მწყურვალი, შრომისაგან ილაჯწართმეული გლეხის ინტერესებს ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი ილია ჭავჭავაძე და როგორ ებრძვის ძალაუფლების მქონე, ნასწავლი. მაძღარი და უშრომლად გალაღებული თავადაზნაურების ძალმომრეობას. სწორედ ამიტომ მომრიგებელ მოსამართლედ ილიას მუშაობით გლეხობა კმაყოფილი იყო, ხოლო თავად-აზნაურობა ცოფს ჰყრიდა, რასაც ჩვენ სხვა ადგილას ვეხებით.

ილიამ ასეთივე პოზიცია დაიკავა დროებით ვალდებული გლეხის გოგილა შიოს-ძე ეკალაძის საქმის გარჩევის დროს აზნაურების — ზურაბ და ეგიაზარ სოლომონის-ძე ალექსიშვილების წინააღმდეგ. აზნაურ ალექსიშვილებს დროებით ვალდებული გლეხის — გოგილა ეკალაძის მიერ დამუშავებული მიწიდან თვითნებურად გაჰოუტახიათ 40 ძნა, გლეხის სურვილის წინააღმდეგ. ილია ამ საქმესაც, როგორც ზემოთმოხსენებულებს, საჯაროდ იხილავს და 1870 წლის 10 ნოემბერს გამოაქვს განაჩენი: აზნაურები ზურაბ და ეგიაზარ ალექსიშვილები

---

* იხ. ლიტერატურული ეზეუმის მიერ 1937 წელს შეგროვილი მასალები სათაურით: „საგურამოელი გლეხები ილია ჭავჭავაძის შესახებ“, „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., გვ. 198—218.

** „საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 186—191.

*** იქვე, გვ. 188.

ბ დღით დაპატიმრებულ იქნან დუშეთის სატუსაღოში. გადახდეთ მათ 12 მანეთი გლეხის—გოგილა ეკალაძის სასარგებლოდ და ალექსიშვილებსვე დაეკისროთ სასამართლო ხარჯები.*

თავად-აზნაურთა ძალმომრეობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი და გლეხთა ინტერესების ასევე თავგამოდებული დამცველი ილია ჭავჭავაძე მკაცრად სჯის თავად გიორგი ივანეს-ძე ხიმშიაშვილს. რომელმაც სცემა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა გლეხს დათიკა წამალაძეს. ხსენებულ საქმეზე 1872 წლის 11 ნოემბერს ილიას გაჰოაქვს განაჩენი: თავადი გიორგი ივანეს-ძე ხიმშიაშვილი, რომელმაც ერთსა და იმავე დღეს ორჯერ სცემა და დედ-მამა შეაგინა გლეხს დათიკა წამალაძეს, ცნობილ იქნას დამნაშავედ, 3 თვით დაპატიმრებულ იქნას დუშეთის სამაზრო საპატიმროში და მასვე გადახდეს სასამართლო ხარჯები.

ანალოგიურ ფაქტებს ავსებენ ნიკო ოსიტაშვილის მკრეხ მოგონებანიც.** პირველი გვიხატავს ილიას, როგორც ჰუმანისტს საერთოდ, ხოლო მეორე — გლეხობის დამცველს ჩარხ-ვაჭრებისა და მევახშეებისაგან. როცა დუშელ ხომეხ ვაჭარს გლეხ ლალიაშვილისათვის ყალბი ვექსილი წარუდგენია და 60 მანეთის გადახდა მოუთხოვია, ილიას ვექსილი ღვარიონ შეუმოწმებია, დაუდგენია მისი სიყალბე (თარიღთან შედარებით 5 წლით ადრე ყოფილა შედგენილი ყალბი დოკუმენტი), გლეხი გაუმართლებია, ხოლო ვაჭარი პასუხისგებაში მიუცია, როგორც ყალბისმქნელი.*** ილიას გონებამახვილობას ასევე დაუხსნია გლეხი ნასყიდა პაპაშვილიც შუბრანელი შევახშისაგან, რომელსაც თავისი მსხვერპლი მოუტყუებია და ცდილობდა მისგან მეორეც აეღო გასესხებული ფული. ილიასადმი გლეხობის სიყვარულს გვიდასტურებს იმავე გლეხის — ნასყიდა პაპაშვილის სიტყვები: ერთთელ მჭონდა იმ ქარაგულ სუდიასთან (ე. ი. ილიასთან — გ. ჯ.) საქმე, იმის შემდეგაც ბევრჯერ ვიყავი სასამართლოებში დაბარებული და მისი მსგავსი ვეღარავინა ენახე, როგორც ის შობელცხონებული იყო.****

ასე სჯიდა მაშვრალის ნემეზიდა, რომელსაც პოეტურ სიმღერებში განდიდებული საკაცობრიო იდეალები შეუპოვრად გადაჰქონდა პრაქტიკული ცხოვრების აზვირთებულ ოკეანეში.

მაგრამ იყო ადამიანური შეცდომებიც.

იონა მეუნარგია წერს: „...ერთხელ ილიამ ერთი ძმის მაგიერ მეორე გაასამართლა და საპატიმროში ჩასვა.

ვიღაც ზაქარიას ბრალდებოდა ხეების მოპარვა. საქმის გარჩევის დროს მოსამართლემ ბრალდებულის გვარი მოიკითხა.

---

* „საისტორიო მოამბე", № 3, 1947 წ., გვ. 189.

** ორი მოგონება, მოთავსებული „ლიტერატურულ მემკვიდრეობაში", I, 1935 წ., გვ. 566—569.

*** იქვე, გვ. 567.

**** იქვე, გვ. 569.

— მე გახლავარ, ბატონო, — წამოიძახა გლეხმა.

— შენ წაიღე ხეები?

— დიახ, ბატონო, წავიღე.

რაკი დანაშაული ეპქვს გარეშე იყო, იქვე განჩინება დაწერე და ბრალდებული საპატიმროში გავგზავნე. ჯერ კიდევ საპატიმროში ყოფნა არ გაეთავებინა დასჯილს, რომ ჩემთან მოვიდა მისი ძმა.

— შენ ვინა ხარ?

— ესა და ეს ზაქარია გახლავარ, ბატონო!

— როგორ ზაქარია, ის ხომ ციხეში არის?

— არა, შენი ჭირიმე, ციხეში ჩემი ძმა გავგზავნე. მე საქმეები მქონდა ქალაქში და არ მეცალაო, — უპასუხა გლეხკაცმა".*

ყოველ შემთხვევაში, დუშეთს მუშაობამ ილიას ბევრი რამ შესძინა, როგორც პრაქტიკულ მოღვაწესა და მოაზროვნეს.



ილია ჭავჭავაძე დუშეთის ინტელიგენტთა შორის (1873 წ.)

დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს ილიას ჰქონია ერთი საინტერესო შემთხვევა, რომელიც თვითონვე უამბნია იონა მეუნარგიასათვის. ეს ნაამბობი მეუნარგიას ასე აქვს გადმოცემული: „— მოსამართლედ რომ ვიყავი, ერთი გლეხი მიწას ედავებოდა ყაზბეგს. — - ბატონო, მიწა ჩემია, თეიმურაზ მეფის დროსა მაქვს ნაყიდი, მოწმეცა მყავს და ახლა ყაზბეგი მართმევს, მიშველე, დამიფარეო, — შემომჩივლა გლეხმა.

მე დავიბარე გლეხისაგან ნახსენები მოწმე.

— შენ მოწმე ხარ, რომ ესა და ეს მიწა ამ გლეხსა აქვს ნაყიდი თეიმურაზ მეფის დროს?

— დიახ, შენი ჭირიმე, მოწმე ვარ, თუნდ დამაფიცეთ, ფრჩხილის საკვეთი ამიღია.

თურმე ძველი ჩვეულება ყოფილა, როცა მიწას იყიდდა ვინმე, დამსწრე მოწმეს ფრჩხილს მოსჭრიდნენ — ამისათვის გასაძრჯელოს აძლევდნენ იმას და

* იონა მეუნარგია. ქართული მწერლები, II, 1944 წ., გვ. 167.

ეს მოწმე ვალდებული იყო უფროსი შვილისათვის ეამბნა ამ ნასყიდობის ამბავი. შვილი შვილიშვილს გადასცემდა და ამგვარად ნასყიდობის ისტორია გადადიოდა მოდგმიდან მოდგმაზე. თუ კისმეს შვილი არ ეყოლებოდა, იმათთვის უნდა ეამბნა, ვინც გვაროში უფროსი იქნებოდა.

ილიას ეს ჩვეულება მეტად არ გაეგონა, ძლიერ მოეწონა და მოწმის ჩვენების თანახმად სადავო მიწა გლეხს მიუსაჯა.

ყაზბეგმა აპელაცია გადაიტანა, საცა წერდა: მომრიგებელმა მოსაძართლემ მკვდრები ააყენა მიწიდან და ჩვენება ჩამოართვაო, Мертвых допрашивает-о.

ამაზე ილია იტყოდა: ბაბილონში აგურზე იპოვეს წარწერა, ესა და ეს მაშული ნასყიდია და ამ ნასყიდობის მოწმეა ეს და ეს, რომლის ფრჩხილი ამ აგურში არისო. გატეხეს აგური და შიგ ფრჩხილი ნახესო".*

ეს ქართული „ფრჩხილის საკვეთი" და მისი ანალოგიის ძიება სხვა ხალხების ისტორიაში შემთხვევითი არ არის. ილია მოხუცებულობის დროსაც დაუღალავად მუშაობდა, გატაცებით თვალს ადევნებდა ისტორიული მეცნიერების განვითარებას, დაინტერესებული იყო მსოფლიოს ხალხების პრობლემებით, კერძოდ, ეგვიპტის ისტორიით. მრვიტანთ ერთ ფაქტს: 1885 წელს თბილისში გამოვიდა (თვით ავტორმა გამოსცა) ნიკოლოზ ს-ძე გამრეკელის „საქართველოს სიძველენი". რომლის ქვესათაურია: „ეგვიპტელები საქართველოში და ქართველები ეგვიპტეში". მართალია, ხსენებული ნაშრომი მეტად სუსტი და კომპილაციურია, მაგრამ ზოგიერთ საინტერესო ფაქტს ძველი კოლხიდელებისა და ეგვიპტელების ურთიერთობათა ისტორიიდან, რაც რუსმა და ევროპელმა მეცნიერებმა შენიშნეს, მაინც შეიცავს. იმ ხანებში რუსულ ენაზე არაერთი ნაშრომი დაიბეჭდა ეგვიპტის ისტორიის შესახებ. როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური: 1880 წელს გამოვიდა ეგვიპტის მატიანე და ძეგლების კრებული, უფრო ადრე, 1876 წელს — ფრანსუა ლენორმანის სახელმძღვანელო, 1868 წელს დოქტორ ოპელის—„Чудеса древней страны пирамид" და სხვ. საერთოდ, მთელი მე-19 საუკუნე აღმოსავლეთის ხალხთა, განსაკუთრებით ეგვიპტის უძველესი ისტორიით იყო გატაცებული, რაც იმ დროს შამპოლიონის გენიალური აღმოჩენების შემდეგ ბომდევნო საუკუნეში ტუტანხამონის აკლდამის გახსნით დაგვირგვინდა. ჟან ფრანსუა შამპოლიონს მიერ 1822 წელს ეგვიპტური იეროგლიფების პირველმა ამოკითხვამ ეგვიპტოლოგია, როგორც მეცნიერება, იმდენად წინ წასწია, რომ ამ დარგში მთელი გადატრიალება მოხდა. სრული ერთი საუკუნის შემდეგ შამპოლიონის გენიალური აღმოჩენიდან, 1922 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა ჰოვარდ კარტერმა მიაგნო XVIII დინასტიის ერთერთი მეფის—18 წლის ასაკში გარდაცვლილი ტუტანხამონის აკლდამას და მსოფლიო განაცვიფრა მიკვლეული უცნობი მასალებით.**

თუ რა ინტერესით ეკიდებოდა მოხუცი ილია ჭავჭავაძე უძველესი ქვეყნების ისტორიას, მოწმობს მისი ერთი უბის წიგნაკი, რომელიც ჩვენი

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1947 წ., გვ. 186—187.

** ეს მასალები გამოქვეყნებულია წიგნში: Г. Картер. Гробница Тутанхамона, 1959 წ., გვ. 261, ილუსტრაციებით.

ვარკვევით 1904 წელს უნდა განეკუთვნებოდეს. ეტყობა, „ეგვიპტის ისტორიის“ წაკითხვისას ილიას გაუკეთებია შენიშვნები, რომლებიც ძოწმობენ სურვილს: ქართულის საფუძვლები შორეულ წარსულში ეძიოს. სულ გაკეთებულია 24 შენიშვნა. პირველი შეხიშვნა ასეთია: „მზის ხშირი ხსენება ქართულში ეგვიპტიდამ ხომ არ არის შეძოლებული“. და იქვე მიწერილია რიცხვი „207“, ალბათ, „ეგვიპტის ისტორიის“ გვერდის მითითება. დანარჩენი შენიშვნები ასეთია:

„2) ეგვიპტელებიც იხსენიებენ „ცისკარსა“ 207

3) მაათი — ღმერთი მართალისა ეგვიპტელთა 207

4) გული — ეგვიპტელნი 223

5) ძაღლებს ვაჭმევ შენ ხორცსაო — ნახე 229

6) ხუცური და მხედრული — ნახე 232.

7) წერაქვი წერა ქვაზედ ნახე ბაბილონისა და ეგვიპტის მასალა საწერად. ბაბილონში უქვეო ადგილას აგურია და ეგვიპტეში ქვა. 237.

8) ქ — ამ ასოს დასმა დასაწყისში ხომ ნაშთი არ არ არის (ილიას ერთი „არ“ შეცდომით ზედმეტად უხმარია) ლურსმებრივის წერისა. (ნახე 237).

9) ილიუ სუმერიულად ღმერთი — ელია ქართული? (ნახე 239).* ბაალი სემიტელებისა ჰნიშნავს „უფალსა“. აქედამ ხომ არ არის ჩვენი „უფალი“? (ნახე 244).

10) ბედის დამოკიდებულება ვარსკვლავზედ. „ცუდ ვარსკვლავზეა დაბადებული, შენი ვარსკვლავი“ და სხვა (ნახე 246).

11) იამშუზი ბაბილონისა — არმაზი? (ნახე 252).

12) ბაბილონსა და ეგვიპტეში მეფეების მეფობის წლებითა სთვლიდნენ წელიწადებსა. მაგისივე ნიშნებია ქართლის ცხოვრებაში (ნახე 254).

13) კაცისა შეწირვა ფინიკიელთაგან ხომ არ არის? ხახე 260

14) ტურო-თურო-მთორე-მთუარე 261.

15) ლიტერატურულნი სახსოვარნი (ნახე 15).

16) თეორია კურციუსისა ანუ შვიდი ხანა ენის წარმატებისა (ნახე 27; ეს არის გერმანელი მეცნიერი გიორგი კურციუსი — 1820 — 1885 — გ. ჯ.).

17) ფონეტიკური ანბანი 82 232

18) ზენდ — ავესტა 169

19) Басния и заимствования 233

20) ყველა თემს თავისი ხატი 244. 245

21) ფინიკია და ვაჭრობა 256 257

22) სხვერპლი 254. 260

23) Моисей 1491 — 1457

24) ჩინური ლექსი 463 464**

მაგრამ მარტოოდენ ძველი ქვეყნების ისტორია და საქართველოს წარსული როდი იყო ილიას გატაცების საგანი. თანამედროვეობის საკითხები ყოველთვის იპყრობდა მის ყურადღებას, და მოხუცებულობაშიც შეინარჩუნა ეს ინტერესი. ამას გვიდასტურებს ილიას ში-

---

* ფანქრით ილიას ხელითვე მიწერილია 244.

** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდი, № 93. მე-17 შენიშვნიდან ნაწერია ფანქრით, მანამდე — მელნით.

ერ გაკეთებული გამოჩენილ მეცნიერთა შრომების ვრცელი ამონაწერები. კერძოდ. ასეთი ამონაწერები მას გაუკეთებია სოციოლოგთა 1895 წლის კონგრესის მასალებიდან. წაუკითხავს პაულ ვაიდენგრუნის „Das Ende des Marxismus" და შენიშვნები ჩაუწერია. ვრცელი ამონაწერებია გაკეთებული მარქსის, შტამლერის, ბერნშტაინის, ზომბარტის, ლასალის, ბიუხერის შრომებიდან.*

ილიას ძალიან დიდხანს ჰოუდა დუშეთში მუშაობა — 1864 წლიდან— 1873 წლამდე. მართალია, ჰოველი ამ ხნის მახვილზე ის ლიტერატურულ ცხოვრებას მოწყვეტილი არ იყო, მუშაობდა ადრინდელი თხზულებების რედაქციაზე, წერდა ახალ ნაწარმოებებს, აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს; იმასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უფრო ღრმად შეისწავლა ხალხის, განსაკუთრებით გლეხობის, ცხოვრება, რაც შესანიშნავად გამოიყენა მომავალ სამწერლო მოღვაწეობაში (სცენები, პოეზია, პროზა, პუბლიცისტიკა), მაგრამ ყოველივე ეს მაინც ვერ აკმაყოფილებდა დიდი პოეტის შინაგან მოწოდებას. დუშეთში მისი ცხოვრება საკმაოდ მძიმე იყო. იმდროინდელ კერძო წერილებში მეუღლისადმი ილია ხშირად უჩივის თავის არახელსაყრელ შდგომარეობას, მოუწესრიგებელ პირობებს, საცხოვრებელი ბინის უქონლობას („ექვსი კაცი ერთ ოთახში ვდგევართო", 1868 წელს), მატერიალურ სივიწროვეს, მარტოობას და ა. შ. პირდაპირ დანაშაულს წარმოადგენდა, რომ ასეთი დიდი მოღვაწე, თავისი ერის სულიერი და პრაქტიკული ცხოვრებისათვის ესოდენ საჭირო ადამიანი, რომლის შესაძლებლობათა მასშტაბს მაშინაც ტოლი არ ჰყავდა, პროვინციაში იყო ჩაკეტილი.

თუ რას განიცდიდა პოეტი, როგორც შემოქმედი ადამიანი, როგორ ეშლებოდა ხელი ნაყოფიერ მუშაობაში, ნათლად გვიჩვენებს 1872 წლის ივნისში პეტრე უმიკაშვილისადმი გაგზავნილი წერილი. „ახალის რისაც ვეპოგზავნას მენუკვი, — სწერს ილია პეტრე უმიკაშვილს, — მაგრამ ახალი მე გათავებული. ანუ უკეთ ვსთქვა, შესრულებული არა მაქვს რა, რომ დასაბეჭდად ღირსი იყოს. გაგიკვირდება ჩემი ზარმაცობა, მაგრამ დამიჯერე, რომ ზარმაცობით არ მამდის. მე, სწორედ გითხრა, ცუდის, ეგებულების კაცი ვარ. დიდი მოსვენება და შაღავათი მინდა, რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ — ეგ მოსვენება და შაღავათი ჩემთვის სიზმარია, თუ დავიწყე რამე და არაფერმა არ დამიშალა, დაწყობილს ძალე შევასრულებ, და თუ დაწყობილი შემაწყვეტინა რამემ, გათავდა: მე იმ დაწყობილს ვეღარ მივუბრუნდები. ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი ძოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უხაყოფოდ ძიდის ჩემი ორიოდე დღის ცხოვრება. დიდად ვწუხვარ ამგვარ მდგომარეობისათვის, მაგრამ შველა არსით არი. ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო. ვაი თუ უფრო მოცალეობა მომაკლდეს ლუკმა პურის შოვნის დევნაშია, სამსახურს რომ თავი დავანებო. ესეა ჩემი ვითარება".**

---

* კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდი, №97.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 36—37, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მეორე წერილშიაც პეტრე უმიკაშვილისადმი, 1872 წლის აგვისტოს თარიღით, ილია სწერს: „...მოახერხე როგორმეო, უეჭველად ქალაქში გადმოხვიდეო... მაგრამ ჩემს დამოუკიდებლობას ეგ რას უშველის, თუ კიდევ სამსახურში ვიქნები. მე უნდა სამსახურ გარეთ ვიყო... აი სრულიადი დაბრკოლება ჩემი, რომელიც ხელსა და ფეხს მიკრავს“.*

ილია ჭავჭავაძის ამ მძიმე მდგომარეობას ყველა გრძნობდა, მაგრამ პრაქტიკულად არავის არაფერი გაუკეთებია. იმდროინდელმა ინტელიგენციამ, როგორც იქნა, ბოლოს იგრძნო ეს დანაშაული და ზომებიც ძიება ილია ჭავჭავაძის სამუშაოდ თბილისში გადმოყვანისათვის. ეს საკითხი პრაქტიკულად მაშინ დაისვა. როცა „ამერეთის თავად-აზნაურობამ ნაწილი გლეხთა განთავისუფლებისათვის ნაბოძები ფულისა გადასდო ისეთი ბანკის დასაარსებლად. რომელიც უფრო შესაფერი იქნებოდა ქვეყნის საჭიროებისათვის წესიერ კრედიტის დასამყარებლად; უფრო კი ისეთის ბანკისა, რომლის მოგება მოჰხმარდებოდა განსაკუთრებით თავად-აზნაურების შვილთა აღზრდა-განათლებას“.** როგორც თვით ილია გადმოგვცემს, დიდი დავა გამოუწვევია იმ ძირითად საკითხს, თუ რა ხასიათი უნდა მისცემოდა ხსენებულ საკრედიტო დაწესებულებას. მაგრამ კამერალურმა განათლებამ, ეტყობა, დიდად შეუწყო ხელი ჩვენს პოეტს გარკვეულობა შეეტანა საყოყმანო საკითხებში და მისი რჩევით გადაუწყვეტიათ საადგილმამულო ბანკის დაარსება. აურჩევიათ ბანკის წესდების შემდგენი კომისია, რომლის შემადგენლობაში ილიაც შეუყვანიათ. კომისიის მიერ შედგენილი წესდება იმავე 1873 წელს*** მოუწონებიათ, თვით ილიასთვის მიუნდვიათ გამგზავრებულიყო პეტერბურგში და მთავრობისაგან მოეთხოვა მისი დამტკიცება. „მეც ამ საქმის გულისათვის, — წერს ილია, — სახელმწიფო სამსახურს (დუშეთში — გ. ჯ.) თავი დავანებე და პეტერბურგში წავედიო“.

III.

პეტერბურგს ილია ჭავჭავაძე გაემგზავრა 1873 წლის ივლისის პირველ რიცხვებში. 12 ივლისს კი მეუღლეს ატყობინებს, რომ უკვე ძოსკოვშია, დროებით ცხოვრობს მისამართზე: Большой Бронный переулок, номера Андреева, № 43.ილია ფიქრობდა, რომ მინდობილ საქმეს მალე შეასრულებდა, წესდებას დამტკიცებდა, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. მიუხედავად იმისა, რომ წესდება შედგენილი იყო „მთავრობის მიერ სახელმძღვანელოდ ნაჩვენებ წესდებათა ნიმუშების მიხედვით“, მის დამტკიცებას მთელი ათი თვე დასჭირდა. ეტყობა, მეფის მთავრობა განზრახ აჭიანურებდა წესდების დამტკიცებას მისი მოხელეებისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული მოსაზრებებით (ილია იძულებული ხდება ილაპარაკოს იმ დროს გაშეფებულ მექრთამეობაზე მეფის დიდ მოხელეებშიც).

მართალია, წესდება ისე იყო შედგენილი, რომ იქ „სრულიად უარყოფილი“

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 37—38, ნაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957 წ., გვ. 309—310.

*** ილია შეცდომით მიუთითებს 1874 წელს.

ჩანდა „კერძო ინტერესი მოგებით სარგებლობისა საზოგადო სიკეთისა და საჭიროებისათვის“. გარდა ამისა, ბანკის მოგება უნდა მოხმარებოდა არამარტო მიწათმფლობელთა (თავად-აზნაურთა), არამედ, მიწათმოქმედთა საერთო საჭიროებას, მაგრამ მეფის მთავრობამ ყურად არ იღო ყოველივე ეს, წესდების დამტკიცება ათასგვარი მიზეზით გააჭიანურა, რამაც ილია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

ამ ათი თვის განმავლობაში ილიას წერილები ოლდა გურაბიძვილისადმი საუკეთესოდ მოწმობენ, თუ რა აბრაკადაბრა მოახვიეს თავზე შედარებით არც ისე რთულ საქმეს.

პირველივე წერილში (12 ივლისს) ილია თავის შეუღლეს სწერდა: „პეტერბურგს მივეჩქარები. რადგანაც ამბობენ, რომ ჩვენი ბანკის საქმე ძალიან ცუდად არისო, მინისტრს უთქვამს, რომ პროექტს არ დავამტკიცებინებო, რადგანაც ფული ცოტა ჰქონიათო. თუ მართლა ესე იქნება, შენი მტერია ჩვენი საქმე“.* ეს მდგომარეობა ილიას აიძულებს უაღრესად ეხერგიული ზომები მიიღოს, შედეგსაც აღწევს და ორი კვირის შემდეგ შეუღლეს აცნობებს: „თუმცა ჩვენის უსტავის დამტკიცების საქმე ძალიან კარგად მიდის, მაგრამ ჩვენ არა ბანკში არ გვიშვებენ, რომ რამე შევისწავლოთ. საშინელ გაჭირვებაში ვართ. ქალაქში მივსწერე ეს ჩვენი გაჭირვებული გარემოება და არ ვიცი რა პასუხი მოგვივა. ფულები თითქმის სულ შემომეხარჯა...“** მაგრამ ილია მზადაა ყოველგვარი განსაცდელი გადაიტანოს: „ოღონდ ის საზოგადო საქმე, რომელშიაც მე ბედმა გამრია, კეთილად წარიმართოს და ჩვენი პირადი მწუხარება იმის ჭირის სანაცვლოდ იყოს“.*** — წერს საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის თავდადებული პოეტი.

ბანკის საქმეების გამო ესოდენ ხანგრძლივი დარჩენა პეტერბურგსა და მოსკოვში, დაკავშირებული სულიერ მღელვარებასა და პატერიალურ სივიწროვესთან, რასაც თითქმის ყველა წერილში უჩივის, პოეტმა ნაყოფიერად გამოიყენა სამშობლოს ინტერესებისათვის. მან ხელი მოჰკიდა შექსპირის თარგმნას და, ივანე მაჩაბელთან ერთად, რომელიც მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტი იყო, 1874 წლის დამდეგისათვის ტრაგედია „მეფე ლირი“ მთლიანად ათარგმნეს ქართულ ენაზე. პოეტი იოსებ გრიშაშვილი ამბობს, რომ ჯერ კიდევ ადრე, 1859 წელს, როცა ილია 22 წლის ჭაბუკი იყო და ავადმყოფობის გამო პეტერბურგიდან საქართველოში ჩამობრუნებულ ისენებდა, მას განუზრახავს ლირის ტრაგედიის თავისებური სცენიური განსახიერება. ილია პეტერბურგში უთუოდ მოიხიბლებოდა შექსპირის ტრაგედიების გენიალური შემსრულებლის — აირა ოლრიჯის ხელოვნებით, რომელიც 1858 წელს საგასტროლოდ იმყოფებოდა რუსეთში და ოტელოს როლს უგრიმოდ ასრულებდა (ზანგი იყო). ძის მიერ განსახიერებულ ლირზე კი მაშინ „მთელი პეტერბურგი ლაპარაკობდა. ბიოგრაფების ცნობით, ამ ხანებში თბილისის ყოფილი პირველი გიმნაზიის დარბაზში, სადაც ერთ დროს გ. ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 288.
** იქვე, გვ. 289.
*** იქვე, გვ. 290, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

გამართა, ილიას დაუდგამს ცოცხალი სურათები შექსპირის „მეფე ლირიდან“. ამ ცოცხალ სურათებში მონაწილეობა მიუღია თბილისის წარჩინებული ოჯახის წევრებს, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალსა და ვაჟს — სოფიოს და დავითს. მეფე ლირი —თვით ილია ყოფილა... ეს იყო პირველი ცოცხალი სურათების დადგმა საქართველოში“.* დიდი ხნის შემდეგ კი, 1886 წლის 16 თებერვალს, როცა შექსპირის ლირი „დიდ სცენაზე“ თვით მწერლების მონაწილეობით დაიდგა, ილიას შეუსრულებია კენტის როლი, ხოლო დანარჩენი სახეები განუხორციელებიათ: ლირი — კოტე ყიფიანს, ხუმარა — კოტე მესხს, კორდელია — შაკო საფაროვაბაშიძისას, ედგარი — ვასო აბაშიძეს, ედმუნდი — ალექსანდრე ყაზბეგს.**

როგორც მიხეილ თუმანიშვილის ასულის — ბარბარე თუმანიშვილის წერილიდან ირკვევა (დაწერილია 1873 წლის 16 თებერვალს, ე. ი. პეტერბურგში ილიას გამგზავრებამდე რამდენიმე თვით ადრე),*** ვიდრე „მეფე ლირის“ თარგმნას განიზრახავდა, თერგდალეულთა ბელადს ჯერ კიდევ 1873 წელს მოფიქრებული ჰქონია დაეწერა კრიტიკული სტატია, სადაც გავლებული იქნებოდა „პარალელი ჰამლეტსა და ვეფხის-ტყაოსნის გმირ ტარიელს შორის“. მაგრამ ეს გამოკვლევა ილიას აღარ დაუწერია. სწორედ ამ ხანებში იგი დუშეთიდან თბილისში გადმოვიდა საბუშაოდ. ბანკის საქმეების გამო, როგორც მითითებული გვაქვს, ივლისის პირველ რიცხვებში პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც გაიცნო ივანე ჭაჭაბელი და მასთან ერთად ხელი მოჰკიდა შექსპირის „მეფე ლირის“ ქართულ ენაზე თარგმნას. ამ საქმეში მან მთავარი როლი შეასრულა: ინგლისური ენის შესწავლის პარალელურად, ილია ღრმად ჩასწვდა შექსპირის ტექსტს, მოუნახა მას ქართული შესატყვისი პოეტური ფორმა — ურითმო თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი, და ივანე მაჩაბელთან ერთად იმდენად შეიხარჩუნა სიზუსტე, რომ დიმიტრი ყიფიანმა, რომელმაც ილიას თარგმანი შეადარა შექსპირის მრავალ გამოცემას, აზრის მხრივ ვერავითარი შეხიშვნა ვერ გააკეთა. ამ დროს შექსპირის უკვე გამოცდილი მთარგმნელი (თარგმნა 1841 წელს „რომეო და ჯულიეტა“, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილმა კერძო წერილში მოიხსენია, 1872 წელს დაბეჭდილი „ვენეციელი ებრაელი“, 1865 წელს შესრულებული „ორი ვერონელი აზნაური“) დიმიტრი ყიფიანი ქვეშხეთიდან ასეთ წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს 1879 წლის 31 ოქტომბრის თარიღით: „თქვენ რომ (20 ამ თვეს) ლირის როლი შემომაძლიეთ (ილიამ თავისი თარგმანი გაუგზავნა დიმიტრი ყიფიანს და სთხოვა, თუ თარგმანი მოეწონებოდა, ეკისრებინა ლირის როლის შესრულება— გ. ჯ.). მე მოგახსენეთ, გადავიკითხავ და მაშინ გეტყვით ვიკისრებ თუ ვერა მეთქი. გადავიკითხე და როგორ? წინ გადავიშალე ექვსი წიგნი: 1) ნაძდვილი შექსპირი ტაუხნიცის გამოცემული 1868-ში, 2) ნაძდვილი შექსპირი რაუტლეჯის გამოცემული, ბევრით უფრო ადრე, 3) ბენჟამენ ლაროშის ნათარგმნი ფრანცუზულად 1857-ში, 4) ფრანსუა ვიკტორ ჰიუგოს ნათარგმნი 1861-ში,

---

* ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 263.

** იქვე, გვ. 269.

*** ეს წერილი პირველად ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა, იხ. აგრეთვე მისი „ლიტერატურული ნარკვევები“, 1952 წ., გვ. 263.

თქვენი ნათარგმნი ქართულად 1877*-ში და 6) სადღერის ლექსიკონი ინგლისურად და ფრანგულად. შემოვიწყე ეს წიგნები და მივუჯექ თქვენს ნათარგმნს; ქვაღში ჩავუდექ მედგრად, შეუპოვრად, დაუღალავად... თქვენმა ნათარგმნმა სასიქადულოდ გადმოგვლო თავს ამისთანა კრიტიკა, კრიტიკა მიუკარებელი, შეუბრალებელი. შრომა გაგიწევიათ დიდი, ნიჭი გამოგიჩენიათ შესანიშნავი. ერთი შეცდომაა, მხოლოდ ერთადერთი: კილო — შექსპირის თხზულებაში, რომელიც კარგა ძველია, ლექსიც ბევრი იპოვება დაძველებული, რომელსაც დიდიხანია აღარ ხმარობენ; მაგრამ კილო არის სასაუბრო, კილო, რომლითაც საპატიო ყრილობაში ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ. თქვენ ეცდით სამწიგნობრო კილოს გაჰყოლიხართ. მშვენიერება არის თქვენი თარგმანი. ეს ყოველად უეჭველია, მაგრამ ამ კილოზედ არც სად ულაპარაკიათ, არც სად ლაპარაკობენ. სათქმელი თუ არის რამე თქვენს თარგმანზედ, ეს არის. ...ცვა არაფერი..."**

ჩვენ აქ არ განვიხილავთ დიმიტრი ყიფიანის უკანასკნელ მოსაზრებას. ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ისეთმა ავტორიტეტმა, როგორც ხალხნებული წერილის ავტორია, ასეთი მაღალი შეფასება მისცა „შეფე ლირის" ქართულ თარგმანს. თვით ილიაც, საკუთარი ნაწერების შეფასებაში გულდენ ძუნწი და თავშეკავებული, კმაყოფილი იყო გაწეული შრომით, რასაც ადასტურებს მისივე წერილი მეუღლისადმი, 1873 წლის 19 დეკემბრის თარიღით. პეტერბურგიდან გამოგზავნილი, რომელშიაც ვკითხულობთ: „მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, წამკითხველი მთარგმნელები დაგვლოცენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზედ მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რარიგად კარგად გადმოვიდა ქართულ ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება... შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბის ქება მე თითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილკაცობა მაგ თარგმანისათვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსულია".**

„შეფე ლირის" თარგმანი მართლაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა შეიქნა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში. შემდეგ მას მოჰყვა ივანე მაჩაბლის კლასიკური თარგმანები შექსპირის სხვა ტრაგედიებისა, რამაც მთელი ეპოქა შეჰქმნა ქართულ მთარგმნელობითს ხელოვნებაში.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ბანკის წესდების გაჭიანურებული დამტკიცება დამთავრდა. ილია 1874 წელს საქართველოში დაბრუნდა. დაიწყო დიდი ორგანიზაციული მუშაობა, რაც 1875 წელს საადგილმამულო ბანკის დაარსებით დაგვირგვინდა. ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ 1874 წლის 5 სექტემბერს ილია ჭავჭავაძე იქნა არჩეული, და მიუხედავად იმისა, რომ თავმჯდომარის არჩევნები ყოველ სამ წელიწადში ხდებოდა, მიუხედავად იძისა, რომ სასტიკი ბრძოლები წარმოებდა ეგრეთწოდებულ „ჭავჭავაძისტებსა" და „მაჩაბლისტებს" შორის, ამ თანამდებობაზე ილია ჭავჭავაძე 1905 წლის 23 ივნისამდე — 30 წელიწადზე მეტი მუშაობდა.

---

* თარიღი ზუსტი არ არის. შეიძლება ღიმიტრი ყიფიანს მზედველობაში აქვს საბოლოო რედაქცია, უნდა იყოს 1873—გ. ჯ.

** დიმიტრი ყიფიანის წერილიდან ეს ამონაწერები მოტანილია ი. გრიშაშვილის მიხედვით. ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 264—265.

*** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1957 წ., გვ. 332.

ლიტერატურული მუშაობისა და ბანკის ხელმძღვანელობის პარალელურად, უაღრესად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო ილიას მოღვაწეობის სფერო. 1877 წელს (მარტი) ილიამ დააარსა ყოველკვირეული ჟურნალი „ი ვ ე რ ი ა“. რომელიც ორ წელს — 1877-78 გამოდიოდა, შემდეგ გადაკეთებულ იქნა ყოველთვიურ ჟურნალად, ხოლო 1886 წლიდან — „ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად“.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი იყო, არამედ მ თ ე ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ს მ ე თ ა უ რ ი და წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი. სრულიად უეჭველია, რომ საგურამოში მოწყობილი „ი ლ ი ა ო ბ ა ნ ი“ მარტოოდენ დღესასწაულებს როდი წარმოადგენდნენ. ილიას სახელწოდების დღე, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა, გამოყენებული იყო სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური საკითხების გადასაწყვეტად, რაც იმდროინდელ ქახდარმერიას შეუშჩ-



ი ლ ი ა ო ბ ა

ნეველი არ დარჩენია. დროსტარებისა და ქეიფისას კულუარებში იკრიბებოდნენ ილიაობაზე საგურამოში ჩამოსული მოწინავე ინტელიგენტები და დიდი პოეტის ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ წ უ ყ ვ ე ტ დ ნ ე ნ ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს ს ა ს ი ც ო ც ხ ლ ო დ გ ა დ ა უ დ ე ბ ე ლ ს ა კ ი თ ხ ე ბ ს.*

მეფის მთავრობა კარგად გრძნობდა, თუ რა ტიტანური ძალა იყო ილია ჭავჭავაძე. ამიტომ ეძებდა ყველაზე მოქნილ ფორმებს მის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეორეს მხრივ, ეშინოდა საბალხო შურისგებისა და ცდილობდა საქმე ისე წარემართა, რომ ილიას წინააღმდეგ ბრძოლაში თვითონ არ გამოჩენილიყო. ყველაზე მძიმე პერიოდში კი, როცა პირველი რევოლუციის ქარტეხილები მძვინვარებდნენ, მეფის მთავრობა იძულებული შეიქნა თანხმობა მი-

* „ილიაობის“ შესახებ იხ. „ლიტერატურის მატიანე“, 1940, 1—2, ეკატერინე გაბაშვილისა და სხვათა მოგონებები, გვ. 101—218.

ეცა მისთვის არასასურველ ზოგიერთ გადაწყვეტილებაზე. 1906 წელს (აპრილი) ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად და თუმცა იგი თავადაზნაურობის მიერ იყო წარგზავნილი, თვით ილია არ მალავდა, რომ ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარე იყო, მას თავისი თავი მიაჩნდა მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად, მისი ეროვნული და სოციალური ინტერესების დამცველად.

უბრალოდ რომ ჩამოვთვალოთ ილია ჭავჭავაძის პრაქტიკული ძოღვაწეობის სხვა დარგებიც, გარდა იმისა, რაც უკვე აღინიშნა, გაგაცნობთ ინტერესთა ფართო წრე. ჯერ კიდევ 1877 წელს დიდი პოეტი არჩეული იყო საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, სადაც რამდენიმე ხანი დაჰყო. 1881 წლამდე მუშაობდა ქართული დრამატიული საზოგადოებისა და მისი გამგეობის თავმჯდომარის არჩევითს თანამდებობაზე. 1879 წლიდან ათეული წლების მანძილზე უცვლელად მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო დიმიტრი ყიფიანის წასვლის შემდეგ — 1885 წლიდან თავმჯდომარედ. ილიას ხშირად ირჩევდნენ აგრეთვე სხვადასხვა კომისიაში.*

საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, როგორციონა მეუნარგია წერს, „...ილიას გაეხსნა ფართო ასპარეზი მოღვაწეობისა საქართველოს საქმეთა სასარგებლოდ, ამ დღიდან მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში ტფილისში ქართული საზოგადო საქმე ისეთი არა დაწყებულა რა, საცა ილია თავკაცად არ ყოფილიყოს, თავჩრჩევლად, საქმის გადამწყვეტად. ვიდრე დიმიტრი ყიფიანი ცოცხალი იყო, ვიდრე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტყველებდა, ვიდრე გრიგოლ ორბელიანი ზემოდან დაყურებდა ახალ თაობათა, ილია ჭავჭავაძეზე მაღლა კიდევ თუ იხსენებოდა სხვისი სახელი, შაგრამ მას შემდეგ, რაკი ესენი მიიცვალნენ, ილია დარჩა პირველ კაცად საქართველოში... ამას იქით ილია ერის: ილია ბანკირი, ილია რედაქტორი, ილია წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარე, ილია დრამატიული საზოგადოების თავმჯდომარე, ილია სათავადაზნაურო სკოლების გამგეობის წევრი, თავმჯდომარის ამხანაგი, ილია მწერალი, ილია მოღვაწე, ილია წარმომადგენელი ქართული მწერლობისა, მასპინძელი უცხოელ სტუმარ-მწერალთა და სხვა და სხვა“.**

თუ როგორი იყო ილია, როგორც ადამიანი, პიროვნება, საზოგადო მოღვაწე, ჩვენ გვაქვს არა ერთი მოგონება მისი თანამედროვეებისა. მაგალითად, ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ურთიერთობიდან იონა მეუნარგიას ერთი ასეთი ფაქტი მოჰყავს: „სხვისი პირადობის დამცველს თავის გაზეთში, ილიას არ უნდოდა, რომ თვითონ უმართებულოდ ეხსენებინა ვინმეს სხვის გაზეთში. როდესაც ნიკო ნიკოლაძემ „Новое обозрение“-ში ერთი წერილი დაწერა მისი პიროვნების შესახებ, ილიამ თავი შეურაცხყოფილად მიიჩნია და ორი თავისი ამხანაგი მიუგზავნა სეკუნდანტებად ნიკოლაძეს — კოლა ერისთავი და სოსიკო შალიკაშვილი. მან პასუხად ჭავჭავაძეს გაუგზავნა ორი თავისი ამხანაგი,

---

* იხ. ილია ჭავჭავაძის ავტობიოგრაფია, ტ. IX, 1957 წ., გვ. 312.

** იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები. II, 1944 წ., გვ. 188.

დათიკო გურამიშვილი და ნიკოლოზ სიმბორსკი და მათ შორის გაიმართა დუელი. მოწინააღმდეგენი დადგნენ ბარიერზე გატეხილი ფიშტოებით და ყველაფერი იმ წერტილამდის იყო მიყვანილი, საცა ტყვია უნდა გავარდნილიყო, მაგრამ ამ დროს სიმბორსკიმ შერიგების უკანასკნელი სიტყვით მიმართა დუელიანტებს და დუელი მორიგებით დამთავრდა.

არ ვიცი, ამ ორში ვინ ვის მოსთხოვა ბოდიში, რადგანაც მათი შერიგების ოქმი არ გამოქვეყნებულა. როგორც გამიგონია, ჭავჭავაძეს უხდა ეთქვას: მე შეურაცხყოფილად მივიჩნიე ჩემი თავი მარტო იმისათვის, რომ ნიკოლაძეს თუნდ ერთი წამით შეეძლო ეფიქრა, — რაც „ივერიაში“ დაიბეჭდა, ის ჩემი თანხმობით იყოო. ნიკოლაძეს ამაზე უნდა ეთქვას: თუ ეს ასეა, მაშ, რაც მე ჩემს გაზეთში ვთქვი ჭავჭავაძის შესახებ, უკან მომაქვსო“.*

ამ ფაქტს გადმოგვცემს აგრეთვე გიგა ყიფშიძე, მაგრამ ცოტა უფრო სხვაგვარი ასპექტით. დუელი მომხდარა 1880 წლის 1 მარტს, რასაც წინ უძღოდა შემდეგი გარემოებანი: 80-იან წლებში ილიასა და მისი ჯგუფის წინააღმდეგ გამოვიდნენ ახალგაზრდა ლიტერატორები. რომლებიც ნიკო ნიკოლაძის „ობზორის“ ირგვლივ იყვნენ შემოკრებილნი. საბაბი გახდა ილიას ისტორიული პოემა „დიმიტრი თავდადებული“, რომელიც 1878 წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ნაწილ-ნაწილად. პოემას უარყოფითად შეხვედრია მწერალთა ერთი ნაწილი, ხოლო „ობზორის“ ახალგაზრდა ლიტერატორთა ჯგუფს სასტიკი ბრძოლა გაუჩაღებია როგორც ჟურნალ „ივერიის“, ისე ილიას მომხრეთა წინააღმდეგ. განსაკუთრებული სიმკაცრით დაუწყია ბრძოლა „ობზორის“ თანამშრომელ გ. უთურგაურს, როგორც ამას გიგა ყიფშიძე შენიშნავს. იგი წერს, რომ „ილიას დააბრალეს შეცვლა პოზიციისა, წარსულისაკენ ცქერა, ცარიზმის პრინციპების მომხრეობა და იდეალიზაცია“, ილიას ჯგუფს კი უსაყვედურეს: „ძველ დროს შესტრფიან, საფლავებისაკენ მიუბრუნებიათ პირი, რაღაც „სექტა“ შეუქმნიათ, საკუთარი სინედრიონი ჰყავთ, მოძულე სინათლისა, ლიბერალიზმისაო. ენა მათი ხომ ანტონ კათალიკოზის ენაა, ძველის-ძველი. დაობებული, გაუგებარიო“.** თითქოს ძველი ისტორია განმეორდა, მაგრამ იგი ისე ძლიერი არ იყო და ქართული აზროვნებისათვის ისეთი კვალი არ დაუჩნევია, როგორც 60-იან წლებში, თუმცა გიგა ყიფშიძე შენიშნავს: „...თერგდალეულებს თითქმის იგივე გადახდათ და იგივე დაადგათ, რაც თვითონ დაატყენეს მამებს, ძველებს...“*** ამ ბრძოლის დროს, 1880 წლის 29 თებერვალს, ილია ჭავჭავაძემ „დროებაში“ მოათავსა მეთაური წერილი „ობზორის“ წინააღმდეგ. „იმავე დღეს, — წერს გიგა ყიფშიძე, — ილია დუელში იქმნა გაწვეული. დუელი მოჰხდა მეორე დღეს, 1 მარტს. ნ. ნიკოლაძის სეკუნდანტები იყვნენ: პოეტი სიმბორსკი და დ. გურამიშვილი, ხოლო ილიასი: ი. ზალიკაშვილი და ნ. ერისთავი. სიმბორსკიმ, როგორც გულ-ჩვილმა კაცმა, სცადა შერიგება მოწინააღმდეგეთა და, რაკი ვერა გააწყო-რა, ქვითინი დაიწყო, არც ერთი არ ემეტებოდა ალბად სასიკვდილოდ და ამიტომ. ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ გარემოებაც დაერთო, საბედნიეროდ, საქმე შერიგებით გათავდა. შედგენილ იქნა

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 199.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XL, გ. ყიფშიძის წერილი.

*** იქვე, გვ. XL.

ოქმი, საცა სწერია, რომ ილია უარ-ჰყოფს თავის წერილს „დროებაში“, ხოლო ნ. ნიკოლაძე აღარ შეეხება ილიას პირადობას „ობზორში“.*

როგორც არ უნდა იყოს, ამ დუელის მიზეზად საზოგადოებრივი მოტივებია და არა პირადი. მაგრამ ნიკოლაძისა და ილიას დუელი არც პირველი იყო პოეტისათვის და არც უკანასკნელი. როგორც გიგა ყიფშიძემ შენიშნა, „ილიას რვა-ცხრა დუელი ჰქონდა, ხან მწერლობის ნიადაგზედ გამოწვეული და ხან საბანკო მოღვაწეობის გამო გაჩენილი“.** უკანასკნელი დუელი მას უნდა ჰქონოდა 1905 წელს. სიკვდილამდე ორი წლის წინ, მაგრამ ეს დუელი არ შემდგარა, რაკი მოწიხააღმდეგეს ბოდიში მოუხდია, როგორც კი ილიას სეკუნდანტები მასთან გამოცხადებულან. დუელის მიზეზი ასეთი ყოფილა: 1905 წელს, პანკის კრებაზე ილია კითხულობს „საგახგებო სარევიზიო კომისიის“ მოხსენებას, მაგრამ მას ერთ-ერთი „ოპოზიციონერი და წევრი კომისიისა“ კითხვას აწყვეტინებს — „სხვამ წაიკითხოსო“. ილიას გული მოსვლია ამ უნდობლობის გამო და უთქვამს:

„— კარგი. აი, გადამიცია, სხვამ წაიკითხოს, ხოლო თქვენ მე მოიცადეთ პასუხს მაგისთვის“.

მეორე ღღეს ოპოზიციონერს და წევრს კომისიისას ეწვივნენ ილიას სეკუნდანტები. საქმე ბოდიშის მოხდით გათავდა. ოპოზიციონერი დიდი პატივისმცემელი იყო ილიასი და მისის ღვაწლისა და გულის-ტკივილით აღბობდა შემდეგ. ხვათაშორის: მე მოვეკალი — ჯანაბას კიდევ ჩემი თავი, მაგრამ მე რომ მოვეკალა ის დიდებული კაცი, ხომ მოსვენებას ვეღარსად ვიპოვიდი ამ ქვეყნადაო“.***

ილიას პირადი ცხოვრებიდან რამდენიმე საინტერესო ფაქტი მოჰყავს იონა მეუნარგიას. თავის მოგონებაში იგი წერს: „ილია ჯერ იდგა ახალ ბებუთოვის ქუჩაზე, სტაროსელსკის (ილიას ქვისლის — გ. ჯ.) სახლის პირდაპირ, მერე, ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, ის გადავიდა კუკიას, თავის დის ლიზა საგინოვის სახლში, ბოლო დროს იმან იყიდა საკუთარი სახლი აბდრეევის ქუჩაზე.

ილიას არ ჰქონდა ფართოდ გაშლილი სტუმრიანი სახლი. მასთან თქვენ ვერ შეხვდებოდით ქალაქის მაღალ საზოგადოებას. Великосветская публика-ს. მის სალონში თქვენ შეეყრებოდით მხოლოდ მწერლებს, არტისტებს, საზოგადო მოღვაწეთ, ქალთაგან მარტო ნათესავებს.

თუ რანე საღამო გაკეთდებოდა მასთან, ან წვეულება იქნებოდა, მოსულები ამათ წრიდან იყო.

ილია იყო თავაზიანი კაცი, პურმარილიანი, მომლხენი. მას პირადად და მის სუფრას, რომელსაც ქართული კერძი თავის დღეში არ განშორებია, მუდამ ქართველი მოსამსახურენი მსახურობდნენ. საქართველოს საუკეთესო კაცს და მამულის მოყვარეს მუდამ სწავლული და მამულის მოყვარე მოსამსახურე ებედებოდა.

თითონ ილიამ გვიამბო: ერეკლე ბატონიშვილს ვაჟი რომ დაებადა, დილაადრიანად ჩემთან შემოიჭრა ბიჭი და ჩვენ შორის ამგვარი დიალოგი გაიმართა:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XLI, გ. ყიფშიძის წერილი.
** იქვე, გვ. LXXIII.
*** იქვე, გვ. XXIV.



ილიას სამუშაო ოთახი თბილისში, საკუთარ სახლში

— მომილოცავს, ბატონო!

— რა, ბიჭო?

— ბატონის რძალს ვაჟი ეყოლა ამ დილას".*

თანამედროვენი ილიას უყურებდნენ, როგორც ერის „უგვირგვინო მეფეს", დიდსა და „ბრძენ კაცს". იგი პირად ცხოვრებაში „...აუჩქარებელი... იყო, დინჯი, მძიმე, — წერს იონა მეუნარგია. — აუჩქარებელი ხშირად ნიშნავს ზარმაცს და თვისება — ზარმაცობა — ღმერთო შენ შეგცოდე და ილიას ცილისწამებად არ უნდა მიეთვალოს".**

ეს მოსაზრება ჰეშმარიტებას მოკლებულია. არ ვიცით, ამ სიტყვებით იონა მეუნარგიამ, ჩვენმა ცნობილმა კრიტიკოსმა და საყვარელმა მწერალმა, ღმერთს შესცოდა თუ არა, მაგრამ ჰეშმარიტების წინაშე რომ შეცოდება მოუვიდა, სრულიად უეჭველია. ილიას დინჯი, აუჩქარებელი ხასიათი ბევრს მართლა აძლევდა საფუძველს მიეჩვნია ყოველივე ეს სიზარმაცედ, მაგრამ ისინი ცდებოდნენ. ფაქტები, რაც მოჰყავთ, უსუსური გვეჩვენება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება მეუნარგიას ორი ფაქტიც.

პირველი: „დიმიტრი ყიფიანმა მისწერა იმას (ილია ჭავჭავაძეს — გ. ჯ.) ერთხელ ქვეშხეთიდან სამღურავი, რას უგვიანებ წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებსო. სხვა რომ ვერა მოახერხა რა თავის გასამართლებელი, ილიამ პასუხად მისწერა მცხოვანს პატრიოტს: არაფერია, ყველაფერს მოვასწრებთო, — რუსთაველმა სთქვაო:

„თქმულა. სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა".

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 189 — 190.

** იქვე, გვ. 190.

მეორე მაგალითი: „1890 წელს, როცა ქალაქმა ბათუმმა ითხოვა, ტფილისის სააზნაურო ბანკს ნება მისცემოდა მიეღო გირაოდ ბათუმის მაჭულები, ფინანსთა მინისტრი ქალაქს ჩამოვიდა, მაგრამ ილია არ წარსდგა მასთან და არ წარუდგინა ამ საგანზე მოხსენება. როცა ამის გამო საქმის გადაწყვეტა დაგვიანდა და ილიას უსაყვედურეს, რატომ მინისტრი არ ნახეო, პასუხად თქვა, ვერც ჩემი მისვლა დააჩქარებდა საქმეს და ვერც ჩემი შიუსვლელობა დააბრკოლებდაო".*

ორივე ეს ფაქტი უფრო სიდინჯისა და აუჩქარებლობის დამადასტურებელია, ვიდრე სიზარმაცისა. როცა საქმეს აკეთებდა ან რაიმე საკითხს წყვეტდა, ილია მას ყოველმხრივ შეისწავლიდა, აწონ-დაწონიდა, განჭვრეტდა არა მარტო აწმყოს, არამედ, მომავლის პერსპექტივაც. საქმის არსებაში ღრმად ჩაუხედავ კაცს მოეჩვენებოდა, რომ მიზეზი სიზარმაცე იყო, მაგრამ ნამდვილად სულ სხვა ფაქტორი მოქმედებდა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საქმეთა სწრაფი მართვა მაშინ არც შეიძლებოდა, გარდა მეორეხარისხოვანი ან უმნიშვნელო საკითხებისა, ვინაიდან იმდროინდელი იანოვსკები და იუდინები ცერბერივით დარაჯობდნენ ცარიზმის ინტერესებს; ისინი ყოველ საშუალებით ცდილობდნენ რაიმე „საკბილო" ეპოვნათ ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ, ილიამ ეს ძალიან კარგად იცოდა; ამიტომ ფრთხილად მოქმედებდა, დინჯად, აუჩქარებლად, საგნის ღრმად შესწავლის საფუძველზე წყვეტდა საკითხებს; იგი ძადლობის ღირსია ამგვარი „დაგვიანების" გამო, და არა განქიქებისა. ვინ იცის, რა მოსაზრება ამოქმედებდა დიდ პოეტს, როცა „ჩამოსულ მინისტრს" არ ეახლა და თავისი „ერთგულქვეშევრდომული" ნება არ გაუმჟღავნა. ილია „სახელმწიფო კაცი" იყო, იგი „სახელმწიფო სიბრძნეს" იჩენდა ყოველ საქმეში. მისი მოფიქრებული, აუჩქარებელი მოქმედება, მისი გასაოცარი ტაქტი არაერთხელ გამხდარა მიზეზი, რომ ქართული საზოგადოებანი თავიახთი საქმეებით ხშირად გამოსულან „გამოუვალი მდგომარეობიდან". ამ სიფრთხილემ და ტაქტმა უშველა მასაც პირადად, როცა ათეული წლების მანძილზე ჟახდარმერიამ, რომლის აგენტები მეძებრებივით დასდევდნენ დიდ პოეტს, ხელში ვერაფერი ჩაიგდო ილია ჭავჭავაძისათვის ახგარიშის გასასწორებლად.

ერთგან იონა მეუნარგია შენიშნავს, რომ „ილია, როგორც ეს შეეფერება პოეტს, ხშირად და ადვილად მოდის აღტაცებაში და ეძლევა პათოსს ხახდახახ სულ უბრალო მიზეზის გამო". შეიძლება ასე მართლაც ხდებოდა, მაგრამ ის ფაქტი, რომელიც მეუნარგიას თავისი დებულების დასამტკიცებლად მოჰყავს, მგონი არ უნდა იყოს „სულ უბრალო მიზეზი". ყოველშემთხვევაში, იმპერატორისა (რომელი იმპერიისაც არ უნდა იყოს) და გენიოსი მწერლის ისეთი შეხვედრა, რომლის დროსაც პირველი მაღლა აყენებს მეორეს, არ შეიძლებოდა აღტაცების გამომწვევი არ ყოფილიყო ადამიანისათვის, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ხშირად უნიჭონი ქვეყანას მართავდნენ, ხოლო გენიოსები ფეხქვეშ ითელებოდნენ. მეუნარგია წერს:

„— ვაა... ვერ წარმოიდგენ, — მითხრა ერთხელ იმან (ილია ჭავჭავაძემ —

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 190.

გ. ჯ.), —რაღაც შემთხვევის გამო, ბრაზილიის იმპერატორმა დონ-პედრომ შეუთვალა ვიქტორ ჰიუგოს (აქ მგოსანი წამოდგა ზეზე და გამოიჭიმა მთელი სიმაღლით) შენი ნახვა და გაცნობა მწადიანო. ამის პასუხად ჰიუგომ შეუთვალა მეფეს: მე სადარბაზოდ არავისთან არ დავდივარო. მაშინ იმპერატორმა და მისმა ტახტის მემკვიდრემ თითონ ინახულეს დიდი მგოსანი. ვიზიტის დროს, როცა მასპინძელმა სიტყვაზე „თქვენო უდიდებულესობაო“ უთხრა მეფეს, მეფემ სიტყვა შეაწყვეტინა მგოსანს და უთხრა თავის მემკვიდრეს:

— Сын мой, помни. здесь нет другого Величества, кроме Виктора Гюго...»*

საინტერესო ფაქტია, მაგრამ „სულ უბრალო მიზეზი“ თვით ვეუნარგიამ გაათქმევინა, როცა სავსებით სწორი დასკვნა გააკეთა: „ეს სიტყვები ილიამ დიდის ამბის-ყოფით წარმოთქვა, ეტყობოდა სიხარული, რომ ქვეყნის მბრძანებელი ასეთგვარად ემორჩილებოდა სიტყვისა და ლექსთაძეფეს, როგორიც იყო ჰიუგო“.**

ამ ფაქტის გვერდით არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ლაპარაკში ილია უძლეველი იყო, — წერს იონა მეუნარგია. —მის დიალექტიკას, მის მოსწრებულ სიტყვებს. მის მდიდარ ლექსიკონს ჩვენს ქართველობაში წინ ვერავინ უდგებოდა. ვის არ ახსოვს მისი სიტყვები საადგილმამულო ბანკის წევრთა საზოგადო კრებებზე წინააღმდეგ ძმათა მაჩაბელთა. ბევრი გრძნობდა, რომ სიმართლე ვანო მაჩაბლისაკენ იყო, მაგრამ ილიამ დაამარცხა ის თავის დიალექტიკით და მოსწრებული სიტყვებით.

აი ერთი მაგალითი ილიას უძლეველობისა ლაპარაკში. „ვისრამიანის“ ბეჭდვა რომ იწყებოდა, უკანასკნელი რედაქციის დადგენა და ვარიანტების ერთი ერთმანეთთან შეთანხმება მიანდვეს ილია ჭავჭავაძეს, პეტრე უმიკაშვილს და ალ. სარაჯიშვილს. ერთს უძველეს ვარიანტში ამათ დაინახეს, რომ უ-ს ბრჯგუ არა აქვს. ილიას მეტი რა უნდოდა, ჩვეულებრივის აღტაცებით იმან დაიჟინა უ უბრჯგუოდ დავბეჭდოთო. უმიკაშვილი თვითონ თაყვანისმცემელი იყო ყოველგვარი არქაული ფორმისა, მაგრამ, ასე გასინჯეთ, იმასაც კი შეეშინდა ამგვარი გადაწყვეტილებისა. რადგანაც კორექტორი ის იყო, ეშინოდა ბრჯგუს განდევნა იმისათვის არ დაეწამებინათ, იმან დაწერა ამ საგანზე დადგენილი გადაწყვეტილება და ხელი მოაწერინა ილიასა და სარაჯიშვილს. მერე წიგნი დაიბეჭდა.

მაგრამ შენი მტერი, ის რომ დაიბეჭდა, თქვენ თითონ გადაშალეთ წიგნი და დაინახეთ შიგ რაები სწერია. წარმოიდგინეთ რა სიტყვები გამოვიდოდა, თუ ბრჯგუ არ ექნებოდა უ-ით დაწერილ სიტყვებს: ჩვენ-ჩუენ; მოსვენება — მოსუენება; გამოკვება — გამო...

— ილია, ეს რა გიქნიათ, როგორ დაგიბეჭდიათ! — ჰკითხეს პოეტს.

— წარმოიდგინეთ! მე რომ რუსეთში ვიყავი, პეტრეს გაუკეთებია. პეტრე, ეს რასა ჰგავს, როგორ დაგიბეჭდია?

— მე ისე დავბეჭდე, როგორც შენ გადასწყვიტე.

— თავის დღეში მე ამგვარი დაბეჭდვა არ მიფიქრია.

— გიფიქრია კი არა, გითქვამს კიდეც და ხელიც მოგიწერია! — უთხრა

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 191.

** იქვე.

გაჯავრებით პეტრემ და გაიბსნა უბის ჯიბე, ამოიღო ხელმოწერილი ბარათი და თვალწინ დაუდვა.

— თავის დღეში მე ეს არ მითქვამს, მე სხვარიგად დაწერილი ძეგონა, — უთხრა მაინც ილიამ და იმდენი ილაპარაკა, სანამ საწყალი პეტრე დამხაშავედ არ გამოიყვანა“.*

თუ ამ ფაქტს განვიხილავთ, ორივე მხარე შემცდარი იყო: პირველი იმიტომ, რომ საკითხის პრინციპული გადაწყვეტის შედეგი არ შეამოწმა, ხოლო მეორე, რაკი შედეგმა მის ხელში გაიარა, ვალდებული იყო ეთქვა, რომ პრინციპული გადაწყვეტილება სწორი არ არის, ტექსტში კურიოზული სიტყვები ჩნდებაო.

ჩვენ გვინდა კიდევ შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც ილიას პირადი ნებასთან დაკავშირებით ხშირად იყო მსჯელობის საგანი.

არსებობს ორი მოსაზრება: ილია ხელმოჭერილი კაცი იყოო. — ამბობენ ერთნი, ხოლო მეორენი სრულიად საწინააღმდეგოს გვიმტკიცებენ: ილია ძალიან ხელგაშლილი იყო, ამიტომ სიცოცხლის ბოლო ხანებში ავისო ვალებით, რასაც მთელი მისი ქონება ვერ აუვიდოდაო.

პირველი მოსაზრება გაზიარებული აქვს იონა მეუნარგიას, რომელიც თავის მოგონებაში წერს: „ილია ხელმოჭერილი კაცი იყო, სულ იმას ჩიოდა, მეტი აღარა ვარ ამ სჭველმოქმედო საღამოების-გამო. საცაა ჩვეხდა სასარგებლოდაც უნდა გავმართოთ წარმოდგენაო და სხვ. ამგვარები. უცნობი ქალი ან კაცი რომ მოვიდოდა მასთან იმას სულ იმის ეშინოდა, ვაითუ ფული მთხოვოსო. ერთხელ საადგილმამულო ბანკში მასთან მივიდა პლატონ იოსელიანის ცოლისაგან მოგზავნილი ქალი. ილიას ეგონა მთხოვნელი არისო და მიღების უარზე დადგა, მაგრამ მოგზავნილმა შემოუთვალა: პლატონ იოსელიანისაგან დარჩენილი ნაწერი მომაქვს თქვენს ჟურნალში დასაბეჭდადო და პოეტს გადასცა „მეფე გიორგის ცხოვრება“, იოსელიანისაგან შედგენილი, შემდეგ „ივერიის“ ნომრებში დაბეჭდილი“.**

ეს ფაქტი იონა მეუნარგიას ივანე მაჩაბლისაგან გაუგონია. იმ დროს მაჩაბელსა და ილიას შორის გამწვავებული დამოკიდებულება იყო ბანკის საქმეების გამო. შესაძლოა ფაქტი მართლაც ისე მოხდა, როგორც ივანე მაჩაბელს გადაუცია მეუნარგიასათვის, მაგრამ ეს უკანასკნელი თავის მხრივ დასძენს მეორე შემთხვევას, რომლითაც ილიას „ხელმოჭერილობა“ ქარწყლდება. „...ამ ხელმოჭერილ კაცსო, — ამბობს მეუნარგია, — სულ არაფრად მიაჩნდა ასობით და ათასობით ფულის წაგება ბანკის თამაშში... ოთხმოციანი წლების დამდეგს ილია თითქმის ყოველ საღამოს თამაშობდა. ჩვეულებრივი ამის პარტნიორები იყვნენ: გიორგი შარვაშიძე (დიმიტრის-ძე, იმ დროს თბილისის გუბერნატორად მუშაობდა — გ. ჯ.), კონსტანტინე რეიტერი, კოლა ერისთავი. დავით ავალიშვილი. კრუჟოკში ან კლუბში ის ხშირი სტუმარი არ იყო. იქ თუ წავიდოდა ის მხოლოდ ზაფხულობით. მე ხშირად გაძოვსულვარ დილადრიანად ალექსანდრეს ბაღში და შევყურივარ ილიას კუკიიდან შომავალს შემდეგ მთელი ღამის თამაშში გატარებისა... განსვენებულ ილია ხონელისაგან გამიგონია: ილიამ მთელი ღამე თურმე ითამაშა სადღაც კლუბში და ათასხუთა-

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 191—192.

** იქვე, გვ. 192.

სი მანეთი წააგო, შინ რომ დაბრუნდა და ეტლის გასასტუმრებლად ქისა ამოიღო, შიგ ნაშალი ვერ იპოვა, ერთი თუმნიანიღა შერჩენოდა იმას გაუტეხელი.

— ეჰ, საცა სხვა წავიდა, ესეც წაიდესო, — გაიცლო ძგოსანძა გულში და გაუწვდინა ქუჩერს თუმნიანი.

— აჰა, წაიღე, — უთხრა პოეტმა.

— ბატონო, აქ ერთი თუმანია.

— არაფერია, წაიღე, — განუმეორა მან.

— გეტყობათ, კნიაზო, წუბელის შოგიგიათ, ღმერთმა ყოველთვის ასე შოგაგებინოსო, — დაუმადლა სულგრძელ მგოსანს თვალგაპრიალებულმა ქუჩერმა“.*

ძეგლში და ხელმოჭერილი კაცი, ცხადია, ასე არ მოიქცეოდა.

ზედმეტი არ იქნება აქვე გავიხსენოთ ილიას სხვა თვისებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია მწერლობასთან, საზოგადო მოღვაწეობასთან. მისი არაჩვეულებრივი სისპეტაკე როგორც ხელოვანისა. მოაზროვნისა, მწერლობისადმი დიდი პასუხისმგებლობა ჩანს „აჩრდილის“ ავტორის ყოველ მოქმედებაში. ხელოვნებისადმი სამსახური მისთვის წმიდათა წმიდა მოვალეობა იყო და არა ანგარების რაიმე გამოვლენა. სავსებით დიდი პუალოს მსგავსად, „თავის დღეში არც-არა აუღია-რა ილიას მწერლობისათვის, — წერს გიგა ყიფშიძე. — სალიტერატურო სასყიდელი მისთვის არ არსებობდა, გონორარი არ აუღია ილიას არც მაშინ, როცა „ქართ. გამომ. ამხანაგობამ“ იკისრა მის თხზულებათა პატარა ტომებად დაბეჭდვა 1892 წელს. ილია ცოტა სხვანაირის აზრისა იყო ამ მხრივ. სალიტერატურო გონორარი ორ-პირი მახვილიაო: ერთით დიდად საჭიროა, როგორც წყარო, ნივთიერად უზრუნველ-მყოფელი მწერლისა და, მაშასადამე, მისის დამოუკიდებლობისა, შეძლებას აძლევს მწერალს მთელი თავისი დრო და მოცალეობა გონებრივს მუშაობას შესწიროს. მეორეთი — სასყიდლის მიღება თითქო სავაჭრო საგნად ჰქმნის მწერლის ხაწარმოებს, მის ჭკუაგონების ნაშრომს, რომელიც წმინდა გულითა ხა ხრახვით უნდა იყოს ჩაფიქრებული, შექმნილი და არარა გრძნობა ანგარებისა არ უნდა იყოს შიგ ჩარეული. გონორარის გამოკიდებამ შესაძლოა გაიტაცოს მწერალი და ის, რაც მოკლედ ითქმის, სხარტულად და, მაშასადამე, ძლიერებითა და მხატვრულის ზომიერებით, გააჭიანუროს და მით ნაწარმოებმა დაჰკარგოს მხატვრული ღირსებაო“.** ჰონორარით ცხოვრებას, თუმცა ეს მაშინ არც შეიძლებოდა, ილიამ სამსახური ამჯობინა და მთელი სიცოცხლეც თახამდებობაში გაატარა.

ასეთი უანგარო ადამიანი, ცხადია, პირად სიმდიდრეს არც გაშოეკიდებოდა და ვერც გამდიდრდებოდა. ილიასაც ასევე დაემართა. იაკობ გოგებაშვილი შენიშნავს: ილია ჭავჭავაძე ყველას მდიდარი გვეგონა, მაგრამ თურმე „ორივე მამული კახეთისა და საგურამოსი დაგირავებული ჰქონდა იმდენ ფასში, რომ შემოსავალი სარგებელს მთლად ვერ იხდიდა, და ბანკს რომ მისთვის პენსია არ დაენიშნა, სიბერის დროს შიმშილს გამოსცდიდაო“.*** დიდი

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 192 — 193.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXII—XXXIII.

*** იაკობ გოგებაშვილი, მცირე განმარტება, იხ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 219.

პედაგოგის ეს აზრი ოდნავადაც კი არ არის გადაჭარბებული. მასალები და დოკუმენტები სავსებით ადასტურებენ, რომ სხვათა დამხმარე, სხვისი შემწე, სხვისი ჩრდილი ილია ჭავჭავაძე სიბერის ჟამს მართლაც მატერიალური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ამას მოწმობს თბილისის თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის მაშინდელი ხელმძღვანელობის დოკუმენტი, გაგზავნილი ილიას სახელზე 1906 წლის 13 სექტემბერს. უწყებას ხელს აწერენ: თავმჯდომარის მაგიერ ა. ნ. ფურცელაძე, გამგეობის წევრი უგანათლებულესი თავადი მ. ა. გრუზინსკი, მდივანი თავადი ჯორჯაძე და ბუხჰალტერი ღვამიჩავა. ისინი ატყობინებენ დიდ პოეტს, რომ მისი მამული საჯარო ვაჭრობით გაიყიდება, თუ ილია 15 ოქტომბრამდე ბანკში არ შეიტანს გადასახადის ხარჯებს 752 მანეთისა და 88 კაპიკის რაოდენობით. თუ რა მკაცრი, მოურიდებელია უწყება იმ დაწესებულებისა, რომელსაც პოეტი ათეული წლების მანძილზე თვითონ ხელმძღვანელობდა და მისი ერთ-ერთი მთავარი დამაარსებელი იყო, ძოწმობს ხსენებული დოკუმენტის შემდეგი ტექსტი:

«Г. Чавчавадзе Илью Григорьевичу.

По ссуде въ 15.000 руб., выданной Тифлисскимъ Дворянскимъ Земельнымъ Банкомъ подъ залогъ принадлежащаго Вамъ подвижимаго имѣнія находящагося в Телав. у. д. Кварели числится недоимок въ размере 752 руб., 88 коп.

Извещая объ этомъ, Правление названного Банка имеетъ честь просить Васъ озаботиться взносомъ въ банкъ означенныхъ недоимокъ до 15-го Октября сего 1906 года, ибо, въ противномъ случае, на основаніи § Устава Банка, вышеупомянутое имѣніе Ваше будетъ назначено въ продажу съ публичныхъ торговъ, о дне коихъ, по истеченіи сказанного срока, опубликовано будетъ въ періодическихъ изданіяхъ: «Правительственномъ Вестнике», «Вестнике Финансовъ, Промышленности и Торговли», «Новом времени», «Кавказе» въ одной изъ мест. газ. на груз. яз.».*

ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ დროს ილია ჭავჭავაძე უკვე სახელმწიფო საბჭოს წევრია, სიკვდილის ზღურბლთან დგას, ნახევარი საუკუნის დაუღალავი მოღვაწეობა, ისიც ასე მრავალმხრივი და ფასდაუდებელი, მოხუცებულ მხრებზე აწევს.

IV

ხანგრძლივი, მრავალმხრივი მოღვაწეობა ილია ჭავჭავაძისა ჩვენ დავახასიათეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რომ ერთხანს იგი ნაფიც ვექილადაც მუშაობდა. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, ილიას უფლება ჰქონდა ეს ადგილი დაეკავებინა, ვინაიდან კამერალური განათლება, რაც პეტერბურგში მიიღო, იურისპრუდენციის ცოდნასაც გულისხმობდა. მართალია, ნაფიც ვექილად ილიას დიდხანს არ უმუშავხია, ბევრი საქმის გარჩევაშიც მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მისი ძოღვაწეობის ამ მხარეს უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

---

* დოკუმენტის ფოტოპირი მოგვაწოდა პლატონ კეშელავამ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ. ხაზგასმული სიტყვები, ტრაფარეტულ ტექსტში, ხელით არის ჩაწერილი — გ. ჯ.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ მწერალს თვითონ გამოუთქვამს სურვილი ნაფიც ვექილად ემუშავნა. საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც რუსულ ენაზეა დაწერილი. 1875 წლის 4 ივლისის თარიღით ილია ჭავჭავაძეს თხოვნა შეაქვს თბილისის საოლქო სამმართველოში და მოითხოვს ნაფიც ვექილად წარიცხვას. ილიას თხოვნაში ნათქვამია:

«...На основании 2 п. 44 ст. высочайше утвержденного 19 октября 1865 года Положения о введении в действие судебных уставов, я имею честь покорнейше просить Тифлисский окружной суд зачислить меня в число присяжных поверенных округа Тифлисской судебной палаты, причем долгом считаю заявить, что постоянным местом жительства я избираю город Тифлис и что для моего поступления в звание присяжных поверенных нет ни одного из тех препятствий, которые означены в 355 ст. учр. суд. установлений».*

ეს მოთხოვნა საოლქო სასამართლოს იმავე წლის 16 ივლისს განუხილავს თავისი განყოფილების საერთო კრებაზე და დაუდგენია ნაფიც ვექილთა რიცხვში ილია ჭავჭავაძის მიღება. თავის მოვალეობას, როგორც ნაფიცი ვექილი, ილია ასრულებდა 1881 წლამდე — მხოლოდ ექვსი წლის განმავლობაში, ხოლო 7 აპრილს პოეტს ისევ შეაქვს თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოში. მას აღარ სურს შეასრულოს ნაფიცი ვექილის მოვალეობა და თხოვნაში წერს:

«На повестку Тифлисского окружного суда от 7-го апреля 1881 года за № 4987 имею честь объявить, что я не в состоянии более исполнять обязанности присяжного поверенного, а потому прошу уволить меня от обязанностей присяжного поверенного и об этом сделать подлежащее распоряжение».*

ილია ჭავჭავაძის ეს თხოვნა თბილისის საოლქო სასამართლოს დაუკმაყოფილებია 1881 წლის 2 მაისს, და ამ დროიდან პოეტს ნაფიც ვექილად აღარ უმუშავნია. მას იმდენი მოვალეობა ჰქონდა დაკისრებული, რომ ფიზიკურად უკვე აღარ შეეძლო ამ საქმის შესრულებაც. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1875 წლიდან, როცა ნაფიც ვექილად დაამტკიცეს (16 ივლისს), ილია ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობს, ხოლო 1877 წლის მარტიდან ხელმძღვანელობს ყოველკვირეულ ჟურნალ „ივერიას". შემოქმედი ადამიანისათვის, რომელიც პირველხარისხოვანი ძხატვრული ქმნილებებით ამდიდრებდა მშობლიურ ლიტერატურას, ეს მეტისმეტი დატვირთვა იყო. ნაფიცი ვექილის მოვალეობა, როგორც ვთქვით, მას უკვე ფიზიკურად აღარ შეეძლო შეესრულებინა.

ჟურნალი „ივერია" 1886 წლიდან ყოველდღიურ გაზეთად იქნა გადაკეთებული. ილია არაჩვეულებრივი მონდომებით მუშაობდა. მასალების სწორებასთან ერთად, მიმართვებსაც კი თვითონვე წერდა. მან სტამბაში დააბეჭდვინა სპეციალური მიმართვის ტექსტი, რომელიც დაუგზავნა გაზეთის მომავალ საკარაუდო თანამშრომლებს. დიდი პოეტი სწერდა: „გაზეთებიდან მოხსენებული გექნებათ, რომ პირველ იანვრიდამ 1886 წ. გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „ივერია", რომლის რედაქტორობა ვიკისრე მე. რასაკვირველია, აბის-

* საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 193.

** იქვე, გვ. 198 — 199.

თანა მძიმე ტვირთს მე ვერ ვიკისრებდი, თუ სახეში არა მქონოდა დახმარება და შემწეობა თქვენისთანა პატივცემულ მოღვაწეთაგან. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეგ იმედი, რომელმაც ესეთი ძნელი საქმე გამაბედვინა, არ გაცრუებულა. გაზეთის საქმე საერთო, საზოგადო საქმეა, იქნება სხვაგან ისე არა, როგორც საკუთარიე ჩვენში. თქვენი წარსული, თქვენი ყოფილი მოღვაწეობა ჩემთვის უტყუარი საბუთია მისი, რომ საცა საერთო, საზოგადო საქმეა, იქ თვითონ თქვენი გული იძულებულ გყოფთ მსურველე მონაწილეობა მიიღოთ. მაშასადამე, აქ თხოვნა ჩემგან მეტია. მე მარტო საჭიროდ ვრაცხ ძოგახსეხოთ, რომ თქვენის ყალმის ნაწარმოებისათვის ჩვენი რედაქციის კარი ყოველთვის ღია იქნება და თქვენი თანამშრომლობა ყოველთვის სასიამოვნო და სასურველი.

გაზეთი გახლდებათ „დროებაზედ“ უფრო მომეტებულის ზომისა. თქვენისა საყურადღებოდ მომირთმევია პროგრამმა გაზეთისა“.*

მიმართვის ეს ტექსტი ილიას მარტოდენ აკაკი წერეთლისათვის არ გაუგზავნია. 1886 წლის 5 იანვარს მას ცალკე სპეციალური წერილი მისწერა, რომელშიაც ნათლად ჩანს ადრესატისადმი დიდი მოკრძალება და უღრმესი პატივისცემა. „ძმაო აკაკი, — სწერს ილია, — მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დიდებეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად-ერთი აკაკი ხარ. აძიტომაც, გარდა ჩემის საკუთარის წადილისა, მოვალეობამ მამულიშვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის „რჩეულისათვის“ რჩეული. განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე აგვუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეობარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგახვირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალ წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს, — ქალაქში არ არისო. დღეს შევიტყე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდეც... გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო. რაც ხანი ჟურნალი „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი. არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის თუმცა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი, — იქნება ჩემი მიმართულება არ მოჰსწონს-თქო. ეს ისეთი სამართლიანი საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დაჰსდებს. წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც „კისრად ვიღე და დავდუმდი“.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენ წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ჟურნალს ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ. გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი; გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმა გაუძნელო და არასიცა მეთქი... მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ეუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, წ., გვ. 112 — 113.

იცი. მაინც და მაინც გთხოვ — დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი ვადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები".*

ეს ერთ-ერთი მშვენიერი წერილია, რომელიც ამ ორი დიდი ადამიანის ურთიერთობას ეხება. ილია და აკაკი, მიუხედავად ზოგჯერ მათ შორის მომხდარი გაუგებრობისა,** ერთმანეთს უდიდესი პატივისცემით ეკიდებოდნენ, როგორც ეს ჩვენ არაერთგზის ვნახეთ, და შემთხვევითი არ იყო, რომ ორივეს ღრმად სწამდა უდიდესი როლი, რასაც ისინი ქართველი ხალხის ისტორიაში ასრულებდნენ. „ივერია" გადაიქცა იმ ორგანოდ, რომელსაც ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრების ხელში ისტორიული მისია დაეკისრა — ფართოდ გაევრცელებინა მასებში განმანათლებლური იდეები.

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძემ 1886 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო გაზეთ „ივერიის" გამოცემა. თუ სად იყო მოთავსებული რედაქცია და როგორ მუშაობდა თვით რედაქტორი, იონა მეუნარგიას ასე აქვს გადმოცემული: გაზეთის „...რედაქცია ამ დროს კუკიის ქუჩაზე იყო მოთავსებული პოეტის დის ლიზა საგინოვის სახლში. დაბლა იყო გამართული გაზეთის სტამბა. მაღლა იყო რედაქცია და იდგა თვით რედაქტორი.

რომ ახედოდით მეორე სართულზე, მარცხენა კარებს შეყავდით თქვენ გაზეთის რედაქციაში და მარჯვენას ილიას სადგომში. სადგომის ყურეში, შესვლისთანავე, მარცხნივ იყო რედაქტორის კაბინეტი — პატარა ტანის ოთახი — ლწორედ ისე იყო მოწყობილი, როგორც ეს შეეფერებოდა მის პატრონს — პოეტს და მამულის მოყვარე რედაქტორს.

შევიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა. ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის — თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იდგა წმინდა ნინოსი.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული. ტ. X, 1961., გვ. 114—115. ბანი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ზოგიერთი უპასუხისმგებლო ელემენტი, რომელიც დავაკრობით უფრო გამოირჩეოდა, ვიდრე სამშობლოს ინტერესებისადმი სამსახურით, ილიასა და აკაკის ურთიერთობას ამწვავებდა ამგვარი ანეგდოტების გავრცელებით: „აკაკი თამარაშვილში იყო მაჩაბლისას და დაძახნების დროს „ივერიას" კითხულობდა. კითხვის დროს აკაკის მიეძინა და გაზეთს სახლიდან ვერცხლი მოედო.

— ფუ, ფუ, ფუო — და ერთის ყოფით გააქრო ალი პოეტმა.

— მადლობა ღმერთს, წყალნარევი გაზეთია, თორემ ვერ დავაკრობდიო, — ამბა მგოსანმა ილიას მოწინააღმდეგე ბანკის დირექტორს", — ე. ი. ივანე მაჩაბელს (ეს ანეგდოტი საიდუსტრაციოდ მოჰყავს იონა მეუნარგიას, „ქართველი მწერლები". II, 1944 წ., გვ. 199).

დავაკრულმა ელემენტებმა მცირე როლი როდი შეასრულეს კატასტროფამდე მიეყვანათ ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის ურთიერთობა. სასიხარულოა, რომ მათ ვერ შეძლეს ასეთივე ტრაგედიის დატრიალება ილიასა და აკაკის ურთიერთობაში. ეს ორი გოლიათი ჩვენი მხატვრული სიტყვისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამარის კარამდე ერთმანეთის განმამდიდებელი დარჩნენ. საკმარისია მარტო ის გაეიხსენოთ თუ რა უდიდესი გულისტკივილით დაიტარა აკაკიმ თავისი კოლოსი თანამედროვე, რასაც ჩვენ ქვევით შევეხებით.

კედლებზე ეკიდა: მეფე ერეკლე, გორგასლანი.

კედლებზედვე: სოფლის გლეხკაცი და ყასაბი გაბაევისა. მურილიოს* გრავიურა, მითოლოგიური სურათები.

კაბინეტი სავსე იყო შკაფებით, მაგიდებით, წიგნებით, ქანდაკებებით.

რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გარიბალდისას.

აქა-იქ კედლებზე: კაკაბს და ხოხობს.

და რადგანაც ნამდვილ ქართველს ძველთაგან ანდერძად უწერია, თქვენ ამ კაბინეტში ნახავდით რვა ყანწს, ერთი მეორეზე უდიდესს.

მთავარი მაგიდა კაბინეტში სავსეა რაგინდარათი: წიგნებით, გაზეთებით, სამწერლო იარაღებით, სულ ყველაფერი ამ დიდ მაგიდაზე არეულდარეულია, რომ აქაც გამართლებულიყო ნათქვამი პოეტურ დაუდევრობაზე. აი აგერ დიდი ამომშრალი საწერელი. რომელშიაც ვიღაცას მეორე მომცრო ტანის საწერელი ჩაუდგამს, აი შვლის ქანდაკება, რომელსაც რქაზე პოეტის ჩაჩი აქვს წამოცმული. აი გადაშლილი წიგნი, პაპიროსის ნამწვით შუაგულში, აი გლობუსი, საანგარიშე, სათვალე, გაზეთის ორიგინალები, ვეებერთელა წითელი კარანდაში...

თუ საღამოა, ამ მაგიდასთან თვითონ რედაქტორი ზის და აქ, ამ ვიწრო ქარხანაში მზადდება დღეს ის აზრი, რომელიც ხვალ შეიძლება სახელმძღვანელოდ გახდეს ყველა ქართველისათვის ბაქოდან დაწყებული სოხუმამდის და კავკასიის გარეთაც.

როგორც გაზეთის თავი — მესვეური ილია დიდად ნაყოფიერი იყო. ის ბევრსა წერდა და გრძლად წერდა. გრძლად წერა, სამწუხაროდ, მისი ნაკლულევანება იყო".**

მართალია. მოკლედ წერა დიდი ღირსებაა და განსაკუთრებით ეს უნდა აბასიათებდეს ჟურნალისტს, მაგრამ ბედნიერება იყო, რომ „ივერიაში" ილია „გრძლად წერდა", საერთაშორისო მოვლენების ღრმა ანალიზს იძლეოდა, ამავე დროს, საშინაო მდგომარეობასაც ასე ფართოდ ეხმაურებოდა. ბუმბერაზ მწერალს ილია ჭავჭავაძეს იონა მეუნარგია მაგალითად უყენებს ფრანგ ჟურნალისტს ქირარდენს. მოწინავე წერილების ოსტატს. მაგრამ არ შეიძლება მოაზროვნე მწერლისა (ილიას) და

---

* ბარტოლომეო მურილიო (1618—1682) სახელგანთქმული ესპანელი ფერმწერალია, რომლის რეალისტურ ხელოვნებას შეუძლებელია ილია ჭავჭავაძე არ მოეხიბლა. მურილიოს სურათებში განსაკუთრებით გვიზიდავს სინამდვილის ცოცხალი წარმოსახვა, სინაზე, ლირიკულობა და არაჩვეულებრივი დამაჯერებლობა. მოგვიანო რენესანსის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი მურილიო თემატიკურადაც მრავალფეროვანი იყო. ქრისტიანული თემების („დასვენება", „მადონა ყრმასთან ერთად", „ისაკის მიერ იაკობის დალოცვა" და სხვ.) პარალელურად, მან შექმნა მრავალი ჟანრული სცენა (ე. წ. „ულამაზესი ჟანრი"), სადაც დიდი რეალისტური გრძნობით ხატავდა, მურილიო შესანიშნავი, ბრწყინვალე ყოფითი სურათები შექმნა მოხეტიალე ჭუჭის ბავშვებზე, მჯიღოვრებზე, და მათდამი ღრმა სიმპათია გამოხატა (იხ. აგრეთვე: გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, 1955 წ., ტ. I, გვ. 587. მისივე: „ესთეტიკური თეორიის საკითხები", 1961 წ., გვ. 505—506.

** იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 194 — 195.

სპეციალობით ჟურნალისტის (ჟირარდენის) ერთმანეთთან შედარება.

ამ დიდი სარედაქციო მუშაობის პარალელურად, როგორც აღნიშნული გვაქვს, ილია მუშაობდა ადრეთვე 1879 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ (თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი იყო), ხოლო 1885 წლიდან — თავმჯდომარედ. ეს არ წარმოადგენდა ფორმალურ, მარტოოდენ საპატიო თანამდებობას. ილიას უხდებოდა, როგორც დიდი, ისე პატარა, ერთი შეხედვით „წვრილმანი“ საქმეების გაკეთებაც. ჩვენ მოვიტანთ რამდენიმე ფაქტს, თუ როგორი საქმიანობა იყო წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში და რა. დიდი დრო მიჰქონდა თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

პირველყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობის დროს ილიას თვითონვე უხდებოდა სხვადასხვა საკითხზე მოხსენებითი ბარათების წერა. ეს ბარათები მოწმობენ, თუ რა სწორი ორიენტაცია ჰქონდა აღებული პოეტს სახალხო განათლების დარგში. საკმარისია დავასახელოთ 1893. წლის 8 ოქტომბრის თარიღით კავკასიის ოლქის მაშინდელი მზრუნველის იანოვსკისადმი ილიას მიერ საკუთარი ხელით დაწერილი მოხსენებითი ბარათი ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გამგის სამსონ ყიფიანის შესახებ. საკითხი 1893 წლის 20 ივლისს აღუძრავს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს. საზოგადოების გამგეობისაგან მას მოუთხოვია ყიფიანის გადაყენება, როგორც „ზნეობრივი მხრით უაღრესად საეჭვო ადამიანისა“ (ვინმე შაფათავას ქალს განუცხადებია — ყიფიანისაგან უკანონო შვილი მყავსო). ამ ბრალდებას ემატებოდა პედაგოგიური ბასიათის დარღვევებიც: საზოგადოების წესდების მესამე პარაგრაფის დაუცველობა — მეგრულის ნაცვლად ქართულ ენაზე სწავლება. ამ დარღვევის გამოსწორებისათვის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი მოითხოვდა ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლება შემოღებულიყო რუსულ ან მეგრულ ენაზე, ხოლო ქართული ენა ყოფილიყო, როგორც საგანი*.

სიმართლისა და ჭეშმარიტებისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი — ილია ჭავჭავაძე პირადად ისე აქტიურად ჩარეულა საქმეში, რომ თვითონვე შეუსწავლია ყიფიანის საკითხი და მოხსენებითი ბარათი საკუთარი ხელით დაუწერია. დიდად გამოცდილ იურისტს, რომელსაც ამ დარგში თეორიულ მომზადებასთან ერთად ხანგრძლივი პრაქტიკული გამოცდილებაც ჰქონდა, არაფერი გამოეპარებოდა. მოხსენებითს ბარათში ილია საჯაროდ დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ყიფიანის საქმეს საფუძვლად უდევს არა სკოლის ინტერესები, არამედ, პირადი მტრის მიერ მოწყობილი ინტრიგა და შანტაჟი. ყიფიანისათვის ყოველმხრივი დადებითი შეფასება მიუციათ ადგილობრივ მოხელეებსა და მცხოვრებ-

* „საისტორიო მოამბე“, III, 1947 წ., გვ. 236.

ლებს, რომელთა თვალწინაც წლების მანძილზე დაუღალავად მუშაობდა ძველი სენაკის სკოლის ბრალდებული გამგე, ადგილობრივ მღვდელს, ორ მოხრიგებელ შუამავალს, ათ თავადსა და აზნაურს, აგრეთვე ადგილობრივ მაზრის უფროსს. «Все эти лица,— წერს ი ლ ი ა,— на виду которых прошла в продолжение нескольких лет вся деятельность г. Кипиани в сфере школьной и частной жизни, удостоверяют его похвальные нравственные качества, добросовестное исполнение им своих обязанностей, уважение, которым он пользуется среди местного общества, его особенные заслуги по возведению здания для сельскохозяйственных классов при Сенакской дворянской школе, а равно интриги и происки, которые ведутся против Кипиани лицами, лично против него озлобленными».*

ურყევი არგუმენტებითა და დასკვნებით ილიამ ყიფიანის წინააღმდეგ პირველი ბრალდება სრულიად მოხსნა, ხოლო მეორე ბრალდებასაც ასეთივე ურყევი მოსაზრებანი დაუპირისპირა. ეს მოსაზრებანი იმდენად საფუძვლიანია, რომ ღირსია მთლიანად მოვიტანოთ:

«Что же, касается до преподавания предметов в Сенакской дворянской школе в первые два года на грузинском языке, а не на мингрельском, то это делается по единогласному желанию всего местного дворянства, дети которого, за весьма редкими исключениями, хорошо владеют грузинским языком при поступлении в школу, желанию санкционированному вашим превосходительством отношением в наблюдательный комитет Михайловского дворянского земельного банка в Кутаисе от 24 марта 1888 года за № 2189, коим уведомляется Комитет, что вами сообщено директору народных училищ Кутаисской губернии о разрешении вести в Старо-Сенакской дворянской школе обучение на грузинском языке, руководствуясь при этом учебным планом, утвержденным бывшим наместником кавказским 13 января 1881 года, но с тем, чтобы для тех учеников из мингрельцев, которые мало знают грузинский язык, преподавание ведено было на мингрельском языке. Очевидно, директор упустил из виду это распоряжение вашего превосходительства и потому счел незаконным образ действий заведывающего Сенакскою дворянской школой, вполне согласный с этим распоряжением».**

ეს იყო არა მარტო ყიფიანის დაცვა, არამედ, იმის გამოაშკარავებაც, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი, რომელმაც საკითხი აღძრა, საქმის კურსში არ იყო, ინტრიგებს აყოლილი, ბრმად იმეორებდა სენაკის სკოლის გამგისადმი პირადი მტრების მიერ წაყენებულ ბრალდებებს, თვითონვე ჰქონდა დავიწყებული ენის სწავლების შესახებ მოქმედი ინსტრუქცია და სხვას კი ბრალდებას უყენებდა. თავისი ძირითადი მოსაზრებები ილიამ იმითაც გააძლიერა, რომ დაძინა: წინა წლებში რევიზორების მიერ სენაკის სკოლის შემოწმების საფუძველზე წარმოდგენილი მოხსენებანი ზუსტად ემთხვევიან ზემოხსენებულ პატივცემულ პირთა იმ ქებას, რაც მათ ყიფიანს მისცეს, მაგრამ მკაცრად ეწინააღმდეგებიან ბ. დირექტორის აზრსო. ეს უკანასკნელი, სრულიად უეჭველია, შეცდომაში შეიყვანა სენაკის სკოლის ერთმა ყოფილმა მასწავლე-

* „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 238.

** იქვე, გვ. 239.

ბელმა, რომელმაც, გაბოროტებული იყო რა ყიფიანზე თანამდებობიდან მოხსნის გამო, მომართა საზოგადოების გამგეობასაც ვრცელი ცილისმწამებლური წერილით თავის ყოფილ უფროსზე; ეს წერილი ისეთი უვიცობითა და უპატიოსნო განმარტებებით იყო დაწერილი, რომ გამგეობა იძულებული შეიქნა დაედგინა: იმის გამო, რომ ეს ცილისმწამებლური წერილი ყველაზე მჭევრმეტყველურად ადასტურებს მომჩივანის მოხსნის საფუძვლიანობას, უარი ეთქვას მას თხოვნაზე სკოლაში მასწავლებლად უკან დაბრუნების შესახებ. ამიტომ, თუ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის თხოვნას შეასრულებდა, საზოგადოების გამგეობა არა მარტო უსამართლობის აქტს ჩაიდენდა პედაგოგიურ ასპარეზზე ისეთი სასარგებლო მოღვაწის წინააღმდეგ, როგორიც ყიფიანია (რომელმაც, თავისი ენერგიის, საქმისადმი თავდადებისა და ადგილობრივ საზოგადოებაში მოპოვებული ნდობის წყალობით, სხვათა შორის, თავადაზნაურობის ხარჯზე ააგო სენაკის სკოლის მომავალი სასოფლო-სამეურნეო კლასებისათვის ფართო შენობა), არამედ იმის პრეცედენტსაც შექმნიდა, რასაც შეეძლო ნამდვილად მადემორალიზებელი გავლენა მოეხდინა, სამსახურებრივი ინტერესების თვალსაზრისით. წაექეზებინა შარის თავები და ინტრიგანები, შეეშფოთებინა სასარგებლო და პატიოსანი მამვრალნი. ასეთი პრეცედენტის არსებობის დროს არც ერთ მოსამსახურეს არ შეუძლია თავისი მდგომარეობის სიმტკიცის იმედი იქონიოს, ვინაიდან იმაზე უფრო ადვილი არაფერია, ვიდრე ხმები შეთხზა. ყველა სერიოზულ კანდიდატს სურვილი წაერთმეოდა სამსახურში შესულიყო, იმის შიშით, რომ შეიძლება მან ადვილად დაჰკარგოს არამარტო თანამდებობა, არამედ, სახელგატეხილიც შეიქნეს რაღაც ხმების საფუძველზე, რომლებიც თავისი ბუნებით უჩინარი და უხილავია, ძალიან ხშირად შეთხზულია ღვარძლიანი არაკეთილმოსურნე პირის მიერ და დაუმტკიცებლად დაუჯერებია მიმნდობ უფროსს. ამასთან ერთად, გამგეობას არ შეუძლია არ მიუთითოს, რომ ნამდვილი ხმაც კი, და არა მოჩვენებითი, კანონით არ ითვლება საკმაო საბაბად წინასწარ ძიებაში მოექცეს ვინც არ უნდა იყოს, ხოლო მით უმეტეს იგი არ შეიძლება გახდეს ბრალდებისა და სასჯელის საფუძველი.*

ამ ურყევი არგუმენტებიდან და მტკიცე ლოგიკური დასკვნებიდან გამომდინარე ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე საზოგადოების გამგეობის სახელით სავსებით კანონიერად მოითხოვდა, რომ სენაკის სათავადაზნაურო სკოლის გამგე სამსონ ყ ი ფ ი ა ნ ი დაკავებულ თანამდებობაზე დაეტოვებინათ. შეუძლებელი იყო ი ა ნ ო ვ ს კ ი, რომელსაც დიდი პოეტი ასე სამართლიანად ებრძოდა,** დათმობაზე არ წასულიყო სრულიად ელემენტარულ მოსაზრებათა კარნახით.

აქ უნდა გავიხსენოთ ავრეთვე მეორე ფაქტი, რომელიც ისევ სენაკის სკოლასთან არის დაკავშირებული და არანაკლები სიძლიერით გვიჩვენებს ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს დიდბუნებოვნებას. მხედველობაში გვაქვს ცაიშის სოფლის სკოლის მასწავლებლის პროკოპატორ თედო ა შ ო რ დ ი ა ს კონფიდენციალური წერილი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ ი ა ნ ო ვ ს კ ი ს ა დ მ ი 1887 წლის 28 აპრილის თარიღით. ამ საიდუმლო მიმართვის სრული შინაარსი ასეთია:

---

* „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 239—240.

** იხ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. „ბ-ნ ივანოვსკის წერილისა გამო-", 1881 წ. თხზულებანი, 1957 წ., გვ. 491—501.

სენაკის სათავადაზნაურო სკოლის ერთ-ერთ მასწავლებელს რაღაც შეკითხვით მიუმართავს ცაიშის სოფლის სკოლის მასწავლებელ თედო აშორდიასათვის. ეს უკანასკნელი სოფელში ცნობილი გამხდარა, როგორც იანოვსკის მოსყიდული აგენტი და მეფის მთავრობის რეაქციულ ღონისძიებათა ფანატიკური შემსრულებელი. როგორც ჩანს, სენაკის სკოლის მასწავლებელსა (შესაძლოა ეს იყო ის პირი, რომელიც შემდეგ სამსონ ყიფიანს ებრძოდა) და აშორდიას შორის წალაპარაკება მომხდარა. პირველ დამბეზღებელს გული მოსვლია მეორე დამბეზღებლის სიტყვებზე: „ეს შენი საქმე არ არის და გაჩუმდიო". ამის შემდეგ პირველს სხვების თანდასწრებით უთქვამს, რომ „ამ საქმეზე" მე უფრო მეტი ვიცი, ვიდრე შენ, და ისიც ვიცი, რომ ამისათვის ძალიან მოგხვდებაო. როცა მე მას ვკითხე, —კონფიდენციალურად წერს აშორდია იანოვსკის, — რა იცის მან, — რამდენიმე მოწმის თანდასწრებით მიპასუხა, რომ მათთან (ე. ი. სენაკის სათავადაზნაურო სკოლაში), თითქმის ყოველ თვე იკრიბებიან დიმიტრი უიფიანი (რომელიც უკვე გაასახლესო, — კმაყოფილებით დასძენს გამყიდველი აშორდია), ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები, რომლებიც წყვეტენ საკითხს, თუ როგორ ააჯანყონ ხალხი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ იანოვსკის 1884 წლის 11 იანვრის ცირკულარის წინააღმდეგ. ეს ფაქტები მე შევამოწმე და აღმოჩნდა სრული ჭეშმარიტება, თუმცა ძნელია მათი საიდუმლოების გაგება, თუ ისინი სად და როგორ მოქმედებენო. ამის შემდეგ აშორდია თავის შეფს დაწვრილებით ატყობინებს ამბების განვითარებას, კერძოდ, იმას, რაც პირადად შეხვდა ამ საქმესთან დაკავშირებით, მოყოლებული 1884 წლიდან 1887 წლის 25 აპრილამდე, ე. ი. იმ დღემდე, როცა ის-ის იყო არ გადაწყდა „სადაო საკითხი".

«В прошлом году я и хетский сел. учитель Петр Камкия, — სწერს აშორდია იანოვსკის, — по приказанию г. директора Кут. губернии должны были явиться в г. Кутаис. На дороге встречается незнакомое до того лицо — кн. Коция Дадиани, останавливает дилижанс и обижает меня как бранью, так и угрозами, но видя, что товарищ заступается за меня, оставляет, предсказав весьма прискорбный конец для меня! В ту же ночь учителя Мингрельского духовного училища хитростью взяли меня с постели на Ново-Сенакский вокзал, где после продолжительной борьбы один из них, Г. Мампория, вызывал меня на дуель. Акакий Церетели в присутствии протоиерея и сына его Ионны Меунаргия говорил мне, что он, если не боялся бы суда, убил бы меня и т. д. Таких примеров много. Но оставив все это, теперь посмотрим, как они действуют через газету «Иверия» с января сего года. Первый выступает на поле битвы инспектор Сенакского дворянского училища Кипиани, который насмехается над мингрельским языком и народом за то, что он так слепо подчинился распоряжению начальства по делу языка; ваше превосходительство выводит старшим колдуном (рокапи), которому представляют отчеты прошлого года о своих злодействах демоны, т. е. директор и инспектор Кут. губ.; Грена обозвал ни мясом, ни рыбою, а мне дал одну роль в руки публично, и разыгрывается грустная драма. Вслед за этой статьей является статья кн. Николая Тариеловича Дадиани, которая, дав грузинам большую надежду, хоронит меня живым. Он, Дадиани, составил про меня от имени мингрельского народа такое сатирическое стихотворение, что невыносимо. Когда статья эта распространилась в народе и заслужила большое внимание, вышла

вторая статья, которая окончательно венчает первую и говорит читателям: «Вот, посмотрите, в таком-то № как оценил мингрельский народ Ашортия и как он ему прочел разрешительную молитву; пусть он знает, что народ не овцы, чтобы все бросились со скалы вслед за предидущим» и т. д.

Все это я пропускал мимо ушей и переносил хладнокровно; но 25 сего апреля я был выведен из терпения незнакомым до того лицом — озургетским уездным предводителем дворянства кн. Варламом Эристави. Он, Эристави, выказав глупую выходку пред моей школой, еще прежде хотел вывести меня из терпения, но не удалось. Теперь, 25-го апреля, проезжая мимо моей школы вместе с зугдидским уездным начальником, у которого он гостил в тот день, обидел меня при толпе моего общества, так что я принужден был выхватить револьвер и направиться к нему, если бы окружающие не задержали.

Из всего вышесказанного видно, что, так или сяк, они сделают меня жертвою сего дела. Поэтому покорнейше прошу ваше превосходительство ускорить печатание азбуки. Я прошу это не потому только, что хочу выдеть осуществление идей, ради которой я должен пострадать, а потому, что народ, подговоренный грузинами, с нетерпением ожидающий выдеть, правда ли, что говорили ему: «грузинскую письменность уничтожили, мингрельской письменности не было и не будет, а хотят обрусеть», если увидит свою письменность, делу даст другое направление, а то при таких обстоятельствах, как теперь, не только я, даже многие пострадают. Уже многим учителям заявили, чтобы они не производили опыта над головами их».*

როგორც კი ეს კონფიდენციალური ცნობა მიიღო, იანოვსკიმ სასწრაფოდ, ასევე კონფიდენციალურად, 1887 წლის 9 მაისს მისწერა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს შეემოწმებინა გაზეთ „ივერიაში“ იანვრის თვიდან ის წერილები, რომლებიც „ჩემს (ე. ი. იანოვსკის — გ. ჯ.) განკარგულებებს“ განიხილავენ სამეგრელოს სკოლებში სწავლების შესახებო. ეზრუნველი აგრეთვე მოითხოვდა დაჩქარებულიყო ეს საქმე, თან ზუსტად მიეთითებინათ „ივერიის“ ნომრები და ეთარგმნათ ის ადგილები, რომლებიც «обращают на себя внимание».** ეს დავალება, ცხადია, სასწრაფოდ შეუსრულებიათ.

უფრო გვიან, 1899 წლის 9 აგვისტოს ილია კვლავ უბრუნდება სენაკის სკოლისა და ყიფიანის საკითხს, მაგრამ უკვე სხვა ვითარებასა და სხვა ასპექტში. ეტყობა, სენაკის სკოლაში კვლავ გამწვავებულა მდგომარეობა, რასაც გამოუწვევია პოეტის შემდეგი პირადი წერილი დავით კარიჭაშვილისადმი: „დღეს დეპეშა მომივიდა ცხვედაძისა და მიბარებს საორშაბათოდ ყიფიანის საქმის თაობაზე. მე ვერ ჩამოვალ, რადგანაც შეუძლოდა ვარ. ხოლო, თუ საჭიროა, აი ჩემი აზრი: რადგანაც მთავრიშვილმა უარი განაცხადა და ჩვენ სახეში სხვა არავინა გვყავს კანდიდატად, და რადგანაც იქაურ თავადაზნაურობას და საზოგადოებას, როგორც თქვენ იწერებით, უთხოვნია ყიფიანის ინსპექტორად დატოვება სენაკის სკოლაში, მე მგონია, სხვა გზა არ არის, წინანდელი განაჩენი ჩვენი შესახებ ყიფიანისა და მარტო ყიფიანისა უნდა გაუქმდეს, ყიფიანი დარჩეს ინსპექტორად. ხოლო, რომ ასეთი ჩვენი გადაწყვეტილება ყიფიანმა ჯილდოსავით არ მიიღოს допустить его в качестве исправляющего (თუ исполняющего?—გ. ჯ.)

* „საისტორიო მოამბე“, III, 1947 წ., გვ. 229—230.

** იქვე, გვ. 231—232.

должность инспектора. ეს, ასე თუ ისე, ერთის მუხლით დაქვეითება იქნება მისთვის და არა უმნიშვნელო საგრძნობელიცა.

მთავრის შვილის უარმა და იქაურ საზოგადოების თხოვნამ და შუამდგომლობამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩაგვაყენა და ლამის ამ ყიფიანის საქმეს თან გადაჰყვეს გამგეობაც, ჩვენი საზოგადოებაც და სენაკის სკოლაც. მე წინადაც მომიხსენებია გამგეობისათვის, რომ ამ საქმეში სამდურავი იქაურ თავადაზნაურობისა და საზოგადოებისა ანგარიშგასაწევია დიდად და დიდად მათთვის, ვისაც იმ სენაკის სკოლის სვე-ბედი აბარია. იმ სკოლას რომ ერთი რამ აუტეხონ, ყოველივე პასუხისგება ჩვენ დაგვაწყდება; რომ ატეხა რისამე იქაურ თავად-აზნაურობას ადვილად შეუძლიან, მე ესა მწამს და მაფიქრებს. აი რამ მაიძულა ისეთის აზრის შედგენა, როგორსაც ზევით მოგახსენებთ".*

თავი რომ დავანებოთ პედაგოგიკურ თეორიას, პრაქტიკულადაც ასე ზრუნავდა ქართულ სკოლებზე ილია ჭავჭავაძე და ცდილობდა სწავლა-აღზრდის საქმეს ხელმძღვანელებად სავსებით ეროვნული ადამიანები ჰყოლოდა.

არა საქმისათვისაც არ უნდა მოეკიდებინა ხელი, ილია ჭავჭავაძე უველგან და უოველთვის არა მარტო დიდ მონდომებას იჩენდა, არამედ, ცდილობდა მოწინავე პოზიცია დაეკავებინა, არ გადაეხვია განმანათლებლური, ჰუმანისტურ-დემოკრატიული იდეებისათვის. ეს იდეები, როგორც ვნახეთ, მას ახალგაზრდობიდანვე იტაცებდნენ და შემოქმედების გარდა, პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროშიც გზას უნათებდნენ. ილია ჭავჭავაძე ერთი იყო შემოქმედებაში, აზროვნებაში, პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

V

შეუძლებელია ილია ჭავჭავაძის პროგრესული მოღვაწეობა მეფის მთავრობას არა მარტო შეუმჩნეველი დარჩენოდა, არამედ, საშიშად არ მიეჩნია. ამას გვიდასტურებს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ პეკარსკის საიდუმლო მიმართვა თბილისის გუბერნატორისადმი. ამ მიმართვაში ნათქვამია:

«По распоряжению Департамента полиции учрежден негласный надзор полиции над служащим в Тифлисском дворянском поземельном банке кн. Ильею Григорьевичем Чавчавадзе и сыном коллежского секретаря Игнатием Анисимовичем Иоселиани, как за лицами сомнительной политической благонадежности... О чем сообщая, имею честь покорнейше просить распоряжения вашего превосх-ства об учреждении вышесказанного надзора за поименованными лицами, и о всякой перемене места жительства их не оставить уведомлением».**

ეს იყო 1884 წლის 13 ივლისს, ხოლო იმავე წლის 31 ივლისს თბილისის პოლიციმეისტერი მოხსენებას უგზავნის თბილისის გუბერნატორს და სრულიად საიდუმლოდ ატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძეზე დაწესებული ფარული საპოლიციო მეთვალყურეობა ამოქმედებულია, სათანადო განკარგულებებიც დაგზავნილია. პოლიციმეისტერის ხსენებულ მოხსენებაში ვკითხულობთ: «На предписание от 21-го сего июля за № 146

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 145—146.
** „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 212—213.

имею честь донести вашему превосх-ству, что Илья Чавчавадзе в настоящее время проживает с семейством в имении своем — сел. Сагурамо, Душетского уезда, почему мною вместе с сим за № 660 сообщено душетскому уездному начальнику об учреждении над ним негласного полицейского надзора».*

მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ყველაფერი ისე კეთდება, რომ ფარული საპოლიციო მეთვალყურეობა დიდ პოეტზე ყველა ინსტანციასა და ყველა დაწესებულებაში, ვისაც ეხება, სათანადოდ იყოს გაფორმებული, რათა მეთვალყურეობამ ნამდვილად შედეგი გამოიღოს. ამიტომაა, რომ თბილისის პოლიციმეისტერი 1884 წლის 13 სექტემბერს პატაკს უგზავნის თბილისის გუბერნატორს ისევ იმის შესახებ, რომ ფარული მეთვალყურეობა ილია ჭავჭავაძესა და ეგნატე იოსელიანზე დაწესებულია. პატაკში ნათქვამია: «Над служащими в Тифлисском дворянском поземельном банке Ильею Григорьевичем Чавчавадзе и сыном коллежского секретаря Игнатием Анисимовичем Иоселиани учрежден негласный надзор полиции по 4-му и 5-му участкам гор. Тифлиса, о чем также сообщено начальнику Тифлисского губернского жандармского управления... Об этом, во исполнение предписания от 21 июня сего года зн № 146 и в дополнение к рапорту моему от 31 того же июля за № 661, имею честь донести вашему превосх-тву».**

ამის შემდეგ იწყება ილიას მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის პოლიციური აღწერა და თბილისის გუბერნატორისათვის შეტყობინება. მაგალითად, 1885 წლის 3 აპრილს თბილისის პოლიციმეისტერი თბილისის გუბერნატორს ატყობინებს, რომ პოლიციის სასტიკი ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი თავადი ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე 1885 წლის 29 მარტს თბილისიდან ქუთაისში გაემგზავრა და ამის შესახებ სათანადო ორგანოებსაც ეცნობა. თბილისის პოლიციმეისტერი თავის პატაკში წერს:

«Состоящий под строгим негласным надзором полиции кн. Илья Григорьевич Чавчавадзе выехал 29-го прошлого марта из г. Тифлиса в г. Кутаис... Донося об этом вашему превосх-ству, имею честь доложить, что о выезде из Тифлиса кн. Чавчавадзе мною вместе с сим послано уведомление начальнику Тифлисского губернского жандармского управления и кутаисскому полицмейстеру».***

თუ რამდენად სასტიკი იყო ეს ფარული საპოლიციო მეთვალყურეობა დიდ პოეტზე, იქიდანაც ჩანს, რომ აგენტებს დავალებული აქვთ აცნობონ სათანადო ინსტანციებს ისეთი ფაქტებიც კი, როგორიცაა თბილისიდან საგურამოში ილიას გამგზავრება ან უკან გამობრუნება. 1885 წლის 15 ივნისს თბილისის პოლიციმეისტერი პატაკს უგზავნის თბილისის გუბერნატორს და წერს:

«Имею честь донести вашему превосх-ству, что состоящий под негласным надзором полиции кн. Чавчавадзе выехал в свое имение — селение Сагурамо, Душетского уезда, на несколько дней, и что в течение лета он часто будет выезжать в означенное селение... Сообщив душет-

---

* „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 213.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 214.

скому уездному начальнику для учреждения за кн. Чавчавадзе надзора, имею честь донести об этом вашему превосх-ству».*

მეორე პატაკში, 1885 წლის 8 ივლისს თბილისის პოლიციმეისტერი თბილისის გუბერნატორს ატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძე საგურამოდან ისევ თბილისში დაბრუნდა:

«Пристав 4-го участка 5-го сего июля за № 83 донес мне, что состоящий под негласным надзором полиции кн. Илья Чавчавадзе приехал в г. Тифлис из м. Сагурамо... Об этом имею честь донести вашему превосх-ству».**

ასეთი სასტიკი ფარული საპოლიციო მეთვალყურეობა დიდ პოეტზე გრძელდებოდა თითქოს მხოლოდ 16 წელს — 1884-დან 1900 წლამდე, მაგრამ, ფაქტურად, სრულიად უეჭველია, რომ იგი არ შეწყვეტილა ილიას სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. ამას გვიდასტურებს თვით ილიას ციკვდილიც. მაშინ, როგორ გავიგოთ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის პოლკოვნიკ ბეზგინის მიმართვა თბილისის ოხრანკის უფროსისადმი 1905 წლის 28 სექტემბრის თარიღით? ვიდრე ამ დოკუმენტს მოვიტანდეთ, საჭიროა შემდეგი მომენტის გათვალისწინება: ილიამ, ცხადია, არ იცოდა, რომ მის მიმართ დაწესებული იყო ფარული საპოლიციო მეთვალყურეობა. მაგრამ შეუძლებელია მას არ გრძნობა და არაოფიციალურად არ სცოდნოდა, რომ მისი ყოველი მოქმედება მეფის მთავრობას აღრიცხული და შესწავლილი ჰქონდა. ამიტომ, ეტყობა, დიდი პოეტი სიფრთხილის ყველა ზომას იყენებდა მთავრობის მოხელეთა თვალის ასახვევად. ამიტომ არის, რომ ჩვენს მიერ მოხსენებულ თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიმართვაში თბილისის ოხრანკის უფროსისადმი 1905 წლის 28 სექტემბერს ნათქვამია:

«Кн. Илья Григорьевич Чавчавадзе, согласно предписания Департамента полиции от 25 апреля 1884 г. за № 1698, состоял в г. Тифлисе под негласным надзором полиции по 18-ое апреля 1900 года и за время его проживания в Тифлисе компроментирующих его политическую благонадежность сведений в Управление не поступало. Где и за что он был привлечен — в Управлении сведений не имеется».***

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ძალიან დიდი საიდუმლოებაა და 1900 წლის 18 აპრილს „მეთვალყურეობის მოხსნა“ რაღაც სხვა მიზეზითიყო გამოწვეული, რომლის შედეგმაილიას სიცოცხლე შეიწირა.

ერთი მიზეზი მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო თვით ფაქტის გახმაურება. შეუძლებელია 16 წლის მანძილზე დაწესებული მეთვალყურეობა არ გამჟღავნებულიყო რაიმე გზით. გარდა ამისა, მეთვალყურეობამ რაკი შედეგი არ მოიტანა, ხოლო საზოგადოებამ შეიტყო, ბუნებრივად ჩაითვლებოდა მიზანშეუწონელ ფაქტად.

მეორე მიზეზი უთუოდ იყო ილიას არაჩვეულებრივად გაზრდილი ავტორიტეტი. მეფის მთავრობა თანდათან რწმუნდებოდა, რომ ილია ჭავჭავაძე თავისი პროგრესული შეხედულებებით მისთვის არამარტო საშიში გახდა, არამედ,

---

* „საისტორიო მოამბე“, III, 1947 წ., გვ. 214.

** იქვე, გვ. 214.

*** იქვე, გვ. 266.

აუტანელიც. ძნელი იყო მთავრობის ღონისძიებათა გატარება, თუ ილია თავისი დიდი გავლენით მხარს არ დაუჭერდა, ხოლო იგი როგორ იბრძოდა ზოგიერთი „უმაღლესი აქტის“ წინააღმდეგ, მოწმობს არაერთი მაგალითი, მათ შორის იანოვსკის პოლიტიკის სასტიკი უარყოფა.

მესამე მიზეზი, ყველაზე ძლიერი, ეს იყო სურვილი — როგორმე უმტკივნეულოდ თავიდან მოეშორებინათ „საშიში ელემენტი“. ამისათვის კი საჭირო სრულებით არ იყო „საიდუმლო მეთვალყურეობა“, ისიც ჩვეულებრივი პოლიციური არხებით; საკმარისი ხდებოდა თუნდაც ერთი მოსყიდული აგენტის მოქმედება, რასაც შეეძლო მ ს ხ ვ ე რ პ ლ ი ფ ი ზ ი კ ურ ად მ ო ე ს პ ო. ამ ვერაგული გეგმის განხორციელებას სრული შვიდი წელიწადი დასჭირდა მას შემდეგ, რაც ილიაზე „საიდუმლო მეთვალყურეობა“ მოიხსნა. საბოლოოდ კი ილიას ბედი გადაწყვიტა სახელმწიფო საბჭოში მისმა არჩევამ და იმ პოზიციამ, რომელიც დიდმა პოეტმა, მთავრობის მოულოდნელად, ს ა ბ ჭ ო ს მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე წ ე ვ რ ე ბ თ ან ე რ თ ად დ ა ი კ ა ვ ა.

მაგრამ ვიდრე ამ ფაქტებს შევეხებოდეთ, ჩვენ გვინდა გავიხსენოთ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ო რ ი წ ე ლ ი, კერძოდ ის პერიოდი, როცა რუსეთსა და საქართველოში 1905 წლის რევოლუცია დაიწყო. ძველი ქვეყნის ბასტიონებს სახალხო რისხვა მიატყდა, აკაკი წერეთელიც კი, უკვე ღრმად მოხუცებული, ახალგაზრდებს გვერდში ამოუდგა, „ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი“ თარგმნა, დაწერა „ნ ა ტ ვ რ ა“ და „ხ ა ნ ჯ ა ლ ს“, რომლებშიაც არსებითად უმღერა რევოლუციურ სულს.*

1905 წლის რევოლუციური აზვირთების დღეებში, ერთხანს თითქოს დადუმებულმა ილიამ თავისი მძლავრი ხმა ამოიღო. ეს იყო იმ დღეებში, როცა მამაცი გურულების დასასჯელად ულმობელ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის რაზმები იგზავნებოდა. როცა ილია მოჰკლეს, სწორედ ეს ფაქტი გაიხსენა „Гуриец“-მა და «Закавказье»-ში მოთავსა წერილი— «Последний аккорд»:

«Это было ранней весною.

В конце февраля 1905 года.

Тяжелый период голицынской эпохи, казалось, миновал навсегда. Народ находился в брожении. Заря новой жизни неудержно пробивалась сквозь щели старых, обветшалых застав и давала о себе знать.

Маленькая, отдаленная Гурия во главе «движения» и приступила к фактическому осуществлению у себя начал новой жизни: ввела преподавание в школах на родном яз., завела свой суд, свое самоуправление и т. д. ...

Из Тифлиса была снаряжена туда первая экспедиция ген. Алиханова-Аварского.

Общество встрепенулось. Судьба лучшего уголка Грузии висела на волоске...

За неимением учреждений, заботящихся о народных интересах, общественные деятели собрались в дворянском депутатском собрании совещаться, как помочь делу.

Пессимизму собрания не было конца. Острота момента вносила в прения страстность и беспорядочность. И вдруг все смолкло. Хочет говорить с а м И л ь я — стали передавать друг другу.

---

* იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. IV, 1963 წ., გვ. 314.

И Илья Чавчавадзе, словно старый орел, вырвавшийся из цепей, заговорил могуче и властно. Его умные, проницательные глаза горели божественным огнем.

— Мы должны сделать все, чтобы спасти Гурию. Все поставим на карту, пойдем и испробуем все мирные средства и разъясним представителю власти положение вещей, а если не добьемся ничего, то все ляжем костьми за братьев гурийцев...

Так закончил он свою речь при бурных аплодисментах всего собрания.

И речь эта была последним аккордом его великого сердца, так трепетно бьющегося за счастье и несчастье всего грузинского народа...

Вопрос сразу разрешился. Была послана депутация к ген. Маламе.

По дороге в Гурию на ст. Натанеби Алиханов был остановлен, а в Гурию командировали Султан-Крым-Гирея...

Да, это было ранней весной — на заре «новой жизни».

А теперь, когда ранняя осень так жестоко обрезала лепестки распустившегося было цветка этой новой жизни, Чавчавадзе действительно лег костьми, но лег на позор всему краю от руки отщепенцев нашего же общества, презренных убийц...

Мир праху твоему, великий гражданин грузинского народа!» *

ილიას ამ მამაცურ მოქმედებას (1905 წლის მღელვარე დღეებში) მშვენივრად გადმოსცემს მიხეილ ჯავახიშვილი თავის რომანში — „ქალის ტვირთი". თავად-აზნაურთა საკრებულოში, სადაც დაძაბული მდგომარეობაა, სიტყვით გამოდის რეაქციონერი ანდრო ახატნელი (რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი), რომელიც ერთგულქვეშევრდომულ დითირამბებს უძღვნის მეფის მონარქიას... „ორატორს უცებ ხმა ჩაუწყდა. ფეხზე მდგომი ხალხი შუა გაიპო და დარბაზში ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა. მთელი დარბაზი შეირხა და ყველანი ახალმოსულს მიაჩერდნენ. თითქმის დაბალი, მაგრამ სრული, თითქმის სამოცდაათი წლის მოხუცი შუაგარღვეულ ხალხში დინჯად მოდიოდა და თან მოჰქონდა თავისი სანაქებო დარბაისლობა, ჟამთა ცვალებადობაში უკვე მინელებული დიდება. კარგა ხანია, რაც ეს კბილგაცვეთილი ბებერი ლომი თითქო სამუდამოდ შეიხიზნა ბუნაგში. აღარც მისი ბუხუნი ისმოდა, აღარც მისი კლანჭი სჩანდა. მხოლოდ ერთხელ კიდევ დაიბუხუნა მან წინად. გურიის ასაკლებად მძვინვარე გენერალ ალიხანოვს ჰგზავნიდნენ. ჯარი უკვე სადგურზე იყო გასული. მაშინ განაცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნაზე ხელი უნდა ავაღებინოთ, თუ არა და — ყველამ თავი უნდა დავდოთო. ვარანცოვ-დაშკოვს ეთქვა, თუ ჭავჭავაძეც კი აჯანყებას გვემუქრებაო, ჩანს მართლა საერთო აჯანყება მოგვეწყოსო, და დასარბევად გასული ჯარი უკანვე დააბრუნა".**

ილიას მამაცობა ამით არ დამთავრებულა. სიცოცხლის ბოლო ორ წელს იგი თითქოს ახალგაზრდულ ენერგიას იკრებს და კვლავ გამოჩნდება ჩვენს წინაშე, როგორც მებრძოლი გლადიატორი, რომელსაც პირისპირ ვერ ამარცხებენ, მაგრამ ბოლოს უღებენ ზურგიდან მახვილის დაცემით.

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით საშინელ ტრაგედიას, რომელიც წ ი წ ა მ უ რ-

---

* «Закавказье», 1907 г., № 184.

** რომანში ამ სცენის შესახებ იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკულ ეტიუდები, ტ. III, 1959 წ., გვ. 357.

ში დატრიალდა. ამ ტრაგედიამდე საჭიროა ზოგიერთი ისტორიული ფაქტი გავიხსენოთ.

1906 წლის 9 მარტს, დღის 1 საათზე მოწვეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება.* რომელსაც თავმჯდომარეობდა საგუბერნიო წინამძღოლი თავადი ა. ი. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. განსახილველი იყო მხოლოდ ერთი ძირითადი საკითხი: არჩევა სახელმწიფო საბჭოს ორი ამომრჩეველისა. კრება დაწყებულა თავმჯდომარის შესავალი სიტყვით. მას განუმარტავს საგანგებო შეკრების მიზანი, შემდეგ კი გამოუქვეყნებიათ თბილისის გუბერნატორის № 776 მიმართვა 1906 წლის 1 მარტის თარიღით. ზოგიერთ დამსწრეს აღუძრავს საკითხი: არჩევაში მონაწილეობის უფლება მარტოოდენ ცენზის მქონე თავადს ენიჭება, თუ უცენზოსაც. თავმჯდომარეს განუმარტავს, რომ 20 თებერვლის უმაღლესი ბრძანებისა და 1899 წელს გამოცემულ კანონთა. მე-9 ტომის სათანადო მუხლების საფუძველზე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ ცენზის მქონე თავადებს და მათვე შეუძლიათ არჩეულ იქნენო. ამის შემდეგ დაწყებულა კანდიდატთა დასახელება. წამოუყენებიათ ი ლ ი ა გ რ ი გ ო ლ ი ს-ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, მ ი ხ ე ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს-ძ ე გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს, დ ა ვ ი თ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს-ძ ე გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს, ი ვ ა ნ ე ს უ ლ ხ ა ნ ი ს-ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, ი ვ ა ნ ე ს პ ი რ ი დ ო ნ ი ს-ძ ე ჯ ა ბ ა დ ა რ ი ს ა და დ ა ვ ი თ ზ ა ქ რ ო ს-ძ-ე მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს კანდიდატურები. მაგრამ გურამიშვილს, ივანე ჭავჭავაძესა და ჯაბადარს უარი უთქვამთ, ხოლო მელიქიშვილი რაკი არ ესწრებოდა, ამავე დროს მის თანხმობაზე არავის არაფერი განუცხადებია, სიიდან ამოღებული დარჩენილა. კრებას არც ილია ჭავჭავაძე დასწრებია, მაგრამ სიაში იმიტომ დაუტოვებიათ, რომ წინადღით თანხმობა განუცხადებია. ამგვარად, კენჭი ეყარა ორ კანდიდატს — ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს ა და მ ი ხ ე ი ლ გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვასილ მაჩაბელს უარი უთქვამს ხმა მიეცა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს, რაც ოქმში სპეციალურად აღნიშნულია, ხოლო მ ი ხ ე ი ლ გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, რომელსაც კრებას ესწრებოდა, საკუთარ თავს ხმას არ აძლევს. კენჭის ყრის შემდეგ, რაცა ყუთები გაუხსნიათ (თვითეულს ცალკე ყუთი ედგა), აღმოჩენილა, რომ კოლეგიური რეგისტრატორს თავად ი ლ ი ა გ რ ი გ ო ლ ი ს-ძ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ეს ამომრჩეველთა 40 ბალიდან მხოლოდ ერთი წინააღმდეგი მიუღია, ხოლო კოლეგიური ასესორს თავად მ ი ხ ე ი ლ ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს-ძ ე გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ს — 35-დან 6 წინააღმდეგი. ამგვარად, რაკი ორი კანდიდატი იყო, ორივე არჩეულ იქნა, ხოლო ილია — ხმის თითქმის აბსოლუტური უმეტესობით.

არჩევნების შემდეგ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში უნდა გამგზავრებულიყო. აპრილის პირველ რიცხვებში მას მონაწილეობა უნდა მიეღო სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევაში. მარტის ბოლოს ილია მიემგზავრება რუსეთში. ა პ რ ი ლ ი ს დასაწყისში** ის უკვე პეტერბურგს იმყოფება. ხოლო

---

* ოქმი დაბეჭდილია „საისტორიო მოამბეში", III. 1947 წ., გვ. 367.

** და არა მ ა რ ტ ში, როგორც პ. ინგოროყვა წერს (იხ. მისი წერილი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1957 წ. გამოცემაში, გვ. XXII. ჟურნალისტი მ. ბოლქვაძე, რომელიც მაშინ ილიას ხშირად ხვდებოდა, გვიდასტურებს, რომ „ილიას ჩამოსვლამ (აპრილი 1906 წ.)... „(იხ. ჟურნ. „განათლება", 1908 წ.. გვ. 107. მ. ბოლქვაძის წერილი: „ახლო წარსულიდან").



ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა შორის

აპრილს პეტერბურგში მოწვეული თავადაზნაურთა კრება ილია ჭავჭავაძეს სახელმწიფო საბჭოს წევრად ირჩევს. იმავე დღეს პოეტი დეპეშას უგზავნის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლს ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანს: «Я избран большинством 61 против семнадцати».*

ეს იყო დიდი ქართველი მოღვაწის ავტორიტეტული საქმიანობის ლოგიკური შედეგი.

პეტერბურგის იმდროინდელი პრესა მეტად დაინტერესებულა ილია ჭავჭავაძის პიროვნებით და თითქმის ყოველ მათგანს წარმომადგენელი გაუგზავნია ქართველ პოეტთან შესახვედრად. ილიას პასუხს კორესპონდენტთა კითხვებზე „დიდი შთაბეჭდილება" მოუხდენია".** როგორც მალაქია ბოლქვაძე გადმოგვცემს, ჟურნალისტ შაუმიანს უთქვამს: „...მეც ვინახულე თქვენი პოეტი. ყოველ კითხვაზე დაუზარებლად იძლევა პასუხს. საქართველოს აწიოკვების შესახებ (ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმების ბარბაროსული მოქმედების შედეგად — გ. ჯ.) ნაღვლიანი კილოთი მითხრა: „რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ — ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა — იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენის ქვეყნის ვაებისა".***

---

* „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 268.

** მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან": ჟურნ. „განათლება", № 3—4, 1908 წ.

*** იქვე, გვ. 107—108.

ასეთი იყო აზრები და სურვილები ხალხის რჩეული შვილისა, რომელიც, მართალია, თავადაზნაურობამ აირჩია სახელმწიფო საბჭოში, მაგრამ მთელი ერის ინტერესების დამცველად გამოდიოდა. „...მე ამომირჩია თავადაზნაურობამ, — უთქვამს ილიას. — ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობდენ ზოგნი ჩემი ამომრჩეველნი აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ დავიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნებიო. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს“.*

ილია ჭავჭავაძის ასეთი პოზიცია, ცხადია, მის წინააღმდეგ უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა, პირველ ყოვლისა, იმ ადამიანების მხრივ, რომლებიც მისი ამომრჩევლები იყვნენ. ეს უკმაყოფილება მათ ძალიან მალე გამოამჟღავნეს და პუტის ვერაგულად მოკვლის შემდეგაც დიდხანს ახსოვდათ. „რუსეთის თავად-აზნაურთა უმრავლესობა (ამათ შორის სახელმწიფო საბჭოს წევრნი და ამომრჩეველნი), — წერს მალაქია ბოლქვაძე, — დღესაც (ე. ი. 1908 წელს — გ. ჯ.) დიდი საყვედურით იგონებენ ილიას. უკანასკნელ თავად-აზნაურთა არჩევნებზე, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თავ. ბაგრატიონ დავითაშვილი, ვ. მიქელაძე, სახელმწიფო სათათბიროს „ცნობილმა“ წევრებმა კრუპენსკიმ და მარკოვმა ბრძანეს: „ჩვენ ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა, ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ. ეხლა თუ საიმედო კანდიდატს (ე. ი. არა ილიას მსგავსს, არამედ, ვინმე რეაქციონერ თავადს — გ. ჯ.) დაგვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკაია, თუნდ წერა-კითხვაც არ იცოდენ (ასეთი უვიცი ადამიანი მათთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა — გ. ჯ.), დიდი სიამოვნებით ავირჩევთო“... ამათ სხვებმაც ბანი მისცეს“.**

დიდი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მემარცხენე პოზიციის გამო მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავებულა. სწორედ ილიას ამ პოზიციის მიზეზით საქართველოს თავადაზნაურთა წარმომადგენლები სახელმწიფო საბჭოში არ შეუშვიათ.*** ეს მართლაც ისტორიული ფაქტია და მართლაც ნათელ „სხივს ჰმატებს“ დიდ ქართველ მოღვაწეს.

1906 წლის 22 ივნისს ილია ჭავჭავაძემ ახლადარჩეული სახელმწიფო საბჭოს პირველი სესიის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა. მსჯელობის ობიექტს განაწესი წარმოადგენდა. ილიამ სცადა დაესაბუთებინა, რომ განაწესის მე-5 მუხლი სრულიად ზედმეტი იყო. «Я полагаю, — უთქვამს ილიას, — что статья 5

---

* მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“: ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 108. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 108—109; ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 109.

совершенно лишняя, а напоминание, что члены Государственного совета должны исполнять обязанности своей службы, неуместно».* ილიას მხედველობაში ჰქონდა სახელმწიფო საბჭოს წევრის მიერ „თავისი მოვალეობის შეგნება“ და ამიტომ ზედმეტად, უხერხულად მიიჩნია ფორმალური მითითება, რომ საბჭოს წევრი ვალდებულია თავისი სამსახურებრივი მოვალეობა შეასრულოსო. რაც შეეხება მე-6 მუხლს, მასში ილიამ „პრაქტიკული აზრი“ დაინახა, მაგრამ არსებითი ხასიათის შესწორება მაინც შეიტანა. მართლაც, — ამბობდა ილია, — სახელმწიფო საბჭოს წევრის გამოუცხადებლობა რაიმეთი ახსნილი უნდა იყოს, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში. მაგალითად, არ არის საჭირო აუცილებლად წერილობით ვაცნობო თავმჯდომარეს ან სახელმწიფო მდივანს, თუ ერთ სხდომას გამოვტოვებ. სხვა საქმეა, თუ საბჭოს წევრი ხანგრძლივი დროით ვერ ესწრება სხდომას. მაშინ შეიძლება ისე მოვიქცეთ, როგორც საფრანგეთის სენატის განაწესშია ჩაწერილი. იქ ნათქვამია, რომ თუ სენატორი (ეს — იგივე სახელმწიფო საბჭოს წევრია) ზედიზედ ექვსჯერ არ დაესწრება სხდომას, მაშინ ის ითვლება ამორიცხულად ან უნებართვოდ შვებულებაში გასულად.**

ჩვენ არ ვიცით, ილიას შესწორებანი მიიღეს თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ დიდი პოეტის მიერ საუბებით ნათლად ჩამოყალიბებულ აზრს თავმჯდომარე ფორმულირების უქონლობას უწუნებს და ორატორისაგან მოითხოვს: ნება მოგვეცით, გთხოვოთ თქვენ, ჩამოაყალიბოთ, რაში მდგომარეობს თქვენი შესწორებაო და ილია იძულებული გამხდარა მოკლედ მიეცა ფორმულირება ყოველივე იმისა, რაც ზემოთ ჰქონდა ნათქვამი.

თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ილია ჭავჭავაძეს (შესაძლოა ზოგიერთ სხვა ორატორსაც) სახელმწიფო საბჭოში გამოსვლა, მოწმობს შემდეგი ფაქტი: ერთ-ერთი სიტყვის დროს ილია იძულებულია აღიაროს, რომ ბოდიშს იხდის კრების წინაშე, ვინაიდან, შესაძლოა ნაწილობრივ გაიმეოროს ის, რაც მანამდე უკვე ითქვა, რაკი ჩვ, სადაც იგი ზის, სავსებით კარგად არ ისმის ხმა, და ამიტომ არ იცის რა თქვეს მასზე ადრე სიტყვით გამოსულმა ორატორებმა. საკითხი ეხება ისევ განაწესის პროექტს და მის მუხლებს. ილია დაწვრილებით განიხილავს მე-4 მუხლს და მოითხოვს მის მთლიანად ამოღებას, ვინაიდან მიაჩნია, რომ ხსენებული მუხლი ზღუდავს ხალხის უფლებას პირდაპირ მიმართოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ან წევრებს. აქაც, ისევე როგორც განაწესის მე-5 და მე-6 მუხლების განხილვის დროს, დიდი პოეტი მოწინავე თვალსაზრისზე დგას, ებრძვის სულ უფრო და უფრო შემზღუდველ კანონებს, ცდილობს მსჯელობა ისე წარმართოს, რომ დააჯეროს მთავრობის მოხელენი — საჭიროა არა ხალხისაგან გამიჯვნა, რასაც მე-4 მუხლი აწესებს, პირიქით, ისეთი წესების შემოღება, რომ ხალხს საშუალება ჰქონდეს უშუალოდ მიმართოს მთავრობის მაღალ ორგანოებს. თუ რა ღრმად ესმოდა ილიას ამ საკითხის არსება და რა მონდომებით ცდილობდა ხალხის ინტერესები დაეცვა, ზედ-

---

* „საისტორიო მოამბე“, III, 1947 წ., გვ. 270.

** იქვე.

შეტი არ იქნება მოვიტანოთ მისი გამოსვლიდან შემდეგი ადგილი: «Означенная статья (მე-4 მუხლი — გ. ჯ.), — უთქვამს ილიას, — развивает статью 6 учреждения Государственного совета, согласно коей в Совет воспрещается являться депутациям, а также представлять словесные или письменные заявления и просьбы. Весьма понятно, что законодатели имели в виду оградить свое спокойствие и свободное отправление своих обязанностей путем недопущения подачи различных заявлений и просьб прямо в Государственный совет или посредством писем. Комиссия возымела желание дополнить учреждение Гос. совета в наказе, но это дополнение представляется не в виде развития смысла закона, а в смысле преграждения всякого общения между Государственным советом и народом. Я полагаю, что не надо было бы вводить такого ограничения, — к тому нет основания; даже сама Комиссия не нашла другого мотива как сказать: я желаю оградить председательствующих в Совете лиц и его членов от всякого рода ходатайств и домогательств относительно представления чрез них в Государственный совет просьб и заявлений. Это немного напоминает ненавистное начало узкобюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ — для этих учреждений. Заботиться о том, чтобы не дать беспокойства председательствующим и членам Совета и ради этого вводит правила в наказ с ограничением прав граждан обращаться в высшее учреждение для защиты своих прав и для представления своих интересов — едва ли правильно».*

ზედმეტია რაიმე კომენტარი, თუ როგორი შეუპოვრობით იცავს ილია ჭავჭავაძე სახელმწიფო საბჭოში ხალხის ინტერესებს, რამდენად მოწინავე პოზიციაზე დგას და ებრძვის რეაქციონერებს, რომლებიც მზად არიან ხალხს სულ უკანასკნელი ელემენტარული უფლებანი წაართვან. თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ილიას სახელმწიფო საბჭოში გამოსვლა, მოწმობს შემდეგი ორატორის სიტყვა. ეს ორატორია თავადი კასატკინ-როსტოვსკი, რომელიც სიტყვა-სიტყვით აცხადებს: ჩემს წინ გამოსული ორატორის სიტყვა, როგორც ჩანს, საინტერესო იყო, მაგრამ ჩვენ იგი არ მოგვისმენიაო. ამის მიზეზი ის არის, რომ ორატორები მიმართავენ თავმჯდომარეს, როგორც წესია, რის გამო იძულებული ხდებიან ზურგით იდგნენ კრებისაკენ. ამიტომ მათი სიტყვა კრებას არ ესმის. ასეთ უხერხულობათა თავიდან ასაცილებლად, კასატკინ-როსტოვსკის წინადადება შეაქვს: უმორჩილესად ვთხოვ ბ. ბ. ორატორებს მიმართონ კრებას, მაგრამ არა თავმჯდომარეს, და იმედი მაქვს, რომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ჩვენ ამას გვპატიებსო.** ამ უკანასკნელი ფრაზის საპასუხოდ, თავმჯდომარეს განუცხადებია: თავადი შავჭავაძე სწორედ ყველას მიმართავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, კრება მას მაინც ვერ უსმენდაო.***

---

* „საისტორიო მოამბე", III, 1947 წ., გვ. 271. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 272.

*** იქვე.

ასეთ პირობებში, გასაგებია, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა ორატორების გამოსვლებს, როცა სხდომის მონაწილეებს მათი სიტყვები არ ესმოდათ. მიუხედავად ამისა, როგორც მოვიხსენიეთ, სახელმწიფო საბჭოს 1906 წლის პირველი სესიის მეექვსე სხდომის მუშაობაში ილია აქტიურ მონაწილეობას ღებულობს და ერთგულად იცავს ხალხის ინტერესებს.

სახელმწიფო საბჭოში ხალხის ამ ინტერესების დაცვის კულმინაციურ წერტილს წარმოადგენდა დიდი პოეტის სიტყვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ეს სიტყვა ილიას წარმოუთქვამს სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე 1907 წლის აპრილსა (19) თუ მაისში (2), როგორც პავლე ინგოროყვა ფიქრობს.* მეორე სესია, როგორც ვიცით, 20 თებერვალს დაიწყო და 5 ივნისამდე განაგრძობდა მუშაობას. ილია ამ დროს რუსეთში იყო და მეორე სესიის სხდომებს ესწრებოდა. როგორც ა. იოვიძე შენიშნავს, „1907 წლის მეორე სესიაზე... ილია ჭავჭავაძის გამოსვლები არ ჩანს. მისი სახელი მოხსენებულია სახელმწიფო საბჭოს ამ პერიოდის მხოლოდ პირად შემადგენლობაში. სახელმწიფო საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშები 1907 წლის 19 აპრილისა და 2 მაისის სხდომების გამოქვეყნებულია ხარვეზებით, ვინაიდან ამ სხდომათა ანგარიშების ზოგიერთი ნაწილის გამოქვეყნება დაუშვებლად ყოფილა მიჩნეული. ამიტომ არ არის გამორიცხული ილია ჭავჭავაძის გამოსვლების შესაძლებლობა აღნიშნულ სხდომებზე. ილია ჭავჭავაძის სიტყვაც სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იმავე მიზეზით უნდა იყოს გამოტოვებული სტენოგრაფიულ ანგარიშებში. აღნიშნული სიტყვისათვის მომზადებული, ილიას ხელით დაწერილი მასალები დაცულია საქართველოს სსრ მწერალთა მუზეუმში (იხ. ხელნაწერი 7/4)“.**

თუ რა რთული იყო ილიას გამოსვლა სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე და რა დიდი წინააღმდეგობანი უნდა გადაელახა მას, მოწმობს, სხვათა შორის, ის დიალოგი, რომელიც ჩვენ ახლა გვინდა მოვიტანოთ.

როგორც ირკვევა, ილიას უკისრია „სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ვრცელი მოხსენების შედგენა... ეს მოხსენება სახელმწიფო საბჭოში უნდა წაეკითხა... უმთავრესი მისი ფიქრი — აღნიშნული მოხსენება იყო. ამ დროს ეწვია ერთი პეტერბურგში მცხოვრები ცნობილი ქართველი, რომელთანაც ჭავჭავაძე ძალიან დაახლოებული იყო. ცოტა მასლაათის შემდეგ ილიამ გაიღიმა, შუბლზე ნაოჭი გაშალა და ჰკაყოფილი კილოთი წარმოთქვა:

— გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს. მერმე კი სახელმწიფო საბჭოს.

სტუმარმა სიჩუმით უპასუხა. ცოტა პაუზის შემდეგ ილიამ ისევ განაგრძო:

— მე ეს მოხსენება მეტად მაინტერესებს და დიდი სიამოვნებით დავიცავ. თუ გცალია, წაგიკითხავ.

— მე, სამწუხაროდ, შენი წინააღმდეგი ვარ, — შენიშნა სტუმარმა.

— როგორ?!..

— სიკვდილით დასჯა უნდა მოისპოს, რა თქმა უნდა, — მაგრამ, ერთი რამ

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 464. ინგოროყვა ფიქრობს 17 აპრილს ან 2 მაისს.

** „საისტორიო მოამბე“, III, 1947 წ., გვ. 272.

არ მომწონს. რატომ მაინც და მაინც შენ ქართველმა, უნდა იკისრო სახელმწიფო საბჭოში ამ მოხსენების წაკითხვა? იქ რუსები განა ცოტაა? პროფესორები, მეცნიერები... რატომ ისინი არ იკისრებენ?!... დარწმუნებული ვარ ასეთი დაუფიქრებლობით მთელ საქართველოს საქმეს ვაფუჭებთ... ისევ რუსმა წაიკითხოს.

— ერიჰა... საიდან სადაო... ამით რა საქმე უნდა წაბდეს. მაგის ნუ გეშინია. აი, მოხსენებას წაგიკითხავ და მოისმინე. ჩემს აზრს და გადაწყვეტილებას არ გადავთქვამ.

— მე პრინციპიალურად არ მსურს ჭოგისმიხო.

— როგორცა გსურს...“*

ამ დიალოგში სავსებით ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პოეტი. როცა „ახლობელი“ ასე ეკიდებოდა მის პოზიციას, რაღას იზამდნენ „შორებელნი“, მოწინააღმდეგენი, მტრები, რომლებიც ფეხის ყოველ ნაბიჯს უზომავდნენ და ხშირად უსაფუძვლოდაც თავს ესხმოდნენ. აღწერილი შემთხვევა სრულებით არ ყოფილა გამონაკლისი. „ასეთი ბაასი ილიას სხვა ქართველებთანაც ჰქონდა, მაგრამ იმათ სიტყვებს და შენიშვნებს ის მხოლოდ ისმენდა... მოხსენება ილიამ შეასწორა და თავის აბზანაგებს წაუკითხა“.**

როგორც აქ, ისე ყველა შემთხვევაში ილია ჭავჭავაძეს ახასიათებს არაჩვეულებრივი შეუპოვრობა, ადამიანური პირდაპირობა და გამბედაობა. როცა რაიმე სწამს, არასოდეს უკან არ იხევს, უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძვის, ხოლო თუ დამარცხდა, გაძარჯვების საბოლოო იმედს მაინც არ ჰკარგავს, რაკი „ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლის“ წარმატებაში ეჭვი არ ეპარება. ეს თვისებები ახასიათებდა მას თავიდანვე დანებისყოფით ასევე გაუტეხელი დარჩა ღრმა მოხუცებულობაშიც.

სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ილიას ძოხსენების სრული ტექსტი, მართალია, დღემდე აღმოჩენილი არ არის, მაგრამ, როგორც მოვიხსენიეთ, დარჩენილია მასალები, რომლებიც თვით მას საკუთარი ხელით დაუწერია. ეს მასალები შესულია პოეტის თხზულებათა სრული კრებულის მე-10 ტომში (1961 წელი). მართალია, ილიასეული მასალა მეტისმეტად მოკლეა, ბევრ შემთხვევაში აზრები დასრულებული არ არის, უფრო სწორი იქნებოდა მისთვის გვეწოდებინა. კონსპექტის ფრაგმენტი-მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მისი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ილიას განზრახული ჰქონია. ფართო დასაბუთება მიეცა სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის.. სრულიად უეჭველია, მას კარგად ეცოდინებოდა, რომ მეფის მთავრობა, პირველი რევოლუციის გიგანტური ტალღებით დამფრთხალი, ასე ადვილად არ წავიდოდა სიკვდილით დასჯის მოსპობაზე. ცივი ვონებიდან გამომდინარე ლოგიკური ან ანალიტიკური დასკვნები, ისიც ოფიციალური ვერსიებით განმტკიცებული, ყოველთვის შესძლებდნენ დაესაბუთებინათ სიკვდილით დასჯის აუ-

---

* მ. ბოლქვაძე. „ახლო წარსულიდან“. ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1903 წ. გვ. 110—111, ხაზი ჩვენია — ვ. ჯ.

** იქვე, გვ. 111.

ცილებლობა „საზოგადოებრივი წესრიგისათვის". მაგრამ საჭირო იყო სწორედ ამ ბარიერის გარღვევა. ყველაზე საუკეთესო არგუმენტს მცდარი გონების წინააღმდეგ ჰეშმარიტი გრძნობის ამხედრება წარმოადგენდა. ილიას კონსპექტის ფრაგმენტიც გრძნობის ზოგადი დახასიათებითა და განმარტებით იწყება.

ძალიან საგულისხმოა, პევრი რამის მანიშნებელია ის ფაქტი, რომ თუ ერთის მხრივ ილია გრძნობასაც „ცნობადობის დარგად" მიიჩნევს, მეორეს მხრივ უპირისპირებს გაგების უნარს შოკლებულს ჰკუას (გონებას) და ადამიანისათვის პირველი მიაჩნია მეორის შეცვლელად, „როცა ჰკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე".* ცხადია, ასეთი არ შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან კიდევ პირუტყვული გრძნობა. ილიას მხედველობაში აქვს მართოდენ ადამიანის ნიჭისათვის დამახასიათებელი გრძნობა, რასაც იგი სულიერ გრძნობას უწოდებს, ის გრძნობა, რომელიც ცნობდენ ფანდიდებულია შექსპირის უკვდავ შემოქმედებაში, გრძნობა, რომლითაც შექსპირმა „...სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის".** სწორედ ამ გრძნობამ უნდა გადასწონოს ადამიანის ცივგონება, როცა ეს უკანასკნელი უარს ამბობს ხელი აიღოს სიკვდილით დასჯის აზრზე. „ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადაიხაროს ან ჰოსა და არასაკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე"...*** ჰოც და არაც ამ საქმეში შეიძლება ისევე ძლიერნი აღმოჩნდნენ, რომ ორივეს საკმაო ძალა ექნეთ ერთმანეთის გასაბათილებლად. ამიტომ, ამ გზას, ჰოსა და არას დაპირისპირებას, სიკვდილით დასჯის გადასაწყვეტად, რეალური შედეგი ვერ მოჰყვება. ეს აზრი მით უფრო მტკიცე შეიძლება იყოს, რომ „ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიცა და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო ბრწყინვს როგორც ერთისას. ისე მეორისას. აქ მარტო დიალექტიკური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული".**** სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჰოს და არას, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ხელშესახებ საფუძველს" მოკლებულთ, მარტოოდენ „მრწამსის" არგუმენტებზე დამყარებულთ, ვერ მივსცემთ მსაჯულის ფუნქციას, მით უფრო ხელმძღვანელ როლს. რაღაც სხვა უნდა მოინახოს, რომელიც გვერდს აუვლის ჰოსა და არას, სამაგიეროდ კი ისეთ საბუთებს მოგვცემს, რომ მათი ურყევობა სრულიად ეჭვმიუტანელი იქნება. ასეთად ილიას „სამი საბუთი" ეგულება, რასაც უნდა ვემყარებოდეთ სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების დროს.

პირველი საბუთი ის არის, რომ სიკვდილით დასჯის კანონი აჩლუნგებს ბუნებრივ გრძნობას, რომელსაც სისხლი ეზიზღება, და თვით სიკვდილს, მისი სიხშირის გამო, აჩვევს

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1961 წ., ტ. X, გვ. 465
** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე.
**** იქვე, გვ. 466.

ადამიანის თვალსაც და გრძნობასაც*. „ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რამ ამბავია, არავის-ღა უმღერევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს“.**

მეორე საბუთია ზნეობის შერყევა, ვინაიდან სიკვდილით დასჯა ადამიანს „... ართმევს იმას, რისი მიცემაც არ შეუძლიან“ (ეს სიტყვები თვით ილიას მიერ არის ხაზგასმული — გ. ჯ.). როგორც ვხედავთ, ორივე საბუთი, რომლებსაც ილია ემყარება, ჰუმანიზმიდან მომდინარეობს და ალტრუიზმის განმტკიცებას ემსახურება. გამოკლისს არც მესამე საბუთი წარმოადგენს. ისიც ამ სფეროშია ძოთავსებული.

მესამე საბუთი იმას ემყარება, რომ შეუძლებელია სიკვდილის მისჯის დროს შეცდომა არ იქნას დაშვებული, ხოლო ასეთ შემთხვევაში „შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს“.***

ამ სამი ძირითადი საბუთის გარდა, კონსპექტის ფრაგმენტში ილიას წამოყენებული აქვს სხვა მოსაზრებებიც. კერძოდ, ის, რომ სიკვდილით დასჯა „ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე“ (არა კაც კვლა) და ამიტომაც „მთელი ქვეყანა თხოულობს (სიკვდილით დასჯის მოსპობას) და თუ ბანის მიცემაში შევცდით... ნუგეში იმაშია, რომ ავყევით ხმას ღვთისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა ღვთისა“.**** ეტყობა, ეს უკანასკნელი მოსაზრებები ილიას ესაუბიროებოდა ძოწინააღმდეგეებზე (გახსაკუთრებით საბელმწიფო საბჭოს უფრო რეაქციონურ ნაწილზე) გავლენის მოსახდენად. მაგრამ, თუ საწინააღძდეგო ძოსაზრებებს წაჰპაყეხებდნენ, მაგალითად, იტყოდნენ, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ ამცირებს დანაშაულობას, ილიას მოფიქრებული ჰქონდა სავსებით გამართული პასუხი: „საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, — არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული“.*****

ეს იყო სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ ილიას სიტყვის კვიხტ-ესენცია. თვით გამოსვლის დროს, თუ სიტყვა დაწერილი არ ექნებოდა, დიდი პოეტი ვანავითარებდა თეზისებად დალაგებულ დებულებებს. მაგრამ, უფრო საფიქრებელია ილიას სიტყვა დაწერილი ჰქონებოდა, მით უფრო, რომ მთავარი ორატორი ამ საკითხზე, პროფესორ ტაგანცევთან ერთად, ილია ყოფილა.****** მემარცხენე დეპუტატებს გადაწყვეტილი ჰქონიათ სხდომა დაეტოვებინათ, როცა მათი პროექტი არ გავიდოდა. მათ უეჭველია წინასწარ იცოდნენ, თუ რა დიდი სიძნელის წინაშე იდგნენ და უფრო მოსალოდნელი იყო დამარცხება, ვიდრე გამარჯვების რეალური იმედი. ამას სავსებით ადასტურებს ილიას შემდეგი ჩანაწერი კოხსპექტის ფრაგმენტიდან:

---

* თვალის მაგიერ ილიას ყური აქვს ნახმარი — უნებლიე შეცდომაა. პ. ინგოროყვაც შენიშნავს (ტ. X, გვ. 465).

** იქვე.

*** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 465. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე, გვ. 466.

***** იქვე.

****** იქვე, გვ. 464.

«Вопрос, как нам быть, если проект об отмене смертной казни, несмотря на все старания, не пройдет, не может быть разрешен доводами арифметического порядка, т. е. тем, что группа, ставящая для себя этот вопрос, слишком малочисленна, чтоб произвести какое либо впечатление, какое либо замешательство среди огромного большинства остальных. Я не так прост, чтобы полагать, что уход наш (из заседания Государственного Совета...)» * მართალია, აზრი დამთავრებული არ არის, მაგრამ მაინც გასაგებია. მცირე ჯგუფს არც გამოსვლით შეეძლო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა, და არც იმით, თუ დარბაზს დატოვებდა. მაგრამ მთავარი იყო, იმჯერად მაინც, არამარტო პროექტის გასვლა, არამედ, თვით საკითხის დაყენება, პირველი დარტყმა და პროტესტის გამოხატვა.

ყოველთვის ღრმად დაკვირვებული, დიხჯი, აუჩქარებელი ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში მოღვაწეობის დროს საკუთარი გოხებისა და შიხაგანი სულის კარნახით წყვეტდა წამოჭრილ საკითხებს. თითქმის 69 წლის მოხუცი იყო, როცა პირველად აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად, მაგრამ, ხანდაზმულობის მიუხედავად, ახალგაზრდული ენერგიით ეკვეთებოდა ხოლმე თავის მოვალეობას. „ილია თანდათან მჭიდროდ უახლოვდებოდა საბჭოს მემარცხენეთა გუნდს, რომელსაც შეადგენდნენ რუსეთის ძოწიხავე საზოგადოების და მეცნიერების წარმომადგენლები. საკმაო იყო დაგენახათ ილია ამათ შორის საბელმწიფო საბჭოს კრების დროს, რომ ჩვენთან ერთად გეთქვათ: ...ჩვენ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და პოეტს ახალ პოლიტიკურ ასპარეზზეც უკვე მიუძეევია უცხო ამხანაგთა ყურადღება. ილია აქაც ილია არის".**

თუ ამ დროსაც რამდენად ფართო იყო დიდი პოეტის ინტერესთა წრე, მოწმობს ის ფაქტი, რომ პეტერბურგში ყოფნისას მისი ზრუნვის საგანი ყოფილა არამარტო სახელმწიფო საბჭოს პირველ სესიაზე განსახილველად უკვე დაყენებული საკითხები, არამედ, სხვა მრავალიც. არაერთი საკითხი, მათ შორის ისეთი რთული, როგორიც იყო ავტონომიის, აგრარული (მიწების მოწესრიგების), ავტოკეფალიის და სხვ. ბოხუცი პოეტისაგან მოითხოვდა დიდძალი ისტორიულ-მეცნიერული მასალის შესწავლა-ანალიზს. თუ ნათქვამს დავუმატებთ ილიასათვის დამახასიათებელ გულმოდგინებას, რომლითაც ღრმად მოხუცი პოეტი „სახელმწიფო სათათბიროს კრებებს ძალიან ხშირად ესწრებოდა", მიუხედავად იმისა, რომ „ავად იყო ისეთის სენით, რომელიც მგოსანს აიძულებდა ხშირად დაეტოვებინა დარბაზი",*** მაშინ ნათელი გახდება სრულიუსაფუძვლობა მის წინააღმდეგ გავრცელებული ბრალდებისა — პეტერბურგში არაფერს აკეთებდაო. რაც ზემოთ ილიას საქმიანობის შესახებ ითქვა, მარტო ეს კმარა პოეტის პირადი მტრების მიერ გავრცელებული ცილისწამების გასაბათილებლად. პირიქით, პეტერბურგში ილია დიდ ორგანიზატორულ და თეორიულ მუშაობას

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ. გვ. 467.

** მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან", ყურნ. „განათლება", № 3—4, 1908 წ. გვ. 109—110.

*** იქვე, გვ. 114.

ეწეოდა. ავადმყოფობა, მოსეცებულობა მაინც ვერ უშლიდა ხელს სიტყვებით გამოსულიყო, ძალიან რთულ ვითარებაში, სახელმწიფო საბჭოს სხდომებზე, რასაც ქვეყით შეეხებით, ვრცელი სია შეედგინა რუსეთის როშელ დაწუსებულებაში რა ქართული მასალები შეიძლებოდა მოპოვებულიყო, დაუსრულებელ აუდიენციებთან ერთად, თვითონაც ვიზიტებზე ევლო და ათასგვარ ჭირვეულ კითხვაზე პასუხი გაეცა. „თუმცა ილია სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო და ზოგიერთ(ის) აზრით უნდა მორიდებოდა კერძო ვიზიტებს სხვა და სხვა საჭირო პირებთან, მაგრამ ასეთ ბიუროკრატიულ წესს ჰავჭავაძემ გვერდი აუხვია“.* არა მარტო ოფიციალურ პირებთან მიდიოდა, არამედ, სულ უბრალო, ჩვეულებრივ საქმეებშიაც ჩაერეოდა ხოლმე. ყურადღებით სწავლობდა და ათვალიერებდა ყველაფერს. „ძესამე დღეს სათათბიროს კულუარებში გამოჩნდა ილია, — წერს მალაქია ბოლქვაძე. — იმის ჩვეულებრივი ტანსაცმელი იყო შავი სერტუკი, ნაცრის ფერი ზოლებიანი შარვალი, შავი ჟილეტი და გადმოკეცილი კრაზმალიანი თეთრი საყელო. ეს გარეგანი ნიშნობლივობა ვიცოდი, ასე რომ ილიას სახეც რო არ დამენახა შორე მანძილიდან ისედაც ვიცნობდი.

— მგონი ადრე მოველი? — მხიარულად დამეკითხა ილია.

— კრება ნახევარ საათის შემდეგ დაიწყება, — ვუპასუხე მე.

— შენობა მინდა დავათვალიერო, თუ დრო გაქვთ დამატარეთ, გეთაყვა. დარბაზი და კულუარები მომწონს, მაგრამ ეს ხომ მთელი შენობა არ არის.

ილიამ ხელი გამომდო (ეს ჩვეულებად ჰქონდა) და შევუდექით სასახლის დათვალიერებას. არც ერთი კუთხე არ დაგვიტოვებია, ყველაფერი ვნახეთ. მთელი დრო სასახლის არქიტექტურაზე და მოწყობილობაზე ველაპარაკა...

— ეხლა, ყველაფერი შევისწავლე... რას იფიქრებდა პოტიომკინი — თუ მის სასახლეში პარლამენტი მოთავსდებოდა! ცხოვრება მირბის, ცვალებადობს...“**

ცხოვრების ამ ცვალებადობის სუსხს ილია განსაკუთრებით გრძნობდა სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. სახელმწიფო საბჭოს პირველი სესია დამთავრებული არ იყო, როცა პეტერბურგში შეიტყვეს, რომ სათავადაზნაურო გიმნაზიაში შიო ჩიტაძე მოჰკლესო. გასაგებია, როგორ შეძრწუნებოდნენ პეტერბურგში მცხოვრები ან იქ მყოფი ქართველები, მათ შორის ილია ჭავჭავაძე. „ილიას სიბრძნით სავსე თვალები ცრემლთა ზღვაში დასცურავდა. სახე სულის ტანჯვას და უსაზღვრო ნაღველს მოეცვა. ჩიტაძის ვერაგულად მკვლელობას მოხუც ქართველებზე*** მეტად ემოქმედა.

— რა უბედურება გვატყდება თავს?!... რას ვესწრებით? რას გვიშვრებიან!!.. უთუოდ შეკითხვა უნდა შეიტანონ ჩვენმა დეპუტატებმა. რა ხდება?... გულმოკლული გაიძახოდა ილია“.****

მოხუცი, გულმოკლული პოეტი მბარს უჭერს და ესწრება სათათბიროში შეკითხვის განხილვას შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო. თუ რაშ-

---

* მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“, ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 113.

** იქვე, გვ. 117.

*** უნდა იყოს: ქართველზე — გ. ჯ.

**** მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“, ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 133.

დენად იმოქმედა ილიაზე საშინელმა დანაშაულმა, შეგვიძლია იმ ფაქტიდანაც დავინახოთ, რომ ალექსანდრე ნეველის ლავრაში შიო ჩიტაძის პანაშვიდის მოწყობას დიდმა პოეტმა ამაგი დასდო. პანაშვიდი დანიშნული ყოფილა დილის 11 საათზე. საკვალიფიკაციო, რომ პეტერბურგში მყოფ ქართველთაგან მხოლოდ ორიოდე კაცი, მათ შორის პროფ. ცაგარელი დასწრებია. სად გაჭრნენ სხვები (ისინი ხომ მაშინ პეტერბურგში ცოტანი არ იყვნენ), ან სად იმყოფებოდა ილია?

„ილიას არ მოველოდი, — წერს მალაქია ბოლქვაძე, — მიზეზი: ავადმყოფობა და პანაშვიდის ადრე დანიშვნა. შევცდი. ილია ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც მოვიდა — როგორც მახსოვს—ყველაზე უფრო ადრე.

— რად დაიზარეს პანაშვიდზე დასწრება, — საყვედურის კილოთი ჩაილაპარაკა გაჯავრებულმა ილიამ. რა სუსტნი ვართ!...

დიდხანს, დიდხანს შერჩა ილიას უეცრივ აღმოცენებული შხამით ავსილი ფიქრები. ყოველ შეხვედრაზე ჩიტაძის მხეცური მკვლელობას იგონებდა... განა შეეძლო წარმოედგინა მხცოვან დაუღალავ მოღვაწეს — რა მოხდებოდა ერთი წლის შემდეგ? განა შეეძლო წარმოედგინა, რომ 12 თვის შემდეგ თვითონ დავარდებოდა უმწეო მსხვერპლად?“*

მაგრამ, ვიდრე ეს საშინელი ტრაგედია მზადდება, მივუბრუნდეთ პეტერბურგში მყოფ ილია ჭავჭავაძის საქმიანობას.

მკითხველი უკვე გრძნობს, ამ დროსაც, თუ რამდენად ეხერგიული ჩანს დიდი პოეტი, მიუხედავად მოხუცებულობისა და ავადმყოფობისა, რამდენად გატაცებით ემსახურება თავის ერს, მაგრამ მაინც მოშურნეთა და მაუგებელთა ცილისწამების მსხვერპლი ხდება.

სახელმწიფო საბჭოს წევრის საკმაოდ შრომატევადი უშუალო მოვალეობის გარდა, ილია დაუღალავად ზრუნავს საქართველოსა და ქართველთა საკითხების მოგვარებისათვის. პეტერბურგში ჩასვლისთანავე იგი დაინტერესებულა მაშინ იქ მომუშავე ქართველთა საქმიანობის გაცნობით. გაუგია ქართველ სტუდენტთა შესახებაც და ზოგიერთი ფაქტით მეტად გულნატკენი დარჩენილა. დიდი პოეტის ამ განწყობილებას კარგად გადმოგვცემს მალაქია ბოლქვაძე, რომელიც წერს: „ივნისის უკანასკნელი რიცხვები იყო (1906 წ.). ილიას სათათბიროში შევხვდი. მგოსანს სახე მოღუშული ჰქონდა, რაღაც ნაღვლიანობა გამოიხატებოდა. მე შეშინდა,— ავად ხომ არ არის მეთქი.

— გუშინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა იყო, — გულდაწყვეტილი დაიწყო ილიამ — ბევრი ცუდი რამ მიამბო. ნეტავ რამდენად მართალია ჩემი გუშინდელი სტუმარი?... ძალიან მეწყინა... მაგრამ ყმაწვილის ნათქვამი გარდაძეტებული უნდა იყოს. ქართველნი მოსწავლენი არას აკეთებენო, ქართული ენა სრულიად არ იციანო. თავისუფალ დროს მხოლოდ ბანქოს ანდომებენ, კლუბებში თამაშობენ. ამ ნიადაგზე ბევრს მეტად საზარელს და საძაგელ შემთხვევათ ჰქონდათ ადგილიო. ის სტუდენტები, რომელთაც ყველა მოსწავლეთა წრე საუკეთესოდ სთვლიან, კლუბებში ათენებენ და აღამებენ. ახლებს თითქმის ძალით აჩვევენ ბანქოს თამაშსაო. ეს რა უბედურება დატრიალებულა?

---

* მ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“, ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 134.

სუთუ მართალია?.. რამდენიმე წუთის განმავლობაში ილიას ხმა არ ამოუღია, მხოლოდ წარბები მოწყენით შეათამაშა.

— ეს უბედურობაა, — გაიმეორა ჭავჭავაძემ. მითხრა — ერთი ახალგაზრდა ჩამოვიდა საქართველოდან, თან ჩამოიტანა ორასი თუმანი, სურდა სწავლის შეძენაო. დღეს-კი არც ფული, არც ცოდნა, მხოლოდ ბანქოს თამაში და კლუბის ბინა ასწავლეს მეგობრებმაო. ეს სასტიკი დახასიათებულია, — ააბაღლა ხმა ილიამ... მეტს ვერას ვიტყვი... ნამეტნავად გულს მიკლავს ასეთი ქცევა სტუდენტთა შორის. ქართველ სტუდენტთა შორის ასეთ საზიზღრობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს...“*

დიდი პოეტის გულისწყრომა ამით არ დაშთავრებულა. ის თურმე ხშირად საუბრობდა სტუდენტებზე და ეძებდა გამოსავალს. არ მოსწონდა პეტერბურგში დარჩენილი ქართველების ცხოვრება, ვარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც მეცნიერებას ნაშრომებად ეწაფებოდნენ. ძალას იკრებდნენ, რომ მიღებული ცოდნა შემდეგ სამშობლოს წინსვლისათვის მოეხმარებინათ. დაქსაქსულობა და ურთიერთშეჯვრებაზე თავის არიდება პოეტის აზრსებაში ღრმა მწუხარებას ასადგურებდა. ეს იყო იმ იდეების განუხორციელებლობის ნიშანი, რასაც ილია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდა. მას, ალბათ, თვალწინ ედგა ჭაბუკობის დროინდელი სურათები, როცა მატერიალური ხელმოკლეობის მიუხედავად, დაძაბული ენერგიით ეწაფებოდა მეცნიერებას და ემზადებოდა სამშობლოს სამსახურისათვის. როგორ წარმოიდგენდა მოხუცი პოეტი, რომ ჭაბუკობისდროიხდელი მისი პატრიოტული იდეების ასეთ გულგრილ მემკვიდრეებს იხილავდა ხახევარი საუკუნის შემდეგ?! ადვილი წარმოსადგენია, თუ რას განიცდიდა იძულებაგაცრუებული დიდი ილია, როცა ამბობდა: „ჩვენავითარ ერთობას ვერ ვხედავ აქ ქართველთა შორის. უმრავლესობა ერთმანეთს სრულებით ვერ იცნობს... პროფ. ცაგარელსა ვკითხე — როგორ არის პეტერბურგელ ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების საქმე მეთქი. წევრებს თითქმის არ აინტერესებს ეს დაწესებულება, ფული არ შეუტანიათ და საზოგადოება არაფერს აკეთებს. ეხლა გადახედეთ პოლონელებს. გუშინ სახელმწიფო საბჭოს წევრი, პოლონელი, მიამბობდა იმათ საზოგადოების მოღვაწეობის ისტორიას... მართალი გითხრათ შემრცხვა“.** და მაინც ილიას მტრები არ ისვენებდნენ, ისინი გაიძახოდნენ — გულგრილად უყურებს პეტერბურგელი ქართველების ცხოვრებასო.

ყოველივე ამით პოეტს გული ეკუმშებოდა. ულმობლად ახლოვდებოდა საშინელი კატასტროფა, თითქოს ყველაფერი აგრძნობინებდა პოეტს, რომ მის თავზე შავი ღრუბლები მალე დაიქუხებდნენ. მაგრამ ილია ჯერ კიდევ ვერ განიცდიდა კარსმომდგარი უბედურებისადმი შიშს. პეტერბურგში უკანასკნელად ყოფნის დროსაც მას არ ჰქონია არავითარი წინასწარი გრძნობა, რომ გლადიატორივით გულგანგმირული დაეცემოდა. მხო-

---

* შ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან“, ჟურნ. „განათლება“, № 3—4, 1908 წ., გვ. 130—131.

** იქვე, გვ. 132.

ლოდ მის ერთგულ მეუღლეს — ოლღას განუცდია ში'ში. როცა მეორე სესია დაიხურა, რამაც დიდ პოეტს ყველა იმედი გაუცრუა, ილიას სურდა სწრაფად დაბრუნებულიყო სამშობლოში. კეთილი მეგობრები თურმე ურჩევდნენ: ნუ მიდიხარ საქართველოში, ახლა იქ გამწვავებული მდგომარეობაა, „დარჩი აქ, ცარსკოე სელოში ან სხვაგან ქალაქის გარე დაბინავდიო". ოლღასაც არ სურვებია დაბრუნება — წინააღმდეგი ყოფილა. თვითონ ილიას კი მისთვის ჩვეული დაჟინებით უთქვამს: „როგორ შეიძლება?! ამდენი ხანი არ ვყოფილვარ საქართველოში!... ზაფხული თუ იქ არ გავატარე, ჩვენ ქვეყანას არ გადავხედე— ზამთარში აქ რა გამაძლებინებს? განა დიდი ხანი დამრჩენია? უთუოდ წავალ... რას ან ვის უნდა შევუშინდე?!... მე იქ რა უნდა მაშინებდეს? მე არავის არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?... თქვენ თვითონ ნუ გეშინიათ, — შემოდგომაზე ისევ ერთად ვიქნებით. უფრო გაყოჩაღებული ჩამოვალ..."*

ივლისის პირველ რიცხვებში ილია თავის შეუღლე ოლღასთან ერთად უკვე საქართველოში იყო. დიდ პოეტს მხოლოდ ორი თვე აშორებდა წიწამურის საშინელი ტრაგედიისაგან.

VI

ჩვენ ვფურცლავთ იმდროინდელ წერილობითს დოკუმენტებს, ვაჯერებთ ერთმანეთს, ანალიზს ვუკეთებთ, გვინდა უტყუარი სიზუსტით წარმოვიდგინოთ ყველაფერი, რაც მაშინ მოხდა.

და ყველაფერი ნათლად მეტყველებს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში პოეტს უკვე უგრძვნია მოახლოებული საშინელება. მდუმარე, მოწყენილი და სევდიანი გამხდარა. არტურ ლაისტი, რომელიც საბედისწერო 1907 წლის 21 აგვისტოდან 27 აგვისტომდე საგურამოში ილიასთან ერთად იყო, ამ ფაქტს შემდეგი სიტყვებით ადასტურებს: „დაღონებული იყო, ემღუროდა სხეულის სისუსტეს და აწუხებდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხის ცუდი ამბები... საზოგადოთ შევნიშნე ენერგიის სისუსტე და ის სიფიცხე, რომელიც სჩვევია მოხუცებულობას. აღარ ჰქონდა, როგორც შევამჩნიე, წინანდებური სიყვარული სხვასთან ყოფნისა და ლაპარაკისა".** ეს განწყობილება, ეტყობა, უკვე აღარ ატარებდა ეპიზოდურ ხასიათს. პოეტის გული შეეპყრო ღრმა სევდას, ხშირად გამოუთქმელ მწუხარებას. „ხანდახან, — წერს ლაისტი, — საღამოობით, დიდხანს იჯდა გაჩუმებული აივანზედ. წინად მოხდებოდა, რომ ერთი ჩემი მხიარული სიტყვა გაამხიარულებდა, ახლა კი ამაო იყო ყოველივე ჩემი ცდა. მთელი ექვსი დღის ჩემ უკანასკნელი ყოფნის დროს მე არ მინახავს ღიმილი მის სახეზე. — გაისეირნეთ ცოტა,—ვუთხარ ერთს საღამოს: მაციონი ძალიან

---

* ვ. ბოლქვაძე, „ახლო წარსულიდან": ჟურნ. „განათლება" № 3—4, 1908 წ., გვ. 135. ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

** არტურ ლაისტი, უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა: კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 86.

სასარგებლოა, — რა უნდა იყოს ჩემთვის სასარგებლო, როცა შეიძლება, ორი წლის სიცოცხლე-ღა დამრჩა, მიპასუხა ილიამ ჩაფიქრებით“.*

რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ეს სიტყვები მაინც გამართლებულიყო — წინ კიდევ ორი წლის სიცოცხლე ჰქონებოდა დაო შენილი! მაგრამ, სამწუხაროდ, ილიას ბოროტი ფორტუნა თურმე დღესასწაულობდა, მას მხოლოდ ორიოდე დღე სჭირდებოდა საშინელი წამის მოსაახლოებლად. და არტურ ლაისტი წერს, რომ „ვეღარ ვიცანი ილია. აღარ იტაცებდა ბუნება (თუმცა, როგორც თვით ლაისტი წერს, „მზე მხიარულად ანათებდა საგურამოს მთებს, ტყესა და ბაღებს და მყუდრო სახლი ალერსით გამოიყურებოდა მწვანე ხეებიდან“). არ ართობდა საუბარი და თითქმის ერთხელაც არ ახსოვდა ხმა მწერლობის შესახებ“.** მის ბაგეთაგან ხშირად ისმოდა თურმე სიტყვა „უმადურობა“, როგორც ერთადერთი პასუხი იმ ადამიანების მისამართით, რომლებმაც დიდ პოეტს მოუცებულობის უკანასკნელი წლები გაუმწარეს.

ძნელია აუღელვებლად წაიკითხოთ ლაისტის მოგონების ბოლო ფურცელი. ილიას მკვლელობამდე სამი დღით ადრე, ორშაბათს, „27 აგვისტოს, დილით ილია, კნეინა ოლგა და მე,—წერს ლაისტი, — ფაიტონით წამოვედით ტფილისში. დილა ღრუბლიანი იყო და ჩვენი წამოსვლის შემდეგ დიდი წვიმა მოვიდა. რადგან ფაეტონს სახურავი არ ჰქონდა, ყველანი დავსველდით და წვიმამ ძალზე შეგვაწუხა.

იმ ალაგას, სადაც სამი დღის შემდეგ მოხდა საშინელი მკვლელობა, გზის ორივე მხრით თხელი ტყეა. იქ რომ გამოვიარეთ ჟრუანტელმა გამიარა ტანში. მაგრამ ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე უბედურება: ილია თან გვახლდა და როგორც განათლებული კაცი ვერ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე ხელს შეახლებდა მოხუცს — პოეტს, ქართველი ხალხის სიამაყეს.

ილია ჩაფიქრებული იჯდა ჩემს პირდაპირ და ერთხელ თუ ორჯელ თქვა, რომ მეშინია გაცივებისო. კნ. ოლგას ფერი არ ჰქონდა, დაღონებული იყო, და საზოგადოთ მოწყენილი იყო ჩვენი უკანასკნელი მგზავრობა. როცა მივედით რკინის გზის ხიდთან, ამინდი გამოკეთდა, და ჩვენც უკეთეს გუნებაზე დავდეგით.

დიღომის დუქანში შევისვენეთ, რომ რამე გვეჭამა. აქ ილია ცოტათი გამხიარულდა და ლაპარაკის ხალისიც მოუვიდა. გამოჩნდა მზე და გაანათა ნაცნობი არე-მარე, სადაც ხშირად გაგვივლია ერთად. თითქმის გამხიარულებულები შემოვუსხედით უბრალო სუფრას და მოვიგონეთ წარსული.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი საუბარი. გულითადი საუბარი იყო და როცა ის იღიმებოდა, მეგონა, რომ მისი გული იცინოდა, თუმცა არა გაბედულად, მღელვარედ“.***

ერთი საათის შემდეგ ძველი მეგობრები ერთმანეთს განშორდნენ ოლგას ჭუჩაზე. ორშაბათი დღე იყო, სამშაბათს ანთხშაბათს კი ილია ისევ უნდა დაბრუნებულიყო საგურამოში. თბილისურ აგვისტოს სიცხეებს მისი მოხუცი ორგანიზმი ძნელად იტანდა. მაგრამ საბედისწერო უკან


---

* არტურ ლაისტი, უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა: კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 86—87.

** იქვე, გვ. 87.

*** იქვე, გვ. 88—89.

პაბრუნება ხუთშაბათამდე გადაიდო, მიუხედავად იმისა, რომ პოეტს იმავე საღამოს, ორშაბათს, სურდა ისევ საგურამოში ყოფილიყო. მეორე დღესაც რომ წასულიყო, ილიას 28 ან 29 აგვისტოს მოჰკლავდნენ, ვინაიდან მკვლელები უკვე მზად იყვნენ, წიწამურის ტყეში ჩასაფრებულნი ელოდებოდნენ თავიანთ მსხვერპლს.



ილიას სახლი საგურამოში

ორშაბათი, სამშაბათი და ოთხშაბათი ილიამ ოლღასთან ერთად თბილისში გაატარა. პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ პოეტი თითქმის სულ საგურამოში იმყოფებოდა. 27 აგვისტოსაც, საგურამოდან წამოსვლისას, დაუბარებია—დღესვე საღამოს დავბრუნდებიო. სოფელში დარჩენილან მოურავი დიმიტრი ჯაში (რომელიც მკვლელობის გეგმას აზუსტებდა), აგრეთვე ილიას ნათესავი თ. ზ. ჭავჭავაძე, რომელიც მასთან მთელი ერთი თვე ყოფილა სტუმრად.* იმ დღეს ჯაშმა ყველა ზომა მიიღო, რომ უკან დაბრუნებისას ილია მოეკლათ, მაგრამ რაკი პოეტი თბილისში დარჩა, გეგმაც ჩავარდა. სამშაბათსა და ოთხშაბათსაც ილია არ დაბრუნებულა. მკვლელობის მონაწილეებმა აღარ იცოდნენ მისი ჩამოსვლის დღე, მაგრამ მოხდა საბედისწერო შეცდომა: ილიას ერთგული მსახური იაკობ ბითარაშვილი ოთხშაბათს მოულოდნელად ჩავიდა საგურამოში და გულუბრყვილოდ განაცხადა, რომ ილია ხუთშაბათს, 30 აგვისტოს, დღის პირველ საათზე დაბრუნდებაო.** იაკობი იმავე დღეს თბილისში წამოვიდა, ჯაშმა კი ყველა ზომა მიიღო, რომ მკვლელები, რომლებიც უკვე იყვნენ ჩასაფრებულნი წიწამურის ტყეში, მზად დახვედროდნენ ეტლის გამოჩენას.

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 17.

** იქვე.

30 აგვისტოს, ხუთშაბათს, დილის 10 საათზე ილია და მისი მეუღლე იმავე ეტლით, რომლითაც ლაისტთან ერთად 3 დღის წინ თბილისში ჩამოვიდნენ, საგურამოსაკენ გაემგზავრნენ. ოლღა წინააღმდეგი ყოფილა — ნუ წავალთ, მგზავრობა საშიშიაო, მაგრამ ილიას არც აქ დაუჯერებია მეუღლისათვის (პეტერბურგიდანაც ოლღას წამოსვლა არ უნდოდა, როგორც ზევით გვაქვს აღნიშნული). როცა იმ ადგილას მივიდნენ, სადაც ახლა გმირთა მოედანია და ასბინიანი სახლი დგას, მაშინ კი ხევი იყო. მოულოდნელად ქარი ამოვარდნილა და ოლღასათვის თავშალი წაურთმევია. მორწმუნე ოლღას ესეც ცუდ ნიშნად მიუჩნევია, უკანდაბრუნება უთხოვია, მაგრამ ილიას კვლავ უარი უთქვამს. დაახლოებით დღის პირველ საათზე ილია და მისი მეუღლე მისულან წყაროსთან, რომელიც ახლა ილიას სახელს ატარებს. აქ მათ უნდა შეხვედროდა მოურავი ჯაში. ილიას მოუცდია თხუთმეტი-ოცი წუთი, შემდეგ კი, განაწყენებულს, რომ მოურავი არ დახვდა, უბრძანებია მეეტლე თედო ლაბაურისათვის ცხენები დაეძრა. ლაბაური მოსულიყო, იცოდა, რომ თხუთმეტი-ოცი წუთის შემდეგ ილიას მოჰკლავდნენ, წყაროდან წიწამურის იმ ადგილამდე, სადაც პოეტი დაიღუპა, სწორედ ამდენი სავალი გზა იყო დარჩენილი. ჯაში კი განზრახ არ მოსულა წყაროსთან, რომ მკვლელობაში უშუალოდ არ ჩარეულიყო. იმ დღეს, დილიდანვე, თურმე ხეზე ადიოდა, რომ დაენახა—მოჰყავდათ თუ არა მოკლული ილია.

საბრალო მოხუცმა ოლღამ თავისი თვალით დაინახა, თუ როგორ გადმოვარდა ეტლიდან მისი საბელოვანი მეუღლე. შემდეგ კი აღარაფერი უნახავს: მას „ავაზაკებმა სცემეს თოფის კონდახებით პირსა და თავზე,—წერდა ერთი იმდროინდელი ორგანო,—ქალმა გრძნობა დაჰკარგა და წაიქცა... გრძნობა დაკარგული კნეინა ჩასვეს ეტლში და წამოიყვანეს საგურამოში. დარაჯებმა გააჩერეს ახლო მიმავალი ურემი, ჩაასვენეს შიგ ილიას და იაკობის გვამები და ესენიც საგურამოში მიიტანეს. ღამის 12 საათზე ტფილისიდან მოვიდა ექიმი კიმონტი. გასინჯა კნეინა და თქვა, რომ ჯერ კიდევ დიდხანს ვერ მოვა გონსო. ტყვია არა აქვს მოხვედრილი, დაშავებული აქვს მარჯვენა მკლავი, ყურის ძირი და თავი. კიმონტმა შეუკრა ჭრილობანი, მაგრამ ჯერ ვერაფერი თქვა გადაჭრით იმის შესახებ, თუ რამდენათ საშიშია კნეინას მდგომარეობა. საჭიროა დაჭრილის კნეინის ტფილისში ჩამოყვანაო".*

ოლღა მხოლოდ მეორე დღეს—31 აგვისტოს დილით მოსულა გონს და წამოუძახნია: „ურჩიეთ ილიას, არ წავიდეს, საშიშიაო".** მოხუც ქალს, ათი ჭრილობის შემდეგ, კიდევ შერჩა უსიცოცხლო სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ფიზიოლოგიური იყო, თანაც ასე ხანგრძლივი—1928 წლამდე. მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფს, 1921 წლის დეკემბრიდან საბჭოთა ხელისუფლებამ მას დაუნიშნა ყოველთვიური დახმარება ვაჟას, ანტონ ფურცელაძის, იროდიონ ევდოშვილისა და სხვათა ქვრივებთან ერთად...***

არტურ ლაისტთან ორშაბათს განშორებისას ილიას უთქვამს მეგობრისათვის: „ვნახავთ ერთმანეთს!" მაგრამ მათ სიცოცხლეში ერთმანეთი აღარ უნახავთ. „... რაღაც დიდხანს ვუცქეროდი შიმავალს,—წერს ლაისტი.—

---

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 17—18.

** იქვე, გვ. 12.

*** გაზეთი „კომუნისტი", 1922 წ., № 27.

სანამ მისი ეტლი მთლად არ მიიმალა ვერის დაღმართზე... განა წინასწარ ვიძნობდა ჩემი გული, რომ ამის შემდეგ ვეღარ ვნახავდი, ეს იყო უკანასკნელი ნახვა?"*

სამი დღის შემდეგ ილია უკვე აღარ იყო ცოცხალი. 30 აგვისტოს, დღე იყო ხუთშაბათი, საგურამოსთან ახლოს, წიწამურში, თბილისის დროით ორი ნახევარ საათზე, ილია ჭავჭავაძე დაიღუპა. ადამიანისადმი სიყვარულით სავსე მისი გული ადამიანად წოდებულმა მხეცებმა განგმირეს. მისი შუბლი, ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში მუდამ მღელვარე, ცხელი ტყვიით გახვრიტეს. ექიმი ა. იაშვილი, რომელმაც გვამი განკვეთა, წერდა: „ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა სამი ჭრილობა: ერთი ტყვიისაგან მკერდში და ორიც თავში თოფის კონდახისაგან ანუ კეტისაგან. ტყვია ჰქონდა მოხვედრილი მარჯვენა ძუძუს ახლოს და გასული იყო მარცხენა იღლიიდან. თავი ერთგან ჰქონდა გატეხილი, ხოლო მეორე ალაგას ჭრილობა ბევრამდე იყო დასული. მიცვალებულს პიჟაკი არ ეცვა, გალსტუხი ყელზე გახსნილი ჰქონდა, მარცხენა ხელზე მანჟეტი არა ჰქონდა, მარჯვენაზე წამოძრობილი ჰქონდა და ეკიდა პერანგის სახელოზე. შიგნით გულბოყვში ტყვიას გაუვლია პირდაპირ გულში. შიგნეულობის გასინჯვით აღმოჩნდა, რომ ილია ჭავჭავაძე სნეული ყოფილა. გული იყო გაჭონებული და მისი მარცხენა კედელი ძლიერ გათხელებული. ფილტვებიც ზადიანი ჰქონდა. ხან-მოკლე იყო დღენი სიცოცხლისა. უგუნურებმა მოჰკლეს ავადმყოფი 70 წლის მოხუცი... ილია ჭავჭავაძის მოსამსახურეს იაკობ ბიტარაშვილს ჰქონდა ორი ჭრილობა ტყვიისაგან და 21 საფანტისაგან. ტყვია, რომელიც იმის გვამიდან ამოვიღე, იყო რგვალი და იმ ზომისა, როგორსაც კაჟიან თოფისთვის ხმარობდნენ უწინ. ნახვრეტნი ტყვიისაგან ილიასა და ბიტარაშვილს სხეულზე ერთის ზომისაა დაახლოებით. ამიტომ ვფიქრობ, რომ ილია ჭავჭავაძე იმგვარის ტყვიისაგან არის მოკლული, როგორითაც იაკობ ბიტარაშვილი".**

საზარელი სურათი იყო და ამ საზარელი ტრაგედიის აქ აღწერას ჩვენ არ შევუდგებით; შემდეგ დავახასიათებთ, ამჯერად კი გავიხსენებთ ზოგიერთ ფაქტს, რომელიც ინტერესმოკლებული არ იქნება, ამავე დროს. დაგვეხმარება უფრო ღრმად განვიაზროთ ეს საშინელი კატასტროფა.

როცა ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლის ამბავი შეიტყო, მთელი ქართველი ხალხი შეძრწუნდა. მრისხანება მოედო ყველას, დიდსა და პატარას. მაგრამ არის ზოგიერთი საგულისხმო მომენტი, თუ როგორ გავრცელდა ეს ხმა და რა ინსინუაციებით.

პირველი ცნობა ილიას მკვლელობის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „ისრის" 1907 წლის 31 აგვისტოს ნომერში. იგი მოკლე იყო, სულ ორი სტრიქონი: „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე". ეს ცნობა დიდი გაჭირვებით მოთავსებულა. რასაც იმავე გაზეთის პირველი სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი სარედაქციო განმარტება გვიდასტურებს. რედაქცია მწუხარებით აღნიშნავს, რომ „საზარელი ამბავი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შესახებ ტფილისში 30 აგვისტოს საღამოს ¢ საათზე მოვიდა; „ისრის" რედაქციამ კი დეპეშა მიიღო მეცხრე საათზე, როცა

---

* არტურ ლაისტი, უკანასკნელი დღეები ი. ჭავჭავაძისა, გვ. 89.

** „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 89—90.

*** იქვე, გვ. 9.

გაზეთი უკვე დაბეჭდილი იყო და პროვინციაში წასაღებად უკვე სადგურზე გაგზავნილი. ამიტომ თვით სტამბაში მოესწროთ ორი სტრიქონის ჩამატება და ისიც ტფილისის ხელისმომწერლებისათვის. აღსანიშნავია, რომ „ისრის“ თანამშრომელს, შემთხვევით იმ დღეს მცხეთაში მყოფს, რედაქციისათვის ნაშუადღევის 4 საათზე გამოუგზავნია, რედაქციაში-კი საღამოს მეცხრე საათზე მიიღეს! დაუჯერებელი ამბავი იმ საღამოსვე მსწრაფლ მოედო მთელ ტფილისის ქართველობას და თავზარი დასცა ყველას“.* ისიც დაუჯერებელია, როგორ დასჭირდა ხუთი საათი მცხეთიდან ასეთი სასწრაფოდ დაპეშისმოსვლას თბილისამდე, თუმცა განზრახ ხელი არ შეეშალა. დაგვიანება იმით იქნებოდა გამოწვეული, რომ გაზეთებს არ მოესწროთ მეორე დღეს ცნობის დაბეჭდვა. მეფის ორგანოებს უთუოდ სჭირდებოდათ დრო—მოეფიქრებინათ თავიანთი ღონისძიებანი მკვლელობის შემდეგ, იმასთან დაკავშირებით, თუ რას გამოიწვევდა პოეტის დაღუპვა ხალხში, როგორი რეაგირება მოხდებოდა. ზეპირად გავრცელებული ხმა პირველ ნიშნებს მისცემდა ამ მხრივ. მოესწრებოდა ხელისუფლების თადარიგიც ადგილებზე, ამიტომ მეორე დღესვე ტრაგიკული ცნობის ოფიციალური დაბეჭდვა პრესაში მეფის ორგანოებისათვის ხელსაყრელი არ იყო. „ისარმა“ მხოლოდ სტამბაში მოასწრო იმ ორი სტრიქონის მიბეჭდვა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ, ისიც მარტოოდენ თბილისის მკითხველებისათვის. გაზეთის დანარჩენი ტირაჟი პერიფერიებმა, ცხადია, ამ ცნობის გარეშე მიიღეს.

მოხსენიებული ფაქტების პარალელურად, შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ზოგიერთი ცნობა. რომელიც მაშინ პრესაში გამოქვეყნდა. ჩვენ ოდნავი ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს ცნობები ინსპირირებული იყო სრულიად გარკვეული მიზნებით, რომ შეენელებინათ მომხდარი ფაქტით საზოგადოებაში გამოწვეული რეაგირების ძალა.

ყურადღებას იქცევს, მაგალითად, შემდეგი გარემოება: იმდროინდელი პრესის ზოგიერთმა ორგანომ გამოაქვეყნა ცნობები, რომ „ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ, მეორე დღეს სოფელ ნაოზაში მოჰკლეს გლეხი სანდრო კორპუსოვი (შთამომავლობით რუსი იყო, გაქართველებული). მესამე დღეს სოფელ მლაშეში მოჰკლეს გლეხი შიო ჩობაკაური. ამავე დღეს საღამოს დუშეთში მოჰკლეს ვაჭარი ივანე მარტიროზოვი“.** ორივე ეს სოფელი—ნაოზა და მლაშე მდებარეობენ საგურამოსა და დუშეთს შორის, რასაც მაშინ განსაკუთრებით აღნიშნავდნენ.*** თავი რომ დავანებოთ უსაფუძვლო ცდას—ილიას მოკვლა გადაებრალებინათ „ერთობის კაცებისათვის“ და ამით ობიექტურად დახმარებოდნენ მეფის მთავრობას, საფიქრებელია, ყოველივე ეს ხდებოდა იმისათვის, რათა მიჩქმალულიყო, სრულიად აბნეულიყო საშინელი დანაშაულის კვალი. ასევე საფიქრებელია, არანაკლები საფუძვლიანობით, რომ მეფის ოხრანკას, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფიზიკურად მოესპო დიდი პოეტი, სურდა

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 10.

** იქვე, გვ. 90.

*** იქვე.

თავის აგენტს დიმიტრი ჯაშს, თუ ამ უკანასკნელს რაიმე მიზეზით ხელი შეეშლებოდა, ფარულად ჰყოლოდა თანაშემწეები, რომლებიც სწორედ იმ რადიუსში მოქმედებდნენ, სადაც ილიას მოკვლა ყველაზე მოსახერხებელი ჩანდა (მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ილიამ თავის მეუღლესთან და არტურ ლაისტთან ერთად ორჯერ გაიარა ეს საბედისწერო გზა—თბილისიდან საგურამომდე და საგურამოდან თბილისამდე). ამ აზრს საკმაოდ ადასტურებს ის გარემოება, რომ სწორედ იმ დღეს, როცა ილია მოჰკლეს, თითქმის იმავე საათებში პოეტის ბინა გაჭურდეს თბილისში. ეტყობა, ბანდიტთა ბრბო თავს ეხვია ილიას და ისინი მოქმედებდნენ არა მარტო თბილისში ან საგურამოში, არამედ ყველგან. სადაც კი მოსალოდნელი იყო პოეტის ფეხი დაედგა.

თუ რა უღრმესი გულისტკივილით, აღშფოთებითა და ჰრისხანებით შეხვდა ქართველი ხალხი, მთელი იმდროინდელი მოწინავე ინტელიგენცია წიწამურის საშინელ ტრაგედიას, მოწმობენ ის დოკუმენტები, რომლებიც ილიას გარდაცვალებისთანავე იმდროინდელ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდა. ჩვენ მოვიტანთ ამ დოკუმენტების ყველაზე მნიშვნელოვან ადგილებს. როგორც ერის უდიდესი გლოვისა და ქართველი ხალხის ისტორიაში ილიას ასევე უდიდესი როლის დადასტურებას.

როგორც კი გავრცელდა პირველი ხმა „ილია მოჰკლესო“, შემაზრზენ განცდასთან ერთად იფეთქა შურისძიების გრძნობამ, მაგრამ არანაკლები ძალისა იყო იმის შეგნება, რომ საქართველომ დაჰკარგა მისი ნამდვილად უდიდესი შვილი, უდიდესი მწერალი-მოაზროვნე, ერის თავდადებული მოჰირნახულე და უანგარო მოამაგე. ამ აზრს გამოხატავდა იმ საბედისწერო დღეებში პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, რომელიც მხატვრულ შემოქმედებაში ილიას დიდი ღვაწლის აღნიშვნის შემდეგ წერდა: ილია ჭავჭავაძის „სიკვდილით საქართველომ დაკარგა ერთი უდიდებულესი შვილთაგანი. ბრწყინვალე ორატორი, რომელიც ჰხიბლავდა მაყურებლებს ტფილისის სათ.-აზნაურო ბანკის არებაზე, მდიდარი იურიდიული და ისტორიული ერუდიციით აღჭურვილი, ზედმიწევნით მცოდნე თავის ხალხის ენისა და ყოფა-ცხოვრებისა, ღრმა ფსიხოლოგი და მომხიბლავი მგოსანი გულითადი მელოდიებისა და ხალხის ფიქრებისა. ი. ჭავჭავაძე იყო ერთსა და იმავე დროს მეცნიერი მკვლევარი, ძლიერი პუბლიცისტი, ნიჭიერი პოეტი და დიდი საზოგადო მოღვაწე. მისი ტრაგიკული სიკვდილი მწარედ დასწვავს გულს ყოველს დღევანდელს ქართველს, რომელიც აღზრდილია მის ცეცხლითა და ბრწყინვალებით აღსავსე, გულწრფელ და მიუდგომელ პოეტურ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებზე“.* ალექსანდრე ხახანაშვილმა ისიც მიუთითა, რომ ილია „...ნახევარი საუკუნე თავში უდგა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ აზრსა და მოღვაწეობას“..., იგი არის „იდეური პოეტი, მას იზიდავს მხოლოდ საზოგადოებრივი გრძნობები და აზრები, მისი ძლიერი ქნარი მხოლოდ მოქალაქეობრივ ხმებს უკრავს. სოციალური მიმართულებითაა გამსჭვალული არა მარტო მისი ლექსები, არამედ მოთხრობები „მგზავრის წერილებიდამ“ დაწყებული ფსიხოლოგიური ეტიუდის „უცნა-

* ა. ხახანაშვილი, ილია ჭავჭავაძის ხსოვნას: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დაკრძალვა“, 1907 წ., გვ. 82.

ური ამბავამდის“. როგორც პოეტმა და ნოველისტმა... დაიწყო ახალი ხანა ქართულ მწერლობაში, როგორც პუბლიცისტი და ჟურნალისტი იგი იყო გამავრცელებელი საუკეთესო აზრებისა „საქართველოს მოამბის“ დაარსებიდამ და იყო წინამძღოლი ქართველი ხალხის აზრებისა ორმოცი წლის განმავლობაში“.*

მთელი 30 წლის მანძილზე ილიას თანამშრომელი „ივერიის“ გამოცემაში გიგა ყიფშიძე ამბობს, რომ დიდ პოეტს ტოლი არ ჰყავდა „არც ნიჭითა და ჭკუთ, არც ღვაწლითა და დამსახურებით, არც სახელოვანებითა და ენა-მზიანობით... იმის სიტყვას, იმის ნაწერს, იმის საჯაროდ ნალაპარაკევს ყურს უგდებდა სმენად გადაქცეული მთელი შეგნებული ქართველობა, მთელი პატიოსანი, აზროვნობის ნიჭით შემკული ნაწილი საქართველოსი. უკეთესნი კაცნი რუსთა, სომეხთა და მუსულმანთა, ვინც კი იცნობდა, ქებითა და დიდებით იხსენიებდნენ, დიდის ხალისით და სურვილით ისმენდნენ მის საუბარს კრებასა თუ ბჭობაზედ, რადგან ამჩნევდნენ, კაცი ღრმად ჩახედულია საქმეში, იცის მისი ძალა, ეყურება ქვეყნის ჭირ-ვარამი, მისი სულის კვეთებაო“.**

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართველი ხალხის იმდროინდელი სამი დიდი ბურჯის — აკაკის, გაგას და იაკობ გოგებაშვილის გამოსვლები. მთელი ხალხი სულგანაბული უსმენდა თავისი გულის სამი დიდი მესაიდუმლისა და ილიას ერთგული თანამებრძოლების სიტყვებს. მათ აზრსა და სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ერთი თავსამტვრევი საკითხი იყო იმის დადგენა, თუ ვინ ჩაიდინა ეს საზიზღარი საქმე, ვინ გაბედა უწმინდური ხელი აღემართა ნათელი გონებისა და სამხვრევად.

აკაკი წერეთელმა უმალ გაიგო, ვინც იქნებოდა დიდი ილიას მკვლელი. მოხუცმა პოეტმა. რომელსაც სიცოცხლის წლები უკვე დათვლილი ჰქონდა. უშიშრად ამხილა მეფის მოხელეები, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი უმძიმესი დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე სხვისთვის გადაებრალებინათ. ამ მიზანს ისახავდა ის მითქმა-მოთქმა, რომელიც მათ გამოიწვიეს, რომ ბრალი გლეხობისა და იმდროინდელი პარტიებისათვის დაედოთ. აკაკიმ გაბედულად განაცხადა, რომ ვინც საქართველოს მოსპობას ცდილობს, მანმოჰკლა ილია, „...და არა გლეხობამ, ან რომელიმე ასმა, რომელზედაც სულ სხვა წარმოდგენა მაქვს და ტყვილა ნუ მიწამლავთ მოხუცებულს გრძნობას დღევანდელი მითქმა-მოთქმით“.***

აკაკის ამ სიტყვებს დიდი ძალა ჰქონდა, ვინაიდან მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში, იმ დროიდან, როცა ჟურნალ „ცისკრის“ (№ 1) ფურცლებზე 1857 წელს პირველად გამოჩნდა ერთად ილიასა და აკაკის სახელი, ქართველი ხალხის ეს ორი გოლიათი ერთად ეწეოდა ერის სამსახურისათვის მძიმე უღელს. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკიმ სწორედ ამ მომენტს გაუსვა ხაზი და თქვა: „მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში ერთს უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტოდ დარჩენა, დაობლება საძნელოა“...**** აკაკიმ ამავე

* ე. ხახანაშვილი, ილია ჭავჭავაძის ხსოვნას: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 81—92.

** გ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ხსოვნას, იქვე, გვ. 93.

*** აკაკი წერეთელი, ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას, იქვე, გვ. 193.

**** იქვე, გვ. 184.

სიტყვაში ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა ილია და საქართველო, ღრმა ვულისტკივილით მიმართა თავისი მეგობრის ცხედარს: „...შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავის-თავად იღაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთანერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ დაგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ შაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარმისსიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა საქართველოს ყოველ კუთხიდან თავ-მოყრილნი გეხვევიან გარს!.. და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!"*

მაგრამ დიდმა აკაკიმ მარტო ამ სიტყვებით როდი დაიტირა დიდი ილია. ტრაგიკულად დაღუპული პოეტი ჯერ კიდევ არ ჰქონდა მშობლიურ მიწას ძიბარებული, როცა წინადღით, 8 სექტემბერს, აკაკიმ თავისი გრძნეული პოეტური კალმით აამეტყველა ღრმა შთაგონებით, მწუხარებითა და შრისხანებით აღსავსე ლექსი:

„ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას,
და ნუ ამბობთ, რაც არ ჯერა!..
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედის წერა?
არა, არა!.. მითქმა-მოთქმა
ეს მშიშარა, ტყუილია;
ის მშობელი არ მოკვდება,
წარმოშობა ვინც ილია!!..
გრძნობა კვდება, გონება კი
ეკუთვნის წინ მომავალსა...
გაჰყავს ხიდი ცხოვრებისთვის
და უკაფავს გზა და კვალსა.
და მიტომაც ვინც მოკვდება,
განა ყველა ითქმება მკვდრად?
ზოგი ჩადის ბნელ-საფლავში,
ზოგი აქვე რჩება ლამპრად.
და ილიაც არ მომკვდარა...
მამულისთვის რჩება ლამპრად,
მაშინ როცა მისი გვამი
გაიქცევა მიწად და მტვრად.
რაც კი ჰქონდა მაღლით ნიჭი
ბუნებისგან მოცემული,
მთლად მიუძღვნა მისს სამშობლოს,
ფიანდაზედ დასდვა გული!
თავი დასდვა ქვეყნისათვის,
მიჰბაძა ძმებს თავდადებულთ:
მეფესა და ყიფიანსა...
იმ ორ ქართველს, განდიდებულთ!

---

* აკაკის სიტყვა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე, იქვე, გვ. 184—185. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მაგრამ ამათ სიკვდილშიაც
განსხვავება არის დიდი:
უფრო მწარე და მწვავია,
როცა შინ გკლავს შენივე ფლიდი!
შეფე მოჰკლეს მანღოლებმა,
დიმიტრიც მტრის მოკლულია:...
მაგრამ ნუ თუ შინ ჩვენმაე
გამოგვტაცა ჩვენ ილიაჩ!...
ნუ მიწამლავთ მოხუცს გრძნობას!
ის ქართველად არა მჯერა,
ვინც გაბედა და ილიას
დაუმოკლა ბედის-წერა!...*

უღრმესი გულისტკივილი. რომელიც მთელ ქართველ ხალხთან ერთად აკაკიმ განიცადა, თვით პოეტმა გამოთქვა. როცა მიუთითა: „ახალმოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწალმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და. თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ.ეს დღე დამაყენეთო"? გვეკითხება და ჩვენ. ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა! და შეც..როგორც ქართველს, მწუხარებას გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ..."**

ანალოგიურ აზრს ბევრი იმდროინდელი მოღვაწე გამოთქვამდა, ბევრი ეჩვნობდა ჰაინრიხ ჰაინეს მიერ აღიარებულ ჰეშმარიტებას, რომ „სადაც დიდებული ადამიანი წარმოთქვამს თავის აზრს, იქვე გოლგოთაა აღმართულიო". თავისი უკვდავი აზრებისა და საქმეებისათვის ასეთ გოლგოთას ვერც ილია ჭავჭავაძის დიდებულება ასცდა. ამიტომ მით უფრო მძიმე იყო ხალხის განცდა და მწუხარება.

ილიას ტრაგიკული სიკვდილი ათი დღის განმავლობაში მთელმა ერმა, მთელმა საქართველომ დაიტირა. ვაჟა ფშაველამ მისთვის ჩვეული ღრმა აზრითა და ასევე ღრმა გრძნობით დაიგლოვა მოზღვავებული უბედურება. ვაჟამ ერთხელ კიდევ დაუხატა თავის ერს ილიას უკვდავი სახე და მოაგონა ის უფსკრული. რომელიც ვეება მთის ჩამონგრევით გაითხარა. ვისღა შეუძლია ერს ის ამაგი გაუწიოს, რასაც ილია მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე იჩეხდა? ამიტომ მთელ ერს შეეძლო ვაჟა ფშაველას სიტყვებით ძიებართა ილიასათვის და ეთქვა:

„საძირკვლად აზრი ჩაგდე,
ზედ დასდგი გრძნობის ტაძარი,
მან გააბრწყინა სხივებით
ჩვენის სამშობლოს მთა-ბარი.
გვყვარებოდი თვალ-ფხიზლად.
შენ იყავ ჩვენი საფარი —
მოგკალით ჩვენისვე ხელით.
მოძმეთათვის ნაჭირმაგარი;
და შენი სისხლიც იქ ბრწყინავს,
სად წინაპართა ნთხეულა.

---

* აკაკი წერეთელი, ილიას მოკვლის გამო: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". 1907 წ., გვ. 121—122.

** იქვე, გვ. 184.

რომელთა ხსოვნა შენს გულში
არ ოდეს გამოლეულა;
იმათ სისხლს არაგვის პირად
შენიც დაერთო წლეულა.
მოკვდი თვის სატრფოს კალთაზე,
დადუმდა ჩანგის სიმები;
აყვავებული მამული
გაგვიხდა დასატირები!
დაგიკოცნიან სახესა
ნათელს არაგვის გმირები;
შვილის დაკარგვას გლოვობენ
ტურფა ალაზნის პირები!"*

ვაჟას ეს ბრწყინვალე ლექსი პირველად დაიბეჭდა 1907 წლის 8 სექტემბერს „ისარში", ხოლო შემდეგ, იმავე წელს გამოცემულ კრებულში — „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება". ამავე კრებულშია შეტანილი ვაჟა ფშაველას სიტყვა ილიას გარდაცვალების გამო და 6 სექტემბერს დაბეჭდილი წერილი — „ვერ მოჰკლეს".

თავის სიტყვაში ვაჟა ფშაველამ გაიხსენა ილია ჭავჭავაძის ძოღვაწეობის პირველი პერიოდი, როცა სრულიად ჭაბუკს, ერის ინტერესებისათვის გაბედულ შებრძოლს, მოკვლა დაუპირეს. „იქნება თქვენგანმა ბევრმა არ იცოდეს, — ამბობდა ვაჟა, — რომ ილიას მოკვლას უპირებდნენ ამ 40—50 წლის წინად; მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეებრძოლა ცხოვრების დახავსებულს ფორმას — ბატონყმობას... მეტის-მეტად ნაწყენმა ბატონებმა თავ-ხედურის საქციელით ახალგაზრდა კაცისა, „კაცია-ადამიანის" ავტორისა, დაზოგეს მისი სიცოცხლე იმ მოსაზრებით — იქნება საქართველოსათვის სასარგებლო კაცი დადგესო, იქნება ილიას რჩევა და მოძღვრება სჯობდეს, როგორც ნასწავლ კაცისა და არც მოსტყუვდნენ. ღმერთმა დაიფაროს, მაშინ რომ მოეყვანათ თავიანთი განაჩენი სისრულეში, წარმოიდგინეთ რამდენს რასმე დაჰკარგავდა საქართველო! მთელი 50 წელი განსვენებულმა საქართველოს ბედი კალთით ატარა, იყო მისი დარაჯი... მოსეულს მტერს. ვინც საქართველოს ისრებს ესროდა, იგი პირველი აგებებდა თავის მკერდს. შემოქნეულს ხმალს პირველი უფარებდა ფარსა".**

თუ ასე იყო მწერლობაში, როგორც ვაჟა შენიშნავს, პრაქტიკულ საქმიანობაშიც უთვალავია ილიას ღვაწლი, და თუ არ გამართლდა დიდი პოეტის სიტყვები: „შვილები წამოგესწრნენ ვაჟ-კაცნი, გულ-მტკიცენი; მათი საგონებელი შენ ხარ და შენ იქნებიო", — ვაჟა მწუხარებით შენიშნავს, რომ მართალია, ამ შვილთა „შორის მახინჯებიც გამოერივნენ", სამაგიეროდ „გვრჩებიან სხვა ახალგაზრდებიც, რომელთაც არ უღალატეს ილიას ანდერძს"; „ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენ მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენ მიერ ნაანდერძევ იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლების და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკელად".***

---

* ვაჟა ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1961 წ., გვ. 250.

** ვაჟა ფშაველას სიტყვა: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", 1907 წ., გვ. 188—189.

*** იქვე, გვ. 189—190.

სავსებით ნათელია, რომ აკაკი და ვაჟა ბევრ რამეში ხვდებიან ერთმანეთს, კერძოდ აქ, საერთოდ კი ილიას როლის შეფასებაში. გახა აშკარად ვაჟას სიტყვები: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ საქართველოსაც მოჰკლავენ“.* ილიას და საქართველოს ბედის ასეთი შეპირისპირება ორი გოლიათის მიერ შემთხვევითად ვერ ჩაითვლება. ამას მოწმობენ ვაჟას სტრიქონები, რომლებიც აკაკის სიტყვაზე ორი დღით ადრე დაიბეჭდა: ილიას „ხსოვნა უკვდავია, ვიდრე საქართველო იქნებაო“. ვაჟას არ დაუზოგავს ეპითეტები ილიას შესამკობად. მისთვის ილია იყო ქართველთა „...მამა, ქართველთათვის თავდადებული, თავისი ერისათვის მოჭირნახულე ადამიანი“, „...საუკეთესო პირველი ადამიანი, ჩვენის მწერლობის სულის ჩამდგმელი, მოღვაწე დიდი მოამაგე ქართველ ერისა“. ილია ვაჟასათვის ისეთი „სასიქადულო მამულიშვილია“, რომელმაც „აასრულა თავისი მოვალეობა წინაშე თავის ქვეყნისა, იბრძოლა, იღვაწა ჩვენს სასარგებლოდ და დაღლილ-დაქანცული მიებარა ცივს სამარეს, ჩაიყოლა თან ისევ ჩვენი დარდი — დარდი თავის ქვეყნისა... გაიყოლა თან ის ტყვიები, რომლითაც ჩვენ იმას გაუმასპინძლდით, — ჩვენ მიერ დაჩნეული. ჩაიყოლა თან ყველა ეს ჩვენ მიერ მიძღვნილი სასიქადულო ძღვენი, მაგრამ ილია იმდენად ჭკვიანია, იმდენად უყვარს ქართველები და საქართველო, რომ მამა-პაპათა წინაშე დაჰმალავს ტყვიებსაც, წყლულებსაც, რომ ჩვენზე ცუდი არ ათქმევინოს, არ გააჯავროს ჩვენზე ისინი“.**

ეს მსასოებელი სიტყვები, ეს მოწიწება დიდი ადამიანებისა ილიას ცხედრის წინაშე ყველაზე კარგად მოწმობენ, თუ რა ადგილი ეკავა „პირდილის“ ავტორს ჰირნახული საქართველოს ისტორიაში და რა განუზომელი იყო მისი როლი ქართველი ხალხის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. გაკვრით ამ საკითხებს შეეხო იაკობ გოგებაშვილი თავის პატარა წერილებში — „ი. ჭავჭავაძის შეხედულობა წოდებრივობის შესახებ“ და „მცირე განმარტება“, რომლებშიაც ის აზრი დაიცვა, რომ ილია არ იზღუდებოდა წოდებრივობით, „იგი ყოველთვის ებრძოდა ვიწრო ეგოისტურ წოდებრივს მიმართულებას“.*** აქ არ შევეხებით ხსენებულ საკითხებს. უფრო მნიშვნელოვანი იყო შემდეგი: ილიას ტრაგიკულ აღსასრულს დიდი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი გამოეხმაურა ღრმა აღშფოთების გამომხატველი წერილითაც — „შურისძიება ისტორიისა“, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ ისტორიამ იცის „შეუდარებელი, უებრო შურის-ძიება“ და მოწუცი პოეტის უგვანო მკვლელები ისტორიის სასტიკ მსჯავრს ვერ ასცდებიანო. იაკობ გოგებაშვილმა სავსებით ნათლად ისიც განსჯვრიტა, რომ მომავალი კიდევ უფრო მეტი დიდების შარავანდედს დაადგამდა ილიას ნათელ პიროვნებას: „...ილიას სახელი მოიცვის დიდებულ ძოწეშის შარავანდედით, ერთი ასად ომატებს ის ღრმა პატივისცემა, ის თაყვახება, რომლითაც ყოველი ჩკუათა მყოფელი ქართველი გამსჭვალული იყო მისადმი;

---

* ვაჟა-ფშაველა, „ვერ მოჰკლეს“. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 52. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 54.

*** იქვე, გვ. 217, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ერთი ასად გაიზრდება ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც იმის ქმნილებებმა ჰქონდა და ქართველობა ამ მის ქმნილებებს დაეწაფება სრულის გაუბაძრობით. რაც ილიას დიდებას აკლდა სიცოცხლის ჟამსა. მის მკვლელობის შემდეგ უკლებლად შეივსება და იგი იწყებს ბრწყინვას. როგორც უდიდესი მნათობი საქართველოსი... დიდება ილიასი მით უფრო იმატებს, რაც უფრო ზედმიწევნით გაიცნობს ქართველობა ნამდვილს ილიას, შეიგნებს იმის დიდებულ და წმინდა ქართულ ენას, მისს მაღალს აზრებს, პროგრესიულს იდეალებს, მის დემოკრატიულს მიმართულებას, წმინდა ეთიკას სრულის ადამიანობისას, აძისათვის კი ყველაზე მეტად საჭიროა მოფენა კიდით-კიდედ მისი ქმნილებებისა, გაერცელება მისის თხზულებებისა მთელს ჩვენს ქვეყანაში“.*

იაკობ გოგებაშვილის ეს წინასწარმეტყველური სიტყვები სავსებით გამართლა მომავალმა, რომელმაც დიდ ილიას უკვდავების მოწამებრივ გვირგვინთან ერთად საყოველთაო-სახალხო სიყვარულის შარავანდედით შეუმკო ერისათვის მრავალგზის ტანჯვით მღელვარე ნათელი შუბლი.

ილიას ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გვინდა მოვიტანოთ.

შვიდ სექტემბერს, როცა ცხედარს საგურამოდან თბილისში მოასვენებდნენ, პროცესია შეჩერდა წ ი წ ა მ უ რ ა თ ან, სწორედ იმ ადგილას, სადაც დიდი პოეტი მოჰკლეს. საზარელი იყო ამ ადგილას გავლა, ერთი კვირის წინათ მომხდარი ტრაგედიის კიდევ უფრო ცოცხლად წარმოდგენა. ბევრი იგონებდა შემდეგ, რომ ილიას სისხლი მკვლელობის ადგილს მაშინ უკვე შემხმარი ჰქონდა და ყველა ამჩნევდაო. ზოგი კი წერდა: „ზედ შუა გზაზე, ორ ადგილზედ. შავად მოსჩანს სისხლი. გლეხებმა უმალ ეს ადგილი ქვებით შეშოკირწყლეს“.** საშინელება იყო ყოველივე ეს და ამ საშინელ წუთებში პოეტმა ი რ ო დ ი ო ნ ე ვ დ ო შ ვ ი ლ მ ა წარმოთქვა მრისხანების გრძნობით აღსავსე მ გ ზ ნ უ ბ არე პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი სიტყვა, რომელსაც მთელი ზალხი უდიდესი მოწონებით შეხვდა და რომელიც ღირსია მთლიანად მოვიტანოთ. „აი, ამ ადგილს დახუჭა ქართველების დიდებულმა მწერალმა თვალები.—თქვა ი რ ო დ ი ო ნ ე ვ დ ო შ ვ ი ლ მ ა,—აქ ამოიკვნესა უკანასკნელად მისმა გულმა; ამ ადგილიდან უკანასკნელად შეჰხედა ილიამ თავის სამშობლოს ცას... როგორი ძალიერიც იქნებოდა ის ამ დროს თავის ერისა—ამაზე მეტია ლაპარაკი. თქვენ, ამ არემარის მცხოვრებნო, აქაურო ქართველებო, დღეს ამ კუბოსთან და ამ გზაზე შეშვიდარ სისხლთან მარტო თქვენ არ შეკრებილხართ, აქა ვართ ქართველები, წარმომადგენლები საქართველოს ყველა კუთხიდან, მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ ილია სცხოვრობდა თქვენში, იგი მხოლოდ თქვენ არ გეკუთვნოდათ. ის ეკუთვნოდა მთელს საქართველოს, მთელს ერს, ყველა ქართველს. იმან დაგვდო ამაგი ყველას, მთელს საქართველოს! მაშ რა ნება ჰქონდა იმ ხელს, რომელმაც მოჰკლა თქვენში ილია, რომ იგი თვითონ დაისაკუთრა, რომ იგი აღაცალა თავის ქვებუდან გრძნობას? არავითარი! ვერაგმა ხელმა იგი წაგვართვა ყველას, მთელს ქართველობას! მან განგმირა მთელი საქართველოს მამა — მოძღვარი!

---

* იაკობ გოგებაშვილი, შურისძიება ისტორიისა, იხ. „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 134.

** იქვე, გვ. 147.

წელან ერთმა მოლაპარაკემ სთქვა: იმ ადგილს, სადაც ილია მოჰკლეს, უხდა ავაგოთ ძეგლი იმის სადიდებლად, მის სამახსოვრადაც. ეს ძალიან კარგი იდეაა. იყოს აქ ძეგლი ილიას სადიდებლად, მაგრამ აქვე, იმის გვერდზე ავმართოთ ჩვენ სხვა ბოძიც, ბოძი სამარცხვინო, და ზედ დავწეროთ: „აქ მოჰკლეს ილია, დიდი-მოძღვარი და საქართველოს მგოსანი“.

ძმებო! ყველა თქვენგანს ჰყოლია მამა, რომელიც გაცხებდათ, როცა გცივოდათ, გაჭმევდათ, როცა გშიოდათ. ეხლა დაბერდა ის, მაშ მოუშვირეთ თოფი და გაუგმირეთ გული! რომელია თქვენში ამ საქმის ჩამდენი, რომელი აიღებდა თქვენს მამაზე ხელს? არავინ?! მაშ რა ვუწოდოთ იმ კაცს, რომელიც ასე მოიქცევა, რომელიც ჩვენ წაგვართმევს ჩვენს სულიერს აღმზრდელს, ჩვენს სულიერს მასაზრდოებელს? დაუძახებთ თქვენ მას იუდას თუ არა? (ხალხის ხმა: იუდაა, იუდა!) იყოს წყეული თუ არა? (ხალხის ხმა: იყოს წყეული. იყოს წყეული!)...“*

მრისხანე იყო ეს ხმა, ეს ანათემა, მაგრამ წიწამურის საშინელ ტრაგედიას ვერაფერი გამოისყიდიდა. ერთადერთი, რაც მაშინ შეიძლებოდა გაკეთებულიყო და რასაც შეეძლო ოდნავ მაინც მოელბო ხალხის განრისხებული გული, დიდი პოეტის დიდი პატივისცემით დაკრძალვისათვის ზრუნვა წარმოადგენდა.

ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა მართლაც გრანდიოზული იყო და ნამდვილად სახალხო გლოვას, მთელი ერის უდიდესი მწუხარების გამოხატულებას წარმოადგენდა.

ვიდრე ილიას გვამი საგურამოში ესვენა, მთელი საქართველო ღონისძიებას იმუშავებდა. რომ დიდი პოეტისათვის, რომელიც ასე ვერაგულად გაჰყარა სალმეს სიცოცხლეს, უკანასკნელ გზაზე მაინც ღირსეული დაფასება მიეზღო.

შაბათს, პირველ სექტემბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქნა პირველი პანაშვიდი. წინა დღეს, 31 აგვისტოს, მოეწყო თათბირი დაკრძალვის საკითხებზე. ამ თათბირის შესახებ იმდროინდელი პრესა იუწყებოდა: „წინადადება შეიტანეს, რომ ხარჯი და ზრუნვა განსვენებულის დასაკრძალავად საზოგადოებამ იკისროს, მაგრამ რადგან საზოგადოებას საერთო თანხა არ მოეპოვება საზოგადო საქმისათვის, ამიტომ ფული უნდა გადასდოს თავად-აზნაურობამაო. კრებამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება. შემდეგ მცირე კამათი იქოხიეს იმაზე, თუ სად დაკრძალონ გვამი. ზოგმა დიდუბე დაასახელა, ზოგმა ახჩისხატის ეზო. უმრავლესობამ კი მთაწმინდა. ბოლოს კრებამ მიიღო ეს უკანასკნელი წინადადება; ფული გადაიდება იმდენი, რამდენიც საჭირო იქნება. დასასრულ კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომიტეტი ექვსი კაცისაგან. კომიტეტი სხვა საზოგადო დაწესებულების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავებს დასაფლავების ცერემონიალს. კომიტეტმაე უნდა დანიშნოს დაკრძალვის დღე. განსვენებულის გვამს საგურამოდან საქართველოს სამხედრო გზით მოასვენებენ. როგორც განზრახულია, პროცესია გაივლის გოლოვინის (ახლა რუსთაველის — გ. ჯ.) პროსპექტით, მივა სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება წირვა

* იროდიონ ევდოშვილის სიტყვა წიწამურში, იხ. კრებული: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლაება“, 1907 წ., გვ. 161—162.

და პანაშვიდი. შემდეგ პროცესია მამადავითისაკენ გაემართება. დაკრძალვის დღედ განზრახულია დანიშნონ 8 სექტემბერი".*

მაგრამ შემდეგ გადაწყდა, რომ ილია დაეკრძალათ არა 8, არამედ, კვირას, 9 სექტემბერს, ვინაიდან „საქართველოს ყველა კუთხიდან — კახეთისა, იმერეთისა, გურია-სამეგრელოსა, აჭარა-ბათუმისა და სხვა ადგილებიდანაც ამბავი მოვიდა, წარმომადგენელნი აპირებენ ჩამოსვლასაო".** 2 სექტემბერს მოწვეულმა კრებამ დაადგინა, რომ ხუთშაბათს, 6 სექტემბერს, თბილისიდან საგურამოში გამგზავრებულიყვნენ დამკრძალავი კომისიის წევრები, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრები — ივ. რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ივანე ჭავჭავაძე, აგრეთვე გაზეთებისა და მუშების წარმომადგენლები, რომლებსაც მონაწილეობა უნდა მიეღოთ საგურამოში პანაშვიდის გადახდასა და ცხედრის გადმოსვენებაში. იმავე დღეს სიონის საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო. მათ შორის იყვნენ ქალაქის თავი, მარშლები და მეფის ნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ, ის, ვინც ილიას მკვლელობის მთავარი შთამაგონებელი იყო.

ილიას დაკრძალვასთან დაკავშირებით, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის საგანგებო სხდომამ დაადგინა გამოეცა პოეტის საუკეთესო ლექსების კრებული 5000 ცალი ტირაჟით და უფასოდ დაერიგებინა ხალხისთვის. ჟურნალ „ნაკადულში" მოწვეულმა ქართველ ქალთა კრებამაც სპეციალური მსჯელობა იქონია, თუ როგორ ეცა პატივი დიდი მოღვაწისათვის. დრამატული საზოგადოების აღრე დანიშნული კრება, ახალი წევრების ასარჩევად, სხვა დროისათვის გადაიდო „ნიშნად მგლოვიარობისა".***

როცა ქუთაისში მივიდა ცნობა ილიას მკვლელობის შესახებ, ქალაქის გამგეობის ხელმძღვანელი იყო, რომელმაც უმალ შეაწყვიტა მუშაობა, გადაიდო თეატრის წარმოდგენაც, ხოლო ბულვარში მყოფმა ხალხმა სერნობა და გართობა შეწყვიტა. „31 აგვისტოს დღის 1 საათზე ქალაქმა გამოაკრა ქუჩებში სამგლოვიარო განცხადება, რომლითაც იწვევდა მცხოვრებლებს პანაშვიდისათვის. ქართულმა გიმნაზიამ და სხვა სასწავლებლებმა, ყველამ გადაიბარა პანაშვიდები, რომლის დროს მოკლედ აცნობდენ მოსწავლეებს გარდაცვლილის ბიოგრაფიას. ყველა წოდება, წრე, მთელი ქალაქი" ემზადებოდა ილიას დაკრძალვისათვის.**** საინტერესო იყო ქუთაისის შესახებ 4 სექტემბრის „ისარში" მოთავსებული შემდეგი ცნობა: 1 სექტემბერს ქუთაისელები „მოუთმენლად ველოდით გაზეთებს, გვეგონა გავიგებდით ილია ჭავჭავაძის მოკვლის ამბავს დაწვრილებით", მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა, პოეტის სიკვდილით გამოწვეული წყლული „უფრო გალრმავდა და გამწვავდა იმ ზომამდე, რომ ჩვენი გაზეთები მოთხრობილ ამბების კითხვის დროს ცრემლებს ვერ იკავებდნენ. იმედით შებედებით კაცს, რომ მის სახეზე დიდი მწუხარება არ იხატებოდეს... ილიას დაკრძალვაზე წამოსასვლელად აქედან ბევრი ემზადება. სხვათა-

---

* ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 25 — 26.

** იქვე, გვ. 37.

*** იქვე, გვ. 39.

**** იქვე, გვ. 40.

შორის, ქართული გიმნაზია დაკრძალვის დღეს სწავლას შესწყვეტს და მთელი კორპორაცია მასწავლებლებისა და უფროს კლასების მოსწავლეების წარმომადგენელნი აპირობენ ტფილისში წამოსვლას... ამ სტრიქონების დამწერი ვიქტორ ჰიუგოს სიკვდილსა და დასაფლავებას დაესწრო პარიზში; საფრანგეთმა დიდი პატივი სცა თავის სახელოვან მამულიშვილს, მაგრამ არა მგონია ფრანგთა შორის ისეთი გულწრფელი და გულიდან ამონახეთქი მწუხარება ყოფილიყო, როგორც ილიას მოკვლამ გამოიწვია აქ. გასაკვირველიც არ არის, რადგან ჰიუგომ ბუნებრივად დალია სული, ჩვენ-კი პირველ მოღვაწეს, პირველ ქართველს ტვინი შარა გზაზე დავანთხევინეთ, თითქო მას დიდი ღვაწლის მეტი სხვა რამე დანაშაულობა მიუძღოდეს სამშობლო ქვეყნის წინაშე... ქალაქის გამგეობის მიერ დანიშნულ პანაშვიდს მრავალი ხალხი დაესწრო. მაღაზიების უმრავლესობა დაიკეტა და ვინც არ დაჰკეტა მაღაზია, ბოდიშს იმითი იხდიდა, რომ პოლიციასა გვეშინიანო".*

პოლიციას კი ნაბრძანები ჰქონდა ფხიზლად ყოფილიყო, არ დაეშვა პოეტის პატივსაცემად მანიფესტაციები, რაც შეიძლებოდა შეებოჭა სახალხო გლოვის მასშტაბი.

მაგრამ დამკრძალავი კომისია ენერგიულად მუშაობდა. ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის მან შექმნა „ორი მცირე კომისია": პირველს (სახელოვანი და უშიშარი ვალერიან გუნია, ს. იაშვილი, ალ. ერისთავი, ყავრიშვილი, ქ. ქავთარაძე) მიენდო „დასაფლავების ადმინისტრაციული მხარე" — ყველაზე ძნელი და ყველაზე სახიფათო საქმე, ხოლო მეორეს—(ალ. სარაჯიშვილი, ი. ფანცხავა, ა. მდივანი) სიტყვების „წეს-რიგის შემუშავება". დაკრძალვის მთავარ ადმინისტრატორად აირჩიეს ვალერიან გუნია, რომელმაც მამაცურად გაართვა თავი დაკისრებულ დიდ მოვალეობას.

თბილისის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა შეიტანა წინადადება და საბჭოს მიაღებინა შემდეგი დადგენილება:

„1. გამგეობამ ქალაქის სახელით განსვენებულ ილია ჭავჭავაძის ცხედარი შეამკოს გვირგვინით; 2. მთელი გამგეობა დაესწროს განსვენებულის დაკრძალვას; 3. თანაგრძნობა გამოუცხადოს ჭირისუფლებს".** მწერალ ნინო ნაკაშიძის თავმჯდომარეობით ქართველ ქალთა მეორე კრებამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ილიას პატივსაცემად. ასევე მოიქცა სომეხთა დრამატიული საზოგადოება და სხვა მრავალი ორგანიზაცია.

მთელი საქართველო თალხმა მოიცვა. პირველი ცნობა ილიას მოკვლის შესახებ თელავს 31 აგვისტოს მიუღია. 2 სექტემბერს ჩაუტარებიათ კრებები, გაუცნიათ დამსწრე ხალხისათვის პოეტის ცხოვრება და შემოქმედება, მიუღიათ დაკრძალვაში მონაწილეობის შესახებ კონკრეტული დადგენილებები. იმავე დღეს თელავის საკათედრო ტაძარში გადაუხდიათ პირველი პანაშვიდი.

ანალოგიური ღონისძიებანი მთელ საქართველოში ტარდებოდა.

დამკრძალავმა კომისიამ შეიმუშავა 38 მუხლისაგან შემდგარი „წესი განსვენებულ ილია ჭავჭავაძის გვამის გადმოსვენებისა და დაკრძალვისა". ამ წესის მიხედვით დაიწყო დიდი პოეტის ცხედრის უკანასკნელი პატივისცემა.

---

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 42—43.

** იქვე, გვ. 50.

ჩვენ მოვიტანთ იმდროინდელი პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ინფორმაციული მასალების დამახასიათებელ ადგილებს, თუ როგორ დაკრძალეს ვერაგულად მოკლული ილია ჭავჭავაძე.

7 სექტემბრამდე, როგორც აღნიშნული გვაქვს, ილიას ცხედარი საგურამოში იყო დასვენებული. ამ დღეს კი თბილისში უნდა გადმოესვენებინათ. საგურამოში „ტფილისიდამ დელეგატების დენამ დაიწყო 7 სექტემბერს, დილის 7 საათზე. დილის 6 საათზე პირველი პანაშვიდი გადაიხადეს. მეორე პანაშვიდი დაიწყო 7½ საათზე"... თბილისიდან, ნათესავების გარდა, საგურამოში ჩავიდნენ თავადაზნაურების წინამძღოლები — დ. ნიკარაძე, ბაგრატიონ-დავითიშვილი, აგრეთვე: გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშვილი), ივანე რატიშვილი, დავით კარიჭაშვილი, ნ. ერისთავი, დ. დუმბაძე, ეკატერინე გაბაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი; თბილისის ქართული გიმნაზიიდან — იაშვილი, მიქაბერიძე და მდივანი; ბანკიდან — დ. ფავლენიშვილი, გ. მაღალაშვილი, რ. ღამბაშიძე; იაკობ ფანცხავა, ი. ქუთათელაძე, ვასო აბაშიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ირ. ევდოშვილი, დავით მიქელაძე, დუშეთის მაზრის უფროსი ფალავა (რომელიც შემდეგ მოწმედ იყო ილიას მკვლელის გასამართლებაზე 1942 წელს), ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი, ორი მუშა თბილისის დეპოდან, „ოციოდე ცხენოსანი საპატიო მცველი, რამდენიმე ფოტოგრაფი და მრავალი სხვა. პანაშვიდს დაესწრო აგრეთვე მთელ საგურამოს და წიწამურის გლეხობა".*

დილის 8 საათზე „რვა კაცმა ჰავჭავაძის კუბო ეზოში გამოიტანა. აქ მგრძნობიარე სიტყვები წარმოთქვეს წ. კ. საზ. წარმომადგენელმა რატიშვილმა და ეკ. გაბაშვილმა, მერე კუბო და სახურავი გლეხებმა აიღეს, ცხედარს გარშემო ერტყა შავებში გამოწყობილი საპატიო მცველთა რაზმი და ყველანი დაიძრნენ. სწორედ ამ დროს განსვენებულის სახლზე, რომელიც მთელ საგურამოს, არაგვის ხეობასა და მუხრანის ველს ზევიდან დასცქერის, უშველებელი შავი დროშა აიფრიალეს... პროცესია მთელ ვერსზე გაიშომა". საგურამოს ბოლოს პროცესიას შეუერთდნენ შავებში ჩაცმული სოფლელი ქალები. „ნახევარი საათის შემდეგ" მიადგნენ იმ საბედისწერო ადგილს, სადაც პოეტი მოჰკლეს. აქ ირონიონ ევდოშვილმა წარმოთქვა ის მგზნებარე სიტყვა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. „მცხეთის გამოღმა, ჯვრის მონასტრის ძირში (მაშინ გზა იქ გადიოდა — გ. ჯ.), პროცესიას დაუბვდნენ მცხეთელები სამი მღვდლით, საეკლესიო დროშებითა და გვირგვინით, რომელსაც ეწერა: „ჩვენს მეზობელსა და დიდ მოღვაწე პოეტს ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძეს მცხეთის საზოგადოებისაგან". „შუბათ გვერდზე, რკინის ხიდთან მთელ ზემო ალვალას მოეყარა თავი". „დიღმის მინდორზე დიღმელი გლეხები დახვდნენ პურის თავთავების გვირგვინით, რომელზედაც ეწერა: „კაკო ყაჩაღის დამწერს დიღმის გლეხებისაგან" და ერთი კუპლეტი „კაკო ყაჩაღიდან". პროცესიას თბილისამდე ხალხი თანდათან ემატებოდა, უკვე რამდენიმე ათას კაცზე მეტი შეიკრიბა.

თბილისი მზად იყო პროცესიის შესახვედრად. „ამინდი ამ დღეს მშვენიერი იყო, მხოლოდ ოდნავი ქარი ქროდა. პირველ საათზე ვერისკენ უკვე მთელი ჯგუფები მიდიოდა, მიჰქროდა ეტლები, მიჰქონდათ ათასნაირი გვირგვინი, ორ საათზე ხალხით გაივსო მთელი გორაკები ვერის ბაღების თავზე. ოლღას ქუჩა,

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 146—147.

ჯვრიდან დაწყებული ზეკით გავაკებამდე, ხალხით იყო სავსე. ყველა საქართველოს სამხედრო გზას გაპყურებდა. სამს ჩარეჩი აკლდა, როდესაც მოეიდა პროცესიის წინამორბედი ორი ცხენოსანი სამგლოვიარო ეტლი". სამ საათზე თბილისელებმა დაინახეს პროცესია, რომელსაც „წინ მოუძღოდა შავებში გამოწყობილი თხუთმეტიოდე ცხენოსანი. შემდეგ ბალდახინით მოჰქონდათ კუბო, რომელშიაც ესვენა ძვირფასი გვამი. კუბოს მისდევდა ორმოცამდე გლეხი, შემდეგ სამოცამდე ეტლი". ვერაზე გადაიხადეს მცირე ლოცვა და წარმოთქვეს სიტყვები, მათ შორის ილია ზურაბიშვილმა და სილოვან ხუნდაძემ (ლექსი წაიკითხა). საგულისხმოა, რომ პროცესიას თან ახლდა ხევსურებს 20-მდე წარმომადგენელი. გალობდა რამდენიმე გუნდი. „მთელ გზაზე ჯვრიდან დაწყებული სიონამდე დუქნები და მაღაზიები სულ ერთიან დაჰკეტეს, ტროტუარები ყველგან ხალხით იყო სავსე". პროსპექტზე, „პირველ გიმნაზიასთან ცხედარს სამგლოვიარო ჰანგით დაჰხვდა გიმნაზიის მემუსიკეების გუნდი. სამხედრო ტაძართან ცხედარს თავის ამალით დახვდა ნამესტნიკი და სასახლის ქუჩამდე გააცილა (სატრაპმა მეტი მანძილის გაყვლა არ ინება — გ. ჯ.). წერა-კითხვის საზოგადოების სადგომი ქუჩის მხრიდან (ახლა გრიბოედოვის თეატრის წინ — გ. ჯ.) ძაძით იყო შემოსილი. შუა ადგილს განსვენებულ მგოსნის სურათი ეკიდა, სამგლოვიარო არშია შემოვლებული". კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ „...ერევნის მოედნიდან დაწყებული სიონამდე, სადაც უმთავრესად სომხობა ცხოვრობს, სახლები ყველგან სამგლოვიარო ძაძით იყო მორთული. თითქმის ყველა სახლიდან შავი დიდი დროშა იყო ჩამოშვებული... სიონის ქუჩაზე, მთელ ქუჩის სიგანეზე, გამართული იყო ყვავილების საუცხოო კამარა. შუაზე განსვენებულის სურათი ეკიდა... სიონში პროცესია მივიდა $5^1/_2$ საათზე... აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდ-ძალ ხალხისა, წესრიგი სამაგალითო იყო". ამ წესრიგს, პოლიციის თვითნებობის მიუხედავად, ვალერიან გუნიას ნათელი გონება და მტკიცე მარჯვენა ამყარებდა.

მეორე დღეს, 8 სექტემბერს, მიცვალებულის პატივისცემა გაგრძელდა და სიონის ტაძარში წარმოითქვა მრავალი სიტყვა, ხოლო მოქანდაკე ხოდოროვიჩმა ილიას სახის ნიღაბი გადაიღო.

დაკრძალვის დღეს, კვირას, 9 სექტემბერს, დილის 7 საათიდანვე, დეპუტაციები და ხალხი სიონის ტაძრისაკენ დაიძრა. „ამ დღეს თითქმის პირველად შემოკრება ქართველობა, იყვნენ ყველა მხრიდან: კახეთიდან, საინგილოდან, ფშავ-ხევსურეთიდან, ქართლიდან, იმერეთიდან, სვანეთ-ლეჩხუმიდან, აფხაზეთიდან, აჭარა-ქობულეთიდან, ჯავახეთ-ახალციხიდან". „წეს-რიგს იცავდნენ სტუდენტები, უფროს კლასების მოსწავლენი და სხვანი. მოწეს-რიგეებმა დილადრიანვე გაინაწილეს საქმე და მაშინვე შეუდგნენ გვირგვინების და დეპუტაციების დამწკრივებას. წირვა სიონის ტაძარში დაიწყო დილის 8 საათზედ". გამოსათხოვარი სიტყვების შემდეგ, კუბო, რომელიც შემკობილი იყო 179 გვირგვინითა და ვერცხლისავე ხატებით, $11^1/_2$ საათზე „ტაძრიდან ხელით გამოასვენეს ნ. ცხვედაძემ, ან. ფურცელაძემ, არტურ ლაისტმა, ქალაქის თავმა, ნამესტნიკმა ვორონცოვ-დაშკოვმა, გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილმა, დ. ნიჟარაძემ, ვ. ჭავჭავაძემ და სხვებმა. კუბო დაასვენეს სამგლოვიარო ეტლზე. წინ პროცესიას მიუძღოდა შავი დროშები ჯვრებითა და ხატებით. ამათ

მისდევდნენ ამქრები თავიანთ დროშებით. შემდეგ რამდენსამე კაცს მიჰქონდა კუბოს თავი. ამათ მისდევდნენ საგურამოელი გლეხები ოცდაათამდე კაცი. მერე მიდიოდა ას-ოთხმოცდახუთი დეპუტაცია საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებელთა. დაბებ-ქალაქებისა და კავშირებისა, რედაქციებისა და სხვათა... მგალობელთა რამდენიმე გუნდი რიგ-რიგათ გალობდა". იყო მრავალი მეტ-მუსიკეთა გუნდი. „ცხედრის გარშემო იდგნენ „ივერიის" ყოფილი თანამშრომელნი. ცნობილი ლიტერატორნი, საზოგადო მოღვაწენი და ქართულ გაზეთების რედაქტორ-თანამშრომელნი. ცხედარს მისდევდნენ ნათესავ-ჭირისუფალნი და დეპუტატები" საქართველოს ყველა კუთხიდან, საზოგადოება-დაწესებულებებიდან.

როცა პროცესია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბინას მიუახლოვდა, „სადგომიდან გადმოდგა რამდენიმე კაცის დახმარებით იმჟამად შეუძლოდ მყოფი მხცოვანი აკაკი წერეთელი და განსვენებულს ილიას გამოსათხოვარის სიტყვით მიმართა". ეს მშვენიერი, ისტორიული სიტყვა დიდი აკაკისა, ჩვენ ზემოთ მოტანილი გვაქვს. კორესპონდენტი შენიშნავს, რომ „ავადმყოფობისაგან დასუსტებული მგოსანი ძლივს ლაპარაკობდა, მაგრამ როგორც მისი სიტყვები გაიგონეს, ქვითინი და ტირილი გაისმა. სიტყვა აკაკიმ ქვითინით დაათავა".

პროცესია იმდენად დიდი იყო, რომ ოპერის თეატრის წინ, როცა ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩას შეუდგა, მისი ბოლო ჯერ კიდევ ერევნის მოედანთან ყოფილა. მას თურმე ათიათასობით ემატებოდა ხალხი. ასიათასზე მეტ კაცს მიუღია იმ დღეს ილიას დაკრძალვაში მონაწილეობა. წესიერება მაინც არსად არ დარღვეულა. შინაარსიანი სიტყვები წარმოთქვეს: ვ. ჩერქეზიშვილმა, ნინო ნაკაშიძემ, თ. ხუსკივაძემ, ი. ივანიძემ, ი. ფანცხავამ, ვაჟა ფშაველამ და მრავალმა სხვა ორატორმა. ამის შემდეგ „გვამი ეტლიდან გადმოასვენეს და მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხელით აასვენეს აღმართზე... მამადავითის ეკლესიის გალავანში ბილეთებით იყო შესვლა, მაგრამ ბევრმა მოახერხა ასვლა, ასე რომ გალავანშიაც ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი". დაკრძალვის წინ სიტყვები წარმოთქვეს მელიტონ ქელენჯერიძემ, ნიკო ცხვედაძემ, იონა მეუნარგიამ, კ. ერისთავმა, დ. ნახუცრიშვილმა, კოჩიევმა, სიმონ ქვარიანმა, ვ. რცხილაძემ და სხვებმა. „საღამოს 6½ საათი შესრულდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. ა. მდივნის მოწოდებით ხალხმა მუხლთ მოიყარა უკანასკნელად თაყვანის ცემისა და გამოთხოვების ნიშნად... საღამოს 7 საათი იყო, რომ ნელ-ნელა მთა-წმინდა დაცარიელდა".* იქ მარტოდ-მარტო დარჩა დიდი ილია თავის სახელოვან წინაპართა გვერდით.

VII

დიდი პოეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რამდენიმე ათასი დეპეშა, ლექსი და წერილი იქნა მიღებული, ბევრი მათგანი მოსკოვის, პეტერბურგის, ბრიუსელის, ვენის, ბერლინის, პარიზის, კიევის, ბაქოს, ერევნის მარკებით, აგრეთვე პროფესორ ჰუგო შუხარდტის წერილი ვენის სამეცნიერო აკადემიიდან.

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", გვ. 145—158.

სიტყვებსა და ნეკროლოგებში ილია ჭავჭავაძეს ახასიათებდნენ, როგორც დიდ პოეტს, რომანისტს, მოაზროვნეს, კრიტიკოსს, პუბლიცისტს. ეს არ იყო საკმარისი. შეფასებას აძლევდნენ ილიას, როგორც იურისტს, ეკონომისტს, ისტორიკოსს. სოციალ-საზოგადო მოღვაწეს — ჟურნალისტ-რედაქტორს, ბანკისა და არაერთი საზოგადოების თავმჯდომარეს. აღნიშნავდნენ, რომ ილია იყო „შესანიშნავი ორატორი“, „მომხიბვლელი მოსაუბრე“, მშვენიერი მთარგმნელი. ნამდვილად მრავალმხრივი ადამიანი. დაჰკარგო ასეთი კაცი, ნიშნავს ერს წაართვა მისი საუნჯის უძვირფასესი მარგალიტი. შედარებათა ზღვას ბოლო არ უჩანდა. არა მარტო მსოფლიოს დიდ მწერლებს, მოაზროვნეებსა და საზოგადო მოღვაწეებს ახსენებდნენ პარალელისათვის, არამედ ისეთ ადამიანებსაც, რომლებიც თავიანთი ღვაწლით შორს იდგნენ ილიასაგან. დამახასიათებელია ერთი ასეთი შედარება: „ჰანიბალზე ამბობდნენ, სადაც კი გაჩნდებოდა, ყველა იმას მისჩერებოდაო. სწორედ იგივე ითქმის ილიაზედაც. მისი სახე, ენერგიით სავსე, ნიჭის გამომხატველი თვალები, დარბაისლობა, ტკბილად მოსაუბრე ხმა. ხან მქუხარე და ძლიერი, — ყველაფერი ეს ილიას ცენტრად ჰხდიდა ყოველ საზოგადოებაში... და ყველა ამ ღირსებათა გამო იგი იყო ბელადი ქართველ ერისა რამდენიმე ათის წლის განმავლობაში. იმის ნაწერებს კი ექნებათ აღმზრდელი მნიშვნელობა საუკუნეთა განმავლობაში“.*

მარტო ქართველი ხალხი როდი გლოვობდა თავის საბელოვან შვილს.

რუსეთის მოწინავე ინტელიგენციაც ღრმა გულისტკივილით შეხვდა ილია ჭავჭავაძის დაღუპვას. პროგრესული რუსეთი, ხალხის ნამდვილი რუსეთი რომ გულწრფელად გლოვობდა დიდი მოღვაწის აღსასრულს, მშვენივრად გამოხატა იმ დროს სრულიად ჭაბუკმა პოეტმა სერგეი გოროდეცკიმ. მისი ლექსი „ქართველი პოეტის ხსოვნას“, რომელიც 1907 წელს გამოქვეყნდა, ამ განწყობილებას ძალიან კარგად გამოხატავს. ჩვენ მოვიტანთ გოროდეცკის ლექსის თარგმანს, შესრულებულს ნიჭიერი პოეტის კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ, ვინაიდან ქართული მისადაგება კარგად გადმოგვცემს ორიგინალის აზრს:

„როდი გიცნობდი. არც კი მენახე,
არ წამიკითხავს ლექსები შენი.
მაგრამ სიკვდილის მკვეთრი ძახილი
მე გავიგონე მთელმარე სმენით.
მე პოეზიის უმძიმეს ჯვარსა
მაშინ შეეუდგა მხარი ძლიერი,
როდესაც შენმა სულმა დალეწა
ხუნდი, რომ ერტყა გარს მიწიერი.
უკვე აღსრულდა ბოროტი საქმე.
დასწყევლა ხალხმა მკვლელთა სახელი.
ახლა შენ ხარობ, მარადიული,
დაუჭკნობელი ქვეყნის მნახველი.

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 240.

როდი გიცნობდი. ერის ლამპარო,
მაგრამ ვიცი, თუ რაა მგოსანი,
ხალხს და ბუნებას რომ შეუქმნია,
როგორც თავისი მზე სხივოსანი;
ოგონ. მათი ძე. ხმას აღიმაღლებს.
ასე უბრალო და დიდებული.
და უსმენს ყველა ღრმა სასოებით.
მისი სიწმინდით გაბრწყინებული.
ასეთი იყავ. მესმის უკრიალი,
მესმის გუგუნი შენი მიწისა.
და მეც შორიდან გთხოვ, ხმა ისმინო,
ქვეყნის ქვითინის, ქვეყნის ფიცისა!"

აქ თითქოს თავდება ლექსის პირველი ნაწილი, რომელიც შთაგონებულ ექსპოზიციად ემსახურება მთელ ნაწარმოებს. როგორც ყოველგვარი ექსპოზიცია, აქაც ობიექტისადმი ავტორის დამოკიდებულების ზოგადი განწყობილება მეღავნდება. ეს უკანასკნელი შემდგომ უნდა დაგვირგვინდეს უფრო კონკრეტული სახით და არსებითად დაამთავროს პოეტის შინაგანი სულის დრტვინვა იდეის შესაძლო აბსოლუტური გახსნით. სერგეი გოროდეცკის ლექსში ექსპოზიციის თვალსაზრისით ყველაზე ძლიერია უცნობის (ამ შემთხვევაში ილიას) დაკავშირება ნაცნობთან (მგოსანთან) და პოეტის მიჩნევა ხალხისა და ბუნების სხივოსან მზედ; შემდეგ კი შორიდან თხოვნა საერთო ღაღადისის მოსმენისა:

„მიაპყარ სმენა! შეხედე როგორ
გამკობს დაფნებით მხარე მშობელი.
შენი სიცოცხლით სასწაულებრივ
ხარ შენ სკვდილის დამამხობელი.
მიაპყარ სმენა! წმინდა რესეთიც
უბრალო გულს რომ შეჰფარებია,
ბნელში ციაგით განათებული
შენს გაყინულ ნეშტს მოსჩერებია.
გიცქერის, თანაც ნაღვლით იგონებს
საკუთარ შვილებს იქ დალუპულებს.
სადაც კულური თავისუფლება
მთებს ახლა უკვე ვერ აგუგუნებს.
ერთი სულ მუდამ იყო მღელვარე,
გულღვნებული უწმინდეს ბრაზით,
ვით არაბეთის ქარი, ფიცხელი,
ვით გაზაფხულის სიშმარი, ნაზი.
მეორემ — მასთან შენ განისვენებ —
მამხილებელი, სასტიკი ლტრით
შეაგრძნობინა ბედშავ რუსეთსა
მწარე სიცილში თავისი ჭირი.
სამწუხაროა ამაზე ფიქრი,
და, საქართველოვ, ეს მწუხარება,
როგორც გვირგვინი თანაგრძნობისა
შენს მძიმე სევდას ზედ ეფარება.
დე ღრმა წარსულის ხაღველში ცოცხალს,
შენი პოეტი გიმღერდეს მარად,

რომლის სამარეს წმინდა დავითი
აღმოსჩენია მცველად და ფარად".*

მართლაც ღრმა თანაგრძნობით შთაგონებული მშვენიერი ლექსია! ბრწყინვალედ, სიმბოლური ოსტატობით გამოხატავს ხალხთა მეგობრობას: საქართველოს გლოვას უერთდება „წმინდა რუსეთი", „ბნელში ციაგით განათებული", და ილიას „გაყინულ ნეშტს" შორიდან შემოსცქერის. ორივეს დიდი მწუხარება აერთიანებს: ილიას დაღუპვასთან დაკავშირებით ამ „წმინდა რუსეთს" მართლაც არ შეეძლო გულისტკივილით არ მოეგონებინა თავისი დიდი შვილები, რომლებიც კავკასიას ასე განუყრელად დაუძმობილდნენ: გენიალური ლერმონტოვი, მუდამ მღელვარე და ნაზი, პიატიგორსკთან დაღუპული, ასევე გენიალური გრიბოედოვი, „მაშხილებელი, სასტიკი ლირით" „მწარე სიცილში" რუსეთს რომ შეაგრძნობინა „თავისი ჭირი". ილიას სამარეც ვრიბოედოვის საფლავთან ახლოს გაითხარა მამადავითზე და წმინდაა პოეტის თანაგრძნობა საქართველოს მწუხარებაში იმ იმედთან ერთად, რომ „ღრმა წარსულის ნაღველში ცოცხალ" ქვეყანას, დაე, ილიას ჩანგი მარად უმღეროდესო.

სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ილიას ტრაგიკული გარდაცვალება დაიტირა უველამ, ვისაც თვალებზე ბინდი არ ჰქონდა ჩამოფარებული და ნამდვილად შეეგნო ის ელემენტარული აზრი ცხოვრებისა, რომ ჰეშმარიტებისათვის აღძრული ბრძოლა ბოლოს მაინც გამარჯვებით დამთავრდებოდა. ილია ამ ბრძოლაში ჭაბუკობიდანვე იყო ჩაბმული, ხოლო თავისი დიდი ტალანტით მარტო საქართველოს კი არა, მთელ კაცობრიობას ეკუთვნოდა. ამ აზრს გამოხატავს ერთი პატარა წერილი, რომელიც იმ ტრაგიულ დღეებში დაიბეჭდა. ავტორი მშვენივრად წერდა:

«Мир этот — зеркало, где человек приходит взглянуть на свою физиономию и уходит в вечность».

Слова эти принадлежат величайшему поэту Востока — знаменитому Саади.

Да. Но есть люди, которые, уходя в вечность, оставляют на этом зеркале-мире никогда неизгладимый образ — или чудовищно-отвратительный, или чарующе-прекрасный. Потомство проклинает первых, тогда как последние внушают ему чувства святого благоговения предвеличием их бессмертных образов.

Для грузинского народа почивший Илья Григорьевич Чавчавадзе был именно таким человеком, увековечившим свое имя роскошными плодами поэтического таланта.

Но только-ли для грузинского народа?

Таланты принадлежат человечеству, и ими вправе гордиться все. Сын Кавказа, певец родной полей, долин и гор, до самозабвения любящий свою, когда-то цветущую, родину, баян кавказской поэзии, создавший дивные мелодии из тончайших нитей любви, надежды и все — прощения, — разве он не дорог нам — мусульманам?

И разве в творениях этого, безжалостной рукой сраженного, пев-

* დაიბეჭდა „Закавказье"-ში, 1907 წ., № 195. თარგმანი მოგვაწოდა მწერალმა პლატონ კუშელაშვ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ца мы не находим отражения наших бесконечно печальных дум и тяжких страданий?

Разве эти творения, покрытые дымой чисто восточной грусти, не говорят нам того-же, что мы привыкли слышать от наших поэтов, великих изобразителей народных нужд и горя?

Наконец, разве бодрящие звуки его пленительной музы не питают и в нас, вечно тоскующих, светлую надежду на лучшее грядущее?

Погиб Чавчавадзе, а с ним вместе погиб человек принадлежавший к славной плеяде тех, кто всю жизнь свою зовут народы на путь прогресса и единения...

Мир его праху!»*).

გლოვა მართლაც საბალხო, ნამდვილად უნაპირო იყო.

რა მოხდა დიდი პოეტის საზარელი აღსასრულის შემდეგ?

მეფის მთავრობა არავითარ ეხერგიულ, რეალურ ზომებს არ ღებულობდა ილიას ნამდვილი მკვლელების აღმოსაჩენად, გამოსამძღვნებლად და დასასჯელად. ამან აიძულა ცოცხალ ლეშად ქცეული. ნახევრად მკვდარი ოლღა თადეოზის ასული რუსულ ენაზე დაწერილი თხოვნით მიემართა კავკასიის მეფის ნაცვლის — გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისათვის. ეს მოხდა 1908 წლის 26 იანვარს, ილიას მკვლელობიდან ხუთი თვის შემდეგ. შეუძლებელია არ აღელდე და ისე წაიკითხო საბრალო ქალის თხოვნა, როცა იცი, რომ დიმიტრი ჯაში — მკვლელობის უშუალო ორგანიზატორი, გრაფის ფავორიტი, დასჯის მაგიერ თვით ვორონცოვ-დაშკოვმა ციხიდან გაათავისუფლებინა გამოუძიებლად. გრაფი თვითონ იყო მკვლელობის სულის ჩამდგმელი, ამდენად, მთავარ მონაწილეებს თვითონვე იფარავდა, ფორმალურადაც კი საოცარ გულგრილობას იჩენდა სახელმწიფო საბჭოს ასე სახელგანთქმული წევრის საშინელი ხვედრისადმი. უთუოდ ამიტომ მოხდა, რომ მეფეს —ხიკოლოზ მეორესაც კი ილიას მოკვლა მხოლოდ 2 სექტემბერს აცხობეს.**

პირდაპირ ბედის დაცინვასა ჰგავს, რომ ოლღა ჭავჭავაძე იძულებული ხდება თავისი მეუღლის მკვლელთა შთამაგონებელს, სწორედ ამ ვამპირს მიმართოს თხოვნით. ბედის ამ დაცინვასთან არაფრად აღარ გეჩვენება ისტორიკოსების მიერ გულისამაჩუყებლად აღწერილი სცენა ნაპოლეონის ბიოგრაფიაში, როცა ენგიენის პრინცის მამა ევედრება ტალეირანს, მთავარ დამნაშავეს, უსაფუძვლოდ მოკლული შვილის გამო.

მეფის ნაცვლისადმი ოლღა ჭავჭავაძის თხოვნაში ნათქვამია, რომ მისი მეუღლე, თავადი ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძე, მკვლელებმა ტრაგიკული სიკვდილით მოჰკლეს. „მკვლელებმა მეც დამჭრეს და დამასახიჩრეს: ჯანმრთელობა წამერთო, დავკარგე ცალი თვალი და მხედველობა. მე ბედნიერი ვიქნებოდი, კატასტროფის ადგილას რომ მომკვდარიყავი ჩემს დაუვიწყარ ქმართან ერთად, მაგრამ ბედმა ინება ჩემი სიცოცხლის პატიება წამებისათვის... ჩემი მეუღლის ტრაგიკულმა სიკვდილმა ააღელვა თავად-აზნაურობა და სხვა წოდებანი, — ეს ნათლად გამოიხატა დაკრძალვის დროს... დიდი ყურადღება, რაც გამოიჩინეს თქვენმა ბრწყინვალებამ,*** თავად-აზნაურობამ, სხვა წოდებებმა და პირებმა, ეროვნებისა და სარწმუნოების მიუხედავად, დაკრძალ-

---

* «Закавказье», 1907 г., № 184.

** მეფისადმი დეპეშის ასლები ინახება ილიას სახლ-მუზეუმში (თბილისში).

*** ესეც ბედის დაცინვა არ არის?

ვის დროს. — მანუკიშებს მე, უბედურ ქალს, ჩემი მოხუცებულობის წლებში... მთელი საზოგადოება მოუთმენლად მოელის მართლმსაჯულების გამარჯვებას: საიდუმლოებით მოცული დანაშაულის — მკვლელებისა და ჭეშმარიტების გამოაშკარავებას. მაგრამ საგამომძიებლო კამერამ ჯერ კიდევ ვერ აღმოუჩინა საზოგადოებას ჭეშმარიტება და მკვლელები, რომლებიც სასამართლოსა და სასჯელს ემალებიან... ნუთუ ასეთი ავაზაკური საქმე უნდა მიყრუვდეს? არა, არა! თქვენ, როგორც მხარის უფროსი და უაღრესად სამართლიანი კაცი,* ამას არ დაუშვებთ... იმედი მაქვს რა თქვენი დიდი ყურადღებისა, რასაც იჩენდით, უკეთილესო გრაფო, გარდაცვლილის სიცოცხლეში, აფასებდით რა მასში ღირსეულ ადამიანსა და მოქალაქეს, მე კისრად ვიღე გამბედაობა შევაწუხო თქვენი ბრწყინვალება ჩემი უაღრესად მოკრძალებული თხოვნით: უბრძანოთ ვისაც ხელთა აქვთ ძალაუფლება ენერგიულად მიიღონ ყველა ღონისძიება დამნაშავეთა შესაპყრობად და სამსჯავროსათვის მათ გადასაცემად".**

გრაფმა მეორე დღესვე მიიღო ოლღა ჭავჭავაძის წერილი, მაგრამ განკარგულება არ გაუცია სასტიკი გამოძიება ეწარმოებინათ; გულისწყრომაც არ გამოუთქვამს, თუ რატომ ჰიანურდება დიდი პოეტის მკვლელთა მხილების საქმე. პირიქით, სატრაპმა კონფიდენციალურად დაავალა თავის ხელქვეითს: „ეთხოვოს ჩემგან წერილით თბილისის საოკრუგო სასამართლოს პროკუროროს გვაცნობოს, აღმოჩენილი არიან თუ არა ბრალდებულნი ამ საქმეზეო".***

სატრაპის ხსენებული კონფიდენციალური რეზოლუციით სრულიად ხათელი ხდება შემდეგი: ხუთი თვის მანძილზე მეფის ნაცვალს პირადად არავითარი ზომები არ მიუღია ილია ჭავჭავაძის მკვლელთა აღმოსაჩენად. მან ისიც კი არ იცის — დაეპატიმრეს თუ არა ვინმე საზარელ მკვლელობასთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ უმალ შეიტყო პროვოკატორ დიმიტრი ჯაშის დაპატიმრება და უმალვე გაათავისუფლებინა ეს ობერ-დამნაშავე. ამის შემდეგ იგი აღარ დაინტერესებულა წიწამურის ტრაგედიის მსვლელობით. გრაფი წერს: „ამ საქმეზეო", მაგრამ არსად არ ამბობს, რომ ეს საზარელი დანაშაული ბრივი საქმეა, საზიზღარი ბოროტმოქმედებაა; არც ილია ჭავჭავაძეს იხსენიებს, „ამ საქმეზეო" — ამბობს თითქოს „საქმე" ჩვეულებრივი იყოს და ვინმე უცნობ უჩინარ ადამიანს ეხებოდეს.

თუ რამდენად გულგრილი იყო მეფის მთავრობა ფორმალურად მაინც გაერკვია თავისი მსხვერპლის მკვლელთა საკითხი, ნათლად გვიჩვენებს შემდეგი ფაქტი: დაუჯერებელია, პროკურორს, თუ მას ეცოდინებოდა, რომ მეფის ნაცვალი — გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ოდნავ მაინც დაინტერესებულია ჭეშმარიტების დადგენით, უმალ არ ეცნობებინა პასუხი. მაგრამ, ეტყობა, პროკურორიც ინსპირირებული იყო და 27 იანვრის დავალება მეფის ნაცვლისა თებერვლის 10 თუ 11 რიცხვამდე

---

* მისი უსამართლობა კი საქვეყნოდ იყო ცნობილი.

** იხ. საისტორიო მოამბე, № 3, 1947 წ., გვ. 277.

*** იქვე.

არ შეუსრულებია. გრაფმა კი მხოლოდ 13 თებერვალს შეუთვალა ოლღა თადეოზის ასულს მშრალი, არაფრისმთქმელი პასუხი, რომელშიაც კვლავ ნათლად ჩანს, რომ მეფის ნაცვალს ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობა „ჩვეულებრივ საქმედ“ მიაჩნია. სატრაპი სწერს: თქვენს წერილთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ „აღმოჩენილი არ არიან თქვენი ქმრის, სახელმწიფო საბჭოს წევრის, თ-დ ილია გრიგოლის-ძე ჭავჭავაძის მკვლელები, პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ რამდენიმე პირი, რომლებსაც ბრალი ედებათ ამ მკვლელობაში, დაპატიმრებულნი არიან საგამომძიებლო ხელისუფლების მიერ, ისინი კი ბრალდებულთაგან, რომლებიც აძყამად ემალებიან სისხლის სამართლის ძიებას, შეპყრობისთანავე, გადაეცემიან სასამართლო ხელისუფლებს“.*

აი, მეფის ნაცვლის პასუხის მთელი შინაარსი! აქაც, ისევე როგორც ჩვენს მიერ მოხსენიებულ რეზოლუციაში, ერთი სული ტრიალებს: სრული უშფოთველობა, გულგრილობა, არავითარი ზომები. აქაც კვალიფიკაცია არ ეძლევა ილია ჭავჭავაძის საზარელ მკვლელობას, ეს ამაზრზენი ბოროტმოქმედება იხსენიება მხოლოდ სიტყვებით „ამ მკვლელობაში“... და მარტოოდენ ფაქტია აღნიშნული: დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი, ხოლო მიმალულნი, შეპყრობისთანავე, სამართალში მიეცემიანო.

მეფის მთავრობისა და მის მოხელეთა დანაშაულებრივ მოქმედებას ილია ჭავჭავაძის ფიზიკურად მოსპობაში ყველა გრძნობდა, ვისაც გონება დახშული არ ჰქონდა, დაბრმავებული არ იყო, ელემენტარული საღი აზრი გააჩნდა, ვინც მმართველ კასტას არ ეკუთვნოდა. საზარელი მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ ერთი ქართული გაზეთი გაოცებას გამოთქვამდა ადგილობრივ ხელისუფალთა მოქმედების გამო: „საკვირველია სტრატეგიკებისა და ადგილობრივ პოლიციის მოქმედება: როგორც გადმოგვცეს, სწორედ 15—20 წამის შემდეგ შეიტყვეს მკვლელობის ამბავი და დროზე არავითარი ღონისძიება არ მიუღიათ; ურიადნიკმა სთქვა: поскакал туда, поскакал сюда-о, იქვე კი სამის ვერსის მანძილზე ყაზახების პოსტია და პირველ ხანებში მეტი არაფერი გაუკეთებიათ და არც საკვირველია: ილია ჭავჭავაძე სტრატეგიკი არ ყოფილა“.** ცხადი იყო, რომ მეფის მთავრობა თავს არ შეიწუხებდა ნამდვილი მკვლელები ემხილებინა, რადგან ეს თვითმხილება იქნებოდა. ამის შესახებ იგივე გაზეთი არაორაზროვნად წერდა: „...ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, უნდა გაიგოს — ვინ და რისთვის ჩაიდინა ესეთი ბოროტმოქმედება ქვეყნის წინაშე... სამწუხაროდ, დიდად საეჭვოა, რომ ეს მკვლელობა წესიერად იქნას გამოძიებული: ჩვენს დროში ეს ფრიად გაძნელდა და ამ შემთხვევაშიკი უფრო გაძნელდება, რადგან ის, „ვისიც ჯერ არს“, შაიხცა და შაინც თავს არ აიტკივებს სიმართლის გასაგებად: რომაელების ცნობილ თქმულებისა არ იყოს — „tertius gaudet“-ის მოხარუ-

* საისტორიო მოამბე, № 3, გვ. 278—279.

** „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 16; „ისარი“, 1 სექტემბრის ნომერი. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ლიციქნება, თუ ჩვენ ერთმანეთს დავერევით და ჩვენის ქვეყნის საუკეთესო შვილებს ჩვენვე მოვსპობთ“.*

როგორც უკვე ვნახეთ, ეს დიაგნოზიცა და პროგნოზიც სავსებით გაამართლდა. ილია ჭავჭავაძის თხოვნამ მეფის ნაცვლისადმი ერთხელ კიდევ ნათელჰყო, რომ მეფის მთავრობას ხუთი თვის მახძილზე არაფერი გაუკეთებია სიმართლის დასადგენად და არც შემდეგ გაუკეთა. გარდა ფორმალური სასამართლო პაროდიისა, თუმცა ძალიან მამხილებელი ფაქტები ხელთა ჰქონდა.

შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ქართველების წინაშე დგებოდა საკითხი: რით ვიმართლოთ თავი, როცა სხვაგან „...ილიასთანა მოღვაწეებს დიდების გვირგვინით უმკობენ შუბლს, ჩვენ-კი ტყვიებით დავუხვრიტეთ? რუსეთის სარევოლუციო პარტიები ბრძანებას სცემენ — იდეური მოწინააღმდეგეთ ხელი არავინ ახლოსო და ისეთი ხულიგნები, როგორიც არიან პურიშკევიჩები, კრუშევანები, გრინგმუტები, რომელნიც შხამავენ რუსეთის პოლიტიკურ ჰაერს და სათავეში უდგიან ახლანდელ შესაზარ რეაქციას, — ესეთი ხულიგნები თავისუფლად სცხოვრობენ, ჩვენ-კი ილია ჭავჭავაძე — ჩვენი საუკეთესო პოეტი, ჩვენი პირველი საზოგადო მოღვაწე — მოვკალით“.**

მოჰკლეს დიდი პოეტი და აღასრულეს საზარელი საქმე. ძაგრამ დახაზული ხომ უნდა მხილებულიყო, რომ დამნაშავისათვის სამაგიერო მიეზღოთ? პირველყოვლისა, დამნაშავე იყო მეფის მთავრობა, მისი პოლიციური მმართველი ბროვა, რომელმაც ილიას სიცოცხლე მოუსპო. თვითმპყრობელობა, თავისი პოლიციური რეჟიმით, ილიას მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ დაემხო. მაგრამ დიდხანს მაინც ვერ მოხერხდა მკვლელობის უშუალო ჩამდენთა აღმოჩენა.

ილია ჭავჭავაძის ნამდვილი მკვლელი, რომლის ტყვიითაც გახიგმირა ქართველი პოეტი, დიდხანს იმალებოდა. მისი შეპყრობა ძალიან გვიან გახდა შესაძლებელი. 1941 წელს, ილიას მკვლელობიდან 34 წლის შემდეგ, იგი შეიპყრეს თბილისში, უკვე ღრმად მოხუცებული.

დაიწყო ძველი, საზარელი საქმის გამოძიება.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1941 წლის 25 დეკემბრიდან 1942 წლის 5 იანვრამდე გაარჩია დიდი ქართველი პოეტისა და პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის მკვლელის — გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილის საქმე“.*** საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა წლების განმავლობაში ოსტატურად შენიღბული ავაზაკი, ოდესღაც ქურდ-ბაცაცა და ტყეში მაწანწალა გარეწარი. მისმა ბინძურმა ხელმა განგმირა საქართველოს მე-19 საუკუნის შეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მწერალი-პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე. სასამართლოს ბერბიჭაშვილმა განუცხადა, რომ იგი ტყეში იმალებოდა: „მე ჩემ დღიურ ლუკმას ვეძებდი. მე არ მედარდებოდა. ტყეში გაზრდილი კაცი თავის ლუკმა პურზე

---

* „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, გვ. 26—27; „ისარის“ 2 სექტემბრის ნომერი. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 20.

*** ჩვენი მონოგრაფიის ამ ნაწილის დასაწერად ვისარგებლეთ უმაღლესი სასამართლოს სრული სტენოგრაფიული ანგარიშით.

ფიქრობს". ამ „ლეკმა პურისათვის" მოჰკლა ავაზაკმა ბერბიჭაშვილმა დიდი ილია.

ფარდა აეხადა წიწამურში მომხდარ ტრაგედიას და საბოლოოდ დაშტკიცდა, რომ ილია მოჰკლა მეფის ოხრანკამ თავისი დაქირავებული აგენტების საშუალებით, კერძოდ, პროვოკატორ დიმიტრი ჯაშის ხელმძღვანელობით. ილიას მოკვლამდე ორი თვით ადრე თავიდან მოუშორებიათ პოეტის მოურავი მოსე მემარნიშვილი და მისი მეუღლე ევა გრიგოლის ასული. ისინი მზეცურად მოუკლავთ.

სასამართლო პროცესმა ზუსტად გამოარკვია:

ამ საზარელ მკვლელობამდე ორი თვით ადრე მეფის ოხრანკის აგენტი დ. ჯაში თვალთმაქცურად მოწყობილა ილიას მოურავად, მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობის მას არაფერი გაეგებოდა და თვით ილიას არ სურდა მისი აყვანა მოურავად. ერთ-ერთმა მოწმემ — ფაღავამ. რომელიც 1907 წელს. მკვლელობამდე რამდენიმე დღის წინ, ილიასთან ვახშმად იყო, 1941 წლის 27 დეკემბერს საბჭოთა სასამართლოს უჩვენა: „ილიამ მითხრა დარჩი. დავრჩი. ვახშამი შემოიტანეს. ჯაში რომ შემოვიდა (ილიას არ უყვარდა მაინც და მაინც ბევრი ლაპარაკი), ჩანგალი ჩამოუვარდა ხელიდან, ჯაშმა მიმართა რაღაც ბაღის შესახებ. ილიამ უთხრა, ხვალ მითხარიო. ჯაში რომ გავიდა, ილიამ სთქვა: ეს ვინ მომაბეზიეს თავზეო?"

მეფის ოხრანკის აგენტს დ. ჯაშს სწრაფად დაუწყია სოფლის ქურდ-ბაცაცა და ბანდიტური ელემენტების დარაზმვა ილიას წინააღმდეგ მის მოსაკლავად. ამ მუხანათური მიზნის მისაღწევად ზნედაცემულ დ. ჯაშს შეუწყვია ბახდიტთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ: ყოფილი მამასახლისი ივანე ინაშვილი, სოფელ აბატნიდან, ქურდობისათვის ტყეში გახიზნული გიორგი ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი (აფციაური), სანდრო ხიზანიშვილი, ლადო ფეიქრიშვილი, ილიას მეეტლე თედო ლაბაური, ილია მოძღვრიშვილი და სხვ. ბანდიტთა ამ ჯგუფს მკვლელობამდე საგურამოს ტყეში შეუმუშავებია დიდ პოეტზე შუხახათური თავდასხმის ავაზაკური გეგმა, რომელიც 1907 წლის 30 აგვისტოს გახახორციელეს.

ბრალდებულმა გ. ბერბიჭაშვილმა ამ საქმეზე შემდეგი ჩვენება მისცა: „ამ ტყეში (ე. ი. საგურამოს ტყეში, ილიას სახლის მახლობლად — გ. ჯ.). გადავწყვიტეთ ი. ჭავჭავაძის მოკვლა, რაზედაც შეეეკითხეთ მეეტლე ლაბაურს, თუ როდის ამოიყვანდა იგი თბილისიდან ილია ჭავჭავაძეს. ლაბაურმაც მისცა დასტური, რომ ილიას ამოიყვანდა ხვალ, ე. ი. მეორე დღეს... ჩვენ —მე და ფშავლიშვილი. ხიზანიშვილი და ფეიქრიშვილი დავრჩით იმ ღამეს ტყეში. ინაშვილი, ჯაში და ლაბაური კი წავიდნენ სოფელში".

მეორე დღეს, 30 აგვისტოს ამ გარეწრებმა ყველაფერი ძოამზადეს საზარელი მიზნის განსახორციელებლად. ბრალდებულმა ბერბიჭაშვილმა გახაცხადა: „ჩავსაფრდით დაბურულ ტყეში. ცოტა ხნის შემდეგ ძოისმა ეტლის ხმა და როდესაც მოატანა ჩვენს მახლობლად, ლაბაურმა შეანელა ცხენების სიარული".

გაისმა ბერდანკის ხმა. პირველივე გასროლით განგმირული ილია ეტლიდან ჩამოვარდა. იგი დაიღუპა ბერბიჭაშვილის მიერ გასროლილი ტყვიით. ილიას ერთგულმა მსახურმა იაკობ ბითარიშვილმა, რომელიც ეტლის კოფაზე იჯდა ლაბაურის გვერდით, თავდაცვის მიზნით რევოლვერი

გაისროლა და ფეხში დასჭრა პირველი თავდამსხმელი ბერიჭაშვილი. ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ბერიჭაშვილს მართლაც აქვს ფეხში ძველი ჭრილობა. ბრალდებულმა ბერიჭაშვილმაც აღიარა, რომ ჭრა დასჭრა ილიას ერთგულმა მსახურმა იაკობამ. მკვლელმა ბერიჭაშვილმა თვითონვე განაცხადა: „და როდესაც ლაჩარა იაკობამ ამოიღო რევოლვერი, მაშინ — მე ბერიჭაშვილმა, ფშავლიშვილმა და ინაშვილმა ვესროლეთ იაკობას, რომელიც იქვე ჯაგებში გადავარდა და მოკვდა“.

ბერიჭაშვილი ცდილობდა სასამართლო პროცესის ჩაშლას. როგორც გამოცდილი ავაზაკი, თავს იძვრენდა, მაგრამ ფაქტებმა ბოლომდე ამხილეს. სასამართლოს ოქმში ვკითხულობთ:

„თავმჯდომარე — რომელ მხარეზე გადმოვარდა ილია?

ბერიჭაშვილი — ამ მხარეზე (უჩვენებს).

თავმჯდომარე — სათვალეები სად იქნებოდა?

ბერიჭაშვილი — ამ მხარეზე“.

ბანდიტებმა გაძარცვეს მოკლულნი. ბერიჭაშვილმა აღიარა: „მკვლელობის შემდეგ მე ავიღე ოქროს სათვალეები და კარობკა, რომელშიდაც იყო ბუთი ოქროს ბეჭედი. ფეიქრიშვილმა აიღო ჩემოდანი და ოქროს საათი. ხიზანიშვილმა წაიღო ბოხჩა, სადაც იყო ტანსაცმელები“.

ეს მუხანათური მკვლელობა ისე ორგანიზებულად იყო მოწყობილი, რომ წიწამურთან ილიას მოკვლა-გაძარცვასთან ერთად, თითქმის იმავე საათებში თბილისში გაძარცვეს ილიას ბინა.

სასამართლო პროცესზე გადაიშალა მთელი სურათი, თუ როგორ ვერაგულად მოუწყვია თვითმპყრობელობას დიდი ქართველი პოეტის მკვლელობა.

საბოლოოდ დამტკიცდა, რომ შეფის მთავრობა ილიას მოკვლით ისახავდა ორ ძირითად მიზანს: თავიდან მოეშორებინა მისთვის ისეთი საშიში მტერი, როგორიც ილია ჭავჭავაძე იყო, და ეს საზარელი დანაშაული მთლიანად გადაებრალებინა რევოლუციური გლეხობისა და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის.

დამტკიცდა, რომ ილიას მკვლელობის არც ერთი მონაწილე — არც მეფის ოხრანკის აგენტი, ბანკების გამძარცველი დიმიტრი ჯაში, არც გიორგი (გიგლა) ბერიჭაშვილი, არც ინაშვილი და სხვა მკვლელები არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდნენ. ისიც გაირკვა, რომ 1907 წლიდან 1919 წლამდე ჩიმალულმა გ. ბერიჭაშვილმა მხოლოდ 1921 წელს მოტყუებით ჩაიგდო ხელში პარტიული მანდატი დუშეთის ორგანიზაციიდან.

სასამართლო პროცესზე აგრეთვე დადასტურდა, რომ შეფის ოხრანკამ ყველა ზომა მიიღო დაემალა თავისი აგენტები დ. ჯაში და გ. ბერიჭაშვილი, პ. ფშავლიშვილი კი მეტეხის ციხიდან გააქცია და ისე მოჰკლა.

მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი, ყალბი ფულებისა და რკინიგზის ყალბი ბილეთების გამკეთებელი, შავრაზმული პრესის თანამშრომელი, პროვოკატორი დ. ჯაში, რომლის ბინაშიც ილიას მრავალი პირადი ნივთი აღმოაჩინეს, მკვლელობის რამდენიმე დღის შემდეგ (ილიას ინიციალებით „ი. ჭ.“ ამოქარგული თეთრეული, კოვზები, სამელნე, კალმისტარი, ავეჯი, სუფრა, ხელსახოცები) მოწმედაც კი არ დასწრებია 1908 წელს მკვლელთა ერთი ჯგუფის

გასამართლებას. პირიქით, იგი პატიმრობიდანაც კი გაათავისუფლეს ეროვნული ოხრანკის ჩარევით (ვორონცოვ-დაშკოვის მითითების თანახმად).

აღმოჩნდა დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ, რომ ჯაშის მიერ ხელმოწერილია მეფის ოხრანკიდან ხელფასის მიღება და რომ მთავარმართებელ ვორონცოვ-დაშკოვისაგან მიპატიჟების ბარათებს ღებულობდა, მასთან რამდენჯერმე სტუმრად იყო. იგი არა ერთხელ უნახავთ ყანდარმერიიდან გამოსული.

ასევე ხელი შეუწყვეს ბერიჩიაშვილის ძიძალვას, ძიუბედავად იძისა, რომ თედო ლაბაურმა ჯერ კიდევ 1907 წლის 6 ნოემბერს ძისცა ჩვენება: „პირველი გამოჩტა ახატნელი გიგლა ბერბიჭაშვილი და დაიყვირა, რომ გავჩერებულიყავით, მან ესროლა თავად ილია ჭავჭავაძეს. ეს იყო პირველი გასროლა და თავადი ეტლიდან გადმოვარდა. ამის შემდეგ ბერბიჭაშვილმა და იბაშვილმა გაძარცვეს ქალბატონი და წაიღეს ყველა ნივთები".

ამგვარად, ბერბიჭაშვილი 1907 წელსაც მხილებული იყო ილიას მკვლელობაში, როგორც ამ საზარელი დანაშაულის უშუალო აქტიური მონაწილე, მაგრამ მის შესაპყრობად მეფის მთავრობას ზომები არ მიუღია. შეკითხვაზე, თუ ვისი გვარით იმალებოდა „ირანში გაქცეული" ეს მკვლელი, ბერბიჭაშვილმა უპასუხა: „სიმონ პავლეს-ძე კავთილაძის გვარით" ვიმალებოდიო.

საბჭოთა სასამართლომ საქართველოს გამოჩენილი მოღვაწის, მწერალ-პუბლიცისტის ილია ჭავჭავაძის მკვლელს გიორგი (გიგლა) ბერბიჭაშვილს მიუსაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა.

დარბაზში მსხდომი სამეცნიერო და ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, ყველა დამსწრე განაჩენს ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა.

ასე დასრულდა, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, წიწამურის ტრაგედია.

მაგრამ არ დასრულებულა ქართველი კაცის გულისტკივილი ილია ჭავჭავაძის ვერაგული მოკვლის გამო. ჩვენ ყოველთვის უდიდეს ტანჯვას განვიცდით, როცა წიწამურის ტრაგიკულ ფურცლებს ვეცნობით.

ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს, მაგრამ მისი ღვაწლი და საქმენი უკვდავად დარჩნენ ქართველი ხალხის ისტორიაში. როგორც უკვე მითითებული გვაქვს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან 1907 წლამდე ჩვენს ერს ისეთი საკითხი არ ჰქონია, რომელსაც ილია არ შეხებოდეს, ისეთი ტკივილი არ უგრძვნია, რომელიც ილიას არ განეცადოს. მისი მრავალმხრივობა, ნამდვილი უნივერსალობა მართლაც გასაოცარი იყო. ილიამ უჩვეულო ძალით შეიცნო თავისი ერი და ერმაც ორგანულად შეისისხლხორცა თავისი დიდი შვილი.

როგორც მწერალი და მოაზროვნე-მეცნიერი, ილია გიგანტივით აღიმართა ქართულ მწერლობაში. მწერლობა და აზროვნება ხომ პირველ ყოვლისა ენასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ილიამ თავიდანვე პირველი ადგილი დაუთმო ქართული ენის საკითხებს, არქაული ფორმებისაგან მის გახთავისუფლებას. მშობლიური ენა ილიას მიაჩნდა ერის დიდების ისეთივე ორგანულ ნაწილად, როგორც მშობლიური ისტორია.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ილია ჭავჭავაძე 60-იან წლებში გამოვიდა, როგორც ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი და რეფორმატორი. იგი ყოველთვის

„დიდს ყურადღებას აქცევდა ენის სიწმინდეს, კანონიერებას, ქართულის შესაბამისად სიტყვების დაწყობას და დასურათებით, ცოცხლად აზრის გამოთქმას“.*„ ქვეყანას აკვირვებდა და ჰხიბლავდა... ილიას ქართული, მისი საოცარი ენა-მზეობა. ჰკითხულობ მის ნაწერს, არა თუ ბელეტრისტულს, სიტყვაკაზმულს, არამედ პუბლიცისტურს და, ასე გასინჯეთ, მეცნიერულსაც-კი („ქვათა ღაღადი“, „აი ისტორია“) და პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას დიდი ძლიერებით იზიდავს ბრწყინვა და ელვარება ქართულისა, სიუხვე ფერადებისა, ნამდვილ ქართულ მიმოხვრა-გამოთქმისა. ასე გგონია, გამოსულა კაცი თესვად და აბნევს თვალსა და მარგალიტსაო. ქართული ილიას ხელში, მეტადრე ბოლოსა და ბოლოს, თავის თავს აჭარბებს. განვითარების უმაღლეს ხარისხამდე ადის და ოქროს სხივებივითა ბრწყინავს. თითქო „სილბო აქვს ხაქსოვისა და სიმტკიცე ნაჭედისა“, ხან ციალობს და ნარნარებს, ხან გრგვინავს...“**

ეს იყო საერთო აზრი, ყველას მიაჩნდა, გარდა კონსერვატორებისა, რომ ილიას ქართული მეტყველება ნამდვილად სახიერ შოა. ამ აზრს ბევრი პრესაშიც გამოთქვამდა.

ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, აგრეთვე, იონა მეუნარგიას; რომ „ენის მხრით ილია მართლა... კანონმდებელია ქართული ენისა“. მწერალს, საერთოდ, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედია, ენაში შემოაქვს ძალი სიტყვები, სიცოცხლეს აძლევს მათ, როგორც ამას თვით მეუნარგია გვიდასტურებს ჰიუგოს მაგალითზე. „ვიღაცამ უსაყვედურა ვიქტორ ჰიუგოს, — წერს მეუნარგია, — ეს სიტყვა ფრანგული არ არისო“. მაგრამ ამ შენიშვნაზე ჰიუგოს თავმომწონედ უპასუხნია: „არ არის, მაგრამ იქნებაო“. ილიასაც ასე შემოუტანია არა ერთი ქართული სიტყვა და მისთვის არსებობა შეუნარჩუნებია. „სანამ ილიამ არ დაუშალა ჩვენებს, —წერს მეუნარგია, — ჩვენში ამბობდნენ უფალი კერესელიძე, უფალი მესხი. ეს უფალი ან იყო ამოღებული სამღვთო წერილიდან, ან იყო ნათარგმნი რუსული სიტყვიდან „Господин“. ილიამ თქვა „უფალი მესხი“-ს თქმას „ბატონი მესხი“-ის თქმა არა სჯობიაო? და ეს სიტყვა მას აქეთ დაკანონდა ჩვენში და ამ სიტყვას ისე მაგრად აქვს მოკიდებული ფესვი ჩვენს ენაში, რომ მას ვერ განდევნის ახლა ჩვენი ენიდან ვერც „ამხანაგი“ და ვერც „მეგობარი“ ისე, როგორც ვერ განდევნეს ფრანგული ენიდან „monsieur“ ვერც დიდი რევოლუციის citogen-მა და ვერც კომუნის compagnon-მა.

მისგან მოგონილ სიტყვათაგან მახსოვს: სულთა-სწრაფვა, თვალთა ხედვის ისარი.

იმას არ მოსწონს იმერელთა წერილებში სიტყვები — „ვღებულობ“, „აშნაირად“. საცა ეს სიტყვები მოხვდება ილიას მაშინვე შლის და სამაგიეროდ ზემოდან აწერს სიტყვებს „ვიღებ“, „ამგვარად“.

საცა ჩვენ ჩვეულებრივად ვწერთ „მაგრამ“-ს, ილია ხშირად „გარნას“-ს წერს.

იმასვე ეკუთვნის, მგონია, ეს „ჰსჩადის“, რომელსაც ეხლამდის ვერ შევთვისებივარ, რომელიც არც ერთ ძველ წიგნში სადმე არ წამიკითხავს, არც ხალხში გამიგონია სურამის აქეთ მაინც. გადაღმაც არ ვარ დარწმუნებული,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1914 წ., გვ. XLVI, გიგა ყიფშიძის წერილი.

** იქვე, გვ. XLVIII—XLIX.

რომ ხალხში „სჩადის“ ითქმოდეს, შეიძლება თქვან ჩადის, სიტყვიდან ჩასვლა, მაგრამ „ჰსჩადის“ ქალაქში უნდა იყოს გაზვიადებული“.*

სავსებით ნათელია, თუ რა უდიდეს მზრუნველობით ეკიდებოდა ილია ჭავჭავაძე ქართული ენის როგორც წმინდა ლიტერატურული, ისე პრაქტიკული საკითხების დამუშავებას. მშობლიური ენის ღრმად მცოდნე, თვითეულ სიტყვასა თუ ფრაზას ისეთივე გულმოდგინებით ამუშავებდა, როგორც მოქანდაკე მარმარილოს ქვაში მეტყველ სახეს. ამ მხრივ ყანრობრივი უპირატესობა მისთვის არ არსებობდა. უბრალო ქრონიკასაც ისეთივე პასუხისმგებლობითა და მონდომებით წერდა, როგორც ლექსსა თუ მოთხრობას, გამოკვლევასა თუ პოლემიკურ სტატიას. ასე იწერებოდა მისი პოეტური და თეორიული თხზულებანი, ყველაფერი, რაც ჩვენამდე მოღწეულა და რამაც ილიას ასე დიდი სახელი მოუპოვა.

პოეტი თვითონვე მოესწრო თავისი შემოქმედების საყოველთაო აღიარებას და ამით განსხვავდა ბარათაშვილისაგან.

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში ითარგმნა როდა როგორც რუსულ, ისე ევროპულ ენებზე. თვით ილია თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავს, რომ რუსულ ენაზე მისი ლექსების ნაწილი თარგმნა რამდენიმე პოეტმა, ხოლო ცნობილმა თხრჟევსკიმ — პოემა „განდეგილი“. „რუსული თარგმანი ჩემი ლექსისა, — წერს ილია, — ზოგი ჩართულ იქნა ცალკე კრებულში, რომელიც ტფილისში დაიბეჭდა, ნაწილი კიდევ იბეჭდებოდა Русская мысль-ში, Живописное обозрение-ში... ჩემი პოემა განდეგილი გადათარგმნილია ინგლისურად M. Wordrop-ის მიერ და პროზად ფრანგულს ენაზედ. გერმანულად ნათარგმნი რამდენიმე ჩემი წვრილი ლექსი ჩართულ იქნა იმ კრებულში, რომელიც დაიბეჭდა პირველად 1886 წელს ლეიფციგს, სთარგმნა ის ლექსები არტურ ლეისტმა. კრებულს სათაურად ჰქონდა Georgische Dichter. მეორედ ეს კრებული დაიბეჭდა 1900 წელს დრეზდენში. რეცენზიები დაიბეჭდა თავის დროზედ ტფილისის რუსულ გაზეთებში „კავკაზსა“ და „ნოვოე ობოზრენიეში“, ხოლო სატახტო ქალაქებისაში, რამდენადაც მახსოვს, Русская мысль-ში, Живописное обозрение-ში და მოსკოვის ერთს გაზეთში, რომლის სახელიც სამწუხაროდ აღარ მახსოვს. საზღვარგარეთ-კი რეცენზიები დაიბეჭდა და რამდენიმე გერმანულს გაზეთში და სხვათა შორის Literarisches Echo-ში 1898 წელს და „ასადეტუ“-ში, აგრეთვე იტალიურ ჟურნალ Nuova Anthologia, VI, 1900 წელს. განხილვა ჩემის საზოგადოებრივისა და სალიტერატურო მოღვაწეობისა დაბეჭდილი იყო ფრანგულ Caucase iliustre-ში 1902 წელს“.** ამჟამად ილიას თხზულებანი თარგმნილია ევენი სამშობლოს ყველა ენაზე და მსოფლიოს მრავალ ხალხთა ენაზე.

თუ ისტორიული თვალთახედვით ვიმსჯელებთ, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში ილია ჭავჭავაძეს არც დიდი ქება ასცდენია და არც დიდი ძაგება. პირველი მას სავსებით დამსახურებული ჰქონდა, ხოლო მეორე,

---

* იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1944 წ., გვ. 198.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957 წ., გვ. 311—312.

ისრაიშვიათად, გამოწვეული იყო მიკერძოებით. ორივეს იგი ღირსეულად იტანდა, როგორც გენიოსს შეჰფერის. დიდ ძაგებას ვერც ერთი გენიოსი ვერ ასცდა, თითქოს ეს მათი ხვედრი ისევე ყოფილიყოს, როგორც ტალანტი. რა უნდა ვთქვათ, როცა გოლიათ ჰომეროსს, მასთან შედარებით ვიღაც პიგმეი ზოილი ამაგებდა, ტიტან რუსთაველს — ვიღაც უნიჭო ლექსის მთქმელი, ბაირონის დემონურ პოეზიას—უსახელოდ გამქრალი კრიტიკოსი, პუშკინის ულამაზეს პოემას— უნიჭო ბულგარინი?! ისტორიას უყვარს პარადოქსები. ლიტერატურის ისტორია მოიგებდა, თუ ასეთ პარადოქსებს გვერდს აუვლიდა, მაგრამ ისტორია იმიტომ არის ისტორია, რომ იქ არაფერი დავიწყებას არ უნდა მიეცეს. მხოლოდ ამიტომ გვინდა გავიხსენოთ თანამედროვეთა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა ილიას მხატვრულ შეხედულებასა და მოღვაწეობაზე. რა თქმა უნდა, შენიშვნების მცირე ნაწილი სიმართლე იყო, მაგრამ სავალალოს სწორედ მათი უმრავლესობა წარმოადგენდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთები ამტკიცებდნენ იდეალისტურ თეზისს, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი შეხთხვევითობის შედეგიაო.

მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა ილია ჭავჭავაძის გაძოსვლა სამწერლო ასპარეზზე, როგორც ეს მიაჩნდა, მაგალითად, სტეფანე ჭრელაშვილს. ამ უკანასკნელს, როგორც ხალხოსანს, არ ესმოდა შეხთხვევითობისა და აუცილებლობის დიალექტიკური ერთიანობა, რაც იგრძნო ჯერ კიდევ ახალგაზრდა ნიჭიერმა კრიტიკოსმა ევსტათი მჭედლიძემ (ბოსლეველმა), რომელმაც მას უფრო დამაჯერებელი პასუხი გასცა, ვიდრე თვით წერილის დედააზრი იმსახურებდა. „ბუხებით მდიდარი, ნიჭიერი“ ჭავჭავაძე თურმე შემთხვევით აღიზარდა „გუმანიურ და სოციალისტიკურ ნაწერებით დობროლუბოვისა და ჩერნიშევსკისა“, მთელი 60-იანი წლების თერგდალეულობა შემთხვევის საქმე იყო, როგორც „გლახის ნააბობების“, „ქაცია-ადამიანის?!“. „კაკო ყაჩაღის“, „აჩრდილის“ შექმნა, როგორც ილიამ „რუსეთის ნათელი რიკოშეტით გადმოჰფინა ქართულ საზოგადოებას“. მაგრამ ამ შემთხვევითობას ისეთი ძალა მიეცა, რომ „ჭავჭავაძის სახელმა გაიდგა ბურჯი ქართველ ახალგაზრდობაში. მოსწავლეთ და ნასწავლთ ამოედგათ ენა. დიდი და პატარა ლაპარაკობდა ჭავჭავაძეზე და ჭავჭავაძეობა ეხატრებოდა. ყოველი ცოცხალი ქართველის გული გადაება დაურღვეველი სიძლიერით ი. ჭავჭავაძის გულთან. ყველას მიეცა იმედი, რომ ქართველებიც როდისმე დადგებიან წარმატების გზაზედაო. ჭავჭავაძე ზურგში გვედგასო და ჩვენც ღმერთი გვიშველისო, ფიქრობდა ქართველი ახალგაზრდობა“.* და როცა ილიამ ისტორიულ თემატიკას მოჰკიდა ხელი, როცა 80-იან წლებში მას დაუპირისპირდნენ ახალი ძალები, გაავრცელეს შეხედულება, რომ ჭავჭავაძე ჰქრება, ჰკარგავს თავის ძალასო. სტეფანე ჭრელაშვილმა თითქოს დაიტირა კიდეც: „ყველაზე სამწუხარო იყო ქართული მწერლობისათვის უ. ჭავჭავაძის დაკარგვა, გადაბრუნდა დედა-ბოძი ჩვენი გამოფხიზლებული აზრისა, გადმოგვივარდა ქვაკუთხედი ქართული მწერლობის დაფუძნების იმედისა“.** მაგრამ ნამდვილად „ყველაზე სამწუხარო“

* სტეფანე ჭრელაშვილი, „დამტვრეული ოცნებანი“: „იმედი“, № 3, 1892 წ., ხაზი ავტორისაა. — გ. ჯ.

** იქვე.

ეს კი არა, ის იყო რომ 80-იან წლებში ილიას ბრძოლას ქართული ენისათვის, საერთოდ, მის დიდ მოღვაწეობას იმ დროს ზოგიერთები, მათ შორის სტეფანე ჭრელაშვილი, მიიჩნევდნენ „ჩხირკედელაობად“, თეორიის „ერთ ნაძცეცა წრედ“, იმასაც არ ერიდებოდნენ, რომ ეთქვათ: „რაძდენათაც უმხიშვნელო, უვარგისი, უსულო, უღირსო და უყურადღებო შეიქნა ტეორეტიკული მხარე იმ ერთხელ პატივსაცემი და საყვარელი ილიკო ჭავჭავაძისა, — იმდენათვე აუცრულებელი, უკუდო და საჩხირკედელაო ხასიათი მიეცათ პრაქტიკულ მოსაზრებას უ. ილია ჭავჭავაძისასა: დაიძმობილოს ბატონი და ყმა, თავადი და გლეხი, დაუმტკიცოს მათ, რომ იგინი ერთ საქმეს ემსახურებიან — გლეხი თავადის მუცელს და თავადიც თავის მუცელს — და აქედან წარმოსდგება, რომ იმათ შორის გასაყოფი არა არის რაო“.* ადვილი წარმოსადგენია, რა მძიმე უხდა ყოფილიყო ილია ჭავჭავაძისათვის ასეთი, მართლაც „დამტვრეული“ აზრების მოსმენა და რამდენად სცოდავდნენ მათი გულზვიადი ავტორები გოლიათის წინაშე.

ჰაინე სადღაც ამბობდა: „კაცობრიობის სიკეთისათვის ომში მე გულადი ჯარისკაცი ვიყავიო“. ასე შეეძლო ეთქვათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც თავისი თავი კაცობრიობის მსხვერპლად მიჰქონდათ. ესენი იყვნენ ნამდვილად დიდი ადამიანები, დიდი აზრისა და დიდი სულიერი დრტვინვის გამომხატველნი. მათ შორის დგას ილია ჭავჭავაძე, რომელმაც სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ხალხის ტკივილები ისე განაზოგადა, კაცობრიულს ისე ჩააქსოვა, როგორც მარტოოდენ გენიოსები ახერხებენ ხოლმე.

და გენიოსის უკვდავი გვირგვინი ილია ჭავჭავაძეს დიდი ხანია დაადგა როგორც ერმა, ისე მისმა მშობლიურმა ლიტერატურამ. შემთხვევითი არ იყო, რომ 60-იან წლებშივე ერთად დააყენეს ბარათაშვილის, ილიასა და აკაკის — ამ სამი დიდი ოქროპირის სახელები. ჯერ კიდევ 1865 წლის „ცისკარში“ ღვიმელი შიუთითებდა, რომ თუ რუსთაველი გენიოსია, რაშიაც უკვე არ მეპარება, ბარათაშვილიც გენიოსი იყო, „რუსთაველის ძმა“, ხოლო ილია და აკაკი „ისე ამაღლებულნი არიან წარსულის საუკუნის (მე-18 საუკუნის — გ. ჯ.) მწერლებზედ, ნიჭით და ტალანტით, როგორც მზე მიწიდგან“.** სამივე პოეტი—ბარათაშვილი, ილია, აკაკი „არა თუ ქართულ ლიტერატურაშიდ, რუსული ლიტერატურის პოეტებზედაც მაღლა დგას გენიით. ვიტყვი თამამად: პუშკინიც და ლერმონტოვიც შორს მოიტოვაო“. როგორი გადაჭარბებაც არ უნდა ყოფილიყო ამ სითამამეში, ერთი რამ სრულიად უეჭველი აღმოჩნდა ულმობელი ისტორიის მიმართ: სამივე პოეტი — ბარათაშვილი, ილია და აკაკი მოძდევნო ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ გენიოსებად აღიარა, ისევე როგორც თვით ხალხმა უკვდავების გვირგვინები დაუწნა თავის ოქროპირებს.

---

* სტეფანე ჭრელაშვილი. „დამტვრეული ოცნებანი“, „იმედი“, № 3, 1882 წ.

** ღვიმელი, ჩვენი დროების მწერლები; დაიბეჭდა „ცისკარში“, 1865 წლის IV, VII და X ნომერში; შეტანილია კრებულში: „ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის“, I, 1955, გვ. 391--394. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ჯერ კიდევ 1870 წელს, მიუხედავად მყოფი ალექსანდრე ცაგარელი, რომელმაც თერგდალეულების ბელადს კრიტიკული თვალით შეხედა (აღნიშნა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ზოგიერთი ნაკლი, დაახასიათა პოეტის იმდროინდელი — 1861—1870 წლების — ქებაც და ძაგებაც), ამბობდა: „ეხლა ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ილ. ჭავჭავაძეს მართლა ტოლი, უღლის გამწევი არა ჰყავს ჩვენ ლიტერატურაშიო“.* ილიას ლექსებში მან ნათლად დაინახა „ბედნიერი პოეტიკური ნიჭი“, „ღრმა პოეტური ბუნება“, ისიც, რომ „მართალია ბეჯითობით და ცდით კაცი ბევრს შეიმატებს, მაგრამ ილ. ჭავჭავაძეები მარტო იბადებიანო“.** ეს იყო ილიას განსაკუთრებული ტალანტის ხაზგასმა. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველი ნიჭი თავისებურია — ან ცალმხრივია ან მრავალმხრივი. ცაგარელმა სავსებით სწორად შენიშნა, რომ ილია ჭავჭავაძის „ნიჭი არ არის მარტო ერთგვარი, ერთმხრივი, არამედ დაჰყურებს საგანს ყოველ მხრივ და მრავალ სხვადასხვაფერ დაგვარ საგანსა... მეორე მიუცილებელი თვისება და უდიდესი ღირსება იმის პოეზიისა არის სიტყვაგამოთქმათ საშინელი და შეუმაგრებელი ძალა, გულწრფელობა და გულღიაობა, — აქედგან წარმოსდგება იმის პოეზიის ღრმა გრძნობა და ყოვლის შემძვრელი ზემოქმედება, რომელიც მკითხველის, ანუ მსმენელის გულს ეტანება და სწვავს“.*** გრძნობიერებითაც ილიას პოეზია განსხვავდება „ჩვენი ბაირონის“ — ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებისაგან. ეს განსხვავება ილიასი ბარათაშვილისაგან ისეთია, როგორიც ჰაინესა და ბაირონის პოეზიას შორის. ბაირონი „სულ იმედ მიხდილია“, ჰაინეს კი „ცოტათა აქვს იმედი“. პარალელის ყველა დებულება მართებული არ არის, მაგრამ თვით პარალელი საინტერესოა, რამდენადაც ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ, აკაკის შემდეგ, ამ შეხვედრა-განსხვავებას თავისებური დასაბუთება ან უარყოფა მისცა. მთავარი იყო იმის აღნიშვნა, რომ ილიას პოეზიაში ეროვნულთან ერთად, ზოგადკაცობრიული ია, თუმცა ზოგიერთ ლექსში ნაციონალური კილოს უქონლობა ავტორს უსაყვედურა. ეს საყვედური სიმართლეს არ შეეფერებოდა, მაგრამ ცაგარელი სწორად მოიქცა, რაცა პოეტის ყველა ნაწარმოებში „ნამდვილი კეთილშობილური“ კილო შენიშნა, „მაღალი პოეტურობა“და მომავლის ოპტიმისტური განსჯვრეტა დაინახა.

სულ სხვა მოსაზრება განავითარა ილიას მხატვრული შემოქმედების ეროვნული ხასიათის შესახებ ალექსანდრე ხახანაშვილმა, რითაც ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ გენიოსის შემოქმედება ყოველთვის როდი ხდება ყველასათვის ერთნაირად საცნაური. ალექსანდრე ხახანაშვილის აზრით, ილია „იყო სავსებით გამომხატველი ქართულის ნაციონალურის ფსიხიკისა და ქართულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ მის ხელში მიაღწია ხელოვნურს სიმწიფეშდე და გაიკაფა ეროვნულის დამოუკიდებლობის გზა და

---

* ალ. ცაგარელი, ჩვენი უბედური მწერლობა ამ საუკუნეში, „დროება“, 1870 წ.

** იქვე.

*** იქვე, ხაზი ყველგან ავტორისაა — გ. ჯ.

ჰიმართულება“.* ეს სავსებით სწორი დებულებაა, რომელსაც სადავოდ ვერავინ მიიჩნევს, თუ სურს ჭეშმარიტებას არ დაშორდეს.

ილიას უდიდეს გავლენას ქართულ ლიტერატურაზე და განუზომლად დიდ როლს ერის ცხოვრებაში მისი მოწინააღმდეგენიც ვერ უარყოფდნენ. ისინი ზოგჯერ მხოლოდ გაოცებას გამოთქვამდნენ, რომ ერთი ადამიანი, თუმცა ძალიან ნიჭიერი, საყოველთაოდ ასე განდიდებული იყო. გავიხსენოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ანტონ ფურცელაძე, რომელიც უმართებულოდ აკრიტიკებდა ილიას, 1872 წელს იძულებული იყო აღენიშნა მისი შეუდარებლად დიდი ავტორიტეტი. წერილში — „საწყალი კუდაბზიკა“ ანტონ ფურცელაძე წერდა: „ავტორიტეტი ჰავჰავაძისა ისე მოქმედებს ჩვენს მწერლობაზე, რომ ყველა იმისი ბრმა მბაძავნი სრულიად აღარ ჰფიქრობენ ღრმათ საქმეში ჩახედვას და საქმის გაცნობას“ — თავიანთ მასწავლებელს მონურად ემორჩილებიანო. მაგრამ რა იყო ამ „ბრმა მორჩილების“ მიზეზი?

ილია ჰავჰავაძის გენია, ტალანტი, სიდიადე, რაც ყველა მის ნამოღვაწარში ასე ძლიერად გვაგრძნობინებს თავს და ისტორიული სამსჯავროს წინაშე დამცველს აღარ საჭიროებს.

ახლა ვნახოთ რას წარმოადგენს ილია ჰავჰავაძის შემოქმედება, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა და რა ადგილი უკავია მას როგორც ქართელი მწერლობის, ისე ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

---

* ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 113, ხაზი ჩვენია—გ. ჯ-

2. ილია ჭავჭავაძის ლექსები

I

ილია ჭავჭავაძემ მხატვრული შემოქმედება პოეზიით დაიწყო და ბუნებრივი იქნება, თუ ჩვენც თავდაპირველად მის ლექსებს განვიხილავთ. მაგრამ ამ ლექსთა შორის ბევრია ისეთი, რომელიც პოეტის ბიოგრაფიას უშუალოდ უკავშირდება. ისინი ჰქმნიან სატრფიალო ლირიკის მთელ ციკლს, ხოლო სატრფიალო ლირიკას ილია ჭავჭავაძის პოეზიაში იმდენად თვითმყოფი ადგილი უკავია, რომ შეუძლებელია ცალკე არ გამოვყოთ. პოეტის ბიოგრაფიის შესწავლა ამით ბუნებრივად გაგრძელდება და შეგვეძლება უფრო ღრმად გავიგოთ მისი შემოქმედების საზოგადოებრივი მოტივები. ეს იქნება ერთგვარი ექსპოზიცია 60-იან წლებში ილიას პოეტური შემოქმედების დასახასიათებლად, რასაც „უვარლის მთებიდან" დავიწყებთ.

ყოველთვის, როცა სატრფიალო ლირიკას ვსწავლობთ, ჩვენს ყურადღებას იქცევს პოეტის ძირითადი ცხოვრებიდან ის კონკრეტული ფაქტები, რომლებიც უშუალოდ მხატვრულ შემოქმედებას უახლოვდებიან. ლიტერატურის ისტორიკოსებმა ასე გაარკვიეს ტიბულის, პროპერციუსის, ოვიდიუსის, დანტეს, პეტრარკას ლირიკული გმირის არაერთი პრობლემა.* შექსპირის, გოეთესა და ბაირონის სატრფიალო ლირიკა ჩვენთვის უფრო მიმზიდველი ხდება, როცა შთაგონებას თვით საგანი კვებით. რამდენად ძლიერ მოქმედებენ ჩვენს გრძნობებზე პუშკინის, ლერმონტოვის, ბარათაშვილის ის ლექსები, რომლებიც გენიოსებმა თავიანთ სატრფოს მიუძღვნეს. ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაშიც თვით პოეტის მიერ მოხსენიებულ პირთა გარდა, უთუოდ ზოგიერთი სხვაც იგულისხმება. მათი დასახელება პოეტს ალბათ არ შეეძლო გარკვეული მოსაზრებების გამო. მაგრამ მოღწეული ცნობებით, ბევრი რამის გარკვევა შეიძლება ილიას პირადი ცხოვრებისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთობის ისტორიიდან.

ჰაბუკის ცხოვრება იმდენად აღსავსეა ფანტაზიითა და გაურკვეველი ოცნებების ბურუსით, რომ მისთვის სიყვარულიც უმეტეს შემთხვევაში ცვალებად გრძნობას ემყარება. გამონაკლისს არც ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა. როგორც კოხტა აბხაზი გადმოგვცემს, „ილიას პირველი სატრფო გაზლდათ ვინმე ტერ-ასატუროვისა. ილია იქნებოდა ესე 13-14 წლისა.

* ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, 1959 წ., გვ. 116—140.

მისი სატრფოს მშობლები სცხოვრობდნენ თამამშვილის ქარვასლის მეორე სართულში. ხშირად მიუახლოვდებოდით ხოლმე მე და ილია მის ღვთაების სარკმელს და იქიდანაც ღიმილით გადმოგვხედამდა ხოლმე პატარა ქალი... ეს სიყვარული, თუ კი სიყვარულად ჩაითვლება, იყო ნამდვილად პლატონიური. საზოგადოდ ილია მეტად ადვილად „აინთებოდა“ ხოლმე, მაგრამ გულის ცეცხლი არც ისე ხანგრძლივი იყო ხოლმე. ტერ-ასატუროვისას მოჰყვა ჩვენი გემნაზიის დირექტორის დ ე მ ე ნ ტ ი ე ვ ი ს ქალიშვილი“. *

მაგრამ ამ გრძნობასაც თავისი დასასრული უპოვია. ილიას შემდეგი გატაცების საგანი უთუოდ იყო ლიზა ჭავჭავაძე, რომელსაც უნდა გულისხმობდეს პოეტი 1860 წლის 5 ნოემბერს დაწერილ ლექსში — „გ ა ხ ს ო ვ ს ტ უ რ ფ ა ვ“. ამიტომ, ზოგიერთ რამეში მართალი არ უნდა იყოს კოხტა აბხაზი, როცა წერს: „ბევრსა ჰგონია, რომ ილიას უყვარდა ქ. მარჯანოვისა — სოლომონ ჭავჭავაძის ასული (დედა კოტე მარჯანიშვილისა—გ. ჯ.), მაგრამ საქმე ნამდვილად ასე გახლდათ. ილიამ გემნაზია რომ გაათავა, დააპირა რუსეთში, უნივერსიტეტში წასვლა, მაგრამ შეძლება არა ჰქონდა, მის მამას გრიგოლსაც ძრიელ ჰსურდა, რომ შვილი უნივერსიტეტში წასულიყო. და აი სწორედ ამ გაჭირვებით ისარგებლა შედარებით შეძლებულმა ს ო ლ ო მ ო ნ ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ და გრიგოლთან პირობა შეჰკრა, რომ ის გაუგზავნის ილიას თვეში ოთხს თუმანს უნივერსიტეტში კურსის დასრულებამდე, ხოლო სამაგიეროდ, ილია რომ დაბრუნდება, უნდა შეირთოს მისი შვილი. ეს უილიოდ მოხდა, მაგრამ ილია მაინც დაემორჩილა. ჯერ სტუდენტობის დროს მეტად ემძიმებოდა ილიას ეს დამოკიდებულება და მეტადრე დადებული პირობა. უნივერსიტეტიდამ რომ დავბრუნდით (1859 წ. 27 ენკ.) ერთ დღეს ალავერდში მივდიოდით ხატობაში და აი, აქ გზაში ილიამ სიხარულით მითხრა: „კოხტა, მომილოცე, გავათავეო. სოლომონმა აი ამტენი ფული გამომიგზავნა პეტერბურღში. ახლა მამიდა მაკრინეს დავავალე სულ მთლად დაუბრუნე მეთქი. ახლა თავისუფალი ვარ“. მეტად ნასიამოვნები იყო ილია, რომ მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა“. **

ილიასა და ლიზას დამოკიდებულება რომ ბევრს სცოდნია, ამას თვით კოხტა აბხაზის მოგონებაც ადასტურებს. მაგრამ, რატომ ცდილობენ კოხტა აბხაზი და ილიას და — ელისაბედი როგორმე გააბათილონ ეს ფაქტი, გარკვევას საჭიროებს.*** სოლომონ ჭავჭავაძე რომ ილიას ფულს უგზავნიდა პეტერბურგში, სრულიად უდავოა. მაგრამ არაფერია დაუჯერებელი იმ ფაქტში, რომ ჭაბუკ ილიას გატაცების საგანი ლიზა ყოფილიყო, რაკი შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ ახლო ნათესავად არ ერგებოდა. ლიზა ყოფილა ლამაზი, მოხდენილი ქალიშვილი, მაგრამ, თუ ილიამ ცოლად აღარ შეირთო, უთუოდ სხვა მიზეზები იყო. სამაგიეროდ, სავსებით დასტურდება კოხტა აბხაზის ცნობა იმის შესახებ, რომ „პეტერბურღში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის (ცნობილი რუსი კომპოზიტორის და) ქალით. ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვეჭცეოდნენ. მახსოვს, როდესაც პირვე-

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 565, ხაზი ყველგან ავტორისაა — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 566.

*** იქვე, გვ. 556, სადაც ილიას და — ელისაბედი აბხაზის ცნობას ადასტურებს.

ლად მოვემზადეთ ამათთან სადარბაზოდ წასასვლელად, დიდ გაჭირვებაში ვიყავით. ერთი მუნდირი გვქონდა, და მარტოკა არც მე მინდოდა წასვლა, არც ილიას. გადავწყვიტეთ, დავიჭიროთ კარეტა, ერთად წავიდეთ და სახლთან რომ მივალთ, ჯერ ერთი შეეიდეს მუნდირით, მეორემ კი კარეტაში მოუცადოს. როდესაც პირველი დაბრუნდება კარეტაში, გადაცემს მუნდირს ამხანაგს. ახლა ეს ჩაიცვამს და წავა სადარბაზოდ. ამგვარად დავაღწიეთ თავი უხერხულ მდგომარეობას.*

ილია რომ ნამდვილად ძალიან ახლოს ყოფილა დაკავშირებული ჩაიკოვსკის ოჯახთან. სადაც ხშირად დადიოდა, კარგადაც იღებდნენ და კარგადაც ექცეოდნენ, დასტურდება თვით მისივე სიტყვებით. 1859 წლის 18 თებერვლის თარიღით ილია თავის უფროს დას — ნინო აბხაზს პირად წერილს უგზავნის, საიდანაც ირკვევა, რომ სოფიო ჩაიკოვსკაიას, ალბათ. კავკასიური ეგზოტიკით გატაცებულს, ჭართველი მეგობრისათვის უთხოვია „ქალური ვერცხლის ქამარი“ ხანჯლით. ამ წერილიდან ისიც ირკვევა, რომ სოფიოს დედ-მამა ილიას შვილივით ექცეოდნენ და ილიასაც თავისი სატრფოს მშობლები შეუყვარებია. „ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი, — სწერს ილია თაკის დას — ნინო აბხაზს, — და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი, შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს“.**

ილია ჭავჭავაძისა და სოფიო ჩაიკოვსკაიას ასეთ მჭიდრო, ნამდვილად ახლო ურთიერთობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან თავისი გამოხატულება მხატვრულ შემოქმედებაშიაც ჰპოვა. ილიამ სოფიო ჩაიკოვსკაიას მშვენიერი ლირიკული ლექსები მიუძღვნა. ამ ლექსებიდან სრულიად აშკარა ხდება, რომ პოეტს ნამდვილად გულწრფელი გატაცებით შეჰყვარებია ჩრდილოეთის ასული.

თუ გავითვალისწინებთ ყველა ამ ფაქტს, პოეტის ყველაზე ძლიერ სიყვარულს ოლღა გურამიშვილისადმი, რაც ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს, მაშინ ბევრი რამ საგულისხმო შეიძლება ვიგრძნოთ ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკაში.

წინასწარ საჭიროა ვიცოდეთ, რომ სატრფიალო ლირიკას ილიას პოეზიაში არამარტო სრულიად გარკვეული ადგილი უკავია, არამედ, მისი ერთ-ერთი მშვენიერი ფურცელიცაა. ილიაც ხარკს უხდის ამურს და შემთხვევითი არ არის, რომ მის პირველ სატრფიალო ლექსს, 1858 წელს დაწერილს, შემდეგი სათაური აქვს: „მეც შავს თვალებს“. როგორც პირველი ცდა სატრფიალო მოტივების ამეტყველებისა, ეს ნაწარმოები, ანალოგიურ თემაზე დანარჩენ ლექსებთან შედარებით, ისე ძლიერი არ არის ფორმის მხრივ; ლექსის მეტის-

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 565 — 566.

** ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 9, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

მეტი სიმძიმე და შინაგანი დატეხილობა ერთგვარად აძნელებს მის წაკითხვას და ამდენად ასუსტებს შთაბეჭდილების ძალას. სხვა სატრფიალო ლექსებში კი ყველა ეს ნაკლი თავიდან აცდენილია, რასაც შემდგომი კვლევა სავსებით დაგვიდასტურებს. რაც შეეხება საკუთრივ „მეც შავს თვალებს“, მისი შინაარსი, თითქოს და ზემოთ აღნიშნული ნაკლის სამაგიეროდ, სავსებით ილიასებურია. მასში მეღავნდება არაერთი ძირითადი ნიშანი, რითაც 60-იანი წლების ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკა ხასიათდება. შავ თვალებში, როგორც ტრფობის სიმბოლოში, პოეტი ხედავს დაუმონებელ საშიშ ცეცხლს; მათში სიცოცხლე დუღს იმ ცეცხლით, რომ ნაპერწკლებით დაიდაგოს; მაგრამ ეს დამღუპველი კი არ არის, ისეთი ძალაა, რომელსაც შეუძლია სიცოცხლესთან შეგარიგოს და სხვა ნეტარებაზე ხელი აგაღებინოს. შავს თვალებში — „მათ დიდ მშვენიერ სიბნელის ტბაში, მათ გრძნეულ, უხმოდ ცხად გამოთქმაში“ ჩანს, როგორც „ტრფობათ ამღვრეულობა“, ისე არწივისებური თავისუფლება. მათში მაცდურად იხატება როგორც „მშვენიერების ამპარტავნება“ და „სიყვარულისთვის ცეცხლად ანთება“, ისე თუნდაც დიდი სურვილების უგუნურება. გული სულ სხვა გრძნობით იწყებს ძგერას, როცა შავი თვალები ცქერას დაგიწყებენ. გრძნობ „გული განგიწვეს“ და „ჰრწი“, რომ შენი ყველა ეს განცდა მაცდურმა თვალებმა შეიტყვეს. შავი თვალებისადმი დამონება პოეტს უფრო მეტ სიტკბოებად მიაჩნია, ვიდრე თავისუფლება, როგორი ტკბილიც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი. ამიტომ იგი ეძებს „შ ა ვ ს თ ვ ა ლ ე ბ ს“, მაგრამ უცხოეთში ვერ პოულობს.

ასეთია ილიას ლექსის მოკლე შინაარსი, რომელშიაც ტრფობა და სიცოცხლე თითქმის სინონიმებად ცხადდება. შემდეგ ეს აზრი სხვა ლექსებში უფრო ძლიერდება, რასაც ქვევით დავინახავთ. წინასწარ კი უნდა შევნიშნოთ: ლირიკული გმირი ილია ჭავჭავაძისა დიდ სინაზესთან ერთად ასევე დიდი ვაჟკაცობის გამომხატველია. ამ მხრივაც ილიას ლირიკული გმირი ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ლირიკული გმირის უმცროს ძმას წარმოადგენს, მაგრამ სრულიად ახალ პირობებში, ახალ ისტორიულ ქარტეხილებში, რომლებსაც დროის გამომაღვიძებელი სხვა აზრები მოაქვთ. მსგავსება აქ ისევე პოულობს თავის საფუძველს განსხვავებაში, როგორც განსხვავება მსგავსებაში. სატრფო, როგორც ლირიკული პოეზიის ძირითადი საგანი, შეიძლებოდა ჩვენი დებულების ყველაზე საუკეთესო ილუსტრაციად მიგვეჩნია. სიყვარულის გაუტანლობა, წარმავლობა, სატრფოს ერთგულებაში ბარათაშვილის ლირიკული გმირის ცნობილი დაეჭვება აქაც მთელი ძალით იჩენს თავს. ამავე დროს, საწინააღმდეგო განცდა, სატრფოს განდიდება, მისი დასახვა უნაზეს, უწმინდეს არსებად, ღვთაებრივ მოვლენად, ანგელოსად, რაც ასე ძლიერად გვესმის ბარათაშვილის უმშვენიერესი ლექსებიდან, აქაც მთელი თავისი მკაფიობით გამოირჩევა. 1858 წელს დაწერილ ლექსში — „ვ ი ხ ი ლ ე ს ა ტ რ ფ ო“, რომელიც ასე მოგვაგონებს ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს უმშვენიერეს ქმნილებას — „ს ა ტ რ ფ ო ვ, მ ა ხ ს ო ვს თ ვ ა ლ ნ ი შ ე ნ ნი“, ღრმა ლირიკული გრძნობით არის გადმოცემული სიყვარულის განცდა, შეპირისპირებულია ერთმანეთთან უცვლელი, წარუვალი, ბოლომდე ერთგული და ცვალებადი, წარმავალი, გაუტანელი სიყვარული. პირველის ხორცშესხმულ რეალობად სატრფოა (ქალია) დასახული, ხოლო მეორისა — თვითონ პოეტი, რომელსაც ასე მწვავედ განუცდია ოხვრა და ცრემლთა ცვენა:

„ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა,
მის ცრემლი დამჭკნარს ვარდს დასდიოდა
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა!
მოვიდა სხვა დღე, — განჭრა მის დარდი,
მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი,
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჭღიმოდა —
და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა“.*

უიმედო სიყვარულის ეს ლირიკულ-დრამატული განცდა ვარიაციული სახით გვხვდება იმავე 1858 წელს (სბგულისხმოა ერთსა და იმავე დღეს — 26 ოქტომბერს) დაწერილ მეორე ლექსში — „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი“, რომელშიაც პოეტი თავის უსაზღვრო სევდას გადმოგვცემს. ეს სევდა აშკარად ბესიმისტურ განწყობილებამდეა აყვანილი, ხოლო პოეტი მკითხველის წინაშე დგას უიმედო სიყვარულის გამო ბარათაშვილივით უსასოო მგოდებელი:

„ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი.
ამას მეტყოდა ნარნარი, ნაზი:
— „ჭაბუკო, რისთვის ხარ მოღრუბლული,
როს დღე აგრეა გაბრწყინვებული?
შეხედე მზესა, — ვით აბნევს ნათელს,
ადნობს თოვლ-ყინვას და ათბობს სოფელს“.
— „რა შეხედო მზეს? ვიცი, გადმოყრილს
კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხივს
არ ძალუძს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დარდის ცრემლად დადნობა“.**

მაგრამ მწარე ფიქრების ეს ტევრი პოეტის არსებაში ზოგჯერ გაცისკროვნდება ხოლმე სიყვარულის ნაზი გრძნობით და გამთბარი სული, სატრფოს კრძალვითა და სინარნარით შთაგონებული, ნეტარებას ეძლევა. აქ არ არის ადგილი მართოდენ ხორციელი სიყვარულისათვის. ივი დაკავებულია სიწმინდის გრძნობით და მიწიერი ისე ერთვის სულიერს, როგორც ტიციანის მშვენიერ ტილოზე ამქვეყნიური და ზეციური სიყვარული. საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ლექსი — „მაშინ დაესტკბებისრულის სამოთხით“, რომელიც პოეტს 1858 წელს დაუწერია:

„მაშინ დაესტკბები სრულის სამოთხიო,
როს, ვით მე გეტრფი. შენცა მეტრფოდე,
და ჭალწულების კრთომით, მორცხვობით
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე;
მე დაგყურებდე ტრფიალებითა,
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა
მე შენთვის კოცნაც ვერ გამებედნოს.
ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულის-ცემასა,
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე,
და ცოდვილთ ფიქრთა ზედ-მოსევასა
შენის სიწმინდით ეიგერიებდე...“***

---

* იულია ჭაჭანაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 26.
** იქვე, გვ. 27.
*** იქვე, გვ. 32.

სიყვარულის ამ საგალობლებში თვით ამურის გრძნობა ამაღლებულია და იგი წარმოდგენილია, როგორც კეთილშობილური ძალა, რომელიც პოეტს ესმარება არამარტო ცოდვილი ფიქრების შემოსევა მოიგერიოს, არამედ, დაისახოს მასში შვება, იმედი, ძალ-ღონის მოკრება ავ ბედთან საბრძოლველად. ეს არის ქართული პოეზიის იმ ტრადიციული ხაზის გაგრძელება, რომლის სათავესაც რუსთაველთან ვპოულობთ, როცა სიყვარული გაგებულია, როგორც ამაღლებული გრძნობა. რუსთაველის „სიყვარული აღგამაღლებს“ შემდეგ იქცა ჩვენი პოეზიის ნომოტიმურ მაგისტრალად და ქართველ პოეტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამურის გრძნობას უყურებდა, როგორც ამაღლებულს მშვენიერთან ერთად. აღორძინების ხანისა და მე-19 საუკუნის ქართველი პოეტების ლექსებში სიყვარული უმთავრესად ასეა გაგებული, ხოლო ილია ჭავჭავაძის დამსახურებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ მისთვის ეს გრძნობა თვითმიზანი, ეროტიკული ვნების დაკმაყოფილება, ჰედონიზმი კი არ არის, — ცხოვრებაში ბრძოლისათვის გამამხნევებელი, ძალის მომცემი, შთამაგონებელია. „რისთვის მიყვარხარ?“ აყენებს პოეტი თითქოს ჩვეულებრივ კითხვას 1858 წელს დაწერილ ლექსში, და თვითონვე აძლევს მშვენიერ პასუხს:

„...მისთვის, რომ ცრემლსა
ჰბადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული;
მისთვის, რომ მტანჯველს ჩემს ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.
რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა;
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძლევ ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა“.*

მთელი ლექსი შთაგონებულია იმავე იდეით, რითაც ბარათაშვილის „შეცოდებაშრობა ცრემლსა“. პოეტისათვის სატრფო სიცოცხლეა! სრული სიცოცხლე არ არსებობს უსიყვარულოდ, მაგრამ სიყვარულსაც უსიცოცხლოდ არსებობა არ შეუძლია. ორივე შეიცავს ბედნიერებასთან ერთად ტანჯვას, როგორც სიცოცხლისა და სიყვარულის თანმხლებელს. პოეტი ამიტომაც გვიხატავს თავის თავს ლექსში — „მითხარით, რისთვის“... განმარტოების მოტრფიალედ, „მხიარული კრების“ მოღალატედ, უხმო ბაღნარის მძებნელად, მარტოოდენ „ერთი ვარსკვლავი“ რომ დაუსახავს ტკბილად მინაზებული გრძნობით განუწყვეტელი ტრფობის ობიექტად. სიყვარული წმინდა უნდა იყოს. და პოეტი მზადაა ისწავლოს იგი იქ, სადაც მხიარულად ჩქეფს მცინარი წყარო, სადაც ნაზი და მტკბარი ველია, სადაც ხშირად აღტაცებული ბულბული დაფრინავს, მხოლოდ იქ,

„იქ შეყვარებულს ჩემს წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულსა:“**—

ღრმა შთაგონებით გვეუბნება პოეტი, რომელსაც ალექსანდრიული სალირიკო პოეზიის კვალად მარტოოდენ პლატონური ან ხორციელი სიყვარული კი არ განუცდია, მასში დაუნახავს საზოგადოებრივი სიკეთის წყარო, რა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 34.
** იქვე, გვ. 35.

კი ადამიანისათვის ამურის ვნებას ძალის მიცემა შეუძლია ავ ბედთან უფრო მეტი ჰიდილისათვის. ეს იდეა თავიდან ბოლომდე გასდევს ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას, რომლის ერთ-ერთი მშვენიერი ობოლი მარგალიტია 1859 წელს დაწერილი ლექსი — „ხ მ ა გ უ ლ ი ს ა“, დიდი ხნის წინათ უკვე პოპულარულ სიმღერად ქცეული:

„ჩემ ბაღნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,
და საიდამღაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.
დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმაჲ გრძნეულს;
ვგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვა-რიგ ცემას.
დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული“.*

სიყვარულის ამ სიმღერას, დამშვენებულს სულის მშვიდი აღმაფრენით, ზოგჯერ ესმოდა ნაზი ბულბულის გალობასთან ერთად საკვირველნი ციურნი ხმანი, როგორც ბარათაშვილს გამოუცნობი ხმა საკვირველი უმშვენიერესი ლექსიდან „ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი“. ილია ჭავჭავაძის „ც ი უ რ ნ ი ხ მ ე ბ ი“. დაწერილი 1859 წელს, პირდაპირ ეხმაურება ბარათაშვილის „ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ს“. ორივე ლექსი ძიებაა იმ უხილავის შესაცნობად, რომელმაც პოეტს სოფლად წილობა უნდა არგუნოს (ბარათაშვილი), სიხარული მოუტანოს იდეალურისა და რეალურის ურთიერთგაგების საფუძველზე (ილია ჭავჭავაძე). მაგრამ საწუთროს გაუტანლობა, ცრუ სოფელი, ეჭვი, ზმანებათა სარწმუნოების შერყევა, წმინდა გრძნობის წმინდა ტაძართა ნგრევა ისეკე აფორიაქებს ბარათაშვილის სულს „ვ პ ო ვ ე ტ ა ძ ა რ ს ი“. როგორც ილია ჭავჭავაძე მოსთქვამს და გოდებს 1859 წელს დაწერილ ლექსში:

„ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი?
სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა, სამოთხე?
განძრცვილვარ გრძნობით, უდროოდ მეკვეთნენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ ვით უფოთლო ხე.
აღმესპნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება...
თვალ-წინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მკვნარნი,
მომიკვდა ეჭვ-ქვეშ მაცხოვარი თვით სასოება...
ჰკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა,
ციად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა,
მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...
ვაი, მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არის!..“**

ჭაბუკობის სიამეთა ეს გამოხატულება, გლოვა და იმედების დაკარგვა, ყრმობის დროინდელი სიზმრების გაქრობა, როგორც მოჩვენებისა — ყველაფერი, რაც ასე მაღალი გრძნობით გამოუთქვამს პოეტს ლექსში „ო ჰ, ს ა დ-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 38.
** იქვე, გვ. 47.

არიან. სიჭაბუკეც, სიტკბონი შენნი?", თითქმის უცვლელად ვხვდებით იმავე 1859 წელს დაწერილ „ალაზანში". საგულისხმოა, რომ მას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სულმნათ საბა ორბელიანის ცნობილი ლექსი. როველიც შესანიშნავად გამოხატავს თვით ილიას ნაწარმოების კვინტ-ესენციას. საბას გოდება: „სიჭაბუკისა ყვავილი დაშიკნო ჟამთა დენამა" მეორდება „ალაზანში", რომელშიაც ილიამ შესანიშნავად კამოხატა სიჭაბუკესთან უდროოდ განშორების გრძნობა. განსულიერებულ ალაზანს, რომელსაც მან „მშობლიური მთის ცრემლით შემდგარი" უწოდა. დიდი ტრაგიკოსივით შესჩივლა, რომ „შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს. დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს, დანთქმულსო". და რასაც ვხედავ. რაც ჩემს თვალთა წინ არის ახლა, მე მომაგონებს მხოლოდ იმას. რაცა დავკარგე და „რის წუხილიც უნუგეშოდ გულში ღრმად ჩავრგეო".

ვინ იყო ის. პოეტმა რომ დაჰკარგა და ასე გამოიტირა? ეს იყო სატრფო, რომელიც მას „ცხოვრების ღმერთად" მიაჩნდა, ის, ვისთანაც ერთად აყვავებული მუხის ჩრდილქვეშ იჯდა, ვისთანაც ერთად დაჰყურებდა ალაზნის მშვენიერ ზვირთთა დენას და ორივეს გული ისე ღელავდა, როგორც აგრგვინებული მდინარე. ეს იყო უბედნიერესი ხანა, ჰაბუკობისდროინდელი ნეტარებანი. უზრუნველი ჟამი. როცა მომავალზე ფიქრი არც ერთს არ აწუხებდა:

-რად გვინდოდა ჩვენ მომავალი, როს აწმყო ტკბილი
ისე შვენოდა, ვით უმანკო დილის ღიმილი?
მაგრამ წარივლტო წუთის შვება ჩვენის გულისა,
გაჰქრა სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა!..
წამერთო ყველა, და წარვიდა ბედიც მღიმარი,
წარვიდა, ვითა მაშინდელი ზვირთი მდინარი..."

ყველაფერი დრომ წაიღო, გამოიცვალა ალაზანი, მუხაც გადახმა, უდროოდ შეერია თმებს ჰაღარა, ცხოვრების ის ღმერთიც გაჰქრა, რომელსაც პოეტი შესტრფოდა; გაჰქრა ის გრძნობა, ის სიყვარული, ყველაფერი წავიდა, მხოლოდ ერთი — „ხსოვნა ბედკრული" დარჩა, და პოეტი სასოწარკვეთით მოსთქვამს — რატომ ისიც არ ჰქრება, ისიც არ მიდის, რომ სატანჯველად აღარ არსებობდეს — მისი კვალიც აღარ იყოს დარჩენილიო. თუ „ალაზანში" ეს იყო ლირიკული გოდება, სიჭაბუკისა და სატრფოს უდროო დაკარგვით გამოწვეული. 1859 წელს დაწერილ ლექსში — „მტკვრის პირას", რომელიც ილიამ ლუარსაბ მაღალაშვილს მიუძღვნა, სამშობლოს მწუხარება, სავალალო მდგომარეობა, შთანთქმული წარსული პოეტს ისე წარმოუდგა თვალწინ, რომ დაინახა ნეტარ დროთა წაშლილი კვალნი. მტკვარი, როგორც სამშობლო ქვეყნის, მშობლიური გრძნობის სიმბოლო. პოეტური შთაგონების სიგანე, ილიას შემოქმედებაში დიდ მხატვრულ განზოგადებამდეა აყვანილი, როგორც ბარათაშვილის გრძნეულ პოეზიაში, და შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი პოეტები. მათ შორის ილია ჭავჭავაძე, მას უცქერიან, როგორც ბედკრული სამშობლოს ოდისეას მოწმესა და მესაიდუმლეს. ილია პირდაპირ ბარათაშვილისებურად მიმართავს მტკვარს:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 49.

„კვლავ ჩემ-წინ მტკვარი მორბის ქეხილით,
ამ ქუხილში ვცნობ მშობლიურს გერგეთის,
კვლავ ჩემი გული იმავე წუხილით
შეპკვნესს მღერიე ზვირთთ მღერითა დენას.
კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
და აღმეშალა დიდი ხნის წყლული...
შევკვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.
წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტკრად აღუგეიხარ საუკუნესა...
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!“*

ეს იყო კვნესა გარდასულ დროთა გამო, როცა სამშობლო პოეტს ბედნიერი ეგულებოდა. ახლა კი სამშობლო ქვეყანა, ოდესღაც „ედემი შლილი“: წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც „დაკარგული ედემი“, სადაც „დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა იმ თვით ედემში თვისი ედემი“.

ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, განსაკუთრებით პეტერბურგის პერიოდის ლექსებში, ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას: სატრფიალო ლირიკა ისე გადაიზრდება ხოლმე პატრიოტულ ლირიკაში, რომ ზოგჯერ ძნელი ხდება ამა თუ იმ ნაწარმოების რომელიმე მათგანისათვის მიკუთვნება (მაგალითად, „გიყვარდეს“). სატრფო არაერთგზის სამშობლოს სახითაა წარმოდგენილი, ხოლო სამშობლო იმ სატრფოდ, რომლის ტანჯვას, მწუხარებას, დაკარგვას პოეტი ასე მძიმედ განიცდის. აკაკი წერეთლის პოეზიაში ხომ ანალოგიური მეტაფორა კანონად არის ქცეული, ილია კი მას იმდენად არა აშკარად, ვაგრამ მისთვის ჩვეული აზრობლივი სიღრმით იყენებს, რასაც ჩვენ სხვა ადგილას შევეხებით. ამ ლექსთა შორის საკუთრივ სატრფიალონი მაინც გამოირჩევიან, რომელთა ნაწილი ჩვენ უკვე განვიხილეთ, ხოლო დანარჩენის ანალიზს ახლა უნდა მივუბრუნდეთ.

ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკას საერთოდ ახასიათებს სიყვარულის ობიექტი წარმოგვიდგინოს არა სტატიურად, როგორც ქანდაკება. პირიქით, ეს სატრფო თითქმის ყოველთვის მოძრავია, სიცოცხლის განსახიერებაა, მაშინაც კი, როცა პოეტი აღწერს „მძინარე ქალს“ (1860 წელს დაწერილი ლექსი), დაჰყურებს მას და ესმის შუქშესხმული ბროლის მკერდის რხევა. სატრფოს წრფელი გულის ნელი ღვლვა. რამდენი სილამაზე, სიცოცხლე და სინაზეა განსახიერებული ამ ქალის არსებაში! პოეტი არც აქ ღალატობს თავის საყვარელ შემოქმედებითს პრინციპს; აქაც ხორციელს აერთებს სულიერთან, როგორც ეს ჩვენ უკვე ვნახეთ სხვა ლექსების მაგალითზე, და როცა მძინარე სატრფოს ეუბნება: „აგწითლებიან ნაზი ლოყები, ღიმილით თრთიან ტუჩთა ლალებიო“, იქვე დასძენს: „წრფელი გაქვს ძილი, ვით ხილვა ცისა, ზედ გადგა ჩრდილი ანგელოზთ ფრთისაო“. ხოლო ლექსის დასასრულს პოეტის სიტყვები — „შენ თითონ წრფელსა წრფელიც გაქვს ფიქრები, ნეტა მის ბედსა, ვისიც ხარ შენა!..“ უნებლიეთ მოგვაგონებენ ბარათაშვილის „საყურეს“: „ნეტავი იმას, ვინც

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1937 წ., ტ. I, გვ. 46.

თავის სუნთქვას შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!“

სიყვარულის ასეთივე ნაზი სიმღერებია სოფიო ჩაიკოვსკაიასადმი მიძღვნილი ორივე ლექსი, ორივე ერთსა და იმავე 1860 წელს დაწერილი. განსაკუთრებით პირველი, რომელშიაც ჰაბუკური გატაცება დიდი უშუალობითა და ღრმა ლირიზმითაა გადმოცემული:

„სატრფოვ! ხშირად ლაღი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ
სავსეს ეშხის სიამითა.
„დასტკბი, გიჟო! — მეუბნები, —
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩაეკონოთ
და ჩაეართათ სულთან სული!“
თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც სტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!..“*

მეორე ლექსში კი ეს „უიმედო სიყვარული“ ბუნებრივ აღსასრულამდეა მიყვანილი, რაკი სატრფო პოეტს ეუბნება: შენ „ცხოველს ქვეყნის ივერიის შობილი ხარ“, მე კი „ჩრდილოეთის ველზედ ვყვავი“, „შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს პასუხს ჩემი ცივი გულიო?!“ ასე განირიდა სატრფომ „წმინდა სიყვარული“ და პოეტს ათქმევინა სევდით აღსავსე სიტყვები: „სჩანს ოდითვე დანიშნულა სამარტოოდ ჩემი გული!“

ეს მარტოობის გრძნობა ილიას პოეზიაში უაღრესად მწვავე ტკივილების, ღრმა განცდების შემცველია, ვინაიდან მას ორგვარი ხასიათი აქვს: პიროვნული და საზოგადოებრივი. პოეტი მარტოობას გრძნობს სატრფოს მოშორებით, თან ასევე მარტოა: რაკი მშობელ ქვეყანაში არავინ ეგულება, რომელსაც თავისი ფიქრი ანდოს, თავისი გრძნობა განუზიაროს. მაგრამ ამ მძიმე ტკივილების მიუხედავად, ზოგჯერ გამოკრთება ხოლმე ნათელი, მზიანი დღე, როცა პოეტი ძალას იკრებს, თავის მკლელში — სატრფოში ხედავს რაღაც უხილავს, რომელიც „აათრთოლებს ნატვრით გულსა“ და რწმენას აძლევს, რომ „ჰქონია თვისტომობა სულთან სულსა“, თუმცა ამ ლექსს ეპიგრაფად მიუძღვის ლერმონტოვის ცნობილი სიტყვები: „Да вряд ли есть родство души“. ასეთი სულიერი ამაღლებისა და მკვდრეთით აღდგენის წუთებში პოეტი გატაცებით იგონებს ხოლმე განელილ ტრფობას, სიცოცხლის სიხარულს ეძლევა და ღრმა ლირიზმით აღსავსე სიტყვებით მიმართავს სატრფოს:

„გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: „ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!“

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1937 წ., ტ. I, გვ. 57.

მაგრამ თურმე ეს როდი იყო სამუდამო ერთგულების ნიშანი. ცხოვრების გაუტანლობა, წარმავალი სიყვარული, რამაც დაობლა ბარათაშვილის სული, აწუხებს და სტანჯავს ილია ჭავჭავაძესაც. პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოუცდელობა იყო იმის მიზეზი, რაც მოხდა:

„ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიქმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!...“

სახსოვრად მიძღვნილ ქორფა ვარდზე ადრე დასჭკნა ეს სიყვარული, თითქოს ასეთი იყოს საერთოდ ტრფობის ბედი, რომელიც პირველ კოცნასთან ერთად ხშირად გაწყდება ხოლმე. სიყვარულის ამ საყოველთაოდ ცნობილი „ფილოსოფიის“ მღაღადებელია პოეტის შემდეგი სიტყვებიც, 1860 წელს დაწერილი, ჩვენს მიერ უკვე მოხსენიებული ლექსიდან:

„გახსოვს, ტურფავ იმავ ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ჰგუშაგობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა;
დაგყურებდი, ვეღარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეკრთი და ღამაზ თითით
ღიმილით დამემუქარე.
ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენ გიქმა რა იცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გმობით შემეცვლოდა“.*

ამ ლექსით თითქოს იხურება 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის კარები, თითქოს პოეტი შეურიგდა თავის უიმედო სიყვარულს, მაგრამ 70-იანი წლების მიწურულში ეს გრძნობა მთელი თავისი სიმაღლით წამოიმართება და კვლავ ახლდებიან როგორც გულის, ისე სულის ძველი ჭრილობანი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1877 წელს დაწერილი ლექსი — „აღარც ნატვრა და აღარც იმედია!...“, რომელშიაც პოეტი სასოწარკვეთილებამდეა მისული, რაკი ძველი გრძნობები, ერთხანს მიძინებულნი თუ ჩამკვდარნი, ისევ განახლებულან და სულს უშფოთებენ. ამიტომ მოსთქვამს, ჰგოდებს, კვნესის და ასე მწარე სიტყვებით წუეწლის პოეტი თავისი დაბადების დღეს. მთელი ლექსი იმდენად აღსავსეა ღრმა გულისტკივილით, რომ იგი მთლიანად უნდა გავიცნოთ, მით უფრო, როცა ვიცით, რომ ამ ნაწარმოებით არსებითად მთავრდება ილია ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკა, რასაც პოეტი შემდეგ უკვე აღარ დაბრუნებია:

„აღარც ნატვრა და აღარც იმედია!..
ყველა წარხდა... ვაი ესრეთ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!..

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1937 წ., ტ. I. გვ. 65.

ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ?
რამან შეგქმნა ეგრე სავსე სიყეთით?
ეჰა, გულო, ერთხელ დაწუნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღად აღსდექი მკვდრეთით?
მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევენ ნეკტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ეელის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას.
სად წარვიდე, ვის შევჩივლო, ვის ეუთხრა?
ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას?
ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?"*

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ ვერ წარმოგვიდგენს ილია ჭავჭავაძის პოეტურ პროფილს 60-იანი წლების ლირიკაში. ამ პერიოდის სატრფიალო შედევრების გვერდით უნდა მოვიხსენიოთ ის ლექსები, რომლებიც გვანიშნებენ ეპიკურეისტულ-ანაკრეონტული პოეზიის სრულიად თავისებურ გამოძახილს ჰაბუკი პოეტის შემოქმედებაში.

II

ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე, რომელიც ღრმად ეუფლებოდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და ევროპულ პოეზიას, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას და ხელოვნების თეორიას, კარგად იცნობდა ანაკრეონტულ შემოქმედებას. მაგრამ შეუძლებელია ეს პოეზია მისთვის მისაბაძი ნიმუში გამხდარიყო. ზოგიერთი რამ შეიძლებოდა გამოეყენებინა, მისთვის დამახასიათებელი ორიგინალობით, ფორმალური თვალსაზრისით მაინც. სრულიად გვერდის ავლა კი მას არ შეეძლო, მით უმეტეს, რომ დიდი წინამორბედები ერთგვარ ხარკს უხდიდნენ ამ გვარის პოეტურ მეტყველებას. გავიხსენოთ პუშკინის ანაკრეონტული ლექსები, რომლებიც უთუოდ გავლენას ახდენდნენ ქართულ პოეზიაზე. ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელიც უშუალოდ იცნობდა თვით ანაკრეონტის ლექსებს, ერთი მათგანი მშობლიურ ენაზეც გადმოიღო,** პუშკინის ერთერთი პირველი მთარგმნელი იყო ქართულ ენაზე და მისი უდიდესი პატივისმცემელიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ანაკრეონტული ლექსები, სრულიად უეჭველია, პუშკინის პოეზიითაც შთაგონებულია, ხოლო ორიეემ თავისებურად აამეტყველეს ილია ჭავჭავაძის ქნარი და დააწერინეს ის ერთადერთი ანაკრეონტულ-ეპიკურეისტული ლექსი, რომელსაც „ლოთის რჩევა" ეწოდება. ნაწარმოები შექმნილია ილიას ჰაბუკობის წლებში, 1858 წლის 1 აგვისტოს, ტიარლევოს, სადაც სტუდენტობის დროს პოეტი ზაფხულობით იმყოფებოდა ხოლმე. ლექსში ანაკრეონტული პოეზიის დამახასიათებელი ყველა ნიშანია წარმოდგენილი: ცხოვრების ამაოებას — დიდებასა და სიმდიდრეს ქალის ერთი კოცნა უნდა ამჯობინო; ორი რამ არის ქვეყნად პატივისცემის ღირსი — მხია-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1937 წ., ტ. I, გვ. 98.

** ალექსანდრე ჭავჭავაძე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 132.

რულობის შემქმნელი ღვინო და ცელქი ამურია; ამ ორი ღვთაების ძალით სიცოცხლეს ლაღად გაატარებთ; ნუ მიენდობით გონებას, „უგემურ ჭკუას“, რომელიც გულის კარნახს არასოდეს ყურად არ იღებს და ამიტომ „გრძნობის განსჯაში ყოველთვის ბრმაა“; არაფერი სჯობია ქვეყნად „ღვინის ორთქლით გახურებას“, მიჯნურის ხვევნა-ალერსსა და „ცელქ სიყვარულით“ გაღვიძებას:

„ძმანო, სიცოცხლეს ნუ მოჰკლათ ცდაში,
სულ ამაოა ამ ქვეყანაში:
ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს,
რასთვისაც კაცი თავ-ყრას იმტვრევს,
არ გაეცალო ტრფიალ ქალს კოცნაში
და კახურ ღვინით ერთ სავსე ყანწში.
ორს პატივს სცემდეთ ამ ქვეყნიურსა:
მხიარულს ბახუსს და ცელქს ამურსა...
მენდეთ, ამათგან დაწნულ გვირგვინით
სიცოცხლეს ჩიტებრ განვლით ღიმილით.
ნუ დაუჯერებთ უგემურსა ჭკვას,
გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას,
გულის კითხვაზედ უარისთვის მზას;
რა უნდა სჯობდეს, მითხარით, ამას,
რომ ერთის ხელით ეხვიო მიჯნურს,
მეორით — ყანწით ჰყლაპავდე კახურს?
ან ღვინის ორთქლით გახურებულსა,
რა დაგკოცნის შენ სხივი ავრორის, —
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,
შენ საყვარლისა ხვევნათა შორის
შენს თავს იხილავ...“ მაშინ ჰკითხე ჭკვას —
რა უნდა სჯობდეს მაგ გაღვიძებას!“*

მთელი ეს „ფილოსოფია“ ილიას შემოქმედებაში გაისმის როგორც ირონია და ანაკრეონტული პოეზიისადმი ერთგვარი ხარკი. ვერც იმას ვიტყვით, რომ ეს ლექსი ჭაბუკი პოეტის დროებითი გატაცების შედეგი იყოს. მისთვის სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისის უფრო დაგმობაა, ვიდრე თუნდაც წამიერი მიღება. ლექსსაც ამიტომ ეწოდება „ლოთის რჩევა“ და არა ფხიზელი, ჭკუათმყოფი ადამიანისა. რომ მართლაც ასეა, ილიასთვის „ლოთის რჩევა“ — მიუღებელი „ფილოსოფიაა“, გვიდასტურებს სწორედ იმავე 1858 წელს პეტერბურგში დაწერილი ლექსი — „ჩემი თარიალალი“, რომელსაც სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს — „მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი“. ეს ლექსი „ლოთის რჩევისაგან“ აბსოლუტურად განსხვავებულია. მასში პირველყოვლისა პატრიოტული მოტივია და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გალაშქრება ჩანს. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი კი, თუ გავიხსენებთ, სრულიად სხვა მოტივებზეა დაწერილი. იგი თავიდან ბოლომდე ეპიკურეისტულ-ანაკრეონტული ნაწარმოებია. ლექსს ეწოდება „მუ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 23.

ხამბაზი ლათაიური"* ანუ „ლოთებო. ნეტავი ჩვენა", რომელშიაც ბახუსის ძალა განდიდებულია, ხოლო ცხოვრების ერთადერთ გონივრულ საწყისად ღვინოა გამოცხადებული. ღვინის კულტი აქ გამართლებულია იმით, რომ ბახუსის ძალა ადამიანს მხნეობას უმატებს, სიცივეს არ აგრძნობინებს, სისხლად იქცევა, მერე კი ომში დაიღვრება; ღვინოდალეული კაცი ომში უშიშრობას იჩენს — მტერს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება", მაშინ, როცა „ბრძენი სიფრთხილით წახდება"; „ბრძენი სულ სიკვდილსა ფიქრობს და ლოთი გამარჯვებასა"; ღვინო ყოველგვარი უკურნებელი სენის წამალია; გულშეწუხებული შეყვარებულიც, თუ ღვინოს დალევს, შვებას იგრძნობს და სიმღერას დაიწყებს.

ასეთია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის მთელი შინაარსი. სწორედ ამ ლექსისადმი მიბაძვით იწერება ილიას „ჩემი თარიალალი", მაგრამ მასში ალექსანდრე ჭავჭავაძის „მეხამბაზი ლათაიურის" მკვეთრად გამობატული ეპიკურეულტულ-ანაკრეონტული ხასიათი სრულებით წაშლილია. დარჩენილია მარტოოდენ გარეგნული ფორმა, ხოლო შინაარსი, როგორც მივუთითეთ, პატრიოტული და ანტიმონარქიულია. მართალია, ილიას ლექსი თითქმის სტრიქონ-სტრიქონ მიჰყვება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს, მაგრამ სულ სხვანაირადაა გადმოცემული აზრებითა და შეხედულებებით.

1937 წლამდე ილიას ეს ლექსი შეცდომებით იბეჭდებოდა (პირველად 1936 წლის „ლიტერატურულ საქართველოში", № 12), ხოლო შემდეგ სხვა გამოცემებშიაც. პავლე ინგოროყვამ შეძლო იმის დადგენა, რომ ლექსის ტექსტში გაუშიფრავი „ც".. ნიშნავს „ცარს" და არა „ცენზორს", როგორც ეს პირველ პუბლიკატორს მოეჩვენა.** ახლა ლექსი გამართულია და მისი შინაარსი სავსებით გვაძლევს იმ კვალიფიკაციის უფლებას, რომელიც მას ენიჭება.

ილიას ლექსში „ბახუსის" ადგილზე „მამულის სიყვარულია", „ზამთრის" ნაცვლად „ცარი" და ა. შ. მთელი ლექსი უალრესად პატრიოტული, ანტიმონარქიული ხასიათისაა და მასში ის ძირითადი იდეაა ჩაქსოვილი, რომ სამშობლოს ბედნიერებისათვის ქართველმა თავი უნდა გასწიროს. ეს კონცეფცია სავსებით ეთანხმება 60-იან წლებში ჭაბუკ ილიას მსოფლმხედველობის მაგისტრალურ ხაზს, რაც უკვე დახასიათებული გვაქვს, და ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ მონობის, დამცირების წინააღმდეგ, სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლა ილია ჭავჭავაძემ სრულიად ჭაბუკმა, სრულიად ახალგაზრდამ დაიწყო მტკიცედ, მედგრად, თავდაუზოგავად.

ახლა გავეცნოთ „ჩემი თარიალალის" სრულ ტექსტს. ფორმით იგი იწყება და გრძელდება მთლიანად ალექსანდრე ჭავჭავაძისებურად:

---

* სახელწოდება დღემდე სადავოა, ვინაიდან საეჭვოა ღავით რექტორის განმარტება—„ლათაია თათრულია; გარდმოვლით გიობა, გინა კრიტიკა" — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს უდგებოდეს. იქნებ მართლაც „ლოთური" უნდა იყოს და არა „ლათაიური"? კერძო ბარათშიც ხომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს თვითონ უთქვამს ამ ლექსზე: „ეს ლოთური ლექსიაო"? (იხ. ი. გრიშაშვილის შენიშვნები. გვ. 260—261).

** საკითხის დაწვრილებითი ისტორია იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 737—744.

...ბე, ძმანო! ნეტავი ჩვენა, პარიალალი,
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი.
მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვაყენა.
რაგინდ ერთ ცარი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.
მინდა ვსთქვა, კალამი მამე,
ცენსორო დასტური დამე,
მოხება კაცთ არ შეშვენის,
ქრისტეა აბის მოწამე.
ცარმა რა ეჭიდა ინება
მორჭმულ კაცის დამონება,
თვის სხეული კერპად დასვა.
სული ეშმაკთ მიანება.
ჰე, ძმანო! ჩვენ მას განვმორდეთ,
ჩვენ ჩვენ მამულს ვეპატრონნეთ,
ქართველს ვაჩვენოთ ქართველობა,
მერე თენდა დავიზოცნეთ.
თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვით დაგვიდგება,
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკედება.
თუ ჩვენში ძმობა იქნება,
საქმე აბსად წაგვიხდება,
აგერ თვით დიდი ეზოპი
თაკვის ზღაპრით შემოწმება.
ჰე, ძმანო! ვიყვეთ ერთ ბედით,
წიხა წავიდეთ გაბედვით.
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
თეისის ბრმა წინასწარ ხედვით.
დავეჭიდნეთ ჩვენის ძებნასა.
ემაგ ფუჭსა დიდებასა,
ჩინოვნიკი სულ ძილს ფიქრობს
და ჩვენ კი — გამარჯვებასა.
ვემსხვერპლნეთ ქრისტესა მცნებას,
ეაშოროთ ქართველი მონებას,
ქართველს უბრალო მადლობა
გვეპირვნეოს ყოველ დიდებას.
ჰე, ძმანო! თქვენც მეთანხმებით
ამგვარის აზრის ხსენებით,
სიბრიყვის კარი გავტეხოთ
მონარქთა გამოჯარებით.
ამა სოფლისა ცხოვრება
განყოფით არ იპოვება,
ვინცა ძმობით არ ყოფილან,
მათ მოხვედრიათ მონება.
მაშ მოდით ისევ ძმობითა.
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევსწიროთ
შვილურის ერთგულებითა.
თუ დავესწრათ გაზაფხულსა,

ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,
მეტი ჯილდო რაღად ვეთხა,
თუ ვსპეტრეტთ მამულს გაფურჩქვნილსა.
ჰე. ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,
თუნდ სამოთხე მით დაეკარგოთ,
მხიარულების სიმღერა
თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ.
ქართვლის ქვეყნისა ვართ შვილნი,
ქართვლის ბუბუთი გაზრდილნი!
მა'მ მოდით ქართველნო, ძმობით, პარიალალი,
ეიშროშოთ ჩვენთვის ერთობით, თარიალალი!"*

სრული იდეური კონტრასტი ილიასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის დასახელებულ ლექსებს შორის იმდენად ნათელია, რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. ფორმით ეს ერთნაირი ლექსები, სრულიად განსხვავებულ შინაარსს შეიცავენ. მართალია, ილიას კარგად ესმოდა, რომ „...საზოგადო ყოფისაგან ამოკვნესილი სიტყვა და ნუგეშმცემელი იმედი უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების ჭირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა",** მაგრამ მასაც „მოქალაქური გულისტკივილი" რომ აწუხებს, სრულიად უეჭველია. ეს მოსაზრებანი ილიამ არა მარტო თავის კრიტიკულ წერილებში გამოთქვა. არამედ, ჯერ კიდევ ადრე, სტუდენტობის დროს, 1860 წელს დაწერილ მშვენიერ ლექსში — „ალექსანდრე ჭავჭავაძე". თუ რა სწორი ალღო ჰქონდა ილიას წინამორბედი ქართველი მწერლების შეფასებაში, მარტო ამ ნაწარმოებითაც შეგვიძლია დავინახოთ. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს პუშკინის სიტყვები ჟუკოვსკიზე: «Его стихов пленительная сладость пройдет веков завистливую даль». თუ აქ, პუშკინის სიტყვების გამოყენებით აღნიშნულია ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის უმთავრესი და უძირითადესი თვისება-ღირსებანი, სამაგიეროდ, თვით ილია ჭავჭავაძის ლექსში სრულად არის წარმოდგენილი დიდი ქართველი რომანტიკოსი პოეტი: ნაჩვენებია მისი ლექსების როგორც სპირადო-ლირიკული, ისე საზოგადოებრივ-სამოქალაქო ხასიათი. აი ეს მშვენიერი ლექსიც:

„მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკრის. ჰლაღობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით.
ხან იფეთქებს ჰაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკლავად,
ტრფობის ისრით განაწონი;

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 742—744.
** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი (ერთტომეული), 1957 წ., გვ. 437.

ხან ჰრბის ველად, მარტოდ ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნაღელიანად
დიფიკრებით გოგჩის ტბასა
და ემღერვის მწუხარის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა"...*

მაგრამ ყველა პოეტთან შედარებით ძლიერი გავლენა ილია ჭავჭავაძეზე, როგორც მითითებული გვაქვს, არა ალექსანდრე ჭავჭავაძის, არამედ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიამ იქონია.

პოეტური შემოქმედებით ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ღირსეულ მემკვიდრედ მოევლინა ქართულ ლიტერატურას.

III

პირველად აკაკი წერეთელმა შენიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი ნათესაობა. ჯერ კიდევ ადრე, 1865 წელს დაწერილ კრიტიკულ სტატიაში — „რამოდენიმე სიტყვა „ჩანგურის" შესახებ",** აკაკი წერეთელმა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს „ორი პირველი მწერალთაგანი" უწოდა. აკაკიმ გაბედულად წამოაყენა სრულიად ახალი აზრი, რომ „...ბარათაშვილი და ჭავჭავაძე სწორედ ერთს ტახტზედ სხდომის ღირსები არიან, ერთგვარი დამსახურება აქვსთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთ გვარათ დაუვიწყრები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია! ერთის სიტყვით, ეგენი არიან მოსე და აარონი ჩვენის ლიტერატურისა".***

როგორც თვით ილიამ პირველმა გაიგო თუ რაში მდგომარეობდა ბარათაშვილის პოეზიის სიდიადე, გაიგო და პირველმა უჩვენა მკითხველს „მერანის" ავტორის ისტორიული დამსახურება, ისე აკაკიმ პირველმა იგრძნო ილია ჭავჭავაძის პოეზიის არსებითი ღირსება და პირველმა მიუთითა, რომ ილია ჭავჭავაძე „...არის ბარათაშვილის მოკანანახე და მისი დიდი ღირსებაც ამაზედ არის დაფუძნებული. ყოველს მის ლექსებში ვხედავთ ქართველების ტანჯვას და გოდებას, მაგრამ რა საგანიც უნდა აიღოს ტანჯვის გამოსახატავად, მოქმედ პირათ მაინც თვითონ არის".**** ამ მოსაზრებას აკაკი ასაბუთებს კონკრეტული მაგალითებით თვით ილია ჭავჭავაძის პოეზიიდან და ახლა ჩვენც ამ მაგალითებს უნდა მივმართოთ.

ილია ჭავჭავაძის პოეზია ერთ-ერთი უმშვენიერესი ფურცელია ქარ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. I, 1937 წ., გვ. 55.

** იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI, 1960 წ., გვ. 29—33.

*** იქვე, გვ. 21.

**** იქვე, გვ. 30.

თული ლიტერატურის ისტორიაში. მთავარი დამახასიათებელი თვისება პოეტის ლექსებისა, დიდ პატრიოტულ ღელვასთან ერთად, ღრმა აზრი და ასევე ღრმა გრძნობაა, რასაც აძლიერებს „ქართული რიტმის ენობრივი შეგრძნობა და ისეთი ეშხით მოქნევა სტრიქონისა, რომელიც ბღაჭიაშვილის ხმალივით ბასრი და ელვარე იყო“.*

ყველა ეს თვისება პოეტმა შეინარჩუნა როგორც ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებებში, ისე თარგმანებში. ილია აღებს ქართული პოეზიის ახალ კარს სრულად ახალ სინამდვილეში; მოაქვს ეროვნული, სახალხო შეგნების ამაღლებული იდეები და ყველაფერს სამშობლო ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს უქვემდებარებს. მსოფლიო ლიტერატურაშიც კი იშვიათია შემთხვევა, რომ პოეტი თავიდანვე ისე ნათლად გამოკვეთილი, იდეურ-მხატვრულად ისე მოლიანი, ერის შინაგანი არსების ისე ღრმად და ფართოდ გამგები ყოფილიყო, როგორც ილია ჭავჭავაძე. „როცა ილია ჭავჭავაძე ასპარეზზე გამოვიდა, — სამართლიანად შენიშნავს არტურ ლაისტი. — მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა იყო, უკვე ჰქონდა თავისი გარკვეული მსოფლმხედველობა. სამშობლოს მაშინდელმა მდგომარეობამ დინჯ და ფიქრიან ჰყო იგი, და როცა მან სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო, მტკიცედ ჩაინერგა გულს, რომ თავისი ნიჭი და შრომა თავისი ერის აღმაღლებისათვის შეეწირნა“.** წამოყენებული დებულების საუკეთესო მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ოცი წლის ჭაბუკის მიერ დაწერილი ერთ-ერთი პირველი ლექსი „ყვარლის მთებს“, რომელშიაც პოეტი სამშობლოს ეთხოვება, შორეულ ქვეყანაში მიემგზავრება უმაღლესი განათლების მისაღებად, რათა შეძენილი ცოდნით კვლავ მშობელ ერს დაუბრუნდეს ვალის მოსახდელად.

ეს იყო 1857 წელს, პეტერბურგში გამგზავრებასთან დაკავშირებით, ხოლო, თუ მაშინ რას გრძნობდა, რას განიცდიდა ჭაბუკი პოეტი, იშვიათი გარკვეულობით, ღრმა გრძნობითა და ასევე ღრმა იდეებით დაგვიხატა პროგრამული მნიშვნელობის მქონე პატრიოტულ „ყვარლის მთებში“.

მაგრამ, ვიდრე ამ ლექსს განვიხილავდეთ, უაღრესად საინტერესოა გავიცნოთ პოეტის უფროსი დის — ნინო ჭავჭავაძე-აბხაზისადმი ილიას წერილი, რომელიც პეტერბურგში გამგზავრებამდე ყვარელშია დაწერილი. ჩვენამდე მოღწეული ამ წერილის მცირე ფრაგმენტი და ილიას „ყვარლის მთებს“ იმდენად ეახლოვდებიან ერთმანეთს, რომ ეტყობა ეს განწყობილება პოეტის არსებას მოსვენებას არ აძლევდა. .....ვაპირობ წასვლას რუსეთში. — სწერს ილია თავის დას, — მაგრამ, შენმა გარდამ. ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენი ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის საკიამოვნო მოგონებებითა. ერთის სიტყვით. ვესალმები ყოველაფერს, რაჲც არის ჩემის გულდამ დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუ-

---

* ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, 1952 წ., გვ. 270.

** არტურ ლაისტი, საქართველოს გული, წიგნი მეორე, 1927 წ., გვ. 140.

გეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დროჲს შავ ღრუბელში აღუპრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას, შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისაგან...“*

თუ რუსეთში გამგზავრებამდე ასე სწერდა ილია თავის დას, ასე მტკივნეული იყო მისთვის სამშობლოს მიტოვება, საგულისხმოა, რომ „უ ვ ა რ ლ ი ს მ თ ე ბ შ ი ა ც“ მსასოებელი სიტყვებით ეთხოვება სამშობლო ქვეყანას, მშობლიურ ამაყ მთებს, რომელთა დავიწყება არ შეუძლია. ის ხომ ყრმობიდანვე მათ შეეზარდა. ცნობიერების გაღვიძებასთან ერთად იგრძნო მათი სიდიადე, სიმაღლე, არამარტო ფიზიკურ, არამედ; სულიერად ამ ა მ ა ღ ლ ე ბ ე ლ ი და! შთა მ ა გ ო ნ ე ბ ე ლ ი, თავისი გრანდიოზულობით რაღაც დ ი ა დ ი ს ა კ ე ნ მომწოდებელი:

„მე თრთოლვით ესპკრეტდი ლაჟვარდ ცაზედ თქვენსა სიმაღლეს
და შევნატროდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყად გრიგალთ ქროლასა,
სადაც წუთოთა ჭარავანი, ცას დაღუპული.
თქვენ თავთან იყო თითქოს ძლივ-ძლივ გასწორებული, —
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხეთო სუბუქსა ქარსა,
ან თავისუფალ არწივსა ძლერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შეეხო თქვენს ამაყ თავსაც.“**

ეს ჰაბუკური გატაცებით აღსავსე განეზომელი სურვილი მშობლიურ მთათა მწვერვალებზე აფრენისა, მათი წვდომისა, ქარისა და თავისუფალი არწივის ძლიერი ფრთების ხელმოხვევისა ძალიან მკაფიოდ გვაგრძნობინებენ ღრმა ა ლ ე გ ო რ ი უ ლ ა ზ ს, რომელიც ამ პოეტურ სტრიქონებში ყმაწვილური პირდაპირობით არის გამჟღავნებული. და ყველაფერი უკავშირდება კეთილშობილურ, სპეტაკ პ ა ტ რ ი ო ტ ულ გ რ ძ ნ ო ბ ას, არამარტო ეს ცადაწვდილი, მაღალი მთები, არამედ. მათთან ერთად ბუნების მრისხანე სტიქიონებიც დრტვინვით, ზათქითა და ღრიალით მშობელი ქვეყნის წიაღში შინაგანად დაბეჭდებულ გამანადგურებელ ძალებს რომ თავსა ხდიან. რათა ჟრჟოლა მხოლოდ იმისთვის მოგვგვარონ, რომ მხნეობა განვიმტკიცოთ. პოეტისათვის ყველაფერი ეს ნაცნობი, მშობლიური, ახლობელი იყო:

„როცა ჰღმუოდნენ ხევში ღომთა სასტიკი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ღომთა საშინლი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში გვრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს“.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. X. 1961 წ., გვ. 7. იხ. პ. ინგოროყვას შენიშვნები ამავე ტომში გვ. 471—472.

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 3.

მაგრამ სწორედ ამ მშობლიურისადმი სამსახურის მოვალეობა აიძულებს პოეტს დროებით განშორდეს საყვარელ მთებს — ყრმობის მეგობრებს, თუმცა ეს მისთვის ყველაზე უფრო უარესი სასჯელია, ვიდრე შეიძლებოდა ვალის მოსახდელად სხვა რაიმე მონახულიყო. ეს პოეტისათვის არ არის გამოწვეული მარტოოდენ „ვალით ამ წუთის-სოფლის“, არა, თვით სამშობლოს „მ ო მ ა ვ ლ ი ს ბ ე დ ი“ მოითხოვს საყვარელ თანშეზრდილ მთებთან განშორებას და პირველად ჩვენ აქ ვხვდებით ილიას პოეზიაში „მ ო მ ა ვ ლ ი ს ბ ე დ ს“, მ ო მ ა ვ ა ლ ზ ე ფიქრს, ოცნებას, რაც შემდეგ მთელი მისი მხატვრული შემოქმედების, საზოგადო მოღვაწეობის ქ ვ ა კ უ თ ხ ე დ ა დ გადაიქცა.

ამ ფიქრებითა და აზრებით, ამ ღრმა განცდებით გამოეთხოვა ჭაბუკი ილია ჭავჭავაძე სამშობლოს, რომლისადმი უანგარო სიყვარულის გამომხატველი სიტყვებით მთავრდება ეს მშვენიერი ლ ი რ ი კ უ ლ-პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი ლექსი:

I

„მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განვაებთ თავსა...
ეცხოვრებდამ კვლავ მოგაწვდენთ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგიღიმებთ შორს ჭეყანიდამ თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული“.

ეს სიყვარულით მფეთქავი გული, სამშობლოსაგან მოშორებული, მშობელი ხალხის სამსახურში ისე იწვოდა, როგორც ა ნ თ ე ბ უ ლ ი ს ა ნ თ ე ლ ი. არის რაღაც საერთო: თუ უცნაურად დაკავშირებული „ყვარლის მთებში“ პოეტის აღსარებასა და იმ სანთელს შორის, რომელსაც პეტერბურგში მყოფმა ილია ჭავჭავაძემ სწორედ იმავე 1857 წელს მშვენიერი ლექსი მიუძღვნა.

„ს ა ნ თ ე ლ ი“ მთლიანად ალეგორიულია, რასაც თვით ლექსის უკანასკნელი ტაეპი ამჟღავნებს: ადამიანის სიცოცხლე, მისი ბრძოლა, არსებობა შედარებულია ანთებულ სანთელთან, რომელიც შემდეგ თანდათან ქრება, რჩება „ძ ვ ა რ ი პ ა ტ რ უ ქ ი“, როგორც ადამიანის (არსის) გარდაცვალებას ძ ა ლ ო დ ღ ა „გამხმარი მტევნი“ დააგვირგვინებს.

ეს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი თვალთახედვა სრულიად არ იყო შემთხვევითი, მით უფრო, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების რუსეთში, სადაც იმ დროს ილია ჭავჭავაძე უმაღლეს განათლებას ეწაფებოდა, მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი წარმოადგენდა პროგრესულ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობას. გ ე რ ც ე ნ ი ს საბუნებისმეტყველო ნარკვევებმა, ბ ე ლ ი ნ ს კ ი ს ლიტერატურული მოღვაწეობის მეორე პერიოდის კრიტიკულმა წერილებმა. შემდეგ ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს. დ ო ბ რ ო ლ უ ბ ო ვ ი ს, პ ი ს ა რ ე ვ ი ს ა და ზ ა ი ც ე ვ ი ს ბრძოლა მატერიალიზმის გაბედულმა ქადაგებამ, სრულიად უეჭველია, გავლენა იქონიეს ჭაბუკ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობრივ განვითარებაზე.

ყოველივე ამას თან ერთვოდა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში რაზნოჩინელთა დემოკრატიულ-უტოპიური დოქტრინა, რასაც ილია თავიდანვე მოწ ი ნ ე ბ ი თ შეხვდა. ცხადია, სამშობლოს იმდროინდელი მდგომარეობის სრული გათვალისწინებით. ადამიანის დანიშნულება წარმოდგენილ იქნა მშობელი ერის, მშრომელი ხალხის ჰირვარამისადმი უანგარო სამსახურის ასპექტში და ბრძოლა გამოეცხადა პირადი კეთილდღეობისათვის ეგოისტურ, ანგარებით აღსავსე ზრუნვას, როგორც არისტოკრატიულ ინდ ი ვ ი დ უ ა ლ ი ზ მ ს და ამდენად სრულიად ანტისახალხო მოვლენას. მართალია, „ს ა ნ თ ე ლ ში“ „კაცი ძლიე-

რი“ არარაობად იქცევა, მისგან „ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი“ გვრჩება. მაგრამ ეს ლექსი მარტო ამ სენტენციას კი არ შეიცავს; თავის ნეგატიურ აპოთეოზში იგი პირველყოვლისა იმას გვანიშნებს, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანისაგან „გამხმარ მტვერთან“ ერთად მისი საქმე უნდა დარჩეს, თუ მას სურს დამწვარი სანთელივით უკვალოდ არ გაქრეს. სწორედ ეს იდეა ამოძრავებს პოეტს ერთი წლის შემდეგ. 1858 წელს დაწერილ უცნაური ძალის ლექსში „ქართველის დედას“, რომელშიაც მომავლისადმი სამსახური ორგანიულად დაკავშირებულია ისეთი შვილის აღზრდასთან, „რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“.

ასეთი მაღალი. საერთო-სახალხო იდეებით შთაგონებული პოეტი, რომელიც „სანთელში“ ადამიანის დანიშნულებას ალეგორიულად გვანიშნებდა, განურჩეველი ვერ დარჩებოდა იმ ლორთქაფა ეგოისტებისადმი, რომლებიც ხალხს ძარცვავდნენ. „სამართალს ფულით სჩრიდნენ“, „გროშისათვის კაცს გაჰყიდდნენ“ და „ძმას ორმოს გაუთხრიდნენ“. ამ სიტყვებს, როგორც სიკვდილის შემდეგ აღსარებას, ილია ალაპარაკებს ერთ ასეთ იმდროინდელ გაიძვერას. მაგრამ ეს არის „ხმა სამარიდამ“, ვინაიდან პოეტს სურს მათთვის ამ ქვეყნად ადგილი არ იყოს, ისინი მხოლოდ სამარეში განისვენებდნენ. ლიტერატურის ისტორიაში ეს ნაცნობი, თანაც ორიგინალური ფორმაა და ილია მას ძალიან კარგად იყენებს, როცა ხალხის უსინდისო მძარცველს სამარიდან ალაპარაკებს, რომ იგი გლეხებს საზრდოს ართმევდა, შიმშილისაგან მისი სიკვდილი არ ენაღვლებოდა, ობლის ტირილი არ ესმოდა, სხვისი გლოვა სიმღერად მიაჩნდა, არ ინდობდა წვრილ-შვილიან გლეხთა ქვრივებს, მხოლოდ ვერცხლის ბზინვას შეეძლო იგი შეეჩერებინა, რომ კაცისათვის, რომელიც იხრჩობოდა, ხელი არ ეკრა, იყო მექრთამე, მლიქვნელი, სიკვდილს შემდეგ საიქიოშიც რომ ქრთამებზე ოცნებობდა:

„ერთგული ყმა ფულებისა,
მტვრადა ვდევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!..
შეიბრალეთ ჩემი გვამი!..
თუ ოდესმე ვინმემ ჰნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ“.*

შეადარეთ ეს ორი „მტვერი“: პირველი — ლირიკული „სანთლისა“ და მეორე — სატირიკული ლექსისა „ხმა სამარიდამ“, რომელიც ილიამ „სანთელიდან“ სულ რაღაც ათი-თერთმეტი დღის შემდეგ დაწერა! განსხვავება ისე ნათელია, რომ კომენტარი სრულიად ზედმეტი იქნებოდა. მაგრამ ამ კონტროვერზოში ჩანს პოეტის მთელი მორალური კოდექსი — კაცურ-კაცობის დანიშნულება, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ. ეს იყო ილიას საზოგადოებრივი იდეალი, პიროვნების ღირსებათა შეცნობა, რასაც თავისი სრული სარბიელი თავისუფლებაში უნდა ეპოვნა. ამ თავისუფლების პირველი გაელვება „ყვარლის მთებში“ გამოჩნდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ „გაზაფხულში“, რომელსაც სიხარული მოჰქონდა. ბუნებას ათასფრად აშრელებდა. სულდგმულს ეანაცოცხლებდა და ატკბობდა. ბულ-

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 7—8.

ბულს საამოდ ასტვენდა, ხოლო წყარო, ყინვის ხუნდებისაგან თავდახსნილი, „მადლს უბდიდა თავისუფლებას“. მაგრამ ამ საერთო ბედნიერების ჟამს მხოლოდ პოეტის გული წარმოადგენდა გამონაკლისს:

„ყველა ჰყვავდება,
ყველა ახლდება,
რა ჰხედავ ტკბილ დღეს —
გამოცოცხლდება, —
და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება,
არც გაცოცხლდება!“*

რამ მოუკლა გული ჰაბუკ პოეტს, ან რატომ ფიქრობს, რომ მისი გულისათვის აყვავება ან გაცოცხლება სავსებით გამორიცხულია? იმ საერთო უბედურებამ, თავისუფლების თრგუნვამ და კაცურ-კაცობის უმოწყალო თელვამ, რაც პოეტმა იმავე 1858 წელს დაწერილ ლექსებში — „ჩიტსა“ და ჰუმანიზმით აღსავსე „გუთნის-დედაში“ ასე ოსტატურად წარმოსახა. პირველი ლექსი, ისევე როგორც „გაზაფხული“, განადიდებს ბუნების. საძყაროს უშუალობას, რომელსაც ყველა პირობა გააჩნია ბედნიერება გაამეფოს, სულდგმულს არსებობის, სიხარულის, ლაღად ცხოვრების სიამენი მიანიჭოს, თავისუფლების ნექტარს აზიაროს, მაგრამ ადამიანური ცხოვრების უწესრიგობანი, თავისუფლების დევნა, ბოროტი ძალის თარეში ბორკავს, სპობს, არარაობად აქცევს ბუნების მიერ ბოძებულ ნიჭთა სიკეთეს. ლაღად მონავარდე უბრალო ჩიტსაც კი, რომელიც თავისი გალობით ქვეყანას ატკბობს, თავისუფლებას ართმევენ. ამიტომ მოთქვამს ეს უწყინარი ფრინველი:

„მინამ ვარ უფლად
ჩემის თავისა,
მზიარულ სტუმრად
ვარ მაისისა, —
და როს ცდუნებით,
ძალდატანებით,
გალიას ჩამსმენ,
მშვ-დობით, ველო,
მაშინ აღარ გსტვენ.
საწყალობელი
დალონებული,
ფრთებდაშეკრული
დავიწყებ ჭკნობას,
სიკვდილის ხმობას...
და ველო, შენსა
გაჰღვ-ძებელსა
შენს ჩიტს პატარას
მალე ნახავ მკვდარს.
რაი სურს კაცსა,
რომ მიბამს ფრთასა?
თავისუფლება ჩიტის ჰშურდება?!“**

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 10.
** იქვე, გვ. 12—13.

მაგრამ ვინ გაიგონებს ამ გოდებას, როცა თვით მშრომელი ადამიანი, თავისუფლებაწართმეული და დამონებული, პირუტყვზე უფრო მძიმე, უფრო მტანჯველ, უფრო სავალალო მდგომარეობაშია. შეხედეთ გუთნისდედას, მის კრთებას, მოისმინეთ მისი ღრმააზროვანი დიალოგი უღელში შებმულ ლაბასთან და თქვენ მაშინ მიხვდებით, თუ რატომ იყო პოეტის გული ესოდენ განგმირული უსიხარულოდ ან რატომ მოსთქვამდა ასე მწარედ ძთელი მისი შინაგანი სამყარო.

ილია ჭავჭავაძემ ისე ღრმად ჩაგვახედა ყმა გლეხის ტანჯვა-ვაებაში, ისეთი სიბრალული აღუძრა მკითხველს მიწასთან გასწორებული მშრომელი ადამიანისადმი, ისეთი გრძნობა, ფილოსოფიური აზრი ჩაქსოვა მთელ ლექსში, რომ „გუთნის-დედა“, ოცდაერთი წლის ყმაწვილი კაცის მიერ დაწერილი. შეიძლება პოეტური ძალის მხრივაც გამონაკლისად მივიჩნიოთ. ძნელია აქ გაარჩიოთ რა უფრო ძლიერია — გრძნობა თუ აზრი, აზრი თუ გრძნობა. ორივე თითქოს შეერთებულა ერთ არსებად, იდეტურნი გამხდარან. რომ მკითხველის სულ მიყუჩებული გულის სიმებიც კი მძლავრად შეატოკონ, შეიჭრან მის სულიერ სამყაროში, ააფორიაქონ და ათქმევინონ: ადამიანებო, რას სჩადიხართ, თქვენ, განცხრომას რომ ეძლევით, ნუთუ დაგავიწყდათ, თქვენივე ძმა, პირუტყვივით უღელში შებმული, პირუტყვზე უფრო დაბეჩავებული, უფრო ტანჯული, უფრო იავარქმნილია. ყური დაუგდეთ მის ყაუბარს ლაბასთან, რამდენ რამეს გეუბნებათ იგი თქვენ, რამდენ ფიქრსა და ოცნებას აღგიძრავთ მძაფრ ტკივილებთან ერთად ბატონყმური სინამდვილის საშინელებათა წარმოდგენით!

მხოლოდ დიდ ჰუმანისტსა და კაცთმოყვარეს, დიდი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულს შეეძლო ასე განეცადა და ასე ოსტატურად წარმოეჩინა ბატონყმური ცხოვრების არაადამიანურ პირობებში მშრომელი კაცის — გლეხის მთელი მტანჯველი ოდისეა. და რას ეუბნება გუთნის-დედა თავის ლაბას? ისინი, მართალია, ერთ ბედ ქვეშ არიან გაერთიანებულნი, მაგრამ მეტყველი ყმა-გლეხის ხვედრი, მისი უღელი უფრო მძიმეა, ვიდრე პირუტყვ ლაბასი:

„ერთს ბედ ქვეშა ვართ, ლაბავ. მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჯაბანი ჩვენი,
უსიხარულოდ დაღლილთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დაეყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყველსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ. ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება....
რად მინდა ხმალი. თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დაშიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
როცა აჩეჩოს მარტო მიწანი

და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?
მე ჩემს ჯორის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუღილის
სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ კვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჰაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..“*

ძალმომრეობამ დაჩაგრული ადამიანი არამარტო პირუტყვთან გაათანასწორა, მას წაართვა „ზეცა“ — სამართლიანობის, ბედნიერების, ჰეშმარიტების, აბაღლებულის სიმბოლო; დაუტოვა მხოლოდ მეტყველება, პირუტყვისაგან ერთად-ერთი განმასხვავებელი ნიშანი, მაგრამ ამით კიდევ უფრო დაჩაგრა მორალურად, ვინაიდან არაფერია იმაზე უფრო მტანჯველი, რომ მეტყველი იყო და თქმა არ შეგეძლოს; რა ფასი აქვს მჭრელ ხმალს, თუ სიმართლის წინაშე დაჩლუნგებული აღმოჩნდება; რა სიკეთეს მოგვიტანს გუთანი, თუ იმ მავნებელ ბალახს არ მოთხრის, რომელიც სიცოცხლით გაღვივებულ თესლს ამოსვლას უშლის? დაჩაგრული ადამიანი — ყმა გლეხი, მთელ ცხოვრებას შრომასა და კირთებაში რომ ატარებს, მთელი არსებით გრძნობს უსამართლობის ბორკილებს, მაგრამ გულში დაგუბებული ბოღმა ვერ უთქვამს, ტანჯვა-ვაების გამოხატველი სიტყვები გულშივე უხმოდ ჩაუკლავს. და რაოდენ საშინელია ეს განცდა: გრძნობდე უსამართლობას, გესმოდეს სიმართლე, მისი სიტყვები კი უშედეგოდ დასტოვო იქ, სადაც ისინი იბადებიან — გულში — კაცურ-კაცობის ამ ყველაზე გრძნობიერ ბარომეტრში. ამიტომ მიიჩნია ილია ჭავჭავაძემ ყმა-გლეხის უღელი ლაბას უღელზე უფრო მძიმედ, თუმცა ადამიანობის დიდ ტრაგედია არსებობისა და სიცოცხლისაკენ, როგორც ცხოვრების მძლავრი ფენომენი, ასეთ უმძიმეს პირობებშიაც ხელუხლებლად დატოვა — ყმა-გლეხი მაინც ებრძვის მიწას, შრომობს, თავის ერთგულ ლაბასაც აქეთკენ მოუწოდებს და ეუბნება სიცოცხლის შენარჩუნებას: „ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა, ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..“

მაგრამ რა არის ცხოვრება? მარტოოდენ შრომა და ზრუნვა არსებობისათვის? მარტოოდენ „მოწყენილი ცხოვრება“, როგორიც ილიას წარმოუდგა თვალწინ 1858 წელს დაწერილ „ს ი მ ღ ე რ ა შ ი“? არა, მიუხედავად იმისა, რომ პოეტი ა წ მ ყ ო ს ა გ ა ნ კეთილს არ მოელოდა, წ ა რ უ ლ ი ც ამ მხრივ აწმყოს ეთანხმებოდა, უხილავი მ ო მ ა ვ ლ ი ს ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი კი ჰაბუკის „ობლად მკურავ ნავს“ დიდ ზღვაში ჩაღუპვით ემუქრებოდა, რითაც ყველაფერი დამთავრდებოდა — წაიშლებოდა „ურგები კვალი“, — ილია ჭავჭავაძე ამ პერიოდში უკვე ამყარებდა ბრძოლისა და ხალხისადმი სამსახურის დაუცხრომელ

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937, გვ. 14—15.

სურვილს; მიაჩნდა, რომ საბრალოა ადამიანი, რომელიც თავის ცხოვრებას უკვალოდ ამთავრებს, ვერავის ვერაფერს არგებს:

„თუ ეს მაქვს ვარდუვალი,
ვსწყევლი ჩემს შობის წამსა.
რად მინდოდა სელა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხედა ხვედრად?..
ვინც კი ეგრეთ მსვლელია,
შესაბრალებელია!..
ორსა ობლად მცურავსა
მე და ჩემს მცირე ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!"*

ეს მოტივები იმდენად დამახასიათებელი, იმდენად ორგანიულია ამ პერიოდის ილია ჭავჭავაძის პოეზიისათვის, რომ ანალოგიური განწყობილებები გვხვდება არაერთ ნაწარმოებში. საკმარისია დავასახელოთ იმავე 1858 წელს დაწერილი ლექსი „მ ა რ ტ ო მ ი ვ ც უ რ ა ვ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ზ ღ ვ ა შ ი", რომელიც „ს ი მ ღ ე რ ი ს" ვარიაციას წარმოადგენს. აქაც პოეტი თავის თავს ვვიხატავს ცხოვრების ზღვაში მარტოდ მარტო მყოფს, აქაც ერთგვარი შიშის გრძნობაა — არ დაიღუპოს, რაკი გამოუცდელია, მაგრამ მიაჩნია, რომ თუ მისი არსებობა ასე „ურგები კვალით" დამთავრდება, მაშინ ის დატირებისა და ცრემლების ღირსიც არ იქნება. ეს უკვე ახალი მოტივია „სიმღერისაგან" განსხვავებით, ვინაიდან იქ ასეთი ადამიანი შებრალების ღირსად მაინც იყო მიჩნეული, აქ კი არა. პირველში მუდარაა, მეორეში — შედარებით აქტიური განწყობილება:

„რა რიგ მაქანებს ზღვა გამოუცდელს
და მათამაშებს თვის მსხვერპლს წარუველს:
ვიცი, როს კი სურს, გადამკრაჲს მძლავრს ხელს
და ჩამღუპავს მე თვის ციესა სიღრმეს;
და ურგებს ჩემს კვალს იგი სიჩქარით
სწრაფად დაჰფარავს ზვირთთა კამარით...
თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ვეღირები!.."**

თუ ეს „ურგები კვალი", რომელსაც ცხოვრების ზღვა „ზვირთთა კამარით" სწრაფად დაჰფარავს, პოეტს სინანულისა და დატირების ღირსადაც არ მიაჩნია, რამდენიმე დღის შემდეგ, 1858 წლის 19 ნოემბერს იწერება ლექსი — „დ ა ე თ უ ნ დ მ ო ვ კ ვ დ ე, ა ხ ა რ მ ე შ ი ნ ი ა ნ", რომელშიაც ისევ ამ „კვალის" პრობლემა დგება მთელი სიღრმითა და სიმწვავით. თავდაპირველი „უ რ გ ე ბ ი კ ვ ა ლ ი" აქ გადაქცეულია „ს ა რ გ ებ კ ვ ა ლ ა დ", რომელიც მომდევნო თაობებმა უნდა ნახონ. და თუ ისინი ამ კვალს მიიჩნევენ ეცხოეთში მყოფი პოეტის მიერ „თავისი ვალის" აღსრულებად, ხოლო მის საფლავზე „დაყუდებული ქართველი" თუნდ ჩუმის ხმით გულწრფელად იტყვის: „იყავ მშვი-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 16.
** ი ქ ვ ე, გვ. 28.

დობით შენს მყუდრო ძალში! შენ გიბრძოლია, როგორც უნდოდა“ და „შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდაო“, — მაშინ სიკვდილიც საშიში აღარ არის. ამ „ქ ვ ა ლ ი ს“ მოკალაქეობრივი შეგნებისა და ეროვნულ განზოგადებამდე აყვანის დიდებული მანიფესტაციაა გენიალური ლექსი „ქ ა რ თ ვ ლ ი ს დ ე დ ა ს“, რომელიც ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში ყოფნისას 1858 წლის 15 დეკემბერს დაწერა. ჩვენ პირდაპირ გაოცებული ვდგევართ ამ ლექსის, როგორც მთელი ეპოქის უდიდესი ძეგლის, წინაშე და ვეკითხებით ხოლმე ჩვენს თავს: როგორ შეიძლო სრულიად ჭაბუკმა პოეტმა, ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა, ასე მძლავრად გამოეთქვა მთელი თავისი ე რ ი ს ფიქრები, განცდები, მომავალზე ზრუნვის, წარსულისა და აწმყოს ისტორიული ჭეშმარიტებით განსჯის ფილოსოფია. „ქ ა რ თ ვ ლ ი ს დ ე დ ა ს“ ისეთი ნაწარმოებია, რომელიც საუკუნეებში ერთხელ იწერება, როგორც მთელი ეპოქის დიდებული პოეტური ქარტია. ძნელია დაიჯერო, რომ მისი ავტორი ოცდაერთი წლის ჭაბუკი იყო, თითქოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, მაგრამ საოცრად მთლიანი, საოცრად ერთიანი, როგორც მსოფლმხედველობით, ისე პრაქტიკული მოქმედებით. რა სწორად და რა ნათლად განსჭვრიტა მან თავისი ერის ისტორიული ყოფა, რა გარკვევით დაუსახა წინსვლის გზა და გაუნათა ყველაზე სახიფათო მოსახვევები. მთელს ლექსში საქართველოს წარსული ისე ორგანულადაა დაკავშირებული აწმყო ვითარებასთან, ისეა გამოკვეთილი მომავლის კონტურები და ერთადერთი მასთან მისასვლელი გზა, რომ ეს დიდებული პიმნი, ეს უკვდავი საგალობელი. ეს მშვენიერი ქარტია პროგრამად დაედო ახალ თაობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მაგრამ განა ერთი თაობისათვის ჰქონდა მას მნიშვნელობა? განა ყოველი დროის პროგრესული თაობისათვის მისალები არ იქნებოდა ეს დიდებული აზრები:

„მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...*

ცხოვრება ერთ წერტილზე გაიყინებოდა, წინსვლა არ მოხერხდებოდა, საზოგადოებაში რომ არ ჩნდებოდნენ განახლების, ძველის მსხვრევისა და ახალი ვარსკვლავისადმი მისწრაფების ტენდენციები. მართალია, წარსულში ბევრი რამ არის დიდებული და დაუვიწყარი, მაგრამ თუ მან თავისი თავი ამოსწურა, მაშინ ახალი უნდა დაიბადოს, თუ გვინდა ძველთან ერთად არ გავიყინოთ. ძველად ქართველის ძუძუს მამულს უზრდიდა შვილს, რომელსაც დედის ნანასთან ერთად მთის ქვითინიც გმირად აქცევდა. მაგრამ ის დრო გაჰქრა, „დიდმა ნაღველმა, კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა“ საქართველოს სიცოცხლის ძალა მოუსპო. მისი „შვილიც ჩრდილად შესცვალა“, და პოეტი ჰგოდებდა:

„მითხარ, — სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 30.

სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?"*

აღარ არის, მაგრამ ტირილითა და გოდებით წარსულს ვერ დავიბრუნებთ, ერთადერთი ხსნა იმაშია, რომ ვიზრუნოთ მომავალზე, ხალხს მომავალი მივცეთ, ვის შეუძლია ამ მომავალს რეალური საფუძვლები შეუქმნას? ქართველობას დედას, რომლის „დანიშნულებას და საღმრთო ვალს" პოეტი იმაში ხედავს, რომ აღზარდოს შვილი, მის სულს ძალა მთაბერკს, შთააგონოს „კაცთა სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება". ასე აღზრდილ შვილს სიკეთისთვის გული უნდა უთრთოდეს და მომავლისთვის ბედთან ბრძოლაც შეეძლოს. ამგვარი ნერგი თავის ნაყოფს მოგვცემს და დედისადმი ქართველის ვედრებაც ის არის, რომ მან ისე აღზარდოს შვილი,

„რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განთლებული".**

ამ განათლებულ კვალზე მომდევნო თაობებმა უნდა გაიარონ, და სრულიად უეჭველია, რომ ილია ჭავჭავაძის ეს ფილოსოფიური დოქტრინა ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის" იდეური გაგრძელებაა შედარებით ახალს დროსა და ასევე ახალს პირობებში. რა ეუყოთ, თუ ეს გზა რთული და ძნელია. თავდაპირველად ყოველთვის თავს იჩენს გარდუვალი სისუსტე, გამოუცდელობა. დაღუპვის საფრთხეც. მაგრამ ბედთან ბრძოლა, მომავლის იმედი, გამარჯვების რწმენა ისეთი მძლავრი მორალური ფაქტორებია, რომლებიც საბოლოო მიზანთან მიგვიყვანენ.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ილია ჭავჭავაძე ამ მიზნისათვის ერის თავდადებული შვილების აღზრდას, ნათლად ჩანს არამარტო „ქართვლის დედის", არამედ, სხვა მთელი რიგი ნაწარმოებების მაგალითზე. კერძოდ, 1859 წლის 13 აპრილს დაწერილ ლექსში „ნანა". აქაც ქართველი დედა დგას ჩვენს წინაშე, რომელიც აკვანში ჩაკრულ ყრმას ნანას დამღერის და მომავალზე ოცნებობს. რა არის მისი სურვილი? ის, რომ შვილი აღზარდოს მამულისათვის ერთგულ მებრძოლად. ჯერ ის ჩვილია, პატარაა, მაგრამ, როცა გაიზრდება, „ყრმობის სიზმრები" სამშობლოსათვის „ბრძოლაზედ გაეცვლება". რაკი იგი გაიგებს დაჩაგრული მამულის „კვნესის ხმასა მწუხარეს", გული აუღელდება და „დედის ნანა ხმლის ჟღერად შეეცვლება". და დედა, ნანასთან ერთად, ყრმას შთააგონებს: გული ცეცხლით აინთე, მტერს მეხად დაეცი, ან მამულს მსხვერპლად დააკვდიო. რად მინდა შვილი, თუ მამულისთვის არ მოკვდება! ვისაც თავისი ძე სამშობლოსათვის არ შეუწირავს, თუ ეს საჭირო იყო, „იმ ვაგლახ დედას შვილი არ ჰყვარებია!" ეს დედა კი აკვანთან ასე დამღერის თავის ყრმას:

„ჩემის მამულისათვის
შე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისი სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 30.
** იქვე, გვ. 31.

მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!..“*

ეს სიკვდილი — უკვდავებაა, და დედის ნუგეშად ის რჩება, რომ მამულისათვის კაცი გაუზრდია, ხოლო ეს „კაცი კაცად ჰკვდება“. განა იმაზე დიადი რა უნდა იყოს, რომ მამულიშვილი თავისი სიკვდილით თვით სამშობლოს სიკვდილს დასთრგუნავს:

„თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არის,
შვილო, მას უერთგულე,
რაც მე სიტყვით გითხარი —
შენ საქმით აღმისრულე!“**

ამ პატრიოტულ ტენდენციას ილიას პოეზიაში ძალიან ფართო ადგილი უკავია. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ყველაფერი ეს პოეტს დაკავშირებული აქვს ადამიანობასთან, ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნებასთან და ყველგან ის აზრია გატარებული, რომ თავდაპირველი უღონობა, სისუსტე, გამოუცდელობა, გაუბედაობა თანდათან უნდა შეიცვალოს ძალის მოკრებით, სისუსტის დათრგუნვით, გამოცდილებითა და გამბედაობით. 1858 წელს დაწერილ მეორე „ლოცვაში“ ილია ჭავჭავაძე დემონს სწორედ ამიტომ უკუაგდებს და ღვთაებას ევედრება განარიდოს „თავსს მაცდურს“. რომელიც აღსავსეა „ურწმუნოების, უკუ-თქმისა და მაცდურობის საწამლავით“ ხოლო თუ ეს პოეტის გამოცდაა, მაშინ მის „უძლურ სულს“, „ბედის ტრიალით“ დაღლილს, უკვე აღარ შეუძლია აიტანოს და უზენაესისადმი რჩება მხოლოდ თხოვნა:

„განჰკრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავნ ნება, უფალო, შენი!“***

მაგრამ ეს პასიური ვედრება ხშირად იცვლება საბრძოლო განწყობილებით, პირდაპირ ბარათაშვილისებური თავგამეტებითა და ბედთან შეუპოვარი ბრძოლით. ამ მხრივ მშვენიერ ილუსტრაციას წარმოადგენს 1859 წლის 19 იანვარს დაწერილი ლექსი — „გავსწორდეთ ბედო!“, რომელშიაც პოეტი ბედს არ ემორჩილება და მასთან „ანგარიშის“ გასწორებისათვის სრულ მზადყოფნას აცხადებს.

მაგრამ ეს ბედი ხშირად ისე ცვალებადია, ისე ტანჯავს პოეტს, მოსვენებას არ აძლევს, ყველაზე სანუკვარსა და საყვარელს ხელიდან გამოსტაცებს ხოლმე. რომ სასოწარკვეთილების უკუსაგდებად რეალური საფუძველი აღარ რჩება. ისევ ახლდებიან გულისა და სულის ჭრილობანი, ისევ სევდა იპყრობს

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 43.
** იქვე, გვ. 44.
*** იქვე, გვ. 25.

ჭაბუკი პოეტის არსებას, ისევ „ობოლი თავის“ დაობლებული გოდება ისმის, როგორც 1859 წლის 19 თებერვალს დაწერილ ლექსში — „ვაი, მას“... რომელშიაც ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილისებური ღრმა გრძნობით მოსთქვამს:

„ვაი, მას — ვისაც ვაძლევდი მხსნელ სრულ ჯანსაღ
ჩემს თავს. სიცოცხლეს, გრძნობას, სურვილსა,
ის აღარ პყვავის ამა ბნელ ქვეყნად,
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა!..
გამიჭრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,
კელაც დამიობლდა ობოლი თავი,
წამერთო ყველა, და ნუგეშად დღეს
მარტოღა ცრემლნი მე დამშთენიეს“.*

ეს ცრემლი მართლაც ვინმე ახლობლის გაცივებულ ცხედარს ედინება, თუ პოეტური გოდებაა — ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: ორივე შემთხვევაში პოეტის სუბიექტურ განცდას პიროვნულთან ერთად საზოგადოებრივიც თან ახლავს და მისი ლირიკული სიმღერა თითქმის ყოველთვის ზოგადს გვანიშნებს.

პიროვნული და საზოგადოებრივი, „მე“ და „არა მე“ ისე ორგანულად ექსოვება ერთმანეთს ილია ჭავჭავაძის პოეზიაში, რომ ძალიან ხშირად შეუძლებელი ხდება ისინი ერთმანეთს დავაშოროთ ან ცალკე განვიხილოთ. მაგრამ ჩვენ შეცდომას დავუშვებთ, თუ ყოველივე ამას მივიჩნევთ ილია ჭავჭავაძის მარტოდენ პოეზიის — მისი ლექსების დამახასიათებელ ნიშნებად. პოეტის მთელი შემოქმედება, მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამ მხრივ გამოირჩევა, სულ ერთია, ლექსია იგი, მხატვრული პროზა თუ ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნაშრომი.

დიდი სულიერი ღელვა, ზოგიერთი პიროვნული დაბრკოლებანი, სამშობლოზე ფიქრი და სევდა ილია ჭავჭავაძისათვის 60-იან წლებში იმდენად დამახასიათებელია, რომ ჭაბუკი პოეტი ხშირად სასოწარკვეთილებამდე მიდის. ამ პერიოდის ლექსებში ოპტიმისტურ განწყობილებებთან ერთად ჩვენ გვესმის ღრმა პესიმისტური ჰანგები, რაც კიდევ უფრო გაძლიერებულია ეროვნული გრძნობების გარდა, ანარქიული სოციალური წყობის საშინელი სურათების წარმოდგენით. ირგვლივ გამეფებული ძალმომრეობა, იერარქიულ კიბეზე შემდგარი, როცა არამარტო ძლიერი სუსტს სჩაგრავს, არამედ ძლიერიც თავის მხრივ იჩაგრება მასზე უფრო ძლიერისაგან, სუსტი კი ორმხრივ ჩაგვრას განიცდის — ძლიერისა და უფრო ნაკლებად სუსტისაგან, რომელმაც იგი სძლია — საშინელი სოციალური სინამდვილეა, რაც პოეტს გულს უმღვრევს, აკვნესებს და აშფოთებს. ესაა ბოროტების თარეში ზევიდან — ქვევით, ქვევიდან — ზევით, თითქოს ყველაფერი უფსკრულში გადაეხეხილიყოს, როგორც ერთმანეთზე მიყრილი დანგრეული ქვეყნები, რაც პოეტმა სიზმრად იხილა.

1858 წელს დაწერილი ლექსი „სიზმარი“ მართლაც კოშმარული სურათებითაა სავსე. ამ სურათთა შორის თქვენ ერჟოლას მოგგვრით დანგრეულ ქვეყნებთან ერთად „რისხვა წყეველისა, შეჩვენების და განგდებისა“, შეგა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 40.

ურობათ მზე — სისხლის ტბად, სისხლის ფიალად რომ ქცეულა, ხოლო ვარსკვლავები ჯოჯოხეთის უფსკრულს ანათებენ. რაღაც კოსმიური ჭაოსის მსგავსია, როცა პოეტი გვეუბნება, თუ როგორ მოსცურავდა ჯოჯოხეთი, ხოლო „მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა საშიშ გრიალით უგზო-უკვლოდ წანწალებდნენ ტრიალით მალით“. პირდაპირ დანტეს ჯოჯოხეთზე უფრო საშინელი სურათია. პოეტს რომ აუწერია: მზიდან მომდინარე სისხლი ღვარად ედინება სიღრმეს, საიდანაც „ალი ჯიგრის ფრად“ ამოდის; ნგრეული ქვეყნები ამ ალში არიან გახვეულნი, ირგვლივ კი გაისმის ღვთის რისხვის ხმა, როგორც „მძაფრი და ყრუ გრიალი“; „გრიგალთა, ცეცხლთა, წყალთა, ხმელთა ერთად მოდენა“, „წყეულიმც იყავ, წყეულიმც!“ ამის მოსმენა პოეტს ისეთ საშინელ სურათს წარმოუდგენს, რომ მის წინაშე ყველა „კაცებრ მხდალად“ დამონებული ხდება, მათ შორის „ჩვეულებრივ სულით ძლიერი“ დემონებიც კი „იმ შეჩვენებულ ქვეყნებში“ ხესავით თრთიან; ისინი, სავსებით ადამიანების მსგავსად, „ურთიერთსა კბილით ხორცს“ ჭლეჯენ; ყველა ელის, რომ სიკვდილს ხელები „განუშალოს“, მოიწვიოს, როგორც „უკანასკნელი ნუგეში“, რომელსაც შეუძლია ყოველივე ეს მოსპოს. მაგრამ სიკვდილიც გაოგნებული ჩანს, რაკი „თვის მეზობა“ გაღვიძებაზე უარს ამბობს და „იმა ქვეყნებს ღვთის რისხვას“ ანებებს. სრულიად უეჭველია, რომ ეს ალეგორიული ხასიათის ლექსია. გადაიტანეთ მასში წარმოსახული სურათები იმდროინდელი სოციალური ცხოვრების სფეროში, შეუფარდეთ ადამიანურ ტანჯვას, რომელსაც თვით პოეტი აგვიწერს, და თქვენ დაინახავთ საოცარ მსგავსებას ამ „სიზმარსა“ და ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის.

ასეთი ცხოვრების ერთი მეტად დამახასიათებელი სურათია გადმოცემული 1860 წლის 12 ივლისს დაწერილ კლასიკურ ლექსში „მუშა“. ამ ნაწარმოებით ქართულ პოეზიაში პირველად ჩნდება ქალაქის ყველაზე დაჩაგრული არსება, ყველასაგან დამონებული ადამიანი, რომლის შესახებაც შესანიშნავად თქვა ნეკრასოვმა — «В труде проходит жизнь его и не приносит ничего». სწორედ ეს სიტყვები აქვს ეპიგრაფად წამძღვარებული ილიას ლექსს და მთელი მისი შინაარსი ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს.

ვინ არის მუშა, რომელსაც პოეტი გვიხატავს არაადამიანურ, ტრაგიკულ სურათებში? იგი ჯერ კიდევ არ არის სამრეწველო კაპიტალიზმის პირობებში ფაბრიკანტისა და თუ მექარხნის მხრივ ექსპლოატაციის ობიექტი, მაგრამ ბედი ამ ლუმპენ-პროლეტარიისა, რომელსაც არაფერი გააჩნია, ნაკლებად სავალალო როდია, ვიდრე მისი მომდევნო თაობისა. ასეთი ადამიანების ხვედრი შესანიშნავად გამოხატა ნეკრასოვმა 60-იან წლებში, ხოლო რევოლუციურ-დემოკრატიულმა პოეზიამ, რომლის განვითარებაც მჭიდროდ დაუკავშირდა თვით ნეკრასოვის სახელს, მძაფრ ფორმებში ასახა ბედი განწირულთა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა. სწორედ ამ პოეზიამ და ირგვლივ გამეფებულმა საშინელმა სოციალურმა სინამდვილემ შთააგონეს ჭაბუკ პოეტს გამოეხატა ჯერ კიდევ ფეოდალიზმის არტახებში მოქცეული ქალაქის ყველაზე დამცირებული ადამიანი, რომელიც შესაძლოა ბატონის მათრახს გამოექცა ხოფლიდან ან უნებლიედ გადმოსტყორცნა „მუხთალმა ბედმა“.

ლექსის პირველივე ნაწილი იმდენად კოლორიტულია, იმდენად მთლიან სურათს გადაშლის, ამავე დროს, ისეთი ღრმა გრძნობებით, განცდებითა და აზრებით აავსებს მკითხველის გულს, რომ შეუძლებელია წაკითხვისთანავე მას

უდიდესი თანაგრძნობა არ გაეღვიძოს თავის არსებაში, თუ გააჩნია ან შერჩენილი აქვს თუნდაც ელემენტარული ადამიანური კეთილშობილება, გულმოწყალება, კაცთმოყვარება. განა შეიძლება არ შევიბრალოთ ის კაცი, რომლის მთელი ცხოვრება მარტოოდენ შრომა და ტანჯვაა, ის კაცი, რომელსაც არსებობის სულ უბრალო პირობები არ გააჩნია, ის კაცი, რომელიც მთელ დღეს ოფლს ღვრის, ქუჩაში აღამებს და ქუჩაშივე ათენებს? პოეტს ერთბაშად შევყავართ თავისი ტანჯული გმირის უბედურებაში, რათა მისდამი ჩვენი ღრმა თანაგრძნობა გამოიწვიოს, ექსპოზიციაში კი მთლიანად სახიერდება გმირის პორტრეტიცა და ოდისეაც:

იგოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
შე ჩამივლია... ჩემო მუშაე, მინახვიხარ შენ
ქუდელთან მწოლი: მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დაბტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე"?*

ჰპოვა ის, რაც საგლეხო რეფორმის შემდეგაც გაძვალტყავებული სოფლიდან ქალაქისაკენ ბედის საძიებლად დაძრულმა უზარმაზარმა მასამ: უბინაობა, სიმშილი, დაუსრულებელი ტანჯვა, მთელი ოჯახების უსაშინელესი ამოწყვეტა. უფრო ადრე ეს ბედი გაინაწილეს ბატონყმობის უღლიდან გამოქცეულმა ადამიანებმა, როგორც ილიას ამ მუშამ, რომელსაც ქალაქში არაფერი გააჩნია, გარდა ფიზიკური ენერგიისა. იგი მუდამ ტვირთ-ქვეშ მოკაკულია, პატიოსან შუბლზე „ოფლი წურწურით" ეღვრება, ადამიანებს ეშმით მისი „შეგუბებულის სულის... დაღლილი ქშენა", ხედავენ, რომ მძიმე ტვირთის ქვეშ მას მუხლი ეკეცება, მაგრამ ვინ შეიბრალებს? პირიქით, ადამიანური თანაგრძნობის ნაცვლად ფეხის ყოველ ნაბიჯზე ეს განწირული არსება დამცირებასა და გვემას განიცდის. როგორც ადამიანი, იგი „კერძოა ღვთისა", მაგრამ მეორე, — ცხოვრების გალაღებული „კერძო ღვთისა" მას შეუბრალებლად ექცევა. „დიდკაცის დროშა" ვერც კი ამჩნევს მძიმე ტვირთის ქვეშ ილაჯგაწყვეტილ მუშას, შეუბრალებლად დაეტაკება, წააქცევს ტომრიანად, ხოლო გამვლელი ხალხი, შებრალება-დახმარების ნაცვლად, ხმამაღალ ხარხარს აყრის გათელილ ადამიანს. და პოეტი მრავლისმეტყველად დასძენს:

„რასც მაშინ ჰგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა;
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავ დუმილით შიხვდ. წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი. — გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს — და არავინ არა გშველიან!.."**

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 52.
** ი ქ ვ ე, გვ. 53.

ეს ტრაგიკული სურათი, ასე ოსტატურად და გულში ჩამწვდომად წარმოსახული, თანდათან ძლიერდება, როცა ავტორი თავის მრავალტანჯულ გმირს თვალწინ გვიყენებს უკვე ვალმოხდილად. მაგრამ რა? მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტანჯვით პატრონს ტვირთი მიუტანა, ისედაც მცირე საზღაურის მიცემაც კი მისთვის შურთ. ხშირად ფასს უკლებენ შიშველ, მშიერ, მწყურვალ, უბედურ ადამიანს, რომელმაც „ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით“ იყიდა. და მის თხოვნას — „ნუ მიტეხ ლუკმასო“, პატრონი ყურადღებას არ აქცევს, რაკი იგი უღონოა, ხოლო უღონოს ყველა იბრიყვებს. აქ ანტაგონისტური საზოგადოების მთელი სოციალური ფილოსოფიაა გამოთქმული, ისიც ნაჩვენებია, რომ მდიდარი — მდიდარს მეტს მისცემს, ღარიბს კი „გროშზედ შეევაჭრება“, იმ ღარიბს, რომელსაც „ერთის გროშით დღე“ ემატება. ეს ფილოსოფია უფრო ადრე, წელიწადნახევრის წინათ, ილიამ პოემა „აჩრდილში“ ჩამოაყალიბა, და შეუძლებელია ჩვენ არ ვიგრძნოთ დიდი იდეური ნათესაობა „აჩრდილსა“ და „მუშას“ შორის.

ეს ლექსი მთელ პოემად ღირს, მძაფრ სიუჟეტთან ერთად, დიდი იდეური ძარღვით გამოირჩევა, და უშუალოდ მოგვაგონებს „აჩრდილის“ ფილოსოფიურ, სოციალურსა და მორალურ კოდექსს, როგორც მისი ორგანიული ნაწილი თუ ბუნებრივი გაგრძელება. განა უფლისა და მონის, ბატონისა და ყმის, დიდკაცისა და საწყალი მოძმის შეპირისპირება, რაც „აჩრდილში“ ასე ძლიერი პოეტური ყალმით წარმოისახა, როცა პირველი ყოველთვის ჩაგრავს, ატყუებს, აკლებს, შეუბრალებლად ექცევა მეორეს — „მუშის“ ცოცხალი სურათებიც არ არის? შესაძლოა ეს ლექსი „აჩრდილის“ ცალკე ერთი თავიც იყო, მაგრამ ავტორმა ამჯობინა დამოუკიდებელ ნაწარმოებად ექცია, რაკი მასში კონკრეტული სახე წარმოსდგა, ხოლო „აჩრდილში“ ყველაფერი ზოგადობის ასპექტით გადაწყდა. მართალია, მაშვრალი ორივე ნაწარმოებში ერთნაირად ტანჯული, ერთნაირად დამცირებული, ერთნაირად გაყვლეფილი და დასჯილია, მაგრამ, თუ „აჩრდილში“ მყოობადი მარტოოდენ ამ უკანასკნელისაა, ესაა პოემის ერთ-ერთი კვენტ-ესენცია, „მუშა“ არ გვაგრძნობინებს ანალოგიურ ოპტიმიზმს, შესაძლოა იმიტომაც, რომ იგი პოემის ერთი სურათი იყო, მის ანსამბლში მომავალი ჰქონდა სხვა პასაჟებთან ერთად, ხოლო, როცა ცალკე ამოღებულ იქნა, ეს ოპტიმისტური ხაზიც გაჰქრა. სამაგიეროდ, ლექსი მაინც თავიდან-ბოლომდე მთლიანი, იდეურად და მხატვრულად მჭიდროდ შეკრული გამოვიდა, რაკი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა ტვირთმზიდავი მუშის ტრაგიკული სახე, მისი არარა ყოფნა, ასევე არარა აღსასრული და ამ მომენტების ძლიერი ხაზგასმით მისადმი მკითხველის ღრმა თანაგრძნობა გამოეწვია ჩვენს მოსაზრებას სავსებით ადასტურებს ლექსის ფინალი:

„შენს სიცოცხლესა დაღამება ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუხის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგაჯახებს მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაფტირებენ საბრალონი შენნი შვილები,

ამოდ მათკენ სიყვდილის ეამს გაწუდი ხელსა.
მოპკუდები და მსწრაფულ ჩაგვედავენ საკაცეშია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშუებენ სამარეშია!
ყგრეთ უბრალოდ გაფუჭდები, — და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოგონებს შენს „აქ“ ყოფნასა“.*

ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია არ ვიგრძნოთ ღრმა სიბრალული დავრდომილთა და ცხოვრებისაგან განაწამებ ადამიანთადმი, თანაგრძნობა არ გამოვუცხადოთ მაშვრალთა და ტვირთმძიმეთ, დახმარების ხელი არ გავუწოდოთ ან მათთან ერთად ტანჯვა არ განვიცადოთ. ლექსის მიზანიც ეს იყო — ეს გრძნობები და ეს განცდები გამოეწვია ჩვენს არსებაში. და როცა მოსწავლის მერხზე ამ ლექსს ვსწავლობდით, ჩვენ ხომ მან გაგვიძლიერა ჩაგრულთადმი სიბრალულთან ერთად სიყვარული, რომელიც შემდეგ აღარ მოგვშორებია. თაობები აღიზარდნენ ამ ნაწარმოებზე; თაობათა ხსოვნაში დაიდო ბინა „მუშის“ ჰუმანიზმით აღსავსე დოქტრინამ, ხოლო, თუ რა გავლენა მოახდინა ქართულ პოეზიაზე, საკმარისია მარტოოდენ ერთი ფაქტი გავიხსენოთ: ჩვენი რომანტიზმის veteranმა, უფროსი თაობის წარმომადგენელმა გრიგოლ ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძის „მუშის“ გავლენით, ჩვიდმეტი წლის შემდეგ. 1877 წელს დაწერა „მუშა ბოქულაძეს“, ეს ერთ-ერთი მშვენიერი ნაწარმოები, ნამდვილად ობოლი მარგალიტი მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა.

IV

ეს მძაფრი სოციალური პრობლემატიკა ილია ჭავჭავაძეს ისევე აწუხებდა, როგორც ეროვნული საკითხი, სამშობლო ქვეყნის იმდროინდელი ყოფა და ვითარება. იყო რაღაც საერთო ამ ორ ასპექტში, ერთის მხრივ, დაჩაგრულ ადამიანსა და, მეორეს მხრივ, დაჩაგრულ სამშობლოს შორის. პარალელები თითქოს ბუნებრივად თანხვდებოდნენ, ერთი ბადებდა მეორის გახსენებას, ხოლო ორივე ერთად ჰქმნიდა მძიმე სურათს, რომლის წარმოდგენა გულისტკივილს იწვევდა. სამშობლო ყველა ადამიანისათვის, თუ ის ნორმალურია, უსაყვარლესი რამ არის; ადამიანს არ შეუძლია უსამშობლოდ ცხოვრება. გადახვეწილი კაცი. სამშობლოს მოწყვეტილი, ტანჯვის შვილია და მას შორეთიდან კიდევ უფრო მიმზიდველი ეჩვენება თავისი ქვეყნის ფანტასტიკური პანორამა. ტყუილად როდი უთქვამს გრიბოედოვის გენიას: „სამშობლოს კვამლიც ტკბილი და სასიამოვნოაო“. სამშობლოს უზადო და უნაპირო სიყვარულში იზრდებოდა ილია ჭავჭავაძის პოეტური შთაგონებაც. სამშობლოსაგან მოშორებული პოეტი შორს, უცხოეთში, ისევ სამშობლოზე ფიქრობდა, ისევ სამშობლოს ცა ენატრებოდა; ხედავდა დინჯად მცურავ მთვარეს, რომელიც თავის მკრთალ სხივებს ქვეყნადა ჰფენდა; ხედავდა მშვიდ ძილში უხმოდ მყოფ სოფელს; მის გარშემო ყველას ეძინა — ნიავსაც და ფოთლებსაც, ყველა ტკბილ ძილს მისცემოდა. ირგვლივ ყველას მშვიდობა ეფინებოდა, მხოლოდ პოეტის გული, ურვით მოკლული, მწუხარედ შესტიროდა მას:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 53—54.

„მისთვის ხომ არა, რომ ჯაჭვრეტ სხვა ზეცას.
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა,
ზეცა სულ სხვა ფრად გაბრწყინებული
და სულ სხვა რიგად დამშვიდებული".*

ეს ლექსი — „უ ც ხ ო ე თ შ ი" დაწერილია 1858 წელს, ხოლო ცოტა უფრო ადრე, იმავე წელს იწერება „გ ი უ ვ ა რ დ ე ს", რომელშიაც პოეტი საერთოდ სიყვარულს განადიდებს. ეს არის სიყვარული, როგორც ადამიანის უმაღლესი გრძნობა, იგი არ არის კონკრეტულად გააზრებული და მხოლოდ ზოგადად გამოხატავს სიყვარულს, რომელიც ადამიანს უნდა ახასიათებდეს. აქ უთუოდ არის სიყვარული არამარტო სატრფოსადმი, არამედ, სამშობლოსადმი, პირველყოვლისა მშობელი ქვეყნისადმი. მართალია, გახვეული ქრისტიანული მრძწვრების სამოსელში, მაგრამ იმდენად ამაღლებული, რომ იტევს საერთო სიყვარულს, თავისი უთვალავი განშტოებით, როგორც უნივერსალური ადამიანური გრძნობა:

„კაცო გიყვარდეს!
ცათ შთაგომძახეს,
როს მათ დამბადეს.
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
სცემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!.."**

სიყვარულის ეს დიდი გრძნობა ამღერებდა ილიას სამშობლოზე და იგივე გრძნობა განაცდევინებდა იმ ტკივილს, რომელიც 1860 წელს დაწერილ ლექსში „მ წ უ ხ ა რ ე ბ ა" ასე კარგად გამოხატა. ეს ლექსი გრძნობით, განცდით, საერთო განწყობილებით, ძირითადი მოტივით სავსებით ანალოგიურია ლექსისა „უ ც ხ ო ე თ შ ი", ამავე დროს, „ე ლ ე გ ი ი ს" ელემენტებსაც შეიცავს. პოეტი აქაც გვეუბნება, რომ იმ დროს, როცა ქვეყნად და ზეცად დუმილი სუფევდა, როცა უდარდელი ვარსკვლავებიც „მოლხენით იყვნენ", იგი განიცდიდა მწუხარების საშინელ ტკივილს, მას გულში ედვა „სასიკვდილო გესლი სევდისა" მართლაც, თუ რა მძიმე სულიერ ტანჯვას შეეპყრო პოეტი. შეგვიძლია დავიხსომოთ მისივე სასოწარმკვეთი სიტყვებით:

„სული მოგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემს გვამსა ზედ-გადესხა ნავთი მდუღარე,
ძარღვნი სჭედებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით
ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე".

ასეთი საშინელი, მძიმე გულისტკივილი ძალიან მოგვაგონებს დ ა ვ ი თ რ ე ქ ტ ო რ ი ს, ს ო ლ ო მ ო ნ მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ი ს და ქ ე თ ე ვ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს უკიდურესი პესიმიზმით აღსავსე ლექსებს.*** ილიას მწუ-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 22.

** იქვე, გვ. 18.

*** დაწვრილებით იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, „კრიტიკული ეტიუდები", ტ. I, 1958 წ., გვ. 32—33.

ხარებაც უაღრესად ღრმა და უნაპირო. იგი გამოწვეულია სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობით, მასზე მტანჯველი ფიქრით, ხოლო პოეტს თავისი თავი წარმოდგენილი ჰყავს დიდი კლდის პირას მარტოდ მარტო მიგდებულ ადამიანად, რომელიც „უწყალოდ განწირულია“:

„ესე უწყალოდ განწირული და დამთომილი
ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა!“*

უფრო ადრე იგივე განწყობილება, იგივე იდეური ტკივილი გამოიხატა განმაცვიფრებელი შთაგონებით დაწერილ ლექსში — „ე ლ ე გ ი ა“. ეს ჩინებული პოეტური ღაღადისი შექმნილია „მწუხარებაზე“ თითქმის ერთი წლით ადრე და მოტივი კიდევ უფრო კონკრეტული აქვს. სავსე მთვარის მკრთალი ნათელით მოფენილი მშობელი ქვეყანა, აპათიურ ძილში რომ კენესის, საოცრად გარინდულა და პოეტს გულს უკლავს არამარტო მისი ლეტარგიული ყოფა, არამედ მშობლისა და შობილის დუმილი, როცა მათ ერთმანეთისათვის ვერაფერი უთქვამთ, თითქოს უსიტყვონი გამხდარან. ნუთუ დიდხანს გაგრძელდება ამგვარი ყოფა, ნუთუ აღარ უნდა გაეღვიძოთ, რომ საქმემ თავისი ადგილი მონახოს? და პოეტის სიტყვები:

„ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება...
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“**

მოწოდების ზარად გაისმა ჩვენი იმდროინდელი მიძინებული ცხოვრების სინამდვილეს და ქართულ ლიტერატურაში. ეს იყო გამამხნევებელი ხმა. ელეგია გვაუწყებდა რაღაც გამოფხიზლების, ერის მთელმარე ძალების გაღვიძების საჭიროებას; ქარიშხალი უნდა ამომტყდარიყო და ხანგრძლივ ძილში დაგროვილ ენერგიას თავისი მშფოთვარე გზა ეპოვნა. მთელი თავისი ცხოვრების მიზნად ილია ჭავჭავაძემ ხომ ჭაბუკობიდანვე ერის სამსახური დაისახა! მაგრამ როგორ შეიძლებოდა ამ მისიის შესრულება, თუ სიტყვას საქმე არ მოჰყვებოდა, გრძნობა აზრით არ დამშვენდებოდა, ხოლო ქვეყანა ძილს თავს ვერ დააღწევდა?

თერგდალეულებმა სწორედ ამ გამომაფხიზლებლებისა და გამომაღვიძებლების, ახალი ქვეყნის მაბაროზლების როლი იკისრეს. ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ისინი ეკვეთნენ ძველს, წინ წამოსწიეს ახალი და ერს თავისი ძალების განახლებისათვის გზა უჩვენეს. ეს გზა ს ა ქ მ ი თ უნდა ყოფილიყო გაცისკროვნებული, როგორც 60-იან წლებში რაზნოჩინელებმა პირდაპირ მოითხოვეს ფრაზებიდან საქმეზე, სიტყვიდან მოქმედებაზე გადასვლა. დ ო ბ რ ო ლ უ ბ ო ვ მ ა დაუფარავად გამოხატა ეს იდეალი, როცა განაცხადა: „...ფრაზამ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, თვით საზოგადოებაში დაიბადა მოთხოვნილება ნამდვილ საქმეზეო“. ამ პერიოდის რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიაც

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 51.
** ი ქ ვ ე, გვ. 45.

საქმეს განადიდებდა, ხოლო შელამაზებულ ფუყე სიტყვებს, რომლებსაც უშუალოდ ხალხისათვის არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეეძლოთ, დასცინოდა და მიწასთან ასწორებდა. თვით „დობროლუბოვმა თავის ერთ-ერთ ბრწყინვალე ლექსში — «Еще работы в жизни много», სადაც კარგად არის გამოხატული რაზნოჩინელის თავდადება შრომისა და ბრძოლისათვის, პრაქტიკული იდეალის სახით წამოაყენა „ცოცხალი საქმე სიტყვების ნაცვლად" — «Живое дело вместо слов». ილია ჭავჭავაძეც სწორედ ამ დროს — 1860 წელს საესებით ანალოგიურ თვალსაზრისზე დგას, წერს ლექსს — „უსულდგმულო ცხოვრება", რომელშიაც საქმეს განადიდებს და მიაჩნია, რომ:

„ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი.
ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!.."*

სიტყვების მაგიერ ცოცხალი, პრაქტიკული საქმეების მოთხოვნა, რაზნოჩინელების მსგავსად, 60-იანი წლებიდანვე ილიას იდეას წარმოადგენდა როგორც პოეზიაში, ისე მხატვრულ პროზაში, კერძოდ, ეპოქალური მნიშვნელობის „მგზავრის წერილებში". ამიტომ იყო, რომ მისი პოეტური credo შორს იდგა „წმინდა ხელოვნების" თეორიისაგან, რაც ასე მკაფიოდ გაამჟღავნა ჰაბუკობისდროინდელ ლექსში — „პოეტი", რომელიც 1860 წლის 23 ივლისს პავლოვსკშია დაწერილი. მთელი ლექსი თითქოს ერთგვარი პასუხია ალექსანდრე პუშკინის სახელგანთქმული «Чернь»**-ისა, რომლის გამოც დიდ პოეტს სასტიკად თავს ესხმოდნენ 60-იანი წლების ნიღილისტები პისარევისა და ზაიცევის სახით. პუშკინის პოეტი ასე უპასუხებს ბრბოს:

«Подите прочь — какое дело
Поэту мирному до вас!
В разврате каменейте смело:
Не оживит вас лиры глас!..
. . . . . .
Не для житейского волненья,
Не для корысти, не для битв,
Мы рождены для вдохновенья,
Для звуков сладких и молитв».***

ბრბოს, რომელსაც პუშკინმა ამავე ლექსში «Бессмысленный народ, поденщик, раб нужды, забот», «Червь земли» უწოდა, განერიდება პოეტი, როგორც „წმინდა ხელოვნების" ქურუმი. ბრბოსათვის თიხის ქოთანი, რომელშიაც საჭმელს ხარშავს. უფრო ძვირფასია, ვიდრე ღვთაებრივი მარმარილო,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 67.

** როგორც დ. დ. ბლაგოი შენიშნავს, ლექსის სათაური პუშკინს თავიდან თხზულებების უკანასკნელ რედაქციაში (სიკვდილის წინ) გაუსწორებია და დაუწერია: „Поэт и толпа" (იხ. А. С. Пушкин, Избранная лирика, 1936 г., გვ. 223).

*** А. С. Пушкин, Избранная лирика, 1936 г., გვ. 224—225.

საიდანაც აპოლონ ბელვედერელის ქანდაკება გამოიძერწა. პოეტის ამ შენიშვნაზე ბრბოს პუშკინი ათქმევინებს ხელოვნების უტილიტარულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც ქარიგით თავისუფალი სიმღერა, ქარიგით უნაყოფო რომ არის, და არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, შეიძლება ხალხს გამოადგეს, თუ ზეცის რჩეული ხელოვანის ნიჭი ქვეყნის სასარგებლოდ იქნება გამოყენებული:

«Нет, если ты небес избранник,
Свой дар, божественный посланник,
Во благо нам употребляй:
Сердца собратьев исправляй...

. . . . . .

Гнездятся клубом в нас пороки:
Ты можешь, ближнего любя,
Давать нам смелые уроки,
А мы послушаем тебя».*

პოეტი ხალხს, თავის ქვეყანას უნდა ემსახუროს, გზა უჩვენოს მოძმეთ, მას შეუძლია, თუ ახლობელს შეიყვარებს, გაბედული მაგალითები მისცეს, შეცდებანი გამოასწოროს, თავისი ნიჭი, ცით მოვლენილმა ღვთაებრივმა არსებამ, მოძმეთა კეთილდღეობას მოახმაროს, და მაშინ ხალხი, ბრბო მოუსმენს „ტკბილ ხმასაც“ და „ტკბილ სიმღერებსაც“. ეს მოთხოვნა სამართლიანია, ხელოვნების პეშმარიტი გზა მხოლოდ ამ პარალელთან გადის, მაგრამ პუშკინის პოეტი სხვაგვარად ფიქრობს: „არა ცხოვრების მღელვარებისთვის, არა ანგარებისა და ბრძოლებისთვის, ჩვენ დავიბადეთ შთაგონებისთვის, ტკბილ ხმათათვისა და ლოცვებისთვისო“. ილია ჭავჭავაძის პოეტი კი ხალხის შვილია, მარტო „ტკბილ ხმათათვის“ არ მოვლენია ცით ქვეყანას; იგი ერის აღზრდილია, მისი წინამძღოლი, ჭირსა და ლხინში მოძმე, რომელსაც ერის წყლული საკუთარ წყლულად მიუჩნევია, მისი ტანჯვით სული ეწვის, მისი ბედითა და უბედობით მტკიცე გული ედაგება. ღვთიური ცეცხლი, რომელსაც ძველად შთაგონებასა და მუზას უწოდებდნენ, როცა მასში გაიღვიძებს, მხოლოდ მაშინ მღერის, რათა შშობელ ერს „ტანჯვის ცრემლი“ მოსწმინდოს. ილია ჭავჭავაძის პოეტი მთლიანად ხალხს, ერს ეკუთვნის და მისგან განუყოფელია. ამიტომ მას სრული უფლება აქვს ამბობდეს:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვამღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.
მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.
დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით

* А. Пушкин, Избранная лирика, 1936 г., გვ. 224.

დამელაგოს მტკიცე გული...
მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთებს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!"*

ასეთი იდეებითა და აზრებით იყო შთაგონებული ილია ჭავჭავაძე 60-იან წლებში; პოეტური credo, რომელიც ამ ლექსში გამოიხატა, არასოდეს მას არ შეუცვლია; ერის მწარე ყოფა, ფიქრი და ოცნება, ისტორიული ქარტეხილებით შეპირობებული, მისივე ფიქრი, ოცნება, მწარე ყოფა და განსაცდელი იყო. მაგრამ ქართველი ერის შვილს, მხურვალე პატრიოტს, არასოდეს ნაციონალიზმის სენი არ შეჰპარვია — ყოველთვის რჩებოდა ინტერნაციონალისტი, განიცდიდა სხვა ერების ბედსა და უბედობას. ამ მხრივ ბრწყინვალე მაგალითია 1860 წლის 29 ივლისს პავლოვსკში დაწერილი ლექსი — „მესმის, მესმის", რომელიც იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის მშვენიერი საგალობელია.

ჰაბუკობაში ილია გატაცებული ყოფილა ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლებით. ინტერესმოკლებული არ არის ვიცოდეთ, რასაც მწერალი ნიკოლოზ ნათიძე გადმოგვცემს: ილიამ „მერე მიამბო: ერთ დროს (ყმაწვილკაცობაშია) დავაპირე, ბერად შედგომაო, ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდეგილი ცხოვრებაო. მაგრამ როცა გარიბალდმა დაიწყო თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს განზრახვაო".**

გარიბალდისადმი ილიას დიდ პატივისცემას გვიდასტურებს კოხტა აბხაზიც. თავის მოგონებაში იგი ამბობს, რომ ილია „აღმერთებდა გარიბალდის...*** ხოლო, როცა გარიბალდის რევოლუციური ბრძოლის კერძოდ, 1860 წლის 5—27 მაისის ამბებმა რუსეთამდე მოაღწიეს, გასაგებია რა სიხარული უნდა განეცადა ილია ჭავჭავაძეს. რუს რაზნოჩინელებთან (ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) ერთად, რომლებიც იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის გარიბალდის ლეგენდარულ ბრძოლას აღტაცებით მხარს უჭერდნენ, ილია ჭავჭავაძე, ეტყობა, მთელი არსებით მიეცალმა „ათასი" გარიბალდელის გმირობას. გარიბალდიმ გაათავისუფლა მთელი სიცილია, რაც იტალიის გათავისუფლებისა და გაერთიანების სიმბოლოდ იქცა. სწორედ ამ მომენტშია დაწერილი ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსი — „მესმის, მესმის", რომელშიც ის ნატვრაა გამოთქმული, რომ გათავისუფლების „ეს ხმა ტკბილი" ღმერთო ჩემს მამულშიც გამაგონეო:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტკრეველისა!
სიმართლის ხმა ჭკეყნადა ჰქუხს
დასათრგუნელად მონობისა.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 59.
** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 573, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე, გვ. 564, ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

აღმერთებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მიმულში!"*

რომ ეს ლექსი ნამდვილად გარიბალდის რევოლუციურ ბრძოლას ეხმაურება იტალიის გაერთიანებისათვის, დაუდასტურებია ნიკო ნიკოლაძეს. „როდესაც ნიკო ნიკოლაძე „კრებულის" გამოცემას შესდგომია, — წერს პავლე ინგოროყვა, — იგი სწვევია 1870 წელს ილიას დუშეთში... ილიას გადმოუცია კრებულში დასაბეჭდად თავისი ლექსები; ამავე დროს ილიას წაუკითხავს ეს ლექსიც — „მესმის, მესმის სანატრელი", — და თან დაუმატებია, რომ ეს ლექსი გარიბალდის ეხება, რომ მან რამდენჯერმე სცადა ამ ლექსის დაბეჭდვა, მაგრამ ამაოდ; ცენზურა ყოველთვის იჭერდა ამ ლექსს... ნიკო ნიკოლაძეს თავის-თავზე აუღია ცენზურისათვის თვალის ახვევა, და ლექსისათვის დაურთავს ზემოთ-მოყვანილი შენიშვნა".**

ლექსის პირველ პუბლიკაციას („კრებული", № 1, 1871 წ.) თან ახლდა შენიშვნა: „ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნისო", რომელიც ნიკო ნიკოლაძეს გაუკეთებია. „...ამ განმარტებათა შემდეგ ძსპობა ის მითი, რომელიც გავრცელებულია ჩვენს მწერლობაში, თითქო ლექსი „მესმის, მესმის" გლეხთა განთავისუფლებას ეხებოდეს; ამის შესახებ ბევრჯერ თქმულა, ზოგჯერ საყვედურითაც ილიას მიმართ, რომ პოეტი უკან ჩამორჩა ფაქტებს, და რომ ეს ლექსი გლეხთა განთავისუფლებაზე მხოლოდ მაშინ დაბეჭდა, 1871-ში. როცა გლეხობა უკვე განთავისუფლებული იყოო..."*** მაგრამ თვით ლექსი, თავისი ზოგადი ხასიათით, თავისუფლად უდგება ერთსაც და მეორესაც, მასში ერთნული მოტივიც ისმის და სოციალურიც.

ეს დიდი ეროვნულ-სოციალური დრტვინვა ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებისა და აზროვნების უმთავრესი ნერვია, რომელიც არსად არასოდეს არ წყდება და მუდამ ძლიერად ღელავს. მისი პოეზია ამ მხრივ იმდენად თვალსაჩინოა, რომ პირდაპირ შეგიძლიათ მიჰყვეთ ქრონოლოგიურად დალაგებულ ლექსებს, ამოიკითხოთ ილიას იდეების განვითარება და მათი იდენტური ერთიანობა. შესამჩნევია განწყობილების ერთ ნაწარმოებში ვერ ჩატევა და რამდენიმე ვარიანტად გადმოცემა. ქვეყნის, მშობელი ერის, სამშობლოს სამსახურის იდეა, მაგალითად, იმდენად ფართო თემაა პოეტისათვის, რომ სულ მცირეოდენი ლექსების გამოკლებით, თითქმის ყველა ნაწარმოებში გვხვდება. ეს იყო ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედებისა და ცხოვრების უძირითადესი მოტივი, ქვაკუთხედი, ალფა და ომეგა. ამ იდეას ემსახურებოდა პოეტი და ამ იდეის გამარჯვებისათვის ზრდიდა ახალ თაობას. „ქართველ სტუდენტების სიმღერაშიც", 1860 წელს რომ არის დაწერილი, საფუძვლად იგივე თემაა — ქვეყნის, ხალხის, მამულის ინტერესებისათვის თავდადება. შესაძლოა, ეს ლექსი უფრო იდეალის გამოხატვა იყო, ვიდრე სინამდვილისა,

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 60.

** იხ. პავლე ინგოროყვას კომენტარები ილიას ნაწარმოებებისა თხზულებათა I ტომში, 1937 წ., გვ. 737.

*** იქვე.

პაგრამ პოეტს სურდა ქართველი სტუდენტი ისეთი ეხილა, როგორც თავის ნაწარმოებში წარმოგვიდგინა: ყველგან და ყველასთან ძმურად გამოსადეგი, როპელიც „ლხინში მოლხინეს“ მოულხენს, „ჭირში მოჭირნეს“ უშველის; ბრძენს არ ჩამორჩება, დიდს გასაქელევინებლად თავს არ დაუდებს, ხოლო პატარას მიეშველება; ძალას გულდაგულ დახვდება, სამართალს კი პატივისცემით მოეკიდება; წინსვლაში უკან არ დაიხევს, ხოლო ჩამორჩენილს არ გასწირავს; ეცოდინება, რომ „შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს“; წინ უანგაროდ იქცის და არ დაავიწყდება, რომ წინმავალნი „უკანასკნელს უნდა იქმნენ გზად და ხიდად“. მართალია, ისინი ჯერ ჰაბუკები არიან, სტუდენტობის მშვენიერ წლებში ცხოვრობენ, მაგრამ მათი მიზანი გარკვეულია:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ ვზრდით ჰაბეკს სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუჯარდებით;
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით“.*

მამულისათვის თავდადებული გმირების აღზრდა თერგდალეულთა ერთერთი ძირითადი იდეალი იყო; წარსულის, აწმყოსა და მომავლის სურათებიდან ისინი ჰკრეფდნენ ზემოქმედების მომხდენ ნიმუშებს, რათა თანამედროვეთათვის მაგალითი ეჩვენებინათ. წარსულის ერთგვარი გაიდეალება ილიასა და აკაკის შემოქმედებაში ამ მიზნით არის შთაგონებული. კ ა ნ ა ვ ო ე ლ ი ა თუ ი ა ნ ი ჩ ა რ ი, ილიასთვის იგი პირველყოვლისა ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე ბ რ ძ ო ლ ი ა, მამაცი, გაწვრთნილი მხედარი, მშობელი ერის რაინდული სულის განსახიერება. 1860 წელს დაწერილი „ი ა ნ ი ჩ ა რ ი“ („კანაოელი“), რომელშიაც ერთი ასეთი ქართველი ვაჟკაცის მშვენიერი სახეა წარმოდგენილი, ანალოგიურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. ეს ლექსი ილიას თბილისის პატრიოტულ ციკლში განსაკუთრებით გამოირჩევა. პოეტი აღწერს უცხოეთში მყოფ ქართველ მეომარს, მის მამაცობას, მხედრულ ოსტატობას, გარეგნულ სილამაზესა და გამბედაობას, მაგრამ სინანულს გამოთქვამს, რომ იგი სამშობლოს მოშორებულია, სხვას ემსახურება. სხვისი დამამშვენებელია. ქართლი ვერ ხედავს ამ თავისი შვილის „სიმარდეს, სიჩაუქეს“; ამიტომ, სამშობლოს მოშორებული „ივერიელი ჰაბუკი“, რომელიც უშიშრად მიაქროლებს „ყარაბაღულ მერანს“, პოეტის გულში ნაღველს იწვევს. მთელი ლექსი ასე ძლიერად გადმოგვცემს უცხოეთში გადახვეწილი ქართველი რაინდის მშვენიერ სახეს:

„აგერ რაზმიდან ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,
შორსა გაიფანტა თრთოლით ხმა მისმა რაშტისა ფეერამა...
მიჰქრის, მიფრინავს, მიჰკუქავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი,
მას ზედ ჯდის ივერიელი ჰაბუკი ვინმე ჩაუქი.
აგერ უეცრად რაღაცამ პაერში გაიკრიალა,
თურმე მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 61—62.

შერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
ხან ცხენიდამა ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინდებოდა.
შეენოდა იგი ჰაბუკი ცხენზედა ვით ალვარჯული,
მაგრამ ამ მის მკვრეტელს ნაღვლით ამერია სული, გული...
ვსთქვი თუ, ეისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჰაბუკს გულს არ გიხალისებს".*

ეროვნული და სოციალური ძალების დაქსაქსვით გამოწვეული სევდა, ნაღველი, ილია ჭავჭავაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე არ განშორებია. მისი წუხილი უნაპირო იყო, შეერთებული სამშობლო ქვეყნის ოდისეასთან. ტანჯვას ისიც აორკეცებდა, რომ ძალების ასეთი დაქსაქსვის პირობებში პოეტს არ შეეძლო, როცა „წუხილი უწყალო" სჩაგრავდა, ვინმესთვის მიემართა დარდების განსაქარვებლად. 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე ბარათაშვილით სულით ობლობაზე მოსთქვამს. შესაძლოა ეს ბარათაშვილის უშუალო გავლენითაც აიხსნებოდეს. ილია უფრო ადრე იცნობდა ბარათაშვილის რამდენიმე ლექსს, მაგრამ იმ დროს მოხდა ერთი საგულისხმო ფაქტი.

„მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ კალბ. დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს, — წერს კოხტა აბხაზი. — ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო: „ქართლის ბედი" და „მერანი". ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით".** ამას შედეგად მოჰყვა 1860 წელს დაწერილი უბრწყინვალესი ლექსი — „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ", რომელშიაც ილიამ გენიალური პოეტის შესანიშნავი სახე დახატა და მისი დაღუპვა დიდ ეროვნულ უბედურებად აღიარა:

„ვაი დაგკარგეთ!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყის, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგე ზღვა გული, სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარილე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნეტარებათა კოცრად ყვავილნი
ჩასკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა შიგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა".***

ბარათაშვილზე წუხილი და მისი მწარე ბედის განცდა შეუძლებელი იყო ილიას მარტოდენ წამიერად ეგრძნო. ორი დიდი პოეტის სულიერი ნათესაობა სხვანაირად ვერ გამოვლინდებოდა. ამას გვიდასტურებენ, სხვა ნაწარმოებებ-

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I, 1937 წ., გვ. 64.
** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 564. ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.
*** ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 56.

თან ერთად, 1860 წელს დაწერილი ლექსი „როცა წუხილი“... და 1861 წელს გულიდან მომსკდარი საკვირველი გოდება — „მას აქეთ, რაკი შენ დამი ვცან მე სიყვარული“. პირველ ლექსში მარტოობის გრძნობას, სულით ობლობას, მხოლოდ ერთი განსვენება ევლინება ნუგეშ-საცემად — ეს არის სიმღერა, პოეტის მწუხარებასავით „სევდით ბურვილი“, მაგრამ მისი ტანჯვის სრული მგრძნობელი და მოზიარე. სიმღერის ამ „მწუხარე ხმებში“ პოეტი თავისივე გულის ხმას სცნობს და ამიტომ მას უყვარს მისივე წუხილი. ეს არის სამშობლოზე წუხილი, რომელიც მაშინ დაიწყო, როცა პოეტმა პირველად იცნო მამულის სიყვარული. მას შემდეგ ძილი და შვება დაეკარგა; სამშობლოს ძარღვის ცემას დღე და ღამე სულგანაბული უსმენს; დაჟინებით ფიქრთა გროვა აწყდება; მის გულში „გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის“, მაგრამ ის კი არა აქვს სადარდელი, რომ იტანჯება, პირიქით, მოხარულია, რადგან მისი ცხოვრება მამულის ფიქრში, მამულის სიყვარულში „ეგრეთ ჰშვრება“. მარტოოდენ ერთად ერთი ტანჯვაა პოეტისათვის „სავალალო და სამწუხარო“: მამულის მიწაზე, ამდენ ხალხში ვერავინ უპოვია, რომელსაც ფიქრი ანდოს, თავისი გრძნობა განუზიაროს. ეს მტანჯველი ყოფა პოეტისათვის ყველაზე უფრო მძიმეა, მაგრამ იგი მაინც უსაზღვროდ ეტრფის სამშობლოს, რომელიც უცხოეთში მყოფს დღითა და ღამით ეზმანება. ღამით...

„როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მოსწყდება
და აღარ ისმის ბოროტების ხმა მოსაწყენი,
როს მშინარ სოფელს კამარა ცის ზედ გარდეშლება, —
სამხრეთის ღამევ! მაშინ მიყვარს ყურება შენი“.*

დღით, როცა „გაზაფხული“ ბუნებას აფერადებს, ტყე ფოთოლს იხამს, მერცხალიც აგერ ჰყივილს იწყებს, ხოლო ბაღში ობოლი ვაზი „მეტის ლხენითა სტირის“. ირგვლივ ყველაფერი აყვავებულია, მდელოც და მთებიც. მარტოოდენ მამული არ აყვავებულა და ამ ალეგორიულ ხატოვანებით პოეტი მრავლისმეტყველად ამთავრებს:

„მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?“

ეს ლექსი დაწერილია 1861 წლის 28 იანვარს, პეტერბურგში, სამშობლოდან მოშორებით, მაგრამ რა ძლიერი უშუალო განცდაა მშობლიური ქვეყნისა. მისი აღდგენის, მისი განახლებისა და განდიდებისათვის პოეტს არაფერი ეშურება. უანგაროდ ემსახურება სამშობლოს, წმინდა აქვს განზრახვაცა და სურვილიც.

ილიას „გაზაფხულს“ ძალიან მაღალი შეფასება მისცა იმ დროს ახალგაზრდა მკვლევარმა, შემდეგ ცნობილმა პროფესორმა, ალექსანდრე ცაგარელმა წერილში — „ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში“.** იმდენად კარგი და სრულია „გაზაფხულის“ ეს დახასიათება, რომ ზედმეტი არ იქნება მკითხველს მთლიანად გავაცნოთ. ლექსის ციტირების შემდეგ, ალექსანდრე ცაგარელი წერს: „ამ პატარა ლექ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 70.
** „დროება“, 1870 წ., № 2, 3, 4, 6, 7.

სის მეტიც რომ არა დაეწერა რა ილ. ჭავჭავაძესა, მაშინაც კი ადვილი მისახვედრი იქნებოდა, რომ ამის წარმომშობელი უბრალო ნიჭის პატრონი არ უნდა იყოს. — თავის მარტივი გამოთქმით, გრძნობისა და ჰაზრის სიღრმით, თავისუფალი მომდინარეობით, ზმნისა და სახელი არსებითის სიმდიდრით, რომლებიც საგნებსა და იმათ მოქმედებას გამოხატავენ, აგრეთვე რითმის კეთილხმოვანობითა და ნამდვილი სახალხო-ნაციონალური ლექსის მაგალითი არის და ამ უმაღლესი ღირსებით და თვისებით ეს ლექსი ღირსია ჰქონეს კალმისა!.. ამ მოკლე ლექსში რამდენიმე სიტყვით, მთელი ფიზიკური ბუნების განახლება არის ასე ცხადათ, ნათლად, მარტივად (როგორც საზოგადოთ ხალხი ხატავს თავის გრძნობათა), წარმოდგენილი, და ამ გაახლების მშვენიერი ნიშნები ასეთის მახვილ გონიერებით ჩამოთვლილი: „ტყე, რომელიც ფურცელს ისხამს, მერცხლის ჰყივილი, ობოლი ვაზის მეტის ლბინით ტირილი“ — რომელ ქართველს არ ეცნობა ეს „ვაზის ტირილი“ გაზაფხულზედ, — სხვა ენაზედ რომ გადათარგმნო ეს სიტყვები, გაუგებარი იქნება, იმიტომ, რომ ნამდვილი ქართული სიტყვა და ღრმა ხალხის ენა, ანუ გამოთქმა არის „ვაზის ტირილი“, ამას მარტო ქართველი გაიგებს (აგრეთვე შესანიშნია ამ ლექსში ღრმა ჰსიხოლოგიური ფაქტი: მეტი ლბინისაგან ტირილი); ცოტათ კიდევ გააგრძელებს პოეტი გაზაფხულის წინამორბედობის ჩამოთვლასა: „აყვავებულა მდელო, აყვავებულა მთები“ და ერთბაშად უსულო ბუნების განცხოველებისავან და გაღვიძებისაგან გადახედავს სულიერ და გონიერ ბუნებასა — ადამიანებსა და, რომ დაინახავს მეერთმამულებსა ისევ მძინარე და ზამთარში მყოფთა. წამოისვრის მეხისავით, მოულოდნელად ამ გულ-საკლავ სიტყვებსა: „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები!..“ როგორც მეორე ალაგას შესძახებს პოეტი:

ოხ! ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გეეჭნება ჩვენ გაღვიძება?!..

რაც ამ პატარა ლექსის „გაზაფხულის“ ლექსწყობას ან ესთეტიკურ ღირსებას შეეხება, უნდა ვთქვათ, რომ უსრულესია და ნამდვილ ხელოვნურია: თავი და ბოლო ისეთი შეკრული აქვს, რომ ყველა მიმატება, ან დაკლება ლექსს წაახდენს, — კაცმა არ იცის, — უკანასკნელი სიტყვები („მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“) იმიტომა თქვა პოეტმა, რომ წინა სიტყვებმა მოიტანეს, თუ წინა სიტყვები უკანასკნელმა სიტყვებმა, რომელთ გულისთვინ არის ნათქომი გაუგებარია, — ეს უფრო ჰეშმარიტების ახლო იქნება ვიფიქროთ, რომ ლექსის ორივე ჰაზრი და ნაწილი ერთბაშათ და უნებლიედ, თავის თავად არიან დაბადებულნი პოეტის გამოხატულებაში, ამიტომ მიბმულნი და მიკერებულნი კი არ არიან ერთმანეთზედ, როგორც განგებ, განძრახვით მოგონილ ლექსში მოხდება ხოლმე, არამედ შეთვისებულნი და შეხორცებულნი; — ამ გვარ ლექსსა, რომელშიაც მარტივი და უაღრესი დაუღლებიან და შეუკავშირდებიან, როგორც ამ ლექსში, სადაც გრძნობა უბრალო ზაფხულის (ალბათ გაზაფხულის — გ. ჯ.) აღწერით დაიწყებს დატკბობასა და ბოლოს ღელვითა თავდება, განრისხებული ადამიანების მცხოვანობაზედა, როდესაც უსულოც კი ცხოველდება, — ლექს, რომელშიაც გარეგანი სახე, ფორმა შინაგან ღირსების ღრმა.

გრძნობასთან და ჰაზრთან შეწონილნი არიან, ერთმანეთთან შეთანასწორებულნი და შედარებულნი, — ვამბობ ლექს, რომელსაც ეს თვისებები აქვს, არის ნამდვილად სრული ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ი".*

იმდენად სრულია ეს დახასიათება, რომ ჩვენ აღარაფერს დაეუმატებთ.

1861 წლის ოქტომბერში, როცა რუსეთიდან დაბრუნებული პოეტი, საქართველოს ხილვით აღტაცებული, მშობლიურ ყ ვ ა რ ე ლ ს მიაშურებს, სიბარულთან ერთად მას გულს უკლავს სამშობლოს სავალალო ყოფა და წერს განმაცვიფრებელ ლექსს — „ჩ ე მ ო კ ა ლ ა მ ო, ჩ ე მ ო კ ა რ გ ო, რ ა დ გ ვ ი ნ დ ა ტ ა შ ი?" დიდი სულიერი დრტვინვის გამომხატველ ამ მშვენიერ პოეტურ შედევრში ილიას მთელი არსებაა ჩაქსოვილი: სამშობლოსადმი უანგარო სამსახური, წმინდა, მართალი სიტყვით ბოროტების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლა, „ქართველის ბედის" სიყრმიდანვე განცდა, ცუდის მხილება. ვისიც არ უნდა იყოს, სიძულვილი სიავესადმი, იმის ღრმა რწმენა, რომ კარგი გული უმალ გამოიცნობს, თუ „რაოდენი სიყვარული" იყო პოეტის ამ სიძულვილში. ეს სიყვარული მუდამ სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურებოდა. პატარა, ჩვილ ყრმაშიც იმას ხედავდა, რომ მისი საბით მშობელი ერის ერთგული შვილი აღზრდილიყო. 1863 წელს დაწერილი ლექსი — „გ. აბხ...", რომელიც უფროსი დის — ნინო ჭავჭავაძე-აბხაზის ახლად შობილ ყრმას — გიგო აბხაზს ეძღვნება, ისევ სამშობლოს სიყვარულით, მისი კეთილდღეობითა და ბედნიერებით არის შთაგონებული. ლექსი იმდენად ნათელი, იდეურად ისე მკაფიოა, რომ მკითხველს უკომენტარიოდაც შეუძლია მისი გაგება:

„ღმერთო!.. აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ზალთ სამსახურად მიეცი ღონე.
აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.
ღმერთო!.. მოამადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ეროსა
მოძმე ერთგული და მოყვარული.
ღმერთო!. .თან სდევდე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაეღიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს".**

ყველგან და ყოველთვის ს ა მ შ ო ბ ლ ო ზ ე ფიქრს ილია ჭავჭავაძე ჰქიდროდ უკავშირებდა კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ბედს, ვინაიდან სწამდა, რომ ჯერთი ერის უბედურება შეუძლებელია მეორე ერის ბედნიერებად იქცეს. თუ ეს თეზისი მომდევნო ხანის პუბლიცისტურ წერილებში ძალიან მკაფიოდ იჩენს თავს, 60—70-იანი წლების მისი ლექსებიც ამ იდეურ credo-ს გვიდასტურებენ. პატრიოტიზმი, ინტერნაციონალიზმის შარავანდედით გაცისკროვნებული. თერგდალეულთა მსოფლმხედველობის ერთი უძლიერესი დამახასიათებელი შხარეა. ილიას პოეზიაში იგი აშკარად ჩანს. გავიხსენოთ 1871 წლის 29 მაისი,

---

* „დროება", 1870 წ., № 4, გვ. 2—3, ხაზგასმა ყველგან ავტორისაა — გ. ჯ.

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 74.

როცა ილიამ დაწერა ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსი და გამოიგლოვა პარიზის კომუნის დაცემის დღე — 23 მაისი.

„სისხლიანი კვირა“, რომელიც 29 მაისამდე გრძელდებოდა, გადაიქცა უკანასკნელი კომუნარების ტრაგიკულ დღეებად. ამ კვირის განმავლობაში დაეცნენ, ათეულ ათასობით პარიზელ პროლეტარებთან ერთად, მწერლები-რევოლუციონერები: ედუარდ მორო, რაულ რიგო, შარლ დელეკლიუზი, ჟან-ბატისტ-მილერი და ტონი-მუალენი.* თვითეული დაეცა გმირული სიკვდილით და თვითეულმა თავისი სისხლის წვეთები ადრე დაღუპულ კომუნართა სისხლის ზღვას შეუერთა. მორო დაეცა 25 მაისს და მისმა მეუღლემ ლობოს ყაზარმის ჭიშკართან გაიგონა დახვრეტის ზალპი.** ერთი დღით ადრე დაიღუპა რაულ რიგო, ხოლო 25 მაისს შარლ დელეკლიუზი. მეორე დღეს პანთეონის შესასვლელთან დახვრიტეს ძალად დაჩოქებული მილერი, რომელსაც სიკვდილის წინ დაუძახნია: „გაუმარჯოს კაცობრიობას!“ 28 მაისს დახვრიტეს უშიშარი ჟიულ-ანტუან-მუალენი, რომელსაც ნება დართეს დახვრეტის წინ ექორწინებინა შვიდი თვის ორსულ თავის სატრფოსთან, უკანასკნელად ეკოცნა მისთვის და თავისივე აღსასრულის მოწმედ გაეხადა.

რა კარგად აბასიათებენ პარიზის კომუნას შემდეგი სიტყვები: „სხვა ხალხების თავისუფლება ჩემთვის ისევე ძვირფასია, როგორც საფრანგეთის თავისუფლება“, — უთხრა ერთმა ცქვერატმა რომელიღაც რეაქციონერს. 1871 წელს, ისევე როგორც 1793 წელს, პარიზი იბრძვის ყველა ჩაგრულისათვის“.*** ილიაც ასე აფასებს პარიზის კომუნას, როგორც „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელს“, ხოლო მისი დაცემა ისტორიის შეფერხებად, განახლების ძალთა შეჩერებად მიაჩნია.

ასე ორგანულად აქსოვდა პოეტი ერთმანეთს მშობელი ერისა და კაცობრიობის ინტერესებს. თუ რა სიფაქიზით, სინაზით, ერთგული შვილის სიყვარულით ეალერსებოდა ილია თავის სამშობლოს, კარგად გამოხატავს 1872 წლის 15 სექტემბერს დაწერილი ლექსი — „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“. ეს არის ქართული პატრიოტული ლირიკის ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები, რომელშიაც პოეტის სუნთქვა, მაჯისცემა, აზრი და გრძნობა მთლიანად თავს ევლება სამშობლოს, როგორც ფარვანა ანთებულ სანთელს:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია....
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცენი,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუ-კი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთვნია,
ჩემო თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია?
მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,

---

* Ю. Данилин, Поэты парижской коммуны, 1947 г., გვ. 372.
** იქვე, გვ. 374—375.
*** იქვე, გვ. 382.

მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია,
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?"*

არა, სამშობლო არ უნდა იყოს მოწყენილი; მომავალი მას ეკუთვნის, ახალი მასთანაა, თუმცა ძველი დაშორდა; შვილები, რომლებსაც პატრიოტული გრძნობით ზრდიდნენ ქართველი დედები, რომლებსაც ასე შთაგონებით უმღერა პოეტმა „ქართველის დედასა", „ნანასა" და ბევრ სხვა თავის ნაწარმოებში, უკვე მოსწრებულნი არიან; მათი ზრუნვის საგანი, ერთადერთი, მამულის კეთილდღეობაა, რასაც ისინი არასოდეს არ უმტყუნებენ; მათი გულის ფიცარი სამშობლოს ზღუდედ ქცეულა და ისინი საკუთარი მკერდით შეელწევენ მტრის სიმაგრეებს.

ეს იდეა ილია ჭავჭავაძეს მთელი ცხოვრების მანძილზე ასულდგმულებდა, მას ემსახურებოდა, მისთვის ზრუნავდა. უფრო მოგვიანებით, 1883 წლის 14 ივლისს მის მიერ დაწერილი ლექსი — „ბაზალეთის ტბა" ერთი მშვენიერი პოეტური ხილვაა, რომელშიაც პატრიოტული სული წინასწარმეტყველების შარავანდედით წარმოგვიდგება. ეს წინასწარმეტყველება გულისხმობს გმირის მოვლინებას, სამშობლოს მხსნელს, და როგორც საკვირველია ხოლმე ისტორიულ ქარტეხილებში ასეთი რაინდების გამოჩენა, ისე საკვირველად ეხატება პოეტს მისი აღზრდის პირობები.

გადმოცემა ამბობსო, — გვეუბნება პოეტი, — ბაზალეთის ტბის ძირში ოქროს აკვანია, და მის გარშემო, წყლის ქვეშ, მშვენიერი წალკოტი ჰყვავისო. ეს წალკოტი მუდამ მწვანეა, არასოდეს არ ჭკნება, დროთა ბრუნვას არ ემორჩილება. მასზე გავლენას ვერ ახდენს ვერც სიცხე, ვერც სიცივე, და „მის მზიან ჩრდილებში" ამიტომ „მუდამ გაზაფხულია". ამ ზღაპრული წალკოტის შუაგულში ოქროს აკვანია მოთავსებული, მაგრამ კაცთაგან ვერავის გაუბედია შიგ ჩასვლა. მარტოოდენ სირინოზნი იმ აკვანს გარს ეხვევიან, მარტოოდენ ეს „გრძნეულნი დასტრფიან და დამღერიან". ლამაზ ლეგენდას თამარ მეფის სახელთან დაუკავშირებია ამ წალკოტში აკვნის ჩადგმა, მაგრამ ის აღარ უთქვამს, თუ ყრმა ვინ ჩააწვინა. როცა თამარს იქ აკვანი ჩაუდგამს, ერს თავისი ცრემლი დაუდენია და ოქროს აკვნისათვის ამ ცრემლთაგან შემდგარი „ტბა კარვად ზედ გადაუხურავს". მაგრამ ლეგენდას კვლავ არაფერი უთქვამს, თუ „თვით ერმა თავისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაადინა"; არაფერი უთქვამს, მაგრამ განა ძნელია პოეტმა მიგვახვედროს, რომ ერის ცრემლი თუ არ ედინება გმირის სახელს, თუ მან ერის ტანჯვა ვერ გაიგო, ამავე დროს, ერმა თავისი მფარველი კალთა არ გადააფარა, ისე კაცი გმირად ვერ გაიზრდება, ხოლო გმირი თავის აღმზრდელ ერს გმირობას ვერ გაუწევს! ასეთი, ერისაგან შობილი, ერის გაზრდილი და ერის მხსნელი გმირი საუკუნეების მანძილზე ეზმანებოდა კირთების ქვეშ მოქცეულ ქართველ ხალხს და ბაზალეთის ტბის მშვენიერი ლეგენდაც მისი ხანგრძლივი ოცნების ცოცხალი გამომხატველი იყო. ლექსის უკანასკნელ სტროფებში ილიამ მთლიანად გაამჟღავნა ეს იდეალი და ლეგენდარულ ყრმასაც მომავალი გზა დაულოცა ერის საბედნიეროდ:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 97.

„იქნებ აკვანში ის ყრმა წევს,
ეისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!
თუ ესე არის, ნეტა მას
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!“*

ამით მთლიანდება ილია ჭავჭავაძის პატრიოტული მსოფლმხედველობის ის ერთი ძირითადი მოტივი, რომელიც „ქ ა რ თ ვ ლ ი ს დ ე დ ა შ ი“ დაიწყო და „ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ბ ი თ“ დამთავრდა. რასაკვირველია, ლაპარაკია პოეზიაზე და არა საერთოდ ილია ჭავჭავაძის მთელ მხატვრულ ან პუბლიცისტურ-ფილოსოფიურ მემკვიდრეობაზე.

V

ცხოვრების მეორე ნახევარში ილია ჭავჭავაძე უმთავრესად პროზასა და პუბლიცისტიკას ახმარდა თავის ნიჭს, მაგრამ რამდენიმე ლექსი, რომელიც პოეტმა ამ დროს შექმნა, ბუნებრივად აგრძელებენ ადრინდელ იდეურობას. დამახასიათებელია 1886 წელს დაწერილი „დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი“, რომელიც თოთხმეტი აფორიზმისაგან შედგება. თვითეული მათგანი მხატვრული ფორმით განამტკიცებს იმ აზრებსა და შეხედულებებს, რომლებსაც დიდი ილია მთელი სიცოცხლის მანძილზე ემსახურებოდა.

მივყვეთ კვალდაკვალ „დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი ს“ საზოგადოებრივი მნიშვნელობის სენტენციებს.

ილია ჭავჭავაძის, საერთოდ თერგდალეულების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო ხალხში დაენერგა გმირული სული, ბრძოლაში მოხერხებულობა, ამტანობა და მამაცობა. „დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი ს“ პირველი აფორიზმიც ამ მოხერხებულობას განადიდებს:

„ამოწვდილს ხმალსა მტრისასა,
წინ მიაგებე ფარიო:
დროზედ ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო“**

მაგრამ მტერია თუ მოყვარე, პატიოსნება, სინიდისი და ნამუსი ყველგან უნდა იყოს, ვინაიდან

„პატიოსანთ მტერთა შორის
მოციქული ნამუსია“.***

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 101.
** იქვე, გვ. 102.
*** იქვე.

ეს აფორიზმი ვარიაციებით რამდენჯერმე მეორდება „დამაკვირდში“ და ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ ილია ჭავჭავაძე, თერგდალეულები დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ საზოგადოებრივი მორალის ისეთ ნორმებს, როგორიცაა ნამუსი, სიკეთე, სულგრძელობა. თუ ცხოვრების სინამდვილემ ზურგი შეაქცია ადამიანური ყოფის ამ აუცილებელ ნორმატივებს, შეუძლებელი იქნება ისეთი ატმოსფერო შეიქმნას, რომ კაცმა სუნთქვა შეიძლოს. მაშინ ცხოვრება ჯოჯოხეთად, გოლგოთად, ურთიერთ ძარცვა-წამების, მოტყუებისა და ხოცა-ჟლეტის უსასრულო ეშაფოტად გადაიქცევა, ხოლო სისხლის ოკეანეში მილიონობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპება. თვით ისტორია არაერთგზის გვიდასტურებს ამ უცილობელ ჭეშმარიტებას. ამიტომ ყველასათვის სავალდებულო უნდა იყოს ნამუსიანობა, სიკეთე, სულგრძელობა:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვეასა:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა....
გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო“.*

მარდალია, ცხოვრება განუწყვეტელი ბრძოლა და შემართებაა. მაგრამ ადამიანური ნორმები არასოდეს არ უნდა დაირღვეს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბრძოლაში მარტოოდენ ხმალი კი არა სჭრის; თუ მოხერხებულად, გონივრულად გამოიყენებენ, კალამს მეტი შეუძლია. ეს აფორიზმი განსაკუთრებით ძვირფასი უნდა ყოფილიყო თერგდალეულებისათვის, რომლებსაც საბრძოლველად მწერლობის, მხატვრულ-პუბლიცისტური და ფილოსოფიური სიტყვის, კალმის გარდა, არავითარი სხვა საშუალება არ გააჩნდათ. ამიტომ ისინი განადიდებდნენ კალმის ძალას და მიაჩნდათ, რომ

„ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო“.**

ან ჰოლეთ მომდევნო აფორიზმი, რომელშიაც დიდი შუბი და პატარა ნემსი ერთმანეთთან არის შედარებული; პირველი სისხლის მღვრელია, მეორე კი სიკეთის მთესველი:

„შუბი დიდია და მძლავრი,
სისხლმღვრელი, სისხლის მსმელია,
წყნარი, პაწია ნემსი კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია“.***

ამ აფორიზმს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს; მასში აშკარად ჩანს ის დემოკრატიზმი და ჰუმანიზმი, რასაც ილია ჭავჭავაძე, საერთოდ თერგდალეულები ქადაგებდნენ. საზოგადოებრივ კეთილდღეობას ისინი ხედავდნენ

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 103—104.
** იქვე, გვ. 102.
*** იქვე.

თვით საზოგადოების წევრთა საერთო ინტერესებით გაერთიანებაში, იმ შეგნების დანერგვაში, რომ ერთი მეორეს ეხმარებოდეს, წინანი უკანანის ხიდს წარმოადგენდნენ, დღევანდელი ნერგი ხვალინდელ დღეს ემსახურებოდეს. პიროვნების სახელიც მათ სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ:

„თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე“.*

ანალოგიურ სენტენციას წარმოადგენს ხალხური სიბრძნე, რომელიც მშვენივრად გამოიხატა შემდეგ ლექსებში:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, —
აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“...
. . .
„წუთი-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია —
სიყვარულს უშენებია“.**

ეს მშვენიერი აზრები, უკვდავი ჰეშმარიტებანი, გზას უნდა უნათებდნენ ადამიანს ცხოვრების ტევრში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი დათრგუნვილნი არიან და უფრო ხშირად მეგობრობის ადგილს — მტრობა, ხოლო სიყვარულისას — სიძულვილი იკავებს. აქედან მომდინარეობენ როგორც პიროვნულ ი, ისე საზოგადოებრივი უბედურებანი. ამ უბედურებათა მოსასპობად ისევ სისხლი იღვრება და ერთ დანაშაულს მეორე ემატება. რა ბედნიერი იქნებოდა ადამიანის ცხოვრება, რომ ეს სისხლისღვრა არ ყოფილიყო. მაშინ გაიმარჯვებდა სათნოება, რომელიც გვიღაღადებს:

„ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთ მხსნელია“.***

ამ ვაჟკაცს სულიც მაღალი ექნება, გრძნობაც, და კეთილი გული მისი. სხვისი ტანჯვით ატირებული, ცრემლს გადმოაფრქვევს. ცრემლი კი რატომ უნდა იყოს მიჩნეული ვაჟკაცისათვის სათაკილოდ? პირიქით, ადამიანი იმით განირჩევა ცხოველისაგან, რომ სხვის ტანჯვას ცრემლის ფრქვევითაც თანაუგრძნობს. ამიტომ:

„ვაჟკაცთ ცრემლსა რად უძრახვენ!
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი“.****

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 102.
** იქვე, გვ. 103.
*** იქვე.
**** იქვე.

მაგრამ მარტოოდენ ცრემლით თანაგრძნობა ადამიანურ ცხოვრებას ვერ გადაამშვენებს. თანაგრძნობას მადლიც თან უნდა ახლდეს ჭირში მყოფი მოყვასის ნუგეშად. ძნელია მადლი გააჩინო ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ძალას ემყარება და გონება დათრგუნვილია. ამას თვით მადლიც გრძნობს:

„მადლმა სთქვა: წუთის-სოფელში
ყოფნა ვაი რა ძნელია!
ძალი ჰძალოვნობს, ჰბატონობს,
მე გული გადამელია;
საცა კი შევხვდი, დამძლია,
ვერ შევუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა:
„ძალა აღმართის მხვნელია“.*

რა ვუყოთ, თუ ასე ხდება ცხოვრებაში: ადამიანი არ უნდა შეუშინდეს უსამართლობას; მისი ვალია ებრძოლოს უკანონობას, მცდარი გზით მიმავალ ქვეყანას სიმართლის გზა უჩვენოს, თუნდაც ამ მართალი სიტყვისათვის მრავალთა წყრომა დაიმსახუროს. ნამდვილი ვაჟკაცი ის არის, ვინც ომითა და ხოცვა-ჟლეტით კი არ გაითქვამს სახელს, არამედ, სუსტის დამცველი და ძლიერის შენაკავებელია:

„არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
კაცთა მუსრვას და ომსაო!..
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო“.**

ასეთ ვაჟკაცს გონებასთან ერთად გული საამაყო ექნება, თუმცა ცხოვრებაში ჭკუა და გრძნობა უფრო ხშირად ვერ თავსდებიან. მათ შორის წინააღმდეგობის დიდი ველი გადაიშლება ხოლმე. რა ბედნიერება იქნებოდა, რომ ისინი თანხმობით ყოფილიყვნენ. მაშინ ცოდვისა და უბედურების მთები დაინგრეოდნენ, ხოლო ადამიანის, მთელი საზოგადოების ცხოვრება ნეტარების ბაღად გადაიქცეოდა. გონებისა და გრძნობის ეს გურამიშვილისებური დაპირისპირება, მათ შორის ისტორიული თუ ტრადიციული დავა მშვენივრად არის გამოხატული „დამაკვირდის“ უკანასკნელ ლექსში:

„ჭკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა
აღმართი მე ვახვევინე,
თესლი მოვკრიბნე და ხნულში
დავთესე, დავაბნევინე,
უღონოს ღონე მე მივეც,
ხელი მე გავაქნევინე.
გულმა სთქვა: ჭკუავ, მართალ ხარ,
და ზოგიც მე მათქმევინე:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 104.
** იქვე.

შენი ნახნავის გორახი
ფარცხით მე მომაფშვნეტინე;
ნაგოლეი, მშრალი ბელტები
ცრემლით მე მომარწყეევინე;
შენი ნათესი, ნანერგი
სისხლის ღვრით გამაზდევინე;
შენსა ჯეჯილში, ყანაში
ღვარძლი მე ამარჩევინე;
ნაამაგარი ძნად შევკარ,
ზვინად მე დამადგმევინე....
ვკვნეს, რომ ერგოს ყველას სწორად,
და შენ ეს ვერ გაქმნევინე, —
არ იქმნა, ჰკუაე, მადლის გზა
მე შენ ვერ დაგაქნევინე".*

როგორც ვხედავთ, ილიას „დამაკვირდი" თერგდალეულთა სოციალურ-მორალური კოდექსის მშვენიერი მხატვრული გამოთქმაა და მისი უმთავრესი მიზანი განმანათლებლურია. ამიტომ გაუმართლებელია, როცა ილიას თხზულებათა კრებულებში ეს ფრიად მნიშვნელოვანი ძეგლი ზოგჯერ არ შეაქვთ (მაგალითად, არ შეუტანიათ 1957 წლის ერთტომეულში). „დამაკვირდი" ისეთი ნაწარმოებია, რომელიც არამარტო ზეპირი ხალხური პოეზიის რეალიებს შეიცავს, არამედ თვით ილიას ორიგინალურ ლექსებსაც, და მას ისეთივე მნიშვნელობა უნდა მივცეთ ილია ჭავჭავაძის, საერთოდ თერგდალეულთა მსოფლმხედველობის დახასიათებაში, როგორიც დიდი პოეტის სხვა თხზულებებს. ამ ნაწარმოებით ილიამ ბევრი საგულისხმო გვითხრა იმ credo-ს გასაგებად. რაც თერგდალეულებმა შეიმუშავეს და რაც მათი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმმართველი იყო.

ეს credo ილია ჭავჭავაძის ყველა პოეტურ ნაწარმოებში მკაფიოდ ჩანს, როგორც 1894 წელს დაწერილ „კითხვა-პასუხში". მთელი ლექსი ქართულ პოეზიაში ძველთაგანვე ცნობილი გაბაასების, კითხვა-პასუხის, დიალოგის ფორმით არის დაწერილი და მისი ძირითადი თემა — სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვაა. პოეტი თავის სამშობლოს ეკითხება:

„რა კარგი რამ ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული".**

და ასე გრძელდება მთელი კითხვის მანძილზე: რამდენადაც საყვარელი, მადლით სავსე, მდიდარი, უხვი, ცხოველ-მყოფელი ხარ, „იმდენად უფრო რად კვდება გულიო?" პოეტის ამ კითხვას სამშობლო ასეთ პასუხს აძლევს: მართალია, მე სამოთხე ვარ, მაგრამ ჩემი ძენი ბედკრულ-უძლურნი არიან, მტრობისა

---

* ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, ტ. I, 1914 წ., გვ. 114. „დამაკვირდის" უკანასკნელი ლექსი ამ გამოცემიდან იმიტომ მოგვყავს, რომ 1937 წლის გამოცემაში დაშვებულია უხეში დამახინჯება: ბოლოდან მე-5 სტრიქონში გამოტოვებულია „ზვინად მე დამადგმევინე", და მის ნაცვლად განმეორებულია „ღვარძლი მე ამარჩევინე", რაც უაზრობას ქმნის (იხ. გვ. 105).

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 106.

და შურის შხამს ანთხევენ, ცრთმანეთს კრულვასა და წყევლას აყრიან; ჩემი მადლი მათ ვერ შეუშვნიათ, ცოდვას მადლი დაუძლეია:

„მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...
ლუკმა-ნატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..
იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელო
უდაბნო-ღაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული“.*

ეს იყო სამშობლოს სახელით კრიტიკა იმ უღირსი შვილებისა, რომლებიც ანგარებითს ცხოვრებას მისდევდნენ, ქვეყნის ჭირ-ვარამს არად მიიჩნევდნენ, მარტოოდენ პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, სიტყვით პატრიოტობდნენ, ხოლო საქმით არაფერს ძენდნენ თავის ერს. ასეთი „შვილები“. მათთან ერთად, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთი მანკიერება ამხილა პოეტმა, ხოლო ჟანრი, რომელიც ამ მიზნისათვის გამოიყენა, პირდაპირი, მძაფრი, მოურიდებელი, მებრძოლი სატირა იყო.

VI

სატირას ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომ სპეციალური მონოგრაფიის საგანს წარმოადგენს. სატირიკული ნიჭი პოეტს თავიდანვე გამოუჩენია. მისი მეგობარი კოხტა აბაზი (1838—1913), რომელიც პოეტთან ერთად იყო გიმნაზიასა და უნივერსიტეტში. გვიდასტურებს, რომ ლექსების წერა ილიას ძალიან ადრე, 10—11 წლის ასაკში დაუწყია და პირველი ნაწარმოებიც სატირული ხასიათისა ყოფილა. „მახსოვს ასეთი შემთხვევა, — წერს კოხტა აბაზი,—ილია იქნებოდა ესე 11 წლისა. ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით (ორივენი გიმნაზიელები). კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისაკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ახე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მიელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდს კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი „რწყილები“ (47—48 წ.). საუბედუროთ ეს ლექსი არ შენახულა, არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს, მარტო, რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა, და ლექსმა ბევრი გვაცინა“.**

ბავშვობიდანვე თანდაყოლილი ეს ნიჭი იუმორისა და სატირისა,

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 107.
** ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 563.

მშვენივრად გაიშალა ილიას მხატვრულ შემოქმედებაში, პროზასა და პოეზიაში, ხოლო არანაკლები ძალით მის პუბლიცისტიკაში. სატირული ოსტატობის პირდაპირ შედევრებია „კაცია ადამიანის?!“ მრავალი ადგილი. ძალა ილიას სატირისა მის გამანადგურებელ შედეგში მჟღავნდება. ასეა, როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პოლემიკურ წერილებში. ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანია იმის გახსენება, რომ „...ილია პატარაობიდანვე მართალია როგორღაც მიუკარებელი და უფრო ჩუმი იყო,—როგორც კოხტა აბხაზი წერს,—მაგრამ ამასთანავე მაშინდაც ოხუნჯობის დიდი უნარი ემჩნეოდა. მეტის მეტი მოსწრებული ხუმრობა იცოდა და თუ კი ვისმე სასაცილოდ აიგდებდა, მართლაც რომ მიწასთან გაასწორებდა“.*

ეს „მიწასთან გასწორება“ ჩანს, პირველყოვლისა, 1871 წლის 24 აგვისტოს დაწერილ გრძელ სატირულ ლექსში — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“. ეს ნაწარმოები, როგორც ბევრი სხვა დანარჩენი, დაწერილია დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ ილიას მუშაობის დროს. თუ ჩვეულებრივად სატირის ობიექტი რომელიმე პიროვნება, მოვლენა, შემთხვევა, ფაქტი ორგანოა, ილიას ამ ნაწარმოებში მშობელი ქრისმთელი ერთსაუკუნოვანი ისტორიაა აღებული, როგორც თემატიკური მასალა. სამარცხვინო ბოძზე გაკრული არიან ის ადამიანები, რომლებიც სამშობლოს განსაცდელს არ დაგიდევდნენ, ოღონდ საკუთარი თავი უზრუნველეყოთ. ამ მხრივ ილიას სატირა მოურიდებელი, პირდაპირი და გონებამახვილურია. ფორმად გამოყენებულია დიალოგი, რომელსაც დიდ პლასტიკურობასა და დინამიურობას აძლევს ყოველი ხანის შემდეგ განმეორებული რეფრენი — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ თვით დიალოგი მეტად ბუნებრივია: შვილიშვილი, რომელიც პაპამისთან საუბრობს, ეკითხება:

„...პაპა-ჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?“**

შვილიშვილს აინტერესებს ის დრო, როცა ქართლის ბედი მიიწურა, „ჩვენის ქვეყნის იმედი“ ერეკლე მეფე გარდაიცვალა და სამშობლო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ კითხვაზე პაპა შემდეგ პასუხს აძლევს შვილიშვილს:

„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— შენი მტერი!.. პირღიადა
დავრჩით და ცას შევყურებდით“.***

ეს უმოქმედობა ნახევარი უბედურება იყო იმასთან შედარებით, რაც საქართველოს უკანასკნელი მეფის — ერეკლეს შვილის — გიორგის გამეფების დროს მოხდა. მამის გარდაცვალების შემდეგ შერყეულ ტახტზე ასულ გიორგის თვისტომნი, დახმარების ნაცვლად, აუჯანყდნენ და „წამოასხდნენ მტრადა თავზე“. ამ განსაცდელის ჟამსაც

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 563.
** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 76.
*** იქვე.

„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ
ვწეწდით და ვიწეწებოდით.
მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გაეუქმირეთ
და ქვეყანას ერთგულება
ჩვენი ურცხვად დაეუძვირეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— რუსეთისკენ სახვეწნელად
გაეგრბოდით და გამოგრბოდით“.*

გიორგის არაფერი დაუშურავს თავისი ერის ბედნიერებისათვის, საკუთარი სახსრები გაიღო, ლეკები მოიწვია საზღვრების დასაცავად, „თვის ქონება სრულად დასდვა ჩვენი ქვეყნის დასახსნელად“, მაგრამ, რა შედეგი გამოიღო მეფის ამ ნაბიჯმა?

„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მადლიერნი მუთაქაზედ
ვიწექით და ვნებიერობდით“.**

უფრო მძიმე მდგომარეობა შეიქმნა გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ. ორივე მეფის — ერეკლესა და გიორგის შვილები ერთმანეთს აეშალნენ, მეფობა მოინდომეს, ერთმანეთის შურითა და მტრობით

„სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვღალატობდით“.***

ამ დაუსრულებელ ღალატს ზედ დაერთო ახალი ძალით აღორძინებული უზრუნველობა. სათამაშო ბურთივით წინ გაგდებული „ქართვლის ბედი“ ვის აღონებდა, როცა ყაბაზზე ვაჟკაცური ჯირითითა და ბურთაობით თავმოწონება მოდად იქცა. გვიან, ძალიან გვიან, როცა ყელში თოკის წაჭერა ვიგრძენით

„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთ ტაფაში ვიწვებოდით“.****

ილია არ ზოგავს სატირულ საღებავებს, რომ მწარე მათრახი გადაჰკრას ერის უღირს შვილებს, რომლებსაც სამშობლოს ბედი მხოლოდ იმდენად აინტერესებდათ, რამდენადაც მათ კეთილდღეობასა და განცხრომას არ შეეხებოდა. ეს ეროვნული ნიღილიზმი ყოველთვის იწვევდა ილიას ღრმა გულისწყრომას და მთელს ლექსშიაც პოეტის გოდებაა სატირულ ფორმაში. შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილების გამო ჩურჩული, რასაც რეპრესიები მოჰყვა, შემდეგ ღაბეზღებებით თავის დაძვრენის ცდები, ისევ უზრუნველობა, ერთმანეთის ცილობა მამულში....

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 76—77.
** იქვე.
*** იქვე.
**** იქვე, გვ. 77.

„მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დაეღუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— ჭკუიანურად იმ ცეცხლის წინ
ვისხედით და ხელს ვითბობდით“.*

თუ აქამდე მთელს ლექსში სოციალურ იერარქიაზე არაფერი იყო ნათქვამი, ხოლო საუკუნე, რომელსაც ავტორი ეხებოდა, გლეხთა განთავისუფლებით ხასიათდება, რასაც მაშვრალთა დიდი მოძრაობა — ილია ჭავჭავაძე ასე ექომაგებოდა — პოეტმა სწორედ ამ მომენტს დაუკავშირა ეს მოტივი და მიუთითა, რომ

„მერე, როს ხელთ სათბობადაც
ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გაღარიბდა, გაღატაკდა, —
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
— თვით შევსხედით მაღლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით“.**

შემდეგ სატირული მათრახი ხვდება ყმების ჩამორთმევით მებატონეთა ურვა-წუხილს, ბანკობიას, «напличо»-ბას და ლექსი ლოგიკურ დასასრულს აღწევს, როცა პოეტი თავის ნაწარმოებს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით:

„მერე, როცა... — კიდეე როცა!..
აქ გამიწყრა პაპა-ჩვენი:
— შემაწუხე ამდენ კითხვით,
„პოეოლუსტა“, დამეხსენი.
„რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით“.***

ილია, ისე როგორც აკაკი, არაერთგზის გამოხმაურებია თავისი ერის მძიმე მდგომარეობას მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და, დიდ სიყვარულთან ერთად, სატირიკულ ფორმებში გაუკიცხავს მისი ნაკლოვანებები: თვითკმაყოფილება, მეფის მთავრობის წინაშე ქედმოხრილობა, უშფოთველობა, თვალაბმულობა, ისეთი მანკიერებანი, რომლებიც საღი გონებისათვის შეუთავსებელია. ეს მწარე სატირა, ჩვენს მიერ უკვე განხილული ლექსის „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ შემდეგ, ძალიან კარგად ჩანს იმავე 1871 წლის 29 აგვისტოს დაწერილ ნაწარმოებში — „ბედნიერი ერი“. მთელი ეს ლექსი მძაფრი სატირულ-ჰუმორული ტონით არის დაწერილი; ყველაფერი ემსახურება ერთ გარკვეულ მიზანს: მოურიდებლად გამოჰფინოს ერის ცხოვრებაში არსებული ნაკლი. არაფერი დაზოგოს, ხოლო ამით ხელი შეუწყოს თვით ერის გამოფხიზლებას, მისი შეგნების ამაღლებას. მართალია, ავტორი გარეგნულად ისე აცილებს თავის თავს, რომ იგი თითქოს მარტო მანკიერებათა მხილებით კმაყოფილდებოდეს.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 78.
** იქვე, გვ. 78.
*** იქვე, გვ. 79.

მაგრამ მთელი ლექსის წაკითხვის შემდეგ თქვენ არაჩვეულებრივი ძალით კრძნობთ მშობელი ერისადმი იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც პოეტის გული აუძგერებია. „ამ სიძულვილში“ მართლაც „რაოდენი სიყვარულია“, რაოდენი ტანჯვა-ვაებაა. რაოდენი ოხვრა და გოდებაა! ამავე დროს, ისე ზუსტად არის მინიშნებული ყველა მანკიერი მხარე ერის ცხოვრებისა, ისე ბასრია სატირის მახვილი, თან ყველაფერი ისე ნათელია, რომ ოდნავ შეგნებულ მკითხველს სულ ადვილად შეუძლია მთელი ლექსის გაგება. უფრო სადა, უფრო გამოკვეთილი ალეგორიები თუ პასაჟები თითქმის წარმოუდგენელი იყო. ვის არ შეეძლო გაეგო და გულში არ მოხვედროდა პოეტის ოსტატური ყალმით ამეტყველებული შემდეგი დამცინავი სტრიქონები:

„ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით,*
ლამაზ ფალნით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი წესიერი;
ყოველად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,**
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჰკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,

---

* ყ ა ლ ა ნ ი — ბეგარაა საბას განმარტებით.
** უ ნ ჯ ი — ხაჭონელია საბას განმარტებით.

გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მჭონე.
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!"*

უფრო მძაფრი გაკილვა, მგონი, შეუძლებელიცაა.

ამ ლექსით არ დამთავრებულა სატირა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. რამდენიმე თვის შემდეგ ზედიზედ დაიწერა სატირიკული ლექსები, უკვე არა ზოგად თემებზე, არამედ, კონკრეტულ პიროვნებათა წინააღმდეგ. ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ ხსენებულ თხზულებათა ანალიზს.

მაგრამ ინტერესმოკლებული არ იქნება მივუთითოთ, რომ ილიას დიდი თანამედროვე აკაკი წერეთელი ბევრ თავის ნაწარმოებს თითქმის პარალელურად წერს იმავე თემაზე. ეს მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ „ახალი თაობის" წარმომადგენლები, ეტყობა, ერთმანეთს შორის თათბიროობდნენ, ცდილობდნენ საერთო პოზიცია ჰქონებოდათ და საერთო თვალსაზრისი შეეშუშავებინათ. ამიტომ ისინი ხშირად ერთად უტევდნენ მოწინააღმდეგეებს ერთი და იგივე საკითხში, ხოლო წინასწარ თანხმდებოდნენ რა და როგორ გაეკეთებინათ. რომ ეს ნამდვილად ასე იყო, თვით აკაკი გვიდასტურებს, როცა „ნეკროლოგის" ფორმით დაწერილ ფელეტონში — „ახმედ-ფაშა კახაბერი" აღნიშნავს: „ერთ საღამოს არტაანში რამდენიმე ახალგაზრდამ მოიყარა თავი და ამ საქმის თაობაზე (აქ კახაბერად გამოყვანილ გრიგოლ ორბელიანისათვის პასუხის გასაცემად — გ. ჯ.) ჰქონდათ მოლაპარაკება. სხვათა შორის, ის პასუხის მიმცემი ახალგაზრდაც იქ იყო (ე. ი. ილია ჭავჭავაძე — გ. ჯ.). ერთმანეთში მოლაპარაკებისა და განსამართლების შემდეგ ამ კრებამ გამოაცხადა, რომ ის სრულიად თანახმაა იმ პასუხისა, რომელიც კახაბერს მიეცა".**

აკაკის ამ სიტყვებს იმდროინდელი ლიტერატურული სინამდვილე სავსებით ადასტურებს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკაკის არამარტო პოლემიკური თხზულებანი, როცა იგი ეხმაურება თაობათა შორის გაჩაღებულ ბრძოლას, მაგალითად. „კოღო-ბუზების პასუხი", „ხარაბუზა ღენერალს", „პატრიოტის აღსარება", „ახმედ-ფაშა კახაბერი", არამედ. ზოგადი ხასიათის თემებზე დაწერილი ნაწარმოებებიც. ერთი მათგანია „გამტანია ჩვენი ერი", რომელიც ძალიან წააგავს ილიას „ბედნიერ ერს". ისიც საინტერესოა, რომ თუ ილიას ლექსი დაწერილია 1871 წლის 29 აგვისტოს, აკაკიც თითქმის იმავე ხანებში— 1872 წელს ჰქმნის თავის ნაწარმოებს. შედარებისათვის ჩვენ მთლიანად მოვიტანთ აკაკის „ცხელ-ცხელი ამბები დან" ამ სატირიკულ ლექსს:

I

„გამტანია ჩვენი ერი
გარეგანად მშვენიერი,
თვალში მცქერი, პირმომფერი.
ქვეშ-ქვეშ შტერი. ტკბილად მმღერი!

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ.. გვ. 80—81.

** მოგვყავს ლევან ასათიანის წიგნიდან: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა", 1953 წ., გვ. 246—247.

ისე უყვარს ქვრივ-ობერი,
რომ ჰსურს იყოს ჩვენში ბევრი,
ჰაი გიდი, ჩვენი ერი!..
ჰერი! ჰერი! ჰერი! ჰერი!..

II

უკაცრავად, მე ჩვენს ხალხზედ
ცოტა აზრი შემეცვალა,
რასაც ჰბადავს, თვითონვე ზრდის,
სხვა არ უნდა ძიძა-ლალა;
ხომ ზარმაციც არ ყოფილა,
იხედება თვალ-და-თვალა,
მკა და თესვა კარგად იცის,
თუ რომ ბედმაც დააცალა;
აღმა ხვნენ და დაღმა ფარცხვენ,
ყანებს დაატანეს ძალა!
მაგრამ პატივს დააყრიან,
მზად არიან, დღეს თუ ხვალა!
და აწ თქვენს ადვოკატებსაც
ერთი გუდა ხიზილალა!"*

უკომენტაროდაც სავსებით ნათელია ამ ორი ლექსის — ილიას „ბ ე დ ნ ი ე რ ი ე რ ი ს ა" და აკაკის „გ ა მ ტ ა ნ ი ა ჩ ვ ე ნ ი ე რ ი ს" მსგავსება-სიახლოვე.

ახლა გავაგრძელოთ მსჯელობა ილია ჭავჭავაძის 70-იანი წლების სატირიკულ ნაწარმოებებზე.

VII

1871 წლის 7 დეკემბერს ილია ჭავჭავაძემ დაწერა თავისი ცნობილი „გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი" (სულ 9) და „კ ი დ ე ვ გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი" (7 გამოცანა). ერთ დღეში ორი ნაწარმოების შექმნა, ისიც ასე ფრიად მნიშვნელოვანისა საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე, პროვინციაში ჩაკეტილი პოეტის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო. ორივე ნაწარმოებს სწრაფად მიუქცევია მკითხველის ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ ვრცელდებოდა ხელნაწერის სახით და არა დაბეჭდილი ტექსტი (ავტორი აღნიშნული თხზულებების დაბეჭდვას ვერ მოესწრო). როგორც ლევან ასათიანი მიუთითებს, „თვითონ ილია ძალიან უწყობდა ხელს მათ გავრცელება-გამრავლებას... საინტერესოა სერგეი მესხის ბარათი კირილე ლორთქიფანიძისადმი, მიწერილი 1872 წლის 26 იანვარს, სადაც შემდეგს ვკითხულობთ:

„ტფილისში ჰყვავის... ლიტერატურა. ორი ისეთი ხელთნაწერი პამფლეტი გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა. ერთი— „გამოცანები", რომელშიაც აწერილი არიან, ანუ უკეთ ვსთქვათ, გალანძღული არიან კარგა ლაზათიანად: გრ. ორბელიანი"... და შემდეგ ჩამოთვლილია ყველას გვარი, ვისაც შეეხებოდა ილიას გამოცანები" („მნათობი", 1932 წ., № 8—9,

* ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 228.

გვ. 202)".* მაგრამ, თუ რა ძალა ჰქონდა ხსენებულ „გამოცანებს" (ორიევს), კარგად გადმოგვცემს გიგა ყიფშიძე: „და მოეფინა თითქმის მთელს საქართველოს ეს ხელნაწერი საეპიგრამო ლიტერატურა, რომელსაც ბევრნი და ძლიერ ბევრნი გატაცებით კითხულობდნენ, სულ ზეპირად სწავლობდნენ, ისე ღრმად სწვდებოდათ გულში როგორც გამოცანები, ისე პასუხი (გრიგოლ ორბელიანის ლექსი — „პასუხი შვილთა" — გ. ჯ.) და პასუხის-პასუხი — ეს სრული გამოხატვა ორის სხვა-და-სხვა მსოფლმხედველობისა, ორის ბანაკის განსხვავებულ ფსიხოლოგიისა, მამათა და შვილთა შორის ატეხილ დავისა".**

„გამოცანებში" ილიამ სასტიკად დასცინა ძველთა ბურჯებს რევაზ ანდრონიკაშვილს, გ. კ. მუხრან-ბატონს, ი. კ. მუხრან-ბატონს, პლატონ იოსელიანს, დიმიტრი ჯორჯაძეს, იასე ჭავჭავაძეს (შედარებით თბილად მოეპყრო), ბესარიონ ღოღობერიძეს, გრიგოლ ორბელიანს (უფრო განადიდა), ხოლო სულ უკანასკნელ — მეცხრე გამოცანაში თავისი თავი გამოიყვანა. „კიდევ გამოცანებში" თავს დაესხა გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვს, სხვადასხვანაირად გააკრიტიკა (ზოგი ქებით) ლევან მელიქიშვილი, იოსებ თარხნიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და ზოგადად ყველა, ვისაც „ქვეყანა ფეხებზედ ჰკიდია". ეს უკანასკნელი სიტყვები ორივე ლექსში დიდი ოსტატობით რეფრენად არის გამოყენებული და პირდაპირ მომაკვდინებელი აკორდის შთაბეჭდილებას სტოვებს. ლექსებში გამოყვანილი თვითეული პერსონაჟი ისე კოლორიტულად, მათთვის დამახასიათებელი თვისებებით არის წარმოდგენილი, რომ პორტრეტი სავსებით მკაფიოა, ადრესატის შეუცდომლად მანიშნებელია.

„თუ ვინ იგულისხმება გამოცანებში, — წერს პავლე ინგოროყვა, — განმარტებული აქვს ასიკო ერისთავს (იხ. მ. გედევანიშვილის გამოცემა, გვ. XIII). ჩვენ მივმართეთ დამატებითი ცნობებისათვის ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც სწორედ ამ წლებში ტფილისში იმყოფებოდა და უშუალო მოწმე ყოფილა ამ გამოცანების გამოქვეყნებისა. ნიკო ნიკოლაძემ დაადასტურა ასიკო ერისთავის განმარტებანი, და დამატებით შემდეგი ცნობები გადმოგვცა:

უშუალო მიზეზი ამ გამოცანების დაწერისა, — ეს ყოფილა თავადაზნაურობის კამარილიის მოქმედება იმპერატორის (ალექსანდრე მეორის — გ. ჯ.) ჩამოსვლის დროს საქართველოში 1871 წელს. თავად-აზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორისათვის მისართმევად. თავად-აზნაურობის ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ამ შემთხვევის გამო, დაადგინა („თერგ-დალეულთა" ჯგუფის გაელენით) მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა ტფილისში, რის შესახებაც შედგენილ იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავად-აზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა (მეფის ნაცვლისა და ბარონ ნიკოლაის ზეგავლენით). გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც ნაცვლად უნივერსიტეტისა მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა ტფილისში... ეს ადრესი შედგენილი იყო — თავად-აზნაურობის იმ-დროინდელ მესვეურთა შეთანხმებით — კომისიის მიერ, რომელშიაც

---

* ლევან ასათიანი, ცხოვრება ასაკი წერეთლისა, 1953 წ., გვ. 243.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXVIII.

შედიოდნენ: გიორგი მუხრან-ბატონი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი... ადრესის ისტორიამ, და საერთოდ იმ ლაქიურმა სულმა, რომელიც დატრიალდა თავად-აზნაურობის მოთავე წრეებში იმპერატორის ჩამოსვლის გამო, გამოიწვია ილიას ეს გამოცანები".*

ამ ფაქტის თითქმის ანალოგიური, მაგრამ ოდნავ განსხვავებული აღწერა გადმოცემული აქვს აკაკი წერეთელს ფელეტონ-ნეკროლოგში — „ახმედ-ფაშა კახაბერი". ფელეტონი გამოქვეყნდა სერგეი მესხის „დროებაში" 1872 წელს და ასე გადმოგვცემს ზემოხსენებული „ადრესის" სავალალო ისტორიას: მეფე ალექსანდრე მეორისათვის „ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია სათხოვარიც თუ რამ ექნებოდა. — აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე. ოთხიც ძველიდან: გ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი-თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი).

ახალთაობა, ქვეყნის სურვილისამებრ, ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგანაც ამას წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო.

ახალთაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგანაც იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა, გადაასხვაფერეს ადრესი, სასწავლებლის მაგიერ სრულიად უმნიშვნელო საგანი ითხოვეს და ისე მიართვეს ხელმწიფეს".**

ამ სამარცხვინო აქტმა გამოიწვია ახალთაობის დიდი აღშფოთება, რაც ასე შკაფიოდ ჩანს ილია ჭავჭავაძის „გამოცანებში". ეს ნაწარმოები იმდენად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლია 70-იან წლებში „მამათა" და „შვილთა" ბრძოლის თვალსაზრისით, რომ საგანგებოდ იმსახურებს სპეციალურ განხილვას.

თვითეული ნაწილი „გამოცანებისა", რომელიც კერძო პირს შეეხება, იწყება პორტრეტის დახატვით, შემდეგ კი ხასიათის გახსნით. როცა ორივე ამოცანას შეასრულებს, პოეტი ძალიან მარჯვედ, მომაკვდინებელი ძალით იყენებს რეფრენს — ქვეყანა ან ქვეყნის საქმე „იმას ფეხებზედ ჰკიდია" და ამით აღწევს მკითხველზე უაღრესად ეფექტურ შთაბეჭდილებას. აიღეთ რევაზ ანდრონიკაშვილი, რომელიც იმ დროს საგუბერნიო მარშალი იყო და შეფისათვის ერთგულქვეშევრდომული ადრესის მირთმევის მთავარი მოქმედი პირი. ილია ასე სარკასტულად გვიხატავს ამ ბობოლა მლიქვნელის სახეს:

„ულაყ-სრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ჭონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხ-ხმიანი.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 745—746.

** აკაკის ეს სიტყვები მოგვყავს ლევან ასათიანის წიგნიდან: „ცხოვრება აკაკი წერეთლისა", 1953 წ., გვ. 242—243.

თუმც: ტანად პატარაა,
სხვაფრივ კი კარგა დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
ომას ფეხებზედ ჰკიდია".*

მეორე გამოცანის ობიექტი, როგორც მივუთითეთ, გიორგი მუხრან-ბატონია, თანამედროვეობით განდიდებული კაცი, ძმა გენერალ-ლეიტენანტ ივანე მუხრან-ბატონისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნის დროს სასტიკად შეეტაკა. პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ჩვენ ეს ფაქტი აღნიშნული გვაქვს და უფრო დაწვრილებით აქ აღარ გავიმეორებთ. ეს გვამი თუ როგორ არის დახატული „გამოცანებში". ქვევით დავახასიათებთ. რაც შეეხება გიორგი მუხრან-ბატონს, ადრესის ერთერთ ავტორს. ილია მას შემდეგნაირად ამათრახებს:

„ჯოხტაა და ღობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი
უეშმური, განს გამდგარი.
ჰკვირთ და გულით მოცეთილა,
ქვეყანაზედ უქმად გდია,
თვით მაღლა ზის, — ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიდია".**

გიორგი მუხრანსკის ილია შეეხო აგრეთვე ლექსში „რჩევა" და „პასუხის პასუხში". ამ საკითხს ცალკე განვიხილავთ.

მესამე გამოცანის ისარი მიმართულია ჩვენთვის უკვე ცნობილ ივანე მუხრან-ბატონისადმი, რომელთანაც ილიას განსაკუთრებული ანგარიშები უნდა ჰქონებოდა. ეს თვით გამოცანიდანაც კარგად იგრძნობა, ვინაიდან ძმაზე უფრო მწარედ სწორედ მას, მეტად გავლენიან პირს, მოხვდა კანონიერი შურისგების მახვილი. ამას მოწმობს თვით ლექსის მეტად გამძაფრებული ტონი:

„ბუღა არის, კისერმოკლე,
პირ-რგვალი და ტანად სრული,
ლაზღანდარა და მასხარა,
ქვეყნისაგან ლაფდასხმული.
ვაჭრობა რომ გაუდის
ჰკარს ხმა აქვს დავარდნილია,
მაგრამ ჭკვიანი არ არის,
იგი მარტო გაქნილია.
ტაციობით დღეს აღმებს,
გულმურტალი და ფლიდია,
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა
იმას ფეხებზედ ჰკიდია".***

ივანე და გიორგი მუხრანსკების სახეები, ასე მკაცრად მხილებულნი ილიას „გამოცანებში", დიმიტრი უიფიანსაც გადმოცემული აქვს. „მე მუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 82.
** იქვე, გვ. 82.
*** იქვე, გვ. 82—83.

არებში“, სადაც აღწერილია 1856 წელს მურავიოვის წასვლა და მის ადგილზე კავკასიის მეფის მოადგილედ გენერალ-ადიუტანტ ალექსანდრე ივანეს ძე ბარიატინსკის დანიშვნა (ბარიატინსკი მეფე ალექსანდრე II ბავშვობის მეგობარიც იყო), ორივე ძმა დიდ მოხელეებად იხსენიება. როგორც დიმიტრი ყიფიანი გადმოგვცემს, ბარიატინსკიმ „...დაიახლოვა მაშინდელი ტფილისის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე სამხედრო თუ სამოქალაქო ასპარეზზე და მათს აზრსა და შეხედულებას ეცნობოდა უბრალო ინტიმურ მუსაიფში, ისე რომ მას არავითარ ოფიციალურ ხასიათს არ აძლევდა... მკვიდრი მცხოვრებლებიდან ყველაზე ხშირი წვეულნი იყვნენ მასთან თავადი ივანე კოსტ. მუხრანსკი, რომელიც მურავიოვს ათვალისწუნებული ჰყავდა ორპირში სურსათის დაწვის გამო, როცა ის გურიის მაზრის უფროსად იყო; ძმა მისი, თავადი გიორგი, შემდეგში სენატორი და სტატს-სეკრეტარი; თავადი ალექსანდრე დავითის ძე ორბელიანი, მაშინდელი წინამძღოლი თავად-აზნაურობისა და ამ სტრიქონების ავტორი, ისევ ის მოკრძალე საბჭოს საქმეთა მმართველი“.* ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ, რომ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი დიდი და შეძლებული მემამულე იყო. უმუშავნია გურიის რაზმის უფროსად. განსაკუთრებით ცუდად ექცეოდა გლეხებს. პროგრესული ინტელიგენცია მას უცქეროდა, როგორც რეაქციონერსა და მხეცპყრობელს.** ილია ყოველთვის დამსახურებულად მიუზღავდა ხოლმე გენერალ-ლეიტენანტ ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკის მისი ასეთი როლისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თუ ასე სასტიკად, მაგრამ სამართლიანად მოექცა რეაქციონერებს თერგდალეულთა ბელადი თავის პამფლეტში, შეიძლება მკითხველმა მთლიანად ვერ გაიგოს მეოთხე გამოცანა. მისი პერსონაჟია პლატონ იოსელიანი, რომელსაც მაშინ ისე აქტიური როლი უკვე აღარ ეკუთვნოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რატომღაც დაცინვა ბედად დაჰყვა ამ ქართველ პლუტარქეს. მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი ლიტერატორი, ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი პლატონ იოსელიანი ძალიან აფასებდა ნიკოლოზ ბარათაშვილს — „ეს კარგი გამოვაო“, — ამ უკანასკნელმა იგი მაინც არ დაინდო, სასტიკად გაკენწლა თურმე ერთ საზოგადოებაში. იონა მეუნარგიას ეს შემთხვევა ასე აქვს გადმოცემული: „ერთს საზოგადოებაში ვიღაცამ თურმე იკითხა:

— ე, ბერძენ-რომაელებს რომ ყოველისფერის ღმერთი ჰყავდათ, ნეტა ვიცოდე, ვირების ღმერთიცა ჰყავდათ?

— ეს პლატონს უნდა ვკითხოთ, ის არის ბოღ-ასლოვიო, — მიუგო რუსულის ზმით ბარათაშვილმა და მიუშვირა ხელი იოსელიანს“.***

მეორე მათრახი პლატონ იოსელიანს მოხვდა კომედია „ტივით მოგზაურობაში“. მაგრამ ყველაზე მწვავე გაკილვა საფლავის კართან მისულმა მხცოვანმა მოღვაწემ, თავისი რეტროგრადული შეხედულებებისათვის, ილიას „გამოცანებში“ იგრძნო. მართალია, პლატონ იოსელიანს არავითარი ბრალი არ მიუძღვის (ყოველშემთხვევაში, ეს არსად არა ჩანს) ადრესის

---

* დიმ. ყიფიანი, „მემუარები“, 1930 წ., გვ. 53, ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 159, სიმონ ხუნდაძის შენიშვნები.

*** ნ. ბარათაშვილი, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., გვ. XXXI.

შედგენაში, ამ დროს იგი უკვე ღრმად მოხუცი იყო (დაიბადა 1809 წელს), ხოლო სამი წლის შემდეგ — 1875 წლის 15 ნოემბერს უკვე გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც „მამების“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მასაც არ ასცდენია საჯარო გაკილვა:

„ცხვირდიდა და თვალდიდრონა,
მსუნაგი და ტრაბახია,
ერთი უშნოდ აწოწვილა,
ერთი რაღაც ახმახია;
სეხნია ჰყავს სახელ-დიდი,
თითონ კი მარტო გრძელია,
ძველის მცოდნეა, მაგრამა
უბედი და ჰკვაზედ თხელია;
ენაპრტყელია, გულმრუდე,
ადვილად მოსასყიდია,
ამ ყლაპიასაც ქვეყანა
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია“.*

პლატონ იოსელიანი აქ იმდენად პორტრეტულად არის დახატული, რომ მისი გარეგნობის ყველა ნიშანდობლივი თვისება დაჭერილია. ანტიკური ხანის დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის დასახელება სეხნიად, ხოლო შემდეგ „ძველის მცოდნედ“ მიჩნევა, პლატონ იოსელიანის სრულიად ზუსტი მისამართია და არავის შეეძლო დაცინვის ობიექტი უმალ არ გამოეცნო.

შემდეგი გამოცანა ეხება დიმიტრი ჯორჯაძეს, რომელმაც დაღესტანში „იშოვა დაწინაურება“, როგორც იონა მეუნარგია ამბობს. 1871 წელს იგი მეფის ნაცვლის საბჭოს წევრად მუშაობდა. თუ როგორ უყურებდნენ მის როლს ადრესის შედგენაში და როგორ აფასებდნენ მონურ ქედმოხრილობას ამ ადამიანისა, პამფლეტში ძალიან კარგად ჩანს:

„თეთრ-წითელი ვაშლსავითა,
ხაშხაშლოყა, მსუქანია,
რაც ნახირში გაერია,
არ არის დიდი ხანია;
ქვეშ-ქვეშაა, მელაძეა,
მორიელი, ფრთხილი, წყნარი,
თქვენ იმას კარგად არ იცნობთ,
დიდი კუდიანი არი.
ჭალაჩუნა და ლუჩუნა,
ფარისეველი მშვიდია, —
ამ ძრომსაც თავის ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია“.**

ნეიტრალურ პორტრეტად არის წარმოდგენილი გუბერნიის სასამართლოს წევრი იასე ჭავჭავაძე. მაგრამ სატირის მახვილი მასაც ხვდება, როგორც უმოქმედოსა და დიმიტრი ჯორჯაძის ჩრდილს. რატომ „დაინდო“ იგი პამფლეტის ავტორმა? მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოსადმი დიდი სიყვარული ჰქონია, თუმცა არაფრის გაკეთება არ შეძლებია. მისი სახე ასეა დახატული:

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 83.
** იქვე.

„პირტიტველა და კროღოველა,
თაშდაბლად გამომხედია,
არც კარგი, არცა რამ ავი
მის ხელთ არ უმოქმედია.
ყველას უყვარს, ყველა უყვარს,
ყველასთვის შეტად ტკბილია,
ზემოთქმულ ღობეშძვრალისა
უკან მიმყოლი ჩრდილია.
მე ვიცი, რომ ქვეყნისადმი
მის გულში ტრფობა დიდია,
მაგრამ საქმით კი ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია".*

პამფლეტში ძალიან მკაცრად არის გაკრიტიკებული ბესარიონ ღოღობერიძე (1833—1879), რომელსაც 60-იან წლებში, როგორც აღნიშნული გვაქვს, პეტერბურგში მყოფი ქართველი სტუდენტობა „პატრიარქს" უწოდებდა. 10-12 წლის შემდეგ კი ბესარიონ ღოღობერიძე ამ ახალგაზრდობის მხრივ დაუნდობელი კრიტიკის ობიექტად იქცა. რა იყო ამის მიზეზი? მისი პროზელიტობა. განდგომა ამ ახალგაზრდობის მსოფლმხედველობიდან, რასაც ადრე თანაგრძნობით ეკიდებოდა, ახლა კი ძველთან ერთად იდგა. სწორედ ამის გამო შეერქვა მას ძველსა და ახალს შორის ჩატეხილი ხიდი:

„ერთი ვინმე შავგვრემანი
სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებულია,
პკვამოკლე და ენაგრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა,
ვით ავის სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო,
ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყეცილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია".**

ბესარიონ ღოღობერიძისაგან განსხვავებით, ძველისა და ახლის შემაერთებელ ხიდად პამფლეტში გრიგოლ ორბელიანი იხსენიება. ერთად-ერთი მხოლოდ ის არის წარმოდგენილი ყველაზე სიმპათიურად. ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ღრმა პატივისცემით ეკიდებოდა გრიგოლ ორბელიანს, როგორც პოეტსა და მოჭალაქეს; ეს სიყვარული მან ბოლომდე შეინარჩუნა. რასაც გრიგოლ ორბელიანის დაკრძალვის დროს ილიას მიერ წარმოთქმული მშვენიერი სიტყვაც გვიდასტურებს. ერთადერთი ბრალდება, რომელიც გენერალ პოეტს წაუყენეს, მისი გაუბედაობა იყო და ამიტომაც მიაწერეს განახევრებული დანაშაული — „ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია". სამაგიეროდ, იმდენი კარგი თვისება აღნიშნეს ღრმად მოხუცი პოეტისა (გრიგოლ ორბელიანი მაშინ უკვე 68 წლის იყო), რომ დაღესტნის გმირი, როგორც მას უწოდებდნენ, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, რაკი ასე იოლად გადაურჩა ახალგაზრდობის გამძაფრებულ თავ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 83—84.
** იქვე, გვ. 84.

დასხმას. პამფლეტის პერსონაჟთა გალერეაში გრიგოლ ორბელიანი უფრო ოლიმპიურ მწვერვალზე იჯდა, ვიდრე ლეტას მიჰყვებოდა. ობოლი მარგალიტივით ანათებდა „მამების“ კრებულს, რასაც შემდეგი სიტყვები მოწმობენ:

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი.
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთაცა ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია“.*

ასე წარმოადგინა ილია ჭავჭავაძემ იმდროინდელი საზოგადოების ერთი ჯგუფი, რომელიც „მამების“ ბანაკს შეადგენდა; მკაცრად ამხილა კარიერისტები, მონური ქედმოხრილობის ოსტატები და საქვეყნო გულისტკივილის მესაფლავენი. პამფლეტის ძალა მართლაც განუზომელი იყო, ხოლო უკანასკნელი, მეცხრე გამოცანა, რომელიც თვით ავტორს — ილია ჭავჭავაძეს შეეხებოდა, კიდევ უფრო მეტ შინაგან სიმართლეს აძლევდა მთელ ნაწარმოებს. ეს იყო ავტორის გაბედულობა, მისი უშიშრობა და პირდაპირობა, რომლითაც ბრძოლის ველზე გამოწვეულ მოწინააღმდეგეს მოურიდებლად ეუბნებოდა — არც თქვენს წყენას და არც თქვენს განრისხებას მე არავითარ ყურადღებას არ მივაქცევო. ლექსის ბოლო ლოგიკურად ჰკრავდა მთელ ნაწარმოებს, და პამფლეტი, თავისი შინაგანი ღრმა რწმენით, ავტორის შეუპოვრობასთან ერთად, მკითხველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა. ილიამ თავისი მშვენიერი პამფლეტი ასე დაამთავრა:

„მეცხრე გამოცანად ითქმის:
— ეს ვის დაუწერიაო?
ნუ გაწყრებით და ნურც ეტყვით:
— იგი ჩვენი მტერიაო.
თუ გაწყრებით, რა მენაღვლის?!
მე არ მაქვს თქვენი რიდია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიდია“.**

როგორც ვთქვით, „გამოცანებს“ მოჰყვა „კიდევ გამოცანები“, რომელშიაც ილია ჭავჭავაძემ იგივე სტილი დაიცვა, იგივე ენა და იგივე ეპითეტები გამოიყენა. პირველი გამოცანის პერსონაჟად მან აიღო ცნობილი ლორის-მელიქოვი, რომელსაც ჩვენ ქვეყვით უფრო დაწვრილებით შევეხებით. ეს დიდი მოხელე ილია ჭავჭავაძემ ისე მკაცრად ამხილა, რომ უკეთესად. ისიც ლაკონიურად, შეუძლებელი იყო ვინმეს გაეკეთებინა. ლორის-მელი-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 84
** იქვე, გვ. 84—85.

ქოვნ სრული, უტყუარი პორტრეტია დახატული პამფლეტის ამ სიტყვებით:

„ოინბაზი, ლაქათაა,
გრძლად გალეული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,
ეხლა ქვეყნის მმართველია;
ცუღლუტია, ხერხიანი,
ენაცქვიტი, ყურმახვილი;
დროთა ბრუნვის შესაფერი
ყარგად იცის მოძახილი.
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,
სურს ალჩუა, სურს თაფია,
ბევრჯერ გაძერა და გამოძერა,
მაგრამ ვერ გახდა გრაფია.
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდია,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფეხებზედ ჰკიდია".*

ვენერალ ლორის-მელიქოვს შეეძლო თავისი თავი შეუცდომლად ეცნო ამ პამფლეტში და ჩვენ ქვევით ვნახავთ, თუ როგორ გამოეხმაურა ეს გაქნილი მედროვე ილია ჭავჭავაძის სიტყვებს.

მეორე გენერალი, რომელსაც პამფლეტი ეხება. ჩვენს ლიტერატურაში კარგად ცნობილი ლევან მელიქიშვილია (1817—1892). იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის ახლობელი იყო, სკოლის ამხანაგიც. ბიძასთან—ილია ორბელიანთან დუელის დროს ამბნევებდა პოეტს (ჯერ ზომები მიიღო, რომ დუელი არ მომხდარიყო). თუმცა იცოდა, რომ „დამბაჩები უტყვიოდ" იქნებოდა გატენილი.** შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ლევან მელიქიშვილი ერთად მუშაობდნენ ნახჩევანში, სადაც მეორე დროებით ითვლებოდა მაზრის უფროსად. ხოლო პირველი მისი მოადგილე იყო. ბარათაშვილსა და მელიქიშვილს უაღრესად მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ამას გვიდასტურებს ლევან მელიქიშვილის პირადი წერილი გრიგოლ ორბელიანთან, ბარათაშვილის გარდაცვალების (1845 წლის 2 (14) ოქტომბერი) შემდეგ. წერილი დაწერილია 1846 წლის 19 (31) იანვარს და მოწმობს მისი ავტორის მაღალ გონებრივსა და სულიერ მონაცემებს.

ლევან მელიქიშვილი ასე სწერდა გრიგოლ ორბელიანს ბარათაშვილის გარდაცვალების გამო: «...не знаю как описать тебе то ужасное чувство, которым исполнено сердце мое смертию бедного Баратова. В нем потерял я не одного школьного товарища, но друга, которому с самого детства открывал я все изгибы сердца своего и дружественного взаимностью которого я пользовался. Тяжело, мой Григорий, тяжело потерять человека, который теплым сердцем и теплой душой мирил нас с людьми, с этими созданиями ничтожными, слабыми, черными и злобными. Тяжело

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 86.

** ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბედი ქართლისა, წერილები, 1922 წ., იონა მეუნარგიას მიერ შედგენილი „ცხოვრება ნიკოლოზ ბარათაშვილისა", გვ. XXX—XXXI.

осиротеть душою! и не один я понес эту ужасную потерю. Грузия потеряла в нем человека любящего ее всею поэтическою душою и ставившего эту любовь выше всех обязанностей своих; молодого человека с прекрасными и блестящими способностями, от которого ожидала более, чем от кого-либо из нынешних своих молодых сынов. Родители лишились в нем единственной подмоги своей старости и всего их семейства, родственники его, доброго родственника; грузины одного из своих лучших соотечественников. —

Может быть я грешу, но не могу не сказать, где эта справедливость свыше, о которой ежедневно толкуют, — зачем было отнимать преждевременно у людей друга, — у родины верного и любящего ее сына и с блестящими способностями, у родителей — сына в цветущих летах и последнюю подпору, — скажи же мне, где тут видна справедливость?»*

გულწრფელობა ამ სიტყვებისა და უანგარო სიყვარული გენიოსი მეგობრისადმი იმდენად დამახასიათებელია ლევან მელიქიშვილის წერილსა, რომ ზედმეტ კომენტარს არც საჭიროებს. ილია ჭავჭავაძეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის უდიდეს პატივისმცემელს, მარტო ამის გამო არ შეეძლო ლევან მელიქიშვილი სხვებთან შეედარებინა, მაგრამ უკვე გენერალს, დიდი თანამდებობის მქონეს, სამშობლოდან შორს მომუშავეს, მაინც მოაგონა მეტად ეზრუნა ქვეყნისათვის და ამიტომ შედარებით მოკრძალებული სიტყვები ჰპოვა:

„ერთი არის ტანად მომცრო,
კარგად ჩასხმულ მხარ-ბეჭია,
თამამია, უარგარო
და ლაპარაკში ღმეჭია.
თუმც ბევრს იმის ჯურის ხალხსა
ქართველობა ეთაყვილება,
მაგრამ ის მაინც ქართველობს
ამით ეთქმის ჩვენგან ქება.
სხვა სიკეთე მე იმისი
არა რა გამიგონია,
თუმც სიკეთის ქმნად შემთხვევა
იმას მრავალჯერ ჰქონია.
ჩვენგან შორსა მას უპირავს
რაღაც ადგილი დიდია,
ნეტა ვიცოდე: ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია?!“**

ეს სიტყვაო შენდობა და მოკრძალებული ტონი იყო იმ მძაფრ ორკესტრში, რომელიც ბამფლეტს ამშვენებდა.

სასტიკი, მწვავე, დაუნდობელი სატირის მათრახი მოხვდა გენერალ იოსებ დავითის ძე თარხნიშვილს, მესამე გამოცანის პერსონაჟს. იმდენად გამჭვლავი იყო ლექსის ყოველი სიტყვა, რომ მგონი ასეთი შეუბრალებლობით ილია ჭავჭავაძე თავისი „კიდევ გამოცანების“ არც ერთ „გმირს“ არ მოქცევია. პირდაპირ ქვა-ქვაზე დაადუღა და ხელის ერთი დაკვრით

---

* შეცვლილი ორთოგრაფიით მოგვყავს წიგნიდან: ნ. ბარათაშვილი, ლექსები, ბეჭდი ქართული წერილები, 1922 წ., გვ. XXXVI—XXXVII.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 86—67.

მიწასთან გაასწორა ეს მუნდიროსანი ბობოლა. შეტევა პირველი სტრიქონიდანვე იწყება:

„ბაიყუშივით თავდიდა,
დაღვრემილი და ბღვერია,
მუდამ გაბუტული დადის,
რაღაც უტყვი და შტერია;
თავმძიმეა, კკვასუბუკი,
ცომივით გათქვეფილია,
ჯილდოსთვის ბევრი დაჭსაქსა
მან საქართველოს შვილია.
დღდათ წყევლამა აუგო
მას საკოლაფი დიდია,
მაგრამ წყეულაც და ქვეყანაც,
ორივ ფეხებზედ ჰკიდია".*

ძალიან დამამცირებელი ეპითეტებით არის წარმოდგენილი ვიხეილ ბერთველის-ძე თუმანიშვილი (1818—1875), ნიკოლოზ ბარათაშვილის ყრმობის მეგობარი. იგი იყო მამა ცნობილი ქართველი ლიტერატორებისა—გიორგი თუმანიშვილისა და ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისა. მიხეილ თუმანიშვილი ჩვენს ლიტერატურაში იმდენად ცნობილია, რომ მისი ცალკე დახასიათება აქ ზედმეტი იქნება. მწერალი, ჟურნალისტი, მოხელე — მიხეილ თუმანიშვილი წარმოშობით სომეხი იყო. მამამისი — ბერთველ თუმანიშვილი ერთ-ერთი გამოჩენილი პირია. ამიტომ პამფლეტში იგი ქებით იხსენიება. მიხეილ თუმანიშვილმა საკმაოდ მიიღო წარჩინებანი და ილია მას გრიბოედოვის კომედიის გმირს მოლჩალინს ადარებს. გრიბოედოვმა ამ ტიპით განასახიერა მლიქვნელი ადამიანი, ქვემძრომელა, რომელიც ფამუსოვის ქალიშვილს სოფიოს ატყუებს, ხოლო მის მოსამსახურეს ლიზას სიყვარულს ეფიცება. როცა ეს უკანასკნელი მოლჩალინს უღირსი საქციელის გამო ეუბნება: „მერე და განა არა გრცხვენიათო?", მოლჩალინი უპასუხებს: „მამამ ანდერძად ეს დამიბარა: თავდაპირველად ყველას ვაამო, განურჩეველად, მინდა თუ არა: — სახლის პატრონსა, ვისთანაც ვდგავარ, და სამსახურში ჩემსავე უფროსს, იმის ბიჭს, ეზოს დარაჯს, მეკარეს და ეზოს ძაღლსაც, რომ არ დამყეფოს".**

როგორც ამ სიტყვებიდან სავსებით ნათლად ჩანს, მოლჩალინის პირველი „ფილოსოფია" მონურ სულშია განსახიერებული და მისი გვარიც ამ მხრივ სავსებით შეესატყვისება ხსენებულ ფილოსოფიას — დუმდე, როცა შენზე წარჩინებულნი ლაპარაკობენ, და მათ აზრებს, როგორი მოუღებელიც უნდა იყოს, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიო. ეს „მოლჩალინური" აული იყო მიზეზი, რამაც მიხეილ თუმანიშვილს მონაწილეობა მიაღებინა სამარცხვინო, ერთგულქვეშევრდომული ადრესის შედგენაში. მას ამიტომ დაესხა თავს ილია ჭავჭავაძე და მკაცრად ამხილა „ქართული მალჩალინის" უღირსი საქციელი. ახლა ნახეთ მიხეილ თუმანიშვილის პორტრეტი „კიდევ გამოცანებში":

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 87.
** ა. ს. გრიბოედოვი, ვაი ჭკუისაგან, განდეგილის თარგმანი, 1945 წ., გვ. 143.

„კირ-ტუჩ-რგვალი, მუდამ წმინდად
ლოყებ-ჩამოფხეკილია,
თავის-თავის მოარშიყე,
თუმც ასაკ-მიდრეკილია;
პრანჭიაა და გრეხია,
საკოპწოდ უტოკს ტანია;
ამბობენ, რომ ყურმარჯვეა
და ცოტად ენამტანია.
ჩინოვნიკობაში იგი
თურმე გამოქნილი არი
ისე, როგორც უღლის ქვეშა
ჩვენი გლეხიკაცის ხარი.
ეგ უსახო და უხამი
ქართული მალჩალინია,
თავი მოსწონს მხოლოდ მით, რომ
ზედიზედ მოსდის ჩინია.
წერილებში თავმომწონეა,
სხვილებში — ფეხის მტვერია,
მამის სახელით გამოდის,
რადგანც თვით არაფერია.
მის ჯურის ხალხს მწერლად მოსწონს,
ვერ კი შეუტყვეს მრუდობა,
რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების
იცის ცოტა რამ ქურდობა.
რა გინდ მძიმე საქმე იყოს,
ანუ ძნელი სავეზირო,
ის მაშინვე წაეჩრება,
ეითომც მეც ნახირ-ნახირო.
ეს გამოცანა, მკითხველო,
ახირებულად გრძელია,
ფუუჟ, უსახო კაცისა
მოკლედ აღწერა ძნელია.
ვირ-ეშმაკი და ორპირი,
ეგ დიდად მოსარიდია,
ქართლი, სომხეთი, რუსეთი,
სამივ ფეხებზედ ჰკიდია“.•

ერთადერთი, ვისაც „კიდევ გამოცანებში“ გაკილვა ასცდა, დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი იყო (1814—1887). სატირიკული განქიქების ნაცვლად, ამ მართლაც დიდ მოღვაწესა და სპეტაკ ადამიანს, ილია ჭავჭავაძემ ქება-დიდება მიუძღვნა. სანიმუშოდ მოქალაქედ დახატა და მარტოოდენ ის მიიჩნია ძველთაგან იმ ადამიანად, რომელსაც „ქვეყანა ფეხებზედ არა ჰკიდია“. დიმიტრი ყიფიანი მართლაც იმსახურებდა ამ ქებას თავისი წარსული ცხოვრებითა და მოღვაწეობით, მაღალი სულითა და სამშობლოსადმი გულმხურვალე სამსახურით. დიმიტრი ყიფიანი მრავალი წამოწყების ინიციატორი და ორგანიზატორი იყო. ჩვენ გზადაგზა რამდენჯერმე შევეხეთ მას და აქ აღარ დავახასიათებთ. უანგარო პატრიოტი და სამშობლოსათვის თავდადებული, დიმიტრი ყიფიანი წამებულის ეკლის გვირგვინით შეიმოსა 1887 წელს, როცა მეფის აგენტებმა შუბლი გაუგმირეს გადასახლებაში მყოფ მოხუცს. მისი სიკვდილი დატირებულია

• ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 87—88.

აკაკი წერეთლის გრძნეულ ლექსში, რომელსაც „განთიადი“ ეწოდება. ასეთ მოღვაწეს, ცხადია, ილია ჭავჭავაძე არ გადაულოცავდა მოწინააღმდეგე ბანაკს. დიმიტრი ყიფიანის პორტრეტი 1871 წელს დიდმა ილიამ თავის პამფლეტში ასე წარმოგვიდგინა:

„ერთის კარგის საქმის იგი
დამწყობი, მეთაურია;
თქმულა, — ნაყოფისაგანო
ხე იგი საცნაურია.
თუ ასეა, მაშ არ აღვწერ
მის ნიშნებს და მის სახესა,
მარტო ნაყოფს დაგანახვებთ
და მით სცნობდეთ თვითონ ხესა.
ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ
მან მარტომან შეგვძრა ყველა,
ერთმანეთის მტრებს გვასწავლა
ერთმანეთის ძმური შველა.
ბანკის ძირი იმან ჩარგო,
ღონე ხსწინა მოგვცა ხელთა;
ვახ! დაგვიმხეს ზოგთ ეს საქმეც!
წყევა ჩვენი მათ — ჩვენ მტერთა!
ამ უცნაურ კაცთა შორის
მე იგი კაცად მგონია
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
მას სიყვარული ჰქონია.
ბევრი ვიცი მე ამისი
ცოდვა და ნაკლულოვნება,
მაგრამ კარგის საქმის დამთესს
ბევრი რამ მიეტევება.
რაც არის, კიდევ ეგ არის
ჩვენში ხელმოსაკიდია,
მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა
ფეხებზედ არა ჰკიდია“.*

დიმიტრი ყიფიანის ამ დახასიათებით სრულდება ცალკეული პორტრეტების წარმოდგენა „კიდევ გამოცანებში“. მაგრამ პოეტმა აქ მაინც არ დასვა უკანასკნელი წერტილი და ერთი (მეექვსე) გამოცანა მიუძღვნა ყველას, ვინც „აღწერილთა ჯურის ხალხს“ ჰგავდა. ისინი მკაცრად არიან გალაბძღულნი. თუმცა „თავის ქერქში“ იყვნენ შემძვრალნი და „დიდთა ნაბირში“ მათი „ბღავილი“ არ ისმოდა. მაგრამ ეს ადამიანები ილიას მიაჩნდა წურბელებად, გველებად, ხვლიკებად, ლოკოკინებად, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ „არ ვარგანან“ და ამიტომ „სხედან შინა“. ისინი ბევრი იყვნენ, ხროვას ახუ ჯოგს წარმოადგენდნენ და პოეტმა სულთათანა უმღერა სამშობლოს ვაებით გულშეუწუხებელ ადამიანებს, უთხრა მკაცრი სიმართლის მღაღადებელი სიტყვები: „მათ ყველას ერთად ქვეყანა შინვე ფეხებზედ ჰკიდიაო“.

უკანასკნელი გამოცანა თვით ავტორს შეეხება, მაგრამ აქ უმთავრესია მთელი ნაწარმოების შინაგანი იდეის ჩვენება, იმის ცხადყოფა. რომ მტერი ის კი არ არის, ვინც ლექსში გამოყვანილი პირები ამხილა, არამედ:

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 88—89.

„ჩვენი მტერი — სიბრმავეა,
უეარგ კაცზედა დანდობა,
ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის
ფლიდობა და თვალთმაქცობა“.*

მაგრამ მარტო ეს არ იყო გამოცანების მიზანი. ვინც ჩრდილში განისვენებდა, ხოლო ლექსმა სააშკარაოზე გამოიყვანა, შეიძლებოდა ნიშუშად გაეცადათ სხვათა მხილებისათვის, ყველას თავისი მიწყოდა და მართალი აღდგენილიყო. ილია თავის „კიდევ გამოცანებს“ ამიტომ ამთავრებდა მკითხველისადმი მიმართული, სატირიკულ ფორმაში გახვეული შემდეგი სენტენციებით:

„მინდა, რომ თქვენ შეურჩიოთ
თხა თხასა და ცხვარი ცხვართა
და, ეით თქმულა, მიანებოთ
მკვდარნი დაფლვად მისთა მკვდართა;
მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირ-მომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოსთ,
ვით მე ფეხებზედ მკიდია“.**

ამით დამთავრდა მთელი ნაწარმოები და მკითხველს მიეცა, ნეგატიურ პორტრეტებთან ერთად, ლექსის მთავარი დანიშნულების ძალიან მკაფიო, სავსებით ნათელი დახასიათება. ასე ოსტატურად დაწერილი პამფლეტი, ისიც უალრესად ხელსაყრელ მომენტში, როცა ყველას პირზე ეკერა მეფის საქართველოში ყოფნა და ქართველი თავად-აზნაურობის გამყიდველობა, სრულიად ბუნებრივად გაიკვლევდა გზას მკითხველის გულისაკენ. ყველა, ოდნავ შეგნებულმა, ქართველმა ამ ლექსში თავისი ინტერესების დაცვა იგრძნო, ავტორისადმი დიდი სიყვარულით განიმსჭვალა, ხელნაწერი გაავრცელა და მიზანიც მიღწეულ იქნა. თუ მკითხველი მასა სიხარულით ცას ეწია, დღესასწაულობდა, სამაგიეროდ, ნეგატიურად დახატული პირები, დიდი თანამდებობის გვამები და მეფის ერთგული მოხელეები, სრულიად გასაგებია, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩხდნენ. ხალხის თვალში მათი გაბერილი ავტორიტეტი ისე შეირყა, როგორც ქარიშხლის დროს ზებერი ხე უკანასკნელ შტოებსა და შერჩენილ ფოთლებს დაჰკარგავს ხოლმე.

VIII

ინტერესმოკლებული არ იქნება ვიცოდეთ, თუ ვინ როგორ შეხვდა „გამოცანებს“. ერთ-ერთ მათგანს, ვ. ყიფიანის ნაამბობის მიხედვით, ეხება გიგა ყიფშიძე, კერძოდ, ლორის-მელიქოვს, რომელიც „...მაშინ თერგის ოლქის უფროსი იყო და კავკასიაში სცხოვრობდა. იქვე სცხოვრობდა მიხ. ზ. ყიფიანი, გამგე გამოჯვნის საქმისა თერგის ოლქში. ლორის მელიქოვი, ისე როგორც ბევრი მაშინდელი მაღალჩარისხოვანი სომეხი, ქართველებში არ გამოირჩეოდა. მოსე არღუთაშვილს, ვ. ო. ბებუთაშვილს, ლორ-მე-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 89.
** იქვე, გვ. 89—90.

ლიქოვს, მიხ. თუმანიშვილს, შანშიევს ყოველივე ქართული საინტერესოდ მიაჩნდათ. ასეთივე ფსიქოლოგიისა იყო ავთანდილოვიცა, ტფილისის მოქალაქე, შავა ექიმის ავთანდილოვისა. აი ეს ავთანდილოვი აწვდიდა ტფილისიდან ახალ-ახალ ამბებს მ. ყიფიანს კავკავში და ატყობინებდა ქალაქის ყოველ გარემოებას. პირველი ცხრა გამოცანაც მაშინვე თურმე აფრინა კავკავში. ცხადია, რა სენსაციასაც გამოიწვევდა ასეთი გამოცანა-ეპიგრამები კავკავის ქართველთა შორის. მერე, დანარჩენი შვიდი გამოცანაც რომ მოუვიდა მ. ყიფიანს და წაუკითხა ლორ-მელიქოვს, მომავალ თავმჯდომარეს უზენაესის კომისიისას, კეპრაფრად ეპაშნია თავის-თავის გამოჭიმვა გამოცანაში და ერთს წამს სახე მოელრუბლა, მაგრამ ისევ მალე გამხიარულდა და სთქვა: მაინც გაუხდები გრაფიო. და ხომ გახდა კიდეც ცხრა წლის შემდეგ!"*

ლორის-მელიქოვი მართლაც იმდენად დიდი მოხელე იყო, რომ მეფეს მთავრობამ არ დააყოვნა მისი დაწინაურება, ტახტისათვის სწორედ ყველაზე მძიმე მომენტში. იმპერატორ ალექსანდრე მეორეზე თებერვლის თავდასხმის შემდეგ, „საზოგადოებრივი მშვიდობიანობის" აღსადგენად, როგორც დიმიტრი ყიფიანი ამბობს, დაარსებულ იქნა «Верховная распорядительная комиссия»,** რომლის მთავარ გამგედაც დაინიშნა უკვე გრაფი მიხეილ ტარიელის-ძე ლორის-მელიქოვი. დიმიტრი ყიფიანს მასთან კარგი დამოკიდებულება ჰქონია თბილისშიაც და თერგის ოლქში ლორის-მელიქოვის მუშაობის დროსაც. „ჩემი გმირი", — ასე უწოდებს ამ დიდ მოხელეს დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ კი დასძენს: მასთან „...აქ, ტფილისში ყოველთვის საეკატერინო. თითქმის მეგობრულ განწყობილებაში ვიყავი... როდესაც ის თერგის ოლქის უფროსად იყო, არა ერთხელ გამოუთქვამს ჩემთვის სათუთი თავისი გრძნობანი. 1878 წელს კი, ყარსის აღების შემდეგ, ერთი დიდი თანამდებობის მოლოდინში, სიტყვა ჩამომართვა, რომ წავიდოდა მასთან სამსახურში".***

ასეთ დიდ მოხელეს და ასე ახლო ნაცნობს მიმართა პირადად მძიმე მდგომარეობაში მყოფმა დიმიტრი ყიფიანმა დახმარებისათვის. ეს იყო 1880 წლის მარტში, როცა იმპერატორზე თებერვლის თავდასხმის გამო მეფის მთავრობამ სულის შემხუთველი ატმოსფერო შექმნა. ნაროდოვოლცების ერთი ყველაზე ძლიერი თავდასხმა იყო 1880 წლის 5 თებერვალს, როცა ლეგენდარულმა სტეფანე ხალტურინმა აფეთქება მოაწყო ზამთრის სასახლეში. მაშინ მეფე ალექსანდრე მეორე გადარჩა. დაიწყო სასტიკი რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ. სწორედ იმ დროს დაარსდა უზენაესი განკარგულების კომისია გენერლისა და გრაფის ლორის-მელიქოვის ხელძღვანელობით. ერთი თვისა თუ თვენახევრის შემდეგ ამ კომისიის შექმნისა, ლორის-მელიქოვს პეტერბურგში ეწვია დიმიტრი ყიფიანი. თუ რა მოჰყოლია შედეგად ლორის-მელიქოვის დანიშვნას, დიმიტრი ყიფიანი ასე გადმოგვცემს: „იქ (ე. ი.

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXVII.

** დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 66. სრული სახელწოდება ასეთი იყო: «Верховная распорядительная комиссия по охранению государственного порядка и общественного спокойствия».

*** იქვე, გვ. 66.

პეტერბურგში — გ. ჯ.) მიხეილ ტარიელის ძე (ლორის-მელიქოვი — გ. ჯ.) გადაჯეტეით მუშაობს.

— იმის დანიშვნამდე არავის ძილი არ ჰქონდა პეტერბურგში, — მეუბნებოდნენ ერთ კერძო სახლში, სადაც ეშვიც არ ჰქონდათ ჩვენი ერთმახეთში დამოკიდებულების შესახებ. — ახლა კი გვძინავს; ჩვენ არ ვიცით მან რა გააკეთა, მაგრამ მშვიდად კი გვძინავს.

თვითონ მასში კი მე არავითარი ცვლილება არ დამინახავს, გარდა იმისა, რომ ძალიან გაბრაზებული იყო"*.

ჩვენ კი ვიცით, თუ რა გააკეთა მაშინ ლორის-მელიქოვმა: ერთის მხრივ, გააძლიერა რეპრესიები რევოლუციონერთა წინააღმდეგ, ხოლო, მეორეს მხრივ, ოსტატურად გამოიყენა ლიბერალური თვალთმაქცობანი, რის გამო ძირ პოლიტიკას „მელიის კუდის" პოლიტიკას უწოდებდნენ (მელია ხომ მას ილიამ ათი წლით ადრე შეარქვა), და დროებით „სიმშვიდეს" მიაღწია. მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი „აქციები": იმავე წლის აგვისტოში ლორის-მელიქოვის ცნობილი კომისია დაიხურა, ხოლო მისი გამგე მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა. ყველა გრძნობდა, რომ ეს „ახალი გრაფი" ფაქტიურად მეფის რუსეთის დიქტატორად იქცა. მაგრამ მისმა „მოკრძალებამ" პოლიტიკამაც შეარყია ტახტს ვერ უშველა: 1881 წლის 1 მარტს „ხალხთა ნებისყოფა" წევრმა, რევოლუციონერმა გრინევიცკიმ ბომბით მოჰკლა მეფე ალექსანდრე მეორე და ლორის-მელიქოვის „ბრწყინვალე კარიერაც" დამთავრდა. იგი გაემგზავრა უცხოეთში და 1888 წელს გარდაიცვალა.

აი, ასეთ ადამიანებს თავს ესხმოდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი ილია ჭავჭავაძე, მწვავე სატირით ამათრახებდა და საამკარაოზე გამოჰყავდა ყალბი ლიბერალები. ილიას შემდეგ ლორის-მელიქოვის ეს „მოჩვენებითი ლიბერალობა" დიმიტრი ყიფიანმაც იგრძნო, როცა მისი აუდიენცია გრაფთან, რომლისგანაც სიკეთეს მოელოდა, სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. 1880 წლის მარტში ლორის-მელიქოვთან შეხვედრას დიმიტრი ყიფიანი ასე გადმოგვცემს:

„ჩემი პირველი საკითხის შესახებ მიპასუხა (ლორის-მელიქოვმა — გ. ჯ.), რომ ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, რომ შესძლებოდა ჩემი ჩაყენება იქ, სადაც უკვე ჩააყენა ესა და ეს; მაგრამ ნეპოტიზმს (ე. ი. ნათლიაობას, თავისიანების მოწყობას დიდ თანამდებობებზე — გ. ჯ.) დამწამებენო; იმას კი არ უნდოდა, რომ რამეში ბრალი დაედოთ."**

— მაგრამ მე შენ მოგაწყობ, შესაფერისად მოგაწყობ, თუ ერთ-ორ თვეს დამაცდი.

— ვეცდები დავიცადო. ახლა მეორე საკითხი. მე მაქვს აქ პირადი და საზოგადო საქმეები. მაგრამ წინდაწინ ვაცხადებ, რომ თუ ჩვენი საზოგადო საჭიროებანი შეწყნარებულ იქნებიან, კერძო ჩემს საქმეებზე ხმასაც არ ამოვიღებ.

— მაშ ჯერ საზოგადო საჭიროებაზე მოვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკებ მხოლოდ ორზე: ჩვენი თავად-აზნაურობის პრივილეგიის ვალზე და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე.

---

* დიმიტრი ყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 67.

** დიმიტრი ყიფიანი იმ დროს ბარიატინსკის მიერ მეფის მოადგილის საბჭოდან გაძევებული იყო, თანაც 50.000 მანეთის გადახდა ჰქონდა მისჯილი სამეგრელოს მთავრის სასარგებლოდ.

— ხალხის განათლებისათვის ყველაფერზე მზადა ვარ, მაგრამ ჯერ პრიკაზზე. ვალი თუ აღებულია გადახდაც ხომ უნდა?

— საქმეც ის არის, თუ როგორ არის აღებული ვალი? ჯერ ერთი ვიტყვი იმას, რომ ახლა სამ მილიონამდე ასული ვალის პატიებისათვის საპატიო საბუთიც რომ არ იყოს, თქვენ სხვაზე უკეთ იცით, რომ ეს მოწყალება ქართველმა თავად-აზნაურობამ სრულებით დაიმსახურა.

— მე კვლავ მესმის ჩვენი წინამძღოლის მსჯელობა!*

— არა... მათ რომ... ასეთი საჩუქარი მიეცეთ, კარგი იქნება, ძით უმეტეს, რომ ესეც უნდა მოხდეს, ვინაიდან ამას უძევს ძალიან მკვიდრი იურიდიული საფუძველი.

— ოჰო! აბა როგორი?

— ეს ვალები ბატონ-ყმობის დროს არის აღებული. პრიკაზი რომ ფულს აძლევდა, მეკომურ ყმებს იგირავებდა. ეს გირავნობა ახლა აღარ არსებობს და ეს მოვალეების ბრალი არ არის. სესხის აღების პირობა დარღვეულია, სწორედ რომ ვსთქვათ, მესამე პირის მიერ, საკანონმდებლო ხელისუფლებით. ადგილობრივი მთავარმართველობისაგან ამის შესახებ უკვე გამოგზავნილია შუამდგომლობა კავკასიის კომიტეტში და საჭიროა მას ხელი შეეწყოს. ეს სასიამოვნო იქნებოდა დიდი მთავარი მეფის მოადგილისათვისაც.

— მართლა და ახლა მაგონდება, გირაოდ მიწას კი არა, გლეხებს იღებდნენ. შევიდგინე ამის შესახებ ქაღალდი და მე ვეცდები. მეორე საქმე?

— ეს არის საქმე ტფილისის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შესახებ, სადაც თქვენც წევრი-დამფუძნებელი ბრძანდებით. სასურველია, რომ ამ საზოგადოებამ მოიპოვოს უმაღლესი მფარველობა და აქედახე ასეთი დახმარება მიეცეს:

სამი მილიონი ვალი თუ მოიხსნა, ეს იქნება წყალობა თავად-აზნაურობის მხოლოდ ერთი მესამედისათვის, ხოლო დანარჩენი ორი მესამედიც რომ მოხსნილე შეიქნეს მონარქიული მოწყალებისა, მოახერხეთ ისე, რომ ნაწილი ვალისა ანგარიშებიდან მოიხსნას და დანარჩენი კი წერა-კითხვის გავრცელების სასარგებლოდ მიეცეს.

— აზრი მოსაწონია. საჭიროა ამის შესახებაც ქაღალდი. ერთს ქაღალდს შეადგენ, როგორც ყოფილი წინამძღოლი თავად-აზნაურობისა, მეორეს კი — როგორ?

— როგორც თავმჯდომარე საზოგადოებისა!

— ჩინებულია! შეიძლება ხვალისათვის?

— უეჭველად მოგართმევ ხვალ.

და მივართვი.

შემდეგ — კრინტიც აღარ დაძრულა ჩემს პირად საქმეებზე.

მაგრამ ვერც საზოგადო საქმეები გაკეთდა...“**

---

* ლორის-მელიქოვი აქ გულისხმობს შემდეგ ფაქტს: დიმიტრი ყიფიანი, მიუხედავად იმისა, რომ უბრალო აზნაურის შვილი იყო და არა თავადისა, 1964 წლიდან 1870 წლამდე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იყო არჩეული, თუმცა მის კანდიდატურას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გრიგოლ ორბელიანმა და მისმა ჯგუფმა — იე. კონსტ. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ, გიორგი რომან. ერისთავმა, ივ. შალიკოვმა, მიხ. გაბრ. ყაზბეგმა, ალექ. დიმ. საგინოვმა, კიდევ 29 კაცმა (მემუარები, გვ. 98—101).

** დ ი მ ი ტ რ ი ყ ი ფ ი ა ნ ი, მემუარები, 1930 წ., გვ. 67—69.

არცერთი საკითხი სამიდან, რომლის გამოც უსაბრალოდ და უსაშუალოდ დარჩენილი დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგში თავის „გჭირთახ“ გაეძგზავრა, ლორის-მელიქოვს დადებითად არ გადაუწყვეტია. ის მხოლოდ თავის კარიერაზე ფიქრობდა, რასაც 9 წლით ადრე ასე ოსტატურად დასცინა ილია ჭავჭავაძემ „გამოცანებში“. ამ ლიტერატურულ პამფლეტს მართლაც დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდა, რასაც არაერთი ფაქტი გვიდასტურებს.

ილია ჭავჭავაძის „გამოცანებს“ სულ სხვაგვარად მოეკიდა თურმე გრიგოლ ორბელიანი. გიგა ყიფშიძეს მოჰყავს მისი სიტყვები, ალექსანდრე სავანელის მიერ გადმოცემული: „არა, არა მწყინს, მაშას არ უხდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზეძოდ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს, არავინ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის ზრახვანი“.* მაგრამ შემდეგ, შესაძლოა სხვების წაქეზებითაც, გრიგოლ ორბელიანმა „პატარა შვილების“ მბრივ კრიტიკას „გამოცანებში“ პასუხი გასცა ძლიერი ლექსით, რომელსაც ისტორიკოსი ვერაფროდეს გვერდს ვერ აუვლის, როცა 70-იან წლებში „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ატეხილ ახალ დავას განიხილავს. ლექსს სათაურია „გამოცანების პასუხი“, შემდეგ ცნობილი „პასუხი შვილთა“; იგი დათარიღებულია 1872 წლის 26 ივნისით და მთლიანად დაწერილია მწვავე პოლემიკური ტონით.

პირველი რედაქცია გრიგოლ ორბელიანის ლექსისა ძალიან მკაცრი იყო და ავტორს არ გამოუქვეყნებია. მეორე რედაქციით ლექსი პირველად დაიბეჭდა მოგვიანებით, ჟურნალ „ცისკრის“ 1874 წლის ივლის-აგვისტოს მეშვიდე-მერვე ნომერში, „ძველი სემინარისტის“ ხელმოწერით.** ლექსს ეწოდებოდა „პასუხი უღირსთა შვილებთა“. გაჭოქვეყნებულ ტექსტს თარიღად უზის 1874 წელი. შესავალშივე გრიგოლ ორბელიანი თავს ესხმის „შვილებს“, რომლებსაც განუსჯელთ, უმადლოთ, ცუდ დროს ‘ობილთ უწოდებს, „სადღაც მიმალვით“ რომ ჰრომტავენ, ჰკნავიან და გაბოროტებით სწყევლიან თავიანთ მამებს. მაგრამ „უკადრისობით და უმეცრებით ვერ დაბნელებთ მათ სახსენებელს“. თქვენივე სიტყვებს თქვენვე იხანებთ, „თქვეხსვე გულს უკბენს უსამართლობაო“. მამების მამაცობის დრო მათი სახელის ქებით წავიდაო, — ეუბნება გრიგოლ ორბელიანი შვილებს, — და ლექსის ამ სტრიქონს შენიშვნას უკეთებს, სადაც ჩამოთვლის ღირსეულ „მამებს“, რომლებიც დაიხოცნენ და დაიჭრნენ „უკანასკნელ ბრძოლა‘ში“ ახიის ლომის — ერეკლე მეფისა და მძვინვარე აღა-მაჰმად-ხანის კრწანისში საბედისწერო შეტაკების დროს. შენიშვნის სრული ტექსტი ასეთია: „ღენერალი ივანე აფხაზი, ალექ. ჭავჭ., ვასილი ბებუთოვი, მოსე არღუთ., ივანე ახდრონ., ილია და სოსიკო ორბელ., იასონ და ნიკო ჭავჭ., ნიკო ერისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახოვი, ზაქ. ანდრონ., ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხნ., ქობულოვი, სვიძ., შალიკოვი, ბაქრაძე! და ას სამოცნი, სხვანი დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში. ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძღავნი?“*** შენიშვნის ამ სიტყვებს ლექსი ადასტურებს შემდეგი პანეგირიკით:

---

* ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XXXVIII.

** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 447. ავკაკი გაწერელიას შენიშვნები. ვარიანტების განსხვავება იქვე. გვ. 481.

*** იქვე, გვ. 67.

„მამანი თქვენნი,
თავის დროს ბენი,
თავის დროს იყვნეს სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!...“*

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ორბელიანის ეს ლექსი არ წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის მარტოოდენ „გამოცახებისა“ და „კიდევ გაძოცანების“ პასუხს. ეს არის „მამების“ საერთო პასუხი თითქმის ყველა იმ საკითხზე, „მამებისა“ და „შვილების“ ორივე ბრძოლის დროს — 60-იახსა და 70-იან წლებში რომ წამოიჭრა.

პირველი შეტაკებისას, რომელიც დაიწყო პეტერბურგიდან ახლადჩამოსული სტუდენტის — ილია ჭავჭავაძის აპრილის წერილით („ცისკარი“, 1861 წელი. № 4) „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „მშვილის“. თარგმანზედა“,** გრიგოლ ორბელიანი როგორღაც განზე გადგა, ბრძოლაში არ ჩაბმულა, თუმცა „მამების“ პოზიცია მისთვის მისაღები იყო. მაშინ ყველაზე მწვავედ სწორედ ენის საკითხი დაიდგა. შვილებმა (ილიამ) ოთთოგრაფიიდან გახდევიეს ხუთი ასო, დაიწუნეს ბარბარიზმებითა და არქაიზმებით დატვირთული „ცისკრის“ (მამების) ენა და კატეგორიული ფორმით განაცხადეს: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მაძაცაკათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასა? სხვისა არ ვიცით და ჩვენ-კი ძიობელ ძაძასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწაათან გასწორებას“. და არც დაუთმიათ, მაგრამ „მამებიც“ როდი თმობდნენ, როგორც გრიგოლ ორბელიანის მოგვიანო ლექსიდანაც ჩანს. ამ საკითხს, მეორე ლექსთან დაკავშირებით, ჩვენ ქვევით კვლავ განვიხილავთ. აქ კი, როგორც დავიხახეთ, ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებული სიტყვების პასუხად, გრიგოლ ორბელიანი „ძაძების“ დამსახურებად თვლის „სისხლ-შემოსილი მამულის“, ენისა და სარწმუნოების დაცვას. მაგრამ დრო შეიცვალა, „გაძეფდა სწავლა“, სიბრძნის საბლი გაიღო შვილებისათვის. პროფესორი-მამები შვილებს ასწავლიდნენ, გამზადებულად აძლევდნენ იმ ცოდნას, „რაც შეეძინათ საუკუნოებს“. „მამებსაც“ იმედი ჰქონდათ, რომ „შვილები“ მამას ევჯობიხებოდნენ, დავრდომილ მხარეს „ჰსწავლისა ლამპრით“ გაანათებდნენ. ამ იმედით ელოდნენ მათ მოსვლას. მაგრამ სულ საწინააღმდეგო მოხდა:

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 67—68.

** 60-იან წლებში თერგდალეულთა ბრძოლის შესახებ იხ. გიორგი ჯიბლაძე, „ხელოვნება და სინამდვილე“, ტ. I, 1955 წ., გვ. 600—610.

..მოვიდნენ... და რა?
სულ ჩაგვამწარა...
ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..
პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვსთქვით ახლა მხარე გაგვეხალისდება!...
ყმანვილ საწყალნი,
უბიწო გულნი,
ისწავლად მისულნი, წაიხდნეს ზნეობით!...
უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკოთა გულში ღრმად ჩაუნერგეს:
„—ღმერთი რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!"
და დაიწყეს...
თქვენი აქ მოსვლა,
და თქვენი სიბრძნის ნაკოფი შხამი!
ღმერთი არ არის?...
შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ პსუფევს სხვისთვის?"*

მაგრამ „შვილების" მიერ არა იმდენად ღ ე თ ა ე ბ ი ს გ მ ო ბ ა, როგორც „ე ნ ი ს წ ა ხ დ ე ნ ა" იწვევს გრიგოლ ორბელიანის აღშფოთებას. „პასუხი შვილთა" ამის საუკეთესოდ დამადასტურებელია. ასევე შეგვიძლია ენის საკითხში მისი პოზიცია აშკარად დავინახოთ ისეთი ნაწარმოებებიდან, როგორიცაა 1873 წელს დაწერილი კრიტიკული სტატია — „მ გ ზ ა ვ რ ო ბ ა ს ვ ა ნ ე თ ი ს ა კ ე ნ. გ: წ:" (დაიბეჭდა „ცისკრის" სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში 1874 წელს, რომელშიაც ენობრივი თვალსაზრისით განსხილულია გიორგი წერეთლის „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ ი") და, 1876 წელს დაწერილი სატირიკული ლექსი — „დ რ ო ე ბ ი ს ა თ ი წ ლ ი ს ი უ ბ ი ლ ე".

პირველ ნაწარმოებში, თეორიული მსჯელობის წესით, ჩამოყალიბებულია გრიგოლ ორბელიანის პოზიცია ენის საკითხში, და იგი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მით უფრო, რომ ავტორი აცხადებს: გიორგი წერეთლის ნაწარმოების იდეას არ შევეხები. „მ ე ვ ე ძ ი ე ბ ქ ა რ თ უ ლ ს მ ო თ ხ რ ო ბ ა ს შ ი მ ხ ო ლ ო დ ქ ა რ თ უ ლ ი ს ე ნ ი ს ს ი წ მ ი ნ დ ე ს ა ო". მაგრამ, ვიდრე კონკრეტულად განიხილავდეს გიორგი წერეთლის მოთხრობას — „კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა", გრიგოლ ორბელიანი აკეთებს ზოგად შენიშვნას: „მსგავსად სხვათა** ენათა, ქართულსაცა აქვს თავისი თვისება, თავისნი კანონები მართლწერისა და უბნობისა, ესე იგი, თვისი ღრამატიკა, რომელიც ასწავლის ყოველსა ამას თეორეტიკულად და რომლისა ზედ-მიწევნით ცოდნა საჭირო არის მწერალთათვის".*** იცავენ თუ არა მწერლები ამ წესს? მართალია, გრიგოლ ორბელიანი პიროვნულად არ ასახელებს ქართველ მწერ-

---

* გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 68—69.

** პ ლ ა ტ ო ნ ი ო ს ე ლ ი ა ნ ი ს გრამატიკული კოდექსის ერთგული გრიგოლ ორბელიანი ხმარობს არქაულ ორთოგრაფიას (იმ ასოებს, რომლებიც ილიამ განდევნა). ჩვენ ბევრგან მოგვყავს შეცვლილი ორთოგრაფიით — გ. ჯ.

*** გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 314.

ლებს, მაგრამ ის გარემოება, რომ სასტიკად აკრიტიკებს „შვილებს“ ისეთ ტიპიურ წარმომადგენელს, როგორიც გიორგი წერეთელია, ხოლო ქებით იხსენიებს „ეხლანდელთა მწერალთა“, სრულიად უეჭველია, რომ უკანასკნელთა სახით ავტორს მხედველობაში ჰყავს უმთავრესად ისინი, რომლებსაც „მამებს“ უწოდებდნენ ან მათ გზას მიჰყვებოდნენ. სრვანაირად შეუძლებელია ავხსნათ გრიგოლ ორბელიანის შემდეგი სიტყვები: „ეხლანდელთა მწერალთა მიეწერებათ მართლაც დიდი ქება მისთვის, რომ ესრეთის მეცადინეობით, ესრეთის ერთგულად მსახურებით, შეუდგნენ იგინი გულმხურვალედ აღდგენასა ჩუენისა დავრდომილისა ენისა, და არა არიან ეგენი ბრალეულ, თუ ზოგიერთის წერასში მოჰსჩანს მრავალი შეცთომილება, როგორცა პირის-პირ ენისა თვისებისა, ეგრეცა მართლ-წერისა. მათ არა ჰქონიათ შემთხუევა ღრმად შესწავებისა-თვის ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითავე არა არიან ჩუეულნიცა საღმრთოს წერილისა, რომელიცა არის, მართლად, მოუველელი საუნჯე ჩუენისა ენისა, და რომელსშიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუენიერის ფორმითა“.* როგორც ყოველ საქმეს (ყოველ ხელოვნებას) კრიტიკა აუმჯობესებს, გამოაფენს რა მის ნაკლსა და ღირსებას, ასევე, „...მგონია, ახლა დროც იყოს, — წერს გრიგოლ ორბელიანი, — რომ კრიტიკამ მიაქციოს ყურად-ღება ჩუენს მართლწერასზედაცა, და თვით ენის თვისებასზედაცა, რათა მის ძალითა და შემწეობითა გაიწმინდოს ჩუენი ენა ზოგიერთთა შეცთომილებათაგან, რომელნიცა, ანუ დაუდევნელობითა ანუ უცოდინარობითა, შემოეპარნენ ჩუენსა მწერლობასა და ახდენენ ენასა მეტად უწყალოდ. დიდად საშიშია, რომ უკანონოება არ დაიდვას შემდეგთა-თვის კანონად“**.

ასე რომ არ მოხდეს, ამიტომ განუზრახავს ავტორს დაეწერა კრიტიკული სტატია და ეჩვენებინა გიორგი წერეთლის მოთხრობაში ახალი თაობის დამახასიათებელი ენობრივი დამახინჯებანი. ეს საქმე ძნელი არ არის, მაგრამ „...ვგრძნობ კი, რომ საკითხავად დიდად არის მოსაწყენიო“, — შენიშნავს გრიგოლ ორბელიანი, — მოსაწყენია იმიტომ, რომ „...უნდა დავიწყო თავიდამ, ესე იგი, ანბანიდამ, რომელზედაცა არის დამოკიდებული მართლ-წერა, და ამის გამო ამ სტატიასა, რასაკვირველია, წაერთმევა ის პოეტიკური გულმიმტაცი მიმდინარეობა სიტყვისა, რომელიცა უნდა მარადის ახალისებდეს და აღვიძებდეს მკითხველის სურვილსა“.*** ეს ჩემი ბრალი არ არის, — დასძენს ავტორი მკითხველ ქალთა საყურადღებოდ, ვინაიდან მიაჩნია, რომ ისინი „...ყოველსა დროსა ყოფილან და აწცა არიან უკეთესნი ენის დამფასებელნი. ისინი აქა ვერა ჰპოებენ ვერცა პოეტიკურად აღწერილსა ვარდის სუნნელსა, ვერცა მარგარიტ-ცრემლსა დატანჯულისა სიყუარულისაგან და ვერცა სიცილსა მახვილგონიერის მოთხრობისაგან“.**** მთელი ჩემი წერილი „ეს გახლავსთ ერთი, ნამცეცა ნაწილი პლატონის (იოსელიანის — გ. ჯ.) ღრამმატიკისა, და კარგად მოგეხსენებათ, რომ ფილოსოფოსის ლაპარაკი ჭოჭობავს წარბ-შეკრუხვნით მოთმინებასა. პლატონი არის დამნაშავე თქუენს წინაშე და არა მე... პლატონს რომ

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 314.
** იქვე, გვ. 315.
*** იქვე.
**** იქვე.

არ დაეწერა ღრამმატიკა, არც ეს ჩემი სტატია დაიბადებოდა თქვენ შესაწუხებლად“.*

პლატონ იოსელიანის გრამატიკის მიხედვით გრიგოლ ორბელიანი განიხილავს ორთოგრაფიის საკითხებს, სამართლიანად მიაჩნია, რომ ქართულის ერთ-ერთი უდიდესი ღირსებაა ხმის ყოველი ბგერისათვის საკუთარი ნიშნის — ასოს მიცემა, და ამდენად რომელიმე ასოს უარყოფა, განდევნა შეიძლება მხოლოდ საზიანო იყოს. ბევრ ენას მეტად გართულებული „ანბანა“ აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არავინ დევნის ასოებს ამ ენების დამწერლობიდანო. ცხადია, გრიგოლ ორბელიანის ეს მოსაზრება მართალი არ არის, მაგრამ მას ჰქონდა უფლება მაშინ წამოეყენებინა ანალოგიური თვალსაზრისი, რაკი საწინააღმდეგო ფაქტები, გარდა ქართულისა (ილია ჭავჭავაძის მიერ მოხდენილი რეფორმა), ძნელად თუ იყო ცნობილი ქართველი მკითხველისათვის. იმდროინდელი რუსულისა და ფრანგულის ანალოგიით, გრიგოლ ორბელიანი მოითხოვს დაცულ იქნას არქაული მართლწერა, მით უფრო, რომ ხსენებული ენებისაგან განსხვავებით, „ჩვენ ისე ვჰსწერთ, როგორც ვლაპარაკობთ, ასოებისშეუცვლელად“.** საჭიროა მხოლოდ „ორიოდე კანონის“ ცოდნა. ამ კანონთაგან აღნიშნულია ბგერისადმი ყურადღება, რის შემდეგაც ადვილი მისახვედრია, ავტორის აზრით, რომ საჭიროა დაიწეროს „ჰაზრი“ და არა „აზრი“, „ჰაერი“ და არა „აერი“; ზოგიერთი სიტყვა ყელიდან ამოდის თითქოს სტვენით და ამიტომ მართებულია იწერებოდეს „თჳთ, თჳთოეული, თჳს, თჳსება“ და არა „თვით, თვითოეული, თვის, თვისება და სხვანი“.***

ყველაფერი ეს გრიგოლ ორბელიანს, როგორც ითქვა, პლატონ იოსელიანის გრამატიკის მიხედვით განუაზრებია და უეჭველად მიაჩნია, რომ „როდესაც ვ და უ მოისმინება თითქმის ერთად, გაურჩევლად, მაშინ დაისმის უ ზემო ნიშნითა, მაგალ.: „ზღუა, ქუა, სხუა, მაქუს, მიყუვარს, გუარი“ და სხუანი და არა „ზღვა, ქვა, სხვა, მაქვს, მიყვარს, გვარი“.**** ამავე წესით, როცა უ და ე ერთმანეთს ხვდებიან, მაშინ უნდა დაიწეროს „ჩუენ, თქუენ, ქუეშე, ქუეყანა“ და არა „ჩვენ“, „თქვენ“, „ქვეშე“, „ქვეყანა“.***** ამის შემდეგ ვრიგოლ ორბელიანი განიხილავს ზმნების დაწერილობის საკითხს და პლატონ იოსელიანის გრამატიკის თანახმად, აყენებს შემდეგ დებულებებს:

ა) „ყოველი „შემოქმედებითი ზმნა“, საზღვრებითს სქესში, პირველი პირი, უნდა დაიწეროს ისე, რომ მეორე ასო ზმნისა იყოს ჰ, რადგანაც ხმის ამოსვლაშიაც სწორედ ისე გვესმის, მაგალ.: ვჰსწერ, ვჰგრძნობ, ვჰკლავ, ვჰსჭამ“ და სხვანი; ხოლო მეორესა და მესამესა პირსში დაიწერება ასოთი ჰ, მაგალ.; „ჰსწერ, ჰსწერს, ჰგრძნობს, ჰკლავ, ჰკლავს“ და სხვანი. და ამით ჰსჩანს, რომ ჩვენი მართლ-წერა არის დაფუძნებული ჩვენის ენის თვისებაზე;

ბ) „ზმნის ზედა“ მარადის დაბოლოვდება ასოთი დ, მაგალ.: „მსგავსად, კეთილად, კარგად, პირუტყვლად, მტკიცედ, ცხადად, სოფლად“ და სხვანი; და არა

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 315.

** იქვე, გვ. 316.

*** იქვე, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე.

***** იქვე, გვ. 317

„მგზავსათ, კეთილათ, კარგათ, პირტფლათ“ და სხვანი. ეს არის სიძნელე ჩვენისა მართლ-წერისა, და როგორ უნდა გვამძიმებდეს ამის შესწავება?“*

ყოველივე ეს გრიგოლ ორბელიანს მიაჩნია იმდენად შინაგან თვისებად ქართული ენისა, რომ მისი შეცვლის უფლებას არავის აძლევს. ეს წესი, ეს კანონი ქართულ ენას დიდმა მეცნიერებმა დაუდგინეს და ჩვენ მშობლიურის „დიდად უცოდინარებს“, რა ხელი გვაქვს ასე კადნიერად უარვყოთ, გადავაგდოთ ან შევსცვალოთო. დიდმა მეცნიერმა გრამატიკოსებმა ქართული ენის თვისების გამოკვლევითა და შესწავლით ხელი შეუწყვეს იმას, რომ „...საბერძნეთიდამ ძველად გადმოტანილი ჰსწავლა და ხელოვნება ჩვენსა მხარეში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოსზე; რომელთაცა სირიის და ბერძნულის ენით გარდმოიღეს ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშვენიერ სიტყვაობითა და ძლიერებითა; და რომელთაგან დაწესებულნი კანონნი ვერა შეჰსცვალეს, ვერცა შავთელმა, ვერცა ჩახრუხაძემ და ვერცა თვით რუსთაველმა? ანტონ კათალიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა, არათუ დააკლო, არამედ მოუმატა ასო ფ. ახლა, ნუ-თუ მართლად, ჩვენ უნდა დავივიწყოთ იგინი, რომელთა საბელნი ვვიბრწყინვენ ჩვენს ისტორიასა ესოდენთა საუკუნეთა განმავლობასში, და შეუდგეთ გ: წ:-ის კვალსა და მის მიმდევთა, რომელნიცა ესრეთ უწყალოდ ჰყუნიან ჩვენსა მართლ-წერასა?“**

ამ სიტყვებით ყველაზე კარგად არის გადმოცემული თვით გრიგოლ ორბელიანის პოზიცია ენის საკითხში. მისთვის სანიმუშო და ხელშეუხებელია ანტონ კათალიკოსის ნორმები. არქაიზმი ენაში, არა გამარტივება, არამედ, გართულება დამწერლობისა, რაკი იგი ერთხელ მაინც დადგენილა, 60-იანი წლების ილიასეული რეფორმის წინააღმდეგ გალაშქრება, — ყველაფერი ეს მოტანილ ამონაწერში სავსებით ნათლად ჩანს. მართალია, თვით ილია ჭავჭავაძე, როგორც ენის რეფორმატორი, მთელს წერილში არსად აუგად არ იხსენიება, პირიქით, მისი „კაცია-ადამიანი?!“ იმ ნაწარმოებად არის მიჩნეული, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა „რამდენჯერმე წაიკითხა დიდის სიამოვნებით“,*** მაგრამ, სამაგიეროდ, მიწასთან არის გასწორებული გიორგი წერეთლის მოთხრობა, „დროება“ ენა და მთელი „ახალი სტილი“. დამამცირებელი ეპითეტები, რომლებსაც გრიგოლ ორბელიანი მიმართავს, როცა გიორგი წერეთლის მოთხრობიდან ამონაწერები მოჰყავს, მეტად მეტყველია: „მართლად, ამ საბრალოს მოთხრობასში რომ არა ჰსჩანს რა?“;**** „ეს ხომ მასხარობა არის და დაბრიყვება ჩუენისა ენისა?;***** „სირცხვილადაც აღარ მიაჩნიათ დაბეჭდვა ესრეთისა უგუნურებისა“;****** „ეს მგზავრობა რომ არ დაებეჭდა ავტორსა, ვითომ რა დააკლდებოდა ჩუენსა ლიტერატურასა? დააკლდებოდა მარტო ერთი რაღაცა თჳზულება, რომელიცა გამოაჩენს მხოლოდ

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 317. გრიგოლ ორბელიანის სიტყვები აქაც, ამონაწერში მოტანილია ახალი ორთოგრაფიით, ხოლო მისივე ციტირება — უცვლელად — გ. ჯ.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 330.

**** იქვე, გვ. 325.

***** იქვე, გვ. 324.

****** იქვე, გვ. 325.

უნიჭობასა და ენის უცოდინარობასა!“;* „როგორ მოვიფიქრებდი, რომ იმერეთში, სადაც გვეგულებოდა ქართული ენა სიწმინდით, შეურევნელად შენახული, გამოჩნდებოდა მწერალი ასეთის გადარეულის ენითა?;** „არა, ეს მგზავრობა არის რაღაცა შახინჯი, დაბადებული ავტორის გონებასში! ესოდენი შეცთომილება, ესოდენი უცოდინარობა ენისა, ესოდენი უჰაზრობა. როგორ უნდა იპოებოდეს ერთს პატარას თხზულებასში? და უფრო ეს არის საკვირველი, რომ ასეთის გაბედვით, ასეთის გულ-დაჯერებით, ავტორმა დააბეჭდვინა უნიჭობა თვისი!“***

ანალოგიურ ეპითეტებს აღარ ამოვწერთ. მაგრამ უკვე მოტანილიდან სავსებით ნათელია, თუ რა დაუნდობელი სიმკაცრით მოეკიდა გრიგოლ ორბელიანი ე. წ. „ახალ სტილს“ და მის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, როგორიც გიორგი წერეთელია. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ „გულქანისა“ და „პირველი ნაბიჯის“ ავტორს ენის საკითხებში მთლიანად არც „თანამომძენი“ უჭერდნენ მხარს. როცა „კვალსა“ და „ივერიას“ შორის 90-იან წლებში ურთიერთობა გამწვავდა (უფრო ადრე დაიძაბა ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის ურთიერთობა), კვლავ წამოიწყო გრიგოლ ორბელიანის მიერ წამოყენებული ბრალდებანი. 1894 წლის დეკემბერში ილიამ დაწერა სატირიკული „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“, რომელშიაც „კვალისა“ და გიორგი წერეთლის კრიტიკასთან ერთად ენის საკითხი კვლავ იქცა ბრალდების საგნად. იაკობ გოგებაშვილის ზრუნვას ქართული ენის სიწმინდისა და „დედა-ენით“ ახალგაზრდობის აღზრდისათვის ლექსში გამოყვანილი გუნდი შემდეგ პასუხს აძლევს:

„ძროხაბუნებო, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად პლირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავბლოთ,
რას ჩვენ ჯირი შინვე გვჭირდეს?
რას გიორგი წერეთელი
დედა-ენას სთხრიდეს, პრყვნიდეს.
და მაინც კი კადნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან**** წერთნა,
არ ვისმინოს, ნუ გიკვირდეს“...*****

მარტო ეს ლექსი გვაფიქრებინებს, რომ გრიგოლ ორბელიანს, როცა ასე მკაცრად, მეტისმეტი სისასტიკით აკრიტიკებდა გიორგი წერეთელს, ჩუმი თანამგრძნობნი მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც ეყოლებოდა. უეჭველია, როგორც „ახალი სტილის“ უარმყოფელს, თუ, ერთის მხრივ, ბრძოლას უცხადებდნენ, მეორეს მხრივ, უკვე „ხანში“ შესული „თერგდალეულები“ მოხუც პოეტს ვერ დაემდურებოდნენ, რომ მან მიზანში ამოიღო სწორედ გიორგი წერეთელი, ხოლო ილია ჭავჭავაძეს, როგორც მეთაურს, ქებაც მიუძღვნა „კაცია-ადამიანის?! გამო.

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ. გვ. 326.
** იქვე, გვ. 327, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე, გვ. 330.
**** ე. ი. იაკობ გოგებაშვილისაგან — გ. ჯ.
***** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 119, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ილია ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი ერთმანეთს მოკრძალებით ეკიდებოდნენ. ილიამ ეს პატივისცემა თავიდანვე გამოამჟღავნა, როცა „აპრილის სტატიაში“ 1861 წელს გრიგოლ ორბელიანი დიდი ქართველი პოეტების გვერდით მოიხსენია და მისი ენა სანიმუშოდ მიიჩნია. კოზლოვიდან რევაზ ერისთავის თარგმანის მიწასთან გასწორების პარალელურად, ილიამ მიუთითა: „რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერ ლექსებში მშვენიერს ენას?“* არ შეიძლებოდა გრიგოლ ორბელიანს ეს არ გახარებოდა, ხოლო თვით ილიას ძარღვიან ენაში მშობლიური მეტყველების სილამაზე არ ეგრძნო. გრიგოლ ორბელიანი „ახალ სტილში“ უეჭველად ორ „სტილს“ ხედავდა: ერთს მიუღებელს (გიორგი წერეთლისა და მისი მიმდევრებისა), ხოლო მეორეს — სასიამოვნოსა და კარგს (ილია ჭავჭავაძისა და მისი მიმდევრებისა). ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ გრიგოლ ორბელიანმა შემარიგებლური ტონით დასძინა: „იხმარეთ როგორც გნებავთ, გინა ახალი სტილი. გინა ძუელი, ოღონდ კი დაუტევეთ თავის-მოყვარება თქუენი და დაინახეთ შეცთომილება პირის-პირ ენისა, რათა გამოსთქვათ ნათლად ჰაზრი თქუენი და მით მოჰსცეთ ქართულსა ენასა ნაყოფი კეთილი! ყოვლის მხრით ღაღადება ყუედრებისა ქართულისა ენის წახდენისა-თვის უნდა გესმოდესთ!“**

ამ წახდენაში, პირველყოვლისა, ნაგულისხმევია ქართული ენის ბუნებრივი თვისება, მისი დარღვევა „ახალი სტილით“, თუმცა გრიგოლ ორბელიანს ღრმადა სწამს, რომ „ახალი სტილი ვერა-ოდეს ვერ შეჰსცვლის ენის ბუნებითსა თვისებასა. მართალია, დროთა განმავლობაში ზოგიერთი სიტყვა, უვარგისობისა-გამო, ძუელდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული ერთისა ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცვლა მისი!“*** აქ სავსებით გარკვეულია გრიგოლ ორბელიანის პოზიცია და მისი თეორიული მოსაზრებების შინაგანი არსებაც. ენის ბუნებრივი თვისება უცვლელია, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები იცვლებიანო, — ეს დებულება თავისთავად წინააღმდეგობრივია, ვინაიდან, ენის განვითარება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, თუ იგი თვისებას სრულიად არ ეხება. მაშინ რა არის განვითარება? მარტოოდენ ძველი სიტყვების ახლით შეცვლა? განა სიტყვების შეცვლას, მორფოლოგიურ ცვლილებებს სინტაქსური ცვლილებებიც თან არ ახლავს? მართალია, რაც უნდა განვითარდეს, ქართული ენა არასოდეს სხვა ენად არ გადაიქცევა, იგი ყოველთვის ქართულ ენად დარჩება, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს მისი ბუნებრივი თვისება რაღაც მყარი, გაქვავებული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი იყოს და არ იცვლებოდეს. მართალია, ეს ცვლა ხანგრძლივი დროის შედეგია, ლექსიკური ფონდი მეტად გამძლეა, თუმცა ლექსიკური შედგენილობა იცვლება, მაგრამ დროთა სვლაში ენა რომ ძალიან შესამჩნევად ვითარდება, ეს სრულიად უეჭველია. თერგდალეულებმა სწორედ ამ მომენტს გაუსვეს ხაზი სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვ-

---

* ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 327, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 323.

ლისთანავე და გაბედულად მიუთითეს, რომ „კაცის ენა კერძობით პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენასა არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა“.*

ეს ორი განსხვავებული თვალსაზრისი ენის საკითხში ერთერთ ძირითად საფუძვლად ედო 60-იან და 70-იან წლებში ატეხილ ბრძოლას თაობათა შორის. გრიგოლ ორბელიანი რომ ნამდვილად განიცდიდა ქართული ენის იმდროინდელი მდგომარეობით გამოწვეულ ტკივილს, მას რომ გულწრფელად სურდა ქართული ენის განდიდება, ეს ჩანს მისი ქებათა-ქებიდან, რომელიც „სიტყვას“ მიუძღვნა. ზედმეტი არ იქნება ეს ქებათა-ქება დღესაც გავიხსენოთ, რომ უფრო ღრმად შევიცნოთ ენის საკითხებში პოეტის კონკრეტული აზრიცა და მთელი კონცეფციაც.

რა არის სიტყვის ძალა ან რა ადგილი უკავია მას ადამიანისა და კაცობრიობის ცხოვრებაში?

„იდეა, ჰაზრი, დაბადებული გონებასში, არის ჯერ, ვითარცა არა არსი, უნაყოფო და უვარგისი, ვიდრე სიტყვა, განმაცხოველებელი ჰაზრისა, არა გამოსთქვამს მას ნათლად, არ გამოჰხატავს ცოცხლად, არა ჰყოფს თითქმის ხილულად, და არა მიჰფენს ათასთა მსმენელთა გასაწმედელად, გასანათლებლად სიბნელისაგან გონებისა და ზნეობისა მათისა! ამის-გამო სიტყვა არის პირველი მიზეზი ჰსწავლისა და განათლების მოფენისა ქუეყანასზე! სიტყვამ გამოიყვანა კაცი ველურისა მდგომარეობისაგან; სიტყვამ დაუმშვიდა მას მხეცური გული, ჰყო იგი ლმობიერ, მოსჰსცა შებრალება და აღიყვანა სახიერებისა სიმაღლედ, სადაცა ჰსუფევს მეუფება სიყვარულისა და მოწყალებისა! აწცა სიტყვისავე ძალიან ირყევა ქუეყანა!.. სიტყვა, გამომთქმელი ჰეშმარიტებისა, არის უკვდავი და მოქმედ მარად-ჟამს!.. დაირღვნენ ეგვიპტისა პირამიდები, ბაბილონი შთაჰნთქა მიწამ; მაგრამ სიტყვა, თქმული მოსესაგან, ჯერეთცა არის ცოცხალ და ჰნფლობელობს ქუეყანასზე, ვითარცა ჰსჯული! სიტყვამ დააყენა კაცი მაღალსა მას დიდებისა ხარისხსზედ, საიდამაც აწ ხელმწიფურად ჰბრძანებს, და ბრძანებასა მისსა მორჩილებითა ისმენენ ჰაერი, ცეცხლი, უკიანე! სიტყვა არის ძალი მღვთაებრივი, რომლისა შემწეობითა კაცი შეიქმნა მეფედ ქუეყანისა“.**

IX

სიტყვისა და ენის ასე დიდი ქომაგი, ბუნებრივია, სასტიკი იქნებოდა მოწინააღმდეგეთა მიმართ. და გრიგოლ ორბელიანიც ამგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, როგორც კრიტიკულ წერილში, ისე იმ ლექსში, რომლის განხილვას ჩვენ ახლა გავაგრძელებთ. მისი კრიტიკული წერილის ანალიზიდან ჩვენ დავინახეთ, რომ მოხუცი პოეტი განსაკუთრებული სიმკაცრით თავს ესხმის არამარტო გიორგი წერეთელს, არამედ, გაზეთ „დროების“ ენასაც. მას არ მოსწონს ეს გაზეთი, პირველყოვლისა, „მესხის ენის“ გამო. სერგეი მესხი მაშინ „დროების“ რედაქტორი იყო, ერთი უანგარო მოღვაწე ქართული ჟურნალისტიკისა, ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით უძღვებოდა გაზეთს და მის უერთგულეს სამსახურში ადრე დაი-

---

* ილია ჭავჭავაძე, „პასუხი“ (ტ. IV, 1927 წ., გვ. 43), ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** გრ. ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 318—319.

ფერფლა. ჩვენ ქვევით ვნახავთ, რომ გრიგოლ ორბელიანმა სპეციალურ ლექსში სულ მიწასთან გაასწორა „დროების "ენა, სასაცილოდ აიგდო, თუმცა დაუმსახურებლად, გაზეთის ღირსეული რედაქტორი, და ძალიან მკაცრი სატირიკული ნაწარმოებით, როგორც იტყვიან, ქვა-ქვაზე აღარ დატოვა. მაგრამ ლექსშიც— „პასუხი შვილთა", სქოლიო მოიშველია და შენიშნა: „წაიკითხეთ „დროება" და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვასო". თვით ლექსში კი „ახალი სტილის", „ახალი ენის", „ახალი ჟურნალისტიკის" ასეთი დახასიათება მოგვცა:

„სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!...
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი.
ენა მაღალი,
მის ძალი მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს!..
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!.."*

ეს მთელი დეკლარაცია იყო, ახალი თაობის წინააღმდეგ მოურიდებელი, პირდაპირი გალაშქრება, იმის აღიარებაც, რომ ენა დაცემულია, მაშასადამე, ერიც დაცემის გზით მიდისო. ძველად კი ასე არ იყო. მაშ, რა საბუთი ვაქვთ. მამებს აუგად იხსენიებდეთო:

„ახლა რას ელით?
მამათ რათ ჰსწყევლით?
ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!
ძველთ უძველესი
არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
ჰსწავლითა, საქმით!
მამის გალანძღვა შვილს ვერ აღიდებს!
ცუდ მეტყველებით
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქვენი დიდება
ჩვენც გვეამება:
მის სხივის შუქიც ჩვენც მოგვინათებს!...
აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!...

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 69—70.

რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსეის ვინცა გყავთ ღირსი?...
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით
იმ თქვენმა გმირმა
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირ დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შეაჯანსაღა ქვეყანა მის აღსადგენად?..
ვაი საბრალოს,
ჩვენ საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..“*

„მამების“ ეს განდიდება, ხოლო „შვილების“ დამცირება წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებით, თავისთავადაც იმ რომანტიკული კონცეფციების შედეგია, რომლითაც გაჟღენთილია გრიგოლ ორბელიანის პოეზია. მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება სამხედრო იარაღის ჟღარუნში მიმდინარეობდა, საქართველოს ძველი დიდების ტრფიალით. საოცარი იყო ვაჟკაცური გულისძგერით გამთბარი ლირიკული სინაზე, რომლითაც გრიგოლ ორბელიანის ლექსები გამოირჩეოდა. შვილებსაც გმირობისაკენ იწვევდა, სამხედრო ველს საასპარეზოდ უთმობდა, თუმცა ანგარიშს ნაკლებად უწევდა იმ გარემოებას, რომ პერიოდი სულ სხვა იყო, სულ სხვაგვარ მოქმედებას მოითხოვდა. „ბრძოლის ცეცხლი“, „ხმლის ტრიალი“, „ძლევის ყიჟინა“, „მოწინააღმდეგის ძირს დაცემა“, „ქუხილის მსგავსი“ ხმით, რომ „ქვეყანა შეძრულიყო“ ფენიქსისებური „აღდგენის“ სულისკვეთებით, — ყოველივე ეს წარსულის რომანტიკას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე შესაძლებელ რეალობას. წარსულის განდიდებას და აწმყოს უბადრუკობას გამოხატავს პოეტის შემდეგი სიტყვებიც:

„ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ ფრაზები:
„მოყვასს — შეწევნა,
ბოროტსა — დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!..“
სიტყვა — სიტყვაა,
საქმე კი — სხვაა....
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..“**

მაგრამ, განა შეიძლებოდა „ოქროს ჯაჭვის“ ბრალდება „შვილებს“ მიელოთ? ამ მხრივ, სულ მცირეოდენის გარდა, არავინ არ იზიარებდა „დანაშა-

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ.. გვ. 70—71.
** იქვე, გვ. 71.

ულს", ხოლო „თავისუფლება" განა ილია, აკაკი, გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, კირილე ლორთქიფანიძემ და მისმა მიმდევრებმა „ოქროს ჯაჭვში" გასცვალეს? ეს ბრალდება „მამებს" უფრო დამსახურებული ჰქონდათ, და ჩვენ ქვევით დავინახავთ, რომ „შვილებმა" ანალოგიური ცოდვები, მკაცრად და საბუთიანად, „მამებს" წაუყენეს. მაგრამ გრიგოლ ორბელიანს მიაჩნდა, რომ სწორედ „შვილების" შრომა იყო ამაო, „შვილების" სიცოცხლე „ფუჭად მიმავალი" ჩანდა, როგორც არარაობა და „უმეცრების ამაყობა":

„გონების ბრწყინვას,
ჯაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ,
მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!..
და გულით ოჰხრავს ,
ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს....
თქვენსა უქმობას,
არარაობას,
და უმეცრების ამაყობასა!.."*

ასეთი მკაცრი განაჩენის შემდეგ გრიგოლ ორბელიანს სხვა არაფერი ჰქონდა დარჩენილი, გარდა იმისა, რომ მთელი ნაწარმოები დაემთავრებინა უარყოფითი თეზისით, რომლითაც ჯვარს დაუსვამდა „შვილების" თავდადებულ შრომას და მათ შეამკობდა ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა „ცრუ პოეტები, ცრუ ლიბერალნი", ალბათ, ასევე ცრუ პატრიოტები. გრიგოლ ორბელიანი არ მორიდებია ასეთ ადამიანებად გამოეცხადებინა სერგეი მესხი, დავით მიქელაძე და სტეფანე მელიქიშვილი („დროების" გამომცემელი), ხოლო პირველ ვარიანტში — აკაკიები (აკაკი წერეთელი), ბაკაკიები, რიონელები (ნიკო ნიკოლაძე), გოგიტელები (გიორგი წერეთელი). „გამოცანების პასუხის" უაღრესად მკაცრი, თან უხამსად მლანძღველი ტონი, მართალია, შეცვლილია მეორე ვარიანტში — „პასუხი შვილთა", მაგრამ ის, რაც არის, მაინც სასტიკი და მოურიდებელია:

„ჰე, სასურველო
გმირთა მაწულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები,
მესხი, მეეელე, მელიქ აღები".**

ეს მკაცრი ტონი, სასტიკი გაკიცხვა და ირონია გრიგოლ ორბელიანმა სავსებით შეინარჩუნა მომდევნო სატირიკულ ლექსში, რომელსაც ეწოდება

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 71—72.
** იქვე, გვ. 72.

„დროების ათი წლის იუბილე". ნაწარმოები დაწერილია 1876 წლის მარტში და მთლიანად წარმოადგენს, როგორც იუბილარის, ისე მისი რედაქტორის — სერგეი მესხის წინააღმდეგ მიმართულ პამფლეტს. ამავე დროს, ნაწარმოები ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, რომ გრიგოლ ორბელიანი ბოლომდე დარჩა პლატონ იოსელიანის გრამატიკული ნორმების ერთგული, თეორიაში მაინც, თუ პრაქტიკაში არა. ლექსი პირველი სტრიქონიდანვე შემტევი ტონით იწყება და დაცინვის ობიექტს პირდაპირ თავს ესხმის:

„ვერ ისწავლა მესხიმ წერა
ვერა!.. ვერა!..
და არც ჰსჯერა,
რომ მან წერა
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!"*

ამ სიტყვებს ბანს აძლევს (რეფრენად მისდევს) გუნდი (ფერხული და ბუქნა), რომელიც ავტორს უდასტურებს, რომ ნათქვამი სრული ჭეშმარიტებაა („ბუქნა: ჰოო, ჰოო, ვერა! ვერა!"). ჩვენ აქაც ხაზგასმით უნდა მივუთითოთ, რომ სერგეი მესხს, მართალია, მძიმე ენა ჰქონდა, ენობრივი შეცდომები მის ნაწერებში ადვილად შეიმჩნევა, კუთხობრიობა (დიალექტები) საკმაოდ მოეპოვება, მაგრამ ეს სპეტაკი, შრომითა და უანგარო სამსახურით გადამსხვრეული დიდი პატრიოტი სრულებით არ იმსახურებდა ათი წლის აუტანელი შრომისა და ტანჯვის ასე გაბიაბრუებას.** მაგრამ ბრძოლა — ბრძოლაა და გრიგოლ ორბელიანს ვინ აუკრძალავდა სატირიკული ლექსის დაწერას, როცა თვითონაც საკმაოდ იწვნია „შვილთა პასუხისაგან". არც ის უნდა მივიჩნიოთ მართებულად, რომ ლექსში „დროების" რედაქტორი „უნიჭო მწერლად" არის გამოცხადებული. ყველაფერი ეს ენის ირგვლივ გაცხარებული ბრძოლის შედეგია, რაც აშკარად ჩანს „დროების" რედაქტორისადმი წაყენებული საბრალმდებლო სიტყვებიდან:

„ნეტა მესხის
რათ არ ესმის
ყვედრება,
რომ მან ენა
წაგვიხდინა,
წაბილწა?"***

მესხის წინააღმდეგ გრიგოლ ორბელიანის ეს გალაშქრება კარგად აქვს განმარტებული და ახსნილი იონა მეუნარგიას თავის ნაშრომში — „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა", რომლის დაუბეჭდავი თაეები პირველად სოლომონ ცაიშვილმა გამოაქვეყნა.**** ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის (როგორც ეს „სიწმინდე" ესმოდა) გრიგოლ ორბელიანი პირდაპირ ფანატიკური გატაცებით იბრძოდა. „აქედან აიხსნება გან-

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 73.

** სერგეი მესხის დახასიათება იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958 წ., გვ. 380—414.

*** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 73.

**** „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 1—2, 1940 წ., გვ. 297—341.

ბოროტება პოეტისა მესხის წინააღმდეგ. — წერს იონა მეუნარგია. ის რას დასდევდა, რომ ს. მესხი წმინდა მოწამე იყო ქართული მწერლობისა, რომ იმან ამ მწერლობას, მთელი მისი სიყმაწვილე და შეძლება შესწირა, იმან ენა არ იცოდა და მაშასადამე, რედაქტორობა მისი საქმე არ იყო. „დროების“ 27 №-ში 1879-ს წელს ბავრელის ფელეტონის გამო, რომელსაც, სხვათა შორის, დაეწერა: „ამ სოფელი შორიდან ეტყობოდა, რომ ცეცხლს გადაეწვა“, პოეტი წერს კარანდაშით შემდეგ უსიამოვნო სიტყვებს: „ოჰ, რა უბედური ენა შეიქმნა საწყალი ქართული ენა! ეს ცოდვა იყოს შენს კისერზე მესხი“ და სხვაგან. სხვა სტატიების და ფელეტონების გამო: „უბადრუკო მესხი, აქამდის ვერ ისწავლე ქართული და ვერც ისწავლი შენს სიცოცხლეში“ (1875 № 32); „მესხია ჩვენის ენისა აღმდგენელი, ვაი ჩვენს ენას, ვაი ჩვენს ლიტერატურას, ვაი თვით მესხის“ (1875— № 134)“.* ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ იჩენს გრიგოლ ორბელიანი ასეთ სისასტიკეს ჩვენი მწერლობის უანგარო მოღვაწისადმი და მას შემდეგ ბრალდებასაც უყენებს:

„მოგვაწყინა
ბაზრის ენა
სომხისა:
ბილქამ, ალბათ,
არხაინათ
იღბალი“.**

მაგრამ თვით გრიგოლ ორბელიანი, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ენის საკითხში „შვილების“ ლიტერატურულ პრაქტიკას, ხშირად სამართლიანად, ასევე ხშირად უსამართლოდ, და პრინციპული თვალსაზრისით არქაული პოზიციებიდან, როგორ გამოიყურება საკუთარ ნაწერებში? სრულიად უეჭველია, რომ პოეტმა ბევრი შეცდომა აღნიშნა გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ანტონ ფურცელაძის, დიმიტრი ბაქრაძის, ეკატერინე გაბაშვილის თხზულებებში, მაგრამ როგორია თვით მისი ენა? ჯერ კიდევ იონა მეუნარგიამ იგრძნო, რომ გრიგოლ ორბელიანი „არ არის სამაგალითო მცოდნე ქართული ენისა. ხშირად იგი დიდის ვაჟკირვებით წერს ქართულს და რომ პოეტური ძალა არ უდგამდეს მის პროზას სულს, მისი ენა ბევრით არ იქნებოდა სხვაზე უმჯობესი. ზოგიერთ ფრაზებს იგი რუსულიდამ სთარგმნის და ზოგიერთს, როგორც თვითონ თქვენ დაინახავდით ზემოთ, გაჯირვების დროს, სულ რუსულად ამბობს“.*** მაგრამ ამ გარემოებას ოდნავადაც არ შეუშლია ხელი გრიგოლ ორბელიანისათვის ხმალამოღებული გამოსულიყო ბრძოლის ველზე პლატონ იოსელიანის გრამატიკის დასაცავად, თან დაეტირა:

---

* იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., გვ. 320—321.

** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 74.

*** იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., გვ. 321.

„ვაი რა დრო
საშფუხარო,
შოგვეხვრო,
რომ ხშა ციხკრის
აღარ გვესმის საამოს
და დაბაღდა
უდროოდა მნათობიც!“*

გრიგოლ ორბელიანი არ მალავს, რომ „მამათა“ უკანასკნელი თავშესაფარი, ჟურნალი „ცისკარი“ და მისი ხმა (ენა) საამო იყო, „მნათობიც“ მოსწონდა პოეტს, რაკი „ახალ სტილს“. ორთოდოქსალურად არ იცავდა. მაგრამ, განა თვით ორბელიანი იყო პლატონ იოსელიანის ენობრივი ნორმების ორთოდოქსი? იონა მეუნარგიამ, როცა განიხილა პოეტის გრამატიკული კოდექსი, რომელიც „სულ უბრალოდ“ მიიჩნია და რომლის „ცოდინარობას... ჰყვედრიდა ახალ მწერლებს“, სავსებით სამართლიანი დასკვნა გააკეთა: „აი, ეს კანონები იყო (ჩვენ ზევით უკვე შევეხეთ ამ კანონებს — გ. ჯ.) პოეტის ციხე-დარბაზი, საიდამაც ის ებრძოდა მოწინააღმდეგე რაზმთა. როგორც ხედავთ დიდი არაფერი იყო ეს ციხე და ვახტანგ მეფის სიტყვების არ იყოს „ეს კანონები შე კი დავსწერე, მაგრამ არა მგონი ქართველებმა აასრულონო“ არც პოეტს ჰქონდა იმედი, რომ იმის რჩევას აასრულებდენ ქართველი მწერლები და რაღა მწერლები, თითონ პოეტი არ მისდევდა თავის თეორიას თავის ნაწერებში“.** მაგრამ გრიგოლ ორბელიანი შეუპოვარი იყო არჩეული გზის დაცვაში და გულისტკივილით მოსთქვამდა:

„ფუ ამ დროსა
უნიჭოსა
უკაცოს,
რომ დროება
წინ გვიძღება
მესხითა,
ჩვენის ენის,
ჩვენის კვეყნის
მფარეელად!!!“***

„დროების“, „ცისკრის“, „კრებულის“ დახურვა და გამოტირება ერთხელ კიდევ გვიდასტურებს, თუ რა ღრმად განიცდიდა პოეტი „ძველის“ შელახვას და მის გახალხლებას. ჩვენ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ გრიგოლ ორბელიანი ბავშვობიდანვე შეზრდილი იყო „ძველ ენას“. როგორც იონა მეუნარგია გადმოგვცემს, პოეტს ქართული წერა-კითხვა ანჩისხატის დეკანოზისაგან შეუსწავლია, ხოლო კეთილშობილთა სასწავლებელში ასწავლიდა მღვდელი ხელაშვილი. შემდეგ ენის დაუფლებას ხელს უწყობდა „საკუთარი ოჯახი ღა ნათესაობა, საცა ლაპარაკობდნენ საუკეთესო ქართულს კაცები და მეტადრე ქალები“.****

---

* გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 74.

** იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, „ლიტერატურის მატიანე“, 1—2, 1940 წ., გვ. 322.

*** გრიგოლ ორბელიანი, თხზულებათა სრული კრებული, 1959 წ., გვ. 74—75.

**** იონა მეუნარგიას დასახელებული შრომა, გვ. 317.

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იონა მეუნარგიას იმ ცნობასაც, რომ გრიგოლ ორბელიანის მამა — გამოჩენილი სარდალი დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანი, ერეკლე მეორის ერთგული სიძე (გრიგოლის დედა იყო ერეკლე მეფის შვილის — ელენეს ქალიშვილი ხორეშანი), თურმე „მღვდელ-დიაკვნებს კითხვას უსწორებდა, როცა იმათ აღლილუია რამე შეეშლებოდათ, მისი ნათესავი ქალებიც დიდნი მცოდნენი იყვნენ მწერლობისა. რამდენჯერ მოუწერიათ პოეტისათვის ამ ქალებს — სხვათა შორის მანანა ორბელიანისას, სალომე ჭავჭავაძისას — რაიმე საამოდ საკითხი წიგნი გადმოეთარგმნა იმას ქართულ ენაზე. ეს წიგნები მსურველთ დღესაც შეუძლიათ ნახონ პოეტის ქაღალდებში“.*

მთელი თავისი ცხოვრება გრიგოლ ორბელიანს, მჭუხარე ბრძოლების ჩათვლით, ქართული ენის ღრმად შესწავლისათვის მეცადინეობაში გაუტარებია. რაკი სავსებით სწორად ჰქონდა შეგნებული ენის გადამწყვეტი როლი, მისი განუსაზღვრელი მნიშვნელობა ერის განვითარებაში, პოეტი ყოველთვის ზრუნავდა, რომ ეს სანუკვარი იარაღი არ დაჟანგებულიყო, არ დაემახინჯებინათ. „საცა უნდა ყოფილიყო, — წერს იონა მეუნარგია, — რუსეთში, დაღესტანს, ზაქათალას, თბილისში, ის მუდამ თავს დასტრიალებდა ქართული ენის მშვენიერებას და თუ ცუდად დასწერდნენ ამ ენაზე, ან უკანონოდ ილაპარაკებდნენ, მისს მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა“.**

გრიგოლ ორბელიანის ასეთ დამოკიდებულებას ენისადმი, მის პირდაპირ ფანატიკურ გატაცებას მშობლიური მეტყველების სიწმინდით, იონა მეუნარგია რამდენიმე კონკრეტული ფაქტით ნათელჰყოფს. ჩვენ მხოლოდ ორ მათგანს მოვიტანთ — აკაკი წერეთელთან და სალომე მიურატთან დაკავშირებულს. პირველის შესახებ იონა მეუნარგია შენიშნავს: „აკაკის ლექსს ისე არ წაიკითხავდა პოეტი, რომ ქვეშ არ მოეწერა: „ბარაქალა, აკაკიავ!“, „მაშალლაჰ! აკაკიავ!“, „შენ მაინც გაამშვენიერე ეს ჩვენი ენა. აკაკიავ“ და სხვ. მაგრამ პროზაში კი ის არა ყოველთვის იყო მისი თაყვანისმცემელი. „დროების“ ერთ ნომერში, რომელშიაც აკაკის მაჭახელაძის შესახებ დაებეჭდა „მცირე შენიშვნა“, ორბელიანი წერდა სიყვარულით: „უი. შე ღვიტიკელა იმერელო, როდის ისწავლი ქართულსა“.***

კიდევ უფრო საყურადღებოა მეორე ფაქტი, ეკატერინე ჭავჭავაძის ასულ—სალომესთან დაკავშირებით. სალომე ისეთ წრეში იზრდებოდა, ისეთ ატმოსფეროში, რომ მოსალოდნელი იყო ქართული არ სცოდნოდა. ხშირად პარიზში ცხოვრება, შემდეგ ნაპოლეონის ცნობილი მარშლის — მიურატის შთამომავლის — აშილ მიურატის მეუღლეობა, ყველაფერი ეს, დიდგვაროვნულ ამპარტავნობასთან შეერთებული, თითქოს გამორიცხავდა იმ დროისათვის სალომეს მიერ ქართულის ცოდნას. მაგრამ საწინააღმდეგო მომხდარა. ამას გვიდასტურებს გრიგოლ ორბე-

---

* იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“. „ლიტერატურის მატიანე“, 1 — 2, 1940 წ., გვ. 317 — 318, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 318.

*** იქვე, გვ. 321.

ლიანის წერილი 1874 წლის 12 აგვისტოს გაგზავნილი სალომე მიურატისათვის.

„ერთხელ პრინცესსა სალომე მიურატის, -- წერს იონა მეუნარგია, — მიეწერა პოეტისათვის წიგნი ქართულ ენაზე. ამას იმდენად ესიამოვნებია პოეტი, რომ მთელი მისი გულის ვარამი ეხლანდელ საზოგადოებაზე გადაეშალა იმისთვის პასუხად მისი წერილისა. აი ერთი ადგილი ამ წერილიდამ; ის დაგვანახვებს რა მაღალის აზრისა იყო პოეტი სამშობლო ენაზე: „მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა. ჩემო მშვენიერო სალომე, და აბა როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიჟელსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, იგი უნდა ცდილობდეს მის შესწაელებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარს ჰყოფდენ ქართულს ენასა და შეურაცხებით ტუჩებ ამშვერით ამბობდენ: „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“. ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა! ენა არის შემნახველი მამა-პაპის ყოფაცხოვრებისა, მათის სარწმუნოებისა, ჩვეულებისა, ესე იგი თვით ისტორია! თუ კაცმა არ იცის მამა-პაპის ენა მაშ, როგორ უნდა იცოდეს ვინ იყვნენ იმის მამა-პაპები, როგორ ჰსცხოვრობდენ, რას ლაპარაკობდენ, რას იმღეროდენ, რა უხაროდათ, რასა ჰსწუხდენ, ათასის წლის განმავლობაში, როგორ ებრძოდა ეს პატარა საქართველო სპარსთა, არაბთა, ოსმალთა, იმ მტრებსა, რომელთაცა აწ ებრძვის დიდი იმპერატორი დიდის რუსეთისა და უძნელდება ბრძოლა? რომელი ისტორია მოგვითხრობს ესრეთსა უმაღლესსა, სარწმუნოებისა და მამულის სიყვარულსა, როგორიცა გამოაჩინეს საქართველოს უკანასკნელთა მეფეთა ირაკლიმ და ვიორგიმ, რომელთაცა თავის ნებით, თავის სურვილით დაჰსთმეს თავის სამეფო ტახტი, თავის შვილებით და მისცეს თავის სამეფო რუსთ ხელმწიფესა. ოღონდ კი იცხოვროს საქართველომ მშვიდობიანად. სპარსელებმა ქეთევან დედოფლის გულზე ცეცხლი აანთეს და ისე ტანჯვით მოჰკლეს და არ უარყო მან ქრისტიანობა. განა ამისთანა ერის ენა და ისტორია, არ არის ღირსი შესწავებისა ქართველთა ქალებთაგან? და თუ მოვიგონებთ ძველთა მწერალთა, მელექსეთა, ღვთის-მეტყველ-მქადაგებელთა, მეროწმუნე, ჩემო, სალომევ, ქართული ენა არ არის ისე დავრდომილი, როგორც ჰგონიათ ეხლანდელთა ინსტიტუტკებსა“.*

X

ქართული ენის ესოდენი სიყვარული და მისი სიწმინდის დაცვისათვის პირდაპირ ფანატიკური გატაცებით ბრძოლა გრიგოლ ორბელიანს, როგორც პატრიოტ მწერალს, დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს. მაგრამ შვილებმა როდი აპატიეს მოხუც პოეტს ზოგიერთი შეცოდებანი და 1872 წლის 28 იანვარს ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანის ლექსის სამაგიეროდ დაწერა „პასუხის პასუხი“, რომელშიაც „შვილების“ დამოკიდებულება „მამებისადმი“ ძალიან მკაფიო შტრიხებით წარმოგვიდგინა. ამ ლექსში ახალი თაობის მთელი მსოფლმხედველობაა გადმოცემული, მისი კონცეფცია. და

* იონა მეუნარგია, „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“. „ლიტერატურის მატიანე“, 1-2, 1940 წ., გვ. 319—320.

აქედან გამომდინარე ბრალდებანიც „მამების“ მისამართით. ყურადღებას ის ვარემოებაც იქცევს, რომ ილია ჭავჭავაძის ლექსი გრიგოლ ორბელიანს პასუხს აძლევს პირდაპირ პუნქტობრივად, უპასუხოდ არ ტოვებს არცერთ შენიშვნას და კონტრბრალდებებსაც აყენებს. „შვილები“ თავდაცვით კი არ კმაყოფილდებიან, შეტევაზე გადადიან, რაც უფრო ადრე, 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ ასე ოსტატურად განახორციელა თავის ცნობილ კრიტიკულ წერილში — „პასუხი“. ლიტერატურული ბრძოლის ეს მეთოდი თერგდალეულების პელადმა ახალი ძალით გამოიყენა „პასუხის პასუხში“, რასაც ჩვენ ახლა შევეხებით.

ილია ჭავჭავაძემ ლექსის პირველივე სტრიქონებით უპასუხა გრიგოლ ორბელიანის სიტყვებს, თუ ვინ არიან „შვილები“, „სადღაც მიმალვით“ რომ „ჰროტავენ. ჰკნავიან“. ილიამ გამოცდილი პოლემისტის ოსტატობით სთქვა:

„ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ.
იქიდან ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ბაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ“.*

ეს ბრალდება „მამებისადმი“ ლექსში თანდათან ძლიერდება, სულ კონტრიერიშის სახეს ღებულობს, და იმდენად მოურიდებელია, რამდენადაც თვით გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა“. სამშობლოს სიყვარულშიაც „მამებისა“ და „შვილების“ სრულიად განსხვავებული ხასიათია წარმოდგენილი ილია ჭავჭავაძის ლექსის შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ ვცეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკედარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩერად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.
სარწმუნოება
და სათნოება

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 91.

ფარისეელობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.“ *

არ მიგვაჩნია იმიტომ, რომ ჩვენ, მოვედით თუ არა. უმალ გიცანით, ვინც იყავით; თავი შორს დაევიჭირეთ, არ მიეიღეთ თქვენი მოძღვრება და რად გვკვირთ, თუ ვერც ერთი ჩვენგანი „თქვენს ახბანს“ ვერ შევეჩვიეთო. შემდეგ კრიტიკა ძაგებაში გადადის და „მამები“ დახასიათებულნი არიან, როგორც „ყოვლად ბრმანი“, „ნაცარქექნი“, „გულნამცეცნი“, რომლებიც „ძირს უთხრიან ღარიბთ ერთობას“. თერგდალეულებს კი თავიანთი თავი, „მამათა“ მხრივ დაჩაგვრის შედეგად, წარმოდგენილი ჰყავთ, როგორც

„...უღონონი,
უგზო-უკვლონი
ჭით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია“.**

ეს დაპირისპირება და თავშეუკავებელი გაკიცხვა მამებისა იმდენად მკაცრ სახეს ღებულობს, რომ დამამცირებელ ეპითეტებს თითქოს ბოლო აღარა აქვთ. სარწმუნოების საკითხშიაც „შვილები“ რადიკალურად ემიჯნებიან „მამებს“. მიაჩნიათ, რომ „ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი“ ღვთაება მათ მხოლოდ სიტყვით სწყალთ და არა საქმით. ლექსის მთელი მესამე თავი ამ განსხვავების აღნიშვნას ემსახურება და თავისი მოურიდებელი ტონით, პირდაპირობით, მკვეთრი ხაზებით გამოირჩევა:

„იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ერჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 91—92.
** იქვე, გვ. 92.

მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ აპხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან გმობილ-დევნული:
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი."*

ლექსის შემდეგი ორი თავი (მე-4 და მე-5 ნაწილი) თითქმის მთლიანად ეძღვნება ენის საკითხებს და ერთხელ კიდევ გვაცნობს ქართველ მესამოციანელთა პოზიციას. მათ კონცეფციას ამ ერთერთ ძირითად პრობლემასთან დაკავშირებით.

ერთადერთი, რაც „მამათა" და „შვილთა" შორის თანხმობის საფუძველია, ეს მხოლოდ ის არის, რომ „მ ტ ე რ ო ბ ა ე ნ ი ს" ო რ ი ვ ე ს მ ი ა ჩ ნ ი ა თ ვ ი თ ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ტ რ ო ბ ა დ. მაგრამ ვინ არის ჩვენ შორის დამნაშავე ენის წახდენაში, — ეუბნებიან „შვილები" „მამებს", — ჩვენ თუ თქვენ? ჩვენამდე ხომ თქვენ იყავით ენის პატრონი? განა თქვენ არ იყავით, რომ მაშინ, როცა „ჩვენ ძუძუს ეწოვდით", შინ თუ გარეთ „ჰგმობდით ენას და ხალხსაც"? თქვენ ნება მიეცით ჩვენი მშობლიური ენა აღკვეთილიყო, და შიშით ახლაც აღარ ხმარობთ „არც კარში და აღარც საბლში". ჩვენი მაღალი, ძლიერი ენა თქვენ წაახდინეთ და თქვენ შორის იყო ის ადამიანი, რომელმაც თავისი მშობლიური ენა გასწირაო.

ვინ არის ან ვის გულისხმობენ „შვილები" „იმ ბედშავ" ადამიანად, რომელმაც ქართულ ენას „მ კ ვ დ რ ი ს უ დ ა რ ი გ ა დ ა ა ფ ა რ ა"?

ჩვენ ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ, როცა ილიას ლექსს „რ ჩ ე ვ ა ს" დავაბასიათებთ. ახლა კი ისევ ვნახოთ, თუ რა მკაცრად ეპყრობიან ენის საკითხში „შვილები" განაწყენებულ „მამებს". „პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ შ ი" ეს სიმკაცრე ასეა გამოთქმული:

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის —
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდეთ, ჩვენა თუ თქვენა?
ეხლა რომ ბღავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!.
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც — გარეთ თუ შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 93.

ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!.
შიშით — არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.
ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა".*

ჩვენ კი თქვენს მიერ „მკვდრად" ქცეულ ენას ვაცოცხლებთ და ვაანა ეს არის ცოდვა? რაც ნაკლი გვაქვს, მალე გასწორდება, მაგრამ თქვენს მრუდე საქმეებს ვერავინ გაასწორებსო, — გულდაჯერებით შენიშნავენ შვილები:

„ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რალა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!
თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ჭოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.
გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება."**

ილია ჭავჭავაძის ლექსი მთავრდება იმავე საკითხით, რითაც თვით გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა". ეს არის ურთიერთბრალდება, გადასული პიროვნულ გაკიცხვაში. მორიდებულობა სულ გამქრალია ლექსის დასკვნითს სტრიქონებში:

„უგზოდ მელენოო,
უსწაელელნოო, —
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს.
როშ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწეელდესა, —
ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!
ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა, —
რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება".***

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 94—95.
** იქვე. გვ. 94—95.
*** იქვე.

ასე გაცხარებული ბრძოლა ძველსა და ახალ თაობას შორის არ შემოფარგლულა პოეზიაში იმ ორი ნაწარმოებით, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ. ილია ჭავჭავაძე, როგორც ზემოთ მითითებული გვაქვს, თავისი „გამოცანების“ პერსონაჟებს არაერთგზის ეხება კერძო წერილებსა და პოეტურ თხზულებებშიც. ერთი ასეთი ნაწარმოებია „რჩევა“, რომელსაც ახლა უნდა შევეხოთ.

ეს ლექსი მთლიანად ეძღვნება „გამოცანების“ ისეთ „გმირს“, როგორიც გიორგი მუხრანსკია. თუ ვინ იყო იგი, ნაწილობრივ ჩვენ უკვე ვიცით. მაგრამ „რჩევა“ რომ გავიგოთ, საჭიროა დავსძინოთ შემდეგი:

დიმიტრი უყიფიანის „მემუარების“ შენიშვნებში სიმონ ხუნდაძე მიუთითებს, რომ გიორგი მუხრანსკი (1820—77) იყო „სენატორი; მიღებული ჰქონდა იურიდიული განათლება, ბარიატინსკის დროს იყო მეფის მოადგილეს საბჭოს წევრი; მონაწილეობას ღებულობდა საგლეხო და სასამართლოს რეფორმის მზადებაში. 1872 წ. „კავკაზის“ დამატებად გამოვიდა მისი ბროშურა: «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц». ამ ბროშურაში იგი ამტკიცებდა, რომ დრო პატარა ერების არსებობისა წავიდა, ახლა დაიწყო დიდი სახელმწიფოების ისტორია. ქართულ პრესაში მის წინააღმდეგ გაილაშქრა: სერ. მესხმა, პ. უმიკაშვილმა (მ. პეტრიძემ), ან. ფურცელაძემ. ი. ჭავჭავაძე „პასუხის პასუხში“ მის შესახებ სწერდა:

„პირველ თქვენგანმა
იმა ბედშავმა
მას* მკვდრის სუდარა გადაფარა“.**

სწორედ ამ უგვანო, არსებითად კოსმოპოლიტურ, ანტიეროვნულ, ნიღილისტურ ბროშურას და მის ავტორს ეხება ილიას უმშვენიერესი სატირიკული ლექსი „რჩევა“, რომელიც პოეტმა 1872 წლის 29 აგვისტოს დაწერა. მთელი ნაწარმოები იმდენად მკაფიოა, ისე აშკარად ამხელს უსუსური ბროშურის „კონცეფციასა“ და მისი ავტორის დავაჭრულ მსჯელობას, რომ ყოველგვარი კომენტარის გარეშეც კი სავსებით ნათელი ხდება მკითხველისათვის. რა რჩევას აძლევს გიორგი მუხრანსკი თავის მკითხველს? ილიამ შესანიშნავად გამართახა ეს რჩევა სატირიკულ ფორმაში:

„თუ გინდა, ძმაო, თგემო
ამა ქვეყნისა შეებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი.
შერე ბრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე: — „წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“.
ამა წესის სიმართლისა
შენ საბუთი ვინც მოგკითხოს,
— „ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,
საბუთი-თქო მერე იყოს“.

---

* ე. ი. საქართველოს, — შენიშნავს სიმონ ხუნდაძე, მაგრამ ლექსის კონტექსტით, პირველყოვლისა, ქართული ენა იგულისხმება.

** დიმიტრი უყიფიანი, მემუარები, 1930 წ., გვ. 158.

დიდნი ხომ დაგიჯერებენ,
აბა უარს რად იტყვიან?!
პატარებს ჯანიც გავარდეს,
დიდნი მადლს გადაგიხდიან.
თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებრივი ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამგვარ ქცევით
ჩვენში ბედნიერი არი".*

აქ უკვე ყველაფერია ნათქვამი. სატირიკულ ფორმაში გიორგი მუხრანსკის კრიტიკა მართლაც ძლიერად არის მოცემული. საინტერესოა ერთი ფაქტიც: დუშეთში ამ ლექსის დაწერის შემდეგ ილია ჭავჭავაძეს პეტრე უმიკაშვილისათვის გაუგზავნია წერილი, რომელშიაც, სხვა საკითხებთან ერთად, გიორგი მუხრანსკის ხსენებულ ბროშურასაც ეხება. ილია სწერს პეტრე უმიკაშვილს: „მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: **Лишь право сильного раб свято почитает**... მაგ ბროშურის პასუხად აი რა დავწერე და ვთხოვ დროებაში დაბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მიაწერ".**

პეტრე უმიკაშვილმა შეასრულა ილიას თხოვნა: ლექსი მართლაც დაიბეჭდა „დროებაში", მაგრამ საქმე ამით მაინც არ დამთავრებულა. გარდა იმ პირებისა, რომლებიც სიმონ ხუნდაძემ მოიხსენია და რომლებმაც მუხრანსკის წინააღმდეგ გაილაშქრეს, ხმა აიმაღლა აკაკი წერეთელმა. „ენებისა გასამართლებაში" (ლექსი ასე იწყება: „მუხრანიდან ჯარი მოდის..."), რომელსაც გიორგი მუხრან-ბატონი სარდლად მოუძღვება და თავის ძმას — ქართლის ბატონს თავს უნდა დაესხას ასაკლებად) აკაკიმ გიორგი მუხრან-ბატონი, ხავსებით დამშახურებულად, მშობლიური ენის უარმყოფელად, „თავისი გვარის" დამგმობად და „სჯულის" შემაჩვენებლად გამოიყვანა. აკაკიმ ასე დახატა გიორგი მუხრან-ბატონის პიროვნება:

„მუხრან-ბატონს გაეცინა
და უთხრა: „ეგ რა სჩმახეო!
კაცი ვარ მე ქვეყნის ტოლი
და სუსტად ვით დამძრახეო?
რაც შენ დღეს ჭირი მოგადგეს,
ის შენს თავსვე დასძახეო.
რად მაგზავნიდი სხვა ქვეყნად,
რად შემიცვალე სახეო?
ოქ მე მასწავლეს ხერხები
და ათასგვარი მახეო, —
ვერ შემაშინებ მუქარით,
გორჩევ, სხვა ვინმე ჰფახეო,
თორემ ვერ მომაშლევინებ,
რაც გულით განვიზრახეო.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 96, პირველად დაიბეჭდა „დროებაში", № 35, სექტემბრის ნომერში, მაგრამ ცენზორს ბოლო კუპლეტი ამოუღია (იხ. ს. ინგოროყვას შენიშვნები, გვ. 748).

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ. გვ. 38.

სასაცილოა ეგ თქვენი
რაღაც სიტყვები მკაცხეო...
უმჯობესია, რომ დამრჩე...
სხვა ენით დაიძახეო!"*.

მაგრამ იყო თუ არა ეს ლექსი აკაკის ერთადერთი პოეტური გამოხმაურება გიორგი მუხრანსკის ბროშურაზე? არა, ჩვენ სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ 1872 წელს, სწორედ იმ დროს, როცა „კავკაზის" დამატებად მუხრანსკის სავალალო წიგნაკი დაიბეჭდა, აკაკიმ დაწერა ლექსი „აღარ გვაქვს გრძნობა", რომლის შინაარსი უეჭველად გიორგი მუხრანსკის და მის ბროშურას გულისხმობს. აკაკი ჰგოდებს, რომ გრძნობა და გონება დავკარგეთ, მამა-პაპური სული გავგიქრა, ჰკუის საწონად ჩინი გავიხადეთ, ძმობის ნაცვლად კი ბოროტება და შური. ის ადგილი, სადაც ჩვენს თავგანწირულ წინაპარს სისხლი უღვრია, „შვილთ კვეზიზღება დღეს, აღარ გვიყვარს და ვერ გვიხურებს გაყინულს გულსაო". ლექსის შემდეგი სტრიქონები აშკარად გვაგრძნობინებენ, რომ ავტორი უეჭველად გიორგი მუხრანსკის გულისხმობს:

„ფარისეველო! გაუტანელო!
სხვასთან თავმზრელო, შინ ორმოს მთხრელო,
ნაგავის მყრელო, შენ ჯერ ლო გველო!
რამ შეგაბულა, სთქვი, საქართველოს?!
რისთვის გაჰყიდე?.. მაგრამ კითხვა ღირს?!
განა ეს ისიც არ შეგვიტყვია:
მხოლოდ ბს ჰკურნებს ქართველსა ჭირს,
თუ თავის მოძმეს გულში ჰკრა ტყვია!.."**

ეს „ფარისეველი", „გაუტანელი", „სხვასთან თავმხრელი", „შინ ორმოს მთხრელი", „ნაგავის მყრელი", (ე. ი. საზიზღარი წიგნაკის გამომცემელი), „ჯერ ლო გველი", საქართველოს შემძულებელი და გამყიდველი — სწორედ გიორგი მუხრანსკი იყო თავისი ცხოვრებითაც და აზროვნებითაც.

გარდა ამ ლექსისა, აკაკი სხვაგანაც იხსენიებს გიორგი მუხრან-ბატონს, როგორც კონსერვატორს, რეაქციონერსა და იმ თვითმგმობი აზრების ერთგულს, რომლებსაც თავის საზიზღარ ბროშურაში ქადაგებდა. ჩვენ მოვიტანთ ერთ ადგილს აკაკის მოგონებიდან — „უკანასკნელი პასუხი", რომელიც დაწერილია 1896 წელს და დაიბეჭდა „კვალის" 25 თებერვლის ნომერში (№ 9).*** ცარიზმის უკიდურესად ერთგული, დიდი მოხელე და რეაქციული სულისკვეთებით აღზრდილი გიორგი მუხრანსკი, ეტყობა, პრაქტიკულ ცხოვრებაში ახალგაზრდობასაც იმას ურჩევდა, რასაც ჯაბუკობიდანვე თეითონ შეუზარდა. აკაკის მოგონება საუსებით გვიდასტურებს ამ მოსაზრებას. თავის მოგონებაში პოეტი წერს: „გიორგი მუხრანსკის დავეზარებიე და ვიახელი. ის საკვირველი თავდაბალი, ალერსიანი და ტკბილი მოლაპარაკე კაცი იყო.

---

* აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 296.
** იქვე, გვ. 235—236.
*** იქვე, შენიშვნები, გვ. 559—560.

ისე მიმიღო, რომ მეგონა ჩემ ტოლ ამბანაგ სტუდენტთან ვიყავი. დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს უცბად მკითხა: წერეთელო, დიდხანს უნდა იარო მაგრე თმა გაჩეჩილმა? მართალია, პოეტი კი ხარ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ის დრო წავიდა, როცა პოეტები პარნასზე ღმერთებთან ერთად ფერხულს უვლიდნენ! აქ საქართველოა.

— მერე რა? — ვუპასუხე მე.

— ის, რომ შენ თავზე ფიქრი გმართებს, პოეტი ხარ და ქვეყანა ვარდისფრად გეჩვენება!.. და ცხოვრება გაფურჩქვნილ ვარდათ, მაგრამ ერთხელ უეჭველათ ფოთლები დასცვივა, მარტო ეკლები დარჩება და მაშინდღისთვინ ხელთათმანები მზათ უნდა გქონდეს, რომ ხელები არ გაიკაწრო.

— რა ხელთათმანები?

— გამოუცდელი რომ ხარ და ცხოვრება არ იცი, მიტომაც ვერ მიმხვდარხარ!.. მე შემიტყვია, რომ შევიწროებულ მდგომარეობაში ხარ, ცოლშვილის პატრონი ხარ და ფიქრი გმართებს. ამთავით ყოლიფერს ადვილად აიტან, მაგრამ ოდესმე ცხოვრება თავისას მოგთხოვს და მზათ უნდა იყო. ქართული წერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ვერას შეგძენს!.. ქართველი უსამსახუროთ ძნელი წარმოსადგენია! აი, ახლა კარგი შემთხვევა არის, ახალი რეფორმები შემოდის ჩვენში და შედი სამსახურში.

— გმადლობთ რჩევისათვის. მაგრამ რომ ვერ გამოვდგე! და რომ კიდეც ვიყარგო, განა მომცემენ?

— მაგაზე კიდეც მოველაპარაკე სტარიცკის და, რაც შეეხება ვარგობას, რასაც დღეს შენთვის უნაყოფოდ შრომობ, მაგის მეათედიც რომ გაისარჯო, მალე დაწინაურდებიო. — ამისთანები ბევრი რამ მირჩია მამაშვილურათ და, რომ აღარ დავეთანხმე, მითხრა: ნუ ჩქარობ! წადი, კარგად მოიფიქრე და ამ სამ დღეში გადაჭრილ მითხარიო. მე მის საპასუხოდ ერთი ალეგორიული ზღაპარი დავწერე „სნეული და მკურნალი“ და ის მივუტანე. წაიკითხა, ნაღვლიანად გაიცინა და მითხრა: ჰო, ეს სულ სხვა არის. მე მეგონა, თუ გამოუცდელობით ცხოვრება არ იცოდი, შენკი ფანტიკოსი ყოფილხარო. შენი ნებაა, მაგრე იტანტალე ჰირველათ, მაგრამ თუ ცხოვრებამ ოდესმე ეგ დღევანდელი აზრი გამოგაცვლევინოს, მოდი ისევ ჩემთანო. ეს მითხრა, ჩამომართვა ხელი და გამომეთხოვა“.*

საკმარისია ერთი ფრაზა, ჩვენს მიერ ხაზგასმული — „ქართული წერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ვერას შეგძენსო“, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ ვინ იყო გიორგი მუბრანსკი და რამდენად მართალნი იყვნენ მის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი თაობის წარმომადგენლები. ამ ბრძოლაში, ილიას გვერდით, აკაკიც მხურვალედ მონაწილეობდა, თუმცა ზოგიერთ საკითხში (ვრცელ ორბელიანის შეფასება, ახალი თაობის დახასიათება და სხვ.) მისგან განსხვავდებოდა. ეს განსხვავება იმდენად საგრძნობი არ იყო, როგორც არსებითად და ძირითადად მათი ერთსულოვნება. ისინი ერთნი იყვნენ უმთავრესში, ხოლო ნიუანსებსა თუ წვრილმანებში განსხვავებას საერთო იდეური ხაზი არ დაურღვევია.

---

* აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, 1961 წ., გვ. 233—234. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ყველაზე საუკეთესოდ ამას მოწმობს 70-იან წლებში, 60-იანს რომ თავი დავანებოთ, აკაკის პოზიცია, რომელიც ასე კარგად ჩანს 1872 წელს დაწერილსა და გამოქვეყნებულ სტატიაში — „ვ ი ნ ს ტ ყ უ ე ი ს?"* მისი ქვესათაურია— „ჩ ვ ე ნ ი ე ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ძ ვ ე ლ ი დ ა ა ხ ა ლ ი თ ა ო ბ ა". ამ წერილში აკაკი ასე აფასებს 70-იანი წლების თაობათა ბრძოლას: „ამას წინათ ჩვენი ძველი და ახალი თაობა გამოელაპარაკნენ ერთმანეთს პოეტური ენით: ჯერ პირველად გამოვიდა ხელნაწერი ლექსი, სახელდობრ „გამოცანა" ერთი ახალი თაობის მოძრისა, რომელშიაც იყო ლაპარაკი ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენლებზე, რომლებსაც უცნობი ავტორი „გამოცანებისა" სწვამებს, ვითომც იმათ „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზე ეკიდოსთ" და სხვ. ძველმა თაობამ ეს რა საკვირველია, საწყენად მიიღო და მისცა ახალ თაობას „გამოცანების პასუხი", რომელშიაც ერთი ჩვენი ძველი თაობის წარმომადგენელთაგანი პირიქითა სდებს ბრალს ახალ თაობას, სწვამებს უვარგისობას და ამასთან, მოთმინებიდგან გამოსული, შეუფერებელის ენით ჰლანძღავს მას. მაგრამ საქმე ამითი არ გაკეთებულა: ახალმა თაობამ არ დაიდუმა და ერთი თავისი წარმომადგენლის პირით მისცა ძველ თაობას „პ ა ს უ ხ ი ს პ ა ს უ ხ ი", რ ო მ ე ლ შ ი ა ც შ ე ს ა ნ ი შ ნ ა ვ ი პ ი რ უ თ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი თ ი ყ ო გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ი ყ ვ ე ლ ა მ ი ზ ე ზ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ს თ ვ ი ს ა ც უ ღ რ ი ნ ა ვ ს ა ხ ა ლ თ ა ო ბ ა ს გ უ ლ ი ძ ვ ე ლ თ ა ო ბ ა ზ ე დ ა ა რ ი ს მ ა ზ ე უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ო. ამ ზემო მოხსენებულ ლექსებს გარდა სხვა ხელნაწერი ლექსებიც ბევრი გამოვიდა ორივე ძველი და ახალი თაობის მომხრეებისა, რომლებიც საზოგადოდ ერთსა და იგივე ზემო ხსენებულ თავ აზრებს ავრცელებენ და ცხადად ამტკიცებენ ეხლანდელი ჩვენი ძველი და ახალი თაობის ერთმანეთზე უკმაყოფილებას. ორივე მათგანი გამდგარან განზედ და ერთმანეთს ეუბნებიან: თქვენ ცუდი ხართ, ჩვენ კარგიო, თქვენ არას აკეთებთო, ჩვენ კი ბევრსაო და სხვ... ეს უკმაყოფილება, რომელიც კაიხანია არსებობს ჩვენ ძველ და ახალი თაობის წარმომადგენლებთ შორის, ზემო მოხსენებულ ხელნაწერ ლექსებს გარდაც, ბევრჯელ წარმოთქმულა ჩვენ ღარიბ ახალ ლიტერატურაში, და უამისოთაც, ვის არ გაუგონია ჩვენი მოხუცებულების საჩივარი ახალგაზრდებზე? იმათ, როგორც საზოგადოდ ყველა მოხუცებულებს, თავიანთი ძველი დრო, ძველი ცხოვრება, ძველი ჩვეულებები და ერთი სიტყვით ყველაფერი ძველი საშვაგლითოდ, საქებრად და საკვეხურად მიაჩნიათ, ახალ დროსა და ახალგაზრდებს კი ყველაფერში ემდურიან და აძაგებენ. რა გინდათ, რომ ამ უკანასკნელებს არ სწამებდნენ ისინი: უღმერთობას, უმეცრებას, უსაქმობას, გარყვნილობას, პატრიოტობას, კოლობუზობას და სხვა ამგვარებს — ყველას ახალ თაობას მიუწერენ ისინი. მაგრამ ეხლა ცოტა ახალგაზრდებსაც ჰკითხეთ ძველი თაობის ამბავი. ამათი ფიქრით, პირიქით, ძველი თაობის წარმომადგენლები არიან ყველა ჩვენი უბედურებისა და ხაფანგში გაბმის მიზეზი და, მაშასადამე, ყველაფერში ისინი სტყუიან და არა ახალგაზრდები. თავიანთ უკმაყოფილების გამოსახატავად ძველი თაობის შესახებ და მის შესამკობად ესენიც ბევრ საუცხოო ეპითეტებს სმარობენ. იმათ მიუწერენ ესენი მაგ. გმობას, უარყოფას, გამცემლობას, ფარი-

* პირველად დაიბეჭდა 1872 წლის „მნათობის" 6 და 7 ნომრებში. იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, 1960 წ., გვ. 538.

სევლობას, ცრუმორწმუნეობას, უზრუნველობას, მამულის დამღუპველობას და სხვ...“*

თავისებურად ახასიათებს რა ორივე თაობას, აკაკი, ძველის ნაკლოვანებათა მხილებასთან ერთად, არც ახალ თაობას სტოვებს გაუკენწლავად. ახალი თაობა მისთვის არ წარმოადგენს ერთგვაროვან მასას, პირიქით, ერთი ნაწილის წარმომადგენლები „...თავიანთ უხეირო მიმართულებით და მოქმედებით აძლევენ ძველ თაობას და ყველა მის წარმომადგენლებს საზოგადოდ ახალი თაობის და ყველა მისი წარმომადგენლებისგანკიცხვის მიზეზს“.** ისინი სამ კატეგორიად განიყოფებიან: პირველნი, ყველაზე ცუდნი, ცოლის შერთვით რომ მდიდრდებიან, განცხრომას ეძლევიან, ქვეყნისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ; მეორენი—ადვოკატებია, რომლებიც საკუთარ ჯიბეს ისქელებენ, საზოგადო საქმეს კი არავითარ შემწეობას არ უწევენ; მესამენი — ღობემძვრალები არიან; მართალია, ისინი ასაკითა და სწავლით ახალ თაობას ეკუთვნიან, მაგრამ ახალი დავიწყნიათ, ძველს მიკედლებულან, ძველსა და ახალ თაობას შორის ჩატეხილ ხიდს შეადგენენ; სამსახურში ჩაფლულთ, პირადი სარგებლობით გატაცებულთ, ქვეყნის საქმე ფეხებზე ჰკიდიათ.

ამ სამი კატეგორიის ახალგაზრდების კრიტიკა მამების მხრივ აკაკის მართებულად მიაჩნია, მაგრამ ეს კრიტიკა სრულებით არ ეხება ახალი თაობის იმ მცირე რიცხვს, „რომლებიც, შეძლებისა გვარად, კეთილ-სინდისიანად და პატიოსნად ასრულებენ თავიანთ ვალს, და, როგორც ჰეშმარიტი მამულის შვილები, უანგაროდ და ერთგულად ემსახურებიან მის საზოგადო საქმეს. მართალია, ჯერ ამათ არ მოუყვანიათ აღსრულებაში ყველაფერი, რის გაკეთებაც ჰსურთ, რის გამოც, როგორც ჩვენ ამ სტატიის დასაწყისშივე ვსთქვით, ამათზე და ამათ მოქმედებაზე გადაწყვეტითი სჯა ჯერჯერობით ძნელია; — მაგრამ თუ კარგათ ჩავაკვირდებით ამათ მიმართულებას, სურვილს, შრომას და ყველა, ამათგან დაწყებულ საქმეების ხასიათს, ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის კეთილი და სასარგებლო შედეგები, რომლებიც უეჭველია ექნებათ იმათ. ამასთან ისიც შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ესენი უფრო პირნათლად იქნებიან თავიანთ მომავალი შთამომავლობის წინაშე, რომელიც უეჭველია დააფასებს ამათ კეთილ და ქვეყნისთვის სასარგებლო შრომას, ვიდრე ჩვენი ძველი თაობა არის თავისი ეხლანდელი შთამომავლობის წინაშე“.***

რაც შეეხება „მამებს“, მათი მისამართით აკაკი აყენებს იმავე ბრალდებებს, რაც „გამოცანებსა“, „კიდევ გამოცანებსა“ და „პასუხის პასუხში“ იყო მოცემული. მაგრამ „მამათა“ შორისაც აკაკის ეგულება „ერთი თუ ორიოდე პირი, რომლებიც ისე გამობრწყინავენ მათ შორის, როგორც ღრუბლიან ღამეში

---

* აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, 1960 წ., გვ. 153—154. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 172, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 174—175, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ცაზედ ალაგ-ალაგ გამოსჭვრეტენ ვარსკვლავები“... მათ ბევრის გაკეთება არ შეუძლიათ. რაკი ასე მცირენი არიან, თუმცა ცხოვრებით, მოქმედებით, სამშობლოსა და ხალხის ბედისათვის იღწვიან უანგაროდ, პატიოსნად, კეთილი სურვილით.

აკაკი წერეთელი ძველი თაობიდან ყველაზე მკაცრად მოექცა გრიგოლ ორბელიანს, რომელსაც ენას არ უწუნებდა, მაგრამ სხვა მხრივ პირდაპირ მიწასთან გაასწორა. 1872 წლის 7 თებერვალს** აკაკიმ გრიგოლ ორბელიანის ლექსის პასუხად დაწერა „ხარაბუზა ღენერალს“. ლექსში ისეთივე სიმკაცრე და მოურიდებელი გამოთქმებია, როგორიც ილია ჭავჭავაძის „გამოცანებთან“ დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანის „პასუხის“ პირველ ვარიანტში. აკაკის მიერ მოხუცი პოეტისადმი წაყენებული ბრალდებები ასეთია: ხარაბუზა გენერალი (გრიგოლ ორბელიანი) „სიტყვით სწორია“ (ე. ი. ენა კარგი აქვს, კარგი პოეტია, სიტყვით ქვეყანას აშენებს). მაგრამ „საქმით კუზაა“,*** უსწორმასწოროა, როგორც კუზიანის სხეული. ამ ნაკლის გამო აკაკი დასცინის გრიგოლ ორბელიანის განთქმულ პოეტურ მუზას, რომელსაც დაკარგულად თვლის, გაფრენილად, გაკიცხულად, ძაძა-ჩაცმულად, და ლექსის ბოლოს ურჩევს ადრესატს: „დაიბრუნე შენი მუზაო“. თუ რა მკაცრია აკაკის ლექსი, შეგვიძლია პირველივე ტაეპებიდან დავინახოთ. ავტორი ასე მიმართავს გრიგოლ ორბელიანს:

„იარანალ-ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაგიკარგავს შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!
სამხსხარო მოედანზე
გამოსულხარ, დგეხარ განზე,
სჭდები კანზე, მღერ საგანზე —
შენგან უცნობ „ანა-განზე“.
რომ არ არის ეგ შენი გზა?!
ვაი, ჩვენო ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
გაგფრენია შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!“****

მთელი ლექსი ამ ფორმით, ამ სტილითა და განწყობილებით არის დაწერილი. აკაკი პირდაპირ მიმართავს მოხუც პოეტს და ეუბნება, რომ ნუ გიკვირს. თუ ლოპიანა***** შეამკე,****** მართალია, „ენა-წმინდა“ ხარ, მაგრამ სატანის გული გაქვს და ორპირი ხარო. ჩვენთან (ე. ი. ახალ თაობასთან) შაქარივით ტკბილი იყავი, შენ — „ტკბილ ლექსების ფეიქარო“, მაგრამ დღეს „აქაცა ხარ, იქაცა

---

* აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული, ტ. XI, 1960 წ., გვ. 165—165. სახი ჩვენია. — გ. ჯ.

** აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., შენიშვნები. გვ. 459.

*** სიტყვა განმარტავს, რომ კუზა იგივეა, რაც ზუკა, ხოლო ზუკა ნიშნავს: „ბეკამოსული მაღლა“, ე. ი. კუზიანი.

**** აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 224

***** მოკრივე, მეთვეზე, ყარაჩოხელი.

****** აკაკი აქ გულისხმობს გრიგოლ ორბელიანის ბრწყინვალე მუხამბაზს: „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ! თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!“

ხარ", „დამშვნარ ბზასავით" ირხევი, სპარსულ პოლიტიკას მისდევ, ჩვენ რომ ვაქაცობისა და ყარსის აღებისაკენ მოგვიწოდებ, „ვაქაცობა არც შენ გიყვარს". ვერც შენ აიღებ ყარსს, სიტყვით სამსონს ჰგევხარ, საქმით კი საპყარი ხარო.

შემდეგ აკაკი იცავს ახალი თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც გრიგოლ ორბელიანი ილიასადმი თავის „პასუხში" დასცინოდა, კერძოდ, რიონელს — ნიკო ნიკოლაძეს, გოგიტელას — გიორგი წერეთელს, „ბურთიტით ბრგეალ ლიბერალს" — ილია ჭავჭავაძეს. ეს უკანასკნელი მომენტი მეტად საყურადღებოა, ვინაიდან აკაკი იძლევა ილია ჭავჭავაძის ასეთ პოზიტიურ დახასიათებას:

„იმ ლიბერალს, ბურთიტით მრგვალს,
რად უპარჭავ მრისხანედ თვალს?
ის იხდის ვალს დათქვენსა კვალს
არ აღირსებს თავის ნავალს,—
თქვენსაითი ვერ წაიკუზა,
იარანალ-ხარაბუზა..."*

ლექსის ბოლო სტრიქონები მთლიანად ეხება გრიგოლ ორბელიანისა და თვით აკაკი წერეთლის — „აკაკიები-ბაკაკიები", როგორც „პასუხი შვილთას" ავტორი უწოდებდა, ურთიერთობას. „ხარაბუზა ღენერალის" ამ ბოლო სტრიქონებში ვკითხულობთ:

„ნოეღოროდის ლიბერალო,
ლოპიანას მომღერალო,
საათნავას ეშხით მთვრალო,
აწ კი უნდა შეგიბრალო,
არ გაგხადო რომ ანდაზა!
საცოდავო ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაგიკარგავს შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!
რადგან ერთ დროს იყავ კაცი
გულმტკიცი და გულმამაცი,
აკაკია არას გკადრებს,
ბაკაკიამ გითხრას: „აცი!"
რომ მოსძებნო ისევ მუზა,
იარანალ-ხარაბუზა,
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,
დაიბრუნე შენი მუზა!
ბზზუ, ბზზუ, ბუზა-ბუზა!"**

ამ მკაცრი სატირიკული ლექსით, რომელშიაც გრიგოლ ორბელიანი ასე დაშცირებული, ყბადაღებული დ გაკიცხულია, აკაკი წერეთელი არ დაკმაყოფილებულა. იმავე 1872 წელს მან დაწერა „ფარშავანგი". რომელშიაც კვლავ სატირის მათრახი გადაჰკრა „ლოპიანას მომღერალს". ლექ-

---

* აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 226, ხახ. ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 227.

სში ადრინდელი (70-იან წლებამდე) გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი გამოყვანილია. როგორც მრავალფერად აყვავებულ მშვენიერ უცხო წალკოტში, სადაც საამურად იმღერის იადონი, მცხოვრებ ფარშავანგად. ამ „მოსაწონ, დახატულ“ ფრინველს კვერცხის დება წესად არ ჰქონდა, მაგრამ კარგი გულის პატრონი იყო და „საარაკო ფრინველს ჰგავდა“:

„...მას ვუმღერდით, მას ვაქებდით,
მაზედ ცუდს ვინ გაბედავდა,
ბატის ფრთებზედ ავაგებდით!..“*

ასეთი სიყვარული იმითაც იყო გამოწვეული, რომ, დროის მიუხედავად, ფარშავანგი უცვლელი დარჩა, არაფერი შეუცვლია, სიტკბო მისი არ განელებულა; მას ჰქონდა მიპყრობილი „ახალგაზრდათ წმინდა თვალი“. მაგრამ...

„ერთს დღეს მოგვკლა ყიყლიყო,
აღარ გვეძლა ტკბილი პანგი...
მხველთ, ვნახეთ, აღარ იყო
ბაღში ჩვენი ფარ-შავ-ანგი!...
ნაცვლად მისსა დათვი დაგვხვდა,
მას თან ჰყავდა ორი ბელი!..
მაშინ მივხვდით: საქმე წახდა!
შემოვირტყით თავში ხელი!..
მას აქეთ, შეწუხებული,
ფარ-შავ-ანგს ვეძებთ მწუხარე,
მას ვიგლოვთ გულდაწყვეტილი
და ცრემლები გვდის მდუღარე!
გვასწავლეთ, სით გაფრინდა
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი,
და მოგვაშორეთ, არ გვინდა
ეს დათვი ორ-ბელიანი!“**

ყველაფერი ის, რაც ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ მ ა ასე სარკაზმით სთქვა გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ზ ე, ნათლად გვიდასტურებს, რომ ახალი თაობიდან არავინ მოქცევია მოხუც პოეტს ამგვარი დაუზოგველობით. მაგრამ, როცა „ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო ს“ ავტორი 1883 წელს გარდაიცვალა, ყველაზე უკეთესად, ყველაზე გულისტკივილით იგი დაიტირა სწორედ იმ თაობამ, რომლის წარმომადგენლებსაც გრიგოლ ორბელიანმა 70-იან წლებში განუსჯელი, უმადლო, ცუდ დროს შობილი შვილები უწოდა. მაგრამ ამ „უღირსმა შვილებმა“ ნამდვილად ღირსეული პირისუფლობა გაუწიეს განსვენებულ „მამას“ და მათ შორის ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი იყო. გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვაში, მართალია, აკაკი წერეთელმა ბევრი რამ გადაკვრითა და ზოგადი ფრაზებით აღნიშნა, მაგრამ არც ის დაუფარავს, რომ განსვენებულის სახით საქართველოს ჰყავდა „გ ა მ ო ჩ ე ნ ი ლ ი მ ა მ უ ლ ი ს შ ვ ი ლ ი“. „ტ კ ბ ი ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ“ დაჯილდოებული პოეტი, რომელიც „ი უ ო კ ა ვ-

* ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 231.
** იქვე, გვ. 231 — 232.

შირი ძველისა და ახალის თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი".* აკაკიმ ისიც მიუთითა, რომ გრიგოლ ორბელიანი იყო მოყვარული და „თანამგრძნობი იმ-თანა კაცების, რომელთაც დღეს ახალთაობის კაცებად ვუწოდებთ და ამგვარ მოწაღმართე პირებს ეძებდა, როგორც ახლებში, ისე ძველებშიაც".**

გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ახალი თაობის აზრები და ფიქრები ბრწყინვალედ გამოხატა ილია ჭავჭავაძემ. მან ღრმა გულისტკივილით დაიტირა „სასიქადულო კაცი, სახელოვანი შვილი, სიტყვა-მაღალი მოძღვარი". 1883 წლის 25 მარტს მთელს საქართველოში გაისმა დიდი ილიას მიერ გრძნობით აღსავსე სიტყვები გრიგოლ ორბელიანისადმი: „არა მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქეობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვადასხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო „მეუფე" ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი და მთქმელი, მაღალის ნიჭით ცხებული, იგი იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისმსმენელნი".*** ილიამ გრიგოლ ორბელიანს უწოდა „სახელოვანი ქართველი", „დიდებული მწერალი", „მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შეჭმოფენილი".

ამ დროს, 80-იან წლებში, ძველი და ახალი თაობის ბრძოლა, რომელიც ჩვენ ზემოთ დაეახლოებით, უკვე დამცხრალი იყო, ხოლო ილია ჭავჭავაძის სატრიკულ კალამს 90-იან წლებში ახალი საზრუნავი გაუჩნდა.

XI

ეს იყო არა თაობათა ჭიდილი, არამედ, თანამემამულე ლიტერატორთა გაკენწლვა და თვითკრიტიკა სატირიკულ-იუმორისტულ ფორმაში. 1894 წელს (დეკემბერი) დაწერილი თორმეტი თავისაგან შემდგარი „ორხმიანი საახალწლო ოპერეტი" ამ მხრივ ტიპიური ნაწარმოებია. იგი დაიბეჭდა „ივერიის" საახალწლო ნომრებში (№№ 1-5) და მოკლებულია იმ გამძაფრებულ ტონს, რომელიც „გამოცანებსა" თუ „კიდევ გამოცანებს" ან „პასუხის პასუხს" ჰქონდა. ძველი ბრძოლის ნაღარა აქ აღარ ისმის, სამაგიეროდ, სატირა-იუმორის მახვილი მაინც ბასრია. მწერალთა პიროვნულ ნაკლს, რომელსაც ილია აშკარავებს, საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში გამოაფენს, ხოლო გუნდს (ხოროს) იყენებს დასტურის მიმცემ გონივრულ საწყისად. მაგალითად, ახალი თაობის უხუცესი წევრი — გიორგი წერეთელი (1842—1900), 90-იან წლებში „კვალის" ფუძემდებელი და ე. წ. „მესამე დასის" მოჭირნახულე, ილიას სატირიკული სიტყვების შემდეგ:

---

* აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, 1960 წ., გვ. 225—226, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 226. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1957 წ., გვ. 538, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

„მე ვარ და ჩემი ნაბატი,
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა“.*

არანაკლებ დამცირებულია გუნდის (ხოროს) შემდეგი მიმღერებით:

„ბებერსა, სჯაძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო“.

ბალხური ლექსის — „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ ოსტატური გამოყენებით, ილია გვიხატავს გიორგი წერეთელს, როგორც პროზელიტს, ხოლო ანალოგიური ფოლკლორული რეალიებით ამკობს „ორხმიანი საახალწლო ოპერეტის“ დანარჩენ პერსონაჟებსაც. საკმარისია გავიხსენოთ ჟურნალისტი და კრიტიკოსი ზოილი (დავით კეზელი), რომელსაც შემდეგი სტრიქონები ეძღვნება:

„ვისაც ეებრძვი, არ მებრძვიან,
მაშ მე ვარ გამარჯვებული“.

ავტორის ამ სიტყვებს გუნდი (ხოროს) ასეთი პასუხით აგვირგვინებს:

„ქორი ბუზს არა იკადრებს,
არცა სდევს საშვლად ნდომითა,
სონღული** მუშლის*** შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა“.****

ყველაზე მკაცრად ავტორი ეპყრობა „მესამე დასის“ ორგანოს „კვალს“ და გიორგი წერეთელს, იხსენიებს აკაკის, რომელიც მაშინ ამ ახალ ჟურნალში თანამშრომლობდა, ხოლო მთელი კონცეფცია მეტწილად ეფუძნება გუნდის (ხოროს) უკანასკნელ მიმართვაში ახალგაზრდობისადმი. ვიდრე ლექსის ამ ნაწილს გავეცნობოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ილია აკრიტიკებს იმდროინდელ „კვალს“ შემდეგი თვალსაზრისით: ჟურნალს არ „გაუწმენდია“ ქართული ენა, როგორც იკვეხნის; ახალი ჰგონია, ნამდვილად კი ძველია ცნება მაღალის დამდაბლებისა და დამდაბლებულის ამაღლებისა; ტყუილად ჰგონია, რომ „მდიდართა ყმა „იეერია“ ამ ცნების გამო ებრძოდეს „კვალს“; ტყუილად ჰგონია აგრეთვე, რომ „ღარიბთა სარჩლითა“ და „მდიდართა გმობით“ ჟურნალს „ახალგაზრდათ თანაგრძნობა“ მოეპოვებინოს. საბოლოოდ, „კვალის“ სიტყვებს:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 108.

** სონღული — „საშუალო ზომის მტაცებელი ფრინველი შავარდნისებრთა ოჯახისა“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

*** მუშლი — „აწ რომ კოღოს უწოდენ“ (საბა).

**** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 108.

„სულგრძელება ჩემი იცით,
გზაზე ჩემი მტკიცედ დგომა,
ვერ დამაფრთხობს „იეურიის“
კუნტრუში და მაღლა ხტომა...
მე ჩვენს ახალს თაობაში
ვპოვე ღონე ღერმეთელი,
შეკარ დასი, სარდლად მივეც
გეურქ-აღა წერეთელი.
ვერ გამტეხოს „იევრიამ“,
ეროშა მცემდეს გინდ ასია...
ჩამოდექით.. მობრძანდება
ჩემი მეჯაღე დასია..“*

გუნდი (ხორო) შემდეგი პასუხით უმასპინძლდება:

„ტრელთა** ენათა ერიღეთ,
კაცი გიყვარდეთ ცნობილი,
ტრაბახთა ყოლა*** ნუ უსმენთ.
სიტყვა ნუ გინდათ გმობილი;
ერთბამად ფრინველს ნუ უწოდთ
შევარდენსა და ძერასა,
სჩხრეკაედეთ ყვავთა ჩხავილსა,
ბულბულთა ტკბილსა მღერასა;
ტყუილ ფრაზებს რაზა-რუხს,
გულის მართალსა მგერასა,
ჰკვათა-მყოფელთა მოძღვრებას,
სულელთა უგვანს ქღერასა;
თვალსა კორელებრ მჭვრეტელსა,
„კვალის“ ქვეშ-ქვეშა მზერასა...
თვალთ-ხედვას სულ არ ჭონა სჯობს
„კვალის“ თვალთ-ხედვით ცქერასა.
კაცს ნუ ენდობით, უჩხრიკეთ
ღვიძლი ჰეშმარიტს წერასა,
და ნურას შეუშინდებით
გეურქ წერეთლის ბღვერასა“.****

„კვალისა“ და „იევრიის“, ილია ჭავჭავაძისა და „მესამე დასის“ უმრავლესობის ურთიერთობის საკითხს ჩვენ სხვა ადგილას, პუბლიცისტური შემკვიდრეობის ანალიზის დროს განვიხილავთ, ახლა კი შეეუდგებით „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის“ მომდევნო თავების დახასიათებას.

მთელი მეოთხე თავი, სულ ორი კუპლეტისაგან შემდგარი, ცნობილ პედაგოგს, პოეტს, კრიტიკოსს, გრამატიკოსსა და მთარგმნელს სილოვან ხუნდაძეს (1860—1928) ეძღვნება. იგი საშუალო პოეტი იყო, თუმცა ერთი-ორი ლექსი მშვენიერი აქვს, მაგალითად, „ქუთაისს“. მშვენიერია აგრეთვე მის

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I 1937 წ., გვ. 110.
** ტრელი — პირფერი („უწესოდ ყოელთა მიფერება საშოერისათვის“ — საბა).
*** ყოლა საბას განმარტებული აქვს ჭონებასთან: „უსულო საჭონელი, ანუ სიბრძნე, სწავლა და მისთანანი ჭონებად ითქმის; ხოლო სულიერთა არა ჭონებას ეიტყვით, არამედ ყოლასა“.
**** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 110—111.

მიერ თარგმნილი რამდენიმე ადგილი ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდიდან". მართალია, დიდი ინგლისელის პოემა რუსულიდან თარგმნა, მაგრამ განწყობილებითა და ძლიერი გრძნობით ისე დაუახლოვდა ორიგინალს, ისე გააქართულა, რომ სხვების მიერ თვით ინგლისურიდან თარგმნილი არც ერთი ნაწყვეტი ისეთ შთაბეჭდილებას არ სტოვებს, როგორც სილოვან ხუნდაძის ფრაგმენტები. მაგრამ, როგორც პოეტი, იგი ხშირად ხდებოდა ხოლმე გაკენწლვის ობიექტი, განსაკუთრებით 90-900-იან წლებში, როცა ვაჟა-ფშაველა-სადმი თავისი დამოკიდებულებით რამდენივე მწერალი აიმხედრა, ხოლო ილიასთანაც სასურველი ურთიერთობა ვერ დაამყარა. პირდაპირი, გულწრფელი, სამშობლოს მხურვალე პატრიოტი, ღრმად განათლებული და მცოდნე, გამოჩენილი პედაგოგი, რომელიც მოსწავლეთა აღზრდას ფანატიკური გატაცებით ემსახურებოდა, სილოვან ხუნდაძე ამავე დროს მეტად ფიცხი ხასიათის ადამიანი იყო, და ამით, როგორც პიროვნებამ, არაერთი უსიამოვნება განიცადა. ილიას „ოპერტიც" სწორედ ყველაზე სუსტ ადგილს — აპოლონის შადლს ეხება და სილოვან ხუნდაძეს ასე ათქმევინებს:

„პოეტი ვარ და არვის სწამს,
ბრძენი ვარ და არვის სჯერა...
აფსუს, ჩემი სიბრძნე-ცოდნა,
აფსუს, ჩემი ჩანგის ჟღერა!.."*

ეს სასტიკი ირონია კიდევ უფრო გაძლიერებულია გუნდის (ხოროს) სიტყვებით:

„ტყუილად იქადს... ხომ იცით,
ანწლი ვერ მოვცემთ ყურძენსა;
ბუისგან ნუ გამოელით
ბოლოკარკაზის ბუდესა".**

ამით არ მთავრდება კრიტიკა. მეხუთე თავში, რომელიც მწერალ-კრიტიკოსს ილია ხონელს (ახტაძეს) ეხება, ისევ იხსენიება სილოვან ხუნდაძე თავისი „უმარილო ლექსთა წუობით", ხოლო გიორგი წერეთელი, არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული წერილების ავტორიც, „ისტორიული აბდაუბდით".

ილია ხონელის (1859—1900) შემდეგ მთელი თავი ეძღვნება ჟურნალ „მოამბეს", მაგრამ მასთან ერთად კვლავ გაკრიტიკებულია ხონელ-ზოილის ლიტერატურული მოღვაწეობა. ეს კრიტიკა აქ უფრო მკაცრია, ვიდრე სპეციალურ თავებში. ილია ჭავჭავაძე „მოამბეს" ასე ალაპარაკებს:

„გვიხაროდეს!.. აწ ხონელი
გახეთს „კავკაზს" გაეყარა...
თავისუფლება მიკვია
და ჩქმს ჭერს კვეშ შეეფარა.

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 111.
** იქვე.

გვიქადის თუ, — მეც კაცი გარ,
სხვებზე ნაკლებ არ ჭკვიანი,
ჩემს მერანსაც გადუქნია
გზა მწერლისა ეკლიანი.

დავიჯერეთ, თუმც აქამდე
მის ჭკვა არ გაგვეგონია...
ან რა ექნა? ვით ეჩინა,
რაც მის დღეშიც არ ჰქონია.

ან იქნება საახალწლოდ
ღმერთმა ჭკუით დააბერა,
და ასწავლა, როგორ უნდა
მართებული თქმა და წერა...

ხონელიდამ ზოილამდე
რაღა დიდი მანძილია,
და ეუიქრობ, ერთად შეეყაროთ
ეს ერთმანეთის ჩრდილია.

იქნება ქართველთ მწერლობა
ღმერთმა მათით ააზეოს,
წყვდიადი და ბნელი ჩვენი
ვაანათოს, დაამზეოს.“*

მაგრამ „მოამბის“ ამ იმედს გუნდი (ხორო) საკუთით უარყოფითად უცქერის, მას არც ხონელის ნათეს-ნაფარცხი სურს და არც ზოილის მიერ გამომცხვარი პური უნდა.

ილია ჭავჭავაძის „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტს“ არც აკაკი წერეთელი დუეტებია უყურადღებოდ. დიდი პოეტი მისივე ლექსის ვარიაციით არის ამეტყველებული და გვანიშნებს აკაკის სულიერ განწყობილებას, კერძოდ, ანტონ ფურცელაძესთან (1839—1913) მის ურთიერთობას. ჯერ კიდევ ადრე, 1879 წელს აკაკიმ დაწერა ლექსი — „უ-ს“,** რომლითაც ანტონ ფურცელაძემ შეურაცხყოფა იგრძნო (ანტონი კოკელი იყო, ხოლო აკაკის ლექსში ალეგორიულად გამოყვანილი ჰყავდა ვირი, რომელიც „ფეხებ არევით, თავქინდრული მოდის თაყდალმა“, ჰგონია, მარტო ის არის მშრომელი, არ ესმის, რომ იგივე ტვირთს, თუ ბედაური აიკიდებს, არც კი იგრძნობს, ხოლო „ვირის სავლელ გზას გაივლის თორმეტჯერ ჩქარა“).*** აკაკის ამ ლექსის საპასუხოდ, ანტონ ფურცელაძემ დაწერა წერილი და მოათავსა 1879 წლის „დროებაში“ (№ 207), რამაც გამოიწვია აკაკის დაუყოვნებლივი კონტრპასუხი („დროება“, № 223).**** ეს პოლემიკა შემთხვევითი არ იყო. ანტონ ფურცელაძესა და თერგდალეულებს შორის ჯერ კიდევ 60-იან წლებში გაიმართა ცხარე პოლემიკა, ხოლო შემდეგ მათ შორის ხშირად მყარდებოდა დაძაბული ურთიერთობა. ანტონ ფურცელაძეს კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთანაც. „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“ იგი იხსენიება „კოკელ ანტონად“. ხოლო აკაკი ასე ჰგოდებს:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 112—113.

** დაიბეჭდა იმავე წლის „ივერიაში“, № 7.

*** აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1950 წ., გვ. 387; იქვე, შენიშვნები, გვ. 489.

**** წერილი შესულია აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის XI ტომში, გვ. 463—470. იხ. იქვე, შენიშვნები, გვ. 553.

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემევნა ჭაღარა...
ტყუილს ეონ სჩივის? მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა.
ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჭღარა...
რაცა ხარ, იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნაღარა.
მოვიმკვდარუნე მე თავი,
ეთქვი: ან ატყვიან რასაო?
ვნახოთ, — რა ძაძას ჩაიცმენ,
როცა რომ მნახვენ მკვდარსაო?
ან ვით შაქებ-მადიდებენ
მე ჭარხელთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოკლს ანტონასაო?
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემევნა ჭაღარა...
ჩემი მკვე ეთქვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვას არარა.
ვინც რომ გავაწრე ბასრ ენით,
აწ აღარ მინდობს, აღარა...
ახლა ბევრს ვნანობ, — ეს რად ექმენ
რაღა თქმა უნდა, რაღა-რა?“*

ეს ლიტერატურული პაროდიები, როგორც ვხედავთ, მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული მოვლენების ანარეკლია, რასაც პიროვნული ნაკლებად ერთვის, რაკი ეს პიროვნული საზოგადოებრივშია გადასული. „ოპერეტის“ მომდევნო თავები ამ გარემოებას კიდევ უფრო აშკარად გვაგრძნობინებენ.

ლექსის მერვე ნაწილის პერსონაჟი ცნობილი მიხეილ მაჩაბელია, რომელიც ბანკის გარშემო ატეხილი კამათის დროს ფანატიკურად იდგა ივანე მაჩაბლის პოზიციაზე და თავგამოდებით ებრძოდა ილია ჭავჭავაძეს. დიდი პოეტის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ ექცეოდა მიხეილ მაჩაბელი ილია ჭავჭავაძეს და როგორ ეკამათებოდა საქართველოს უგვირგვინო მეფეს. ეტყობა, იგი არ იყო ცუდი ორატორი, მაგრამ გრძელი სიტყვა, ზოგჯერ დემაგოგიაში გადასული, ახირებული ჯიუტობა და მიკერძოება საგრძნობლად ანელებდა მის გამოსვლებს, ხოლო „ჭავჭავაძისტებს“ საშუალებას აძლევდა არც ისე ოშვიათად გაეწიოთლებინათ „მაჩაბლისტების“ შეუპოვარი რაინდი. „ორხმიან საახალწლო ოპერეტში“ მიხეილ მაჩაბელს ილიამ ასეთი ტექსტი მისცა:

„ორატორი მას არ ჰქვიან,
ვინც სადმე სთქვას ერთი, ორი,
გრძელი სიტყვა შოკლედ მოსჭრას
და გაჰბრდეს ეთა ჯორი...

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ტ. I, 1937 წ., გვ. 113—114.

უპრაგონო ლაპარაკი,
გულში ცემა, ხელთა ქნევა,
არ-დაღალვა, არ-დაქანცვა,
ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა...
აჩუმებდნენ, არ დაჩუმდეს,
არ დაუწყოს სიტყვამ ღვედა...
ნუ გეშინოდეს.. სტუდის, ვინც სთქვა —
მუნჯისაგან უბედის ძღვება.
მეც ეგრე ვარ, როგორც მხედავთ,
ორატორთა კარგთა სწორი:
ეფქვავ, რაც ენას მომადგება,
თუნდ მართალი, თუნდა ჭორი...
არას ვნაღვლობ, თუ რამე ვთქვი
უმსგავსო და შორი-შორი,
არა ვეუყდები, თუმცა ხშირად
ბურტყულს მადენენ, ეით გნოლს ჭორი".*

მიხეილ მაჩაბელთან ილიას კამათის რამდენიმე ეპიზოდი ჩვენ ბიოგრაფიულ ნაწილში მოვიტანეთ და აქ აღარ გავიმეორებთ. საინტერესოა ის გარემოება, რომ „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში" მიხეილ მაჩაბლის შემდეგ თვით ილია ჭავჭავაძეა წარმოდგენილი ავტოკრიტიკული პორტრეტით. ლექსის ხასიათი აკაკისებურია, თითქოს ავტორს სურდეს ორიენ ბუმბერაზი — აკაკი და ილია ერთ რანგში იყვნენ განსახიერებულნი. ილია ჭავჭავაძე ასე ალაპარაკებს თავის ორეულს — ილია ჭავჭავაძეს:

„დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭაღარა...
ზოილი აბუჩად მიგდებს,
ხონელი მწყალობს აღარა.
ჩემს ზარმაცობას,** არ-ცოდნას
რაღა თქმა უნდა, რაღა-რა...
ამისთვის მარტო ვანოსი***
კმარა ბუკი და ნაღარა.
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
თავზედ მექცევა ბჭენიო...
ვაიმე, ბედკრულს შემომწყრენ
მე ძმანი ყიფშიძენიო..****
ეს არ მაკმარა მე ბედმა,
სხვებრ შემომესია ფრთენიო:
აიღო და გადამკიდა
მიშო,***** კაცი რამ ბრძენიო.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 114—115.

** ილიას, როგორც მისი ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ვნახეთ, ხშირად უსაფუძვლოდ სწამებდნენ ზარმაცობას მწერლობაში, ხოლო „მაჩაბლისტები" — ბანკში მუშაობის დროსაც.

*** ვანო — ივანე მაჩაბელი, რომელიც მაშინ ილია ჭავჭავაძეს სასტიკად ებრძოდა ბანკის საქმეების გამო.

**** ძმანი ყიფშიძენი — გიგა (1859—1921) და ალექსანდრე (1862—1916), ფსევდონიმით ფრონელი, ილიას დაახლოებული პირები და თანამშრომლები.

***** მიშო — მიხეილ მაჩაბელი, რომელსაც „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის" მე-8 თავი მიეძღვნა.

დაებერდი, დაეჩაჩანაკდი,
აღარ ეარ ჩენსა ნებასა,
ისევ სჯობს სიდმე წაეიდე,
ბანკში ურგებად გდებასა.
ისევ სჯობს ასე მოვიქცე
აეყვე მე მიშოს მცნებასა,
ეით იგი აჰყვა თიანეთს
ბურუსში ძაღლის ყეფასა.
დაებერდი, დაეჩაჩანაკდი,
წეერი შემეჭნა ჭაღარა...
ერთი მაღონებს, ერთი მკლავს,
მარტო ერთს ვჩიეი, სხვას არა,
რომ ვანოს მოძულებული
მიშოს უნდიეარ აღარას..
მე ამა ჭირმა გამტეხა,
გული დამერა, დაჰკარა«.*

ილიას ამ ავტოკრიტიკულ სიტყვებს, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, გუნდი (ხორო) გამამხნევებელ პასუხს აძლევს, რომ გონიერი კაცი ჭირშიაც გაუტეხელი დარჩება, წავა, სხვაგანაც იყარგებს, ქვეყანა ღონიერია. ეს წასვლა უთუოდ ბანკიდან წასვლას ნიშნავს, რასაც „მაჩაბლისტების“ ერთი ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა.

„ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის“ მეათე თავი ეძღვნება იმ დროს ილიას უმთავრეს მოწინააღმდეგეს ივანე მაჩაბელს (1854—1898), შექსპირის ქართულ ენაზე გენიალურ მთარგმნელსა და გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს. ერუდიტი და დაუღალავი მუშაკი, უანგარო, თან ფიცხი ივანე მაჩაბელი უმწიკვლო ადამიანის განსახიერება იყო. მაგრამ იმ დროს ატეხილმა კორიანტელმა ბანკის გამო, რაზედაც არაერთმა უღირსმა ხელი მოითბო, ხოლო სავალალოდ ერთმანეთს წაჰკიდა ეს ორი დიდი მოამაგე ქართველი ხალხისა — ივანე მაჩაბელი და ილია ჭავჭავაძე, უარყოფითი გავლენა იქონია საერთო საქმეზე. ატეხილი დავა იმდენად გამძაფრდა, რომ პირად შეურაცხყოფასა და ხელჩართულ ბრძოლაშიც გადავიდა. ეს იყო მიზეზი, რომ დღეს გულისტკივილით გვიხდება წავიკითხოთ დამამცირებელი სიტყვები, რომლებსაც ილია ჭავჭავაძე თავის მოწინააღმდეგე ივანე მაჩაბელს ათქმევინებს:

„მე სიკოჩრიდან თვალთ მიჩანს,
ჩვეულება მაქვს ბრმისაო;
დავიარები ამ ქვეყნად
ხელით მძებნელი ჭკვისაო.
რაც ხელთ მხვდება, ჭკუა მგონია,
აღარ ვუჩხრეკავ პირსაო...
მათამამებენ, ვთამამობ,
დარდი არა მაქვს სხვისაო.
ერთი რაში მწირს მხოლოდ მე:
მეტიჩარა მაქვს ენანი,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 115—116.

ჯერ ვიტყვი ხოლმე, შერე კი
ჩემს ნათქვამს შევე ეინანი.
რა ვუყო? რა ეკნა? შეც ვნივი,
ენა არ შეკითხებაო;
თუნდ მკითხოს, — ჩვენში კი დარჩეს, —
ბეერს არას გამომრჩებაო.
მაგრამ მაინც იმედია,
თუ-ხელ გასდონ წკირი, ჩხირი,
მეც ფასი მაჭას, ვიდრე კიდევ
ხილად გადიჭ პანტის ჩირი".*

ამ სიტყვებს კიდევ უფრო ამძაფრებს გუნდი (ხორო), რომელიც ივანე მაჩაბლის პირად თვისებებს ეხება და კარიკატურულ სურათს ხატავს („იბრძვის, ჰშფოთავს, ჰთრთის და ჰღელავს", თვითონაც არ იცის „ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავსო").

„ორ-სმიანი საახალწლო ოპერეტის" უკანასკნელი თავები ეძღვნება გამოჩენილ მოღვაწეს ნიკო ცხვედაძეს (1845—1911) და ქართული პედაგოგიკის უდიდეს წარმომადგენელს იაკობ გოგებაშვილს (1840—1912). ილია თავის „ოპერეტში" ორივეს სწავლა-აღზრდის მნიშვნელობაზე ალაპარაკებს, ფაქიზი იუმორით, რომელშიაც დიდაქტიკური აზრებია ჩართული, მოსავს მათ ღვაწლს და არავითარი გაკილვა აქ არ არის. ნიკო ცხვედაძე მოუწოდებს მშობლებს შვილების სწავლისაკენ, მიეცით ისინი აღსაზრდელად კარგ ოსტატებსო, ხოლო თუ მაინც „ვერ იქმნა შვილი წვრთნილი", მაშინ „ცემა გმართებთ გამზრდელისაო" (იდეა, რომელიც სრულყოფილი სახით აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელში" განსახიერდა). სრულიად ბუნებრივი ჩანს ილიას ხერხიც — ორივე პედაგოგი რუსთველური აფორიზმებით ალაპარაკოს, განსაკუთრებით იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ლეკსში ასე ამბობს: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, რაცა მიქია: დედა-ენა მიჩნს სახელად, არ თავი გამიქიქია". შემდეგ გოგებაშვილის ტექსტი სულ რუსთველური ჰანგებით მიდის: „დედა-ენა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, ტკბილი ტკბილად გასაგონი, ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი".

გუნდის (ხოროს) მიმღერებაც ამავე ფორმით არის დაწერილი და ამქლავნებს ერთ საინტერესო მომენტს: ილიას დამოკიდებულებას გიორგი წერეთლის ენის გრიგოლ ორბელიანისეული კრიტიკისადმი. გუნდი (ხორო) იაკობ გოგებაშვილის პასუხად ამბობს:

„მოგახსენებთ, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ძლირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,
როს ჩვენ ჯირი შინვე გეუჭირდეს?
როს გიორგი წერეთელი
დედა-ენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს,
და მაინც კი კადნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 116—117.

არ მიიღოს მან შენგან წერთნა,
არ გისმინოს, ნუ გაკვირდეს:
გონიერსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს".*

ამაზე მეტი ბრალდება არც გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს წაუყენებია გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ლ ი ს ა თ ვ ი ს. სრულიად აშკარაა, რომ ილია ჭავჭავაძე თუ მთლიანად არა, ძ ი რ ი თ ა დ ა დ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ო დ ა გიორგი წერეთლის ენის გრიგოლ ორბელიანისეულ კრიტიკას.

90-იან წლებშიეა დაწერილი (შესაძლოა „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის" პარალელურად, ადრე ან გვიან) ილია ჭავჭავაძის უსათაურო (სამი ვარსკვლავით აღნიშნული) სამნაწილიანი პაროდია დავით კეზელისა და სხვათა შესახებ. ამ ლექსის — „რად გვინდა ვინ ხარ" პირველი ნაწილის ადრესატი ჩვენთვის ცნობილია — ეს არის კრიტიკოსი და ჟურნალისტი დ ა ვ ი თ კ ე ზ ე ლ ი, რომელიც „ოპერეტის" ერთ-ერთი მთავარი „გმირი" იყო. მეორე ნაწილის ადრესატს, როგორც პაულე ინგოროყვა ფიქრობს, „შესაძლოა გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი" წარმოადგენდეს. „ხოლო ვის ეხება მე-3 გამოცანა, ეს გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა ო".** მაგრამ თუ ტექსტს ღრმად დავაკვირდებით, გავითვალისწინებთ თვით ი ლ ი ა ს ი მ დ რ ო ი ნ დ ე ლ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ს თ ა ვ ი ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ე ბ თ ა ნ და „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში" მოცემულ დახასიათებებს, შეგვიძლია წამოვაყენოთ ჰიპოთეზა, რომ სიტყვები:

„კალამი რომ უშოვნია —
მით ჰლამობს განკლოს ფონია,
მაგრამ უნარი წერისა
არცა აქვს, არცა ჰქონია;
თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგან არ გაგვიგონია;
ყვავი რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია".***

ეხება სილოვან ხუნდაძეს ან ანტონ ფურცელაძეს. იმ დროს ილიას კარგი დამოკიდებულება არ ჰქონდა არც სილოვან ხუნდაძესთან (გაიხსენეთ „ოპერეტში" მისი დახასიათება) და არც ანტონ ფურცელაძესთან. ილია ერთობ დაბალი შეხედულებისა იყო ორივე მწერლის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და შესაძლოა თავის პ ა რ ო დ ი ა ში ე რ თ ე რ თ მ ა თ გ ა ნ ს, ან ო რ ი ვ ე ს ე რ თ ა დ გ უ ლ ი ს ხ მ ო ბ დ ე ს.

ამით ვამთავრებთ ილია ჭავჭავაძის პ ო ე ზ ი ი ს ერთი მთავარი ნაწილის— მისი ლ ე ქ ს ე ბ ი ს დახასიათებას და გადავდივართ პოემების ანალიზზე.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 119.

** ი ქ ვ ე, გვ. 800. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** ი ქ ვ ე, გვ. 121.

მაგრამ, ვიდრე პოემებს გავუხილავდეთ, მკითხველისათვის ზედმეტი არ იქნება იცოდეს, რომ ის მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი, რომლებიც ჩვენ უკვე დავახასიათეთ, ზოგჯერ ქცეულა კრიტიკული განქიქების საგნად. იყვნენ კრიტიკოსები, აუგად რომ იხსენიებდნენ პოეტის სახელს. ქებასთან ერთად, კეთდებოდა ისეთი შენიშვნები, რომლებსაც შეეძლოთ, თუ ვინმე დაიჯერებდა, სახელი გაეტეხათ ილიას ლექსებისათვის. მაგრამ სწორედ მკითხველი მასა უდიდესი შოწონებით ხვდებოდა ამ პოეტურ შედევრებს და ზეპირად სწავლობდა.

ასეთი ცალმხრივი კრიტიკის მაგალითია სილოვან ხუნდაძის წერილი — „თ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი“,* რომელიც მიეძღვნა პოეტის თხზულებათა I ტომის 1892 წლის გამოცემას. ზოგიერთი ენობრივი ხასიათის შენიშვნა სილოვან ხუნდაძისა, უეჭველად სწორია გრამატიკის თვალსაზრისით, მაგრამ ბევრი მათგანი სრულიად მიუღებელია პ ო ე ტ უ რ ი ა ს პ ე ქ ტ ი ს ა თ ვ ი ს.

ავიღოთ პ ო ე ტ ი კ ა-ლ ი ც ე ნ ზ ი ი ს საკითხი.

ილიას ხშირად უსაყვედურებდნენ, მათ შორის სილოვან ხუნდაძე, რომ პ ო ე ტ ი კ ა-ლ ი ც ე ნ ზ ი ა ს ჰარბად ხმარობსო. მეცხრამეტე საუკუნის მწერალთაგან მართლაც არავის ისე ხშირად არ გამოუყენებია პოეტიკა-ლიცენცია, როგორც ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს. ძნელია, მგონი გამონაკლისის სახით შეიძლება ნახოთ მისი რომელიმე პოეტური ნაწარმოები, სადაც ლიცენციას თავისი ადგილი არ ეპოვოს. მაგრამ მას უფრო იშვიათად თუ შეუწუხებია მკითხველი, გარდა მიკერძოებული კრიტიკოსისა, სამაგიეროდ, უმრავლეს შემთხვევაში, შეუმჩნეველი დარჩენილა და ესთეტიკური სიამოვნება უგრძნობინებია.

ჩვენთვის ახლა ძნელი წარმოსადგენია ილიას ლექსებში სხვანაირად ითქვას: „რომ მ ყ ო ბ ა დ ი მარტო შენია“, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მ ყ ო ბ ა დ ი“, „მათ, ვისც ტაძარნი ნ ა ნ გ რ ე ვ ა რ ი ა ნ“, „არ ძალმიძს, ძმანო, ვერსით გაძლება“, „რომელ წყაროში დიდ ი ს რ ა ი ლ ი დაიბანს თვის ფეხთ ა ღ ს ი ს ხ ლ ე ბ უ ლ თ ა“, „არამედ მ წ უ ხ რ ს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული“, „კვლავ ჩ ე მ ქვეყნის ძილს ეალერსება“, „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შ ე ნ გიჟმა რა იცოდა“, „აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი, ცისა და ქვეყნის შ უ ა დ ა კ ი დ უ ლ, ი გ ი ვ ზვიადი, ი გ ი ვ მძვინვარი, ი გ ი ვ დ ი დ ე ბ უ ლ და დ ა დ უ მ ე ბ უ ლ“... ყველა ეს ხაზგასმული სიტყვა ლ ი ც ე ნ ც ი ა ა, მაგრამ ისე ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ ჩამჯდარია ლექსში, ისე ამაღლებს გრძნობას, რომ უმართებულო იქნებოდა ავტორისათვის საყვედური გვეთქვა. ვერ უარვყოფთ, ილიას პოეტიკა-ლიცენცია ზოგჯერ ამძიმებს ლექსს, მაგრამ აზრობრივად აძლიერებს, და პოეტი არასოდეს ფორმის სილამაზისათვის ამას არ აკეთებს. ეს მისი დიდი პლიუსია და მინუსად არ უნდა მივიჩნიოთ.

* დაიბეჭდა „კვალში“, 1894 წ., № 20—29—30. იხ. კრებული — „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1957 წ., გვ. 499—521.

ილია ჭავჭავაძის ლექსები უდიდესი შენაძენია მთელი ქართული პოეზიისა და ისე ორგანულადაა შესული ჩვენი მხატვრული აზროვნების ისტორიაში, რომ საგანგებო დამსახურებულად უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი.

ახლა გავეცნოთ პოემებს — „აჩრდილი“, „ქართველის დედა“, „რა-ვენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“. ილია ჭავჭავაძის ეს მშვენიერი პოემები, ისევე როგორც მისი ლექსები, დიდიხანია დამკვიდრდნენ ქართული პოეზიის ოქროს ფონდში.

3. ილია ჭავჭავაძის პოემები

პოემა შემოქმედების უძველესი ჟანრია, რომელიც დამწერლობის აღმოცენებამდე გაჩნდა. როგორც ფოლკლორი წინ უსწრებს ლიტერატურას, ისე ხალხური პოემა მწერლობაში გაბატონებული ამ ჟანრის შორეული წინამორბედია. გრძელი ხალხური სიმღერები და თქმულებები, ლექსად მოღწეული ლეგენდები, საგმირო თავგადასავლები — ფოლკლორული პოემებია, რომლებიც ამბავს, სიუჟეტს შეიცავენ და ამით ჩვეულებრივად განსხვავდებიან თუნდაც იმავე ხალხური ლექსებისაგან. პოემის უძველესი, თან პირველი ლიტერატურული სახე, კლასიკურის სახელწოდება რომ მიიღო, ანტიკურ საბერძნეთში ჩაისახა. მისი ყველაზე დიდი წარმომადგენელია ლეგენდარული ჰომეროსი, ელადელების ეს მართლაც ტოლუპოვარი გენია, სილამაზე, მშვენება და სიამაყე. ჰომეროსის უკვდავ ქმნილებებში პოემამ მიიღო ის სავსებით დახვეწილი ფორმა, რომელმაც შემდგომი საუკუნეების მანძილზე თითქმის უცვლელად შეინარჩუნა თავისი თავი. „ილიადა“ და „ოდისეა“, კაცობრიობის პოეტური გენიის უჭკნობი გვირგვინები, უკვე სამი ათასი წელია ადამიანთა მოდგმას ანცვიფრებენ.

ეს პოემები თავისი ხასიათით ეპიკურ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნებიან, მაგრამ მათ კიდევ გააჩნიათ სხვა თვისებები: ბედისწერის კულტი, რომელიც ორივე პოემაში უმაღლეს წერტილზეა ასული, არამარტო მომხდარი ამბებისა და მოქმედი გმირების მაძოძრავებელია, წარმართი ღმერთების სახელით, არამედ, ყველაფრის განმკურნებელია, ხშირად დაფარული სახით; ფორტუნა ყოველთვის თანა სდევს გმირებსა და თავგადასავლებს; არაფერი ხდება უბედისწეროდ, ყველაფერი ღვთაებათა ნებას ემორჩილება, როგორც მითოლოგიაშია, ხოლო ეს ნება ადამიანებსა და მოვლენებს ბედისწერის სახით გამოეცხადებათ ხოლმე. ჰომეროსის პოემათა ეპიკური ხასიათი მთლიანად ამ წრეშია მოქცეული; გამონაკლისს ხშირად არც ლირიკული პასაჟები წარმოადგენენ. სიყვარული გმირებისა, მათი შეხვედრები, გაცნობა თუ სიძულვილი — უმთავრესად ამით არის შეპირობებული, და სამყაროს ჰარმონია, სამყაროს კანონზომიერებაც ბედისწერით მყარდება.

ბედისწერის ასპექტით ჰომეროსისაგან შორს არ წასულა ჰესიოდე. მისი „თეოგონია“, აგრეთვე „შრომა დადღეები“ ღვთაების მამოძრავებელ ძალებს განადიდებენ, როგორც არსებულის გონივრულ საწყისებს. თუმცა მათი სიუჟეტი სრულიად სხვაა და ამ მხრივ ჰომეროსთან საერთო არაფერი აქვთ. მაგრამ ისინიც ეპიკური პოემებია, რომლებშიაც კარგად გადმოცა

იმდროინდელი (ჩვენს ერამდე VIII საუკუნე) კონცეფცია ქვეყნის წარმოშობისა („თეოგონია"), არსებითად, ანტიკური კოსმოგონია, ხოლო, მეორეს მხრივ, მშრომელი ადამიანის ყოფა („შრომა და დღეები"). შემდეგ რომის ლიტერატურაში ჩვენს ერამდე პირველი საუკუნე გვაძლევს ვირგილიუსის „გეორგიკას", რომელშიაც რომაული სოფელი ჰესიოდეს ბერძნული სოფელივით წარმოგვიდგება, ხოლო „ენეიდა", სიუჟეტურად რომ აგრძელებს ჰომეროსს (ტროადას დაცემა და შემდგომი დროის ამბები), ყველაფერს ტროადელ ენეის თავგადასავალში ბედისწერას მიაწერს.

ქართულ ლიტერატურაში რუსთაველის გენიალური პოემაც, მიუხედავად მისი ანტიკონფესიული ხასიათისა, ცნობს ბედისწერას („არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა"), მაგრამ მისი საგმირო-რომანტიკული, სამიჯნურო-სათავგადასავლო და ეპიკურ-ლირიკული ხასიათის გვერდით ფორტუნის ძალა თითქმის გამქრალია, მხოლოდ აჩრდილის სახით არის დარჩენილი. ეს რენესანსის დასაწყისია, როცა პოემებში იჭრება ჰუმანიზმის მძლავრი ტენდენციები, როგორც რუსთაველის შემდეგ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში". პოემათა მოქმედი პირები ჩვენს წინაშე წარმოსდგებიან ანტიკური სილამაზით, და მიუხედავად ქრისტიანული სიუჟეტებისა, შუასაუკუნეების ფერმიხდილი, უსიცოცხლო სახეების ნაცვლად, გამოდიან სისხლსავსე, კუნთმაგარი, ცოცხალი ადამიანები. ჩახრუხაძის „თამარიანი" და შავთელის „აბდულ-მესია" სახოტბო პოემებია, რომლებშიაც ისტორიული პირები რენესანსული სახით წარმოგვიდგებიან.

თავი რომ დავანებოთ ევროპის ლიტერატურაში ამ პერიოდის პოემათა ანალიზს, ქართული მწერლობის მდიდარი ტრადიცია მოწმობს რუსთაველის დროს, მე-12 საუკუნეში, ჩახრუხაძის „თამარიანისა" და შავთელის „აბდულ-მესიას" თავისთავად დიდ ღირებულებას, როგორც პოემებისა, რომლებიც ასე მძლავრად შეიცავენ რენესანსულ ტენდენციებს.

ქართული პოემის ისტორია იმდენად რთული, ამავე დროს ვრცელი თემაა, რომ აქ მოკლე მიმოხილვაც შეუძლებელი იქნებოდა. მარტო აღორძინების დროინდელი პოემები დაიკავებდნენ დიდ ადგილს. მე-18 საუკუნეში კი იქმნება ისეთი პოემები, როგორიცაა გურამიშვილის „ქართლის ჭირი" და „ქაცვია მწყემსი"; პირველი ეპიკურ-ლირიკული (ისტორიულ-ავტობიოგრაფიული), ხოლო მეორე მთლიანად ბუკოლიკური ხასიათისაა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში იწერება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო", ისტორიულ-ლირიკული პოემა, რომელსაც ერთიანი სიუჟეტი არა აქვს, შემდეგ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა", ისტორიულ-ეპიკური ნაწარმოები, მწყობრი სიუჟეტითაც რომ გამოირჩევა. ორივე პოემაში, ლირიკულ განცდებთან ერთად, პირველყოვლისა, „ქვეყნის ბედია" მთავარი და სრულიად უეჭველია, რომ ორივემ შთააგონა ილია ჭავჭავაძეს დაეწერა „აჩრდილი" — ეს ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილება ქართული პოეზიისა.

ა) „აჩრდილი“

პირველად „აჩრდილი“ დაიწერა 1858—1859 წლებში და დათარიღებულია 1859 წლის 26 იანვრით. ამ პირველ ვარიანტში 32 თავია, გარდა ამისა, აქვს მიძღვნა მეგობრებისადმი (8-სტრიქონიანი) და ეპილოგი „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა დ მ ი“ (16 სტრიქონი). პირველ თავს ეპიგრაფად მიუძღვის დავითის ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები: „აღსდექ, უფალო ღმერთო ჩემო, და აღმართე ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიად!..“ საბოლოო ვარიანტში, რომელიც დათარიღებულია 1872 წლით, 32-ის ნაცვლად 27 თავია, მათ შორის არა ჩანს 22 და 23 თავები. ამგვარად, ჩვენს ხელთ არის 25-თავიანი პოემა. მას აღარ ახლავს პირველი ვარიანტიდან „ძღვენა“ მეგობრებს, აღარც ეპილოგი „ქართველთადმი“, მთელი პოემაც საფუძვლიანად არის გადამუშავებული. ნაწარმოების იდეური კონცეფციის გასაგებად პირველი ვარიანტის ორივე ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ამიტომ მათი გაცნობა ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია.

მეგობრებისადმი მიძღვნაში პოეტი თავის ნაწარმოებს „ძ ე ს“ უწოდებს, როგორც დავით გურამიშვილი „დ ა ვ ი თ ი ა ნ ს“, და ამჟღავნებს შინაგან „გულის წვას“, რამაც ეს პოემა დააწერინა. ავტორი ასე მიმართავს თავის მეგობრებს:

„მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირშრო ძე ჩემი,
ახლად შობილი ნუგეშის და იმედთ მომცემი!..
იგი მოგითხრობსთ ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ცრემლი ზედ ატყეია ღაყებზედ შეილსა.
მიიღეთ ძღვნადა თქვენ მეგობრის ღალი ტირილი,
თამამად მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი „აჩრდილი“,
ეგ მოგაგონებსთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასა“.*

ამ მიმართვაში სრულიად ნათლად არის ნათქვამი, რომ პოეტს თავისი სამშობლოს ბედი აწუხებს, თამამად ამბობს იმას, რასაც შიშით სხვები გაურბიან, და „ა ჩ რ დ ი ლ მ ა“, როგორც ახლად შობილმა ნუგეშმა და იმედის მომცემმა, მათ გულში ბინა უნდა დაიმკვიდროს. ეს აზრი კიდევ უფრო განვითარებული და მკაფიოდ გამოთქმულია პოემის ეპილოგში „ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა დ მ ი“, სადაც ვკითხულობთ:

„აჰა, გათავდა... ქართველნო, მიცნობთ
ამ ლექსში მწუხარს ღა მტირალს ქართველსა!
შორით, რუსეთით ძმა ძმას მოგითხრობთ
მას, რაც არ უწრობს ნამდვილ შვილსა ცრემლს.
ჩვენი მშობელი, ტკბილი მამული
ცხადად წინ მედგა ბედით მოკლული,
და ბნელ ღამეში — ჩვენ დამხსნელ ვარსკვლავს
ჩვენ მამულზედა ეხედავდი შემდგარს.

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 579.

გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,
მის აღსრულებას ვაეედრებადი ღმერთს.
მე შევტიროდი ჩემ ქვეყნის ბედსა
და მშიშარ კალამს ვანდობდი ცრემლსა.
თუ ჩემს ცრემლს, ეხლა ფურცლებზედ შემშრალს,
თქვენი ცრემლიცა მოემატება,
მაშინ ვფიცავ იმ ჩვენ დამხსნელ ვარსკვლავს. —
იგი, რაც გვინდა, აღგვისრულებს!"*

მაგრამ რა არის ეს „დ ა მ ხ ს ნ ე ლ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი", რომელსაც პოეტი მოკლე ეპილოგში ორჯერ იხსენიებს და ბოლო იმედებს მასზე ამყარებს? პირველივე ვარიანტი ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა და ჩვენ სრულიად შეუცდომლად შეგვიძლია დადგენილად ჩავთვალოთ, რომ პოეტისათვის უეჭველია:

ა) მშობელი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი, მრავალჭირნახული ისტორია, გმირობისა და მამაცობის აღმაფრთოვანებელი ფურცლები არ შეიძლება უკვალოდ დაიკარგოს;

ბ) მართალია, ძველი ძლიერება „წარმხდარა", „მტვრად შექმნილა ახოვანი იგი ცხოვრება", მაგრამ ძველადაც ბევრჯერ მომხდარა, რომ „თვის დენაში შეყუნებული" დიდება ისევ განახლებულა, ერის ბედი „ხან დაცემულა და გამქრალა, ხან აღდგომილა", დანთქმულა „შრომა წინაპართა", და კვლავ აღმდგარა;

გ) დადგება დრო, როცა ერის ცხოვრების ტოტები „ერთ მდინარედ შეერთდებიან", ეს საოცნებო ნეტარება გარდუვალია, ვინაიდან ერი, რომელმაც წარმოშვა დავით აღმაშენებელი, დიმიტრი თავდადებული, დიდი თამარი, რუსთაველი და მისი ქნარი, შეუძლებელია კვლავ არ აღსდგეს;

დ) მამათა სისხლი დაიხსნის შვილებს, „ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს", ხოლო ეს უკვე „დამხსნელი ვარსკვლავია", ის არის, რაც უნდა მოვიდეს, როცა „წელნი ძილის ჟამისა" წარვლენ, იმ ლეტარგიული ძილისა, რომელსაც პოეტი „ელეგიაში" გვიხატავდა, და ერისათვის „გაბრწყინდება მზე მომავლისა";

ე) „დამხსნელი ვარსკვლავი" — ერის გამოღვიძება, მისი დარაზმვა და თავისუფლებით დამშვენებული მომავალია, რასაც „აჩრდილი" შესტრფის მოხუცის სახით;

ვ) ყაზბეგის ჭარმაგ მთაზე ამაყად შემდგარი მოხუცი — ეს ერის სული, მისი ნება, მისი გონება, მისი ძლიერება და შინაგანი ვნებათა ღელვაა, რასაც ერთსახეობა მიუღია, თუმცა იპოსტასია; მოხუცი მოუწოდებს და ემსახურება მომავალს, როგორც „დამხსნელ ვარსკვლავს", რომლის მოვლინება, ლეტარგიული ძილის შემდეგ, ასე სანეტარო და ასე ტკბილი იქნება.

„აჩრდილის" პირველი ვარიანტი ამ კვინტ-ესენციას შეიცავს, მისი საბოლოო რედაქციაც ასეთ იდეურ სამყაროში რჩება, მაგრამ ავტორმა თავისი კონცეფცია გ ა ა მ თ ლ ი ა ნ ა, უფრო გ ა ა ს რ უ ლ ა და როცა მას უკანასკნელი დახვეწილი სახე მისცა. ვიდრე პოემის ბოლო ვარიანტს განვიხილავდეთ, ჩვენ გვინ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 596.

და შევჩერდეთ იმ დაკარგულ თუ დაუწერელ ორ თავზე, რომლებიც „აჩრდილს" თან არ ახლავს, — XXII და XXIII თავებზე.

რა მოხდა? რატომ არა გვაქვს საშუალება ქართული პოეზიის ამ ერთ-ერთი უმშვენიერესი გვირგვინის — „აჩრდილის" ორი შუა თავი წავიკითხოთ? რატომ არ დაწერა ისინი ავტორმა ან რა უნდა თქმულიყო პოემის ამ ნაწილებში?

ეს საკითხი რომ გაირკვეს, თვით პოემის საბოლოო ტექსტსა და პირველ ვარიანტს უნდა მივმართოთ.

ჩვენ ხელთა გვაქვს, როგორც მივუთითეთ, პირველი ვარიანტის 32 თავი, „ძღვნა" და ეპილოგი „ქართველთადმი". საბოლოო რედაქციაში 25 თავია (ნუმერაციით 27, მაგრამ მრავალწერტილი უზის დაუწერელ თუ დაკარგულ 22 და 23 თავებს). მას აგრეთვე არა აქვს „ძღვნა" მეგობრებისადმი, მის ნაცვლად გაშიფრულია ადრესატი და მთელი პოემა ეძღვნება ორ ცნობილ მოღვაწეს — ივანე პოლტარაცკის და ილია წინამძღვრიშვილს. ეპილოგი მოხსნილია, პოემა თავდება იქ, სადაც მოხუცის ლოცვის შემდეგ, ორივე ვარიანტში, პოეტი ხედავს ცისარტყელას, მაგრამ პირველი ვარიანტის ბოლო ორი სტრიქონი — „ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება დიდძილის შემდეგ რა ტკბილ იქნება!" შეცვლილია ახალი სტრიქონებით: „და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ ჯერ არ მენახა მეცისარტყელა". რაც შეეხება თავების თანმიმდევრობას, შეცვლილია, მაგრამ ის, რაც პირველი ვარიანტის 22 და 23 თავებშია, ზოგიერთი ისტორიული რეალია (იაზონის „არგო", დიოსკურია, ბიჭვინტა და სხვ.), სრულებით აღარ ჩანს საბოლოო რედაქციაში. ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, რომ ხსენებულ 22 და 23 თავებში ილიას სურდა ქართველიერის, მთელი ხალხის გმირობის ჩვენება, მაგრამ სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ისტორიულ ანალებში სათანადო ფაქტიური მასალების უქონლობის გამო, განზრახული ვერ შეასრულა. ცამეტი წლის მანძილზე პოემა უთუოდ მუშავდებოდა, იხვეწებოდა, ფაქტები ზუსტდებოდა, მაგრამ ნაწარმოების თვით ისტორიული ნაწილი ავტორს არ აკმაყოფილებდა. პოეტს განზრახული ჰქონდა თავისი ერის ისტორია ეჩვენებინა არა მარტო პოეტურ ფორმებში, არამედ გამოჩენილი მეფეების გვერდით დაეხატა ხალხის გმირობა, მისი ერთგული, თავგანწირული შვილების პატრიოტული ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ თითქმის განუწყვეტელ ომებში.

ერის ოდისეა, რაც „აჩრდილში" ასე ქარგად არის ნაჩვენები, არ შეიძლებოდა შემოფარგლულიყო მარტოოდენ მეფეების ცხოვრების აღწერით. როგორც დიდი განმანათლებელი, ილია ჭავჭავაძე ხალხის ინტერესებს აყენებდა ყველაზე მაღლა და მას სწორედ ხალხის ჩვენება სურდა. ამიტომ არის, რომ სწორედ 1872 წელს, როცა „აჩრდილის" საბოლოო რედაქცია მთავრდებოდა, პოეტი შემდეგ საგულისხმო სიტყვებს სწერდა დავით ერისთავს: „ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ გაჭირვისავით შევდეგ და ერთი ბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა? ვამბობ ამ „აჩრდილს" თავი დავანებო მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების

სახე არ შიშინებდა ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაშია არაჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არი".*

ეს „განკითხვა" პოემამ მართლაც ვერსად ვერ პოვა, ამიტომ იძულებული შეიქნა პოემის 22 და 23 თავები ისე დაეტოვებინა ცარიელი, როგორც დღესა გვაქვს. სრული რწმენით შეიძლება ითქვას, რომ პოეტს ეს თავები არ დაუწერია, შეიძლება ფიქრობდა, თუ მასალები ხელს შეუწყობდნენ, შემდეგ დაეწერა და ნაწარმოებშიც შემდეგ შეეტანა. დავით ერისთავისადმი მიწერილი მისი გულწრფელი, უაღრესად დიდმნიშვნელოვანი სიტყვები ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებენ.

ახლა შეგვიძლია უშუალოდ გადავიდეთ თვით პოემის ანალიზზე.

„აჩრდილი" დიდი იდეური დრტვინვის მზატვრულად განზოგადებული ეპოქალური მნიშვნელობის პოეტური სიმფონიაა. მისი ღაღადისი ერთნაირი ძალით წვდება წარსულის, აწმყოსა და მომავლის ყველაზე მწვავე ტკივილებს. დავითის ფსალმუნის ნაცვლად მას ეპიგრაფად ამშვენებს რუსთაველის უკვდავი სიტყვები, რომლებიც პოემის ძირითად შინაარსს სავსებით შეესაბამებიან. დიდი პოეტის ფილოსოფიური აფორიზმი, ჯეშმარიტებით ესოდენ აღსავსე, ნამდვილად გვანიშნებს „აჩრდილის" კვინტ-ესენციას: „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამკნაროსა, იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". ალეგორიულად ეს უკვე პოემის მთავარი იდეური მიმართულების გამჟღავნებაა და რუსთაველთან ერთად ილიას ღრმადა სწვამს ცხოვრების ამ დიალექტიკური წესის მარადიულობა. მისთვის სრულიად უეჭველია დაცემული სამშობლოს კვლავ აღდგენა, მთვლემარე შემოქმედებითი ძალების ფენიქსისებური განახლება, რასაც ასე გატაცებით მოელის და „აჩრდილის" ყველაზე ძლიერ გამად მიიჩნევს.

პოემის ექსპოზიციას წარმოადგენს მყინვარის დიდებული სახე, რომლის პანორამასაც ავტორი დაუვიწყარი პოეტური ექსპრესიულობით გადმოგვცემს:

„აღმობრწყინდა მზე დიდებულად
და გაანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოთ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ ზეადი, იგივ მძივნვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა შედგრად
ცის ვასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზავი
დასცქერის რისხვით და შეჭარებით,
თითქო ელისო განკითხვის დღესა,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961 წ., გვ. 34. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

რომ იგრიალოს, წამოიჭუხოს,
ხმელეთს დაეცეს, შერმეთ ქვესკნელსა,
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს“.*

კავკასიის მთებისა და მყინვარის ამ გრანდიოზულ პანორამას, რომლის შინაგან მრისხანე ძალებთან ერთად პოეტი დიდ სილამაზესაც გვიჩვენებს, ამ ამაღლებულის გრძნობა გასდევს პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე; შეიძლებოდა მისი მიჩნევა როგორც ალეგორიისა თავისი ნათელი სახით, დიდებულებით, ზვიადობით, მძვინვარებითა და დუმილით, რომელშიაც ერთსა და იმავე დროს იხატება რისხვასთან შეერთებული მუქარა საშინელი ხვედრით, თუ ეს უკანასკნელი განხორციელდა. ამ გრანდიოზულ სურათს პოეტი ორგანულად უკავშირებს „იმ დღის ლამაზ დილას“, როცა ეს საოცარი მშვენიერება იხილა, „ლამაზ დილას“, რომლის სიმშვიდისა და სინათლის მადლს თვით მყინვარის რისხვა-ზარიც დაემორჩილა. ქვეყანა დადუმებული იყო, თითქოს ჯურს უგდებდა ცას, ულრუბლოს და მხიარულს, ირგვლივ რომ მადლს აფრქვევდა. მაგრამ პოეტის „უნდო გონებას“ არ სწყმდა ეს მყუდროება, სკეპტიკური აზრი უკარნახებდა, რომ „სტყუის ზეცაც და ქვეყანაც“, ამგვარი დილა ბევრჯერ გათენებულა, ცის მადლი კი ვნებულ გულს „არ მიჰკარებია“. თუ დაუკვირდები, შენიშნავ დაუძინარ „ქვეყნის დრტვინვას“, იცნობ „თვით მაგ დუმილში რა წყეველაც არიო“.

მაგრამ ადამიანის „უნდო გონებას“, ეჭვსა და სასოწარკვეთას, მის სკეპტიციზმს ყოველთვის თან ახლავს საღი ოპტიმისტური აზრი, იმედი და რწმენა. პოეტსაც განეფანტა „ეჭვთა ღრუბელი“ და ნუგეში მოევლინა. „ამა ნუგეშით აღძრული სული“ სიხარულით აევსო, ხოლო „ეჭვთაგან წინათ გვემული გული განცხოველდა წმინდის სიყვარულითა“. ქვეყნის სიკეთის რწმენამ თვალი გაახილა, აღფრთოვანება შესძინა პოეტის ოცნებათ, ხოლო ხედვასა და სმენას — განწმენდა. სიბნელე გაჰქრა, ბუნების ენა გასაგები შეიქნა. გამოჩნდნენ ნეტარებითა და ლხენით აღსავსე „უცხო ხილვანი“. მათ შორის ყველაზე საოცარი იყო დიდი კაცი, „მყინვარზედ მდგომი მოხუცებული“, იმ დილას ქვეყნის მსგავსად „მშვიდი, უძრავი, უხმო, დაფიქრებული“. მარჯვენა ხელით თვალნი მოეჩრდილნა, შორს გაჰყურებდა, ირგვლივ მთები ამკობდნენ, ხოლო ქვევით თერგი ღრიალით მიედინებოდა.

თერგი! საკვირველი სილამაზე და სიძლიერე დარიალის საშიში კლდეებისა! მისმა ფაფარაყრილმა დინებამ მძლავრად შეატოკა პუშკინისა და ლერმონტოვის, გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის მხატვრული ფანტაზია. პოეზიის ეს ლევიათანები თითქოს საკუთარ სახეს ხედავდნენ თერგის მრისხანე ხმაურში და მის ძალას ოლიმპის მწვერვალზე იწვევდნენ სათმრად. თითქოს თერგის დაუნდობელმა, ამაყმა და შეუბორკავმა დინებამ უცნაურად გაახელინა თვალი აპოლონის ჭურუმებს, რომლებმაც პოეტურ შედევრებში უკვდავჰყვეს ბუნების ეს დაუდგრომელი შვილი. მათ პოეტურ სიმღერებში თერგი წამოიმართა, როგორც ცოცხალი პეგასი, რომლისთვისაც შარა-გზა ვიწროა. მხოლოდ თავისუფალი ნავარდით შეუძლია თავისი თავი

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I. 1937 წ., გვ. 126.

გამოაჩინოს. და ილია ჭავჭავაძემაც ამ სახით გვიჩვენა თერგი, რომლის პროზაულ ამეტყველებას „მგზავრის წერილებში“, მიუმატა „აჩრდილის“ შემდეგი პოეტური სტრიქონები:

„თერგი მრისხანე, თერგი მბღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
ვით შიში ლომი დაჭრილი, ცხარე.
ჰრბოდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა,
სჭექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ“.*

დაუდგრომელი თერგის ამ აბობოქრებულ დინებას, რომლის განუწყვეტელი ხმაური პოეტს დაჭრილი შიში ლომის გაიფთრებას მოაგონებს, ჩვენ ვხედავთ ვრცელი პანორამის ფონზე; შორს ჩანან „მინდორნი, ტყენი“, ხოლო მათ შორის მჭუხარე არაგვი, რომლისადმი მშობლიურ სიყვარულს გვაგრძნობინებენ „აჩრდილის“ ლირიკული სიტყვები:

„ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდეებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენს წმინდა თვალ-წინ აყვაებულა;
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ — შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდეებზედ გადასხმულია,
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველს სიცოცხლე ჰდუღდა,
იქ მამულისთვის ქართველს ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ — იგი ქართველნი...
გულ-ხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!..
რას ვეძებდი მეწ ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ-წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს,—
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკლავ პასუხს“.**

მაგრამ სამშობლოს ვერც მოშრიალე ტყეებმა, ამაყმა მთებმა, ვერც თერგის ღრიალმა და არაგვის ხმაურმა მყინვარზე მდგომი მოხუცის ყურადღება

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 127.

** იქვე, გვ. 127—128. ეს არის „აჩრდილის“ ერთადერთი ნაწილი, რომელიც 1859 წელს „ცისკარში“ დაიბეჭდა.

ვერ მიიზიდეს. იგი გასცქეროდა „სრულ საქართველოს“, რომელიც შორით მოსჩანდა, როგორც „ქვეყნის მარგალიტი“. და ამ ობოლს, მარტოდ დარჩენილს, მოხუცი დააცქერდა; მას ერთადერთს „სიყვარულითა იგი დამზერდა“. მთელი საქართველოს ბედით გატაცებული მოხუცი, პოეტის აღტაცებასა და გაკვირვებას იწვევს. იგი მიმართავს „საკვირველ კაცს“, სურს გაიგოს საიდან მოვიდა, ვინ წარმოგზავნა, რამ აიძულა მიეტოვებინა საკუთარი ბინა და მყინვარზე შემდგარიყო?

ამ კითხვების პასუხად პოეტმა გაიგონა „იმა მოხუცის დიდებული ხმა“. მყინვარიდან გადმომდგარი მოხუცი საქართველოს ეუბნება, რომ მარად და ყველგან მასთან არის, როგორც მისი „თანამდევი, უკვდავი სული“. მაშასადამე, ეს მოხუცი, ეს აჩრდილი საქართველოს უკვდავი სულია, რომელიც არ მომკვდარა, მარად ცოცხლობს, მაგრამ ტანჯულია, რაკი გული გადაბანილი აქვს ქართველთა სისხლით, ის გული, რომელიც დღემდე ინახავს მშობელი ქვეყნის წარსულსაც და აწმყოსაც. მოხუცის სახეში ხორცშესხმულია ქართველთა ოდისეა; ეს სახე ისევე ტანჯულია, როგორც საქართველო; მისი თვალები საქართველოს ცრემლით ბევრჯერ ატირებულა, ბევრჯერ სრულიად დატყვევებულა ძველი დიდების ნატვრით, ხოლო სული და გული აწმყოს მძიმე ხვედრით დაწყლულებია.

აწმყოს ამ მძიმე ხვედრს ურწმუნოებაც ემატება, ურწმუნოება იმისა, რომ ქართველის ძეს არა სწამს თავისი მშობელი ქვეყნის კვლავ აღდგენა, რითაც უძლურებას ამჟღავნებს. მოხუცი კი ძლიერებისა და გაუტეხელი ნების განსახიერებაა, როგორც ერის შინაგანი არსება. საქართველოსადმი მისი ღაღადისი ასე გრძელდება:

„წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულება,
ეიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლება,
ეხლა აღგვილა ყველა ესე. ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ ვით ტაძარი გაუქმებული.
ეიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჰკვეთ არ განვლილ საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე ჟგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულს-წვეთა მწარე ცრემლს დაღვრის.
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
პღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა“.*

მოხუცი აქ გვევლინება, როგორც ერის გონივრული საწყისი, რომელიც მღელვარე სულში განსახიერებულა. იგი ხედავს და წუხს, რომ არავის, არც დიდს, არც პატარას „ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული“, მათ დავიწყებიათ, რომ უზენაესი ამ ქვეყნად მამულია, დედა-სამშობლო, რომ

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 128—129.

დიდი ცხოვრება მარტოოდენ ის არის, რომელიც „ქვეყნის წვითა დამწვარა ქვეყანასვე შეეწირება“.

აქედან იწყება პოემაში სამშობლოსათვის თავდადებულ, სახელოვან გმირთა უმშვენიერესი სა გა ლ ო ბ ე ლ ი, რომელიც ასეთ ვაჟკაცებს წმინდანებად წარმოიდგენს, უკვდავების გვირგვინით მოსავს, საუკუნეებში თავს გაატანინებს და „განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა“, ხოლო გმირული მაგალითით მთელ თაობებს აღაფრთოვანებს. „ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს“. არა მარტო ჯაბუკნი-ყრმანი, მხცოვანნიც ძალას მოიცემენ, დედა კი ხალხის იმ სიმღერას აკვანთან უმღერებს შვილს, რომელსაც გმირის დიდებას უნატრებს. ქალწულიც გმირს მოიგონებს, გაბხნევდება. ამგვარ გაწმადიდებულ ჰანგებს ყველა იმღერებს და „გმირი იქმ მ ღ ე რ ი თ დ ა ი ბ ა დ ე ბ ა“.

მაგრამ მოხუცის გულისტკივილი ის არის, რომ ამგვარ გმირს ვერსად ვერ ხედავს. პოემის IX თავში აჩრდილი ასე მოსთქვამს და ვალალებს:

„მაგრამ, ჭართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღსილა, ველანად ქმნილა.
გმირის დამბადი დიდი ბაგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მაჭული. —
რაღა დაპბადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველ-ფერი,
რომ მისცეს თქვენში ზარდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ეიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოდრეკილა ნაღელთ საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყულებული,
თქვენგან გმობილი, — უცხოს კალთის კვეშ
ვითა ობოლი, — შეფარებული“.*

ეს გოდება კარს უღებს 60-იან წლებში თერგდალეულთა ე რ ო ვ ნ უ ლ credo-ს და მოაქვს სამშობლო ქვეყნის სამსახურით შთაგონებული იდეა.

ანალოგიური საკითხია დაყენებული „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი ც“, მაგრამ არსად, ილია ჭავჭავაძის არცერთ ნაწარმოებში, არც მხატვრულსა და არც პუბლიცისტურში, მას არ მიუღია ს ე პ ა რ ა ტ უ ლ ი სახე. თერგდალეულები სამშობლოს დიდების აღდგენისა და მომავლის შექმნისათვის იბრძოდნენ მოწინავე, ახალგაზრდა რუსეთთან ერთად, და ცარიზმს, ბატონყმობას ისევე უარყოფდნენ, როგორც რუსი რაზნოჩინცები. „ა ჩ რ დ ი ლ შ ი ა ც“ ამ ბრძოლის ხმაური გვესმის. სხვა საკითხია, რამდენად მართალნი იყვნენ ისინი, როცა ერთეულ გმირებს ეძებდნენ, მთელ იმედებს ამ გმირთა მოვლინებაზე ამყარებდნენ.

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I. 1937 წ., გვ. 130.

მაგრამ 60-იან წლებში მათი იდეები, ეროვნულიც და სოციალურიც, პროგრესული რომ იყო, სრულიად უეჭველია. სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა ორგანულად უკავშირდებოდა ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას, ვინაიდან, ორივე ჩაგვრა იყო და ორივეს მტკივნეულად განიცდიდა ქართველი ხალხი. თუ „აჩრდილში“ ავტორი თავდაპირველად ე რ ო ვ ნ ულ საკითხს ეხება, ხოლო ს ო ც ი ა ლ უ რ ზ ე შემდეგ გადადის, ეს იმითაც უნდა აიხსნას, რომ 60-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა (მაგალითად, გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს ბრძოლა იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის) იმდენად იმედის სხივით მოსავდა დაჩაგრულ ერებს, რამდენადაც სახელოვანი იტალიელი გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა. თერგდალეულებსაც მიაჩნდათ, რომ ს ო ც ი ა ლ უ რ ი ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის პირველყოვლისა საეროვნულური ჩაგვრისაგან განთავისუფლებაა საჭირო; იგი, როგორც პირველი აქტი. ბუნებრივად მოითხოვს გაგრძელებას მეორე აქტში, ე. ი. ეროვნული დამონების მოსპობას უნდა მოჰყოლოდა სოციალური ჩაგვრის მოსპობაც.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ „ა ჩ რ დ ი ლ ს“. მას შემდეგ, რაც პოეტმა გადაშალა სამშობლო ქვეყნის იავარქმნილი სურათი, სადაც ყველაფერი გაერანებულია, გმირები აღარ არიან, პატრიოტული გრძნობა გამქრალია, იმედის ნაპერწკალი მაინც ჩნდება, რაკი „ვრდომილთა შორის“ იგი ხედავს ზოგიერთის გულს, „ქვეყნის წარხდომას“ რომ „შეებრძვის და არ ემორჩილება“. თუ ამ გულთა დრტვინვას რეალური შედეგი არ მოაქვს, მიზეზი ისევ ძველი სნეულებაა — „ლაღვა, შური და მტრობა“, რაც მხნეობას ბორკილებით გზას უღობავს. ნდობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და გატანა ორ-სამ კაცშიაც არ არის; ეს ის კაცებია, რომლებიც საერთო საქმისათვის აღძრულან, მაგრამ ერთმანეთს არ ენდობიან, ერთმანეთის სიკეთე ჰშურთ, მართალია, ერთი მიზნისათვის „თითქო იღწვიან“, მაგრამ თვითონვე „ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ, თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან“. ასეთ პირობებში, როცა ე რ თ ი ა ნ ო ბ ა სრულიად დ ა რ ღ ვ ე უ ლ ი ა, უნდობლობა, შური და მტრობაა გაბატონებული, საერთო მიზანი მიუღწეველი რჩება.

უბედურების ამ ერთ მხარეს თან ერთვის მისი მეორე ინგრედიენტი. ეს არის სოციალური ჩაგვრა, სოციალური იერარქია, რომელიც უზრუნველოობით განებივრებული უფალი მიწასთან ისედაც გასწორებულ მონას ატყუებს, ძარცვავს, სულსა ჰხდის. იმდენად შემზარავია ეს უკუღმართი სოციალური ჩაგვრა, იმდენად განუკითხავია ადამიანის დამამცირებელი უსამართლობა, რომ აჩრდილის სიტყვები შეუძლებელია ამაზრზენად არ მოქმედებდნენ მკითხველის ოდნავ გრძნობიერ გულზე. პოეტის მიერ ს ო ც ი ა ლ უ რ ი ჩ ა გ ვ რ ი ს ს უ რ ა თ ე ბ ი წარმოსახულია დიდი დამაჯერებლობით, უშუალობითა და ღრმა ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი თ, თითქოს ცოცხლად ვხედავდეთ ამ ბოროტებას:

„აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლვით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დასწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პირას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მას ხარჯსა ერთსა — ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღიმა,

და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ეევდრება მის თვალი შვებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!
რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღე-დაღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ეჰი, ვაგლახი, პირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!..“*

უსამართლო სოციალური ინსტიტუტის ბოროტებანი აქ მხილებულია იმდენად მართალი სურათებით, რომ მკითხველის წინაშე ერთბაშად საბიერდება მონობის საშინელებანი. მაგრამ ამით როდი ამოიწურება ბატონყმური ცხოვრების მთელი შინაგანი მხეცური ბუნება. მონას ადამიანად არ ცნობენ, თითქოს „ქაცისა გრძნობა“ არ ჰქონდეს, გამეფებულია ადამიანებით ვაჭრობა, დედას შვილს ართმევენ, ძუძუს აშორებენ, არავინ იცის შემდეგ სად გაჰყიდიან, როგორც პირუტყვს, და უკეთესი გრძნობა ადამიანური — შვილისადმი ტრფობა დედას ცოდვად ეთვლება. ყმა-გლეხისათვის ისიც უბედურებაა, თუ მისი ასული ლამაზი და მშვენიერი შეიქნა. მას მოსტაცებენ, ჰარამხანის მხევლად გაჰყიდიან, ნამუსს ახდიან, წრფელ გულში „ღვარძლს ჩაასხმიან“ და ყვავილს „ფეხქვეშ სათრევლად“ გახდიან. მისი უმანკოება გარყვნილების დაღით აღინიშნება და პოეტი ღრმა თანაგრძნობით აღწერს გაუბედურებული ყმა-გლეხის საზარელ ყოფას:

„მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუ-იქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექნება,
წყეულო, ვაებით მას განშორდები
და ჭალი შენი შენ შეგზარდება, —
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო, არ გამხდომოდი“.**

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 131.
** იქვე, გვ. 132.

მაგრამ პოეტს სწამს, რომ ადამიანის მონობა, ჩაგვრა, ექსპლოატაცია აღარ შეიძლება ასე დაუსჯელად გრძელდებოდეს. მომავალი „შრომის შვილს“ ეკუთვნის, ხოლო შრომა, რომელიც ტყვედპყრობილია, ბორკილებისაგან გათავისუფლდება.

„ახრდილის“ ავტორმა პირდაპირ წინასწარმეტყველურად განსჯვრიტა მომავალი. როცა თავისი საუკუნის — მეცხრამეტე საუკუნის ტვირთად „შრომის ახსნა“ დასახა, ბორკილებისაგან მისი გათავისუფლება მიიჩნია და ეპოქალური მნიშვნელობის ლოზუნგი წამოაყენა — ძველი ქვეყანა ვეღარ განუძლებს „განახლების გრიგალის ქროლას“, იგი დაეცემა და ახალი ცხოვრება დაიწყებაო. საკვირველი იყო დიდი პოეტური მგზნებარებითა და ღრმა მოაზროვნის სრული რწმენით ნათქვამი შემდეგი სიტყვები:

„შრომა. აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული,
მაგრამ რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებული.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიდი ზვირთი
მაგ ახსნისათვის შეგრძა ებრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჰეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღუვაღების“.*

არცერთ ქართველ პოეტს მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ეპოქის საზოგადოებრივი საკითხები ასე ღრმად და ასე მწვავედ არ დაუყენებია. იმ დროს სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე არაჩვეულებრივი ძალით გადმოსცემდა მხატვრულ ფორმებში იმ სოციალურ ტკივილებს, რომელთა მორჩენისათვის პროგრესული აზრი ასე გაბედულად ამხედრდა. მას სწამდა, რომ ქვეყნად დამყარდებოდა „შრომის სუფევა“, განმტკიცდებოდა კაცთმოყვარეობა, ძარცვა და რბევა მოისპობოდა, უქმ სიტყვებად არ დარჩებოდნენ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“, ხოლო სათნოება და კაცთმოყვარეობა ეკლის გვირგვინს მოიხსნიდნენ. როგორც დიდმა ჰუმანისტმა, აზროვნებით რევოლუციონერმა-დემოკრატმა ილია ჭავჭავაძემ სავსებით სწორად განსჯვრიტა, რომ ძველმა ქვეყანამ იგრძნო მისივე საფუძვლების რღვევა, ალღო აიღო, რომ ზვიადმა მე-19 საუკუნემ უნდა შვას „შრომის სუფევა“. ხოლო, როცა ახალი ცხოვრება დაიწყება, რომელიც ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის მაღალ პრინციპებს დაემყარება, მაშინ შრომის შვილიც, მონობის ბორკილთაგან თავისუფალი, თავის ადამიანურ უფლებებში აღსდგება:

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 132.

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წარმეულთ ნიშთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,
არც ვის ემონები და არც იმონებ".*

მაშინ შენი ნაღვლიანი სიმღერაც „მხიარულ ხმებად" გარდაგექცევა; ეს იქნება თავისუფლების ტკბილი სიმღერა, რომლითაც განიხარებენ „მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი" და შენგან დამშვენებულნი, ისინიც ბანს გამოსცემენ. მაგრამ იმ დროს ეს იყო მარტოოდენ მომხიბლავი იდეალი, ბრწყინვალე მომავლის ნათელი, მიმზიდველი სურათი. თვით სინამდვილე კი აუტანელ ყოფას განასახიერებდა, საშინელებათა მორევს ატრიალებდა. პოეტი ხედავდა სოციალურ უკუღმართობას, „დიდკაცი დარბაისელი" განცხრომაში იყო, ხოლო მისი „მოძმე საწყალი" — სასოწარკვეთილ მონობაში სულს ღაფავდა. „დიდკაცს" არც ქვეყნის მძიმე ხვედრი აწუხებდა, რაკი მისთვის ესეც ხელსაყრელი იყო. რატომ შეებრძოლებოდა იგი ბოროტებას, როცა ამ ბოროტებით ხელს ითბობდა. ცბიერი ღიმილით ვაჭარი ჰყიდის ნივთს და ატყუებს თავის მოძმეს, რომელსაც შიმშილით რომ სული ამოხდეს, ოდნავაც არ ენაღვლება. ასევე ურცხვად გაუყიდია თავისი სინიდისი ეკლესიის მსახურს, რომელიც სიტყვით დიდ სწავლას, სიყვარულსა და სამართალს უნდა ჰქადაგებდეს, დაცემულ ერს აღამაღლებდეს, მაღალ მცნებას ემსახურებოდეს. მაგრამ ყველაფერი დაცემული და მიწასთან გასწორებულია. პოეტი ირგვლივ საზარელ სურათებს ხედავს, და აჩრდილის პირით მოთქვამს და ჰგოდებს:

„აგერ ტფილისიც!.. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა — მახინჯსაც და მშვენიერსაც.
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა,
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შევხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
პლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცა-ფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს, —
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,
ჰმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუშინ,
ერთნაირად და უფერულადა,
ჩრისთვის მამანი იღწვოდნენ უწინ —,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.

* იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 133.

გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას.
და დაჟანგებულ ბორკილზე სცელიან
თავის მამულის თავისუფლებას“.*

მაგრამ ამ ყოფაშია არამარტო თ ბ ი ლ ი ს ი; საქართველოს ძველი დიდება. ძველი დედაქალაქი მ ც ხ ე თ ა ც ასევე მოქცეულა და გავერანებულა. ოდესღაც იგი იყო „ს ა ვ ა ნ ე გ მ ი რ თ ა“, „დიდი აკლდამა დიდი ცხოვრების“, სადაც პირველმა ქართველებმა „ღ რ მ ა დ ჩ ა რ გ ე ს ძ ი რ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს“. იქ ჰყვაოდა „ხე ცხოვრებისა ქართვლის გულიდან აღმოცენილი“, დიოდა „წ ყ ა რ ო უ კ ვ დ ა ვ ე ბ ი ს ა“, მაგრამ ახლა აღარც ერთია, აღარც მეორე — წყარო აღარ ჩქეფს, ხოლო ცხოვრების ხე დამჭკნარია. თვით ძველი დედაქალაქი გადაქცეულია „სამიკიტნო დაბად“, მისი დიდი პალატები დანგრეულია, ცხოვრება დაცემული, წმინდა ადგილნი კი შეგინებულია „პირუტყეთა ქლევით“.

ნუთუ ასე გაგრძელდება დაცემა და გაერანება იმ ე რ ი ს ა, რომელმაც ისტორიაში უმაგალითო გმირობით დაიცვა თავისი მშვენიერი მიწა-წყალი? არა, პოეტს სჯერა, რომ ერის შინაგანი ძალები კვლავ აღსდგებიან, მისი ტრადიციული სიმამაცე კვლავ იჩენს თავს. და აპრდილის პირით ილია ჭავჭავაძე მოგვაგონებს საქართველოს გმირულ წარსულს, ათასწლეულებში გამოვლილ ო დ ი ს ე ა ს, რომელმაც მკითხველის გულში პატრიოტულ გრძნობასთან ერთად მომავლის იმედიც უნდა გააღვივოს. პოემის მთელი ორი თავი — XVIII და XIX საქართველოს ამ გმირულ წარსულს ეძღვნება, ხოლო, თე რა დიდი პ ო ე ტ უ რ ი შთაგონებით, პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი გრძნობითა და ძლიერი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი საღებავებით აღწერს ილია ჭავჭავაძე ერის განვლილი ისტორიის ფურცლებს. საკმარისია თუნდაც ერთი მათგანის გაცნობა. ჩვენ მივმართავთ პოემის XVIII თავს, რომელიც წარსულს მძაფრი სურათებით აცოცხლებს:

„ქართლის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოეველოს და სრულად მტერად არ აღგვილიაოს?
შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღწვოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა. —
მამულისა და რჯულისათვის ოგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“.**

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 134-135.
** ი ქ ვ ე, გვ. 135-136.

აჩრდილს თვალწინ უდგება კირთების ის „ბედშავნი დღენი“, როცა საქართველო „მაკედონის გმირის ლაშქარმა“ დაიპყრო. მაშინ შეირყა „დიდ ცხოვრების სამკვდრო ბჭენი“. დამპყრობლებს სძულდათ დაპყრობილი ქვეყანაცა და მისი ხალხიც, ერის სიკეთე და ნიჭიერება. აქედან ავტორს გამოჰყავს სავსებით მართებული პოლიტიკური სენტენცია, რომ ერის ხელმძღვანელობა არ შეუძლია იმ მმართველს, რომელსაც თვით ერის სიყვარული და შეწყნარება არა აქვს. მაკედონელი დამპყრობლებიც ასე იქცეოდნენ. ისინი ფეხქვეშ თელავდნენ მთელ საქართველოს, სდევნიდნენ ერის ყველაზე დიდ განძს — ქართულ ენას, სძულდათ ყველაფერი, რაც ერის ღირსებას შეადგენდა, რაშიაც მისი ნიჭი, დიდება, პატიოსნება ისახებოდა. მართალია, ამ დამცირებას ქართველობა იტანდა. კირთების ქვეშ ქედს იხრიდა, მაგრამ მძულვარებით ემორჩილებოდა დამპყრობელს, გულში კი „ზღვევის წადილს“ „დღე და ღამ ჰზრდიდა“.

და შურისგების ის დღეც მოვიდა — „მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა“. დაირაზმნენ გოლიათები, რომლებმაც სამშობლოს ხსნისათვის თავი გასწირეს. მათ ძალას ისიც აორკეცებდა, რომ „ხმალი ზღვევისა“, როცა მას მამულის ტრფობა“ ხელს ჰკიდებს, ყოველთვის სამართლიანია. ფარნავაზ მეფემ თავს იდვა „სახელოვანი ის დიდი საქმე შურისგებისა“:

ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება, —
და შენ, ჰე, ქაროლო, მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით*.

ეს შემდეგ ქართველ ხალხს ქარქაშში ხმალი აღარ ჩაუგია, ვინაიდან მისკენ იყო მიპყრობილი მტრების „გაუმაძღარი და ხარბი თვალი“. ორივე მხრიდან საქართველოს დამპყრობლები ესეოდნენ, მაგრამ მისი მამაცი შვილები ვაჟკაცურად იცავდნენ მშობლიურ მიწა-წყალს. პოეტი აღტაცებით იგონებს იმ დროს, როცა სამშობლოს დაძახილზე „მამულის დროშა გაიშლებოდა“, ხოლო ჭაბუკთა რაზმი „მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა“. იყო დრო, როცა სამშობლოსათვის სიკვდილი ლხინად მიაჩნდათ ქართველ ვაჟკაცებს, მამულისათვის თავდადებაში ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ, მაგრამ... „ის დღენი“ გაჰქრნენ, ის ძალ-გულოვნებაც აღარ არის, ეხლანდელ შვილებს აღარც კი ახსოვთ „საკვირველნი მამათ საქმენი“. და პოეტი კვლავ მწუხარედ ჰგოდებს აჩრდილთან ერთად:

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტერად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 137.

აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფარატო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღყლევებულა...
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი შობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვა-და-სხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა წინაპართა სისხლითა რწყულნი.
როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნამთსა ზედა კლავეცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვა-და-სხვათა კაშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ-არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კაეკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა,
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართელის ერთგულსა შვილსა?"*

როგორც კი აჩრდილის ეს გოდება დამთავრდა, გაისმა ქუხილი და მისმა ხმამ მთებში გრგვინვა დაიწყო. ცას ელვა გაეკრა, რამაც ხევში მდინარე გამოაჩინა. ცას შავი ღრუბლები მოეფინა, ხოლო მთები და ველები ნისლმა მოიცვა. ქარმა იღმუვლა მთებსა და ხევ-ხუვში, „ბუქი სვეტსავით აატრიალა": ეს იყო ურაგანი, რომელიც შრისხანედ „ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა". ამ დროს ზვავიც გრიალით წამოვიდა, საზარელი სანახაობა დატრიალდა; ის-ის იყო „ბუნების მშვიდი დუმილი" ბნელ ჯოჯოხეთად უნდა გადაქცეულიყო, ყველაფერი ერთმანეთში აირეოდა — „წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი", მაგრამ ამ დროს პოეტი თვალს მიაპყრობს მყინვარს, რათა კვლავ იხილოს აჩრდილი მოხუცი. მაღი ღრუბელის სისქე მას ხელს უშლის თვალი მიაწვდინოს სახილველს და საგონებელში ვარდება: „ნუთუ გათავდა ამით ხილვა ეს", — შესტირის პოეტს მწუხარე გული. მცირე ხნის შემდეგ ცა გადაიწმინდება, მთაც განათდება, და კვლავ გამოჩნდება მზის სხივით გაბრწყინებული მოხუცი. მას მთრთოლვარე ხელები ზეცისაკენ აღუპყრია და მუხლმოდრეკილი ევედრება უზენაესს:

„დედაე ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა,
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!
რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური სული, გული მოამადლე შვილსა.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 137—138.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან—რა არს მშვიდობა,
იყმარე საღმრთოდ მათ პატიენი და სასხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.
მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..
ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცაზა,
რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!..“*

აჩრდილის ეს ვედრება და სახოება, ეს უღრმესი პატრიოტიზმით აღსავსე სიტყვები თითქოს შეისმინა უზენაესმა და პოემაც დამთავრდა მშვენიერი ოპტიმისტური აპოთეოზით:

„მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შეიდფეროვანი სარტყელი ცისა
და გადეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
აქენთო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა“.**

ასეთია „აჩრდილის“ მოკლე შინაარსი. მისი დიდი მხატვრულ-ესთეტიკური და ღრმა იდეური ღირებულება ქართული ლიტერატურის ისტორიაში სრულიად უპრეცედენტოა. ამ პოემის მეტი რომ არაფერი დაეწერა, ილიას სახელი მაინც უკვდავი იქნებოდა. „აჩრდილმა“ მაღალ პოეტურ ფორმებში საუკეთესოდ განასახიერა ყველა ის ძირითადი იდეა, რასაც 60-იანი წლების თერგდალეულები ემსახურებოდნენ. ეს არის დიდი ეპიკური მასშტაბის პოეტური სიმფონია,რომელიც ერთდროულად მთელი სიმწვავით აღძრავს სოციალურ-ეროვნულსა და ისტორიულ-ფილოსოფიურ პრობლემატიკას. ეპოქის საცნაურ, უაღრესად მტკივნეულ თემებს ისეთი სიღრმით, გარკვეულობითა და მღელვარებით წარმოსახავს, რომ მხატვრულ გვირგვინად ევლინება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პოეზიას. მისი დიდი საზოგადოებრივი ნერვი ერთნაირად საგრძნობია პოემის როგორც ეპიკურ, ისე ლირიკულ პასაჟებში. ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტი და მოაზროვნე, მთელი თავისი გრანდიოზულობით მგონი ასე მთლიანად არ წარმომდგარა არცერთ მხატვრულ ნაწარმოებში; „აჩრდილმა“ ყველაზე მეტად შეიწირა მისი ავტორის მძლავრი ნიჭი და ასევე მძლავრი ენერგია, მაგრამ ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მისი შემქმნელის მთელი შინაგანი არსების ერთ შედევრში გამოვლენას. და „აჩრდილი“ არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედების, მთელი ქართული პოეზიის მხატვრულ შედევრს წარმოადგენს.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 139.
** იქვე.

ბ) დრამატიული პოემა „ქართველის დედა“

ახლა ჩვენ გვინდა შევეხოთ ილია ჭავჭავაძის დრამატულ პოემას, რომელსაც „ქართველის დედა“ (სცენა მომავალ ცხოვრებიდან) ეწოდება.

ეს ნაწარმოები დაიწერა 1860 წელს, პავლოვსკში; როგორც ჩანს, ავტორს დაუმთავრებია იმავე წლის 14 ივლისს. პოემის საბოლოო რედაქცია დათარიღებულია 1871 წლის 18 მარტით. ნაწარმოების ძირითადი იდეა პატრიოტულია და მის კვინტ-ესენციას კარგად გამოხატავს ეპიგრაფი, რომელიც აღებულია ხალხური სიმღერიდან:

„გაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
გაიყოლიე უმცროსნი,
ვისაც თავი აქეს ცდისაო“.

ამ ეპიგრაფითაც სრულიად ნათელი ხდება ის, რაც პავლე ინგოროყვამ ვარიანტების შეჯერებით დაადასტურა: პოემა წარსულს კი არ გამოხატავს, არამედ პოეტურად წარმოიდგენს „სცენას მომავალ ცხოვრებიდან“, ე. ი. მომავალს ემსახურება და არა დაძირული დროის რომანტიკულ გაცოცხლებას. „იდეა „ქართველის დედისა“ ეს არის მოწოდება ბრძოლისაკენ საქართველოს თავისუფლებისათვის, და არა წარსულის რომანტიკა“.* ასეთი ხასიათის ნაწარმოებს, ისევე როგორც „აჩრდილს“, გაუჭირდებოდა ცენზურის ხელში გავლა, და ორივეს ერთი ბედი ხვდა წილად,—დაგვიანებით, ისიც დამახინჯებით გამოქვეყნება. ამჟამად ორივე ნაწარმოების ტექსტი აღდგენილია ავტორისეული რედაქციით („აჩრდილის“ ორ თავს არ ვგულისხმობთ), რაშიაც პავლე ინგოროყვას დიდი დამსახურება მიუძღვის.

დრამატიული პოემა „ქართველის დედა“ (ანუ „დედა და შვილი“, როგორც ილიას სიცოცხლეში ამ ნაწარმოებს ეწოდებოდა) ეძღვნება პეტრე ნაკაშიძეს, ცნობილ ქართველ მოღვაწესა და ილიას ახლო მეგობარს. მიძღვნაში პირდაპირ არის გამჟღავნებული ნაწარმოების ძირითადი იდეა, კერძოდ ის, რომ თემად აღებულია არა წარსული, არამედ მომავალი ცხოვრების ერთი სურათი. ილია ასე მიმართავს პეტრე ნაკაშიძეს:

„აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.
მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე,—მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,—
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე“.**

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ.I, 1937 წ., გვ. 630, პ. ინგოროყვას კომენტარები ტექსტისათვის.

** იქვე. გვ. 140.

თუ რა დროს ნატრულობდნენ მეგობრები უცხოეთში ყოფნისას, სავსებით გასაგები ხდება იმ იდეებით, რაც ამ ნაწარმოებში ავტორმა გადმოგვცა. ამიტომ ახლა უშუალოდ უნდა გადავიდეთ პოემის ანალიზზე.

ავტორის რემარკა გვეუბნება, რომ ამბავი ხდება ოთახში, რომლის „ფანჯრებიც ჭუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა". პოემა იწყება დ ე დ ი ს მ ო ნ ო ლ ო გ ი თ, რომელშიაც სიკვდილის პირამდე მისული მოხუცი უზენაესს მადლობას უძღვნის: თუმცა სნეული მოხუცის სიცოცხლე წვალებაა, მაგრამ ბედნიერი ვარ იმ დღეს რომ შემასწარი, როცა ჩემი სამშობლო მიცოცხლდებაო. მოხუცის სიხარულის მიზეზია ხალხის აზვირთება, კახეთის ზღვიდან შავ ზღვამდე ხალხის ერთი ფიქრი—მ ო ი პ ო ვ ო ს მ თ ე ლ ი კ ა ვ კ ა ს ი ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. დედას სწამს, რომ ხალხის ძალები გაათკეცებულია, როცა ასეთი დიდი ვრძნობა მას წინ წარუძღვება—გ რ ძ ნ ო ბ ა ე რ ო ვ ნ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა. ამიტომ ერთადერთი შვილის მოხუცი დედა, რომელსაც სხვა არავინ გააჩნია, მზად არის სამშობლოს მისცეს ეს „საყვარელი და სანატრელი" ვაჟი. ერთადერთი იმედი, ნუგეში, სიცოცხლე და სიხარული. მართალია, მოხუცს მარტოოდენ მისით უდგას „უძლურს ტანში უძლური სული", მაგრამ დიდი პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ ი გრძნობით ამბობს:

„ჩემის სიბერის მისაყრდომად ისღა მშთენია, —
მაგრამ, მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია"...*

ცხადია, მოხუცი და სნეული დედისათვის ადვილი როდია ერთადერთ ვაჟს, ერთადერთ ნუგეშს გამოეთხოვოს სწორედ მაშინ, როცა სიცოცხლის დღეები აღარ დარჩენია. ილიამ შესანიშნავად იცის, რომ სამშობლოს სიყვარულისათვის შვილის სიყვარულის დათმობა იოლი არ არის, თუნდაც დედა დიდი პატრიოტი იყოს. ამიტომ მოხუცი დედის არსებაში მან ერთმანეთს შეაჯიდა ეს ორი გრძნობა—მ ა მ უ ლ ი ს ა და შ ვ ი ლ ი ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს გ რ ძ ნ ო ბ ა. დედის გადაწყვეტილება — ერთადერთი შვილი სამშობლოს მისცეს, ხოლო თვითონ, მომაკვდავი ავადმყოფი უპატრონოდ დარჩეს, ხვდება ბუნებრივ წინააღმდეგობას. მოხუცმა კარგად იცის, რომ დადგა დრო, როცა შვილისადმი სიყვარული მამულს უნდა მიუძღვნას ან შვილს ანაცვალოს „საყვარელი დიდი მამული". მაგრამ გაუძლებს კი მისი სნეული გული „ამ ორის გრძნობის ბრძოლას?", „ძის სიყვარული თუ მამულის, — რომელი დასთმოს?.." ამ დიდი შინაგანი სულიერი ბრძოლის შემდეგ მოხუცი დედა, პატრიოტი ქართველი ქალი, როგორც მოსალოდნელი იყო, ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს უ პ ი რ ა ტ ე ს ო ბ ა ს ა ნ ი ჭ ე ბ ს და თავის მოვალეობასაც ამაში ხედავს. გულში ჩამწვდომია მისი მრავლისმეტყველი, დიდი პატრიოტული გრძნობით ნათქვამი სიტყვები:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მიეცეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი..."**

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937, გვ. 141.
** იქვე.

მოხუცი დედის შინაგანი სულიერი ვნებათაღელვა ამ გადამწყვეტ მომენტში ილია ჭავჭავაძემ იმიტომაც გვიჩვენა, რომ მას ჰქონდა დრამატიული ხელოვნების სწორი თეორია. ამ თეორიის პრინციპებისადმი ღრმა რწმენით გააკრიტიკა დიდმა თერგდალეულმა აქვსენტი ცაგარლის პიესა, რომელშიაც „დედა სცენაზე შემოდის წინათვე გადაწყვეტილის აზრით და გვარწმუნებს, რომ ჩემის ქვეყნისათვის გავზარდე ჩემი ხუთი შვილი, საქართველოსათვის ვაწოვე ჩემი ძუძუო და სხვა არაფერი აინუნში აღარ მოსდის, თითქო დედა-შვილური სიყვარული ისე ცოტა რამ იყოს, რომ უმრავად, უბრძოლველად ლაჩარსავით დაჰნებდეს, თუნდ იმისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდმშვენიერს გრძნობას, როგორიც მამულის-შვილური სიყვარულია“.* ეს სიტყვები რომ სრულიად უდავოა, მგონი დამტკიცებას არ საჭიროებს. არა მარტო რეალისტური, ვერავითარი სხვა ხელოვნებაც, თუ მას სურს გმირის ფსიქოლოგია ნამდვილად გვიჩვენოს, ამ ელემენტარულ კანონს ადამიანის გულისას ვერ გაექცევა. შეადარეთ ამ ორი დედის მოქმედება და თქვენ დარწმუნდებით, რომ აქვსენტი ცაგარლის დედა სქემაა, შიშველი სენტენციაა, ყალბია, დაუჯერებელია, ადამიანის გულს ვერ შეატოკებს, ხოლო ილია ჭავჭავაძის დედა—ნამდვილად პატრიოტი ქალია, ცოცხალი ადამიანია, რომლის სული, აზრი და გრძნობა ზღვასავით ღელავს; ყოველი მისი სიტყვა გვჯერა, გვწამს, ისიც უეჭველად გვეჩვენება, რომ მხოლოდ ასეთ ქალს შეეძლო, მოუხედავად მოხუცებულობისა და დავრდომილებისა, ერთადერთი შვილი, ერთადერთი ნუგეში, რომელსაც მისთვის უკანასკნელად თვალები უნდა დაეხუჭა, სამშობლოს დასაცავად გაეგზავნა. ამიტომ, როცა იგი მოსთქვამს: ვინ იცის, შვილო, სად მოკვდები, დამტირებელი არვინ გეყოლება, დედის ხელით ვერ შეახვევ განგმირულ გულს, ასე დაეედები მტლად მამულის ბედნიერებასო,— ჩვენი გულიც მასთან ერთად იმავე გრძნობით ივსება და სულგანაბული ვუსმენთ მოხუცის დედობრივ აღსარებას:

„შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,
მისთვის, რომ მე ვარ დედა შენიც და ქართვლის დედაც;
ვით დედა შენი, იმ სიკვდილით შენით ვიკვდე,
ვით ქართვლის დედა ვინეტარებ და ვისახელებ“.**

ამ სიტყვებს, მცირე ხნის შემდეგ მოჰყვება დიდებული ოდა თავისუფლებისა, რომელსაც პატრიოტი დედა ამბობს, და ყველაზე მეტად სწორედ მას შეჰფერის ქებათა-ქება უმღეროს თავისუფლების უკვდავ გენიას:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნათსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და ხიმარჯლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,

* ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1937 წ., გვ. 125.
** ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 141.

მსწრაფლ აღგიარეს, ჰოი ღმერთაე, თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკუდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მსხის ნეტარებითა.
ეგრეთ ნაშოვნი რად წაგვერთვი მესაეთა შენთა?
რაღად ქღერის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვესდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?"*.

დააკვირდით ამ მშვენიერ სიტყვებს და თქვენ გაიგონებთ თავისუფლება-მოწყურებული კაცის გულიდან ამოხეთქილ ღაღადებას; მას ღრმად შეუგნია, რომ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ადამიანის ყველაზე დიდი ბედნიერებაა ამ ქვეყნად; იგი ჩაგრულ-ტანჯულის წმინდა საფარი, ადამიანთა ნათსაყუდარი, ქვეყნის მშვიდობა და ს ი მ ა რ თ ლ ე ა. ჩვენს არსებას მხოლოდ იგი ამაღლებს უზენაესამდე, მაგრამ მტარვალთაგან ოდითვე აკრძალული იყო, თუმცა ყველაფრით სავსე სამოთხეც კი უმისოდ არარაობას წარმოადგენდა. თვით მ შ ვ ი დ ო ბ ა და ს ი მ ა რ თ ლ ე, იგი მუდამ ომითა და სისხლით იკაფავდა გზას, თავიდანვე პირსისხლიანი ეელინებოდა ადამიანებს. ეს ურვა-წუხილი პოეტისა დიდ ფილოსოფიურ განზოგადებას ებჯინება, როცა წამოიმართება თავსამტვრევი პრობლემის სახით: რატომ არის, რომ თავისუფლებას — მშვიდობისა და მადლის მომფენს ადამიანი მარტოოდენ სისხლისღვრით აღწევს? რატომ არის, რომ მისი ტაძარი უსისხლოდ არ შენდება, თუმცა თავისუფლების ღვთაებას მშვიდობა წარმოადგენს? ამ მტანჯველ ფიქრთა გრეხილის პასუხი არა ჩანს, მისი გაგრძელება პრაქტიკული ცხოვრების სინამდვილეში ხდება, როცა მოხუც დედასთან გახარებული შვილი შემოდის, შვილი, რომელმაც სისხლი უნდა დაღვაროს თავისუფლების მოსაპოვებლად. ქვეყნის გამოღვიძებით აღფრთოვანებული კ ი ა ზ ო სნეულ დედას შეატყობინებს, რომ დიდი ხნის სანატრელი ამბავი მოვიდა, საქართველომ გამოიღვიძა, მთელი კავკასი აღსდგა მტერთან საომრად, ბნელი ღამე გათენდა, მაგრამ „შენ სწუხხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამეო".

რ ი გ ო რ ი ა დედის პასუხი?

მე იმას ვწუხვარ.—ეუბნება პატრიოტი დედა თავის პირმშოს, რომ ერთადერთი შვილი მყავს, მამულის ხსნას ჩემგან შობილი მხოლოდ ერთი შეაკვდებაო. იმასაც ვწუხვარ, რომ ჩემი სიცოცხლის მზე მაშინ ჩადის, როცა სამშობლოს დიდი მზე ამოდის. ხალხის განთიადს მე ვეღარ მოვესწრები, ამას აღარაფერი ეშველება, სათხოვარი მარტო ისა მაქვს, რომ „მკვდარი დედა" შვილმა ასახელოსო.

დედის ამ სიტყვებს კ ი ა ზ ო უმალ მიუხვდება და გაოცებული ეკითხება თავის მშობელს: „როგორ? შენც მგზავნი საომრადა დედისერთასა, რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?" სნეული მოხუცი, რომელმაც ადრე უკვე მიიღო, თუმცა დიდი შინაგანი ღელვის შემდეგ, მტკიცე გადაწყვეტილება, თავის ერთადერთ პირმშოს მიმართავს ღრმად პატრიოტული სიტყვებით:

„სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო ჩემო, იმა სირცხვილსა,

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 141—142.

რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შეილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს".*

მკითხველს ოდნავი ეჭვიც არ შეიძლება ეპარებოდეს, რომ ასეთ პატრიოტ დედას შვილიც სამშობლოს დიდად მოყვარული უნდა ჰყავდეს. ამიტომ მისთვის ბუნებრივად გაისმა კიაზოს აღფრთოვანებული სიტყვები სახელოვანი მშობლისადმი: არასდროს ისე არ მყვარებიხარ, როგორც დღეს; რასაც მთხოვ. აღგისრულდება, „შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდებაო?"

ამ დროს ჯარების ხმაური ისმის. კიაზო მივარდება ფანჯარას, ხოლო დედა კვლავ მიეცემა თავის ღრმა ფიქრებს. თავისთავეთან დიალოგში იგი ისევ სამშობლოსა და მისთვის განწირულ შვილზე ზრუნავს; მას კარგად ესმის, რომ შვილი ვერასოდეს ვერ გაიგებს, თუ რა ძვირად უღირს ის სიტყვები, რომლებიც ერთადერთ პირმშოს უთხრა. ისე მოვკვდები, შენ მას ვერ გაიგებ, ხოლო ვიცოცხლებ მანამ, ვიდრე საომრად არ გაგისტუმრებ, რათა ჩემი სიკვდილით არ დაგაბრკოლო, შემდეგ კი, ვიცი, ბოლო მომელებაო.

დედისა და შვილის დიალოგის პირველი ნაწილი არსებითად აქ მთავრდება, ხოლო მის აპოთეზად გვეელინება მშვენიერი ხალხური ლექსი, რომელსაც ჯარები ორ-პირად მღერიან. დედა-შვილს ესმის ეს საბრძოლო ყიჟინის მაგვარი სიმღერა, რომლის ძირითადი აზრი მთლიანად პატრიოტული და ვაჟკაცობისაკენ მოუწოდებს მამულის ერთგულ დამცველებს:

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.
მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,
თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.
მამულის დამხსნელს ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
ჭტერთან გულდაგულ ომია.
თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია.
მაშ მამულს თავი შევსწიროთ
სასშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.
ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
გათენდა დღე დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა".**

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 142.
** იქვე, გვ. 143.

პატრიოტული გრძნობით გამთბარ ამ სიმღერას თან ახლავს „დედაკაცების და სოფლის პატარა ბიჭების ძახილი: „ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს“. რემარკა ამცნობს, რომ მამაკაცები ყველანი ჯარში წასულან, როგორც იტყვიან, „ქუდზე კაცი ამდგარა“, სამშობლოს განთავისუფლებისათვის ამხედრებულა. როცა ქუჩიდან მომტყდარ ყიჟინასა და ხმაურს გაიგონებს, მოხუცი დედა სთხოვს შვილს, — ფანჯარასთან მიმიყვანე, ქვეყნის მხსნელნი დამანახე, რომ „მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნიო“. კიაზო ასრულებს დედის თხოვნას და თან ეუბნება: შეხედე ამ „განწირულ ყმაწვილკაცობას“, სასიკვდილოდ ისე მიდიან, თითქოს დღეობა იყოსო. ხალხი მხიარულად აცილებს თავის ჯარს. შენ კი რატომ ტირი, რატომ ვალალებო. დედა უპასუხებს, რომ ჩვენი ვალია ღვთის წინ ცრემლები ვღვაროთ, რათა შინ თქვენი მშვიდობით დაბრუნება და მტერზე გამარჯვება ვიხილოთ. ვინ იცის რამდენს დედა აუტირდება, შინ დაბრუნებულ შვილს რომ ვეღარ იხილავსო. მაგრამ კიაზომ იცის: სხვა გზა არ არსებობს, მამულის გათავისუფლება უმსხვერპლოდ არ ხდება.

ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და კიაზოს უხმობს — რალას უცდი. გვაგვიანდება, წავიდეთო. დედა-შვილი უკანასკნელად ეხვევიან ერთმანეთს, კიაზო პირობას აძლევს მოხუცს, რომ სახელოვნად ვიბრძოლებ, „ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები, რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილიო“. აქ კი დედის გულმა მეტი ვეღარ აიტანა, ცრემლმორეული მოხუცი უფრო მაგრად მოეხვია შვილს, თვალი თვალში გაუყარა, ძლივს გაბედა ეთქვა—შენს ავადმყოფ. მარტოხელა დედასთან დარჩი, თუ იგი გიყვარსო, მაგრამ შვილის პასუხზე—„მერე, მამული?“— გზა დაულოცა, უკანასკნელად გამოეთხოვა.

კიაზო მიდის, მაგრამ თან მიაქვს მამულისადმი უღრმესი სიყვარული, რომელიც ასე კარგად არის გამოხატული ბოლო მონოლოგში:

„ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს ძალეე უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში;
რა სხვაოსანი შენი შუქი აღმობრწყინებდა
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წყლისა.
მშვიდობით, დედო! მეძნელება შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა“.*

შვილის წასვლისთანავე მოხუცი დედა გარდაიცვლება. სიკვდილის წინ იგი ამბობს, რომ მის არსებაში დიდხანს ებრძოდა „შვილის ტრფობას მამულის ვალი“, მაგრამ ვალმა აჯობა, თუმცა ეს ძვირად დაუჯდა. ახლა სიკვდილი ძნელი აღარ არის, რაკი ქართველ დედას სამშობლოს წინაშე მოვალეობა შესრულებული აქვს. სიკვდილის წინ მისი უკანასკნელი სიტყვებია: მამული, შვილი!

ჩვენ განზრახ გადმოვეცით ასე დაწვრილებით პოემა „ქართვლის დე-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 145—146.

დ ი ს“ შინაარსი. მართალია, მისი სიუჟეტი მარტივია. მაგრამ შინაგანი დრამატიზმი იმდენად ღრმად არის ნაჩვენები, რომ ამ ნაწარმოებს არამარტო დიალოგებით, გარეგანი ფორმალური ნიშნებით ვაკუთვნებთ ხელოვნების გარკვეულ ჟანრს—დრამას, არამედ, პირველყოვლისა, მთლიანი ანსამბლურობით. თვით ნაწარმოების დიდი შემეცნებითი, პატრიოტულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა სრულიად უდავოა. შედარებით მცირე მოცულობის თხზულებაში ილია ჭავჭავაძემ მისთვის დამახასიათებელი ღრმა იდეურობით შეძლო დიდ მხატვრულ განზოგადებამდე აეყვანა პატრიოტული გრძნობა, ეჩვენებინა იდეალური ქართველი დედა, რომელიც პირადი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად (მოხუცებულობა, ავადმყოფობა, მარტოხელობა), ერთადერთ შვილს — კიაზოს, თუმცა ღრმა შინაგანი ბრძოლის შემდეგ, მაგრამ სრული შეგნებით სწირავს სამშობლოს და ღირსეულად იხდის ვალს მამულის წინაშე. „ქართველის დედა“ მაღალი პატრიოტული გრძნობის უმშვენიერესი მხატვრული ძეგლია, რომელიც სამშობლოს სიყვარულს განადიდებს და განაცისკროვნებს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, მართალი არ იყო ალექსანდრე ხახანაშვილი, როცა წერდა, თითქოს „დრამატიზმის სიძლიერით „დედა და შვილი“ მაღლა სდგას პოემაზედ „დიმიტრი თავდადებული“.* ის გარემოება, რომ „დედა და შვილი“ დრამატიზმის სიძლიერით მაღლა არა დგას „დიმიტრი თავდადებულზე“, ოდნავაც არ ამცირებს მის ლიტერატურულ ღირსებას. იგი მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ პირველი თავისი ხასიათით დრამაა, ხოლო მეორე—ტრაგედია. „დრამატიზმის სიძლიერით“ კი ტრაგედია ყოველთვის აღმატებულია დრამაზე.

ორივე ნაწარმოებისაგან განსხვავებით, სულ სხვა პრობლემას ეხება ილია ჭავჭავაძის პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“. ეს ნაწარმოები ჭაბუკ პოეტს დაუმთავრებია პეტერბურგში, 1860 წლის 11 დეკემბერს. მისი თემატიკური რკალი მთლიანად სოციალურ სფეროშია მოთავსებული და ბატონყმურ საშინელებათა სურათებს გადაგვიშლის. 1871 წელს ნიკოლოზ ყიფიანმა „დროებაში“ მას „მშვენიერი პოემა“ უწოდა.

გ) „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“

ეს ნამდვილად მშვენიერი პოემა, რომლის მაღალ ჰუმანურ აზრებზე მთელი თაობები აღიზარდნენ, მართალია, მთლიანად მხოლოდ 1879 წელს „ივერიაში“ გამოქვეყნდა, მაგრამ მკითხველი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის თავიდანვე ცნობილი შეიქნა ხელნაწერის სახით. პირველად ილიამ მოახერხა 1863 წელს თავის ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაებეჭდა პოემის ერთი ადგილი, 1864 წელს „ჩონგურში“ მოთავსდა უფრო

* ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, XIX საუკუნე, გვ. 102.

მეტი ნაწილი. შემდეგ კი დიდხანს, ცენზურული პირობების გამო, მისი პუბლიკაცია აღარ მომხდარა.*

სრულიად უეჭველია, რომ ილიას დაუმთავრებელი მოთხრობები „კოლა“ და „კაკო“ (რომლებიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ 1860 წელს), „წარმოგვიდგენენ შეერთებულს რედაქციას „კაცია-ადამიანისა?!“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაკო ყაჩაღისა“. ავტორს თავდაპირველად ეს სამი ნაწარმოები — ერთი მოთხრობის სახით ჰქონია განზრახული. ილიას დაუწერია კიდეც ამ მოთხრობის რამდენიმე ესკიზი („კოლა“ ორი ვარიანტის სახით და „კაკო“); მაგრამ შემდეგ ეს განზრახვა დაუტოვებია და უფრო გვიან ამ მოთხრობის ქარგაზე შეუქმნია ეს სამი ცალკე თხზულება—მოთხრობები „კაცია-ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“ და პოემა „კაკო ყაჩაღი“.**

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ილია ჭავჭავაძის უფროსი დის—ნინოს ვაჟიშვილი კოხტა აბხაზი ერთ მეტად საინტერესო მომენტს გადმოგცემს პოეტის ბიოგრაფიიდან. ამ ფაქტს უშუალო კავშირი აქვს ილიას მხატვრულ შემოქმედებასთან, კერძოდ, პოემა „კაკო ყაჩაღის“ დაწერის ისტორიასთან. თავის მცირე მოგონებაში კოხტა აბხაზი წერს: „რაც შეეხება მის (ილიას— გ. ჯ.) შემოქმედებას და მის ნაწარმოებების ისტორიას, მე მხოლოდ „კაკო ყაჩაღის“ შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გაბლამთ ერთი კარდანახელი გლეხი ვინმე გაუბარაშვილი, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიღაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გავარდა. იმალებოდა ალაზნის (თუ კარდანახის? — გ. ჯ.) ტყეში და გამკლელ-გამომველელს სცარცავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი.

ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხამ ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამს: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ აბხაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, პარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: „დამაძინეთ, დამაძინეთო!“ მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი, ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყეველის და აგინებსო“.***

ცნობილი შემთხვევაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. არაერთ გმირს მხატვრული ნაწარმოებისა პროტოტიპი ცოცხალ სინამდვილეში მოეპოვება, მაგრამ ეს ოდნავაც არ ნიშნავს თითქოს მწერალს რეალური პიროვნების ასლი გადაეღოს. შემოქმედების რთულ სამეფოში პროტოტიპი ისე გარდაიქმნება ხოლმე, რომ ზოგჯერ მსგავსების ძირითად ნიშნებსაც კი დაჰკარგავს. ნატურალისტებიც ვერ ახერხებენ იგივეობა დაამყარონ პროტო-

---

* დაწვრილებით ეს საკითხი გარკვეული აქვს პ. ინგოროყვას: იხ. ილია ჭავჭავაძე. ტ. I, 1937 წ., გვ. 699—702. კომენტარები.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 701.

*** ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935 წ., წიგნი I, გვ. 565. ხაზი ყველგან ავტორისაა. იხ. იქვე შენიშვნა, რომ „სიტყვა „ალაზნის“ წაშლილია ფანქრით და შესწორებულია „კარდანახის“.

ტიპსა და ლიტერატურულ პერსონაჟს შორის. მით უფრო ეს არ შეუძლია რეალისტს, რომელიც სინამდვილიდან ძირითად ტენდენციებს, მთავარ დამახასიათებელ ნიშნებს განაზოგადებს. კიდევ უფრო რთულ მეტამორფოზასთან გვაქვს საქმე, როცა დიდი ხელოვანი, ტალანტი, გენიოსი ჰკიდებს ხელს ცხოვრებისეული ფაქტების განზოგადებას. მაშინ პროტოტიპები, სინამდვილის სურათები ისეთ მხატვრულ ასპექტში წარმოგვიდგებიან, რომ სრულიად ახალ სახეს ღებულობენ. გენიოს ტოლსტოის „გადატეხილმა ბირკამ" ჰაჯი მურატი გაახსენა და უშშვენიერესი რომანი დააწერინა. ბარათაშვილმა თვითონვე აღიარა — „მერანი" ილია ორბელიანის (პოეტის ბიძის) შამილის მიერ დატყვევების გამო დავწერეო. ვაჟა ფშაველა სულ უბრალო ფოლკლორულ ფრაგმენტებზე გენიალურ პოემებს წერდა.* სრულიად ბუნებრივია, თუ ილია ჭავჭავაძესაც ყაჩაღ გაუბარაშვილთან შებვედრის შემდეგ პროტოტიპად იგი ჰყოლოდა, როცა თავის პოემას წერდა, მაგრამ აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ კაკოს სახეში გაუბარაშვილი იმდენად გამჟღავნდებოდა, რამდენადაც რომელიმე კახელი მემამულე ლუარსაბ თათქარიძეში. დიდი მწერლებისათვის პროტოტიპი ბიძგი ან სტიმულია და არა ტრაფარეტული თარგი, რომლითაც ტანსაცმლის მასალა უნდა გამოიჭრას. ასე წარმოგვიდგება „კაკო ყაჩაღის" პროტოტიპის საკითხი, რასაც მხოლოდ დამხმარე ხასიათი აქვს და არა ქვაკუთხედისა.

პოემის ძირითადი აზრია ბატონყმობის, როგორც სოციალური წყობის, საშინელებათა ფონზე მკითხველს შთააგონოს ამ ბარბაროსული ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობა. თუ პოემაში უშუალოდ არაფერია ნათქვამი — ბატონყმობა უნდა მოისპოსო, სამაგიეროდ, აღწერილი ტრაგიკული სურათები ამ დედააზრს გულისხმობენ, ბოლო ეპიგრაფად მოტანილი უკვდავი სიტყვები რუსთაველისა, პირდაპირ ამჟღავნებენ ავტორის ძირითად იდეას. ილიამ შემთხვევით არ მოიტანა დიდი სულმნათის ქადაგება:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღეწიან, შომიგონებენ, დამლოცვენ მოვეგონები".

რუსთაველის „ათავისუფლე მონები" ილიას ჭაბუკობიდანვე შთააგონებდა ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გლეხთა გათავისუფლებას. ეს იდეა, როგორც არაერთგზის მითითებული გვაქვს, გასული საუკუნის 60-იან წლებში არამარტო მომწიფებული იყო, არამედ, პრაქტიკული გადაწყვეტის ზღურბლს ებჯინებოდა. მხატვრული ლიტერატურაც, რუსეთსა და საქართველოში, თავისი ყველაზე საუკეთესო წარმომადგენლების სახით, ხსენებულ იდეას ემსახურებოდა. ილიას პოემაც ამ კეთილშობილური მიზნით იყო შთაგონებული და ეპოქალური მნიშვნელობა მიეცა.

პოემა იწყება უმნიშვნელოვანესი ექსპოზიციით, რომელშიაც სამშობლო ქვეყნის ბუნებრივ სილამაზესთან ერთად მისი ღრმად დამარხული კაეშანი იხატება:

---

* ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები", ტ. I, 1958 წ., გვ. 149—150; „კრიტიკული ეტიუდები", ტ. II, 1955 წ., გვ. 316—348.

„საშობლო ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა, —
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ღამის გუშაგი, მუდამ მჭმუნავი
მთვარე მეფურად, მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა — მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა.
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ყველას ეძინა, ღრით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დაღლილა მიწაც და ცაცა,
მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიკრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს, სიმღერას დაჰღუღუნებდა.
ღუღუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ქარი“.*

ეს „მ წ უ ხ რ ი ს ზ ე წ ა რ ი“, რომელიც სამშობლოს ცაზე ბნელად გაშლილა, არაჩვეულებრივად ძლიერი ალეგორიაა, ასე ფართოდ, თან ასე დიდი სიმართლით რომ გამოხატავს საქართველოს იმდროინდელ ტრაგიკულ სინამდვილეს. მთელი ექსპოზიცია, „მწუხრის ზეწრიდან“ დაწყებული, ექსპრესიული სისწრაფით ვითარდება, აღებულ ბუნებრივ ტონს ბოლომდე ინარჩუნებს. რომ თავიდანვე ღრმად გვაგრძნობინოს ქვეყნის საერთო განსაცდელის ფონზე მომავალ უბედურებათა სიმძიმე. თითქოს ყველაფერი მოძრაობაშია მოყვანილი, მაგრამ ყველაფერს რაღაც იდუმალი კავშირი შეუკრავს უბედურებასთან, რომელიც ქვეყნად მოვლენილა. ღამეც მწუხარეა, თუმცა მოკამკამე ვარსკვლავები მხიარულობენ, ალაზანი მოთქვამს, თითქოს ადამიანებს ემდუროდეს, — რაზე? ვინ იცის, განა ცოტა იყო სამდურავი და სავალალო? მთაც დაფიქრებულია და ალაზნის ბუტბუტს ყურს უგდებს, თითქოს ასწონ-დასწონიდეს მის ჩივილს; მიწაც და ცაც თითქოს დაღლილა ქვეყნის უბედურებით; მეურმე მოსთქვამს „მწუხარის სიმღერას“, რომელიც „გლოვის ზარს“ წააგავს; ეს სიმღერა, მართალია, დაჩაგრულ ადამიანს ნაღველით უვსებს გულს, მაგრამ მისი უკუ-ჰყრაც შეუძლია, როგორც ქარს ღრუბლებისა.

და ამ საერთო მღელვარება-გარინდების ფონზე პოეტი უეცრად, სრულიად

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 147—148.

მოულოდნელად, შემოაგელვებს მ ხ ე დ ა რ ს, რომელმაც „ტყიდამ ასკუპა ცხენი“, მივარდა ურემს „მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი“. იგი ეძებს კუდი-გორის გზას, მ ე უ რ მ ე ც ასწავლის, მაგრამ თან აფრთხილებს: საფრთხე რამე არ დაგემართოს, ბ ღ ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ი ის იმყოფებაო. მე გატყობ „შენც კი გაქვს მკლავი“, „ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები“, მაგრამ თავი თუ გებრალება, მას ნუ დაენახვები, შენს ქურან ცხენსაც ნუ დაანახვებ, თორემ „ის ბიჭი“ ბეურს განანებს, ვინაიდან „მალია, როგორც ხირიმის ტყვია და ტყვიასავით დაუნდობელიო“. თუ სისხლი გმართებს, უმჯობესია შეარჩინო და განზრახვაზე აიღო ხელიო.

მაგრამ მეურმის ამ გამაფრთხილებელ სიტყვებს მხედარი ყურადღებას არ აქცევს: შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე სწორედ ბ ღ ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ს ვეძებ, მეც მისებრ „მიღრინავს გული“ და ამიერიდან თავზეხელაღებული ისე ვიცხოვრებ, როგორც ის ცხოვრობსო.

წარმოთქვა თუ არა ეს სიტყვები, მხედარმა უმალ გააქროლა თავისი ცხენი, ხოლო მეურმე, ყმა გლეხი-კაცი, რომელიც ტანჯვის უღელშია შებმული, თავისთვის წაიდუდუნებს — „ახ, ნეტავი შენ!“ ამ სიტყვებით იგი არამარტო შენატრის „თავზეხელაღებულ მხედარს“, არამედ, შურსაც გამოხატავს, შურს, რომელიც ერთის მიერ თავისუფლების მოპოვებითა და მეორის (თვით მეურმის) ისევ მონობაში დარჩენით არის გამოწვეული. ეს გრძნობა პოემა კიდევ უფრო საცნაური გახადა ჩვენთვის, როცა მეურმემ გზა გააგრძელა და „უფრო მწუხარედ თვისი სიმღერა დაიღუღუნა“.

აქ არსებითად უნდა მ თ ა ვ რ დ ე ბ ო დ ე ს პოემის პირველი თავი. მაგრამ ახალგაზრდა ავტორი ასე არ მოქცეულა. მას ექსპოზიცია უნდა დაემთავრებინა სიტყვებით — „უკუ-ჰყრის კიდეც ვით ღრუბელს ჭარი“, ხოლო პირველი თავი დაეწყო სიტყვებით: „მიდის მეურმე...“ მეორე თავი უნდა იწყებოდეს იმის აღწერით, რომ „კუდი-გორასთან ერთი ტყე არი“... შეიძლებოდა ასევე თავებად დაეყო პოემის დანარჩენი ნაწილები, მაგრამ პოეტმა ამჯობინა, მეტი გამოკვეთილობის მიზნით, პოემა გაეშალა დ ი ა ლ ო გ ე ბ ი თ, ხოლო ავტორისეული ტექსტისათვის ც ა ლ კ ე გ ა მ ო ყ ო ფ ა არ მიეცა. ამით მან შეინარჩუნა ფაბულის ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს გვერდით თვით პოემის მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა და ნაწარმოები ისე წარმოგვიდგინა, როგორც ერთი ამოსუნთქვით დაწერილი. ეს გზა პოემის ა რ ქ ი ტ ე ქ ტ ო ნ უ რ ი აგებისა ჩვენ სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია, ვინაიდან, ზემოთქმულის გარდა, ნაწარმოებში მიღწეულია დიდი ე ქ ს პ რ ე ს ი უ ლ ო ბ ა.

ექსპრესიულია, როგორც მხედრის პირველი გამოჩენა პოემაში, ისე გადასვლა კუდი-გორის მთასთან მდებარე, ტყის აღწერაზე. ამ ტყეში, რომელიც „უწინ ყაჩაღის იყო საფარი“, კ ა კ ო ბ ღ ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ი ცხოვრობდა. ტყე იყო „საშიში, ბნელი, გულდახურული, შეუვალი და წამობურული“. ასეთ ადგილებს ირჩევდნენ საცხოვრებლად ის ადამიანები, რომლებიც ძალმომრეობასა და მონობას გაურბოდნენ, ყაჩაღად გავარდებოდნენ ხოლმე, რათა ჩაგვრით ამბოხებული გრძნობა შურისძიებით დაეკმაყოფილებინათ.

ერთი ასეთი ყაჩაღი გახლდათ კ ა კ ო ბ ღ ა ჭ ი ა შ ვ ი ლ ი, რომლის ცხოვრებას პოეტი სამი ასპექტით, სამი ფორმით გვაცნობს: 1) ავტორისეული დახასიათებით, 2) თვით გმირის მოთხრობით და 3) ზაქროს (მხედრის) პარენფირსით. იმ დროს, როცა ჩვენთვის უკვე ცნობილი მხედარი, რომელსაც ზ ა ქ რ ო

ჰქვია, კუდი-გორის ტყეში შევიდა, მთვარე დიდი ხნის ჩასული იყო. „ბედისგან მწარედ განაწირალ“ კაკოს ხის ძირას „ფრთხილად ეძინა“. მის შორი-ახლო ლაპარაკში. კაზმ-მოუხდელი ცხენი ბალახს სძოვდა. ყაჩაღთან შეზრდილ პირუტყვს თითქოს პატრონის სიფრთხილეც შეუძენიაო, „მას ფოთოლნიც მოშრიალენი ისრად უფრთხობდნენ მოსვენებასა“. ამიტომ მკითხველსაც სჯერა, რომ ზაქროს მოახლოება პირველად ამ ერთგულ პირუტყვს უნდა გაეგო, პირველი შეკრთომისთანავე მან „აცქვიტა ყურნი, თავი აიღო და გაიხედა; მერე ტრიალით იწყო ფრუტუნი და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა“. დიდი ხნის შემდეგ, როცა მოესმა „თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა“, ვეღარ მოითმინა, „დაიხვიხვინა და პატრონს ძილი დააფრთხობინა“. ლომივით წამომხტარი კაკო უმალ თოფს შეაყენებს და მხედარს შესძახებს: „მითხარ, ვინა ხარ შენა? რისთვის მოსულხარ. — მოყვრად თუ მტრადა?“ როცა მხედრისაგან გაიგონებს — „მოყვრადო“. მაშინ კაკო უპასუხებს: „თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა! კეთილი იყოს ჩვენი გაცნობაო“.

მკითხველი ისე გატაცებით კითხულობს პოემის ამ ადგილს, რომ იგი ალბათ ვერც დაეჭვდება, თუ რამდენად სწრაფად ხდება ყოველივე ეს, და თვით ავტორის მიერ დახასიათებული კაკო, ესოდენ ფრთხილი, წინდახედული, ეჭვიანი, ფიცხი (დააკვირდით, ცხენიც ფრთხილი ჰყავს), როგორ სწრაფად, თითქმის ეჭვმიუტანლად ენდობა და უმალ მიიღებს მეგობრად მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს — ზაქროს. შეიძლებოდა აქ შენიშვნა გაგვეკეთებინა ახალგაზრდა ავტორისათვის, რომ მისი გმირის ფსიქოლოგიური ბუნება (სიფრთხილე, ეჭვი), აქ, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, აღარა ჩანს, გამჭრალია. კაკო ერთი სიტყვით — მოყვარე ვარო — კმაყოფილდება და უცნობ კაცს გამარჯვებას ეუბნება, ჩვენი გაცნობა კეთილი იყოსო, რასაც ყაჩაღის უაღრესად ფრთხილი ბუნება ასე ერთბაშად ვერ დაუშვებდა. მაგრამ მკითხველი ამ ერთგვარ ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას ვერცა გრძნობს. ვინაიდან პოემა, კერძოდ, ნაწარმოების ეს ადგილი არაჩვეულებრივი ექსპრესიულობით ვითარდება, მდგომარეობა დაძაბულია, სათავგადასავლო ამბავი ძალიან საინტერესოა და ამ „დეტალს“ ყურადღებას აღარ აქცევს. მისთვის ამჯერად მთავარი ხდება დრამატიზმის გარეგანი მხარე, მისი განსაკვის სიჩქარე. მით უფრო, რომ ავტორმა ყოველმხრივ გამართლებული. კონკრეტული სიტუაციის შესაფერი გაგრძელება ჰპოვა.

როცა ზაქრო პირველივე კითხვის შემდეგ გაიგებს, რომ მის წინ კაკო ბღაჭიაშვილია, და ყაჩაღი ეკითხება — „რა გნებავს შენა?“, — ალტაცებით შესძახებს: „შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი, შენთან ყოფნა და შენთან დარჩენაო“. ეს უკვე სავსებით გამართლებული, სიტუაციასთან ორგანიულად შერწყმული და სიტუაციიდან ბუნებრივად გამომდინარე პარენფირსია. ამას ემატება მომდევნო დიალოგი, რომელიც ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებულ დაეჭვებას აქარწყლებს. ზაქროს პარენფირსი კაკოს ათქმევინებს თანხმობის სიტყვებს — „მომწონს ეგ სიტყვა.... შენც მომეწონე და ამისთვისაც გენდობი შენა“, ხოლო თვით ზაქროს პასუხი — „გულს გული იცნობს და ღონეს — ღონე, მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა“ — უკვე სავსებით სპობს პირველივე აჩქარებული ნდობის ფსიქოლოგიურ შეუსაბამობას.

აქედან იწყება კაკოს ის შესანიშნავი აღსარება, რომელშიაც ავტორმოთხრობის სახით ძალიან კარგად არის მოცემული მისი ცხოვრების ღირსება-

ნაკლოვანებები. რადა ღირს მარტო იმის შეგნება, რომ ყოველგვარ ტანჯვას გაუძლებს ადამიანი, თუ მას მინიჭებული აქვს თავისუფლება. ამ დიდებულ აზრს კაკო შემდეგი სიტყვებით გამოხატავს: მართალია, ყაჩაღის ცხოვრება აუტანელი ტანჯვაა, უსახლკარობა, შიში, შიმშილი, ტყეში მარტოკა მხეცივით ყოფნა, მუდამ ფხიზელი ძილი იარაღით ხელში, — ყოველივე ეს ყაჩაღისაგან განუყრელია, „მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება, სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონიო!"... პიროვნების თავისუფლების უდიდეს ღირსებათა უკეთესი დახასიათება ალბათ ძნელი იქნებოდა. ეს იყო თავისუფლება, რომელიც არამარტო ბატონყმობისაგან თავდახსნას გულისხმობდა, არამედ, თავისუფალი ადამიანის ყველა უფლებათა გარანტირებასაც.

მაგრამ მოვიტანოთ თვით კაკოს სიტყვები, რომლებიც მის პიროვნებას ისევე კარგად გაგვაცნობს, როგორც ტყეში გაჭრილი კაცის ცხოვრებას:

„—ხოშ-გელდი, ძმაო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
გაშლილია არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
ყოველ ხის ძირას ჩემი საბლია,
სად მიღამდება, იქ მითენდება;
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება...
უსახლ-კაროშა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელსავით ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე-და-ღამ ხელში. —
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!..
მე თანა მყვანან რკინისა ძმები:
ჩემი სიცოცხლე, დამბაჩა, ხმალი...
არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზრდილა,
მოუდრეკია როგორც რომ ყინი;
ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა,
გამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მიეანდე ჩემი ცხოვრება!
არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
და კაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დაკვდეს ერთგულებს ზედა.
ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა". *

ამ ერთგულებით ეპატიჟება კაკო ყაჩაღი თავის ახლადშეძენილ მეგობარს — წამო, ჩემს ბინას გიჩვენებ, ღარიბულად დაგიხვდები, მაგრამ თუ დამძრახავ, თუ „მასპინძლად ვერ მოგეწონებიო".

მეგობრები მიდიან „ბინაში" — ხის ძირას, ერთხელ კიდევ მდუმარედ

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 150—151.

სინჯავენ ერთმანეთს, ბოლოს კაკო დაარღვევს მყუდროებას და ზაქროს შეეკითხება: ნუ გამიწყრები, მაგრამ მინდა გკითხო—„საიდამ გეცნაურები? ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინაო?“.

ზაქროს პასუხი ბატონყმობის უღელში შებმული გლეხკაცის მთელ ოდისეას და თვით პოემის დედაბოძს წარმოადგენს. ამ პასუხში ჩვენ აგრეთვე ვგულისხმობთ ზაქროს მამისა და ბატონის დიალოგს, ვინაიდან ეს უკანასკნელიც მისი მოთხრობაა, მისი საშინელი თავგადასავალია.

ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ პოემის ამ ცენტრალური ადგილის დახასიათებას, რომლის კვანძი მოულოდნელად იხსნება იქ, სადაც ზაქრო ჰკლავს თავის ბატონს.

მაგრამ დავიწყოთ თავიდან. კაკოს კითხვაზე, — საიდან მიცნობო,— ზაქრო ეუბნება: შენი გაცნობა ძნელი არ არის, რადგან შორსა გაქვს სახელი გავარდნილი, ბავშვიც კი გიცნობს, ყველა შენზე ლაპარაკობს, კაცი და ქალი, ვისაც ენა აქვს — ყველა გაქებს, შენი ამბავი, დღეს მართალი, შვილიშვილებს ზღაპრად მიუვათო. ეს დიდი სახელი კაკომ იმით მოიპოვა, რომ იგი მძარცველი კი არ არის, ბედისაგან დაჩაგრულ გლეხკაცთა მოყვარე და დამცველია. ზაქრო ასე ახასიათებს კაკოს პიროვნებას:

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცეხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
პარაქალა მაგ გულკეთილობას....
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს —
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს, —
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“*

უსამართლობას კაკო უფრო ადრე გაქცევია, ვიდრე ზაქრო; ისინი ორივენი მისი მსხვერპლნი გამხდარან; და თუ პირველი ბედისაგან დაჩაგრული გლეხკაცის მოსიყვარულეა, მოძმეა, მეორეს უკვე იდეალად დაუსახავს ყოველივე ეს, ეტრფის მას, და ამგვარად. ერთი ჰირის მონაწილენი აზრითაც გაერთიანებულან. ასეთ ადამიანებს, უსამართლობით დაჩაგრულთ, მაგრამ განდეგილობაშიც ძალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლებს, ცხადია, არსენა ოძელაშვილის მაგალითი იდეალად დაესახებოდათ და ზაქროც ქება-დიდებას უძღვნის მას, როგორც დიდ წინამორბედს. ამ მხრივ შეიძლებოდა არსენა მიგვეჩნია კაკოსა და ზაქროს დროით შორეულ, მაგრამ სულით ახლო პროტოტიპად. არსენასაც, ზაქროს სიტყვით, გლეხკაცი ძმასავით უყვარდა, გლეხკაცის „ბედი, ჭირი და ლხენა, შვილსავით კალთით უტარებია!“ კაციც ისა ყოფილა, ქუდიც მას ჰხურებია, ნეტავი მის დედას, ვინც ძუძუ აწოვა — ასეთ შვილს, ბევრიც რომ ინატროს, ეხლანდელი დედა ვერ გაზრდისო, — ამბობს ზაქრო. ეს თვით ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაა და სიტყვები — „მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს, ეხლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოსო“, შეიძლება ბევრს პასეისტურ შეხედულებად მოეჩვენოს. მაგრამ ამ აზრს არავითარი საერთო პასეიზმთან არა აქვს. პასეიზმი ნიშნავს წარსულის ისეთ გაიდეალებას, როცა იგი აწმყოსადმი მტრული დამოკიდებულებით არის ნაკარნახევი. ამგვარი ურთიერთობა ილიას არც წარსულთან, არც

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. I, 1937 წ., გვ. 152.

აწმყოსთან, მით უფრო მომავალთან არ ახასიათებს. ჩვენს მიერ მოტანილი სიტყვები შთაგონებულია, პირველყოვლისა, აწმყოსა და მომავლის სამსახურის იდეით, აწმყოს შეცვლისათვის ზრუნვით და პასეიზმთან არავითარი საერთო არა აქვს. საერთოდ, ილიას პასეიზმი არსად არ ახასიათებს და იგი ისე დაშორებულია მას, როგორც ცა — დედამიწას.

მაგრამ ისევ ზაქროს შივუბრუნდეთ. ვიდრე საშინელი ტრაგედია უშუალოდ დატრიალდებოდა (ბატონის მიერ ნაცემი ზაქროს მამა როზგების ქვეშ სულს განუტევებდა), რასაც შედეგად მოჰყვა თვით ბატონის მოკვლა, აზრი კაკოსთან მისვლისა, მაშასადამე, უაჩაღად გავარდნისა, ზაქროს არსებაში დიდი ხნით ადრე მწიფდებოდა. „ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი, შენი ცხოვრება მენატრებოდა; შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი, მაგრამ სახლ-კარი მენანებოდაო“. ჯერ კიდევ მწყემსად ყოფნის დროს მას „არსენობა ენატრებოდა“. ამ სიტყვებით ნათელი ხდება, რომ მამის ტრაგიკულ აღსასრულამდე ზაქროს ბევრჯერ უნატრია არსენას დამსგავსებოდა, კაკოსთან გაჭრილიყო და მის გზას დასდგომოდა. თუ რატომ, სულ ადვილად ხვდება მკითხველი, როცა წარმოიდგენს ბატონყმობის უღელქვეშ ზაქროს ტანჯვა-წამებას. მისი ცხოვრების ტრაგედია ბავშვობიდანვე იწყება, რასაც ზაქრო დაწვრილებით გადმოგვცემს. ბატონყმობის დროინდელი კანონების მიხედვით, ყმა-გლეხის შვილი ვალდებული იყო ადრე დაეწყო ბატონის სამსახური. ეს ხვედრი არც ზაქროს ასცდენია:

„მაშინ თორმეტის წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დაეღონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ჭლხინობდნენ, და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!...
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა,
ჩემს ამხანაგებს გაეკცეოდი,
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი“.*

ვინ იცის რამდენი ტანჯვა, რამდენი ცრემლი, რამდენი სევდა თან ახლდა ზაქროსა და მასავით პატარა ყმა-გლეხის შვილებს, როცა თორმეტი წლის ასაკიდანვე სახლს მოაშორებდნენ, ძროხების მწყემსად თავს უკრავდნენ, ტყე-ველად ბედის ანაბარა მიატოვებდნენ. მაგრამ ადამიანში თავდაცვისა და არსებობისათვის ბრძოლის ინსტინქტი იმდენად ძლიერია, რომ ყოველგვარ განსაცდელს ეგუება, გადაიტანს ხოლმე. ასევე დაემართა პატარა ზაქროსაც. „ღრუბელმა გადაიარა, თან გადიტანა“ მისი ნაღველი; იგი შეეჩვია თავის ყოფას, კიდევაც ილხენდა, კიდევაც იმღეროდა, სახლ-კარზედაც კი აღარა წუხდა, აღარ ღონდებოდა.

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 152—153.

აქედან იწყება თემატიკურად პოემის თავისებური ეკლოგები. რომლებიც ისე მშვენივრად, ისე მიმზიდველად, დიდი რეალისტური გრძნობით არის დაწერილი, რომ ჩვენ შეგვიძლია მხატვრული ძალით, პოეტური უშუალობითა და გამომსახველობით, რომელიც გნებავთ ყველაზე საუკეთესო ბუკოლიკურ ლექსებს გავუტოლოთ. მაგრამ ნამდვილი ეკლოგა, პოეზიის ისტორიაში ცნობილი ბუკოლიკური ლექსი ეს არ არის. ბუკოლიკური მხოლოდ ზოგადი თემაა—მწყემსის ცხოვრების პოეტური აღწერა, რასაც არა აქვს არც თეკრიტეს, მოსხისა და ბიონის, არც ვირგილიუსის ბუკოლიკური ლექსებისათვის დამახასიათებელი იდილიური წარმოსახვა".* მით უფრო ვერ მოვიხსენიებთ იტალიელი პოეტების — სანაძაროსა და ტორკვატო ტასოს ბუკოლიკურ პოემებს. როგორც „არკადია", ისე „ამინტა" სავსეა პასტორალებით. აქ არც პასტორალია, როცა მწყემსის ცხოვრება უმტკივნეულოდ წარმოისახება. როგორც ბუნების ლაღი შვილისა, რომელსაც სოციალური იერარქია არ ტანჯავს. პასტორალში მწყემსის ცხოვრება ყოველთვის შელამაზებულად და ამდენად იდეალურად იხატებოდა. აქ კი სოციალური ტანჯვით გამორჩეული საშინელი იძულება, ჩაგვრა და ცრემლებია. ხოლო თუ ზოგჯერ მწყემსის ბედთან შერიგებული განწყობილება გეხვდება, მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ. ეს არის ადამიანის ძლიერი ინსტინქტი თავდაცვისა და არსებობისათვის ბრძოლისა. რაც მას აჩვევს ყოველგვარ განსაცდელს შეეგუოს და გადაიტანოს. ნურც ის დავივიწყდება, რომ სწორედ 60-იანი წლების ლიტერატურამ (მაგალითად. ჩერნიშევსკიმ) შენიშნა, თუ რა მცირე რამ არის საკმარისი გლეხის (საერთოდ ღარიბის) დასაკმაყოფილებლად, მაშინ, როცა არისტოკრატი (ჭდიდარი) მძაფრ შეგრძნებებს ეძებს და მისთვის ბევრიც უმნიშვნელო ხდება.

ამით უნდა აიხსნას პოემის თავისებურად ბუკოლიკურ სცენებში ზაქროს კმაყოფილება, რომ შეჩვევის შემდეგ მისთვის დღეები „ტკბილად" და „უდარდელად" მიდიოდნენ. მკითხველისათვის ნათელია. თუ რას წარმოადგენდნენ ეს „ტკბილი", „უდარდელი" დღეები: ძროხის მოვლა. ღამით მისი ყარაულობა, დაბინდებისას ნახირის თვლა. შემდეგ ტყის პირას ცეცხლის დანთება. საგზალი, ახალგაზრდების ხუმრობა, სიცილი, ძილის წინ ზღაპრები. ესაა მთელი მათი ბედნიერება, რომელიც მეორე დღეს, დილით ადრე. „ტკბილი ძილის" დაფრთხობით იწყება. ყველა ზლაზვნით მიაშურებს თავის ძროხას. მთა-ბარი იღვიძებს. „ზოგი იქ მიდის თექა-მოსხმული და მიიფშვნიტავს ზარმაცად თვალსა". ზოგი „მიიმღერს დაღონებული" და ძროხას მიერეკება. მწყემსები იკრიბებიან „ცივ წყაროზე", ზეზეულად ნაყრდებიან, ლაზღანდარობენ. შუადღისას ძროხებს ალაზანში ჩარეკავენ, ხოლო საღამოს ისევ ცეცხლი, ისევ ზღაპრები, რომლებიც ზაქროს ხსოვნას სამუდამოდ შერჩნენ და რომლებმაც მას ცნობიერება გაუღვიძეს:

„ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აჭამდინა დამრჩნენ ხსოვნაში.
ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემს მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპრებისა

* დაწვრილებით ბუკოლიკურ პოეზიაზე იხ. Феокрит. Мосх. Бион. Идилии и эпиграммы. 1958 г., გვ. 3—325.

ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომალხენდა, ხან მაღონებდა.
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზლაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ღხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილღღიანი
და არსენობა მენატრებოდა".*

უკეთესი წინასწარი მოტივირება მამის გარდაცვალების შემდეგ ზაქროს ყაჩაღად გადავარდნისა შეუძლებელი იქნებოდა. აპრიორი შეიძლება ითქვას, რომ არსენას საქმით ასე ფანატიკურად გატაცებულ ახალგაზრდას, რომელსაც თავისი გმირის მსგავსად გლეხკაცი „ძმასავით უყვარს". სულ უმცირესი მიზეზი გადააწყვეტინებდა კაკოსთან მისულიყო. მით უფრო ძლიერი მოტივია საყვარელი მამის ტრაგიკული აღსასრული. ამიტომ ზაქროს მოქმედება სავსებით დამაჯერებელია და მკითხველს ოდნავი ეჭვიც არ ეპარება. რომ ასეთი ახალგაზრდა სწორედ ისე მოიქცეოდა, როგორც პოემაში ილიამ წარმოგვისახა. ამას ემატება პოეტური ნიუანსები, ზაქროს მამის ადამიანურ ღირსებათა ხაზგასმა. მშობელი ყველას უყვარს. პირველყოვლისა ეს ინსტინქტია, რასაც შეგნებულობა კიდევ უფრო აძლიერებს. შეუძლებელია არსებობდეს ადამიანი, თუ მას ელემენტარული განსჯის უნარი აქვს, და მამა არ უყვარდეს. როცა მშობელი ღირსეულია, შემკობილია თავისი მაღალი ადამიანური თვისებებით, მაშინ მისდამი სიყვარული კიდევ უფრო ძლიერია, ინსტინქტი დამშვენებულია შეგნებით განმტკიცებული კანონიერი სიამაყით. ეს არის პატივმოყვარეობა. ნორმალური თავმოყვარეობის ელემენტარული გრძნობაა, რომელიც ყოველ ადამიანში ცოცხლობს და მის გარეშე თვით ადამიანიც ვერ წარმოიდგინება. ცხოველებსაც კი აქვთ თავმოყვარეობის გრძნობა, მაგრამ მათში ეს მხოლოდ ინსტინქტის სახითაა მოცემული. ადამიანში ნორმალური თავმოყვარეობა შეგნებასთან მჭიდროდ ასოცირებულია და პოზიტიურ მოქმედებათა ერთ-ერთ მძლავრ სტიმულს წარმოადგენს. ამის შემდეგ ადვილია გავიგოთ ზაქროს შინაგანი ღრმა ტრაგედია, რომელიც საყვარელი მამის ბარბაროსულად დაღუპვამ გამოიწვია. თუ როგორი იყო ეს მამა და როგორ შეიძლებოდა ჰყვარებოდა თავის შვილს, თვით ზაქროს ნაამბობში ასეა დახასიათებული:

„მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა;
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა.
ეგრე იქნება მუდამ, მეგონა,
მადლიერად და უნაღვლოდ მამა,

* ილია ჭავჭავაძე. ტ. I. 1937 წ., გვ. 154.

მაგრამ კი ბოლოს ის დაღონა,
მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
შენც, ძამო, ვიცი გაგიგონია,
ყმის ბედი რა-ირიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში.
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ეერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“...*

რადიკალური სახით დაყენება ბატონყმობის გაუქმების საკითხისა 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთი ძლიერი მხარეა, ხოლო „კაკო ყაჩაღს“ ეს იდეა თავიდან ბოლომდე გასდევს, როგორც მისი ძირითადი ლეიტმოტივი. განა ჩვენს მიერ მოტანილი ბოლო სიტყვებიც შესანიშნავად არ გამოხატავენ ამ აზრს? — 60-იან წლებში ასე ნათლად იმის ქადაგება, რომ ყმას ბატონის ხელში ცხოვრება არ შეუძლია, რომ ისინი დაპირისპირებული, ანტაგონისტური სოციალური ძალებია — ეპოქის ყველაზე დიდ მოთხოვნას და ახალგაზრდა პოეტს პროგრესულ შეხედულებას წარმოადგენენ. ეს გაბედული ნაბიჯი ილია ჭავჭავაძემ უშიშრად გადადგა პოეზიასა (ლექსები, პოემები), პროზასა და პუბლიცისტიკაში. მას ღრმად ესმოდა თავისი დროის საჭირბოროტო, მტკივნეული საკითხები, ესმოდა და შეეძლო მათთვის დიდი მხატვრული განზოგადებაც მიეცა. მის მიერ 60-იან წლებში წარმოსახული ტიპები ცხოვრების იმდენად ღრმა ცოდნით არიან ამეტყველებულნი, თითქოს მწერალი მათ გულში იჯდეს და მათი ბედის თანამოზიარე იყოს. ერთი ასეთი ადამიანია ზაქრო, რომელიც თავის ოდისეას უყვება კაკოს: დრო მიდიოდა, მამაჩემის უბედურება ახლოვდებოდა, „ბოლოს წყაროთო საწყალს მხნეობა“, თუმცა სურვილი ისევ ძველი შერჩაო. რამდენადაც მას ღონე აკლდებოდა, იმდენად ოჯახი უკან მიდიოდა, სახლ-კარიც სულ ელუპებოდა. „გამუდმებულმა ციებ-ცხელებამ“ ჭირი უფრო მოუმატა, ოჯახს ბურჯი აღარა ჰყავდა, თუმცა ზაქრო ამ დროს ოცი წლის ყმაწვილი იყო და „კარგად შეეძლო მოვლა სახლისა“. მაგრამ ის ბატონთან იყო, მას ემსახურებოდა, „შინ კი ოჯახი“ ელუპებოდა.

ასეთი მძიმე პირობები მოხუც გლეხს აიძულებენ მივიდეს ბატონთან და სთხოვოს — ოჯახი მეღუპება, შვილი გამითავისუფლე, სამაგიეროდ, თუნდაც ჩიტის რძე გვთხოვეო. მაგრამ ბატონი როდი ისმენს თავისი გლეხკაცის სამართლიან თხოვნას. მისი სახით ილია ჭავჭავაძემ ბატონები სამარცხვინო ბოძზე გააკრა, როცა ზაქროს ათქმევინა შემდეგი სიტყვები:

„მზეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს!“**

რამდენი რამ არის ნათქვამი ამ სიტყვებით: „თავადის-შვილი კარ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 155, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე, გვ. 156, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

გი რა არის, ავი რა იყოს?!" ადვილი წარმოსადგენია, მართლაც რა მხეცი და რეგვენი უნდა ყოფილიყო ზაქროს ბატონი, რომელმაც მოხუცის თხოვნას „ბოდვა" უწოდა. როცა ეს თხოვნა განუმეორეს, თან დაჰპირდნენ: „ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე, რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ, და მერე თუნდაც ჩიტის რძე გვთხოვე, კულუხს, კოდის-პურს, გადასახადსა ერთი-ორადა მოგართმევთო", ბატონმა კვლავ მხეცურად უპასუხა:

„—ეგ რომ არ იყოს, გაექცეოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?...
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?"*

მოხუცი მამა თავს იმართლებს — ეგ ფიქრად არა მქონია, შენი რისხვაც ნუ გამიწყრება, მე მხოლოდ იმას ვამბობდი, რით გემსახურო, თუ მეც არაფერი მექნება. ხომ ხედავ, მე სნეული ვარ, ღონე და ილაჯი სულ წამერთო, მარტო დარჩენილი ვერაფერს ვაკეთებ, თორემ შვილს არ გთხოვდი. ვიდრე შემეძლო — სახლს ვინახავდი, არც ღონე დამიშურებია და არც ძალა, დღე და ღამ ოფლს ვიწურავდი, მაგრამ ახლა დავბერდი, ჯანი აღარა მაქვს, ოჯახს ვეღარ ვუვლი ერთგულად, თუმცა ღმერთი ჰხედავს, რომ ცდას არ ვაკლებ. ვიდრე ცოცხალი ვარ, გთხოვ ოჯახსა და სახლ-კარს ნუ დამიღუპავ. სიყრმიდანვე მამულს თავი ჩავაკალი, იქ დავღალე ჩემი ძარღვი და მკლავი, ჩემის ოფლით, ვაი-ვაგლახით, წვითა და დაგვით მძიმე უღელი გამიწევია, ამდენი ჯაფა მიმიძღვის ოჯახის წინაშე, „ნუთუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის, რომ უდროო-დროდ ადრე და მალე მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი? ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე, ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!"**

მაგრამ ბატონის გულქვაობას როდი შეუძლია გაიგოს მოხუცი მამის ვედრება. მისი პასუხი, ელემენტარულ ადამიანურ გრძნობას მოკლებული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია. „— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო? სადღა ვიშოვი კარგ მეძროხესა?" — აი, მისი პასუხი, რომელსაც ლანძღვა-გინებაც თან ერთვის: თუნდაც მთელი ოჯახი დღესვე დაგექცეს, შენს ზაქროს ვერ მოგცემ, შე ჭოფაკო და ჩერჩეტო, — ეუბნება ბატონი ზაქროს მამას. ეს უკანასკნელი კვლავ ცდილობს თავი შეაცოდოს ბატონს: „—მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს და შენს სახელსა მტლად დავედებიო". მაგრამ არც ეს სიტყვები მოალბობენ გულქვა ბატონს. პასუხი ისევ დამამცირებელი და შეურაცხმყოფელია: „—გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები!" აი, გრძნობა და გული ბატონისა, მისი სიტყვიერება, მისი აზრთა დენა. როცა ზაქროს მამა ისევ ცდილობს ბატონის გულს რაიმე შეასმინოს და ეუბნება — „რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო, ვინ მომაშველებს ხელს დაღუპულსა! მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო", თუ შვილს არ დამითმობ, „რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება, მიბრძანე, შენი კვნესამე, შენიო!" — ბატონი კვლავ თავისებურად უპასუხებს: „— თუნდ სულიც გაგძვრეს არ მენაღვლება, თავში ქვა იეც და ისა ჰქნიო".

ადამიანს სრულებით არ უნდა ჰქონებოდა ელემენტარული თავმოყვარეო-

---

* ილია ჭავჭავაძე. ტ. I, 1937 წ., გვ. 156.
** იქვე, გვ. 157.

ბა, რომ ბატონის მხრივ ასეთი დამამცირებელი სიტყვების გამო ერთხელ მაინც პროტესტის ხმა არ ამაღლებინა. ზაქროს მოხუცი მამაც გაბედავს და შეესიტყვება ულმობელ ბატონს: „შე დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, — რა პასუხია, როგორ იქნებაო!..“ განრისხებული ბატონი, რომელიც მიჩვეული არ არის ყმისაგან რაიმე წინააღმდეგობას. ამ სიტყვების შემდეგ უკვე ძალადობას მიმართავს: ხმა ჩაიკმინდე, შე ქოფაკო, კრინტი არ დასძრა, ძაღლო, თორემ მე არ მივხედავ შენს სიბერეს და „უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებსო...“ მოთმინებიდან გამოსული მოხუცი, როცა ხედავს, რომ ბატონის გულის ძოგება აღარაფერს არ შეუძლია, მწარე სიმართლის სიტყვებს ეუბნება თავის ულმობელ მჩაგვრელს:

„როგორ თუ ჩამჩრი!.. კაცს შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მიღუპავ,
ბებერ-კაცს ლუკმა-პური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, —
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ,
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..“*

მოხუცის ამ სიტყვებმა, როგორც ზაქრო ამბობს, „ჰქმნეს შვილის და მამის უღმრთოდ წახდენა“, არ უნდა ეთქვა ბატონისათვის სიმართლე? მაგრამ რა უნდა ექნა? განა ცოტა ევედრა თავის გულქვა ბატონს? როგორც „ცივს რკინას და ქვასა“, მისმა ხვეწნამ ბატონს გული ვერ დაულბო. ისიც კაცი იყო, ვეღარ მოითმინა „და, რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა, უსამართლობამ წრიდამ გასულმა“. ამ უსამართლობას ზედ დაერთო მხეცური ფიზიკური ძალადობა. ურჯულო ბატონი ჩიბუხის ტარით ეცა თავის მსხვერპლს. ზაქროს მამას, რომელსაც არასოდეს ასეთი შეურაცხყოფა არ განუცდია. ის, როგორც ზაქრო ამბობს, „თავის-მომწონე“ კაცი იყო, არავინ შეხებია მას ფიზიკურად, ამიტომ, მისთვის ყველაზე მტანჯველი სწორედ ეს ძალადობა იქნებოდა და ამით გამოწვეულმა „სირცხვილმა გული გადმოუბრუნა“. უძლურებას მიუხედავად, მოხუცმა თავის ბატონს ხელი შეუბრუნა. გაბრაზებულმა ბატონმა — „როგორ თუ ხელი მომიბრუნეო“, ბიჭებს დაუძახა — როზგები მოიტანეთო. წამოაქციეს სნეული მოხუცი და როზგებით სასტიკად სცემეს. „იმისი კვნესა და მწუხარება გულს მიკლავს ხოლმე რომ მაგონდებაო“ — ამბობს ზაქრო. არც უღონობა, არც სიგამხდრე, არც სიბერე. არც თეთრი წვერი არ შეიბრალეს; მოხუცისათვის არ ჩანდა „არც კაცის და არც ღვთის სამართალი“. და როცა კაკო შეიტყობს, რომ მასთან მისული მეგობარი ამ საშინელი სცენის დროს იქ იდგა, მამის უბედურებას ესწრებოდა, განრისხებული ზეზე წამოიჭრება და ზაქროს მწყრალად შეუტევს:

„— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 158—159.

მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარიყავ, ჩაგაძაღლებდი
ჯერ შენ და მერე იმ ბენს ბატონსა...
რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
როგორ სწუწუნიდნენ მამა-შენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამა-შვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აჰკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა, წადი...
შენ, ძმავ, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,
შენ დედაკაცად დაბადებულხარ,
ფუ, მაგ კაცობას!*

თავისთავად ნათელია, რომ კაკო ფიცხი, მთლიანად გრძნობებს აყოლილი ადამიანია. მისი გონება დინჯად როდი განსჯის კონკრეტულ ვითარებას. მაგრამ ვის შეუძლია მისგან გონებისა და გრძნობის ჰარმონია მოითხოვოს? ნორმალურ ცხოვრებას მოწყვეტილი და ტყეში ნადირივით გაპრილი კაცი უფრო ინსტინქტურ გრძნობებს აყოლილი ხდება; გონების კარნახი მისთვის მხოლოდ სიმშვიდეში შეიძლება არსებობდეს, მაგრამ სადა აქვს საამისო პირობები? როცა ყაჩაღად გავარდნილი ადამიანი განუწყვეტლივ შიშს განიცდის, ტყეში ამოჭრილი ნიავიც კი სულს უშფოთებს და თვითეული ფოთლის რხევა მტრის მოახლოებად ეჩვენება, — მას არ შეუძლია დამშვიდებული იყოს, იგი მუდამ აფორიაქებული და ჩახმახმომართულია. ეს მუდმივი დაძაბული ყოფნა საოცრად ავითარებს ნერვებს, მაგრამ ამავე სისწრაფით ახშობს გონებას. გრძნობები, ინსტინქტები, იმპულსები იმდენად ეუფლებიან მის არსებას, რომ ყველაფერი მათ მონად გადაიქცევა ხოლმე. ასეთია კაკოც და მას ვერავინ გაამტყუნებს, რომ ფიცხი, სწრაფი, ექსცენტრიულია. ზაქრო უფრო დინჯი, მოფიქრებული, გულდამჯდარი კაცი ჩანს. მაგრამ სრულიად უეჭველია, რომ ნადირივით ტყეში გდება, რაც მას ჯერ არ განუცდია, განუწყვეტელი შიში და მოულოდნელი სიკვდილის საფრთხე მასაც ისევე მოუწამლავს არსებას, როგორც კაკოს, მასაც ისევე ფიცხ. უნდო, ეჭვიან, გრძნობებს აყოლილ საშიშ კაცად გადააქცევს, როგორიც კაკოა. მაგრამ ის ჯერ კიდევ ნორმალური ადამიანია, ჯერ მისი გრძნობა და გონება თანხმობით მუშაობენ და შეუძლია კაკოს უსაყვედუროს კიდეც: ნუ სწყრები, მე შენ კარგად ვერ მიცნობ, ჩემს ტოლს მეც არ დაეუვარდები და ხმალშიაც არ გავეჭცევიო. აი, თვით ზაქროს სიტყვები:

„ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ ეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მოიცდე ყური:
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 159—160.

მინამ ბატონი ხელითა სცემდა —
როგორცა ძაღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ" რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი მამას მოჰკლავდნენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა, უღმრთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი,
მაშინ კი, როცა წამომიქცეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს, —
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული,
მიეარდი თოდსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თქა,
და, რომ ჰყვიროდა: „დაჰკარ, დაჰკარი!"
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიტეჭა
და შეუნგრია გულის-ფიცარი—
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამლუპველსა,
თავის-თავის და სხვის წამწყმედელსა".*

ჩვენს მიერ აღნიშნული კ ა კ ო ს ა და ზ ა ქ რ ო ს ხასიათის განსხვავება პოემის ამ ადგილითაც მშვენივრად მტკიცდება. ზაქროს არსებაში გრძნობა და გონება ერთმანეთს ებრძვის განსაცდელის მომენტში და იგი ისე არ იქცევა, როგორც კაკო: შენცა და შენს ბატონს უმალ გაგათავებდითო. ზ ა ქ რ ო თავიდანვე აღიარებს, რომ იმ მძიმე წუთებში, როცა შინაგანი ხმა ჩასძახოდა ბატონი „მოჰკალიო", რაღაც აჩერებდა კიდეც. იგი გ ო ნ ე ბ ი ს კარნახს ემორჩილებოდა, ანალიზის უნარი შერჩენილი ჰქონდა, იცოდა, რომ ბ ა ტ ო ნ ი ს მოკვლას აუცილებლად მ ა მ ი ს მოკვლაც მოჰყვებოდა. ეს შემაკავებელი არტახები კ ა კ ო ს სულ დაწყვეტილი აქვს და იგი ისევე სწრაფად მოქმედებს, როგორც გრძნობს. ზაქრო ასეთ ქმედებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს. ის მხოლოდ მაშინ ჰკლავს ბატონს, როცა მამას სასტიკად სცემენ და მიხვდება, რომ სიკვდილისაგან მისი დახსნა შეუძლებელია. შემოქმედებაში თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ი ხასიათის პრინციპი აქ, კ ა კ ო ს ა და ზ ა ქ რ ო ს მაგალითზე, მშვენივრად არის დაცული, და ამიტომაა, რომ ერთხანს განრისხებული ბღაჭია შვილი, როცა მეგობრის ბოლო აღსარებას მოისმენს, ქებით ისევე აჭარბებს, როგორც უსაფუძვლო ძაგებით ცდებოდა. იგი პირდაპირ ფ ა ნ ა ტ ი კ უ რ ი აღტაცებით შესძახებს ზაქროს პანეგირიკულ სიტყვებს და მის წინ თავსაც დაიხრის:

„შენი გამჩენის პირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხმლისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა —
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აე დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა —
ვისაც შენებრი დაჰბადებია!
ძამო, გამჩენის შენის პირიმე,
რაც წელან გითხარ, ყველა დამითმე,

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 160—161.

ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ-წინ თავი დაიღოს“.*

ამ პანეგირიკს ზაქრო მისთვის ჩვეული სიდინჯით უპასუხებს, რომ აქ საქმები არაფერია, შვილი ვალდებულია „თავისი მამის სისხლი აიღოს“. საქციელს, რომელიც მან ჩაიდინა, „იქმოდა ყოველი კაცი“, სულ ერთია, მხდალი იქნებოდა ის, თუ ვაჟკაცი. ზაქროს არ გამოპარვია კაკოს ხასიათის უკიდურესობანიც. ის პირდაპირ ეუბნება კაკოს: „ვ ი თ მ ე ტ ი ი ყ ო წ ე ღ ა ნ ძ ა გ ე ბ ა, ი ს ე მ ე ტ ი ა ე ხ ლ ა ე გ ქ ე ბ ა ო“. ორი განსხვავებული ხასიათი, ბევრ შემთხვევაში საერთო ბედის მონაწილე და აზრებითაც გაერთიანებული (გლეხკაცის სიყვარული, სიმართლისათვის ბრძოლა), აქ სრულიად აშკარაა. მაგრამ, ეს კი არ არის მთავარი. პოემის ლ ე ი ტ მ ო ტ ი ვ ი ბატონყმური ინსტიტუტის საზარცხვინო ბოძზე გაკვრა, მისი ანტიადამიანური, ანტისაზოგადოებრივი ხასიათის გ ა ბ ო შ კ ა რ ა ვ ე ბ ა და აქედან მომდინარე — მისი მოსპობისათვის ბ რ ძ ო ლ ა ა. მთელი პოემის იდეური დედაბოძი ეს არის და იგი გარკვევით ჩანს ფ ი ნ ა ლ ში, რომელიც ავტორის ღრმააზროვანი რემარკით მთავრდება. ვიდრე ამ რემარკას გვეტყოდეს, ი ლ ი ა მ ასე გადმოგვცა თავისი გმირის შინაგანი უსაზღვრო გულისტკივილი: ბატონის მოკვლამ, — ამბობს ზაქრო, — მე

„გულის ჯრილობა არ გამიმრთელა;
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა,
მამას ვერაფრით ვეღარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ შეშინოდა...
მივვარდი მამას... უსულოდ ეგდო!
შეხლი მომეკრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად გაშეშებული!..
ვაიმე, მამა მე მომკვდომიყო
როზგ-ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად!
მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად“.**

თუ მ ო ს ა გ ო ნ ე ბ ლ ა დ ჯოჯოხეთია, ცხადია, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე უფრო მეტად იყო ჯოჯოხეთი და პოემაში ეს უკანასკნელიც საკმაოდ გაშიშვლებული სახით წარმოსდგა. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ კრიტიკული რეალიზმისათვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით გვიჩვენა ფეოდალურ-ბატონყმური ცხოვრების ტრაგიკული სურათები და მკითხველს ღრმად აგრძნობინა სოციალური იერარქიის საშინელებანი. ფ ი ნ ა ლ ში მან ერთი ნაღველით ჩაიფიქრა თავისი გმირები და მკითხველებიც, როცა პოემა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„და რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დაღუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. 1, 1937 წ., გვ. 161.
** იქვე.

ამ სანუკლს შვილზედ კაცო შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღიმიც დუღდა,
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.*

ეს ბალღამი დუღდა თვით ილია ჭავჭავაძის გულშიც და ამიტომ შეიძლო მან თავისი პოეტური ნიჭი ასე მძლავრად გამოეყენებინა სოციალური უკუღმართობის გამოსაშკარავებლად და მის წინააღმდეგ საბრძოლველადაც.

შეიძლება დავაყენოთ საკითხი: რამდენად რეალურია პოემის ფაბულა, გამოხატავს თუ არა ცხოვრების სინამდვილეს, ან, იქნებ, მარტოოდენ პოეტის ფანტაზიის შედეგია და ცხოვრებაში მსგავსი რამ არა ხდებოდა?

არა, პოემაში არაფერი არ არის ისეთი, რასაც ბატონყმური სინამდვილე არ შეიცავდა. ოღ რა მძიმე პირობებში იმუშაობდნენ ყმა-გლეხები ბატონყმობის დროს, როცა „ყმისა ყველაფერი ბატონისა იყო“, კარგად არის ცნობილი არამარტო ქართული მხატვრული ლიტერატურის მიხედვით, არამედ, ისტორიული მასალებითაც.** განთქმულმა მეცნიერმა-მოგზაურმა იოჰან გიულდენშტედტმა, რომელიც საქართველოს 1771—1772 წლებში ესტუმრა, მიუხედავად ლიობისა და კეთილი განწყობილებისა ჩვენი ქვეყნისადმი, ვერ დამალა ის ფაქტი, რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში „მთელი ხალხი, მიუხედავად ეროვნებისა და სარწმუნოებისა წარმოადგენს ყმა გლეხობას... ხალხს ჩვეულებრივ ქონება არა აქვს, მან უნდა მისცეს და აკეთოს ის, რასაც მისგან მოითხოვენ ბატონები (ალბათ აქ იგულისხმება „პირველი ღამის“ ბარბაროსული უფლებაც — გ. ჯ.). შეიძლება გლეხის დაგირავება, გაყიდვა, გაჩუქება (როგორც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეშია“ — გ. ჯ.) და მას შეიძლება მოექცე სურვილის მიხედვით...“*** მართალია, გიულდენშტედტი იქვე დასძენს, რომ „...მოპყრობა (ყმა გლეხებისადმი — გ. ჯ.) არ არის სასტიკიო“, მაგრამ ეს შენიშვნა საქართველოსადმი უფრო კეთილგანწყობილების შედეგია, ვიდრე ჭეშმარიტების გამომხატველი.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილიას მხატვრული ტილო, რომელიც ჩვენ ახლა განვიხილეთ, ცხოვრების რეალური ფაქტებიდანაა აღებული, მაგრამ განზოგადებულია პოეტური ფორმებით. პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ ერთი უმშვენიერესი ნაწარმოებია ქართული განმანათლებლური მხატვრული ლიტერატურისა და მისი როლი უდიდესია ერის თვითშეგნების ამაღლებაში. პოეტური ოსტატობით, ჰუმანიზმით, იდეური მიზანდასახულობითა და მხატვრულ კომპონენტთა მთლიანობით იგი ნამდვილად ქართული მწერლობის განძს წარმოადგენს. პოემის დემოკრატიული სული ხიბლავს მკითხველს, აღუძრავს კეთილშობილურ გრძნობებს და მკვეთრად განაწყობს უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამაშია მისი დიდი სოციალური შემეცნებითი მნიშვნელობაც.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 162.

** იხ. ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებული „ბატონყმობის ფაქტიური მასალები“, რომელშიაც შემაძრწუნებელი ფაქტებია მოტანილი.

*** გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962 წ., გვ. 229.

ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ ილია ჭავჭავაძის ისეთი პოეტური ტილოს შესწავლას, რომელიც თემატიკურად სრულიად განსხვავებულია „კაკო უაჩაღისაგან". ეს არის ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული".

დ) ილია ჭავჭავაძის ისტორიული პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული"

ჯერ კიდევ „აჩრდილში" ილიამ შემოაჭროლა დიმიტრი თავდადებულის ტრაგიკული სახე, როგორც ეს პირველად შენიშნა პავლე ინგოროყვამ, და საქართველოს მძიმე წარსულზე დაფიქრებულმა დიდმა პოეტმა ღრმა გულისტკივილით ამოიგმინა:

„სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულს ჟამსა, შენ ბედის ვარსკვლავს!
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?!"*

დიმიტრის მოწამებრივი სახე არც ილიას დაუვიწყებია, მაგრამ, მხედველობაში ისიც უნდა ვიქონიოთ, რომ უკვე ხანში შესულ პოეტს ამ მხრივ უთუოდ ბევრი რამ შთააგონა „მისმა ძველმა სტუდენტობის დროინდელმა მეგობარმა პეტრე ნაკაშიძემ. (ეს ის პეტრე ნაკაშიძეა, რომელიც ახალგაზრდობის წლებში, სტუდენტობის დროს, ილიას სიტყვების თანახმად, ილიასთან ერთად ოცნებობდა საქართველოს განთავისუფლებაზე და რომელსაც ილია მიმართავს დრამატიული პოემის „ქართვლის დედის" შესავალში). პეტრე ნაკაშიძესთან მეგობრულ საუბართა უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ ილია შესდგომია პოემის წერას. პოემის ხელნაწერ დედანში, რომელიც დაბეჭდვამდე პეტრე ნაკაშიძისათვის გაუგზავნია, ილია სწერს: „ძმაო პეტრე! შენგან ჩაგონებულს შენვე გიძღვნი". პოემის ნაბეჭდ გამოცემასაც ახლავს ზედ წერილი: „ძღვნად პეტრე ნაკაშიძეს".**

ამ მოსენტების გარდა, საჭირო იქნება ზოგიერთი სხვა არსებითი ხასიათის ცნობაც გავითვალისწინოთ.

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ჩვენ დავასახელეთ ფაქტები, რომლებმაც გავლენა იქონიეს მომავალი პოეტის სულიერ განვითარებაზე. მათ შორის ერთი მთგანი თვით ილიას მოჰყავდა — მთავრის მიერ მოყოლილი ამბავი „დიმიტრი თავდადებულში" თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგო. ილიას თანამშრომელი და ბიოგრაფი გაგა უიფშიძე მიუთითებს, რომ პოემა „დიმიტრი თავდადებული" დაიწერა ჩვენი ისტორიული ქრონიკის—

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 591, „აჩრდილის" პირველი ვარიანტი, თავი XXV.

** ი. ინგოროყვა, ილიას ნაწარმოებთა კომენტარი, ილიას თხზულებათა I ტ., 1937 წ., გვ. 706.

„ქართლის ცხოვრების“ გავლენითო.* ორივე ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება და ორივე გარემოება იყო მიზეზი, რომ დიდმა ილიამ ასე ბრწყინვალე ძეგლი აღუმართა ქართველ პატრიოტს, რომელსაც მშობელი ერისათვის თავგანწირვის გამო ისტორიის ანალებსა და ხალხის ხსოვნაში მოწამებრივად „თავდადებული“ ეწოდა.

დიმიტრი ანუ დემეტრე მეორე ჩვენს ისტორიაში უაღრესად საინტერესო, გმირულსა და შთამაგონებელ მოვლენას წარმოადგენს. იგი თამარ მეფის დადავით სოსლანის ვაჟის — გიორგი ლაშას შვილის შვილია. როცა დემეტრეს მამა უღუდავითი გარდაიცვალა, უფლისწული სრულიად მცირეწლოვანი დარჩენილა. მაგრამ, როგორც ჟამთააღმწერელი** გადმოგვცემს, აბალა აენს მაინც დაუმტკიცებია მეფედ. ორივე ეს ფაქტი მომხდარა 1272 წელს, როცა დემეტრე 12 წლის ყმაწვილი ყოფილა. ვიდრე დემეტრეს მცირეწლოვანების გამო, სახელმწიფოს მართვა არ შეეძლო, მზრუნველად მისცეს აზნაური სადუნ მანკაბერდელი, რომელიც „...განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთა მთავართა მის ჟამისათა“.*** ამ განდიდებისათვის სადუნს მიუღწევია იმის წყალობით, რომ ყოფილა ენების კარგი მცოდნე (ამიტომ თარჯიმნად იყენებდნენ), ჭკვიანი და მოხერხებული.

პირველ ხანებში დემეტრეს მეფობა კარგად წარიმართა. მაგრამ შემდეგ, როცა ათაბაგი სადუნ მანკაბერდელი 1281 წელს გარდაიცვალა, მისი შვილიხუტლუ-ბუღა დემეტრემ ათაბაგად არ დაამტკიცა, რამაც მათ შორის მდგომარეობა გაამწვავა. როცა არღუნ ყაენის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო და ყაენმა თავისი მთავარი მრჩეველი ბუღა, რომელსაც ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი, დამნაშავედ სცნო, რისთვისაც სიკვდილით დასჯა, ეჴვი მიიტანეს დემეტრეზედაც. ეს უკანასკნელი უკვე თავის ნათესავ ბუღასთან კარგ დამოკიდებულებაში იყო, ხოლო ბუღაც კეთილად ეკიდებოდა ხაქართველოს მეფეს. ამიტომ დემეტრე გაჰწვიეს ყაენთან, სადაც იმ დროს მასთან იმყოფებოდა სადუნ მანკაბერდელის ვაჟი ხუტლუ-ბუღა. ამ უკანასკნელმა ყაენს ისეთი რჩევა მისცა (აფხაზთა მეფის დავითის შვილი კახტანგი მეფედ დავსვათო),რამაც ყაენს გადააწყვეტია დემეტრეს სიკვდილი. ამ რჩევის მიღებამდე ყაენი თურმე ყოყმანობდა: დემეტრე სიკვდილით რომ დავსაჯო, სხვა არავინ მეგულება მისი შემცვლელი, ხოლო თუ არ დავსაჯე, როგორ ვაპატიო ბუღას „მიმდგომსა და მზრახავსო“.**** შეთქმულება, როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, 1288 წელს აღმოაჩინეს, ხოლო 1289 წლის 12 მარტს, ჭაბუკ მეფეს (დემეტრე მაშინ 28—29 წლის იყო) თავი მოჰკვეთეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთი ისტორიული მასალა, სადაც ტრაგიზმი თლიანად პატრიოტიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული, ხოლო ტრაგიკულის ობიექტი ისეთი მიმზიდველი, მშვენიერი და სათნო ადამიანია, როგორიც დემეტრე მეორე იყო, მიიპყრობდა ილია ჭავჭავაძის პოეტურ ფანტაზიას. 1878 წელს იწერება პოემა „დიმიტრი თავდადებული“, რომელსაც ჩვენ ახლა უნდა შევეხოთ.

---

* გ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის ხსენებას, კრებულში: „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 98.

** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 151—325.

*** იქვე, გვ. 269.

**** იქვე, გვ. 289.

ეს პოემა განეკუთვნება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ისტორიულ-პატრიოტულ რკალს და წარსულის ფაქტებს დიდი სიზუსტით გადმოგვცემს. მაგრამ პოეტი არ კმაყოფილდება მარტოოდენ ისტორიული მასალის გააზრებით. მას კარგად ესმის შემოქმედის ამოცანა და ის ძირითადი პრინციპი მხატვრული აზროვნებისა, რომლის შესახებაც გოეთე ასე გარკვევით ლაპარაკობდა, როცა თავის „ეგმონტს" ახასიათებდა: „...მე რომ უგმონტი ისეთი წარმომედგინა, როგორიც ისტორიულად იყო, მისი თავისუფალი ქცევა ძლიერ უაზროდ მოგვეჩვენებოდა... რაღა საჭიროა პოეტები, თუ ისტორიკოსის მიერ თქმულით შემოვიფარგლებით? პოეტი უფრო შორს უნდა წავიდეს და შეძლებისდაგვარად მოგვცეს უფრო მაღალი, უფრო უკეთესი"...* გოეთეს ამ პრინციპს ილია სავსებით იზიარებს, თუმცა იგი არ ახდენს თავისი გმირის ისეთ გარდაქმნას, როგორი მეტამორფოზაც გერმანელი პოეტის ხელში ისტორიულმა ეგმონტმა განიცადა (გაახალგაზრდავება, ფაქტების შეცვლა და სხვ.). ილია უცვლელად ტოვებს თავის გმირს, მე-14 საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჟამთააღმწერელის ცნობებსაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღრმავებს ისტორიის სულს, პოემის გმირის შინაგან არსებას, შემოჰყავს გამოგონილი პირები (ბრმა მეფანდურე, მოხუცი თავისი შვილებით) და უმაღლეს წერტილზე აჰყავს ისტორიული ფაქტებიდან მომდინარე პატრიოტული გრძნობა.

პოემა იწყება იმის აღწერით, რომ ერთ უქმე დღეს, საყდრის წინ ჯგუფად შეგროვილია ხალხი, ხოლო იქვე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ მდუმარედ მარტო ზის „ბრმა მეფანდურე". უცებ ყმაწვილი ბიჭი თხოვნით მიმართავს ბრმას,—გვითხარი ძველი კარგი ამბებიო. მეფანდურე სიამოვნებით ასრულებს ყმაწვილის თხოვნას და ხალხს ნელი სიმღერით უამბობს დიმიტრი თავდადებულის ოდისეას.

ეს შესავალი (შემდეგ გადამუშავებული) ილიას უფრო ადრე, 60-იან წლებში ჰქონდა დაწერილი.** 1860 წელს ილიას დაუწერია ორი „მეფანდური", პირველი 1860 წელს, ხოლო მეორე, იმავე წლის 12 სექტემბერს პავლოვსკში. პირველი ლექსი უმთავრესად ბრმა მეფანდურის დახასიათებას შეიცავს, თუ როგორ დადიოდა იგი სოფლებში, როგორ უყვარდა ხალხს, როგორ უსმენდნენ ძველი, თამარის დროინდელი გმირების განმადიდებელ მის სიმღერებს და ამით ხიბლავდა მსმენელებს.*** გარდა ბრმის სახისა, პოემის შესავალში არაფერი არ არის შეტანილი, თუ მხედველობაში ზოგად იდეას არ მივიღებთ. მეორე ლექსი კი ერთგვარი ვარიანტია შესავლისა და იგი მხოლოდ გადაუმუშავებია ავტორს თავისი ნაწარმოების პროლოგად და პირველ თავად. რაც შეეხება ლექსის უკანასკნელ კუპლეტს — კიდევ კარგი ბრმა რომ ვარ, თორემ წარსულის მნახველი აწმყოს როგორ ავიტანდიო,— ილიას პოემის მეორე თავად უქცევია: ეს იდეა, ოთხ სტრიქონში გამოთქმული, გაუფართოებია, გაუძლიერებია, დაწვრილებით განუვრცია და ოც სტრიქონში მოუქცევია ახალი სენტენციით.— ცუდი დრო გვაქვს, „საწველ ფურად თავი ჩვენი გადვიქციეთ", ძველი სახელი, დიდება, ოჯახი დავაქციეთ,

---

* გოეთე, დრამები, 1956 წ., ქართ. გამოცემა, თარგმანი ვახტანგ ბეწუკელისა, შენიშვნები, გვ. 490.

** დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. პ. ინგოროყვას შენიშვნები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომში, 1937 წ., გვ. 703—704.

*** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 604.

მაგრამ გზად და ხიდად უნდა გაეცდოთ ჩვენს შვილებს, კაცურ-კაცობა აღვადგინოთ, როცა ერთი მეორის გზის გასანათებლად მზად არის სანთელივით დაიწვას. ასე იყო ძველად, ამით იყო უძლეველი საქართველო და ეს აძლევდა ძალას ამ პატარა ერს, რომ მტერს გულდაგულ დადგომოდაო.

შემდეგ ბრმა იწყებს დიმიტრის ამბავის გადმოცემას. აქ უაღრესად საინტერესოა პოეტის მიერ ისტორიული რეალიების არაჩვეულებრივი სიზუსტით გამოყენება თვით გმირის გარეგნულ აღწერაში. პოეტი ხშირად პირდაპირ მისდევს ქამთააღმწერელს. უნდა გავიხსენოთ, რომ ქამთააღმწერელი ქებით იხსენიებს დემეტრეს კარგ თვისებებს, რაც მას სელს უწყობდა კეთილად განეგო ქვეყნის საქმეები, მძიმე დროის მიუხედავად, წარმატებისათვის ბრძოლა აღმშენებლობაში. დემეტრემ „...აღაშენნა ქუეყანანი მოოსრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი, ისანთა, საყოფელად მეტეხთა ღმრთისმშობელისა“* (იგი დღემდე დგას მტკვრის პირად, ნარიყალას პირდაპირ, ცნობილია, როგორც „მეტეხის ტაძარი“). მაგრამ ერის მოჭირნახულე ბარტო ამით როდი კმაყოფილდებოდა. ღამით შემოიელიდა ხოლმე ქალაქს, განიკითხავდა ქვრივ-ობლებსა და დავრდომილებს, პირადად ახლოს იდგა ხალხთან და ხალხსაც დიდად შეუყვარებია მოამაგე. დემეტრე ყოფილა „ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წუერითა მწყაზარ და შუენიერ, თუალითა გრემან, ბეჯ-ბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქურივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხუათა კაცთა. რამეთუ აქუნდა ჩვეულება, აღიღოს საფარე და აღდგის ღამე, და მოიელის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თვისითა ხელითა მისცემდის, და ყოველთა უწყოდიან მოწყალება მეფისა, და ამისთვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვივნენ მეფესა“.** ყველა ეს ფაქტი ილიას თავის პოემაში გამოყენებული აქვს თითქმის უცვლელად. ბრმა მეფანდურე ასე ახასიათებს დიმიტრი მეფეს:

„დიმიტრი ერქვა სანელად,
მხარ-ბეჯ-პრტყელი, ტანმაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.
კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარეთ რისხვით მტრისა მსრველი,
შინ მოწყალე, ღვთისმოყვარე.
ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოიელიდა ქვრივს და ობერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.

---

* ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 272.
** იქვე, გვ. 271—272.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა —
წავა—იმას შესჩიოლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.
ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრიეი
სულ იმის დღეს ალოცულობდა".*

როგორც ვხედავთ, ბრმა მეფანდურის ამ სიმღერაში მთლიანად და ზუსტად არის გამოყენებული ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი ჟამთააღმწერელის ცნობები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამეტყველებულია პოეტურ ენაზე და ამაღლებულია ჰეშმარიტ პოეტურ ხილვამდე. პოემის მეოთხე თავიც, ერთი მომენტის გარდა, კვალდაკვალ მიჰყვება „ქართლის ცხოვრების" რეალიებს, რაშიაც შემდეგი ფაქტი გვარწმუნებს: ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, რომ ყაენობის დროს არღუნ ყაენსა და აჰმად ყაენს შორის მომხდარი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების შემდეგ, როცა არღუნმა მდგომარეობა განიმტკიცა, მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომლის დროსაც დაიღუპა დემეტრესთან დაახლოებული ყაენის მრჩეველი ბუღა. საშინელი და სასტიკი იყო ბუღას აღსასრული: „...დაესხნეს ბუღას და შეიპყრეს, და აღიღეს ყოველი სიმდიდრე მისი, და მოიყვანეს წინაშე ყაენისა, და მან მსწრაფლ ბრძანა განუკითხავად მოკლვა მისი და ძისა მისისა. და მოაკუდინეს ბუღა, და ყოველნი ნათესავნი მისნი. წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხუარასანს, და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყვიდნეს, და ესრეთ შეიქმნა კლვა და მოსრვა ნოინთა".**

მემატიანეს ამ ცნობებს ილია ზუსტად იყენებს, მაგრამ, სავსებით გოეთეს პრინციპის მსგავსად, იგი ისტორიულ ფაქტებს ისტორიკოსივით კი არ უდგება (მაშინ პოეზია ისტორიის თხრობა იქნებოდა), არამედ, ეძებს მათ შორის გამავალ საერთო სულს, რომ მთლიანობას და მეტ ეფექტურობას მიაღწიოს. ამ მიზნით იგი აერთებს ორი ყაენის — აჰმადისა და არღუნის ურთიერთბრძოლის ისტორიას ბუღას ტრაგიკულ აღსასრულთან და ბრმა მეფანდურეს ასე ათქმევინებს:

„მის დროს იყო ყაინობა,
მეფე ყაინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.
ერთხელ ყაინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გადიყენა
ნახევარი სათათრეთი.
მეფე ჩვენი ყაინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის —
კაცს შეპრჭება ძმასავითა.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 163.
** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 286—287.

შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეენი და გადგომილი;
ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ღერიდა შვილი.
დამარცხდა ბოლოს ყეენი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათთრეთის ბატონობა.
ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც ,
ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა".*

სინამდვილეში კი ისე მოხდა, როგორც ქამთააღმწერელსა აქვს მოთხრობილი და „საქართველოს ისტორიაშია" გადმოცემული: „როცა აბაღა ყაენის ძმასა და მემკვიდრეს, გამაჰმადიანებულ აჰმად ყაენს ნოინები აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არღუნი დასვეს ყაენად, აჰმადმა ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე დაიბარა ქართველი ლაშქრით. 1284 წელს აჰმადმა არღუნი თვისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრით დაამარცხა, მაგრამ აჰმადის ძლევამოსილება მალე გაქარწყლდა. ნოინები თავისას არ იშლიდნენ და მათი წყალობით არღუნი კვლავ ყაენად დაჯდა. ამავე დროს დემეტრე მეორეს საქართველოში შემოუთვალეს, დახმარება აღარ გაეწია აჰმადისათვის. ეს მოთხოვნა მეფემ შეასრულა... არღუნის ყაენობისას დემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც არღუნის უმთავრესი მრჩეველი ბუღა საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო და დემეტრე მეფეს მხარს უჭერდა ხოლმე".**

მავრამ ბუღას დაღუპვით დემეტრე მეფე განსაცდელში ჩავარდა. „ხოლო ვითარ ცნა სიკუდილი ბუღასი მეფემან, დაუმძიმდა დიდად", — გადმოგვცემს ქამთააღმწერელი. შემდეგ აღარაფერია ნათქვამი, გარდა იმისა, რომ „მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარესკისა მღვდელ-მონაზონთა, და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა. შემოკრბეს მის წინაშე. დაჯდა და ტახტსა ზედა დასხდეს ყოველნი დიდებულნი თვის-თვისად, და აღაღო მეფემან პირი თვისი და ბრძანა"...***

სულ ეს იყო, რაც ილიამ ჟამთააღმწერლის მატიანეში ამოიკითხა დემეტრეს ღრმა სულიერი განცდის შესახებ ბუღას დაღუპვასთან დაკავშირებით. მაგრამ დიდმა პოეტმა მემატიანეს ამ ძუნწი ცნობითაც საშუალება მიიღო განეზოგადებინა დემეტრეს ღრმა გულისტკივილი, ეგრძნო და გაეგო მისი პატრიოტული სულის დრტვინვა. ამ საბედისწერო მომენტს პოემის მთელი მეხუთე თავი ასე გადმოგვცემს:

„ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც...
— „რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო".

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 165—166.
** საქართველოს ისტორია, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით, 1943 წ., გვ. 225.
*** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 287.

გაუგზავნა მოციქული:
— „გამოცხადდი ჩემ-წინ შენო,
თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარ-ტუტას ვადენო“.
დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის, — იმ ღვთის-რისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.
რა ჰქმნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერ-.
დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...
— „წავალ—მომკლავს, და არ წავალ —
ამიოხრებს ქვეყანასა“.
ბოლოს ბრძანა: — „თავს მოეუყრი
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომეა, ერთხელ ჭრაო—
წესია მეფეთ ქებულთა.
ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან, —
წასვლას, თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, —
მეფის, თუ ქვეყნის დამხობას?“*

დემეტრეს ბრძანებით სასწრაფოდ შეიყარნენ დიდებულნი სამეფო თათბირზე. პოემის მეექვსე თავი სწორედ ამ თათბირის აღწერითა და მეფის სიტყვით იწყება, მაგრამ ილია, ჟამთააღმწერელის ცნობათა ერთგული, ხშირად რომ თითქმის უცვლელად მიჰყვება მემატიანეს ნაამბობს, საჭიროდ თვლის ზოგიერთი რამ გამოტოვოს. ერთი შეხედვით თითქოს მოსალოდნელი იყო პოეტს მთლიანად მოეტანა სამეფო თათბირზე დემეტრეს სიტყვა, რომელიც ჟამთააღმწერელს საკმაოდ ვრცლად გადმოუცია, მაგრამ ილიამ იცის, რომ თავის პოემას ეპიკური ხასიათი უნდა ჰქონდეს და არა ლირიკულ-სენტიმენტალური. მხოლოდ ამ მოტივით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ პოემაში დემეტრე თავის სიტყვას პირდაპირ საქმიდან იწყებს, და არა საკუთარი ბიოგრაფიის გადმოცემით, როგორც ეს ჟამთააღმწერელის თხზულებაშია. მემატიანეს ისე მოჰყავს დემეტრეს სიტყვა სამეფო თათბირზე, რომ თავდაპირველად აქცენტირებულია დემეტრეს მძიმე წარსული, ბავშვობის ხანა, როცა ის მარტო დარჩა აბაღას კარზე და სრულიად უმწეო მეფედ დაამტკიცეს მამის — ულუ დავითის გარდაცვალების შემდეგ. ჟამთააღმწერელის გადმოცემით, დემეტრეს სამეფო თათბირზე განუცხადებია: „ისმინეთ ჩემი, ყოველთა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და წარჩინებულთა სამეფოსა ჩემისათა, ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, დავშთი ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა, და ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან და უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან, და ყოვლად წმიდამან ღმრთისმშობელმან. რომლისა ნაწილადცა ვართ, და ჯუარმან პატიოსანმან, რომელი მოგუენიჭა ჩუენ მეფეთა, დამიცვა და მიმაწია ასაკად სისრულისა, და მომმადლა მეფობა,

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 166—167.

სკიპტრა და პორფირი მეფობისა, და თანადგომითა [თქუენითა] წარვმართე მეფობა, და აქამომდე მშვიდობით ჰგიეს სამეფო ჩემი. აწ განრისხებულ არს ყაენი, და ყოველი მთავარი მისი მოუწყუედიან, და აწ მე მიწოდს წინაშე მისსა. ვგონებ ბოროტის ყოფასა ჩემთუის, თუ არა წარვიდე ურდოსა. და წარვიდე მთიულეთს, სიმაგრეთა შინა, და დავიცავა თავი ჩემი, და აჰა ყოველი სამეფო ჩემი წინაშე მათსა ძეს, იხილეთ რავდენი სული ქრისტიანე სიკუდილსა მიეცემის და ტყუე იქმნების, და ეკლესიანი შეიგინებიან და მოოჯრდებიან, ხატნი და ჯუარნი დაიმუსრვიან. და უკეთუ წარვიდე ყაენს წინაშე, დასტურობით უწყი მომკლავს. და აწ სიბრძნითა თქუენითა განაგეთ საქმე ესე, რამეთუ მე ესრეთ ვგონებ: მრავალმღელვარე არს საწუთო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩუენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ, და უნებელ და მსწრაფლ თანაგუაც წარსულა სოფლისა ამისგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთუის მრავალი სული მოკუდეს და მე ტუირთ-მძიმე ცოდვითა განვიდე სოფლისა ამისგან. აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენს წინაშე, და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მე მომკლან, ვგონებ რომე ქუეყანა უვნებლად დარჩეს".*

პოემაში დ ე მ ე ტ რ ე ს ბიოგრაფიული მომენტი სრულიად გამორიცხულია, სამაგიეროდ, წინა პლანზეა წამოწეული ძირითადი საკითხი, რომელიც ბჷობის ერთადერთი საგანია. ილიას დემეტრე ასე მიმართავს დიდებულთა კრებულს:

„უბძანა თუ: — „დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.
შეიტყობდით, მომივიდა
ყეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.
თუ არ მოხვალ, მე მოვალო,
აგიოხრებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო,
ავადენ ნაცარ-ტუტასა.
თუ წაველი, თქვენც ხომ იცით.
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება".**

ე ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს თავის თხზულებაში მოჰყავს მეფის მიერ დაყენებულ საკითხზე დიდებულთა საერთო პასუხი. ილიაც პირველად დიდებულების საერთო პასუხს მიუძღვნის პრემის მეშვიდე თავს. მაგრამ, რამდენად გაღრმავებულია პოეტურ თხზულებაში ის პასუხი, რომელიც მემატიანეს ასე აქვს გადმოცემული: „ხოლო ვითარ ესმათ კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და მოძღუართა და მთავართა, განკუირდეს; თუ ვითარ დადვა მეფემან სული თუისი ერისა მისისათუის, და ესრეთ პასუხი უგეს: „არა არს ნაცვალი შენი, მეფეო. გაშოროს ღმერთმან მოკლვა თათართაგან. მოოკრდეს ქუეყანა და შვილნი შენ-

---

* ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტ. II, 1959 წ., გვ. 287—288.
** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 167.

ნი მიმოდაიბნევიან. თუ ქუეყანაცა დაშთების, რა არს ნაცვალი შენი? აწ გეზრახებით, რათა წახვიდე სიმაგრეთა მთიულეთისათა, ანუ აფხაზთასა, ვითარ ქმნა მამამან შენმან, და არა საჭირო არს განწირვა თავისა შენისა შენგან. ჩუენ ყოველნი მტკიცედ ვჰგიეთ ერთგულებასა".*

ამ პასუხში მოხსენიებული ფაქტი უ ლ უ დ ა ვ ი თ ი ს ა ისტორიული ჭეშმარიტებაა. დემეტრეს მამამ დავით ულუმ ჰ უ ლ ა გ უ ყ ა ე ნ ი ს რისხვას თავი იმით დააღწია, რომ ს ა რ გ ი ს ჯ ა უ ე ლ თ ა ნ ერთად, 1261 წელს, როცა დ ე მ ე ტ რ ე ერთი წლისაც არ იყო, ს ა მ ც ხ ე შ ი გაიხიზნა და იქ გამაგრდა. ილია ამ ფაქტს დიდებულთა საერთო პასუხში განზრახ გვერდს უვლის — საჭიროდ არ მიაჩნია თავისი პოემის ძირითადი მაგისტრალური ხაზისათვის. იგი უთუოდ დ ი ს ო ნ ა ნ ს შეიტანდა ისტორიულს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ქარგაში და ამიტომ პოემის მეშვიდე თავი ასეა ამეტყველებული:

„მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!
თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არვინ დაგვებადება.
მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო, სისხლის-მსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.
მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!
ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანებებთ,
ან შევმუსრავთ მამა-პაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაქმევ
ერსა შენსა შემნატვრელსა.
ნუ, ნუ გაქმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილის-შვილამდე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააქდიე".**

მატიანეს რომ გაჰყოლოდა, ამის შემდეგ პოემაშიც მეფის პასუხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მერვე თავი არსებითად ისევ საერთო პასუხის გაგრძელებას წარმოადგენს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ილია ალაპარაკებს ს პ ა ს ა ლ ა რ ს, ხოლო პოეტის ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებულია. შეუძლებელი იყო, მხატვრულ ნაწარმოებში კიდევ უფრო მეტად, ასეთ მძიმე კითხვაზე

* ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტ. II, 1959 წ., გვ. 288.
** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 168.

სპასპეტს — მხედართმთავარს აზრი არ გამოეთქვა. ამიტომ მეფის პასუხამდე პოეტმა სპასალარს ათქმევინა:

„—მეფევ. რაც სთქვეს, მართალია.
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, —
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!
თუნდ რომ დავრჩეთ, ვინ რას გვეტყვის,
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —
სახელიო, ან სიკვდილი.
ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი“.*

ბუნებრივია, რომ ამის შემდეგ მეფის პასუხს მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლევა. მაგრამ, ვიდრე ამ პასუხამდე მიიყვანდეს პოემის სიუჟეტურ განვითარებას, ილიას ესაჭიროება, ბუნებრივობის მისაღწევად, თვით მეფის შინაგანი არსება ჩაახედოს მკითხველი; აგრძნობინოს ის სულიერი დრტვინვა, რასაც ნაწარმოების მთავარი გმირი განიცდის, რომ მეფის პასუხი მოუფიქრებელი, ანაზდეული, უეცარი კი არ იყოს, არამედ, ხანგრძლივი განსჯისა და ღრმა რწმენის შედეგი. ამიტომ აიძულა პოეტმა თავისი საყვარელი გმირი დიდებულებისა და სპასალარის სიტყვების შემდეგ მწარე ფიქრებს მისცემოდა, დაღონებულიყო, და დიდხანს, დიდხანს „თავჩაკიდებული“ დარჩენილიყო. ყამთაღმწერელთან კი მსგავსი არაფერია; საერთო პასუხის მოსმენის შემდეგ, ყოველგვარი სულიერი გრადაციის გარეშე, პირდაპირ ვკითხულობთ: „ვითარცა ესმა მეფესა, თქუა: „თქუენ ერთგულებისა და _სიყუარულისა ჩემისათუის იტყვით, გარნა მეწყალვის უბრალო ერი. ვითარცა ცხოვარნი კლვად უღონო არიან, და არა-სადა აქუნ ნუგეშინისცემა. მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათუის ჩემისა, და არ დავიშლი ურდოს წასვლასა“.**

. მეფის ეს თავგანწირულება, მაღალი პატრიოტული გრძნობა, თუმცა ესოდენ მოკლედ ნათქვამი და მემატიანეს მიერ ესოდენ ძუნწად შემონახული, ილიამ უდიდესი ოსტატობით გამოიყენა პოემაში. მთავარი სწორედ ეს იყო, ერის ინტერესებისათვის თავგანწირვა, საკუთარი სიცოცხლის არარად მიჩნევა, როცა საქმე ეხება შენს სამშობლოს, ხალხს, მის ყოფნა-არყოფნას. ამიტომ პოეტმა ისტორიკოსის ორი სტრიქონიდან პოემის მთელი ორი თავი (მეცხრე და მეათე) დაწერა დაპატრიოტული მოტივი არაჩვეულებრივი შთამბეჭდავი ძალით გადმოსცა. პოემის ამ თავებში თავგანწირული მეფე ამბობს, რომ მას არ შეუძლია ცოცხალი დარჩეს, თუ ქვეყანა აოხრდება; ერთზე ათი რომ მოდიოდეს, მტერი ინანებდა, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ერთ ქართველზე ასი თათარი მოდის. ეიცი — ჩვენი ერთი კაცი ასსაც არ შეუშინდება, მაგრამ სიმრავლე ბოლოს მაინც თავისას გაიტანს და ქვეყანას მტერი აოხრებს: გაწყდება ხალხი,

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 168—169.
** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 288, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

სამშობლოს გადაწვავენ, ერის საუნჯეს მიანგრევ-მოანგრევენ, მკვდრებსაც კი საფლავებიდან ამოყრიან და შებილწავენ, ქალწულებს ნამუსს ახდიან, ორსულ დედებს „მუცლებს ხანჯლით დაუპობენ“, დედას ძუძუთა-შვილს კბილით დააგლეჯინებენ და უსუსურ ბავშვებზე, როგორც ძნებზე, კალოს გალეწავენ. ასე გაწყდება ხალხი, დაიქცევა ქვეყანა, ისეთი საშინელება დატრიალდება, რომ ცოდვით „ქვანიც კი ატირდებიან“:

„ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.
მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ეიცი რაში არი...
ფუ, იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...
სირცხვილს ამბობთ! — რა სირცხვილი?
მე ვეძლევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.
თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თაედადებას
მე ერთს — მთელის ერისათვის!
არა! წავალ, არ დაედგები,
დე ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა“.*

ამის შემდეგ მეფე მიმართავს მღვდელმთავარს და სთხოვს აზრი გამოთქვას: მართებს თუ არა მეფეს თავი გასწიროს ერისათვის? პოემის მთელი მეთერთმეტე თავი წარმოადგენს მღვდელმთავრის პასუხს და მასალად აქაც გამოყენებულია „ქართლის ცხოვრებაში“ შევონახული ცნობები. ყამთაღმწერელი გადმოგვცემს: როცა მეფემ დაასრულა თავისი სიტყვა, რომ აუცილებლად წავა მტრის ურდოში, რათა ქვეყანა აოხრებას გადაარჩინოს, „მაშინ განკვირვებულნი ყოველნი აღდგეს, და რქუა აბრაჰამ** კათალიკოსმან: „არა არს საქმე, მეფეო, გაწწირვა სულისა შენისა, რამეთუ მრავალთა მეფეთა მიურიდნია, და დაუცავს თავი თჳსი, აწ თუ შენ დასდებ სულსა შენსა ერისათვის, ჩუენ ყოველნი ეპისკოპოსნი ვიტვირთავთ ცოდვათა შენთა, არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნე, ვითარცა უფალი სახარებასა შინა ბრძანებს: „უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუსისათვის“. და უკეთუ ერთისა მოყუსისა[თვის] სულისა დადება კეთილ არს, რაჟამს ურიცხუთა სულთა ცხოვრება ეგოდენ სარგებელ არს“. ***

მხოლოდ ეს ერთი რჩევა მოისმინა მეფემ თავისი აზრის სასარგებლოდ და ილიამაც მღვდელმთავრის სიტყვები ოსტატურად გამოიყენა პოემაში:

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ტ. I, 1937 წ., გვ. 170.

** აბრაჰამ ნიშნავს მამათ მთავარს (იხ. ძველი ქართული ენის ძეგლები, გიორგი მთაწმიდლის ენა, ა. შანიძისა 1946 წ., გვ. 15, 51, 163).

*** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 288.

„ატირდა და მოახსენა:
— „ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.
მეფეე, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.
მეფეე, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...
ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწვია, —
მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.
ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკედავება არ დაჰკარგო
წუთის-სოფლის გულისათვის".*

აბრაჰამ კათალიკოსის აზრს მეფე სიხარულით ეთანხმება, რაც გადმოცემული აქვს ჟამთააღმწერელს: „ხოლო ვითარცა ესმნეს მეფესა კათალიკოსისაგან, განიხარა და დაასკუნა წარსლვა ურდოსა, დიდითა დიდებითა და საჭურჭლითა".** პოემაში ეს მომენტიც შეტანილია — „მეფეს ძლიერ მოეწონა მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნულიო", შემდეგ კი, რაც ჟამთააღმწერელს არა აქვს — კვლავ მეფის პასუხი, ილიას თვითონ განუპირობებია და მიუღწევია სავსებით გამართლებული ფსიქოლოგიური მთლიანობისათვის. „უფრო გათამამებული" მეფე საკრებულოს კვლავ მოახსენებს, რომ ღალატი არ შეუძლია, ერისათვის თავი უნდა დასდოს, ქვეყანას აბარებს, ვინც აქ დარჩება, და თან სთხოვს: ღარიბებს მოუარეთ, ობოლი, ქერივი, უძლური ძლიერს არ დააჩაგვრინოთ; თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს ერთიორად გადაგიხდითო.

თავდადებული მეფისა და მისი ამალის ხალხთან გამოთხოვების სცენა, რაც ასე ვრცლადაა აღწერილი პოემაში ახალი, ისტორიულად უცნობი პერსონაჟების შემოყვანით, ჟამთააღმწერელს სრულებით არა აქვს მოცემული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამგზავრებამდე დიმიტრის თადარიგს. მემატიანე მხოლოდ იმას გადმოგვცემს, რომ მტრის ურდოში მეფეს „...თანა წარჰყვა კათალიკოსი აბრაჰამ (სამეფო თათბირის ერთადერთი მონაწილე, რომელმაც დიმიტრის ურჩია — ქვეყნის გადასარჩენად თავი გაეწირა — ყაენს ჰხლეზოდა — გ. ჯ.), და განუჩინა შვილთა საყოფელი, ყოველთა მთავართა, რომელნი არა თანა წარჰყვნეს, შეევედრნა შვილნი თვისნი, და წარგზავნა რომელნიმე მთიულეთს, და რომელნიმე კახეთს. ხოლო ყრმა მცირე გიორგი*** წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს, და თვით წარვიდა ურდოსა. და ვითარ მო-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 170—171.
** ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 288.
*** შემდეგ მეფე გიორგი მეხუთე, ბრწყინვალე (მეფობდა 1314 — 1346 წლებში).

ეიდა ქვეყანასა ხუაშაგისა აჟაგის ასულისა, მუნ დახუდა ძე მისი დავით, როწელი იგიცა წარიტანა, ამისთვის რომელ უეჭველ იქმნას ყაენი, და ჰგონოს ერთგულება მისი". *

ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ყველა ამ ცნობიდან ი ლ ი ა იყენებს მხოლოდ უმცირესს: ა ბ რ ა ჰ ა მ ი ს წასვლას მეფესთან ერთად, ხოლო იმ ფაქტებს, რომ შვილები გადაშალა მთიულეთში, კახეთსა და ტაოში, პოეტი შეგნებულად გვერდს უვლის. მისი მიზანია ძლიერად გამოჰკვეთოს ნაწარმოების ცენტრალური გმირი, მთავარი იდეა, ამიტომ ისეთი ისტორიული დეტალები, რომლებიც ამ დანიშნულებას არ ემსახურებიან, ხოლო პოემაში მათი შეტანით უსაფუძვლოდ გართულდება სიუჟეტი, პოეტს უკუგდებული აქვს. როგორც მოჭანდაკე მარმარილოს ზოდს აშორებს ნაწილებს სრულყოფილი გამოსახულების მისაღებად. რა ვუყოთ, რომ ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ყველა ცნობა ისტორიისა და ისტორიკოსისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია! პოეზიას თავისი კანონები, თავისი მიზნები, თავისი ამოცანები აქვს და საკუთარ გზას ვერ გადასცდება.

ი ს ტ ო რ ი კ ო ს ს ასევე არაფერი აქვს ნათქვამი ხალხთან მეფის გამოთხოვების დროს რას გ ა ნ ი ც დ ი დ ა დიმიტრი. ისტორიკოსმა ჩვენ მხოლოდ მეფის აზრი გაგვაცნო. ი ლ ი ას კი, როგორც ხელოვანს, მხატვარს, შემოქმედს, არამარტო ა ზ რ ი აინტერესებდა, არამედ, გმირის გ რ ძ ნ ო ბ ა, გმირის გ ა ნ ც დ ა, მისი შინაგანი ს უ ლ ი ე რ ი ღ ე ლ ვ ა ც ისტორიის ანალებიდან წარმომდგარი მისი გმირი ხომ პირველყოვლისა ადამიანია და ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული. მას რომ ქვრივ-ობლები და დავრდომილები ეცოდება, ეს ხომ კაცთმოყვარეობაა, განცდაა, სიბრალულის გრძნობაა. ბუნებით ასე მდიდრად დაჯილდოებული ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ იგი უშიშარია, გმირია, თავგანწირულია, უგრძნობლად ვერ გამოეთხოვებოდა თავის ხალხს, ახლობლებს, ნაცნობ-ნათესავებს, მეგობრებს. ასეთ დროსა და ასეთ მომენტში გ რ ძ ნ ო ბ ი ე რ ე ბ ი ს გამოჩენა გმირს კი არ ამცირებს, პირიქით, კიდევ უფრო აშშვენებს, განადიდებს, ადამიანობისა და კაცურ-კაცობის შარავანდედს ადგამს.

და რა დიდი შემოქმედია ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, როცა ყოველივე ამას ითვალისწინებს ხალხთან დიმიტრის გამოთხოვების დროს, გვიჩვენებს თავის გმირს, როგორც უშიშარს, გულადს, დიდსულოვანს. მაგრამ ამავე დროს მთლიანად ადამიანური გრძნობებით სავსეს. ხალხთან გამოთხოვების დროს მეფე:

„ატირდა და ატირა
ყველა კაცი იქა მდგომი:
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხეაფრივე ლომი.
მართალს ვაქაცს ის ამშვენებს.
როცა გულთბაც ლბილია,
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია". **

---

* ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტ. II, 1959 წ., გვ. 288—289.
** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 171 — 172.

პოეტი ამ ტრაგიკული სურათის აღწერას შემდეგ ბუნებრივად იწყებს მტრის ურდოში მეფის გამგზავრებისათვის სამზადისის თხრობას. დამთავრდა ეს სამზადისიც, მოვიდა წასვლის დღე, მაგრამ ქალაქის მოსახლეობაში ხმა გავარდა: მეფე ჩვენთვის თავსა სდებს, მტრის ურდოში არ უშვებდნენ, მაგრამ თავისი არ დაიშალა — ხალხს ვერ ვუღალატებო. ამ ხმას მთელი ქალაქი გამოეხმაურა. დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი მოზღვავდა და გრიალით მიაწყდა სასახლეს.

მოზღვავებულმა ხალხმა დაინახა, რომ მეფის გასამგზავრებლად ყველაფერი მზად არის: უკვე გაუგზავნიათ ბარგი, მთელი მოედანი საცხენოსნებით. მათი მზერით თვალი ვერ ძღება. ირგვლივ ისმის „აბჯრისა და რახტის ჟღერა". განსაკუთრებით გამოირჩევა „თეთრი ცხენი არაბული", რომელიც მეფისაა, „თამამია — თითქოს ვეფხვი" იყოს; მეფის გარდა მის უზანგში ფეხი ვერავის შეედგა, ამაყი იყო, როგორც ლომი, და ნაზი, როგორც ქალი; მას ბატონის მეტი ვერავინ იმორჩილებდა. ეს პოეტური ჰიპერბოლა კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ვკითხულობთ:

„ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰკუხდა, სჩექდა, მრისხანებდა,
თითქოს ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა".

პოეტს სწორედ ამ დროს გამოჰყავს დიდებულებით გარშემორტყმული მეფე ხალხის წინაშე, მას თან ახლავან „გულმწუხარე მღვდელმთავარი" და „ჯავრით სავსე სპასალარი" — პირველი „სწუხს და ჰვაებს მეფის" თავდადებას, მეორე კი თაკილობს „უომრად დამარცხებას". მშვენივრად არის გადმოცემული მეფისა და შეწუხებული ხალხის შეხვედრის სცენა: როცა მეფემ თავისი ხალხი ასეთ მდგომარეობაში დაინახა, მასაც „გული ამოჯდა":

„უბრძანა თუ: — „რასა სწუხხართ?
იქმნას, რაც კი საქმნელია!..
ერისათვის თავდადება
მეფისათვის სახელია.
რაც მომხვა, მომივიდეს,
მე იმისთვის არ ვინაღვლო...
თქვენ ჭირს დაგხსნით,.. დღე ვიქმნე
მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო".*

კვლავ ასე ურყევი და მტკიცეა ახალგაზრდა მეფის გადაწყვეტილება. ილია კვალდაკვალ აღწერს თავისი გმირის სულიერ განცდებს და აქაც შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი პრინციპის ერთგული რჩება: მატიანეს მეფიდან დიმიტრის გვიბატავს რეალურ მეფე-ადამიანად, რომლისთვისაც არცერთი ადამიანური გრძნობა უცხო არ არის. ამიტომ გაკვირვებას როდი იწვევს, როცა ზემოთ მოყვანილი პატრიოტული სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მეფეს ხმა ჩაუწყდება, ვეღარაფრის თქმას ვეღარ ახერხებს, თვალშიაც ცრემლი მოერევა. მეფის ამ მოკმედე-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. 1, 1937 წ., გვ. 174.

ბას პოეტი სავსებით გამართლებულ, რუსთაველის პოეზიიდან მომდინარე საფუძველს აძლევს — „თქმულა: ქვასაცა მაგარსა გასტეხს ტყვის რბილი გრდემლი". და სურათიც უფრო მუქდება: მეფის მძიმე მდგომარეობის გამო

„მოემატა ხალხმაც სულთქმა
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ეში
ობლისა და ქვრივ-ოხრისა".*

ამ უაღრესად მძიმე მომენტში მეფემ თვალი მოჰკრა, რომ ბალბი შუაზე ვაირღვა და გზა დაუთმო ორ მარჯვე ბიჭს, რომლებსაც ვიღაც ბერი-კაცი, ღრმად მოხუცებული, მოეფინა წინ მოჰყავდათ. ამახვილებულ ბერიკაცს თეთრი წვერი „მკერდზედ სცემდა", ყავარჯენს დაბრჯენილს ეტყობოდა, რომ „ამ ქვეყნის აღარ იყო, ფეხი ედგა სამარეში", მაგრამ გული მაინც ადრინდელი ჰქონდა. მეფის წინ გაჩერებული ბერი-კაცი მომართავს მბრძანებელს და მოახსენებს: ნუ შემრისხავ შენს ერთგულ ყმას, მე უკვე ამ ქვეყანას აღარ ვეკუთვნი, მაგრამ სამარიდამაც ხმას გაძლევ. ვიცი, მეფე დიმიტრის გული განსაცდელს არ შეუშინდება, რაკი ქვეყნისათვის თავი გაუწირია, მაგრამ თუ შენ დაგჯარგავთ, ხალხს მზრუნველი მამა მოაკლდება, ქართველები დაობლდებიან, მაშვრალსა და ტვირთმძიმეს წუთისოფლის უღელს შენსავით ვერავინ გაუწევს, ჩემსავით უძლურს, გაჭირვებულს, დამხმარე აღარავინ ეყოლება, ლარიბი, ობოლი, ქვრივი უპატრონოდ დარჩებიან. შენ რომ გვეუბნები — „ნუ სწუხართო!", განა ჩვენ შეგვიძლია არ ვიწუხოთ, როცა ჩვენი გული დღეს ჩვენს ხელთ არ არის? გული რომ რკინა ყოფილიყო, ასეთ ცეცხლში ჩავარდნილი მაინც დადნებოდა. ნუღარ გვიკლავ გულს, ნუ გაემგზავრები მტრის ურდოში, შეაგროვე ჯარი, მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ ჩვენს მტრებს ხომ ბევრჯერ უნახავთ ქართველთა მცირე ჯარი როგორ სძლევდა მოსეულ მრავალრიცხოვან ურდოებს. აბა, მეფევ, ეს ჩემი ორი ბიჭი, მხრებში რომ ამომდგომიან, ერთმანეთზე უკეთესები, წაიყვანე! ისინი ბრძოლით გიჩვენებენ „რა ლომებს ზრდის საქართველო". შეჰკრიბე დიდი და პატარა, გაუწიე წინამძღოლობა, მტერს წინ დაუხვდი, დედა შეერთოს ცოლად, ვინც ბრძოლაში უკუ-დგეს.

მოხუცი თავის სიტყვას ასე ამთავრებს:

„ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,
ბევრი რამ გადაჰხედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.
ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევთ, დაგიხოცნეთ
სახელითა და დიდებით". **

მართლაც მშვენიერი, ამაღლებული სახეა ეს მოხუცი, რომელსაც პოეტმა ისეთი შარავანდედი დაადგა, ისეთი გრძნობე-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 174.
** იქვე, გვ. 176.

ბი მისცა, ისე გამოათქვევინა ხალხის საერთაშორისო აზრი, რომ გეგონება მისი პირით თითქოს მთელი ქართველობა ლაპარაკობდეს, ხოლო თვითონ იმდროინდელი საქართველოს ორეულს წარმოადგენდეს!

იქნებ ეს მოხუცი პოეტისათვის მართლაც ძველი საქართველოს მხატვრული სიმბოლოა, რომელიღაც ფრესკიდან პოემაში შემოსული და საქართველოს ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცლის ანაბეჭდი?

იქნებ „აჩრდილის" გრძნეული მოხუცია, რომელიც არასოდეს საქართველოს არ შორდება და მისგან მარად განუყრელია?

იქნებ არც ერთია და არც მეორე, მაგრამ ორივეა ერთად?

დიახ, ორივეა, ერთიც და მეორეც, ერის დიდების ძვალი-ძვალთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, რომელსაც მთელი ისტორია მხრებზე წამოუკიდებია, სახითაც სამშობლოს ზიარებია, რომ მისი გაბზარული სარკიდან ცოცხალ სინამდვილეში ხალხის ელპენორად გადმოსულიყო, რაკი ღრმა მოხუცსაც ჰაბუკური გული შერჩენია, რაინდულ თავგამეტებასთან ერთად. ხალხის სინიდისი, რწმენა, წარსული, აწმყო და მომავალი თავისში შეუკრავს. მის წინაშე ყველა მოკრძალებული ხდება, ხალხი გზას უთმობს, მეფე ყურადღებით უსმენს და კმაყოფილებით სავსე პასუხს აძლევს. მესმის შენი ერთგულება, მოწონების ღირსია ქართველი, რომ გულს სამარემდე გულად ინარჩუნებს, მაგრამ ჯარს მაინც არ შევკრებ, სისხლს არ დავღვრი, მარტო ჩემი სიცოცხლისათვის მტერს ათასობით ქართველს არ შევაკლავ. ჩვენი სამშობლოს ბედი ტაროსივით იცვლება და შეიძლება ისეთი დრო მოვიდეს, რომ თვითეული თქვენგანი უფრო მეტად დასჭირდეს. მე ერთი ვარ, თქვენ კი მრავალი, ამიტომ უმჯობესია ერთის მსხვერპლად გაღებით მრავალი გადავარჩინოთ, ხოლო თუ მე ერთს თქვენ ვერ მოვეტებით, მე თქვენ რატომ უნდა გაგიმეტოთ დასაღუპავად?

„მაშ რად არის მეფე მეფე?
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეგ სიკვდილი სიცოცხლეა.
არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შეჰწიროს ღვინია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.
არ დავიშლი, ვსთქვი და კიდეც
თავი უნდა გავიწირო,
ისე მოკვდე, რომ ჩემ გამო
ღედა შვილზედ არ ვატირო.
წავალ-მეთქი!.. თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.
ეჰ, რაც ჰსურდა, არ დაცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა!..

თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
ხოცვა, ქლეტა, სრვა და რბევა...
მე კი... მეყოს, თუ გამყვება
თქვენი ღოცვა და კურთხევა".*

დიმიტრის ამ უკანასკნელ სიტყვებზე, რომლებშიაც საბედისწეროდ გაისმა საბოლოო გადაწყვეტილება, ხალხი დაემხო „საკვირველი მეფის" წინ და ამ სურათმა მბრძანებელი კიდევ უფრო შეაწუხა. „მეც ვსწუხარ, როგორ გშორდებით", — გაისმა მეფის სიტყვები, — მაგრამ ღმერთსა ვსთხოვ მშვიდობით და გამარჯვებით ყოფილიყოთ; ნუ გიკვირთ, თუ ქვეყნისათვის თავს არ ვზოგავ, ყველა ამას მოიმოქმედებდა, ვისაც ჭკუა და გრძნობა აქვს; მივდივარ და გეთხოვებით ყველას, დიდსა და მცირეს. ნუ შემრისხავთ, რაც დაგაკლით, ხოლო შევინდეთ, რაც შეგცოდეთო.

ამის შემდეგ მეფე თავისი ამალით მიემგზავრება მტრის ურდოში, ხალხი კი, ერა თუ ბერი, გულებობა თუ დიდკაცობა ვაებით მისტირის.

ყველაფერი, რაც აქამდე ითქვა, ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი დ ა ნ ჩვენს მიერ მოტანილი უკანასკნელი ცნობის შემდეგ, სულ ი ლ ი ა ს პოეტური ფანტაზიითაა შექმნილი. მაგრამ არც ერთი ეს განზოგადება ისტორიულ სიმართლეს მოწყვეტილი არ არის, პირიქით, მას ეყრდნობა და მისგანვე მომდინარეობს. მხოლოდ პოემის ოცდამესამე თავიდან ი ლ ი ა ისევ უშუალოდ. მაგრამ თავისებურად მიმართავს ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს, რომელსაც შემოუნახავს კერძოდ ის ცნობაც, თუ რა ხდებოდა მტრის ბანაკში დიმიტრის მისვლამდე და რა მოხდა მეფის გამოცხადების შემდეგ.

ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი გ ა დ მ ო გ ვ ც ე მ ს: „ვითარ ჭლეს მცირედ და მიეახლნეს ურდოსა, ჰგონა ყაენმან მეფისა არა მისლვა, წარმოავლინა ნოინი ერთი, სახელით სიუქოლ, ძე ზემოხსენებულისა იასბუღასი, რათა მოიყვანოს მეფე. მგზავრ მიმავალსა მეფესა წინა დაემთხვა, რომელმან მყის აღიღო ყოველი ბარგი და სიმდიდრე მისი, და მეფე პყრობილ ყო, და მიიყვანა ყაენს არღუნს წინაშე. ხოლო მანცა პყრობილ ყო..."**

ყ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ამ ძუნწ ცნობას ი ლ ი ა ფსიქოლოგიურად ა ი თ ა რ ე ბ ს, დრამატულად ძაბავს, ამავე დროს, ბოლომდე იცავს გმირის ხასიათის თ ა ნ მ ი მ დ ე ვ რ უ ლ ა დ ჩვენების პრინციპს. ილიას დიმიტრი მტერთან პირველი შეხვედრისთანავე ყველა ზომას ღებულობს, რომ ერი გადაარჩინოს, თავისი თავი კი გასწიროს, თუ ეს აუცილებელი იქნება. დ ი მ ი ტ რ ი ს სიფრთხილე და გონიერება პოეტს ისე კარგად აქვს გადმოცემული, რომ გეგონება თითქოს მისი სხვაგვარი მოქცევა შეუძლებელიც იყო. ს უ ლ ი თ ა დ ა ხ ო რ ც ი თ მ თ ლ ი ა ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ბ ო ლ ო მ დ ე ა ს ე თ ა დ უ ნ დ ა დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ ო. ამ მიზნით ილია ჯერ კიდევ მხატვრულ ფორმაში განასხვეულებს ისტორიკოსის ცნობას, ხოლო შემდეგ გვიჩვენებს თავისი გმირის ხასიათის გაშლას ახალ, უაღრესად კრიტიკულ ვითარებაში, როცა ტრაგიკული შეუჩერებლად უახლოვდება აპოგეას. პოეტი მკითხველის ყურადღებას ძაბავს ისტორი-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1937 წ., ტ. I, გვ. 177.
** ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა, ტ. II, 1959 წ., გვ. 289.

კოსის ცნობით, რომ მტრის ურდოში მისვლამდე გმირის ბედი წინასწარ გადაწყვეტილია:

„მინამ მეფე მიმავალი
ურდომდინა მიეიდოდა,
იმისი მისულს იმედი
ყეინსა გადასწყვეტოდა.
უბრძანა თავის სარდლისთვის:
— „შეკრიბე ჯარი, ლაშქარი,
წადი, დიმიტრი მოშგვარე
ან ცოცხალი, ანუ მკვდარი;
თუ არა, იმის ქვეყანას
შეესიე და მოსრეო,
სულ ძირს დაეც, რაც წინ შეგხვდეს,
ქალაქი და სიმაგრეო“.*

მართლაც, მეფეს წინ შეხვდება მტრის დიდძალი ჯარი და მიხვდება, რომ აქ რაღაც ცუდი ამბავია. მან კარგად იცის: თუ საქმე მეფის დაპატიმრებაზე მიდგა, მისი მხლებლები თავს ვერ შეიკავებენ, ამიტომ თვითონვე მიიღო სიფრთხილის წინასწარი ზომა და ამალას უბრძანა: — შემომფიცეთ, რომ თქვენ ხმას არ გასცემთ მტერს, თუნდაც უკადრისი მაკადროს. რა გამოვა თქვენი თავდადებისაგან? სრულიად არაფერი. ტყეილ-უბრალოდ თავს დაიხოცავთ, მოზღვავებულ ჯარს კი ვერაფერს დააკლებთ. შემდეგ მტერი თქვენს სიცოცხლესაც არ იკმარებს, გაბოროტებული შეესევა ჩვენს ქვეყანას და ააოხრებს. ნუთუ ვაკაცის თაკილობას ანაცვალებთ მთელ ხალხს? ხომ გაბსოვთ ბრძენთაგან თქმული — „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“. ამიტომ კვლავ გთხოვთ შემომფიცოთ, რომ სისხლს არ დაღვრით, ამით სულს ნუ დამიმძიმებთ, განკითხვის დღეს ხომ მეფეს მოჰკითხავენ, თუ მან ყმის სისხლი უქმად დაანთხია.

მეფის ამ სიტყვის შემდეგ რა უნდა ექნათ მას მხლებლებს. ფიცი მისცეს მბრძანებელს, „სირცხვილის ჭამა ირჩიეს“, ხოლო ბევრი გულში იკრავდა ხელს და იმედოვნებდა: მტერს არ შევარჩენთ ჩვენს შერცხვენასო.

რაკი შეჰფიცეს, დიმიტრიმ ბრძანება გასცა: წადით, ჰკითხეთ, ვინ არიან ან რა სურთ? თუ მე მეძებენ, უთხარით, რომ აქა ვარ და „ჰქმნან ის, რასაც მიქადიანო“. მოციქული მალე დაბრუნდა და მეფეს მოახსენა: მტრის სარდალმა მითხრა—თუ ქართველთა მეფე ნებით დაგვნებდება, თქვენს ქვეყანას ალარას ვავნებთ, აქედანვე უკან დავბრუნდებითო. მეფეს გაეხარდა, ჩემი სისხლი ამაოდ არ დაიღვრება, ქვეყანა მაინც გადამირჩებაო. ამ აზრით შთაგონებული

„თვით წაბრძანდა სარდლისაკენ,
მას წინ შეაყენა ცხენი,
უბრძანა თუ: — „მე ვარ მეფე,
რაც გენებოს, იგი ჰქმენი“.
მისცევიდნენ უკადრისადა,
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი“.**

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 178.
** იქვე, გვ. 180.

ასე მიჰგვარეს ერისათვის თავდადებული მეფე ურჯულო ყაენს, ადამიანის სისხლის მსმელს, რომელმაც თავისი მსხვერპლი სასტიკად აწამა. რაკი ჩემს მოსისხლეს არ გადუდეჭი, შენი განკითხვის დღე დადგა — თავი უნდა მოგეკვეთოსო. მაგრამ, ვიდრე მოგკლავდე, ჩემს წინაშე შენი ცრალი უნდა შეინანო. შენვე უნდა აღიარო შენი სიმუხთლენიო. მოისმინა თუ არა ეს ვერაგული განაჩენი, ყაენის თავხედობას დიმიტრიმ გაბედული პასუხი გასცა:

„მეფემ უთხრა: — „შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაჯერს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხვნელია.
შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.
ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ, —
რად გწყალს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვაეო, რადა ხარ სვაეიო?..“*

მეფის ამ პასუხით ილია მკითხველის წინაშე კვლავ დახატა დიმიტრის მტკიცე ხასიათი, შეუპოვრობა, ქედუხრელობა და რაინდული თავგამეტება. მეფის ასეთი მოქცევა მტარვალთან დიდების კიდევ ერთი გვირგვინით მოსავს დიმიტრი თავდადებულს და მკითხველს მისადმი ღრმა თანაგრძნობით განაწყობს.

ვის არ მოხიბლავს ვაჟკაცობის ეს ამაღლებული გრძნობა?! ან ვის არ ალაფრთოვანებს ასეთი საკადრისი პასუხი ბატრისადმი, რომელსაც გული იმიტომ მისცემია, რომ მსხვერპლი კლანჭებში მოუქცევია?! გულმოსული ყაენი, რომელიც მოულოდნელ წინააღმდეგობას წააწყდა, თავის ხელქვეითებს უბრძანებს ქართველი მეფე საგვემლად და საცემად ბნელეთში ჩააგდონ. მტარვალს მეტი რა შეუძლია! მისთვის ჭეშმარიტება — უხეშ ძალაში მდგომარეობს და ამ ტლანქ ძალით განაგრძობს თავის ბატონობას. ხელქვეითებმაც სასწრაფოდ შეასრულეს ყაენის ბრძანება. დიმიტრი ბნელეთში ჩააგდეს, მცველები დაუყენეს და „კარს კლიტეები დაადეს“.

ყაენმა განზრახ გააჭიანურა ქართველი მეფის დასჯა. ასეა პოემაში და ასევეა მატიანეში. მაგრამ საფუძველი ორივე შემთხვევაში სხვადასხვაა. ილია ყაენის დაყოვნებას იმ მოტივით იხსენიებს, რომ ურჯულო ვერ ძლებოდა თავისი მსხვერპლის ცემით, გვემითა და წამებით. ეამთაღმწერელი კი გადმოგვცემს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ, რომ ყაენი დილემის წინაშე იდგა: არ სურდა ბუღას თანამოაზრე ცოცხალი დაეტოვებინა, მაგრამ დიმიტრის შემცველიც არ ჰყავდა. სწორედ ამ მომენტით ისარგებლა სადუნ მანკაბერდელის შვილმა ხუტლუბუღამ, რომელიც დიმიტრიმ ათაბაგად არ დაამტკიცა, და შურისძიების მიზნით არღუნს ურჩია: „ნუ იურვი მაგას, რამეთუ მე მოვიყვანო შვილი აფხაზთა მეფისა დავითისი, სახელით ვახტანგ, და მას მიუბოძე მეფობა, რომელ ორიე სამეფო ბრძანებასა შენსა მორჩილებდეს“. არღუნ ყაენს

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 180—181.

ეს მოღალატური წინადადება, თანაც მთელი საქართველოს ხელში ჩაგდება, ცხადია, მოეწონებოდა, ამიტომ მას ხუტლუ-ბუღა სასწრაფოდ გაუგზავნია დავით ნარინთან, შეუთვლია, რომ შენს შვილს მეფობას მივცემ, ხოლო ჩემს ასულს ოლჯათს — მეუღლედო.

ვიდრე პასუხს მიიღებდა, ყაენი თავს იკავებდა დიმიტრის დასჯისაგან. ხუტლუ-ბუღას წასვლის შემდეგ მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: „ჰკითხეს მეფესა დიმიტრის, რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხოვარი, და ყოველი საქონელი მისი. რამეთუ პყრობილ იყო თვით მეფე და მთავარნი მისნი. თვინიერ აბრაჰამ კათალიკოსისაგან კიდე, და არღარა იყო ღონე, აღწერა რაცა აქუნდა სიმდიდრე ფრიადი, წარმოგზავნეს კაცნი და წარიღეს ყოველნი. არა-რა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს. ხოლო იტყჳან ამასცა: ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუ-ბუღა და იგი, ორნივე მტერობად შეითქუნეს მეფისა. და მივიდა საჭურჭლე მეფისა ყაენს წინაშე. და გაჰკვირდა სიმრავლისათჳს, და მცირედ დასცხრა გულისწყრომისაგან. და არღა ეგრე გონებდა ბოროტის ყოფად“.*

ერთბაშად არღუნს კიდევაც გაუთავისუფლებია დიმიტრი მეფე პატიმროპობიდან. ილია ამ ფაქტს, ისევე როგორც შინაგან გამყიდველობას (დავით ნარინის თანხმობას, ხუტლუ-ბუღასა და ხოჯა-აზიზას შვილის გამცემლობას) არც იხსენიებს და არც იყენებს. მისი მიზანია მთელი ძალით წარმოსახოს დიმიტრის თავდადება, ნაწარმოებს მისცეს ღრმა პატრიოტული სული. ამიტომ უკუაგდოს ყველაფერი, რაც პოემის მაგისტრალურ იდეას დაამძიმებს. სამაგიეროდ, ილია სულ სხვა ვითარებაში იყენებს ჟამთააღმწერელის იმ ცნობას, რომელიც ერთხანს დიმიტრის „თავისუფლად“ ყოფნას ეხება. ჟამთააღმწერელი ამბობს: „და ვითარ იხილეს ვაზირთა მეფისათა ფლობილად, რქუეს: „აჰა, თავი შენი ხელთა შინა შენთა არს, ღამით მოიდგინენ ცხენნი მორბედნი და წარვედ, და განერე ხელთაგან ამათთა, რამეთუ არა არს ნაცვალი სულისა შენისა“. მაშინ რქუა მეფემან: „ისმინეთ ჩემი, რამეთუ პირველვე უწყოდე სიკუდალი ჩემი, გარნა დავდევ თავი ჩემი და სული ჩემი ერისათჳს ჩემისა. ხოლო აწ, თუ წარვიდე, უბრალო ერი მოისრას, რა სარგებელ არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყმიდო“. არა ისმინა განზრახვა მთავართა მისთა“. **

ამ ყოფაში იყო დიმიტრი მეფე, შესაძლებელია იგი კიდევაც გადარჩენოდა უბედურებას, რომ არ გამოჩენილიყო მოღალატე ხუტლუ-ბუღა, რომელმაც „...მოახსენა ყაენსა, ვითარმედ დავით მეფე წარმოავლენს ძესა თჳსსა მსახურებად შენდა და სპათა აფხაზთასა, რათა გმსახურებდენ“. ხოლო ვითარცა ყაენმან, კუალად დააპატიმრა მეფე დიმიტრი. და ვითარ გარდახდა ორი დღე. კუალად შეიპყრეს მეფე და ძე მისი მცირე ყრმა დავით ცალკე, და წარჰყვა თანა მღვდელ-მონაზონი გაზრდილი მისი მოსე. და არგნითა სცეს მეფესა, და ეგონა ყოველთა არღარა მოკლვა მეფისა, რამეთუ წესად აქუნდათ, რა არგნითა სციან, არღა მოაკუდინიან. გარნა არა დაშვიდნა გულისწყრომა მისი. წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსაც დივახნად უწოდდეს, და ჰკითხვიდეს,

---

* ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 289—290.

** იქვე, გვ. 290.

უკეთუ თანაეწამა განზრახვასა ჩინქიშან-ბუღასსა, და ვერა ბრალი პოვეს. და წარვიდა ვინმე ნოინი ყაენს წინაშე, რათა არა მოაკუდინოს მეფე, და ვერ აღასრულა სათხოველი მისი. და მოიწივნეს ათორმეტნი მხედარნი ყაენისნი, რათა წარიყვანონ და სიკუდილსა მისცენ. და ვითარ ცნა მეფემან სიკუდილი თავისა თვისისა, მხიარულითა პირითა მოიკითხავდა მთავართა საქართველოსათა. რამეთუ ყოველნი მუნ მოსრულ იყვნეს ნუგეშინისცემად მეფისა, და ხუტლუბუღაცა მდგომარე იყო მუნ. რქუა მეფემან: „უკეთუ ძალ-გიძს, ყაენს წინაშე შემეწიე სიკუდილსა ამას შინა. და თუ არა გნებავს, ძე ჩემი მცირე დაჟით იღუაწე. რათა არა მოიკლას გულისწყრომითა აღსავსისა ყაენისაგან". ხოლო მან და ყოველთა მთავართა იწყეს ტირილად, და განვიდეს გარე. ილოცა და ეზიარა სისხლსა და ხორცსა მეუფისა ჩუენისა ქრისტეს ღმრთისასა. ეგრეთ აღსუეს ცხენსა და წარიყვანეს ვითარ მილიონ ერთ. და ევედრა მტარვალთა, რათა ილოცოს მცირედ. და ილოცვიდა ცრემლთა მოდინებითა ქუეყანასა ზედა, და მერმე წარუპყრა ქედი. აჰა დღე საშინელი და ზარის აღსახდელი, რომელი იკადრებს ბილწთა ცხებულსა ზედა ღმრთისასა. და წარკუეთეს მეფეს დიმიტრის თავი.

ქამთააღმწერელის ამ ტრაგიკული მოთხრობის შემდეგ ისევ მივუბრუნდეთ ილიას პოემას და ვნახოთ, თუ როგორ აისახა ყოველივე ეს დიდი პოეტის ნაწარმოებში.

ბნელეთის წყვდიადს მიცემული, სასტიკად ნაწამები, ძალმიხდილი, უპატრონოდ და უზრუნველად მიტოვებული მეფე, ერთხელ, როცა ღონეს მოიკრებს, სალოცავად პირქვე დაემხობა ცრემლმორეული. დიმიტრი უზენაესს ევედრება შეიბრალოს იმით, რომ რაც გადაიტანა, განკითხვის დღეს მადლად არ ჩაუთვალოს. მე არ გთხოვ მანდ წამება აქ წამებით შემიმცირო, გევედრები აქ დაღვრილი ჩემი სისხლი სხვისთვის შეიწირო, ჩემი სიკვდილით ქართველი ერი დაიხსნაო.

უეცრად ბნელეთის კარი გაიღება და ორი უცნობი, როგორც აჩრდილი, წაჰებულ მეფეს მიუახლოვდება. ისინი თაყვანს სცემენ მეფეს და მოახსენებენ:

„...შევისყიდეთ
და გაეტუბეთ ქრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.
ნუღარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანღა იქნება:
ხვალ თავს გჭრიან, — ასეთო
ყაენისა თურმე ნება". **

მაგრამ, როგორც ქამთააღმწერელის ისტორიულ ქრონიკაში, ილიას პოემაშიც დიმიტრი უარს ამბობს გაიქცეს:

„უბრძანა თუ: — „ადრეც მითქვამს,
არ გადვარჩენ სხვისით თავსა,
ჩემ-მაგიერ არ დაეღუპავ
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

---

* ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959 წ., გვ. 290—291.
** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 182.

ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოპყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქ!.. ტყუილია
თათბირი და ყველა რჩევა!"
ბევრს ეეედრნენ და არ გაპყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათ ხვეწნას და მუდარათა!".*

ეს იყო უკანასკნელი იმედი მეფის გადარჩენისა, მაგრამ დიმიტრიმ არ მოისურვა ხალხი გაეწირა. როცა გათენდა, ტყვე მეფე „თავსაკვეთ" მოედანზე გამოიყვანეს, სადაც გასართობად მოსული ბრბო ირეოდა. იქვე იყო ყაენის ვეზირი, რომელიც წესრიგს იცავდა. ვეზირის გვერდით იდგა საზარელი ჯალათი. მას იღლიაზე დამკლავებული ჰქონდა „ძარღვიანი ტლანქი ხელი". ამ ორთა შუა ჩააყენეს წვალებით ფერმიხდილი მეფე, რომელმაც ნაღვლიანი თვალებით გადახედა მთელ მოედანს. ერისათვის თავგანწირულ მეფეს „ის ყოფა და ის ჯალათი სანახავად შეეზარა". როგორც ადამიანი, ხორცეული არსება, ეშინოდაც ქანც-გაწყვეტილი, „დასუსტდა და წაბარბაცდა". მაგრამ თავის შეკავება მაინც შეიძლო — ხორცს სული არ დაანება. ამ დროს მოესმა ტირილი და მწარე ქვითინი. როცა იქით გაიხედა, დაინახა თავისი დიდებულები, რომლებიც მის ახლოს უკლებლივ შეკრებილიყვნენ. მათთან ერთად იდგა შვილდმთავარი, ყველანი „თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ", ისეთი სურათი იყო, რომ „მათის ცოდვით და ვაებით ქვებიც კი ატირდებოდნენ". როცა თავისიანები ამ ყოფაში დაინახა, განწირულ მეფეს ყველაფერი მოაგონდა — „სახლი, კარი, თვისი, ტომი, ქვეყანა და თავის ერი"...

„ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლიან!
ამას კი ვეღარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..
მობრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: — „დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც ჰმარა!..."
სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
—„ჰა, ჯალათო!" — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა. და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა".**

ასე თავდება პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული", რომელსაც ქართულ პოეზიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია აკაკის „თორნიკე ერისთავთან" ერთად. ორივე პოემა პატრიოტული ხასიათისაა და

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 182.
** იქვე, გვ. 183 — 184.

ორივე ისტორიული ქრონიკების მასალაზეა აგებული. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ორივე პოემას უაღრესად დახვეწილი სიუჟეტი აქვს და არც ერთი მათგანი არ წარმოადგენს ცალკეული ლექსების, ცალკეული სიმღერების კრებულს. ერთმანეთთან მხოლოდ მოტივებით დაკავშირებულს.

ილია ჭავჭავაძემ სრულიად ახალი სული შთაბერა ისტორიულ პერსონაჟს, გააცოცხლა ქრონიკის ფერწასული ფრესკა და უაღრესად გამოკვეთილი, თავიდან ბოლომდე დიდი ადამიანური გრძნობებით დაჯილდოებული გმირის სახით წარმოგვიდგინა. ჩვენ გვჯერა, დიმიტრის არამარტო თავგანწირვა ერისათვის — ეს მისი მოწამებრივი სულის უკვდავი გვირგვინია, რომელიც ხალხის ხსოვნამ დღემდე შემოინახა და მარად პატივისცემით მოიხსენიებს, არამედ, ა ზ რ ი ც, ს ა ქ მ ე ც, მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ც. პოეტის მიერ წარმოსახული ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ ი მ ი ტ რ ი აზრითაც და გრძნობითაც ა მ ა ღ ლ ე ბ უ ლ ი პიროვნებაა და მასში არც ერთი თვისება არ არის, რაც ა მ ა ღ ლ ე ბ უ ლ ს არ განეკუთვნებოდეს. დ ი მ ი ტ რ ი მ თ ლ ი ა ნ ი პ ი რ ო ვ ნ ე ბ ა ა, მ ტ კ ი ც ე დ ა უ შ ი შ ა რ ი, ბ ო ლ ო მ დ ე შ ე გ ნ ე ბ ი თ რ ო მ მ ო ქ მ ე დ ე ბ ს, მ ა გ რ ა მ რ ა მ დ ე ნ ი ა მ ა ს შ ი ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი, კ ა ც უ რ - კ ა ც უ რ ი, რ ა მ დ ე ნ ი გ რ ძ ნ ო ბ ა ა ქ ვ ს, თ ა ნ ა ც ე ს ო დ ე ნ ძ ლ ი ე რ ი დ ა პ ი რ ვ ე ლ ი თ ო ვ ლ ი ვ ი თ ს პ ე ტ ა კ ი.

პოემის პ ა ტ რ ი ო ტ უ ლ დანიშნულებას ემსახურება დიმიტრის, როგორც პიროვნების, ეს უაღრესად დადებითი მხარეებიც. ილია მკითხველს ეუბნება, რომ ერი, რომელსაც თავგანწირული შვილები ჰყავს, არასოდეს არ დაჰკარგავს თავის სახეს, თუნდაც მრავალი განსაცდელი გადაიტანოს. რამდენჯერ აუოხრებიათ მოშხდურ ურდოებს ჩვენი სამშობლოს ულამაზესი მთა-ბარი, მაგრამ ფერფლიდან და ნაცრიდან ყოველთვის აღმდგარა ზღაპრული ფენიქსივით. ეს იდეა არამარტო „მ ე ფ ე დ ი მ ი ტ რ ი თ ა ვ დ ა დ ე ბ უ ლ შ ი ა“ მოცემული, არამედ, იგი ილიას ურყევ მრწამსს შეადგენს. მის პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ანალოგიური თვალსაზრისი ყველგან წითელი ზოლივითაა გატარებული. ხოლო ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ ერთი ცნობაც.

მოთხრობა „ბ ნ ე ლ ო ს“ ავტორი მ ე ლ ა ნ ი ა (ნიკოლოზ ნათიძე, 1862 — 1921), რომელიც 1896 წლის ზაფხულში ი ლ ი ა ს სტუმრებია საგურამოს, გადმოგვცემს მეტად საინტერესო დიალოგს. საუბარი ყოფილა მუხრანში მ უ ხ რ ა ნ - ბ ა ტ ო ნ ი ს მამულის გაყიდვასა და ბ ი ს მ ა რ კ ი ს კანონზე პოლონელთა მიწების შესყიდვის შესახებ. ი ლ ი ა ს უთქვამს: „მე სრულიადაც არ მაშინებს მიწაწყლის დაკარგვა; მე ეგ კი არ მაშინებსო, — აი რა მაშინებსო. ისე დავეცით ზნეობრივადო, რომ ერთი შაურის გულისათვის კაცს გავუყიდით, მოვკლავთო, აი რა მაშინებს ძრიელაო; თორემ მიწაწყალი რამდენჯერ დაგვიკარგავს, აუკლიავართ, ავუოხრებივართ მტერს; მაგრამ რაკი ჩვენი წინაპარნი მაღალ ზნეობისანი იყვნენ, ყოველთვის იხსნიდნენ თავსაცა და მამულსაცაო“.*

ამიტომ იყო, რომ ი ლ ი ა ყოველთვის იბრძოდა ხალხში მ ა ღ ა ლ ი ზ ნ ე ო ბ ი ს ა და მ ა ღ ა ლ ი ი დ ე ა ლ ე ბ ი ს დანერგვისათვის. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ მხოლოდ მაღალ სულს შეუძლია დიადი საქმეების წვდენა, ზნეობრივად დაცემული ადამიანი მარტოოდენ სულმდაბლობის რაინდია. „მ ე ფ ე

---

* ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ., გვ. 572.

დიმიტრი თავდადებული“ მაღალ ზნეობას გამოხატავს, ამაღლებულს სიმფონიაა და ამიტომაც ასე ძლიერად მოქმედებს მკითხველის როგორც გრძნობაზე, ისე გონებაზე.

მთელი პოემა დაწერილია ხალხურ კილოზე და მისი ფორმა ყველაზე უკეთესად შეეფერება ნაწარმოების სულს, რაკი მოთხრობილია ხალხური მთქმელის — ბრმა მეფანდურის პირით. ხალხურ პოეზიას ილია არამარტო კარგად იცნობდა, არამედ, მისი უდიდესი დამფასებელიც იყო. ახალგაზრდობიდანვე ფოლკლორით გატაცებული, დუშეთში მუშაობის დროს, იგი დაუღალავად აგროვებდა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებს. შემორჩენილია ცნობაც, რომ ილიას შეუგროვებია დიდძალი ფოლკლორული მასალა და დუშეთიდან გაუგზავნია კირილე ლორთქიფანიძისათვის „რამდენიმე ათასი „გლეხური სიმღერა“ ჟურნალ „კრებულში“ გამოსაქვეყნებლად. ჟურნალში ამ ლექსების მხოლოდ მცირედი ნაწილი დაბეჭდა. „გლეხური სიმღერები“ 1873 წელს ცალკე წიგნადაც გამოვიდა (რაფიელ ერისთავის მიერ შეკრებილ ზეპირი სიტყვიერების მასალასთან ერთად). ილიას მიერ შეგროვილი ხალხური სიტყვიერების ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა.* მთელი პოემის არაჩვეულებრივი სიუჟეტური სისადავე, ხალხური ლექსის კილოზე გაწყობა, სინატიფე და ბუნებრიობა საუკეთესოდ დამაჯერებლად მოწმობენ, თუ რა კარგად ჰქონდა პოეტს შეთვისებული უმდიდრესი ქართული ფოლკლორული შემოქმედება.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, როგორც კოტა აბხაზი გადმოგვცემს, რომ „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვარებია ილიას. მეტის მეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს. უყვარდა მესტვირეები და სიამოვნებით უგდებდა ყურს. საზოგადოთ კი მუსიკას არა სწყალობდა, და არც ესმოდა. მე იმისი მარტო ერთი სიმღერა მახსოვს. ხშირად ოთახში ბოლთას სცემდა და უცნაურის კილოთი ღუღუნებდა:

«Английский лорд,
Свободен и горд“**...

ყველა იმ ღირსების მიუხედავად, რაც ჩვენ აღვნიშნეთ, პოემას ქართულ კრიტიკაში ერთსულოვანი მოწონება მაინც არ დაუმსახურებია. ერთ-ერთი პირველი, ვინც „დიმიტრი თავდადებული“ 1879 წელს განიხილა, გიორგი თუმანიშვილი იყო. მან წამოაყენა დებულება, რომ ეს პოემა „დაწერილია უფრო მსუბუქ ლექსით და ცოცხალ ხალხური ენით, ვიდრემც „მუშა“ ან „პოეტი“, მაგრამ თვით ნაწარმოებს მთლიანად ძალიან დაბალი ღირსება აქვს: „დიმიტრი თავდადებული“... მოიწონა ერთმა, ორმა მწერალმა, წაიკითხეს „ივერიას“ მკითხველებმა და ჩქარა დაივიწყესო“. პოემაში „ძლიერი გმირობა არაფერია“, „ის ახალს არაფერს გვეუბნება“, „ასჯერ და ათასჯერ მეტი ზემოქმედება ექნებოდა ჩვენზე... თუ იმაში გამოყვანილი იქნებოდა ახალგაზრდა, ცხოვრები-

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1957 წ., პ. ინგოროყვას შესავალი წერილი, გვ. XLIX.

** ლიტერატურული მემკვიდრეობა. წიგნი I, 1935 წ., გვ. 564.

საგან ჯერ არ გაფუჭებული კაცის ტანჯვა ერთი ლუკმა პურის შოვნაზე", რო-გორც ამას გვიხატავენ თვით ილია ჭავჭავაძე ადრინდელ ლექსებში, ნეკრასო-ვი და ვიქტორ ჰიუგო.*

ასეთი შეპირისპირების ლოგიკით ყველა ისტორიული ხასიათის მხატვრული ნაწარმოებისათვის შეიძლებოდა უარი გვეთქვა. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ უშუალოდ თანამედროვეობის თემატიკაზე წერა ისტორიულ მასალას მთლია-ნად როდი გამორიცხავს. პოემაზე გიორგი თუმანიშვილის მოსაზრებები მხო-ლოდ იმის დამადასტურებელია, თუ რამდენად არასწორი იყო კრიტიკოსი თა-ვის ულმობელ დასკვნებში და რამდენად ვერ ჩასწვდა ნაწარმოების ძირითად შინაარსს.

მაგრამ გიორგი თუმანიშვილი „დიმიტრი თავდადებულის" მკაცრ შემფასებელთა შორის გამონაკლისს არ წარმოადგენდა. პოემას ყველაზე მკაც-რად შეხვდა სილოვან ხუნდაძე, რომელმაც ამ მშვენიერ ნაწარმოებს პირდაპირ ზოილისებური შეფასება მისცა. ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს ილია ჭავჭავაძისა და სილოვან ხუნდაძის პირადი ურთიერთობა. მკითხველს გვინ-და აქაც მოვაგონოთ, რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოს პოემის ის კრიტი-კული ანალიზი, რომელსაც ახლა შევეხებით. თუ საერთოდ არ უარყო ილია ჭავჭავაძის „ზოგი... შესანიშნავი თხზულება", სამაგიეროდ, სილოვან ხუნ-დაძემ მკაცრად გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, ვინც მიიჩნია, რომ მისი „პოეტუ-რი თხზულებები ყველა კარგია, ხოლო... საუკეთესო თხზულებებში მოაქცია აგ-რეთვე „დიმიტრი თავდადებული". ჩვენ იმის „დიდი წინააღმდეგი ვართ, რომ „დიმიტრი თავდადებული" შესანიშნავი და საუკეთესო იყოსო",** — წერდა ხუნდაძე. ყმაწვილობის დროს როცა წავიკითხე, ბევრი ცრემლი გამოიწვია ჩემ-ში „მეფის სულის გაწირვამ", მაგრამ, თუ ოდნავ განვითარებული მკითხველია, პოემის გაცნობისას უნებლიედ დაებადება „საკითხი: რისთვის სწირავს სულს მეფე?.. ავტორის წინააღმდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიმიტრის, როგორც მეფეს, არა სცოდნია, თუ რაში მდგომარეობს „მეფის რიგი", თორემ ეს რა „რიგია", რომ მეფე ყეინს ეძლევა თავის ნებით და ხალხს უთაოდ ტოვებს? რით იყო მეფე დარწმუნებული, რომ იგივე ყეინი, მის თავის მოკვეთის შემდეგ, უმ-ცროსად დარჩენილ ქვეყანას არ შეუსეოდა და ნაცარტუტას არ აადენდა?"

მართლაც, უცნაური შენიშვნაა, რომელიც დამყარებულია როგორც ისტო-რიული რეალიების, ისე პოემის ტექსტის გაუგებრობაზე. ყამთააღმწერელის ქრონიკაც და ილიას პოემაც კარგად გადმოგვცემს მტრის ურდოში მეფის გამ-გზავრების მოტივებს. ჩვენ ეს დახასიათებული გვაქვს და აქ აღარ გავიმეორებთ. მაგრამ ამ მომენტისათვის კრიტიკოსს სათანადო ყურადღება არ მიუქცევია. დი-მიტრის მისამართით მისი „ფუ" დაუმსახურებელ ძაგებად გაისმის. დავი-წყებულია ის გადამწყვეტი მომენტი, რომ საქართველო იმ დროს მონგოლთა პო-ლიტიკური ბატონობის ორბიტაში იყო მოქცეული. თუ არ ღუნყაენი დიმიტ-რის გასწირავდა, მაშინ ქვეყნის აოხრება აღარ სჭირდებოდა — მის ადგილზე

---

* გიორგი თუმანიშვილი, ეხლანდელი ქართულ ჟურნალ-გაზეთების მიმართულება, 1879 წ.. იხ. კრებულში: „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", 1957 წ., გვ. 239—241.

** სილოვან ხუნდაძის წერილი—„მეფე დიმიტრი თავდადებული. თავ. ილ. ჭავჭა-ვაძის პოემა. კრიტიკული შენიშვნები" დაიბეჭდა 1894 წლის ჟურნალ „კვალში". იხ. წიგნში — „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", 1957 წ., გვ. 490—498.

საიმედო კაცს დასვამდა (მაშინ ხომ საქართველოს სამეფო ტახტზე მეფეს მოხგრლები ამტკიცებდნენ: გაიხსენეთ რუსუდანის, ორივე დავითისა და თვით დემეტრეს ცხოვრება). ამიტომ უცნაურია ხუნდაძის შენიშვნა — რატომ იყო დემეტრე დარწმუნებული, რომ უმეფოდ დარჩენილ ქვეყანას ყაენი ნაცარ-ტუტას არ აადენდაო? ესეც რომ არ იყოს, ხომ შეიძლებოდა არ ღ უ ნ ი ს მრისხანება დამცხრალიყო და დ ე მ ე ტ რ ე აღარ დაესაჯა (ჩვენ ვნახეთ, რომ ერთხანს არღენი დასცხრა კიდეც, დემეტრეს დასჯისაგან თავსაც იკავებდა, ს უ ტ ლ უ ბ უ ღ ა ს ა და ხ ო ჯ ა-ა ზ ი ზ ა ს გამცემლობას თავისი რომ არ გაეტანა). ამრიგად, კრიტიკოსის შენიშვნა საფუძველს სრულიად მოკლებულია და უფრო მიკერძოების შედეგია, ვიდრე ჭეშმარიტებისა.

აღარაფერს ვიტყვით მეორე შენიშვნაზე — „მეტად სიმპატიური იქნებოდა ჩვენთვის დიმიტრი მეფე, რომ ის სარწმუნოებისათვის სწირავდეს თავის სულსო“. აქაც დავიწყებულია ისტორიული რეალია: სამოქალაქო ცხოვრებაშიც, ისევე როგორც სარწმუნოებისათვის წამებულს, ეკლესია მარტვილად აღიარებდა, როგორც ეს გააკეთა დ ე მ ე ტ რ ე ს მიმართ. ჯერ კიდევ აბრაჰამ კათალიკოსმა უთხრა მეფეს, როგორც ამას ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს: თუ ერისათვის თავს გასწირავ, ჩვენ ყველანი არა მარტო „ვიტვირთავთ ცოდვათა შენთა, არამედ წინაშე ღმრთისა ვწამებთ, რათა მოწამეთა თანა შერაცხილ იქმნეო“. და დ ე მ ე ტ რ ე შერაცხეს წმიდათა შორისს ილიას პოემაში ეს მომენტი გვერდავლილი არ არის („უკვდავება არ დაჰკარგო წუთის-სოფლის გულისათვის“). ყოველივე ამის შემდეგ მგონი ნათელია, რომ ხუნდაძის შენიშვნა სრულიად უადგილო იყო.

ამავე საკითხს უკავშირდება ა ტ ი კ ი ს ისტორიიდან მეფე კ ო დ რ ი ს ლეგენდარული ცხოვრების პარალელი. თავისი დებულება რომ დამაჯერებელი გაეხადა, კრიტიკოსმა ათენის უკანასკნელი მეფის — კ ო დ რ ი ს თავდადება გაიხსენა (სხვათა შორის, ეს კოდრი მამის მხრივ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის — პ ლ ა ტ ო ნ ი ს წინაპარია). გაიხსენა. მაგრამ მასზე თხუთმეტი წლით ადრე, 1879 წელს, „დ რ ო ე ბ ა შ ი“ მოთავსებული წერილი გ რ ი გ ო ლ ვ ო ლ ს კ ი ს ა (უმწიფარიძისა) პირველად უკავშირებს კოდრის სახელს პოემა „დიმიტრი თავდადებულს“. ვოლსკის არც კი უფიქრია პარალელი გაევლო ამ ორი მეფის გმირობათა შორის. კ ო დ რ ი ახსენა ჭოლოდ იმის გამო, რომ ილიას პოემის ერთ-ერთმა პირველმა რეცენზენტმა „ა“-მ (ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ა რ ა ჯ ი შ ვ ი ლ მ ა), რომელმაც ეჭვი შეიტანა დ ე მ ე ტ რ ე ს ხასიათის სიმტკიცეში, იგი „უცნაურ გმირად“ მონათლა, წამოაყენა დებულება, რომ „ერთ აზრს დაუპყრია მისი (დიმიტრის — გ. ჯ.) გონება — საქართველოს სიკეთეს და მეფე ვერ მიხვდარა, რომ ის მაინც მამულს ვერას უშველის თავის შეწირვით, რადგანაც მეფის დაღუპვა და სამეფოისა ერთიაო“. ამ დებულებას ვოლსკი სამართლიანად მიიჩნევს საკვირველად, და შენიშნავს — მასში რამდენიც აზრია, იმდენი შეცდომა არისო. „ისტორიაში ძრიელ ხშირათ სულ წინააღმდეგი ხდება ხოლმე. — წერს ვ ო ლ ს კ ი. — გადაშალეთ ისტორიის პირველი ფურცლები, მოიგონეთ საბერძნეთის ძველი ისტორიიდან მეფე კოდრის თავ-განწირვა და დამეთანხმეთ, რომ თქვენი აზრი ვერც საზოგადოთ და ვერც რჩეული პოემისათვის განსაკუთრებით ვერ აუვა კრიტიკას“.* კ ო დ რ ი ს დაღუპვის შემდეგ

* გ რ. ვ ო ლ ს კ ი (უმწიფარიძე), „შენიშვნა უფ. ა-ის რეცენზიაზე შესახებ პოემისა: „დიმიტრი თავდადებული“, „დროება“, 1879 წ., გვ. 2.

ათენი არ მოსპობილა, პირიქით, გადარჩა, ხოლო დემეტრეს სიკვდილს საქართველოს სამეფო მსხვერპლად არ შეუწირავს. მხოლოდ ამ ფაქტის დასადასტურებლად ახსენა ვოლსკიმ კოდრის სახელი და არა იმისათვის, რომ პარალელი გაევლო. დემეტრეს გმირობა (ისტორიაშიც და პოემაშიც) მისთვის სრულიად უეჭველი, პირიქით, აღმატებული იყო.

სულ სხვა მოსაზრება განავითარა სილოვან ხუნდაძემ. მან არამარტო საეჭვოდ მიიჩნია დემეტრეს გმირობა (ამ მხრივ „ა-მ"-ს აზრი გაიზიარა). არამედ, კოდრისა და დემეტრეს გმირობათა შორის პარალელიც გაავლო. მაგრამ პარალელშიც იმდენი შეუსაბამობაა, რომ მართებული არ იქნებოდა უყურადღებოდ დაგვეტოვებინა. თვით ატიკური ლეგენდა გადმოცემულია სწორად: „ერთხელ დორიელები საბერძნეთის ერთ კუთხეს, სახელდობრ ატტიკას, შეესივნენ და მისი დაპყრობა უნდოდათ (აქ განზრახ არ არის მითითებული, რომ კოდრი ჩვენს წელთაღრიცხვამდე XI საუკუნეში ცხოვრობდა, თუ რატომ არ არის მითითებული, ქვევით დავინახავთ — გ. ჯ.); ატტიკის მცხოვრებლებმა მარჩიელს მიმართეს; მან თქვა: „ის მხარე გაიმარჯვებს, რომლის წინამძღოლიც მოიკლესო". ათენის მეფემ კოდრმა ჩაიცვა უბრალო კაცის ტანისამოსი, წავიდა მტრის ბანაკში, ასტეხა იქ ჩხუბი და მტერს განგუბ თავი შეაკლა. როცა დორიელებმა შეიტყვეს, რომ მათ მიერ მოკლული ათენის მეფე იყო, მარჩიელის წინასწარმეტყველობის შეეშინდათ და გაიქცნენ".

კოდრის ეს გმირობა მართლაც აღტაცებას ჰგვრის ადამიანს, ისევე, როგორც ილიას კრიტიკოსს, და ჩვენც მივეშველებით: დავუმატებთ მის მიერ გამოტოვებულ ფაქტს. რომ ატიკელებმა კოდრის შემდეგ ათენში მეფობა გააუქმეს — არავინ არ არის ღირსი მისი ადგილი დაიკავოსო, კოდრის მემკვიდრე—შვილი მედონტი არხონტად აირჩიეს და ამით პატივი სცეს თავიანთ სახელოვან მეფეს.

როგორია დასკვნა, რომელიც კოდრის პარალელიდან ხუნდაძეს გამოჰყავს? „აბა, რა კოდრის საქციელს შესადარებელია ჩვენის მეფის დიმიტრის საქციელიო, — წერს კრიტიკოსი. — ერთი სწირავს თავის თავს, სრულიად დაჯერებულია, რომ თავის სიკვდილით მტერს დაამარცხებს და თავის სამეფოს უბედურებას ააშორებს, მეორე კი მიდის წინდაუხედავად, სამეფოს შესახებ არაფერ განკარგულებას შვრება (უნდა ვიფიქროთ, რომ მეფეს იმედი ჰქონდა, კვლავ უკან დავბრუნდები უვნებლათო) და კვდება ჯალათის ხელით". მაგრამ, განა დემეტრე დარწმუნებული არ იყო, რომ ურდოში მისი მისვლით (მოჰკლავდნენ თუ არა), ქვეყანა გადარჩებოდა? განა ამიტომ არ გაემგზავრა? სარწმუნოების წარმომადგენლებმა აბრაჰამმა (როგორც ატიკაში ქურუმმა) ერთადერთ გზად ქვეყნის ხსნისა ეს არ ურჩია? მერე საიდან ჩანს, რომ დემეტრემ ურდოში გამგზავრების წინ „სამეფოს შესახებ არაფერი განკარგულება" არ დატოვა? ქრონიკაშიაც და პოემაშიაც ეს მომენტი გვერდავლილი არ არის. დიდ უხერხულობად მიგვაჩნია ჩვენს ერამდე XI საუკუნეში მომხდარი ფაქტი (ისიც ნახევრად მითიური) და ახალი წელთაღრიცხვით XIII საუკუნის 90-იანი წლების ნამდვილი ისტორიული ამბავი არა მარტო გაიიგივეო, არამედ, პირველი მაღლა დააყენო მეორეზე და სრულიად ანგარიში არ გაუწიო დორიელების პრომიტიულ ბრძოლებთან შედარებით მრისხანე მონღოლების ურდოთა სისხლისმსმელ ომებს. ამიტომ იყო, რომ კრიტიკოსმა განზრახ არ მიუთითა,

თუ როდის ცხოვრობდა ათენის უკანასკნელი მეფე. მისი ამგვარი დამოკიდებულება ფაქტებისადმი ისტორიულ იდეალიზმს წარმოადგენდა.

კიდევ უფრო უმართებულოა შენიშვნა: „როცა „ქართლის ცხოვრებაში" ვკითხულობთ დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებას და ჩვენ მიერ აღებულ პოემის შინაარსს ვადარებთ, თითქმის ვერაფერ განსხვავებას ვპოულობთო". ისეთი ზერელე მიდგომით, როგორიც კრიტიკოსმა გამოამჟღავნა, მართლაც არ შეიძლებოდა რაიმე განსხვავების პოვნა. მაგრამ ჩვენს მიერ პოემის კრიტიკული ანალიზის პროცესში დადგენილი განსხვავებანი ისე თვალსაჩინოა, რომ აქ ვანმეორება სრულიად ზედმეტი იქნებოდა. ამიტომ აღარც იმ დებულებას გავარჩევთ, რომ „პოეტის საკუთრება" თითქოს იყოს მარტო მეფანდურე და მოხუცი თავისი ორი შვილით. აქედან გამომდინარე დასკვნაც— „ამგვარად, პოეტის ფანტაზიასა და აღმაფრენას აქ ბევრი არაფერი უმუშავნიაო", — თავიდან ბოლომდე პარადოქსალური და სრულიად მიუღებელია. ასევე. ხელოვნების შინაგანი ბუნებისა და მისი თეორიის არასაფუძვლიანი ცოდნით არის გამოწვეული შენიშვნაც, თუ რატომ „დამალა" პოეტმა, რომ „მეფე დიმიტრი თავდაპირველად თავის ხალხის შემბრალებელი, მოწყალე და ღვთის-მოყვარე იყო, ხოლო რამდენსამე წელს შემდეგ ხალხის სამსახურიც დაივიწყა და თვით ღმერთიც: სამი ცოლი შეირთო, ურჯულობასა და უწესობას ხელი მიჰყო და მისი მაგალითით მთელი სამეფო გაირყვნაო". ეს ფაქტი თვით კრიტიკოსის წინააღმდეგ ლაპარაკობს, თუ რა კარგად, ნამდვილად დიდი შემოქმედისათვის დამახასიათებელი ღირსებით უმუშავნია „პოეტის ფანტაზიას და აღმაფრენას". სხვა შენიშვნებს აღარ შევეხებით, ვინაიდან პოეტიკის სფეროშია გადატანილი, და ჩვენი კვლევისათვის ამჟამად დიდი მნიშვნელობა არა აქვს.

ილიას პოემაზე სულ სხვა აზრი გამოთქვა ძალიან ნიჭიერმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ. „ეტიუდებში" იგი წერდა, რომ „დიმიტრი თავდადებული" ნამდვილი რეალური ეპიკური პოემაა. თვით მთელი აზრი და შინაარსი პოემისა, რომელიც ღაღადებს, რომ ყოველისავე პირის კერძო სურვილი და ზრახვები უნდა სამშობლოსა, ერისა და საზოგადოების საკურთხეველზედ იქმნეს მსხვერპლად მიტანილი, როგორც ეს მოიმოქმედა მეფე დიმიტრი თავდადებულმა — ყოველივე ეს ჰხდიან მას რეალურ პოემად, კლასიკური მშვენიერებითა და სიდიადით მოსავენ მას.". კიტა აბაშიძის ეს დებულება სავსებით სწორია და კარგად გამოხატავს „მეფე დიმიტრი თავდადებულის", როგორც პოეტური ქმნილების, ნამდვილად კლასიკურ ხასიათს.

„მეფე დიმიტრი თავდადებულის" შესახებ კიდევ ერთი საინტერესო მოსაზრებით გამოვიდა გრიგოლ ფოლსკი (უმწიფარიძე), მან არ გაიზიარა ბრალდებები ილიას პოემაზე და მიუთითა: ავტორისადმი საყვედური, თუ რატომ მეფანდურეს ათქმევინებს ლექსად დიმიტრის თავგადასავალს, უმართებულოა. ლიტერატურაში ეს ცნობილი ხერხია, რასაც ხშირად მიმართავენ დიდი პოეტები, როგორც მაგალითად ლერმონტოვი. მისი ბრწყინვალე პოემა „Песня про царя Ивана Васильевича, молодого опричника и удалого купца Калашникова" დაწერილია, როგორც მეფანდურის (гусляр-ის) ნაამბობი. ფოლსკის შენიშვნა სწორი იყო, ხოლო ალექსანდრე სარა-

ჯიშვილისა, — მეფანდურეს რაკი ათქმევინებს, ამით თვით დიმიტრის ამდაბლებსო, — უმართებულო. ილიას პოემა განეკუთვნება ქართულ კლასიკურ პოეტურ შედევრებს და ასევე დარჩება ჩვენი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში.

ე) პოემა „განდეგილი“

პოემა „დიმიტრი თავდადებულის“ შემდეგ ილია ჭავჭავაძე ერთხელ კიდევ მიმართავს ამ ჟანრს და 1882—1883 წლებში იწერება „განდეგილი“ — ქართული პოეზიის ეს უმშვენიერესი მარგალიტი. თავდაპირველად ნაწარმოებს სათაურად ჰქონია „მეუდაბნოე“, შემდეგ — „ბერმი“, ხოლო საბოლოოდ პოეტს მისთვის უწოდებია „განდეგილი“.*

პოემას საფუძვლად დადებია ხალხური თქმულება ბეთლემის მონასტერში ერთ დროს შეხიზნული ბერის შესახებ. მაგრამ ლეგენდისათვის ილიას იმდენად შეუცვლია სახე, რომ მისთვის ფილოსოფიურ სიღრმესთან ერთად ზოგადკაცობრიული პრობლემის ძალა მიუნიჭებია.

როცა „განდეგილი“ დაიბეჭდა (1883 წლის ჟურნალ „ივერიაში“, № 11), იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა მის ფილოსოფიურ პრობლემატიკას ვერ ჩასწვდა ზოგიერთმა იგი მიიჩნია პოეტის მიერ ცხოვრებისათვის გვერდის აქცევად (ესტატე ბოსლეველი) და ამდენად სამწუხარო მოვლენად.** ბოსლეველი უდიდეს პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძეს. მიაჩნდა ისეთ მწერლად, რომელმაც სხვებთან ერთად „ფეხი აადგმევინა ჩვენს თანამედროვე ლიტერატურას, ენას და თვით საზოგადოების მოქალაქეობრივ გრძნობას“, გარდა ამისა, ცოტად თუ ბევრად „დღესაც ბელადობას უწევს ჩვენს ლიტერატურას და ცნობიერს ცხოვრებას“.*** ამასთან ერთად, ბოსლეველს (ევსტათი შუქღლიძეს — 1854—1885) უეჭველად მიაჩნია, რომ ილია ჭავჭავაძეს თავიდანვე „საკმაოდ მოსდევდა როგორც თავის გარემო ცხოვრების ცოდნა, ისე ლიტერატურული ნიჭიც“. რომ მისმა თხზულებებმა — „კაცია, ადამიანი?!“, „გლახის ნაამბობი“, „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, აგრეთვე ლექსებმა „ჩვენს ლიტერატურაში დაიწყეს სრულიად ახალი ხანა“ და მწერლობას ააცილეს „მიმბაძველობითი წიმართულებანი“. ახალგაზრდა კრიტიკოსს არც ის დარჩენია შეუმჩნეველი, თუ რამდენად ძლიერი იყო პოეტი „გონებითი ძალით, გონებითი ანალიზით და მოვლენათა ტიპების გამოთქმით“. ფანტაზიით თუ ვინმეს „რამდენადმე დაუვარდება“, სამაგიეროდ, ამ თვისებებით „თითქმის ყველას ბატონობს“, მის მიერ გამოყვანილი ტიპები „პირდაპირ ჩვენის ცხოვრებიდან არიან ამოღებულნიო“. ბოსლეველი დასძენდა, რომ „ჩვენს მწერლობაში ილ. ჭავჭავაძე თითქმის ერთად-ერთი პოეტია, რომელსაც ცხოვრების განცალკევებულ მოვლენათა შეკრება, მათში შინაგანის კავშირის გამოძებნა და მათგან ერთის სასტიკად განსაზღვრულის ტიპთა სურათის გამოჭანდაკება

---

* იხ. პ. ინგოროყვას კომენტარები წიგნში: ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 705—706.

** იხ. ბოსლეველის წერილი — „კრიტიკული მიმოხილვა“, გაზ. „შრომა“, № 13, 1883 წ.

*** იქვე, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

შეუძლიან".* ეს დიდი პოეტური ნიჭი ბოსლეველმა „განდეგილში" დაინახა და არ დაუყოვნებია ეთქვა, რომ „სულის მოძრაობათა ღრმად გაგებაში, ვრძნობათა პსიხოლოგიურს ანალიზში და ამ სულის მოძრაობისა და გრძნობების, ადამიანის შინაკანის... ქვეყნის გამოხატვაში ილ. ჭავჭავაძეს ძნელად თუ ჰყავს ბადალი ჩვენს მწერლობაში და ამ აზრს ამტკიცებს აშკარად, სხვათა შორის, მისი ახალი პოემა „განდეგილი", რომელშიაც... მთლად გაშლილია პოეტის მდიდარი ნიჭი".** თვით მწირის სულიერი ღელვა, როცა მძინარე მწყემს ქალს დასცქერის, „იმგვარის პსიხოლოგიურის ანალიზით არის გამოხატული, რომელიც მოსალოდნელია მხოლოდ ღვთისაგან ცხებულის პოეტისაგან".

მაგრამ, ამ ქება-დიდების მიუხედავად, ბოსლეველმა ვერ შეიძლო ჩასწვდომოდა „განდეგილის", როგორც მხატვრული ქმნილების შინაგან არსებას, და ისეთი შეხედულება წამოაყენა, რომელიც ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გაზიარებული არ იქნა. მის წინააღმდეგ გაილაშქრა კიტა აბაშიძემ, რომელმაც არ გაიზიარა მოსაზრება, რომ „განდეგილით" ილია ჭავჭავაძემ, ამ „ჩვენმა ერთმა უკეთესმა პოეტთაგანმა თითქო მიანება თავი ცხოვრებითის კითხვების გამოხატვას პოეზიაში, თითქო თვითონ ცხოვრებასაც შესწყრა და მას აქსა და კარგს გვერდი აუქცია".*** კიდევ უფრო მცდარი იყო მოსაზრება, რომ თითქოს ილია ჭავჭავაძის „პესსიმისტურს შეხედულებას „სააქიოზედ", სამწუხარო არა აქვს (თავი III). ამ შეხედულებასთან ღმერთმა შეარცხვინოს თვითონ ბაირონის აზრიც, რომელსაც ბუნება იმდენად მშვენიერად და სრულად მოაჩნდა. რამდენადაც ადამიანი მდაბალ და ბოროტად".**** ამის შემდეგ გაბოტანილი იყო დასკვნა, რომ „განდეგილი" ქართულ მწერლობაში „ფეხის წინ წადგმა" არ არის, რომ, „პირიქით, ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ჩვენმა ნიჭიერმა პოეტებმა რეალურს ცხოვრებას, როგორც ერთს რაიმე ჰირიანს. თვალი აარიდეს და განსვენება ეძიეს „განდეგილისთანა" პოემებში". *****

უფრო უკიდურესი და მიუღებელი აზრის გამოტანა „განდეგილიდან" არც შეიძლებოდა. რამდენადაც მართებული იყო მოთხოვნა — მწერლობა რეალურ სინამდვილეს არ უნდა გაექცესო, იმდენად გაუმართლებელი ჩანდა დებულება, რომ თითქოს „განდეგილით" ილია ცხოვრებას გაექცა, პესიმიზმს ჰქადაგებდა, განსვენებას მიეცა. ნამდვილად კი პოემაში სრულიად საწინააღმდეგო მოვლენებთან გვაქვს საქმე და „განდეგილი" ცხოვრების სიღრმეა, ოპტიმიზმის მქადაგებელია, მღელვარე ადამიანური ყოფის განმადიდებელია. ეს ილიასათვის დამახასიათებელი credo-ა, მისი მოძრაობისა და ბრძოლის იგივე ფილოსოფია, მხოლოდ გაშლილია ახალ პოეტურ ფორმაში.

ჩვენ ადრე დამტკიცებული გვაქვს, რომ „განდეგილში" უფრო მაღალი იდეაა, ვიდრე ზოლას „აბატ მურეს შეცდომა" თუ ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელი" შეიცავს.****** ლერმონტოვის „მწირიც" და

---

* „შრომა", № 18, 1883 წ.

** იქვე.

*** იქვე.

**** იქვე.

***** იქვე.

****** იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 608—610.

ფრანსის „თაისიც“ იდეური კონცეფციით „განდეგილის“ სფეროს ვერ უთავსდებიან.* ასკეტიზმის წინააღმდეგ ბრძოლას და მის დამარცხებას „განდეგილი“ ისეთი მძაფრი კოლიზიით არ იძლევა, როგორც დასახელებულ თხზულებებშია. მაგრამ ეს კოლიზია ფსიქოლოგიურ ტრავმამდეა მიყვანილი, ხოლო ცხოვრებისა და ასკეტური იდეალის შეპირისპირება ისე ბუნებრივი, ისე ღრმაა, რომ „განდეგილი“ მსოფლიო ლიტერატურის შედევრთა შორის მტკიცედ იმკვიდრებს თავის ღირსეულ ადგილს.

ვიდრე პოემის უშუალო ანალიზს შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ განდეგილობის, როგორც ქრისტიანული რელიგიის ერთი დამახასიათებელი მოვლენის შესახებ.

სრულიად უეჭველია, რომ განდეგილობა რომის იმპერიის დაშლის შედეგია, ქრისტიანობის გავრცელების თანმხლები მოვლენაა. როგორც დასავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, ისე საქართველოშიც განდეგილობამ თავი იჩინა ახალი რელიგიური მოძღვრების შემოტანისთანავე. სრულიად უტყუარი ისტორიული წყაროები მოწმობენ, რომ განდეგილობა საქართველოშიც უძველესი დროიდანვე ძალიან გავრცელებული იყო. მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა დამკვიდრდა, როგორც ოფიციალური სახელმწიფოებრივი რელიგია იბერთა, რასაც ადასტურებენ უცხოეთის წყაროებიც (ბიზანტიელი ისტორიკოსები: გელასი კესარიელი — IV საუკუნის მიწურულში იხსენიება, როგორც პალესტინის ეპისკოპოსი, რუფინუსი — 410 წელს გარდაიცვალა, თეოდორიტე კვირელი — 393—457/8, სოკრატე სქოლასტიკოსი — 380—440, ერმია სოზომენე),** საქართველოშიც განდეგილობა ვრცელდება. თუ ვერწმუნებით გელასი კესარიელს, პირველი განდეგილი — პირველი ანახორეტი თვით წმინდა ნინო უნდა ყოფილიყო, რომელმაც IV საუკუნის საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება გაავრცელა. მის „საეკლესიო ისტორიაში“ ნათქვამია, რომ „იმავე ხანებში ღმრთის ცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწაწყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა, რომელთაც მანამდე ის არა სწამდათ. ამ უდიდესი საქმეთის მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ; მან სათნო ცხოვრებას მიაღწია და თავის კრძალულობითა და სხვა კეთილი საქმეებით მას აღტაცებაში მოჰყავდა ყველა ისინი. როდესაც მას ეკითხებოდნენ ასეთი — მისი განდეგილობის მიზეზის შესახებ, ის წმინდა დედაკაცი მარტივად უპასუხებდა ხოლმე. ქრისტეს მიზეზისათვის, ძისა ღმრთისაო. მიუხედავად ამისა ამით მან ვერავინ დაარწმუნა კეთილსათნოებაში; მათ მხოლოდ აკვირვებდა ეს ქალი: ისინი ჰხედავდნენ მის უცნაურ ცხოვრებას და რას არ ფიქრობდნენ“.***

გელასი კესარიელის გარდა, რუფინუსიც ანალოგიურად ახასიათებს ამ პირველ განდეგილს: „... ის იმათთან (იბერებთან — გ. ჯ.) მოხვდა (ტყვედ) და ეწეოდა სათნო და საკმაოდ ფხიზელ და უმანკო ცხოვრებას, მთელი დღეები და ღამეები დაუცხრომლად ლოცულობდა ღმრთი-

---

* იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 608—610.

** წყაროები ქართულად იხ. წიგნში: „გეორგიკა“, ტ. I, 1961 წ., გვ. 179—248, გამოსაცემად მოამზადეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა.

*** იქვე, გვ. 186, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

სა მიმართ: ბარბაროსებს საკვირველებად მიაჩნდათ თვით სიახლე საქმისა და ვულმოდგინედ იძიებდნენ. თუ რას ნიშნავდა ეს".*

უნდა ვიცოდეთ, რომ ბიზანტიელი მწერლები ბარბაროსებად იხსენიებენ იმ ხალხს, რომლებიც ქრისტიანები არ იყვნენ. რაკი იბერებს მაშინ ქრისტიანობა ჯერ კიდევ მიღებული არ ჰქონდათ, მათაც ბარბაროსებს უწოდებდნენ. ჩვენს მიერ მოტანილ ამონაწერში საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმ დროს განდეგილობა (ანახორეტობა) იბერებისათვის უცნობია, მათ აკვირვებთ პირველი განდეგილის მოქცევა — სათნო, ფხიზელი, უმანკო ცხოვრება, დღე და ღამე „დაუცხრომლად ლოცვა". ეს ფაქტი ვანმორებული აქვს თეოდორიტე კვირელსაც და შემოაქვს ახალი შტრიხი: „ის (პირველი განდეგილი წმინდა ნინო — გ. ჯ.) თვითონ თავის დროს გამუდმებულ ლოცვაში ატარებდა; საწოლად და რბილ ლოგინად მას ჰქონდა ტომარა, იატაკზე გაგებული; ხოლო უმწვერვალეს ფუფუნებად მარხვას თვლიდა. ამ დამაშერალობამ მოაპოვებინა მას ნიჭი მოციქულობისა".**

როგორც გელასი კესარიელის, ისე რუფინუსისა და თეოდორიტე კვირელის მიერ მოხსენებული განდეგილობის ნიშნები გვხვდება სოკრატე სქოლასტიკოსთან. მასაც აღნიშნული აქვს, რომ ნინო იყო „სათნო და უმანკო ქალი", ის „... სიბრძნისმოყვარულ ცხოვრებას ეწეოდა. უმანკოების დაცვასთან ერთად იგი მარხვასაც ზედმიწევნით ინახავდა და გულმოდგინე ლოცვებსაც ეძლეოდა. ასეთ უცნაურ საქციელს რომ სედავდნენ ბარბაროსები, განცვიფრებული რჩებოდნენ".***

ანალოგიურია ერმია სოზომენის მიერ მოცემული აღწერა. მასაც აღნიშნული აქვს, რომ პირველი განდეგილი „... უაღრესად მორწმუნე იყო და ღვთისმოსავი, არც უცხო ტომთა შორის გაანება თავი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას. ძალიან უყვარდა მას მარხვა, ღამით და დღისით ლოცვა და ღმერთის დიდება".****

ამ ფაქტების პარალელურად, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ განდეგილები, ანახორეტები სრულიად განმარტოებით თავს აფარებდნენ უდაბნოებს გამოქვაბულებს, ტყეებს და ყველა იმ ადგილს, სადაც საზოგადოების ხმა მიუწვდომელი იყო, სადაც ადამიანი არ ცხოვრობდა. საბა ორბელიანი არ შემცდარა, როცა უდაბნო განმარტა, როგორც უშენებო ადგილი. განდეგილები სწორედ ასეთ „უშენებოს" ეძებდნენ თავიანთი მისიის აღსასრულებლად. ასევე იყო საქართველოშიც. არამარტო შუა საუკუნეებში, არამედ, სულ ბოლო დრომდე განდეგილები ირჩევდნენ „უშენებო" ადგილებს, „უდაბნოს", სადაც ისინი „მწირის" ცხოვრებას ეწეოდნენ. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის 70-იან წლებში, ცნობილი მეცნიერი-მოგზაური გიულდენშტედტი განდეგილთა ერთ-ერთი უდაბნოს დასავლეთ საქართველოში ასე აგვიწერს: „...1 საათი მივდიოდით აღმოსავლეთ — ჩრდილო-აღმოსავლეთით უდაბნომდე (განდეგილთა საყუდელი), სადაც ჩვენ გავათიეთ წვი-

---

* გეორგიკა, ტ. I, 1961 წ., გვ. 201, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე, გვ. 210, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე, გვ. 229—230, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
**** იქვე, გვ. 236, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მიან ღამეში. ეს არის ნამდვილად უდაბნო, სადაც 6 მოხუცი ბერი, რათა ღმერთს ემსახურონ, ნამდვილად მკაცრ ცხოვრებას ეწევა. დაახლოებით 100 ნაბიჯის სიგანის დაბლობზე დგას ქვითკირის პატარა ტკლესია, რამდენიმე საჟენი სიმაღლის ხის პატარა სახლებით. გარშემო სულ ხშირი წიფელის ტყეებია. ადგილი ისეთი მაღალია, რომ ბარომეტრი იდგა $23^1/_2$ დიუმზე და მხოლოდ ივნის-ივლისში არ არის (იქ) თოვლი, დანარჩენ 10 თვეს კი სულ დევს. აპრილის ბოლოს საკვამლე მილები ჯერ კიდევ თოვლიდან არის ამოყოფილი".* ასეთივე უდაბნო განდეგილებისა. გიულდენშტედტს უნახავს აგრეთვე თბილისთან ახლოს მთაზე და სპეციალურად აღუნიშნავს თავის დღიურში".**

განდეგილთა თავშესაფარი ყოფილა აგრეთვე ყაზბეგთან ახლოს მდებარე ბეთლემის მონასტერი. იგი არ არის პოეტის მიერ მოგონილი. ბეთლემის მონასტერი ნამდვილად არსებობს და იგი მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს თავის „ღეოღრაფიულ აღწერაში". საგულისხმოა, რომ ვახუშტის მიერ მოცემულ ბეთლემის აღწერილობას ძალიან წააგავს ილიასეულიც (მყინვარის კლდეში მონასტერი, სახელწოდება ბეთლემი, ძნელად ასასვლელი, ქვაბიდან გადმოკიდებული რკინის ჯაჭვი და სხვ.). ლეგენდის გარდა, ვახუშტის აღწერილობა ილიამ რომ გამოიყენა, სრულიად უეჭველია. ალპინისტებმა, რომლებმაც 40-იან წლებში მონასტერი დააღვალიერეს, დაადასტურეს. რომ პოეტს ძალიან ზუსტად მოუცია ბეთლემის როგორც გარეგნული, ისე შინაგანი აღწერილობა. საგულისხმოა. რომ პოემა იწყება ყაზბეგთან ძველთაგანვე აგებული სწორედ ამ მონასტრისა და თვით მყინვარის გრანდიოზულ სანახაობათა დიდებული პანორამის უმშვენიერესი მხატვრული აღწერით:

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჰქონა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსაყთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკეთილი —
ვით კლდის ნაპრალზე არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, —
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასლა ვერარა კაცსა".***

---

* გიულდენშტედტის, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, 1962 წ., გვ. 117. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 93.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 185.

მართლაც გრანდიოზული აღწერა და ასევე მშვენიერი სანახაობაა! უკეთესი სურათი ვერც დაიხატებოდა.

შემდეგ ბეთლემად წოდებული მონასტრის ამ გარეგნულ აღწერას, რასაც პოემის მთელი პირველი თავი ეძღვნება, მოსდევს იმის დახასიათება: თუ ვინ იყვნენ მისი მკვიდრნი და რატომ შეეფარნენ „ღვთის ტაძარს“. ეს დახასიათება ძალიან ტიპიურია საერთოდ განდეგილობისათვის, არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ ილიამ არაერთი სპეციალური მასალა გადაამუშავა მეუდაბნოეთა ისტორიიდან, რათა სურათი სავსებით უტყუარი გამოსულიყო. შეიძლება პირდაპირ ითქვას: განდეგილობისა და მისი გარემოს ილიასეული დახასიათება იმდენად ზუსტი, თან კოლორიტულია, რომ არავითარი შტრიხის მიმატებას არ საჭიროებს, როგორც პოეტური, ისე ფაქტობრივი მხარე პოემის მეორე თავისა ჩვენი დებულების საუკეთესო ილუსტრაციაა და მას მთლიანად მოვიტანთ.

დაამთავრა თუ არა მუინვარისა და ბეთლემის მონასტრის მშვენიერი პანორამული სურათი, ილიამ პოემა ასე გააგრძელა:

„აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მუინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმინდა-წმინდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ის ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჰქონა-ქუხილით მოეელინება“.*

ყველაფერი ეს ჯერ მხოლოდ ერთგვარი ექსპოზიციაა პოემის უმთავრეს მაგისტრალთან მისასვლელად. უმთავრესი კი ადამიანია, რომელიც არ შეშინებია ასეთ სასტიკ სადგომს, გამოქცევია საზოგადოებას, ხალხს, ნათესავებს, ახლობლებს და თავშესაფარი ყინულთა შორის მოქცეულ ტაძარში უპოვია. ეს არის განდეგილი და ჩვენს მიერ მოტანილი აღწერების შემდეგ პოეტს პირდაპირ მივყევართ თავისი ნაწარმოების მთავარ მოქმედ პირთან. მაგრამ ჯერ მოცემული არ არის მისი სახე. თავდაპირველად დახასიათებულია მოტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო მწირის განდეგილობას. ეს არის პოემის მესამე თავი, რომელიც ამ მოტივებს გადმოგვცემს:

* ილია, ჰავჰავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 185—186.

„ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს საქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ეით ცოდეის სადგურს,
ეით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა:
სად ცოდეა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ეითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძელებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოელი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა“.*

ასეთია, საერთოდ, გ ა ნ დ ე გ ი ლ ო ბ ი ს მ ო ტ ი ვ ე ბ ი. მაგრამ, თუ რას აკეთებს მ ე უ დ ა ბ ნ ო ე ბეთლემის მონასტერში, რას წარმოადგენს მისი ს უ ლ ი, როგორ ც ხ ო ვ რ ე ბ ა ს ეწევა, პოეტურად არის გადმოცემული ნაწარმოების მეოთხე თავში, რომელშიაც ვკითხულობთ:

„განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდეილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდეევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გეემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ეით ჰურკელი იგი წყმედილი —
ცრემლით ურეცხავს, უსოელებია.
დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განუენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა“.**

საგულისხმოა, რომ თავდაპირველად ილიას, მოცემული არ ჰქონია განდეგილის გარეგნული ს ა ხ ე, მისი პ ო რ ტ რ ე ტ ი. ამ საკითხზე ძალიან საინტერესო ცნობას გვაწვდის გ ი გ ა ყ ი ფ შ ი ძ ე, რომელიც სიამაყით აცხადებს: „განდეგილის“ „თ ი თ ქ მ ი ს შ ო ბ ა ს ა ც უ ც ქ ი რ ე და ნ ა თ ლ ო ბ ა-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. I, 1937 წ., გვ. 186.
** ი ქ ვ ე, გვ. 186—187.

საც დავესწარიო". 1882 წლის ერთ-ერთ დილით ივანე მაჩაბელი და გიგა ყიფშიძე მისულან ილიასთან სახლში. ილიას უთქვამს: „დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვაო". ამის შემდეგ, — წერს გიგა ყიფშიძე, — ილიამ „წაგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალ-წინ წარმომიდგა; თითქო თავბრე დამესხა. გამოვყუეჩდი და თითქმის ველარა გავიგე-რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა. რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათვალიერებლად".*

როცა პოემა დაუმთავრებია, ილიას თავისი ახალი ნაწარმოები წაუკითხავს დავით სარაჯიშვილის სახლში (ამჟამად იქ მწერალთა კავშირია). გიგა ყიფშიძე გადმოგვცემს: „მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო. თუ ხსოვნა არ მღალატობს, წამოდგა ი. მ-ა, ცნობილი მოყვარული ქართულის მწერლობისა და სთქვა აღტაცებით: მშვენიერია. ილია, მშვენიერი, მხოლოდ სურათს ვერა ვხედავ. თვით განდეგილის სურათს. მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსაო.

გაამართა საუბარი. კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა **„ივერიაში" 1883 წელს,** თებერვლის ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდეგილის სურათისა..."**

პოემის ეს მეხუთე თავი ერთ-ერთი უმშვენიერესი ადგილია მთელს ნაწარმოებში. ილიამ ისე გამოკვეთილად, ცოცხლად, პირდაპირ ფერწერული ოსტატობით წარმოგვიდგინა განდეგილის პორტრეტი, როგორც რენესანსის დროინდელი დიდი მხატვრები ახერხებდნენ მეუდაბნოეთა სახეების ფრესკებსა თუ ტილოებზე გადატანას. განდეგილის პორტრეტს არაფერი არ აკლია. მის გარეგნულ სახეში, რომელიც ძლიერი შტრიხებითაა ფერწერილი, ასევე ძლიერად იხატება გვემული მწირის მთელი შინაგანი სამყარო. როგორც ილია აღწერს, ბეთლემის მონასტერში შეხიზნული განდეგილი...

„არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულ-ს სიმართლე ზედ დასჩნეოდა.
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.

---

* ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., გვ. XLII.
** იქვე, გვ. XLII—XLIII.

ლოცვით და მარხვით ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰკვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
პრაეალგხით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს".*

განდეგილის ეს ხანგრძლივი წამება, ხორცის გვემა და ყინულებში მარტო უოფნა, დღე და ღამ ლოცვა-ვედრება, რასაც ცრემლები თან ახლდა, თითქოს უზუნაესმა შეისმინაო. სასწაულით დაგვირგვინდა. მის ბნელ სენაკს, რომელსაც მზის მხრივ სარკმელი ჰქონდა, ეფინებოდა მზის შუქი და მთვარის ნათელი. ყოველ განთიადს, როცა სენაკში მზის სხივი სარკმლიდან სვეტად შეიჭრებოდა, განდეგილი თავის ლოცვას ამ სვეტს დააყრდნობდა. მზის შუქი წიგნს იჭერდა. ასე გრძელდებოდა წლებს მანძილზე და მწირი თავის წმინდანობას უოველდღე ამ სასწაულით ამოწმებდა.

განდეგილის ცხოვრება ასე გაგრძელდებოდა ბოლომდე, უზუნაესისადმი ლოცვა-ვედრებაში ამობდებოდა მას სული, რომ ერთხელ ჩვეულებრივი ყოფა მწირისა არ დარღვეულიყო. როცა საღამოს, ლოცვით დაღლილი, „მწვანით დაფენილს მთის კალთებს" დაფიქრებული გადაჰყურებდა, მან დაინახა მომაჯადოებელი სურათი. მთის წვერზე მზე ისე ანთებულიყო, როგორც „ცეცხლის ბორბალი", ხოლო ცის ლაჟვარდი ნაკეერცხალივით „წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა". მზით გამსჭვალული ღრუბელი „შორს ათას-ფერად სხივებში ჰთრთოდა". განდეგილი მოიხიბლა ამ დიადი სანახაობით, ის განცვიფრებული შეჰყურებდა მზეს. ...ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას".

მაგრამ ამ დროს უეცრად ასტყდა ნიავ-ქარი, „დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ", მყინვარიდან ვეშაპივით მძიმედ დაიძრა შავი ღრუბელი და ამოძრავდნენ ბუნების ველური სტიქიონური ძალები.

მთა სასტიკია! სილამაზესა და სიწაზესთან ერთად მას შინაგანი, დაფარული მრისხანებაც ახასიათებს. მისი ამეტყველება, როცა ირგვლივ ჭარიშხალია, უდიდეს განსაცდელს შეახვედრებს ხოლმე ადამიანს. ამ დროს იგი ულმობელი და განუკითხავია. მისთვის აღარ არსებობს კანონზომიერება, გარდა შეუპოვარი მრისხანებისა. ვისაც შემთხვევა ჰქონია საქართველოს ცადაწვდენილ მთებში ღამე გაეთია და ბუნების მრისხანება განეცადა, ის უფრო მეტად შეიგრძნობს „განდეგილის" მერვე თავში აღწერილი სტრიქონის საოცარ ძალას. თვით ილიას ბევრჯერ უნახავს არაგვისა და თრგის ხეობებში ის სურათი, რაც „განდეგილშია" მოცემული; მოუსმენია ჰექა-ქუხილთან ერთად მთების ღრიალი, როცა დედამიწა ცას ეცილება, ებრძვის, დრტვინავს, და ეს გოლიათები, როგორც გამძვინვარებული მასტოდონტები, ერთმანეთს სასიკვდილოდ ეკვეთებიან. განკითხვა იწყება ბუნების უზარმაზარი მასების საშინელი ამოძრავებით:

„დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჰქექა-ქუხილით დაატრიალა.
შეირყა მთელი ცა და ჭვეყანა
იმა ჰექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 187.

და წამოვიდა სეტყვა მზეცილით.
ქუხვა და ჰქრა, ელვა და სეტყვა.
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა. აწ გრიგლად რადმე კცეელთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა,
ესე ყოველნი, ერთად რეულნი.
ჰგვანდნენ ცით ელენილს რისხვას ღვთისასა.
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა".*

ამ დროს მწირი უკვე სენაკში იყო შესული, ის „ცრემლით აღტობდა ღვთის-მშობლის ხატს". ხელაპყრობილი ევედრებოდა, რომ ქვეყანა წაწყმედისაგან დაეხსნა.

სწორედ ამ დროს გაიგონა „რაღაც კაცის ხმა" და „ეცა ეს ხმა უჩვეული მწირსა". ყური მიუგდო, „და თითქო ვიღაც ჰკივის. იძახის ზღუდისა ძირსა". განდეგილს აღარ დაუყოვნებია, ეცა კარებს, ძირს ჩაიხედა, დაინახა, რომ კარის ჯაჭვს ვიღაც მოსდგომია, „ვითა ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით" თავშესაფარს ითხოვს. მაგრამ მწირის არსებაში, რომელიც გაჟღენთილია ბ ო რ ო ტ ი ს ა და კ ე თ ი ლ ი ს ქრისტიანული მოძღვრებით, უმალ ეჭვი იჩენს თავს: „თუ ძეა კაცის, რაჟ მოიყვანა" ამ საშინელ ღამეს, როცა ქვეყანა რღვნას მოუცავს; მხეცსაც და ნადირიც თავის ბუდეშია შეფარებული, რათა „ამ რისხვას ღვთისას" თავი აარიდოს. ამ ეჭვით არის გამოწვეული განდეგილის კითხვაც: „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე, აქ მოგზავნილი უშმაკისაგან? პასუხად იგი გაიგონებს: კაცი ვარ, ბინა მომეცი, ღვთის გულისათვის სიკვდილისაგან მიხსენი, ნუთუ ვერა ხედავ, რომ „ლამის ცა ჩამოიქცეს", დედამიწას დაეცეს, რა დროს კითხვაა. შემიბრალე და ბინა მომეცი.

მაგრამ ეს პასუხიც მწირს არ აკმაყოფილებს. იგი კვლავ იმეორებს ეჭვით გამოწვეულ კითხვებს: მართალი მითხარ, თუ ადამიანის შვილი ხარ, ცოდვა იქნება ასეთ დროს გარეთ დაგტოვო, ხოლო თუ მაცდური მევლინება შენი სახით, ეტყობა, ღმერთს მოუნდომებია მე, „მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს". ამიტომ, ვინც არ უნდა იყო, ამოდი, დაე ღვთის ნება ასრულდეს, ხელი ჩაავლე რკინის ჯაჭვს, იგი კიბეა, რგოლები საფეხურებად აქვს.

განდეგილი იმდენად მ ტ კ ი ც ე ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი ს ადამიანია, რომ საფრთხეს არ უშინდება. მისი გადაწყვეტილება — თუნდაც მაცდური იყავ, რაკი ღვთის ნებაა გამომცადოს, მოდი, მიგიღებო, სწორედ იმის დამადასტურებელია, რომ უზენაესის სახელით განდეგილი მზად არის ყოველგვარ განსაცდელს შეებას. იგი საკუთარ ძალებში ბოლომდე დარწმუნებულია, არავითარ შიშს არ გრძნობს, როცა ღვთაების ნებას ემორჩილება. მაგრამ შიში მაინც სადგურობს მის არსებაში, რაღაც ეჭვის ნატამალი მაინც ღრღნის მის სულს. დ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, როგორც შემომქმედის, დიდი გამარჯვებაა, რომ მან განდეგილი რთული ფსიქოლოგიური პიროვნების სახით წარმოგვიდგინა, ეს ხასიათი ბოლომდე შეუნარჩუნა და გაბზარა მხოლოდ იქ, სადაც ბუნებრივად უნდა მომხდარიყო აუცილებლობით გამოწვეული კატასტროფა.

მაგრამ მივყვეთ პოემის ანალიზს. რაკი თანხმობა მიიღო, გზაც უჩვენეს, „ძე კაცისა" დიდი წვალებით აჰყვება ჯაჭვს. შევა მწირის სენაკში, სიბნელის

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ტ. 7, 1937 წ., გვ. 189.

გამო მასპინძელს ვერ გაარჩევს, ისევე, როგორც მასპინძელმაც ვერ გაიგო — ვინ არის მისი სტუმარი — კაცი თუ ქალი? მწირმა მხოლოდ თქვა: გამომყევი, ბინას მოგცემ. ჩემს სენაკს გაგიზიარებ, სახლი ღვთისაა, შენცა და ბევრს შენისთანას შეივრდომებსო. ამ სიტყვებით იგი წინ წარუძღვა სტუმარს, შეიყვანა სენაკში, სადაც კიდევ უფრო ბნელოდა, ვიდრე გარეთ. სტუმარმა მხოლოდ ის შენიშნა, რომ „ერთგან ღვეღფად ჭეღული ცეცხლი ჩამქრალი“ ფერფლის ქვეშ ჩანდა. მწირმა ერთგვარი შვება იგრძნო, რაკი დარწმუნდა, რომ არა მაცდური, ბოროტი სული, არამედ, მისი სტუმარი „ძეა კაცისა“, რომელიც დანაცრულ ცეცხლს უმალ მივარდა, დამზრალმა და სველმა „ღვეღფი გაქექა“ და „გაიწოდა სათბუნად ხელი“.

ამ დროს გაისმა სტუმრის ხმა; მისი პირველი სიტყვა — „უჰ, უჰ, რა ცივა!.. ლამის გავშეშდე სიცივისაგან!“ გაიგონა, თუ არა ეს ხმა, მწირი მიხვდა, რომ მისი სტუმარი ქალი იყო, ამიტომ წოულოდნელად „შეკრთა. შეშინდა“, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი?

განდეგილმა, რომელიც ქრისტიანული ასკეტიზმის რელიგიურ რიტუალებს უსასტიკესი ნებისყოფით იცავდა, კარგად იცოდა, რომ ბიბლიიდან მოყოლებული, ქალი მიჩნეული იყო ბოროტების განსახიერებად. რომელმაც ადამი შეაცდინა და ადამიანის შთამომაელობა ტანჯვა-წამებაში ჩაიგდო. ქრისტიანული რელიგიაც ქალს ისე უყურებდა, როგორც ბიბლია — ბოროტების სათავეს. განდეგილმა უთუოდ ისიც კარგად იცოდა, რომ თვით „... იესო... სასტიკი ასკეტიზმისა და თვითკასტრაციის მიმდევართა სექტას ეკუთვნოდა“.* რომ „ქრისტეს მოძღვრებით, დედაკაცი უწმინდურია, მაცდურია, რომელმაც ბოროტება დასთესა ქვეყნათ და დაღუპა ადამიანი... ტერტულიანი ღაღადებდა: „ჰოი, დედაკაცო, შენ უნდა ხვიდოდე მუდამ მწუხარე, ძონძებში გახვეული და სინანულისაგან თვალზე ცრემლშეუშრობელი, რათა ამით დაგვავიწყო, რომ შენ ჩააგდე ცოდვაში კაცთა ნათესავი! დედაკაცო, ჯოჯოხეთის კბრები ხარ შენ!“ და შემდეგ განაგრძობს: „უცილობა უნდა ვარჩიოთ, თუნდაც კაცთა ნათესავს გაწყვეტა მოელოდეს ამით“.**

ქალთან ურთიერთობისა და ქორწინების წინააღმდეგ ასევე ილაშქრებდნენ იერონიმი, ორიგენი, ევსევი და მრავალი სხვა მოღვაწე ქრისტიანული ეკლესიისა. პეტრე და პავლე კი ქალი გამოაცხადეს ქმრის სრულ მონად. ხოლო თომა აქვინელმა კიდევ უფრო დაამცირა დედაკაცის ღირსება. „დედაკაცი, — ამბობდა შუასაუკუნეების ეს ფილოსოფოსი, — სწრაფად მოზარდი ღვარძლია, არა სრული ადამიანი, რომლის სხეულიც მხოლოდ იმიტომ ვითარდება სისწრაფით და ძლიერდება, რომ მცირე ღირებულებისაა და ბუნებაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მას. დედაკაცი მხოლოდ იმისთვის ჩნდება, რომ მორჩილი იქნეს და ატაროს უღელი ბატონის და მასწავლებლის. რადგან ბუნებამ სამაკაცეს ყოველმხრივ უპირატესობა მიანიჭა და ბატონობისათვის გააჩინა იგი“.***

მაგრამ როგორ მოხდა, რომ ქალებმა ასე თავდადებული მონაწილეობა მიიღეს იმ რელიგიის გავრცელებაში, რომელიც არსებითად ქალს

---

* ავგუსტ ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, ქართ. გამოცემა, გვ. 106.

** იქვე, გვ. 108, ხაზი ავტორისაა — გ. ჯ.

*** მოგვყავს ბებელის წიგნიდან — „დედაკაცი და სოციალიზმი“, გვ. 109.

უარყოფდა? როგორ თავსდება ამ რელიგიურ დოკტრინასთან მარიამ მაგდალინელი, წმინდა ნინო, რომელმაც ქრისტიანობა საქართველოში გაავრცელა, ან წმინდა მარიამის — ღვთისმშობლის კულტი? როგორ მოხდა, რომ კლოტილდამ ქრისტიანობაზე მოაქცია ფრანგთა მეფე ხლოდვიგი, სოლო გენტში ეს მოძღვრება ქალმა — დედოფალმა ბერტამ შემოიღო და უნგრეთში — ისევ დედოფალმა გიზელამ? ამ კითხვაზე ავგუსტ ბებელს გაცემული აქვს მეცნიერულად ზუსტი პასუხი და ჩვენ არ შეგვიძლია მას არ ვერწმუნოთ, რომ ქრისტიანობამ თავიდანვე ნოყიერი ნიადაგი იპოვა „რომის იმპერიის ჯაობში... როგორც ყველა ჩაგრული და დევნილი, ისე დედაკაციც, რომელიც მოელოდა განთავისუფლებას, თავის დაღწევას აუტანელ მდგომარეობიდან, ნდობით და სასოებით შეუდგა ამ ახალ მოძღვრებას".* მაგრამ „ძლიერ ცუდათ გადაუხადა დედაკაცს ქრისტიანობამ ასეთი თავდადების სამაგიერო. ისიც ისეთივე ზიზღით უყურებს დედაკაცს, როგორც ყველა აღმოსავლეთის სარწმუნოებრივი მოძღვრებანი".**

შეიძლება თქვან: უფრო გვიან, ქრისტიანობამ ხომ შეიცვალა თავისი დამოკიდებულება ქალისადმი, ვიდრე ამ რელიგიური მოძღვრების „აღორძინების ხანაში" იყო? დიახ, ბაგრამ „თავისდაუნებურათ, ძალდატანებით უარყო მან თავის პირველი შეხედულება დედაკაცზე. ისინი, ვინც გატაცებული არიან „ქრისტიანობის მისიით, როგორც კაცობრიობის განმათავისუფლებლის", რა საკვირველია, სხვაგვარად უყურებენ საკითხს. ისინი გაიძახიან, რომ ქრისტიანობამ გამოიყვანა დედაკაცი თავის წინანდელი დამამცირებელი მდგომარეობიდან და ამის დასამტკიცებლათ, განსაკუთრებით ემყარებიან შემდეგში ქრისტიანთა წრეებში აღორძინებულ მარიამის ანუ ღვთის-მშობლის კულტს, რაც მათი აზრით, ნიშანია დედაკაცისადმი პატივისცემის. კათოლიკეთა ეკლესია, რომელიც ამ კულტს მისდევს, საეჭვოა, რომ ასეთ შეხედულებას იზიარებდეს. ზემო-მოყვანილი ადგილები წმ. მამათა ნაწერებიდან, — და ასეთები კი ათასობით შეიძლება სხვაც მოვიყვანოთ, — ყველა ერთად და თითეული ცალკე, გაჟღენთილია დედაკაცისა და ქორწინებისადმი მძულვარებით. მაკონის საეკლესიო კრება, რომელსაც მე-VI საუკუნეში სადაოთ ჰქონდა — აქვს თუ არა დედაკაცს სულიო და მხოლოდ ერთი ხმის უმეტესობით გადასწყვიტა — კი აქვსო, ვერაფერი საბუთია იმის, თითქო ეკლესია მეგობრული თვალით უყურებდეს დედაკაცს. ჰჰპა გრიგორი მე-VII დადგენილება სამღვდელოების უცოლობის შესახებ, რომლის მიზანი იყო უცოლ-შვილო სამღვდელოების სახით მოეპოვა ისეთი ძალა, რომელსაც ოჯახზე ზრუნვა ხელს არ შეუშლიდა ეკლესიის სამსახურის შესრულებაში, მხოლოდ იმიტომ გავიდა ცხოვრებაში, რომ ეკლესიის შეხედულებით, სხეულის ლტოლვათა აყოლა, ცოდვათ იყო აღიარებული. სხვა-და-სხვა რეფორმატორები, განსაკუთრებით კი კალვინი და შოტლანდიის სამღვდელოება, თავიანთი გააფთრებული ბრძოლით „სხეულის ლტოლვათა" წინააღმდეგ, არავითარ ეჭვს არ ტოვებენ იმაში, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობა მტრული თვალით უყურებს დედაკაცებს. ...კათოლიკეთა ეკლესია მოხერხებულათ მოიქცა, როცა მარიამის კულტი შემოიღო წარმართ ღმერთ-ქალთა კულტის ადგილას, რომელიც ყველა ხალხებში არსებობდა, სადაც კი მაშინ ავრცელებდნენ ქრისტიანობას. მარიამმა დაიჭირა ადგილი.

* აგგუსტ ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, გვ. 105.

** იქვე, გვ. 106.

სამხრეთ ხალხთა ღმერთების: კიბელასი, მილიტასი, აფროდიტასი, ვენერასი, ცერარასი და სხვ; გერმანელთა — ფრეიის, ფრიგიის და სხვების. აქ ქალი იყო მხოლოდ მისი იდეალიზაცია თანახმათ ქრისტიანობრივ-სპირიტუალისტური შეხედულებისა".*

ქრისტიანული რელიგიის (მასზე უფრო ადრე იეჰოვა, მანუს, ბაბილონის, ეგვიპტისა და სხვ.) დოქტრინამ ქალის, როგორც დაბალღირსების მქონე არსებისა და „ბოროტების წყაროს" შესახებ, სრულიად ეეჭველია, განსაზღვრა ასკეტთა ცხოვრება, ამიტომ ილიას განდეგილი, რომელიც დედაკაცში მხოლოდ ცოდვილს, მაცდურს, ეშმაკეულს ხედავს. ასე სასტიკად შეკრთება, როცა მისი სტუმარი აღმოჩნდება ქალი, ისიც ასე ახალგაზრდა. ილია ჭავჭავაძე განდეგილის ღრმა ფსიქოლოგიური სურათი დახატა, თავისი გმირის შინაგანი სულიერი განცდა დიდი დამაჯერებლობით წარმოგვიდგინა ამ მომენტთან დაკავშირებით. გაიგონა თუ არა სტუმრის პირველი სიტყვები,

„მწირს ხმა ეცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაუბინა.
მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!...
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით".**

ეს არ იყო მოსალოდნელი უბედურების პირველი შეგრძნება. პოეტი არაჩვეულებრივი ბუნებრივობითა და ადამიანის სულის ღრმა ცოდნით ავითარებს სიუჟეტს, ხან მოულოდნელ აფეთქებათა ზედმიწყოლებით, ხან კლდეკ დინჯი, მშვიდი მდინარება ცვლის ქარიშხალს. განდეგილის სული პირველად აფორიაქდება, როცა ყაზბეგთან ჭექა-ქუხილი ატყდება. შემდეგ მას ემატება „რაღაც კაცის ხმა", რაც მის გაოცებას იწვევს. ეს გაოცება გადადის რეალურ დაეჭვებაში: განდეგილი თავშესაფრის მძებნელს ამოწმებს — მაცდერია იგი, თუ ნამდვილად „ძე კაცისა". რაკი ღვთის ნებად მიიჩნევს, მწირი მზადაა შეხვდეს სტუმარს, თუნდაც ეშმაკეული არსება იყოს. აქ ერთგვარი შეგრიგებაა ბედთან, მაგრამ სულიერი ღელვა კვლავ იწყება, უფრო ძლიერი, რაკი სტუმარი აღმოჩნდება ქალი, ქრისტიანული რელიგიის მიერ ცოდვილად, მაცდურად მიჩნეული. მაგრამ სენაკის მეუფე ბედს კვლავ ურიგდება — დაე, თუ ღვთაებას სურს, გამოსცადოს რამდენად ერთგულია მისი, განა ათეული წლები იმიტომ გვემდა ხორცს რომ ერთ დღეში სული დაეღუპა? ბედთან ეს შერიგება და მის არსებაში ამ აზრის განმტკიცება განდეგილს ერთგვარად აშვიდებს. ამ სულიერ ვითარებაში იწყება მწირისა და მწყემსი ქალის საბედისწერო ურთიერთობა. სტუმარი შეშას ითხოვს — ცეცხლის დასანთებად. მწირი ასრულებს თხოვნას, ცეცხლი ინთება, ბნელი სენაკი ნათდება და

---

* აგვუსტ ბებელი, დედაკაცი და სოციალიზმი, ქართ. გამოცემა, გვ. 112. ხაზი ავტორისაა — ზ. ჭ.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. I. 1937 წ., გვ. 190—191.

„ვასაოცარი რაღაც შვენება
განდგმილს თვალწინ წარმოედგინა:
ცვარწყალი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
უშხითა მფრქვეესა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა“.*

მართლაც მშვენიერების განსახიერებაა ეს ყმაწვილი ქალი, სიცოცხლით სავსეა და ასევე „შვენების ჯადოთი, გრძნებით“ აქ არ არის სილამაზის შიშველი აღწერა. ყველაფერი მოქმედებაშია გადატანილი, რუსთაველის შემოქმედებითი პრინციპის მიხედვით. გარეგნული ნიშნები სილამაზისა, როგორც ვხედავთ, მეტად შეზღუდულია, მარტოოდენ „შავი თვალები“, მომდევნო თავში მიმატებული „ღაწვთა შუქფენა“, „გულ-მკერდის რხევა“ და „ტუჩები“. განა შეიძლება ეს ოთხი ნიშანი, ისიც ზოგადი ხაზებით მინიშნებული, ქალის „გასაოცარ შვენებას“ გვიხატავდეს? მაგრამ რატომ გეძლევა მშვენიერების სრული აღქმა, რატომ ვრჩებით მოხიბლული მწყემსი ქალის არაჩვეულებრივი სილამაზით? იმიტომ, რომ ილია ჭავჭავაძე ახერხებს სილამაზის გადმოცემაში არ გაჰყვეს შიშველი აღწერის გზას. მისთვის კარგად არის ცნობილი, რომ უდიდესი პოეტები, მაგალითად, ჰომეროსი და რუსთაველი, სილამაზეს არასოდეს არ აღწერენ, მხოლოდ გვიჩვენებენ. ელენეს სილამაზეს ჰომეროსმა მარტო ორი ნიშანი გამოუყო—თეთრი ხელები და მშვენიერი თმები. რუსთაველი ნიშნებს სულ გაურბის, მაგრამ სილამაზის ჩვენების გასაოცარ სიმაღლეს აღწევს. ერთიცა და მეორეც მკითხველის ფანტაზიაზე ახდენენ გავლენას სილამაზის შედეგის მიხედვით, რისთვისაც მიმართავენ შედარებას, პარალელს, მეტაფორას, მოქმედებას. ილიაც ასე იქცევა. რამდენიმე ნიშანს გვიჩვენებს, შემდეგ კი ყველაფერს აღწევს შედარებით, პარალელით, მეტაფორით, მოქმედებით.

როგორც XII, ისე XIII თავებში, სადაც მწყემსი ქალის გასაოცარი სილამაზეა ნაჩვენები, ყველაფერი ამ შემოქმედებით პრინციპს ემორჩილება, ყველაფერი მოქმედებაშია გაშლილი. ეს „გასაოცარი შვენება“ ზის ცეცხლის პირას „ნაზად, ამაყად“, როგორც „შველი ყელმოღერებით“, „შავი თვალები“ ისე სავსე აქვს ადამიანური სითბოთი, რომ თვით ცეცხლიც „სითბოს ეცილება“, როგორც რუსთაველის „თინათინ მზესა სწუნობდა, ხოლო მზე თინათინობდა“. იმდენად ძლიერი იყო მწყემსი ქალის „შავ თვალთაგან“ მომდინარე სითბო, რომ თვით ცეცხლის შუქი, შეცილებაში დამარცხებული, „ვითა ძლეული უკუჰკრთებოდა“. მაგრამ არა მარტო ცეცხლი, თვით „მადლი ტრფობისა“, თუ მოისურვებდა „ხორცსხმულად“ ევლო ოდესმე ამ ქვეყნად, ვერ ინატრებდა „უკეთესს სახეს“, ვიდრე მწყემსის ქალს ჰქონდა:

„ოჲით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 191.

დახე მის ტეჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწუნარდება“.*

ასეთი ჯადოქრული სილამაზის წინაშე, როცა გააფთრებული მხეციც კი იძულებული ხდება „დატკბეს და დაწუნარდეს“, განდეგილი როგორღა გასძლებდა? მაგრამ პოეტს რომ სილამაზით მწირის მოხიბლვა ერთბაშად ეჩვენებინა, მაშინ არარაობად იქცეოდა წინანდელი დახასიათებანი ათეული წლების მანძილზე სულის უკვდავებისათვის ხორცის გვემისა. თუ არ მოიხიბლებოდა, მაშინ როგორღა დაგვეჯერებინა მწყემსი ქალის „გასაოცარი შვენება“, რომლის წინაშე ცეცხლი „უკუ-ჰკრთება“? თვით „მადლი ტრფობისა“ უკეთეს სახეს რომ ვერ პოულობს „ხორცსხმულად“ ყოფნისათვის? შური და მტრობა ვერავითარ ნაკლს რომ ვერ აღნიშნავენ, ხოლო გააფთრებული მხეციც წუნარდება? ეს ყოველი კითხვები სავსებით ბუნებრივ გადაწყვეტას აღწევენ, როცა პოეტი გვეუბნება, რომ განდეგილიც. „მწყარალი, გულმშრალი“, რომელსაც ხორციელი ვნება სრულიად დამცხრალი აქვს, „დაუწყნარდა ძალს შვენებისას“. მაგრამ ეს არ იყო არც მოხიბლვა. არც დატყვევება, არც დამარცხება. განდეგილმა მხოლოდ „უცოდველის გ უ ლ ი ს ტკივილით ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თ ვ ა ლ ი“. მარტოოდენ თვალი შეიქნა „ტყვექმნილი“, და არა „უცოდველი გული.“ თვალისა და გულის ამ შეპირისპირებით, რასაც უფრო ადრე დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ მა „ქაცვია მწყემსში“ მშვენიერი საგალობლები მიუძღვნა,** შესანიშნავად წყდება პრობლემა განდეგილის პირველი შებედრისა მწყემსი ქალის სილამაზესთან. თ ვ ა ლ ი მაცდურია, გ უ ლ ი მართალი—ასე წყვეტდა საკითხს ქრისტიანობა. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ამ აზრს იმეორებდა. ხოლო, რაკი განდეგილის თ ვ ა ლ ი შ ე ი ქ ნ ა „ტყვექმნილი“, და არა გ უ ლ ი, ეს მხოლოდ ს ა ნ ა ხ ე ვ რ ო შ ე ც დ ო ა იყო მწირის რელიგიური არსებისა, რასაც იგი ჯერ ვერ გრძნობდა. მაგრამ პოეტმა ჩვენ უკვე გვაგრძნობინა, რომ მომავალი რაღაც უბედურება განდეგილის არსებაშიც შ ე ი ჭ რ ა, ჯერ სუსტად, თითქოს შეუცნობლად, თუმცა რეალური სიხით. შეძლებს თუ არა მაცდური თ ვ ა ლ ი შეაცდინოს გ უ ლ ი ც? ამას ჩვენ ქვევით დავინახავთ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ღრო და პირობები, რასაც პოეტი ასე კარგად გვისურათებს.

აქედან იწყება განდეგილისა და მწყემსი ქალის დ ი ა ლ ო გ ი, რომელიც პოემის იდეურ ღერძს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევეხოთ ამ მაგისტრალურ თავებს ილიას თხზულებისა.

პოემის XIV თავში, განდეგილის კითხვაზე, თუ ვინ არის მისი სტუმარი, ირკვევა, რომ მწირს თავშესაფარი სთხოვა მწყემსმა ქალმა. იგი მთის კალთებზე მამის ცხვარს აძოვებდა, ცხვრის ფარას ზევით ამოჰყვა და არავითარ შიში არ უგრძვნია. რაკი ლამაზი საღამო იყო, ირგვლივ ყველაფერს „ჰშვენოდა მზე დამავალი“. ამ მშვენებამ ახალგაზრდა მწყემსი ქალი თურმე იმდენად მოხიბლა, რომ თვალიცა და გულიც მოსტაცა, დაავიწყა მამის ნათქვამი — მყინვარს ნუ

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ტ. I, 1937 წ., გვ. 191—192.

** დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები“, ტ. IV, 1963 წ., გვ. 48.

ენდობი. საშიშია, „ნაბავ. მზე ადგას, უცებ გაწყურება და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარსო". მაგრამ ადამიანს ხომ არ შეუძლია თავის გულს უთხრას—„კარგ სანახავზე" დახარბებული ნუ ხარო. როცა ბუნების სილამაზით ვერთობოდი, — ჰყვება მწირის სტუმარი,—მყინვარმა „თურმე უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი", „ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა", ხოლო მთიდან ცივი ქარი ამოვარდა. „ჰოვინდომე ცხვრის გამობრუნება", მაგრამ გვიანღა იყო, ველარაფერი მოვასწარი, ავდარმა ხელი შემიშალა, სეტყვამაც წამოუშინა, ცხვარი დამიფრთხო, მიშველება ვერ შევიძელი, „ბნელაში ფეხიც" წინ ვერ წავსდგი. ეს მთა მართლაც უნდობი ყოფილა, „უცებ სცოდნია ჩამობნელება". სამოთხესაც ასევე მოულოდნელად ჯოჯოხეთს ამსგავსებს, „უცებ გიტყობს და უცებ აფთრდება". ვნანობ, რომ მამის ნათქვამი სიტყვა გავტეხე. „ახია ჩემზე, რაც დამემართა". მართალი ყოფილა თქმულება— „მამის ურჩსაო... გზა თურმე არსად არ წარემართა".

მწყემსი ქალი წუხს, რომ ცხვარი დაღუპა. მისი მწარე განცდები, მისი თავგადასავალი პოეტმა ისე მხატვრულად, ლაკონიურად და შთამბეჭდავი ძალით გადმოგვცა, რომ უმჯობესია პოემის ეს ადგილები (XVI და XVII თავები) მოვიტანოთ, ვიდრე შევეცადოთ საკუთარი სიტყვებით გადმოცემას. ჩვენი თბრობა უფრო გრძელი იქნება, ამ თავებში კი ყველაფერი მოკლედ, თან ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით არის გადმოცემული. მწყემსი ქალი ასე ვალალებს თავის უბედურებაზე:

„დავღუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსაყალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავღუპე,—ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო პლოდა.
ჰკეკქდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთაც ძირიც იძროდა, ძრწოდა.
ოა შექნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ესთქვი,—აქაც დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გაებედო და წავიდე შინა?"*

მწყემსი ქალის უმწეო მდგომარეობას მყინვარის სტიქიონთა ფონზე ილია იმიტომ გვიხატავს ასე დაწვრილებით, რომ გაამართლოს განდეგილთან მისი მისვლა, როგორც უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული, მეორეს მხრივ კი მოგვცეს ქართული მთის მხატვრული აღწერა. ამ აღწერაში ისიც ნათლად ჩანს, თუ რამდენად სპეციფიკა მთა და რამდენად მკაცრ

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 193.

პირობებში უხდებათ ცხოვრება მთიელებს — ბუნების ამ ამაყ შვილებს. მათი სული ბავშვობიდანვე იწვრთნება მთის მრისხანებაში და ხასიათიც მთასავით მაღალი, მთასავით მკაცრი ეზრდებათ. ისინი მთის სილამაზესაც იმდენად ეჩვევიან, იმდენად შეიყვარებენ ხოლმე, როგორც ბუნების სტიქიონთან ბრძოლას. ახალგაზრდა მწყემსი ქალიც მთიელია, მის არსებაშიც მთიელის ყველა თვისება—ენერგია, ძალა, სილამაზე, გამბედაობა, უშიშრობა — ნათლად ჩანს. ამიტომ მოიხიბლა იგი მყინვარის სილამაზით, ამიტომ დაავიწყდა გაფრთხილება—მთას ნუ ენდობიო, ამიტომ გამოიჩინა სულის სიმტკიცე სტიქიონის აფრებში მოქცეულმა და გაბედა საშიში გზებით, ბნელაში გზადაკარგულმა, შინისაკენ წასულიყო. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მას უმალ არ მიუღია. ბნელაში დარჩეს, ბედს მიუნდოს, თუ შინ წავიდეს? — ეს კითხვა დაისვა ახალგაზრდა, ჯერ გამოუცდელი, მთიელი მწყემსი ქალის წინაშე და პოეტმა შესანიშნავად გვიჩვენა ამ დილემის მთელი არსება, როცა თავისი გმირი ასე აამეტყველა:

„დავრჩენილიყავ, მერე ვინ იცის
გავაღწევდი-ღა ამ ღამეს ბედშავს?..
წაესულიყავ და ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩხდი თავს..
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვსთქვი, რაც მომიეა, დე მომიცდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრეულა
და მოვსდგომივარ მონატრას ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მიეხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ ხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, — ვაშე თუ ვერ გაეგონო
და აქ მოშიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“.*

მაგრამ ამ მადლობას მწირი თვითონ არ ისაკუთრებს. განდეგილები ყველაფერს ღვთაებას მიაწერენ, ყველაფერს ღვთაების ნებით განმარტავენ და ილიას მწირიც თავის სტუმარს ეუბნება: შენს დახსნას მე ნუ მიმადლი, ყველას მშველელი და მხსნელი ღმერთია, თუ მან არ გასწირა ადამიანი, ხსნას ყველგან ჰპოებსო. „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე“,—ეუბნება მწყემსი ქალი განდეგილს. ეს უკანასკნელიც პასუხს არ აყოვნებს: ნუ გეწყინება, მაგრამ სხვანაირად როგორ უნდა მეფიქრა, სხვა ვინ უნდა მოსულიყო „ერთ დავიწყებულ და განდეგილ მწირთანო“. როცა ამ პასუხს გაიგონებს, მწყემსი ქალი, რეალური ცხოვრების ღვიძლი შვილი და მისივე წარმომადგენელი, რომელიც ასკეტთან შემთხვევით მოხვდა (ეს იყო შემთხვევისა და აუცილებლობის ერთიანობა, მისი ბუნებრივი შედეგი), გაოცებული შეეკითხება თავის მას-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 193—194.

პინძელს: „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს, ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“ მწყემსი ქალისათვის წარმოუდგენელია ადამიანი სრულიად მოწყვეტილი იყოს მისივე მსგავს ადამიანებს. არავინ ჰყავდეს ამ ქვეყნად, არც ნათესავები, ძმა ან და! მაგრამ მწირი სწორედ ასეთია: ყველა მყავდა, მაგრამ ყველას გამოვეთხოვე, აქ მოვედი და „ღმერთს შევწირე თავიო“,—ამბობს განდეგილი. ეს თავის შეწირვა იმდენად ფანატიკურია, რომ მწყემსი ქალის შეკითხვაზე—„მას აქეთ რამდენი წელიწადიაო“,—განდეგილი პასუხსაც ვერ ახერხებს: არ ვიცი, არ ვთვლი წელიწადებს, რაკი წუთისოფელს მოვშორდი, მის ამთასველას „რაღას ვაქნევო“.

მწყემსი ქალი მაინც დაეჭვებულია, რომ განდეგილი „სულ მარტოკა“ ცხოვრობდეს. მწირი კვლავ უდასტურებს—დიახ, მარტო ვარ, ღვთის ნება „ეგეთი არისო“. მაგრამ ცხოვრების შვილს კიდევ უფრო აოცებს განდეგილის პასუხი. მწყემსი ქალისათვის სრულიად უაზროა, თუ რატომ უნდა სურდეს უზენაესს „ამ ყინულებში ყოფნა კაცისა“. ღმერთო, ნუ მიწყენ და ნუ გამკიცხავ მე უმეცარს „მეტის თქმისათვის“, მაგრამ ეს ჩემთვის გაუგებარია. თუმცა მამისაგან გამიგონია, რომ იქ, მყინვართან, ყინულებში კაცი ცხოვრობს, სულისათვის ხორცი შეწირული აქვს, უწუთისოფლოდ მარტო სძლებსო. ეს ამბავი მე გამკვირვებია და მიფიქრია: ასე ცხოვრება „რას არგებს სულსა?“ ნუთუ ღვთაებას სწყინს, რომ ადამიანი შეჰხაროდეს თვით ღვთაების მიერ შექმნილ ქვეყანას? თუ სწყინს, მაშინ სადღაა ყოველივეს აზრი? მაშინ უზენაესმა რად მორთო:

„ეს ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!“*

ეს ერთი უმშვენიერესი ადგილია პოემაში და შესანიშნავად გამოხატავს ქრისტიანული რელიგიის ჰეშმარიტებაში ცხოვრების ლაღი შვილის ბუნებრივ დაეჭვებას. საკმარისია ელემენტარული გონების თვალით განვსჭვრიტოთ ასკეტიზმის დოგმატები, რომ მათგან არაფერი აღარ დარჩეს. ცხოვრებაზე ხელის აღება, რასაც ქრისტიანული ასკეტიზმი ჰქადაგებდა, ერთ-ერთი ძლიერი შინაგანი წინააღმდეგობა იყო კონფესიული მოძღვრებისა, მაგრამ ამგვარი წინააღმდეგობანი ხომ უთვალავია ისეთ მოძღვართა წიგნებში! მწყემსმა ქალმა ეს არ იცის, მაგრამ კარგად ესმის, რომ ადამიანის უდიდესი ბედნიერება თვით რეალურ ცხოვრებაშია და ამიტომ ცდილობს განდეგილს მოაგონოს პრაქტიკული ყოფიერების სილამაზენი. როგორც გამოცდილი მასწავლებელი, ისე მიმართავს ახალგაზრდა მწყემსი ქალი მასზე ბევრად უფრო ხანდაზმულ მწირს:

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ პირია და იქ კი ლხინია.

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 195.

ნუთუ თეისტომი, ტოლი და სწორი
უყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არაფისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!"*

მწყემსი ქალის ამ მშვენიერ კითხვებში, რომლებიც განადიდებენ რეალურ ცხოვრებას, ბრწყინვალედ არის მოცემული ასკეტიზმის პრაქტიკული კრიტიკა. მთის მკაცრ პირობებში ცხოვრება მწყემს ქალს ვერ აიძულებს წუთისოფლის სიტკბო არ განადიდოს, განდეგილის სენაკი სიკვდილად არ მიიჩნიოს, ჰირს არ შეადაროს, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრება, ათასგვარ განსაცდელთან დაკავშირებული, ლხინად და სიცოცხლედ არ აღიაროს. მწყემსი ქალი აქ იმავე შეხედულებებს გამოთქვამს, რაც ილია ჭავჭავაძემ უფრო ადრე „მგზავრის წერილებში" გვითხრა, როცა მყინვარისა და თერგის, დღისა და ღამის შედარება მოგვცა. გახსოვთ ეს უბრწყინვალესი ადგილები? ჩვენ ისინი მოტანილი გვაქვს „მგზავრის წერილების" კრიტიკულ გარჩევაში, მაგრამ აქ მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიებთ. მიუხედავად დიდებულებისა, მყინვარი არ მიყვარსო, — თქვა ახალგაზრდა პოეტმა. „აბა, რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ჭროლვა, ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია". თერგი კი სხვაა. „მიყვარს თერგის ზარიანი ხეული, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელი ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ციცა—როგორც უკვდავება და ჩუმია — როგორც განცხრომა".** თერგი კი მოძრაობისა და სიცოცხლის განსახიერებაა. პოეტს ორივე უყვარს—მოძრაობაც და სიცოცხლეც. ამიტომ სძულს, ეჯავრება ღამე, უადამიანო, უშფოთველი, მიძინებული, მშვიდობიანი და ბნელი. მართლაც, „ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა!"***

სიცოცხლის, მოძრაობის, ცხოვრების ეს დიდი საგალობელი ძალიან წააგავს მწყემსი ქალის ასევე მშვენიერ ჰიმნს წუთისოფლისადმი და ერთხელ კიდევ მოწმობს ილია ჭავჭავაძის იდეურ თანმიმდევრობას, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობდით მისი ცხოვრების გადმოცემისა და მისივე ლექსების განხილვის დროს. ასკეტიზმის დაგმობა, როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ „მგზავრის წერილებში" მოუცია, ხოლო „განდეგილით" მისთვის უკვდავი ძეგლი აუგია. მწყემსი ქალი „მგზავრის

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 195.
** ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 16.
*** იქვე, გვ. 18.

წერილებში" წარმოსახული ცხოვრებისეული იდეების თითქოს ცოცხალი განსახიერება იყოს, ადამიანად ქცეული, ხოლო მწირი, მყინვარივით ცას შეკედლებული, ღამის ორეულს წარმოადგენდეს. პირველი დღეა, მეორე—ღამე. პირველი თერგია, მეორე — მყინვარი. პირველი ცხოვრების შუაგულია. მეორე—ცხოვრებისაგან განდგომა. პირველი ტრფობაა, მეორე — ძაგება. ორი დაპირისპირებული პოლუსია, რომლებსაც შემაერთებელი მერიდიანები დაუკარგავთ.

როგორ მოხდა ეს საბედისწერო გათიშვა? პირველს არ ესმის, ვერ გაუგია და მეორისაგან პასუხს მოითხოვს. მწირის პასუხი კი ასეთია: „რა გითხრა, შვილო? ყველაზე უფრო სული ტკბილია, იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია". ამ ფილოსოფიურ პასუხში კვლავ განდიდებულია არა ცხოვრებისეული, არამედ მეტაფიზიკური, ქრისტიანული დოქტრინით შებოჭილი სული, რომელსაც წუთისოფელი ბორკილად მიაჩნია, და ტყვეობას რომ თავი დააღწიოს—მისგან გარბის, როგორც ბორკილისაგან. თუ ასეა. მაშინ ყველა ადამიანი, ვინც „ქვეყნად არის", ე. ი. წუთისოფლის ტყვეა. წაწყმედილია და თავის სულს ვერაფრით ვერ იხსნის?— ასე აყენებს კითხვას მწყემსი ქალი. განდეგილი უპასუხებს, რომ „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსაო".

მაგრამ ეს პასუხი ხომ იმის გამჟღავნებაა, რომ მწირს, რომელსაც ხორცი დაუგმია, სული უხსნია და ღვთაებისათვის ყველაფერი შეუწირავს, ბედნიერება მაინც ვერ უპოვია, რაკი თავისი თავი უბედურად მიაჩნია. ჰვითონაც უნდა გაჰკვირვებოდა ასეთი პასუხი, როგორც უკმაყოფილების გამოხატულება, და განდეგილიც კატასტროფული სისწრაფით მიხვდა, რომ რაღაც „საშინელება" ჩაიდინა:

„უბედურსაო"?! და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო"?!.. ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,
და არა ჰკმარის,რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმეს სდებს შემოქმედსა?"* ...!

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 195 — 196.

ეს შინაგანი ქენჯნა, თვითანალიზი და სულიერი ღელვა განდეგილის არსებაში არაუეჭს უველაფერს, რაც ცოცხალი შერჩენია. განა შეიძლებოდა თანამედროვე ოდნავი უკმაყოფილება გამოეთქვა ადამიანს, რომელმაც ბედნიერების დაკარგვად კი არა, უკვდავებად და ცხოვრების ერთადერთ აზრად მიიჩნია ის, რაც გააკეთა — საწუთროების დაძლევა? აქამდე ის ხომ ყოველთვის კმაყოფილი იყო, რომ მოიპოვა სულის სიმშვიდე, მუუდროება, ცხოვრებას განუდგა, შეიძლო ხორცის, გულისთქმისა და ვნების დამარხვა. ამით მან სულს დაუდგა წმინდა საყდარი უკვდავებისა". თუ ასე იყო, საიდან გაჩნდა, როგორ „მოადგა ენაზედ" ეს „უბედურსაო!" ეს სიტყვა ხომ სულთქმაა. აღმოკვნესაა იმ ადამიანისა, რომელმაც ბედნიერება დაჰკარგა? მაგრამ, რა ბედნიერება უნდა დაეკარგა განდეგილს, რომელსაც აქამდე ღრმად სწამდა, რომ ბედნიერება კი არ დაჰკარგა, პირიქით, ხორცის ხანგრძლივი გვემითა და უზენაესისადმი ცრემლმორეული ლოცვით ეგონა უკვდავება მოვიპოვეო? მაშინ ბუდის ეს ჩივილი ვინ შთააგონა, ვინ დაუდო სათავე ქვეყნის დათმობით კამოწვეულ სინანულს? რამ აიძულა იგი საყვედურის მსგავსი რაღაც ეთქვა შემოქმედისათვის? ამით ხომ ათეული წლების ტანჯვა, ლოცვა-ვედრება, სულის განდიდება არარაობად იქცევა? ნუთუ ამ გზას დაადგება მწირი, რომელმაც ესოდენი მისცა უზენაესს და მისგანაც ესოდენი წყალობა მიიღო? არა. ეს შეუძლებელია, და განდეგილი თვითონვე ამბობს თავის გულში:

„არ შეკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირაეს სულს შეყვედრებულსა!
ვით არ იქმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა".*

მაგრამ ირგვლივ არავინ ჩანდა, არავინ იყო მტერი, არც ცოცხალი არსება, გარდა ცეცხლის პირას მიძინებული მწყემსი ქალისა, რომელიც სტუმრად მიიღო, შეიფარა და რომელსაც საუბარი გაუმართა.

ილია ჭავჭავაძემ დიდი ფსიქოლოგიური დაკვირვებით, შემოქმედის ტაქტითა და მაღალი ოსტატობით დაგვიხატა განდეგილის შინაგანი ჰიდილი, აზრისა და გრძნობის, სულისა და ხორცის, გონებისა და ვნების ორთაბრძოლა. მწირის სულიერი ქვეყნის განვითარება, მის არსებაში მომხდარი ცვლილება მას შემდეგ, რაც ცხოვრებისაგან გაქცეული ცხოვრებაზე შეყვარებულს შეეჯახა, ჩვენ სავსებით ნათლად წარმოგვიდგება. სავსებით დამაჯერებელი გვეჩვენება. აფორიაქებული სული განდეგილისა ეძებს მტერს, რომელმაც შეაცდინა, მაგრამ ვერ ხედავს, თვალი კი ხარბად ეწაფება ცეცხლის პირას მიძინებულ მშვენებას. მისი აღწერა თითქოს აღარ უნდა ყოფილიყო საჭირო, რაკი ერთხელ, XII და XIII თავებში პოეტმა უკვე მოგვცა ცეცხლის პირას მიმჯდარი ახალგაზრდა მწყემსი ქალის გასაოცარი სილამაზე. მაგრამ, თუ აქაც ვხედებით ანალოგიურ სურათს, ეს არ არის არც განმეორება და არც ზედმეტობა. თავდაპირველად სხვა სიტუაცია იყო, ახლა კი სრულიად

* ილია ჭავჭავაძე, ტ. 1, 1937 წ., გვ. 196.

სხვაა; სტუმარი მიძინებულია, ხოლო განდეგილი პირველად გრძნობს ცოდვას, რაკი თავის თავს უბედური უწოდა. მისი აფორიაქებული არსება პირდაპირ აღმოჩნდება უჩვეულო სილამაზის წინაშე:

„საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე,იგი მშვენება!..
თითქოს მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლმა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღწევზედ დაულეია“.*

ამ სილამაზის ხილვამ განდეგილს აფორიაქებული სული დაუმშვიდა. მისი თვალი კვლავ „ტყვექმნილი“ შეიქნა და მწირმა ჯერ კიდევ ვერ შეიცნო, თუ „რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს“. ისიც ვერ გაიგო, „ის სახე ატკბობს, თუ ეოცება“. სურს მოერიდოს, განშორდეს, მაგრამ თვალი არ ემორჩილება, არ ნებდება. დიდხანს დასცქერის მომაჯადოებელ მშვენებას. გრძნობს რაღაც ნელსა და თბილ სხივს, რომელიც „გულს ჩაეფინა“. არ იცის კი რა არის ეს—ძრწოლაა? მაგრამ, მაშინ რად არის ასე საამო და ტკბილი? ან გული რად უცემს უცნაურად? წინათაც ხომ ჰქონდა გულისცემა, მაგრამ ეხლა სულ სხვა გამხდარა—მისი გული თითქო ებანს სცემს და გაისმის „ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა“. საბრალო მწირმა პირველად განიცადა უცნაური გრძნობა და მისი არსების დამცხრალი შინაგანი ძალები ერთბაშად გაცოცხლდნენ. „როგორ იწამოს და რა დაარქვას ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბოებას?“ ნუთუ ეს არის ცოდვა? მაგრამ, თუ ნამდვილად ცოდვაა, მაშინ რატომ ჰგავს იგი „სულისთვის აღთქმულ უკვდავებას?“ ეს სრულიად აუხსნელი და შეუცნობელია, მწირს არ შეუძლია მისი გაგება. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ ფეხი წინ წადგა, თუმცა ესეც არ იცის—რატომ და რისთვის? მძინარე ქალის ღიმილით გაპობილი ბაგე, რაღაც გრძნეული ჯადო ამ ღიმილისა, „ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა“. ამ მაცდურებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ „ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა“. როგორღა შეეძლო გაძლება საბრალო მწირს? და ისიც მოტყდა, მძინარე ქალისაკენ საკოცნელად თავი დახარა. მაგრამ...

-უცებ გაშეშდა... ეჰა. წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ ძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდის სწყურდეს..
არა და არა!.. არ ეიურის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!“**

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 196.
** იქვე, გვ. 197.

არ დაუთმობს! განდეგილს ხომ მტკიცე ნებისყოფა აქვს, ათეული წლები გადაუტანია ხორცის გვემაში და განა ერთ წუთს შეუძლია მისი მოდრეკა? არა, ეს შეუძლებელია—ასე სურს დააჯეროს თავისი თავი, მაგრამ მწირს, რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილს, ეშვი უღრღნის აფორიაქებულ სულს, რაღაც იდუმალი ხმა ჩასძახის, რომ იგი უკვე წაწყმედილია, ვიღაც გახარებული მის მკვდარ გულში გაჰკივის — „დაგძლიე თუ არ!"... განდეგილს რაღაც ხარხარი ესმის, ვიღაც დასცინის, ირგვლივ თითქოს ლხენაა და მან ვერ გაარკვია — მართლა ასეა, თუ ყველაფერი ეს „მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!" გაოგნებული და უკვე შეძრწუნებული მწირი, რომელმაც უკვე განიცადა ძლიერი სულიერი ტრავმა, ეძებს ხსნას, ეძებს შველას, შიშითა და ზარით ირგვლივ იხედება, მაგრამ კვლავ არავინ არის, გარდა მძინარე ქალისა. „უცებ ძრწოლით, კანკალით პირქვე დაეშხო" ხატის წინ. მაგრამ ამანაც არ უშველა. ქენჯნა, ძრწოლა, შიში და ზარი კვლავ გრძელდება. კვლავ დაუსრულებლად ისმის „ნიშნგების წყეულთ ხარხარი". მთელი მისი არსება შეუპყრია სულისა და გულის ბრძოლას. სული ეწევა გულს ლოცვისაკენ, მაგრამ გული არ ნებდება; ლოცვა-ვედრებით განდეგილს სურს ღვთისმშობლის საფარველ ქვეშ წყეული ხორცი დააწყნაროს. ბოლოს, როგორც იქნა...

„ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მაცდრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი. წმინდა ღვთის-მშობლის ნაცელად,
თვალ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ ან ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა—ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!.." და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ეეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში".*

განდეგილის სულიერი ღელვა კულმინაციურ წერტილს აღწევს. საერთოდ, საშინელია შეგრძნება იმის დაკარგვისა, რაც შენი ცხოვრების უმაღლეს მიზნად მიგაჩნდა, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ფანატიკურად ემსახურებოდი, რაც გწამდა, გიყვარდა, რასაც უმაღლეს ჭეშმარიტებად სახავდი. კიდევ უფრო ამაზრზენია ამის შეგნება განდეგილისათვის, რომელმაც ბრმა გატაცებით მიიღო მწირის ცხოვრება, აბსოლუტური შეურყეველობით ემსახურა სულის უკვდავების ქრისტიანულ-დოქტრინას, ათეული წლების განმავლობაში იტანჯა და იწვალა ყრუ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 198.

ლებში მარტოდ-მარტო დარჩენილმა. მისი სულიერი კატაკლიზმები ილია ჭავჭავაძემ ისე თანმიმდევრულად გვიჩვენა, რომ „განდეგილი“ მსოფლიო ლიტერატურაშიც შედევრად უნდა ჩაითვალოს ანალოგიურ თხზულებათა გვერდით. „განდეგილი“ ერთი უმშვენიერესი თავია კაცობრიობის მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

ჩვენ უკვე ვუახლოვდებით პოემის დასასრულს. კვანძის გახსნას, რაც ამთავრებს მწირის ტრაგედიას. ეს აღსასრული პოემა მისთვის ჩვეული ოსტატობით დაგვიხატა. ილია მოერიდა გარეგნულ ეფექტებს. ხასიათების თანმიმდევრული ჩვენების ერთგული, იგი ბოლომდე დარჩა ამ შემოქმედებითი პრინციპის დამცველად. პოემის უკანასკნელ სწრაფ XXVII თავში მან მოგვცა სენაკიდან გარეთ გავარდნილი მწირის სახე. სურათი იწყება გარიჟრაჟით, როცა უღრუბლოა ცა. ხოლო დაწუნარებულ წუთისოფელს დილის ნიავი ეალერსება. სალ კლდეებში განდეგილი დარბის თმაბურძგნული და სიკეთილივით გაფითრებული. უცებ იგი შივარდება „ზღუდის პირს“. საიდანაც გასცქერის მთის წვერს. თითქოს იქიდან მოელოდეს „თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა“. განდეგილი ელოდება მზის ამოსელას, მაგრამ ეჩვენება, რომ „არ ამოდის“, „იგვიანებს“. მისთვის წინათ უამიც კი „არარა იყო“, ხოლო ახლა წუთიც უძნელდება. ბოლოს, „ამოვიდა მზეც“. გახარებული მწირი მსწრაფლ უკუ-იქცა. სენაკში შევარდა, დაინახა. რომ უზენაესის წყალობა არ დაუკარგავს—მზის სხივი სეეტად კვლავ იყო სარკმლიდან გადმოშვებული:

-გელზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგი ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მოვარდა ლოცვას, დააყრდო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული“.*

მწირის ასეთი კატასტროფული აღსასრული სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან მას არ შეეძლო ხანგრძლივად განეცადა თავს დატეხილი უბედურება. ფანატიკურად გატაცებულ ადამიანს, თუ ყველა იდეა ერთბაშად დაეღუპა, უეცარი სიკვდილია ასცდება. განდეგილი კი სწორედ ასეთი ფანატიკოსი იყო. ცხოვრებას ისეთივე მტკიცე ნებისყოფით განშორდა, როგორი სიმტკიცეც ასკეტური წესების დაცვაში გამოიჩინა. სულის უკვდავებისათვის არაფერს არ შეუშინდა. ქრისტიანული რელიგიის ბრმა მსახური, იგი როდი გრძნობდა, რომ მოტყუებული იყო. პირიქით, ეგონა ხორციელ ცხოვრებაზე გაიმარჯვა, დასთრგუნა წარმავლობა და უკვდავებას უზიარა. უკვდავება კი მას წარმოდგენილი ჰქონდა. როგორც უზენაესის ნება, რომლის დამსაბურებისათვის ასკეტური დოგმების თანახმად ხორცის შეწირვა იყო აუცილებელი. ამიტომ, ხორციელ ცხოვრებას, „უწმინდურების სადგურს“ განშორებულმა შე-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937, გვ. 199.

ძძლო ათეული წლების მანძილზე ვნება დაეცხრო, არარაობად ექცია, მაგრამ, როგორც კი ეს ცხოვრება მის წინაშე რამდენიმე საათით გამოცხადდა, განდეგილის არსებაში მიძინებული ვნებები ერთბაშად, ჯერ შეუცნობლად, შემდეგ კი მთელი ძალით ამოქმედდნენ. ამით დამარცხდა ასკეტური იდეალი, გატყდა განდეგილის ნებისყოფა, გაიმარჯვა ცხოვრებამ, როგორც ერთადერთმა გონივრულმა საწყისმა ადამიანის არსებობისა.

პოემის ფინალში ერთხელ კიდევ ხაზგასმულია განდეგილობის არარაობა, როცა პოეტი მეუდაბნოეთა სადგურს გვიხატავს, როგორც ნანგრევთა და ნატამალთა გროვას, რომელსაც დაჰპატრონებია მარტოოდენ ჭექა-ქუხილით დამფრთხალი ნადირი:

„და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთის მსჯავრის და ჯვშარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიძართ
მსხვერპლი ქებისა და ლაღადების,—
ან შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ჭარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის“...*

განდეგილის დამარცხება, მისი სენაკის გავერანება საზოგადოებრივი ცხოვრების გამარჯვებისა და ასკეტიზმის უმწეობის დადასტურებაა. ადამიანი საზოგადოების წევრია და საზოგადოების გარეშე არსებობა არ შეუძლია. ილია ჭავჭავაძის პოემაში ისიც მშვენივრად არის ხაზგასმული, რომ თუ ასკეტური იდეალების დაცვაში ისეთი მტკიცე ნებისყოფის ფანატიკური ადამიანი დამარცხდა, როგორიც განდეგილი იყო, მაშინ სხვა როგორღა შეიძლებდა გამარჯვება მოეპოვებინა? ასკეტიზმი, საერთოდ, უგუნურებაა, ცხოვრება ყოველთვის გაიმარჯვებს განდეგილობასთან ბრძოლაში. სრულიად უეჭველია, ლუთერი მართალი იყო, როცა ებრძოდა ასკეტიზმს და ამბობდა: „ვინც ეურჩება ბუნებრივ მოთხოვნილებას და უარყოფს იმას, რასაც ბუნება მოითხოვს და უნდა მოითხოვდეს, მას მხოლოდ უნდა, რომ ბუნება ბუნება არ იყოს, ცეცხლი არ წვავდეს, წყალი არ ასველებდეს, ადამიანი არ ჭამდეს, სვამდეს და იძინებდეს“.** განდეგილი ეურჩებოდა ბუნებრივ მოთხოვნილებას, უარყოფდა იმას, რასაც ბუნება მოითხოვდა, ამით იგი თვით ბუნებას აუქმებდა. მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო მოხდა: განდეგილმა ბუნება ვერ გაუქმა. ბოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო. ბუნების უარმყოფელი თვით ბუნებამ უარჰყო, რითაც ერთხელ კიდევ დაამარცხა ასკეტიზმი, როგორც ანტიადამიანური და ანტისაზოგადოებრივი ფენომენი.

ასეთ პოზიტიურსა და მაღალ იდეებს გამოხატავს „განდეგილი“, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, იმდროინდელი კრიტიკა ღრმად ვერ ჩასწვდა ილია ჭავჭავაძის ამ უმშვენიერეს პოეტურ ნაწარმოებს: თუ მის შეფასებაში ძალიან ნიჰილური ბოსლეველი დაიბნა, ადვილი წარმოსადგენია რა შეეძლო გაეკეთებინა მასზე უფრო მდარე კრიტიკოსებს ან ლიტერატურის მიმომხილველებს.

ერთერთი პირველი განხილვა „განდეგილისა“ ივანა მეუნარგიას ეკუთვნის. მართალია, მან ბოსლეველზე მეტი გააკეთა ჩვენი ლიტერატური-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 200.
** მოგეყავს ბებელის მიხედვით, „დედაკაცი და სოციალიზმი“, გვ. 156—157.

სათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში არანაკლები მცდარი დასკვნების ავტორობაც დაიმკვიდრა. 1883 წლის „კავკაზის“ 53-ე ნომერში მეუნარგიამ დაბეჭდა განდეგილის განხილვა რუსულ ენაზე,* ილია ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ადგილი მიაკუთვნა ქართულ ლიტერატურაში აკაკი წერეთელთან ერთად, ა ბ ო ლ ი ც ი ო ნ ი ს ტ ე ბ ი ს მომხრედ აღიარა და პოემის ავტორი „წ მ ი ნ დ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს“ ტაძარში შესულ თავისუფალ შემოქმედად გამოაცხადა. ეს უკანასკნელი დებულება მიუტევებელი შეცდომა იყო, ხოლო მოწონება არარსებული „ახალი ფაზისა“ — წმინდა ხელოვნების იდეით ილიას გატაცებისა—კიდევ უფრო მეტი გაუგებრობა. ბოსლეველი ამაოდ ჰგონებდა, რომ ილია „ცხოვრებას შესწყრა“, ხოლო მეუნარგია ასევე ამაოდ ლოცულობდა, თითქოს „განდეგილის“ ავტორი „წმინდა ხელოვნების“ სამსახურს შეუდგა. ერთი ჰ გ ო დ ე ბ დ ა, მეორე ა ღ ტ ა ც ე ბ უ ლ ი იყო, მაგრამ რეალური საფუძველი, როგორც პოემის ანალიზიდან ჩანს, არცერთს არ ჰქონდა. მეუნარგიამ ერთ-ერთმა პირველმა გაავლო პარალელი ილიას „განდეგილსა“, ლერმონტოვის „მ წ ი რ ს ა“ და აპოლონ მაიკოვის „ქ უ რ უ მ ს“ შორის, აღნიშნა, რომ სამივე ნაწარმოებში მეუდაბნოეა გამოყვანილი, მათი „ცდომილებაა“ ნაჩვენები, მაგრამ იდეური განსხვავება არ უცდია. მართალია, პოემას საერთოდ დადებითი შეფასება მისცა. მაგრამ ზოგიერთი ასეთი შენიშვნა გააკეთა, რაც ჭინაშდეულეს არ შეეფერება: მცხინვარის აღწერაში რაიმე განსაკუთრებით შესანიშნავი არაფერია, მწირის სახე უფერულია, სასწაულის (მზის სხივებზე ლოცვანის დაჭერა) სცენა სუსტად არის დამუშავებული, რით ცხოვრობდა განდეგილი (იოანე ნათლისმცემელის მსგავსი საკვები თაფლი და მკალი ჰქონდა თუ სხვა რამ!) ვერ ვხედავთ, ქარიშხალის ამოტყდომის დროს როდის შევიდა განდეგილი თავის სენაკში ლოცვისათვის—არა ჩანს, ბოლო ლექსიც (მზის ამოსვლა, სასწაულისა და განდეგილის აღსასრული) სუსტი, უფერულია, მთელი პოემის მანძილზე ხშირად გამოყენებული თანდებული ლექსს საერთოდ ელერადობას უკარგავს, ადგილი აქვს მხატვრული თქმების განმეორებებსო და ა. შ. ამ მიკერძოებული შენიშვნების გარდა, მეუნარგიამ წამოაყენა დებულება,რომ, მართალია, „განდეგილი“ დიდი შენაძენია ქართული პოეზიისა, მაგრამ საეჭვოა მას პირველი ადგილი მიეკუთვნოს ილია ჭავჭავაძის მხატვრულ მემკვიდრეობაშიო. ისტორიამ სავსებით დაადასტურა ის უცილობელი დებულება, რომ „განდეგილს“ ნამდვილად მიენიჭა ერთ-ერთი პირველი ადგილი არა მარტო ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, არამედ, მთელ ქართულ პოეზიაში.

მაგრამ რამდენი პარადოქსალური აზრი დაიბადა ამ მშვენიერი პოემის გამოქვეყნებისთანავე! კრიტიკოსმა დავით სოსლანმა თავის „საკვირაო მასლაათში“ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: „პოემა „განდეგილი“ ჩემის აზრით არის ყველაზედ უსუსტესი, რაც კი ბ.ჭავჭავაძის კალმიდან გამოსულა. — წერდა სოსლანი, — უსუსტესია მეთქი, ვიმეორებ, როგორც შინაარსით, ისე გარეგანი ფორმით“,** ილია ჭავჭავაძემ თურმე „განდეგილით“ დაამტკიცა, რომ „იმას ჯერ კიდევ თავის მაღალი დანიშნულება ვერ გაუკვლევია, ის ერის წინ წაძღოლას არ აპირობს და უფრო იმ პოეტსა ჰგავს, რომელიც პუშკინის აზ-

---

* შეტანილია ი. ბოცვაძის მიერ შედგენილ წიგნში „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1957 წ., გვ. 254—265.

** დავით სოსლანი, საკვირაო მასლაათი, „დროება“, 1883 წ., № 60, გვ. 2.

რით „შექმნილია ტკბილ ხმების და ლოცვისათვის“. ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორიც ილ. ჭავჭავაძეა, თავის ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოთ და უმიზნოთ ცხოვრების დასამღერად მომართოს“. ნაწარმოებს არც ეროვნული კოლორიტი აქვს. „ბ. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ შეიძლება იყოს ბერძნებისა, ასურელებისა. რუსებისა და ქართველებისა კი არ არისო“. პოემის ტენდენციაც კრიტიკოსს სულ უკუღმა გაუგია: ილიას ნაწარმოები „ამ სოფლიდან გაცლას და მთის წვერებზედ ლოცვას გვირჩევსო“. მხატვრულადაც არაარაობას წარმოადგენს: თურმე „მთელ პოემაში ერთ ალაგს ვერ შეჰხვდებით, სადაც ის ძლიერი გრძნობა იყოს გამოხატული, რომელიც ჭავჭავაძის სხვა ნაწერებში ისე უხვადა სჩქეფს. თავით ბოლომდე ბალადობაა და ხმელი რიტორებაა“ *.

მაგრამ ამ ნიღილისტური აზრების გვერდით ისმოდა ჰეშმარიტების ხმაც. ერთ-ერთი პირველი, ვინც „განდეგილი“ სწორად გაიგო, როგორც ქართული პოეზიის შედევრი, არტურ ლაისტი იყო. წარმოშობით გერმანელი, მაგრამ სულით ქართველი არტურ ლაისტი „განდეგილს“ უწოდებდა „მშვენიერ პოეტურ ქმნილებას“, რომელშიაც ხედავდა ძველი აზრის თავისებურად (ორიგინალურად) გამოთქმას და ოსტატურად დაწერილ „ახალ სურათებს“. პოემით აღტაცებული ლაისტი წერდა: „მერე რა მშვენიერი ბუნების სურათებია ყაზბეგის ყინულებში დახატული, როგორი ბრწყინვალე დილა და საღამოა აღწერილი, როგორი მშვენიერებაა ყმაწვილი ქალი, როგორი ძლიერია განდეგილის სიყვარული!“** ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი თხზულება ხშირად პუშკინის ნიჭს მოგვაგონებს და ამ ორ პოეტს ერთმანეთთან ბევრი რამ საერთო აქვთო. ლაისტს პარალელისათვის არ დაუსახელებია პუშკინის არცერთი ნაწარმოები, ხოლო „განდეგილი“ ლერმონტოვის „დემონს“ მოგვაგონებსო, შეცდომით მიუთითა. შესაძლოა მას ლერმონტოვის „მწირი“ ჰქონდა მხედველობაში და სახელწოდება შეეშალა. როგორც ზოგჯერ ემართებოდა ქართველი ხალხის გულწრფელ მეგობარს? „მწირთან“ პარალელი, როგორც აღნიშნული გვაქვს, სავსებით გამართლებულია, მაგრამ ლერმონტოვის „დემონთან“ ილიას „განდეგილს“ საერთო არაფერი აქვს.

არტურ ლაისტთან ერთად ილია ჭავჭავაძის პოემას, როგორც მხატვრულ შედევრს, მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ხახანაშვილმა. „განდეგილი“, — წერდა ალექსანდრე ხახანაშვილი, — „უმწიკვლო ნიმუშია უტენდენციო ხელოვნურის ქმნილებისა, რომელსაც ღრმა აზრი ძალდაუტანებლივ შიგ ჩაწნული აქვს“.*** ეს აზრი ისე ცარ უნდა გავიგოთ, თითქოს პოემა უიდეო ნაწარმოები იყოს, ტენდენცია არ ჰქონდეს. ხახანაშვილი ამას როდი ამბობდა. მისი აზრი მხოლოდ ის იყო, რომ ეთქვა: პოემაში იდეა, ტენდენცია ისე ორგანიულად, ძალდაუტანებლად არის მოცემული, როგორც ნამდვილად დიდი ხელოვნების ნაწარმოებს ახასიათებსო. ეს დებულება კი სავსებით სწორია — „განდეგილი“ არამარტო ქართული, მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთი ბრწყინვალე შედევრია, რომელშიაც იდეა, ტენდენცია თვით ნაწარმოების შინაგანი არსებიდან მომდინარეობს და გარედან არ არის მიკერებული.

---

* დავით სოსლანი, საკვირაო მასლაათი, „დროება“, 1883 წ., № 60, გვ. 3.

** არტურ ლაისტი, ქართული ახალი ლიტერატურის ისტორიიდან. „დროება“, 1883 წ., № 264, გვ. 3.

*** ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 112.

ეს მოსაზრება შემდეგ მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურულ ჟურნალებში, რასაც მოწმობს ისეთი გამოჩენილი კრიტიკოსი, როგორიც კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე იყო.

კიტა აბაშიძეს მიაჩნდა, რომ „განდეგილი" დიდებული. გასაოცარი, „ს ა ო ც ნ ე ბ ო ჭ ვ ი ნ ე ბ ა ა", „არა თუ უდიდებულესი ნაწარმოებია იმ სალიტერატურო სკოლისა, რომელსაც ილია ეკუთვნოდა, არა თუ გამომსახველია მთელის მეცხრამეტე საუკუნის ქართველ საზოგადოების მოწინავე ნაწილის ფიქრისა, აზრისა და სულის კვეთებისა, იგი წინასწარმეტყველურის ტენდენციით არის აღსავსე. იგი გამომხატველია მთელის ქართველის ერის კულტურული სახისა, იგი გამომხატველია ქართველის ერის რწმენისა და ფილოსოფიისა". ასეა ნათქვამი იმ კრიტიკულ გამოკვლევაში, სადაც მოცემულია ცდა ილია ჭავჭავაძისა და ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი ს შეხედულებათა ანალიზისა, კერძოდ, გავლებულია განმასხვავებელი პარალელი ო თ არ ა ან თ ქ ვ რ ი ვ ი ს პ ლ ა ტ ო ნ კ ა რ ა ტ ა ე ვ თ ან. არაერთ უმართებულო შენიშვნასთან ერთად, კიტა აბაშიძემ ღრმად გაიგო პ ლ ა ტ ო ნ კ ა რ ა ტ ა ე ვ ი ს ქრისტიანული პასიეობისაგან განსხვავებით ო თ არ ა ან თ ქ ვ რ ი ვ ი ს შეურიგებელი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა. განდეგილში ხორციელის გვემა რომ წინასწარ განწირულია დასაღუპავად, საერთოდ კი „ეს პოემა იმ შედევრს ეკუთვნის, რომელშიაც ერთი წერტილიც არ არის მეტი, რომელშიაც ერთი სტრიქონი მეორესა სჯობს და ეს მეორე—პირველს. მეორე თავის ადგილს უფრო ძლიერია პირველით, ხოლო პირველი უმეორეოდაც მშვენიერია და წარმტაცი".

დასკვნისათვის შეიძლებოდა გვეთქვა, რომ განდეგილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს. დ ი დ რ ო მართალი იყო, როცა „ბუნების შვილის" წინასიტყვაობაში ასე ფიქრობდა, ხოლო რ უ ს ო ცდებოდა საწინააღმდეგო თვალსაზრისს რომ აყენებდა. „ერთი საბელგანძმული ავტორი (დ ი დ რ ო — გ. ჯ.) ამბობს, რომ მხოლოდ განდეგილი ადამიანია ბოროტი, — წერს რუსო. —მე კი ვამბობ, რომ მხოლოდ განდეგილი ადამიანია კეთილი... რომ ბოროტი კაცი მარტოხელა ყოფილიყო, როგორღა ავნებდა იგი სხვებს. მხოლოდ საზოგადოებაში აწყობს იგი ოინებს, რომ სხვას ავნოს".* ბოროტებათა მოსასპობად გზების ძიებაში კაცობრიობა რუსოს რომ გაჰყოლოდა, ადამიანურ ცხოვრებას კიდევ ერთი დანაშაული მიემატებოდა. სულის უკეთავებაზე ფიქრობს, ფანატიკურად გატაცებულია არ არსებული ღვთაებით, თუ საზოგადოებისადმი სიძულვილი ამოძრავებს, ყველა შემთხვევაში განდეგილობა ეგოიზმია, ხოლო ეს უკანასკნელი არასოდეს არ შეიძლება სიკეთე იყოს. ეგოიზმი ბოროტებაა და განდეგილობა, როგორც ეგოიზმის ერთ-ერთი ფორმა, ბოროტებას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძის დამსახურებად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ განდეგილობას — ანახორეტობას. მან სწორედ ამ თვალით შეხედა.

„განდეგილი" ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი პოემაა და ჩვენც ამ ნაწარმოებით ვამთავრებთ თერგდალეულების დიდი ბელადის პოემათა ანალიზს. ახლა უნდა შევუდგეთ ილია ჭავჭავაძის ხ ა ტ ვ რ უ ლ ი პ რ ო ზ ი ს დახასიათებას, პროზისა, რომელმაც ასე დიდი გავლენა იქონია ქ ა რ თ უ ლ ი ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ი ს განვითარებაზე.

---

* „ემილი", გვ. 129.

4. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზა

ილია ჭავჭავაძის პოეზიის დაწერილებითი ანალიზის დროს ჩვენ დავინახეთ, რომ ლექსებსა და პოემებში თერგდალეულთა მეთაური მთლიანი შემოქმედია, თავისი იდეური credo-ს ერთგული მიმდევარი. მხატვრულ პროზაშიც იგივე სურათს ვხედავთ: იდეური მთლიანობა, მსოფლმხედველობის არაჩვეულებრივი სინათლე და გარკვეულობა მის ყოველ მოთხრობას ახასიათებს. შეიძლებოდა პარალელი გაგვეველო, ერთის მხრივ, ილიას ლექსებსა, პოემებსა და შეორეს მხრივ, მის პროზულ შედევრებს შორის. ეს პარალელი არ იქნება ჩვენი სპეციალური განხილვის საგანი, მაგრამ გზადაგზა, სადაც საჭიროდ დავინახავთ, მას აუცილებლად მივმართავთ.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში კლასიკური კრიტიკული რეალიზმის უდიდესი ფუძემდებელი და ბრწყინვალე წარმომადგენელია როგორც პოეზიაში, ისე მხატვრულ პროზაში. მისი ბელეტრისტული მემკვიდრეობიდან ქრონოლოგიურად პირველი პროზული ნაწარმოებია „მგზავრის წერილები“ ანუ „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“. ჩვენც მისი კრიტიკული გარჩევით დავიწყებთ, მაგრამ წინასწარ მივუთითებთ, რომ ამ ნაწარმოებს, გამოქვეყნებისთანავე, დიდი წარმატება ხვდა წილად. „დროების“ ერთმა კრიტიკოსმა, 1871 წელს, „მგზავრის წერილები“ მიიჩნია „მშვენიერ ნაამბობათ“, მოხევესთან დიალოგის შესახებ კი აღნიშნა რომ „ეს საუბარი, ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხევისა“ „ხელოვნებითაა გადმოღებული“, „ორიგინალური და შესანიშნავია“. „კრებულში“ დაბეჭდილია სამი თავი, რვა თაბახი, მაგრამ „რამდენი მშვენიერი ალაგებია ამ რვა პატარა თაბახში, რამდენ პოეტურ ნიჭსა და ჯკუას გვიჩვენებს ის ავტორში“. ილიას „მართლა პოეტური ნიჭი და ხელოვნური კალამი აქვსო“.* ყოველივე ეს ნამდვილად ჩანდა „მგზავრის წერილებში“, რომლის განხილვას ახლა შევუდგებით.

ა) „მგზავრის წერილები“

ერთმანეთს რომ შევადაროთ 1857 წელს დაწერილი „ყვარლის მთები“ და 1861 წელს შექმნილი მოგზაურული ჟანრის პროზული შედევრი — „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“. დავინახავთ ორივე ნაწარმო-

* იხ. ს. წკას ბიბლიოგრაფია კრებულში — „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, გვ. 221-222.

ების იდეურ მსგავსებასთან ერთად ხელშესახებ განსხვავებასაც. თუ პირველ ნაწარმოებში პოეტი ჯერ კიდევ ამცნევნებს, რომ იგი გამოუცდელია ცხოვრებისა და ბრძოლისათვის, მხოლოდ ემზადება ვალის მოსახდელად, აქ, „მგზავრის წერილებში", ილია ჭავჭავაძე ჩვენს წინაშე დგას, როგორც სამშობლოს სამსახურისათვის მზად მყოფი, ერის სადიდებლად ბრძოლისა და შრომის მძიმე ტვირთის მზიდავი. სამშობლოსაგან მოშორებით გატარებული წლები პოეტისათვის არაჩვეულებრივად ნაყოფიერი იყო. უმშვენიერეს ლექსებთან ერთად, ილიამ შექმნა პროზული შედევრები —„გლახის ნაამბობი", „კაცია-ადამიანი?!", პოემები „აჩრდილი", „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ", დრამატული პოემა „ქართვლის დედა" (ყველა ნაწარმოების პირველი ვარიანტები), თარგმნა გოეთეს, ვალტერ სკოტის, შილერის, ბაირონის, პუშკინის, ჰაინეს, რიუკერტის, ლერმონტოვის, ანდრე შენიეს, ტომას მურის ლექსები და პოემები.

ასეთი დაძაბული, დიდი შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ, რაც უმაღლესი განათლების მიღების პარალელურად სწარმოებდა, ილიას სრული რწმენით შეეძლო ეთქვა „მგზავრის წერილებში": „ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, —ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჰაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია. ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".*

რუსეთში გატარებული ეს ოთხი წელი თუ როგორ ნაყოფიერად გამოიყენა ილია ჭავჭავაძემ, პირველყოვლისა ნათლად ჩანს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, 1857-1861 წლების მანძილზე მისი უაღრესად ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობით. მაგრამ მხატვრული მოღვაწეობა ამ პერიოდში თერგდალეულთა მომავალი ბელადის ცხოვრებისათვის მხოლოდ ერთი ძლიერი მხარე იყო. პარალელურად ილია გატაცებით ეუფლებოდა მეცნიერებას, იძენდა ცოდნას, სწავლობდა როგორც თავისი მშობლიური ქვეყნის, ისე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიას, ლიტერატურას, ეკონომიურ ურთიერთობებს, სოციოლოგიურ თეორიებს, აქტიურად თვალს ადევნებდა მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების განვითარებას, ხარბად ეწაფებოდა ფილოსოფიას.

ოთხი წლის მანძილზე პოეტმა ისეთი ფუნდამენტალური ცოდნა მიიღო, იმ დროისათვის ისეთი გამართლებული, პროგრესული კონცეფცია შეიმუშავა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე გამოჩენებული პირველივე

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 8.

წერილით. რომელიც მისი ავტორის ღრმა ერუდიციითაც გვხიბლავს, ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მაშინდელ მკითხველ საზოგადოებაზე. თუ რა მოსდომებოდა და დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა ილია ჭავჭავაძე ამ პირველი საზოგადოებრივი გამოსვლისათვის, საერთოდ, მშობელი ქვეყნის სამსახურში ჩასადგომად, იმავე „მგზავრის წერილებში" ისე ნათლად ჩანს, რომ მეტის თქმა შეუძლებელიც იქნებოდა. ჩვენს მშვენიერ ლარსში, დარიალის ვიწრო და კოლოს ხეობასთან რომ ასე ახლოა მიკრული, შესასვენებლად „პოვოსკიდან" ჩამომხდარი პოეტი ათასგვარ საგანზე ფიქრობს და ყველა ეს ფიქრი სამშობლო ქვეყნის ზრუნვას გამოხატავს. „ჯგუფად მომიგროვდა ყველაფერი, —ამბობს ილია, —რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერს პატარძალსავით მორთულს ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად. რეულად, გონების თვალ-წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმაღლეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთ-და-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე — ერთის სიტყვით, ჩემს ტანში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და შერე აირიენენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია" არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქცეს".*

მშვენიერი განმარტებაა და იმის მაჩვენებელიც, რომ რევოლუცია არ შეიძლება იქ მოხდეს, სადაც წესრიგია, რევოლუციას ყოველთვის რაღაც უწესრიგობა ბადებს და რევოლუცია უწესრიგობის მტერი, მისი მესაფლავეა. ამიტომ რევოლუცია წესრიგს განსახიერება, მისი ქებათა-ქება, მშვიდობის განდიდება და წესიერების დამკვიდრებაა. ამის შემდეგ ილიას როდი შეეშინდებოდა, თუ მისი პირველი გამოსვლა საზოგადოებრივ ასპარეზზე დიდ მითქმა-მოთქმას, შეჯახებას, ჭიდილს, ძველის აფორიაქებას, ყოველგვარი აბერაციის წინააღმდეგ რევოლუციური მნიშვნელობის გალაშქრებას გამოიწვევდა. პოეტი გრძნობდა თავის ლამაზ, მშვენიერ სამშობლოში უწესრიგობათა გრძელი რიგი როგორ ბოქაულად ადამიანურ ცხოვრებას, ხედავდა ძველის შემაფერხებელ ბორკილებს. იმ ძველისა, რომლის ღირსეულ ტრადიციებს, ჯანსაღსა და მთელს, მომავლისათვის აუცილებელს, დრომოჭმული, ხავსმოკიდებული, უსიცოცხლო პასეიზმი როგორ ჰკლავდა ან არარაობად აქცევდა. ძველში უსარგებლოსა და სასარგებლოს განურჩეველი მელანჟი თავისთავად აყენებდა წესრიგის, ანალიზის, შავისაგან თეთრის გამორჩევისა და ამ საფუძველზე მომავლისათვის აწმყოს სამსახურის გარდუვალობას.

მაგრამ ილიამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ყოველივე ეს, მთელი ერის ცხოვრებასთან, მის წარსულსა, აწმყოსა და მომავალთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას წარმოადგენდა; ამიტომ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ მოუმზადებელი ნაბიჯი გადაიდგმებოდა, ყველაფერი წინასწარ არ აიწონ-დაიწონებოდა. ოთხი წლის დაუღალავი შრომა, მეცადინეობა, გულისა და გონების გამოცდა, ფიქრი და ოცნება, ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ყველაფერს. საჭირო იყო სწორედ ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება, მოსალოდნელ თუ მოულოდნელ პერიპეტიათა სავსებით ნათლად წა-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 8.

რჩოდგენა, როგორც ნამდვილი ომის დაწყების წინ. რომ ეს საკითხები მტანჯველად აწუხებდა პოეტს იმ დროს, შეგვიძლია ძალიან კარგად გავიგოთ იმავე „მგზავრის წერილებიდან“. სადაც ავტორი საკუთარ თავთან დიალოგში ფარდას ხდის გულისა და გონების შინაგან სამყაროს, გვაცნობს ყველაზე სანუკვარ აზრებს.

ამ აზრთა და საკითხთა შორის ერთ-ერთი პირველია, თუ როგორ მიიღებს მშობელი ქვეყანა თავისი მზრუნველი შვილის სამსახურს: გაიგებს, იგრძნობს, შეითვისებს? ხომ შეიძლება სრულიად საწინააღმდეგო მოხდეს? „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს. იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ გამიყოლიოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის უბას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლ სიტყვა ვეუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველ კაცში არა ყოლადვეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა?“*

ეს „შევიძლებ კი?“ პირველყოვლისა საქმეს ნიშნავდა, პრაქტიკულ საქმეს, და არა მარტო სურვილს. შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის ხომ ყოებერთელა გასავლელი ფონია, რომლის გადალახვა შეუდარებლად უფრო ძნელია, ვიდრე იქონიო კეთილი განზრახვა ან ასევე კეთილი სურვილი. მაგრამ სამშობლოს ბედნიერებისათვის ბრძოლის წყურვილით გულანთებული პოეტი საუსებით ოპტიმისტურად წყვეტს დაყენებულ პირველ საკითხს, ხოლო მეორეს — საქმის შესაძლებლობას კვლავ ღიად ტოვებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჯერ პირველზეა დამოკიდებული: „გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სიბღლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულიშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემ სიტყვასაც გაუგებენენ იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია, შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი“.**

შესწყვიტა, ვინაიდან ამ უკანასკნელ კითხვაზე რეალური პასუხის გა-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 9.
** იქვე, გვ. 9.

ცემა მოშავალ თვით საქმეს შეეძლო და არა სიტყვას, თუნდაც ურყევსა და თვითდაჯერებულს. სიტყვა და საქმე, საქმე და სიტყვა —ეს თავსამტვრევი პრობლემაა ოდითგანვე, ქრისტიანული რელიგიისა და ფილოსოფიისათვის განუშორებელი დავის საგანია. გოეთეს გენიასაც ეს პრობლემა სტანჯავდა დოქტორ ფაუსტის სახით, როცა ურწმუნობა რწმენას ეჯახებოდა, ხოლო რწმენა განურჩეველ ურწმუნობას. რა იყო პირველად — სიტყვა თუ საქმე? თუ სიტყვა — მაშინ მას რა უნდა გამოეხატა, როცა საქმე არ იყო; ხოლო თუ საქმე, მაშინ როგორღა შეიძლებოდა მისთვის საქმე გვეწოდებინა, თუ სიტყვა „საქმე“ არ იყო? ეს ძველი დავაა, მაგრამ ჩვენთვის საკუთარი ნათელია, რომ საგნის გარეშეც ცნება არ არსებობს, საქმის გარეშე სიტყვა ვერ გაჩნდებოდა, როგორც საგანს და მხოლოდ საგანს შეუძლია იდეის წარმოშობა, ხოლო იდეა თავის მსგავს საგანს მარტოოდენ ოპტატობის გზით შეჰქმნის და არა ბუნებრივი პროცესის საშუალებით.

გოეთეს ფაუსტმა რელიგიური დოქტრინის არტახებში მაინც შეიძლო იმის გარკვევა, რომ საქმე —ადამიანური კეთილდღეობის პირველადი კაუზალობაა, საქმე —მოძრაობასა და მოქმედებას შეიცავს. სადაც უმოძრაობა ან უმოქმედობაა, სადაც არ არის ურთიერთობა „მესა“ და „არა მეს“ შორის, სადაც არ არის დამოკიდებულებანი ან ელემენტარული ერთიანობა, იქ არავითარი საქმე არ შეიძლება დაიბადოს.

შეადარეთ ერთმანეთს ცადატყორცნილი მიუკარებელი მყინვარი, როგორც ილია ამბობს, და მუდამ დაუდეგარი, მუდამ მღელვარე თერგი! ილია ჭავჭავაძემ სწორედ ამ ბრწყინვალე შედარებაში გაბსნა თავისი ყველაზე სანუკვარი იდეათა გრეხილი: „მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს. მაციებს და არ მათბობს, —ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა, რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავს და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხეილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელს ქვეყნის უბედურების ნაცარტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია — როგორც უკვდავება და ჩუმია —როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია, ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომ მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მამწონს და უფრო მიყვარს. არა. მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს მაგონებს და თერგი კი

მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა. ნეტავი შენ, თერგო! იმითი ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ჩემო თერგო, ქვეყნიერების ღონისა და სიცოცხლის მიმცემი"...*

არსებითად ეს იყო ქვაკუთხედი მთელი იმ მოქმედების ფილოსოფიისა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიმუშავა, როგორც თერგდალეულთა იდეური კონცეფციის ძირითადი საფუძველი. ეს მოძრაობა და მისთვის ყოველმხრივი ხელშეწყობა თეორიულ აზროვნებასა თუ პრაქტიკული მოღვაწეობის სფეროში იმდენად დამახასიათებელია როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე თერგდალეულთათვის იმ დროს, რომ შეუძლებელია მისი ძალა არ იგრძნოთ მთელი 60-იანი წლების მანძილზე. იმდროინდელი, თითქმის მიძინებული, სამხრეთიდან ცხოვრების არენაზე თერგდალეულთა გამოსვლა ამ მოძრაობისა და მოქმედების ფილოსოფიით მოასწავებდა ჭექა-ქუხილის დაწყებას, ელვის დაცემას ღრუბლიან ღამეში, ისეთი ძალის გრგვინვას, რომელსაც შეეძლო არამარტო გამოეღვიძებინა საღამის ძილისათვის თავმიცემული ქვეყანა, არამედ, ბრძოლის სურვილით აღეფთო ცოცხლად გადარჩენილი ძალები, შთაენერგა მათთვის უკუნეთიდან დღის სინათლეზე გადმოსვლის რწმენა და ახალი ცხოვრების იმედი. მყინვარისა და თერგის სიმბოლური პარალელი ამიტომ მეტ ძალას იძენდა, როცა იგი შინაარსეულად ძლიერდებოდა დღისა და ღამის ღრმად გააზრებული შედარებით.

ეს შედარება პირდაპირ აპოთეოზად ევლინებოდა მყინვარისა და თერგის პარალელში განვითარებულ ფილოსოფიურ აზრთა დენას. ბუნების ჩვეულებრივი მოვლენა — ღამე, ისევე როგორც დღე —გააზრებული იყო სავსებით მოქმედების ფილოსოფიურ ასპექტში, რასაც თან ერთვოდა ოპტიმიზმით ნათელდადგმული ხვალინდელი დღის რწმენა, იმის იმედი, რომ ღამეს აუცილებლად დღე შეცვლის, ხოლო დღე ადამიანური ცხოვრების ნათელი სარბიელია. ამიტომ მთავარია გათენება, ხოლო დაღამება იმის მაუწყებელია, რომ ხანგრძლიობის მიუხედავად ღამე უძლურია დღესთან ბრძოლაში, რაკი დღე სიცოცხლის სინონიმად დაბადებულა: „დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა, სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე".**

კვლავ გათენების ეს იმედი იყო როგორც ილია ჭავჭავაძის, ისე სამოღვაწეო ასპარეზზე ახლადგამოსული თერგდალეულების სამოქმედო დედაძარღვი, სიცოცხლის მთავარი აზრი, განმადიდებელი ადამიანისა. ყველაფერი ადამიანისათვის, მისი ბედნიერებისათვის უნდა კეთდებოდეს, ვინაიდან უადამიანოდ ქვეყანასაც არავითარი აზრი არ ექნება. ჩვენთვის ბუნებაც კი, ალსავსე ესოდენი სიკეთითა და მდიდარი სულდგმულთა თუ უსულო საგანთა აურაცხელი სიუხვით, უადამიანოდ ცარიელია, უადამიანოდ ჰკარგავს თავის ბუნებრივ სახეს. დღე და ღამე, ღამე და დღე თითქოს სიმბოლურად განასახიერებენ ადამიანური ცხოვრების

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 16—17. ხაზი ჩვენია—გ. ჯ.
** იქვე, გვ. 17.

კეთილსა და ბოროტ საწყისებს, რასაც ილიამ ასე ღრმა საფუძვლები მოუნახა: „დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჩმუნე ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა ჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურებაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, —და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუჭვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურებისა. ჰოი ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე, შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ახლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მშვიდელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაკედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა და უბედურებას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან. დღეო ნათელო, მოვედ შენ!..*

მაგრამ ეს არ იყო მარტოდენ ნათელი დღის ღაღადისი, სიბნელისა და უმეცრების, ბოროტებისა და უბედურების დათრგუნვის მძაფრი სურვილი; ერთსა და იმავე დროს ეს იყო ადამიანობის, კაცურ-კაცობის ქებათა-ქება, „გაღვიძებული ადამიანის“ განდიდების ჰიმნი, სიმღერა ადამიანისა, რომელიც შრომობს, იბრძვის, ქვეყნის ჭირ-ვარამისათვის გული შესტკივა, საზოგადოებრივს, საერთოს პირადულზე მაღლა რომ აყენებს. ასეთ ადამიანებს მოუხმობდნენ თერგდალეულები ქვეყნის სამსახურში ჩასადგომად, როგორც რუსეთიდან შორს მყოფი ალექსანდრე გერცენი თავისი სახელგანთქმული „კოლოკოლით“ ისევ რუსეთის, რუსი ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში „ცოცხლებს ეძახდა“. ანალოგიური ძახილი გვესმის აბალგაზრდა ილია ჭავჭავაძის მრავალსმეტყველ სიტყვებშიაც: „გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიერაო! რა მშვენიერი რამა ხარ. დილის ცერით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულაღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“.**

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 17—18.

** იქვე, გვ. 18—19.

ასეთი ადამიანები, არამარტო გაღვიძებულნი, არამედ, ძილშიაც რომ არ ეძინათ —სამშობლო „ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულები“, იღია პავჭავაძემ პირველყოვლისა ხალხის წიაღში დაინახა, მიაგნო მათ აზრს, წადილს, ჩასწვდა სულის სიღრმეში და ერთი მათგანი —მოხევე ლელთ ღუნია წარმოგვიდგინა, როგორც თვით ხალხის სახე, მისი სანუკვარი იმედების ცოცხალი განსახიერება.

ბტეფანწმინდიდან ცხენებზე შემსხდარნი ლელთ ღუნია და „მგზავრის წერილების“ ავტორი საუბარს იწყებენ ყაზბეგის მთის, მის გვერდით ობლად მიკრული სამების ეკლესიის, საქართველოს ერთი ულამაზესი კუთხის მშვენიერ ფონზე, და მკითხველის გონებაში ერთბაშად ცოცხლდება ბუნების გრანდიოზულ სურათებთან ერთად ხალხის იმდროინდელი განწყობილება. მოხევე ლელთ ღუნია ავტორმა ისე კოლორიტულად დახატა, იმდენი პითბო, უშუალობა, იმდენი სიდარბაისლე, გონება-მახვილობა, რაღაც შეუვალი გამძლეობა და შინაგანი სიძლიერე მისცა, რომ მისი სახით ჩვენს წინაშე წარმოსდგა არა მარტო ხალხის ერთი შვილი, რომელიც ასე განუყოფლად შეზრდილა თავის მშობელ ქვეყანას, მშობელ ერს, არამედ, მთელი ხალხიც. მისი სიტყვები სამების ეკლესიაზე, როგორც „განძთა საფარსა“ და „ერთა საბჭოზე“, ადამიანის გულსა, როგორც შინაგანად დაფარულსა და გარეგნულ ტანსაცმელზე, გერგეთის კაცთა დარაჯობაზე, წარსულის ჯანსაღ ტრადიციებზე—ყველაფერი ეს იმდენად ბუნებრივი, იმდენად ხალხური ძირებითაა სავსე, რომ მოხევე ლელთ ღუნია თავისი მშობელი ერის იმდროინდელ ფიქრთა და ზრახვათა ცოცხალ მემატიანედ გვევლინება. წარსულის კარგი მას ძვალ-რბილში გამჯდარი აქვს, და შესაძლოა ამიტომაც უკეთესად ხედავს თავისი დროის მახინჯ მოვლენებს. ხედავს და გული სტკივა. ეს ტკივილი მთელი მისი შინაგანი არსებიდან გვაგრძნობინებს თავის თავს. ეტყობა წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე მას ძალიან ბევრი უფიქრია, ბევრი განუცდია; ამიტომ პასუხში დინჯი, აუჩქარებელია, თითქოს ერთხელ კიდევ ამოწმებდეს ათჯერ თუ ასჯერ ნაფიქრსა და ნაზრევს. მაგრამ მისი პასუხების დედაძარღვი გამძლე და მტკიცეა —აქ იგი ისევე გაუტეხელია, როგორც გრანიტი და შეუძლებელია ლელთ ღუნია გადააჯეროთ: რაც წლობით უფიქრია, შეუთვისებია, შეუგნია, რწმენად გაუხდია, ძვალ-რბილში, სულსა და გონებაში გამჯდარი აქვს და შეუძლებელია მისგან პროზელიტი გამოვიდეს. აბა დააკვირდით მის მსჯელობას, საერთოდ დიალოგს: „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის, ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთ-ურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შ-ნ მ-წრიელს, გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძნდით, ერთ-ურთს ღალ მტერთან ჩავეფარვნიდით, დაცემულ ვიურვებნდით, ატირდომილს ვიხოიშნიდნით და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერიენს, ერთ-სულობაი დავარდნის, მტრობა ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ—პი-

რად და გულად ჯუღურ არნ. ერი დავარდნილ! გალახულ არნ, ჭრდომილ— კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წეს-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამადსმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

— ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

— რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდობა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედევის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვეშძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდობა ცოცხვალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა. თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდობა მიწყაჩიც გვეყოფის.

— მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ სოლმე?

— აწინა მავალე სვამები უფროს გვაწიოკებს. უფროს საბლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი. სწორებას ჯობინობაჩი, სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდ იყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის“.*

ეს იყო არამარტო მოხევე ლელთღუნიას შინაგანი მოწოდების ხმა, არამედ, ერის აბსოლუტური უმრავლესობის ფიქრი და აზრი, იმის განსჯა. რასაც ერის თავისუფლება ეწოდება. თერგდალეულთა სამოქმედო პროგრამაც ეროვნულ საკითხში ამ პრინციპებს ემყარებოდა, ხოლო მისი არსება სრულებით არ ნიშნავდა სეპარატიზმს. ლელთ ლუნია ლაპარაკობდა, როგორც ბევრი მისი კარის მეზობელი და გამოხატავდა იმ დროს საერთო აზრს, როგორც ხალხის შვილი, რომლისთვისაც ერის ტანჯვა საკუთარი ტანჯვა იყო.

„მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალო, —გვეუბნება ავტორი. —ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმ აზრისათვის იმისიცე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისიცე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვაც შემისრულებია“.**

ავტორი ასე ამბობს. იმასაც დასძენს, რომ ლელთღუნიას ბევრი რამ სხვაც უთქვამს, რაც „მგზავრის წერილებში“ არ შესულა „შეშთხვევაა გამო სხვისა და სხვისა“, როგორც თვით ილია შენიშნავს. მაგრამ თუ დააკვირდებით თვით ნაწარმოების დასასრულს, სადაც ლირიკული გადახვევებია, მაშინ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება. ლელთღუნიამ მოხევური მოქცევით ძალიან კარგად მიახვედრა „მგზავრის წერილების“ ავტორი იმ გულისტკივილს, რომელიც არამარტო ერთი ადამიანის —ერთი მოხევის credo-ს გამოხატავდა, არამედ, იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების ზრუნვის საგნად იყო გადაქცეული. და ავტორიც მიუხვდა თავის გმირს, გაიგო მისი აზრთა დენის ძირითადი მაგისტრა-

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 22—23.
** იქვე. გვ. 24.

ლი, რომელსაც შემდეგი გამოსათხოვარი სიტყვები მიუძღვნა: „მიგიხვდი, ჩემო მოხუცო, რა ნუსტარითა ხარ ნაჩუქარტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ —სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა გული დამგლიჯა და ვეღარ მივხვდი, იქ, გულში გაითხარა საშარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩესეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის. როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი..“*

ამ პასუხს დიდხანს დაეძებდა, მთელი ეპოქაც არ ეყო, თუმცა სამშობლოში დაბრუნებისთანავე ილია ჭავჭავაძემ არაჩვეულებრივი ნაყოფიერებითა და შეუპოვრობით დაიწყო ბრძოლა აღთქმული იდეების პრაქტიკული განსორციელებისათვის. ბრძოლის უმთავრესი საგანი მოუწესრიგებელი სოციალური ცხოვრება იყო, მისი შინაგანი სიცარიელისა და გაუმართლებელი წყობის დაუნდობელი მხილება. არსებითად ეს ბრძოლა უკვე დაწყებული იყო კერძოდ იმ ნაწარმოებშიაც, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ეწოდება და რომელიც ილიამ 1859 წელს პეტერბურგში დაწერა (სახელოო რედაქცია — 1862—1873 წლებს ეკუთვნის).

ბ) „გლახის ნაამბობი“

ეს ერთ-ერთი უსაყვარლესი ნაწარმოებია ილია ჭავჭავაძისა, რომელიც თავის მხატვრულ ქმნილებას „პირმშოს“ უწოდებდა. მოთხრობა ბატონყმობის დროინდელ სინამდვილეს აღწერს, როგორც ანტისაზოგადოებრივსა და, მაშასადამე, ყოვლად გაუმართლებელს. მისი ძირითადი მორალი ჰუმანიზმია, ადამიანის განდიდება, ურვა-წუხილია, რომ ბატონყმური ცხოვრება აჩანაგებს, სპობს, არარაობად აქცევს კაცური-კაცის ღირსებას, როგორი კეთილი თვისებებიც არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული მოწყალე ბუნებისაგან. ამ მახინჯ სოციალურ სინამდვილეში ყველა გრძნობა შერყვნილი და შელახულია, ადამიანი ისევე ნადირობს ადამიანზე, როგორც ტყეში გარეულ მხეცზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მოთხრობა იწყება ნადირობის მშვენიერი აღწერით, რომელიც ალსავსეა პოეტური სილამაზით, მაგრამ ისიც ნაჩვენებია, რომ მაინც „ნადირობა ცოდვაა: ყოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა...“**

ყველას აქვს ნება!.. მაგრამ „ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის ხახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ ამ ადგილსა“...*** როგორღა დავუთმოთ გარეულ მხეცს, პირუტყვს? მაგრამ აქაც „გუთნის დედის“ ფილოსოფია კვლავ იჩენს თავს, ადამიანის (გლეხის, დაჩაგრულის) ბედი უფრო მძიმე ჩანს, ვიდრე პირუტყვისა, რომელიც ბონადირის ტყვიით განგმირული „უდრტვინველად და მშვიდად კვდება“. თუ „ის ამაყი, თავისუფალი ნადირი“ ადამიანის—მისგან

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 24. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე, გვ. 25.
*** იქვე, გვ. 26.

განსხვავებული არსების ხელით იღუპება, ბატონყმურ სინამდვილეში (საერთოდ, მოუწესრიგებელ სოციალურ ცხოვრებაში) ადამიანი მისივე მსგავსი ადამიანის მსხვერპლი ხდება. ეს უფრო მტანჯველია. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. გარდა ამისა, „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც ღაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდისხან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ“,* — გვეუბნება მოთხრობის ავტორი და გადაგვიშლის ადამიანური ხვედრის საშინელ სურათს.

ვიდრე უშუალოდ მოთხრობაში აღწერილი გულშემზარავი ამბების გარჩევას შეუდგებოდეთ, ორი საკითხი უნდა გავარკვიოთ: რატომ იწყება ნაწარმოები ნადირობის აღწერით და რა აზრია ჩაქსოვილი ეპიგრაფში — „რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა“. პირველ კითხვაზე ჩვენ ნაწილობრივ უკვე გავეცით პასუხი. მაგრამ არ გვითქვამს, რომ მოთხრობის პირველ თავში ავტორის მიერ მოცემული დახასიათება ნადირობისა, როგორც ცოდვისა, თვით ილიას პირადი ადამიანური არსების გამჟღავნებაა. მისი თანამედროვენი გვიდასტურებენ, თუ რამდენად „გლახის ნაამბობის“ ავტორი გულმოწყალე, ჰუმანური ბუნების კაცი იყო და ვერ ეგუებოდა რაიმე ძალმომრეობას. შესაძლოა ამიტომაც „ილიას საზოგადოდ ნადირობა არ უყვარდა. მახსოვს, — წერს კოტა აბხაზი, — ერთხელ ალაზანზედ წავედით რამდენიმე კაცი სანადიროდ. დავდექით ნომრებზე. ჩემს გვერდით, ცოტა მოშორებით იდგა ილია. ხშირი და დიდი ტყე იყო. ძაღლებმა უკვე დაჰყეფეს, როგორც ეტყობოდა კვალს მიაგნეს. გაფაციცებით ველი ნადირს და არ გავიდა ბევრი ხანი, რომ გამოჩნდა დიდი ირემი, მაგრამ ხეებს ისე იყო მოფარებული, რომ ვერ ვესროდი, ილიასთვის კი ირემი მეტად მარჯვედ იდგა. ველი გულის ფანცქალით, რომ აი ან ეხლა გავარდება ილიას თოფი, ან ეხლა მეთქი. თქვენც არ მომიკვდეთ. კარგა ხანი გავიდა, იდგა, იდგა ირემი, მერმე ერთი დაიფრუტუნა და გადახტა და გაჰქრა ტყეში. გავქანდით ილიასაკენ, დაუწყე ჯავრობა: „კაცო. რა ჰქენი, რატომ არ ესროლე?“ — „ჯერ, ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდი!!!“**

რა საოცრად ჰგავს ეს სურათი „გლახის ნაამბობის“ პირველ თავში ილიას მიერ ნათქვამ სიტყვებს: „ბევრჯერ მინახავს ირემი დამფრთხალი ძაღლისაგან, ბევრჯერ მინახავს და ბევრჯერ გაუტაცნია ჩემი გონება მის თავისუფალს სილამაზესა. გადაუწყვია რა ზურგზედ თავისი შტოიანი რქები, მორბის გამალებული, ლამაზი და ამაყი, უკან მოჰყეფს ნაგები ძაღლი. ძაღლს მიურბის საწყალი და ზედ კი შეეხლება ხოლმე კაცსა, რომელიც ამ შემთხვევაში ძაღლზედ უფრო შეუბრალებელია და დაუნდობელი... მაშინ უნდა ჰნახოთ, რა მწუხარებით შედგება, რა-რიგ საოცარ მშვენიერებით მოილერებს კისერსა, რა გაფეთებით და იმედ-გადაწყვეტილად დაიწყებს ნაღვლიანის თვალების ტრიალს, ყურების ცქვეტას, გაგანიერებულის ნესტოებით სუნის აღებასა!.. ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზია და იმ სინაზესთან ისეთი შიმზიდველი ამაყიცაა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული მადლი აქვსო, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთით და თავის სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო! მაგრამ კაცი მაგისთანა გულჩვილი არ არის, რომ მაგით მოტყუვდეს. რაკი იყნო-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ტ. II, 1948 წ., გვ. 26.
** ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1953 წ., წიგნი I, გვ. 565.

სა, კაცის სუნი აიღო, ირემმა დააპირა გაქცევა, მაგრამ თოფმა იგრიალა, და ირემი. აქამდინ ცოცხალი, თავისუფალი და ლაღი, გაიფრთხო იმ ბალახებზედ, რომლის კალთაშიაც პირველად აახილა თვალი, რომ მიესალმოს ქვეყანასა და ბოლოს უკანასკნელად დახუჭოს, რომ სამუდამოდ გამოესალმოს... მე ყოველთვის მის თვალებში ეს აღმომიკითხავს: ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეპირა?.. ეს სიტყვები აღოხებდნენ გულს".*

მაგრამ, მკითხველს შეუძლია კიდევ უფრო მეტად წარმოიდგინოს, თუ როგორ უნდა დაღონებულიყო ეს კაცთმოყვარე გული პოეტისა, როცა ნადირობის ანალოგიით, ცხოვრების ტევრში ადამიანის მიერ ადამიანზე ნადირობას ხედავდა. კაცის ხელით კაცის დაღუპვას ღია თვალებში უცქეროდა. მოთხრობის პირველ თავს, ნადირობის აღწერას ის ერთადერთი მიზანდასახულობა აქვს, რომ მკითხველს მთელი ძალით აგრძნობინოს: თუ ნადირობა ცოდვაა, რაღა უნდა იყოს ის ცოდვა, როცა მოუწესრიგებელ, მახინჯ ცხოვრებაში ადამიანი თავის მოძმე ადამიანს არბენდობს, პირუტყვივით ჩაგრავს და ჰკლავს.

ასეთია „გლახის ნაამბობის" პირველი თავისა და იქ აღწერილი ნადირობის მორალური საწყისი, როგორც მთელი მოთხრობის თავისებური inceptio (დასაწყისი).

მაგრამ დასაწყისი აქ არ არის. ეს მხოლოდ მეორე inceptio-ს წარმოადგენს, პირველია ეპიგრაფი, რომლის აზრი მოთხრობაში მთლიანად შიშვლდება, როცა ჩვენ ვხედავთ, რომ ბავშვობაში ბუნებით კეთილ, უნაკლო ადამიანებს მახინჯი სოციალური წყობა რყვნის (ახალგაზრდა ბატონს — დათიკოს), აიძულებს კაცი მოჰკლას, ყაჩაღად გავარდეს, თუმცა ის „საყაჩაღო კაცი არ იყო" (ახალგაზრდა ყმა — გაბრო). მაგრამ რა ჰქნას კეთილმა ბუნებამ, თუ მას სოციალურ ცხოვრებაში სიკეთე არ დახვდება და ბოროტება გათელავს? რა ჰქნას?

ეს არის ეპიგრაფის ძირითადი აზრი, როგორც მოთხრობის პირველი მორალური inceptio.

ახლა შევუდგეთ თვით ნაწარმოების ანალიზს, ვნახოთ როგორ მხატვრულ განზოგადებას პოულობენ ეპიგრაფისა და პირველი თავის ეს ალეგორიული მინიშნებანი.

„გლახის ნაამბობის" შინაარსი არსებითად იწყება მოთხრობის მეორე თავიდან, რომელშიაც აღწერილია შეხვედრა ნაწარმოების მთავარ გმირთან. მოთხრობა უმთავრესად დაწერილია პირველი პირით, მაგრამ აქ ერთი სპეციფიკური მოვლენა შეინიშნება: ავტორისეული პირველი პირით დაწერილია „გლახის ნაამბობის" I, II (ნაწილობრივ) და უკანასკნელი XII თავები (ჩართული დიალოგის გამოკლებით). დანარჩენი დიდი ნაწილი მოთხრობისა (სულ 9 თავი) წარმოადგენს მთავარი მოქმედი პირის (გაბროს) ნაამბობს და მაშასადამე შესრულებულია ისევ პირველი პირით, ზოგან დიალოგების გამოყენებასთან ერთად.

სიუჟეტის ექსპოზიციაში ავტორი გაბროს გვიჩვენებს უკვე დავრ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 25—26. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ლომილსა და სასიკვდილოდ განწირულს. ნათლიმამის სოფელში, ხადირობის შემდეგ გაულილი. იგი წააწყდება, ერთ ძველ საბძელთან, სრულიად უპატრონოდ მიტოვებულ კაცს. რომლის ვინაობა არავინ იცის. ნათლიმამამ მხოლოდ შემდეგი თქვა: „ეგ ეიღაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო; სნეულია, ნოსულა და მანდ შეპკედლებია. აი. ეს თვე-ნახევარი იქნება". „გულშეძახეარი არავინა პყავს", აქაური არ არის, ვინმე „მიუგდებს ორიოდე ლუკმა პურსა, ისიც მეტს არაფერსა ჰთხოულობს, ცარიელ პურითაც იოლად მიდის".*

სხვის სოფელს შეკედლებული გლახა არავის უამბობს თავის განვლილ ცხოვრებას, საკუთარ საბელსაც არავის ეუბნება. ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველის ინტერესს და ავტორის სიტყვები — „გავიზრახე, რომ თითონ გლახას, რაც უნდა დამემართოს, გამოვათქმევინო თავისი ვინაობა", — ფსიქოლოგიურად განაწყობს მოთხრობის მძაფრი სიუჟეტისადმი.

ავტორისა და მოთხრობის გმირის შეხვედრა ბუნებრივად იწვევს გლახას გარეგნული სახის აღწერას. სნეულებისაგან დათენთილს „ყვითელი საბე, შიგა-და-შიგ ტყლაპსავით ჩაჩნეული, შეშუპებული ჰქონდა, როგორც წყალძახის მჭონესა, თმა და მოზრდილი ჯაღარა წვერი ჭუჭყისაგან ისე გასქელებოდა, თითქოს იმის თმას თავის დღეში არც წყალი მოჰხვედრიაო და არც სავარცხელი. რუსის ფარაჯის ნაგლეჯებში იყო გახვეული ის უბედური, ქვეშ ეშალა ლეკური ნაბადის ნაგლეჯი. გვერდით ედგა ერთი პირმოტეხილი ლიტრა, იქავ ეგდო რუსული სხვილი ტილოს თოფრაკი და ერთი მოზრდილი კომბალი — ეგ ერთგული და უმუხანათო თანამგზავრი, ყოველთვის უბედურისა. ძალიან გაქელილი სჩანდა დაუნდობელ ცხოვრებისაგან, მაგრამ იმასში რაღაცა იყო იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცხოვრების ჭარიშხალსა ჯერ კიდევ არ გაუქრია მისის სულის სიცხოველე და სიძლიერე. მისი დაღლილი და არ-უგონო თვალები, პირქუშად და შეწუხებულად მაყურებელნი, სავსენი იყვნენ სიმტკიცითა და ღონითა; ეტყობოდათ ზედ, რომ ამათ პატრონს ბევრი ცეცხლი უნახავს, ბევრი ავდარი შესწრებია და გამოუვლია, მაგრამ არც ცეცხლს და არც ავდარსა ისე არ მოუკლავთ, როგორც შეეძლოთ. საზიზღარი სანახაობა ჰქონდა. ძირდა ესთქვა, საცოდავიცა, მაგრამ ამის თვალების სიამაყეს ვერ ვაკადრებ მაგას. დიდრონი. შიშველი ფეხები საცოდავად ასიებოდნენ, დახეთქილ წყლულიდამ ჩირქი სდიოდა".**

ცხოვრებისაგან საბოლოოდ გათელილი ადამიანის ამ შემაძრწუხებელ პორტრეტს თუ დაუკვირდებით, თქვენ აუცილებლად იგრძნობთ, რომ მისი ძონძებისა და მთლიანად დამსხვრეული სახის იქით იხედება კაცი, რომელიც ერთ დროს ბუნებისაგან უხვად იყო დაჯილდოებული სილაშაზითა და ძლიერი სულით. ავტორმა მშვენივრად გვითხრა ყოველივე ეს, როცა ცოცხალ ლეშში დაინახა „სულის სიცხოველე და სიძლიერე". რაც „ცხოვრების ჭარიშხალსა ჯერ კიდევ" ვერ გაექრო. თვალები დაღლილი აქვს, მაგრამ „არ-უგონო", „პირქუშად და შეწუხებულად" იყურებიან, მაგრამ საფსენი არიან „სიმტკიცითა და ღონითა". მკითხველი თანაგრძნობით იმსჭვალება გლახისადმი ავტორის რემარკითაც. რომ მის ძიერ შენიშნული თვისებები მოწმობენ, თუ რა ცეცხლი და ავდარი უნახავს „მათ პატრონს", მაგრამ ვერც ერთ მათგანს ისე ვერ მოუკ-

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 27.
** იქვე, გვ. 28—29.

ლავს, როგორც შეეძლო. საზიზღარი სანახაობა მარტოდენ ერთს — თვალებს არა აქვთ. რომლებიც კვლავ ამაყად გამოიყურებიან. მაგრამ მთლიანად გლახის საბე შემაძრწუნებელია და ავტორიც გვეუბნება: „ღმერთო. შეგცოდე, ეს რომ დაგინახე. თვალი მოვარიდე, ისე მეზიზღაო". ეს ზიზღი გლახასაც შეამჩნია: „გეზიზღები განა. შე კაი კაცო!.. მართალი ბძანდები... ცოცხალს კაცს მატლი მეხვევა!.. თითონ მე მეზიზღება ჩემი თავი. შენი რა საკვირველია!"*

გლახის ეს სიტყვები თითქოს იმიტომ იყო ნათქვამი. რომ თავისი გულშემატკივარი მნახველი დაემშვიდებინა, მაგრამ ავტორი, რომელიც თვით განსჯას მისცემია, თვითონვე ამბობს: „ამან ვერ დამიშოშმინა სულმოკლე გული. თუმცა, თითქო უგუნური ქცევა ჩემი თითონვე გამომართლაო. მაგრამ ვაი იმ ეაძართლებასა!.. გული უფრო ამემღვრა, მე იმ წამს ჩემი თავი შემძულდა, რას ბძანებთ?.. ჩემ წინ ნახევარმკვდარი კაცი იდო, ეგრე უნუგეშოდ დარჩოძილი. იმას ისე ეჭირებოდა გულმტკივნეული ქცევა და თბილი სიტყვა, მე კი მხეცურად თვალი მოვარიდე და შევეიზიზღე... უნდა წამოვმდგარიყავი და ბოდიშით შემენანა ჩემი მხეცური ქცევა. მაშინ გავმართლებოდი. მაგრამ სულის ღონე ჩემი ამ პატიოსნური საქმისათვის უძლური იყო".**

ეს თვითგანსჯა, ეს სიბრალული დავრდომილისადმი მთელი ნაწარმოების მანძილზე გრძელდება. როგორც კატომოყვარეობის ქადაგება, თანაც მოქმედებით და არა დეკლარატიულად. ავტორისეულ თვითგახსჯას ემატება კიდევ უფრო ძლიერი — გმირისეული ღვთივგანსჯა, რომელიც სინანულში გადადის. მაგრამ ყველაფერი კარგად რომ გავიგოთ, ავწონ-დავწონოთ და შევაფასოთ. დაწვრილებით უნდა გავეცნოთ მოთხრობაში გადმოცემულ ამბებს.

ვინ არის „გლახის ნაამბობის" მთავარი გმირი, როძელიც ცხოვრების ქარიშხალს ასე სასტიკად გაუთელავს და უპატრონოდ მიუტოვებია?

„მე ეს ოთხი თვეა. რომ ასე ვარ. — ამბობს გლახა. — დამიგდო ავადმყოფობამ და ამ დღემდინ მომიყვანა. ესე უპატრონოდ ამ დაქცეულ ჩარდახის ქვეშ ამომდის სული. ამოდენა დედამიწის ზურგზედ დამტოვებელი არა მყავს. სიკვდილსაც ისე დავავიწყდი. როგორც კაცსა: ველი და არ მოდის. ისიც კაცსავით კეთილი ყოფილა: როცა გიჭირს მაშინ გეძალება". — ირონიით ამბობს გლახა. მან იცის. რომ თავის „ბედს ბოლომდინ, საფლავის კარამდინ" მიიტანს, მაგრამ აწუხებს — „სადაური სადა კვდება". იმედად მიუჩნევია დიდი რუსთაველი, რომლის სიტყვებს — „ვა, სოფელო. რაშიგან ხარ"... დავრდომილი სასოებით წარმოთქვამს.

„მე აქაური არა ვარ. — განაგრძობს გლახა. — ჩემი ქვეყანა აქედამ შორს არის, მაგრამ იქაც რომ ვყოფილიყავი, ესე ოხრად ამომიოცნდა სული, იმიტომ. რომ იქაც რაე აღარავინა მყავს, როგორც აქა... აი. ბუთი წელიწადი უნდა შესრულდეს ამ შემოდგომაზედ, თუ მინამდინ დამცალდა. დიაღ!.. ბუთი წელიწადი იქნება, რაც სამუდამოდ დამაკარგვინეს ჩემი მიწა-წყალი".**

თუ როგორ მოხდა. რომ ამ უბედურმა კაცმა თავისი მიწა-წყალი დაჰკარგა.

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 29.
** იქვე, გვ. 29.
*** იქვე, გვ. 30—31.

გლახას არავისთვის უამბნია. მაგრამ ახლა, როცა მისი სიცოცხლის დღეები დათვლილია, თუმცა ეძნელება, გადაწყვიტა მოჰყვეს თავისი უბედურების ისტორია. მისი ცხოვრება დამთავრებულია და შიშიც არაფრისა აღარა აქვს. დავრდომილი თვითონვე ამბობს: „ეხლა აღარაფრისა მეშინიან, თუნდა გამცე კიდეც. მე როდესღაც ვფიქრობდი ჩემის ვინაობის დამალვასა, როცა სიცოცხლე ტკბილი იყო ჩემთვისაც, როცა იმედი მქონდა, რომ ქვეყანაზედ მეც, როგორც იქნებოდა, შრომით თუ ოფლით ვიყიდდი ლუკმა პურსა და ისე დაველევდი წუთისოფლის დღესა. ეხლა კი, როცა სიცოცხლე ბალღამსავით გამიმწარდა და ის ერთად-ერთი, ჩემსავით ობოლი იმედი წამართო ჟამთა-ვითარებამა, ეხლა ძე ფიქრი აღარაფრისა არა მაქვს“.*

არა აქვს და გლახაც დაწვრილებით გვიყვება თავისი ცხოვრების ძართლაც შემაძრწუნებელ მოთხრობას. ამ მოთხრობის პირველივე სიტყვა ჩვენთვის ამაზრზენია. ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, 25—26 წლისა, მაგრამ ღრმად მოხუცებულივით უსასოო და დავრდომილი, გვეუბნება, რომ იგი არის ნაყაჩაღევი. მისი „თავი ერთ დროს წმინდი-გიორგის ჯვარად იყო დაფასებული“, მაგრამ ტყვიას გადაურჩა. ერთ დროს კაი მოსხეპილი, ხელმარჯვე ბიჭი ვიყავი, — გვეუბნება გლახა, — „ძალი და ღონე ყველაფერში შემწევდა, მაგრამ... მე საყაჩაღო კაცი არ ვიყავი. აქ ასეთი გული უნდა, რომ დედას კალთაში შვილი მოუკლა და ხელი არ აგიკანკალდეს. მე იმისთანა არ ვიყავ: გული მორბილებული მქონდა პატარაობითვე, მე ყმაწვილობითვე სხვა მზემ დამკრა და სხვარიგად გამითბო გული; მაგრამ ჟამმა მიმუხთლა და კაცმა არ მიპატივა, მეც დავკარ ფეხი და გავვარდი ყაჩაღად“.**

გლახა არ გვეუბნება, საქართველოს რომელი კუთხიდანაა მოსული კახეთში. იმერელ ბიჭთან დიალოგში, როცა ახალგაზრდა იყო, უთქვამს, მაგრამ ახლა ისევ მალავს — „მეც ვუთხარი, სადაურიცა ვარო“. „მე კახელი არ გახლავარ, — ამბობს იგი. — ჩემი მიწა-წყალი... აქედამ შორს არის, და ვაი რომ ჩემ სიცოცხლეში იმ მიწას ვეღარ ვინახულებ და იმ წყალს ვერ დაეწაფები!..“ ჩვენ ძხოლოდ ის ვიცით გლახას შესახებ, რომ შვიდი წლის ასაკიდან ოცი წლის შესრულებამდე ბატონთან ყმად არის, როგორც ზაქრო იყო. ერთგულად მუშაობს. თუმცა მის შრომას არავინ აფასებს. ბავშვობიდანვე გლახა ემსახურება თავისივე ასაკის ბატონის შვილს, რომელსაც დათიკო ჰქვია. როგორც თვითონვე ამბობს, დათიკო პატარაობისას კარგი ბავშვი ყოფილა. იმდენად ჰყვარებია ყმა გლეხის შვილი გაბრო, რომ მისი წყენა „ბატონის სახლში არავის შეეძლო“. მაგრამ დათიკო, როგორც ბატონის ერთადერთი შვილი, ნებივრად და ზვიადად. იზრდებოდა. „ერთს ალიაქოს ასტეხდა ხოლმე, როცა ჩემთვის ეწყენინებინათ რამე“, — გვეუბნება გლახა. ასე, შეეჩვივნენ პატარაობიდანვე ერთმანეთს ბატონისა და ყმა-გლეხის შვილები დათიკო და გაბრო. ეს შეჩვევა ბოლოს სიყვარულად გადაექცა გაბროს თავისი ახალგაზრდა ბატონისადმი და იგი სინანულით იგონებს ყმაწვილობისდროინდელ ცდუნებას: „ყმაწვილის გული... ადრეულა ყვავილსა ჰგავს: მზე დაჰხედავს თუ არა, გაიშლება, ის კი აღარ იცის, რომ ზამთრის სუსხი კიდევ მოასწრობს ნამ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 31—32.

** იქვე, გვ. 32.

დვილ გაზაფხულამდე და დააკვნობს. მე რა ვიცოდი? ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომვე ბოლო მომიღო“.* \

პატონის სახლთან ბავშვობიდანვე შეჩვეული გაბრო თავის სიყვარულს იმითაც ხსნის, რომ შინისაკენ გული არ მიუწევდა, „სულთამხუთავი დედიხა-ცვალი“ ჰყავდა. ხოლო დათიკო ანებივრებდა. მათ ხომ ერთმანეთი უყვარდათ. „მაშინ რა ვიცოდი სულელმა, — ამბობს სიკვდილის წინ გლახა, — რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!.. ეს რომ მცოდნოდა, ღმერთსა ვფიცავ და ჩემ მაშა-პაის სალოცავსა. გულში ნაღველას ჩავიწურავდი და იმის სიყვარულს კი იქ არ გავიტარებდი. მაშინ რა ვიცოდი?“**

დიახ, რა იცოდა, ან როგორ შეეძლო ცოდნოდა სოციალური იერარქიის ეს საშინელი ფილოსოფია ყმა გლეხის ბიჭს, რომელსაც პატარა ბატონის ბავშვური ქცევა ცხოვრების სინამდვილედ ეხატებოდა. ეს ფილოსოფია მან გა-იგო მხოლოდ გვიან. როცა ბატონყმური სინამდვილის არტახები ღრმად შემოეჭდო, სუნთქვა შეუგუბა, ხოლო შემდეგ მიწასთან გაასწორა. გაბრო ერთი იმ უბედური ყმა-გლეხთაგანია, ვისაც ბუნებამ ყველა სიკეთე უწყალობა, მაგრამ ბახინჯმა სოციალურმა წყობამ წაართვა. ის ჯერ კიდევ ბურანში იყო. როცა თოთხმეტი წელი შეუსრულდა. ბატონმა თავისი შვილი ქალაქში გააგზავნა სასწავლებლად და გაბროც თან გაყოლა. გამგზავრების წინ გაბროს მამას — დათოს ბატონისათვის უთხოვია — შვილი დამიბრუნე, ქალაქში ნუ გაატარებინო. ეს სცენა ძალიან წააგავს პოემა „კაკო ყაჩაღში“ აღწერილ სურათს — ზაქროს მამისა და გულქვა მებატონის დიალოგს. მაგრამ მისგან არსებითადაც განსხვავდება. თუ პოემაში ბატონი მხეცად არის გამოყვანილი, მოთხრობაში მოლიბერალო კაცია. რომელსაც ადამიანური ვრძნობა შერჩენია და სისასტიკე დაუკარგავს. ასეთი ბატონებიც იყვნენ, თუმცა იშვიათი გამონაკლისის სახით. ჯერ კიდევ გერცენმა თავის მოთხრობებში ეჩვენა მხეცად ქცეულ მებატონეებთან ერთად „გულმწყალესი“. რომლებიც თავიანთ ყმებს შედარებით უფრო ადამიანურად ექცეოდნენ. ასეთია დათიკოს მამაც. თვით გლახა გვეუბნება: „დიდი ბატონი — ღმერთმა აცხონოს — მეტი გულთბილი კაცი იყო. ჩემი დათიკოსთან მოშორებაც ეძნელებოდა და მამა-ჩემიც ეცოდებოდა. ის დალოცვილი მე მომიბრუნდა და მიბძანა: გაბრუშკი! თუ არ ვინდა დათიკოსთან წასვლა, აქ დარჩი მამა-შენთან, მე ძალას არ დაგატან. ვიცი. ამას დათიკო იწყენს, მაგრამ რა ვუყოთ: შვილი მამისა არის. აბისთანა კეთილი იყო ის კურთხეული! ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა, მაგრამ ის კურთხეულის შვილი სხვა გულის პატრონი იყო...“***

დათიკოს მამა მართლაც დააბრუნებდა თავის ყმას მშობლების ოჯახში, მაგრამ ეს არ ისურვა თვით გაბრომ („მე დათიკოსთან სიკვდილი მერჩიენა ჩემ დედინაცვალთან ასი წლის ცხოვრებასა“, — ამბობს იგი) და მისმა პატარა ბატონმა დათიკომ („თუ გაბრუშკას არ გამატანთ, მე ქალაქში წამსვლელი არა ვარო“). ამის შემდეგ „რა ექნა დიდ ბატონსა? მამი-ჩემისაც ეხათრებოდა და-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 32.

** იქვე, გვ. 33.

*** იქვე.

თავის შვილის ამბავიც იცოდა. ბოლოს, ვერა გააწყო-რა. ბატონმა ისევ ჰამი-ჩემის წყენა ირჩია და უთხრა თავისებურად. გულმტკივნეულად: ხომ ხედავ ჩემო დათო, დათიკო ისე შეჰჩვევია შენს შვილს, რომ ძოშორება ეძნელება. დაე, წავიდნენ! კარგია. რომ პატარაობითვე ბატონი და ყმა ერთმანეთს შეეჩვივნენ: ყმისათვის ბატონთან შეზრდილობა დიდი ხურგია. ხუ დაუშლი. თუ ღვერთი გწამს. დაე უყვარდეთ ერთმანეთი".*

დიდი ბატონის ეს მანუგეშებელი სიტყვები, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა მთხოვნელი მამის გულს. „მამა-ჩემსა ვერაფრად ეკაშნიკა ეს ნაუბარი ბატონისა, — გვეუბნება გაბრო, — უგემურად გაიქნია თავი და ისე გაჯავრებული და გულაყრილი წავიდა, რომ, როცა ქალაქს მივდიოდი, არც-კი მინახულა. ეგ, გითხრათ ჩემი გულქვაობის ამბავი. სულაც არ შევიმჩნიე მაშინ. ბოლოს კი ბევრი ვინანე. ის-ის იყო, მამა-ჩემი თვალით ველარა ვნახე: იმავ წელიწადს ამოიშამა წუთის-სოფელმა, და მე ისე. მშობლისაგან შეუნდობარი, უთვისტომოდ, ობლად, მარტოდ-მარტო დავრჩი ამ ტრიალ ქვეყანაზედა. ამ თვალმიუწვდომელ დედამიწის ზურგზედ ერთი დათიკოღა დამრჩა. მე იმაზედ დაველიე ობოლს გულის სიყვარული!..."**

მწარეა ეს სიტყვები, მაგრამ ჯერ კიდევ მძაფრად პირველი შეცხობაა უბედურებისა, ვინაიდან მთელი ტრაგედია წინ არის. ტრაგედია. რომელიც ამ მოსიყვარულე ბატონ-ყმას შორის უნდა დატრიალდეს. და განა მარტო ეს იკმარა მუხთალმა წუთისოფელმა? არ დაინდო სხვებიც, მათ ირგვლივ რომ იყვნენ შემოკრებილნი. მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს, ისევ კვალდაკვალ მივყვეთ გლახის ტრაგიკულ ნაამბობს.

ქალაქში ჩასული ბატონ-ყმა დიდი ბატონის ნათლიდედასთან იწყებენ ცხოვრებას. ეს არის „ერთი ღარიბი, ქერივ-ობერი დედაკაცი". რომელიც ბედს გაუწირავს, ქმრის გარდა ერთადერთი ვაჟიშვილიც დაჰკარგვია და საკუთარი თავის ამარა დარჩენილა. სიღარიბის მიუხედავად. იგი დედასავით უვლის თავის ხიზნებს და ყველაფერს, რასაც დიდი ბატონისგან ღებულობს (თორმეტ თუმანს წელიწადში, წლის სამყოფ პურსა და ღვინოს), ბატონ-ყმას ახმარს.

პატარა ბატონი სკოლაში დადის. გაუჭირდა, მაგრამ კარგად შეეგუა „რუსულ ტანისამოსს". გაბრო კი შინ რჩება. როცა დათიკოს დილით სკოლაში გაისტუმრებს, სახლს დაჰგვის, შემდეგ თავისუფალია და სწორედ ამ „თავისუფლებამ" საშუალება მისცა გაეცნო „ერთი მოზრდილი იმერელი ბიჭი", რომელიც „საღამოს ხნობით გამოდიოდა, დაჯდებოდა კარების დირეზედ და სულ რაღაც ხელნაწერსა ჰკითხულობდა". ეს რაჭველი ყმაწვილი, სომეხი ვაჭრის მოსამსახურე. ქალაქში შეხვედრია ერთ მღვდელს, რომელსაც მისთვის წერა-კითხვა უსწავლებია. გლახუკა (ასე ჰქვიოდა იმერელ ბიჭს). ისე გაიტაცებს წიგნების კითხვით გაბროს, რომ გადააწყვეტინებს თვითონაც ხელი მოჰკიდოს წერა-კითხვის შესწავლას. მაგრამ ვინ ასწავლის ყმა-ბიჭს,როცა მას ფული არა აქვს? „მე იმისთანა ოსტატს გიშოვნი, — ეუბნება გლახუკა, — რომ უფულოდ გასწავლოსო".

ვინ არის ასეთი სვებედნიერი, რომელსაც ხალხის სამსახური თავისი ცხოვრების მიზნად დაუსახავს? მართალია, მას ანაფორა აცვია, მაგრამ დაბალი სასუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 34.
** იქვე.

ლიერო წოდების ტანსაცმელში გამოწყობილი კულტურტრეგერია, მოვალი ხალხოსანი, რომელიც არა ჰგავს თავის ტოლებს, პირადი ბედნიერებისა და ჭირნების შეძენისათვის რომ ზრუნავენ. როცა გლახუკა აძაგისათვის დაზოგილ ორ მანეთს მიუტანს. ანაფორიანი უსაყვედურებს — „თუ შეიტია შენთვის, იმას მიეცი, ვინც მე და შენზედ უფრო ღარიბია... აგერ, ამ თქვენის ჭუჩის ბოლოს, ერთი ღარიბი სახლობა არის. პურის შოვნის ილაჯი არა აქვთ...“* გლახუკა მართლა ასე მოიქცევა. თავის მასწავლებელს კი შეძლეგა სიტყვებით შეამკობს: „აი, რა მადლიანი კაცია!.. ნეტა თითონ ჰქონდეს რაიმე მაინცა! ღვთის განაჩენი არა აბადია-რა, დღე-დღეურად ძღივა სცხოვრობს“.

მაგრამ იგი ცხოვრობს ადამიანური მოწოდებით და ადამიანებს ეშსახურება. იდეალური კაცია არა მარტო სასულიერო წოდების პირთა შორის, საერთოდ, ადამიანთა შორისაც. ძნელად თუ იქნებოდა ასეთი კაცი ანაფორიანთა გვერდით. მაგრამ ავტორმა შესაძლებელია ის გვითხრა, თუ რიგორი უნდა იყვნენ ღვთის მსახურნი, ვიდრე რწმენის ადგილი მეცნიერულ ცოდნას საყოველთაოდ არ დაუპყრია. ანაფორა აქ ანგარიშგასაწევიც არ არის. ასეთ კაცს პორფირიც რომ ეცვას, ჩვენ პატივისცემით მოვეპყრობით. თუ ხალხს ისევე უახგაროდ მოემსახურებოდა, როგორც ეს ანაფორიანი კულტურტრეგერი. ის მუდამ ხალხშია. მის შუაგულში დგას, ესაუბრება, რჩევა-დარიგებას აძლევს. ეხუმრება, ხალხის სიყვარულითაა შემოსილი. მსუბუქი ირონიით კენწლავს, ვინც მასთან წიგნის შესასწავლად აღარ დადის. ყმა გლეხს პეტრეს, რომელმაც შვილს სწავლა დაუშალა, თვალებს უხელს, მოჩხუბარ ძმებს ადამიანურ სათნოებას შეახგონებს, ღარიბებს უფასოდ ასწავლის. ყმა-გლეხი პეტრე, რომელსაც ბავშვობიდანვე შეთვისებული აქვს მონური ცხოვრების პრაქტიკული ფილოსოფია, რასაც ქრისტიანული ეკლესია ხალხს უნერგავდა — „ოფლითა თქვენითა შოიპოვეთ პური თქვენიო“, მიწას ოფლის ღვრით ამუშავებდა, მხოლოდ მიწა იყო მისი წიგნი, მაგრამ ახლა სხვა აზრს ეზიარა. მან იცის, რომ ეკლესიის ქადაგება — ოფლი ღვარეთო. მარტო გლეხობას დააწვა კისერზე. ამიტომ პეტრეს პირუტყვივით ზევით ვერ აუხედია. მისი კალამი — გუთანია, ოფლი — მელანი, წიგნი — დედამიწა, სხვა წიგნი მისთვის არ არსებობს. „ვინ ჩვენ და ვინ წიგნი“, — ასე ფიქრობს პეტრე. წიგნი და გლეხი მისთვის ორი შეუთავსებელი რამ არის. წიგნი რა გლეხის საქმეა, — ტყვილად კი არ არის ნათქვამი — „არა შეჯდა მწყური ხესა. არა იყო გვარი მისიო“. ასე ფიქრობს პეტრე, ასევე ფიქრობენ მისი მსგავსი ყმა გლეხები.

მაგრამ ახლა პეტრეს თვალებიაეხილა. მოძღვართან საუბრის შემდეგ, როცა ჭეშმარიტება გაიგო, აღტაცებით წამოიძახა: „ნუ შეჯდება მწყური ხესა. ნუ იქნება გვარი მისი, ჩემმა შვილმა კი წიგნი უნდა იცოდესო“. ეს იყო გლეხის ბურუსიდან გამორკვევა. მონობის თუნდაც ერთი არტახის გაწყვეტა მის ცნობიერებაში და ერთეული კულტურტრეგერობის მნიშვნელობის მხატვრული ილუსტრაცია. ანაფორიანი კულტურტრეგერი, როგორც შევუთითეთ, საზღაურს არ მოითხოვს. ხელსა და მუხლებზეც არავის აკოცნინებს, როგორც სხვები სჩადიან. ის განადიდებს შრომას, კეთილშობილებას. და თვითონაც ასე იქცევა. მან კარგად იცის, რომ „ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი“. მისთვის ყველა ადამიანია

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 38.

და ზეადამიანს არა ცნობს. „აბა შემომხედე, მეც შენისთანა კაცი ვარ“, —ეუბნება იგი დარცხვენილ კაბრის. შორსაც იხედება: „დღეს შენ დაგჭირდი, ხვალ თუ ზეგ მე დამჭირდები, „სოფელი ასე მქნელია“, დრო მოგვივა გავსწორდებით. ხომ გაგიგონია: მთა მთას არ მოხვდება, კაცი კი კაცსაო“. მისი სახელაური ის იქნება, თუ გაბრო, როცა წიგნს ისწავლის, მოსძებნის თავის ტოლებს და მათაც შეასწავლის წერა-კითხვას. როგორც ვხედავთ, მისი მიზანია ხალხის განათლება, ხალხის კულტურული დონის ამაღლება და ეს მოძღვარი აქ უფრო ძეტად გვეელინება „კულტურტრეგერების ნაადრევ წინამორბედად. ვიდრე ეკლესიის იმდროინდელ ტიპიურ მსახურად. მხოლოდ ეპილოგში, მოთხრობის დასასრულს, სადაც კვლავ ხვდებიან ერთმანეთს მოშაკვდავი გაბრო და მოძღვარი, რომელიც ზიარებას აძლევს თავის ყოფილ მოწაფეს, იგი შეეფერება სასულიერო პირს, მაგრამ აქაც ხალხის ჭირისუფლად, დავრდომილის ნუგეშად გვეელინება და არა ტიპიურ მღვდლად. მის შესახებ ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი და ამიტომ მეტს არაფერს ვიტყვით, ისევ მოთხრობის სიუჟეტს მივუბრუნდებით.

გახარებული გაბრო მეორე დღესვე მიდის მოძღვართან, რომელსაც საკუთარ სახლში „შვიდიოდე პატარა ბიჭი“ უბრალო ტახტზე შემოუსხამს და წერა-კითხვას ასწავლის. იქვე მუშაობს მისი მოხუცი დედა, შვილივით სათნო და სპეტაკი გულშემატკივარი. ვაბროც პატარა ყმაწვილების წრეში მოხვდა, მაგრამ მეტი ნიჭი გამოიჩინა, მოძღვრის ამაგმა ამაოდ არ ჩაიარა („მამა შვილს ისე როგორ მოექცევა, როგორც ის ჩვენ გვექცეოდა“, — ამბობს გლახა). სამოთხე თვეში მან ისე კარგად შეისწავლა წიგნის კითხვა, ლოცვები, რომ მოძღვარმა შევარდენი უწოდა, გამოჰყო ბიჭებიდან. ცალკე სწავლა დაწყებინა, დაიახლოვა, რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი“ აჩუქა და მის შესწავლაგაგებასაც ერთად შეუდგნენ კეთილი მასწავლებელი და ნიჭიერი მოწაფე. ამ გენიალური წიგნით, რომლის ავტორსა და თამარ შეფის ეპოქას, როცა რუსთაველის უკვდავი პოემა შეიქმნა, მოძღვარი უდიდესი მოწიწებით იხსენიებს, მასწავლებელი ცდილობს ნიჭიერ მოწაფეს შთააგონოს ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა. მაღალი საკაცობრიო იდეალები, რომლითაც აღსავსეა ეს მსოფლიო შედევრი. მას ხალისით მოჰყავს რუსთაველის სიტყვები: „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დაშრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად დახდად“. ეს მიაჩნია თავისი ცხოვრების იდეალად და პრაქტიკულადაც თვითონვე ახორციელებს. კაცის სახელი მისთვის საქმის შედეგი უნდა იყოს და არა თვითმიზანი. ამიტომ ჰგმობს ფრონდიორებს, რომლებსაც ხალხი, სახელი პირადი, ეგოისტური მიზნებისათვის ესაჭიროებათ და არა საზოგადოებრივი კეთილდღეობის მისაღწევად.

როცა რუსთაველის პოემას ეცნობოდა, გაბრო უკვე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი იყო და მას კარგად შეეძლო გაეგო დიდი ქართველი პოეტის იმ სიტყვების აზრი, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. ეს სიტყვები პირველად მოძღვარმა წაუკითხა. შემდეგ თავისებურად განუმარტა ცნობილი რუსთაველური აფორიზმი— „რასაცა გასცემ შენია, რაც არა — დაკარგული ია“. მადლს სიკეთე უნდა მოაგებინო. — ასე ესმის მოძღვარს ქართველი პოეტის სიტყვები. მაგრამ, როგორც მასწავლებელი, იგი არ სჯერდება მწიგნობრულ განმარტებებს. თავისი პირადი მაგალითითაც უჩვენებს, თუ როგორ

უნდა ასრულებდეს თვითეული ადამიანი რუსთაველის პრძნულ აზრებს. როცა მასთან „შემოვიდა მიკონკებულ ჩადრში შეხვეული ერთი ღარიბი დედაკაცი“ მ ა რ ი ა მ ი, რომელსაც ქ მ ა რ ი უკვდება, ოჯახში დაბხმარე კი არავინ არა ჰყავს. მოძღვარი მას არამარტო სიტყვებით ანუგეშებს — ნუ სტირი, მართალია, „ცრემლი მწუხარების შვილია, მწუხარებას ალბობს. მაგრამ გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლიო“, არამედ, ფულად დახმარებას უწევს. თუმცა თვითონაც არაფერი აქვს, დედის მიერ დამზადებულ წვამლებს უგზავნის, სახლშიაც ყოველთვის ნახულობს. გაბრაზმა ისიც შეიტყო, როჭ „თითონ ღარიბი“ მოძღვარი წელიწადნახევარს ინახავდა თურმე ამ „დაგდებულ ქმარსა და ცოლსა“. მოძღვრის სიტყვებმა მარიამისადმი გ ა ბ რ ო ს აზრიც აღუძრა, რომ მზე იმოდენას ვერ უზამს „დამზრალ ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჰაგრულს გულსა! ოო!.. სითბო?.. დიდი რამ არი!.. დედამიწის ზურგი იმით აყვავდება ხოლმე, წუთის-სოფლის ცხოვრება იმით მოისხამს ყვავილსა!“* თუ ამ თბილ სიტყვას სათნო საქმეც მიემატება, იმაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს. მოძღვარი ასე იქცევა: სიტყვას საქმით აგვირგვინებს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ხოლო სხვა შემთხვევაშიაც თავის მრწამს არ ღალატობს.

თვით ვაბროს ორი „სასწაულებრივი“ ფაქტი მოჰყავს მ ო ძ ღ ვ ა რ ი ს მიერ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს სიტყვების პრაქტიკულად განხორციელებისა. პ ი რ ვ ე ლ ი, როცა წაიკითხა— „რასაცა გასცემ შენია“... და მარიამში შემოვიდა, რომელსაც ნუგეშისცემასთან ერთად მატერიალური დახმარებაც გაუწია. მ ე ო რ ე დ უფრო თავგამეტებული საქციელი ჩაიდინა. ეს მაშინ მოხდა, როცა მასწავლებელი და მოწაფე კითხულობდნენ რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს უკვდავ სიტყვებს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს,
სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან
ერთგან მოყმე და მხცოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი“.

სწორედ ამ დროს გაისმა ხმა — კაცი იბრჩობაო (მოძღვარი მტკვრის პირას იდგა). აყალმაყალმა და ალიაქოთმა მთელი ქუჩა მოიცვა. ყველა მიცვივდა მტკვრის ნაპირას იმ ადგილს, სადაც კაცი იხრჩობოდა, მაგრამ მშველელი არსაიდან ჩანდა. დასახრჩობად განწირულს მარტო იმედიან სიტყვებს ეუბნებოდნენ: „ნუ გეშინიან!.. არ შეუშინდე წყალსა, ცოტა კიდევ თავი შეიმაგრე. შენი დამხსნელი მოდისო“.

მაგრამ ვინ იყო ეს დამხსნელი?

გაბროს მასწავლებელი, მ ო ძ ღ ვ ა რ ი. რომელიც უმალ გადაეშვა ცივ მტკვარში (შემოდგომა იყო) და მ უ შ ა-კ ა ც ი დ ა ხ რ ჩ ო ბ ა ს გ ა დ ა ა რ ჩ ი ნ ა. მთელი ხალხი მას აქებს. როცა გამოჩნდება. იგი წყალში შესცურავს, გემივით მიაპობს მტკვარს, გადარჩენილ უსახლ-კარო კაცს ბინასაც უშოვნის, თახ გაჰყვება, თუმცა ახლა თვითონ არის შესაბრალებელი, რაკი სიცივისაგან „სულ

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 56.

გალურჯებულია". „კბილით კბილსა სცემს და ჰკანკალებს". გაბროს თხოვნაზე — „შინ წამობძანდი... დაღლილი ხარ, ჰკანკალებო", მოძღვარი უპასუხებს: „მუშას შველა უნდა კიდევ". და „მინამ ქარგად არ მოასვენა, მინამ გული არ დაიჯერა, რომ ეს კაცი აღარ მოკვდება, — ის დალოცვილი არ მოჰშორებია".*

მუშა მართლაც გადარჩა, მაგრამ თვით მოძღვარი გაცივდა, ავად შეიქნა, სამი დღე „უსულო მკვდარსავით იყო", კინაღამ თვითონ გარდაიცვალა.

განა ეს მოყვასისათვის ფანატიკური თაყვადება არ არის?

სხვისთვის სწორედ ამ ფანატიკურ თაყვადებას ასწავლის მოძღვარი თავის მოწაფეებს. მათ შორის ნიჭიერ გაბროს. რომელსაც წიგნების სიბრძნესთან ერთად, პრაქტიკული ცხოვრების მორალსაც უკითხავს. დედის საყვედურზე — თავი რად გასწირე, მე რომ მარტოს მტოვებდი, რა პასუხს მაძლევდიო, მოძღვარი ამბობს: პირნათლად შეგხედავდი, რაკი შენმა „ძუძუმ კაი საქმე შემაძლებინაო". გაბროს კი დედის სიყვარულს ასე განუმარტავს: „დედის გული ზღვა არის სიყვარულისა. რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეციო,—დედა მაგას იქს; შვილმა კი დედისათვის რომ ეგა ქნას, ღედა იწყენს".**

სრული სიმართლეა! ასეთ კაცს მართლა შეეძლო თავი გადაედო სხვისთვის და თავისი ცხოვრების მიზნად ის დაესახა, რომ „კაცის სამსახურში სული ამოსვლოდა". მას სწორად შეუგნია რუსთაველის სიტყვები — „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა". სახელი კარგი საქმით თავისთავად უნდა იბადებოდეს, ხოლო კარგი საქმე სახელისათვის არ უნდა კეთდებოდეს. საქმე ყოველთვის რჩება, სახელი კი ხშირად ჰქრება, როგორც იმ გუთნის პირველი გამკეთებლისა, რომელსაც ჩვენც არ ვიცნობთ: „იქნება თითონ მშიერი მოკვდა და ამოდენა ძილეთის მცხოვრებლებს კი გაუწყვეტარი ლუკმის სახსარი ძისცა. იმისი სახელი გაქრა ქვეყანაზედ, საქმე კი, რომელიც ყველა სახელზედ უკეთესი სახელია, დარჩა საუკუნოდ, საქმე — რომელიც მარტოკა დასძლევს ვითელ ქვეყნიერების ცოდვებსა".*** რაც შეეხება ადამიანის სიცოცხლეს, იგი „არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა". მოძღვარი აქ იმოწმებს ავთანდილს: მე იგი ვარ, „ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერადო". ეს კარგი სიტყვაა, თუმცა „მოყვარედ ქვეყანა მიაჩნია ადამიანსა". ამასაც არ სჯერდება: „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის. აი, გზა ცხოვრებისა". — ამბობს მოძღვარი. როცა გაბრო აღტაცებას გამოთქვამს ავთანდილისა და შერმადინის ამბავთან დაკავშირებით და პატრონყმობაზე წამოიძახებს: „აი. ბატონ-ყმობა თუ იყოს — ამისთანაო". მოძღვარი გააწყვეტინებს: „მართალი ხარ!.. უარესს (ე. ი. ბატონყმობას — გ. ჯ.) ეგა (ე. ი. პატრონყმობა — გ. ჯ.) სჯობიაო". მოძღვარი გამოდის როგორც პატრონყმობის, ისე ბატონყმობის. მაგრამ უფრო ამ მახინჯი ფორმის წინააღმდეგ. დამჯერებლად ამტკიცებს. რომ „ხელში ნაპატივები მიმინო" უფ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 59.

** იქვე, გვ. 60.

*** იქვე, გვ. 63. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

რო ცუდად გრძნობს თავს, ვიდრე კაცის ხელმიუკარებელი. თავისუფლებას არაფერი შეედრება.*

ეს სენტენციები მოწმობენ, რომ „გლახის ნაამბობის“ მოძღვარი უფრო ანაფორაში გახვეული თერგდალეულთა წინამორბედია, ჰუმანისტია, დემოკრატი-კულტურტრეგერია და არა მღვდელი ჩვეულებრივი გაგებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ალეგორიულად მოძღვარი შესტრფის მომავალ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, და სწამს, რომ ასეთი დრო დადგება, როგორც ჭირნახულისათვის შემოდგომა, მაშინ ამ აზრს ვეტი დამაჯერებლობა მიეცემა.

მაგრამ, რატომ დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს ყველა ეს სიკეთე — ჰუმანიზმი, სათნოება, დემოკრატიზმი, მაღალი ადამიანური გრძნობები ანაფორიანი კაცის არსებაში მოექცია? განა მან არ იცოდა, რომ სამღვდელოების აბსოლუტური უმრავლესობა სრულიად საწინააღმდეგოს აკეთებდა, ხალხს ყვლეფავდა, ატყუებდა. სხვისი ჭირი ჩირადაც არ მიაჩნდა? განა ხალხურ შემოქმედებაში, რომლის დიდი მცოდნე და შემკრები თვით ილია იყო, ყოველთვის დაცინვის ობიექტი არ არის მღვდელი, დიაკვანი, ფოფოდია და ფოფოდიას ქალიშვილი? განა ქართულმა ლიტერატურამ სამღვდელოების მძაფრი კრიტიკა არ მოგვცა? განა დავით გურამიშვილი მიწასთან არ ასწორებს მღვდლებს,** როგორც პოლიტიკურ ავანტურისტებს, მუქთახორებსა და წვმგლეჯებს? თუ მათ შორის სადმე გამოერეოდა ერთი ან ორი კეთილშობილი კაცი, ეს ხომ ტიპიური არ იყო და როგორ მოუვიდა ტიპიურობის უდიდეს ოსტატს — ილია ჭავჭავაძეს არატიპიური ისე განეზოგადებინა, როგორც „გლახის ნაამბობის“ მოძღვრის სახით გვიჩვენა?

პასუხი შეიძლება ასეთი იყოს: ჯერ ერთი — ამ გზით შეეძლო ავტორს მეტი ეთქვა. რაკი ანაფორიანი კაცი, ასე თუ ისე, მაინც გაბატონებულ წრეებს ეკუთვნოდა, გარდა ამისა, ცენზურაც იმდენად ვეღარ დაეპვდებოდა, ვინაიდან ხალხის მსახურის ნიმუშად მოძღვარი გამოდის და არა რომელიმე რევოლუციონერი თერგდალეული. პროგრესული, ჰუმანურ-დემოკრატიული აზრები და განმანათლებლური მოღვაწეობა ანაფორიანი კაცისა, ნაკლებად სადავო ან სულ უდავო იქნებოდა იმათთვის, ვისაც უფლება ჰქონდა მზის სინათლე ეჩვენებინა ან ვეტო დაედო ლიტერატურული ნაწარმოებისათვის. მეორეც: თუ მოძღვრის სახე დააფიქრებდა, სარკეში ჩაახედებდა სასულიერო წოდებას, რომელიც ხალხის სახელით თვით ხალხს სძარცვავდა, არც ეს იქნებოდა ნაკლებმნიშვნელოვანი. ვინაიდან თერგდალეულები განმანათლებლურ იდეებს ემსახურებოდნენ და მთელი ხალხის, ყველა წოდების სწორ გზაზე დაყენებას ისახავდნენ მიზნად.

შესაძლოა ყოველივე ამან განაპირობა მოძღვრის სახე „გლახის ნაამბობში“ და მისი ალტრუისტული, ჰუმანურ-განმანათლებლური, იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებანი კეთილშობილურ საქმეებთან ერთად. შესაძლოა ამიტომაა, რომ მოქმედ პირთაგან იგი ერთადერთი გოხივ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 62; „იმას კი არა შეედრება-რა, როცა ცა ქუდადა გაჰკვს და დედამიწა ქალამნადა“ — ამბობს მოძღვარი.

** ეს საკითხი დაწვრილებით არის განხილული წიგნში: გიორგი ჯიბლაძე. კრიტიკული ეტიუდები, ტ. IV, 1963 წ., გვ. 41—42.

რული საწყისია მოთხრობისა. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ ავტორი თავის გმირს ასე ალაპარაკებს მოძღვარზე: „ორიოდე ნათელი დღე მე იმასთან გამიტარებია, გონებისა და ადამიანობის თვალი, — ავად თუ კარგად, — იმასთან ამიხილებია. ჩემის ბნელის ცხოვრების გზაზედ იმის მეტი ვარსკვლავი არ ამოსულა, — და ამ უპირო ქვეყანამ სხვა ნურა დამაყვედროს-რაო“.* როცა მოძღვარზე ლაპარაკობს, გაბროს „სული ისევ სულობს“, თვითონვე აბობს: „...იმის ხსენებაზედ ამ ქვეყნად კიდევ მადლი ღვთისა ჰწამს, კიდევ ჰგონია, რომ ეს ქვეყანა შესაფერია და ამ ქვეყანასთან ძაფი არ გაწყდომია“.** არსებითად ეს იყო პროპაგანდა ახალი განმანათლებლური იდეისა, მისი პოპულარიზაცია, მისადმი სახალხო სიმპათიის აღძრა, როგორც ხალხის საკეთილდღეო მოვლენისა. ამიტომ „გლახის ნაამბობის“ ანაფორიან კაცში 60-იანი წლების განმანათლებლებს წინამორბედია გახვეული და არა რელიგიური ფანატიკოსი. რეალური და ტიპიურია თუ არა იგი? ორიოდეა, როგორც განმანათლებლების წინამორბედი, მაგრამ არც ერთი არ არის, როგორც ეკლესიის მსახური. რელიგიურ ფანატიკოსს არ შეიძლებოდა ღვთაება კაცამდე ჩამოეყვანა, როგორც ამას მოძღვარი აკეთებს, როცა გვეუბნება: „ყველაფერი სალმრთოა... რაც კაცის გულს გაუთბია, თითონ დამწვარა, ზღაპრისა არ იყოს, სანთელსავით და სხვისთვის კი გზა გაუნათებია. კაცი ის არის... რომელიც თავის გონების ხამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს. იმ ხიდს ზედ აჩნევია ყოველთვის ღვთის მადლი, მაშინ ყველაფერი სალმრთოა“.*** აქედან სულ ერთი ნაბიჯია იმის აღიარებამდე, რომ არა ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი, არამედ, თვით ადამიანმა თავისი მოქმედებით შექმნა ღმერთი. თუ ზოგჯერ მოძღვარი კონფესიური ქრისტიანობის დოგმებსაც იმეორებს, ეს უფრო გარეგნული ფორმაა, რომ იგი ანაფორიანი მოძღვარია, გარდა ამისა, ხალხს მაშინ ასე სწამდა და ერთ კაცს არ შეეძლო ყველაფერი ერთბაშად გაეკეთებინა. როგორც პანთეისტები ღვთაებას ბუნებასთან აიგივებდნენ, ისე „გლახის ნაამბობის“ მოძღვარიც ღმერთს ადამიანურთან აიგივებს და ამითაც თავისი დროის განმანათლებლად გვევლინება.

მაგრამ ჩვენ გაბროს მსგავსად გაგვიგრძელდა ამ თემაზე მსჯელობა. ამიტომ ახლა ისევ მივყვეთ მოთხრობის შინაარსს.

ქალაქში დათიკო და გაბრო ხუთ წელიწადს იყვნენ. თუ როგორ სწავლობდა ან რას აკეთებდა უზრუნველყოფილი პატარა ბატონი, ჩვენ შეგვიძლია მისი მსახურის საშუალებითაც გავიგოთ: დათიკომ „...ორიოდე თვის შემდეგ ხშირად დაიწყო გარე-გარე სიარული და ხანდახან შამლის ყივილამდინაც არ შემოვიდოდა შინ. მგონი, მაშინ იმას სწავლაზედ გული აცრუებული ჰქონდაო“. **** თუ ასე მოხდა ქალაქში ჩასვლის ორი თვის შემდეგ, გასაგებია, რომ მომდევნო თვეებსა და წლებში ეს ხეტიალი, სწავლაზე გულაცრუებულობა კიდევ უფრო გაძლიერდებოდა. ამიტომ, როცა მეექვსე წელს მამა გარდაეცვალა, დათიკომ არა მარტო სწავლას, ქალაქსაც თავი

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 64.
** იქვე.
*** იქვე, გვ. 51.
**** იქვე. გვ. 35.

დაანება და მოძღვრის თხოვნაზე — სწავლა არ შეეწყვიტა, კატეგორიული უარი განაცხადა. „ვერა გავაწყვეტა, — ეუბნება მოძღვარი გაბროს დათიკოსთან ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, — თავის სიტყვის კაცი ყოფილაო". ამ „თავის სიტყვაში" დათიკოს ახირებული სიჯიუტე, ამპარტავნობა, თავდიშვილური ქედმაღლობაა მინიშნებული და არა კაცურიკაცის ღირსება სიტყვის გაუტეხელობისა. ნებივრად და თავკერძად აღზრდილს, ნაღველი იშვიათად ან სულ არ ეკარება. მაშინ სიკვდილიც მალე გამოიტირა. სოფლიდან ცხენები დაიბარა. ქართული ტახსაცმელი ჩაიცვა და გაბროსთან ერთად შინ გაემგზავრა სამუდამო საცხოვრებლად. მართო ერთი გაბრო წუხდა, რომ სწავლას სწყდებოდა. მოძღვარს რომ ეთქვა — ნუ წახვალო, — გეუბნება გაბრო, — „იქნება, არც კი წავსულიყავი" სოფლად დათიკოსთან, მაგრამ ბედს ასე სურდა. მოძღვარმა ერთხელ კიდევ დაარიგა თავისი საყვარელი შეგირდი და ცხოვრების კეთილი გზისაკენ მიუთითა: „შვილობით, ჩემო გაბრიელ! მართალი იყავ და სიმართლეს სდიე. გზა ყოველთვის კაცური გექნება. ესეც იცოდე: ვინც კარგსა საქმეს არ მისდევს, იგი თავისა მტერია".*

ეს იყო უკანასკნელი მამა-შვილური დარიგება მოძღვრისა. აძის შემდეგ გაბროს ცხოვრების გზა სულ სხვა რიგად წარიმართა.

თბილისიდან ცხენით ორი დღის სავალზე ყოფილა გაბროს სოფელი. მაშასადამე, იგი ან ქართლელია, ან მთიელი, ან კიდევ სამხრეთელი ქართველი, რაკი კახელი არ არის. თითქოს წინასწარ გრძნობდეს მომავალ უბედურებას, სოფლისაკენ გული აღარ მიუწევს, იქ ხომ აღარავინა ჰყავს, მაგრამ მშობელი ადგილის სიახლოვემ გუნება შეუცვალა. გაბრო თვითონვე ამბობს: „მე ჩვენს სოფელში მისვლა ძალიანაც არ მომინდომებია. მე იქ აღარავინა მყვანდა, მაგრამ ჩემის მიწა-წყლის სიომ რომ დამკრა, გული ამიტოკდა: ის მთა, ის ბარი, ის ტყე, ის მინდორ-ველი რომ დავინახე, ავიცეკვე ლხენითა და სიამითა. ის, რაც გულში მაშინ დამიტრიალდა, არც სიხარულსა ჰგვანდა და არც ნაღველსა, გულში რაღაც „მზიანი ჩრდილი" იყო, თითქო ნაღველი სიხარულში გაეშალაო და სიხარული — ნაღველში. გული ოდნავ და მეტად ტკბილად მიცემდა. სმენად გარდამექცა გულისყური, ყველაფერი ჩემს გარშა თითქო რაღაცას კარგსა და დიდი-ხნის დავიწყებულს ამბავს მიამბობდა. იმ დროს რომ კაცს ჩემთვის ხმა გაეცა, მეწყინებოდა.... მე ხომ იმ ქვეყნისათვის ტიალ-ხოერი ვიყავი და იმ ქვეყნისა კეთილი არა მახსოვდა-რა, მაგრამ მაინც კიდევ თავისი მიწა-წყალი დიდი რამ ყოფილა კაცისათვის. ვინც თავის მიწა-წყალს არ მოჰშორებია, — ეგ იმას ვერ უცვნია. ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ებლა ხიდი ჩატეხილია და, დღესა თუ ხვალე, სულაც გავშორდები, მაგრამ ღვთის მოწყალებად ჩავთვლიდი, რომ მე ჩემის მიწა-წყლის ცალთაში სული დამელია".**

ამ მშვენიერი პატრიოტული გრძნობის გადმოშლით გაბროს კეთილშობილება ჩვენთვის კიდევ უფრო საცნაური ხდება. უბედურებისათვის დაბადებული ეს სათნო კაცი ყოველმხრივ შემკობილი იყო. ცხოვრების ერთერთი ღირსეული შვილი იქნებოდა, რომ ქვეყნად ბატონი და ყმა არ ყოფილიყო, ბოროტებას სიკეთის დათრგუნვა ვერ შეძლებოდა. და ეს ახალგაზრდა

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 66.

** იქვე.

კაცი, ჯერ მხოლოდ 25—26 წლისა, მოხუცებულივით დავრდომილი და უპატრონოდ მიგდებული სოფლის ბოლოში, იძულებულია მწარე ტახჯვით გაჰოეთხოვოს სიცოცხლეს, რომელიც მას ასე უყვარს.

სოფელში ჩასვლისთანავე დათიკო გაბროს ჩააბარა სახლ-კარისა და მამულის მოვლა. ისე გამოაწყო ახალ ტანსაცმელში, რომ „თავადის შვილი ვერ გაჰომარჩევდითო“, — გვეუბნება გაბრო. ბავშვობიდანვე ძმასავით შეზრდილი ყმაც უდიდესი ერთგულებით უვლის ბატონის ქონებას, „სახლიდან შეწვას ოდენაც არა იკარგებარა“. ამ ერთგულების გამო იგი ბევრს შეძულდა — ყმასა და მოჯამაგირეს, მაგრამ „უსამართლობა არავისათვის“ გაუწევია. ორ წელიწადში სახლი ისე დააყენა ფეხზე, რომ „დათიკო კაი ოჯახის-შვილად ჩაითვლებოდა იმ ახლო-მახლო თავადის-შვილებში“. ყმის ამ ერთგულებას პირველ ხანებში დათიკოც აფასებდა: „ტოლ-ამხანაგად მინახავდა და ძალიან მადლობელი იყო ჩემიო“, — ამბობს გაბრო.

თუ როგორი ბატონი შეიქნა დათიკო, თვით გაბრო გვიხასიათებს, როცა მის გარეგნულ შეხედულებას აგვიწერს. „ყველაფერში კაი ყმაწვილი კაცი იყო, — ამბობს იგი, — ძშვენიერი სანახაობისა, გულუბვი, გულმარდი, გიჟმაჟი და ვაჟკაცი. თოფისა და ცხარაღის ხმარებაში იმ ძროობაზედ იმას ორიც არა სჯობდა. ის რომ ყარაბაღულ ცხენზედ შეჯდებოდა, ყელმოღერებული, ალვის ხესავით, ადამიანს თვალი ზედ დარჩებოდა. ყველაფერით ძალიან ლამაზი და მოხდენილი იყო. მაგრამ ერთი ავი სენი სჭირდა, — და იმ სენმა ისე იმას არ ავნო, როგორც მე: ქალების მუსუსი იყო და ამისთანაებში ნამუსგაქნილიცა. რაკი გულში ვისმე ქალის ფიქრს ჩაიდებდა, თავის გულის წადილისათვის არაფერს დაერიდებოდა, არაფერს ითაკლებდა, არაფერს და არაის დაზოგავდა: ყველაფერს და ყველას ბიდად გასდებდა დაუნდობლად და თითონ გაივლიდა. მე მგონია, ის უბედური თავის ხათისავსაც არ დაიხდიდა მაგისთანაებში — ასეთი თავდაუბერელი იყო, რაკი პირწყლიან გოგოს დაინახავდა. ბევრს გლეხის გოგოს მოუკლა იმან ნამუსი, ბევრს კაი ოჯახის-შვილს თავზედ ლაფი დაასხა“.*

აი, აბალგაზრდა თავადიშვილის — უკვე ბატონად ქცეული კაცის ტიპიური ნიშან-თვისებები. მისი ამორალური საქციელი იმდენად აღძაგრეთებელი შეიქნა გაბროსათვის, რომ მოჰკლავდა, მაგრამ ძველი. ბავშვური სიყვარული დათიკოსადმი აჩერებდა. გაბრო თვითონვე ამბობს: „მე რომ ის არა მყვარებოდა, ცუდად დავუმწუბდი იმ მოხდენილ მხარბეჭს, რომ ამოდენა სირცხვილი აჭამა ქვეყანასა!... მაშინ ჩემი ბედიც იქნება სხვა-რიგად დატრიალებულიყო. მაგრამ რა მექნა? ის, სხვა ყველაფერში მადლიანი ბიჭი, მეტად მიყვარდა, არ ვიმეტებდი, თორემ ადრევე იყო ჩემის ხელისაგან გასახიავებელი. ქვეყანა წამურტლა და აქამდისაც მიკვირს, რომ ამ მართლა-და მურტალს ქვეყანაზედ კაცი არ გამოჩნდა, რომ თოფი ეკრა და მიწასთან გაეწორებინა“.**

მიწასთან ეს გასწორება მხოლოდ მაშინ მოხდა, როცა ძლიერ სულს ასეთივე ძლიერი უხეში ძალა დაეჯახა. ეს იყო გაბრო და დათიკოს სრულიად ანტიპოდური ხასიათების ერთ წერტილში თავმოყრა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მორალური პოლუსები თავიანთ ადგილზე დარ-

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1956 წ. გვ. 67.

** იქვე.

ჩნენ — უხეშ ძალას — დათიკოს სახე არ უცვლია, ხოლო კეთილ სულს — გაბროს რწმენისათვის არ უღალატნია. „ის მე არ ჩამომეცალა, — ამბობს გაბრო დათიკოზე. — და არ ამიქცია გზა. მეც არ შევეპუე". * ასეთი დაპირისპირება ორი ანტაგონისტური ხასიათისა ყოველთვის ჟანრული მოთხრობის მომასწავებელია, თუ მესამე ძალამ მათი ნიველირება არ მოახდინა. მაგრამ ასეთი გონივრული საწყისი არ გამოჩენილა და საშინელი ტრაგედიაც დატრიალდა.

ეს ტრაგედია უკავშირდება ამავე სოფელში მცხოვრებ დათიკოს ყმა გლეხს პეპიას და მის „ჯეირანივით ვაჟიკაც" — თამროს. პეპია კეთილი კაცი იყო, „ბანშესული, დროული, გლეხკაცობაში სახელიანი და პატივცემული".** ახლად დაქვრივებულ პეპიას თამროს მეტი არავინ ჰყავდა. „ბევრმა კარგად აშენებულმა გლეხმა სთხოვა ქალი, მაგრამ არავის მიათხოვა, თითქო სხვისათვის არ ემეტებოდა ის ობოლი მარგალიტი". თამრო იყო „თეთრ-წითური, შავ-თვალ-წარბა, ტანწვრილი და მაღალი. ბევრი თავადის-შვილის ქალი ინატრებდა იმის ჯეირანივით მოღერებულ ყელსა, იმის გიშრის თმასა, ლერწამს ტანსა".***

მოკრა თუ არა თვალი ამ განზორციელებულ მშვენებას, გაბროს ჩაბეჭდილს ერთბაშად მოედო პირველი სიყვარულის ცეცხლი. მაშინ ის იყო ოცდაერთი წლის ყმაწვილი, სათნო და კეთილშობილი, გარეგნულადაც ლამაზი შესახედავი. ასეთი ვაჟკაცი შეუმჩნეველი არ დარჩენია თამროსაც და მის არსებაში გაბროსადმი ტრფობის ალი დანთებულა. მოთხრობაში მშვენივრად არის აღწერილი გაბროსა და თამროს პირველი შეხვედრა, სიყვარულის გაჩოცხადება, თვით სატრფიალო განცდა. ეს სცენები რომ დავახასიათოთ, მთელი გვერდების ამოწერა დაგვჭირდებოდა. ახალგაზრდების რომანტიული განცდა, მათი დამოკიდებულება ყველა სცენაში დიდი უშუალობით ხასიათდება. საკმარისია მოვიტანოთ ერთი მაგალითი. როცა გაბრო ორღობეში შეხვდება თამროს, რომელსაც მამისათვის კალოზე სადილი მიაქვს, ყმაწვილის გული უცნაურად შეირხევა: „გულმა ცემა ერთს წუთს შესწყვიტა, — ამბობს გაბრო, — დამეცა ბურანი, თვალთ დამიბნელდა, — და ეს ამოდენა ვაჟკაცი წავბარბაცდი და წავაწყდი ღობეს. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მოვიკრიბე ღონე და გონზედ მოვედი. ეს რაც დამემართა, ერთის წუთის საქმე იყო. იმახაც მე თვალი მომკრა; შეკრთა, როგორც შველი მონადირესაგან, და უცებ უკან გატრიალდა. მე ბევრი ალარ მიფიქრია: ფისხლიტე ფეხი და გამოვუდეგი". **** ერთხელ კიდევ, უფრო ადრე, გაბრომ არანაკლები ძალის გრძნობა განიცადა; თამრო „ერთხელ კალოზედ კევრზედ იდგა და, მე რომ ამოვუარე, ჩუმჩუმად შემომცინა. როგორც კოკორი მზისგან, გული ისე გადამეშალა და ამიყვავდა: ამომივიდა მზე, გამინათლდა ქვეყანა. ამიცქანცქალდა ობოლი გული, ამიცქანცქალდა ისე, რომ ამოდენა კაცი მოვიყარე და ისე აღარ ამცქანცქალებია". *****

ასეთი დიდი უშუალობით, ადამიანის შინაგანი სულის ღრმა ცოდნითა და მხატვრული ზომიერებით აღწერს ილია ჭავჭავაძე გაბროს და თამ-

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 67.
** იქვე, გვ. 68.
*** იქვე.
**** იქვე.
***** იქვე.

როს ურთიერთდამოკიდებულებას. ხალხური თქმები, ალეგორიები, აფორიზმები — ყველაფერი ეს იმდენად ოსტატური ზომიერებითაა გამოყენებული, რომ მთელ ნაწარმოებს არაჩვეულებრივად მიმზიდველს ხდის მკითხველისათვის. რადა ღორს თუნდაც გაბრის სიტყვები მას შემდეგ, რაც მან პირველად გაიგონა თავისი სათაყვანებელი არსებისაგან — თამროსაგან თანხმობის ნიშნად „ჰო“ და, როგორც თვითონვე ამბობს, „მკვდარი გაცოცხლდა“. „ადამიანს ხანგრძლივ რომ შეხვდეს ამ წუთის-სოფელში იმისთანა დრო, ეს წუთის-სოფელი სამოთხე იქნებოდა. მაგრამ წუთის-სოფელი იმიტომა ჰრქმევია, რომ ყველაფერი წუთობითია სცოდნია, უბედურობის მეტი. ის-ის იყო, ჩემს ბედს იმის ოდენი სიხარული ეეღარსად დავსტყუე. წავიდა იგიცა, ვითა სიზმარი ღამისა. წავიდა და იმის ნაცვლად, რასაც მხედავთ, ის მომეცა“...* თავის აზრს გაბრო ამთავრებს რუსთაველის ცნობილი აფორიზმით — „მიმნდომნი საწუთროსანი“... და იწყებს თხრობას სამწუხარო ისტორიისას, როცა ერთხელ, საყდარში, დათიკოს უნახავს თამრო, ძალიან მოსწონებია და თავხედურად უთქვამს პეპიასათვის: შენი გოგო „კაი საპრომტავი ყოფილაო“.** ასეთია ენა და გრძნობა ბატონისა, რომელსაც ადამიანობის ელემენტარული ზნეობრივი ნიშნები დაუკარგავს.

გაიგონა თუ არა პეპიამ ისეთი ადამიანისაგან, როგორიც დათიკოა, ზემომოყვანილი სიტყვები, ძველი ყმა-გლეხი უმალ მიხვდა „რაც იყო ბატონის მოწონება და რასაც მოასწავებდა“ მისი ერთადერთი ქალიშვილისათვის. პირველი ღამის უფლება ჯერ კიდევ ძალაში იყო და ბატონები უარს როდი ამბობდნენ ამ პირუტყვული კანონის გამოყენებაზე. დათიკოს განზრახვა გაბრომაც შეიტყო და, როგორც თვითონვე ამბობს, ღმერთს შეჰფიცა: მოვკვდები, მაგრამ თამროს კი „არავის წავაქელვინებო“.

მაგრამ „იქნება ისე არა სწვიმდეს, როგორც ჰქუხს“ — იიმედებს თავის თავს განსაცდელში ჩავარდნილი გაბრო. იქნებ დათიკომ, რაკი შეიტყობს საქმის ვითარებას, აღარ გაწიროს არც თავისი შერმადინი და არც თამრო? იქნებ ამდენი წლის სიყვარული გაბრიელისა ბატონისადმი ახლა ძაინც საკეთილო აღმოჩნდეს ორივესათვის — უბედურებას გადარჩეს გაბროც და დათიკოც? მაგრამ, იქნებ თვით თამრო, თუ ბატონის განზრახვა გაიგო, შეცდეს, ლამაზი დათიკოს ვნებას აჰყვეს და ყველაფერი დალუპოს? საშინელი ფიქრები უტრიალებს საბრალო ყმას და ცდილობს გამოსავალი მონახოს.

მაგრამ დათიკოსაც არ სძინავს. რაკი გულში ბოროტი განზრახვა აიკრა, მოქმედებაც დაიწყო. გამოუძახა თავისი „უნამუსობის ავან-ჩავან“ გიტოს და თამროს ხელში ჩაგდება დაავალა. დათიკოსა და გიტოს საუბარი გაბრომ მეორე ოთახიდან მოისმინა. საშინელი იყო ის წუთები, მაგრამ კიდევ უფრო საშინელი აღმოჩნდა საუბრის ის ადგილი, სადაც გიტომ უთხრა ვნებააშლილ ბატონს: მარტო ის არის ძნელი, რომ თამროს საყვარელი ჰყავს, ცოლ-ქმრობაც ნათქვამი აქვს, მისი საქმრო ჩვენი გაბრიელიაო. „მე სმენად გადვიქეც, — ამბობს გაბრო, — ვსთქვი, რომ ან აი, ეხლა, ან ცოტა ხნის შემდეგ

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 71.
** იქვე, გვ. 72.

დათიკო ტყვის. თავი დამინებებიაო, გიტო, ნუღარ გაირჯებიო. მაგრამ მიმტყუენა იმედმა და დათიკოს კაი კაცობამ იმოდენა სიკეთე ვერ შესძლო. მოუბრუნდა გიტოს და გულ-დადინჯებულად, თითქო კაი საქმეს შვრებაო, უთხრა:

— მეწყინა, ეგ რომ მითხარი, მაგრამ არა უშავს-რა. შენ, რაც გითხარ, ისა ჰქენი. მე და გაბრო მოვრიგდებითო"*.

მ ო ვ რ ი გ დ ე ბ ი თ ო! — თითქოს ვაჭრობა იყოს გამართული და სადაო ობიექტს პირუტყვი ან უსულო ნივთი წარმოადგენს. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ გაბროსა და დათიკოს „შ უ ა ხ ი დ ი მ ა მ ი ნ ჩ ა ტ ყ დ ა". ამოქმედდა ორი ანტაგონისტური ძალა, ორივე ძლიერი, ერთი ბ ო რ ო ტ ი, ბოლო მეორე კ ე თ ი ლ ი, მაგრამ ორივე მტკიცე ნებისყოფით აღჭურვილი და თავის გზაზე არაფრის დამთმობი.

გაბრო ღამით გაემართება პეპიასკენ, რომ მოსალოდნელი უბედურებისაგან გააფრთხილოს. საბრალო ყმა-გლეხი, როცა დათიკოს შ ე რ მ ა დ ი ნ ს დაინახავს, ბატონის მოციქული ეგონება და ელდა ეცემა. საინტერესოა ის მოძეხტი, როცა გაბრო პეპიას შეისწრებს დაჩოქილს — ღმერთს რომ ევედრება: ჩემი უცოდველი თამრო შენთვის მომიბარებია, გზას ნუ გაუმრუდებ, „ნუ დაძახავ ჩემი შვილის მიწასთან გასწორებასო".

ძლივს შეიძლო გაბრომ დაერწმუნებინა საბრალო პეპია, რომ სასიკეთოდ იყო მასთან მოსული და არა სამტროდ. ისინი მოილაპარაკებენ, თუ როგორ დააღწიონ თავი განსაცდელს. პეპია გადაწყვეტს ბატონთან ძივიდეს, ფეხქვეშ ჩაუვარდეს, ფეხის ნატერფალი ენით აულოკოს, მუხლები გადაუკოცნოს, თავი შეაბრალოს. „ისიც კაცია, ჩემის სიბრალულით და საცოდაობით მოლბება", — ფიქრობს პეპია. მაგრამ ფ ი ქ რ ო ბ ს და ც დ ე ბ ა. ეს კარგად იცის გაბრომ, რომელიც პეპიას ეუბნება: „შ ე ნ ბ ა ტ ო ნ ს კ ა რ გ ა დ ვ ე რ ი ც ნ ო ბ ო". განა დათიკო იმ ადამიანების რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც სხვას შეიბრალებენ? მან არ დაინდო ძმასავით შეზრდილი გაბრო, ერთგული მსახური ბავშვობიდანვე, და განა პეპიას შეიცოდებს? მაშ, რა გამოსავალია?

გაბრო ასე ფიქრობს: უმჯობესია პეპიამ თვალ-ყური დაიჭიროს გ ი ტ ო ზე, საშუალება არ მისცეს განახორციელოს ბატონის დავალება, თ ა მ რ ო ს ა ც გაუფრთხილდეს, თვითონ ის კი სხვა ზომებს მიიღებს. ამის შემდეგ პეპია მწარე ცხოვრებისაგან უნდობლობით სავსე, საბოლოოდ რწმუნდება, რომ გაბრო მისი ოჯახის ერთგულია, კეთილშობილი ახალგაზრდაა, ამიტომ თვითონვე გადასწყვეტს ქალიშვილის ბედს. იქნებ ეს აღმოჩნდეს ბატონისაგან შეურაცხყოფის თავიდან აცდენის ერთადერთი გზა? „გაბრიელ, — ეუბნება პეპია გაბროს, — მე ერთი ქალი-ღა შემრჩინა ბედმა და იმის მეტი მე არავინ არ მივის ამ ტრიალ ქვეყანაზედ. მოდი, ის ცოლი და შენ ქმარი და მეც შამა თქვენი".**

ადვილი წარმოსადგენია, რა სიხარული უნდა განეცადა ამ სიტყვების მოსმენით თამროზე უსაზღვროდ შეყვარებულ გაბროს. „ისე თქვენ გაიხარეთ, როგორც გახარებული მე იმ ღამეს შინ წამოველ, — ამბობს გაბრიელი. — რაღა მინდოდა? ერთი ნატვრა მქონდა, ისიც ასე უცბად ამისრულდა. შინ რომ მოვ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 74.

** იქვე, გვ. 77.

დიდი, მე მეგონა ის კაშკაში მთვარე. ის მბრწყინავი ვარსკვლავები ჩემს ბედ-შეჩვენატრიან-მეთქი. კეთილი ღამე იყო ის დალოცვილი ღამე! რა უნდოდა ავკაცობას ჩემგან? რაზედ ჩამითრია და დამღუპა სასიკეთოდ გამზადებული? ვინ იცის? იქნება ახლა მე ვყოფილიყავ რიგიანი მეშვა-კაცი, ცოლ-შვილი გარს შემორტყმული მყოლოდა! რომ მომკვდარიყავ კიდეც, დამტირებელი მეყოლებოდა, მიწას მაინც თავისიანი მომაყრიდა, ცრემლს მაინც ჩემნი დამადენდნენ და ეგრე ძაღლისა და ნადირის შესაშველი არ გავხდებოდი!.. *

მაგრამ გაბრიელის უველა კეთილი გრძნობა მწარე ცხოვრებამ შეიწირა, ისევე, როგორც თამროსა და პეპიასი.

„გლახის ნაამბობის“ ავტორმა დიდი ადამიანური სითბო ჩააქსოვა თავისი მოთხრობის ისეთ მოქმედ პირებში, როგორიც არიან მ ო ძ ღ ვ ა რ ი, გ ა ბ რ ო, პ ე პ ი ა და თ ა მ რ ო. როგორ უფრთხილდებიან ისინი კ ა ც უ რ-კ ა ც ო ბ ა ს, რა დიდი სიმაღლიდან დასცქერიან მ ო რ ა ლ უ რ ს ი წ ყ ი ნ დ ე ს, ნ ა მ უ ს ს, ს ი ნ ი დ ი ს ს ა და პ ა ტ ი ო ს ნ ე ბ ა ს. რა მშვენიერია მამა-შვილის დიალოგი, როცა პეპიას სურს გაახაროს თავისი ჭალაშვილი იმით, რომ მიკიბულ-მოკიბულად აგრძნობინოს — მე ვიცი შენ გაბრო გიყვარს, მართლა კარგი ყმაწვილია, მეც თანახმა ვარ თქვენი შეერთებისაო. ამ სცენის მთელი უშუალობა რომ შეიცნოთ, თავიდან ბოლომდე უნდა წაიკითხოთ ავტორის მიერ ასე ოსტატურად დაწერილი დიალოგი. მართლაც რა სიბარული უნდა ეგრძნო გაბრიელს, რომელიც მამა-შვილის მშვენიერ საუბარს მალულად ისმენს პეპიას ბაღჩის ღობეს მოფარებული, და გრძნობს მისადმი მიმართულ ქების სიტყვებს: „გაბრიელი, —ეუბნება პეპია თამროს, — კაი ალალი ბიჭია, კაი, ხელღონიერი, ჯანიანი ბიჭია. გლეხკაცს მეტიც არა უნდა-რა. ისე გაგიფრთხილდება, როგორც თავის ორ თვალსა... მართალია, ღარიბი ბიჭია, მაგრამ გლეხკაცი ღარიბობით არ დაიწუნება“.** ამის შემდეგ, როცა ყოველივე ეს მოისმინა, გაბრიელი გეუბნება: „მე ამის გამგონმა იქ ველარ ვიდგომილე. იმისთანა ტკბილის მამა-შვილობის მაყურებელსა გული ლბენით ამიტირდა. ცრემლი თვალში მომერია. ვაი, რა კარგია ხოლმე ხანდისხან ეს უხეირო წუთის-სოფელი! ავ-კარგიანი ყოფილა, შენი ჭირიმე, ეს ქვეყანაცა. იმ მამისა და შვილის ლაპარაკმა გულის სიმწარე ჩემი გამინიავა, სიკეთის იმედი კიდევ ჩამესახა გულში და კაი გუნებად შევიქენ. მტრობამ გულში ველარ იდგომილა“.***

მცირე ხნით გაჰქრა გაბროს გულში მ ტ რ ო ბ ა და ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი, მხოლოდ მცირე ხნით, როგორც მამა-შვილი იყვნენ მცირეხნით ბედნიერი ამ დროს; მაგრამ გავიდნენ დღეები და ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს გ ე ნ ი ა კ ვ ლ ა ვ ა მ ო ქ მ ე დ ა. დათიკომ თანდათან შეიძულა თავისი ერთგული მსახური, რაკი თამროსთან ვერაფერი გააწყო. გაიძვერა გ ი ტ ო ს „სალაპარაკოდაც არ შევახვედრეთ მე და პეპიამ თამრო. — კვეუბნება გაბრო. — ამან უფრო გააფთრა დათიკოს ჟინიანი და მურტალი წადილი. აშკარაა, ამის მიზეზი მე ვეგონებოდი. ამიტომაც მე დათიკომ ხაფანგი დამიგო და ქვეშ მომიმწყვდია. როგორ მეგონებოდა, რომ იმისთანა ვაჟკაცი ეგრე მხდლად მომექცეოდა“.**** მაგრამ ისეთი ტიპის ადა-

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები. ტ. II. 1948 წ., გვ. 78—79.

** იქვე, გვ. 82.

*** იქვე.

**** იქვე, გვ. 83.

შიანს, როგორიც დათიკოა, ყოველგვარი ვერაგობა შეუძლია ჩაიდინოს, ოღონდ თავისი გარყვნილი ბუნება დაიკმაყოფილოს.

რაკი თამროსთან ვერაფერს გახდა, მიზეზი კი გაბრო იყო, დათიკომ გადაწყვიტა სხვა გზას დადგომოდა. წინადადება მისცა გაბროს: სულელი ყოფილხარ, რომ თამროზე ჯვარს იწერ. „ქალი ერთის საკლავად არის კარგი და არა ზურგზედ ასაკიდად. მაგრამ მე არ გიშლი, დაიწერე ჯვარი. მზითევი და შენი დაბინავება ჩემი კისერი იყოსო". როცა გაბრო თავის ბატონს შეესიტყვება — „შენ რა შუაში ხარ, რომ მზითევს მპირდებიო", დათიკო უსირცხვილოდ განუმარტავს: „ქალი ჩემია და მზითევსაც იმიტომ გპირდები, რომ ჯერ ჩემი იქნებაო".

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ტანჯვა უნდა განეცადა საბრალო ყმას, როცა ეს სიტყვები მოისმინა. გაბრომ გულმხურვალედ დაუწყო ვედრება თავის ბატონს ხელი აეღო ბოროტ განზრახვაზე, შეენახა თამროს ნამუსი, მაგრამ არ იქნა და არა: დათიკო დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავეს: ჯერ ჩემი უნდა იყოს. რაკი მუდარით ვერაფერი გააწყო, ვერც სინდისის გაღვიძება შეძლო დათიკოს გარყვნილ არსებაში, ბარსული მეგობრობის გახსენებითაც ვერ მოაბრუნა ბატონის გული, მოთმინებიდან გამოსულმა ყმამ ხანჯალი იშიშვლა, მაგრამ ამ დროს სამი დამალული ბიჭი მეორე ოთახიდან გამოვარდა, გაბრო შეიპყრეს და დიამბეგს მიჰგვარეს. მას წაუყენეს ბრალდება, რომ პეპიასთან შეთანხმებით „„დღეს დილით" ბატონი უნდა მოეკლა. გაბროს თავისმართლება, რომ დათიკოს მოკვლის წინასწარი განზრახვა არ ჰქონია, — დიამბეგმა ყურად როდი იღო, არც შეუმოწმებია. სატუსაღოში გაბრომ ერთხელ კიდევ ღრმად განიცადა უსამართლობის საშინელება. „გულმა ღრღნა დამიწყო, სისხლი ძარღვებში გამიყინდა, ტვინი კი მეწოდა... ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს, რაც უნდა სატანჯველი იყოს. ვაი იმას, ვინც უბრალოა!" გაბროს თავისი თავი იმდენად არ ებრალებოდა, როგორც პეპია და თამრო.

მხოლოდ ორი წლის პატიმრობის შემდეგ წაუკითხეს საბრალო გაბროს განაჩენი: „მე ხაროს სათხრელად დავენიშნეთ და საწყალი პეპია საციმბიროდ გაეხადნათ", — გვიამბობს გაბრო. ამის შემდეგ კიდევ გავიდა რვა თვე, და როცა გაზაფხულზე ციხის გალავანში გამოიყვანეს განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, გაბრო შეხვდა პეპიას, რომლისთვისაც „მზეცა და ქვეყანაც" აღარ არსებობდა, ისე იყო მოტეხილი. როცა პეპიამ გაბრო დაინახა, საბოლოოდ იმედი გადაუწყდა, რომ თამრო დაღუპულია, რაკი დამცველი აღარავინ დარჩა. და პეპია ატირდა, გაბრომ კი საბოლოოდ შეიგნო, რომ „ცრემლს ამ ქვეყანაში გასავალი არა ჰქონია". გაბროს ერთი რამ გაუკვირდა: როცა ექვს ტუსაღთან ერთად გამოიყვანეს, ორი მათ შორის — პეპია და ვილაც სნეული, „ურემზედ დასვეს". „სიავეს შეჩვეულსა, — გვიამბობს გაბრო, — ეს რესების სიკეთე გამოკვირდაო". მაგრამ გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო, როცა პეპიასა და იმ „სნეულ ტუსაღს" სიარული აღარ შეეძლოთ.

შვიდი დღე და ღამე იარეს ტუსაღებმა. ისინი უკვე მყინვარის მთას დაუახლოვდნენ. საღამო დგებოდა, მაგრამ სოფელი, სადაც უნდა შეესვენებინათ, ჯერ კიდევ შორს იყო. ჩამობინდებისას ურემიც გატყდა. ამის გამო შეისვენეს და მწარე ფიქრებს მიეცნენ გადასახლებულები. ეს მწარე ფიქრები იმით

იყო გამოწვეული, რომ ხვალ ისინი გასცილდებოდნენ საქართველოს საზღვარს, სამუდამოდ ტოვებდნენ სამშობლოს მიწა-წყალს. როცა გაბრომ შეიტყო, რომ ხვალიდან სხვა მიწაზე უნდა ეცხოვრა, იგი დაღონდა. ამ მწერალმა შესანიშნავად გამოიყენა სიუჟეტური პასაჟი და მშვენივრად ამეტყველა პატრიოტული გრძნობა. სამშობლოს მოშორებით გამოწვეული სევდა, გულისტკივილი ქართველი კაცისა, რომელსაც მშობლიური მიწა-წყალს აშორებენ, ილია ჭავჭავაძემ ისე კარგად გადმოგვცა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია გეერდი ავუაროთ.

როცა გავიგონე — ხვალ საქართველოს მიჯნას გაცილდებითო, — ამბობს გაბრიელი, — „დაეღონდი. ჩემისთანა უთვისტომო ადამიანისათვის ქვეყანა უველგან ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ქართველისათვის საქართველო დიდი რამა ყოფილა. რაც უნდა იყოს, შენი ჭირიმე, ჩვენი აკვანი საქართველოა, ჩვენი მამა-პაპის საფლავი საქართველოა, ჩვენის ენის ქვეყანა ეს არის, ჩვენი სიტყვა-პასუხის გამგონი ეს არის, ჩვენი მზე აქ არის და ჩვენი მთვარე, და თუ გული გაქვს — გულიც აქ არის, თუ სიყვარული გაქვს — სიყვარულიც აქ თუ იქნება, თორემ სხვაგან სადა? სადაური სად მივყეევართ, — ეკითხებოდი ჩემს თავს ტკივილითა და წუხილითა, — ეს ქვეყანა აღარ უნდა ვინახულო, აქაურმა მზემ აღარ უნდა გამათბოს, აქაურმა მთვარემ შუქი აღარ უნდა მომფინოს!.. სიტყვა-პასუხის გამგონი აღარ უნდა მყვანდეს!.. აქაურმა წყალმა წყურვილი აღარ უნდა მომიკლას!.. აქაური სალოცავი აღარ უნდა ვილოცო!.. თამროც აქ უნდა დამრჩეს უპატრონოდ!“*

აქ უველაფერი ისე კარგადაა გადმოცემული, ისე სრულადაა გადმოშლილი ქართველი კაცის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა სამშობლოსადმი, რომ გაბროს სიტყვები შეუძლებელია მკითხველს გულში არ მოხვდეს და საკუთარი აზრების ღაღადებადაც არ მიიჩნიოს. მაგრამ ამ თემაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა... მივყვეთ ისევ შინაარსს.

ფიქრებში წასულ გაბროს უცებ შემოესმა „ცხენების თქაფა-თქუფი“. ხუთი თუ ექვსი ცხენოსანი თავს დაესხა ტუსაღთა გამცილებლებს, გაჰფანტა ისინი, ხოლო გადასახლებულებს უთხრეს: „ვისაც შეგეძლოთ, თავს უშველეთო“. ატეხილ ალიაქოთში გაბრო და პეპია გაიქცნენ. ერთმა ცხენოსანმა გაბროს ქლიბიც მიაწოდა, მაგრამ სახელი არ უთხრა, თუ ვინ იყო. პეპია, რომელიც გაქცევის დროს „ოცი წლის ბიჭივით“ გარბოდა, მალე ისევ დაუძლურდა, სიარული ვეღარ შეიძლო, მთელი დღე და ღამე მშიერი იყო. რამაც კიდევ უფრო გასტეხა მისი სხეული. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი გაბრო იძულებული ხდება ავაზაკობის გზას დაადგეს — იგი გაძარცვავს პირველივე შემხვდურს —სომეხ ვაჭარს, წაართმევს ცხენს, ხმალს, ქამარ-ბანჯალს, დამბაჩას, ტანსაცმელს. ორიოდე თუმანს, პურ-ღვინით საცხე ხურჯინს და პეპიასკენ გასწევს. „ის იყო ჩემი პირველი ავკაცობა, — ამბობს გაბრო, — მაგრამ ეგეც ვინ იცის? იყო თუ არა ავკაცობა?“ მართლაც, ვინ იცის? გაბრო ხომ თვითონვე ინუგეშებს თავის თავს, როცა მოჰყავს არსენაზე ხალხური მთქმელის ცნობილი სენტენცია: „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსო“.

ერთხანს პეპიამ შეიძლო ცხენზე ჯდომა, მაგრამ გზაში ძალიან ავად გახდა, „აღარცა სჭამდა, აღარცა სვამდა და აღარც ხმას იღებდა“. ბოლოს თვითონვე

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ. გვ. 89.

ეთბრა გაბრიელს: „შვილო, აქ დამაყენე. მე ცხენზედ ჯდომა აღარ შემიძლია და არც სიარული, სულთამხუთავი მადგა“. სიკვდილის წინ პეპიამ შემდეგი ანდერძი დაუტოვა გაბრიელს: „ჩემი სისხლი ჩემს მკვლელს აპატიე, მეც მიპატიებია. მაგრამ... თამრო ნამუსწართმეული ჰნახო, შემომფიცე, რომ იმის დამღუპველს მზეს დაუბნელებ! შემომფიცე, რომ ისე უზიარებლად და შეუნდობარს მოჰკლავ, როგორც მე ვკვდები! თუ ეგ ცოდვა იყოს, ამიღია კისრად“.

და გაბრომაც შეჰფიცა. ამ დაფიცებას ავტორი განზრახ უსვამს ხაზს, „ფიცი მტკიცე უნდა იყოსო“, — ათქმევინებს მომაკვდავ პეპიას, რომელიც კვლავ იმეორებს: „გაბრიელ! თუ თამროსათვის ნამუსი შეურჩენიათ, ჩვენი ამ დღეში ჩაგდება შენს გამჩენს აპატიე. მეც მიპატიებია. ფიცი ჰომე!“ და გაბრო დასძენს: „მე იმის სიტყვისაგან გულგაკეთებულმა მაგის ფიციც შევე“.

აღსასრულის წუთებში პეპია სულ თამროს ახსენებს, თან დასძენს: „ქვეყანაც დამილოცნია, თუ იმის ზურგზედ ჩემი თამრო უცოდველად დადის... თუ არა და წაწყმდეს ეს ადრე და მალე წასაწყმენდი მერტალის ადამიანის მერტალი სამყოფელი!“*

მწარე სიტყვებია, მაგრამ ადამიანის უსინდისობით გამწარებულ კაცს სხვანაირად როგორღა შეეძლო ეთქვა? განა ისიც დიდი სულგრძელობა არ არის მისგან, რომ გამაუბედურებელს აპატივა, თუ ქალწულის ნამუსი არ შეულახავს? განა გლეხკაცის მორალურ სისპეტაკეს არ მოწმობს პეპიას მოქმედება, რომელიც მზად არის საკუთარ მკვლელს შეუნდოს, მაგრამ ნამუსის ახდას კი ვერ აპატივებს? განა ეს ადამიანური ღირსება არ არის, როცა ნამუსი ასე განდიდებულია, სიცოცხლეზედაც კი მეტად ფასობს?

არამარტო პეპია ან გაბრო, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, საერთოდ, გლეხ-კაცების უმეტესობას ნამუსის ქუდი ჰხურავს და დიდი ადამიანური ღირსებებით გამოირჩევა. ეს თერგდალეულთა ბელადის მხატვრული შემოქმედრეობის ერთი ძლიერი, ჩვენ ვიტყოდით, ტიპიური ნიშანია. მაგრამ ამაზე კვლავ გვექნება საუბარი.

ტანჯული პეპია გარდაიცვალა. „ხმლითა და ხანჯლით, როგორც იყო, — გვიამბობს გაბრიელი. — საწყალს სამარე გავუჩინეთ და დილაზედ, როცა მზემ ხელაბლად გაიღიძა, დავმარხე კიდეც და მივაბარე მიწას. მზე იყო იმისი წმინდა სანთელი და კელაპტარი და დილის ნამის ორთქლი საკმეველად შეევნა“.** დარჩა გაბრო, როგორც თვითონვე ამბობს, „გაბოროტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული“. ასე გამწარებული კაცისაგან, ცხადია, ქვეყანა კარგს როდი უნდა მოელოდეს, თუნდაც იგი დაბადებითვე კეთილი თვისებებით ყოფილიყო დაჯილდოებული.

პეპიას დამარხვის შემდეგ გაბრო მძიმედ განიცდის თავის მდგომარეობას. თვითგანჯის წუთებში თვითონვე აღიარებს, რომ ფიცხი ხასიათისაა. „გააფთრებულს, გულაფეთქებულს, ცეცხლმოკიდებულს“ შეიძლება კაცი შემოაკვდეს (ეს ნაკლი მოძღვარმაც შენიშნა, როგორც უკვე მითითებული გვაქვს), მაგრამ, თუ მოსაფიქრებლად ორი წუთი მაინც დარჩა თავის

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 93.

** იქვე.

გულთან და გონებასთან, მაშინ ადამიანს ძნელად გაიმეტებს მოსაკლავად. გაბრო იმ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც უსაზღვრო სიყვარული შეუძლიათ, მაგრამ ასევე უსაზღვრო სიძულვილიც იციან და მათთვის შუა ხაზი არ არსებობს. რაკი დათიკოსთან შეხვედრამდე დიდი დრო რჩებოდა, გაბროს შეეძლო ყველაფერი აეწონ-დაეწონა, აფეთქებულ გულს არ ჰყოლოდა, შეურაცხყოფილი გრძნობა ცივი გონებისათვის დაემორჩილებინა და მოფიქრებული ნაბიჯი გადაედგა. ეს აზრი მართლაც შეიმუშავა, ამიტომ ღმერთს ევედრებოდა: „თამრო უცოდველად დამახვედრე, რომ მეც კვეყანას ვაპატივო პეპიასავით ჩემი მიწასთან გასწორება და თავი ცოდვისაგან (კაცის მოკვლისაგან — გ. ჯ.) დავიხსნაო". გაბრო თვითონვე ამბობს: „კაცის-კვლა, რაც უნდა იყოს, მაინც ცოდვაა, შენი ჭირიმე! ეს მე ვიცოდი და ეს მიკიდებდა ცეცხლს და გულ-ღვიძლსა მწვავდა. მაგრამ, როცა მომაგონდა, რომ ჩემმა სასიკვდილოდ ერთის წუთის ჟინის საკლავად სამი ადამიანის სული არ დაგვინდო, მე ცოცხალი გამომასალმა წუთის-სოფელს, შვილს მამა უზიარებლად მოუკლა და თუ ამასთან შვილსაც ნამესი წაართვა, — განა ამისთანა კაცის მოკვლა დიდი ცოდვა უნდა იყოს-მეთქი! — ვფიქრობდი გულზედ მოსული და ბრაზმორეული".* ამ ფიქრს ისიც აძლიერებდა, რომ პეპიასავის მიცემული ფიცის ღალატი და უკან დაბრუნება გაბროს არ შეეძლო. მაგრამ ჯერ კიდევ იმედოვნებდა, მის არსებაში სადღაც კიაფობდა იმედის ნაპერწკალი, რომ იქნებ თამრო ნამუსახდილი არ არის და ფიცის შესრულებას თავიდან აიცდენს? საბრალო ყმამ იმდენი იფიქრა — „მე იმ ერთმა დღემ თითქმის დამაბერა", — გვეუბნება გაბრიელი. ფიქრი კი მწვავე იყო. გაბოროტებული ადამიანის თვითგანსჯა საშინელ დასკვნებს აკეთებდა. მას არ აშინებდა სამუდამო ტანჯვა და ჯოჯოხეთი. „დეე, რაც მომივიდეს. დეე, ეგეც ჩემს აქაურს ჭირსა ზედ დაერთოს სხვისი ჭირის სანაცვლოდ... ჩემს სისხლს არ ვიღებ... მე ჩემს სამაგიეროს ჩემს მტერს არ ვუხდი: მე ჩემს მტერს ჩემი ყველა დავუთმე. ყველა ვაპატივე, ყველა დავივიწყე. ჩემი გაბოროტება პეპიას სიკვდილმა და იმის მადლიანმა სიტყვამ თან წაიყოლია. მე ამაზედ ფიცი მივეცი. ღმერთი დაინახავს ამას — ის გულთამხილავია — დაინახავს, შემიბრალებს და შემიწყალებს, თუ არა და, ის ქნას, რაც ჩემ ბედისწერას გაუმწესებია".**

ამ ფიქრებითა და განცდებით გაბრო ბარში ჩამოდის. მაგრამ სოფლისაკენ როდი მიემართება. მას სურს ქალაქში ჩავიდეს, მოძღვარი მოინახულოს, მისგან ლოცვა-კურთხევა მიიღოს და შემდეგ ბედთან შერიგებული დაბრუნდეს მომავალს. მეორე დღეს, საღამოს, იგი უკვე მიაღწევს დიღმის ვიწროებს, ერთ დუქანში ჩამოხტება პურის საყიდლად და იქ იხილავს საშინელ სცენას: დუქანს მოადგება დროშკა, რომელშიაც ზის ქალაქელი ბიჭი მეძავ ქალთან ერთად. ეს მეძავი ქალი თამრო ა. „სისხლი ტვინში ამივარდა, — გვიამბობს გაბრიელი. გიჟსავით ვისკუპე დახგიდამ და ქალს წინ გადავუდეგ.

— თამრო!.. — შევკივლე მე კანკალით და თრთოლით.

— გაბრიელ!.. — მომაძახა მე იმან და ზედ მკერდზედ ფერმიხდილი დამეცა.

— მამა რა მექნა, მამა? — შემომბღავლა საცოდავად.

— მოშორდა ამ წუთის-სოფელს. ერთი მითხარ, რამ მოგიყვანა აქა?

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები. ტ. II, 1948 წ., გვ. 94.

** იქვე, გვ. 95.

— მაგას ნუღარ მკითხავ! ნუ, ნუ მკითხავ!.. — სტიროდა საწყალი, — შენც თამრო დიდი ხანია დამწყებულია. შენი თამრო მოკვდა.

— მაშ შენ ვინა ხარ? — დავიძახე თავზარდაცემულმა.

— ის თამრო აღარა ვარ. მე ეხლა აელაბრის უნამუსო ვარ, შემიბრალე და დამიტირე მე ბედშავი!".*

როცა ეს საშინელი სიტყვები გაიგონა, გაბრიელმა ხელი ჰკრა თამროს, მკერდიდან, როგორც „გველი, ისე მოიშორა", ცხენს მოახტა და სოფლისაკენ გასწია. ქალაქი და თავისი საყვარელი მოძღვარი მისთვის უკვე აღარ იყო საჭირო. „ფიცის ასრულების დრო მოვიდა". თუ რას განიცდიდა მაშინ გაბროს მთელი არსება, კარგად არის გამოხატული მისივე სიტყვებით: „იმ გაბოროტებულს გულზედ ცა და ქვეყანა რომ ხელში მჭეროდა, ყველასავით გავწურავდი და კბილით გავგლეჯდიო". მაგრამ ვის შეუძლია გაამტყუნოს გაბრიელი, რომ იგი ასეთ საშინელ სიტყვებს ლაპარაკობს? უსინდისობით მოთმინებიდან გამოსული კაცი ყველაფერს ჩაიდენს. მაგრამ მასში იმდენად ხელუხლებელი დარჩენილა ადამიანური მორალი, რომ ვერაგობას არ მიმართავს. სამოთხი თვის განმავლობაში ეძებს დათიკოს, რათა პირდაპირ გავიდეს მასთან საბრძოლველად, ჩასაფრებით. ქურდულად მოკვლა კაცობად არ მიაჩნია. გაბრიელს ბევრჯერ ჰქონდა შემთხვევა ქურდულად მოეღო ბოლო მტარვალისათვის, მაგრამ არ მოისურვა. „მინდოდა ერთმანეთს პირდაპირ შევყუროდით, რომ ან მოვეკალ და ან მე მომეკლაო".

თუ როგორ გაატარა ის სამი-ოთხი თვე გაბრიელმა თავის სოფელში, ჩვენ მისივე სიტყვებიდან ვიცით. ამ სიტყვებში ყველგან ჩანს, რომ საშინელი ხვედრის მიუხედავად, გაბრო ადამიანური ღირსებებით შემკული რჩება. მისი შურისძიება უამრავ მსხვერპლთან დაკავშირებული არ არის. ბოროტებას ბოროტებით არ აძლევს პასუხს. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი ნამდვილად არ იყო დაბადებული ყაჩაღობისათვის. ავტორმა შესანიშნავად გვიჩვენა გაბროს შინაგანი არსება მთელი მოთხრობის მანძილზე, თავიდან ბოლომდე, და არსად არ დაურღვევია თანმიმდევრული ხასიათის პრინციპი, რომელიც ლიტერატურის თეორიაში ოდითვე ცნობილია. გაბრო მთლიანი ხასიათია, სიფიცხის მიუხედავად, მტკიცე და ნებისყოფის მქონე; ცხოვრების ჭარიშხალშიაც, როცა მისი მორალური პრინციპები მხოლოდ უბედურების მომტანია, არ ღალატობს კაცურ-კაცობას, ბოლომდე ადამიანური მოწოდების სიმაღლეზე რჩება. ამასვე გვიდასტურებენ გაბროს შემდეგი სიტყვები: „ამ სამ-ოთხ თვეში ნადირსავით ტყეში ვიმალებოდი და მაინც კი ორი სომეხი გავძარცვე და ხუთი თავადშვილი... არცერთისათვის იმაზედ მეტი არ წამირთმევია, რაც მეც თითონ მიჭირდა. ყველას ვეუბნებოდი ვინცა ვარ, რომ ჩემი სახელი დათიკოდნენ მისულიყო, დაფრთხილებულიყო და ყოველთვის მზად ყოფილიყო.. გამივარდა ყაჩაღობის ხმა და დაიწყეს ჩემი დევნა. დაიწყეს ჩემი სახელით ძარცვა და ავაზაკობა იმ არე-მარეში. კაცის კვლაც სამჯერ მოჰხდა, მაგრამ მე ამა ყველაფერში უბრალო ვარ, თუმცა ყველაფერს მე მაბრალებდნენ და მართლა ავაზაკნი კი ამით თავს იმალავდნენ. ჩემი გზა და კვალიც ამით ერეოდათ ხოლმე; დღეს იტყოდნენ: გაბრომ აქ გა-

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები. ტ. II, 1948 წ., გვ. 95.

ძარცვა კაცი და გზებს შემიკრავდნენ; იმაღე საღამოს პოუვიდოდათ აძბავი, რომ გაბრომ სამის დღის სავალს იქით კიდევ გაძარცვა კაცი — და დაებნეოდათ გონება. ვერ მიჰხვდნენ, რომ გაბრო თავისთვის არის და აქაც და იქაც სულ სხვა-და-სხვანი ავაზაკობენ იმის სახელითა. ბოლოს, რომ არა ეშველათ-რა, წმინდა გიორგის ჯვარი დაჰპირდნენ იმას, ვინც მე.ან ცოცხალს დამიჭერდა, ან მკვდარს მომიტანდა".*

მაგრამ გაბრიელი ვერ შეიპყრეს. ბოლოს დადგა მომენტი, როცა ყ მ ა და ბ ა ტ ო ნ ი ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. მანამდე გაბრომ ვერ შეიძლო ბატონის დამარტოხელება. იმ სამი-ოთხი თვის მანძილზე დათიკოს აღარ უნადირნია, გაბრო კი იმ ადგილებში იყო ჩასაფრებული, სადაც ბატონი სანადიროდ დადიოდა ხოლმე. მაგრამ ერთხელ გ ა ბ რ ო მ ტყეში დაინახა დ ა თ ი კ ო, რომელიც „მინდორ-მინდორა" მოდიოდა. გაბრომ გზა გადაუჭრა და მიაძახა: „თუ ვაჟკაცი ხარ, გამიმაგრდი!" დათიკომ სწრაფად გადმოიგდო მხრიდან ორლულიანი თოფი, ორივე დაახალა თავდამსხმელს, მაგრამ გაბრომ მოასწრო თოფისათვის ხელი აეკრა, თვითონ კი მარცხენა ძუძუში მტერს დამბაჩა უმალ დაახალა შემდეგი სიტყვებით: „მე ვარ გაბრო, შენი სულთა-მხდელი".

აქაც, ამ საბედისწერო მომენტში ილია არ ივიწყებს მისთვის ცნობილ თ ა ნ მ ი მ დ ე ვ ა რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს პ რ ი ნ ც ი პ ს. რაკი დათიკო მას გამოყვანილი ჰყავს თავიდანვე გ უ ლ ა დ, უ შ ი შ ა რ, ვ აჟ კ ა ც ადამიანად, სიკვდილსაც ასევე შეახვედრებს. როცა ტყვია მოხვდა, დ ა თ ი კ ო „შეტოკდა ცხენზედ, გადიწია გადასავარდნელად, მაგრამ თავი შეიმაგრა, კიდევ მოასწრო ხმლის ამოღება და მოქნევა. ხმალიც ამცდა, — გვიამბობს გაბრიელი, — მოხვდა ჩემს ცხენს თავში და იქავ სული გააჩრობინა. ცხენი და მე ერთად დავეცით დედამიწაზედ".** ორი ვაჟკაცის ეს შერკინება ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ ა დ ძალიან დიდი სიმართლითაა წარმოსახული და მთელი სცენა მათივე ხასიათების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს. დ ი ა ლ ო გ ი მომაკვდავსა და გამარჯვებულს შორის ასეთივე ოსტატობითაა დაწერილი. „წაგაკალ თუ არა შენს უნამუსობას", — უთხრა გაბრიელმა მომაკვდავ დათიკოს, რომელიც მას არ შეცოდებია, როცა „ის თავმომწონე თავადიშვილი ძლივლა ფეთქავდა თავის ყმის ფეხთა წინაშე". მაგრამ განა ეს მართლაც იყო „გ უ ლ ი ს ძ უ ნ წ ო ბ ა", როგორც გაბრიელი ფიქრობს? თუ შურისძიების სიხარულია? „დღეს ჩემი დღე არ იყო, რასაც ვესროლე, ავაცდინე... ფუ ჩემს კაცობას! ნიშანიც ვერ დაგასვიო", — ეუბნება სულთმობრძავი დათიკო გაბრიელს. უფრო ადრე კი ირონიით უთხრა: „ა მ ი თ გ ა თ ა ვ დ ა შ ე ნ ი შ ე რ მ ა დ ი ნ ო ბ ა?" გაბროს მხოლოდ ერთადერთი პასუხის მიცემა შეეძლო და მას არც დაუყოვნებია ეთქვა: „რ ო გ ო რ ი ც ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი შ ე ნ ი ყ ა ვ, მ ე ც ი მ ი ს თ ა ნ ა შ ე რ მ ა დ ი ნ ო ბ ა გ ა გ ი წ ი ე ო". მაგრამ აქ ირკვევა კიდევ ერთი მომენტი: დათიკო გაამეცადინებს, რომ გაბრო და პეპია მ უ ი ნ ვ ა რ თ ა ნ მან გაათავისუფლა, მაგრამ რისთვის? — ეკითხება გაბრიელი. „ვერა ჰხედავ? აი, ამ დღისათვისა". — უპასუხებს მომაკვდავი. სიკვდილის წინ, თითქოს ცოდვები სურს მოინანიოსო, დ ა თ ი კ ო იკითხავს პ ე პ ი ა ს ამბავს, შეიტყობს, რომ ისიც ისევე უზიარებლად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც თვითონ კვდება „ეგეც ბარი-ბარში... მშვიდობით და გა-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 96 — 97.
** ი ქ ვ ე, გვ. 97—98.

მარჯვებით, გამარჯვებულო გაბრიელ!.. ვნანობ, რომ ესე უსახელოდ მოგეკვლევინე. გამარჯვებით...“ გაბრიელი გვეუბნება, რომ დათიკოს „კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აღარ დასცალდა: ერთი გაიზმორა, ერთი კიდევ წამოიწივა, დაეცა და სულიც დალია. მოკვდა ის უბედურის-შვილი. ტუჩებზედ ისეთი ღიმი შერჩა, თითქო დაიცინებაო. ჰმ, სიცილით მოკვდა ტირილით ნაშობი!“* სიცოცხლესა და ცხოვრებას დათიკო იოლად უყურებდა, როგორც გართობას, სიკვდილსაც ასევე შეხვდა. არის რაღაც საერთო მის არსებაში ამ ორ მიჯნასთან დამოკიდებულების დროს.

მას შემდეგ, რაც შურიძია, პეპიასათვის მიცემული ფიციც შეასრულა, გაბრომ ხელი აიღო ყაჩაღობაზე, სცადა შრომას დაბრუნებოდა, ისევ კაცი გამხდარიყო. მოკლულ დათიკოსათვის არაფერი აურთმევია; რაკი ცხენი აღარა ჰყავდა, ბატონის ცხენს მოახტა. მაგრამ იმ არემარეში მას აღარ ეძგოშებოდა. დევნაც გაუხშირეს. თანაც ყაჩაღობა მობეზრდა. მისი ხელობა ეს არ იყო. „როცა უილაჯობით კაცს ვძარცვავდი, —გვეუბნება გაბრიელი, — ერთს ვაი-ვაგლახს გამოვივლიდი ხოლმე ჩემ თავად და ჩემს თავს მევე ვძრახავდი ვერ დაემორჩილა ჩემი გული ავკაცობასა, თუმცა ბევრი ავკაცობა ვქენი. ვერ შევეჩვიე, ვერა. ბოლოს გადავწყვიტე, რომ გადავვარდები შორს საითმე, ჩემის ხელის ამაგით ლუკმა-პურს, როგორც იქნება, ვიშოვნი და. მინამ ჩემი აღსასრული მოვა, იმით დავირჩენ თავს-მეთქი“.** ეს არის გაბროს გულწრფელი აღსარება. იგი ასევე გულწრფელად ცდილობს თავისი განზრახვის შესრულებას. გადადის კახეთში. ალაზანთან რომ მივა, შუაწყალში დათიკოს ცხენს დამბაჩას ესვრის, წყალს გაატანს; ყველა იარაღსაც, თან რაც ჰქონდა, მდინარეს გადაუგდებს. მოჯამაგირეობას იწყებს. პირველ წელიწადს მშვიდად გაატარებს, მაგრამ მეორე წელს ციებ-ცხელება შეეყრება. სამ წელიწადს მაინც ახერხებს მუშაობას და ლუკმა-პურის საკუთარი შრომით მოპოვებას. მეხუთე წელიწადს წყალმანკით დაავადდება, ფეხები დაუსივდება, სიარულს ვეღარ შეიძლებს. ერთი გლეხკაცი შეიკედლებს, ვიდრე ორიოდე გროში აქვს, უვლის, მაგრამ შემდეგ „ჭიტლაყსა ჰკრავს“ და გარეთ გააგდებს. გლეხებშიც არიან თითო-ოროლა უსულგულო ადამიანები. „ეს ოთხი თვე იქნება მას აქეთ, — გვიამბობს გაბრიელი, — იმ სოფელში სირცხვილით ვეღარ ვიდგომილე; იმიტომ, რომ საგლახაოდ საქმე მიხდებოდა და ვთაკილობდი“. სინდისი, ნამუსი, კაცურ-კაცობა, ადამიანური მოვალეობა გაბროს ყოველთვის თან ახლავს, მაგრამ ასევე ყოველთვის ფეხქვეშ უთელავენ. ამიტომ შეუძლებელია მკითხველმა არ დაუჯეროს, არ თანაუგრძნოს საბრალო გლახას, როცა იგი ამბობს: „მე ამ ქვეყნისთვის ავი არ ვიყავ, მე მარტო უბედური ვიყავი.“. მთელი მოთხრობის მანძილზე გაბრო მართლაც ასეთი ჩანს და ეს სიტყვები თვით მას საუკეთესოდ ახასიათებენ.

მთელი მოთხრობა კონტრასტებით არის დაწერილი და ეპილოგიც ამ მხატვრულ მეთოდზეა აშენებული. ორი მღვდლის შეპირისპირება უკანასკნელ XII თავში, როცა პირველი უარს ამბობს გლახას ზიარებაზე, ხოლო მეორე ამის გამო ტუქსავს პირველს, უმალ გაემართება მომაკვდავისაკენ, რათა

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 98.

** იქვე, გვ. 99.

აზიაროს, ამ დებულების ერთ-ერთი დამადასტურებელია. მოთხრობაში ბევრია სიუჟეტის განვითარების დროს მოულოდნელობა, რაც ასე დამახასიათებელია დახლართული ფაბულისათვის. ეპილოგშიც ეს მოულოდნელობა გამოიყენა ილიამ, როცა მომაკვდავ გლახას მზიარებელი აღმოჩნდება სწორედ ის მოძღვარი, რომელმაც გაბროს გონების ლამპარი აუნთო და სპეტაკი სული შთაბერა. პირველად, როცა დაინახა, გაბროს მოჩვენება ეგონა; მან იცნო საყვარელი მოძღვარი, ამ უკანასკნელს კი მისი ცნობა, ცხადია, არ შეეძლო. მთელი ეს სცენა მოძღვრისა და გაბროს უკანასკნელი შეხვედრისა, დიდი ეფექტური ძალითაა დაწერილი და მკითხველის გულს უცნაურად ატოკებს. აღსარებაში, რომელსაც თავისი სულის მოძღვარს ეუბნება, გაბრო მოითხოვს შენდობას იმისათვის, რომ იძულებითი ყაჩაღობის დროს რვა კაცი გაუძარცვავს, ერთი მოუკლავს, — სულ ეს არის მისი ცოდვები. მოძღვარი შეუნდობს და განა ბეღურული გაბრიელი მართლაც არ არის შენდობისა და პატიების ღირსი?

აღსარების შემდეგ გლახა „დიდხანს იყო... პირქვე დამხობილი, — გვეუბნება ავტორი, — მარტო ყრუ ქვითინი მისი ხანდისხან მოგვესმოდა. ბოლოს ქვითინი შესწყვიტა. ბლაღოჩინი დასწვდა წამოსაყენებლად, მაგრამ გლახას, ისე პირქვე დამხობილსა, სული დაელია კიდეც. საცოდავსა მაინც ზიარების მიღება არ დასცალდა“.*

ასე დამთავრდა გაბროს ცხოვრება და თვით მოთხრობაც, რომელშიაც ილია ჭავჭავაძემ ბატონყმობის სინამდვილე სოციალური ანტაგონიზმის საბით წარმოგვიდგინა. მოთხრობამ დიდი შემეცნებითი ძალა იმით შეიძინა, რომ ავტორმა ცხოვრება წარმოგვისახა სავსებით დამაჯერებლად, დიდი რეალისტური ფერებით. ამიტომ არ იყვნენ მართალნი ის კრიტიკოსები (მაგალითად, ნიკო ნიკოლაძე), რომლებიც „გლახის ნაამბობს“ მაღალ შეფასებას არ აძლევდნენ და სხვის მიბაძვადაც კი მიაჩნდათ.

თავის წერილში — „ჩვენი მწერლობა“** ნიკო ნიკოლაძემ „გლახის ნაამბობი“ არსებითად განასხვავა ილიას ისეთი თხზულებებიდან, როგორიცაა „კაცია-ადამიანი?!“, „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, და „საზოგადოთ იმ თხზულებებიდგან, რომელნიც ჭავჭავაძის დავაკაცებულ გონებას და ნიჭს ჩვენი მწერლობისათვის უკვლევია“, როცა „გლახის ნაამბობს“ წერდა, ილია იყო „ახალგაზრდა, გამოუცდელი, გზა გამოურჩეველი მწერალი“, უცხო მწერლობის მიმბაძველი, „სხვისი კილოთი, სხვისი ენით“ მოლაპარაკე. მაგრამ განა „კაცია-ადამიანი?!“, რომელსაც თვით ნიკო ნიკოლაძემ სავსებით დამსახურებული ძალიან მაღალი შეფასება მისცა, ილიამ ახალგაზრდობის წლებში არ დაწერა? „მგზავრის წერილები“? ისიც ხომ სულ ახალგაზრდა კაცის დაწერილია! მერე ვინ არიან ეს „უცხო მწერლები“, რომლის გავლენითაც „გლახის ნაამბობი“ დაიწერა? რუსული რეალისტური ბელეტრისტიკის წარმომადგენლები — გრიგოროვიჩი, ალექსი პოტეხინი, ტურგენევი, პისემსკი, მარკო ვოვჩოკი (მარია მარკოვიჩი). რომელთა თხზულებებში გაიდეალებული იყო გლეხი და

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 102.

** გამოქვეყნდა 1873 წლის ჟურნალ „კრებულში“, № 5—6. შეტანილია კრებულში: „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“, 1957 წ., გვ 225—236.

რომლებსაც „მთელი ათი წლის განმავლობაში მეტის მეტი ხალისით ჰკითხულობდა რუსული საზოგადოება, და მწერლობაც, ესე იგი კრიტიკა“. რა იყო ამ თხზულებების ასე დიდი წარმატების მიზეზი? რატომ აქებდა იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა? არა ჰეშმარიტი ლიტერატურული ღირსებისათვის, არამედ, მხოლოდ იმიტომ, რომ გლეხს თანაუგრძნობდნენ, „ისინი გლეხ-კაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოლოდეთ, გლეხ-კაცურ ფარაჯაში ჩაცმული“. ეს მწერლები, ნიკოლაძის აზრით, არც კი იცნობდნენ გლეხის მდგომარეობას, კაბინეტიდან ხედავდნენ მათ, გამოდიოდნენ იმ მოსაზრებიდან, რომ ვინაიდან გლეხი „ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო“. მათ მიერ დახატული გლეხები ამიტომ ლაპარაკობდნენ არა იმ ენით, რომლითაც ისინი ჩვეულებრივად მეტყველებენ, არამედ „გაზეპირებული, წიგნიდამ ამოკითხული, ბაირონისა და შილერის ფრაზებით“. ეს უკიდურესი თვალსაზრისი თუ ნაწილობრივ მაინც შეიცავდა სიმართლეს, სამაგიეროდ, არ შეიძლებოდა ოსტატობა წაგვერთმია ტურგენევისა და პისემსკისათვის. როგორც ეს ნიკოლაძის წერილში ჩანდა. ორივე ეს მწერალი, განსაკუთრებით ტურგენევი, დიდი ოსტატი იყო, და მათი დაყენება გრიგოროვიჩის ან პოტეხინის გვერდით შეცდომას წარმოადგენდა.

ჩვენ უკვე ვთქვით, და აქაც გავიმეორებთ, რომ დასახელებული მწერლები გლეხს მართლაც ხატავდნენ იდეალურ ფორმაში, მაგრამ გადაჭარბებულია იმის ხაზგასმა, თითქო მათ „თხზულებებში გამოყვანილი გლეხ-კაცობა ყოველთვის გულკეთილი. მეტის მეტად პატიოსანი, მტკიცეთ გამრჯელი იყო. მკითხველს თითქმის ის აზრი რჩებოდა თავში, რომ ანგელოზები ჩამოსულან ციდამ და გლეხის ტულუფი. გლეხის სარაფანი ჩაუცვიათო“. ამ ანგელოზების სრულ ანტიპოდს წარმოადგენდნენ არისტოკრატები, მოხელეობა. „ავაზაკათ, უსინდისო მჩაგვრელათ, ბნელ ეშმაკათ, მოძალადეთ მუდამ სტაროსტა და ხანდისხან მებატონე გამოიყვანებოდა“. ცხოვრების ასეთ აღწერას ის დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მკითხველი სიყვარულით განეწყობოდა გლეხისადმი, მაგრამ ეს იყო არა „ცოცხალი“, „ნამდვილი გლეხ-კაცობა“, არამედ, მხოლოდ მწერლის ფანტაზიით შექმნილი „იდეალური“ სახე. შემდეგ, როცა იგივე მკითხველს, რომანებით შთაგონებულს, ცხოვრება „ხალხთან აახლოვებდა, როცა მის წინ „პეიზანების“ და იდეალური გლეხების მაგიერ ნამდვილი გლეხ-კაცი დადგებოდა, მისი ნაკლულევანებით, მისი უგნურებით და ცხოვრებით გაფუჭებული ან გათელილი ხასიათით, ის ვეღარ ცნობდა თავის—„საყვარელი გლეხკაცის“ სურათს, ის ჰფიქრობდა ეს წამხდარი, უსინდისო, ბინძური და უგრძნობელი ქმნილებაა და არა გლეხ-კაციო, ის იზიზღებდა იმას, ხანდისხან შებრალებას ივიწყებდა და როდილა ზოგავდა... საყვარელი, შესაბრალებელი, დასაზოგავი გლეხი სულ სხვანაირიაო, ფიქრობდა ის, ის გულკეთილი, სინდისიანი, მშრომელი, გრძნობიერი და ბატონის ხათრით აღვსილი ქმნილებააო, და ეს კი უფრო იმ საზიზღარ სტაროსტებს ჩამოგავს, რომელთაც მე იმ მოთხრობების კითხვის დროს ვსწუევლიდიო. იმათ აბა როგორ დავზოგავო“. ეს იყო ლიტერატურული კრიტიკისათვის დამახასიათებელი მსჯელობა გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ფრანგული ტერმინი paysan

ისე ფართოდ იყო მიღებული ხმარებაში, რომ განმარტებასაც არ საჭიროებდა. ამიტომ არც ნიკოლაძეს მოუცია მისი დახასიათება. ტერმინი გაჩნდა ლიტერატურაში სენტიმენტალური (პრერომანტიკული) მიმდინარეობის წარმომობისთანავე, როცა მდაბიოთა ცხოვრების წარმოსახვას (სტერნი, ლილო, რიჩარდსონი, რიბტერი და სხვ.) ზედ დაერთო მისი გაიდეალება. რუსეთში კარამზინის „ფლორ სილინი" და „საბრალო ლიზა" პეიზანის — იდეალური, ყალბად მიკერძოებული გლეხის სახედ იქნა მიჩნეული. ამ ტერმინს ირონიულად ხმარობდნენ იდეალურად დახატული გლეხების მისამართით. ისეთი გამოთქმებიც შემოვიდა ხმარებაში, როგორიც იყო „კარამზინული პეიზანები", „სოფლის პეიზანური სურათები", „პეიზანური ტანსაცმელი" და ა. შ. როცა სახუმარო ან სასაცილო ტანსაცმელს ახსენებდნენ, ეს იყო „პეიზანური", ე. ი. ყალბი, იდილიური, ხელოვნურად შექმნილი.

სწორედ ამ „პეიზანიზმს" მიიჩნევდა გასული საუკუნის 70-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა „სოვრემენიკის" ბელეტრისტულ თხზულებათა უდიდეს ნაკლად. მაგრამ იმასაც ნათლად ხედავდა, რომ საგლეხო რეფორმამდე „ამ ნაკლულევანებაზე შეჩერება, მათი ძაგება ან გამოაშკარავება კრიტიკის მხრით ნამდვილი შეცდომა იქნებოდა, იმიტომ რომ კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მაღლა მთელი ხალხისა და საზოგადოების საჭიროებას და სარგებლობას უნდა სთვლიდეს. მაშინდელი რუსული კრიტიკა იმ აზრით მოიქცა, რომ ჯერ გლეხების განთავისუფლება კანონად იქცეს, და მერე თუნდ იგრძნოს საზოგადოებამ ნამდვილი გლეხ-კაცების ნაკლულევანებაო, მაშინ იმდენი ვნება არ მიეცემა საზოგადო საქმეს, მით უფრო რომ შემდეგ ვეცდებით საქმე გავასწოროთ და შეუფერავი სურათებით საზოგადოების გრძნობა გავაწყროთო". ორივე ეს მომენტი — იმდროინდელი ბელეტრისტიკის ნაკლი და ლიტერატურული კრიტიკის მოთხოვნა ნიკოლაძემ დაინახა ილიას მხატვრულ პროზაში: ნაკლი — „გლახის ნაამბობი" (პეიზანური გლეხობა), ახალი მოთხოვნილების დაკმაყოფილება — „კაცია-ადამიანი!?"

გასული საუკუნის 60-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკა იმიტომ იქცეოდა ასე, რომ მხატვრულ პროზასთან შეერთებული ძალით მოწადინებული იყო ხელი შეეწყო გლეხთა განთავისუფლების საქმისათვის. კრიტიკას რომ იმ დროს შენიშვნები გამოეთქვა, ბელეტრისტიკის ზემოაღნიშნული სისუსტე გამოეაშკარავებინა, ამით „საშინელი ნება მიეცემოდა საზოგადო საქმეს — გლეხ-კაცობის განთავისუფლებას, — და სული ჩაედგმოდა, ძალა მიეცემოდა იმ უხეირო მწერლობას და იმ საზიზღარ მიმართულებას, რომელიც ამ საზოგადო საქმეს ჩუმათ ეწინააღმდეგებოდა ან სწყეელიდა. და პირველი ხმა, რომელიც რუსულმა კრიტიკამ ამ თხზულებების წინააღმდეგ ამოიღო, მათი სისუსტის შესანიშნავათ, მარტო გლეხების გათავისუფლების შემდეგ, 1861 წლის ნოემბერში, მოისმა: თვითონ Современник-მა გამოთქვა სხვა უფრო ხელოვნური თხზულებების საჭიროება თავისი უფროსი თანამშრომლის სტატიით «Не начало ли перемены?» (Совр. 1861. № 11)». ეს იყო ჩერნიშევსკის სტატია, მაგრამ თუ ნიკოლაძე ავტორს არ ასახელებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი რაზნოჩინელი მაშინ გადასახლებაში იმყო-

ფებოდა, შორეულ იაკუტთა შორის, და მისი სახელის ხსენება ლიტერატურაში არ შეიძლებოდა (ოფიციალურად აკრძალვის გამო).

თავის წერილში ჩერნიშევსკი კრიტიკულად განიხილავდა უსპენსკის მოთხრობებს, რომლებშიაც აღწერილი იყო დაბალი ხალხის ცხოვრება შეუფერავად, განსხვავებით იმ მწერლებისა, გლეხების იდეალურ სახეებს რომ გამოხატავდნენ. აქედან უნდა დაწუებულიყო გარდატეხა გლეხური ცხოვრების ჩვენებაში. უკეთესი იქნებოდა, თავიდანვე ასე რომ ყოფილიყო. „რუსეთელ მწერლობას გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტალური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღითი-დღიური საჭირო-ებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებული და უღონო. უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყვანა. მწერლობას მკითხველისათვის უნდა ეჩვენებინა, რომ ცუდ წესს, ძალადობას, სიღარიბეს, უმეცრებას, განათლებული წოდებისაგან მიტოვებას ეს ღვთისაგან გაჩენილი, ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუმდაბლებია, გაუბინძურებია, გაუსულელებია, თითქმის პირუტყვათ გაუხდია, და მასში დღეს ღვთის სახე და მსგავსება კი არა, ადამიანის სურათიც აღარ მოჩანსო. მწერლობას გლეხების მდგომარეობა ნამდვილათ და სწორეთ, შეუფერავათ რომ გამოეხატა, აღმოჩნდებოდა, რომ განათლებულ საზოგადოებას, გონება გახსნილ წოდებას, „უმაღლეს კლასებს“ და თვითონ მთავრობასაც აუცილებლათ სჭირიათ ამ დამდაბლებულ და დაბრმავებულ გლეხ-კაცობას ყურადღება მიაქციონ, დაეხმარონ, უკეთესი მომავალი და ბედი მოუმზადონ, ამიტომ რომ შეუძლებელი და გაჭირვებული საქმეა მაღალი საზოგადოებისათვის და მთავრობისათვის იმისთანა ხალხში გაძლება და ცხოვრება, რომელიც ამისთანა უბედურ და დამდაბლებულ მდგომარეობაში იმყოფება“. მაგრამ ეს არ ნიშნავს ცხოვრების ფოტოგრაფიულ გამოხატვას. ხელოვნება გაგებულია ჩერნიშევსკის ცნობილი თეზისის მიხედვით, როგორც ასახვა სინამდვილისა და როგორც მისი განაჩენი.

ხელოვნების ამგვარი გაგების ერთგული ნიკო ნიკოლაძე ფიქრობს, რომ „გლახის ნაამბობის“ შემდეგ ილიამ იგრძნო გრიგოროვიჩის, პოტეხინის, პისემსკის, ტურგენევის, მარკო ვოვჩოკის და სხვათა მხატვრული პროზის ის ნაკლოვანებები, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული, და „კაცია-ადამიანში?!“ აღარ განუმეორებია. იქ „გამორჩეული საგანი სწორეთ ისეა აწერილი, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით“. თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას „კაცია-ადამიანთან?!“ ერთად ასევე ემსახურებიან ილიას „სცენები“, ლექსები და „მგზავრის წერილები“. მაგრამ „გლახის ნაამბობშიც“, მიუხედავად რუსული მწერლობის გავლენისა, ილია არ არის ბრმა მიმბაძველი, გრძნობს „სოვრემენიკის“ ბელეტრისტულ თხზულებათა ნაკლს და მოთხრობაში იმით ასწორებს, რომ გაბროს შეახვედრებს კეთილ მღვდელს, შეასწავლის „ვეფხის-ტყაოსანს“, ხოლო ასეთ გლეხს უკვე შეეძლო „ბაირონის და შილერის ფრაზებით“ ლაპარაკი. მაგრამ ეს მაინც ნაკლია, თუმცა ნაწილობრივ გასწორებული, ვინაიდან მისი ძირითადი საგანი (გაბრო) „იშვიათი განვითარებული შემთხვევა და ხასიათია“, რაც ასე „აშკარათ ეწინააღმდეგება ნამდვილ ცხოვრების სურათებს“. ეს

დებულება ისევე მცდარია, როგორც მომდევნო მსჯელობა: თითქოს მოთხრობის გაცნობის შემდეგ „მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში, რომ მართალია, ამგვარი შემთხვევა ხშირად მომხდარა ხოლმე ჩვენშიც, ბატონყმობის დროსა, მაგრამ იმ შემთხვევების ამნაირი გარემოებები თითქმის არასოდეს არ დაჰყოლიათო. ეს ამბავი „შეკეთებული“, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო და სხვადასხვა“. თუ მოთხრობაში აწერილი შემთხვევა ხშირად მომხდარა, რასაც თვით კრიტიკული წერილის ავტორი გვიდასტურებს, მაშინ რატომ არ ეთანხმება „ნამდვილ ცხოვრებას“ — გაუგებარია!

მიუხედავად მცდარი პოზიციისა, ნიკოლაძე მაინც იძულებული იყო აღენიშნა, რომ „ბევრ ნიჭიერს და გრძნობით სავსე ფურცლებს წარმოგვიდგენს ჩვენ ეს „გლახის ნაამბობი“, მასში არაერთი „საქრესტომატიო“ ადგილია“, ავტორის ნიჭი და ძალა რო ვაჩვენოთ, „ნახევარი მოთხრობა თუ არა, მესამედი მაინც უნდა ამოვწეროთ ან ჩამოვთვალოთო“. და მას მოჰყავს რამდენიმე ასეთი ადგილი მოთხრობიდან. შემდეგ კი დასძენს: „თუ ძალათ არ შევიკავეთ თავი, ამისთანა ჩინებული თვლების ამოწერა ას ასობით მოგვინდებაო“. იქაც კი, სადაც პარალელია გავლებული „კაკო ყაჩაღსა“ და „გლახის ნაამბობს“ შორის, სადაც აღნიშნულია, რომ ამ ორ ნაწარმოებს „ბევრი საერთო თვისება და მზგავსება აქვს“, „ერთი მეორეზე გამოჰკრილი ჰგონია კაცს“ (უთუოდ იგულისხმება სინამდვილის იდეალიზაცია, პეიზანიზმი, საერთოდ, „სოვრემენიკის“ მხატვრული პრინციპის ნაკლოვანებები), ნიკოლაძე აღიარებს ილიას დიდ მხატვრულ ტალანტს. „ამ პოემაშიც, როგორც „გლახის ნაამბობში“, — წერს იგი, — ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ჯერ კიდევ ფრთა-გაუშლელი და თავისი ნიჭისა და გზის თითქმის პირველათ მსინჯველი, გამოდის მაინც შესანიშნავ მწერლათ და გრძნობით სავსე პოეტათ, რომელსაც პატიოსანი თანაგრძნობა უღვივის გულში ყველასადმი, რაც ჩვენს უხეიროდ ცხოვრებას დაუჩაგრავს ან ობლათ დაუტოვებია, და მაღალი ლტოლვილება აქვს ყველაფრისადმი, რაც კაცის გულს აკეთილშობილებს, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს ან უკეთეს მომავალს უმზადებს“. მაგრამ „გლახის ნაამბობი“ ნიკოლაძისათვის მაინც ისეთი ნაწარმოებია, რომელიც ილიას შემოქმედებაში ჩრდილს ვერ ასცდება. სხვა საკითხია — „კაცია-ადამიანი?!“ რომ არ ყოფილიყო. ნიკოლაძე პირდაპირ აყენებს პარადოქსალურ დებულებას: ილია ჭავჭავაძეს „კაცია ადამიანი“ რომ არ დაეწერა, „გლახის ნაამბობი“ ჩინებულ თხზულებად ჩაეთვლებოდა, მაგრამ რომლის თავი ჩვენს მკითხველ საზოგადოებას „კაცია ადამიანის“ დამწერმა დაავიწყაო“. თუ რამდენად მცდარია ეს დებულება, მგონი, ნათლად უნდა ჩანდეს „გლახის ნაამბობის“ იმ კრიტიკული შეფასებიდან, რომელიც ჩვენ ამ ბრწყინვალე მოთხრობას მივეცით. ისიც უდავო უნდა იყოს, რომ „გლახის ნაამბობში“ არავითარი უცხო მინარევი არ არის, მოთხრობა მთლიანად ორიგინალურია და ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთერთ უბრწყინვალეს შედევრს წარმოადგენს.

არანაკლები ძალით ბატონყმური სინამდვილე ილია ჭავჭავაძემ მკაცრად დაჰგმო ვრცელ სატირიკულ მოთხრობაში — „კაცია-ადამიანი?!“,

რომელშიაც შინაგანად გააშიშვლა ამ სოციალური ინსტიტუტის ზნედაცემულობა, გონებრივი პაუპერიზმი, ანტისოციალური ხასიათი და მისი ადამიანების — მებატონეების სრული გადაგვარება.

გ) „კაცია-ადამიანი?!“*

მოთხრობა „კაცია-ადამიანი?!“ ქართული კლასიკური რეალიზმის ერთი უმშვენიერესი ძეგლია, რომელიც ყველა კულტურული ერის ლიტერატურას დაამშვენებდა. თუ მე-19 საუკუნის ქართულ კრიტიკულ რეალიზმს მამხილებელი მოტივები ორგანულად ჰქონდა დაკავშირებული განმანათლებლურ იდეებთან, ეს ყველაზე უკეთესად ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, პირველყოვლისა, „კაცია-ადამიანში?!“ ჩანს.

ვიდრე ამ საკითხებს შევეხებოდეთ, საჭიროა განვიხილოთ ნაწარმოების ეპიგრაფი, რომელსაც სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. როგორც ცნობილია, მოთხრობას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს „გონიერი ანდაზა“, როგორც ავტორი უწოდებს, შემდეგი შინაარსისა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. ეს მართლაც გონიერი სიტყვები ერთხანს პირდაპირ საბედისწერო შეიქნა ილიასათვის. ზოგიერთები, რომლებიც ცდილობდნენ „დაემტკიცებინათ“, რომ „კაცია-ადამიანის?!“ ავტორი ბატონყმობის მოსპობას კი არა, მის „შეკეთებას“, „შელამაზებას“, „გამოსწორებას“ ცდილობდაო, ამ ეპიგრაფში „პოულობდნენ“ ერთადერთ, ყველაზე უეჭველ არგუმენტს. ხომ ხედავთ, ილია თვითონვე ამბობს — მებატონე ლუარსაბი ჩემი მოყვარეა და ამიტომ პირში ვუძრახავ, მტერი რომ ყოფილიყო, მაშინ ისე მოვექცეოდი, როგორც გონიერი ხალხური ანდაზა გვასწავლისო.

მაგრამ ეს „თეორეტიკოსები“, რომლებიც ძალიან ზერელედ იცნობდნენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და განსაკუთრებით პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, ოდნავადაც არ დაფიქრებულან „კაცია-ადამიანის?!“ პროლოგში ნათქვამ სიტყვებზე: „ვინც ლუარსაბის სახეში თავის-თავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჰირზედა ვწერთ... სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სჩვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად

* სრული სახით პირველად გამოქვეყნდა ილიას ჟურნალში — „საქართველოს მოამბე“, 1963 წ., № 4. № 5, № 6.

უთვლიან გულის-ტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულის-ტკივილს იმით იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს — ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს".*

როცა ამ სიტყვებს კითხულობ, უნებლიედ ფიქრობ: წინასწარმეტყველებაა, თითქოს ილიამ იგრძნო, რაც მოხდებოდა, ამიტომ თვითონვე ადრევე დაიცვა თავისი თავი. განა ხაზგასმული სიტყვები სავსებით ნათლად არ გვეუბნებიან, რომ მწერალი ლუარსაბ თათქარიძეს ხატავს, როგორც „საზოგადო ჭირს" და არა როგორც ვინმე „ქერძო პირს", თუნდაც ლეგიონის წარმომადგენელს? „საზოგადო ჭირი" კი, როგორი მძიმეც არ უნდა ყოფილიყო, განა შეეძლო ილია ჭავჭავაძეს, განათლებულს, ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლს თავის გულისტკივილად, თავისი ერის უბედურებად არ მიეჩნია? განა შეეძლო მას, საზოგადო სიკეთისათვის თავდადებულს, ხალხის გენიისათვის ზურგი შეექცია, მისი „შეუცდომელი და ყოველთვის მართალი" სიბრძნე არ მიეღო, „სხვისთვის" გული არ სტკენოდა; თუნდაც ეს გულისტკივილი იმ „სხვას" ცოდვად მიეჩნია? მაგრამ თვითონვე ხომ შესანიშნავად გამიჯნა ერთმანეთისაგან ორგვარი გულისტკივილი: პირფერული, როცა „მოყვარეს ცუდსაც უქებს". და ნამდვილი, პირუთვნელი, მოურიდებელი, პირდაპირი, როცა მოყვარეს „ცუდს უწუნებს", ილიამ კარგად იცის, რომ ორგვარია გულისტკივილი და მათი მატარებელი ხალხიც ორგვარია. თვითონ ის მეორე გვარის წარმომადგენელია და თუ მკითხველს ანდობს გაარკვიოს „ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს", ეს თავისთავად მოწმობს საკუთარი სიმართლისადმი უღრმეს რწმენას.

მაგრამ აქედან განა შეიძლება ის უმართებულო დასკვნა გავაკეთოთ, რომ თითქოს თათქარიძეები ილიას მოყვრებად მიაჩნდა და ამიტომ ბატონყმობის მოსპობას კი არ მოითხოვს, მისი მხოლოდ „შეკეთება" თუ „შელამაზება" უნდაო? მაშინ, ვინ არის ეს „მოყვარე", რომელსაც ავტორი გულისხმობს? ეს არის არა ლუარსაბი და მისი მსგავსნი, არამედ, იმდროინდელი ქართული სინამდვილე, ქართული საზოგადოებრიობა, რომლის „საზოგადო ჭირი" მწერალმა მოურიდებლად. რაინდული პირდაპირობით გააშიშვლა და სააშკარაოზე გამოიტანა. სხვაგვარი დასკვნა მართლაც მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს.

ილია ჭავჭავაძე რომ ნამდვილად იბრძოდა ბატონყმობის მოსპობისათვის, არამარტო მხატვრული პროზით, არამედ. პრაქტიკულადაც, ჩვენ ეს ვნახეთ მწერლის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს, აგრეთვე მისი ლექსებისა და პოემების ანალიზით, მაგრამ ერთხელ კიდევ დავრწმუნდებით, როცა თერგდალეულთა ბელადის პუბლიცისტურ-მეცნიერულ მემკვიდრეობას შევეხებით. ახლა კი ისევ „კაცია-ადამიანს?!" მივუბრუნდეთ.

მოთხრობა იწყება ნაწარმოების მთავარი გმირის — ლუარსაბ ზაალის-ძე თათქარიძის სახლ-კარის აღწერით. ავტორი გარეგნულ მხარეს თავისი გმირის ცხოვრებისა იმიტომ გვაცნობს, რომ სურს თავიდანვე გვითხრას: ამ სავალალო, უყურადღებოდ მიტოვებულ-მიგდებული სახლ-კარის

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 103, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

პატრონიც ისეთივეა, როგორიც მისი ავლა-დიდებაო. ლუარსაბის კარ-მიდამო კი ნამდვილად ღირს მკითხველის წინაშე წარმოსადგენად: „შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა— ორსართულიანი სახლი ქვიტკირისა“. სახლის ქვეშ წალმით დახურული მარანია მოწყობილი, მის უკან კედელზე ამოყვანილია „პატარა ოთახი მოაჯირითურთ“, რომელსაც მერცხლის ბუდესავით ზედ აკრავს საქვეშაგებო ფიცრული. „კარგა მანძილზედ კიდევ, — გვეუბნება ავტორი, — ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი. თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო აქ ციხე-დარბაზისა. სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული* ღობე, რომელიც ზოვიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..“**

ეს უკანასკნელი ფრაზა — „ეტყობა, რომ ქართველია“, აქ შემთხვევით არ არის ნახმარი. აღწერს ლუარსაბის სახლ-კარს, თუ მისი ცხოვრების სხვა რომელიმე მხარეს. ილია ხშირად უსაყვედურებს ქართველობას. უფრო სწორად, გაბატონებულ ნაწილს, რომ უზრუნველობას იჩენს, წინ არ იხედება, საქმე ბოლომდე არ მიჰყავს; ავტორს ამით სურს ბრძოლა გამოუცხადოს საზოგადოებრივ მანკიერებას, მოთხრობას დააკისროს მამხილებელი ფუნქცია, როგორც სარკეში, ისე ჩაახედოს თავის თავში მკითხველი და ჩააფიქროს. ეს იქნება გამოფიზლება, დასაწყისი იმის შეგნებისა, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება შეუძლებელია, დაღუპვის მომასწავებელია, გამოღვიძებას თან უნდა მოჰყვეს ერის ცოცხალი ძალების ამოქმედება განახლებისა და აღდგენისათვის. განა ლუარსაბის სახლ-კარი დაცემულობისა და გადაგვარების ცოცხალი პოეთეზი არ არის? რაც ითქვა ძველი მებატონის კარ-მიდამოზე, ჯერ მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რასაც მწერლის მახვილი თვალი ხედავს. მთავარი წინ არის. ლუარსაბის სახლ-კარი სრული მოშლილობისა და ასევე სრული პათოსის ძეგლად ქცეულა. და ავტორი განაგრძობს ამ სამწუხარო სურათის აღწერას: „ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, — თუნდ ორი წელიწადია, — ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია — ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიის-კარიდამ იწყება კალო, დიაღ მოზრდილი. მისი ბუჩო ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმისი ბოლო ზედ საბძელთან დააწყდებოდა. საბძელი იყო სპაციოსი, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდ-აწეული მარტო ფრთა-მოტეხილი ბატი თუ მინახავს“.***

---

* ტყრუშული — სხკლის წნელის ღობე (საბა).

** ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 104.

*** იქვე.

კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია ლუარსაბის ეზო. ისე უწმინდური, როგორც „ძველი ჩინოვნიკის გული“, — მხატვრული შედარებით დასძენს ავტორი. ძნელად თუ მიაღწევდით პატრონამდე, რომ „არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის* სურნელება თან არ აგეყოლიათო“. მთელ ამ გარეგნულ „ბრწყინვალებას“ ამთავრებს სახლის შინაგანი მორთულობა. აგურის იატაკი, შიგა და შიგ ამოცვენილი. რასაც ამოთხრილი ორმოები გაუჩენია, სტუმარს აიძულებს ძალიან ფრთხილად იყოს, თორემ, თუ „ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა. ან თითონვე ფეხი. თუმცა, ჭართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, — და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჩვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ ღონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს... ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გული გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე. თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავ-ნანინაო“!..**

ძველი მებატონეების სახლ-კარის დაახლოებით ამგვარივე აღწერა ცნობილია რუსულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძემდე, ხოლო ქართულ ლიტერატურაში — ილიას შემდეგაც. მხედველობაში გვყავს გ ო გ ო ლ ი, როგორც ავტორი „მ კ ვ დ ა რ ი ს უ ლ ე ბ ი ს ა“ და „ძ ვ ე ლ ი დ რ ო ი ს მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ი ს ა“. ა დ რ ი ნ დ ე ლ გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა შ ი „გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ლ ი ს შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა“ (1935 წელი). ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ვწერდით: „ზოგიერთები ამბობენ, რომ ავთანდილ კვიმატაძის სახლის აღწერაში ილია ჭავჭავაძის გავლენა ჩანსო. მართალია. ილიას გავლენა აშკარად ჩანს გიორგი წერეთლის შემოქმედებაზე (დაზგა—ლუარსაბ თათქარიძე, დათიკო—ირემია წარბა, ოთარაანთ ქვრივი—როდამი), მაგრამ ჩვენის აზრით, ავთანდილ კვიმატაძის სახლის აღწერა გოგოლის „მკვდარი სულების“ გავლენას უფრო განიცდის, ვიდრე ილიას „კაცია ადამიანისას“. ავთანდილ კვიმატაძის ბოდიში სტუმრების წინაშე: „უკაცრავად, ჩემო ბატონო, რომ ჯერ ოდა რიგიანად არ მაქვს მოწყობილი“, იგივეა, რაც მანილოვის პასუხი სტუმრებისადმი. ავთანდილ კვიმატაძის მოუწყობელი სახლი, მისი მოუთავებელი კიბე და ყოველივე ამის ასე სარკასტულად დახატვა ძალიან უახლოვდება გოგოლის მანილოვის აღწერას და მის პიროვნულ-საზოგადოებრივ ყოფას. მართალია, მანილოვი დიდი მემამულეა, ხოლო ავთანდილ კვიმატაძე გადაგვარებული არისტოკრატიის წარმომადგენელი, მაგრამ მათი დახატვის ხერხი მსგავსია. ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, უმთავრესად გოგოლის მხატვრული შემოქმედების გავლენით უნდა აიხსნას, ვიდრე ილიას ლიტერატურული გავლენით. გიორგი წერეთელი ილიას „კაცია ადამიანის“ წაკითხვამდე იცნობდა გოგოლის „მკვდარ სულებს“, მანილოვის სახლის მორთულობის

---

* ეს სიტყვა ქართულში მრავალგვარი მნიშვნელობით იხმარება... არაბული „ა მ ბ ა რ“ — სურნელოვან ნივთიერებას ნიშნავს, სპარსული „ა ნ ბ ა რ“ — ბეღელს. ილია ირონიით ხმარობს ა მ ბ ა რ ს, როგორც ცუდსა და მყრალ სუნს (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I).

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 105.

აღწერას და. ცხადია, იმ პასუხსაც, რომელსაც მანილოვი განურჩევლად ეუბნებოდა სტუმრებს. კვიმატაძის მოუთავებელი ოდა, განსაკუთრებით მისი კიბე, რომელიც აიძულებდა სტუმარს თიკანივით შეკუნტრუშებულიყო, რათა ოდაში შესულიყო, სიმბოლურად იგივეა, რაც მანილოვის მოუთავებელი სავარძლები... მანილოვის უდარდელობა, მოუქნელობა და სიბარიტობა ძალიან ახლოა კვიმატაძის პიროვნულ-საზოგადოებრივ ყოფასთან. არავითარი ეჭვი არ არის, რომ კვიმატაძის მოუწყობელი სახლი, დაუმთავრებელი კიბე, რომლის ნაცვლად ორი ხეა გადებული, ალეგორიული სახეა მანილოვის სავარძლებისა და იმ წიგნისა, რომელშიც ნიშანი ყოველთვის მეთოთხმეტე გვერდზე იყო ჩადებული და რომელსაც მანილოვი კითხულობდა ორი წლის განმავლობაში".*

ყოველივე ეს შეიძლება იმითაც არის გამოწვეული, რომ მებატონეების ცხოვრება, რუსეთი იქნება, თუ საქართველო, განსხვავების მიუხედავად, ძალიან წააგავდა ერთმანეთს. ილიას „კაცია-ადამიანი?!", მაგალითად. როგორც იმავე ნაშრომში გვაქვს მითითებული, ჰგავს გოგოლის „ძველი დროის მებატონეებს". ცხოვრების დახლოებით ერთგვარი პირობები მსგავს სურათებს წარმოშობენ ხოლმე. მწერალი ამ სურათებს ვერ გაექცევა, თუ არ სურს სინამდვილეს, ჭეშმარიტებას უღალატოს. მაგრამ მაინც არის ლიტერატურული გავლენა, ნებსით თუ უნებლიედ, რაც სავსებით კანონზომიერი ფაქტია და მიბაძვად არ ჩაითვლება.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს ლუარსაბს, რომლის ოთახშიაც ავტორმა შეგვიყვანა. „თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა, კბილებჩაცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვა-ნაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყარალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი".**

ეს მთლიანად მოშლილი ავლა-დიდება ეკუთვნის არა რომელიმე ღარიბს, როგორც ავტორი გვეუბნება, არამედ, ისეთ მებატონეს, რომელსაც საკმაოდ დიდი შეძლება აქვს. ლუარსაბ თათქარიძეს „ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი". ჰქონდა აგრეთვე „ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-დაათი დღის სახნავ-სათესი". მაშ, რა არის მიზეზი, რომ შეძლებულ კახელ მებატონეს ასე საცოდავად მოუწყვია თავისი სახლ-კარი? „კაი ლუკმა", როგორც ავტორი დასძენს. ვერ გამოუყენებია? მიზეზი ის არის, რომ მისი პატრონი ქართველია, — გვეუბნება ილია ჭავჭავაძე და ეს არის განმანათლებლის, თერგდალეულის ტიპიური პასუხი 60-იან წლებში, როცა თვით მოთხრობა იწერებოდა.

---

* გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 1, 1958 წ., 236 — 237.

** ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 105—106.

განმანათლებელი, როგორც აღვნიშნეთ, მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით ლაპარაკობდა; მისი იდეალი იყო მთელი ხალხის, მთელი ერის ინტერესების დაცვა, და ქართველი, როგორც მთლიანად ხალხის გამომხატველი ცნება, თავისში აერთებდა, თერგდალეულთა თვალსაზრისით, უველა პლუსსა და მინუსს, რაც ერს მოსდგამდა. ამიტომ, უმოქმედობა, რომლის წინააღმდეგ თერგდალეულები სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ამხედრდნენ, როგორც უზრუნველობის, უდარდელობისა და განცხრომის ძირითადი მიზეზისა, აქ, ამ პასუხში, ქართველის სინონიმია. რაკი ეს ქართველი (ე. ი. უმოქმედობა, უზრუნველობა, უდარდელობა, განცხრომა) ზის ლუარსაბ თათქარიძის არსებაში, — მიზეზიც ეს არის, „კაისაბუთი", როგორც ილია ამბობს, იმ სავალალო სურათისა, რომელიც ავტორმა ასე ცოცხლად დაგვიხატა.

მაგრამ ეს მხოლოდ ნახევარია უბედურებისა. თვით ლუარსაბი და მისი კნეინა დარეჯანი სრულპარაღელსწარმოადგენენ თავიანთი მოშლილი სახლ-კარისა. ორმოცი წლის ლუარსაბი და ორმოცდაერთი წლის დარეჯანი (ისინი ოცი წლის შეუღლებულები არიან, მაგრამ შვილი არა ჰყავთ), არამარტო გონებრივად, ფიზიკურადაც გადაგვარებული არიან, როგორც მოშლილია მათივე კარ-მიდამო. აბა, გაიცანით ლუარსაბ თათქარიძე: იგი „...გახლდათ კარგა ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი... როგორც კარგი ნასუქი კურატი. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები—ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის" ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული" არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მისი ბრწყინვალების ქონშია".*

ფიზიონომია, როგორც ვხედავთ, გარეგნული სახითაც კარგად გვაცნობს თავის თავს და წინასწარ გვაგრძნობინებს, თუ რა სული შეიძლებოდა მოთავსებულიყო მარტოოდენ ხორცად ქცეულ მართლაც ამ მშვენიერ გვამში. ეს სული, გარეგნულად ისევე ფუყე, როგორც თვით გვამი, შინაგანადაც ცარიელია, საესებით გვამისვე მსგავსად. აქ შეგვეძლო პარალელთა სართულები აგვეშენებინა: ლუარსაბის კარ-მიდამო გარეგნულად ისევე მოშლილი და მოუწესრიგებელია, როგორც შინაგანად მისივე სახლი; ეს საერთო უწესრიგობა სახლკარისა ლუარსაბის ფიზიონომიის პარალელია გარეგნულადაც და შინაგანადაც; ლუარსაბის სახლკარისა და ფიზიონომიის თითქმის იდენტური პარალელია კნეინა დარეჯანი თავისი ფიზიკური და სულიერი თვისებებით. მაგრამ ჯერ გავეცნოთ ლუარსაბის სულს, შემდეგ მის ორეულებსა და პარალელებს, რომლებსაც ძველი მემამულის ირგვლივ ასე მოხდენილი გარემო შეუქმნიათ.

ლუარსაბი იდიოტიზმის განსახიერებაა, სრულიად უცოდინარი კაცია, წე-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 106—107.

რა-კითხვაც არ შეუსწავლია. მაგრამ ეს ნაკლად კი არ მიაჩნია, პირიქით, ამაყობს კიდეც. სწავლას იგი უპირებს, როგორც „ეხლანდელ ჭირს“, რაკი ძველ-რბილში გამჯდარი აქვს ის უხეში, პირუტყვულ-გასტრონომიული აზრი, რომ „კაცი ძირგავარდნილი ქვევრია“, რომელსაც „დღეყოველ უნდა ჩააყაროთ ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კედევ მაინც ვერ ავსო“. ხსენებულ „თეორიულ“ რწმენას ლუარსაბი თვითონვე შესანიშნავად ახორციელებს პრაქტიკაში და „თავის თავზედაც“ ჩინებულად ხედავს, რომ „ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს“, მით უფრო, თუ „ჯოგის და ყმის პატრონია, ყმისა — რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს“.

ეს უკანასკნელი ფრაზა ილიას შემთხვევით არ უხმარია. როცა პოეზია განვიხილეთ, ჩვენ ვნახეთ, რომ 1858 წელს დაწერილი ლექსი — „გუთნისდედა“ (ბოლო რედაქცია 1863 წელს განეკუთვნება), ყმის მდგომარეობას პირუტყვს ადარებს და პირველის უღელს უფრო მძიმედ მიიჩნევს. აქაც, მოთხრობაში, ყმის სავალალო ყოფა პირუტყვის ჯოგისაგან განუსხვავებელია. ასეთი პასაჟები ილიას სატირიკულ შედევრში ძალიან ხშირად გვხვდება. ისინი გამოხატავენ ავტორის აზრს, მის დამოკიდებულებას ამა თუ იმ საკითხისადმი ან მოვლენისადმი. მაგალითად, როცა ლუარსაბის აზრებს გადმოგვცემს სწავლა-განათლებაზე, ილია თვითონვე იყენებს თავისი გმირის შეხედულებებს, საწინააღმდეგო მოსაზრებათა წარმოსადგენად. კერძოდ, ძველი და ახალი დროის შეპირისპირებით ავტორი ახერხებს წინ წამოსწიოს განმანათლებლური იდეები. გააღვივოს პატრიოტული გრძნობა და ამხილოს საზოგადოებრივი მანკიერებანი. ლუარსაბი ამბობს: „დრო გამოიცვალა... რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჰამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარა ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, — ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი“.*

ლუარსაბის ამ პასეიზმსა და ამ ახირებულ აზრებს ავტორი თვითონვე აკრიტიკებს, მაგრამ მას აღარ ესაჭიროება რეპლიკები სწავლისა და წიგნის ლუარსაბისეულ აბუჩად აგდებაზე. ეს იმდენად სულელური, იმდენად მიუღებელი, თან სასაცილო აზრებია, რომ მკითხველსაც ადვილად შეუძლია უკუაგდოს. თავისი კრიტიკული შენიშვნების მახვილი ავტორს გადააქვს ლუარსაბის აზრების იმ ნაწილზე, რომელიც ძველ დროს შეეხება. და აქაც, ისე, როგორც ქვევით, სატირიკული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ ტონს ილია ყველგან ინარჩუნებს. „ეჰ, ჩემო ლუარსაბ! — ეუბნება ავტორი თავის გმირს, — ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 107.

აღარ არის, ის გულის სიმხურვალე, ის თავგანწირულება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშენებდა ცხენსაც და თოფსაც, ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშენებს".*

ამ სიტყვებით ავტორმა მწვავე მათრახი გადაჰკრა თავისი თანამედროვე საზოგადოების ინდიფერენტიზმს, პატრიოტული მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, წარსულისა და აწმყოს შეპირისპირებაში დადებითი პასეისტური აზრით სამარცხვინო ბოძზე გააკრა უმოქმედობა და კონტრასტს ღრმა აზრი მისცა.

ამით დამთავრდა ლუარსაბის ხასიათის მხოლოდ ერთი ნაწილის ჩვენება და ავტორი შეუდგა თავისი გმირის სრული ორეულის — კნეინა დარეჯანის პორტრეტულ აღწერას, ეს აღწერა ილიამ დაიწყო ლუარსაბის სახის ერთი დამახასიათებელი შტრიხის გამოყენებით. ლუარსაბს, წუხდა თუ უხაროდა, სახე ყოველთვის „ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე". და, როგორც ნათქვამია, „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო", ეს ანდაზა, — გვეუბნება ავტორი, — არსად „ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამის ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც", როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რარიგად: იგივე სიმრგვალე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე".**

და ეს მართლაც „ორი ტურფა გვრიტი, ერთსულიანი და ერთხორციანი". საკუთარ სახლში ჩაკეტილნი, ქვეყნის უყაყანს მოშორებულნი, როგორც ავტორი გვეუბნება, „საკვირველად ტკბილად ცხოვრობდნენ". მათ საქმეც ჰქონდათ, თუმცა უსარგებლო, მაგრამ ქვეყნის შესახედავად მაინც საქმედ მიჩნეული. „მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლ-ქმარს თვალები დაჭუეტილები ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდგანვე ის გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რაღაცეებით... მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია"*** ლუარსაბისათვის სიკვდილი იყო, თუ ვინმე ამ ნებივრობის წუთებს დაურღვევდა. სტუმარი იმიტომ კი არ ეჯავრებოდა, რომ სიძუნწით მოდიოდა. არა, მხოლოდ იმიტომ, რომ „უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა", თორემ ლუარსაბი ხომ ქართველი იყო და „სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად" განა მოთავსდება? ადგომა ისე არ აღონებდა ლუარსაბს, როგორც ტანთ ჩაცმა. ეს უკანასკნელი მას სიკვდილივით სძულდა, ვინაიდან მთელ ზაფხულს პერანგისა და მისი ამხანაგის ამარა გაატარებდა ხოლმე, ზამთრობით კი პერანგზე ქურქი ჰქონდა წამოსხმული, თუ დიდი კაცი, ვთქვათ, დიამბეგი არ ეწვეოდა.

რაც შეეხება დარეჯანს, ის „არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი". ამაში არ ჰგავდნენ ისინი ერთმანეთს და ავტორი ირონიით შენიშნავს, რომ ამ „ორგვრიტს", მართალია, „ერთი ფერი ჰქონდათ", მაგრამ „ზნე კი არა". დარეჯანი უფრო ენერგიული, უფრო გონება-გახსნილი ადამიანი ჩანს, ვიდრე მისი საყვარელი მეუღლე, თუმცა არც ერთი არ გამოირჩევა არც

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 107.
** იქვე, გვ. 108.
*** იქვე.

ენერგიითა და არც ჭკუით. მაგრამ დარეჯანს ბუნების ეს ორივე მადლი უფრო მეტად ახასიათებს. რადა ღირს, თუნდაც, დილიდანვე მისი აფორიაქებული საქმიანობა: „რაკი... კნეინა თვალს გააჭყეტდა შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა, გადიცვამდა ჩითის კაბასა — ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა — შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და— ჰერი ბიჭო — დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ. ესე იგი ვაინაჩრობით და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენს კნეინის ტყუილ-უბრალოდ ფაცა-ფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძოხძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას გაუწყრებოდა — რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა — რისთვის? — არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა — ერთის სიტყვით — მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, — და მერე დაღლილი და დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა"-საც ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, — და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჰერში ბუზებსა სთვლიდა".*

თუ რამდენად გონებაჩლუნგია ლუარსაბი, ძალიან დამაჯერებლად გვიჩვენა ავტორმა, როცა აგვიწერა ბუზების თვლის ერთი შემთხვევა, სხვა ათასთა შორის. შუა ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, სადილის წინ, დარეჯანი დაბრუნდა ყმების მორჯულებისათვის მისი ჩვეული მოგზაურობიდან. ლუარსაბს გაეხარდა, როცა დაინახა კნეინა, რომელსაც ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა „წითელ ლოყებზედ", და კმაყოფილმა თავის გულში სთქვა: „კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია! გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე... ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე".**

ამის შემდეგ იწყება დიალოგი, რომელშიაც თავადისა და მისი კნეინას გონებაშეზღუდულობა, განსაკუთრებით ლუარსაბისა, მეტად რელიეფურად ჩანს (მისი პასუხები სულ მოკლე და ქარაფშუტულია, მარტოოდენ თანხმობას ეამოხატავს, რაკი საკუთარი აზრები არ გააჩნია, გარდა იშვიათი შემთხვევისა, და მაშინაც უმწეოა). კითხვაზე, თუ სად იყავი, რომ ასე დაიღალეო, დარეჯანი ლუარსაბს უპასუხებს: „როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, საბლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი... ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოვლა უნდა... ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას... ხანდისხან

* იხ. ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 110.
** იქვე, გვ. 110—111.

ტყუილ-უბრალოდაც უნდა დატუქსო. რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, — სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!.. ეს გლეხები არიან: გაქირ ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდაც შვინდის საბრით მოსდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს... არა, გეთაყვა, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?"

ასეთია კნეინას ჩინებული აზრები და ასე ესმის მის ბრწყინვალებას ბატონის ოჯახის მოვლა-პატრონობა. იქ, სადაც ჩვენ მრავალწერტილები დავსვით, ლუარსაბის პასუხებია, რომლებიც ზევით დავახასიათეთ. დააკვირდით მისი პასუხების ლ ო გ ი კ ა ს ა და ს ი ღ რ მ ე ს: „ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე, გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და... მაშ... მაშ! მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!.. ოღონდაც, შენი მტერი!.. ოღონდაც!.. ოღონდაც, დატუქსული უნდა გვყვანდეს... ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება... ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება", — და ავტორი დასძენს თავისი გმირის ამ პასუხებზე: „წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი" რისთვის ჩაჯერა ლაპარაკში".*

როცა ეს ფუჭი დიალოგი დამთავრდა, ერთხანს პაუზა ჩამოვარდა. ამ დროს ლუარსაბმა მიაბჯინა თვალები ჭერს, სადაც ბუზები ისხდნენ. დარეჯანი შეუდგა მატყლის წინდის ქსოვას — არ უყვარდა, როგორც თვითონვე ამბობდა ხოლმე, უსაქმოდ გაჩერება. ეს იდილიური სურათი მოულოდნელად ისევ ლ უ ა რ ს ა ბ მ ა დაარღვია, როცა მეუღლეს ჰკითხა: „დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?" კ ნ ე ი ნ ა ს როგორ შეეძლო ეს სცოდნოდა, თუ არ დაითვლიდა. ლუარსაბმა კი იმ პაუზის დროს ბუზები რამდენჯერმე დაითვალა. როცა დარეჯანმა უთხრა — „მოიცა, ჯერ დავთვალოო", ლუარსაბმა უარით უპასუხა: „ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნებაო". კ ნ ე ი ნ ა მ თ ქ ვ ა: „მაშ კარგი, ოც-და-ათი იქნება". ლ უ ა რ ს ა ბ ს ეგონა — ჩემი ჭკვიანი ცოლი მოვატყუეო და სიცილი დააყარა: „ოლოლო შენ, ვერ გამოიცან... თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან". მაგრამ, თურმე, იმიტომ გამოიცნო, რომ „კაცის გონებასთან დედაკაცის გონება" ვერ მივა, როგორც ლუარსაბი ამბობს; მას კი „მამაკაცის" გონება აქვს და ამიტომ „ვარაუდით მიხვდა", რომ ორმოცია. მაგრამ, როცა დათვალეს, ორმოცდაათზე მეტი აღმოჩნდა. „გამოიცნო?! — სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, — დიაღ, გამოიცნო. გონება აქვს ამ ჩემს ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

— გაფრენილან. თორემ ორმოცი იყო, — სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად, — სწორედ გაფრენილან.

— უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოც-და-ათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულში.

რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 111.

— დალახვრა ღმერთმა — ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

— აკი არ დამითვლიაო.

— შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა, — შემცდარვარ თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თაეის ამ ყამად გამარჯვებულს მეუღლესა"*.

ასე ატარებდნენ დროს, ერთობოდნენ და ეალერსებოდნენ ერთმანეთს თავადი და მისი კნეინა, რომლებსაც საქმე აჩ ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ვნახეთ, უსაქმობას როდი გრძნობდნენ. ზოგჯერ ეს ალერსიანი გართობა მცირე უკმაყოფილებაშიც გადაიზდებოდა ხოლმე, მაგრამ ლუარსაბის გულმოწყალება თუ სწრაფად დამთმობი ხასიათი უმალ ბოლოს უღებდა მეუღლის განაწყენებას. ბუზების იმ საარაკო თვლას, რომელიც თავადის სასტიკი მარცხით დამთავრდა, მოჰყვა ერთი მნიშვნელოვანი დიალოგი, რასაც შეეძლო შეხმატკბილებული ცოლ-ქმრის ურთიერთობა დროებით მაინც გაემწვავებინა. როცა დარეჯანმა ღიმილით უთხრა მეუღლეს — „აკი არ დამითვლიაო", ლუარსაბმა, როგორც ვნახეთ, აღიარა, შემდეგ, კი დაატანა:

— „ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

— შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

— დარეჯან!.. — უთხრა გულნატკენად და მორცხობით ლუარსაბმა, — დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

— რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

— ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

— მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, — მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიაობაზედ რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გულიც ატკინა და ტყუილ-უბრალოდაც ატკინა, — და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

— ჰო, გეთაყვა, ჰო! შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?

— პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილისშვილი, — სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, — მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია?!.. როგორ იხერხა?!..**

თუ ასე მშვიდობიანად დამთავრდა დარეჯანის გაალერსება თავის ძვირფას მეუღლესთან, ლუარსაბიც ცდილობდა ვალში არ დარჩენილიყო და მაგარ-მაგარი სატრფიალო სიტყვები ეთქვა კნეინასათვის. დარეჯანს, როგორც ქალს, არასოდეს სწყენია ლუარსაბის თუნდაც უხეში სიტყვა, ოღონდ საალერსოდ ნათქვამი ყოფილიყო. ამ მხრივ ის განსხვავდებოდა ლუარსაბისაგან, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ეწყინა, რომ „ტ უ რ ფ ა" უწოდეს, თუმცა უკმაყოფილე-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 112—113.

** იქვე, გვ. 113.

ბის საფუძველი სრულიად არ ჰქონდა. ჰამა-სმას გადაყოლილი კაცი, როცა ტრფიალების ცეცხლს იგრძნობდა, რაღაც გ ა ს ტ რ ო ნ ო მ ი უ ლ ი ი ნ ს ტ ი ნ ქ ტ ი ც გაელვიძებოდა, „თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში, არტალა ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა ამ საგნებით რა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა:

— შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? — თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწუდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულობის ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით აღტაცებულმა ლუარსაბმა, არც დარეჯანი დარჩა უსიამოვნოდ ხშირად გაუტარებიათ ამ-რიგად დრო ჩვენს ცოლ-ქმარსა".*

მაგრამ ეს არ იყო ლუარსაბის მთელი ცხოვრება. მას სხვა „საქმეებიც" ჰქონდა, რასაც თვითონვე „ბ ი ჭ ე ბ ი ს დ ა წ ი ო კ ე ბ ა ს" უწოდებდა. ამ „დაწიოკებას" საფუძვლად ედო ასე დიდი მამულ-დედულის მოვლა, ხოლო თუ რა შედეგი მოჰქონდა ბატონის საქმიანობას, შეგვიძლია კარგად დავინახოთ იმ ფაქტებიდან, რომლებიც ავტორმა ძალიან კოლორიტულად აგვიწერა. როცა მამულის მზრუნველობა ლუარსაბს ტახტიდან წამოაგორებდა, ის „ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოჯირის გადასაყუდებელთან"... დ ა მ ო უ რ ა ვ დ ა თ ო ს, საკმაოდ მოხერხებულ კაცს, საუბარს გაუმართავდა ხოლმე მეურნეობის საკითხებზე. დ ა თ ო მ კარგად იცოდა, რომ ბატონს არაფერი გაეგებოდა პრაქტიკული ცხოვრებისა, ამიტომ ყოველთვის შეეძლო იგი გაეცურებინა, თუ მოინდომებდა. მაგრამ ზოგჯერ მისი ბედიც სხვანაირად შეტრიალდებოდა ხოლმე. ბატონი ამოიჩემებდა რაღაც სისულელეს და მოურავს „რისხვას" დააყრიდა. გავიხსენოთ ო რ ი დ ი ა ლ ო გ ი, სადაც ბატონისა და მისი მოურავის ურთიერთობა მეტად დამახასიათებელი შტრიხებითაა წარმოდგენილი.

ერთხელ ბატონმა, ტახტიდან მოჯირთან მიგორებულმა, ჰკითხა თავის მოურავს:

„დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

— დიაღ, შენი ჭირიმე.

— რა ნაჭერია?

— ჩალაჯი.

— სამწვადედ?

— სუკი ვიშოვე, შენი ჭირიმე.

— ძვირფასი კაცია, — გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე, მერე დათოს ეტყოდა: — ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ. მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა

— მეზვერემ მწვანილი მოიტანა? — ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

— მოიტანა.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ, გვ. 113—114.

— ტარხუნა ხომ არის?

— გახლავს.

— კიტრი?

— კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.

— მაშ სახლი სავსე ყოფილა, — სთქვა ბატონმა სიამოვნებით.

— როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?!...

— ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, — ეს ყველაფერი იცი.

— ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე".*

ეს მშვიდობიანი საუბარი უხიფათოდ მაინც არ დამთავრებულა. მეტის-მეტად კმაყოფილმა ლუარსაბმა შემდეგ იკითხა, — ურმები თუ გაისტუმრეო? დათომ ერთხელ კიდევ ასიამოვნა თავის ბატონს, — გავისტუმრეო, — მაგრამ უბედურებაც აქედან დაიწყო. ეს უბედურება გამოიწვია ურმების რაოდენობამ. დათომ მოახსენა, რომ გასტუმრებულია „ოთხი საბატონო და ა თ ი ბ ე გ რ ი-ს ა". მაგრამ ლუარსაბმა უკმაყოფილება გამოსთქვა: „რ ა ტ ო მ ბ ე გ რ ი ს ა ხ უ თ მ ე ტ ი ა რ ა რ ი ს ო". დათომ უმალ მოუჭრა: „ხუთმეტი ჩვენ კაცებ-ში თავის გაჩენაში არ შებმულან.... დღეს საიდამ იქნებოდაო". ამ სრულიად საფუძვლიანი პასუხის მიუხედავად ლუარსაბმა მაინც ერთი ალიაქოთი ასტეხა: „ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური ხომ უნდა, მაშ მე ბატო-ნი აღარ ვყოფილვარ!... გაგონილა!... ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან".

ასეთი გაცხარებისათვის ლ უ ა რ ს ა ბ ს, როგორც აღვნიშნეთ, არავითა-რი საფუძველი არ ჰქონდა. ამიტომ დ ა თ ო გაოცდა, იფიქრა, ჩემი ბატონი „ხომ არ გავიჟდაო". არა, ლუარსაბი მაშინ არ გაგიჟებულა. მაგრამ, როცა „ეგრე უწყალოდ" გაწყრა, გარკვეულ მიზანს ისახავდა. ეს მიზანი, კ ნ ე ი ნ ა-თ ან ერთად, მას დასახული ჰქონდა, როგორც მეურნეობის ხელმძღვანელო-ბისათვის აუცილებელი, რაც შემდეგ „თეორიულ" მოსაზრებას ემყარებოდა: გლეხკაცს ისე უნდა მოეპყრას ბატონი, რომ „ყ ო ვ ე ლ ც ი ს მ ა რ ა დ ღ ე ს ე შ ი ნ ო დ ე ს". თუ გლეხკაცს ფეხზე დაისვამ, ღორის მკბენარსავით თავზე აგაცოცდება. ტყუილად კი არ ამბობს ხალხი: „შიში შეიქმს სიყვარულსაო". დარეჯანიც ამ აზრისა იყო. ამიტომ, როცა ლუარსაბი თავის ბრძნულ აზრებს ჰქადაგებდა, კნეინაც კვერს უკრავდა: „ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც!"

თავადისა და მისი კნეინას აზრებს ავტორი სასტიკად დასცინის. „ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, — ამბობს ილია, — რომ უმიზეზო და ამ-გვარ ტყუილ-უბრალო აპილპილებაზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძღარი აქვთ, ამგვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ.... ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 114—115.

„დაწიოკებასა“. დარწმუნებული იყო, რომ ეს „დაწიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვისა“.*

ლუარსაბისა და მისი მეუღლის ხასიათს ილია ისე დაწვრილებით გადმოგვცემს, ისეთი ნიუანსებით, იმდენჯერ აღნიშნავს ხოლმე ამა თუ იმ დეტალის სიმტკიცეს საერთო პორტრეტში, რომ სახეები მკითხველს არაჩვეულებრივად შთამბეჭდავი ძალით წარმოუდგება. მოქმედი გმირის თანმიმდევრული ფსიქოლოგიური გაშიშვლება ილიას შემოქმედებითი მეთოდის ერთი უძლიერესი მხარეა. იგი არ ტოვებს ლუარსაბის არსებაში არც ერთ დამახასიათებელ შტრიხს, რომ ხაზი არ გაუსვას, ისიც რამდენჯერმე. ჯერ გვიჩვენა დარეჯანი თუ როგორ აწუობდა ყმების „დაწიოკებას“, შემდეგ ლუარსაბი, მაგრამ წერტილი აქ მაინც არ დასმულა. დარეჯანთან დიალოგში ლუარსაბი კვლავ იმეორებს თავის ახირებულ აზრს ყმების „დაწიოკებაზე“, მაგრამ თვით ავტორი უცვლელად კი არ გვაძლევს ამ განმეორებას. მას შემოაქვს მანამდე უცნობი ნიუანსი, რითაც ერთი და იგივე თითქოს სხვად იქცევა და სრულიად ახალ იერს ღებულობს. ჩვენს მიერ მოხსენიებული დიალოგების შემდეგ, ავტორი გვეუბნება, რომ „დაწიოკებით“ კმაყოფილი ლუარსაბი თავის მეუღლეს ეტყოდა ხოლმე: „ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეჴო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს კი არ გასძრავს და გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა“. ახალი შტრიხი ლუარსაბის ხასიათში ის არის, რომ ბატონს ტყუილიც ჰყვარებია, ყველა სხვა მისთვის დამახასიათებელ ღირსებასთან ერთად.

ახლა აიღეთ ბედნიერი ცოლ-ქმრის კიდევ ერთი თვისება: მათ უყვართ ჴორები, ათასგვარი სულელური ზღაპრები, დაუჯერებელი ამბები, რაც სინამდვილედ მიაჩნიათ და რაც კარგად გამოხატავს ლუარსაბ-დარეჯანის გონებრივ პაუპერიზმს. როცა ისინი ამ ჴორებსა თუ ზღაპრებზე სერიოზულად საუბრობენ, ავტორი ყველგან გვიჩვენებს ლუარსაბს, როგორც გონებაშეზღუდულ კაცს, რომლის აზროვნება აღსავსეა წინააღმდეგობებით და მოკლებულია ლოგიკური მსჯელობის ელემენტარულ უნარს. ლუარსაბის ეს პიროვნული „ღირსება“, რაც ასე კარგად გამჟღავნდა ბუზების ცნობილი თვლის დროს, ყოველთვის თავს იჩენს, როგორც კი იწყება რაიმე მსჯელობა. ეს არის ხასიათის თანმიმდევრულ განვითარებაში ჩვენება. რითაც ავტორი დიდ მხატვრულ ეფექტს აღწევს და თავის გმირს მთლიანად ერთი მასალისაგან გამოკვეთილად წარმოგვიდგენს.

ლუარსაბში კონდენსირებულია არა ერთი რომელიმე თავადის უარყოფითი მხარეები, არამედ, მებატონეებისა საერთოდ, და ამიტომ იგი ტიპია, თუმცა, როგორც ცნობილია, ყოველი ცალკე ადამიანიც თავისებური ტიპია. გეგონება თითქოს მებატონეთა ხასიათების მთელი კასკადა იდგეს თქვენს წინაშე, მაგრამ ერთის სახით, როგორც მრავალის ერთში კონდენსირება. ამ ერთში უზრუნველ ბატონყმურ ცხოვრებას ისე დაუსუსტებია გონების ნათელი, როგორც ობლომოვში მიწიერი ცხოვრების არსებითი მოთხოვნილებანი. თუ რამდენად გახლართულა ლუარსაბის მოუმწიფებელი გონება ელემენტარული მსჯელობის თუნდაც სულ უმნიშვნელო ბადეში, ჩვენ უკვე

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 116.

ვნახეთ, მაგრამ ეს არ იყო ე პ ი ზ ო დ უ რ ი შემთხვევა. ბრწყინვალე თავადს ყოველთვის ეგრე ემართება ხოლმე, როგორც კი საუბარს დაიწყებს, ისიც თავის მეუღლესთან, რომელიც, ცოდვა გატეხილი სჯობია, ქმართან შედარებით ჭკვიანი გვეჩვენება, თუმცა საღი გონებისათვის ისიც ჩამორჩენილი, განუვითარებელი, რეგვენი დედაკაცია. მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი ერთმანეთთან დამოკიდებულებაში ფასდება, ხოლო რ ე ლ ა ტ ი ვ ო ბ ი ს კანონი, თუ აქ გამოვიყენებთ, მეტად ხელსაყრელი ჩანს დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს, რაკი ლ უ ა რ ს ა ბ თ ან დაპირისპირებაში მას გაცილებით მ ა ღ ლ ა ა ყ ე ნ ებს.

ყველა ეს მომენტი თუ ნიუანსი მშვენივრად ჩანს იმ დ ი ა ლ ო გ ში, სადაც ბედნიერი ცოლ-ქმარი, ათასგვარი ზღაპრებითა და ჭორებით გართულნი, მკითხველის წინაშე შიშვლდებიან მთელი თავიანთი გონებაშეზღუდულობით, და სადაც ერთადერთი, ოდნავი ნ ა თ ე ლ ი მსჯელობაში, მარტოოდენ კ ნ ი ნ ა ს შეაქვს. როცა ლუარსაბმა კვეხნა დაამთავრა (ურმები ძლივს გავაგზავნე, მე რომ არ ვყოფილიყავი, ყანა მინდორში დაგვილპებოდაო), დარეჯანმა შეაქო მეუღლის „შრომისმოყვარეობა“ და თან დასძინა: „მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთო“. მაგრამ ლუარსაბმა გაუსწორა კნეინას: „ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედო“. დარეჯანს ეჭვი შეეპარა: „მ ა შ ი ნ თ ა ვ ა დ ე ბ ი ს ა დ ი ქ ნ ე ბ ო დ ნ ე ნ ო“. ლუარსაბმა კი მისთვის დამახასიათებელი ჯიუტობით განაცხადა: „როგორ არა, იყვნენ: ჩ ვ ე ნ ი გ ვ ა რ ი მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ა ო“. თქვა და ისე შეტოპა სისულელეში, რომ კნეინამ ვეღარ მოითმინა: „რას ამბობ? ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე-რაო (ეს სრული სიმართლე იყო, ლუარსაბმა მართლა არაფერი იცოდა — გ. ჯ). მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავისთავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?“ — დასძინა კნეინამ. ლუარსაბს, როგორც იტყვიან, კოვზი ისევ ნაცარში ჩაუვარდა, იძულებული გახდა შეცდომა (უკვე მერამდენედ!) ეღიარებინა — „მართლა, ე გ კ ი ვ ე ღ ა რ მ ო ვ ი ფ ი ქ რ ე ო“. და გამაწბილებელ თემაზე ლაპარაკი უმალ შესწყვიტა, როგორც იცოდა ხოლმე ასეთი შემთხვევების დროს. ლუარსაბმა სცადა საუბრისათვის სულ სხვა მიმართულება მიეცა, ზღაპრებსა და ჭორებზე გადასულიყო, ამიტომ ჰკითხა დარეჯანს: „ის რა ხე იყო, იმათ (ე. ი. ადამმა და ევამ — გ. ჯ.) რომ ხილი მოიპარეს?

— ხე ბოროტისა და კეთილისა.

— ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

— როგორ არა: ამბობენ, რუსთ წელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო. იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიაო.

— ზურმუხტისა იქნება, — გაუსწორა ლუარსაბმა.

— ჰო, მართლა, ზურმუხტისაა, ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა; დიაღ, ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

— ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

— ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

— მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებიაო?

— აი, როგორ? ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა.

— წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

— მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებრძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთკრის საქმეა და ომი დაუწყია. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

— მაშ შერჩა, შერჩა?

— ვინ იცის ჯერ ომი არ გათავებულა.

— ნეტავი მე მამეპარა.

— ხომ დაგარჩობდნენ.

— რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჩრიდნენ.

— გაგიჩრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

— რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

— შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვიდნენ, რომ ეკითხნათ?

— მართლა, ეგ აღარ მომაგონდა".*

ლუარსაბი ისევ მახეში გაება, ამიტომ ისევ შეატრიალა საუბრის თემა. იკითხა: „ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნაო?" დარეჯანმა პასუხი არ დააყოვნა: „— კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვსო". ლუარსაბს გული დაწყდა: განა ეს არის ღვთის სამართალი, რომ ვიღაც ხელმწიფეს უპოვია, შეიძლება მას პირის გემოზე წარმოდგენაც კი არა აქვს. „მე მეპოვნა, უფრო მადლი არ იქნებოდაო?"

„— მერე ვინ შეგარჩენდა? — ეუბნება დარეჯანი, — ორასი წელიწადია თურმე მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

— აქამდინ ვერ წაართო?

— ვერა.

— პაი, პაი, პაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!..

— მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა!.. ხელმწიფე და უღონო გაგონილა!

— ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ.

— ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?

— ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!

აბა, უყურე წუთის-სოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს!

— აბა, წუთის-სოფლის ანგარიში ეგ არის და, —დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინა სდგომიყო, გააჭრობდა".**

ჩვენ ვრცლად მოვიტანეთ ლუარსაბისა და მისი მეუღლის დია-

---

* იხ. ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 116—117. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 117—118.

ლოგები. მკითხველი დაინახავდა, რომ ავტორმა თავისი გმირები პირად ცხოვრებაში არამარტო მოსწყვიტა საზოგადოებას, ჩაჰკეტა ისინი საკუთარ სახლ-კარში, გადაულოცა ფიზიოლოგიურ პროცესებს, არამედ, გვიჩვენა, რომ ბატონყმობის ანტისაზოგადოებრივი ბუნება მებატონეებსაც ანტისაზოგადოებრივ ადამიანებად აქცევს. მათ არაფერი იციან, გარდა სმა-ჭამისა, თავს ირთობენ ჭორებითა და ზღაპრებით, საერთო ენა ვერ გამოუნახავთ ახლო ნათესავებთანაც კი, ამიტომ ასე სასტიკად თავს ესხმიან მაზლსაც და რძალსაც. მათ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, რასაც საუბარში იხსენიებენ. რომ ჰკითხოთ, თუ ვინ არის ეს „კუნძულელი ხელმწიფე", განა იციან? ან რას წარმოადგენს „მაშრიყ-მაღრიბის ხელმწიფე" განა შეუძლიათ გითხრან? საკუთარ მეფეებზე — თამარსა და ერეკლეზე მათ მხოლოდ ის გაუგიათ, რომ ცოცხლები აღარაიან, პატარა კახი ძლიერი იყო, მაგრამ ეს სიძლიერეც ზღაპრული სახით წარმოუდგენიათ და არა ისე, როგორც ისტორიული ანალები გადმოგვცემენ. მათი გონებრივი ავლა-დიდება ადამ დაევას, ხონთქარისა და ფერიების, რუს ხელმწიფისა და ზღაპრების ზერელე მოხსენიებას არ გასცილებია. ერთადერთი მათი საზრუნავი ყმების „დაწიოკება", ერთმანეთის სიამოვნება და სმა-ჭამა გამხდარა.

ასე მიდიოდა ლუარსაბისა და მისი მეუღლის უდრტვინველი ცხოვრება. როცა დილით ოჯახის მოვლას, ყმების „დაწიოკებას" მორჩებოდნენ, შემდეგ იწყებოდა სხვა საზრუნავი, „მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი. პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა — როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა", — და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე". ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად ქმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელს და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაც ემცნევა ჩემ სტომაქსა". გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიაღ, — კიდევ იტყოდა, — ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, ითმამაც მშიერია". სადილის შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი,—და ესრეთ ტკბილად და აუმღვრეველად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთის-სოფლისა".*

საზოგადოებისაგან ასე განდგომილ და საკუთარ ნაპუჭში ჩაკეტილ ცოლ-ქმარს მაინც ჰყავდა, თუმცა მეტად მცირერიცხოვანი, მაგრამ ადამიანების ისეთი წრე, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონდათ. ეს ურთიერთობა უფრო ეპიზო-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 118.

დური იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთაც ვნახეთ, ლუარსაბს არ უყვარდა სტუმრიანობა მხოლოდ იმიტომ, რომ ტახტიდან უნდა წამომდგარიყო (ეს კიდევ არაფერი) და ტანთ ჩაეცვა (ამას კი ვეღარ იტანდა). ადამიანების ეს წრე ავტორმა თანდათან გაგვაცნო ერთი იმ მშვენიერი საღამოს აღწერით, როცა ბედნიერი და თვითდაჯერებული ცოლ-ქმარი ეზოს ჩრდილში ისვენებდა. საღამოობით „...კნეინა დარეჯანი ერთ ბალან-გაცივებულ ხალიჩას ჩრდილში გაშლევინებდა და დაბძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალსავით თავდახურული, წარბებ-აჩიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა — და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალშუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია“.*

ცოლ-ქმრის ამ იდილიურ განცხრომას ავტორი ურთავს ირონიას კ რ ი ნ ო ლ ი ნ ზ ე, რომელიც იმ დროს დარეჯანს არ ჰქონდა, ჩვეულებრივად კნეინას ტანსაცმლით იყო გამოწყობილი, და კიდევაც რომ ჰქონებოდა, ლითონის სალტეებზე დამაგრებული ეს ფართო ქვედატანი, ფრანგული მოდისა, „ს ო ფ ლ ი ს ო რ ღ ო ბ ე ე ბ შ ი ა ც ვ ე რ გ ა ე ტ ე ო დ ა“. მაგრამ დარეჯანი მაინც კარგად გრძნობდა თავს, საღამოობით ყოველთვის „გამოიპრანჭებოდა ხოლმე“ და მომსვლელს თავდიშვილური პატივმოყვარეობით დახვდებოდა.

იმ მშვენიერ საღამოსაც თათქარიძეების კარ-მიდამოს „ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა“ ბ ა ბ ა ლ ე მ მიაკითხა და კნეინას სთხოვა: ჩვენი კამეჩი მეველეებს დაუჭერიათ და ბატონმა გამოამშვებინოსო. დარეჯანმა უმალ უარი სტკიცა, მაგრამ როგორც კი ბაბალემ საჩუქრად „ე რ თ ი გ ა ბ მ ა ა ბ რ ე შ უ მ ი“ მიართვა, კნეინამ, თითქოს აქ არაფერიაო, ასევე უმალ მოუჭრა: „ეგ რომ არ ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან, ა რ გ ა გ ი რ ი გ ე ბ დ ი!“ ქრთამი აქაც ჯოჯოხეთს ანათებს. ლუარსაბიც ისევე იქცევა, როგორც მისი მეუღლე. როცა დარეჯანმა დაუძახა, ლუარსაბი „შორი-ახლო ბოლთასა სცემდა და ერთი-ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალით გადმოჰხედა კიდეც მოხდენილ პატარძალსა“. დარეჯანმა ბატონს მოახსენა: „— ქა, ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება — გამოაშვებინო.

ლუარსაბმა შეხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამ-და სამაცდუროდ გაიღიმა.

— კამეჩიო!..

— ჰო, კამეჩი, — დაატანა დარეჯანმა, — აი, ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

— მაშ კარგი!.. დათო! ბიჭო! დათო! — დაიყვირა ლუარსაბმა, — ჩადი და უზბაშს უთხარი, ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ.

სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლთის საცემლად“.**

ლუარსაბს ტახტიდან წამოდგომა ეზარება და აქ კი ისე იმუქრება, თითქოს მართლაც გ ა რ დ ა ნ ჭ ე შ ა ნ ი იყოს. თავის შინაგან უძლურებას იგი გა-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 119.

** ი ქ ვ ე, გვ. 120.

რეგნული საშუალებებით ფარავს, როგორც მისი კნეინა, რომელიც ყოველმხრივ ცდილობს მეუღლის არარაობა სხვის თვალში გააქარწყლოს, ლუარსაბს ავტორიტეტი შეუქმნას და ბაბალესაც ამიტომ ეუბნება: „— ჰხედავ... ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებსო“. მოხერხებული გლეხქალი, რომელსაც ცხოვრებამ ასწავლა, თუ როგორ მოიქცეს, ეს მომენტი არ გამოჰპარვია, მან კარგად იცის თათქარიძეების ავლა-დიდება და იძულებულია პირფერულად აქოს თავისი ბატონი: „დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ“ შეიძლო ასეთი რისხვის გაგზავნაო. დარეჯანი ცდილობს უფრო მეტად ისარგებლოს ბაბალეს კეთილი განწყობილებით, მეუღლის სახელი გააზვიადოს და მაზლისა (დავითის) დაამციროს. „ეგეც ხომ. — ეუბნება დარეჯანი ბაბალეს, — მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით. ჭემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებსო“, ეს სულ ტყუილი იყო. ლუარსაბს არავითარი დიდი (კარგი) სახელი სოფელში გავარდნილი არ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ ბატონად იცნობდნენ, ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ, მაგრამ ბატონყმური წყობილების პირობებში აშკარად ვინ გაბედავდა თავადის დამცირებას. ამიტომ უქცევს ბაბალეც: „— აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადის-შვილის ცოლია და თქვენცა?“ ეს მლიქვნელობა დარეჯანს ძალიან ახარებს, არანაკლებად ის, რომ ბაბალემ ელისაბედზე დასძინა: თავის გოგოსა ჩითმერდინი წაართვა და თავს იმით იკრავსო. გახარებული დარეჯანი, რაკი რძლის ძაგება მოისმინა, თავს ვეღარ იკავებს: „...დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადის-შვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა“.

როგორც ვხედავთ, წართმევა დარეჯანსაც გამართლებულად მიაჩნია, მაგრამ ყმისათვის წართმეული ჩითმერდინი კნეინამ თავზე არ უნდა წაიკრას — ესაა თურმე მთავარი. მაგრამ ის, რაც ელისაბედზე გაიგო, ჭორია თუ მართალი, დარეჯანს არ აკმაყოფილებს. მას სურს უფრო მეტი შეიტყოს, თავისი რძლის ცუდი ამბების მოსმენა არასოდეს მობეზრდება. ამიტომ დაჟინებით სთხოვს ბაბალეს — მითხარი, კიდევ რა გითხრეს ელისაბედის ცუდიო, მაგრამ რაკი ვერას გახდა, საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა. როცა შეიტყო, რომ ბაბალეს შვილს თავი სტკივაო, შაკიკის შელოცვა ურჩია, ჩემს დაწერილ ქაღალდს მტკივან მხარეზე დაადებ და ორ-სამ დღეში გაუვლისო. ავტორმა აქ ირონიული შენიშვნა ჩაურთო: „ვერ უყურებთ, მკითხველო! კნეინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იშაჰებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ: რძალი — როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი — რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?“*

მაგრამ მტერიც არის და მტერიც. ორი ძმის — დავითისა და ლუარ-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 122.

საბის ოჯახი რძლებიანად ისეა გადამტერებული, რომ მათ შორის პირფერულ საუბარშიც კარგად ჩანს, თუ რა ზომამდე შეუძულებიათ ერთმანეთი. ისინი მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, ოღონდ გული ატკინონ ერთმანეთს და თავი უკეთესად მოაჩვენონ. პირფერობა, სიცრუე, ჭორები, ცილისწამება, ურთიერთის გაკილვა — ისეა ფეხმოკიდებული ამ ძველი თავადიშვილების გაყოფილ ოჯახებში, რომ სხვაგვარი დამოკიდებულება მათ ვერც წარმოუდგენიათ. ლუარსაბს ამ მხრივ პირველობა ვერ დაეთმობა. ის მხოლოდ დამატებას წარმოადგენს დარეჯანის ქსელში, მაგრამ ცოდვა იქნება ფანატიკური ერთგულება არ დავუფასოთ. რასაც დარეჯანი ცუდს იტყვის დავითის ოჯახზე, ლუარსაბი განურჩევლად კვერს უკრავს, ოღონდ თავისი ძმისა და რძლის სახელი მიწასთან გაასწოროს. ავტორი დიდი ოსტატობით ახერხებს თათქარიძეების ეს შინაგანი მახინჯი სულიერი მხარეები მკითხველის თვალწინ რელიეფურად გააშიშვლოს და ნაწარმოების მოქმედ პირთა წვრილმან „მე"-ში ჩაგვახედოს. ის ხშირად მიმართავს მოვლენებისა და ფაქტების ჩვენებაში კონტრასტულ მეთოდს, რათა სურათი უფრო ნათლად გვიჩვენოს. ასეა, მაგალითად, დარეჯანისა და ელისაბედის ჩვენთვის პირველი შეხვედრისას, იმ დროს, როცა ბაბალესთან საუბარში ერთადერთი რძალი მიწასთან გაასწორა და სწორედ ეს რძალი თავს წამოადგა. დარეჯანისათვის არაფერს ნიშნავს სასტიკი ძაგებიდან პირფერულ ქებაზე გადავიდეს, თითქოს ძალიან ესიამოვნა ელისაბედის მოსვლა „იმის ჩითმერდინით დარბეულ, გულდაჩაგრულ გოგოსთან" ერთად. ორივეს გულში ბოღმაა დაგუბებული, მაგრამ ისე ეალერსებიან ერთმანეთს, ისე პირფერულად უქცევენ საალერსო სიტყვებს, თითქოს სიყვარულით იწვოდნენ. მთელი ეს სცენა ისე მშვენივრად გვიხატავს დარეჯან-ლუარსაბისა და ელისაბედ-დავითის დამოკიდებულებას, რომ უმჯობესია უშუალოდ გავეცნოთ, ვიდრე ჩვენი სიტყვებით გადმოვცეთ.

როცა დარეჯანმა იკითხა — ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევსო, ელისაბედმა პასუხი არ დააყოვნა: შინ არა ბრძანდება, „აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულის და მოსავლის პატრონი? — ყანაშია, ეს ორი დღეც იქნება, — სთქვა რაღაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიცა.

დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნივა.

— რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, — რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა, და ვინც ასე გაზრდილა პატარაობითვე — რომ არც მზე დასაცხავს და არც ავნებს, ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

— განა მაგაზედ მოგახსენე! — დაასწრო ელისაბედმა.

— მეც განა მაგაზედ მოგახსენე! — დაატანა დარეჯანმა, — მე მარტო ეს უნდა მეთქვა, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

— გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ, ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისაგან, რომ გაჭირებულია, ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსავით მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი იწუროს? თქვენც არ მამიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, — განა გლეხია, ან გლეხობას

იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამაზი ნაგეში მი-მინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც, ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჰირიმე, მეფეები ნა-დირობენ და იმისათვის რა სათაკილოა!..

— არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთი სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი, რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქე-ბაში დაისიცხება? განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, — და, სწორედაც მოგახსენოს, არც საკადრისია: თავადს — თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს — გლეხობა“.*

რამდენი პირფერობა, ამპარტავნობა, უპრინციპობა და დაცემული ზნეობა ჩანს ამ ორი დედაკაცის საუბარში. მათ ემატება მანამდე განზე მდგარი ლუარსაბი, რომელიც შემდეგ მოვიდა „ახალუხ და შალვარ-ჩაცმული“ (მადლობა ღმერთს!) და მიუხედავად რძლისადმი სიძულვილისა, მოიკითხა „ზრდილობიანად“ ელისაბედი, მაგრამ არ დაუყოვნებია — „გაგორდა იქავ ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ და, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულ მუცელზედა, — დაუწყო პირაღმა ყურება გუმბათიან ცასა“.

აი, მთელი სურათი იდილიური განწყობილებისა! ამ სურათს კიდევ ემატება დარეჯანის გოგო — ლამაზისეული — ეს ცოცხალი საკოდაობა, რომლისთვისაც მშვენიერების აღმნიშვნელი სახელი იმიტომ შეურქმევიათ, რომ სახელის გარდა ყველაფერი წაერთმიათ. სახელი კი ისეთი აქვს, რომ ესეც დამცირების, აბუჩად აგდების სინონიმია და არა მისი ღირსების გამომხატველი. მას აღარაფერი შერჩენია, რაც ოდნავ მაინც გაამართლებდა შერქმეულ სახელს. პირიქით, ყველაფერი სახელის — ლამაზისეულის საწინააღმდეგო აქვს. იგი მთელს მოთხრობაში სამჯერ გამოჩნდება მკითხველის თვალწინ და სამივეჯერ თავისი „ბრწყინვალებით“: პირველად ელისაბედის მოსვლის დროს, მეორედ, როცა დარეჯან-ლუარსაბი თელეთში მიდიან, რომ ღმერთს შვილის შეძენა სთხოვონ, და მესამედ — მკითხავის დაძახებისას. გამოჩნდება და ვხედავთ, რომ ბატონყმურ ცხოვრებას ისე დაუჩაგრავს, ისე დაუმონებია ეს უწყინარი არსება, როგორც პირუტყვი, სასაციილოდ გაუხდია იგი, თუმცა უფრო შესაბრალებელია, ვიდრე დაცინვის ღირსი.

და ჩვენ ადამიანური გულისტკივილით ვუსმენთ ავტორს, რომელიც გვეუბნება: „სასაციილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჰუჰყიანი, ტანზედ ეცვა ხამის ჩითის კაბა, ჰუჰყისაგან ვერ გაირჩეოდა — რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომ და იუბკაა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგა-და-შიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი — უკაცრავოდ არ ვიყო — წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 123—124.

-ამოშვეროდა. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები, ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული — აი, ამ-გვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულ-ხელ-დაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვივნულ ხალიჩასა“.* განა ეს გულსატკენი პორტრეტი არ არის ადამიანისა, რომელიც ცხოველს დამსგავსებია და ავტორიც არ მორიდებია მისთვის ეს სახელი ეწოდებინა?

მაგრამ ლამაზისეული მარტო როდია. ელისაბედის გოგო, რომელსაც ქალბატონმა ჩითმერდინი წაართვა და ახლა დარეჯანთან სტუმრობის დროს თან ახლავს, განა ისიც „დარბეული, გულდაჩაგრული“ არ არის, როგორც ავტორმა გვითხრა? მათ გვერდით თათქარიძეების იდილიური სურათის აღწერისას, ჩვენ კიდევ ეხედავთ ასევე დაჩაგრულ არსებას — „პატარა ბიჭს“, რომელსაც ძაღლის ბედი ენატრება. „იქით, ხალიჩის დასწვრივ, — გვეუბნება ავტორი, — ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს, ისევ-ისე მიწაში ცხვირწაყოფილი და ჭანცმოწყვეტილსავით თვალებ დახუჭული; ყოველს ხმაურობაზედ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ-მოსულსავით ჰღრინავს, თითქო ჯავრობსო — რომ ძილს უფრთხობენ. პატარა შორი-ახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატრისო მის ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილიყავი!“**

თუ რა მწარე უნდა იყოს ადამიანის ხვედრი, რომ ძაღლის ცხოვრება ინატროს, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს. ავტორსაც ამის თქმა უნდა — ბატონყმურ პირობებში ყმები გაძაღლებულად ცხოვრობენ, მათ წართმეული აქვთ ელემენტარული ადამიანური თვისებები, მებატონეებმა ისინი პირუტყვულ მდგომარეობაში ჩააგდეს. ლამაზისეული, ელისაბედის გოგო, შემდეგ ეს საბრალო „პატარა ბიჭი“, ქოფაკი ძაღლის ბედს როშენატრის — თითქო მინიატურული გალერეაა მათსავით დაბეჩავებული, უფლებაწართმეული, ცხოველურ არსებობამდე მიყვანილი უთვალავი ადამიანებისა, რომლებსაც ყმა-გლეხები ეწოდებათ და რომლებიც ლაბა ხარებივით ბატონყმურ უღელში შებმულან. და მათ გვერდით, როგორც სრულ კონტრასტს, ჩვენ ვხედავთ უზრუნველობით, პირფერობითა და ნებივრობით მაძღარ მებატონეებს, უსაქმობით რომ ერთობიან, ხოლო ერთი მათგანი — თავადი ლუარსაბ თათქარიძე — „ბალახებზედ ხალისიანად ჰქშენს... პირალმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, — ვნახო, ღრუბლებამდინ ავა, თუ არაო“. მეტი საქმე მას არა აქვს, თუმცა მოსავლის აღების პერიოდია, სხვა, უფრო გონიერნი, ყანებში არიან გასულნი, როგორც დავით თათქარიძე, ნადირობენ მაინც, თუ საქმეს არ აკეთებენ. ქალები კი ჰორიკანობენ და პირფერობენ. დაბეჩავებული გოგოების სრულ კონტრასტს მათი კნეინები წარმოადგენენ. ისინი სხედან ხალიჩაზე,

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 124–125.
** იქვე, გვ. 125.

გარეგნული სახით განსხვავებულნი, მაგრამ შინაგანი სულით ერთმანეთის ძვალ-ხორცნი: „ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს (ბაბალეს შვილისათვის შელოცვას — გ. ჯ.), გამხდარი კი თვალ-გაფაციცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შეატყო, რასა სწერსო (როგორც ვხედავთ, ელისაბედი დარეჯანზე არანაკლები ცნობისმოყვარეა — გ. ჯ.); ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვერება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ „წეღან რომ სთქვა — „წვაიდაო“, ვიზედა სთქვაო“ (აქედანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ელისაბედი დარეჯანს ჰორიკანობაშიც არ ჩამორჩება — გ. ჯ.). გოგოც იქიდამ ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშინ გოგო პირზედ ხელს იფარებს, თავს იქით იბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც — რომ ელისაბედი ჰცდილობს და ვერ მიმხვდარა კი, და ჰმორცხობს კიდეც — რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს“.*

ასე დაწვრილებით აგვიწერა ავტორმა ბატონყმური ცხოვრების ეს ერთი მ ი ნ ი ა ტ უ რ უ ლ ი ს უ რ ა თ ი და არ დაუყოვნებია მისთვის „ს ა ძ ა გ ე ლ ი“ ეწოდებინა. კონტრასტების მეთოდი აქაც მშვენივრად არის გამოყენებული: შეადარეთ ეს მართლაც „საძაგელი სურათი“ იმ მშვენიერ, „დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრიხებოდა ერთ გაუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი“, და თქვენ ნამდვილად იგრძნობთ ამ კონტრასტს — რა დ ა ც ე მ უ ლ ი ა პირველი, როცა ასე დ ი დ ე ბ უ ლ ი ა მეორე. ეს არ არის მხატვრული შედარება. ილია ამ კონტრასტის ჩვენებით მიზნად ისახავს მკითხველის გულში დიდი სინანულის გრძნობა აღძრას, შთააგონოს, რომ სამარცხვინოა ბუნების ამგვარ მშვენიერებას ადამიანების ასე დაცემული ცხოვრება ამცირებდეს. მოთხრობაში ყველაფერია გამოყენებული ბატონყმური წყობილების მიწასთან გასასწორებლად, იმის ნათელსაყოფად, რომ ელემენტარული ადამიანური აზრიც არ შეიძლება არსებობდეს, რომელიც ამ ველურ ყოფას გაამართლებდა.

შური, მტრობა, ქიშპობა, პორები, მლიქვნელობა — აი, რა ახასიათებთ მებატონეებს, ქალებსა და კაცებს. ყველაფერი ეს ჩანს ზემომოხსენებულ დ ი ა ლ ო გ შ ი, რომელიც გრძელდება და ამჯერად მოსავალს შეეხება. მაგრამ არ იფიქროთ, მოსავლის ბედი აინტერესებდეთ დ არ ე ჯ ა ნ ს ან ე ლ ი ს ა ბ ე დ ს. მათ მხოლოდ ის აზრი ეზოძრავებთ, გაიგონ, ვის მეტი შემოსავალი ექნება. ე ლ ი ს ა ბ ე დ ი ცალკე ტრაბახობს, დ არ ე ჯ ა ნ ი კიდევ ცალკე, თუმცა არც ერთმა ნამდვილად არ იცის რამდენი იქნება. ორივე იკვეხნის — პური ოცდაათი ურემი მოგვივაო, მაგრამ ორივე გაკვირვებულია: ელისაბედი ამტკიცებს, ჩვენ თქვენზე მეტი ნახნავი გვქონდა წელსო, დარეჯანს კი პირიქით ჰგონია. რძლები ვერ თანხმდებიან, დარეჯანი ლ უ ა რ ს ა ბ ს იშველიებს, თუმცა მან იმდენი იცის ამ საქმისა, რამდენიც წერა-კითხვა. მაგრამ მის ენებას ეს როდი აღონებს. „აი, ბატონო, თუნდ ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინებაო“. თავადმა კი ასეთ შემთხვევებში წრეშეუწერელი ტ რ ა ბ ა ხ ი იცის. საკმარისი იყო დარეჯანს თავისი მეუღლისათვის ჩაეწვეთებინა — „შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვქონდაო“, რომ ლუარსაბს ტყუილებისა და ტრაბახის გუდისათვის პირი მოეხსნა: „ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი (ხედავთ, ოთხი! — გ. ჯ.) თქვენოდენა ნახნავები მქონდა, — მიუგო ლუარსაბმა.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 125.

ამ გვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა. — რას ბძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი, ჰნახავ, რამოდენა ფრთა-მოქცეულს წამოვაყენებ კალოზედა. ასეთს წამოვაყენებ რომ... რომ... აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო (თუმცა ლუარსაბს თვალითაც არ უნახავს — გ. ჯ.). შარშან ვენახის არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა. ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვათ. მაშ! თუ ეს მართალი არ იყოს, საიდამ ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდამ? ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ეგზავნი, თავადიშვილის სიხსლს ხომ არ შევარცხვენ! სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო. თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი“.* დარეჯანისათვის ეს უკვე საკმარისი იყო, ამიტომ მეუღლეს სიტყვა ჩამოართვა, თუმცა ლუარსაბს ჯერ არ სურდა ერთმანეთში არეული ტყუილი და ტრაბახი შეეწყვიტა.

საუბარი შეეხო ლუარსაბის მიერ დაყენებულ საკითხს, რომ თავადმა არ უნდა იკადროს ქირაზე ურმების გაგზავნა, ეს გვარის დამამცირებელია; თავადიშვილები — ლევანი და ნიკოლოზი კი თურმე ურმებს აქირავებენ. სირაჯობენ კიდეცა, „წახდა ხალხი“, — დაასკვნის ლუარსაბი. „მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მომიკვდება“, — ამბობს ისევ თავადი. ამ აზრს უყოყმანოდ იზიარებენ ელისაბედიცა და დარეჯანიც. არც მე ვიკადრებდი, — წამოიძახებს ლუარსაბი „იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამის ქვეყნის ბედი გადაწყდაო“. სად გაგონილა, რომ თავადიშვილები სირაჯობდნენ? „ეხლა ისღა აკლიათ, ადლი ამოიჩარონ იღლიაში, სოფელ-სოფელ იარონ და „სავაჭრო, სავაჭრო“ იძახონ“, — დასძენს გულნატკენი ლუარსაბი. თავადიშვილების ასე გადაგვარებას ადასტურებს „ენაჭარტალა ელისაბედიც“. თურმე, გუშინ, ზაქარიას ცოლს ფეხიდამ ჩუსტი თუ ქოში წაუძვრია, გამოკიდებია მოსამსახურე ბიჭს და უცემია. — იქნებ პატარა ბიჭი იყო? — არა, დასძენს ელისაბედი, „პატარა ბიჭს რომ სცემოს, ეგ არაფერი: აი, მეცა ვსცემ ხოლმე... მეცა, თქვენმა მზემ, — უპასუხა დარეჯანმა, — პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა რომ გოგოს სცემოს, არ დაიძრახება, ისე პატარა ბიჭს რომ სცემოს, არაფერია. — რასაკვირველია, — ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა, — პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიძრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეებას, — ვერაფერია, თქვენმა მზემ“. მოსამსახურეების ცემა, როგორც ვხედავთ, ორივე ქნეინას კანონიერად მიაჩნია, არც ლუარსაბია წინააღმდეგი, პირიქით, თავადი უფრო შორს მიდის: „ცემა არაფერია, — ამბობს იგი, — მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, — იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა, — მაგრამ კაცმა კაცს უნდა სცემოს, დედაკაცისაგან რომ არა თქმულა! რომ არ გაგონილა! აი, გოგო ჰყავს, გოგოს რამდენიც უნდა სცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი.. ღმერთო, დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან“.** ჰხედავთ, ლუარსაბს როგორ წარმოუდგენია თავისი ბატონობა? — „მინდა ვცემ, მინდა არაო“, და ეს სავსებით კანონიერ მოვლენად მიაჩნია. ასევე ფიქრობენ დარეჯანი და ელისაბედი. მათთვის მბოლოდ ის არის საკვირველი, რომ ქალბატონმა მოსამსახურე ვაჟკაცს სცემა, ისე, თვითონაც კარგად იციან ცემა

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 126.
** იქვე, გვ. 128.

საერთოდ, ოღონდ გოგოებისა. ბიჭების ცემა კი თავიანთი ქმრებისათვის მიუნდვიათ.

მორალიც ასეევე ესმით ჩვენს მებატონეებს. როცა ელისაბედი მოჰყვება ამბავს, რომ „იმ წუწკს ნიკოლოზს“ თავისი მოახლისათვის არშიყობა დაუწყია და ჭალბატონი შესწრებია, ლუარსაბი კვლავ განცვიფრდება არა თვით ამორალურ ქცევაზე თავად ნიკოლოზისა, არამედ, მხოლოდ იმის გამო, რომ „არ გაგონილა, ყურით და ენით არა თქმულა... ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები“. მთელ უბედურებად მას მიაჩნია ეს აშკარა ხასიათი ღალატისა, თორემ ჩუმად, სხვამ რომ არ გაიგოს, დასაშვებია. ნიკოლოზს „ჩუმად რომ მოეხდინა, — ამბობს ლუარსაბი, — ვინ რას იტყოდა?.. განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს — რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ, — ბევრი მაგისთანები მომხდარა უწინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიანთ. ნამუსი აღარ არის, არა, წახდა ქვეყანა“.* ასე ფიქრობს ლუარსაბი, ასე იცნობს წარსულს და ასეთია მისი მორალური კოდექსი.

მაგრამ ქვეყნის წახდენის ყველაზე სამწუხარო ფაქტი, ელისაბედის ნათქვამიდან, ლუარსაბისათვის თურმე წინ იყო. ეს ფაქტი რომ ეთქვა, როგორც ყველაზე დიდი საიდუმლოება, ელისაბედმა გოგო-ბიჭები დაათხოვნინა.

რა იყო თვით საიდუმლოება?

მოთხრობის ფაბულა გასული საუკუნის 60-იან წლებს მოიცავს, იმ პერიოდს, როცა რადიკალურად დაისვა საგლეხო რეფორმის საკითხი. ბატონყმობის პრობლემა, მოყოლებული რადიშჩევის დროიდან, დიდხანს აწვალებდა რუსულ ლიტერატურას, ხოლო 1853—1856 წლების ომმა, რომელმაც მონარქიული რუსეთის შინაგანი წინააღმდეგობანი მკვეთრად გამოამჟღავნა, კიდევ უფრო მწვავედ აგრძნობინა საზოგადოებას საგლეხო რეფორმის აუცილებლობა. ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა, როცა 1855 წლის 18 თებერვალს გარდაიცვალა ნიკოლოზ პირველი — პალკინად წოდებული თავისი ჟანდარმული პოლიტიკის გამო, და ტახტზე ავიდა ალექსანდრე მეორე. მდგომარეობის დაძაბულობა მოვლენებს აჩქარებდა. ჯერ კიდევ 1853 წელს გერცენმა ლონდონში დააარსა თავისუფალი რუსული სტამბა, ორი წლის შემდეგ დაიწყო ჟურნალ „პოლიარნაია ზვეზდას“ გამოცემა; ერთი წლის შემდეგ ლონდონში მასთან ჩავიდა ოგარიოვი, რომელთანაც ერთად გერცენს ვორობიოვის მთებზე საღმრთო ფიცი ჰქონდა დადებული, რომ მთელ სიცოცხლეს ხალხის სამსახურს შესწირავდნენ. 1956 წლის 30 მარტს მოხდა ისტორიული აქტი: ალექსანდრე მეორე სიტყვით გამოვიდა მოსკოვის თავადაზნაურობის წინამძღოლებთან და წამოაყენა აზრი, რომ ბატონყმობის გაუქმება აუცილებელი ხდება, უმჯობესი იქნება იგი მოვახდინოთ ზევიდან, ვიდრე ქვევიდან განხორციელდებოდესო.

მღელვარე 60-იანი წლები უკვე ძალაში შევიდა, მას შემდეგ, რაც ჩერნი-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 129.

შევსკიმ თავისი სამაგისტრო დისერტაცია დაიცვა. დაიწყო საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა (ხარკოვში, მოსკოვში), 1856 წელს დობროლუბოვმა თანამშრომლობა დაიწყო „სოვრემენიკში“, ერთი წელიც და ლონდონში 1 ივლისს გამოვიდა „კოლოკოლი“, რომელიც „ცოცხლებს ეძახდა!“ სწორედ იმ წელს დაიწყო რუსეთის იმპერიაში სტუდენტთა მღელვარებანი. ოგარიოვმა შეადგინა ერთიანი რევოლუციური ორგანიზაციის გეგმა. ერთი წლის შემდეგ მთავრობამ გააფორმა როსტოვცევის ცნობილი სარედაქციო კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა გლეხთა შესახებ დებულების პროექტი. საგლეხო რეფორმა მზადდება, ჩერნიშევსკი გერცენთან მოსალაპარაკებლად 1859 წელს მიემგზავრება ლონდონში. იმავე წელს მოსკოვის სტუდენტები აყალიბებენ მოსოლოვისა და ზაიჩნევსკის რევოლუციურ წრეებს. სტუდენტთა ასეთივე წრეები მუშაობენ ხარკოვსა და კიევში. 1860 წელს თავისუფალი ტამბა არსდება მოსკოვშიც. ნიკოლოზ სერნო-სოლოვიევიჩი მიემგზავრება ევროპაში, პირადად გაეცნობა გერცენსა და ოგარიოვს. „სოვრემენიკში“ ხდება განხეთქილება.* იწერება ჩერნიშევსკის სახელგანთქმული პროკლამაცია — „საბატონო გლეხებს“. 1861 წლის 19 თებერვალს ალექსანდრე მეორე ხელს აწერს მანიფესტს და რუსეთში უქმდება ბატონყმობა, ხდება გლეხების ფიქტიური განთავისუფლება, რასაც ჩერნიშევსკიმ „სისაძაგლე“, გლეხთა მოტყუება უწოდა. 19 თებერვლის მანიფესტი ქვეყნდება იმავე წლის მარტში (5-7). რეფორმის პასუხად მარტშივე იწყება გლეხთა მღელვარებანი, რასაც მეფის მთავრობა სისხლის მორევში ახრჩობს (პენზისა და ყაზანის გუბერნიებში). მაგრამ გლეხთა მღელვარებანი უკვე ედება რუსეთის 28 გუბერნიას, შემდეგ 32-ს. არსდება საიდუმლო რევოლუციური ორგანიზაცია „მიწა და თავისუფლება“. მღელვარება თანდათან ედება რუსეთის სხვა გუბერნიებსაც. იწყება სტუდენტთა მღელვარებანი და რევოლუციონერთა დაპატიმრებანი (მიხაილოვი, ობრუჩევი, პისარევი, ჩერნიშევსკი, სერნო-სოლოვიევიჩი, შელგუნოვი და მრავალი სხვ.). დაპატიმრება არც დობროლუბოვს აცდებოდა, მაგრამ იგი უკვე ადარ იყო ცოცხალთა შორის — გარდაიცვალა 1861 წლის 17 ნოემბერს.

მეფის მთავრობა 1861 წლის 24 სექტემბერს ხურავს პეტერბურგის უნივერსიტეტს, 27 სექტემბერს იწყება სტუდენტთა არეულობანი მოსკოვშიც. იბეჭდება შელგუნოვის რევოლუციური მოწოდება — „ჯარისკაცებს“. 12 ოქტომბერს მასობრივად სცემეს და დააპატიმრეს პეტერბურგის სტუდენტები (მათ შორის ბევრი ქართველიც იყო). იგივე ხდება მოსკოვში. 1862 წლის 14 მაისიდან იწყება გავრცელება რევოლუციური მანიფესტისა — „ახალგაზრდა რუსეთი“. იმავე დროს ეწყობა პეტერბურგის ცნობილი პროვოცირებული ხანძრები, რისი მოწმეც ხდება ნიკოლაძე. იხურება საკვირაო სკოლები, რომლებიც 1859 წლიდან არსებობდნენ. „მიწა და თავისუფლება“, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა, ფართოდ აჩაღებს მუშაობას, აქვეყნებს ჟურნალებს და ავრცელებს პროკლამაცია-მოწოდებებს. ჩერნიშევსკის ახლო მეგობარსა და ფანატიკუ-

* ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. II, 1955 წ., გვ. 160.

რად განძადიდებელს — ოფიცერ ს ე რ ა კ ო ვ ს კ ი ს 1863 წლის 15 ივლისს სიკვდილით სჯიან ვ ი ლ ნ ო შ ი. რამდენიმე თვის შემდეგ იქვე იღუპება კ ა ლ ი ნ ო ვ ს კ ი. „მიწა და თავისუფლება“ იშლება. 1864 წლის 19 მაისს მ ი ტ ნ ი ნ ს მოედანზე ხდება ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი ს სამარცხვინო სამოქალაქო დასჯა და რაზნოჩინცების ბელადს ციმბირში ასახლებენ, სადაც იგი უკანასკნელად ნახულობს მომაკვდავ პოეტს — მ ი ხ ა ი ლ ო ვ ს (ორივე გასცა პროვოკატორმა პოეტმა ვსევოლოდ კოსტომაროვმა).*

ეს მღელვარე ამბები საქართველოშიც აღწევს. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, პეტერბურგში სწავლის დროს, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვნახეთ, 60-იანი წლების ცენტრში იყო და საქართველოში დაბრუნებისთანავე აჩაღებს ბრძოლას ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. მაგრამ, თუ როგორ სატირიკულ ფორმაში გვიჩვენა ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ი ს რეაგირება პირველ ცნობებზე — ბატონყმობა შეიძლება გაუქმდესო, კარგად შეგვიძლია დაეინახოთ იმ დიალოგში, რომელიც ე ლ ი ს ა ბ ე დ ს ა და მის მ ა ზ ლ-რ ძ ა ლ ს შორის გაიმართა.

სრულიად კონსპირატიულ ვითარებაში ე ლ ი ს ა ბ ე დ მ ა აცნობა მ ა ზ ლ ს ა და რ ძ ა ლ ს, რომ იმ დღეს, როცა „კ უ დ ი ა ნ ი ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი ამოვიდა“, თურმე „გ ვ ე ლ ე შ ა პ ი გ ა მ ო ს დ გ ო მ ო და მ ზ ე ს“, სომხების ტერტერებს კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი გაუშლიათ, უთქვამთ, რომ „თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ე ბ ს ყ მ ე ბ ი ჩ ა მ ო ე რ თ მ ე ვ ა თ ო“. ამის გაგონება ლ უ ა რ ს ა ბ ი ს ა თ ვ ი ს პირდაპირ საშინელება იყო: „ვაი შენს ლუარსაბასა! — წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა, — ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვეველინა... წავალ ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები“.** ძნელი წარმოსადგენია, თუ რა დაემართებოდა მოთმინებიდან გამოსულ ლ უ ა რ ს ა ბ ს, ისევ დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს განთქმულ ჰკუას რომ არ ეხსნა მდგომარეობიდან. როცა გაცხარებული მეუღლე დაინახა, დარეჯანმა ნუგეში სცა: სომხებმა კარაბადინს რა დაეჯერება, შარშანწინაც სთქვეს, რომ ხარს, რომლის რქაზედაც დედამიწა დგას, ერთი რქა მოსტეხია, დედამიწა უნდა გადაბრუნდესო. მაგრამ ტყუილი გაზოდგა, გარეჯელმა მკითხავმა სთქვა — არც რქა მოტეხილა და არც დედამიწა გადაბრუნდებაო.

ლუარსაბი დამშვიდდა, გარეჯელი მკითხავის ნათქვამი თვითონაც გაიხსენა, ისიც დაუჯერებლად მიიჩნია, რომ თავადობას, „მ ე ფ ი ს ე რ ე კ ლ ე ს ნ ა ბ ო ძ ე ბ ს, ს ო მ ხ ი ს კ ა რ ა ბ ა დ ი ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ“ ვინმე წაართმევს. ისიც კარგად იცის, რომ თუ ყ მ ე ბ ი ს წ ა ა რ თ ვ ე ს, „რ ი ს ღ ა თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ი ვ ი ქ ნ ე ბ ი თ“. არა, ყმების ჩამორთმევა ე ლ ი ს ა ბ ე დ ს ა ც არ სჯერა, მაგრამ ცუდი ის არის, რომ „გ ლ ე ხ ო ბ ა ში ე გ ხ მ ა გ ა ვ ა რ დ ნ ი ლ ა“. დარეჯანის სიტყვებით გონსმოსული და დაიმედებული ლუარსაბი, როგორც იცის ხოლმე გაჯოტება, ახლა სულ იმას გაიძახის — ტ ყ უ ი ლ ი ა, ტ ყ უ ი ლ ი ა ო. „ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! — ამბობს სულმობრუნებული ლუარსაბი, — შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო, — ვენაცვალე ღვთის მადლს,

* ქრონოლოგია იხ. წიგნში: „Сподвижники Чернышевского“, 1961 г., გვ. 470–475.

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 130.

ქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აჭა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, შეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“,* და აღარც ლუარსაბს, მასთან ერთად დარეჯანსა და ელისაბედს, რომელმაც საშინელი ამბავი მოიტანა, არ სურთ დაიჯერონ მითქმა-მოთქმა ყმების ჩამორთმევაზე. მაგრამ ისიც კარგად იციან, რომ ერთია შენ არ დაიჯერო, მეორეა თვით ყმები, რომლებიც უკვე იწყებენ თავადებისათვის ამ საშინელი ხმის გავრცელებას. ამიტომ რძალთან გამომშვიდობებისას ლუარსაბი ეუბნება ელისაბედს: ბიჭებში ხმა გააგდეთ, რომ ყმების ჩამორთმევა ტყუილია-თქო. ელისაბედიც ამასვე სთხოვს მაზლსა და რძალს: „თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც“. მებატონეებს ასე ჰგონიათ, ის კი არ იციან, რომ გლეხები, რომლებიც დღე და ღამ ავარჯიშებენ თავიანთ კუნთებთან ერთად გონების ძალებსაც, ჰკუით მათზე უფრო მაღლა დგანან. შეადარეთ ლუარსაბის საუბარი დათოსთან, ელისაბედის წასვლის შემდეგ, როცა ბატონი უმალ შეუდგა ხმების გავრცელებას, რომ თავადებისათვის ყმების ჩამორთმევა ტყუილიაო. რამდენად გონებაჩლუნგი ჩანს ბატონი, და რამდენად გონებამახვილია მისი ყმა. ეს დიალოგი ისე ტიპიურია, იმდენ იუმორსა და ავტორის ოსტატობას გამოხატავს, რომ შეუძლებელია მთლიანად არ მოვიტანოთ. საკითხიც ზოგადმნიშვნელოვანია, გარდა ამისა, ელისაბედის სტუმრად მოსვლის მიზეზიც, ეტყობა, მხოლოდ ეს იყო: მაზლისა და რძლისათვის ჩაეგონებინა, რომ საჭიროა გლეხებში ხმა გავავრცელოთ—ბატონყმობის გადავარდნა ტყუილიაო. მართალია, რძლის წასვლის შემდეგ დარეჯანმა ელისაბედს მეპორე და ენაჭარტალა უწოდა, ლუარსაბმაც კვერი დაუკრა, მაგრამ სიფრთხილისათვის მაინც გადასწყვიტეს თავიანთ გლეხებში ხმა გაევრცელებინათ, როგორც ელისაბედმა ურჩია. ყოველთვის ზარმაცი და უქნარა ლუარსაბი ამ შემთხვევაში პირდაპირ საკვირველ მოქნილობას, როგორც ახლა იტყვიან, საარაკო ოპერატიულობას იჩენს: უმალ დაუძახებს დათოს და სულწასულივით უმალვე მიახლის: „...ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია (ცრუობს ლუარსაბი — გ. ჯ.), რომ დავარჩინო, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

— გავიგე შენი ჭირიმე! — უპასუხა დათომა, — განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

— ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

— შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებით, შენი ჭირიმე!

— რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

— დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძანებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, — ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 131.

— ოღონდაც. რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

— მართალი ბრძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია — ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციას, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ. გლეხკაცი რეგვენია.

— ოღონდაც რეგვენია, — ჩაერია დარეჯანი, — მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს. ისევ თავისივე ბატონია.

— მართალი ბრძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? — დაუმატა ეშმაკობით დათომა.

— დიდი და პატარაობა სად არ არის? — სთქვა ლუარსაბმა,—აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა. დაიხედე!

— განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც. მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან. — სთქვა ცბიერმა დათომ.

— მაშ ყველგან არის დიდი და პატარაცა. ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? — გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

— ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე. ვინც უტვინოა — ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

— როგორი მართალია? — დაატანა დარეჯანმა, — ხელმწიფისათვის ახ ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგაზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

— მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე. ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს.

— ტყუილია, მაშ რა არის? — დაიყვირა ლუარსაბმა, — აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძო?

— აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! — მიაყარა ჭორლა დარეჯანმა.

— თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს იცი რა უთქვამს? — ჰკითხა ლუარსაბმა.

— არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

— ისა, რომ ტყუილიაო.

— აბა, იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, — დაუმატა დარეჯანმა.

— მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ ტყუილია, აბა უბატოხოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიახო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მოგვივა. ეხლა ამითი გვატყუებენ თავდებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

— თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდხილა, თუნდ ბოდ-

ბელისა არ იყოს — „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“. — სთქვა ლუარსაბმა, — ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია. არა, დათო?

— დიაღ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქოძს, რომ ტყუილია, და როდი მიჯერებენ.

— შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძანა-თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? — უბძანა ლუარსაბმა.

— მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!

— ეგრე. ჩემო დათო! ყველას უთხარი.

— ბატონი ხარ, მაშ გიახლოთ?

— წადი.

დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა.

— არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, — უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

— ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, — უპასუხა ლუარსაბმა“.*

დათოს მოხერხებული, გონებამახვილური პასუხების შინაარსს ვერც ლუარსაბი წვდება, ვერც დარეჯანი. მათთვის აუხსნელი რჩება ჭკვიანი გლეხის ორაზროვანი დებულებები ბატონყმობის მაჭა-შვილურობისა და უთანასწორო თითების შესახებ. აგრეთვე დათოს პირმოთნეობა. და ამ მშვენიერი დიალოგის ავტორი მართალია, როცა ფინალში მებატონეებს გვიჩვენებს მოტყუებულის პოზაში, თვითონ კი რომ ჰგონიათ — დათო მოვატყუეთო. სურათი სასაცილოა და ჭკვიან დათოსაც შეეძლო მაგრად დაეცინა თავისი ბატონ-პატრონებისათვის.

ასეთი ხერხებითა და მეთოდებით ცდილობენ ძველი მებატონეები ბარბაროსული, მაგრამ მათთვის სრულიად ხელსაყრელი, გაჭართლებული, ყოველმხრივ მისაღები ინსტიტუტის შენარჩუნებას. გაუძაძღარ სიხარბეს, უზრუნველობით გათელილ ცხოვრებას, სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე დამყარებულ არსებობას ლუარსაბის პიროვნებაში აღუზრდია საშინელი ეგოიზმი, ხოლო მოუკლავს ადამიანი. ძისი ეგოცენტრიზმი უკვე ისეთ ვეშაპად ქცეულა, რომ მთელ ქვეყანას ეტოლება — „თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა“. „ქვაქვაზედაც ნუ იქნება“, ჯანიც გავარდნიაო. და ამას გვეუბნება ცოცხალ ლეშად ქცეული კაცუნა, რომლის ინტერესთა წრე საბზარეულოს სურნელებას არ გასცილებია. ასე დაცემულა ეს კაცი და ასე დაუკარგავს ადამიანობის ნიშანწყალი.

მაგრამ სწორი არ იქნება, თუ ლუარსაბში არავითარი ინტერესი, არავითარი მიზანი არ დავინახეთ. არა, მას აქვს თავისი სათაყვანო ინტერესები, თავისი სანუკვარი აზრები, თუმცა უმწეონი და სასაცილონი, მაგრამ მაინც მისთვის დამახასიათებელნი. ეს არის კულინარული გემოვნება და გასტრონომიული მადა, თუმცა არც ერთი ეს სიტყვა მას არ გაუგონია და არც წარმოუთქვამს. სამაგიეროდ, ყველაზე დიდი საზრუნავია მისთვის საუზმის, სადილისა და ვახშმის მენიუ, რომლის კარგ ცოდნასაც იგი ამყღავნებს. ცოდვა იქნება ლუარსაბ თათქარიძის ეს გაწვითარებული უნარი და ბის

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 132—134.

მიერ შეცნობილი ძალა ამ დარგში ავტორიტეტული სიტყვისა ქებით არ მოეიხსენიოთ. მენიუს თვითეულ თავზე მას საკუთარი აზრი აქვს შემუშავებული, შეუპოვრად იცავს თავის შეხედულებას, მაშინაც კი, როცა ზოგიერთი რამ "შეეწყლება, მაგრამ ეს ეხება „თეორიას" და არავითარ შემთხვევაში პრაქტიკას არ მოიცავს. „თეორიაში" შეცდომა კი იმიტომ ხდება, რომ ლოგიკური მსჯელობის უნარი ძალიან სუსტად განვითარებულა მის ბრწყინვალე გვაში, რომელსაც პრაქტიკული ვარჯიშით ეს დანაკლისი ზომაზე მეტად შეუვსია.

რა აღტაცებას. რა სიხარულს განიცდის ხოლმე ზ ა ა ლ თ ა თ ქ ა რ ი ძ ი ს ეს ღირსეული ნაშიერი, როცა საღამოს იკითხავს, — ვახშამად რა გვაქვსო, — და მისი თადარიგიანი მეუღლე მოახსენებს: „სადილიდამ დარჩომილი კაი ციგად ჭიროხა... კარგი ღორის სუკები... ზურგიელიცა... ღვინოები რომ იყიდა, იმის ფეშქაში... ყველი, პური და კაი გული". ასეთი ვახშამი, — წამოიძახებს სიამოვნებისაგან სულწასული ლ უ ა რ ს ა ბ ი, — ხელმწიფესაც არ ექნებაო, — და თან დასძენს: „მე ამაღამ როგორღაც მ ა დ ა ზ ე დ ა ვ ა რ ო", თუმცა მაშასაც არ ახსოვს არც ერთი საათი, როცა მადა არ ჰქონებოდეს. გაათავებდა თუ ჭრა ასეთ მდიდარ ვახშმობას, „გამაძღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ეხლა ხვალისათვის" დაიწყებდა ზრუნვას, მადა ისევ თავისას მოითხოვდა. ამ დროს იტყოდა ხოლმე: „ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?" და ისევ დაიწყებდა დ ა რ ე ჯ ა ნ ი ფიქრსა და გახსენებას, თუ რა ე ქ ნ ე ბ ა თ ხვალისათვის. იმ საღამოს მან გამომწვევად ჰკითხა თავის მსუნაგ მეუღლეს: არტალაზედ როგორა ხარო, რასაც ლ უ ა რ ს ა ბ მ ა უმალ გასცა პასუხი: „არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით... ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, — ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა". მაგრამ მარტო ა რ ტ ა ლ ა, თუნდაც ოსტატურად გაკეთებული, რას ეყოფა ლუარსაბის შადაგაღვიძებულ სტომაქს. დ ა რ ე ჯ ა ნ მ ა ეს კარგად იცის და ამიტომ „ძაცდურის ღიმილით" ეკითხება — „ერთი კარგი ჩ ი ხ ი რ თ მ ა" გესიამოვნება თუ არაო?

მაგრამ, დახეთ უბედურებას, თავადმა რატომღაც ბ ო ზ ბ ა შ ი ამჯობინა. გაიმართა ცოლ-ქმარს შორის გაცხარებული დავა — ჩ ი ხ ი რ თ მ ა ს ჯ ო ბ ი ა, თუ ბ ო ზ ბ ა შ ი? დარეჯანი არ თმობს ჩ ი ხ ი რ თ მ ა ს, ხოლო ლუარსაბი ბ ო ზ ბ ა შ ს: „ვა!.. ...ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში?.. — ისეთის ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო: ეს ამისთანა უბრალო ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედაკაცსაო". მაგრამ, როცა კვლავ წაწყდა მეუღლის შეუპოვარ წინააღმდეგობას, ლუარსაბი უფრო გაცხარდა: „ვა!.. უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა, — ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს!.. რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სჯობია? მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია".* მაგრამ დარეჯანმა კარგად იცის თავისი მეუღლის როგორც

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 135.

ჯიუტი, ისე ხშირად დამთმობი ხასიათი. ამიტომ შეაგულიანებს ქმარს — ახირებული ხარ, რასაც იტყვი. ვეღარავინ გადაგათქმევინებსო.

ამ შენიშვნას ლუარსაბი კომპლიმენტად მიიღებს: „კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია. დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? — სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულება ძიიღო".

დავა ამით არ დამთავრებულა. „დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა", მაგრამ ჩიხირთმა მაინც არ დათმო. არც ბოზბაში დათმო ლუარსაბმა. გაანჩხლებულმა დარეჯანმა ახლა კი მაგრად შეუტია მეუღლეს: „აბა რას მიედ-მოედები?.. ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება — პირში წყალი მომდის. თუ მშიერიც ვარ — მაშინ უფრო, ბოზბაშზედ კი არა. მაშ ჩიხირთმა სჯობნებია. ეხლაც დაიჟინებ?" ეს ახალი საბუთი იყო ჩიხირთმის უპირატესობის დასადასტურებლად და ლუარსაბს უცებ როდი შეეძლო მისი გაბათილება. მცირე ჩაფიქრების შემდეგ, არც ისე „სუსტი ჭკუის" ლუარსაბმა, უფრო ძლიერ საბუთს მიაგნო, და მეუღლეს ყოჩაღად უპასუხა: „შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა. მე კი ბოზბაში — მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურ-ჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდამაც ერთი კარგი კანჭი აძევს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში — წვნიანების მეფეა, როგორც თართი — თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ".*

ალბათ არაფერი ისე არ გააბარებდა დარეჯანს, როგორც მეუღლის ეს შეცდომა. ამიტომ არ დააყოვნა ეკიჟინებინა ლუარსაბისათვის, რომ უვიცია, ტყუილში გამოიჭირა, თევზების მეფედ ორაგული ითვლება და არა თართი. ლუარსაბიც მიხვდა შეცდომას, შერცხვა კიდეც, მაგრამ არ შეიმჩნია, გადაწყვიტა: რადაც უნდა დაჯდომოდა დაეჭტკიცებინა დაუმტკიცებელი, რომ თევზების მეფე თართია და არა ორაგული. აქით ისევ დაიწყო ახალი თავსამტვრევი საკითხის გარკვევა, მაგრამ ლუარსაბმა. გარდა ახირებული დაჟინებისა, რომ თართია თევზების მეფეო. ვერავითარი საბუთი ვერ დაასახელა. უნდოდა მისებური ტყუილით „კარაბადინი" დაესახელებინა, მაგრამ შეეშინდა, როგორც ავტორი გვეუბნება. „მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია და ვეღარ გაბედა". ეს მომენტი კარგად გამოიყენა ჭკვიანმა დარეჯანმა, იფიქრა „ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს. ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ. თორემ სხვა დროს ვეღარა". ამიტომ ისევ შეუტია ქმარს და ლუარსაბი გამოუვალ მდგომარეობაში მოექცა.

ავტორმა მშვენივრად დაგვიხატა მახეში გაბმული ნაშიერი ზაალ თათქარიძისა. „ლუარსაბი დაგვიღონდა... ისე თავჩაღუხული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა. სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა დათმობა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ჰნახა თავისი თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალ-წინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა ლავაშ-ჩაყრილის ბოზბაშისა, მო-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 136.

აგონდა ზემოდამაც გადახირული ბატკნის კანჭი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყდა სირცხვილიც, დაძარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები: ...მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების შეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასაო".* მაგრამ ლუარსაბს არც ამ ღონიერმა სიტყვებმა უშველა. მაშინ მისთვის ჩვეულ ტყუილის გზას დაადგა და უტიფრად განაცხადა: მე არ მითქვამს, თევზების მეფე თართია, მე ორაგული ვთქვიო. ასეთ სიცრუეზე დარეჯანს კინაღამ გული გაუსკდა. მაგრამ ლუარსაბმა აინუნშიაც არ ჩააგდო, ერთი კიდევ წაილაპარაკა — „ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდესო", და კარებისაკენ გაემართა; იქ ერთხელ კიდევ იცრუა, — მე ორაგული ვთქვიო, — და კარებში გავიდა, ბრძოლის ველი დასტოვა. დარეჯანს ისღა დარჩენოდა, რომ მტყუანისათვის წყევლა-კრულვა გაეგზავნა, მაგრამ ქმარს მისი სიტყვები, როგორც ავტორი გვეუბნება, არ გაუგონია, თუ განზრახ არ სურდა გაეგონა — გაურკვეველი დარჩა.

ამ სცენების აღწერით მკითხველს უკვე ბოლომდე სჯერა ავტორისა, რომ „ხშირად შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჯავრებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ", — იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ", — იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო. ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა".** მაგრამ განა ეს არის ადამიანური ცხოვრების აზრი? — უნებლიედ შეეკითხება თავისთავს გაოცებული მკითხველი.

არა, ადამიანური არსებობა ჭამა და სმა კი არ არის, როგორც თათქარიძის მორალურ კოდექსშია ჩაწერილი, არამედ ის, რომ ყოველდღიურად ადამიანი სრულყოფდეს თავისთავს, მაღლდებოდეს, და კეთილშობილი ხდებოდეს, ვით გონიერი არსება და მეუფე ბუნებისა. ლუარსაბი სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას, სულ სხვას აკეთებს. ყოველდღიურად კი არ მაღლდება, — ფიზიკური დეპრესიისაკენ მიდის, კეთილშობილების ნაცვლად, — სულიერ დეგრადაციას განიცდის, სრულყოფილება ესმის, როგორც მისივე პირუტყვული მდგომარეობის სრულყოფა, მაშასადამე, როგორც ბრმა ციცაბო კლდეზე, ისე თანდათან ეშვება უფსკრულისაკენ. და ავტორი ძართლია, როცა თავის გმირს შემდეგი სიტყვებით მიმართავს: განა შენ თუნდ ერთ წამს შენს სიცოცხლეში ადამიანური სრულყოფილებისათვის რაიმე გაგიკეთებია. რაიძე გაცდია? „არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ — რომ სვა და სჭამო, და არა იმისათვის სჭამ და სვამ — რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო — რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული".***

ცხოვრება ნიშნავს ადამიანურ სრულყოფილებას, ადამიანის ამაღლებას, მისი ძალების განდიდებას. ასე უნდა გავიგოთ ავტორის ბოლო სიტყვები, მისი სარკასტული რეპლიკები თავისი გმირისადმი. ნაწარმოების მორალური საწყისიც აქ პოულობს

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 137.

** იქვე, გვ. 138.

*** იქვე, გვ. 139.

ამ სახეს. რომელსაც მოთხრობის ფინალში ამთავრებს. მაგრამ ამ საკითხებს ჩვენ ქვევით შევეხებით, როცა „კ ა ც ი ა-ა დ ა მ ი ა ნ ი ს?!“ ზოგად დახასიათებას შევუდგებით. აქ მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს მთელს მოთხრობაში გატარებული აქვს შემდეგი, ერთ-ერთი ძირითადი სეხტენცია: არაგონივრული სინამდვილე (ბატონყმობა) წარმოშობს არაგონივრულ პირობებს (ლუარსაბი, დარეჯანი), ხოლო ამგვარ ადამიანთა ცხოვრებაში ყველაფერი გონებისა და ჭეშმარიტი აზრის საწინააღმდეგოდ ხდება. გამოხაკლისს არც ისეთი სათუთი გრძნობა წარმოადგენს, როგორიცაა სიყვარული, ადამიანების შეუღლება, მათი დაქორწინება. ლ უ ა რ ს ა ბ ი ს და დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს შ ე უ ღ ლ ე ბ ა, რაც ასე დაწვრილებით აღწერა ილია ჭავჭავაძემ, საუკეთესოდ მოწმობს დეგრადირებული არისტოკრატიის სრულ მორალურსა და გონებრივ პაუპერიზმს. ავტორმა თავისი გმირების ჯვრისწერას „ს ა ო ც ა რ ი“ უწოდა და იგი მართალი იყო, ვინაიდან ელემენტარული ადამიანური მორალის თვალსაზრისით მასში ნამდვილად ბევრია საოცრებანი.

ავტორი გვეუბნება, რომ ლ უ ა რ ს ა ბ ი ჯერ კიდევ არ იყო თავის უფროს ძმასთან — დ ა ვ ი თ თ ა ნ გაყრილი, როცა ოცი წლისამ ცოლის შერთვა მოინდომა. საოცარი აქ არაფერია, არც ის, რომ მას სურდა შეერთო მ დ ი დ ა რ ი, კ ა რ გ ი გ ვ ა რ ი შ ვ ი ლ ი ს და მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ქ ა ლ ი. შეიძლება ცოტა უცნაური გვეჩვენოს მხოლოდ მისი განზრახვა, მას შემდეგ. რაც სოფელში ამგვარი ვერავინ ნახა და გადაწყვიტა ქალაქში წასულიყო. ლუარსაბმა ასეთი აზრი შეიმუშავა: „შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი. ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო“. მაგრამ ეს აღარ შეიქნა საჭირო, გაიგო, რომ თავად გ ძ ე ლ ა ძ ე ს გასათხოვარი ქალი ჰყავს, მზითვად ო რ ა ს ი თ უ მ ა ნ ი თეთრიც გამზადებული აქვს, და ჩვენს ლ უ ა რ ს ა ბ ს გული „აუფორთხალდა... გაუჯდა გვერდებში და დღემუდამ საამურად უღიტინებდა. მაგრამ არ იცოდა — როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღვერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა“ — ხ ო რ ე შ ა ნ ი, იგივე ს უ ტ-კ ნ ე ი ნ ა, რომელსაც ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ მისმა მეუღლემ კ ნ ი ა ზ ო ბ ა ვ ე რ დ ა ი მ ტ კ ი ც ა, ისე დატოვა თავისი ქვრივი. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ს უ ტ-კ ნ ე ი ნ ა. ღარიბი და მოხუცებული დედაკაცი, მაჭანკლობით ირჩენდა თავს. მოსე გძელაძემაც დახმარებისათვის ამ ქალს მიმართა, რაკი ენამეტყველების დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი; თუ კარგ გასამრჯელოს მიიღებდა, საქმეს აუცილებლად მოაგვარებდა (გასამრჯელოს კი „ბლომად იღებდა“. ამიტომ მოსეს უარი არ უთქვამს ხუთი თუმანი ბე მიეცა, ხოლო თხუთმეტი — საქმის დამთავრებისთანავე).

როცა ს უ ტ-კ ნ ე ი ნ ა პირველად გამოცხადდა ლ უ ა რ ს ა ბ თ ა ნ, თავი ისე მოაჩვენა, თითქოს თავისი სურვილით მოვიდა (ეს იყო ხერხი, რომ მისთვისაც ფულები დაეცინცლა). შეხვედრა მოხდა სუტ-კნეინას ძმისშვილის — ერთი აზნაურიშვილის ქორწილში, სადაც ლუარსაბი მიპატიჟებული იყო. ყმაწვილი კაცი, როგორც ყოველთვის, მაგრად გამომთვრალა, მეორე დღეს, სადილის შემდეგ, ფანჩატურში მიწოლილა დასაძინებლად, და ალბათ, დიდხანს იქნებოდა განცხრომაში, რომ ცბიერ მაჭანკალს არ გაეღვიძებინა. სუტ-კნეინამ ლუარსაბს

-უთხრა. რომ დედამისის დიდი მ ე გ ობ არ ი ა, მისი „ხათრიჯამი“ აქვს, თუმცა ვერცერთი ფაქტი წარსულიდან სწორად ვერ დაასახელა (მაგალითად, თუ როდის გარდაიცვალნენ ლუარსაბის მშობლები, ყველაფერი ერთმანეთში აურია: ისე გამოიყვანა, თითქოს მამა დედაზე ადრე მოკვდომოდეს, ნაშდკილად კი ლუარსაბი ორი წლის ყოფილა, დედა რომ დაუკარგავს, ხოლო მამა — ზაალ თათქარიძე — ექვსი წლის შემდეგ გარდაცვლილა). ლუარსაბი მაინც გაკვირვებული უსმენს ამ უცნაურ დედაკაცს, მისი სუსტი ჭკუაც ადვილად ხვდება, რომ სუტ-კნეინა ყველაფერს თავდაყირა აყენებს. აძრტომ შეცდომებს უსწორებს და უსწორებს. ხოლო სუტ-კნეინაც მთელი მონდომებით ცდილობს საუბარი ისე წარმართოს, რომ „ლ უ არ სა ბმ ა ტყ უ ი ლ შ ი ვ ე ღ არ დ ა ი ჭ ი რ ო ს“, მაგრამ ვერ ახერხებს. თვით ლუარსაბი კი „გაშტერებული დგას და სულ არ ესმის, რა განზრახვით მოსულა ამასთან კნეინა და რა განზრახვით ჰლაპარაკობს“.

ეს სასაცილო მდგომარეობა დიდხანს გრძელდება. სუტ-კნეინა გამოსავალს მაინც პოულობს: ლ უ არ სა ბს არწმუნებს, რომ დედამისმა, სიკვდილის წინ, თითქოს ხორეშანს (სუტ-კნეინას) დაავალა ობლებზე ზრუნვა. დაჯითზე უფრო შენ მიყვარდი. მაგრამ მალე ქმარი გარდამეცვალა, ქვრივად დავრჩი და თქვენი აღზრდა ვეღარ შევიძელი, — სახლიდან არ გამოვდიოდი. ამ სამი თვის წინად სიზმარი ვნახე. დედაშენის სული ანგელოზის სახით გამეცხადა, მუხლებზე არ მაკოცნინა — რატომ ჩემს ობლებს არ მოუარე. დავითი კიდევ არაფერი — ცოლი ითხოვა, მაგრამ ლ უ არ სა ბს რატომ არ ჰპატრონობო, — ცრუობს და პირფერობს სუტ-კნეინა, რომ სულელ ლუარსაბის გული მოიგოს. შემდეგ დასძენს: სამი დღე ასე გრძელდებოდა. ანგელოზის სული რომ არ ყოფილიყო, მე მაინც ვალდებული ვარ. რაკი ჩემი უსაყვარლესი ვეგობრის — დედათქვენისათვის აღთქმა მაქვს მიცემული, დ ე დ ობ ა გ ა გ ი წ ი ო თ. ეს დღეც მოვიდა. „მე. რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე შევხვდი, რასაც გაუგიებია ის საწყალი ქალი“ — ეცოდები, რომ ცოლი არა გყავს, დაოჯახებული არა ხარო.

მოხერხებული და გაქნილი სუტ-კნეინა არაფერს ერიდება: ტყუილს ტყუილზე აშენებს. პირფერობს, თავსაც იმცირებს, იკატუნებს, ო ღ ონდ ლ უ არ სა ბ ის გ უ ლ ი მ ო ი გ ო ს; ტიკჭორასავით გაბერილ, გულუბრყვილო ლუარსაბს წრეშეუწერელ პანეგირიკს ეუბნება: „ღ მ ერ თ მა შ ე არ ცხ ვ ი ნ ო ს შ ე ნს მ ხ არ-ბ ე ჭ თ ან ყ არ ა მ ან ი ს მ ხ არ-ბ ე ჭ ი და ს ი ტ უ რ ფ ე ტ ა რ ი ე ლ ი ს, გ ო ნ ი ე რ ე ბ ა გ არ დ ან ქ ე შ ან ი ს ა ო“.* არც ერთი ეს თვისება: არც ყარამანის მხარ-ბეჭი, ტარიელის სიტურფე, გარდანქეშანის გამჭრიახობა და გონიერება ლუარსაბს არ ახასიათებს. ლუარსაბი ყველა ამ თვისების სრული ა ნ ტ ი პ ო დ ი ა, მაგრამ სუტ-კნეინასათვის რა მნიშვნელობა აქვს? ოღონდ ლუარსაბის კეთილი განწყობა მოიპოვოს და მზად არის დღე ღამედ გამოაცხადოს. სუტ-კნეინამ მ ი ზ ა ნ ს ა ც მ ი ა ღ წ ი ა: გულუბრყვილო ლუარსაბს ეს სრულიად უსაფუძვლო ქება-დიდება მოეწონა, „იამა“, როგორც ავტორი ამბობს. და კეთილად განეწყო ჯერ კიდევ უცნობი ქალისადმი.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 143. გ ა რ დ ა ნ ქ ე შ ა ნ ი „ყარამანიანის“ ერთ-ერთი გმირია, სპარსულად ნიშნავს „უ ე ლ ა წ უ ლ ს“. მოხერხებული, მარჯვე. გამჭრიახი, გონიერი (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, 1951 წ.).

ქებაც შეიფერა—„უნებლიეთ ქუდი უფრო ჩაიტეხა (რა კარგი ბიჭი ეყოფილვარო!—გ. ჯ.), კისერი მოიღერა, წვრილ, ახალ აშლილ ულვაშებს ხელი გადუსო, წელში გასწორდა და მხარ-ბეჭი მოიმარჯვა. ისე იამა, რომ პირველ ხანში ვერ მოახერხა სიტყვის თქმაცა“.* მაგრამ, როცა სუტ-კნეინამ დაამატა: „არც ქალია ურიგო... როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. სწორედ ტარიელ და ნესტანდარეჯანი იქნებით, ორივ ერთად რომ შეგყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი. მუხრან-ბატონთან ერთ ფურცელზედ არის იმათი გვარიც ჩაწერილი. კაი ქალი, კაი გვარიშვილი, კაი ოჯახი. სახელგანთქმული ნათესაობა, — ბიძა ერთი მაიორი ჰყავს, მეორე დიანბეგია თათრებში, ფულიც აქვს ნაღდად, მეტი რა გინდაო?“ — ლუარსაბმა ფულის გაგონებაზე ყურები ცქვიტა და სწრაფად იკითხა: „ფული რა ერთი აქვსო?“ სუტ-კნეინას პასუხმა — „ორასი თუმანიო“, ლუარსაბი მიახვედრა — „გძელაძიანთ ქალი ხომ არ არისო?“ არ მინახავს, მაგრამ გულში კი „მჭონდა იმ ქალის სახე, — მორცხობით ჩაიღიმილა ამ სიტყვაზედ ლუარსაბმა“.

მთელი დიალოგი ლუარსაბისა სუტ-კნეინასთან დიდი ოსტატობით არის დაწერილი, კიდევ უფრო მკვეთრად ავლენს მოქმედ პირთა ხასიათებს, ბატონყმურ მორალსა და ჩვეულებას. ავტორიც უთუოდ გრძნობდა, რომ ლუარსაბის საქორწინო თავგადასავალი მოთხრობაში კარგად გამოვიდა. ხასიათო, ყოფა-ცხოვრებითს ტილოში გადაიზარდა. აძიტომ იყო. რომ გვიან. 80-იან წლებში, როცა ილიამ თავისი მოთხრობის გასცენიურებას მოჰკიდა ხელი, დრამატიულ ნაწარმოებს „მაჭანკალი“ უწოდა, ხოლო ღერძად ლუარსაბის ჯვრისწერა მისცა. პიესა იწყება სუტ-კნეინას ნათესავი აზნაურის ჭორწილით, როგორც მოთხრობაშია, ხოლო თავდება ლუარსაბისა და დარეჯანის გაბედნიერებით. ფინალში სუტ-კნეინა ისევე ხელცარიელი რჩება, როგორც პროზულ ნაწარმოებში. მთელი პიესა (დაწერილია 1881 წელს) შესანიშნავად ამხელს ბატონყმური სინამდვილის დაცემულ მორალს, დაწვრილმანებულ სულს და დაქვეითებულ გრძნობას.

მაგრამ მიეყვეთ თვით მოთხრობას.

როცა სუტ-კნეინამ შეიტყო, რომ ლუარსაბს დარეჯანის სახე გულში ჰქონია. თუმცა არ უნახავს, სიხარულით წამოიძახა: „რა-რიგად გაუხარდება ქალს“, ამ ამბავს რომ შეიტყობსო. მაგრამ „სუტ-კნეინას ქებით გაზვიადებულმა ლუარსაბმა „უმალ მიახალა — „თორემ მამას კი არა“, ისეთ სიძეს რომ იშოვნის, როგორიც მე ვარო. სასიძოს ეს შენიშვნა მაჭანკალმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა — ძალად „გაუძნელა საქმე“ ლუარსაბს და ტყუილ-უთხრა -- მამას „არ გაუხარდებაო“, საქმე გათავდებოდა, რაკი თქვენი თანხმობაა, მაგრამ „თითონ მამა დიდს უარზედ სდგასო“. ეს კი იწყინა ფიცხმა და ჭკუამოკლე ლუარსაბმა. გაუკვირდა -- რიო მიწუნებს, გვარით. თუ ოჯახით, არც ერთი იმაზე ცუდი არა მაქვსო. მოხერხებულმა მაჭანკალმა ლუარსაბის ეს სიფიცხეც თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მოსე გძელაძე ერთ „რიხიან“, „ჯიუტ“ კაცად დასახა, თუმცა ეს ეპითეტები ნაკლებად შეეფერებოდა, ხოლო სუტ-კნეინა, როგორც ვიცით, მის მიერ იყო მიგზავნილი თათქარი-

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 143.

ძ ე ს თ ა ნ. ამ მოხერხებით ჭკუასუსტ ლუარსაბს ოცი თუმნის ვექსილი დასტუეს (ვითომდა მოსე გძელაძის ნათესავების გულის მოსაგებად). თუმანზედ კიდევ შვიდი შაური სარგებელი, თან დაარიგეს — „შ ე ნ ჯ ე რ უ ა რ ზ ე დ ი ა დ ე გ ო“. სუტ-კნეინას ახლა ორივე ხელში ჰყავს — შ ო ს ე ც და ლ უ ა რ ს ა ბ ი ც. ისე აწყობს საქმეს, რომ ორივე მხრიდან რაც შეიძლება მეტი გასამრჯელო აიღოს, თავს კი ისე აჩვენებს, თითქოს მათდამი ერთგულება ამოქმედებდეს.

ს უ ტ-კ ნ ე ი ნ ა ს ისე უქო ლ უ ა რ ს ა ბ ს გვარის ტრადიციული ღირსებები — გულუხვობა, განთქმულობა, დარდიმანდობა, პურ-მარილი. რომ ლუარსაბი მეტად კმაყოფილი იყო. მაქებარმაც უთუოდ იცოდა ის, რასაც ავტორი თავის გმირზე ამბობს: „ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ იმის გვარს. ოღონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდაო“. ან კი სხვა რა ჰქონებოდა საამაყო ლუარსაბს. როცა ბრწყინვალედ აღიარებული გ ვ ა რ ი ს ა და მისი შესაფერი დ ო ვ ლ ა თ ი ს გარდა არაფერი გააჩნდა? არისტოკრატიულ შთამომავლობაში ყველგან და ყოველთვის გ ვ ა რ ი თ მოჰქონდათ თავი და ლუარსაბს ვინ გაუწბილებს, თუ ისიც ასე იქცეოდა. ამიტომ მისი ხასიათისათვის სრულიად ბუნებრივია, როცა სუტ-კნეინას მოულოდნელად ეკითხება: „ერთი ეს მითხარი. ქალი როგორია? ყველა-ყველა და ეს კი დაგვაწყდაო“. დ ა ა ვ ი წ ყ დ ა, თითქოს ეს არ იყოს მთავარი. სუტ-კნეინამ კი საცრად იცრუა — დარეჯანი „კ ა ლ მ ი თ ნ ა ხ ა ტ ი ა ო“, თუმცა მახინჯი იყო, მაგრამ ლუარსაბს ამ ტყუილით ისე ასიამოვნა, რომ სასიძოს „სიხარულმა და წადილმა ტანში მეტად საამურად გაურბინა“. ერთხელ კიდევ ჰკითხა სუტ-კნეინას — მ ა რ თ ლ ა ლ ა მ ა ზ ი ა ო? — და რაკი იგივე პასუხი მიიღო, თანაც მზითვად ო რ ა ს თ უ მ ა ნ ზ ე მეტიც შეიძლება იქნესო, მოტყუებულმა ლუარსაბმა თვითონვე დაუწყო ხვეწნა სუტ-კნეინას: საქმე დააჩქარე, ხალხი მოიყიდე, „შუაზედ გაუყავ ოცი თუმანიო“. ამ თხოვნაზე მეტად სიჭ-პტომატურია სუტ-კნეინას პასუხი: „ქა. როგორ იქნება? უბრალო კაცის შვილები ხომ არ არიან. ათ-ათ თუმანში ხელი გაისვარონ (მეტ თანხაში, რა თქმა უნდა, გაისვრიან — გ. ჯ.), თავადიშვილები არიან. სახელგანთქმულები. იმათი მოსაყდვა ადვილი არ არისო“. ლუარსაბი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ საქმე დაჩქარდეს, ვინაიდან ქალის სიყვარული, რომელიც მას ჯერ არ უნახავს, უკვე „გულში ნაღვერდალსავით“ ჩაუყარდა, თანაც ის ორასი თუმანი თვალწინ ეხატებოდა. სუტ-კნეინამ 20-21 წლის დარეჯანი 17 წლის გოგონად წარმოუდგინა. ერთი სიტყვით, როცა მ ა ჭ ა ნ კ ა ლ თ ა ნ საუბარი დამთავრდა, მას შემდეგ ლუარსაბს, „...ცხადივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორას-თუმნიანი პარკი. საღერღელი მეტად აეშალა. სურვილმა მეტად ააღუღა, ასე რომ, როცა მოიგონებდა, ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნაგსავით ტუჩის ლოკვითა: „კალმით ნახატი ქალი. ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო... ჰა! რას იტყვი ლუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა?“ ამაზედ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და სანახევზედ გადამაგდეო!“*

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 147.

ასე ფიქრობდა უკვე მოტყუებული და სუტ-კნეინას მახეში გაბმული ლუარსაბ თათქარიძე.

მოხერხებულმა მაჭანკალმა კი დიდი უნარი გამოიჩინა, ყველაფერი თავის სასარგებლოდ მოეწყო. ლუარსაბისაგან მიღებული ოცი თუმნის ხელწერილი მისთვის საიმედო არ იყო, ვინაიდან მახინჯ ქალს რომ ნახავდა, ლუარსაბი ფულს როგორ მისცემდა. პირიქით. „უზიარებლად დაარჩობდა“. ამიტომ ხაღდი ის იქნებოდა, რასაც მახინჯი ქალის პატრონისაგან — მოსე გძელაძისაგან მიიღებდა. სუტ-კნეინამ მთელი თავისი მოხერხება და უნარი სწორედ აქეთკენ მიმართა. მოსე გძელაძეს განზრახ გაურთულა საქმე, უთხრა, რომ ლუარსაბი შენს ქალს არ ირთავს, რაკი მახინჯიაო, მაშინ სუტ-კნეინაზე არანაკლებ მოხერხებულმა მოსე გძელაძემ „შემოიყვანა ერთი მშვენიერი. მოხდენილი ახალგაზრდა გოგო“. და მაჭანკალს უთხრა: „ეხლა შენ რას იტყვი, რომ ნიშახის მომტანს ეს გოგო. ლამაზად მორთული, ჩემის ქალის მაგიერად ვაჩვენოთო“. სუტ-კნეინამ სასტიკი უარით უპასუხა, თუმცა თვითონაც ამ გზით ფიქრობდა საქმის მოგვარებას. დაიწყო ხანგრძლივი ვაჭრობა, ხოლო ბოლოს შეთანხმდნენ, რომ მოსე გძელაძე სუტ-კნეინას გზასამრჯელოდ მისცემს ოცდაათ თუმანს და კაბას, ამჯერად კი ხელზე — ათ თუმანს. „მოსემა და კნეინამ ესე დაწყეს საქმე და სწორედ ეგრეთაც ბოლო მოუღეს. კაი ბადე დაუგეს ლუარსაბსა და კარგადაც გააბეს“.

ორი კვირის შემდეგ ლუარსაბის უფროსი ძმა დავითი და მისი ერთი მხლებელი ლუარსაბის ნიშნით მოსე გძელაძეს ესტუმრა. ასე მცირე ამალა თვით სასიმამროს სურვილი იყო: მოსეს უნდოდა ნიშნობას რაც შეიძლება ცოტა ნათესაობა დასწრებოდა, რომ მისი ეშმაკობა არ შეეტყოთ. ამიტომ წინასწარ მისწერა ლუარსაბს წერილი — ავად ვარ, დიდი სტუმრიანობის ჯან-ღონე აბლა არა მაქვს, ჭორწილს კი ძალიან დიდს გადაეიხდიო. ავტორს მოჰყავს ეს წერილი, ბრწყინვალე თავადის მიერ დაწერილი, მაგრამ იმდენად უწიგნური, რომ შეიძლებოდა ჩვენც გაგვეცნო, რათა უფრო ნათლად წარმოგვედგინა თვით მოსე გძელაძის უსწავლელობა. ამით ილია ერთხელ კიდევ უჩვენებდა მკითხველს, რომ ლუარსაბის უვიცობა გამონაკლისი კი არ იყო, თავად-აზნაურობა იმ დროს საერთოდ წარმოადგენდა გონებრივი პაუპერიზმის განსახიერებას.

ბრწყინვალე თავადი მოსე გძელაძე ასეთ წერილს უგზავნის სასიძოს — ბრწყინვალე თავადს ლუარსაბ თათქარიძეს:

„ჩემო აღმატებულო ბედნიერო გვაროვანო სიძეო... (ჩვენი ბრწყინვალე თავადი იმდენად უწიგნურია, რომ სასვენ ნიშნებს არსად არ ხმარობს, რაკი არ იცის როგორ იხმაროს — გ. ჯ.)... თუმცა დიდათ ბედნიერი ვარ რომელიცა რომა შენგანა ვარ დღეს მოხუცებული ბედნიერი და გული ჩემი სიხარულით აღსავსე ნეტარითა სიძოობითა თქვენითა და თვალი ჩემი აახილე რომელიცა რომა დაინახა ისეე გაზაფხული მუბთალისა სოფლისა ამისა ფრიად სიხარულში ვარ რომელიცა ებლა ვარ ჩემო აღმატებულო გვაროვანო სიძეო რომელიცა გთხოვ გამოგზავნო ნიშანი რომა საქმემ არ დაიგვიანოს დიდი ხალხი არ გამოგზავნო რომელიცა რომა მე მოხუცებული კაცი ავადა ვარ სნეული და პატივი და მასლაათი და ქეიფი რომელიცა აწ მე აღარ ძალმიძს რომელიცა ფრიად შე-

აწუხებენ ჭორწილში რომელიც თქვენ იქნებით ჩემს სახლში მასპინძელი დიაღ დიდი ხალხი მოვიწვიოთ თქვენცა დიდი და პატიოსანი ნათესაობა გყავს რომელიცა არც მე ვარ უნათესაო და ბლომად შევყაროთ ისე როგორათაც შეჰფერის დიდებულს გვაროვნობასა და თქვენსა და ჩემსა ოჯახს სახლკარიანობასა ჩემსა...

„სხვებრ ბრძანდებოდეთ ბედნიერებით იესო ძე ღვთის მიერ ვითხოვ თქვენს ბედნიერებას რომელიცა რომა მსურს ნახვა თქვენი სიმამრი ბრწყინვალე თავადი მოსე ნოშრევანისძე გძელაძე...“*

ეს წერილი ისე კარგად ლაპარაკობს თავის თავსა და მის დამწერზე, რომ მეტის თქმა საჭიროც არ არის. მაგრამ წერილმა მაინც გასჭრა: ლუარსაბმა ყველაფერი ისე შეასრულა, როგორც მოსე მოითხოვდა — მარტო თავისი ძმა დავითი გააგზავნა სასიმამროსთან ერთი მხლებლით, თან დაავალა: ფულზე კარგად მოელაპარაკე (მისთვის ფული მთავარი) და შემდეგ ქალიც კარგად შეამოწმეო.

დავითს მართლაც ის ლამაზი გოგო უჩვენეს დარეჯანის ნაცვლად და, ცოტა არ იყოს, შური გაუღვიძეს ძმისადმი: მას მოაგონდა. „თავისი მჭლე ცოლი“, მაგრამ რას გააწყობდა. მოსემ თავისებური მოხერხებით გაშალა ლუარსაბის დასაჭერი ბადე. ვახშამს დავითის, მისი მხლებლის, მოსესა და დარეჯანის ძმის მეტი არავინ დასწრებია. მიზეზი ასე მცირე სტუმრიანობისა მოსემ კვლავ თავისი ვითომდა ავადმყოფობით ახსნა: „ავადა ვარ, თასლიბს (მხნეობას — გ. ჯ.) ვერ გავუწევდი“ბევრ ხალხსო. შეთანხმდნენ. რომ ქორწილი სამშაბათს გაიმართება, ხოლო მეორე დღეს მოსე „ორასსთუმანს სულ ბაჯაღლო ოქროებს თავის ხელით მიართმევს“ სასიძოს.

როგორც კი დავითი გაისტუმრა, ცბიერი მოსე სხვა საზრუნავსაც შეუდგა — გადასწყვიტა სუტ-კნეინასათვის ხრიკი მოედო, რომ იქაზე მეტი ფული აღარ მიეცა, რაც უკვე უწყალობა. გაუტანლობა, სიცრუე, პირმოთნეობა, ერთმანეთის მოტყუება, პირობის დარღვევა —ეს წესად ქცეულა მებატონეთა შორის და ბრწყინვალე თავადად წოდებული მოსე გძელაძეც ამ უკანონო წესს არაჩვეულებრივი მოხერხებით იცავს. სუტ-კნეინას წაართმევს მიცემულ ათ თუმანს, ლუარსაბისაგან გაცემულ ოცი თუმნის თამაშუქს, თან გომურში დაამწყვდევინებს, რომ ხელი არ შეეშალოს მოტყუებით დანიშნულ ქორწილს, როცა გამწარებული სუტ-კნეინა შეეკითხება თავადს —განა ეს ნამუსიაო?— მოსეც ხელს არ აკლებს: „ის კი ნამუსია, რომ აგიღია ფეხი, სოფლიდან სოფლად დადიხარ და მაჭანკლობ, ნამუსია? შარშან რომ ათ თუმნად შენი დისწული, გასათხოვარი ქალი, დიანბეგს მიჰგვარე, ნამუსია? როცა დაორსულდა, შენ რომ წამალი მიეცი დამუცელი წაუხდინე, ნამუსია?“** ამ საშინელ დანაშაულთა ჩამდენი სხვას მოუწოდებს ნამუსისაკენ. თუმცა ეს „სხვაც“ მასზე არანაკლები უნამუსოა. ჩვენ შემდეგ ვნახავთ. რომ უნამუსოთა ამგალერეას ახალი წევრები შეემატებიან ისევ ბრწყინვალე თავადთაგან, რომლებსაც სინდისზე ხელი აუღიათ და ხარბ ეგოისტებად გადაქცეულან. ეს არის მძაფრი კრიტიკა გახრწნილი ბატონყმური მორალისა. მაგრამ ამ საკითხებს ქვევით შევეხებით.

როცა დავითი შინ დაბრუნდა, ცოლსა და ძმას მოახსენა — ჩვენი

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948, წ., გვ. 152.

** იქვე, გვ. 154.

სასძლო „მზეთუნახავს რომ იტყვიან, ის არის... მე იმისთანა ლამაზი ქალი არ მინახავსო“. ცხადია, „ლუარსაბს გაუხარდა, ელისაბედს ეწყინა: ჩემზედ უკეთესი იქნებაო“. როგორც წვრილმან სულს სჩვევია, დავითსა და ელისაბედს შორის ამის გამო უთანხმოება მოხდა (დავითმა ცოლს ანიშნა —ცოტა რომ მომეცადა, შენზე უკეთესს შევირთავდიო). ელისაბედს არ დაუყოვნებია ზომები მიეღო: „მალე ჩემი მტერი დაჭკნეს, მალე მე ის დავაჭკნო, —ამბობდა გულში ელისაბედი. — ამ სახლში ჩემზედ უკეთესი და ჩემზედ უფროსი არავინ არ უნდა იყოს. ჩემი ქმარი უნდა მაყვედრიდეს იმის სილამაზეს?! უი, უწინამც დღე გაჰქრობია. ასეთ ეკალს გავუყრი თვალში, რომ დღენი ვაწყევლინო!“* და ეს წ უ ე ვ ლ ა უმალვე დაიწყო: ელისაბედი ქორწილში აღარ წავიდა, ხოლო, მისდა საბედნიეროდ, ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

გაიძვერა მ ო ს ე მ დიდი მაყრიონით მასთან მოსულ ს ა ს ი ძ ო ს ქალი ა რ ა ჩ ვ ე ნ ა, დიდძალ თავისიანებს მოუყარა თავი და „მ ა რ თ ა ლ ი ქ ა ლ ი“, ე. ი. დ ა რ ე ჯ ა ნ ი მხოლოდ ჯვრის დასაწერად გაისტუმრეს საყდარში. ლუარსაბი გაოცდა, როცა გვირგვინის ქვეშ მ ა ხ ი ნ ჯ ი ს ა ც ო ლ ო დაინახა: „დ ა ვ ი თ, ა ქ ი მ ზ ე თ უ ნ ა ხ ა ვ ი ა ო?“ — წამოსცდა გაკვირვებულ ლუარსაბს. „ხ ა ლ ხ ს ი ც ი ლ ი წ ა ს კ დ ა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავით წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

— მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

— კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, —მიუგო მღვდელმა.

— პატარძალი სად არის?

— აი, ეს ბძანდება.

— ლუარსაბ! — დაუძახა ძმას დავითმა, — მოგვატყუეს, კგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწეროო“.**

სკანდალური მდგომარეობა შეიქმნა. ლ უ ა რ ს ა ბ ი მხლებლებიანად საყდრიდან გამოვიდა, შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ცბიერსა და წინდახედულ მ ო ს ე ს ცხენები დაემალა. შეიქნა ალიაქოთი. მ ო ს ე მ თავისი ხალხი ა ა მ ო ქ მ ე დ ა. ისინი ამტკიცებდნენ: დ ა რ ე ჯ ა ნ ი მ ო ს ე გ ძ ე ლ ა ძ ი ს ქ ა ლ ი ა, თითქოს ეს იყო მთავარი, და არა ის, რომ ნიშნობის დროს სასიძოს ძმას, დარეჯანის მაგიერ სხვა ქალი აჩვენეს. ყველაზე მეტად ჯიუტობდა ლუარსაბის ძმა დ ა ვ ი თ ი, მოსემ ეს იგრძნო და ყველაფერი გააკეთა, რათა იგი მოესყიდა. ჩვენ მოვიტანთ მოთხრობის ამ ადგილს, ძ მ ა თ ა გ ა მ უ ი დ ვ ე ლ ო ბ ი ს სცენას, რომელიც კიდევ ე რ თ წ ე ვ რ ს მატებს უნამუსო მებატ ი-ეთა იმ გალერეას, ზევით რომ დავახასიათეთ.

ქ ა ტ ა ს ტ რ ო ფ ი ს წინაშე დამდგარმა მ ო ს ე მ ცალკე გაიხმო დ ა ვ ი თ ი, ამოიღო ხუთი თუმანი და ხმადაბლა უთხრა: „ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ? დავითი დარბილდა (იგრძნო, რომ მისთვის კარგი საქმე გამოდის — გ. ჯ.).

— ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო?.. (მაშასადამე, დავითი მზადაა ძმა

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 158.

** იქვე.

გაჰყიდოს. იღონდ გასამრჯელო მეტი უნდა იყოს. განა ეს გაიძვერა მოსეს გამოეპარებოდა? ამიტომ მოსეც ვაჭრობას შეუდგა — გ. ჯ.).

— შვიდი იყოს.

— ან შვიდად.

— რვა იყოს!

— ვერც რვა თუმნად.

— მაშ რამდენი გინდა?

— ათი მაინც იყოს.

— ცხრაზედ რას იტყვი?

— არა, ათი.

— ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს"...*

ათ თუმნად ასე გაჰყიდა ძმა დავით თათქარიძემ, და იმავე ღამეს ჩვენს ლუარსაბს ჯვარიც ძალად გადასწერეს პრწყინვალე თავადმა მოსე გძელაძემ ისიც იკადრა, რომ სიძეს დაპირებული ორასი თუმნიდან არც ერთი კაპიკი არ მისცა, მხოლოდ სუტ-კნეინასათვის წართმეული ლუარსაბისვე ოცთუმნიანი თამასუქი დაუბრუნა. „ელისაბედი სიხარულით აღარ იყო, რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ გონჯი ცოლი მოიყვანა". როგორც ხშირად ხდება ხოლმე, „ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ". ასე დაიწყო თავად ლუარსაბ თათქარიძისა და მისი მეუღლის კნეინა დარეჯანის ცხოვრება, რომელიც ზემოთ ჩვენ ნაწილობრივ უკვე დავახასიათეთ.

ავტორი ერთხელ კიდევ მოგვაგონებს, რომ სკანდალური ჯვრისწერის მიუხედავად, ლუარსაბს მახინჯი დარეჯანი შეუყვარდა კიდეც, რაკი ირწმუნა — „შუბლზედ ეგ მეწერაო". ილია აქაც არ ღალატობს სატირიკული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელ პასაჟებს და ლუარსაბის ბედთან შერიგებას ადარებს საერთოდ ქართველი კაცის ზოგად ბუნებას. ამ შედარებაში 60-იანი წლების თაობათა ბრძოლის ზოგიერთ მომენტსაც ურთავს, მოთხრობის მამხილებელ ტონს კიდევ უფრო ამძაფრებს და აფართოებს. „კარგი რამ არის ქართველი კაცი, — წერს ილია, — ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისათვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა, — და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ: კმაყოფილება კიდევ — ვიღაცამა სთქვა —ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მამაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი. მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა"...** არსებულით უკმაყოფილებისგრძნობა, რაც აქ ასე ნათლად არის გამოთქმული, ილიასა და მისი

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 160.

** იქვე, გვ. 161.

დასის — თერგდალეულების ერთი ძირითადი მოტივი იყო ძველთან, არსებულთან ბრძოლა და უკეთესი მომავლის შესაქმნელად. ამ მოტივებს ჩვენ უველგან ვხვდებით. ილიას როგორც პოეტურ, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში. ილიას კარგად ესმოდა, რომ არსებულით უკმაყოფილება თუ არ იქნებოდა, თუ ახალი თაობაც, ძველის მსგავსად, თავს ბედნიერად მიიჩნევდა, მაშინ საბრძოლოც არაფერი ექნებოდა, დასამსხვრევს ვერ დაინახავდა, სალაშქროდაც არ გამოვიდოდა. „კაცია-ადამიანშიც?!“ ილია არსებულით უკმაყოფილების გრძნობას აღვივებდა მკითხველში, მაგრამ არამარტო ცოცხალი ტიპების (ლუარსაბი, მოსე გძელაძე, დავითი. სუტ-კნეინა, დარეჯანი, ელისაბედი) უარყოფითი წარმოსახვით, არამედ, სიუჟეტის განვითარებაში მოხდენილად ჩართული ავტორისეული რემარკებითაც. ეს ჩვენ უკვე ვნახეთ რამდენიმე ადგილას, ხოლო ქვევით არაერთგზის მოგვიხდება გავეცნოთ.

ავტორი ამბობს, ქართველი კაცის მსგავსად ბედთან შეროგებულ ლუარსაბს და მის ცოლიანას „მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ. აი, ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოცდა-ერთისა შესრულდა. რომ ღმერთმა შემკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯერ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი. ბევრი რაღაც ბალახ-ბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა. მაგრამ ვერა ეშველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ, — ამბობდა ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი ელისაბედი. — ტყუილად რად იხეთქენ? სოლომონ ბრძენ-ა წერს, რომ ჩაბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა —ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა“.*

აი, რა მიაჩნია გონება-ჩლუნგსა და უსწავლელ ელისაბედს მაზლ-რძლის უშვილობის მიზეზად. მაგრამ არც ლუარსაბი, არც დარეჯანი, უკვე ხანდაზმულობის მიუხედავად, იმედს არ კარგავენ, რომ შვილი შეეძინებათ. ვიღაც ქალაქელ მკითხავს ბაღდადი გაუგზავნეს და აკითხვინეს. სამი დღის შემდეგ პასუხიც მიიღეს: თქვენზე თელეთის ხატია გამწყრალი, უნდა მიხვიდეთ და ილოცოთო. ზარმაც ლუარსაბს ვერაფრად ეშაშნიკა თელეთში წასვლა (ხუთი დღის სავალი იყო), გადაწყვიტა იქვე, ახლოს ნეკრესის ღვთისმშობელი ელოცა, მაგრამ დარეჯანმა გადააჯერა — თელეთის ხატს უფრო ეწყინებაო. ერთ მშვენიერ დღეს აიკრეს გუდა-ნაბადი, „თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს“ და გზას გაუდგნენ თბილისისაკენ. ურემში ჩასხდნენ დარეჯანი და ლამაზისეული, ხოლო „ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაყ ცხენზედ მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმედ ურემსა“.

ყოველთვის სასაცილო მდგომარეობაში მყოფი ლუარსაბი, არც აქ დაინდო ავტორმა და მისთვის ჩვეული სიცილი დააყარა თავის მოგზაურ გმირს. „მემარის თვალადობა ჰქონდა ამ-ჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, — ირონიით გვეუბნება ილია. — თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი. უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში,

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 161.

წვივებზედ პტყელი ჩაღაკრავი, გრძელფოჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი ყალმუხის ქუდი —კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი, — რადგანაცა ცხელოდა, — ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედწამოცმულ ვაშლით. რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდან ფეხამდინ ორშაბათის ყეინი იქნებოდა“.*

მაგრამ ეს ავტორისეული სარკაზმი აქ არ თავდება —გრძელდება ჩვენი გმირების მოგზაურობის დამთავრებამდე. განა საჭიროა არ უნდა იყოს, რომ კახეთიდან მეხუთე დღეს თელეთში ჩასულ ცოლ-ქმარს თბილისი არც კი შეუმჩნევიათ, ხოლო უკან დაბრუნებისას, როცა კახეთის გზას დაადგნენ, დარეჯანმა გამოჰხედა ქალაქს, რომელიც მანამდე არ ენახა, ლუარსაბი გააღვიძა (მას უკვე ეძინა ურემში) და გაკვირვებით ჰკითხა ქმარს: „ერთი შეხედე, რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა ღმერთო! სულ ქვიტკირის შენობა უნდა იყოსო“. აქ კი დასჯაბნა ლუარსაბმა თავისი მეუღლე. მას ქალაქი ნაბული ჰქონდა (სამი კენჭიც ჩაუყლაპავს, რაც ძლივს მოუნელებია! კენჭები კი იმიტომ გადააყლაპვინეს, რომ ქალაქს არ დაეცადა). როცა დარეჯანის ცნობისმოყვარეობამ დაუფარავად გააცხადა —ქალაქი „კიი სანახავი კი უნდა იყოსო“, ლუარსაბმა პასუხი არ დააყოვნა: „კარგი როგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს: თათარი, ყიზილბაში, ურია, ოსი, სომეხი, რუსები ხომ რაღა, ბუზსავით ირევიანო“. და ცოლ-ქმარს შორის იწყება დიალოგი, ისევე უგუნური, როგორიც ბუზების თელისა და თევზების მეფის შესახებ.

დარეჯანს სადღაც გაუგონია რასაც ცირკში აკეთებენ, მაგრამ თვით ცირკის სახელი არ სმენია და ლუარსაბისაგან, როგორც ქალაქში ოდესღაც ნამყოფი კაცისაგან, სურს შეიტყოს: მართლა მოსჩრიან ადამიანს თავს და შემდეგ ისევ გააცოცხლებენ? ლუარსაბი კვერს უკრავს, ეგ რა არის, ისეთი რაღაც მოუგონიათ, რომ თავი თავად ხერხავსო. განცვიფრებული დარეჯანი ისევ იკითხავს: განა ისიც მართალია, რომ გაჭენებულ ცხენზედ „კაცი დადგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, იმაზედ კიდევ კაცი და კიდევა და კიდევა“. ლუარსაბმა დრო იხელთა კვეხნა დაწყო, რაც ასე უყვარდა, ამიტომ მეუღლეს მიაგება: „ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემ პატარა ბიჭობაში!“ მაგრამ გონს მოსულმა დარეჯანმა არ დაიჯერა: „ნუ იკვეხ. ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რაცა ხარო“. ლუარსაბს კიდევ უნდოდა სხვა თვალთმაქცობანი გაეხსენებინა, რომ მეუღლე უფრო მეტად განცვიფრებულიყო, მაგრამ სუსტმა გონებამ უარი უთხრა, ვერაფერი მოიგონა, და მისთვის ჩვეულ გამოსავალს მიმართა: საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა —მოიშიზღა —უკ, „რა-რიგად ჩამოცხაო“, ავტორი დასძენს: „რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა. სიტყვა გადაასხვაფერა. მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა. მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა“.**

ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია დავეთანხმოთ ავტორს, რომ ლუარსაბი „უბოროტო“ კაციაო. თუ ეს ირონიაა, მაშინ სიმართლეს შე-

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 163.

** იქვე, გვ. 164—165.

იცავს, ხოლო, თუ პირდაპირი გაგებითაა ნათქვამი, მაშინ როგორღა ვირწმუნოთ ლუარსაბის დამოკიდებულება დავითისადმი? არა, ლუარსაბში ბოროტების პატარა ალი მაინც გიზგიზებს და იგი ამ მხრივ არა ჰგავს რუსულ ლიტერატურაში გამოყვანილ ისეთ უქნარა მებატონეებს, როგორიც არიან გოგოლის მანილოვი ან გონჩაროვის ობლომოვი. ორივეს განათლების რაღაც მაღალი მაინც მისცებიათ. შესაძლოა ამიტომ მათი სული უფრო დახვეწილი გვეჩვენება, თუმცა ეს არც შეიძლება დიდ ღირსებად მივიჩნიოთ, ვინაიდან, როგორც დობროლუბოვი შენიშნავდა ობლომოვზე, მართალია, მას ვერ მოისყიდი, იმდენად პატიოსანია, მაგრამ ვინ მოისყიდის, როცა არაფრის გაკეთება არ შეუძლია; ბოროტი არ არის, მაგრამ კიდევაც რომ იყოს, ბოროტების ჩადენა არ შეუძლია. ლუარსაბიც უქნარაა, მაგრამ ბოროტებისაგან შორს არ სდგას, ყოველთვის ბოლმა აღრჩობს უფროსი ძმის — დავითის ხსენებაზე და შეშოხვევას არ ჰკარგავს აუგად მოიხსენიოს. „თავისთავად ხერხვაზე“ დარეჯანს რომ ესაუბრებოდა, თელეთიდან უკან დაბრუნების დროს, სრულიად მოულოდნელად დავითს მათრახი გადაჰკრა. არა, ლუარსაბი უბოროტო არ არის, საამისოდ ფაქტებს ჩვენ ქვევითაც დავინახავთ, და მას ამ მხრივ საერთო არა აქვს მანილოვთან თუ ობლომოვთან.

ცხოვრების პირობები ლუარსაბს ბავშვობიდანვე ისეთი ჰქონდა, რომ სული არ გაანუკვიერებოდა, ხოლო განუვითარებელ სულში მოუწესრიგებელი გარემო, როგორიც ბატონყმობა იყო, ყოველთვის შეიტანს ბოლმე ლექსა და ტალახს. რაც შეეხება ლუარსაბის კონსერვატიზმს, იგი ყოველგვარ მოლოდინს აქარებებს. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ცხოვრებისეულ ანტურაჟში იგი ისე გამოიყურება თავის კნეინა დარეჯანთან ერთად, როგორც წარმართული დროიდან მოსული ანაქრონიზმი, რომელიც საფლავიდან გუშინ წამომდგარა. ლუარსაბი გონებაჩლუნგი, უკულტურო ქართველი მებატონის ტიპიური სახეა, სრულიად ორიგინალური, და მასში არა ჩანს არავითარი ლიტერატურული რემინისცენცია.

ცოცხლობს ეს კაცი იმ იმედით, რომ მემკვიდრე გაუჩნდება, მაზლსა და რძალს სიძწრის ოფლს გადააღენს, თელეთში ლოცვა აუცილებლად გასჭრის, თუმცა „გავიდა სამი თვე — ყმაწვილმა მუცელში არ გაიჩუჩუნა, გავიდა ექვსი თვე — კაბა არ დაუვიწროვდა დარეჯანსა. გავიდა ცხრა თვეც და დარეჯანს მუცელი არ ასტკივდა“. ლუარსაბთან ერთად „დარეჯანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ამდენი სხვა-და-სხვა-ფერის და სხვა-და-სხვა ნაირად შელოცვილი ქვებ შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა, და ჰქონდა კიდეც. თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა და წააყვედრა — „შორს არისო“. თორემ ეს დამუნათება და წაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეჯდებოდა დარეჯანს კალთაში“.* სთხზავენ ასეთ ზღაპრებს ეს ხეპრე მებატონეები და თვითონვე სჯერათ ამ ზღაპრებისა. ლუარსაბს კი უშვილობა იმდენად არ აღონებს, როგორც უშვილობის შედეგი. მის სუსტ გონებას მოსვენებას არ აძლევს იმის შეგნება, რომ თუ მემკვიდრე არ გაუჩნდა, მამულები დავითისა და ელისაბედის შთამომავლობას დარჩება. დავითს კიდევაც უთქვამს: ჩემი ოხერი ძმა „როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო“.

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 165.

ის კაცი, რომელმაც ძმა ათ თუმანში გაყიდა. ამის თქმას ვით უფრო არ მოეჩიდებოდა. ასეთია ბატონყმური მორალი. წაჰგლიჯე სხვას, თუნდაც ეს „სხვა“ შენი ღვიძლი ძმა იყოს. დავითის სიხარული „ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდევ დიდი უბედურება არ იყო“, თავსაც არ შეწუხებდა, სულ არ იდარდებდა. ლუარსაბი აკი თვითონვე ამბობს: „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს?.. შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულებზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინოო, თორემ ეს ჯაბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“* არა მშობლიური სიყვარული, მშობლიური ინსტინქტი, არამედ, ძმის „ჯავრი“ და „ჯაბრი“ — აი, რატომ უნდა შვილი ლუარსაბს, რომელსაც მამაშვილობის კეთილშობილური გრძნობა სრულიად ატროფირებული აქვს.

ამიტომ კიდევ უფრო მეტად სიცილის მომგვრელია ლუარსაბის ბავშვური ტიტინი დარეჯანისადმი, როცა თავის მეუღლეს ეუბნება — შვილი ჰშობეო. აქაც დავითის გამოჯავრებას არ ივიწყებს, კვლავ და კვლავ იმეორებს: „ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულ-დედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან! შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდ მამკალ, შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე!“** და კნეინა დარეჯანი, მონა-შორჩილი ბრწყინვალე მეუღლისა, სულმოუთქმელად აიმედებს ქმარს: „ვშობამ შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ ეგრეა!“ — თითქოს „მართლა ამის ხელში“ ყოფილიყოს „შვილის შობა“. ლუარსაბის გონებაში შვილი იმიტომ დაუკავშირდა დავითის გამოჯავრებას, რომ ცოცხალი სინამდვილიდან ეს გრძნობა მას სიზმარშიაც არ ასვენებს. სიზმარშიაც ეზმანება, რომ დავითის სიბარულს, ლუარსაბის უშვილობის გამო, საზღვარი არა აქვს. დადის დავითი და ყველგან გაიძახის: „ის ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო“. გულმოკლული ლუარსაბი სიზმარშიაც ღვთაებას მიმართავს, მოწყალებას სთხოვს, არ ერიდება ისეთი ბოროტების ჩადენას, როგორიცაა მაბეზღრობა.

ზედმეტია იმის ხაზგასმა, თუ რაოდენი ცოდვა იყო მორწმუნე ადამიანისათვის მაბეზღრობა, ისიც ღვთაების წინაშე. განა, ბოროტება რომ არა ჰქონოდა, მორწმუნე ლუარსაბი მაბეზღრობას იკისრებდა ღვთაების წინაშე? მერედა ვის აბეზღებს უზენაესთან? საკუთარ ძმას, თავისივე სისხლსა და ხორცს. ჩინებული მორალია! დავითი საკუთარ ძმას ათ თუმნად ჰყიდის, ხოლო ლუარსაბი დავითს ღმერთთან აბეზღებს! ასეთია მებატონეების პირუტყვული ზნეობა! ეს მარტოოდენ კრიტიკა კი არა, ბატონყმური ინსტიტუტის შინაგანი სიდამპლის გამოაშკარავება და მისი დაგმობაა. სხვანაირად არ შეიძლება გავიგოთ ლუარსაბის სიტყვები უზენაესადმი: „ღმერთო! — ამბობს სიზმარში გულნატკენად ლუარსაბი, — რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბძანე და აკი გიახელ თეღეთს სალოცავადა, თორემ ტა-აბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 165.

** იქვე, გვ. 166.

სანთელი აგინთე. სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი. მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთელის? შარშან ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია. პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვევა, იქნება ფებიც დაადგას და გასრისოს კიდეცა. უკურთხეველ ყურძენსა სჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე, აღდგომა-დღეს მღვდელს არ მოუცდის — რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულს — როგორც დათვი, ამისთანა მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე. აბა, ეს რა ზიარებაა! ეს ყველაიცი — შე დალოცვილო ღმერთო — და მაინც კიდევ იმისაკენა ხარ! დაილოცა შენი სამართალი! ჰო, მართლა, ერთი კიდევ დამავიწყდა: ერთი მწვევარი ჰყავს, თავის თეფშში აუმევს ხოლმე. ქრისტიანი კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე,* ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი — რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი — ღმერთო, ხომ შენ იცი — არაფერს არ დავუძლევივარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ ჰოქმანობა დავიწყე? აჯი მაშინვე მოვინანიე!..“**

გულუბრყვილო და მაბეზღარა ლუარსაბს, რომელსაც ცრუმორწმუნეობა ერთადერთ ჰეშმარიტებად მიაჩნია, ჰგონია, რომ ამ გზით ყველაფერს მიაღწევს: შვილსაც მისცემს უზენაესი, ხოლო დავითს სასტიკად დასჯის. იმავე სიზმარში ლუარსაბი ჰხედავს, რომ ღვთაებამ მისი ვედრება შეიწყნარა, დარეჯანი უკვე რვა თვეა ორსულად არის, კიდევ ერთი თვე და მემკვიდრეც დაიბადება. ამის გამო დავითი და ელისაბედი „ჯავრით აღარ არიანან“. კიდევ ორი კვირა გავიდა, ორი კვირის შემდეგ კი შვილი უნდა დაიბადოს, მაგრამ საშინელება დატრიალდა: ლუარსაბი ავად ხდება, მოკვდა კიდეც, მაგრამ „ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერსა ჰგრძნობდა“. ესმის დარეჯანის ცხარე მოთქმა-ტირილი, სოფლის დედაკაცების ბანი, იქ კი, კუთხეში, დავითი და ელისაბედი „იცინიან, ჰხტიან და ლუარსაბის ავეჯ-ეულობა თავის სახლში გადაჰქონთ“. დავითი ამასაც არ სჯერდება, ხმამაღლა გაიძახის — „ხვალ მაშულებს ჩავიბარებო“. ყველაფერი ესმის ლუარსაბს და სისხლი ყელში აწვება, „იტანჯება. უნდა სთქვას — რომ „ნუ მისცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო“, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს“. გავიდა სამი დღე. ლუარსაბი წაასვენეს. მღვდლების გალობასა და დარეჯანის ტირილში საბრალო ლუარსაბს დავითისა და ელისაბედის „მზიარული სიმღერა ესმის“. უკვე საფლავში ჩაასვენეს, იქვე დგას დავითი და დიამბეგს ეუბნება: „ხვალ მაშულები უნდა ჩამაბაროო. ელისაბედი კი უჯავრდება: რას ჰბრძავ? სახვალიოდ რად იხდი საქ-

---

* ილია ჭავჭავაძე აქ შემდეგ განმარტებას იძლევა: „არის ამისთანა ამაოთმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო-დალეული არ შეხვდი პირველად მერცხალს, მერცხალი დაგიძეკლს. კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეულ იქნები, ოფოფს თავდაყირა ცხვნილი უნდა დახვდე და სხვ. ლუარსაბს, როგორც ვთქვა სხვას, ეს დაძლევია ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეჯავრებოდა დავითს ღმერთთან აბეზღებდა. მაგრამ ვინ უწყის ხომ სულია ასეთი „ამაოთმორწმუნეობით“.

** ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1948 წ., გვ. 167—168.

შესა, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებ?“ ლუარსაბის ტანჯვას საზღვარი არა აქვს. ყველაფერი დამთავრდა, მიწაც დააყარეს, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მათ შორის მტირალი დარეჯანიც: „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!“, „დამაცა, შენც გაიცივის არ მოხვალ. იქ მოგაგონებ“, — თავისთვის ამბობს ლუარსაბი. მაგრამ ამ დროს ფერხულის ხმაც გაიგონა — დავითი და ელისაბედი საფლავზე ფერხულს უვლიან, თან სამარეში ნიშნის მოგებით ჩასძახიან: „ჩაძაღლდი განა?“ ეს კი მეტისმეტი იყო, ლუარსაბი აენთო, „ერთი საშინლად გაბრაზდა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯა, საფლავიდამ ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა“. ამ ვაივაგლახში „ერთი იბტუნა“ და „ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო“. გამოფხიზლებულმა ლუარსაბმა, რომელიც დარეჯანსა და მოსამსახურეებს ვიჟი ეგონათ, საყვედურებით აავსო თავისი უდანაშაულო მეუღლე. სიზმარსა და ცხადში ლუარსაბი მწარედ განიცდის, რომ დარეჯანი მართოდენ ტირილით დაკმაყოფილდა, ლუარსაბის დამარხვის შემდეგ სხვებთან ერთად მიატოვა თავისი მეუღლის ახლადგათხრილი საფლავი და ქმართან ერთად არ დაიმარხა. მხეცური ადათი ველური ტომებისა, როცა ქმრის სიკვდილის შემდეგ ცოლსაც თავი უნდა მოეკლა და მეუღლესთან ერთად დამარხულიყო, — ლუარსაბს, როგორც ვხედავთ, საკმაოდ გამარტლებულად მიაჩნია. თუმცა, ცხადია, მან არაფერი ამის შესახებ არ იცის, არ ვაუგია არც ბარბაროსული სუტის არსებობა. როცა უძველესი ინდოელები დაუწერელ კანონად აღიარებდნენ და პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ მიცვალებულ ქმართან ერთად კოცონზე ცოცხალი მეუღლის დაწვას. ლუარსაბის გაუთლელ სულს ეს ველური ადათი ეზმანება. ავტორი ამითაც ხაზს უსვამს, თუ რამდენად გადაგვარებულია ლუარსაბი, როგორც ადამიანი. ბარბაროსული ზნე ბატონყმურმა სინამდვილემ ლუარსაბში ბარბაროსის რუდიმენტები გააღვიძა. — ასეთია აღწერილი სურათის დედააზრი.

მაგრამ ლუარსაბი გულჩვილიც იყო, — გვეუბნება ავტორი. როცა ქმარი გიჟად მოეჩვენა და „წივოდა გვერდებდალეწილი დარეჯანი“, მაშინ ლუარსაბმა გაგიჟებულად მიიჩნია თავისი კნეინა და მწუხარების გამო „საწყალმატირილი“ დაიწყო. ეს ტირილი გულჩვილობაც იყო და ლუარსაბის სუსტი ჰკუის შედეგიც. საშინელმა სიზმარმა ბოლოს მშვიდობიანად ჩაიარა, რაკი დარეჯანმა მეუღლეს დამაჯერებლად განუმარტა, რომ იმ სიზმარში ორივე თუ ვტიროდით, სიხარულის მანიშნებელია, ჩვენი სიხარული შვილის ყოლაა და აუცილებლად შეგვეძინებაო.

ბედნიერი ცოლ-ქმრის სიხარულს ახალი ამბავიც დაემატა: ლამაზისეულმა თაფის ბატონებს სწორედ ამ დროს ახარა, რომ სოფელში მკითხავი მოსულაო. ეს მკითხავი ვინმე ჩამჩიაშვილს მოუყვანია ცოფიანი ძაღლის მიერ დაკბენილი შვილის მოსარჩენად. ლუარსაბმა და მისმა კნეინამ ახლა კი საბოლოოდ ირწმუნეს, რომ ეს კეთილის ნიშანია, რაკი იმ საშინელი სიზმრის შემდეგ, რომელიც დარეჯანმა საიმედოდ ახსნა, „ღმერთმა თავისთავად მკითხავი ჯარზედ“ მიაყენა უშვილო ცოლ-ქმარს. ლამაზისეული სწრაფად გააგზავნეს მკითხავის მოსაყვანად, ხოლო თვითონ კი გული დაიმშვიდეს: დიდი ხანია ვგრძნობდით, შვილი გვეყოლებოდა, ეხლა კი ნამდვილად „დაუდგება თვალი დავითსაო“.

მკითხავის მოყვანა, მისი ქცევა, მთელი ის ალიაქოთი, რაც ყოველივე ამას

შედეგად მოჰყვა, ილიას ისე კარგად, ცოცხლად და მიმზიდველად აქვს აწერილი, რომ გიკვირს: ახალგაზრდა კაცმა (ავტორი მაშინ 22—25 წლის ყმაწვილი იყო) საიდან იცოდა ასე ღრმად იმდროინდელი პრაქტიკული ცხოვრების წვრილმანები. ალარაფერს ვამბობთ მთელ მოთხრობაზე, რომელშიაც სინამდვილის ცოდნა, ყოფითი დეტალები ასე ძლიერად გვაგრძნობინებენ თავის თავს.

ილიამ „ოსტატურად გამოქნილი და ცბიერი მკითხავის“ მეტად კოლორიტული სახე დაგვიხატა. ეს ერთი იმ ადამიანთაგანია უთვალავ გაიძვერათაგან, რომელსაც არავითარი ცოდნა არა აქვს, მაგრამ უმეცართა და ცრუმორწმუნეთა შორის ადვილად ახერხებს თავის გატანას. ათასგვარი სიცრუით ატყუებს მათ. დიდ სახელთან ერთად, დიდ შემოსავალსაც ღებულობს. მას უნარი აქვს მიუხვედეს ადამიანების სუსტ მხარეებს, დაინახოს მათი ბასიათის გაბზარული ადგილები და ყველაფერი თავის სასარგებლოდ, კლიენტების მოსატყუებლად გამოიყენოს. დაინახა თუ არა ლამაზი ეული, მკითხავმა უმალ გაიგო, რომ იგი სულელი გოგოა, მისგან ბევრი ცნობის მიღება შეიძლება. გზადაგზა, ვიდრე ახალ კლიენტს ესტუმრებოდეს, მან ლამაზისაგან შეიტყო, რომ ლუარსაბი და დარეჯანი დიდიხანია შეწუხებული არიან უშვილობით. თელეთშიაც იყვნენ სალოცავად, მაგრამ შვილი მაინც არ ეყოლათ. თაყვანთან ამოვლის დროს, მკითხავმა შენიშნა „ამოღრანტული რაღაცა“ და მოქმედების გეგმაც უკვე შეიმუშავა. თაქარიძეებთან შესვლისთანავე, ცოლ-ქმარს „ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა“. რომ ისინი დაწუეველი არიან. კარგია, რომ თელეთში ილოცეს, მაგრამ წინანდელ „მკითხავს გულთმისნობა საერთო არა ჰქონია“, ამის გამო ვერ შეუტყვია, რომ „თქვენ სახლში ჯადო“ არისო. ეს ჯადო იქა დევს, სადაც თავლას უკან ორმოა.

წარმოიდგინეთ ცრუმორწმუნე ლუარსაბისა და მისი მეუღლის განცვიფრება, როცა უცნობი მკითხავი ასე დაწვრილებით ეუბნება მათი ოჯახის „საიდუმლოებას“. ის კი არ იციან, რომ ყველაფერი, რასაც მკითხავი ამბობს, სულელმა ლამაზისეულმა აცნობა. შიში და ერუანტელი აიტანს ცოლ-ქმარს. ვერც ერთი ვერ ბედავს ოთახიდან გავიდეს, რომ ბიჭებს დაუძახოს ჯადოს ამოსაღებად. მკითხავი თვითონვე მიდის, ბიჭებს დავალებას აძლევს, მაგრამ ორმო ვერსად ნახეს და ბატონსაც მოახსენეს: იქ ორმო არ არისო. „ეაი, შენ ჩემო თავო! — დაიძახა ლუარსაბმა, — დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს, რა გვეშველება?“ მაშინ მკითხავი თვითონ წავიდა ბიჭებთან ერთად, რაღაც ძონძები ამოიტანა, შიშისაგან გასავათებულმა ლუარსაბმა ჯადო სახლში არ შეატანინა, იქვე დააწვევინა და ისე ჩასთვალა, რომ მისი უშვილობა უცვე დამთავრდა.

ილიამ შესანიშნავად გვიჩვენა: ერთის მხრივ, ცრუმორწმუნე, გონებაჩლუნგი მებატონე ცოლ-ქმარი, რომელთაც მკითხავი ასე ოსტატურად ატყუებს, და, მეორეს მხრივ, გლეხების წარმომადგენლები, რომლებიც მკითხავის ინიციატორობას არარად აგდებენ, მაგრამ კვერს უკრავენ, რაკი „ბატონს უხარიან“. თვითონაც კარგად აცრუებენ ჰკუასუსტ ლუარსაბს, უყვებიან ზღაპრებს კუდიანებზე. რომ ერთი ასეთი კუდიანია „ჩიტურაშვილის დედა“, რომელიც ჰიაკოკონობის დროს „თურმე ბუხარში აძვრება“, როგორც ცხენზე. ისე შეჯდება ცოცხზე და „ჰერი ბიჭო, ჯანეტეს ხოლმე“. სულელ ლუარსაბს ყველაფერი ეს

სჯერა, იმასაც კი ამბობს. თუ რა ეშველებოდა მათ, „მკითხაობა რომ არ ცემინა ღმერთსა... ჯადოს კიღა იპოვიდა?“ ახლა კი ყველაფერი კეთილად დამთავრდა, ხოლო დარეჯანი ისე დაჯერებულია, თითქოს „შვილი კალთაში“ უკდეს. მაგრამ მცირე უსიამოვნება ცოლ-ქმარს მაინც მოუვიდათ: ორიოვს უსწორდა პირველობა დაესაკუთრებინა, რომ ის,რაც გუშინ არ ეპოდათ, დღეს გამოიცვნეს. მაგრამ პირველობა არც ერთმა არ დასთმო, როგორც ყოველთვის ხდებოდა მათ შორის, იმ მიზეზის გამო, რომ „კაცი სულელი თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა“. ეს თავმოყვარეობა ორიოვს საკმაოდ ჰქონდა. ისევე, როგორც სოსულელე, და რაკი ყველა პირობა იყო, უსიამოვნებასაც აღარ დაუყოვნებია.

მაგრამ ყველაფერზე ძლიერი აღმოჩნდა მკითხავის მიერ მიცემული იმედი — შვილი აუცილებლად გეყოლებათო. ბატონების „ამ დაჯერებამ იქამდინ მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩვენა. კიოსმც მუცელში ყმაწვილმა გაუჩუჩუნა“. ახარა კიდეც ლუარსაბს და იმ დღეს „აახლებინეს წითელი ღვინო“. ბედნიერმა ცოლ-ქმარმა შესვეს ჯერ არშობილ მემკვიდრის სადღეგრძელო. გამოთვრენ კიდეც, განსაკუთრებით ლუარსაბი. მაგრამ არც დარეჯანი იყო უკეთეს მდგომარეობაში: „ღვინო თანდა-თან ეკიდებოდა, ლოყები აუბაშხაშდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და ალარა ჰშორდებოდა. ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბღნა დენა დაუწყო. თვალები აუმღვრა და თავის-თავად ეხუჭებოდა, — ერთის სიტყვით, — დარეჯანი ქეიფზედ იყო“.* ლუარსაბი კი, მაგრად შეზარხოშებული, გაიტაცა თავისი თავის ქებამ, როგორც იცოდა ხოლმე. ილიამ ისე ფართო ადგილი დაუთმო ღვინისაგან გახურებული ლუარსაბის სიტყვებს, რომ სრულიად უეჭველია, მას სურდა აქ უკვე საბოლოოდ დაეთმობინა თავისი კმირის პორტრეტი. ამის შემდეგ ხომ მოთხრობაც არსებითად ვერ ინახლში გადიდის. თუ კარგად დააკვირდებით ამ ადგილს, მართლაც, ლუარსაბის დასრულებული სახეა წარმოდგენილი მისსავე სიტყვებში, როცა მთვრალი „უგზო-უკვლო ტიტინს მოჰყვება: „ვენაცვალე კახეთსა!.. ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელს კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის, რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადგნის „პოვერნია“ ვარო? „პოვერნია“ კი არა. — შენც არ მამიყვდე, — ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა წადიო. კახეთში ერთი დევი კაცი არიო. ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ...

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 182.

სუ ჩემი მზე ვაფიცებინე. იცით, ერეკლე თავად პირით მითხრა: „ბაბუაყ-დევი ხარო. თითიც მომიკვეთა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანამ ძველო მოიგერო, ნახევარი მეორეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩიქლა. რასაკვირველია. იმ ნახევარს გამოვტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მაჭელებიც მაშინ ისე ოხრად გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა? ეხლა ოხრად აღარ დაგვრჩება: ვენაცვალე შენს სტომაქსა! (დარეჯანს ეუბნება — გ. ჯ.). ეხლა შიგ პატარა თათქარიძე ზის და, ჰკონია, წითელ ღვინოში ჰყუპალაობს. უჰ, შენი კი პირიმე! მოდი, ერთი ეგ ნაზი ტუჩები ამოგწუწნო! ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორწილზედ ვიფიქროთ. იცი, რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ — ღვთის მადლით — სულელი, თოთხმეტი წლისა შესრულდება თუ არა — აბა, ოცდაორმეტ წლისა შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, — შესრულდება თუ არა, ჯვარიც დავწეროთ. რაღას უნდა მოვუცადოთ? ეხლა მაგის ქორწილში ლეკურს არ ჩამოუვლი? მე კი — ღვთის წყალობა შენა გაქვს — ასეთს ბუქნას დავუვლი, რომ იქაურობას სულ მტვერი ავადინო... ეხლა იმ იმერელს, რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვი-მეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას წუენი გამოუვა, ერთ „ულაბად“ არ მეყოფა-თქო, და „ულუპი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი, მაშ!.. თუ ღმერთი გწყმს — კარგად არ მითქვამს?.. მაშ, მოდი ერთი კიდევ ამოვწუწნო ეგ შენი მარწყვი ლოყები. ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ?.. მოდი, იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდებური... მე „განდიდურს“ დაგიძახებ. თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორწილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე „პაწპაწინა ნიკვზის ტოტს“ დაგიძახებ. ჰა და პაწპაწინა ნიკვზის ტოტი! პაწპაწინა ნიკვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა! ურაა!.. აი, გიდი! ქუდი ჭერში! კახური კაცის... ჰი... რი... მე ჩა... აა... რაკ... რაა... კებს... კუ... უუ... ლა... საა!.. იმ იმერელსაც... კაი... საქმე... დავმარ... დავითსაც... თვალიმც გამოს... ძრო... მიი... ურაა!..“*

ავტორის რემარკა. რომ ასე „ყროყინებდა სიმღერის ხმაზედ გაბრუებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ჩაეძინა კიდეცაო“, უკანასკნელ წერტილს უსვამს მოთხრობის გმირს, როგორც პორტრეტსა და ხასიათს. შემდეგ ჩვენ უკვე ფინალს ვხედავთ, სადაც ყველაფერი უნდა დამთავრდეს.

დამთავრდა კიდეც! ქვეყნად არაფერია დაურღვეველი. მით უფრო ლუარსაბისა და დარეჯანის ბედნიერება, რომელიც ასე სუსტი ძაფით იყო ხაკერი. „მართო ქვეყანაა... დაურღვეველიო“, — კვეუბნება ავტორი. მაგრამ ვირწმუნოთ, რომ მართლაც ასეა? ქვეყნად ყველაფერი ირღვევა, დროის შეუჩერებელ დინებას ემორჩილება. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა და ჩვენ ისღა დაგვრჩენია ქვეყნის დაურღვეველობაშიც ეჭვი შევიტანოთ. მაგრამ რღვევა ყოველთვის როდი ნიშნავს მოსპობას. რღვევა ხშირად განახლებისა და კვლავ-აღდგენის მაბარობელია. ცოცხალი ძალების ბორკილთა მსხვრევა და ხუნდებისაგან გათავისუფლებაა. ასეთი რღვევა ქვეყანას მუდმივად ახასიათებს. მაგრამ არის მეორე სახის რღვევაც: ის მოსპობაა. როგორც რღვევა ლუარსაბ-დარეჯანის ბედნიერებისა. ამ აზრითაც დიდი სიბრძნეა ავტორის სიტყვებში: „ნუ დააგდებ

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 182—183.

ძველსა გზასაო“ — ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის, რასაკვირველია, დაირღვევა... ჩემო ძველის გზის მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!..“*

ლუარსაბისა და დარეჯანის მოჩვენებითი ბედნიერება მალე დაირღვა. დრო გავიდა. მაგრამ შვილი მათ არ შეეძინათ. იმედი მაინც არ დაუკარგავთ. დარეჯანმა ვიღაც დედაკაცთან აქიმობა დაიწყო. მთელი ორი კვირა სვა მისგან მიღებული წამალი, მესამე კვირას კი სულ განუტევა. დაქვრივებულმა ლუარსაბმა „წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა“. მისი ბედნიერება დარეჯანთან ერთად დაიმარხაო, — გვეუბნება ავტორი, —. მაგრამ ნაწილი სიამოვნებისა მაინც დარჩა—დაუმცხრალი მადა, რასაც კვლავინდებურად იკმაყოფილებდა, ვიდრე მისი საყვარელი ძილი, ისიც ისეთ ნებივრობაში, როგორიც იყო ლამაზისეულის მიერ „ფეხის გულებზედ და კლანჭებზედ“ ხელის გადასმა. ვიდრე ბატონი არ დაიძინებდა. დროდადრო ლუარსაბს „ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებერტა. ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, რა დიდრონი ძრობის ოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხმა. ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, — ერთის სიტყვით. წახდა კაკალი კაცი“.** ფერისცვალობის დღეს ნათლიმამამ ლუარსაბს გამოუგზავნა ნახევარი ლიტრი კალმახი, რასაც ბატონი ისე მიაძღა. რომ კუჭის ანთება დაემართა და დარეჯანის გზას გაუდგა.

ასე გარდაიცვალა ბრწყინვალე თავადი ლუარსაბ თათქარიძე, ერთი იმათთაგანი, რომელნიც „არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ“, — დასძენს ავტორი და ჩვენ არ შეგვიძლია მის სიტყვებს არ დავეთანხმოთ.

მოთხრობის ფინალში ავტორისეული რემარკები ფართოდ გადმოგვეშლიან ილია ჭავჭავაძის credo-ს, მის მსოფლმხედველობას, მიზანს, რაც საფუძვლად დაედო „კაცია-ადამიანს?!“, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. მასში იმდენად ბევრია ნათქვამი, თან ისე გარკვევით, ისე ნათლად, რომ უმჯობესია მთლიანად მოვიტანოთ.

„მოკვდა ლუარსაბიცა ისე, — წერს ილია ჭავჭავაძე, — როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა კვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჩვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბ თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართველის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ესლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულება თავისი აზრი და საფუძველი

---

* ილია ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 184.

** იქვე.

ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გაძვრე გონება შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ. რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა ტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია. — ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი შოხუცებული. ღარიბი, შაშველ-ტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის. რა-გვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. ეე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე მინახავს. რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის შაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ხედავდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას კი — ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, — ეგ იმაზედ არის დამოკიდებული. როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც უნდა მწუხარე ჰეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზა-კვალ-არეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამცგონე ჭორი — შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს — რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გოხება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე. გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა, ღმერთმა ქნას, რომ ეგ ეგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო. იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეს გასწორების განზრახვა. დღესა თუ ხვალე. შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას ძარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე. რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე — თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგრმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ

კაისწორო და ხალხში არ შეიტანე. მეც მოყვარესავით გიქცევი, — სარკე მოგიტანე. ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოო, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგა-და-შიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა, ის მოგართვი, როგორც შემეძლო. ისე დაგეხმარე. თუ მაინც-და-მაინც წყრომას არ დაიშლი. შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შეხშიაც მოვტყუვდი: რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელდაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყვარდა და გათენდება თუ არა — ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არ ყოფილიყო. ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა. როდისაც იქნებოდა!..“*

ეს გათენება პირველყოვლისა გულისხმობდა ბატონყმობის მოსპობას, რასაც ილიამ მთელი თავისი ლიტერატურული და პრაქტიკული მოღვაწეობა შესწირა. თუ რამდენად აუცილებელი იყო ამ ბარბაროსული ინსტიტუტის გაუქმება. მწერალმა შესანიშნავად გვიჩვენა „კაცია-ადამიანშიც?!“ საგულისხმოა ერთი მომენტიც: მოთხრობის II თავში, როცა ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა ლუარსაბის სახის გარეგნული აღწერა, ილია მოულოდნელად გადავიდა სრულიად სხვა საკითხზე. რა იყო ეს — პაუზა, ანტრაქტი. რეპარკა. პასაჟი, თუ თვითგანსჯა? იქნებ ავტორს თვითონვე შეეშინდა. რომ მოთხრობის გმირს მეტისმეტად ვრცელი დახასიათება მისცა. მოსაწყენად მიიჩნია და ამიტომ გადაწყვიტა მკითხველის წინაშე ბოდიში მოეხადა? არა. აქ ყველაფერი იყო, მაგრამ უფრო მეტად იმის სურვილი, რომ მკითხველისათვის თავიდანვე სრულად გაეხსნა ნაწარმოების დედააზრი. თანაც მისთვის ერთგვარი შესვენება მიეცა. დაეფიქრებინა აღწერილ სურათებს. კი არ ეცინა ლუარსაბის სავალალო მდგომარეობაზე. მომხვდარიყო, თუ რა გულისტკივილით ხატავდა ავტორი თავისი გმირის ცხოვრებას. ასე უნდა გავიგოთ ილიას შემდეგი სიტყვები: „მკითხველო. ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა. არც კაცის-კვლა. არც უიმედო ქალის ოხვრა. არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით — რაც აშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა — ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება. ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო. რომ მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს; იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს. რომ გასართველი არ არი. არამედ იმიტომ. რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უსეირო წერილმა. მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია. ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა. რა ვუყო? ამით ვიხუვებ. რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“. ამ დალოცვილს ანდაზას

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 184—186.

რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. მეც იმათში...“* შემდეგ კი კვლავ გრძელდება ლუარსაბის სახის აღწერა.

მოტანილი ნაწყვეტი იმდენად ნათელ წარმოდგენას იძლევა ავტორის ძირითად მიზანზე, რომ თითქმის არავითარ განმარტებას აღარ საჭიროებს. მაგრამ ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას: აქ უთუოდ არის წაწოყებებული ის რეალისტურ-ესთეტიკური პრინციპი, რომელსაც თერგდალეულები ისახავდნენ. ლიტერატურა მათ მიაჩნდათ არა გართობის, სასიყვარულო თავგადასავლების, ავანტურების აღწერად. არამედ, ცხოვრების გამოსახატავად, ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებად. მოთხრობიდან ჩვენს მიერ მოტანილ ადგილსა და ილიას მიერ დაწერილ მოწინავე წერილს შორის — „საქართველოს მოამბეზედ“ სრული იდენტივობა არსებობს. გაიხსენეთ ილიას სიტყვები ამ წერილიდან: „დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, „გაფაღარათებულ ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემასა“, მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემ საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედური პოეტია. რომელსაც შენ გამო „ოხვრის კვამლი“ თვალებსა სწვავს და ცრემლს ადენსო; დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჩასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი შამოვიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ. ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფასა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა...“** მხატვრული შემოქმედების ამ ესთეტიკურ პრინციპს თვით ილია ახორციელებდა. ებრძოდა მეტაფიზიკურ ხელოვნებას, ღრმად იჭრებოდა ცხოვრების ძირში, არ აშინებდა მარგალიტებთან ერთად ლექი და ლაფიც გამოეფინა, როგორც ეს ჩვენ უკვე ვნახეთ „კაცია-ადამიანის?!“ მაგალითზე.

მაგრამ ახლა შეგვიძლია იგივე დავინახოთ სხვა ნაწარმოებთა მიხედვით. ერთი ასეთი საგულისხმო თხზულებაა „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“, რომელიც 1865 წელს დაიწერა. ვიდრე მის გარჩევას შევუდგებოდეთ, საჭირო იქნება წარმოვადგინოთ „კაცია-ადამიანის?! ის შეფასება, რომელიც ალექსანდრე ცაგარელმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა და ალისუბნელმა (რ. ჩხიკვაძემ) მოგვცეს.

არისტოტელეს თეორიის უადგილო გამოყენებით ალექსანდრე ცაგარელმა უმართებულო მოსაზრება განავითარა. როცა „კაცია-ადამიანი?!“ მოქმედება ვერ დაინახა და აქედან მცდარი დასკვნა გააკეთა: რაკი მოქმედება არა აქვს. „კაცია-ადამიანი?!“ „ამიტომ ნამდვილი მოთხრობის დანიშნულებას ვერ ასრულებს: ესაა ისპატარა-პატარა დიდის ხელოვნებით აღწერილი სცენები და სურათები, სხვადასხვა შეხთხვევები, შეკრებილი ერთათ, რომლებსაც ხან სულ არა და ხან ძალიან ცოტა შინაგანი კავშირი აქვთ ერთმა-

---

* ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1948 წ., გვ. 109. ბაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, გვ. 80.

ნ ე თ თ ა ნ ო".* იმდენად მცდარია ძირითადი აზრი ამ დებულებისა, რომ მგონი სპეციალურ განხილვას არც საჭიროებს. კიდევ უფრო მიუღებელია ც ა გ ა რ ე ლ ი ს მოსაზრება, თითქოს „მთელი მოთხრობა („კაცია-ადამიანი?!"—გ. ჯ.) არის ა ღ წ ე რ ა (თუმცა ოსტატური, როგორც ავტორი შენიშნავს — გ. ჯ.) სურათებისა, რომლებიც ვთქვათ, შემოწყობილნი არიან ოთახში და ერთმანეთთან არა ცხოველი კავშირი არა აქვთ... მოთხრობაში ე რ თ ი ჰ ა ზ რ ი არ არის გატარებული".** ამიტომ არც მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ი ა გამოყვანილი, რომელიც ამ აზრს განასახიერებდა, როგორც გ ო გ ო ლ ი ს „მკვდარ სულებში" ჩ ი ჩ ი კ ო ვ ი ო. ეს იყო გაუგებრობა. რაც ჩვენი განხილვის შემდეგ ახალ უარყოფას სრულიად ზედმეტად ვიგვაჩვენებდა. სხვა მცდარ მოსაზრებებს აღარ გამოვეკიდებით, რაკი სპეციალური მსჯელობის ღირსად არ მიგვაჩნია.

არის მეორე უკიდურესობაც.

ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ის აზრს — ილია უცხო მწერლების გავლენას განიცდისო — მიემხრო ალექსანდრე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ც. „უნდა აღვნიშნოთ, — წერს მკვლევარი, — რომ რუს მწერლებს საერთოდ გავლენა მოუხდენიათ ილიაზე. „კაცია-ადამიანის" წამკითხველი მოიგონებს გოგოლის „სტაროსვეტსკოე პომეშჩიკის". ამავე მწერლის თხზულებათა „რევიზორის" და „მერტვია დუშის" ზემოქმედება ჩანს ხელნაწერად დარჩენილს მის მოთხრობაში „კაკო". სადაც სხვათა შორის ვკითხულობთ („ფასკ." 1908 წ. № 8): „ჩვენცა გვყვანან ქართველი ბობჩინსკები და დობჩინსკები, ჩიჩიკოვები, სობაკევიჩები და სხვანი, მაგრამ მათ სუყველას ქართული სუნი უდის". აი სწორედ ამ „ქართულის სუნის" შენიშვნა და გამომზევება დამკვირვებელის ნიჭის წყალობით შესძლო ილიამ თავის პირველს ნაწერებში, რომელთა ჩასახვა და დედა-აზრის გატარება ნაციონალურს ნიადაგზე დაებადა უცხო მწერალთა შესწავლის წყალობით".***

ეს მოსაზრება ალექსანდრე ხახანაშვილისა გამონაკლისს არ წარმოადგენდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ზოგიერთი კრიტიკოსიც არ უარყოფდა გ ო გ ო ლ ი ს „ძველი დროის მემამულეებისა" და ი ლ ი ა ს „კაცია-ადამიანის?!" მსგავსებას, მაგრამ გავლენას ხედავდა მარტოოდენ „გ ა რ ე გ ნ ო ბ ა შ ი, ფ ო რ მ ა შ ი", ხოლო სხვა დანარჩენი ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ად მიაჩნდა. „ჩვენ „კაცია ადამიანს" ნიადაგი ქართული აქვს. — წერდა ა ლ ი ს უ ბ ნ ე ლ ი, — შიგ ჰეშმარიტი ქართველები მოქმედებენ, იქ სურათებიც ქართულია, ცრუშორწმუნეობაც ქართულია, სმაც, ჭამაც, — ერთი სიტყვით სულ ყველაფერი".**** ეს მოსაზრება ა ლ ი ს უ ბ ნ ე ლ ი ს უფრო ახლო იყო ჰეშმარიტებასთან. საერთოდ კი მოთხრობამ „კაცია-ადამიანი?!" იმდროინდელი კრიტიკის დ ი დ ი მ ო წ ო ნ ე ბ ა დაიმსახურა. რასაც ალექსანდრე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს სიტყვებიც მოწმობენ, როცა „კაცია-ადამიანი?! იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში", ბატონყმობა „ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო გადავარდნილი", —წერს ალექსახდრე ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. — „მკაცრი კილო მოხვდათ თავიანთ მამულებში მიძიხე-

---

* ა ლ. ც ა გ ა რ ე ლ ი, ჩვენი უბედური მწიგნობრობა ამ საუკუნეში, „დროება", 1870 წ., № 7, გვ. 2. ხაზი ყველგან ავტორისაა — გ. ჯ.

** ი ქ ვე.

*** ა ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 97.

**** ა ლ ი ს უ ბ ნ ე ლ ი, ჩვენს ლიტერატურაზე, „თეატრი", 1885 წ., № 15. წიგნში: „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", 1957 წ., გვ. 285.

ბულს მებატონეებს და უკმაყოფილებისხმა აღიმაღლეს ავტორის წინააღმდეგ". „ამ მოთხრობით, სადაც შედგრად გაკიცხულია ბატონების ცხოვრება და მათი გლეხებთან შეურიგებელი განწყობილება, ილიამ გამოიწვია დიდი საყვედური ჩაღალს წრეში. ავტორი საშშობლოს მტრად დასახეს, მიათვალეს იმ პირთ, რომელთაც აკლიათ პატრიოტიზმი დასძულთ თანამემამულენი".*

ეს სიტყვები ალექსანდრე ხახანაშვილისა ჰეშმარიტებას გამოხატავს, ისტორიულ სიმართლეს შეიცავს. როგორც ამის მოწმობა. რომ „კაცია-ადამიანში?!" გაკიცხულია ბატონყმობა. ეს გაკიცხვა, ბატონყმობის, როგორც ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტის მხილება და სატირა მოცემულია „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებშიც".

დ) „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები"

ეს ნაწარმოები ილია ჭავჭავაძის დრამატიულ თხზულებებს უნდა მივაკუთვნოთ, ვინაიდან ჟანრობრივად დრამას წარმოადგენს. ჩვენ ცალკე არ განვიხილავთ ილიას ამგვარ შემოქმედებითს ნიმუშებს, იმ მიზეზის გამო, რომ დრამატურგია არ იყო მისი მხატვრული შთაგონების სტიქია. იგულისხმება არა ტალანტი, შემოქმედებითი უნარი, არამედ, მხოლოდ ის, რომ „აჩრდილის" ავტორი დრამატურგიაში სპეციალურად არ მუშაობდა, თავისოვის უმჯობესად მიიჩნევდა პროზას და პოეზიას, მათ უფრო შეეწყო, თუმცა ხელოვნების ამ დარგზე ძალიან მაღალი შეხედულებისა იყო და მას უროულეს ლიტერატურულ მოვლენად აღიარებდა. თუ დრამაში გადამწყვეტ როლს ფაბულა და დიალოგი ასრულებს, ილიას, როგორც ხელოვანს, ორივე ახასიათებდა. ამ მხრივ მას შეეძლო პირველხარისხოვანი დრამატიული თხზულებები დაეწერა (გაიხსენეთ დრამატიული პოემა „ქართველის დედა". „კაკო ყაჩაღი", პიესა „ვაჭანკალი"), მაგრამ იხტეხსიური მუშაობისათვის მწერალს ეს ჟანრი არ აურჩევია. თუმცა. რაც დაწერა, მარტოოდენ დიალოგებით შეიძლებოდა დაგვეფასებინა. წაკოგვეყეხებინა დებულება, რომ ილიაჭავჭავაძე დიალოგებისბრწყინვალე ოსტატი იყო როგორც პროზაში. ისე პოეტურსა და დრამატიულ თხზულებებში. დიალოგებით ძლიერია აგრეთვე „სცენები", რომელსაც ახლა გახვიხილავთ.

„სცენები" ილიას ცალკე წიგნად გამოუცია 60-იანი წლების ბოლოს. როგორც ეს გაარკვია პავლე ინგოროყვამ. „ამ პირველი გამოცემის ეგზემპლარები ვერსად ვიპოვეთ, — წერს მკვლევარი. — ტფილისის მუზეუმებში იგი არ აღმოჩნდა. ცნობა ამ პირველი გამოცემის შესახებ გადმოგვცა განსვენებულმა ხ. ნიკოლაძემ; ეს გამოცემა ნ. ნიკოლაძეს უნახავს 1869 წელს, როცა იგი ევროპიდან საქართველოში ჩამობრუნდა. ზედმიწევნითი თარიღი ამ გამოცემისა ნ. ნი-

---

* ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 88—89. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

კოლაძეს არ ახსოვდა. მისი ცნობით, იგი დაბეჭდილი იყო 1865—1868 წლებს შორის... ამ პირველი გამოცემიდან ნ. ნიკოლაძეს ეს ნაწარმოები უთარგმნია რუსულად; თარგმანი დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალში «Изящная литература». 1883 წელს: Сцены из времен освобождения крестьян. И. Г. Чавчавадзе. Перевод (с грузинского) Н. Я. Николадзе (№ VI, გვ. 270—296)".* გარდა ამისა, „სცენები" დაუბეჭდავს ქართველთა ამხანაგობის გამოცემას 1892 წელს.**

რით აიხსნება „სცენებისადმი" ასე გაძლიერებული ინტერესი? სრულიად უეჭველია. იმით, რომ გლეხთა განთავისუფლების პირველი დროის სცენებს (დაახლოებით 1865 წლის პირველი ნახევარი უნდა ვიგარაუდოთ) იგი მართლაც ისტორიული სიმართლით გადმოგვცემს. ილია ამ დროს, როგორც მისი ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ვნახეთ, თვითონ იყო მომრიგებელი შუამავალი დუშეთში და ნაწარმოების ერთერთი მთავარი მოქმედი პირი — მიროვოი პოსრედნიკი — თვითონ ავტორია, რომელსაც საკუთარი მუშაობის გამოცდილება იმ დროისა თხზულების მასალად გამოუყენებია.

ნაწარმოებში აღწერილია სცენა მომრიგებელი შუამავლის ოთახში, სადაც რამდენიმე გლეხკაცი ფეხზე დგას. შუამავალი მაგიდასთან ზის, საქმეებს არჩევს, ხოლო ორი მებატონე სკამებზე ზის. მომრიგებელი შუამავალი პირველად იწვევს ბატონყმობიდან განთავისუფლებულ გლეხს — გლახა ჭრიაშვილს და სთხოვს უთხრას, თუ რა საქმეზეა მოსული.

გლახა ჭრიაშვილი მეტად კოლორიტული სახეა მძიმე უღლისაგან თავდახსნილი იმდროინდელი გლეხისა. ადამიანი, რომელმაც მთელი სიცოცხლე ბატონის სამსახურს შეალია. ისევე, როგორც მისმა მამა-პაპამ, ვერ ახერხებს თავისი სათხოვარი გამოთქვას; ბატონყმობას მისთვის გამართული მეტყველების უნარიც წაურთმევია. გრძლად, მიკიბულ-მოკიბულად ლაპარაკობს. ბოდიშებითა და მოკრძალებით, მაგრამ მის სიტყვებს არც თავი აქვს, არც ბოლო. იწყებს და აზრს ვეღარ ამთავრებს. რამდენი არ ილაპარაკა. შუამავალს თავიც მოაბეზრა, მაგრამ სათხოვარი მაინც ვერ გააგებინა. გლახა ჭრიაშვილი იმდენად კოლორიტული სახეა, რომ მას შემდეგ, რაც ილიამ იგი ლიტერატურაში შემოიყვანა, ცხოვრებაში დამკვიდრდა. დღესაც, თუ ვინმეს შევხვდებით, რომელიც გაუთავებლად ლაპარაკობს ან აზრის გამოთქმას ვერ ახერხებს, ჩვენ მის შესახებ ვიტყვით ხოლმე: როგორ გლახა ჭრიაშვილივით ლაპარაკობს. ილიას ჰქონდა დიდი უნარი ისე დაებატა ტიპები, რომ მათთვის სიცოცხლე მიეცა ლიტერატურაშიც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. ამიტომაა, რომ დღესაც თათქარიძეს ვეძახით. თუ ვინმეს ლუარსაბის რაიმე თვისება შევამჩნიეთ. დარეჯანს ვადარებთ, თუ კნეინას ნიშნები გვაგრძნობინა, ოთარაანთ ქვრივს. თუ მტკიცე ნებისყოფის, მწარე ენის, მაგრამ გულმართალ ქალს შევხვდებით.

გლახა ჭრიაშვილი ერთი ასეთი, უაღრესად დამახასიათებელი, ცოცხალი სახეა, რომელმაც ტიპიური ნიშნები იმდენად მკაფიოდ წარმოსახა. რომ გარკვეული დროის კოლორიტიც შეინარჩუნა. ცხოვრებით გა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 726.
** იქვე.

ნაწამებ ამ კაცს, თავის სიტყვებში ბევრი მ წ ა რ ე ც შეურევია, მაგრამ ისე დაბ-ნეულა, რომ ა ზ რ ე ბ ი ბ ო ლ ო მ დ ე ვ ე რ მ ი უ ყ ვ ა ნ ი ა. ცალკეული ჰეშ-მარიტებანი კი, ცხოვრების გამოცდილებანი, მას კარგად შეუთვისებია. რომ გა-ვიგოთ მისი შინაგანი არსება, ან ის, თუ რას ნიშნავს ჰ რ ი ა შ ვ ი ლ ო ბ ა, უხდა დავაკვირდეთ მის უ თ ა ვ ბ ო ლ ო ლ ა პ ა რ ა კ ს. რაკი ვერაფერი გაუგო, შ უ-ა მ ა ვ ა ლ მ ა სთხოვა გლახა ჭრიაშვილს — „თუნდა თავიდამ დაიწყე, თუნდა ბოლოდან. ოღონდ კი მალე შემატყობინე, ჩემთან რა საქმე გაქვსო". და ჰ რ ი-ა შ ვ ი ლ მ აც დაიწყო, მაგრამ ვაი ამ დაწყებას: „ისე დალაგებით მოგახსენებ, შენი ჭირიმე, — ამბობს გლახა ჭრიაშვილი. — სიჩქარით, შენი ჭირიმე. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, სოფელი არავის მოუკამია. მოსამართლე ხელმწი-ფის ყურია. უნდა ყველაფერი თავიდამ ბოლომდინ გაგაგებინო. თუ წყალი სა-თავეშივე აიმღვრა, ბოლომდინ მღვრიედ ივლის, ამიტომაც მინდა ისევ თავიდამ დალაგებით მოგახსენო. იმიტომ რომ კარგად დალაგებით დაწყობილი თავი-დამეე საქმე ბოლომდინ ანკარა წყაროსავით გავა. ეს თქვენ უფრო კარგად მო-გეხსენებათ, თორემ მენა ამაებისა რა მეცოდინება? ერთი რეგვენი გლეხკაცი ვარ, ჩემს დღეში სამართლის კარი არც-კი დამინახავს. რა ფერია: წითელია, თუ შავი? იქნება თეთრიც იყოს, ვინ იცის? მენა ის თვალითაც არ მინახავს. მაღალი ღმერთის ღმთის-რისხვა და თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, მართალს მოგახ-სენებ. აი. ამიტომაც მინდა თავიდამ დავიწყო. ისე სჯობია. თავიდამვე დალაგე-ბით მოგახსენო: პაპაჩემი აზნაური გხლებიათ — ეს დიდიხნის ამბავი გახლავს— ნუგზარ ერისთავის დროსაო, თუ გაგიგონიათ, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ მენა იმ დროებისა რა მეცო-დინება? დიდი ხნის კაცი როდი ვარ. მართალია, წვერ-ულვაშში ჭაღარა გამომრე-ვია, მაგრამ მაგარი ესაა, რომ დიდი ხნისა არა ვარ. ასე კი ნუ მხედავთ, რომ გავ-თეთრებულვარ. ჯაფამ გამტეხა, შენი ჭირიმე, ჯაფამ. რაც მენა ბატონის ბეგარაში ოფლი მიღვრია, სულ რომ ერთად მოვკრიბო, ზღვა იქნება, თქვენი ღმთის-რისხვა არა მაქვს, თორემ რა გამტეხდა ეგრე მალე. მენა ბევრი ვიყო, ბევრი ვიყო, სულ ბევრი ვიყო (ჩაფიქრდება) რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხ-ლე, იმ დღეს ჩვენ სოფელში რომ ბძანდებოდი, აი, პატარა საყდარი არ გახლავთ. აი, ხალხი რომ მოაგროვე და ხელმწიფის სიტყვა რომ გამოგვიცხადე, აი, იქავ, ჩვენებიანთ წინა—ის საყდარი სულ არ იქნება ხუთი წლით ჩემზედ წინ აშენებუ-ლი. აბა, მას აქეთ რა ხანი უნდა იყოს გასულა. ჩოტკის კაცი, მალე მტერი მოგი-კვდეს, მალე მაგას გამოიცნობდა და იტყოდა: მაგდონი არაფერი ხანიაო გასულა. მაგრამ მაგარი ესაა, რომ კაცმა შემომხედოს — ასის წლისა ვეგონები. ჯაფამ და ბატონის ხამსახურმა აგრე იცის, თორემ არც ისე ხნიერი ვარ. სულ, აკი მოგახსე-ნე, ის საყდარი ხუთის წლით ჩემზედ წინ არის აშენებული-მეთქი. მენა ეხლა ასე. რომ მოგახსენებთ საყდარი-მეთქი, საყდარი ხომ საყდარია. თქვენ ეს უფრო კარ-გად მოგეხსენებათ, მაგრამ მაგარი ესაა. რომ ხორციელი ადამიანი სულ სხვა არის. ასე, რომა... ეჰ, რაღა სიტყვა გაგიგრძელო, გაგიგრძელდეს სიცოცხლე. მაინც-და-მაინც ადამიანი სულ სხვა არის. თუნდ ეგეც ჯი იყოს. მაინც ხომ საყ-დარი ქვა და კირია; ადამიანი კი სულ სხვა არის, ასე რომა..."*

ასე ტირადებითა და რეტირადებით, უთავბოლო ლაპარაკით, რომელიც გლა-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 391—392.

ხა ჭრიაშვილმა არ იქნა და ვერ დაამთავრა, შუამავალს ვერაფერი გააგებინა, თუ რა სათხოვარი აქვს; მაგრამ ჩვენ ის მაინც კარგად გავიგეთ, რომ იგი ტანჯული კაცია, ბატონის სამსახურში ზღვა ოფი უღვრია, ამიტომ ხადრეგად მოტეხილა, ასი წლის მოხუცებულს დამსგავსებია. შუამავალი დიღხანს უსმენდა ამ გულშემაწუხებელ ტირადებსა და რეტირადებს, მაგრამ ერთმა მებატონეთაგანმა. რომელიც იქვე იჯდა, ვეღარ მოითმინა და წაძოძახა: „ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კაი დალაგება გცოდნიაო“. ჭლახა ჭრიაშვილი ამ დაცინვას ვერ მიუხვედა, შეიფერა კიდეც, და თავისებურად ალაპარაკდა: „რა ვქნა, შენი ჭირიმე, ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასაო“. იმ ერთძა მებატონეთაგანმა ეს შენიშვნა უპასუხოდ არ დატოვა —— „ზოგჯერ, ძმობილო, თქმითაც დაშავდებისო“. რამაც მეორე ბატონს ათქმევინა: „დაეხსენ. სიტყვის ნუ აწყვეტინებ, თორემ, მე რომ მაგისი ამბავი ვიცი. ეს ისევ თავიდამ მოგვიყვება და შენი მტერი, ჩვენი საქმე იქნება“. პაექრობაში იქვე მყოფი გლეხიც ჩაერია: მან სცადა ჭრიაშვილი გონს მოეყვანა — „რა დაგემართა, ადამიანო, ფეიქრის ქსელსავით გააბი და აღარ ათავებო“.* არა, გლახა ჭრიაშვილმა არ იქნა და ვერ გაათავა. ვერავის გააგებინა რა ნაღველი სტანჯავს, ეგონა „ლამაზად დაიწყო“, მაგრამ ხელს უშლიან, საშუალებას არ აძლევენ თავისი გასაჭირი ითქვას, მაშინ, როცა ხუთი ან შვიდი წლის სიცოცხლე დარჩენია ჯაფით გატეხილსა და თოვლივით გათეთრებულ კაცს.

გამოსავალი ისევ შუამავალმა მონახა: მან ურჩია გლახა ჭრიაშვილს შეესვენებინა, უკეთ მოეფიქრებინა რისი თხოვნა სურდა, ამასობაში სხვების საქმეს გაარჩევდა, დროს მოიგებდნენ. ჭრიაშვილი დაეთანხმა, მაგრამ ისევ ტირადებითა და რეტირადებით სავსე ერთი გრძელი სიტყვა მოახდომა ამ თანხმობის გამოცხადებას

შუამავალი მეორე გლეხს მიუბრუნდა, რომ მისი საქმე გაერჩია, მაგრამ აქ დროს ერთი ალიაქოთით შემოიჭრა ოთახში „მოხუცებული ახალგაზრდა შვილის ქვრივი“, რომელმაც უმალ, „სხაპა-სხაპით“ დაიწყო: „თქვენხმა მზემ. ეს მეორედ მოსვლის ნიშნებია. ღმერთო, დაგვიფარე (იწერს პირჯვარს). რა ამბავი მოხდა. თქვენი ჭირიმე! სისხლით ნაშოვნი ყმები, მეფე ერეკლის თორმეტის ბეჭდით დამტკიცებული ოქმები თავზედ დაგვახიეს კი და! (გლეხებს). გიხარიანთ განა, თქვე უბედურისშვილებო! ჰი!.. (ქოქოლას აყრის) მეხი კი დავაყარე თქვენ ტილიან თავებს!.. როგორ კისერმოღერებულები დგანან გუშინდელი მატლები!.. უუ, უწინამც დღე გაგჭრობიათ“!..** გლეხების განმაჭიქებელი ეს ბწარე სიტყვები შუამავალმა შეაწყვეტინა ბატონყმობის გაუქმებით ლოთმინებიდან გამოსულ ახალგაზრდა შვილის ქვრივს. იგი არაძარტო უკმაყოფილოა, არამედ, აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ ვახტანგის კანონები შეიცვალა, გლეხები გათავისუფლდნენ, ხოლო, როცა შუამავალი ეუბნება — გაუფრთხილებელ სიტყვებს ნუ ხმარობთ, თანაც. თქვენზე ადრე გლეხები მოვიდნენ, ამიტომ ჯერ მათ უნდა მოვუსმინოთ, — მის გაცოფებას საზღვარი არა აქვს. იქ შეკრებილ გლეხებს „გველის წიწილებს“. „ცოდვიშვილებს“ უწოდებს, ხოლო შუამავალს ბრალად დებს, რომ ყმების მხარე გიკავიაო.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 392.

** იქვე, გვ. 393.

ადვილი წარმოსადგენია რა ტანჯვაში ეყოლებოდა ამ ქვრივს თავისი ყმე-ბი, როცა მასთან შუამავალიც ვერას გახდა. მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ გა-აფრთხილა — გლეხებს ასე აუგად ნუ იხსენიებთო. მაგრამ აზნაურიშვილის ქვრივი მაინც ცხარდება: როგორ თუ ჯერ გლეხებს უნდა მოუსმინონ, „დალოც-ვილმა ხელმწიფემ... ყმები ჩამოგვართვა, კეთილშობილება ხომ არ ჩამოურთმე-ვია, რას გვემართლებითო“. ქვრივი იქვე მყოფ მებატონეებსაც ბოუწოდებს: „რას გაჩუმებულხართ, კაცები არა ხართ, ხმას ვერ ამოიღებთ? ცა თავზედ გვექ-ცევაო“.* მებატონეებისათვის ბატონყმობის გაუქმება მართლაც „ცის დაქცევა“ იქნებოდა, ის რომ ფაქტიურად მომხდარიყო, და არა ფიქტიურად. როცა მებატონეებმა გაიგეს, რომ გლეხებმა თავისი თავი უნდა გამოისყიდონ მაშინ გულს მოეშვათ, როგორც ეს მშვენივრად გვიჩვენა გიორგი წერე-თელმა „გულქანში“ რევაზ ბაკურიძის სახით.** მაგრამ აზნაური-შვილის ქვრივი არც ამით არის კმაყოფილი. იგი, ისევე როგორც მებატონეების აბსოლუტური უმრავლესობა, აღშფოთებულია საერთოდ ბატონყმობის გაუქმე-ბით. გლეხებს იგი „კახურ ღორებს“ უწოდებს იმიტომ, რომ ისინი „ოც-და-ხუთ-ხუთ მანეთად დააფასეს! კახური ღორი... ზოგჯერ მეტადაც იყიდება. მაგ სულელებს ფიქრადაც არ მოუვიდათ, რომ ერთი ოც-და-ხუთ ხუთიოდ მანე-თი თითონ ზედ დაეყარათ, რომ კაცი კაცის ფასად გასულიყო. აი, გლეხები ძა-გისთანა უსინდისონი არიან, აი, რომ თავის-თავის ფასიც არ იციან“.

გაკაპასებული, მოთმინებიდან გამოსული ქვრივი, რომელსაც შუამავალი წესრიგისაკენ მოუწოდებს. ამ სიტყვებით სტოვებს „პოსრედნიკის“ ოთახს, თან ემუქრება: რაკი გლეხების მხარეზე ხართ, „ღმერთმა დამიფაროს, რომ კიდევ მოვიდე“ თქვენთანო. ის გადის მეორე ოთახში, სადაც თავის მაზლს ხვდება. მასაც შესჩივლებს. რომ „ეხლა დაგვიდგა ჩვენ თვალი“, რაკი ასეთი „ძოსა-ბართლე დაგვინიშნესო“. ქვრივის მაზლს — მასავით განაწყენებულ მებატონეს, რომ ბატონყმობა გაუქმდა, არა სჯერა ძრძის სიტყვები. რძალი კი თავისე-ბურად განაგრძობს: შუამავალმა მითხრა — „...შენაო, რადგანაც მებატონე ხა-რო და კეთილშობილიო, გლეხთან წინ არ უნდა წამოდგეო; გლეხთან პირში ბურთი უნდა გედოსო; თუ ხმას ამოიღებო. კრძალვითა და შიშით უნდა ამოი-ღოო. არ უნდა უჩივლო გლეხსაო. თქვენთვის ეხლა სამართლის კარი დახშუ-ლიაო; რაც არიან ეხლა, გლეხები არიანო; მე თქვენს საჩივარს უურსაც არ ვათ-ხოვებო; ბატონყმობა გადავარდაო და თქვენ ვიღა ყრიხართო, სწორედ ამ სიტ-ყვით. ვიღა ყრიხართო“.*** ქვრივი იმასაც დასძენს, რომ თითქოს ეს სიტყვები შუამავალმა სთქვა არა კერძო საუბარში (თუმცა არც ასეთ ვითარებაში უთქვამს), არამედ, იმ ოთახში, რომელიც სავსე გლეხებით, „იმ ძაღლის გავარდნილებით“. მებატონე — მაზლი არ დაიჯერებს, რომ შუამავალი ასე იტყოდა ან ასე მოიქცეოდა. ამიტომ ის თვითონ შედის შუამავალთან, მიე-სალმება უწიგნურად—„პოსლადნიკს ვახლავართო“ (ე. ი. სახელიც ვერ უსწავლია. იმდენად უკულტუროა), მაგრამ „პოსრედნიკის“ წესიერი მოქცევა ცს უკახაყ-ნელი ლმობიერად მიესალმება. სკამსაც მიუდგამს და სთხოვს — „დაბრძანდით.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 394.

** ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. I, 1958 წ., გვ. 209—210.

*** ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 394—395.

თქვენი ჰირიმეო"), განაწყენებულ მებატონეს გულში აფიქრებინებს: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს! ეს კაი თვალითა ვნახეო". ყოველივე ამას აშარი ქვრივი ჯუჯრუტანიდან უცქერის ყურებდაცქვეტილი, და როცა დაინახავს—საქმე მშვიდობიანად წავიდაო, ის კვლავ შევარდება შუამავალთან, მიუხედავად იმისა, რომ ორი წუთის წინ პირობა მუქარით მისცა — „ღმერთმა დამიფაროს. თქვენთან ვიჩიელო როდისმეო". ქვრივი კიდევ უფრო აენთო, ჰხედავს გლეხზე ადრე არ მოუსმინეს. ეს ვილაც „ტყლაპაი" კი შუამავალთან უჩივის თავის მებატონეს. რომ თორმეტი წლის წინათ „ვენახი ჩამომართო, ძამა-პაპის აშენებული იო". ქვრივი აღშფოთებულია, თუ როგორ ბედავს კი ღაც გლეხი პატრონს უჩივლოს, თან პირველმა ილაპარაკოს, როცა მებატონე ებირგში დგანან და ჯერს ელოდებიან. „მე მაგას ვერ მოვითმენ, — წყვეტინებს გლეხს გაკაპასებული ქვრივი, — რომ მაგან ჩემზედ ადრე საჩივარი მოგახსენოს. მე კეთილშობილის ცოლი ვარ, კეთილშობილის სისხლი ძიდგა. ჰე ჩემს საჩივარს მოგახსენებ: ჩემმა გლეხმა"...

ამ დროს შუამავალმა კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა ქვრივს. გთხოვთ ბაშვალება მომცეთ, ჯერ გლეხს მოვუსმინო, ის თქვენზე ადრეა მოსულიო, მაგრამ ქვრივმა თავისი არ დაიშალა: „ვის დავაცალო, ვისა?.. ამ ტყლაპასა?.. ოჰ, დიდი რამ მომხდარა, თუ მებატონეს მაგისათვის ვენახი წაურთმევია. კარგია, რომ ეგ თითონ ძაღლზედ არ გაუცვლია. ვერ უყურებთ, რა დრო მოვიდა? რაზედ ჩივიან? აი, გვცოდნოდა, მე ვიცოდი, როგორც ძაღლის ლეკვებზედ გაგეცვლიდით. დაიცალე! უკაცრავად. მე ის არ გახლავარ, მითხრან: დაჯექ, დავჯდე; მითხრან: ადეგ, ავდგე. კეთილშობილის ცოლს მეძახიან. მე ჩემის თავის პატივი ყველგან ვიცი... მეხი კი დავაყარე თქვენს თავს!.. კიდეც რომ... სჩივიან. ვერ უყურებთ, ბატონზედ სჩივიან. აი, სად არის ის დრო, რომ ეხლა შენი ბატონი მაგისათვის არ გაგაწვენინებს და ფეხებიდამ თავამდე ტყავს არ აგაძრობს. კიდეც რომ სჩივის? უი, უწინამც დღე გაგქრობიათ".* ახლა უკვე თვით შუამავალი გამოვიდა მოთმინებიდან, გულმოსულად სთხოვა ქვრივს — ან შინ წაბძანდით. ან ხმა არ ამოიღოთ, ვიდრე „თქვენი რიგი არ მოვაო". მაგრამ ქვრივს მოთმინება სადა აქვს: იგი შუამავალს სხაპა-სხაპით მიაყრის საჩივარს, რომ გლეხებს დაასწროს, პირველად მისი საქმე გაარჩიონ.

მაინც რა საჩივარი აქვს ამ მებატონე ქალს? „ჩემმა გლეხმა, — ამბობს იგი, — ამ ორის კვირის წინად ქალი გაათხოვა, მღვდელმა უჩემოდ ჯვარიც დასწერა და საჩეჩმეს არ მაძლევს. მე გთხოვთ საჩეჩმეც წამირთოთ, როგორც რიგია და კანონია, და მღვდელიც გააკრეჭინოთ. (გლეხებს) ოლოლო თქვენ!.. დაგასწარით თუ არა! ჰი! ეხლა თუნდ საღამომდინ ვიჯდები. მე ჩემი კი შევასრულე და!.. ხმასაც არ ამოვიღებ, ო, თქვენმა მზემ, ეხლა ხმასაც არ ამოვიღებ. (ჯდება სკამზედ და გამარჯვებულივით აქეთ-იქით იყურება)".** მისთვის მთავარი იყო გლეხი დაეჯაბნა, წინ არ გაეშვა, თავისი კეთილშობილების ყველა წინანდელი უფლება ძალაში დაეტოვებინა. რაკი სურვილი შეისრულა — გლეხზე ადრე შუამავალს უკვე გააგებინა საჩივარი, იგი თითქო დაწყნარდა, დამშვიდდა. მისი აფორიაქებული გრძნობები დასცხრნენ, მაგრამ მხოლოდ დროებით. როგორც კი გაიგონა, რომ „პოსრედნიკმა" გლეხს უთხრა: შენ, ჩემო ძმაო, ვე-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 395—396.

** იქვე, გვ. 396.

ნახი ველარ დაგიბრუნდება, ვინაიდან ათი-თორმეტი წლის წინათ ჩამოგართვესო. ქვრივმა თავის მაზლს გადაულაპარაკა: ჰხედავ, ჩვენ სახლიდან გვაგდებს, მაგ „ტილიან გლეხს კი „ძმაო“ ეუბნებაო“. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ნაწილი იყო მთელი საქმისა: როცა შუამავალმა საბოლოოდ გადაუწყვიტა გლეხს, რომ კანონით ვენახი ვერ დაგიბრუნდება, მაგრამ შენს ბატონს ძოველაპარაკები. იქნებ შეგაბრალოს და თავისი ნებით დაგიბრუნოსო. ქვრივი გაოცდა. მან ჰკითხა თავის მაზლს. თუ ვინ არის ამ გლეხის ბატონი, რომლის „სასარგებლოდაც“ გლეხების დამცველმა შუამავალმა საქმე გადაწყვიტა. გაიგო თუ არა. რომ დიდი ბატონია, აშარმა ქვრივმა თავისებურად დაიწყო: „კიდეც იმიტომ!.. ის დიდიკაცია, მაგის ბატონი, და იმიტომაც მაგ ტურტლიანს ვერა უშველარა. მეც არ გამიკვირდა, გლეხი როგორ გაამტყუნა-მეთქი. — თურმე ნუ იტყვი. იმისი ჰშინებია“. ასე ფიქრობს ქვრივი, რომელსაც ბატონყმობის გაუჰქრაბ სულ დაუკარგა ადამიანური წონასწორობა.

გლეხთა განთავისუფლების ამ პირველ-დროების ცოცხალ სცენებს ახალი სცენები მისდევენ. შუამავალი იწყებს ერთ-ერთი მებატონის საჩივრის განხილვას.მებატონეს საჩივარი შემოუტანია — ჩემი გლეხი არ მაძლევს ხუთი თუმნის ყალანს (ბეგარას). თუმცა რამდენჯერმე ვუთხარიო. გლეხი არ უარყოფს, რომ ვალდებულია ეს ბეგარა გადაიხადოს, მაგრამ ძებატონეს მოქმედებაც უკვირს: „...ბატონო, მაგისათვის რად შეიწუხეთ თავი. აგო მოგახსენეთ. კავკავს ურმები გავისტუმრე და, რა წამსაც ჩამომივლენ, მაშინვე მოგართმევე-მეთქი“. ამ პასუხით შუამავალი კმაყოფილი რჩება, ხოლო გლეხი კვლავ განაგრძობს: „რაც თავი შემისწავლია... მე ვინახავ მაგათა (მებატონეებს — გ. ჯ.), მაგათის მადლით ღმერთი მეც ბლომად მაძლევს. მე ჩემს მებატონეს როგორ ვუღალატებ. ღმერთი მაგათ ძაგიერ მიხდის. (მებატონეს) ბატონო, შენი ჰირიმე, რაკი ეგრეა და ძალიან გიჭირს. დღესვე ავიღებ ვალადა და თქვენ კი არ შეგაწუხებთ. მეტყოდი, შე დალოცვილო, თუ ძალიან გიჭირდა და ღვთის მოღალატე ვიქნებოდი, თუ თავი ქვას არ მეხალა და არ მეშოვნა. მაგისთვის როგორ გაჩივლებდი?.. საჩივრად საქმეს როგორ გაგიხდიდი!“*

ასე მშვიდობიანად მოგვარდა ეს საქმე. ხოლო მებატონე და გლეხი ერთად წავიდნენ, თითქოს ამით განასახიერეს ძველი ბატონყმური ურთიერთობის ერთი შტრიხი — ყმის უსიტყვო მორჩილება, ბატონისადმი ერთგული სამსახური. სწორედ ამ სურათმა ათქმევინა იქვე მყოფ ერთ მოხუცებულ მებატონეს ხმამაღლა: „ვინა სთქვა, — გლეხმა ჩვენზედ გული აიყარაო. მიუქარავს, ვინც ამას იტყვის დღეის შემდეგ. კაი კაცი ყოველთვის კარგი იქნება“.

შეუძლებელია მკითხველმა არ იგრძნოს, რომ ეს სცენები ავტორს ცოცხალი სინამდვილიდან აუღია, მხატვრულად შეუკრავს და მათთვის მიუცია რეალური ყოფის ადექვატური ფორმა. ილია აქ თითქმის არაფერს გვაძლევს, როგორც ფანტაზიის ნაყოფს. ყველაფერი ობიექტური რეალობიდან მოაქვს, ცოცხლად და შეუფერავად; და რა საოცრად ჰგვანან ეს სცენები იმ წერილობითს ცნობებს დუშეთში მომრიგებელ შუამავლად

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 397. ხაზი ყველგან ჩვენია—გ. ჯ.

ჰწერლის მუშაობის დროიდან. რაც ჩვენ ბიოგრაფიის გადმოცემისას მოვიტანეთ. ამ ნაწარმოებში „პოსრედნიკი“ სწორედ ისეა წარმოდგენილი, როგორც ხსენებულ წერილობითს მასალებში თვით ილია — დუშეთში მოგზაური შუამავალი. აქაც „პოსრედნიკი“ სიმართლის დამცველია, კლეხების მხარე უჭირავს, მათ არავის აჩაგვრინებს, მებატონეებს წესიერებისაკენ მიუთითებს, როგორც თვით ილია იქცეოდა დუშეთში მუშაობის დროს. სრულიად უეჭველია, რომ ამ ნაწარმოებში მწერალს ავტობიოგრაფიული მომენტები აქვს შეტანილი და „პოსრედნიკის“ სახით მისივე უტყუარი პორტრეტია დახატული.

შემდეგი სცენა წარმოგვიდგენს მოხუცებულ მებატონესა და მის გლეხს — იაკო შაიაშვილს, რომელსაც საჩივარი შეუტანია თავის ყოფილ მებატონეზე — მიწა წამართვა. თუმცა მისი ნასყიდობის ქაღალდი მაქვსო. მებატონემ — წერა-კითხვის უცოდინარმა, არც კი იცის რა მიწაზეა ლაპარაკი. როცა უთხრეს — „ღელის მიწას რომ ეძახიან“, ის არისო, მებატონე იკითხავს: „ის განა ნასყიდია? როდინდელიო?“ გლეხი მიუგებს: „პაპი-თქვენისაგან უყიდნია პაპა-ჩემსაო“. მებატონეს უკვირს — „თუ ნასყიდი იყო, ღალას რაღად მაძლევდიო?“ იაკოს პასუხი მეტად დამახასიათებელია ბატონყმური ურთიერთობის ერთი შტრიხისა: „ბატონი იყავ და გაძლევდი, მე რა წინააღმდეგობა შემეძლო. მენა და შენა იმისთანა ბატონ-ყმობა არა გვქონია, რომ ამეღო თავი და სხვასავით მეჩიენა. ღალას რად გაძლევდი? იმიტომ გაძლევდი, რომ შენზედ მენა ჩემი ღენი არა დამკარგვია-რა. ჩვენი ბატონ-ყმობა ბატონ-ყმობა არ იყო, სესხი და ვალი იყო: მენა შენ მინახავდი და მენა შენ გინახავდი, ჩვენთვის ბატონ-ყმობა არ გადავარდნილა, ისევ-ისე შენ ერთგულ იაკოდ მიგულე“.* და ბატონიც, თავისი ერთგული ყმით კმაყოფილი, ასეთივე ლოიალურ პოზიციაზე დგება: „...თუ აგრეა, ჩემო იაკო, ეგ ქაღალდი ჯერ ჩემთვის უნდა გეჩვენებინა. მე და შენში სხვა კაცი რა საჭირო იყო? ისეც მოვშველებოდით. ეგეც რომ არ იყოს, ერთი-ორიოდ დღის შავ მიწას როგორ დავიშურებდი შენთვის: შენი დღენი ჩემს ერთგულებაში დაგიღამებია“. მაშ, რატომ იჩივლა ყოფილმა ყმამ, რომელსაც ასეთი კარგი დამოკიდებულება ჰქონია თავის ბატონთან?

გლეხი პრაქტიკული ადამიანია, ის მიწასაც ჩასცქერის და წინაც იხედება. იაკოც ასეთია და თავის ბატონს ამგვარად განუმარტავს საჩივრის მოტივებს: „ნუ მიწყენ, შენი კვნესამე. რა ვიცი! საშვილიშვილო საქმეა. მენა და შენ რომ ცას შევბერებულიყავით, მაშინ არა მენაღვლებოდა-რა, შენთან არა გამიჭირდებოდა-რა. ვინ იცის, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, რა მოხდეს? ქაღალდს დამტკიცება უნდა. იქნება ტყუილიც არის, ვინ იცის? ნუ მიწყენ, შენი ჭირიმე! საშვილიშვილო საქმეა, ბატონო, და თუ მართლა წყენულობ, მალე მტერი შენ მოგიკვდეს, მალე იაკომ ეს ქაღალდი შენის ჭირის სანაცვლოდ გახადოს. ორი დღის მიწისთვის შენ დაგკარგავ?! ამ ფარატინას ჩვენს სიყვარულს როგორ დავარღვევინებ!“** ასე ამბობს იაკო ყველას გასაგონად. ესმის იქვე მჯდომ ქვრივსაც და ეს უკანასკნელი კვლავ აღშფოთდება. მას მოეჩვენება, რომ იაკო თვალთმაქცობს, პირფერობს, ბატონს

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 397.

** იქვე, გვ. 398.

ატყუებს: „ოო, შე ჭრელო გველო, ფარისეველო! — ამბობს ქვრივი, — რა-რიგად უძვრება გულში!.. უი, ნეტავი ერთი შენი ბატონი მე ვიყოო!..“ მას სხვანაირად ვერც წარმოუდგენია გლეხის საქციელი, თუ არ ღალატი, ცბიერება, ფარისეველობა, პირფერობა. მოხუცი მებატონე კი ასე არ უყურებს იაკოს მოქმედებას. პირიქით, იგი ამბობს: „მართალი ხარ, იაკო, სა-შვილიშვილო საქმეა. (ცოტა აღელვებით) მე აღარა მეთქმის-რა. (პოსრედნიკს) აბა, ერთი წაიკითხეთ, რა სწერია. აი, ბატონო პოსრედნიკო, პურ-მარილობა ბატონ-ყმობაშიაც ყოფილა თურმე“. პოსრედნიკი ასრულებს მოხუცი მებატონის თხოვნას, ქაღალდს წაუკითხავს, ხელმოწერასაც უჩვენებს, და როცა მე-ბატონე გაიგებს, რომ ნასყიდობის ქაღალდს ხელს აწერს „უთრუთი... შვილი“, იტყვის: უთრუთი პაპა-ჩემი იყო, რაკი ეგრეა, იაკო, „თუნდ შენი ერთგულობა და პურ-მარილიც არ მახსოვდეს, მაინც-და-მაინც პაპი-ჩემის ნაფურთხსაც არ ვუღალატებდი. მე, მართალია, ერთი ღარიბი აზნა-ურშვილი ვარ, ერთი-ორიოდ დღის მიწა ჩემის სახლობისთვის დიდი რამ არი. მაგრამ, რაც უნდა იყოს, პაპი-ჩემის სახელს მე მჩერად არ გავხდი. მომიცია შენ-თვის, ჩემო იაკო, ღმერთმა კაი კაცობაში გამოგიყენოს!“*

გაიგონებს თუ არა ამ სიტყვებს, ქვრივი ახლა მოხუც მებატონეს აუხირდება, დასცინებს კიდეც: „მიუციას!.. მუხრან-ბატონი მო-ბძანდა და უწყალობა!.. დიაღ, სწორედ დაგიმადლებს კი!..“ მართალია, ეს სიტყვები ქვრივმა წაიბუტბუტა, მაგრამ მოხუც მებატონეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. მას ეწყინა ქვრივის ასეთი ახირება და საჭიროდ მიიჩნია მისთვის პასუხი გაეცა: „ყველას, ჩემო დაო, თავისი თავი აბარია. მე მუხრან-ბატონი არა ვარ. მე ერთი ღარიბი აზნაურთაგანი ვარ, რომელსაც ერთი ლუკმა ღარიბული პური აქვს და ჰცდილობს, რომ ის ლუკმა შეერგოს. დამიმადლებს, თუ არა, — ეგ თითონ იცის. მე კი, როგორც მივლია, საფლავის კარებამდინ ისევ-ისე ვივ-ლი... იაკო! მე და შენ, მგონი ერთმანეთზედ გულს არ ავიყრით!“ იაკოც ასე ფიქრობს. ის ფიცსაც აძლევს თავის მებატონეს, რომ კვლავ მისი ერთგული, მისგან განუყრელი იქნება. მოხუცი მებატონე, იაკოს ფიცით გამხიარულებული, ლოცავს ღვთის სამართალს, რომ „გაუყრელს ვერავინ გა-ჰყრის“. იქვე იწერება ქაღალდი, ფორმდება და შუამავალიც კმაყოფილი რჩე-ბა — „მადლობას მოგახსენებთ მშვიდობიანად მორიგებისათვის. გასაგონადაც სასიამოვნოა მაგისთანა სიტკბოებითი მეზობლობა, როგორიც თქვენა გქონია-თო“. ამასვე ადასტურებს მოხუცი მებატონის უკანასკნელი სი-ტყვებიც: „წამო, იაკო, ერთი ჩვენ კაკალქვეშ ჩავსხდეთ და ერთი კიდევ ხელახ-ლად დავიძახოთ მე და შენ: „ბატონისა ვარ ლაღი ყმა, მტერო არ შეგეპოვები“-თქო და სხვამ რაც უნდა სთქვას“.**

მკითხველი შეიძლება გაოცდეს, როცა ამ სცენას წაიკითხავს და მას სრული საფუძველი ექნება კითხვა დააყენოს: რა არის ეს? ილია ხომ არ ცდილობს ამ სცენით ის გვითხრას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბატონ-ყმობა მართლაც მამა-შვილობას წარმოადგენდა, რო-გორც უფრო ადრე ალექსანდრე ორბელიანმა ბატონყმობა მამა-შვილობად გამოაცხადა? მაშინ რა იყო მისი „აჩრდილი“, „კაკო უაჩა-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 398.

** იქვე, გვ. 399.

ღი“, „გლახის ნაამბობი“, „კაციადამიანი?!, რომლებშიაც ეს ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტი სამარცხვინო ბოძზე გაკრა და მისი მოსპობის აუცილებლობა იქადაგა? ხომ არ არის აქ წინააღმდეგობა ილიას მხატვრული შემოქმედების მაგისტრალში და მწერალი გაორებული ხომ არ იყო იმ დროს ამ ერთ-ერთ უაღრესად კარდინალურ საკითხში?

არა. საქმე სულ სხვაგვარად, სულ სხვა ასპექტში უნდა წარმოვიდგინოთ.

თუ დავაკვირდებით, იაკობ მოხუცი მებატონე ღარიბი აზნაურია, „ღარიბული პურიაქვს“, ის მუხრან-ბატონი არ არის, მაშასადამე, ბრწყინვალე, მაღალ წოდებას კი არ განასახიერებს. გაჩხერილია ყმა-გლეხსა და თავად-მებატონეებს შორის, გლეხზე მაღლა დგას, რაკი ყმები ჰყავს, მაგრამ, როგორც თვითონვე ამბობს, მისი სახლობისათვის „ერთ-ორიოდ დღის მიწა... დიდი რამ არის“. ასეთი ღარიბი მებატონე, ისიც ცალკეულ შემთხვევაში, როგორც იაკობ მოხუცი მებატონეა, შეიძლება გლეხებისადმი მართლაც ლოიალური ყოფილიყო. ილია იმდენად სრულ სურათს ხატავს თავის „სცენებში“, რომ სინამდვილის ამ ეპიზოდურ ფაქტებსაც გვერდს არ უვლის. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ არა ყველა ღარიბი-ბატონი, ღარიბი აზნაურიშვილი იქცეოდა ისე, როგორც იაკობ ბატონი. მაგალითად, ქვრივი და მისი მაზლი, რომლებიც აქვე არიან გამოყვანილი, გლეხებს სასტიკად ექცევიან, ლანძღავენ, ამცირებენ, ყველაფერსართმევენ, რის წაგლეჯასაც მოახერხებენ. ამგვარად, სრულიად უეჭველია, რომ იაკობ სცენა ბატონყმობაში მამაშვილობის ქადაგება კი არ არის ან მწერლის მხატვრულ შემოქმედებაში რაღაც წინააღმდეგობა. არამედ, ცალკე ეპიზოდია, ისიც სოციალურად მოტივირებული.

ახლა გადავხედოთ ქვრივისა და მისი მაზლის დამოკიდებულებას გლეხებისადმი. ქვრივს გაგონებაც არ უნდა შუამავლის სიტყვისა, რომ გუშინდელი მათი ყმა დღეს ყმა კი არ არის, არამედ, ნაყმევია. მის მაზლს, ასევე თავნება აზნაურს, ნაყმევისათვის სამი დღის მიწა ჩამოურთმევია, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა. ბატონყმობის გაუქმება რაც გამოცხადდა, მებატონეებს უფლება წაერთვათ გლეხისათვის ჩამოერთმიათ რამე, ვიდრე დებულების ოქმი დაიწერებოდა. ოქმის გაფორმებამდე გლეხს უნდა ჰქონოდა ის, რაც მანამდე ჰქონდა. მაგრამ ქვრივის მაზლისათვის ეს კანონი არ არსებობს. იგი მხოლოდ ერთ კანონსა სცნობს: ერეკლე მეფის დროინდელ ოქმს, რომელსაც „თორმეტი მეფეთ-მეფის ბეჭედი აზის, ხონთქარსაც ხელი უწერია“, რომ გაშალოთ „ამ ოთახს თავიდამ ბოლომდინ გადაწვდებაო“. დებულების ოქმი კი მისთვის არამარტო მიუღებელი, საერთოდ, გაუგებარია, იმიტომ, რომ თურმე მასში უნდა ჩაიწეროს ბატონისაგან გლეხს რა ერგება და გლეხისაგან ბატონმა რა უნდა მიიღოს. ქვრივის მაზლი მოურიდებლად ეუბნება „პოსრედნიკს“: „თქვენც არ მამიკვდეთ, ჩემგან გლეხს არა ერგოს-რა, და თუ იმისგან მარგუნებთ რასმე, ეგ თქვენ იცით... რა უნდა ერგოს ჩემს ყმასა ჩემგანა? რა ჩემი ძმა არის? შენც არ მამიკვდე, მე ახალი ოქმი არ ვინდომო. აბა რა? მეფე ერეკლეს ოქმი იქით მიაგდეო და ახალი დაწერეო. ყოველად მოწყალე ხელმწიფემ ინება, ყმა გაანთავისუფლა, მიწაო, ბძანა. ბატონისაა არისო. მე ჩემი ნამაბარეთ, მაგას თაისი თავისუფლება მი-

ეციით".* ეს არის მებატონეთა ტიპიური თვალსაზრისი. მათ შეიტყვეს, რომ გლეხობა თავისუფლდება უმიწოდ, ყმამ თავისუფლება ფულით უნდა მოიპოვოს — თავი გამოისყიდოს ბატონისაგან. უმიწოდ თავისუფალი გლეხი ისევ მებატონის მიწას უნდა მიეკრას, ისევ მისი მონა უნდა გახდეს. ეს იყო ყმა-გლეხების ფიქტიური გათავისუფლება, მასების უდიდესი მოტყუება, სისაძაგლე, როგორც ჩერნიშევსკიმ უწოდა.

ჩერნიშევსკისთან ერთად, საგლეხო რეფორმისადმი ასეთივე პოზიცია ეკავათ ძმებს — ნიკოლოზ და ალექსანდრე სერნო-სოლოვიევიჩებს, მიხაილოვს, შელგუნოვს, ხოლო საქართველოში რეფორმას ასევე კრიტიკულად უყურებდნენ ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი; ილია ჭავჭავაძე კი, როგორც მისი ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ვნახეთ, მოითხოვდა ყმა-გლეხის მიწიანად გათავისუფლებას. რის გამო ახალგაზრდა მოღვაწე თავადიშვილების ერთმა ჯგუფმა სასიკვდილოდაც გაიმეტა. რეფორმით შეშფოთებული ბატონები, როცა გაიგეს, გლეხობა უმიწოდ თავისუფლდებაო, დაშვიდდნენ, მათ იგრძვნეს, რომ თუ მიწა დარჩებოდათ, ისევ ბატონები იქნებოდნენ. ამ აზრს, იმ დროისათვის მებატონეთა შორის გავრცელებულს, კარგად გამოხატავს ქვრივის მაზლი, რომელიც თანახმაა გლეხს უმიწოდ მიეცეს თავისუფლება, მიწა კი ბატონს დარჩეს. უმიწო გლეხი ხომ იძულებული იქნება ისევ მებატონეს მიმართოს მიწისათვის და ისევ ყმად გაუხდეს.

მაშ, თუ მიწა მებატონეს დარჩა, მაშინ რატომ არა აქვთ ბატონებს უფლება გლეხებს ჩამოართვან მიწები? შუამავალი განუმარტავს ქვრივის მაზლს, რომ მიწა, მართალია თქვენია, მაგრამ „...მთავრობამ გლეხის ნაკერი მიწები ისევ გლეხებს მისცა სახმარებლად, რომ თავის ცოლშვილი გამოკვებოს, ხელშეწყობისა და მებატონის ხარჯს გაუძღვეს და თქვენ კი (მებატონეებს — გ. ჯ.), იმის ნიშნად, რომ მიწები თქვენია, დაწესებული გარდასახადი უნდა მოგართოს".** ამ წესის გაგება მებატონეს არ სურს. იგი ჯიუტად გაიძახის, რომ მიწა მისია და ჩამორთმევის უფლებაცა აქვს. შუამავლის კატეგორიულ მითითებაზე, რომ ის სამი დღის მიწა, რომელიც ქვრივის მაზლს თავისი გლეხისათვის თებერვალში ჩამოურთმევია, ნაყმევს დაუყოვნებლივ უკანვე უნდა დაუბრუნოს, მებატონე ისევ უეცად გაიძახის: „წეღან იმ გლეხს უბძანე: რაკი ბატონს ველაპი ჩამოურთმევია, არა გეშველება-რაო,—და ეხლა მე მიბძანებ: რაკი ჩამოგირთმევია, უნდა დაუბრუნოო. ეს სადაური სამართალია?" მას ვერ გააგებინებს, რომ აქ სხვადასხვა გარემოებაა და საქმის სხვაგვარად გადაწყვეტა არ შეიძლება, რომ რეფორმის გამოცხადებამდე ჩამორთმეული მიწა (ისიც ათი-თორმეტი წლის წინათ) და გამოცხადების შემდეგ — ერთი და იგივე არ არის. გამოცხადება მოხდა 1864 წლის რვა ნოემბერს, მან კი გლეხს მიწა ჩამოართვა 1865 წლის თებერვალში — თითქმის ოთხი თვის შემდეგ. ქვრივის მაზლი ყოველ სიტყვაზე თავის რძალს იმოწმებს და ამ შემთხვევაშიც მას ადასტურებინებს, რომ გამოცხადება არ გაუგია, მაშასადამე, ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. შუამავალი იძულებულ

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 399.

** იქვე, გვ. 400.

ებდება განუცბადას ჯიუტ მებატონეს, რომ განაჩენს ამგვარად დაწერს, ხოლო თუ ის თანახმა არ არის, იჩივლოს. დამახასიათებელია მებატონის პასუხი: „ეჰ, შე დალოცვილო, სად ვიჩივლო? ახე გგონია შვიდი შკოლა გამეთავებინოს. ჩემს გვარს ძლივ დავწერ ხოლმეო“. ესეც ერთ-ერთი იმ გაუნათლებელი მებატონეთაგანია, რომლებიც თათქარიძეების კასტას შეადგენენ, თუმცა ლუარსაბს ბრწყინვალე გვარი არა აქვთ და აზნაურობას ვერ გასცილებიან.

აქ ხდება ერთი საგულისხმო მომენტი, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ.

კანონი უფლებას აძლევდა მებატონეს რეფორმის გამოცხადების ორი წლის შემდეგ გლებისთვის ჩამოერთვა მიწები, თუ სამოც დღეზე მეტი არ ჰქონდა — ამ რაოდენობის მიწის მფლობელი „მცირე-მამულიანად“ ითვლებოდა. ქვრივის მაზლმა ეს არ იცის, ამიტომ, როცა შუამავალმა ჰკითხა — „მცირე-მამულიანი მებატონე ხომ არ ბრძანდებითო“, მან შეურაცხყოფილად იგრძნო თავი და კვეხნით სიცრუე წამოროშა: „მცირე-მამულიანი რად ვიქნები?.. მე, სულ ცოტა რომ ვთქვა. ერთი ოთხას-ხუთასიოდე დღისა მეტი მაინც მექნებაო“. მაშინ შუამავალმა განუმარტა, რომ ორი წლის შემდეგაც უფლება არ გექნება შენს გლეხს მიწა ჩამოართვაო. გაიგო თუ არა ეს, ქვრივის მაზლმა არ დააყოვნა უსირცხვილოდ თვითონვე ემხილებინა თავისივე სიცრუე: „აბა, სადა გვაქვს ოთხას-ხუთასი დღისაო“. თქვა და სირცხვილის არც ერთი ნერვი არ შერხეულა. ასეთია მებატონეთა მორალი. ისინი სინიდისის ბადეს ჰქსოვენ და ჰკერავენ. მათთვის პრინციპი, პირობა, სიტყვა, ფიცი მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც მათთვისვე სასარგებლოა.

ყველაზე მძაფრად, მკაცრად და მოურიდებლად ილია ჭავჭავაძე თუ ვინმეს თავს ესხმის, სასაცილოდ იგდებს, აკრიტიკებს ან გადაგვარებულ ადამიანად გამოჰყავს თავის მხატვრულ შემოქმედებაში. — ეს არის მებატონე, მძარცველი, ექსპლოატატორი, სხვისი შრომის ნიმთვისებელი, სოციალური პარაზიტი. ასევე არიან გამოყვანილი მებატონეები „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“. აზნაურიშვილის ქვრივი და მისი მაზლი სწორედ ასეთი მებატონეები არიან. მათ არაფერი წვინდა არ შერჩენიათ. ერთმანეთს გარეგნულად თითქოს პატივისცემით ექცევიან, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცემათ, უცენზურო სიტყვებს არ იშურებენ გასაბაბებლად. წავიდა თუ არა მაზლი, ქვრივმა არ დააყოვნა იგი დაებეზღებინა შუამავალთან: „საშინელი ცრუ რამ არის ეგ წყეულ-შეჩვენებული“, ბებრუხუნა და ბაიყუში, „არ გამომცხადებიაო! სტყუის!.. გამოსცხადებია კიდეც და ყველაფერი. მაგისაგან გლეხკაცებს მოსვენება არა აქვთ. მე რომ თქვენი ვიყო, ციხეში ჩავჯმეინებდი, ერთი ბუნტი კაცია, ავის პირის პატრონი... მგონი, მე რომ განიშნეთ, ტყუის-მეთქი, მაშინ მიუხვდით. ვის ატყუებს? თქვენ გატყუებთ? აი, ეგ მურტალი, ეგა!.. კარგად უყავით, რომ გაამტყუნეთ. მაგისთანა კაცს ეგრე უნდა... ეგ სწორედ მოგახსენო, ჭურდიც არის, საციმბიროა“.* მაგრამ ესეც არ უნდოდა ეკმარებინა, შუამავალს რომ არ შეეჩერებინა და საჩივრისაკენ არ მიეთითებინა. აქაც მთელი თავისი ავლა-დიდებით გამოჩნდა ეს ქალბატონი: შუა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 402.

მავალს აძაგებდა, ათასგვარ ბრალდებას უყენებდა. ახლა კი, როცა მისი საქმის განხილვა დაიწყო, პირფერობას მიმართა, მის მიერ შეურაცხყოფილ „პოსრენიკს“ ასეთი „დითირამბი“ მიუძღვნა: „ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ბრძენო და ბრძენთა-ბრძენო, ქვრივ-ობრის გამკითხავო, ობოლთა პყრობელო, მაღალო და სვიანო, უხვო და მდაბალო!“ ეუბნება ამ წრეგადასულ ქებას და სინდისი არ აწუხებს, რომ ამავე შუამავალს სულ ახლახან მიწასთან ასწორებდა. მაგრამ ასეთია მებატონის მორალი. ოღონდ თავისკენ მიითალოს და ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდენს. ასე გვიხატავს ილია ჭავჭავაძე მებატონეებს და ასე აკრავს მათ სამარცხვინო ბოძზე.

თუ რა აუტანელია ეს „პატარა ბატონი“ — აზნაურის ქვრივი, როგორ აუწიოკებია თავისი ყმები, რა მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია ისინი — კარგად ჩანს „სცენების“ ბოლო დიალოგებში, რასაც ჩვენ ახლა ვრცლად მოვიტანთ. მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ასე სტანჯავდნენ ყმა-გლეხებს შედარებით „პატარა ბატონები“, რომლებსაც ასე თუ ისე შეკვეცილი უფლებები ჰქონდათ, ადვილი წარმოსადგენია როგორ იქცეოდნენ „დიდი ბატონები“, უსაზღვრო ძალაუფლების მჭირნეელნი, რომელთაც წინ ვერავინ აღუდგებოდა სამოქალაქო საქმეებში, გარდა მეფისა. აღარაფერს ვამბობთ დიდ ფეოდალებზე, რომლებიც ზოგჯერ მეფესაც კი უწევდნენ წინააღმდეგობას და არ ემორჩილებოდნენ. აზნაურის ქვრივი, ბატონყმობის იერარქიულ კიბეზე, სულ უკანასკნელი ბატონია, მაგრამ შეხედეთ მის მძვინვარებასა და თავგასულობას. თავზე დაჯდომია გლეხებს და სულსა ხდის. ამასაც არ ჯერდება. უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს და მიწასთან ასწორებს.

დააკვირდით ამ დიალოგებს — ქვრივი ასე მიმართავს შუამავალს: „ამ ორი კვირის წინათ ჩემმა ნაყმევმა თავისი გომბიო გოგო გაათხოვა, ერთ ვიღაც ოხერს მისცა, ერთ თავისთანა მუტრუკს. მივუგზავნე ჩემი გოგო და შევუთვალე: ეხლა, ქალს რომ ათხოვებ, საჩექმეს არა ნაღვლობ-მეთქი? ყურიც არ შეებღერტა. ეხლა მე თითონ მივუვარდი და ვუთხარი: საჩექმეზედ რას ამბობ? წადიო, საიდამაც მოთრეულხარ, იქავაო, სწორედ ამ სიტყვით მიპასუხა... აბა ჩემი მაზლი ხომ არა ვარ, ან იმისი გომბიო ცოლის ამხანაგი, რომ ტყუილი მოგაბაძინო: სწორედ ეგრე მითხრა. ეგ კიდევ არაფერი. შემოიყარა, ბატონო, ჩემ წინ დოინჯი მუხრან-ბატონივით. ამიწია ჩემ თვალწინ და დამიწია მხრები, ჩემწინ, ჩემ-წინ, თქვენმა მზემ. აბა, თქვენი ჭირიმე, ეხლა რომ მაგაებს მეუბნება და მაგაებს სჩადის, მეფე ვახტანგის კანონებს და რჯულს არღვევს, მერე რაღასა იქს, როცა თავისუფლება, ღმერთმა კი ნუ დაასწროს, როცა თავისუფლება უფრო ძვლებში გაუჯდება. არა, თქვენე, თქვენის მაღალგონიერებითა ბძანეთ: მერე რაღასა იქს? მე რომ თქვენი ვიყო, აბა ჩემგან ჯკვა რად გესწავლებათ, მაგრამ მე რომ თქვენი ვიყო, იმას ერთი ლამაზად მივტყეპდი რუსულის წკეპლითა, იმ საჩექმეს ერთი-ორად წავართმევდი და მომიგდებდი მე საცოდავსა. ერთს ქვრივ-ობერს, ობლების პატრონს. მადლიც მადლად ჩაგეთვლებოდათ და მეც. ქვრივ-ობერს, მეფე ვახტანგისაგან დაწესებულს, დაბეჭდილს და დამტკიცებულს კუთვნილს მიბოძებდით და თქვენის გაჩენის დღეს მალოცვინებდით. იმას კი ერთი ლაზათიანად მივჯოხავდი, რომ მეორედ აღარ გაებედნა, თორემ ერთი ბუნტი კაცია. ეგენი, ჩემო დიდებულო ხელმწიფევ, ღორის ტილივით

არიან, ფეხზედ რომ დაიკვათ, თავზედ აგაცოცდებიან. თქვენ მაგათ კარგად არ იცნობთ... (ამ დროს შემოვა ამ ქვრივის ნაყმევი. ქვრივი დაინახავს თუ არა, სიტყვას გაწყვეტს და გაკაპასებული შეუტევს გლეხსა) რაო, რისთვის მოეთრიე, შე ძაღლის ნაშთრევო! აიდგით განა ენა! დამაცადე, თუ შენი ცოლი, ის გველის წიწილა, ძაღლებს არ ვათრევინო.

გლეხი. აი, შენი პირიმე, ამისათვის გიახელ. აღარა გვაქვს, ბატონო, ამისაგან მოსვენება. აქაო და ხელმწიფემ რად გაგანთავისუფლათო, ლამის ღანძღვითა და თრევით მთელი სოფელი აჰყაროს. ხელმწიფემ გაგვანთავისუფლა, ჩვენი რა ბრალია...

ქვრივი. მაშ ვისი ბრალია, მაშ ვისი ბრალია! (პოსრედნიკს) სწორედ ამათი ბრალია, თქვენზედ მიწა არ მენახოს! (გლეხს) არზა არზაზედ რომ გააჩრელეთ და ჩუმ-ჩუმად სამართალში დაძვრებოდით — ბატონები აღარ გვინდაო. მითამ არ ვიცით, განა! ...აი, შე წუწკის შვილო! რაო? მითამ ჩვენ წავედით და ვითხოვეთ: ყმები ჩამოგვართვითო! (პოსრედნიკს) მე რომ თქვენი ვიყო, ამ სიცრუვისათვის ციმბირში დავაკარგვინებდი. დახე, ჩვენ გვაბრალებს, ქვეყნის ცოდვა ჩვენ უნდა დაგვადვას კისერზედ! ბუნტია, მა რა არის? ო, თქვენმა მზემ, ბუნტია!..

გლეხი. (ხელწნით პოსრედნიკს) ერთი წამალი რამ დამდევი, აგრემც ღმერთი გადღეგრძელებდეს. ერთი ამას კი მომაშორეთ და, რაც გნებავდეთ, ის მიყავი. ამის წყეველისა და ქოქვისაგან სოფელს კი ვეღარ უხეირნია და. წამოხტება დილით, გამოვა დერეფანში, ამველეს და ჩამომველეს სწყეველის და თან მისძახის ხოლმე: გიხარიანთ განაო, გიხარიანთ განაო! აი, თქვე ასეთებოო, აი, თქვე ისეთებოო. მენა ხომ რაღა? დღე არ გავა. ცოლ-შვილი არ დამიწიოკოს. ერთი ღმერთი გადღეგრძელებდეს, გადამასახლეთ საითმე და ამ ჯოჯოხეთს კი მამარჩინეთ.

ქვრივი. (შეტევით) რაო? გადაგასახლონ? ვინა? ვის შეუძლიან შენ გადაგასახლოს? მაშ მეფე ერეკლეს ხსენება ქვეყანაზედ აღარა ყოფილა: მაშ იმისაგან ბოძებულს თორმეტ მეფეთ-მეფის ბეჭდიანს ოქმსა ძალა აღარა ჰქონია. აბა იქა სწერიხარ, რომ შენ შენის შესავლითა და გასავლითა ჩემი ყურმოჭრილი ყმა ხარ. თუნდა რომ აქავ შუაზედ გასკდე, ეგრეა.

გლეხი. აღარა ვართ, ქალბატონო, თქვენი ყმები, არა და არა.

ქვრივი. უი, შე ძაღლის ნაშენო, იქ ჩემ სანეხვეში ჩაგარჩობ ვერაძაღლავით! (პოსრედნიკს) არა, მოწყალეო ხელმწიფევ, თუ ეხლა ეგენი არიან ჩვენი ბატონები, ერთი გვიბძანეთ, თუ არა და, რაზედ მალანძღვინებთ, თქვე დალოცვილიშვილო, ამ დროულს დედაკაცს, პატიოსანის აზნაურიშვილის მეუღლესა. ამ ძაღლის ნაშენისაგან როგორ უნდა მეკადრებოდეს, რომ ეგ მეუბნებოდეს — თქვენი ყმა აღარა ვარო.

პოსრედნიკი. (გულზედ მოსული) მე მაგ უშვერისა და ურიგო ლაპარაკისათვის თქვენ. თქვენო კეთილშობილებავ, ჯარიმად სამს მანეთს გახდევინებთ და თუ კიდევ არ მოიშლით, სამართალში მიგცემთ. მოთმინებიდამ გამოგყვანართ“.*

ასეთია ეს „პატარა ბატონი“, რომელმაც მთელ სოფელს სიცოცხლე გაუმწარა. შუამავლის სიტყვებმა იგი შეაკრთო,

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 402—404.

მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა, გლეხებს ისევ არგუნა ისეთი ეპითეტები, როგორიცაა: „პირუტყვი“, „წუწკის შვილები“, „ძაღლები“, „გველ-ხოკერები“, „მგლები“, „ორფეხა მუტრუკები“, „ვირები“. თან მათ მზრუნველ ამმზრდელად წარმოიდგინა თავისი თავი, „შვილებიც“ უწოდა, ამიტომ „შეეჯერა“ შუამავალს — უბძანე ჩემს ნაყმევს „ორმოც-სამოციოდე რუსის წკეპლა“ დაჰკრან. თუგინდ „ოთხმოცი იყოს“, მაგრამ მეტი კი არა, რაკი „ჩემი გაზრდილია, მაინც მებრალება“. ეს სიბრალული ქალბატონმა იმითაც გამოხატა, რომ მოითხოვა — წკეპლები რუსმა დაჰკრას, თორემ ქართველი „მაგისთანებში ქალაჩუნა არისო“.

როცა ერთმანეთს ადარებთ ქვრივსა და ჰრიაშვილს, თქვენ აშკარად ხედავთ, მიუხედავად ბატონყმობის უღელში მონობისა, თუ რამდენად მაღლა დგას, როგორც ადამიანი, სწორედ ეს გლახა, ვიდრე კაპანა აზნაური დედაკაცი, ამ საკითხს პირველად ალექსანდრე ხახანაშვილი შეეხო და სწორი დასკვნა გააკეთა: „ეს საწყალი გლეხი (ჭრიაშვილი — გ. ჯ.), რომელიც ზნეობით და თავდაჭერით მაინც აზნაურიშვილის ქვრივს სჯარბობს, მეტის თანაგრძნობის ღირსია“,* — წერდა ალექსანდრე ხახანაშვილი.

როგორც მკითხველი დაინახავდა, ილია ჭავჭავაძემ გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენებში“ ბატონყმობა სამარცხვინო ბოძზე გააკრა. გვიჩვენა ბატონების უარყოფითი სახეები და დაჰგმო ეს სოციალური ინსტიტუტი, როგორც უგუნური და ბარბაროსული მოვლენა. ამიტომ მიეცა ამ ნაწარმოებს თავის დროზე ასე დიდი მნიშვნელობა და ნიკო ნიკოლაძემაც ამიტომ თარგმნა რუსულ ენაზე, რომ ფართო მკითხველისათვის გაეცნო დიდი მწერლის ეს ერთ-ერთი უაღრესად საყურადღებო მხატვრული თხზულება.

მაგრამ ბატონყმობის გაუქმებით მოისპო თუ არა სოციალური ბოროტება, რომელიც ადამიანს სჩაგრავდა, არარაობად აქცევდა მშრომელთა მასებს და სულს უხუთავდა? არა, სოციალური ბოროტება ისევ ძალაში დარჩა, ხოლო მაშვრალი და ტვირთმძიმე ისევ მონურ უღელში შებმული. ამ სოციალური ბოროტების ერთი მხარის ჩვენებას მოჰკიდა ხელი ილიამ თავის პატარა მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“, რომელიც 1879 წელს დაიწერა და იმავე წელს ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნდა. ნაწარმოებს მიწერილი აქვს, რომ ეს არის „პატარა ამბავი“, მაგრამ მასში უაღრესად დიდი სოციალური ტკივილი იხატება.

ე) „სარჩობელაზედ“

პრობლემა, რომელსაც ეს პატარა მოთხრობა ეხება, თითქოს მორალის სფეროში ტრიალებს, მაგრამ შემდეგ მკითხველის თვალწინ გადაიშლება სოციალური ყოფის ის საშინელი პანორამა, სადაც წამგლეჯობა და სხვისი გაყვლეფა, თუნდაც გაძარცვის ობიექტი უსუსური არსებანი იყვნენ, დაუსჯელ ქცევად გვევლინებიან.

* ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 108, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მოთხრობა იწყება შუა ზაფხულში, როცა თბილისთან ახლოს, ლ ო ჭ ი ნ ი ს ხევის პირად, საშინელ პაპანაქებაში, „კონკილაზედ აყენებულ ურმებ-ქვეშ“ სიცხისაგან ქანცგაწყვეტილი მეურმეები ისვენებენ. საცოდავი შესახედავია გარემო: გოლვისაგან მინდვრები და ქედები მთლად დამჭკნარია, დედამიწას ბუღი ასდის, ხევში წყალი სულ მილეულია, ქვებს შორის რიყეზე ძლივს მოიპარება. ყველას სძინავს, მარტოოდენ ორი ბიჭი ხის ჯამებით წყალს ასხამენ პირდაღებულ დასიცხულ კამეჩებს. „აქეთ, პატარა მოშორებით, თავი მოეყარათ ხარებსა, ჩამდგარიყვნენ გუბის პირას, თვალებ-დახუჭულნი იცოხნებოდნენ და კუდით იგერიებდნენ მოუსვენარ ბუზებსა“. ლოჭინის ხევი ჰგავდა „გახურებულ თონეს“, ხოლო სიცხისაგან დაოსებული ცოცხალი არსება „ძლივს სულს იქცევდა“.

როცა შუადღე გადავიდა, აგრილებისთანავე მეურმეები აიშალნენ და ღვინის ურმებით თბილისისაკენ გაემართნენ. ისინი ხევს არ იყვნენ გაცილებულნი. რომ ო რ ი უ მ ა წ ვ ი ლ ი კაცი თავს წამოადგათ. „ორივეს ტანზედ სალდათის მაუდის „კურტკები“ ეცვათ. ერთს მათგანს თავზედ ეხურა უშველებელი ჩერქეზული ქუდი. ქუდი ისე ჩამოეფხატა თავზედ, რომ ცხადი იყო, ქუდის პატრონი სხვა ყოფილა და მხმარებელი სხვაა. მეორეს ეხურა სალდათური უწინდებური უკაზიროკო ქუდი“. მკითხველი უკვე დიდ ინტერესს იჩენს, თუ ვინ არიან ეს უმაწვილები, ასე უცნაურად ჩაცმულნი ან რა საქმე აქვთ მეურმეებთან. ავტორი ამ ი ნ ტ ე რ ე ს ს იმითაც აძლიერებს, რომ იძლევა ორივეს არამარტო გ ა რ ე გ ნ უ ლ, არამედ, შინაგან ფ ს ი ქ ო ლ ო გ ი უ რ დახასიათებასაც. ის — ჩერქეზულ-ქუდიანი თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ჭაბუკია, ხოლო მეორე უმცროსი იყო — თოთხმეტის ან თხუთმეტის წლისა. უფროსის გარეგნული ნიშნები მეტყველებდნენ, რომ უფრო გ უ ლ ი ს პატრონი იყო, „წ ვ რ ი ლ ი, ს წ რ ა ფ ი და მ ო უ ს ვ ე ნ ა რ ი“ თვალები ჰქონდა, თუ კეთილ გზას დაადგებოდა, მაინც „შესამჩნევი არა იქნებოდა-რა“. ხოლო ავკაცობაში „ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს შესძლებდა“. მეორე „უ ფ რ ო მ ა რ ი ლ ი ა ნ ი იყო“, „შ ა ვ ი და ღ რ მ ა თ ვ ა ლ ე ბ ი“ ჰქონდა, მკვახედ გამოიყურებოდა. წარბშეკრული და გულდახურული ჩანდა. ისინი ძმები იყვნენ, უფროსს ბ ე ჟ ა ნ ი ერქვა, მეორის სახელი კი ავტორმა არსად არ გაგვიმხილა.

ყმაწვილები მივიდნენ მეურმეებთან და ბ ე ჟ ა ნ მ ა ორი სიცრუე სთქვა, რითაც უმცროსი ძმის გულის წყრომა გამოიწვია. პ ი რ ვ ე ლ ი ს ი ც რ უ ე ის იყო, რომ თითქოს ისინი თ ა ვ ა დ ი შ ვ ი ლ ე ბ ი არიან, მაგრამ ბედის ანაბარა დარჩნენ, ვინაიდან თუქურაშვილის სკოლიდან წამოსვლისას გზაზე უბედურება ეწიათ. უმცროს ძმას არ მოეწონა უფროსის ასეთი საქციელი და დატუქსვის გამომხატველი შეძახილით ს ი ტ ყ ვ ა გააწყვეტინა. მაგრამ უფროსმა მაინც თავისი არ დაიშალა. მ ე ო რ ე ს ი ც რ უ ე ც უთხრა მეურმეებს: თითქოს მამამ ქალაქიდან გამოუგზავნა ერთი თუმანი — რ ო ც ა ს კ ო ლ ა შ ი დ ა გ ი თ ხ ო ვ ო ნ, „რ უ ს ი ს პ ო ვ ო ს კ ა დ ა ი ჭ ი რ ე თ და წ ა მ ო ლ დ ი თ ო“. ჩვენც ასე მოვიქეცით, ერთ რუსს რვა მანეთი მივეცით, წამოგვიყვანა, მაგრამ გზაზე გამოთვრა, „პოვოსკიდან“ ჩამოგვყარა, ბარგიცა და ფულიც თან გაიყოლია, აგრეთვე ბუზმენტიანი ჩოხა, რომელიც ხუთი თუმანი ეღირებოდაო. ბეჟანის ამ სიტყვებს უმცროსი ძმა გაჯავრებით ისმენდა, ზურგიც კი შეაქცია,

„მთლად აირია". ბოლოს ველარ მოითმინა და უფროს ძმას წყრომითა და ვედრებით უთხრა — ლაპარაკი შეეწყვიტა. მაგრამ ბეჟანმა კვლავ განაგრძო, რომ ისინი ორი დღის უმეცრები არიან, აღარ იციან რა ჰქნან ამ „უცხო ქვეყანაში".

მოხუცმა მეურმემ, რომელსაც პეტრეს ეძახდნენ, გაიგონა თუ არა „უცხო ქვეყანაო". ყმაწვილებს მამობრივი გრძნობით უთხრა: „უცხო ქვეყანაში რად იქნებით!.. ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა. პურსაც გაჭმევთ. ღვინოსაც დაგალევინებთ და კაი ქეიფსაც გაგაწევინებთ. ვაი ავ-კაცს, რომ თქვენი ცოლვა აუღია, თორემ თქვენ რა გიჭირთ? ასე ჩაგიყვანთ ქალაქშია, რომ ქარიც არ მოგადინოთ... ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლეკიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ"?* და კეთილმა მოხუცმა ყმაწვილებს მისცა შოთი პურები, „ერთი ჩარექა ღვინოც ჩამოუსხა". თან დაატანა: „ეხლა კი ამ მშრალს პურს პურად-ძვირობაში ნუ ჩამოგვართმევთ, ამაღამ კი ასეთს ცხვრის მწვადებს გაჭმევთ, რომ ხონთქარმაც კი ტუჩები ილოკოსო". ეს დაპირება პეტრემ მართლაც შეასრულა. როცა ქალაქის მისადგომებთან ურმები გამოუშვეს, ცეცხლი დაანთეს და მწვადები შეწვეს. ვახშმობის შემდეგ მოხუცმა პეტრეს ყმაწვილებს ნაბადი დაუგო — „თავადიშვილები ხართ, ჩვენსავით ცარიელ მიწაზედ გდებას ვერ აიტანთო".

ასე მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინა მეურმე გლეხმა უცნობი ყმაწვილებისადმი, მაგრამ დილით, როცა გაიღვიძა, მოხუცმა პეტრემ ველარ ნახა ვერც ყმაწვილები და ვერც თავისი ფული — სამი მანეთი და ათი შაური. იგრძნო, რომ იგი მოატყუეს და გაძარცვეს, ისიც ბავშვებმა, თითქმის „ძუძუმწოვრებმა", როგორც თვითონვე აღიარა. უკანასკნელი სიტყვები მან ღიმილითა და თაკილით წარმოსთქვა, თანაც დასძინა: „ჩემზედ ახია: ისე როგორ დავიძინე, რომ ვერც კი გავიგე. აი, დალახვრა ღმერთმა სიბერე! არა, შვილო, ეხლა ჩემი შვილდი უნდა ძირს დავდო. ტყუილად კი არ მეუბნებოდა ჩემი უფროსი შვილი: მამი, — დაჰბერდი, შორს გზაზედ მეურნეობაში ველარ გამოდგებიო. აკი ველარ გამოვდეგ. მე კი მეგონა აღზევანსაც წვალ-მეთქი კიდევ მარილზედ... დავბერდი, დავჩაჩანაკდი... სირცხვილით შინ როგორღა მივიდე. მეურმე კაცი, ქალაქს მიმავალი ღვინის ურმით, გამჭურდეს! მერე ვინა? ძუძუთა ბავშვებმა!.."** სავალალო ის კი არ არის, რომ ფული მოჰპარეს, — პეტრე სულ არ დარდობს ფულზე. მას სირცხვილი აწუხებს. ვინც გაიგებს. ყველა დასცინებს, რომ ამ ხნის კაცი „უსუსურმა ბავშვმა" გაჭურდა. „ჯალაბსაც კი სიცილად არ ვეყოფი, მეზობლები ჯავრით გამხეთქენ", — ამბობს მოხუცი პეტრე, — თან დასძენს: „ღმერთმა იმათ კი შეარგოთ და მეკიეს სირცხვილადაც მეყოფა და სიცილადაც". პეტრეს უფრო მეტად ის აწუხებს, რომ ამის შემდეგ ყველა ჩათვლის მას ისეთ მოხუცად, რომლის მოტყუება ბავშვსაც შეუძლია და ამიტომ მეურმედ ველარ გამოდგება, მისი საქმე წასულია. ამიტომ იყო, რომ მას „მართლა სცხვენოდა", როგორც ავტორი გვეუბნება. ამ სირცხვილს შინაგანი ჰიდილი და გულის სიღრმეში. სადღაც შორს, გამოუთქმელი ტკივილიც თან ერთვოდა.

მაგრამ გავიდა დრო, რომელმაც ბევრი რამ წაიღო; დავიწყებას ვისცა პეტრეს სირცხვილიც, და ოთხი წლის შემდეგ ჩვენ კვლავ ვხედავთ კე-

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 408.

** იქვე, გვ. 409.

ლილ მოხუცს. „უწინდელზედ უფრო მიბერებულს“, ისევ ქალაქისაკენ ჰ ჰავაზის წისქვილის ქვების შესაძენად. ის უკვე აღარ არის მეურმე. მაგრამ ახლაც „იმავე თავმოწონებით“ მოემართება, როგორც მაშინ, როცა ხიფათს ელოდეყარა. პეტრეს ამ თავმოწონებას რეალური საფუძველი აქვს: მართალია თვითონ ზის „უშველებელ სავსე რუმბზედ“, ურემს კი მისი შვილი მართავს მაგრამ „ყეინსავით“ იმიტომ გამოიყურება, რომ სწორედ მის ურემს უზის „გზის მაშალი“ — ეს ნიშანი პირველობისა მეურმეთა ჭარავანში“.* უბარია კეთილ პეტრეს შვილის „გაპატიოსნება“ და გეგმასაც ადგენს, თუ როგორ გაახარებს თავის ჯალაბსაც, როცა შინ დაბრუნდება.

მაგრამ დაბრუნებას ორი დღე დააგვიანდა, ქალაქში საქმეები ვერ მოასწრეს. პეტრემ წისქვილის ქვები შეიძინა, ურმებთან დაბრუნდა, მაგრამ რაკი საღამომდე საქმე არაფერი ჰქონდა, ხოლო საღამომდე ურმები სოფლისაკენ არ დაიძროდნენ. გადაწყვიტა ავლაბრის მოედანზე გასულიყო. ქვეყანას ვნახავ. „შევიტყობ რასმესო“. მოხუცმა პეტრემ მართლაც შეიტყო უცნაური ამბავი: „ზარბაზანი გავარდებათუარა, მახათაზედერთს კაცს ნამოარჩობენო“. მას არასოდეს არ ენახა კაცის ჩამოხრჩობა და იფიქრა: ეთას ვაჟუბედურებასთან ერთად „მოდი, ერთი“ ამასაც ვნახავო. იგი გაემართა მახათას მიმართულებით. დაინახა, რომ ხალხი ბუზივით ირევა, ერთ ადგილას სარჩობელაც აღმართულია, გარშემო ჯარი დგას, მაგრამ უფრო საკვირველი ის არის, რომ დედაკაცებიც აქ არიან. თუ მამაკაცები ჩემსავით „თამაშად მოსულან, ამ დედაკაცებს რაღა ღმერთი გასწყრომიათო“, — გაიფიქრა გულუბრყვილო პეტრემ, და იმ ყმაწვილებთან ხიფათის შემდეგ ყოველთვის დაეჭვებულმა, აქაც ეჭვის თვალით შეხედა ყველაფერს — „თვალთმაქცობა იქნება ჯამბაზისაო“. ეს უფრო კარგია, — ამბობდა კეთილი მოხუცი თავის გულში, — „თორემ ჯართლა კაცის ჩამორჩობა აბა რა სანახავიაო? კატა ხომ არ არის. აიღო და ჩამოჰკიდო“. არა, არ სჯერა პეტრეს, რომ კაცს ჯართლა ჩამოახრჩობენ. არა, მას ეთუოდ ატყუებენ. მაგრამ არ მოტყუვდება, თავს არ გაისულელებს. თუმცა, საკვირველია კაცის ბუნება: „...რომ მცოდნოდა თვალთმაქცობას ითამაშებდნენ, იქნებ არც წამრვსულიყავიო“. ის კი იცის პეტრემ, რომ „კაცის გული მალია, მალია ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერსავით კი გამომიწია და!.. ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მადლი ტრიალებს“. ფიქრობს კეთილი პეტრე და ამ დროს მოესმა ხმა — „მოჰყავთ, მოჰყავთო“. მან დაინახა ვიღაც რუსულ ფარაჯაში გახვეული კაცი, რომელიც სალდათებს მოჰყავდათ. პეტრეს მაინც არ სჯერა, რომ ყველაფერი ეს მართალია. არა, „ეგ სულ მაცდურობაა, დაგცინებენ, იტყვიან, სოფლელია და მოტყუვდაო“. — აჯერებს თავის თავს კეთილი მოხუცი, თუმცა ცდილობს ახლოს მივიდეს სარჩობელასთან, რომ ყველაფერი კარგად დაინახოს. და დაინახა კიდეც: სულ ახლოს ჩამოატარეს ის საცოდავი „ოცისა თუ ოც-და-ერთის წლის ყმაწვილი ბიჭი. წვერ-

---

* ილია შენიშვნას აკეთებს: „ურმის ჭარავანი რომ წავა შორს მანძილზედ, ერთ-ერთს ურემზედ მამალს დასმენ ხოლმე, რომ მამლის ყივილმა გათენება შეატყობინოს ჭარავანსა. მეურმეების საათი გზაზედ — მამალია. უფრო ხშირად ვისაც პირველობა აქვს ჭარავანში მამალიც იმას უზის ხოლმე. ურმის ჭარავანში პირველობა. ესე იგი, წინა ურმის მეურმეობა. გლეხობაში სახელოა, რადგანაც მარტო კარგს, გზის მცოდნეს, ფხიზელს, სათნო მეხრეს და კაი ხარ-კაძრის პატრონს ანდობენ ხოლმე მაგ პირველობასაო“.

ულვაში ასლად გამოშვებული ჰქონდა და ლეკურად დაყენებული. სახეზედ საფრანის ფერი ედო“.

დაინახა თუ არა, პეტრეს ეს სახე ეცნობა, მაგრამ ვერ მოიგონა, საიდან შეიძლებოდა მას ამ ყმაწვილის ნაცნობობა ჰქონოდა. ალბათ ქალაქში სადმე მინახავსო, — გაიფიქრა მოხუცმა, და ახლა სხვა რამ გაუკვირდა: „არა, რა-რიგად გაფითრებულა. მითამ და მართლა არჩობენ. ჯამბაზი თითონ ეს იქნება სწორედ. არა. შეიღოს, ვერ მომატყუებთ!“ — დაეჭიებით იმეორებს მოხუცი პეტრე თავის გულში, თუმცა ირგვლივ დედაკაცების ძოთქმა-გოდება ესმის. მაგრამ მიზეზს მაინც პოულობს: დედაკაცები „თმავრძელი და ჭკუამოკლე“ არიან, მალე მოტყუვდნენ. თვალთმაქცობამ და კუდიანობამაც ვერ უშველა, პეტრე კი არ მოტყუვდება, თუმცა „ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე“ შეატყობენ ხოლმე სოფელ კაცს, თითქო „შუბლზედ ეწეროს“.

ილიამ დიდი ოსტატობით გვიჩვენა თავისი გმირის ეს შინაგანი გაორება, მის არსებაში დაუსრულებელი ჰიდილი რწმენისა და არრწმენისა, ეჭვისა და თვითდაჯერებისა. საკუთარი ქცევის თვითანალიზში შესანიშნავად მეღავნდება გმირის ხასიათიც, ხოლო მხატვრული ბუნებრიობა მეტი დამაჯერებლობის ძალას იძენს. ავტორი არსად არ არღვევს გმირის ფსიქოლოგიურ განცდას. თანმიმდევრულად გვახედებს მისი სულის ყველაზე ინტიმურ ხვეულებში, თითქო ჩვენს წინაშე ფოლიანტს გადაშლიდეს და მის დაფარულ სტრიქონებს გვიკითხავდეს. იმდენად გრძელია ეს ხედვა თუ შიგ ჩახედვა, რომ შეიძლებოდა მოსაწყენი გამოსულიყო ან ტავტოლოგიის ფორმა მიეღო, მაგრამ იშვიათმა ბუნებრივობამ, დიდმა ოსტატობამ და მოხუცი გლეხის ხასიათის ღრმა ცოდნამ მთელი ეს სცენა მოთხრობაში არაჩვეულებრივად მიმზიდველი გახადა.

დგას ჩვენს წინაშე კეთილი პეტრე, ესმის დედაკაცების გოდება ყმაწვილისადმი — „რა გენაღლებოდა, შე უბედურის დღისავ!.. შენთვის ყოფილიყავ და ამ დღეში არ ჩავარდნილიყავ...“, ესმის და თავის გულში ამბობს: „ბიჭოს!.. პირობა შეუკრავთ, თუ რა ღმერთი გასწყრომიათ. აქედამ მოვშორდე, თორემ ერთს სირცხვილს მაჭმევენ ეგ კუდიანები“... სთქვა თუ არა ეს, პეტრემ ადგილი მართლაც გადაინაცვლა, სულ სხვა ჯგუფს შეუერთდა. მაგრამ იქაც იგივე საუბარი მოისმინა. ახლა კი ცოტა იწყინა მოხუცმა: „ჩემზედ მოიცალა ამოდენა ხალხმა, თუ რა ამბავია ჩემს თავსო, — ჩაილაპარაკა თავის გულში. — ესე მალე როგორ შეკრა ყველამ პირობა!.. გაფრთხილდი, არ გაგაბრიყვონ. სასაცილოდ არ გაიხადო თავი. აი უსაქმურ ხალხს რომ იტყვიან, ეს ქალაქელები არიან... ყველამ ჩემზედ არ მოიცალა!“ და პეტრემ ისევ გადაინაცვლა ადგილი, ისევ ახალ ჯგუფს მიეკედლა.

ავტორი მშვენივრად ასაბუთებს თავისი გმირის ამ საქციელს: მართლაც, „ძნელი რამ არის, როცა გუნება თავში გამწევ ცხენსავით დაღოჯავს ჭკუის ლაგამს და ცალმხრივ გაიწევს“. პეტრეს არსებაში სწორედ ეს გუნებისა და გონების ჰიდილი იყო, გუნებას მართლაც დაღოჯილი ჰქონდა ჭკუის ლაგამი და ცალმხრივ ეზიდებოდა — ეჭვისა და უნდობლობისაკენ, რამაც მოხუცი კაცი ასე გაურკვეველ მდგომარეობაში ჩააყენა.

პეტრე ხედავს, რომ ის ყმაწვილი კაცი უკვე დააყენეს სარჩობელას ქვეშ, მარჯვნივ და მარცხნივ მღვდელი და ჩინოვნიკი აშოუდგ-

ნენ, უკან კი წითელპერანგა ჯალათი. უკვირს მოხუცს, ეს მღვდელი მაინც რამ გააგიჟა, ალბათ ტერტერაა. თორემ „მართალი მღვდელი ამას რად იკადრებდა“. შეიძლება ის წითელპერანგა ჯალათიც „თავიდა-თავი ჯამბაზია“. ჩინოვნიკი ეღება რაღაც ქაღალდს და კითხულობს. პეტრეს თილისმის ლოცვა ჰგონია, უთუოდ „ჯადოს იქმონენ“. მაგრამ ჯერ ამის მსგავსი არაფერია. მხოლოდ მღვდელი მიუახლოვდა ფარაჯაში გახვეულ ყმაწვილს, რომლის დახრჩობაც უნდა გაითამაშონ, და რაღაც ლაპარაკი დაუწყო.

პეტრემ ვერ გაიგონა მღვდლის სიტყვები, შემდეგ კი ასეთი ს უ რ ა თ ი დაინახა: „ფარაჯაში გახვეულს გახადეს ფარაჯა, გადააცვეს თეთრი პერანგი თავიდან ფეხებამდე, ასე რომ პირის-სახე აღარ უჩანდა. წითელპერანგა ჯალათმა გასწორა სარჩობელაზედ ყულფი. მერე კიბე მიადგა სარჩობელის ბოძს. მოუბრუნდა უბედურს, ხელის კვრით წინ წაიგდო, აიყვანა კიბეზედ, მოსწია ყულფი. რომ თავი გააყოფინოს. ხალხს ხმა ჩაუწყდა, თითქო სული შეეხუთაო, თითქო ამოდენა ხალხის გულის ძგერა შედგაო... ჯალათმა თავი გააყოფინა ყულფში, ვამოაცალა კიბე და ჰკრა ხელი. ხალხმა ერთი ღრმად და ყრუდ ამოიქშინა, ისე. როგორც ამოიქშენს ხოლმე უეცრად ცხელ-წყალ თავგადასხმული... უბედური სარჩობელაზედ ჩამოეკიდა. ქანაობა დაიწყო და ფორთხალი. დიდხანს იქხიენ საწყალმა ფეხები“.* მაგრამ პეტრეს მაინც ა რ ს ჯ ე რ ა, რომ კ ა ც ს ა ხ რ ჩ ო ბ ე ნ. ის ისევ თავის გულთან არის: „ღილამდი რომ სულ ეგრე იქნივო ფეხები. მაინც არ დაგიჯერებო“. არა, არ დაიჯერებს. ან რა დასაჯერებელია, რომ ყმაწვილი კაცი ასე კატასავით ჩამოახრჩონ!

სულგანაბული ხალხი, რომელმაც ჩამოხრჩობას უყურა, მალე დ ა ი შ ა ლ ა. გაისმა მხიარული ყაყანი, ლაზღანდარობაც, ყ ვ ე ლ ა მ თავისი გზა ნ ა ხ ა. ჯარიც წავიდა, სარჩობელასთან მხოლოდ ორი ყარაული დარჩა. ჯალათმა წითელი პერანგი გაიძრო, რაღაც სხვა ტანისამოსი ჩაიცვა და წ ა ვ ი დ ა. სარჩობელაზე ჩამოკიდებული კაცი არავის ჩამოუხსნია.

პეტრეს გაოცებას და უკმაყოფილებას საზღვარი არა აქვს. ნუთუ ეს იყო ყველაფერი? არა, „ვერაფერი თამაშობაა“, მაგრამ „იქნება თვალთმაქცობა იმაში იყო, რომ შეცვალეს, კაცის მაგიერ ტომარა ჩამოჰკიდეს, ფეხებს რომ აქნევდა?...“ ყველაფერი შეუძლიათ ქალაქელებს. ტომარას თუ მავთულებს გაუკეთებდნენ, ლეკურის თამაშსაც დააწყებინებდნენ. და პ ე ტ რ ე უ კ მ ა ყ ო ფ ი ლ ო ა: „მაინც ვერაფერი ამბავია, ტყუილად მოვცდი. აი, აქ კი მოვტყუვდი. აბა ვგდებულიყავ ჩემთვის ბაყში, ერთი ლაზათიანად გამომეძინა, ის არა სჯობდა? მე ვთქვათ ჰო, ეს ამოდენა ხალხი რაზედ გაბრიყვდა? ბიჭო და, იქნება მართლა ჩამოარჩეს!.. ნეტავი მეკითხნა. ეჰ, დამცინებდნენ... ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთს ცვარს ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს ღვთის-კერძო ადამიანია, კატა ხომ არ არი“.** ეს დიდი ეჭვი არ შორდება კეთილ პ ე ტ რ ე ს და ცდილობს როგორმე მ ი ს წ ვ დ ე ს ს ი მ ა რ თ ლ ე ს, გაიგოს რაში ტყუვდება: „იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა, თუ მართალი ჩამორჩობაა“. პირველში თუ ტყუვდებოდა, უფრო სათაკილოდ მიაჩნდაო, — გვეუბნება ავტო-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 412.

** ი ქ ვ ე, გვ. 413.

რი, და ის მართალია, ვინაიდან მოხუცი კაცისათვის ნამდვილად გულსაწყვეტი იქნებოდა ტყუილი მართლად მიეღო. „მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი“. მაგრამ არ იქნა და პეტრემ ვერც თავი გაუგო ამ საქმეს, ვერც ბოლო. შიშით, — დამცინებენო, —სხვასაც ვერავის ჰკითხა. ასე დაეჭვებული. ბარბაცით გაემართა ავლაბრის ბაკებისაკენ, გზაზე დუქანში შევიდა, იფიქრა — ცოტას დავნაყრდები და თან იქნებ დღევანდელი ამბავიც გავიგოვო.

მაგრამ აქ მოხდა ისეთი რამ, მოხუცის ყურადღება რომ მიიპყრო: ვიღაც ნაბდიანმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც პეტრეს თითქო ფებდაფეხ შემოჰყვა, მოითხოვა საწერ-კალამი, ქაღალდი, დაზგას დაეყრდნო და წერა დაიწყო. პეტრეს ეს ჯაბუკიც ეცნაურა. მაგრამ ვერ მოიგონა, თუ ადრე სად ენახა. დიდხანს იფიქრა მოხუცმა, მაგრამ ვერრას გახდა. ბოლოს, საღამო ჟამს, ისევ ავლაბრის ბაკებისაკენ გაუდგა „იმ ბიჭის უამბობით წყურვილ-მოუკლელი“. მალე ის ნაბდიანი წამოეწია და წერილი გადასცა — წაიკითხე, „დღევანდელს ამბავსამწიგნიდამშეიტყობო“. ხაბდიანმა სახელი არ უთხრა, წერილი გეტყვისო, და სწრაფად განშორდა პეტრეს. მოხუცმა მხოლოდ ახლა გაიხსენა, რომ სარჩობელაზე სწორედ ეს „ნაბდიანი ბიჭი სულ გვერდით აეტუზებოდა ხოლმე, საითაც კი წავიდოდა“. რაღაც დიდი ამბავი იყო, პეტრე ამას გრძნობდა, მაგრამ წერა-კითხვა არ იცოდა, ამიტომ იმ დრომდე უნდა მოეცადა, ვიდრე ბაკებამდე მივიდოდა, სადაც თავისი შვილი ეგულებოდა, რომელსაც წერილის წაკითხვა შეეძლო.

აქ კი ჩვენი პეტრე მართლა შეებრალება მკითხველს: მის ორჭოფობას ახალი საზრუნავი გაუჩნდა. ჰგონია, რომ ახლაც ატყუებენ. რაღაც მახეს უგებენ, ძველი ეჭვები ქალაქელთა მაცდურობისა კვლავ განუახლდნენ. მაგრამ მოხუცი თავს იიმედებს: „მაგრამ რაო? თავისთავს მოატყუებს. მე რა? თითონ წავიდა. ხომ ვერ დამცინებს“. პეტრე ვერა გრძნობს, რომ უკვე დაცინვის დრო აღარ არის, ის მალე შეიტყობს ერთ საშინელ ტრაგედიას, რომლის უნებური მოწმეც და ასევე უნებური მონაწილე თვითონვე შეიქნა.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ პეტრე „უფრო გამალებული წავიდა“ ბაკებისაკენ, გზა საოცრად გაგრძელებული ეჩვენა. შვილს წერილი გადასცა და სთხოვა წაეკითხა. როცა წერილი გაბსნეს, კონვერტიდან ასიგნაციები გადმოცვივდა. მამა-შვილი გაოცდნენ, მაგრამ უფრო მეტი გაოცება პეტრეს წინ ელოდა. შვილს უნდოდა ფული დაეთვალა, მამამ არ დაანება — „რა დროს ეგ არის!“. წამიკითხე, „ლამის გული ბუდიდამ ამომვარდესო“. წაუკითხეს და მოხუცს თრთოლვა დაეწყებინა: „დღეს რომ ყმაწვილი ბიჭი დაარჩენ, ჩემი ძმა იყო...“ მოესმა საბრალო პეტრეს. მოესმა და „ელდისაგან გაფითრდა“. მაშ, ყველაფერი მართალი ყოფილა, კატასავით ჩამოუხრჩვიათ ის ყმაწვილი კაცი. მაინც რა მოხდა, რა უბედურება დატრიალდა?

პეტრემ წერილიდან შემდეგი სამწუხარო ამბავი გაიგო:

„მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო,—სწერდნენ მოხუცს, —როცა მოკვდა, ჩვენ ორნი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გაგვითხოვდა, შეირთო ერთი ვილაც აზნაურშვილი, ქალაქში მსახურობდა. რაც მამისაგან დედულ-მამული გვქონდა. — ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა — სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვა-

ლა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა. მინამ პატარები ვიყავით, ჩვენ სოფლად ვეყარენით უპატრონოდ და ისინი კი ქალაქში იყვნენ. როცა მოვიდოდნენ, ჩვენ საწყლებს სულ ტყავს გვაძრობდნენ ცემითა. შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი ვეხეტებოდით სოფლის ორღობეებში უპატრონოდ. ბიჭი იყო შიხა-მოსაძსახურე. ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა, ყველანი შიხაურები, ვისაც კი შეეძლო, გვიტყაპუნებდნენ თავში. ბევრს უცხოს, მართალია, ვეცოდებოდით საწყალი ობლები, მაგრამ შველა კი არსად იყო. ბოლოს, რომ ცოტა წამოვიზარდენით, მამინაცვალმა მოგვიშორა თავიდამ, მიგვაბარა სალდათის შკოლაში თუქურმიშაზედ, ვაიდამ ვუოში ჩაგვაგდო, აგვიყროლეს სული რუსულის ლანძღვითა და თრევითა, ამოგვართვეს სული ცემა-ტყეპითა. ვითმინეთ და ვეღარ ავიტანეთ. დავკარით ფეხი და გაქოვიქეცით. შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს, ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს. გამოვედით ორნი ობოლნი ამ ტრიალ დედაძიწაზედ უპუროდ, უფუნოდ, უბინაოდ, უნუგეშოდ, უთვისტომოდ. ვის შესტკივდებოდა ჩვენთვის გული? ჩვენ ყველასათვის უცხონი ვიყავით, ყველანი ჩვენთვის. გამოვწიეთ ქალაქისაკენ. გაბოროტებულნი. მთელს ქვეყანაზედ გულამღვრეულნი გადავეჭტერეთ უსამართლო ქვეყანას, გადავემტერეთ ყველას, მამინაცვალს, დედას, ავსა, კარგსა, შენა და სხვასა. პატარები ვიყავით, ყველა ხედავდა — რომ თვალნათლივ გვძარცვავდნენ. არავინ არ გამოგვესარჩლა. არავინ მოგვეშველა, არავინ ხმა არ ამოიღო. ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრად. მამინაცვალმა კი არა, თქვენ ყველამ გაგვძარცვეთ ჩვენ, თქვენ ყველამ მოგვიღეთ ბოლო. მინამ ცოცხალი ვარ, ყველას გადვუხდი“.*

მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა უნდა განეცადა მოხუც პეტრეს, როცა ამ სიტყვებს ისმენდა; მაგრამ მისთვის კიდევ უფრო მტანჯველი ის იყო, რომ თურმე დღეს ჩამომხრჩვალი კაცი მისი ძველი ნაცნობი ყოფილა — ლოქინის ხევში ოთხი წლის წინათ მომხდარი ხიფათის ერთ-ერთი მონაწილე — უფროსი ძმა ბეჟანი. წერილის ავტორი კი უმცროსი ძმა იყო, რომელიც ახლა ყველაფერს დაწვრილებით მოაგონებდა ყოფილ გაძარცულ მეურმეს. კიდევ კარგი, რომ წერილში მუქარასთან და შურისძიებასთან ერთად რამდენიმე თბილი სიტყვაც ეწერა. ქებით იხსენიებოდა პეტრეს მაშინდელი გულკეთილობა, მამობრივი ზრუნვის გამოჩენა, ადამიანობა. მაგრამ იქვე ახსნილი იყო მიზეზი, თუ რატომ გაძარცვეს კეთილი პეტრე: იმიტომ, რომ შენც მძარცველად მიგიჩნიეთ, შენ რომ კეთილი ყოფილიყავი, ჩვენი მამინაცვალი ვერ მოახერხებდა ჩვენს გაძარცვასო. წერილის ავტორი პირდაპირ აყენებდა საკითხს თვითეული პიროვნების საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, და პეტრეს, როგორც იმ საზოგადოების წევრს, რომელშიაც ორი ობოლი ძმის ტრაგედია დატრიალდა, პასუხი უნდა ეგო საზოგადოების მდგომარეობაზე. სხვა საკითხია, თუ პეტრე ამ ფილოსოფიას ვერ ჩაწვდება, ვერ გაიგებს, გაუკვირდება კიდეც — შენა შუაში ვარო, მაგრამ წერილის აზრი მას რომ გულში ჩაახედებს — სრულიად უეჭველია.

მაგრამ მივყვეთ ამ მამხილებელ წერილს. თურმე პეტრეს გაძარცვის შემდეგ ძმები ქალაქში ჩასულან, სადაც „ცოდვაც და მადლიც უფრო ხალვათად და-

* იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 415—416.

დის. ორივეს დიდი შარა-გზა აქვს". რაკი საზოგადოებაში მძარცველობა წესად ქცეულა, ობოლ ყმაწვილებს ვინ დაუშლიდა ყოველდღე ეძარცვათ გამვლელ-გამომვლელნი. და ისინიც ძარცვავდნენ ყველას, ვინც შეხვდებოდათ. ამით თავსაც ირჩენდნენ და გაბოროტებულ გულსაც იფხანდნენ. მაგრამ იმდენად ჰქონდათ გული ბოღმით სავსე. რომ იგი ვერ დაიცხრეს, ვერ დაიამეს. ბოლოს კი ისე დატრიალდა საქმე, რომ ერთი ძმა სარჩობელაზე დაიღუპა, ხოლო მეორე გადარჩა, რათა შური ეძია. წერილში ასე იყო ნათქვამი:

„ამ ორის წლის წინად ისე მოხდა, თითქო თითონ ბედმა მიგვიყვანა მამინაცვლის სახლშიო. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს. შევუცივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ეელარ მოვასწარით. შეგვიტყვეს, პოლიცია თავს დაგვესხა, მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი: დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ ჩემი ერთად-ერთი ძმა, ერთადერთი კეთილის-მყოფელი კატის კნუტსავით ჩამომირჩეს. თქვენ იდექით და სეირს უყურებდით, მე კი ვუყურებდი და ვიწოდი... არ შეგარჩენთ, არა, ამ ამბავს!.. ყველამ უნდა მიზღას ჩემი დანაკარგი. ძმის სისხლს, მინამ ცოცხალი ვარ, ავიღებ. მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო. ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩავტეხე ხიდი: მე ერთი აქეთ პირას დავრჩი, თქვენ მრავალნი იქით. განკითხვის დღემ გამოაჩინოს, საით არიან მართალნი და საით მტყუანნი. ღმერთი გულთამხილავია: მინამ საქმეს სასწორზედ დასდებდეს, ჯერ გულში ჩახედავს ადამიანს. მე ჩემი ვზა მართლის გზა მგონია. მართალი ვარ, თუ მტყუანი, — არ ვიცი. ეს კი ვიცი. რომ ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა. ამით სამუდამოდ მოვწყდი ქვეყანასა, როგორც წინადვე მოტეხილი ტოტი უკანასკნელ ძაფზეღა დაკიდებული. მშვიდობით!.. თუ როდისმე ჩემში ნახავ მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის".*

სხვა ბოლო მართლაც არ ექნებოდა იმ გზაზე შემდგარ ადამიანს, როშელსაც საბრძოლველად მთელი ქვეყანა ჰყავდა გამოწვეული. ჩვენ არ ვიცით, შემდეგ რა დაემართა ბეჟანის უმცროს ძმას, მაგრამ უფროსი ბედი რომ არ ასცდებოდა. ამას თვითონვე გრძნობდა და ჩვენც უეჭველი გვეჩვენება. მისი წერილი, რომელიც ბოროტებაზე დამყარებული საზოგადოების მრისხანე საბრალდებო აქტია, მშვენივრად გადაგვიშლის საშინელ სოციალურ დრამას, თვით ამ საზოგადოებას ორგანიულად რომ მოდგამს. სხვისი გათელვა, დამცირება, გაძარცვა. მოტყუება, რაც ყველგან ხდება, იწვევს საპასუხო რეაგირებას. და ჰობსის თეზისი —ადამიანი ადამიანისათვის მგელიაო, მშვენივრად ჩანს ილიას ამ პატარა მოთხრობის მაგალითზეც. ერთეული კეთილი ადამიანები, როგორიც მოხუცი პეტრეა, გაშხაპალისს შეადგენენ და ისინი ვერავითარ გავლენას საზოგადოების მორალზე ვერ ახდენენ. პეტრემ კეთილი გული უჩვენა ლტოლვილ ყმაწვილებს, მაგრამ მისმა სიკეთემ მამინაცვლის ბოროტებით მოწამლული ობლების ბოღმა როდი გაანელა. თუ საზოგადოებაში მარტოოდენ ერთეულებია კეთილი. ამით თვით საზოგადოება როდი გაკეთილშობილდება. პიროვნებები

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ტ. I, 1937 წ., გვ. 416—417.

ერთმანეთისათვის უცხონი რჩებიან, როცა მათ საერთო მიზანი, საერთო ინტერესი და საერთო მორალი არ აკავშირებთ მატერიალური თანასწორობის საფუძველზე. მდიდრისა და ღარიბის. შეძლებულისა და არმქონის მეგობრობა ისევე გამორიცხულია, როგორც თავადისა და მისი ყმის, მეპატრონისა და მისთვის მშრომელის ალიანსი.

უსამართლობის **საფუძველზე აგებული** საზოგადოება უსამართლობას განამტკიცებს. ამიტომ ადამიანიც, ასეთი საზოგადოების წევრი რომ გამხდარა, ნებით თუ უნებლიეთ, მისი ბოროტების მონაწილეა. ადამიანები ბოროტმოქმედად კი არ იბადებიან, მათ მხოლოდ მოუწესრიგებელი საზოგადოება ამახინჯებს და აქცევს ბოროტმოქმედად. როგორც რუსთაველმა თქვა, სიყვარულს სცელის სიძულვილი, სათნოებას — ბოროტება, ერთიანობას — ხიდჩატეხილობა, და ეს უკანასკნელი ერთი უდიდესი ტრაგედიაა ქვეყნისა, რომელსაც მისი გამთელება ვერ მოუხერხებია. თუ მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“ ხიდჩატეხილობას ილია ჭავჭავაძე მარტოოდენ ერთი ფრაზით გამოხატავს და აღწერილი სურათებით გვიჩვენებს, შემდეგ, 90-იან წლებში მას მიუძღვნის ვრცელ ნაწარმოებს, ქართული პროზის შედევრს — „ოთარაანთ ქვრივს“, რომელშიაც შეეცდება პრობლემას კონკრეტულთან ერთად განზოგადებულისახე მისცეს. ჩვენ ამ საკითხს „ოთარაანთ ქვრივის“ გარჩევის დროს შევეხებით. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ილიას მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე აწუხებდა ეს დიდი სოციალური დრამა, რომლის გამოძახილი მისი ბეხტრული და კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა იყო. მან შესანიშნავად იცოდა, რომ მას შემდეგ, რაც სოციალური ხიდი ჩატყდა, გაღმა ნაპირას დარჩენილნი, დამცირებულნი და მოტყუებულნი. ბოღმით იყვნენ სავსენი, შურისძიების გრძნობით ანთებულნი, როგორც ავტორი იმ წერილისა, რომელიც ჰოხუცმა პეტრემ მიიღო. საშინელი გაბოროტება, შეურაცხყოფილი გრძნობა, ღრმა სულიერი ტკივილი. რაც ასეთ ადამიანებს წილად ხვდათ, იმითაც ძლიერდებოდა, რომ მათ ესმოდათ, რასაც აკეთებდნენ, თავიანთ მოქმედებას სამართლიანად მიიჩნევდნენ. გრძნობდნენ, რომ შურისძიებაში მართალნი იყვნენ. შეიძლება ისინი, მეტისმეტი გაბოროტების გამო, აჭარბებდნენ, რომ უკლებლივ ყველა წევრს საზოგადოებისა ბრალდებას უყენებდნენ,— გაგვძარცვეთო, მაგრამ განა საზოგადოების დანაშაული, თუ იგი ჩადენილია, მისმა თვითეულმა წევრმა არ უნდა გაინაწილოს? ამიტომ ეუბნება კეთილ პეტრეს წერილის ავტორი, რომელმაც მას გული გადაუშალა — „განა შენ კი ამხანაგი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა!“. „განა შენ კი არ დამირჩე ერთად-ერთი ძმა!“. „განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდეო!“. როცა ეს ბრალდება მოისმინა, პეტრეს ცივმა ოფლმა დაასხა, — „მერა შუაში ვარო! — დაიძახა კვნესით და თრთოლვით შეშინებულმა პეტრემ“, რომელიც „მთლად ცახცახებდა“, — გვეუბნება ავტორი. გვეუბნება და კითხვასაც გვიყენებს: „მართლა-და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოსო“... გვიყენებს ამ თავსამტვრევ კითხვას და მოთხრობასაც აქ ისე ამთავრებს, რომ პასუხს აღარ გვეუბნება — თქვენ გაარკვიეთო.

გავარკვიოთ: მართლაც რა შუაში უნდა იყოს ბებერი პეტრე? რა დანაშაული მიუძღვის ამ კეთილ მოხუცს, ნუთუ ის, რომ გაჭირვებაში მყოფი ობო-

ლი ძმები შეიფარჯა. დააპურა, მოასვენა, ენდო და თავი გააძარცვინა?! ან იქნებ ის იყო პეტრეს დანაშაული, რომ ყმაწვილებს ნაბადი გაუშალა მოსასვენებლად. თვითონ კი ცარიელ მიწაზე ეძინა მთელი ღამე? ნუთუ ამდენი სიკეთე წყალში უნდა ჩაიყაროს და არ უნდა დაფასდეს?

არა, ჩვენო კარგო პეტრე, შენს კეთილკაცობას, ადამიანურ გულსადა პატიოსნებას არავინ დაგიკარგავს, ფეხქვეშ არავინ გათელავს. შეხტუუილ-უბრალოდ გეშინია, ამაოდ თრთი და ცახცახებ. შენ არა ხარ კაცისმკელელი. არც კი იცნობ იმ გაიძვერა მამინაცვალს, რომლის ამხანაგობასაც ბრალად გიყენებენ. შენ არავინ გაგიძარცვავს, პირიქით, ვინც მძარცველს გიწოდებს, თვითონ მან აგაჭრა ღამით, როცა გეძინა, ჯიბეები და ფული მოგაპარა, მაშასადამე. გაგძარცვა! ნუგეშინია, თუ გაგასამართლებენ, დამცველი ადვილად დაამტკიცებს. რომ იმ საბრალო ყმაწვილების მიმართ შენ არავითარი დანაშაული არ ჩაგიდენია, პირიქით, მათ დაარღვიეს სიკეთე, აბაგი არ დაგიფასეს, შენს წინაშე სწორედ ისინი არიან დამნაშავენი და შეგიძლია პასუხი მოსთხოვო. შენ იტყვი — მოპარული ფული ათმაგად დამიბრუნეს და რაღა პასუხი შეიძლება მოეთხოვოთო. მართალია, ფული დაგიბრუნეს, მაგრამ ის სირცხვილი. შენ რომ მაწინ გაწუხებდა? ის ტკივილი, ძუძუმწოვრებმა როგორ მომატყუესო? მეურმეობაზე რომ ხელი ნაადრევად აგაღებინეს და საყვარელ საქმეს ასევე ნაადრევად მოგაშორეს? ნუ გეშინია. მე შეხ დაგიცავ და როგორი მკაცრი სასამართლოც არ უნდა შეგხვდეს, პირობას მოგცემ, რომ ყველა ამ ბრალდებას მოგიხსნი, გაგამართლებ. დავამტკიცებ შენს უდანაშაულობას, იმასაც, რომ ისეთი პატიოსანი კაცი, როგორიც შენა ხარ, ბევრი როდი მოიძებნება.

მაგრამ არ შემიძლია ერთადერთი ბრალდების გაბათილება: მართალია. არცერთი ის დანაშაული, რომელიც ბრალად გედება, უშუალოდ შენ არ ჩაგიდენია, მაგრამ შენ წევრი ხარ იმ საზოგადოებისა, რომელიც ბოროტებით სავსეა. რომელმაც დღეს ყმაწვილი კატასავით ჩაძოაბრჩო, ობოლი ძმები ბედის ანაბარა ქუჩაში დაჰყარა, მძარცველობის გზაზე დააყენა, — შენ წევრი ხარ ამ საზოგადოებისა და ამიტომ მორალური პასუხისმგებლობა გეკისრება. ამ პასუხისმგებლობისაგან, ამ ბრალდებისაგან შენი გათავისუფლება არავის შეუძლია, მით უფრო მე. და უნდა შევთანხმდეთ, რომ შენ, ისევე როგორც ათიათასობით შენს მსგავს კეთილ ადამიანებს, ეს ბრალი გედება. შეიძლება ვინმემ გითხრას—პატიოსანი კაცისათვის მორალური პასუხისმგებლობა უფრო მძიმეა, ვიდრე უშუალოდ დანაშაულის ჩადენაო, შენ პატიოსანი კაცი ხარ და ეს უფრო მეტად შეგაწუხებსო, მაგრამ რა ვქნათ, რა კი ცხოვრებაში გამოსულხარ, მისი ტვირთიც ბოლომდე უნდა ატარო. განა ის წუხილი, რაც შენ წერილის მოსმენის დროს განიცადე, ამას არ ამტკიცებს? ვინც უშუალოდ ყველა ის დანაშაული ჩაიდინა. რაშიაც შენ ბრალი დაგდეს, მას წარბიც არ შეუხრია. არ შეწუხებულა, ბევრი იცინოდა, მხიარულობდა კიდეც, გამარჯვებულის სახე ჰქონდა, რომ უსუსურ ობლებს მოერია, შემდეგ ერთი მათგანი სახრჩობელაზედ ჩამოჰკიდა, შენ კი, მორალურმა პასუხისმგებლობამ თრთოლვა და ცახცახი დაგაწყებინა. ცივი ოფლი დაგასხა, შეგაშინა კიდეც. პატიოსანი კაცი ყოველთვის იტანჯება უსამართლო საზოგადოებაში, სადაც ბურთი და მოედანი

მხოლოდ უპატიოსნო ადამიანებს დაუსაკუთრებიათ. რაკი შენ პატიოსანი ხარ, არც ბურთი გაქვს, არც მოედანი, ბრალსაც გდებენ, მაგრამ რა ვუყოთ: ის. ვინც ბრალსა გდებს, შენსავით პატიოსანი იყო, მაგრამ პატიოსნებაზე ხელი აიღებინეს და ახლა ბოროტებას ბოროტებითვე ებრძვის. თუ მას ეტყვი — ბოროტი ხარო. გიპასუხებს. რომ შურისძიება ბოროტება არ არის. მსხვერპლი მსხვერპლს ითხოვსო. იმასაც დაუმატებს, რომ პატიოსნებაზე შენმა ამხანაგმა აიღებინა ხელი და დამნაშავე ის კი არ არის, არამედ, ის, ვინც მას პატიოსნება წაართვა. ეს ძალიან რთული საქმეა, ჩემო პეტრე, ძნელი გასარკვევია, ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია გავიხაწილოთ მორალური პასუხისმგებლობა, ვიტანჯოთ იმ ტკივილით, რასაც შენდამი წერილის ავტორი განიცდის. თანავუგრძნოთ მას, ანდა, თუ გვინდა მორალური პასუხისმგებლობაც მოვიხსნათ, მაშინ შევუერთდეთ იმ თავზეხელაღებულ კაცს და მასთან ერთად შური ვიძიოთ უსამართლობისათვის, ვებრძოლოთ უსამართლო საზოგადოებას.

ასეთ აზრებს აღუძრავდა ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ" იმდროინდელ მკითხველებს და თავისი პატარა მოთხრობის სოციალურ დანიშნულებასაც ავტორი მხოლოდ ამაში ხედავდა. ეს იდეა, ეს ძირითადი აზრი ნაწარმოებისა, ძალიან მკაფიოდ ჩანდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მშვენიერ მოთხრობას ზოგიერთი იმდროინდელი კრიტიკოსი ღრმად ვერ ჩასწვდა. ალექსანდრე სარაჯიშვილმა 1879 წელს წამოაყენა მოსაზრება, რომ „ეს მოთხრობა მხოლოდ სალიტერატურო ფორმაა, რომელშიაც მწერალს უნდოდა ფსიხოლოგიური სურათი ჩაესვა... განზრახვა ჰქონდა ჩაეხედნა ავაზაკის გულში, გამოეკვლია ამბნელისულისმტრობა ადამიანისტომისა, გამოეაშკარავებინა კაცის სიავის მიზეზი და დაემტკიცა რომ ეს სიავე გარემოების შედეგია. ეს განზრახვა დიახ კეთილია, მაგრამ ლიტერატურისწესების დავიწყებაც არ ვარგა. პირველი და უეჭველი წესი ყოველ მოთხრობისა, ზღაპრის გარდა (ზღაპარში უთუოდ „ამბავია" ნაგულისხმევი — გ. ჯ.), იმაში მდგომარეობს, რომ სამართლიანი, დასაჯერებელი იყოს. ეს არ ითქმის ამ პატარა მოთხრობაზე"." კრიტიკული მიმოხილვის ავტორს განსაკუთრებით დაუჯერებლად მიაჩნდა ჩამოხრჩობის სცენა, ძმის წერილი — „როგორ მოასწრო ყმაწვილმა კაცმა იმ სიგრძე. ეპისტოლეს დაწერაო" და ა. შ. ეს იყო პრიმიტიული მსჯელობა, რომელიც ილიას ნაწარმოების შეუფასებლობიდან იღებდა სათავეს.

მაგრამ ის, ვინც ნამდვილად ჩასწვდა ილიას მშვენიერ მოთხრობას, ვინც სწორად გაიგო ნაწარმოების ღრმა სოციალური აზრი, არ მორიდებია ეთქვა, რომ „სარჩოზელაზედ" ერთი ბრწყინვალე მხატვრული ძეგლია ილიას პროზაში, რომელიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ამხედრებდა მკითხველს. ამიტომ გადაჭარბებული არ უნდა იყოს, თუ ასე მოვიქცევით: მოთხრობას მივიჩნევთ, როგორც სოციალური უსამართლობის მამხილებელ მხატვრულ ნაწარმოებს, რომლის ძირითადი დანიშნულებაა

---

* ალექსანდრე სარაჯიშვილი, „ივერია", № 2, თებერვალი, 1879 წ. იხ. კრებულში: „ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში", 1957 წ., გვ. 249, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მკითხველს საზოგადოებრივ ბოროტებათა წინაშე თვალი აუხილოს, მის გაბზარულ სარკეში ჩაახედოს და სიმართლის გზა უჩვენოს. ეს იქნება სამშობლოს ისეთივე სამსახური, როგორიც პატრიოტული თავდადებაა.

ერთი ასეთი მაგალითი პატრიოტული თავდადებისა ილიაჭ წარსულის ფონზე გვიჩვენა საახალწლო მოთხრობაში, რომელსაც „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ ეწოდება. ეს არის მცირე ფორმის მხატვრული ნაწარმოები, რომელიც დიდი ინტერესით იკითხება. იმდენად ბუნებრივი ქარგა აქვს, რომ შეუძლებელია გაეცნოთ და არ მოიხიბლოთ. მასთან ერთად ჩვენ გვინდა მოვიხსენიოთ პროზაული მინიატურები—„ამბავად გაგონილნი“, რომლებშიაც იმდენი გონებამახვილობაა, რამდენიც სილამაზე.

ვ) „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და „ამბავად გაგონილნი“

ისტორიულ თემატიკას ილია ყოველთვის დიდი მოწდომებით იყენებდა. მაგრამ უმთავრესად პოეზიაში, ვიდრე მხატვრულ პროზაში. რაც შეეხება კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებს, სიტყვებს, საჯარო გამოსვლებს, ილია, როგორც არამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიის ღრმა მცოდნე იყო, ყოველთვის მიმართავდა ხოლმე ისტორიულ ფაქტებს და თვითეული მათგანი დიდი სიზუსტით მოჰყავდა. ილია, როგორც ისტორიკოსი. ვრცელი თემაა მკვლევარისათვის და ასევე ვრცელი მონოგრაფიის საგანია“.* მხატვრულ პროზას რაც შეეხება, ისტორიულ თემატიკაზე ილიას მოთხრობა ან რომანი არ დაუწერია, გარდა იმ მინიატურებისა, რომლებსაც ჩვენ ახლა უნდა შევეხოთ.

როგორც ბიოგრაფიის გადმოცემის დროს აღნიშნული გვაქვს, 1880 წელს ილიამ დაწერა ნახევრად ავტობიოგრაფიული ხასიათის (პირველი ნაწილი) მოთხრობა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“, რომელშიაც მხატვრული ოსტატობით გააცოცხლა საქართველოს გმირული წარსულის ერთი მშვენიერი ფურცელი, კერძოდ, მეფე გიორგი მეთერთმეტის დროინდელი სურათი. ეს იყო პერიოდი, როცა საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი 1636 წლიდან ოსმალეთმა სპარსეთის „უცილობელი გავლენის სფეროდ სცნო“, ხოლო დასავლეთი ნაწილი „სპარსეთმა ოსმალეთს დაუთმო“, რაც ორმა ონავარმა სახელმწიფომ — „სპარსეთმა და ოსმალეთმა ერთმანეთს შორის მუდმივი მტრობის მოსასპობად“ მოახდინეს.** ვახტანგ მეხუთის შვილი და არჩილ მეფის ძმა. ქართლის მეფე გიორგი XI, რომელიც ტახტზე ორჯერ ავიდა (1676 და 1703 წლებში — პირველად იმეფა 1688 წლამდე, ხოლო მეორედ 1709 წლამდე), ცდილობდა უკან-უკან მიმავალი ეროვნული საქმეები იმით მაინც გამოესწორებინა, რომ დაეცვა ქართული ენის სიწმიდე. იგი დიდად „ნიჭიერი სამხედრო პიროვნება“ ყოფილა. მაგრამ მის მოქმედებას ერის კეთილდღეობისათვის ყოველმხრივ ბორკავდა შექმნილი მძიმე მდგომარეობა. თვით სპარსეთში აწეწილი საქმეების გამო, შაჰები „ხშირად თავიანთ

* იხ. აფანდილ იოსელიანის ვრცელი გამოკვლევა ამ საკითხზე.

** ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, 1953 წ., გვ. 59.

სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობა კი გამოცდილებით იცოდნენ", რის გამოც „თავიანთი დახლართული საშინაო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანღობდნენ ხოლმე". ერთი ასეთი მეფეთაგანი იყო გიორგი XI, რომელსაც არაერთხელ, „უხებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი აძბოხება იფეთქებდა".* ასეთ პირობებში „ქართველ მეფეებს თავიანთ საბრძანებელში წასვლისა და მართვა-გამგეობის საშუალება არ ჰქონდათ და თავიანთი ძალა და ნიჭი სპარსეთის შაჰების ტახტის გამაგრებისათვის უნდა შეელიათ... ისინი იძულებული იყვნენ თავიანთ მაგიერ მაბლობელი ბატონიშვილები მეფის ძოადგილედ დაენიშნათ ხოლმე საქართველოში და მათთვის მიენდოთ ქვეყნის მზრუნველობა... ეს გარემოება შხამადა ჰაერს და სრულ გამოურკვევლობის გრძხობას ჰქმნიდა საქართველოში. ქართველი ერი ამ დროს მართლაც უაღრეს გახსაცდელში იყო ჩავარდნილი. მისი მომავალი სახეიროს არას მოასწავებდა, თუ რომ ის მთელს თავის სულიერს ძალას არ მოიკრებდა და ეროვნული განსაცდელის თავიდან აცილებას არ ეცდებოდა".**

ერთ-ერთ ასეთ განსაცდელს ეხება ილია ჭავჭავაძის „საახალწლო მოთხრობა", რომლის ძირითადი სახელწოდებაც ნაწარმოების მთავარი გმირიდანაა აღებული. მეფე გიორგი XI დროს „ყიზილბაშების ყეინად დაჯდა შაჰ-სულთან-უსეინი", რომელმაც საქართველოს ასაკლებად და ასაოხრებლად დიდძალი ჯარი გამოგზავნა. დაიწყო სისხლისმღვრელი ომი. გახურებული ბრძოლის დროს ერთიყიზილბაში გამოვარდა მოედანზე, „გაუქროლ-გაძოუქროლა ჩვენებს წინ ცხენი, თითქო ჯინითშია და არა ომშიო". იწყინეს ქართველმა მეომრებმა ყიზილბაშის ეს თავხედობა, შეიქნა მითქმა-მოთქმა: „კაცად აღარ გვაგდებს თუ, რა ამბავია, რომ ასე უშიშრად გაგვირბის და გამოგვირბისო". ერთი ქართველი „მოსხეპილი ყმაწვილი-კაცი" ეკვეთა ყიზილბაშს, მაგრამ „ჯერ ჩამოეკიდა ცხენს და მერე უსულოდ დაეცა დედამიწაზედ". იგივე ბედი ეწია მეორე ქართველ გულადს, მესამეს, მეოთხეს და მეხუთესაც.

გათამამებული ყიზილბაში თავის გამარჯვებას დღესასწაულობდა, რაკი კეღარავინ ბედავდა მასთან საბრძოლველად გასვლას. ამ დროს შეწუხებულმა ქართველებმა გაიხსენეს ძველი გმირი, ომში არაერთგზის ნაცადი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი. დაუწყეს ძებნა გმირს, რომელიც „თურმე გაცხარებულ ომში იყო" და ძახილზე ომიდან გამოვიდა. როცა მასთან მივიდნენ, გოსტაშაბიშვილი „ჩოხის კალთით გასისხლიანებულ ხმალსა სწმენდავდა". შეიტყო საქმის ვითარება და შეწუხდა, ვინაიდან, მართალია, „ძალიან განთქმული და საველოვანი ვაჟკაცი იყო, მაგრამ მაშინ სიბერე მორეული ჰქონდა და უწინდებურად აღარც მკლავი ერჩოდა, აღარც მუხლი". მდგომარეობა იმითაც გართულდა, რომ გოსტაშაბიშვილმა ყოყმანი დაიწყო: — „სად შემიძლიან მე ეხლა დაბერებულსა და დაჩაჩანაკებულს იმასთან ომის გასწორება... ვერა ჰხედავთ, ახლად ულვაშ-აშლილი ვაჟკაცია, კაცი ლომსა ჰგავს".

მაგრამ უარმა არ გასჭრა. გოსტაშაბიშვილი დარწმუნდა, რომ მისი გასვლა ურჯულოს წინააღმდეგ ბრძოლაში აუცილებელი იყო. ამ უაღ-

* ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეხუთე, 1953 წ., გვ. 60.
** იქვე.

რესად დაძაბულსა და საბედისწერო მომენტს. რომლის კვანძის გახსნითაც ეს მშვენიერი პატარა მოთხრობა თავდება, ილია მისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით გადმოგვცემს: „გოსტაშაბიშვილმა ახსენა ღმერთი, აუკრიბა სადავე ცხენს და ჰკრა ქუსლი. ცხენმა ერთი ორიოდე კამარა შეჰკრა, ისკუპა და თვალის დახამხამების უმალ ვაჟკაცი ვაჟკაცს წინ დაუდგა. ყიზილბაშმა წამოიღერა თავისი შუბი. გოსტაშაბიშვილმა ხელი აუკრა და აიცდინა. ეს ისე მარჯვედ მოუვიდა, რომ ქების კიჟინა დასცეს. მინამ ყიზილბაში მეორედ შეუტევდა შუბით, გოსტაშაბიშვილი ცხენ-და-ცხენ ეცა. წასწვდა, ერთი-ორი ღონივრად შეჰბღერტა და ცხენიდამ ძირს დასცა, ასე რომ დაცემულს ფეხზედ ადგომა გაუძნელდა. ჩამოხტა ცხენიდამ გოსტაშაბიშვილი. ააყენა ყიზილბაში ფეხზე და უთხრა:

—ნუ გეშინიან, მე თავს არ მოგკლავ. შენი თავი შენის ვაჟკაცობისათვის მიპატიებია. ცოდვაა შენი გაფუჭება. წადი და ღმერთმა გზა მშვიდობისა მოგცესო.

— მეც სიცოცხლეს თუ ვისგანმე ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგანაო. — უპასუხა ყიზილბაშმა, სალამი მისცა და წავიდა“.*

ეს სრულიად მოულოდნელი ფინალი მთლიანად ამეღავნებს ილიას მშვენიერი პატრიოტული მოთხრობის ძირითად სენტენციასა და მოტივს. ნაწარმოების მიზანია მკითხველში გააძლიეროს სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, წარსულის ერთი გმირული შტრიხის მხატვრული წარმოსახვით უჩვენოს ვაჟკაცობის სიდიადე. სულგრძელობა, მაღალი სული. აღზარდოს გამბედაობა ქართველ კაცში და შთააგონოს მამულისათვის თავგანწირვის იდეა.

ანალოგიური მიზნითაა შთაგონებული მცირე ფორმის პროზაული მინიატურები — „ამბავად გაგონილნი“, რომელიც ილიას 1887 წელს დაუწერია. მასში ოთხი ეპიზოდია აღწერილი: პირველი ორი ერეკლეს, ხოლო დანარჩენები გიორგი XIII მეფობას შეეხება. მაგრამ ამ მოთხრობებში ვაჟკაცობა ან გმირობა კი არ არის აღწერილი, ერის ერთ-ერთი მთავარი თვისებათაგანი — გონებამახვილობა, მოსწრებული სიტყვა, მოხერხებულობაა წარმოსახული. ამ თვისებას ილია ყოველთვის დიდ მნიშვნელობას აძლევდა, რაც ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს მისი პოეზიის განხილვის დროს.

პირველ მინიატურაში მოთხრობილია შემდეგი ამბავი: მეფე ერეკლე მეორე თავისი ამალით საგარეჯოს ბოლოებზე დაინახავს დიდძალ მამითადს, შეიტყობს, რომ იგი ერთი გლეხისაა, რომელიც ძალიან ხელმოჭერილია, თურმე „პურს არავის აჭმევს, თუ არას გამორჩა“.** მეფე განიზრახავს სტუმრად ეწვიოს ამ გლეხს. მართლაც, როცა მეფე და მისი ამალა იმავე ღამით გლეხთან მივიდნენ, მასპინძელი მათ კარგად დაუხვდა: ისინი მიიწვია „მიწურის სახლის ბანზედ, რომელიც თავიდამ ბოლომდე საფენით მოეფინა კიდეც“. კარგი მასპინძლობით კმაყოფილმა მეფემ, წამოსვლის წინ ჰკითხა გლეხს: „აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?“ „აბა დღეს მე რას გამომრჩი?“ გლეხს უპასუხნია: „აი ბანზედ მიწა ახლად დაყრილია. ამისდატკეცნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე. მეტი გამორჩომა რად

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 421.

** იქვე, გვ. 422. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მინდა, რომ ჩემმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარის ფეხით ბანი დამიტკეპნესო".*

ამ მოსწრებული სიტყვისათვის მეფეს გლეხი ხალათით დაუჯილდოვებია.

მეორე მინიატურაში მეფე ერეკლეს ერთი ღრმად მოხუცებული დედაკაცი მოწყალებას სთხოვს. „განა შვილები არა გყავს?" — უკითხავს მეფეს. „მაშ რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეო!" — უთქვამს მოხუცებულ დედაკაცს. გაკვირვებულ მეფეს ისევ უკითხავს: „არა გრცხვენიან, დედი, შვიდის შვილის პატრონი და საგლახაოდ დაიარებიო?!" დედაკაცს პასუხი არ დაუყოვნებია: „ვიშ, შენი კვნესამე! ნეტავი ერთი მყვანდეს და შენისთანაო".**

მესამე მინიატურაში მეფე გიორგი XIII ეკითხება თავის კარისკაცს, ასაკით უფროსს: „ერთი მითხარ, რისაგან არის, რომ მე ამოდენა ჭაღარა გამომერია, ლამის სულ გავთეთრდეო და, შენ კი, ჩემზედ უფროსს, ეგრე შავად შეგიბერდა თმა და წვერ-ულვაშიო?" კარისკაცს გონებამახვილურად უპასუხნია: „წესიც ეგრეა, ბატონოო!.. თქვენ ხელმწიფე ბრძანდებით, პირნათლად უნდა სუფევდეთო, დამუკი თქვენი ყმა ვარ, პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს-რაო".***

მეოთხე მინიატურაში აღწერილია შემთხვევა, როცა მეფე გიორგი XIII ყაზახ-ბორჩალოში მისულა ერთ დარბაისელ კაცთან, „საქართველოს უერთგულეს მოხუცებულ აღალართან".**** მეფეს, ცხენზე საუბრის დროს, თავისი ერთგული აღალარისათვის უკითხავს: „ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელს საქართველოში, ეხლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?" აღალარს გულამოჯდომით უპასუხნია: „იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო".*****

ოთხივე ეპიზოდი, რომლებიც ილიას ერთი სათაურის ქვეშ — „ამბავად გაგონილნი" — გაუერთიანებია, მკითხველს ჰგვრის პასეისტურ განწყობილებას, მაგრამ ეს პასეიზმი სრულიად ჯანსაღია, ვინაიდან პოზიტიურისაკენ გვიბიძგებს და მარტოოდენ წარსულის გაიდეალებით არ არის ნაკარნახევი.

. სულ სხვა თემატიკური რკალია ვრცელ მოთხრობაში „ოთარაანთ ქვრივი", რომელსაც ქართული მხატვრული პროზის შედევრს, ობოლ მარგალიტს უწოდებენ და ამ ეპითეტს იგი ნამდვილად იმსახურებს. ეს ნაწარმოები იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ჩვენ დაწვრილებით უნდა განვიხილოთ, როგორც სრულიად ი შ ვ ი ა თ ი, სრულიად ო რ ი გ ი ნ ა ლ უ რ ი მოვლენა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 422. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 423. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** აღალარი თურქულად ნიშნავს ბატონს (აღა), მემამულეს, ფეოდალს (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950 წ., გვ. 737).

***** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 423. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ზ) „ოთარაანთ ქვრივი“

დრო, როცა „ოთარაანთ ქვრივი“ იწერებოდა, გასული საუკუნის 90-იანი წლებია (მოთხრობა 1887 წელს დაიწერა, მომდევნო წელს კი მთლიანად დაიბეჭდა თვით ილიას გაზეთ „ივერიაში“), ხოლო ნაწარმოების სიუჟეტი მოიცავს საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდს, უნდა ვიგულისხმოთ, 80-იან წლებს. მოთხრობაში სულ ოცდაორი თავია, თვითეულ მათგანს ცალკე ქვესათაური აქვს, რაც ილიას სხვა მოთხრობებს არ ახასიათებს. ეს ქვესათაურებიც ისე ოსტატურადაა შერჩეული, რომ მკითხველს უადვილებენ თვითეული თავის ძირითადი შინაარსის სრულად გაგებას. მაგალითის მოტანა ზედმეტი იქნება, ვინაიდან ყოველი მათგანი ჩვენი დებულების ილუსტრაციას წარმოადგენს.

მოთხრობას არა აქვს ექსპოზიცია, იგი პირდაპირ იწყება მთავარი მოქმედი პირის დახასიათებით. ეს არის პირველი თავი, რომლისთვისაც ავტორს შემდეგი ქვესათაური მიუცია: „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?“ ამ სახელწოდებაში ოთარაანთ ქვრივის ხასიათის პირველი ნიშანდობლივი თვისებაა დაჭერილი და დახასიათებული. საკმაოდ დიდ სოფელ წაბლიანში მცხოვრები ორმოცდაათხი წლის ასაკში შესული ეს ქალი, იმდენად მტკიცე ნებისყოფისა და გაუტეხელი ხასიათისაა, ისეთი სახელი აქვს მოპოვებული, რომ მას ყველა იცნობს, ყველას მისი მორიდება აქვს. სოფლის გზირსაც კი ასე უთქვამს თურმე: „ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის“ შეუძლია „გავლა ქვრივის უნებურადო“. ეს არ შეეძლო არც ნაცვალსა და იასაულს, ხოლო გზირმა ერთხელ ისეთი რამ იწვნია ამ ქალისაგან, რომ სამუდამოდ დაამახსოვრდა. როცა სოფელში დიამბეგი ჩამოსულა, გზირს მისთვის ქათმები შეუგროვებია, ერთი ქათამი ოთარაანთ ქვრივისაც წაუყვანია, მაგრამ ქვრივს ერთი ვაი-ვაგლახი აუტეხია: გუბერნატორამდე თავისი ფეხით მისულა, გზირისათვის ქათამი ერთი შვიდად უზღვევინებია, თვითონ მასაც ათიოდე მანეთი დახარჯვია მისვლა-მოსვლაში, თუმცა ეს არაფრად ჩაუგდია, რაკი მიზანს მიაღწია. „ფული რა არის?! — უთქვამს ოთარაანთ ქვრივს, — ხელის ჰუჰუია... ერთი ჟუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, — ეს რადა ჰღირს!.. ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო“.* ასეთ მკაცრ ადამიანს, ცხადია, ყველა ერიდებოდა, ნაცვალიც და მამასახლისიც, ხოლო ჯგუფად შეკრებილი გლეხკაცები, თუ იქ სოფლის ვინმე მოხელე ერია, როცა მომავალ ქვრივს დაინახავდნენ, „თითქო ალალმა ქორმა დაჰკროლა წიწილებსაო“, ისე გაიფანტებოდნენ.

მაგრამ ეს მორიდება არ იყო სიძულვილის შედეგი, უფრო შიშით იყო გამოწვეული, ისე კი, როგორც ავტორი ამბობს, „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ, თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში“. შიშით ხომ ყველას მისი ეშინოდა. წარმოიდგინეთ, „ტირილით გაჭირვებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედმოსული დედები... დაჩუმდი, შე არ-გასაწყვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ ქვრივი მოდისო“. ყველაფერი ეს ოთარაანთ ქვრივმა კარგად იცოდა, რომ მისი სახელი ასე საფრთხობელა იყო სოფელში, მაგრამ არად აგდებდა. „ქალაჩუნები რომ არი-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 424.

ან, იმიტომაო, იტყოდა-ხოლმე თავისთავად. — ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დაეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლი“.* ეს არ იყო ბაქიობა ან მუქარა. არც ერთი უყვარდა ოთარაანთ ქვრივს და არც მეორე. სოფელმა კარგად იცოდა, რომ ამ უცნაური ქალის „თქმა და ქმნა ერთი იყო“. ამიტომ აქებდნენ კიდეც, როგორც მაგალითად, დათია ბადიაშვილი, რომელიც ამბობდა: „...ბარაქალა დედაკაცია, — არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ნახე... მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში, იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო“. თვითონ გამრჯე და მშრომელი, სხვისგანაც ამას მოითხოვდა. ზარმაცებსა და უსაქმურებს ვერ იტანდა, თუ ვინმეს უმოქმედოდ დაინახავდა, „ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა“ თავისი მწარე ენით. რაც არ მოეწონებოდა, მოურიდებლად ამხელდა, ტკბილ სიტყვას კი არავის ეტყოდა.

ქვრივს თავისი საკუთარი შეხედულებანი ჰქონდა ტკბილ სიტყვაზე. ეს შეხედულებანი ცხოვრების მწარე გამოცდილებით შეიმუშავა. და სხვასაც უზიარებდა: „ტკბილი სიტყვა რა არისო! — იტყოდა ხოლმე: — ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის-ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქექმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, — მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.** ესმოდა ეს მწარე სიტყვები სოფელს და მის მთქმელზე ამბობდა — „ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო“. მაგრამ სოფელი ცდებოდა. ერთხელ მასაც ხომ შეუძლია შეცდეს. ოთარაანთ ქვრივს არა ქვის გული ჰქონდა, არამედ, უაღრესად ადამიანური, კაცთმოყვარე და გამკითხავი, რასაც ჩვენ ქვემოთ დავინახავთ.

მაგრამ ყურადღება მივაქციოთ ოთარაანთ ქვრივის იმ სიტყვებს, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ. ეს ქალი ინე მსჯელობს, როგორც განსწავლული ადამიანი, და ძნელია ვნახოთ საღად მოაზროვნე კაცი, რომელიც მის აზრებს არ დაეთანხმებოდა. მოთხრობაში მრავლად გვხვდება ასეთი ადგილები და შეიძლება ამან მისცა საფუძველი ზოგიერთ კრიტიკოსს განეცხადებინა, რომ ოთარაანთ ქვრივი არ არის რეალური ტიპი, იდეალიზირებულია, ხელოვნურია, უფრო ავტორისეული ხასიათებია გამოკვეთილი. ვიდრე ცოცხალ სინამდვილეში არსებული გლეხი ქალისაო. ჩვენც ეჭვი არ გვეპარება, რომ ოთარაანთ ქვრივის სახეში ზოგიერთი ავტორისეული შტრიხი უთუოდ არის მოცემული.

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 425.

** იქვე.

მაგრამ ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას თითქოს ოთარაანთ ქვრივი ხელოვნური, არარეალური, იდეალიზირებული სახე იყოს. პირველყოვლისა ის მშრომელი, გამრჯე, მტკიცე ნებისყოფისა და ცხოვრებით დაბრძენებული ქართველი გლეხი ქალის შემკრები ტიპია და თუ ასე წარმოვიდგენთ, მაშინ არ შეიძლება ოთარაანთ ქვრივი ცოცხალ, რეალურ, სავსებით დამაჯერებელ სახედ არ მივიჩნიოთ. ასე უნდა შევხედოთ მის ბრძნულ სიტყვებსაც, რომლებშიაც ხალხური გონების გამჭრიახი თვალი იხედება. ის არ არის ნატურალისტური სახე, რეალისტურია, როგორც მივუთითეთ, შემკრები ტიპია და ავტორს სრული უფლება ჰქონდა ცალკეული ნიშნებიდან, რომლებსაც ოთარაანთ ქვრივის მსგავს ქართველ გლეხ-ქალთა შორის ამოიკითხავდა, ერთ არსებად წარმოესახა, ერთ ადამიანად ექცია, როგორც ამას ახერხებდნენ მსოფლიო ლიტერატურაში დიდი რეალისტები. მრავალის ერთ სახეში გაერთიანებით ერთიც ფიგურალურად წარმოისახა და მისი შემადგენელი მრავალიც. ეს ჭეშმარიტად დიდი რეალისტური ხელოვნების კანონია, რომელსაც ილია ყველა თავის მხატვრულ ნაწარმოებში იყენებდა, ხოლო „ოთარაანთ ქვრივში“ ყველაზე მეტად გამოიყენა. მას სურდა ქვრივის სახით ქართველი დედა, მშრომელი გლეხი ქალი და მაღალი სულის ადამიანი დაეხატა, მისთვის მიეცა ეროვნულ კოლორიტთან ერთად ეროვნული ზასიათის დამახასიათებელი ნიშნებიც. ამიტომ ჩააქსოვა ქვრივის სიტყვებში ამდენი სიბრძნე, ცხოვრების გამოცდილება, ნებისყოფის სიმტკიცე, დაუღალავი შრომისა და შეუპოვარი ბრძოლის უნარი.

ოთარაანთ ქვრივი თავისი მრავალჭირნახული ერის ალეგორიულ სახედ ქცეულა, როგორც პოემა „აჩრდილში“ მოხუცის დიდებული მონუმენტი ყაზბეგის მთაზე. ოთარაანთ ქვრივიცა და აჩრდილიც საქართველოს სინონიმია, მხნე, გამრჯე, გაუტეხელი სულითა და ისტორიული კატაკლიზმებით საესე, ერის სიბრძნე და შეუპოვარი სული მათ ისე შეუთვისებიათ, როგორც მშობელი დედის რძე. როგორც ერთი, ისე მეორე მწუხარე ფიქრია ხალხის ბედზე, მის მომავალზე. ორივე განზოგადებული, მაგრამ ერთ არსებად ქცეული ცოცხალი სახეა მრავალტანჯული ქართველობისა. თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, აჩრდილში უფრო მეტია ზოგადი, ვიდრე ოთარაანთ ქვრივში. ის უფრო სულიერის ხორცშესხმაა, ხოლო ოთარაანთ ქვრივი სისხლი და ხორცია; პირველი ამაღლებულია ერის ტანჯვაზე, როგორც მისი სულის შეერთება გონებრივ იდეალთან, გრძნობაც რომ მოუზღვავებია. მეორე ერის ტანჯვას უშუალოდ ჩაქსოვებია, მის წიაღში დარჩენილა, პრაქტიკული ცხოვრების მძიმე უღელს არამარტო ფიზიკურად, გონებითაც შებმია და გუთნისდედას ლაბა ხარივით წინ ეწევა.

უფრო ახლოს მივიდეთ ამ რთულ ხასიათთან, რომ მისი ფენომენალური სული ღრმად შევიცნოთ.

ეს ხასიათი ახალი შტრიხით იშლება ჩვენს თვალწინ მოთხრობის მეორე თავში, რომელსაც „პილპილ-მოყრილი მადლი“ ეწოდება. იგი ეხება ოთარაანთ ქვრივის გულს, რომლის შესახებაც სოფელი ამბობდა — ქვა არისო; მაგრამ როგორ შეიძლება მას ქვა ეწოდოს, როცა ადამიანებისადმი ასე თბილად ძგერს და ჭირში მყოფს ჭირისუფლად უხდება. ჰკითხეთ იმ ქვრივს,

რომელიც სოფლის მეორე ნაპირას დგას, წვრილშვილიანი და „ცოტა უხეირო, უნდილი“ დედაკაცია. გარჯა ეზარება, შრომა არ უყვარს, „ამიტომ „წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი“ ჰყავს. როგორ ექცევა მას სოფლისათვის „ქვა გულად“ მიჩნეული ოთაარანთ ქვრივი? იგი „ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდ შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე“. სხვა რომელი „თბილი გული“ ეხმარებოდა ასე უანგაროდ იმ წვრილშვილიან ქვრივს, უნდილ დედაკაცს? არავინ და სხვა არც ერთი. ოთარაანთ ქვრივი ეხმარებოდა, მაგრამ მადლს პილპილსაც მოაყრიდა, რომ შრომაზე გულაყრილ ქალს თავისი ადამიანური მოვალეობა შეეგნო, ხელი გაენძრია. სწორ გზაზე დაეყენებინა. მწარეა ეს სიტყვები, სასტიკი, მკაცრი და მოურიდებელია, მაგრამ რამდენი სიმართლეა მასში, რამდენი ჰეშმარიტება, რა მაღალი ადამიანობა, რა პირდაპირობა! მიუტანდა თავის ნაოფლარს და „აჰა, ხეთქეო, — ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, — დაგიღია ეგ შავის მიწით ამოსავსები პირი, შე პირშაო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმოშიგდებენო. შე არ-დასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმა-პურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!...“* ესმის ყოველივე ეს იმ უნდილ დედაკაცს, ესმის, მაგრამ გრძნობს, რომ ოთარაანთ ქვრივი მართალია და ამიტომ გული კი არ მოსდის, მადლობას ეუბნება ობლების გამკითხავს. ოთარაანთ ქვრივს კი მისი მადლობაც არ უნდა, „შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოსო... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა. ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია, მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...“** უქნარასაგან მადლობას მნიშვნელობა არა აქვს ოთარაანთ ქვრივისათვის.

მაგრამ ეს არ არის ახირება ან ამოჩემება. ოთარაანთ ქვრივი ასე ექცევა უველას, ვინც შრომას გაურბის, მარტოოდენ სხვის მოწყალებას შესჩერებია. არცერთი გლახა-მათხოვარა მას ხელცარიელი არ გაუბრუნებია, მაგრამ თავისებური ლოცვა-კურთხევაც თან დაუტანებია. „...შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი, — მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა, — დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმა-პურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაიხეტები სათხოვრად, ნამუსი ალარა გაქვს? ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს. ქვეყნისა არა გრცხვენიან! არა, შე ოყრაყო, ოთარაანთ ქვრივი დედაა შენი, მაშაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავისი

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 426.

** იქვე.

თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!"* ამას ეტყოდა ჩვეულებრივ მათხოვარს, ხოლო, თუ „მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი" შეხვდებოდა, მაშინ ხომ „ეტყოდა და ეტყოდაო", — გვეუბნება ავტორი. თუმცა ძნელი წარმოსადგენია რა უნდა ყოფილიყო იმაზე მეტი, რაც ჩვენ უკვე მოვისმინეთ. სამაგიეროდ, იმ ღონემიხდილს მარანშიც ჩაიყვანდა, დაჰპირდებოდა რაღაც „წუმპე ნაძირალას" დაგალევინებო, ნამდვილად კი „ერთ ორიოდ ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით". ასე ხდებოდა ხშირად, ხოლო ერთხელ ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსაც გადააჭარბა: მუდამ სიმართლის მღაღადებელმა ტყუილიც თქვა, მაგრამ ეს იყო ისევ მათხოვარის სასარგებლოდ ნათქვამი, შიგ საკუთარი ინტერესის ნატამალიც არ ერია. ერთ-ერთი მათხოვარის ჩვეულებრივი გასტუმრების დროს, ქვრივმა შეამჩნია, რომ საბრალოს შიშველი ფეხები დახეთქილი ჰქონდა. უკანვე დააბრუნა, ექვსი შოთი პური გამოიტანა, ამ პურებით „ერთი შოლტი საქალამნე ღორის ტყავი" უყიდა, „მიახალა თავში მათხოვარას", ხოლო, როცა „ჭოსმანსავით** გათხვირულმა მედუქნემ" ჰკითხა: „გემართა მაგისი, თუ რა არისო?", ოთარაანთ ქვრივმა აცრუა — „მაშ არა-და, მაგის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდიო", — ნამუსი მოხადა ღონემიხდილ გლახას.

განა ეს არის „ქვა გული", როგორც სოფელი შეცდომით ამბობდა? განა ამ „პილპილ-მოყრილ მადლში" მშვენიერი ადამიანური გული არ იმალება? განა ის აჯობებდა, რომ გვენახა ადამიანი, რომელიც ჩვენს ტანჯვას მხოლოდ სიტყვით თანაუგრძნობდა, ნიანგის ცრემლებსაც დაადენდა, მაგრამ საქმით, თუნდაც სულ იოლად შესაძლებოდა, არაფერს გაუკეთებდა? შეიძლება ვითხრათ: ორივე უკიდურესობააო. დიახ, უკიდურესობაა, და ჩვენც დავეთანხმოთ, მაგრამ გაიარეთ ცხოვრების მწარე გზა, როგორც განვლო ოცდაოთხი წლის ასაკიდან ახალგაზრდა ქვრივმა, რომელმაც უსაყვარლესი მეუღლე ნაადრევად დაჰკარგა, ერთ წელს მიწევნილ ვაჟიშვილის ამარა დარჩა და მთელი ოცი წელი თავაუღებელ შრომაში გაატარა ოჯახის გადასარჩენად! გაიარეთ ეს გზა და შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ ისეთი მტკიცე ხასიათის ადამიანზე, როგორიც ოთარაანთ ქვრივია, და მის უკიდურესობაზე, როცა მადლს პილპილს აყრის ხოლმე. ეს პილპილი ცხოვრებისეული სიბრძნე და სიმწარეა, რაც თვით ოთარაანთ ქვრივმა სხვაზე მეტად იწვნია და საკუთარი არსების სტიქიად გადაექცა. წაუყენეთ ასეთ ადამიანს ბრალდება, რომ ის მკაცრია, მწარე სიტყვებს შესჩვევია, უკიდურესობაში ვარდება და იგი თქვენ ისეთ პასუხს მოგცემთ, ისე დაგახასიათებთ, როგორც იმ „ტკბილ სიტყვას", რომელსაც თვალთმაქცობა, გულის-ფხანა, ქეციანობა, დარდუბალა უწოდა. ცხოვრების ბრძოლაში გავლილ ადამიანთან სახიფათოა ცხოვრების ფილოსოფიაზე კამათი, თუნდაც ის უსწავლელი იყოს. ოთარაანთ ქვრივი ასეთი ადამიანია და თქვენ ვალდებული ხართ მის ყოველ სიტყვას სერიოზული ანგარიში გაუწიოთ, თუ არ გსურთ პარადოქსებში გადავარდეთ.

ცხოვრების მწარე გამოცდილებამ მას ისიც ასწავლა, რომ ყველაფერში თადარიგი დაეჭირა, თუნდ „ერთს ბეწო ხანს" თვალი არ მოეხუჭა, რომ დიდო-

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 426.

** ჭოსმანსი (და არა ჭოსმანსი, როგორც ილია ხმარობს) საბას განმარტებით სასუქი ღორია — გ. ჯ.

ელი ლეკის ნაბადივით არ გათელილიყო. ამიტომ ჰქონდა მას უცნაური „ხუთი ქისა“, რომელსაც ავტორი ამავე სახელწოდების მესამე თავში გვაცნობს. მაგრამ ჯერ ნახეთ ოთარაანთ ქვრივის თადარიგიანობა კარმიდამოს მოვლაში და შეადარეთ იგი თავად ლუარსაბ თათქარიძის ეზოს. ეს უკანასკნელი ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს და აქ აღარაფერს ვიტყვით. მკითხველს ალბათ კარგად ახსოვს, რასაც თათქარიძეების სახლ-კარი წარმოადგენდა. მას ყველაფერი მოშლილი და სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა. მარტოხელა ოთარაანთ ქვრივს კი, შრომაში გაკაჟებულს, სოფლის „ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჰიის კარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდ ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებ-ძირდაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო... კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორც ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია საოფეებითა. სჩანს შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული... ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელ-ქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია“.* ყველაფერი, რაც ქვრივს ბოსტნეულობა ჭირდება, თავისი ხელით მოჰყავს, თუმცა სოფლელები გაიძახიან: „ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო“. მაგრამ თვით ოთარაანთ ქვრივი სხვანაირად მსჯელობს: „თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო... მითამ მე რითა ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..“** და გამრჯე მამაკაცზე მეტად თუ არა, ნაკლებად როდი მუშაობს ეს გაუტეხელი ენერგიის ქალი, რომელსაც ბოსტანში რუც გაჭრილი ჰქონდა და ვერავინ უბედავდა თუნდ ვვალვის დროს წყალი მოეკლო. თუ ვინმე გაუბედავდა, ოთარაანთ ქვრივი თვითონვე გაუსწორდებოდა — „წამოვიდა მეხი და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო“, — იტყოდნენ გლეხები, როცა წყლის წართმევის საძებრად გამოსული, მხარზე თოფგადებულ ქვრივს დაინახავდნენ.

სახლის შიდამორთულობაც სიფაქიზითა და დაგვილ-დაწმენდილობით გამოირჩეოდა. ჭაშანურის სუფთა ჭურჭელი თაროზე ჩამწკრივებული, „ორიოდე ქვაბი, ტაფა. ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ-დარეცხილი“, ჭრელი ფარდაგებით დაფენილი ბაცანკალებიანი ტახტები „კერას აქეთ-იქით“, კუთხეში ძველი ნაკეთობის ლამაზი დიდი კიდობანი, მეორეში კი ასევე დიდი სკივრი, რომელზედაც ქვეშსაგები დევს ლურჯი სუბანით გადაფარებული. ეს იყო დარბაზი, და ავტორი შენიშნავს, მისთვის თვალი რომ მოგეკრათ, იტყოდით — „ამის პატრონი შეძლებული კაცი“ არისო. გლეხკაცის პირობაზე ოთა-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 427.

** იქვე.

რაანთ ქვრივი მართლაც კარგად ცხოვრობდა: ქმრისაგან დარჩენილი ჰყავდა „ნახევარ-გუთნეული საქონელი, ორი ფურ-კამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა". კარგი მოელით, ქვრივს კარგი შემოსავალიც ჰქონდა: ყოველწლიურად ჰყიდიდა სამ საპალნე ღვინოს, შინ სახარჯოდაც საკმაოდ იტოვებდა, ათი დღის მიწას ჰხნავდა და თესავდა, მეორე ათი დღისას კი საქონლის საძოვრად იტოვებდა. ყველაფერში თადარიგიანს, შემოსავალიც გონივრულად ჰქონდა განაწილებული: გაყიდულ ღვინოსა და პურში აღებულ „ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს" ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა ქისას" ეძახდა. ამაში ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო" ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა: „მიეცი და მოგეცესო". მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას ქარვასლას" ეძახდა, ხან „შიოს მარანსა".* მიუხედავად იმისა, რომ ქვრივმა თელა კარგად არ იცოდა, ანგარიში მაინც ძნელად თუ შეუშლებოდაო, — გვეუბნება ავტორი, — და მკითხველსაც სჯერა, ისეთ ადამიანს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია, კენჭების მოშველიებითაც შეეძლო სწორი ბალანსი გამოეყვანა. ოთხ ქისას იგი იმდენად ავსებდა, „რამდენიც საჭირო იყო", ხოლო გადარჩენილს მთლიანად მეხუთეში ათავსებდა, დაუთვლელად, და ასევე დაუთვლელად ხარჯავდა. ეს ხუთი ქისა ასრულებდა ოთარაანთ ქვრივის მეურნეობასა და პირად ცხოვრებაში იმ დაწესებულების როლს, რომელსაც ბანკი ეწოდება. უსწავლელ ქალს ცხოვრებამ ასწავლა საკუთარ ოჯახში საკუთარი კანონები შემოეღო, თვითონვე ეხელმძღვანელა მათთვის და თვითონვე შეურყეველად დაეცვა.

ასევე მტკიცედ იცავდა ოთარაანთ ქვრივი — მართლაც საოცარი ქალი, ქმრისაგან დატოვებულ „განძსა და ანდერძს". მოთხრობის მეოთხე თავს ეს სათაური მისცა ავტორმა და გვიჩვენა, თუ რა იყო ეს „განძი" ან ეს „ანდერძი". პირველი შეადგენდა თოფ-იარაღს, ხოლო მეორე მდგომარეობდა ორი რამის შესრულებაში: ჭირს ნუ გაუტყდები, შრომით ოჯახი შემინახე, და ჩემი პატარა გიორგი გამიზარდეო. ოთარაანთ ქვრივი მისთვის დამახასიათებელი ფანატიზმით ასრულებდა მომაკვდავი ქმრის მიერ დატოვებულ ანდერძს. განძსაც ასევე უფრთხილდებოდა. მას შემდეგ, რაც საყვარელი თედორე დაჰკარგა, ქვრივმა თავის ქმარს ყველა ნამუსი უბიწოდ შეუნახა. თედორე, როგორც ავტორი გვიხასიათებს, „დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშა-კაცი, განთქმული მონადირეც ყოფილა". მისი ვაჟკაცობა სიკვდილის წინ მეუღლესთან გამოთხოვებაშიც კარგად ჩანს, როცა ეუბნება: „რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შერჩები ამ წუთისოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. საააქაოს სტუმარი ვიყავ და ეხლა შინ მივდივარ. რა გატირებსო". როცა მეუღლეს შეუჩივლია.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 428—429.

თედორესათვის — „რა ვქნა მე უშენობაო", მომაკვდავს ასეთი გონივრული რჩევა-დარიგება მიუცია: „როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ!.. ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშინოდ. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო.... ე ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინოო! გაიზარდოს და მერე თითონ იცის, თუ იქნება თავისით იყოს, თავის მარჯვენით კაცობდესო. მამისეული ოფი-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია — გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის. ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმედა ჰღირს!.. ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბალღია უსუსური, უმწეო. ეჰ, ნეტავი კი ეგ დავაჟკაცებული მენახა და!.. მერე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო!"* მხოლოდ ასეთი საღი გონებისა და ვაჟკაცური სულის ადამიანს შეეძლო ნამდვილი მეუღლეობა გაეწია და ოთარაანთ ქვრივიც მისი უერთგულესი იყო. ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა ქალი დაქვრივდა, დარჩა ერთი წლის ვაჟიშვილის ამარა, მაგრამ ქმრის ყველა თხოვნა პირდაპირ სპარტანული ამტანობით შეასრულა. ოჯახი შეინახა, უფრო გააძლიერა. „მკვდარსაც უურვებდა", შვილიც შეურცხვენლად გაზარდა, შავები აღარ მოუშორებია.

ბევრს უნდოდა მშვენიერი ახალგაზრდა ქვრივის ცოლად შერთვა, მაგრამ ყველა უარით გაისტუმრა: „...უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მაშაშენს ვუღალატო!.. შენ გაგცე!.. აი, უწინამც დედამიწა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედა-შენი და იქ მამა-შენი. აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!.. ტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა ხოლმე თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა".** ეს ბიჭი იყო მისი ერთადერთი იმედი ამ ქვეყნად, და თუ როგორი დედა-შვილობა ჰქონდათ, ჩვენ ქვევით დავინახავთ. ზრუნვა-ალერსი არც შვილს დააკლო და არც იმ უძვირფასეს განძს, რომელიც ქმარმა დაუტოვა. ეს განძი ბუდით ეკიდა კედელზე, მოზრდილი თოფი იყო, შემდეგ ხმალი ყაწიმებით, ხანჯალი, დამბაჩა, სასწრაფო და საპირისწამლე. ყოველ კვირას ჩამოიღებდა ხოლმე ქმრის დანატოვარ თოფ-იარაღს, „გულდასმით, კრძალვითა და სასოებით" გაწმენდდა, ცხვრის დუმით გააპოხიერებდა, შემდეგ კი გული ამოუჯდებოდა, დაიტირებდა თავის „ფანდ ვაჟკაცს", „ტოლდასადებ მეუღლეს", გაიხსენებდა მასთან სიხარულში გატარებულ დროს, ცრემლებს დაღვრიდა, მაგრამ „არავის დაანახვებდა, შვილსაც კი, შვილსაც არ შეამცნევინებდა ხოლმე". და მაინც ამბობდნენ: ოთარაანთ ქვრივს ქვის გული აქვსო! მაგრამ ქვის გული განა ასე მოიქცევა? არა, მას თბილი, ადამიანური გრძნობით სავსე გული ჰქონდა. დედა-შვილობაშიც ყოველთვის ამ ხასიათს ამჟღავნებდა, შვილი უსაზღვროდ უყვარდა, მაგრამ ამ სიყვარულს აშკარად არ უჩვენებდა. ხვევ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 430.

** იქვე, გვ. 430—431.

ნა-კოცნითა და ალერსით შვილი არ გაუნებივრებია, თუმცა მალულად, როცა გიორგის ეძინა, ერთი ერთი არ დაუკლია.

მოთხრობის მთელი მეხუთე თავი — „დედა-შვილობის“ სახელწოდებით, ავტორმა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის მშობლიური გრძნობის დახასიათებას მიუძღვნა. შეიძლებოდა მისთვის პედაგოგიური პოემა გვეწოდებინა. მაგრამ მოთხრობის ამ თავში განვითარებულ დიდაქტიკურ დოქტრინას ჩვენ აქ არ შევეხებით, სპეციალურად განვიხილავთ იქ, სადაც ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ-პუბლიცისტურ და სამეცნიერო მოღვაწეობას დავახასიათებთ. აქ კი სულ რამდენიმე სიტყვა მაინც უნდა ითქვას „დედა-შვილობაზე“, რომ ნაწარმოების ძირითადი აზრი, სიუჟეტის განვითარება უფრო ღრმად გავიგოთ.

ილია დაწვრილებით აღწერს გიორგის გარეგნობას, მის თვალტანადობასა და ხასიათს. ამ აღწერას გარკვეული დანიშნულება აქვს: ავტორს სურს გიორგის ხასიათში გაამეღავნოს მოთხრობის ბოლო თავებში მომხდარი კატაკლიზმები, არა როგორც პრედესტინაცია, არამედ, ბუნებრივი კანონზომიერების შედეგი. ოცდაერთი წლის ყმაწვილი კაცი, კარგი დედ-მამის შვილი, მთელ სოფელში გამოირჩეოდა და ყველა გრძნობს, რომ მის არსებაში როგორც თედორეს, ისე ოთარაანთ ქვრივის ყველა ადამიანური ღირსება დასახლებულა. ჯმუხა და ძარღვიანი ახალგაზრდაა. ავტორის გადმოცემით, „კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სძისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დაკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა კი გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩასხმული“.* ჩაცმა კოხტად და ფაქიზად იცოდა. „მისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწუობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს“. „დოინჯის შემოყრა აკლია, თორემ თავადიშვილიაო, — ამბობდნენ გლეხები გიორგიზე და ისინი არ ცდებოდნენ. გიორგის თვალტანადობამ და კაცურ-კაცობამ სოფლის არა ერთი საპატარძლოს თვალი მიიპყრო, მაგრამ ვერცერთმა ვერ შეიძლო მისი გულის მონადირება. გიორგის ყველგან პირველობას უთმობდნენ, მუშაობაშიც ტოლი არ ჰყავდა, მისი ერთი „ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო... ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო... რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეეღება, მინამ თითონ საქმეს არ შეჰღევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო“, — ასე ახასიათებდნენ გიორგის მისი სოფლის გლეხკაცები.

ამ გარეგნულ კდემამოსილებას გიორგის პიროვნებაში ამკობდა მიმ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 431.

ხიდველი შინაგანი ღირსებანიც. მართალია, თედორე სავით გულღია და გულმხიარული არ იყო, მაგრამ შრომაში დიდი გამრჯე, გულმოდგინე, დაუზარებელი, ხელმართალი — მამასა ჰგავდა. დედის დიდი ხათრი და მორიდება ჰქონდა. ოჯახში მეთაურობა მისთვის არ ჩამოურთმევია. დედაც არ დაანებებდაო, — გვეუბნება ილია, — თუმცა ოთარაანთ ქვრივს „დედამიწის ზურგზედ იმის მეტი სიბარული და ლხენა სხვა არა ჰქონდა-რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა“, მაგრამ ეს გადამეტებული სიყვარული, რომელიც გაგიჟებამდე მიდიოდა, „თავის დღეში არავისთვის შეუტყობინებია“, შვილსაც კი უმალავდა, როგორც უკვე მოვიხსენიეთ. თუ ტკბილად არ ელაპარაკებოდა, არასოდეს არც გაჯავრებია. დატუქსვა კი იცოდა, მაგრამ შვილი გრძნობდა, რომ დედა მართალი იყო და სიტყვას არ უბრუნებდა. ერთხელ, როცა ათი-თორმეტი წლის გიორგი პატარა ბიჭს გამოესარჩლა, რის გამო დამჩაგვრელმა ცხვირი გაუტეხა და სისხლი გამოადინა, ოთარაანთ ქვრივმა შვილი როდი დატუქსა, პირიქით, მოხარული დარჩა, რომ კუპრაანთ თედოს მიერ ნაცემი გიორგი მანასაანთ პატარა გოლას დამცველად გამოვიდა. მის მოქმედებაში მამის ღირსებანი დაინახა, ჰირში მყოფის მიმშველებელი, და მზრუნველი დედის გული სიამაყის გრძნობით აივსო. დედამ შვილი კვლავ გამოაწყო, მოალამაზა და ისევ იმ ტოლებთან სათამაშოდ გაუშვა.

დედის ხასიათის მჭონე გიორგი, ყველას და ყველაფერს ესარჩლებოდა, მართალს თავგამოდებით იცავდა, მტყუანს ასევე ენერგიულად თავს ესხმოდა. სოფელი ხშირად ამბობდა: „სხვის საქმეში რად ერევაო?“ მაგრამ გიორგი ამ ლაპარაკს აინუნშიაც არ აგდებდა: ამიტომ უკვირდათ: „გიჟია, თუ რაო?“ მაგრამ ავტორმა მოთხრობის მეექვსე თავში — „გიჟია, თუ რა?“ ოსტატურად გვიჩვენა გიორგის მართალი ხასიათი, მისი პირდაპირობა, შეუპოვრობა, კაცურ-კაცობა. სულ ორი შემთხვევა მოიტანა ილიამ თავისი გმირის ხასიათის გასახსნელად და მკითხველს სრული წარმოდგენა მისცა გიორგის დიდ პიროვნულ ღირსებებზე. შიშველი აღწერის გზას რომ გაჰყოლოდა, მაშინ სურათი ისე შთამბეჭდავი არ იქნებოდა. მაგრამ მოქმედებასა და მოძრაობაში ხასიათის ჩვენებამ გიორგის სახე არაჩვეულებრივი რელიეფურობით წარმოგვიდგინა.

ერთი შემთხვევა ასეთი იყო: ჰიგოს საჭრელად ტყეში წასული გიორგი ომარაანთ მოჯამაგირეს თავს წაადგა. შეშისათვის წამოყვანილი ურმიდან მას კამეჩები გამოეშვა, წნელით მიება, თვითონ კი ლაზათიანად ხვრინავდა. გიორგიმ გააღვიძა მოჯამაგირე, უსაყვედურა — კამეჩები ტყეში რატომ არ გარეკე, ბალახს მოსძოვდნენ, მშიერები არიან, რატომ არ გეცოდებაო. მოჯამაგირემ თავი გამოიდო, რა შენი საქმეა, „შენ რა გეპრიანებაო?“ ლაპარაკი მოუვიდათ, გაფიცხდნენ, გიორგიმ მაგრად სცემა ომარაანთ ბიჭს, ამ უკანასკნელმა კი ბატონს შესჩივლა, ტყუილი უთხრა: ოთარაანთ ქვრივის გიორგიმ იმიტომ მცემა, რომ „მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო! ...ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო: ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო, მომდგა ამაზედ და ჰიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და

ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოართმევს ადამიანსაო“.* განაწყენებულმა მ ე ბ ა ტ ო ნ ე ო მ ა რ ა შ ვ ი ლ მ ა, რომელიც ქოფელში გავლენიანი კაცი იყო, გიორგის სასამართლოში უჩივლა. კვირა დღეს სასამართლო გაიმართა. გიორგიმ დაადასტურა ბრალდება, რომ ომარაშვილის მოჯამაგირეს ნამდვილად სცემა. თან მიზეზიც ისე მოახსენა, როგორც იყო. როცა ჰკითხეს, რა დავა გქონდაო, გიორგიმ მიუგო: „ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარ ჰნდობით. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი. თვითონ ხომ ეძინა და ეძინა. კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა“. სთქვა ეს და ნათელი შეიქნა, რომ მტყუანი ომარაშვილების მოჯამაგირე იყო და არა გიორგი ოთარაშვილი. მოსამართლეები ცუდ დღეში ჩავარდნენ. მათ იცოდნენ, რომ გიორგი ტყუილს არ იტყოდა, უნდა გაემართლებინათ, მაგრამ „ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო“. თუ მართალ გიორგის გაამტყუნებდნენ, საქვეყნო არ იყო, ოთარაანთ ქვრივი გუბერნატორამდე მივიდოდა და შვილის სიმართლეს აღადგენდა. მაგრამ გამოსავალი უმალ გამოჩნდა: ომარაშვილმა, რაც სიმართლე შეიტყო, გიორგის მხარე დაიჭირა და თავისი მოჯამაგირე, რომელსაც ექომაგებოდა, გაამტყუნა.

არანაკლები იყო მეორე შემთხვევა: „ბეჟანიშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი მოჰქონებოდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო: კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედ, საცალოები წაუწევ-წამოუწევია. გაუმართავს რიგზე ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია თავში და უთქვამს: — შე ადრე და მალე დასაბრმავებელო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ! რა პირით მიდიოდი პატრონთანაო“.** და ასეთ კაცზე განა შეიძლება ითქვას, რომ გ ი ჟ ი ა? არა. გიორგი მართალი, სპეტაკი, პირდაპირი, კაცური-კაცია და სოფელს ტყუილად ეგონა, დედ-მამის კვალზე მიმავალ ოთარაშვილს იმიტომ ჰქონდა ასეთი ხასიათი, რომ მშობლებიც „გ ა დ ა რ ე უ ლ ი დ ა დ ა მ თ ხ ვ ე უ ლ ი ჰ ყ ა ვ დ ა ო“. ჩვენ სულ სხვა უნდა ვთქვათ: ოთარაშვილები გამრჯე, შრომისმოყვარე, კეთილშობილი გლეხკაცები არიან და ნამუსის ქუდი ჰხურავთ, რომლის წართმევა მათთვის არავის არ შეუძლია. ამ ნამუსმა ათქმევინა ოთარაანთ ქვრივს, როცა სასამართლოს მიერ გიორგის გამართლება შეიტყო: „დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!“. ცხოვრებაგამოვლილ ქალს, რომელიც არაერთხელ შეხვედრია ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს უ ს ა მ ა რ თ ლ ო ბ ა ს, ცხადია, გააკვირვებდა მართალი კაცის გამართლება. ალბათ, ეს იმდენად გამონაკლისი იყო, რომ სასამართლოს „ვირთაგვებმა“, ომარაშვილის სადილის მოლოდინში, ოთარაანთ ქვრივის ქებაც დაიმსახურეს.

დრო მიდიოდა, ვაჟიშვილის კაცურ-კაცობით ქვრივი ბედნიერად სთვლიდა თავის თავს, მაგრამ ოცდაერთი წლის ვაჟკაცი სულ არ ფიქრობდა ცოლის შერთვას და ეს იყო ერთი დიდი „ჯ ა ვ რ ი დ ე დ ი ს ა“. მოთხრობის მეშვიდე თავში არაჩვეულებრივი ადამიანური უშუალობით არის ნაჩვენები ოთარაანთ ქვრივის გულისწუხილი, მით უფრო, რომ მას ჰგონია — „ცოლ-ქმრობის საქ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 435.

** ი ქ ვ ე, გვ. 436.

მე ცაში ჰრიგდებაო“, ეს უმოწყალო ცა კი ასე აგვიანებს გიორგის ბედს, მაშინ, როცა დედას შვილიშვილი ასე ენატრება: „ოი, ერთი მაგისი შვილი კი გამიგორა კალთაში და თუნდა მაშინვე გულ-ხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონო“. ქვრივის ამ დარდსა და ნატვრას ერთი უცნაური ნაღველიც დაემატა, რამაც კიდევ უფრო შეაშფოთა მისი გული. დედამ იგრძნო, რომ ბოლო ხანებში „შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა... თითქო რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებაო... მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და, თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავ-ქვეშ ორსავ ხელებს ამოიდებდა და გარინდებული იდო ხოლმე მთელის საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო“.* მიზეზი დედას ვერ გაეგო, ვერ აეხსნა, თუმცა მისი გონება სხვა შემთხვევაში გამჭრიახი და უმალ მიმხვედრი იყო.

რამდენჯერ არ სცადა საბრალო დედამ იმ ორი წლის განმავლობაში, რაც გიორგის ეს ახირება დასჩემდა, შვილის გამოწვევა გულახდილი საუბრისათვის, მაგრამ არ იქნა და არა, ყოველთვის სხვა პასუხი მიიღო. ქვრივის ვედრება — „გიორგი!.. შვილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? დედა ვარ შენი, დედა... ნაღველი გაჭვს რაღაცა და არ მეუბნები“ — უპასუხოდ რჩებოდა. შვილი მართლაც არ ეუბნებოდა, მიკიბულ-მოკიბულ პასუხს აძლევდა, თუმცა იტანჯებოდა, მუშაობის დროს ხშირად დაებჯინებოდა ბარის ტარს და ელდანაცემივით დასცქეროდა დედამიწას. როცა ამგვარ სურათს დედა წააწყდებოდა, შვილი თავს იმართლებდა: „დავიღალე და ხელ-ფეხს ქარი ამოვაღებინეო“, მაგრამ, თუ ნამდვილად ასე იყო, მაშინ რად იდგა გიორგი ასე „სმენა-დახშული და გონება-გაქცეული?“ ვთქვათ, მუშაობის დროს ასე ემართებოდა, მაგრამ საღილ-ვახშამზე რატომ შეორდებოდა ხოლმე იგივე უცნაურობა? ლუკმას ჩაიდებდა თუ არა პირში, გაინაბებოდა, თითქო რაღაცამ წაიღო, კლდის პირას დააყენა და ხელის კვრას უპირებსო. ჯადო ხომ არ არის? — ჰკითხა დედამ და ამ სიტყვებზე შვილი აიტკიცა —: „ჯადო რა მოსატანი იყო? — ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, — ვაი, თუ...“ დედა მიუხვდა, ჩასწვდა საიდუმლოს? გაიფიქრა ეს და „სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს“. მაგრამ ამაოდ შიშობდა გიორგი, დედის გუმანი ჯერ კიდევ შორს იყო ნამდვილი საიდუმლოსაგან, თუმცა მის გალავანთან იდგა. შვილს ვერ გაერკვია, დედამ იცოდა, თუ ალალბედობით მოუვიდა, რომ გადაკრული სიტყვით, რუსთაველის აფორიზმის გამოყენებით („საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“) ასე მიახლოება აღნიშნა საიდუმლოსთან.

„იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია, — გვეუბნება ავტორი. — იმ დღის ნალაპარაკევმა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჰკუა და გონება“. ისეთი მზრუნველი, თან გონიერი დედისაგან, როგორიც ქვრივი იყო, სხვანაირად არც შეიძლებოდა. დედა მიუხვდა მხოლოდ იმას, რომ შვილს „დროც ურჩის და ხანიც უწერს“, მაგრამ ასე რატომ მალავს, რატომ არ ამხელს, თუ ვინ არის, რომელმაც გიორგის გული

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 437.

ასე უცნაურად მიიზიდა? თავს იმით იომედებდა, რომ „არ უჭირს და იმიტომ“ მომალავს, მაგრამ, „როცა გაუჭირდება, მეტყვისო“. მაგრამ გიორგის, ჭკვიანსა და პრაქტიკული ცხოვრების კარგად მცოდნე კაცს, რაც არ უნდა გაჭირვებოდა, არ შეეძლო ეთქვა, რომ ყმობიდან გუშინ გათავისუფლებულ გლეხს, თუნდაც სოფელში განთქმულს, თავადიშვილის ქალი უყვარდა. ხომ სასაცილოდ აიღებდნენ, გიჟად გამოაცხადებდნენ, — ეს კარგად იცოდა გიორგიმ და ამიტომ დედასაც არ უმხელდა საიდუმლოს. გულს ებრძოდა, ორი წლის მანძილზე მარტოდ-მარტო უმკლავდებოდა მოზღვავებულ გრძნობას. ამით იყო გამოწვეული მისი უცნაურობანი, რაც ლოთარაანთ ქვრივს საგონებელში აგდებდა.

და განა შეგვიძლია ჩვენ რაიმე ვუსაყვედუროთ გიორგის, რომ მან საბურველი არ ახადა თავის საიდუმლოებას? დედასაც კი რომ არ გაუმჟღავნა? არც ვინმე შეირჩია დამხმარედ და მარტო ებრძოდა ისეთ უძლიერეს გრძნობას, როგორიც მიუწვდომელი სიყვარულია?

არა, არ შეგვიძლია ამ მხრივ რაიმე ვუსაყვედუროთ გიორგის. ის ვაჟკაცია, ესმის ცხოვრების პრაქტიკული ფილოსოფია, იცის, რომ გლეხსა და თავადის ქალს შორის სიყვარულის ხიდი არ გაიდება. როგორმე გულში უნდა ჩაიკლას ეს გრძნობა, ამიტომ იყო, მთელი ორი წლის განმავლობაში იგი ცდილობდა დაეთრგუნა სიყვარული, მაგრამ უფრო უძლიერდებოდა, თავს ვერ აღწევდა, იტანჯებოდა.

პატარა გული ზღვასავით დიდია. ოთარაანთ ქვრივმაც კარგად იცის, რომ „ადამიანის გული თვალთ უწვდენი ორმოა“. საბრალო ქალმა იმ ღამეს, ძილი რომ გაუტყუდა, ეს უფრო მეტად შეიგრძნო. როგორც შვილი მარტო იყო დარჩენილი თავის სიყვარულთან, ისე ოთარაანთ ქვრივიც მარტო დარჩა შვილზე ფიქრებთან, სულ მარტო, ორგვლივ არავინ ეგულებოდა, გარდა იმ თაგვისა, რომელიც პურის კიდობანთან ფუსფუსებდა. და ჩვენ გვგონია, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ დიდი ფსიქოლოგიური განცდებით აღწერილი ის ღამე, როცა დედას თვალი არ მოუხუჭავს შვილზე ფიქრით, მარტოა თავის თავთან, ხოლო თაგვი დაუსრულებლად „ცოდვილობს კიდობანთან“, არამარტო კოლორიტული სურათია, არამედ, მშვენიერი ალეგორიული სცენაც: პურით სავსე კიდობანი თითქოს გიორგის საიდუმლოებაა, ხოლო თაგვი — დედის ეჭვი, რომელიც ისევე ცოდვილობს შვილის გულში შეიჭრას, როგორც თაგვი პურით სავსე იმ კიდობანში. მთელი ღამე ორივემ იცოდვილა, ვიდრე თვით „ღამემ დღეს კარი დაურაკუნა“, ხოლო, როცა „ერთი კალთა ცისა აიხადა“, დედა უნდა გამთხოვებოდა ფიქრს, რომელიც ასე მწარე იყო, რაკი „ფიქრი ლანდად გადაექცა“. ვისაც ცხოვრების სიმწარე უგემია, ის კარგად მიხვდება, თუ რა საშინელია ადამიანისათვის, როცა მწარე ფიქრი უფრო საგრძნობი ხდება, რაკი მეორე გასაგნებაც შეუძენია — ლანდად ქცეულა. ამის შემდეგ გასაკვირი აღარ უნდა იყოს, თუ ავტორი გვეტყვის, რომ საბრალო დედას „ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი — სიზმრად. სჩანს ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა: — ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენო!“ მაგრამ ცხოვრება ისე ინასკვებოდა, რომ ხსნის მაგიერ შავი ღრუბლები უფრო საშინელი ძალით გროვდებოდნენ.

მთელი ღამე ასე გატანჯულ ქვრივს, გამრჯესა და ხანში შესულს, „მზემ

ადგომა მაინც ვერ დაასწრო". ადგა და შავი ფიქრებიც აიყოლია. ახლა ის წარმოიდგინა, რომ „ბნელმა თავის ნაბადში გაახვია" მისი „გიორგის ამბავი". თუ ეს სიყვარული იყო, დედა გზას ულოცავდა, ბედნიერებას უსურვებდა, მაგრამ თუ სისხლი, ცოდვა ტრიალებდა, მაშინ სიკვდილი ჯობდა ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლეს. უკანასკნელ ეჭვს ისიც აძლიერებდა, რომ სამი დღის წინათ მამის თოფ-იარაღით სანადიროდ წასული გიორგი, ისიც ყვირილობის დროს, შინ ხელცარიელი დაბრუნდა, მაშინ, როცა „თავის დღეში ხელცარიელი" არ უნახავს ნადირობიდან დაბრუნებული. მამაზე ნაკლები მონადირე, თუ მეტი არა, გიორგი არ იყო, მაშ რა დაემართა? ფიქრი ფიქრს აეკიდა, თანდათან დამძიმდა, ხოლო „ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთიც წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს".* ამ მდგომარეობაში ჩავარდა ოთარაანთ ქვრივიც, ჩავარდა და გამოსავალიც ვერ იპოვა. გიორგი ისევ ფიქრებში ეგულებოდა, მაგრამ მასზე ადრე წამომდგარი ნაბა, ისევ იქ, „კაკალის ქვეშ ჩრდილში მწოლარე", ისევ ფიქრში წასული, ისევ თავქვეშ ხელებ-ამოდებული, ისევ პირალმა შტოებს რომ შესცქეროდა.

ახლა კი მტკიცედ გადაწყვიტა დედის გულმა ის მაინც გაეგო, რამე ცოდვა ხომ არ ჩაედინა თავის შვილს. ამიტომ ჯერ გადაკვრით უთხრა: „ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. — უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა რას იტყვისო. დამნაშავე სამაკვდინო განაჩენს ისე გულის ფანცქალით არ მოელოდინება, როგორც ამ ჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა".** ქვრივს უმალ „გულზედ მოეშვა", როცა გიორგიმ დაუდასტურა, რომ ცოდვისაგან თავისუფალია. მაშინ დარჩა მხოლოდ ერთი — სიყვარული, და ახლა მისი გაგებისათვის დაიძაბა დედის მთელი არსება.

ამაყმა, შეუპოვარმა, გულგაუტეხელმა ქალმა პირველად თავის სიცოცხლეში გაუღებელი მსხვერპლი გაიღო — შვილს თავი შეაბრალა. გიორგიმ „შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა — ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გაღონძას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში კი ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა".*** მხოლოდ ცრემლს, დედის ცრემლს შეეძლო გიორგი გაეტეხა და აკი უმალ გატყდა კიდეც: გიორგიმ უთხრა დედას — „გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მჭონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია ვეჭიდები... მოჯამაგირედ მინდა დავდგე, გული შინ აღარ მიდგებაო". ამის გაგონება ალბათ ჭექა-ქუხილის მსგავსი იყო ოთარაანთ ქვრივისათვის, რაკი გიორგის ასეთი სიტყვებით მიმართა: „ეგ რა სთქვი, შვილო? მამის შენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამა-შენი

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 440.
** იქვე, გვ. 441.
*** იქვე, გვ. 442.

სირცხვილისაგან?“ შვილმა ეს იცოდა, ამიტომ არ უმხელდა დედას თავის განზრახვას. მაგრამ განა საიდუმლო ბოლომდე გაუმჟღავნა? არა, მას ხომ არაფერი უთქვამს, თუ რატომ გადასწყვიტა მოჯამაგირეობა, როცა ეს მისთვის სრულებით არ იყო საჭირო, სოფელიც ვერ ახსნიდა, რატომ უნდა მიეტოვებინა საკუთარი, არც ისე მცირე მეურნეობა, და სხვასთან ემუშავნა. როცა დედამ ჰკითხა — „მერე ვისთან აპირობ დგომასო“, გიორგის აღარ დაუყოვნებია — თავად არჩილთანო, რომელიც იმავე სოფელში ცხოვრობდა თავის გასათხოვარ, ლამაზ დასთან ერთად.

გაიგონა თუ არა ეს, „ოთარაანთ ქვრივმა... თითზედ იკბინა, თითქო რაღაც ენიშნაო, რაღასაც მიაგნოვო“. დიახ, ახლა კი მიაგნო, ნამდვილად მიაგნო, მაგრამ დედისათვის საშინელი იყო ამ დიდი ხნის ნანატრი საიდუმლოების მიგნება. მაგრამ შვილმაც მიაგნო დროებით გამოსავალს: მოიფიქრა, არჩილთან თუ მოჯამაგირედ დავდგები, მისი დის გვერდითაც ვიქნები, ესეც დიდი ბედნიერება იყო უსაზღვროდ და უიმედოდ შეყვარებული ყმაწვილი კაცისათვის. მაგრამ სხვასთან მოჯამაგირედ დადგომას დედას ვერ გაუმჟღავნებდა, მის თვალებზე ცრემლები რომ არ ენახა. დედის ცრემლს რა არ შეუძლია — თუნდაც „გაპატებს ქვასაცა მაგარსა..“ ამიტომ მისცა ავტორმა ამგვარი სათაური თავისი მოთხრობის მერვე თავს, სადაც საიდუმლოს ეს ნაწილია გამჟღავნებული.

მაგრამ ვინ არის თავადი არჩილი, რომელთანაც გიორგი მოჯამაგირედ უნდა დადგეს?

არჩილი ახლადდაბრუნებულია რუსეთიდან, სადაც უმაღლესი განათლება შეუძენია. დედ-მამა ცოცხლები აღარ დახვდნენ, ერთადერთი დის — კესოს ამარა დარჩენილა და მასთან ერთად ცხოვრობს მშობლების დანატოვარ მამულში. ისინი არა ჰგვანან ჩვეულებრივ უკულტურო მებატონეებს. სოფელიც მადლიერი ჰყავთ, როგორც ავტორი გვეუბნება, და „კაი ხალხის“ სახელითაც სარგებლობენ. „ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვროზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ“. ისინი პატივისცემით ეკიდებოდნენ ქვრივს, ეს უკანასკნელიც ვალში არ რჩებოდა — სხვის მიერ მათ ქებას თვითონაც დაუმატებდა — „ჰკუა აქვთ და იმიტომაო“. და-ძმას გიორგიზედაც კარგი შეხედულება ჰქონდათ, თუმცა „არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი, ვერ გამოეცნოთ, — გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი“. მათთვის ეს მართლაც აუხსნელი იყო, და არჩილი, როცა დაძმას გიორგის შესახებ საუბარი ჰქონდა, ჰამლეტის ცნობილ სიტყვებს მოიშველიებდა სამყაროს უსასრულობასა და შეუცნობლობაზე: „ბევრი რამ ხდება ჰორაციო ქვეყნად და ზეცად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოსჩვენებიათო“. უსასრულო ქვეყანას მართლაც ბევრი საიდუმლოება აქვს, მაგრამ მათ რიცხვს არ უნდა მიეკუთვნოს კარგი დედ-მამის ღირსეული შვილის არც ზნე, არც ხასიათი. მაგრამ თუ არჩილსა და კესოს გიორგის პიროვნება რაღაც გამოუცნობ სფინქსად მიაჩნდათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აღზრდილნი იყვნენ იმ არისტოკრატიულ მორალზე, რომელიც ბრწყინვალე გვარის-

შვილს ღვთით კურთხეულად წარმოიდგენდა, ხოლო გლეხში ერთადერთს — დაბალ ადამიანურს, პირუტყვულს ხედავდა. და მათ უკვირდათ, თუ საიდან ჰქონდა გლეხკაცის შვილს — გიორგი თარაშვილს ასეთი მაღალი ზნე, ასეთი ადამიანური ბასიათი.

არჩილსა და კესოს ისიც გაუკვირდათ, როცა მათთან გიორგი მივიდა — მოჯამაგირედ დაგიდგებითო. „რას ამბობ, კაცო! — ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილმა. — შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა, — ვის გაუგონია, ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობო". გიორგიმ მიზეზი აუხსნა, თითქოს მართლა იმიტომ დგებოდა მოჯამაგირედ, რომ მართო ყოფნა აღარ შეეძლო, თუმცა აქ სიმართლის ნაწილი მაინც იყო. კესოზე უმეტოდ შეყვარებული კაცი შინ ვეღარ დგებოდა, მარტოობით ილეოდა. და-ძმა უკეთეს მოჯამაგირეს საღ იშოვიდნენ, გაეზარდათ კიდეც, მაგრამ კესომ შემთხვევით არ იკითხა — „მერე დედა-შენი?", განა ის თანახმა არისო? არჩილიც იმავე აზრისაა: დედა-შენის ღიდი თავაზი და ხათრი გვაქვს, ვერ ვაწყენინებთო. გიორგიმაც დაუდასტურა, რომ „დედა-ჩემსა სწყინს... მაგრამ ვეღარ გაუტეხიარო". არა, და-ძმა ასეთი კარგი მოჯამაგირის შოვნით გახარებული არიან, მაგრამ, თუ ოთარაანთ ქვრივის თანხმობაც არ მიიღეს, გიორგის თხოვნას ვერ დააკმაყოფილებენ. არჩილი ამბობს: „დედის უნებურად მე გიორგის" სახლში ვერ შემოვუშვებ. „თუმცა კი ძვირფასი კაცია ჩვენთვისო". და ისინი მართალნი იყვნენ. უცნაური ამბავი ხდებოდა, რომ ისეთი ოჯახისშვილი, როგორიც გიორგია, სხვა გლეხებთან შედარებით საკმაოდ წელგამართული, მოჯამაგირედ დგებოდა. ეს მართლაც „უცნაური ნასკვი" იყო, როგორც მოთხრობის მეცხრე თავი იწოდება, და ვერავინ გაამტყუნებს და-ძმას, რომ ბევრი ფიქრის შემდეგაც კი მათ „ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად". ვერც უპოვიდნენ, ვინაიდან ყოველმხრივ დაუჯერებელი ამბავი ხდებოდა.

ორი დღის შემდეგ თვით ოთარაანთ ქვრივი ეახლა და-ძმას. თავაზიან მიპატიჟებასა და მოკითხვაზე ჩვეულებრივი მწარე პასუხების შემდეგ, კესომ არ დამალა ქვრივისათვის ეთქვა — „მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარო", მაგრამ დააკვირდით ქვრივის პასუხს — რამდენი სიმართლეა მის სიტყვებში სიმკაცრესთან ერთად. „შენც რომ ჩემი დღენი გამოგეგლო, — ეუბნება ოთარაანთ ქვრივი კესოს, — ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია, ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე!..* ბევრია აქ გადაჭარბებული, ძალიან მკაცრი დასკვნებია გაკეთებული, მაგრამ ცხოვრების უთვალავი მწარე დღეებით აღზრდილ ადამიანს ვერ გავამტყუნებთ, რომ ასე მკვახედ ლაპარაკობს, ასე უკიდურესობამდე მიდის.

განა შეიძლებოდა ასეთი ქალის უნებურად და-ძმას გადაეწყვიტათ მისი შვილის საქმე? არა. მაგრამ ახლა, როცა თვით ქვრივმა დაადასტურა „ჩემი ნებაც არისო", ისინი მაინც გაოცებულნი არიან, რომ ოთარაშვილებს არ უჭირთ, მოჯამაგირეობას მაინც იწყებენ, არც ის აჩერებთ, დედა მარტო რომ

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 445.

დარჩება. კესოს უფრო გაუკვირდა ეს, მაგრამ პასუხი ისეთი მიიღო, ვერ გაარკვია — მხილება იყო, თუ კადნიერება? „მარტო რად დავრჩებიო? — სთქვა ქვრივმა, ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის, ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც... ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ“.* გაიგონეს თუ არა ეს მწარე, პირდაპირ მათი მისამართით ნათქვამი სიტყვები, და-ძმას გულში მოხედათ. — „მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, — უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა... ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლადა ჰხმარობს, — მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ხუმრობას!..“ ქვრივმა მოხდენილად გაკენწლა თავაზიანობის ყოფა, ყველაზე მტკივნეულ ადგილს მოახვედრა ისარი — უზრუნველობას, უსაქმობას, უმოქმედობას.

დიახ, მარტონი ისინი არიან, რომლებიც საქმეს გაქცევიან, არაფერს აკეთებენ, სხვისი შრომით ნებივრობენ და ცხოვრების დუღილს არც კი ამჩნევენ. მაგრამ რა იყო თვით ოთარაანთ ქვრივის მოქმედება — „წინდახედულ მხილება“, რომელიც მოფიქრებული ჰქონდა მათთვის ეთქვა, საბრძოლოდ გამოეწვია, თუ „წინდაუხედავი კადნიერება“, რაც უნებლიედ დაიბადა მხოლოდ იმის შედეგად, რომ მისი მთქმელი საერთოდ კადნიერი ადამიანი იყო, შეუპოვარი, ურჩი, ყველაფრის პირდაპირ მთქმელი? არჩილმა ვერ გაიგო, კესო უფრო მიუხვდა, მაგრამ სანახევროდ. მან ჩინებულად გააანალიზა თვით ფაქტი, როცა თქვა: „ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენიაო“. შესანიშნავი ანალიზია და ჩვენ არ შეგვიძლია კესოს ამ აზრს არ დავეთანხმოთ. „წინდახედული მხილება“ ყოველთვის გონებიდან მომდინარეობს და გრძნობა შეიძლება იმდენივე როლს ასრულებდეს ფაქტად მის გადაქცევაში, რამდენსაც ჩვეულებრივი მეტყველების დროს. მხილების აზრი და ფორმა გონებრივი კატეგორიების სამყაროდან მოდის, როგორც ყოფიერების ადექვატურად გაშობატება. რა შესაძლებლობაც გონებას გააჩნია, მხილებაც იმავე ძალით ავლენს თავის თავს. ოთარაანთ ქვრივის „წინდახედული მხილება“ სავსებით შესაფერია მისი გონებრივი არსებისა. მას ფიცხი, მკაცრი, დიალექტიკურად მოაზროვნე გონება აქვს და მხილებაც ამგვარ ხასიათში გამოეცვნდა. ეს უთუოდ იგრძნო კესომ, ამიტომ სცადა ძმა დაეჯერებინა, რომ იმ ორიდან — „წინდახედული მხილება“ თუ „წინდაუხედავი კადნიერება“ — პირველი იყო, ამიტომ საწყენი არ ჰქონია, რაკი „ჭკუამ იცის“, რაკი გონების ნაყოფია.

მაგრამ კესო შეცდა, როცა ოთარაანთ ქვრივის საქციელში მეორე ვერ დაინახა, — წინდაუხედავი კადნიერება, — ურცხვობის, შეუპოვრობის, პირდაპირობისა და უშიშროების ნაყოფი. განა სრულიად უეჭველი არ არის, რომ ხშირად მშვენივრად შედგენილი „წინდახედული მხილება“ ვერ წარმოითქმება ხოლმე, თუ-მის მთქმელს გაბედულება, პირდაპირობა, შეუპოვრობა არ ახასიათებს? განა ჩვენ ყველაფერს ვამბობთ „წინდახედული მხილებიდან“, რაც ასე კარგად გვესმის? ამ აზრის განვითარება დაუსრუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 446.

ლებლად შეიძლება, მაგრამ საშიშია, შეიძლება მრავალ წყალქვეშა მდინარესაც წაჰყვდეს. ოთარაანთ ქვრივს გაბედული, უშიშარი გული რომ არ ჰქონდეს, მაშინ იმ ოსტატურად შედგენილ „წინდახედულ მხილებას“ რეალურ ფაქტად ვერ აქცევდა, და-ძმას ვერ შეჰკადრებდა. მის სიტყვებში „წინდახედული მხილებაც“ იყო და „წინდაუხედავი კადნიერებაც“. მართალია, ილიამ თავისი მოთხრობის ამ თავს (მეათეს) ალტერნატივული სათაური მისცა — „მხილება თუ კადნიერება?“, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველი უფრო ღრმად ჩაჰკვირვებოდა ამ აღწერილ სურათს, თვითონვე დარწმუნებულიყო ორივეს რეალურობაში. და ჩვენ გვგონია, რომ არჩილი შეიძლება დაარწმუნა დის სიტყვამ — პირველიაო, თუმცა ავტორი ამ საკითხსაც ღიად ტოვებს, დაარწმუნა იმიტომ, რომ ეს უფრო აწყობდა ორივეს — ჭკვიანურად ნათქვამზე ჭკვიან ადამიანს გული რომ უნდა მოუვიდეს, ხოლო კადნიერება მართლაც საწყენი იქნებოდა. სუბიექტური ყოველთვის ბორკავს ჭეშმარიტების სულსა და აქ უფრო მოსალოდნელი იყო ასეთი ბოლო, რაკი არც არჩილსა და არც კესოს ქვრივთან მდგომარეობის გამწვავება არ სურდა. ისინი ყოველთვის კომპრომისული ჩანან ოთარაანთ ქვრივთან საუბარში, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველთვის ასე უკომპრომისოა.

მხოლოდ ერთხელ მოხდა დათმობა და ქვრივს ისიც გაუკვირდა: როცა არჩილმა „მხილების“ შემდეგ მას „ბრძენი“ უწოდა, ავტორი შენიშნავს: „სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაუჩუმდა. მერე თვითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო“. მხოლოდ იმ ჭეშმარიტებამ და სიმართლემ, რასაც თვით ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის პატივსა სცემდა. არჩილი იმდენად გულწრფელი იყო, როცა ქვრივს ბრძენი უწოდა, მისი სიტყვა არც პირფერობას წარმოადგენდა, არც იძულებით პატივისცემას, არც ანგარებით სავსე მოწონებას, სიმართლეს შეიცავდა, ხოლო ოთარაანთ ქვრივს განა სხვა დროს გაულაშქრებია მის წინააღმდეგ, რომ ხმა ახლა აემაღლებინა? ამ სიმართლემ და არჩილის გულწრფელობამ დაუბა იმ დროს ენა, თუმცა ჭკვიანი ქალი ვერ მიხვდა თავისივე არსებაში ღრმად ჩამარხულ მიზეზს თავისივე საქციელისა.

გადაწყდა გიორგის საქმე და ყმაწვილი კაცი ისე გამზიარულდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა, როგორც იქნა, ერთხელ მაინც იხილა თავისი შვილის შუბლგახსნილობა. მაგრამ თვით დედის ეს სიამოვნება, როგორც ავტორი გვეუბნება, „რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ — რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ — რომ ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა“*. მაგრამ დედამ ყველაფერი გააკეთა შვილის შეურცხვენლად გასტუმრებისათვის, მისთვის ჩვეული გულმოდგინებით „ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჰრული წინდა, ახლად ნასყიდი ყაითნებით

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 447. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჩ.

მორთული საცვეთები, ბაზარში განგება შეკერილი და ყაითნებითვე დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით“.* შვილს გაუკვირდა, გაეცინა კიდეც, რომ ასე დიდი ბარგი-ბარხანა მოუმზადეს, მაგრამ ოთარაანთ ქვრივს თავისი ანგარიში ჰქონდა — ოჯახის კარგი სახელი საქმითაც უნდა გამოჩენილიყო. სხვა გზა არ ჰქონდა, გიორგი დედას დაეთანხმა. აიკიდა ეს ვეებერთელა ბარგი და არჩილისაკენ გაემართა.

ეს გამგზავრება ილიამ ისე დიდი ოსტატობით, ღრმა ფსიქოლოგიური განცდებით აღწერა, რომ ჩვენ იძულებული ვართ, დაწვრილებით შევჩერდეთ მოთხრობის ამ ერთ გვერდზე, რომელიც მთელ რომანად ღირს. დედის განცდა აქ იმდენად ბუნებრივად, მისი შინაგანი არსების იმდენად ყოველმხრივი ცოდნით გამოირჩევა, რომ შეუძლებელია აღტაცებასა და განცვიფრებაში არ მოხვიდეთ, როცა გაეცნობით. მხატვრულ პროზაში ბევრი რიდი შეიძლება მოიძებნოს ანალოგიური სურათი. ფსიქოლოგიურ ჩაღრმავებას რაც შეეხება, გვაგონებს ზოგიერთ შემთხვევას ლიტერატურის ისტორიიდან. ყველაფერს ნუ გამოვეკიდებით. გავიხსენოთ „ანა კარენინა“, ტოლსტოის გენიის ეს მარგალიტი. მისი დიდი ლიტერატურული რეზონანსი მარტო იმით კი არ იყო შეპირობებული, რომ მსოფლიო მწერალმა ოჯახის, სიყვარულის, ქორწინების, საზოგადოებრივი მორალის საკითხები მიჰკვეთა ჩვეული მოურიდებლობით გამოიტანა მკითხველის სამსჯავროზე. არც მარტო იმით, რომ ტოლსტოის მხატვრული ტალანტი ამ რომანში უჩვეულოდ დიდ სიმაღლეზეა ასული. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, თუ რა სიმართლით იყო წარმოსახული ანა კარენინას, როგორც ქალის — მეუღლის, დედისა და შეყვარებულის სახე, მისი შინაგანი სულიერი სამყარო, მისი განცდები. ყველაზე თვითდაკვირვებული, თავისი თავის ღრმად მცოდნე მანდილოსნებიც კი გაოცებულნი იყვნენ, თუ როგორ შეიძლებოდა ქალის ბუნება ასე აბსოლუტური სისწორით სცოდნოდა მამაკაცს, ასე შეუცდომლად ჩაეხედა ანა კარენინას შინაგან არსებაში და მკითხველისათვის ასე ბუნებრივად დაეხატა თავისი გმირის ტრაგედია. ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე გამგზავრების იმ სცენაში, რომელიც ჩვენ ახლა გვინდა დავახასიათოთ. გაოცებასა და აღტაცებას ვეძლევით, თუ როგორ შეიძლო ილიამ ასე ღრმად ჩაეხედა დედის გულში, მისი სულის იეროგლიფები შეუცდომლად ამოეკითხა, როგორც შამპოლიონს ეგვიპტური პაპირუსები, და ჩვენთვისაც საცნაური გაეხადა. დააკვირდით ოთარაანთ ქვრივის სულის მოძრაობას გიორგის გამგზავრების სცენაში, მისი გონების შემართებას დედა-შვილობის ბასტიონებთან და თქვენ გაიგებთ, თუ რა არის დედის გული.

აი, გიორგიმ „მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია“ სხვისი ოჯახისაკენ. „ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა“.** დედა შეწუხდა, მას „გულმა ტეხა დაუწყო“. და გა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 447.

** იქვე, გვ. 448.

ნა მიზეზი არ ჰქონდა? „უკან აღარ მოიხედა!.. დაიკვნესა დედამ, — ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იქერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო". ბუნებრივი იყო ყოველივე ამის განცდა ისეთი დედისათვის, როგორიც ოთარაანთ ქვრივია. თითქოს დამბლა დაეცაო, ფეხთმდგომელა, შეწუხებულ დედას „თავი ძირს ჩამოუვარდა", „თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდა". მის გულში გრძნობათა მორევი დატრიალდა, ხოლო გონებაში — ფიქრთა ოკეანე. იგი თავის თავს, თუ ქვეყანას შეჰკვნესის: „ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა-დაჰრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.." სთქვა, თუ არა ეს, „ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმული სახელოთი ძოსო თვალებზედ". მაგრამ ვერ გაიგო — რატომ გააკეთა ეს, „უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო". და ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოერია, მაგრამ განა ჰქონდა კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!" — შენიშნავს ავტორი და ის მართალია: დიდი წუხილის დროს ადამიანს ცრემლი ხშირად უშრება ხოლმე და ეს უფრო მეტად აძლიერებს მის ტანჯვას. ქვრივის წუხილი ამ დროს მართლა დიდი იყო, მაგრამ დედის გულმა იმდენი გააკეთა, რამდენსაც სხვა ვერ შეიძლებდა. არაფერი დააკლო იმ ტანჯვას, რომელიც ერთადერთი ვაჟიშვილის ბედთან იყო დაკავშირებული.

ეს სურათი დიდხანს გაგრძელდა. ოთარაანთ ქვრივი ჩამოჯდა „დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა... ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო..."

მტანჯველი იყო ეს ფიქრი, ადამიანური ცხოვრების რთულ პრობლემებს ეშვიდებოდა, დედა-შვილობის უველაზე ინტიმურ ქვეყანაში ტრიალებდა. იმის გარკვევას ცდილობდა, თუ იქ „შენ-ჩემობა რად არის?.. დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? — რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭიდილია თურმე დედა-შვილობაც!.."* დიახ, ნამდვილად ჭიდილია და ჰეშმარიტ დედას ყოველთვის დააფიქრებს ის ფილოსოფიური აზრი, რომელიც ილიამ თავისი მოთხრობის მეთერმეტე თავში — „ორი თვალი" ასე ღრმად განავითარა. დედა-შვილობაში „შენ-ჩემობა" არ უნდა იყოს, მარტოოდენ „შენ"-ობა უნდა უძღოდეს წინ, ვინაიდან, რაც გიყვარს, მისთვის თუ „ჩემობა" გაჩნდა, მაშინ შენივე თავი გყვარებია, და არა შვილი. მაგრამ, თუ „ჩემობა" გაჰქრა, მაშინ როგორღა შეიძლებ სხვის სიყვარულს? ეს სხვა, მართალია, შენივე შვილია, შენივე სისხლი და ხორცია, შენივე ორეულია, სწორედ ამიტომ გიყვარს, მაგრამ, როცა შენს საკუთარ ინტერესსაც უმატებ, როცა შენივე სიამოვნებისათვის გინდა შენი იყოს, მაშინ სადღაა უანგარო სიყვარული? გამოდის, რომ შენი თავი გყვარებია და შვილიც იმიტომ, რომ შენი თავი

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 448—449.

გიყვარს. ასეთი სიყვარული დედა-შვილობაში ოთარაანთ ქვრივს ვერ დაეკმაყოფილებს. მას მხოლოდ თავისი გიორგი უყვარს, მისთვის არაფერს დაზოგავს, თუ ასეა, რატომ აწუხებს ის, რაც შვილს ახარებს? რატომ ტირის იმის გამო, რამაც შვილი გაამხიარულა, გააბედნიერა? რატომაა, რომ ორი თვალიდან, რითაც ქვეყანას ხედავს, ერთი თავისად მიუჩნევია, მეორე კი შვილისათვის, თუმცა ორივე შვილს მიუძღვნა? არა, დედას მხოლოდ ერთი თვალი უნდა ჰქონდეს, ისიც მხოლოდ შვილისათვის, და მეორე მას არ ესაჭიროება. აკი მან ხმამაღლა წარმოთქვა ეს აზრი, თითქო ფიქრთა მორევიდან გამოსასვლელად ხიდი გაიდოო, როგორც ავტორი გვეუბნება, და თავის გმირს ფეხზე წამოდგომით ათქმევინა: „არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-და ვიყო და ვიცოცხლებ...“* ეს არის ნამდვილი დედის გულისთქმა და კიდევ იტყვიან ოთარაანთ ქვრივს „ქვის გული“ აქვსო? ჩვენ ვინატრებდით ყოველ ქართველს ჰყოლოდა ასეთი „ქვის გულიანი“ დედა, ყოველ კაცს, ყოველ ცოცხალ არსებას. ფსიხოლოგიურმა ანალიტიკურმა გონებამ ქვრივის ჰიდილს დედა-შვილობის ფენომენებთან გამოსავალი აპოვნინა. ის მიხვდა, რომ აღარ უნდა იტიროს, რაკი შვილს უხარია, თუ უყვარს, მისი სიხარული დედასაც უნდა ახარებდეს. ამიტომ იბრმავებს თავისად მაყურებელ თვალს და მხოლოდ შვილისად მაყურებელი თვალით სურს იცოცხლოს. დედა-შვილობის უფრო ამაღელვებელი ფილოსოფია მგონი არც უნდა არსებობდეს.

მოთხრობის მომდევნო — მეთორმეტე თავში, რომელსაც ავტორმა „უცნაური წკიპურტი“ უწოდა, ჩვენ ვხედავთ გიორგის არჩილის მოკამათეებად, ვხედავთ და ეგრძნობთ, თუ რამდენად დაბლა დგას უმაღლესგანათლებული თავადი სრულიად უსწავლელ გლეხკაცთან შედარებით. კულტურის დაწაფებულ ახალგაზრდა თავადს გადაუწყვეტია თავისი მეურნეობაც კულტურულად მოაწყოს. ამიტომ ახალი ვენახი ჰადრაკის ფიცარივით „უჯრა-უჯრად“ დაუყვია, ვაზი „მწკრივად და ლარზედ“ გაუშენებია, „ორი ჭრა კიდეც“ გაუკეთებია. გიორგისაც მოუწონა იდეა, „რითაც არჩილმა შვებით ამოისუნთქა: „ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში. რომ მომიწონა ნაკეთები“. მაგრამ გიორგიმ სწორედ ნაკეთები დაუწუნა. არჩილს ელდა ეცა, იგი „შეჭფიცხდა და აიტკიცა“ კიდეც გიორგიმ ასე ჭკვიანურად, საქმის ცოდნით დაასაბუთა თავისი აზრი: „აქ ჩვენში... ნამი არ იცის, როგორც კახეთში (სადაც მან თავისი თვალით ნახა სამი-ოთხი წლის წინათ ერთი თავადიშვილის მიერ ასევე გაკეთებული ვენახი — გ. ჯ.), და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხვირებს... ეგრე სისწრაფე ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა. წყალი აღმა ხომ ვერ იქნის?“** გიორგიმ ისე კარგად დაასაბუთა თავისი აზრი, რომ პირველად განაწყენებული არჩილი, ახლა იძულებული შეიქნა

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 449.

** იქვე.

ყველაფერში დათანხმება თავის მოჯამაგირეს, თან ეთქვა: „...შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, — ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია. თორემ, შენი მტერის!.. აქაურს გლეჯკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი".* ფაქტი ისეთი იყო, „უეცარი წკიპურტი" ისე ძლიერი, რომ არჩილს აღარ შეეძლო თავისი დისათვის იგი არ გაემხილა. დამ ტკბილი სიცილი დააყარა — „ეგ რა მოგსვლიაო!" არჩილს არ დაუყოვნებია თვითონვე გაეკრიტიკებინა თავისი თავიც და თავისი წრეც. ის მომივიდა, რაც „თავმოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვისო. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, — ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქოს ჭკუა თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს". წიგნებისადმი ძმის ასეთი აბუჩი დამოკიდებულება კესოს გაუკვირდა. „მე აბუჩად წიგნებს კი არა, — მიუგო არჩილმა, — ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ეარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკიდურესობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია".** უკეთესი ანალიზი იმისა, რაც მოხდა, არ შეიძლებოდა. ასეთი ოსტატი აღმოჩნდა უწიგნო გიორგი მწიგნობარ არჩილისათვის, ხოლო ჰკვიან და-ძმას ისღა დარჩენოდათ, რომ დაედასტურებინათ შემდეგი ჰეშმარიტება: ტყუილი თაკილი ტყეილმა ბრძნობამ და უვიცობის ცუდმედიდობამ იცის ხოლმე. ეს თვითკრიტიკა იყო, მაგრამ გოხიერ და-ძმა საკუთარ მხილებას როდი გაურბოდნენ.

გიორგიმ კი ისე ერთგულად დაიწყო მუშაობა, რომ ყველა გაკვირვებული შესცქეროდა მის საქციელს. იმ დღესაც, როცა ვენახიდან დაბრუნდნენ, ახალმა მოჯამაგირემ მეჯინიბე დატუქსა, გაოფლილი ცხენის მოუვლელობისათვის. ხოლო, როცა მეჯინიბემ გიორგის უთხრა — რა შენი საქმეაო და დედაც შეაგინა, მაშინ მოჯამაგირემ სასტიკად სცემა მას; არჩილმა საქმის შინაარსი სწორად გააკვეთა და დამნაშავე გააგდო. „ახალი ცოცხია და კარგად ჰგვის", — დაცინვით ამბობდნენ გიორგიზე ზოგიერთები. მაგრამ ასე არ ფიქრობდა არჩილის მეწისქვილე, ძველი, გულჩახვეული, ჩუმი და მართალი კაცი, რომელიც თავის გულში ამბობდა: „ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო!" ჩვენ შემდეგ გავიგებთ, თუ ვინ არის ეს მართალი კაცი, რომელიც ასე მაღალი აზრისაა, როგორც ქვრივის, ისე მისი ერთადერთი ვაჟის ღირსებებზე.

მაგრამ გიორგი იმიტომ კი არ მუშაობდა ასე კარგად, რომ ახალი ცოცხი იყო. მასში კესომ „ახირებული გული" დაინახა, ხოლო არჩილმა „ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას". კესო არ ეთანხმება ძმას, რომ ის პატარა საქმე, საჯინიბოში რომ მოხდა, ასე გადიდდეს. მაგრამ არჩილი მშვენიერ საბუთს მოიშველიებს — „რაც კარგია

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 450.

** იქვე. გვ. 450.

— თავისთავად დიდიაო“. ეს მართალია, კარგი თავისთავად განდიდებული ხდება ხოლმე, მით ღმერთს, რომ გიორგის კარგი საქმეები ერთეული არ არის, არჩილმა გაიხსენა ბურკიაშვილის კამეჩების გამო ამტყდარი ალიაქოთი, და ახლა, შედარებით გვიან, ნანობს, რატომ მეგონა გიორგის ალბათ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირდაო. ბოდიშის მოხდას მოჯამაგირის წინაშე არჩილი იმით აპირებს, რომ შეგირდად მიებარება გიორგის, „ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს“ და გაგვწვრთნასო. და-ძმა შეთანხმდნენ, რომ კესოს ახალი ბაღის გაშენებასაც გიორგის დაავალებენ, „გარმიანელ* მებაღეს“ დაითხოვენ, შემდეგ კი სხვა უფრო დიდ საქმესაც ჩააბარებენ. ამიტომ უთხრა მეორე დღეს არჩილმა გიორგის: „სამეშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვსო“. გაიგონა თუ არა ეს, „გიორგის გული გადაუტრიალდაო“, — გვეუბნება ავტორი, ხოლო უარესი დღე დაადგა, როცა კესომ ოთახში შეიხმო და მომავალი ბაღის ნახაზები უჩვენა. ავტორმა ეს სცენა არაჩვეულებრივი დამაჯერებლობით აღწერა. გიორგიმ ფეხიც კი ვერ წარსდგა წინ, როცა კესომ უთხრა — ახლოს მოდიო; ფანცქალმა, ფრთხოლამ, ბარბაცმა აიტანა და ჭალი იძულებული შეიქნა მისი საბელოსათვის ხელი წაევლო, რომ მოჯამაგირე ტახტზე გაშლილ ნახაზებთან ახლოს მიეყვანა. გიორგისათვის ეს მოკლე სიტყვა — „ახლო“ გრძელი აღმოჩნდა. ძლივს ასე ახლო დადგა საყვარელ არსებასთან, მაგრამ კესოს ახსნა-განმარტებების აღარაფერი ესმოდა. „მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბძანე, — უთხრა გულამოსკვნილის ხვეწნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. — რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე, შენის ღმერთის გულისათვის“. და კესომაც დაითხოვა, თუმცა ვერ გაიგო რა ამბავი ტრიალებდა მოჯამაგირის თავზე, გიორგიმაც არ იცოდა რა მოსდიოდა.

მაგრამ შემდეგ ყველაფერი კარგად წარიმართა. მარტის დასაწყისი იყო, როცა კესომ ნახაზები უჩვენა იმ დღეს გიორგის და იელისში ყვავილების ბაღი უკვე მორთულ-მოკაზმული გამოიყურებოდა. გამრჯე ხელმა და მადლიანმა ბუნებამ საარაკო სილამაზე დაბადეს. კესო ბედნიერად თვლიდა თავის თავს, დილიდანვე საღამომდე ბაღში იჯდა, ხოლო უფრო ბედნიერი გიორგი იყო, რომელიც კესოს ყოველდღე ხედავდა, მისი სიყვარულით ორიასამი კაცის საქმეს აკეთებდა, გასამრჯელოზე უარს ამბობდა: „რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისმარა დღეს მზეს ვუყურებო“. ეს მზე კესო იყო, რომელსაც შესტრფოდა, ეთაყვანებოდა, უმღეროდა კიდეც: „ეგ სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო“. და-ძმა კი გაკვირვებული იყვნენ, არ იქნა და გიორგის ვერ მოელაპარაკნენ ჯამაგირზე, თუმცა აგერ უკვე ნახევარი წელიწადი გავიდა, რაც მოჯამაგირემ მუშაობა დაიწყო.

დადგა შემოდგომა, მაძღარი და უხვი, რომელიც ასე ლამაზი. ასე მდიარულია ხოლმე სილამაზით განთქმულ საქართველოში. ილიამ მოხარობის მეთექვსმეტე თავში შემოდგომის ერთი მშვენიერი, ერთი ულამაზესი სურათი დახატა, როცორც საუკეთესო ფერმწერალმა — პეიზაჟისტმა. გვიჩვენა არა-

---

* გარმიანელი ნიშნავს: უცხოს, გარეშეს. შორეულს. არა ღვიძლს. გადმოიელს (ნ. ჭართული ენის განმარტებითი ლექსიკონი).

ჰარტო ბუნების საოცარი ფერები, დაძაბული შრომის ხმაური, დატვირთული ურმები, მსუქანი მტევნები, სურნელებაც გვაგრძნობინა დაოქრილი შემოდგომისა. საღამო ხანს, ოქტომბრის ბოლო რიცხვებსა, თუ ნოემბრის დასაწყისში, გიორგის მოჯამაგირეობის მეცხრე თვეს, მოხდა ტრაგიკული შემთხვევა, რამაც მთელი სოფელი აალაპარაკა. მოხუცი პეტრე არჩილის თივას დგამდა, უკვე „შუა-სარი სათივისა ორ ადლზე-ღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად“. იქვე იყვნენ არჩილი და კესო ძოძუშავე გლეხებთან ერთად. ის იყო გიორგი დაბრუნდა, ახედა თივის ზვინს და პეტრეს ასძახა: „გადახრილია თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორეო“. მაგრამ მოხუცმა პეტრემ სთხოვა მოჯამაგირეს — მე ძალიან დაღლილი ვარ, ვერ შევიძლებ, იქნებ შენ დამებმარო და გაჰასწორებინოო. გიორგი უმალ ავიდა თივის ზვინზე, მისთვის ჩვეული მონდომებითა და საქმის ცოდნით გაასწორა, დამსწრეთა ქებაც დაიმსახურა, მაგრამ ძირს ჩამოსვლის დროს წელი გაუწყდა, ჩამოვარდა, იქვე მდგომ „ურმის ჭალს ზედ დაეგო ზურგითა. ჭალმა ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია“... როცა არჩილი და კესო მისცვივდნენ უბედურს, საშინელი სურათი დაინახეს: გიორგი ცოცხალ-მკვდარი ეგდო „დედამიწაზედ პირქვე დამხობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა“. მუხლებზე დაეცემულმა არჩილმა და გლეხებმა გიორგის წყლული შეუხვიეს, სისხლის დენა შეუნელეს. „ცოცხალ-მკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში“. მოხუცი პეტრე ცრემლებს აფრქვევდა, რომ ამ საშინელი შემთხვევის საბაბი გახდა.

არჩილმა და კესომ დიდი მზრუნველობა გამოიჩინეს მომაკვდავისადმი. გიორგი დააწვინეს არჩილის ოთახში, არჩილისვე ლოგინში. მკურნალი ბოიხმეს მახლობელი ქალაქიდან, შინაური ექიმებიც მოიწვიეს, მათ შორის სახელგანთქმული დემეტრეც, მაგრამ ამ უკანასკნელმა, გულდასმით გასინჯვის შემდეგ, დაასკვნა, რომ გიორგი ამ ქვეყნის უკვე აღარ იყო. ყველა წუხდა, ყველა ტიროდა, ბნელ კუთხეში მობუზული ქვითინებდა მოხუცი მეწისქვილე სოსია, როველიც ჩვენ პირველად მოთხრობის მეცამეტე თავში გავიცანით. მას უფრო ეცოდებოდა მომაკვდავის დედა, ოთარაანთ ქვრივი — ჯერ რომ არაფერი იცოდა შვილის უბედურებისა. იმ დროს, როცა არჩილი წუხდა, თუ როგორ შეეტყობინებინა ქვრივისათვის მომხდარი ამბავი, „გიესავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსულიერებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

— როგორ არის, არჩილ, როგორ? — ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

— შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. ძლივს-ძლივ წაიდუდუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზე დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა. კესომ ნახა, რომ ეს ბრგე ყმაწვილი კაცი ძლივს-ღა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკუე უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჰკუმუვნა და სრესა დაუწყო თვალებსა ხელებ-ჩამოუღებლივ“.* უსაზღვრო იყო და-ძმის გოდება, მაგრამ იგი კიდევ უფრო ძლიერდებოდა იმის

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 460.

ფიქრით, თუ რა სურათი დატრიალდებოდა, როცა ოთარაანთ ქვრივი მომაკვდავ შვილთან მოვიდოდა.

ეს წუთიც დადგა. „მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხაჩქარებით, მაგრამ ისე გულ-დინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩაშოსკნოდა, წარბებ-შუა შუბლი ორ-სამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ის ეეება დედაკაცი კინაღამ თავზე არ წამომექცაო.

— რა გატირებს, ჩემო კარგო!.. — უთხრა გზა-და-გზა გიორგისაკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. — განა სატირლადაც გაჰხდა საქმე!..

ხმა არავინ გაჰკა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო.

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალ-მკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ვეღარავინ დაძრა, ასოც ვეღარავინ შეატოკა. მარტო ერთად-ერთის სანთლის ალი ჰთრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერნი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედა-შვილობის საცოდავობა-ღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმა-ამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისა-ღა თუ ჰხედავდა და ყური გულისა-ღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა“.*

მეტის თქმა საჭიროც არ იყო მოხდარი ტრაგედიის დასახასიათებლად. ავტორმა ამით უფრო მეტი სთქვა, ვიდრე დაწვრილებითი აღწერით გვეტყოდა. დიდი ტანჯვის დროს ნამდვილად შეუძლებელია სხვაგვარი შეგრძნება, მხოლოდ სულს შეუძლია მისი განცდაც და გააზრებაც. მაგრამ, როცა ოთარაანთ ქვრივმა გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილ შვილს, ფიზიკურმა შეხებამ იგრძნო, რომ ხორციელი სულს ეყრებოდა, ახლა იმასღა ნატრობდა — იქნებ ისე მაინც „არ მომიკვდეს, ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო“. დედა ჰხედავდა, შვილს ლაპარაკის ილაჯიც აღარ ჰქონდა, თუმცა თქმა კი უნდოდა. ოთარაანთ ქვრივს ორი მსხვილი ცრემლი წამოსდინდა, მაგრამ სახე მაინც არ უტიროდა, „გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწუხარე ტკივილი გულისა. ძალის-ძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლ-მოკიდებულმა გულმა და ძალის-ძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედ-გადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი“. ბოლოს გიორგიმ ლაპარაკი შეიძლო, მას სურდა „უკანასკნელ განდობა“, რომელიც კესოს შეეხებოდა. ძლივს, მაგრამ გასაგონად წარმოსთქვა, რომ „ანგელოზი კესო“ მისი ბედისწერა იყო, არც ნანობს, ნეტავი ერთი მის კალთას ამთხვევინა! როცა მომაკვდავის ეს სიტყვები გაიგონა, ელდანაცემი კესო ტირილით მივარდა გიორგის, შუბლზედ აკოცა და მისი ცრემლი მომაკვდავის გულს დაეცა. „ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანს შესძრა გიორგი და შეაყრყოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო“.

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 460.

ისიც მოახერხა, რომ დედისათვის ეთქვა თავისი დიდი საიდუმლო, რაზაც ამ-დენხანს უმალავდა „ჰხედავ, დედი!.. — ამბობს გიორგი, — ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განდელებული სიხარული... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, — მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცა-ში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცუ-ლობდი, მზესავით დამნათოდი... არც კი იცოდი, — ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მოშეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!“..* თქვა ეს „უკანასკნელი განდობა“ და გიორგიც გათავდა.

ჩვენ დაწვრილებით აღარ ავწერთ იმ სცენებს, რაც შემდეგ მოხდა. მაგრამ ერთ მათგანს მაინც ვერ ავუქცევთ გვერდს, ვინაიდან სოსია მეწისქვილეს შეეხება. ფინალში იგი ერთხელ კიდევ გამოჩნდება და მისი საცოდავი მდგომა-რეობა რომ უფრო კარგად გავიგოთ, ეს წინა სცენა ზედმეტი არ იქნება ვი-ცოდეთ.

როცა გიორგი გარდაიცვალა, არჩილმა ოთახიდან ყველა დაითხოვა, და-ძმაც გავიდნენ, მიცვალებულ შვილთან მხოლოდ ოთარაანთ ქვრივი დარჩა. იგი მოსთქვამდა და გოდებდა, თავში ხელს იშენდა. ოთახში თითქმის ბნელოდა, რაკი ერთადერთი სანთელი ენთო. ქვრივს ეგონა — მკვდარ შვილთან მარტო დავრჩიო, მაგრამ მოთქმა-ტირილზე ოთახში ვიღაც კაცის „ბღა-ვილსავით ხმა“ გაიგონა. ბნელ კუთხეში „მობუზული კაცი“ დაინახა. „შენ ვი-ღას მეტიჩარა ხარ?“ — შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

— შენს საცოდავობას ვეღარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომებჯინა და არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვყევ ეს ოხერ-ტიალი...

— მერე აქ რას უგდიხარ?

— მარტოდ შემეცოდე, ვთქვი — უცხო სახლია. ესეც ადამიანია. წყალს მაინც მივაწვდი-მეთქი.

— ვინ ხარ?

— სოსია.

— ვინ სოსია?

— თუ გაგონდება, კარგია, თუ არა-და, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

— რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..**

დიახ, ოთარაანთ ქვრივისათვის სიკვდილის მოლოდინი, რომ შემდეგ თავის შვილს სამარეში გვერდით მოუწვება, ლხენაა, დედის ერთადერთი იმედია. მაგრამ საიდან გაჩნდა აქ სოსია მეწისქვილე, რომელმაც აიძულა განაწამები ქალი უდიდესი ტანჯვის დროს გამორკვეულიყო და ეს აზრი ეთქვა? როცა ოთახიდან ყველანი გავიდნენ, სოსია ბნელ კუთხეში მიმალულიყო. დედა-შვილთან გვერდით სურდა დგომა ამ მძიმე წუთებში. მაგრამ სხვა რატომ

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 462.

** იქვე, გვ. 463.

არ მოიქცა ასე? ამას ჩვენ მოთხრობის ფინალში გავიგებთ, ახლა კი იმ ვიცოდეთ, რომ ოთარაანთ ქვრივმა სოსია დაითხოვა—მარტო მინდა ვიყო ჩემ შვილთანო. მოხუცი გაეიდა, თან ჩაილაპარაკა — კარებს უკან ვიდგომები, თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახეო. ოთარაანთ ქვრივი დაეთანხმა, თუმცა ახლა არავის დახმარება აღარ ესაჭიროებოდა.

როგორც საკუთარი ოჯახიშვილი, სახლის-კაცი, ისე დიდი ამბით დაკრძალა არჩილმა თავისი მოჯამაგირე. არავითარ ხარჯს არ მორიდებია. ეკლესიამდე და ეკლესიიდან სასაფლაომდე კუბო ისე ეჭირა, რომ არავის დაენება შეეცვალა. კესოც მძიმე შავებში იყო გამოწყობილი, ჭირისუფალივით გულ-ხელ დაკრეფილი და მგლოვიარე მიჰყვებოდა მიცვალებულს სასაფლაომდე. „როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამაო". რა იყო ეს? ძნელია გავიგოთ, სოფელი კი, როგორც ყოველთვის, სულ საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა: „დახე, სტირის!.. სიყვარული ძნელია... ერთმანეთი ჰყვარებიათ. საწყალი ცრემლსა ჰმალავს, თითქო სცხვენიაო... რა სირცხვილია... ის კი ადამიანი არ იყო?!. ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი — სხვა რა უნდა სიყვარულს?.. კაცი მოიდნეს" და ახლა კარგი დამარხვით, მასზე ტირილით „ქვეყანას... უბმენ თვალსაო". და-ძმამ ყველაფერი შეიტყვეს. რასაც მათ შესახებ სოფელში ლაპარაკობდნენ.

განსაკუთრებით გულნატკენი დარჩა კესო, უკვირდა, რატომ გვწამებენ, რომ ჩვენ გიორგი სოფლისათვის თვალის ასაბმელად დავკრძალეთ ასე დიდი ამბითო. ხოლო, როცა არჩილმა შენიშნა — ნუ გიკვირსო, კესომ უპასუხა: „რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხესო". არჩილი კი სულ სხვა აზრისაა სოფლის მითქმა-მოთქმაზე. მისთვის საკვირველი ის იქნებოდა, თუ ამას არ იტყოდნენ. „ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ვეღარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ სედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწვალაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან".* ეს არის მონანიე აზნაურის ტიპიური აღიარება და იმის ხაზგასმა, რომ სოციალურ სფეროში ოდესღაც მომხდარი კატასტროფის ტრაგიკული შედეგები დაუსრულებლად გრძელდება. ამ საშინელმა კატასტროფამ ადამიანთა შორის ხიდი ჩატეხა—ერთნი გაღმა ნაპირას დარჩნენ, მეორენი—გამოღმა. გაღმა ისინი არიან—მშრომელი გლეხები, საუკუნეების მანძილზე ბატონყმობის მონურ უღელს რომ ეწეოდნენ, გუშინ განთავისუფლდნენ, მაგრამ კვლავ მონობაში დარჩნენ. გამოღმა თავად-აზნაურობაა. საერთოდ შეძლებული ხალხია, რომელიც ბატონობდა და ბატონობს.

ამ ბატონობამ ჩატეხილი ხიდი კი არ გაამრთელა, პირიქით, უფრო დააშორა ორ მოპირდაპირე ნაპირზე დარჩენილი ადამიანები. ისე შორს არიან ისინი, რომ

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. 1. 1937 წ., გვ. 464.

ერთმანეთის უკვე ისე არა გაეგებათ-რა, როგორც ბაბილონის მითიური კოშკის მშენებლებს. ამიტომ თვალი აღარა სჭრის, ისინი ერთმანეთს ვეღარ ხედავენ, ადამიანის ღვთიური სახეც მათ ტყლაპად ეჩვენებათ, თეთრი — შავად და ეს გაღმაპირელებს რომ ემართებათ, გასაკვირი არ არის; საკვალო ისაა, რომ გამოღმაპირელებს, შორსმხედი იარაღით აღჭურვილნი, რომელთაც შეეძლოთ ყველაფერი გაერჩიათ, იგივე ემართებათ.

ასე ფიქრობს არჩილი და მისი აზრი კესომ ისე გაიგო, თითქოს მადლი — მადლად, კეთილი — კეთილად აღარ უნდა გავიდეს, ეს ხომ საშინელი გაუკითხაობაა?!

მაგრამ არჩილი არა მარტო ყურად არ იღებს კესოს შენიშვნას, კიდევ უფრო აღრმავებს თავის ანტითეზას: „ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწყამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლა-და ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორი-შორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე აქვია, ჩვენსას ცალკე. გული გულს ვეღარ მიგვიკარებია, ვეღარ მოგვიხვედრებია. და რად უნდა გეიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვეშინის-რა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ-შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, — მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, — მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოცარულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ*. და უკეთესი დახასიათება ორი სოციალური კლასის განსხვავებული ფსიქოიდეოლოგიისა მონანიე აზნაურს არც შეეძლო. ის მაინც კარგად მიმხვდარა, რომ გაღმაპირელები და გამოღმაპირელები ორი სხვადასხვა ქვეყანაა, თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე ღობე აქვია, მათ ჭირსაც და ლხინსაც, ამიტომ მეორე რატომ შეიწუხებს თავს პირველისათვის, მისი ხომ არაფერია, როცა გული გულს არ იცნობს და არსად ერთმანეთსაც არა ხვდებიან! ამიტომ გამოღმაპირელის მადლი ან კეთილი საქმე გაღმაპირელს არა სწყმს, არ სჯერა, თუ დაინახა — მხრებს აიჩეჩავს, გაკვირდება, იუცხოვებს — „რადა და რისთვისაო? მათ ურთიერთობაში მარტოოდენ ორი ტრანსმისია მოქმედებს — ბრტყელი ენა და ხარბი ხელი, მოქმედებს და ორივე უფრო აშორიშორებს ერთმანეთს, ვიდრე აახლოებს ან აერთებს.

მაგრამ ხომ არის გული. გრძნობიერი გული, ნუთუ ისიც მოკვდა, ისიც აღარა აქვს ადამიანს? — ჰკითხულობს ძის აზრთა დენით შეშფოთებული კესო. დიახ, არჩილისათვის „გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა... აღარ არის. ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგკვდომოდეს, თუ მთლად არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭული, ის ყურია დაბუშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სწვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთად-ერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 464—465.

წირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს, თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულოს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვაოდ-ერთის გული მარტო პარკია, სიხსნის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმაა, შორს... შორს.., მაშ რაღად გვიკვირს, რომ იქიდამ ვეღარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოაკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია"*. მაგრამ განა ახალია გულისა და მადლის ეს დახასიათება, ან იმის განმარტება, რომ მადლი ორმომენტს გულისხმობს ერთსა და იმავე დროს —ერთის გაწირვას და მეორეს მიერ შეწირვას? ან იმის თქმა, — წყალგაღმყოფი, რაკი შორს დარჩენილა, წყალგამოღმა რაც ხდება, ვერა ხედავს, ვერ გრძნობს, და ამის გამო მისთვის ბრალდების წაყენება არ შეიძლება? კესომ ეს ძველ მოთხრობად, მაგრამ ახალი ფორმით გამოთქმულ ფილოსოფიად მიიჩნია, რომელიც ამბობს: რაკი გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს. არჩილი არ ეთანხმება: „მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? ჭე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, — ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ეჭხრეკავ და, როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე, დაეტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავის გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტკიერო თოლსავით სპეტაკს პერანგ-ქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა..."**

ეს სიტყვები ნათლად მოწმობენ, რომ არა, არჩილი არ არის ფანატიკოსი, გლეხი მას ხალხოსნების მსგავსად გაიდეალებული არა ჰყავს, ანგელოზად არ წარმოუდგენია, პეიზანად არ მიაჩნია. ყოველთვის მართალი იმიტომ კი არ მიაჩნია, რომ გლეხია. მონანიე აზნაურის ერთი დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ იგი ანალიტიკოსია, წარსულის მსჯავრმდებელი, საკუთარი წოდების ისტორიულ ცოდვათა მამხილებელი, და აქედან, საკუთარი თავის გამკიცხველიც, მისი ანალიტიკური გონება სინჯავს, ჩხრეკს, გლოვობს და მისტირის იმ ნახევარს, რომელიც თავისიეე სხეულიდან ოდესღაც მოკვეთილად და დაკარგულად მიაჩნია. მაგრამ იგი კი არ ამართლებს, მხოლოდ იბრალებს და ნანობს თავისაგან მოკვეთილ მეორე ნახევარს. ამით მონანიე აზნაური არსებითად განსხვავდება ხალხოსნისაგან და სრულიად უეჭველია, რომ იმ გუშინდელ ბალღში, რომელიც გლეხს შეჰხარის, ანგელოზად წარმოიდგენს, არჩილი სწორედ ხალხოსანს გულისხმობს და მისი დოქტრინა ფანატიკურ გულუბრყვილობად მიიჩნია. ხალხოსანი არასოდეს არ იტყვის, რომ გლეხს არამარტო ტყაპუჭი აქვს უწმინდური, ზოგჯერ გულიცო. არჩილისათვის კი ეს აქსიომაა. მაგრამ, ამაეე

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 465.

** იქვე, გვ. 465.

დროს, თუ გლეხი ასეთია, თავადაზნაურობაც უკეთესი არ არის. მას, ტყაპუჭის ნაცვლად, მართალია, თოვლიევით სპეტაკი, წმინდა, უმტვერო პერანგი აცვია, მაგრამ ამით გლეხობაზე წინ მაინც არა დგას თავისი გულითა და სულით. ამიტომ, თუ გლეხი ენანება და ებრალება, თავისი თავი, მაშასადამე, გამოღმა პირელები საერთოდ, არჩილს სძაგს და ეზიზღება. ამაზე მეტად თვითმხილება, თვითდასჯა მონანიე აზნაურს არ შეუძლია, მაქსიმუმია, რომელსაც მისი გამოღვიძებული გონება იტყვის. ეს უკანასკნელი იმასაც ჰღალადებს, რომ დაკარგული მეორე ნახევრის შემდეგ გამოღმა პირელი ნახევარკაცია, ნახევარი გული აქვს, ხოლო ასე განახევრებული არსებით ცხოვრება სიკვდილს უდრის, პერმანენტული კვდომის პროცესია.

მაგრამ, როგორ უნდა გავიგოთ ეს დაკარგული „მეორე ნახევრობა“, რას ნიშნავს „ჩემგან მოკვეთილი ნახევარი“, ბიბლიურ მითს გულისხმობს ბიოლოგიური გაგებით, თუ წმინდა სოციალურ კატაკლიზმს? პირველს არავითარ შემთხვევაში, ხოლო მეორეს უეჭველად. არჩილს, რომელსაც რუსეთში უმაღლესი განათლება მიუღია, საკმაოდ შესწავლილი ექნებოდა არა ერთი სოციოლოგიური მოძღვრება, რომელიც საზოგადოებრივ უბედურებათა ახსნასთან ერთად, პროგნოზებსაც იძლეოდა, რეცეპტებსაც გამოსწერდა ხოლმე, სოციალურ სენთაგან განკურნების გარანტიაზეც უარს არ ამბობდა, თუ მის წამლებს გამოიყენებდნენ. მაგრამ არჩილმა ისიც უთუოდ მშვენივრად იცოდა, რომ რეალური შედეგები ამ სოციოლოგიურ დოქტრინებს კაცობრიობისათვის ჯერ არ მიეცათ, რომ წყლული-წყლულად რჩებოდა, ხოლო პროგნოზები — პროგნოზებად. ამ დოქტრინებში მიზეზის ახსნა მისთვის უფრო დამაჯერებელი იყო, ვიდრე ავადმყოფის მოსარჩენად გამოწერილი რეცეპტი. მას რუსოს თეორიაც იმდენად ეცოდინებოდა, რომ წარმოდგენა მიეღო იმ საბედისწერო დღეზე, როცა ერთმა ხარბმა ადამიანმა მიწის რომელიღაც ნაკვეთს ღობე შემოავლო და სთქვა — „ეს ჩემია“. შემოავლო და შემდეგ ღობეებით დაიწერა დედამიწა, ღობეებმა შეადგინეს ჩვენი ულამაზესი პლანეტის ყველაზე კოლორიტული ლანდშაფტი. მაგრამ ის კაცი, ვინც ეს საზარელი საქმე დაიწყო, გლეხების წინაპარი არ იყო. მისი მემკვიდრეები ისინი არიან, რომლებმაც უზარმაზარი მიწის მასივები ხელთ იგდეს, მიჯნები შემოავლეს, ხოლო თანამოძმენი უმიწოდ დატოვეს, მონად გაიხადეს. ადამიანთა ერთობაში, რომელიც მიწის საერთო საკუთრებით იყო შემტკიცებული, პირველად მაშინ ჩატყდა ხიდი, ხოლო შემდეგ ის ხიდი სულ მოიშალა. იმ პირველმა კაცმა პირველი დანაშაული ჩაიდინა დედამიწაზე და სათავე დაუდო დანაშაულთა ისეთ უსასრულო რიგს, რომელმაც მთელი კაცობრიობა წარმოუდგენლად გიგანტურ ობობას ქსელში გაახვია, ხოლო ეს ობობა ბოროტება იყო. დროთა ვითარებაში ქსელი იმდენად დაიხლართა, თავი და ბოლო ვერავინ მოუნახა, ყველა მისი მსხვერპლი შეიქნა, ისე გადიდდა, როგორც უმაღლესი მთიდან კოლოსალური სისწრაფით დაგორებული ზვავი. ალბათ ამას გულისხმობს არჩილი, როცა ჩატეხილ ხიდზე ლაპარაკობს, ღობეებს ახსენებს. გაღმაპირელებსა და გამოღმაპირელებს ახასიათებს, პირველებს, უდანაშაულოებს, მისტირის და ინანებს, ხოლო გამოღმაპირელებს, რომლებსაც თვითონვე ეკუთვნის, ამხელს, ბრალსა

სდებს, აძაგებს, როგორც იმ პირველი ბოროტმოქმედის შთამომაელებს.

ბოროტმოქმედება იმით ისჯება, რომ პირველი დამნაშავის მომდევნო თაობანი, რომლებმაც მიწა დაიტაცეს, კვდებიან სიცოცხლეშივე. განა შეიძლება ამაზე უფრო მეტი სასჯელი არსებობდეს ცოცხალთათვის? ეს უკვე ხრწნაა და არა სიცოცხლე, ხრწნა კი სიკვდილია, ვინაიდან თვით კვდომა ხრწნაა, ორი განუშორებელი თანამგზავრია, და მათ ორიეულს ჩირქი სდით. კესომ ეს გაიგო, ამიტომ შენიშნა თავის ძმას — შენ ალბათ ეს გინდოდა გეთქვაო.

არჩილს მართლაც ეს უნდოდა ეთქვა, მაგრამ ისევე, როგორც წინათ ამბობდა: გადაკვრით, ალეგორიულად, საგნებისა და ფაქტების ზოგჯერ პირდაპირი დასახელების გარეშეც. მაგრამ მისი სიტყვა მაინც მკვეთრია, მოურიდებელი, თვითგანსჯასა და თვითდასჯას ყოველთვის თან ახლავს ღრმა გულისტკივილი, რომლითაც სავსეა მონანიე აზნაურის მწვავე აზრთა დენა. არჩილი თავის დას ასე უპასუხებს: „შენ დამასწარ. მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი — ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადეურჩებით, როცა ერთმანეთს მოუხდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მქნელი, — ამათია თუ ჩვენი, — ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად“...* ვამოდის, რომ ის საშინელი უფსკრული, რომელიც დაკარგულ ორ ნახევარს შორის გათხრილა, ამოუვსებელია და ასეთად დარჩება. ისიც აშკარაა, რომ დაღუპულია საქმე, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ეს დანაშაული როგორმე გაებათილებინა. კესო აქაც სწორად მიუხვდა ძმის სიტყვებს და არ დაუყოვნებია შეენიშნა: „მაშ წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეაო“ მაგრამ არა, არჩილი ასე არ ფიქრობს. მართალია, საქმე წასულია, მაგრამ არა მთლიანად. აქ საერთო მსჯელობა არ შეიძლება. რაკი ორი ნახევარია, თვითეულზე ცალკე უნდა ითქვას. საქმე წასულია „ჩვენისთანისა — იქნება ჰო, მაგრამ იმითი კი არაო“, — ამბობს არჩილი. ეს უკვე წინასწარი შეგრძნებაა პლუტოკრატიის მომავალი დაღუპვისა, რაშიაც მონანიე აზნაურს ეშვი თითქმის არ ეპარება, ხოლო სრულიად უეჭველად მიაჩნია, რომ გაღმაპირელს ეს არ მოელის, პირიქით, ის სიცოცხლეშივე ცოცხლობს და ხრწნის ბუნებრივი შედეგი — ჩირქი არ მისცხებია. მაგრამ კესოს უკვე აღარ ესმის, თუ რამდენად მართალია ძმა, ვინაიდან ორივე მან ისე დააბასიათა, როგორც მკვდრები, მაშინ საიდან გაცოცხლდა ის მეორე ნახევარი, რომლის საქმე თურმე წასული არ ყოფილა? წინააღმდეგობა ხომ არ არის ძმის სიტყვებში, როცა ასე უპირისპირებს ორს, ერთნაირად მკვდარს? არა, არჩილიც არ უარყოფს, რომ „ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი — შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვარისტით შეკერილნი, იმ გვარისტით. რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 465—466.

კირულნი არიან, ჩვენ — დონდღონი, დუნენი. აბა იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლ-ჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გაეხუმრე:

— ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაი-ვაგლახში! — „აი, ბატონო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, — მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: — აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლ-ჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ სახანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები — რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენაა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძლიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს, და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობნიან...“* ა ქ ა რ ი ს პ რ ო ბ ლ ე მ ი ს მ თ ე ლ ი ძ ი რ ი.

თუ ანალიზს გავუკეთებთ ყოველივე იმას, რასაც არჩილი ამბობს, იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მას შემდეგ, რაც ის საბედისწერო ხიდი ჩატყდა, მთელი დაირღვა, ადამიანი განაბევრდა, ერთსაც და მეორესაც ნახევარ-ნახევარი გული დარჩა, ნახევარი გულით სიცოცხლე სიკვდილია, ამიტომ გამოღმაპირელები სიცოცხლეშივე კვდებიან, მაგრამ გაღმაპირელებმა სიცოცხლეშივე სიკვდილს თავი დააღწიეს საქმით, რაც მათთვის მაშინვე დაიბადა, როგორც კი მიწა დაჰკარგეს. საქმე — სიცოცხლეა, და ისინი საქმით ცოცხლობენ, საქმით არიან უკეთესნი, გვირისტით შეკერილნი, ისიც ისეთი დიდი ოსტატის მიერ, როგორიც ბუნებაა.

მთელი ეს პანეგირიზმი გლეხებისა, არჩილის სიტყვებით ასე კარგად გაფორმებული, კესოს არა სჯერა. მას უკვირს: რა არის კარგი პაატას მოქმედებაში, რომელიც არჩილმა ასე გაიდეალა? არაფერი. განა პაატასავით „ნადირი კი არ დაძრწის დილიდამ საღამომდე საქმლის საშოვნელად?“ განა იმისათვის, რომ ჰშიან და „ხელ-ფეხსა სძრავს, საქებ-სადიდებელია?“ განა მტკიცებაა საჭირო, რომ „ადამიანს ადამიანობა უნდა ემშნევოდეს?“ ეს უნდა იყოს „თავი და ბოლო ქება-დიდებისა“ და არა საქმლისათვის ნადირივით ძუნძული? ამიტომ კესოს მიაჩნია, რომ გლეხები ადამიანობით თავადებზე „უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვეწროში მიატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვილა სჩივის...“ მართალია ყოველივე ეს? როგორ პასუხს აძლევს არჩილი თავის დას? უარყოფს, თუ ეთანხმება ამ საშინელ ბრალდებას?

„მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია, — ამბობს არჩილი, — მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა თავზედ მოგდებული. ძირში კი წმინდაა. მაშ რა სწნავს იმისთანა კაცურ-კაცს, როგორც გიორგი იყო, ან

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 466.

იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თონეში-და ჰცხვება, ჩვენი თონე კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია — რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექძხისა...“* დიახ, ის, რაც კესომ სთქვა, მხოლოდ გამონაკლისია, თითო-ოროლაა, ჰუჰყია, მარტოოდენ ქაფია, ძირში კი ანკარა და სუფთაა. ნამდვილი სისხლი გლეხის ძარღვებში სჩქეფს, და ნამდვილი სიცოცხლის ძარღვიც მის არსებაში სცემს. ამიტომ იყო ასე კაცურ-კაცად დაწუნული გიორგი, ამიტომ არის ასეთი დედაკაცი ოთარაანთ ქვრივი. მათი მსგავსი კარგი პური მხოლოდ მათ თონეში ცხვება, ჩვენი კი მარტო ჩვენისთანა კუტ-პურს აცხობსო, — ამბობს არჩილი და ეს სიტყვები მონანიე აზნაურის ტიპიური აღიარებაა. მას ისიც უგრძვნია, რომ თვითონ უღონონი არიან, რთარაანთში კი „რამოდენა ღონეა“. სმენაც დაზუნული აქვთ და ხედვაც. ამიტომ ვერ ამჩნევენ მათ ღირსებას, თუმცა და-ძმა აღტაცებული დარჩნენ, როცა გრიგოლ ორბელიანის ლექსში შემდეგი ბრძნული სიტყვები ამოიკითხეს:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას,
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას“.

წაიკითხეს ეს მშვენიერი საგალობელი კაცურ-კაცობისა, ადამიანობის განმადიდებელი ჰიმნი, ჰუმანიზმის ქადაგება, ნიჭისა და პიროვნული ღირსების ქებათა-ქება, აღტაცებას მიეცნენ, მაგრამ მაინც ყრუ და განურჩეველი დარჩნენ მისი დიდებული აზრისადმი. კესო ამიტომ ვერ მიუხვდა გიორგის, ამიტომ ვერ იგრძნო მისი გულისცემა, ამიტომ ვერ გაიგონა სიყვარულის ჯადოქრული მელოდია, რომელსაც უმღეროდნენ. დაარჩილს მორიდება არ გამოუჩენია, როცა კესო ამხილა — რაკი გიორგის გვარიშვილობა არ ჰქონდა, თუმცა ბევრ თავადს სჯობდა სილამაზითაც და ადამიანური ღირსებებითაც, ცოლად არ გაჰყვებოდიო. დიახ, არ გაჰყვებოდა, მაგრამ მიზეზი ის იყო, რომ არ უყვარდა. არჩილი აქ ხედავს თავსა და ბოლოს. იგი არ მალავს, რომ თვითონაც ასე მოიქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ გლეხკაცზე მაღალი შეხედულება აქვს, გიორგისთანა მოჯამაგირეს მზად არის შეგირდადაც გაუხდეს. მაგრამ სიყვარული?

ეს უკვე სხვა საქმეა. სიყვარულსა და ცოლ-ქმრობაში გამოღმაპირელებისათვის მთავარი გვარიშვილობაა, ხოლო სილამაზე, კაცურკაცობა, პირადი ადამიანური ღირსებები მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. ძმას და არ ეთანხმება, — „ნუ იტყვი მაგას!.. — შეჰკივლა კესომ წყრომითა და თვალები დაუბრიალა“ არჩილს. მე იმიტომ კი არ ვეტყოდი უარს ცოლად გაყოლაზე, რომ გვარიშვილობა არ ჰქონდა, მიზეზი სხვა იყო — გიორგი „არ მიყვარდაო“. ამის შემდეგ რა საფუძველი გვაქვს კესოს ვუსაყვედუროთ, რატომ გიორგის ცოლად არ გაჰყვებოდიო? არჩილს კი სულ სხვა საბუთი აქვს. „ჩვენი ვაიც მაგაშია, — ამბობს არჩილი. — სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფი-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 466-467.

ლა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყეულ-პტყეულ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვიღა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გვევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლ-ხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებულ ენითა. ენით ვაქცევთ და გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარ-კაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვეთლია“...* ეს კი მეტისმეტი იყო კესოსათვის, ველარ მოითმინა და ძმას სწორედ ამ სიტყვით უსაყვედურა — მ ე ტ ი ს მ ე ტ ი ა ო.

მაგრამ არა, არ ჩ ი ლ ი მეტისმეტს არ ლაპარაკობდა. მასში გაღვიძებული სინიდისი ძალას იკრებდა, რომ საუკუნეობრივი დანაშაულისათვის ფარდა ბოლომდე აეხადა, მისი შიშველი სხეული მთლიანად გამოეჩინა. მიზეზი იმისა, რომ კ ე ს ო ვერც მიუხვდა გ ი ო რ გ ი ს სიყვარულს, ვერც შეიყვარა, მხოლოდ გ ლ ე ხ კ ა ც ო ბ ა შ ი მდგომარეობდა, თუმცა თვით კესო უარყოფდა ამ ბრალდებას. მაგრამ გაღვიძებულ სინიდისს, თვითმხილებისა და თვითდასჯის გზას რომ გაჰყოლია, ეს არ შეეძლო, არჩილი სწორედ გაღვიძებული სინიდისი იყო და ამიტომ ლაპარაკობდა ასე მკვახედ, უფერ-უმარილოდ. ეს არ იყო გ ულ ქ ვ ა ო ბ ა, პირიქით, გ ულ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ს წარმოადგენდა იმის გამო, რომ დაჰკარგა კაცი, რომელიც ჰკუას ასწავლიდა, თვალს უხელდა. განა ხშირად მიუვა ხოლმე ადამიანს ჰკუის ასეთი მასწავლებელი? და რა დიდი უბედურებაა, ფიქრობს არჩილი, რომ ღ ო ნ ე ც არ გქონდეს „თ ვ ა ლ ი ს ა ხ ი ლ ე ბ ი ს ტ კ ი ვ ი ლ ს გ ა უ ძ ლ ო“. გიორგი სწორედ თვალის ეს ახილება იყო. არჩილისათვის ოთარაანთ „გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდ-გალმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო“, ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, — რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება“ სულისა“.**

ჰხედავთ, არჩილს ზეპირად სცოდნია არამარტო გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს მშვენიერი ლექსი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, არამედ ქართული რომანტიზმის ისეთი გენიოსის უნაზესი ლირიკული შედევრები, როგორიც ნ ი კ ო ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ა. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ხომ ბავშვობიდანვე ეჭნებოდა შესწავლილი, რაკი დედის რძესავით შეუთვისებია. და ჩვენ არ შეიძლება არჩილის

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 467-468.

** ი ქ ვ ე, გვ. 468.

სულში რომანტიკული გატაცება არ დავინახოთ, იგი არ მივიჩნიოთ თვით ილია ჭავჭავაძის არა ერთი პიროვნული თვისების მატარებლად. განა ილია ჭავჭავაძე თავისუფალი იყო მონანიე აზნაურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშნისაგან? ჩვენ იგივეობას არ ვამყარებთ ავტორსა და მის გმირებს შორის, მაგრამ თუ ოთარაანთ ქვრივში ილიას ხასიათის ზოგიერთი გამონაკართომია, არჩილზედაც იგივე უნდა ითქვას.

მაგრამ არჩილი მარტო რომანტიკული სულით არ არის დაჯილდოებული. მას ანალიტიკური გონება აქვს, მოაზროვნეა, ღრმად იხედება სინამდვილეში, ცდილობს მის შეუფერებლად გაგებას. თუმცა, საოცარია, ზოგჯერ რატომ გაურბის საგნების პირდაპირ დასახელებას. არსად იგი არ ხმარობს ცნებას — „კერძო საკუთრება“, თითქო მისი წარმოთქმის ეშინოდეს, და იცოდეს, რომ კერძო საკუთრების გაჩენა იყო მიზეზი იმ ხიდჩატეხილობისა, რაც მის გონებას ასე აწვალებდა. კერძო საკუთრება ედო საფუძვლად „ხიდ-გალმა დაწერილი წიგნის“ ტრაგედიასაც. ის წიგნი სწორედ კერძო საკუთრების მიზეზით იყო დაბეჭდილი სხვა ასოებით, და ამიტომ ვერ შეიძლეს მისი წაკითხვა ვერც კესომ, ვერც არჩილმა. ღირსება, უკვდავება, მშვენიერი სული, ცის სხივით გაცისკროვნებული, — ყველაფერი ეს მხოლოდ მაშინ ამოიკითხეს იმ საოცარ წიგნში, როცა იგი გაჰქრა. თუ რატომ ვერ იგრძნო თავადიშვილის ქალმა მშვენიერი, ლამაზი, სულით მაღალი გლეხკაცი ყმაწვილის სიყვარული, ერთი შეხედვით, თითქო ადვილი ასახსნელია. ეს ახსნა პირდაპირ ფორმულის სახით იპოვა კესომ — „სიყვარული ბრძანებით არ მოდისო“. სრული სიმართლეა განა შეიძლება ისეთი სათუთი გრძნობა, როგორიც სიყვარულია, ბრძანებით იბადებოდეს და ბრძანებითვე არსებობდეს? არა, ეს შეუძლებელია და აქ კესო მართალია. მაგრამ, თუ ღრმად დავუკვირდებით ამ ახსნას კონკრეტულ პირობებში, რომლებმაც გიორგის სიყვარული კესოსადმი განაპირობეს, არ შეგვიძლია ის არ დავინახოთ, რასაც არჩილი ხედავს.

ვთქვათ, კესო მართალია, რომ მას გიორგი არ უყვარდა. ადამიანს ბრალს ვერ დავდებთ, თუ მას სიყვარულის გრძნობა არა აქვს იმისადმი, ვისაც ის უყვარს. მაგრამ გაგება ხომ უნდა შეეძლოს, ხომ უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ იგრძნოს სხვისი სიყვარული? კესოს ეს უნარიც არ აღმოაჩნდა გიორგისთან დამოკიდებულებაში. ჩვენ ვეთანხმებით მას, რომ „სიყვარული ბრძანებით არ მოდის“, ძალით არ იბადება. მაგრამ დაკვირდით არჩილის სიტყვებს: „— განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვირიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა. სიყვარულს ხომ მაინც მიუხვედებოდი და მაინც, სხვა არა იყოს-რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმად-ღა ჯავარსავით ეფინებოდა ციეს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!..“ მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიგდო ჩვენის თავის გასაკითხად“.* მოდით და არჩილს ეკამათეთ, რომ იგი მართალი არ არის. ვერც კესომ გაუბედა

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 468.

ძმას მისთვის წინააღმდეგობა გაეწია. მარტო ის უთხრა — „ნ უ რ ც ე გ რ ე გ ა მ ა ს წ ო რ ე ბ მ ი წ ა ს თ ა ნ!.. მ ე უ ო ფ ა ო!..“ და ტირილი დაიწყო. ეს ტირილი უკვე მივხვდარი ჰეშმარიტების წიხაშე უძლურებისა და თვითგანსჯის შედეგი იყო. იმ დროს კესო ალბათ საბრალო არსებას წარმოადგენდა, ძმასაც შეეცოდა, ამიტომ შუბლზე აკოცა, — გვეუბნება ავტორი.

აკოცა, მაგრამ გაეხარდა კიდეც დის ცრემლი, რაკი იცოდა — „ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ც რ ე მ ლ ი ზ ო გ ჯ ე რ ფ ა რ ი ა, და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალია“. კ ე ს ო ს მაშინ ცრემლზე მეტი ფარი არ გააჩნდა, ხოლო რაკი დროზე მოიხმარა, მისი ხმალიც ის იყო. ეს ხმალი იმიტომ ესაჭიროებოდა, რომ გაიგო ის, რაც არ იცოდა—უ კ ან ხ ი დ ი ა ჩ ა ტ ე ხ ი ლ ი, ხიდი, რომელსაც მისი ძმა ასე მისტირის და გლოვობს. უ კ ან ბ ნ ე ლ ა, ღ ა მ ე ა, როგორც ა რ ჩ ი ლ ი ამბობს, მაგრამ რა იქნება წინ, რას უქადის მომავალი — ეს ახლა ყველაზე მეტად აინტერესებს კესოს და ძმისაგან პასუხს ხელების ფშვნეტით ელოდება.

მართლაც ც რ ე მ ლ ი ა ნ ი ც ო დ ნ ა იყო იმის გაგება, რომ უკან ხიდია ჩატეხილი, უკან ბხელა და ღამეა. არჩილს სჯერა, რომ „ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენ შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გაერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისა, — შუქია წინასი და შუქი ხომ“...* დ ა ს ა წ უ ი ს ი ა გ ა ნ თ ი ა დ ი ს ა, უკვე თვითონ კესოც მიუხვდა ძმის ალეგორიულ სიტყვებს.

სასიხარულო იყო ეს მიხვედრა, მ ო მ ა ვ ლ ი ს ნათელითა და იმედებით აღსავსე; ამიტომ და-ძმა სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს, თითქო ამით სურდათ ის ბედნიერება გამოეხატათ, რომ წ ი ნ — ხ ი დ ი ს გ ა მ თ ე ლ ე ბ ა ა, ხოლო რაკი ხ ი დ ჩ ა ტ ე ხ ი ლ ო ბ ა ს ბოლო მოეღება, ორივე ნაპირი გამთელდება, ადგილიც აღარ ექნება იმ ტ რ ა გ ე დ ი ა ს, რაც გ ი ო რ გ ი ს ა დ კ ე ს ო ს დამოკიდებულებაში მოხდა; ადგილი აღარ ექნება იმ ტანჯვას, რომელიც ცალკე ო თ ა რ ა ა ნ თ ბ ი ჭ ს სულს უმღვრევდა, ცალკე ა რ ჩ ი ლ ი ს გონებას აფორიაქებდა. ეს იყო უდიდესი ო პ ტ ი მ ი ზ მ ი, რომელსაც მოთხრობა მკითხველში ნერგავდა, და ეს იყო მისი ჯანსაღი მაგისტრალური იდეაც.

თუ როგორ მოხდებოდა, ეს ხ ი დ ი ს გ ა მ თ ე ლ ე ბ ა — მქონებელთა და არმქონებელთა შ ე რ ი გ ე ბ ი თ, გადმპარველებისა და გამოღმპარველების ურთიერთთანხმობით, თუ მათ შორის ბრძოლით, არჩილი არ გვეუბნება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის ა ლ ე გ ო რ ი ულ ბ ო ქ მ ე ბ ს, მაშინ განა უადგილო იქნება მისი „ნამის გაბევრება“, „მდინარე წყლად“ გადაქცევა და „მთელი ტივის“ მიტანა ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად მივიჩნიოთ, როგორც სოციალური კ ა ტ ა კ ლ ი ზ მ ე ბ ი ს მ ე ტ ა ფ ო რ ა? ისიც გავიხსენოთ, რომ არჩილს თავისიანების — ესე იგი გ ა მ ო ღ მ ა პ ი რ ე ლ ე ბ ი ს საქმე წასულად მიაჩნია, მაშასადამე, გრძნობს, რომ ისინი აღარ უნდა იყვნენ. თუ ისინი იმავე სახით დარჩებიან, როგორც არიან, მაშინ ხიდის გამთელება შეუძლებელი იქნება. გამოღმპაპირელები, როგორც სოციალური კლასი, უნდა მოისპოს, აღარ უნდა განმეორდეს ის საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ხიდის ჩატეხვა

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 469.

გაძოიწვია. არჩილი არსად არ ახსენებს სოციალურ კლასებს, მაგრამ მისი სიტყვები, ალეგორიულად, სულ სოციალურ კლასებს და მათ შორის წინააღმდეგობას გულისხმობს, მაშასადამე, არმქონებელთა, შრომის შვილთა მხარე უკავია და ეს არის ის განმანათლებელი, დემოკრატიული და სოციალისტური იდეა, რომელიც მოთხრობაში — „ოთარაანთ ქვრივი“ წითელი ზოლივით არის გატარებული. ეს იდეა ათეულ წლობით მწიფდებოდა. ჯერ კიდევ ადრე, 1862 წელს, უფრო ძლიერად 1866 წელს ილია ჭავჭავაძემ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში დაახასიათა „ხიდჩატეხილობის“, „განკერძოებისა“, „განთვითეულების“, „გათავ-თავების“ კატასტროფული შედეგები ქართველი ერისათვის. ჩვენ ამ საკითხს დაწვრილებით შევეხებით ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა და მსოფლმხედველობის დახასიათების დროს სპეციალურ თავში, სადაც განვიხილავთ „საქართველოს“ (პუბლიცისტური წერილის) პარალელს „ოთარაანთ ქვრივთან“ (მოთხრობასთან). ახლა კი ისევ დაყენებულ საკითხს მივუბრუნდეთ.

უეჭველი რწმენა ხიდის გამთელებისა სიხარულით ავსებს და-ძმის გულს. მაგრამ ჯერ კიდევ რა დიდი მანძილის გავლა, რა დიდი დროა საჭირო, რომ ის საბედისწერო ჩატეხილი ხიდი გამთელდეს. ჯერ ისევ გრძელდება ჩატეხილი ხიდის გამანადგურებელი შედეგები, და იგი აღსასრულისაკენ ეძახის ისეთი რკინისებური ნებისყოფის ადამიანს, როგორიც ოთარაანთ ქვრივია.

„ეძახის!“ — ასე ეწოდება მოთხრობის უკანასკნელისწინა XXI თავს, რომელშიაც ტრაგედია ისევ გრძელდება. შემოდგომის მიმწუხრია, ზამთარი იწყება, თურმე ეს ოთარაანთ ქვრივის სიცოცხლის მწუხრიც ყოფილა. ვიდრე ამ მწუხრს გვიჩვენებდა, ავტორმა ზამთრის ისეთი მშვენიერი პეიზაჟი დაგვიხატა, რომ ბუნება თითქო გააცოცხლა მკითხველის თვალწინ. დააკვირდით ამ დიდი მხატვრული ძალით წარმოსახულ ფერწერულ ტილოს:

„შუა-ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჰაღარა მოერია. მისი ჰაღარა პირხლია.. .მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით პირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, პირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სდამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თვალგადუწვდენელს სიგრძე-სიგანეზე, სიღრმე-სიმაღლეზე... მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჰუჰუიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლ-ქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო... თოვლი რომ გადიღო, ბევრს

ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებუ
ლი სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ
უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს
ღობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარშემო... ღამე არ იყო ბნელი
ცაზე დროგამოშვებით კაშკაში მთვარე ხან გამოჰყოფდა ხოლმე ღრუბლებიდან
თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვეოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის
შუქი ერთმანეთს ეჯიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო... სოფელს დიდ
ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიე-
რებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟრიამულ-კივილი, მისწყდა ადამია-
ნის ფეხის ხმაც. ახალ მოსულს თოვლს, ყინვა-დაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფე-
ხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის-
მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხანდისხან... ყველას ეძინა, ყვე-
ლას... ერთის მეტს".*

ეს ერთი ოთარაანთ ქვრივი იყო. ავადმყოფ ქალს ვიღაც მოხუცებული
დედაკაცი უვლიდა. მაგრამ იმ დროს, როცა ქვრივს მოეჩვენა თითქო ეძახდნენ,
მომვლელს ეძინა. სულ მოკლე ხანში ოთარაანთ ქვრივი გამოიცვალა: „სნეული,
ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხ-
რწნილი" შეიქნა. ე ჩ ვ ე ნ ე ბ ო დ ა, რომ მისი შ ვ ი ლ ი გ ი ო რ გ ი ე ძ ა ხ დ ა,
მაგრამ შეიძლებოდა მის საფლავამდე მისვლას ამ თოვლსა და უკუნეთ ღამეში?
„ფეხის გადადგმის ილაჯი აღარა მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავ-
ლიო, ხომ საძაღლედ გაჰხდა ჩემი ლეში..." ელაპარაკება თავის თავს ავადმყო-
ფი. უეცრად შეიკივლა კიდეც, მაგრამ მომვლელ დედაკაცს არ გაუგონია, ძი-
ლისაგან არ გამორკვეულა, მხოლოდ იქვე კერასთან მოკალათებულმა ძაღლმა
წამოიხედა, შემდეგ კი ისევ მიიძინა. მაგრამ ქ ვ რ ი ვ ს კ ვ ლ ა ვ ე ჩ ვ ე ნ ე ბ ა,
რომ გ ი ო რ გ ი ე ძ ა ხ ი ს, დღეს მისი დაბადების დღეა, ახლა კი თავი ვეღარ
შეიმაგრა, უთხრა იმ ხმას — მოვდივარო და „ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა.
ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი. ზედ
გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო
ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ვეღარ წასდგა, დაჰბარბაცდა და
ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა, — არ წავიქცეო... ცოტას ხანს
ეგრე ხელებდაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწ-
ვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და ფეხაკრებით გავიდა სახლიდამ. უღო-
ნოს სიარულით ეზო გაიარა, ორისავ ხელით წინ წაძღოლილ ჯოხზედ დანდო-
ბილმა". ერთადერთი, ვისაც ავადმყოფის სახლიდან გასვლა არ გამოჰპარვია,
ძაღლი იყო, ოდითვე ეს ადამიანის ერთგული მეგობარი. მომვლელ დედაკაცს
არაფერი გაუგია — „ისევ-ისე გულიანად ეძინა". და ავტორი დაასკვნის: „რაში
ჰგვანდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი!.. მართალი უთქვამთ: წუთისოფე-
ლი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის — მამინაცვალიო". ძ ნ ე ლ ი ა გ ა ვი-
გ ო თ, რას გულისხმობს ავტორი ამ სიტყვებით — იმას, რომ მოხუცი დედაბე-
რი მემკვიდრედ დარჩება ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის ასე დიდი შრომით
ნაამაგარ ოჯახში, თუ კიდევ სხვას — ჩვენ არ გვესმის, გარდა ხალხური თქმის:
თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ბ რ ძ ნ უ ლ ი ა ზ რ ი ს ა.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 469—470.

ჩვენ უკვე მივადექით „წ უ ე ვ ა-კ რ უ ლ ვ ი ა ნ ს ა კ ი თ ხ ა ვ ს“, რითაც მოთხრობა „ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი“ მთავრდება.

შობის ღამე ყოფილა, როცა ავადმყოფი დედა თავისი სახლიდან შვილის საფლავისაკენ გაემართა. ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, როცა ორ მეცხვარე თუშს, სასაფლაოს ბოლოსთან, ოთხიოდე ჰედიღა და ხუთიოდე თოხლი სოფელში გასაყიდად მოჰყავდათ. მათ გაიგონეს ძ ა ღ ლ ი ს ყ მ უ ი ლ ი. ერთი იქითკენ გაემართა, საიდანაც ხმა ისმოდა. მეცხვარემ „ძაღლის ზურგთ უკან მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდი-გარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა, თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის ხვევნით გულში ჩაეკრაო“.* ეს მკვდარი ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი იყო, რომელსაც გიორგის საფლავამდე მიეღწია და ზედ დაკვდომოდა. სოფელი შეიკრიბა. „შეიქმნა ჟღივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალაპარაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარბებოდა, — ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებოდა“.** სოფელი ნანობდა, რომ „გ ა ტ ყ დ ა ე ს რ კ ი ნ ი ს დ ე დ ა კ ა ც ი ც“, „ე ს ფ ე ს ვ მ ა გ ა რ ი ხ ე ც წ ა მ ო ი ქ ც ა ო“. უკეთესად ვერც დაახასიათებდნენ ოთარაანთ ქვრივის გარდაცვალებას. მიზეზიც იცოდნენ: „დედის-ერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე რა შვილისა!.. აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო“. დამტირებელიც არავინ დარჩენია, თუმცა. ბევრი წუხდა, ბევრს ეცოდებოდა.

მაგრამ არა, იყო ე რ თ ი ა დ ა მ ი ა ნ ი, რომელიც მთელი არსებით გ ა ნ ი ც დ ი დ ა ქვრივის უბედურებას, იყო კაცი, რომელსაც მხოლოდ ახლა „მ ო უ კ ვ დ ა ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ი ვ ი“. ეს კაცი გახლდათ ს ო ს ი ა მ ე წ ი ს ქ ვ ი ლ ე, მოთხრობის წინა თავებიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი პერსონაჟი. სოსიას „თითქმის ოც-და-ათი წელიწადია მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია.. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ეს დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ. მაგრამ თავის გულში თქვა: ...მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ეეღარ შევბედავ, ეეღარა!...“ ამის შემდეგ ქვრივს აღარც გაჰკარებია. ახლა კი „სოსია მეწისქვილეს... ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ, იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეპირა და ქვითქვითებდა ჩუმად“. მაგრამ ვის ესმის მისი გულისტკივილი? არავის, არც არავინ იცის.. რომ მ თ ე ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე ს ო ს ი ა მ ა მ მ კ ვ დ ა რ ს შ ე ს წ ი რ ა. პირიქით, ერთმა ახალგაზრდა ბიჭმა, სამასხაროდ, ასეთი სიტყვებითაც კი მიმართა საბრალო მოხუცს: „ადე, რას ჰლმუი უპატრონო ძაღლსავით!.. შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?“ ის კი არ იცოდა, რომ უ ე ლ ა ფ ე რ ი იყო. ამიტომ უთხრა შეხუმრებულ ახალგაზრდას: „ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო!.. სხვა სხვის ომში ბრძენიაო“. უთხრა და არც დაიცალეს ბოლომდე მიეყვანა თავისი აზრი. ამ დროს საკაცე მოიტანეს, ოთარაანთ ქვრივი დასვე-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 472.

** იქვე.

ნეს, ვიღაცამ წაიბორძიკა სოსია მეწისქვილის ფეხზე და გულმოსულად თქვა: „ეს ვიღა ოხერია, ფეხებში გვედებაო!.. და, ღონივრად წაჰკრა რა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: — წადი, იქით გაეთრიეო“. მეწისქვილე თოვლზე წაიქცა, ძლივს-ძლივობით წამოდგა და ხელის მკვრელს ესღა უთხრა: „ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!“. და ავტორი დასძენს: „მართლა, რომ ცოდოა!.. მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?.. ერთიც ეს არის საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“,* — ამ მწარე სიტყვებით მთავრდება ილია ჭავჭავაძის მოთხრობა, რომლის შინაარსი ჩვენ დაწვრილებით გადმოვეცით.

მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ პროზაში არ გვეგულება მეორე ნაწარმოები, რომელშიაც იმდენი ღრმა აზრი, ხალხური სიბრძნე, იმდენი აფორიზმი იყოს ჩაქსოვილი, რამდენიც „ოთარაანთ ქვრივშია“. შეიძლებოდა მისთვის სოციალურ-ფილოსოფიური მოთხრობა გვეწოდებინა. ამ სახელს ეს ფართო სოციალური ტილო ყველაზე მეტად შეიფერებდა. მარტო ის ორი თავი — „ჩატეხილი ხიდი“ (XIX) და „დასაწყისი განთიადისა“ (XX), რომლებშიაც ავტორმა ასე ღრმად ჩაგვახედა, თუ რა მწარე სოციალური ტკივილი აწუხებს ადამიანს, საკმარისია იმისათვის, რომ ეს დებულება წამოვაყენოთ. ამ თავების დაწერა ჩვეულებრივ მწერალს, ჩვეულებრივ მხატვარს არ შეეძლო. ორივე თავი კალმის გენიალური მოსმაა და საეჭვოც არ არის, რომ მათი ავტორი გენიოსია.

მართლა „წყევა-კრულვიანი“ საკითხები აღძრა ილია ჭავჭავაძემ „ოთარაანთ ქვრივში“, აღძრა და ისეთი მხატვრული ძალით გაშალა, როგორც მხოლოდ დიდ მწერალს შეუძლია. მოთხრობას, როგორც პროზაულ ნაწარმოებს, იმდენი ღირსება აქვს, რომ შეიძლებოდა ცალკე მონოგრაფია დაწერილიყო, რომელიც სრულად გვიჩვენებდა მისი ავტორის ოსტატობას: არაჩვეულებრივად შეკრული სიუჟეტი, არქიტექტონიკური მთლიანობა. ფაბულის ანტიკური ერთიანობა, რომელსაც არც ერთი ზედმეტი ნაწილი არ გააჩნია, ხასიათებისა და ტიპების მკაფიო გამოკვეთილობა, როცა თვითეული პერსონაჟი სკულპტურულად ჩამოსხმული ინდივიდუალობაა (ოთარაანთ ქვრივი, გიორგი, არჩილი, კესო, სოსია მეწისქვილე, აღარაფერს ვამბობთ ეპიზოდურ გმირებზე — მოხუცი პეტრე, მეჯინიბე, ომარაანთ მოჯამაგირე, მებატონე ომარაშვილი) — მარტო ეს ღირსებები საკმარისი იქნებოდა ჩვენი დებულების დასადასტურებლად. მაგრამ გაიხსენეთ ნაწარმოების მშვენიერი ენა, რომელიც მხატვრულსა და ფილოსოფიურს ასე ორგანიულად ჰკრავს, მისი ძარღვიანობა და ხალხური ლექსიკა; დააკვირდით ნაწარმოებში წარმოსახულ სინამდვილეს — ცხოვრების რა ღრმა მცოდნე მწერალი დგას თქვენს წინაშე, რომელსაც არამარტო ადამიანების ფსიქოლოგია შეუსწავლია, ასევე, კარგად ესმის სოციოლოგიისა და პრაქტიკული მეურნეობის საკითხები, კარგად იცის ეთნოგრაფია, ოსტატურად იყენებს დეტალებს, რასაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ აფექტში.

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 473.

თუ ბელეტრისტიკაში, პროზაში დიალოგი საერთოდ ასრულებს უდიდეს როლს და მის გარეშე მოთხრობა წარმოუდგენელია, „ოთარაანთ ქვრივი“ შეიძლებოდა ამ მხრივაც ნიმუშად დაგვესახელებინა. ბუნებრივი, დაძაბჯერებელი, ცოცხალი, ადამიანებისა და ცხოვრების ღრმა ცოდნით დაწერილი გაშწყაზრული დიალოგები არაჩვეულებრივად იზიდავენ მკითხველის გონებას, უძლიერებენ ინტერესს და აღწერილი სცენების შუაგულში გადაჰყავთ. მთელ ნაწარმოებში ჩვენ ვერ ვნახეთ ვერცერთი დიალოგი, რომელშიაც ბუნებრივობა იყოს დარღვეული, ან ზედმეტი, უადგილო სიტყვა ეხმაროს მის ავტორს. თხრობას იგი ძალიან ხშირად ცვლის დიალოგით და ამით აღწევს მოქმედების დინამიურობას. ეს უკანასკნელი საერთოდ აუცილებელია ხელოვნებაში და მოქმედების დინამიურობა მარტო დრამატურგიული ჟანრის არსებითი ნიშანი კი არ არის, ბელეტრისტიკაშიც აუცილებელია. „ოთარაანთ ქვრივი“ მოქმედების დინამიურობით იმდენად ძლიერია, რომ დრამისაგან შეიძლებოდა მხოლოდ პასაჟებით განსხვავებულიყო.

დეტალების ოსტატი ილია ჭავჭავაძე არაჩვეულებრივად ძლიერია ხასიათების, მოქმედების, მსჯელობისა და განწყობილების ნიუანსების გადმოცემაში. მისი თვალი სრულიად ორიგინალურად ჭვრეტს საგნებსა და მოვლენებს, გონება — ყოველთვის ღრმად იჭრება არსებულში, გრძნობა კი საოცრად ძლიერი აქვს. ყველა თავისი ღირსება მწერლისა, ხელოვანისა, ოსტატისა, მოაზროვნისა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოიყენა „ოთარაანთ ქვრივში“, თითქო გრძნობდა, რომ ეს ნაწარმოები მისი გედის სიმღერა იქნებოდა ბელეტრისტიკაში.

მაგრამ დიდი მწერლის ამ შედევრსა და გედის სიმღერას, იმდროინდელი კრიტიკა, ზოგიერთის გამოკლებით, უღირსად შეხვდა. „ოთარაანთ ქვრივს“ სპეციალური განხილვა მიუძღვნეს სტეფანე ჭრელაშვილმა, კიტა აბაშიძემ, შიო დავითაშვილმა, დავით სოსლანმა, მიხეილ ხელთუფლიშვილმა და მრავალმა სხვამ. ზოგიერთი, სერიოზული განხილვის ნაცვლად, იშვიათად როდი ცდილობდა ცილი დაეწამებინა როგორც ავტორის, ისე მისი ნაწარმოებისათვის.

საკმარისია მარტო ერთი პასკვილის გახსენება, რომელიც ცალკე ბროშურადაც კი გამოვიდა.* მასში არ არის არც ერთი დადებითი შენიშვნა, არც ერთი პოზიტიური აზრი მოთხრობის შესახებ, რომ ღირდეს განვიხილოთ და შევაფასოთ. ილიას დიდი სახელის დამცირება იქნებოდა, თუ პასკვილანტს პასუხს გავცემდით და მის მიკიბულ-მოკიბულ, თან ნაძალადევად მოგონილ შენიშვნებს მსჯელობის საგნად გავხდიდით. ბოროტი კრიტიკის ფუძემდებელი ზოილიც კი იტყოდა, თუ ამ პასკვილს წაიკითხავდა, ასე წერა არ შეიძლებაო. პასკვილანტი აცხადებს — ლიტერატორი არა ვარ, მწერლებთან პირადი ურთიერთობა არა მაქვსო, მაგრამ ისე ეკამათება გოლიათს, გეგონება ყველა ჭეშმარიტების უკანასკნელი თავშესაფარი მხოლოდ თვითონვე იყოს. ყველგან და ყველაფერში ნაკლის აღმოჩენა, სულერთია, არის თუ არ არის, პასკვილანტს მიზნად დაუსახავს, რათა თავისი თავი იმ ადამიანად შერაცხოს, რომელიც ერის „მოთავის“ სიკვდილის დროისათვის „შემზადებული კაცია“ მისი ადგილის დასა-

* მხედველობაში გვაქვს შიო დავითაშვილის წიგნაკი, მკითხველის შენიშვნების სახელით გამოცემული — „ჩატეხილი ხიდი“, 1888 წ., გვ. 42, რომელშიაც უკბილო ოხუნჯობა და ახირებული პრეტენზია — გონივრული საწყისი მე ვარო — ერთმანეთშია არეული.

ჰერად მიზანი სავსებით ამყღავნებს სავალალო შედეგს. პასკვილანტის ბროშურა პირდაპირ საცოდაობა იქნებოდა, დანაშაული რომ არ ყოფილიყო. მოთხრობაში გამოყვანილი ყველა მოქმედი პირი მან სასაცილოდ აიგდო, გიორგის, ოთარაანთ ქვრივის, მეწისქვილის ტრაგიკულ ყოფას ჰომერული ხარხარით გაუმასპინძლდა, „ჩატეხილი ხიდის“ პრობლემა — გაუგებრობად გამოაცხადა, ილიას აზრები — არარაობად, არჩილი და კესო — მოლაქლაქედ, და დასძინა: მოდით და მეკამათეთო. მაგრამ არავინ გამოკამათებია, არც ჩვენ ვაპირებთ მასთან პაექრობას, მხოლოდ ერთი შენიშვნა გვსურს მივცეთ: პასკვილანტმა განაცხადა — ილიას მოთხრობას იქნებ მსუბუქად მოვეპყარ (ეს მეტად რბილად არის ნათქვამი, თუმცა მართალია, უმჯობესი იქნებოდა ეთქვა — სულელურად მოვეპყარ), დამიმტკიცეთ ...და მე სახალხოდ ბოდიშს მოვიხდი. რასაც დამდებთ — ვიკისრებო“.* მაგრამ დამტკიცება საჭირო არ იყო, დაუმტკიცებლადაც ყველამ იგრძნო პასკვილანტის ამაოება. განსაკუთრებით საცნაური იყო ავტორის ბოლო სიტყვები: „მწერალთა რიცხვში არცა ვყოფილვარ და არც სურვილი მაქვს როდისმე გაეკრიო. ეს ორიოდე სტრიქონიც ძლივს დავჯღაბნე, ძალ-დატანებით (ეს სრული სიმართლე იყო — გ. ჯ.), გულმა აღარ მომითმინა, თავ-ქარიანების ცრუ-გამარჯვების სიხარულმა მეტად ვამაბრაზა (თავისი თავის მიმართ ავტორი მეტად ობიექტურია, სიმართლეს არ მალავს, გაბრაზება ყველგან ეტყობა — გ. ჯ.). შეიძლება, ჩემი აზრი კარგად ვერ გამოვხატე (ესეც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა — გ. ჯ.) და ზოგ ადგილას მკვახე სიტყვებიც ვიხმარე (აქ პასკვილანტი ღალატობს თავის პრინციპს, მაგრამ არა უშავს, ჩვენ გავუსწორებთ: მკვახე სიტყვები ზოგან კი არა, ნახმარი აქვს ყველგან — გ. ჯ.). არ მომეტევება?“ — ამ სიტყვებით ამთავრებს პასკვილანტი თავის ახირებულ ბროშურას.

არა, არ მიგეტევებათ, — ვეუბნებით ჩვენ, და ამ სიტყვებით ვშორდებით ავტორს, რომელიც გულდაწყვეტილია, რომ არავინ ეკამათება.

ჩვენ კი საკამათო ბევრი გვაქვს „ოთარაანთ ქვრივის“ სხვა კრიტიკოსებთან, სულ ერთია, ვინც არ უნდა იყოს: დავით სოსლანი თუ მიხეილ ხელთუფლიშვილი ან სტეფანე ჰრელაშვილი. ყველას აქ არ ჩამოვთვლით.

დავით სოსლანმაც ბროშურა მიუძღვნა ილიას ახალ მოთხრობას** და ავტორის ქებასთან ერთად არა ერთი უმართებულო შენიშვნა გააკეთა. სოსლანი მართალი იყო, როცა წერდა: „ბედნიერია ის ერი, რომელსაც ბ. ილია ჰავჰავაძისთანა ზეგარდმო ნიჭით მიმადლებული მწერალი ჰყავს... დიდი ხანია ბ. ილია ჰავჰავაძე ითვლება ქართველთ საზოგადოების „სულის ქვეთების“ გამომხატველად, მის მესაიდუმლედ და ქებად ყველა საზოგადო საქმეში“.*** ამიტომ ქართველი მკითხვე-

---

* მკითხველი, „ჩატეხილი ხიდი“, 1888 წ., გვ. 42.

** დავით სოსლანი, „კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრიეისა“, 1888 წ., გვ. 1—20.

*** იქვე, გვ. 1—2, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ლი დიდი ინტერესით მოელოდა ნიჭიერი მწერლის ახალ მოთხრობას. მაგრამ წაიკითხავთ თუ არა, კითხვა დაგებადებათ: რატომ უწოდა ავტორმა თავის ნაწარმოებს „ოთარაანთ ქვრივი“ და არ შეარქვა, გიორგი, კესო ან არჩილი? საკითხის ამგვარი დაყენებით სოსლანმა უკვე დასაწყისშივე გაამჟღავნა, რომ მოთხრობა ზერელედ წაუკითხავს, მის ღრმა აზრს ვერ ჩასწვდენია, ვერ გაუგია, რომ ქვრივი ნაწარმოების ხერხემალია, რომელზედაც ასხმულია ფაბულის მთავარი ნაწილები. მისთვის „ოთარაანთ ქვრივი... შემთხვევითი და დაუპატიჟებელი სტუმარია მოთხრობაში... არა მგონია თვით ავტორი ფიქრობდეს, რომ ოთარაანთ ქვრივი მოთხრობაში უპირატესი გმირია, რომლის გარეშოც დანარჩენნი ისრე მოძრაობენ და ემსახურებიან, როგორც მთვარე მზეს. ეს ის მეორე ხარისხის პირია, რომელსაც ეპიზოდურს ეძახიან მოთხრობაში, დრამაში, თუნდა კომედიაში. შეიძლება ეს ოთარაანთ ქვრივი სრულიადაც მოისპოს და მოთხრობის დედა აზრი ამით მაინც არაფერს დაჰკარგავს“.*

ლიტერატურულ ნაწარმოებზე, რომელიც შედევრია, უფრო მცდარი შეხედულების წამოყენება მგონი შეუძლებელი იქნებოდა. თუ ოთარაანთ ქვრივი ეპიზოდური პირია, როგორც სოსლანი გვიმტკიცებს. მაშინ საერთოდ გაუგებარია, ვის შეიძლება ეწოდოს ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი? სოსლანს არ დაუმალავს ეთქვა, რომ მოთხრობის გმირებს თუ ცალ-ცალკე ავიღებთ, მაშინ „არ შეგვიძლიან ავტორს რაიმე წუნი შევსდოთ. ამიტომ რომ თვითეული მათგანი ნამდვილთან სწორია, გადაჭარბებული არაფერია და ნათლად გვიმტკიცებს, რომ პატივცემულს ავტორს ცხოვრების დაკვირვების და დაკვირვებულის შეთვისების ნიჭიც ზედ აქვს დაბერტყილი მადლიანის ბუნებისაგან“.** მაშასადამე, ცალ-ცალკე აღებული ყველა გმირი წუნდაუდებელია, როგორც ოთარაანთ ქვრივი, რომლის მსგავსი თვით კრიტიკოსს ბევრი უნახავს, ისე „გამრჯელი მუშა ბიჭი“ გიორგი, „რუსეთიდამ ახლად გადმოსული“ არჩილი, მეწყინკვილე სოსია, რომლის „უბედურებით... არაგვსა და მტკვარს დააგუბებთ“. მაგრამ, თურმე ერთადერთი გამონაკლისია კესო, რომლის მსგავსი „უფერული და უგემური კნიაჟნები“ სოსლანს ბევრი ეგულება საქართველოში. კესოს კრიტიკაში სოსლანი ისე შორს მიდის, რომ სრულიად მიუღებელ დებულებას აყენებს: კესო „ეს ისეთი რაღაც ყოვლად უფერულია, რომ ამაზედ ამის მეტი არაფერი ითქმის, რომ კესო ჰქვიან“.*** მიუხედავად კესოს ასეთი დამცირებისა, კრიტიკოსი მაინც იცავს თავის დებულებას, რომ მოთხრობაში გამოყვანილი თვითეული მოქმედი პირი „ნამდვილთან სწორია“.****

---

* დავით სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, 1888 წ., გვ. 8. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 10. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 10. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე, გვ. 11. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მაგრამ განა ეს საკმარისია მოთხრობისათვის? არა, „...მოთხრობა ალბომი ხომ არ არის, რომ მასში შენახული თვითეული სურათი ნამდვილს იმ სახეს წარმოადგენდეს, რომელიც არის გადაღებული“.* რაც არ უნდა ძვირფასი მასალა იყოს ხე, ქვა, ქვიშა, კირი, აგური—ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლამაზ სახლს,—გვეუბნება კრიტიკოსი და ჩვენც ვეთანხმებით. ამ მაღალხარისხოვანი მასალისაგან ლამაზი სახლი რომ აშენდეს, საჭიროა ოსტატის მაღალი გემოვნება და ბევრი სხვა რამ. „მაშასადამე, — წერს სოსლანი, — სინამდვილით დახატვა თვითეული პირისა, რომლისამე ცალკე სცენისა მაგდენი არაფერია. საქმე და ნიჭის გამოჩენა რამდენიმე პირის ერთად შეყრაშია და მოთხრობის დედა აზრის თანდათანდახსნაში“.** ეს კი ილია ჭავჭავაძის მოთხრობას არა აქვს,— გვიმტკიცებს სოსლანი, — ივი „აშენებულია იმ წინა აღებულს აზრზედ (ტენდენციაზედ), რომ თავად-აზნაურობის და გლეხ-კაცობის შორის ხიდია ჩატეხილი“.*** ყოველივე ამის შემდეგ სოსლანი ისეთ უმართებულო შეხედულებებს ავითარებს, რომ მათი სპეციალური განხილვა ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია. თვით ბროშურის დასასრულს ავტორის მიერ ნათქვამი სიტყვები საკუთარ დამაჯერებლად მოწმობენ, რომ მან ვერ გაიგო „ოთარაანთ ქვრივის“ დედააზრი, სწორად ვერ შეაფასა ქართული მხატვრული პროზის ეს ერთ-ერთი ბრწყინვალე მარგალიტი და მწუხარება გამოთქვა აღტაცების ნაცვლად. თუ ერთის მხრივ გიორგის მან ყოველმხრივ „შესანიშნავი ტიპი“ უწოდა, მეორეს მხრივ არ მორიდებია ეთქვა: „სამწუხაროა, რომ ეს (ე. ი. გიორგი — გ. ჯ). სხვანაირად ვერ გამოიყენა და დახარჯა „ჩატეხილი ხიდის“ გასამართლებლად. ვაი ის არის, რომ ვერც ის ჩატეხილი ხიდი გამთელდა და ესეც უნაყოფოდ დაიმსხვრა“.**** ჩვენ მივუმატებდით: არ დამსხვრეულა მხოლოდ მკითხველისა და თვით ილია ჭავჭავაძის რწმენა, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ ერთ-ერთი უშესანიშნავესი მოვლენაა ქართული მხატვრული პროზის ისტორიაში.

მოთხრობის მიმართ პოზიტიური თვალსაზრისი განავითარა ალექსანდრე ხახანაშვილმა. მისი დებულებები სწორედ იმ მხრივ არის საინტერესო, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ გაგებულია, როგორც სოციალური ტკივილის მხატვრული უკუფენა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ამ საკითხთან დაკავშირებით ალექსანდრე ხახანაშვილმა შემდეგი მოსაზრება განავითარა: „ბატონ-ყმობის გადავარდნამ ვერ მოსპო წოდებათა განხეთქილება. ილიას არ გამოჰპარვია ეს მწვავე და მწარე უთანხმოება მაღალს და დაბალს წრეთა შორის. მათ დაახლოებას და საერთო ინტერესით დაკავშირებას იგი ცდილობს როგორც პუბლიცის-

---

* დავით სოსლანი, კრიტიკული განხილვა „ოთარაანთ ქვრივისა“, 1888 წ., გვ. 11 ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე, გვ. 20. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ტურის წერილებით („ცხოვრება და კანონი"), აგრეთვე მხატვრულის ნაწარმოებით („ოთარაანთ ქვრივი"). იგი სასოებს იმედით, რომ შეთანხმება მათი შესაძლებელია იმგვარათვე, როგორც სწამს სამშობლოს კვლავ აყვავება. ეს „ტკბილი იმედი" მას დაებადა 1860 წ., როდესაც დაამთავრებს სასოწარკვეთილებით დაწერილს პოემას „აჩრდილს" და ლაჟვარდს ცაზე დაინახავს „მახარობელს" შვიდფეროვანს ცისარტყელას".*

რაც შეეხება მოთხრობაში გამოყვანილი მოქმედი პირების დახასიათებას, ალექსანდრე ხახანაშვილმა ცალკე გამოჰყო ოთარაანთ ქვრივი და იგი შეუდარებლადაც კი მიიჩნია ქართულ ლიტერატურაში. „ოთარაანთ ქვრივი, როგორც ტიპი, — წერდა ალექსანდრე ხახანაშვილი, — შეუდარებელია ჩვენს მწერლობაში. იგი ჩამოსხმულია ქანდაკებასავით. მტკიცე ხასიათის პატრონი, ძხნე, მკვახე სიტყვით სიმართლის მთქმელი, გლახის გამკითხავი, შვილის თავდაჭერით მოსიყვარულე და ქმრის ხსენების მიმდევარი, იგი წარმოადგენს საუცხოო სურათს ქართველის ქალის დასახასიათებლად".**

ყოველივე ეს სრული სიმართლეა და ნამდვილად იძლევა ოთარაანთ ქვრივის პორტრეტულ დახასიათებას. ხოლო მოთხრობას რაც შეეხება, როგორც აღვნიშნეთ, იგი ნამდვილი განძია მე-19 საუკუნის ქართულ მხატვრულ პროზაში.

სამწუხაროა, რომ არა ერთი პროზული ნაწარმოები დიდ მწერალს დაუმთავრებელი დარჩა. მათი გაცნობა კიდევ უფრო გაამართლებს ჩვენს წარმოდგენას „ოთარაანთ ქვრივის" ავტორზე.

თ) დაუმთავრებელი მოთხრობები, პროზული ფრაგმენტები ვარიანტებით

ჩვენამდე მოღწეულია ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელი მოთხრობები და პროზული ფრაგმენტები ვარიანტებით. ზოგიერთი მათგანი ზემოთ მოვიხსენიეთ, აქ კი გვინდა მკითხველს სრულად ვაცნოთ, თუ რას წარმოადგენს ის თითხმეტი პროზული ნაწყვეტი, რომელიც არცერთ ძირითად ტექსტში უცვლელად არ შესულა, ხოლო ბევრი მათგანი დამოუკიდებელი ხასიათის ნაწარმოებად იწერებოდა. ისინი უმთავრესად განეკუთვნებიან 60-იან წლებს (1857—1863), გარდა „დედის ანდერძისა" და „პატარა ამბავისა", რომლებსაც თარიღი არა აქვთ, დაწერის დრო დღესაც გაურკვეველია (უნდა ვივარაუდოთ, 70-იან წლებში იწე-

---

* ალ. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, გვ. 97. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 110. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

რებოდა), ხოლო საკმაოდ ვრცელი დაუმთავრებელი მოთხრობა-ეტიუდი — „უცნაური ამბავი“ 1893 წლით თარიღდება.*

სამ ვარიანტად და ერთ პატარა ნაწყვეტად მოღწეულია ფართოდ ჩაფიქრებული მოთხრობა — „დიამბეგობა“, რომელშიაც ავტორი ბეჟან ბეჟანის ძე ქალმახიძის ძალიან კოლორიტულ სახეს გვიხატავს. იგი დიამბეგია, გაქნილი მოხელე, მექრთამე და მლიქვნელია. სატირული შტრიხებით აღწერილი მისი სახის გარეგნობა სავსებით შეეფერება დიამბეგის ხასიათს. ბეჟანი ყოველთვის ჩათუქუსანია — „მრავალს თითონ გამორჩება ხოლმე და თავის რიგზედ თითონაც ზოგიერთს არჩენს“. როგორც იტყვიან, ხელი ხელსა ბანს, ორივე კი პირსა. მისი თვალები უფროსთან (უეზდის ნაჩალნიკთან, სოვეტნიკთან და ა. შ.) თაფლის მთოველია, ხოლო უძლურებთან (გლეხებთან) — რისხვას აქუხებს. სამრიგად შეკეცილი შუბლი აქვს და თვითეული მათგანი თავისებური ფუნქციის შემსრულებელია. შუბლის ერთი შეკეცილობა წაიშლებოდა ხოლმე, როცა კალმახიძის წინ მომჩივანი ლამაზი ქერივი ქალი იდგა. მეორე შეკეცილობა მოძრაობას მაშინ იწყებდა, როცა ჩვენი გმირი „ქრთამზედ ვაჭრობდა“, თუ ვაჭრობა ხელსაყრელად დამთავრდებოდა, შუბლის ნაკეცი სიამოვნებისაგან ჰქრებოდა. მესამე შეკეცილობა ძნელად თუ ჰკარგავდა თავისთავს, ვინაიდან იმდენად „გადახვლანჭვილი იყო შუბლზედ“, რომ გაშლა აღარ შეეძლო. მაგრამ უფროსის ღიმილს მაინც ვერ უძლებდა — „მსწრაფლ ჰქრებოდა“. თუ სამივე შეკეცილობა შუბლზე ერთად იჯდა, — გვეუბნება ავტორი, — „ვაი შენს მტერს, ცუდი ნიშანია, სჩანს დიამბეგს ხელიდამ გასხლტომია კაი ნაშერი“.

ამ „კაი ნაშრისათვის“ ზრუნვას, ვაჭრობას, მუდამ აღებ-მიცემობაზე ფიქრსა და მცდელობას, დიამბეგის რაღაც განსაკუთრებული ტიპი შეუქმნია თავისი ჩაცმულობითა და გამომეტყველებით. ბეჟან კალმახიძესაც დიამბეგისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელი აცვია. ხოლო „ცხვირი, პირი ისე მარჯვედა ჰქონდა მოყვანილი, რომ თუ ვინიცობაა წერას დაეპატიჟნა და ქოთანში მოეხარშა საჭმელი, იქაც ჩასწვდებოდა და თუ მელას დაეპატიჟნა და თეფშზედ მოეტანა საჭმელი, იქაც ცარიელი არ დარჩებოდა“.** მარდი ხელები, აღებ-მიცემათვის ყოველთვის მზადმყოფი, ასევე მარდი ფეხები, მოტვლეპილი თავი „მომცდარ ყანასავით“, გონებაში ის აზრი, რომ „აღებ-მიცემობა კარგი იქნებოდა... რომ მარტო აღება იყოს და მიცემა კი არა“ — აი, ტიპიური დიამბეგის სრული პორტრეტი. რომელსაც ბეჟან კალმახიძე განასახიერებს.

სადარდებელი და სამწუხარო დიამბეგსაც ბევრი აქვს. მაგრამ საქმე, ხალხის ტანჯვა კი არ უშფოთებს სულს, არამედ, ის, რომ პატივისცემა უნდა უფროსებს — სტოლნაჩალნიკს, სოვეტნიკს, ერთს შეიჩვევ, პატივსა სცემ, უცებ გადაიყვანებენ სხვაგან. ახლა მეორე უნდა შეიჩვიო, პატივი სცე, ასე არ მოიქცევი და ადგილს დაჰკარგავ, „დარჩები ცარიელი“. დიამბეგი თვითონვე უსირცხვილოდ ეუბნება თავის „პერევოჩიკს“ — არც ისეთი უსწავლელი ვარ, უფროსის პატივი და სამსახური არ ვიცოდე, გარდა ამისა, „ჩემის ჯიბით ხომ არ

---

* ეს დაუმთავრებელი მოთხრობები და პროზული ფრაგმენტები ვარიანტებით მკითხველს შეეძლია იხილოს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომში, 1937 წ. გამოცემა, გვ. 474—524.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 475.

ვემსახურები, მეც აქა-იქა გამოვრჩები ხოლმე, მეც ვირგებ და იმათაც ვარგუნებ ხოლმეო“. ეს პატივისცემა დაკარგულად არ ითვლება. უფროსიც სიკეთით გადაუხდის. ისე, უმჯობესია „გუბერნსკის პრავლენიისაგან“ შორს იყო, მაშინ „მეფეხარ შენს უჩასტკაში, არც სტოლნაჩალნიკიო და არც სოვეტნიკიო, ყველანი ფეხებზედ გკიდია“. ადვილი წარმოსადგენია როგორ მეფობას გასწევდნენ ხოლმე დიამბეგები „თავიანთ უჩასტკებში“. ისინი განზრახ აწყობდნენ ხოლმე „საქმეებს“, რომ უმიზეზოდ მახეში გაბმულისაგან თავდახსნის გასამრჯელო აეღოთ. ერთ მაგალითს თვით ბეჟან კალმახიძე იხსენიებს. ვინმე თურაშაულიშვილს მკვდარი ეზოში შეუგდეს, ყალბი ბრალდებისაგან გაათავისუფლეს და ამ „საქმეში“ სამოცი თუმანი გამოართვეს. აქედან უფროსსაც წილი დაუდეს, მაგრამ ის უფროსი სხვაგან გადაყვანეს, ახალი მოვიდა, მასაც პატივი უნდა. მაგრამ ზოგიერთი კაცი ახირებულია. შეიძლება გაჯიუტდეს. წამალიც იცით: დააცლიან დაწურულ მაჭარასვით დადუღდეს, მერე ან ფულს აიღებს, ან ცხენს წაიყვანს, ან ღვინოსა და პურზე არ იტყვის უარს, თუ გაჯიუტდა, ერბოსა და ცხვარს მაინც ვერ გექცევა. „ან ერთით მოინადირებ, ან მეორით“.

როცა ბეჟან კალმახიძე ერთ დროს ნუხაში „პერევოჩიკად“ მუშაობდა, დიამბეგად ტურიძე იყო. უფროსად ვიღაც ახალი, რუსი კაცი დაუნიშნეს. ბევრი ეცადა ტურიძე, რა არ შეაძლია, ჯამაგირზედაც კი ხელი აიღო უფროსის სასარგებლოდ, მაგრამ არ იქნა და ვერ მოინადირა. მალე „სეკრეტრის წიგნი“ მოვიდა — ტურიძეს წერდნენ — ახალ უფროსთან ცუდად ხარ დაბეზღებული და ცუდ საქმესაც გიპირობსო. „აბა შენ იცი და შენმა კაი კაცობამაო, თუ ეხლაც თავს დაიჭერო, ინტერესი მოგივიდაო“... აქ წყდება „დიამბეგობის“ ე. წ. პირველი ვარიანტი, მაგრამ მკითხველი კარგად იგრძნობს ავტორის განზრახვას: გამოააშკარაოს მმართველი ბიუროკრატიის ანტიხალხური, ანტისაზოგადოებრივი ბუნება, რომელიც სტომაქით არის შეპირობებული და საქეყნო ჭირ-ვარამი ფეხ-ქვეშ გაუთელია. მოთხრობის მეორე ვარიანტში ჩინოვნიკების საზიზღარი, მოსყიდული და გარყვნილი სახე კიდევ უფრო მეტი პლასტიკურობით არის წარმოდგენილი.

ჩვენთვის უკვე ცნობილი დიამბეგი ბეჟან კალმახიძე, რომლის უმცროსი ძმა მათე კარგა ხნის მიცვალებულია, აზნაური იყო. მაგრამ ძმები პატარაობაშივე დაობლებულან, ბიძას მათთვის მთელი მემკვიდრეობა წაურთმევია, ობლები კი კანტანისტებად მიუბარებია. ბეჟანი და მისი ძმა დავითი* ქალაქში ჩამოსულან, წერა-კითხვა რაკი იცოდნენ — ბედსაც ეწიენ: ბეჟანმა მწერლის ადგილი იშოვა ერთ სომეხ სტოლნაჩალნიკთან, თვეში რვა მანეთი ხელფასით. როგორც კი სული მოიბრუნა, უმცროსი ძმა გაადგ ო. — „მე რა მაქვს, რომ შენც შეგინახოო“. ამის შემდეგ ძმებს ერთმანეთი სიკვდილამდე აღარც უნახავთ. ცხოვრების მგლურმა წესმა ისინი სამუდამოდ დააშორა ერთმანეთს.

მეორე წელს ბეჟან კალმახიძეს ხელფასი მოუმატეს — თექვსმეტი მანეთი დაუნიშნეს. „ჩინოვნიკობის ეშმაკობაც“ კარგად შეითვისა. ერთ სოვეტნიკს ძალიან დაუახლოვდა, თავი შეაყვარა, საჩუქრებით გული მოულბო. როცა

---

* ხელნაწერში აქ ავტორს არევია — თავდაპირველი „მათეს“ მაგიერ „დავითი“ დაუწერია და აღარც გაუსწორებია. ტექსტში შეზდეგ ისევ „მათე“ იხსენიება.

სტოლნაჩალნიკს მოადგილის თავისუფალი ადგილი გაუხსნეს, ბეჟან კალმახიძე იქ დანიშნეს მწყალობელი სტოლნაჩალნიკისა და სოვეტნიკის წარდგენით. ახლა ბეჟან კალმახიძის საზრუნავი ის იყო, რომ მისი კაცად გამომყვანი, მოამაგე სტოლნაჩალნიკი — ა ვ ე ტ ი კ პ ე რ ა ნ გ ო ვ ი როგორმე თავიდან მ ო ე შ ო რ ე ბ ი ნ ა და უ ფ რ ო ს ი თ ვ ი თ ო ნ გ ა მ ხ დ ა რ ი ყ ო. ამ მიზნით უფრო დაუახლოვდა სოვეტნიკს — ს ი დ ო რ კ ა რ პ ი ჩ ს, მლიქვნელობითა და საჩუქრებით უსაზღვროდ შეაყვარა თავი, მამად და ღმერთად გამოაცხადა, ა ნ ა კ ა რ ლ ო ვ ნ ა ს (სოვეტნიკის მეუღლეს) ძვირფასი საკაბე მიართვა, ერთი სიტყვით, ბეჟან კალმახიძე მათი ოჯახის უ ე რ თ გ უ ლ ე ს ი, უ ს ა ყ ვ ა რ ლ ე ს ი კაცი შეიქნა, როცა უტყუარი, სრული ნდობა მოიპოვა, ბეჟან კალმახიძე შეტევაზე გადავიდა: სოვეტნიკ სიდორ კარპიჩს იაგოსავით საწამლავი ჩაასწვეთა — მართალია, სტოლნაჩალნიკი პ ე რ ა ნ გ ო ვ ი ჩემი მწყალობელია, მაგრამ თქვენ მეტი ხართ — მ ა მ ა დ. ღ მ ე რ თ ა დ გიყურებთ და თქვენდამი უსაზღვრო ერთგულება მაიძულებს გითხრათ, რომ ის „ეშმაკი კაცია", ორგულია, გ ა ტ ყ უ ე ბ თ ო. ბეჟან კალმახიძემ ფაქტიც დაასახელა: იმ დღეს, როცა პერანგოვმა ერთი სომეხი კაცის კლაში გარია, ასორმოცდაათი კი არა, როგორც თქვენ გითხრა, „ჯამხასი თუმანი ტრიალებდა. ასი თუმანი პრისტავმა აპკრა, ოცდა-ათი ქვარტალნიმ, ასი თუმანი პერანგოვმა... აიღო, სამოც-და-ათი თქვენ მოგიტანათ. ამას გარდა პრისტავსაც ოცი თუმანი დასტყუვა თქვენ სახელობაზედ, სოვეტნიკმა შეგიტყოო, რომ ტყუილად გადაბრალეო კაცის კლა სომეხსაო, ის კი არ ვიცი, რა უყო. იქნება თქვენ მოგართოთ კიდეც და მე ტყუილად ცოდვაში ვდგებოდე".* სოვეტნიკმა დ ა უ დ ა ს ტ უ რ ა, რომ არა ის ოცი თუმანი არ მიუღია. თუმცა კალმახიძემაც კარგად იცოდა — პერგანოვს მისთვის არ მოუცია.

ამის შემდეგ სოვეტნიკი ს ი დ ო რ კ ა რ პ ო ვ ი ჩ ი გულაყრილი შეიქნა თავის სტოლნაჩალნიკზე, რომელიც „პატიოსანი კაცი" ე გ ო ნ ა, ხოლო მის „პატიოსნებად" ის მიაჩნდა, რამდენადაც უნაკლოდ ჩაუთელიდა თუმნიანებს. ახლა კი თ ვ ა ლ ე ბ ი ა ე ხ ი ლ ა: მისი ერთგული თურმე პერანგოვი კი არა, მარტოოდენ ბ ე ჟ ა ნ კ ა ლ მ ა ხ ი ძ ე ყ ო ფ ი ლ ა, რომელსაც ამიერიდან სტოლნაჩალნიკობა ა ღ უ თ ქ ვ ა, ემუდარა კიდეც — პერანგოვს გ ა დ ა ვ ა ყ ე ნ ე ბ და მისი ადგილის დაკავებაზე უ ა რ ს ნ უ მ ე ტ ყ ვ ი ო. კალმახიძე გ ა ნ ზ რ ა ხ უარზე დადგა, რაკი იცოდა, რომ მისი უარი აღარ გასჭრიდა. ის უკვე გაუფორმებელი სტოლნაჩალნიკი იყო. ბოლოს, თითქო ძალუებული შეიქნა, თ ა ნ ხ მ ო ბ ა მიეცა. „მივარდა და აულოკა თითქმის დამჭკნარი და უცოდველი ხელი დროულს ივან კარპიჩსა" (სიდორ და ივან კარპიჩი მეორე ვარიანტში ერთი და იგივე პირია). ასეთია მოხელის ბუნება, შესანიშნავად ათავსებს სოლმე ცბიერობას, ვერაგობასა და ძაღლურ მლიქვნელობას.

რაც მოხდა, სტოლნაჩალნიკ ა ვ ე ტ ი კ პ ე რ ა ნ გ ო ვ ს ჯერ არ გაუგია, მან მხოლოდ ის იგრძნო, რომ ამ ბოლო დროს, მისი გაზრდილი, შვილივით საყვარელი ბეჟან კალმახიძე და სოვეტნიკი „ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს". მაგრამ არაფრად აგდებდა — ჩემს ოჯახში თითქმის წევრად მიღებული, ჩემს მიერ გზაზე დაყენებული, ჩემი შვილის ნათლია, ჩემი მოადგილე ბეჟან კალმახიძე არ

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 481.

მიღალატებსო. თვით დიდი გაიძვერა ივიწყებდა, რომ ჰატარა გაიძვერებიც არიან, რომლებიც ხვალ მასავით დიდები გახდებიან.

დიდი გაიძვერობის გზაზე უკვე საკმაო ხნიდან შემდგარი ბეჟან კალმახიძე პირველი თვითონ მივიდა პერანგოვთან, და თითქოს მადლს უხდიდა წარსული სიკეთისათვის, ფარისევლური მწუხარებით აუწყა: „ვიღასაც სოვეტნიკთან დაუბეზღებიხარ; მოვკვდი, ეს რომ შევიტყეო“. პერანგოვი გაშრა, თავზარი დაეცა, ბეჟან კალმახიძემ ისევ გაუმეორა: „ვიღასაც სოვეტნიკთან დაუბეზღებიხარ და გამოგდებას გიპირობს. მე ეს ნამდვილად ვიცი და, როგორც შენი ერთგული, გატყობინებ, რომ შენი თადარიგი დაიჭიროო“. ბოროტი კეთილი სახით ევლინება თავის მსხვერპლს. გზასაც უბნევს — სოვეტნიკთან არ მიხვიდე, ფული არ მიუტანო, „ახლოც არ მიგიკარებსო“. პერანგოვი ვერ მიმხვდარა, თუ ვინ არის მისი დამღუპველი, თუმცა იუდა გვერდით უზის. ეს იუდა ასე ამშვიდებს თავის ქრისტეს: „...შენ რა გიჭირს, ჩემო ავეტარ, შენს ცოდვილობით და კაი კაცობით (ე. ი. მოხერხებული მექრთამეობით, რაც მათ ენაზე „კაი კაცობას“ ნიშნავს — გ. ჯ.). ერთი ორიოდე გროში ვაიჩინე და ფეხებზედ გკიდია ყველაფერი, მე უნდა ვიცე თავში ქვა, რომ თუ კინიცობაა შენ დაგითხოვეს. მფარველი და შემწე აღარ მეყოლება, მეც დღესა თუ ხვალე პანჩურსა მკრამენ და გამომაგდებენ. აბა მე ვიქნები დაღუპული აი, სოფლად მოარული გლახა გავხდები. შენმა უბედურებამ მე დამღუპა, მე! ვინ იყო ის იუდა, რომ ამისთანა საქმე ჩაგვადინა და გულზედ ხელები დაგვაკრეფინა? ღმერთმა მოჰკითხოს საააოსაც და საიქაოსაც!“*

ბოროტმოქმედს არაფრის არ ეშინია. ის ვერც იარსებებს, თუ ერთ დანაშაულს მეორე არ მიუმატა. ბოროტმოქმედის სტიქია დანაშაულია. რაკი ერთი ნაბიჯი გადასდგა, ღალატს, გამყიდველობას მეორეც მიუმატა — მსხვერპლის წინ გაიძვერობა, პირფერობა, მლიქვნელობა. იმასაც არ მოერიდა, რომ თავისი საქციელისათვის იუდას სახელი შეერქვა თვითონ განზე გამდგარიყო, თუმცა თვითონვე იყო საზიზღარი ისკარიოტელი. თითქოს ეს იგრძნო პერანგოვმა: ორი კვირაა სოვეტნიკი „ყოველდღე მტუქსავს, ჯავრობს, ყველა ქალალდსა წუნსა სდებს. თურმე ნუ იტყვი, იუდა ისკარიოტელი შეჯდომია, ბეჟან! ნუ გამიწყრები კი, და რაც მე დამიშორა, მას აქეთ შენ დაგიახლოვა, — ჰა? რა ვიცი?.. ეშმაკია... ქვეყანა...“ თუ დაფიქრების ოდნავი დრო მიეცემოდა, თვით ეშმაკი პერანგოვი ადვილად მიხვდებოდა კალმახიძის ეშმაკობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლები გაიძვერა როდია, გამოჰყავდა ვერ იპოვის. კალმახიძემ თითქოს იწყინა, რომ მისი მზრუნველი დაეჭვდა შვილივით გაზრდილში, ამის გაგონებას „ჩემის თავის სიკვდილი მეორჩივნაო“, „შენის გულისთვის ამ ორი კვირის წინად ძაღლსავით ხელები მილოკსია, ცრემლით მიხვეწნია, რომ შენ არა დავმართოს რა და შენ ეხლა მაგას მეუბნებიო“. თქვა და წასვლა დააპირა, მაგრამ პერანგოვმა შეაჩერა. თავისი გული გადაუშალა, ეგ რა საწყენია, გაიძვერობა მეც ჩამიდენიაო: „რას ჯავრობ, შე დალოცვილო?.. ის ზღაპარი აღარ გახსოვს, რომ ერთმა გლეხკაცმა გველი სიკვდილისაგან დახსნა და გველმა სიკეთის მაგიერად ყელში წაუჭირა და კინაღამ არ დაახჩო; ვა! ის კაკალი აღარ გახსოვს, რომელმაც თქვა,

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 483.

რომ ცხელ პაპანაქებაში მოვლენო, მოიგრილებენო ჩემ ჩრდილშია, მერე ტოტსაც მამტეხენო და ისე წავლენო. ვა! კაცი ამისთანაა, ჩემო ბეჟან! მე მიქნია მაგისთანა საქმე, რაზაც შენა გწამებ, ვა! სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია?"* ბოროტი საქმე, გამყიდველობა პერანგოვსაც უქნია, ამიტომ სხვისიც არ უკვირს, მხოლოდ ის ანცვიფრებს — ამისათვის რად ჯავრობ, ეს ცხოვრების კანონიაო.

განა ასეთი ორფეხა ცხოველების ხელში ადამიანობა, სიმართლე, ჰეშმარიტება ყოველთვის ფეხქვეშ არ იქნება გათელილი და მიწასთან გასწორებული? მატყუარობა, ცბიერება, გაიძვერობა პერანგოვ-კალმახიძეების ხელში. ბურთად ქცეულა, იქით გაჰკრავენ, სადაც ცარიელი გოლი ეგულებათ და მოედანიც მათია. „იქნება შენ გექნას... ბეჟანი კი მაგ ცოდვაში არ ჩადგებაო", — თავმომწონედ, გამარჯვებულის პოზაში ეუბნება ასეთ უსირცხვილო ტყუილს კალმახიძე თავის მსხვერპლს, თან გაიძვერულად დასძენს: „მე მაგაზედ კი არა ვჯავრობ, ის მეწყინა, რომ შენ, რომელიც ათასს მამას მირჩევნიხარ და რომელსაც შეიღივით შეგინახივარ, ისე როგორ გამომიმეტე. რომ ჩემი ღალატი გულში გაიტარე. აი, ჩემი გულისწვრა არის, ჩემო კეთილმყოფელო ავეტიქ! ახლა შენ არ იცი, მართალი კაცისათვის მაგისთანა ცილი რა ძნელია!.."** ნამდვილად მართალი კაცისათვის ძნელი კი არა, სიკვდილივით მწარეა, მაგრამ ისეთი გაიძვერა ადამიანებისათვის, როგორიც პერანგოვ-კალმახიძის დასია, ეს მხოლოდ ჩვეულებრივი მოვლენაა, მთავარი მარტო ისაა, ვინ დაიწერებს, ვინ ვის მოერევა. და ავტორი მოურიდებლად გვანიშნებს, რომ პერანგოვ-კალმახიძე და ძმანი მათნი, რომლებმაც ეპიზოდურად გაიელვეს მოთხრობაში, ერთეულები კი არ არიან, მთელი კორპორაციებია, ცხოვრების სადაველები ხელში რომ ჩაუგდიათ და წურბელებივით შესევიან ხალხს.

ჩვენამდე მოღწეულ პატარა ფრაგმენტში ილია უფრო აზუსტებს პერანგოვის სახეს (ამ ნაწყვეტში მას „ავეტიქის" მაგიერ „აღასი" ჰქვია) და ოცდაჩვიდმეტი წლის კაცს ისეთი გარეგნული სიმახინჯით წარმოგვიდგენს, როგორიც მის ბინძურ შინაგან არსებას სავსებით შეეფერება. ტლანქი, თითქოს ნაჯახით გაეთალოთ, ალმართ-დალმართიანი ცხვირი, ბოლოში „ქორის ნისკარტივით გადახრილი", გუბეებსავით გაჩერებული „შავი დიდრონი თვალები", „ცხენის ძუასავით სქელი შავი ხშირი თმა, შავივე პტყელი წარბები ურთიერთზე გადაბმული; შავი ბუსუსი ვიწრო შუბლზედ, შავი გძელი წამწამი მაგარი ულვაში, ბოლოებში და ტუჩის გადასწვრივ შეკრეჭილი, ლურჯი სახე ნაპარსევი ბალნის ძირისა გამო, ბოხი, უსიამოვნო, შემაზრზენი, მკვახე ხმა..." მჭრონი ყველაფერი ეს ჯოჯოს უფრო შეეფერება, ვიდრე ადამიანს.

რა სამწუხაროა, რომ ილიას არ დაუმთავრებია პერანგოვ-კალმახიძეების ცხოვრების აღწერა; „დიამბეგობა" რომ დაესრულებინა, ჩვენ უთუოდ მივიღებდით ერთ შესანიშნავ პროზულ ნაწარმოებს, რომელიც ასე კარგად გამოაფენდა მეფის ბიუროკრატიული აპარატის სრულ შინაგან სიდამპლეს და ანტიხალხურ ბუნებას. მაგრამ მოთხრო-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 484. ხაზი ყველგან ჩვენია—გ. ჯ-
** იქვე.

ბის ის ფრაგმენტები, რომლებიც ჩვენ ახლა განვიხილეთ, მაინც მშვენივრად აღწევენ მიზანს. წარსული ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები თუ გვინდა გავაცნოთ მოსწავლე ახალგაზრდობას, ჩვენ ძნელად ვიშოვით უკეთეს მასალას ბიუროკრატიულ მოხელეობაზე, ვიდრე „დიამბეგობის“ ფრაგმენტებია. საკვირველი ის არის, რომ ამ დაუმთავრებელ მოთხრობას დღემდე ნაკლებად ან სულ არ იყენებენ სახელმძღვანელოების ავტორები, რომლებიც მოწოდებულნი არიან საშუალო სკოლის მოსწავლეებს, ლიტერატურული თხზულებების საშუალებით, გააცნონ მეფის ბიუროკრატიული აპარატის პირობებში ხალხის აუტანელი ყოფა, ის ადამიანები, ცხოვრებას რომ კიდევ უფრო აუტანელს ხდიდნენ.

ჩვენ ახლა უნდა შევეხოთ „დიამბეგობის“ მესამე ვარიანტს, რომელშიაც კვლავ გვხვდება ბეჟან კალმახიძე, მაგრამ ეს ფრაგმენტი, ზოგიერთი ცვლილებით, თითქმის მთლიანად არის გამოყენებული მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“, ხოლო აქ „მარგალიტი ლექში“ ეწოდება. დასრულებული მოთხრობაც და ეს ფრაგმენტიც იწყება სიტყვებით: „შუა ზაფხული იყო“, მხოლოდ თუ პირველში ლოჭინის ხევია, ფრაგმენტში, შაშასადამე, უფრო ადრე, ლაკბეს ნაკლებად ცნობილი ხევი ყოფილა. აქაც ის ორი ყმაწვილია, თურქმიშაზე. რომ გააგზავნა კანტანისტებად ბიძამ (ფრაგმენტში), მამინაცვალმა (მოთხრობაში). ერთს ჰქვია ბეჟანი, მეორეს მათე, გვარად კალმახიძეები არიან. მოთხრობაში კი მარტო ბეჟანის სახელია დარჩენილი. მეორე ძმას კი — პეტრეს წერილი რომ გამოუგზავნა, როგორც „სარჩობელის“ განხილვის დროს ვნახეთ, სახელი არა აქვს, ისევე როგორც პეტრე ფრაგმენტში მარტოოდენ „დროულ გლეხკაცად“ იხსენიება. ამ კეთილ კაცს ფრაგმენტშიაც ძარცვავენ ყმაწვილები, შემდეგ ქალაქში ჩამოდიან, ბეჟანი სახლიდან გააგდებს უმცროს ძმას — მათეს, როგორც კი სტოლნაჩალნიკ ავეტიკ პერანგოვის დახმარებით მწერლად დაიწყებს მასთან მუშაობას.

ფრაგმენტში სრულიად ახალი სურათებია შეტანილი, თუ როგორ ურჩია პერანგოვმა ბეჟან კალმახიძეს აზნაურობის მოწმობა ეშოვა, რაკი მამა აზნაური ჰყავდა, როგორ მოახერხა ეს საქმე ბეჟანმა თავისივე სოფლელი მღვდლის დახმარებით, როგორ მიიღო ხელფასიანი ადგილი სტოლნაჩალნიკთან და „ჩინოვნიკობის ეშმაკობას“ მიხვედრილი როგორ გახდა შაგიდის უფროსის მოადგილე. „მარგალიტი ლექში“ ერთი ბრწყინვალე დოკუმენტია, რომელიც ნათლად მეტყველებს, თუ რა უცნაურ შემოქმედებით მეტამორფოზას განიცდიდნენ სახეები და ტიპები დიდი მწერლის ხელში. საკმარისია მარტო ბეჟანი ფრაგმენტისა — „მარგალიტი ლექში“ და მოთხრობისა — „სარჩობელაზედ“. ერთი და იგივე პერსონაჟი. ილია ჭავჭავაძის მძლავრმა შემოქმედებითმა ფანტაზიამ სრულიად ანტიპოდურ სახედ გარდაქმნა.

დაუმთავრებელი „ცხოვრების გამონაცადი და გამონა-

ფიქრი", რომელიც „ჯერ არ-დაბადებულ ყრმათ" ეძღვნება, წარმოადგენს გონებამახვილურ პამფლეტს. ავტორი დასცინის ცხოვრების მახინჯ მოვლენებს, მაგრამ სარკაზმის მთელი ძალით თავს ესხმის ადამიანის იმ შემბოჭველ ყოფას, რაც მას დაბადებისთანავე ტანჯვის მორევში გადაისვრის ხოლმე. ნაწყვეტი დაწერილია მსუბუქი იუმორით. ჯერ არდაბადებულ ყრმებთან გაბაასების ფორმით, ეტყობა ილიას განზრახული ჰქონდა მორალის სფეროსაც იმავე ფართოდ შეხებოდა, როგორც სოციალურ პრობლემატიკას. სხვანაირად ვერ გავიგებთ მის ირონიას, რომ დაბადებისთანავე ბავშვს ურჩევს — უმალ მეტრიკის მოწმობისათვის უნდა იზრუნო, ვინაიდან უთმისოდ „არც სახელმწიფო სასწავლებელში, არც სამსახურში. არც თავისუფალის ცხოვრებისათვის არსად არ მიგიღებენო". მარტო ერთ შემთხვევაში შეიძლება უმეტრიკოდ „იოლად" წასვლა — თუ „თქვენ კვდრად იბადებით. ანუ მარტო იმისთვისა სჩნდებით, რომ დაწესებული რიგი აღასრულოთ და დააგვირგვინოთ მეათე თვეზედ ორსულობა მშობლისა — და ამის შემდეგ ცხოვრება თქვენი შესწყვიტოთო". კანონიერად ჩნდებით, თუ უკანონოდ, იძულებული ხართ „დაემორჩილოთ გარემოებას", მკვდრად დაბადებული ამ მორჩილებას როგორღა გაექცევა, ხოლო ღარიბი — მით უფრო. უკანონოდ შობილმა ისიც უნდა სცადოს, რომ საბრალო დედა დააჯეროს— თქვენი გაჩენის მიზეზს ხვეწნა-მუდარა არ დაუწყოს, რაკი არავითარი შედეგი არ მოჰყვება. მკვდრად დაბადებული კი მიწაში დაიშლება. „ესე იგი უსიცოცხლოდ მიაღწევს იქამდინ, სადამდინაც მიახწევენ ხოლმე სხვანი ზოგჯერ ხანგრძლივ სიცოცხლითა". ყოველივე აქედან, ეუბნება ავტორი ჯერ არშობილ ყრმათ, თქვენ ხედავთ, რომ „მწუხარება თქვენზედ წინ იბადება". ამიტომაა ბევრი, ძალიან ბევრი წყევლის თავის გაჩენის დღეს.

თუ რა ხდება ირგვლივ, რომ გაიგოთ, დიდი ჯაფა არ არის საჭირო, ვინაიდან „მწუხარება, სიღარიბე, უილაჯობა, — ესენი ყველაფერი იმისთანანი არიან, რომ ყველას ადვილად თვალში ეცემიან. თუ რომ თქვენ გარეშემორტყმული კაცობრიობა კარგად და ზდილობიანად გეპყრობა, თუ თქვენი პირველი სამოსელი სამაგალითო წმინდა ტილოსია ან ბატისტისაა, ადვილად მიხვდებით, რომ თქვენ ბედნიერების შვილი ხართ. თუ თქვენ დაიბადენით მინდორში, ან ჰვარტლიან წნულში სადმე, ადვილად მიხვდებით, რომ ნებივრობაზედ და ბრწყინვალებაზედ თქვენ მაშინვე პრეტენზია უნდა თავიდამ გამოიბერტოთ. თუ თქვენს დაბადების მეორე დღესვე დედა-თქვენი წავიდა სამუშაოდ, დღიურ ლუკმის საშოვრად, რომ თუნდ გლეხი არ იყოთ, მაინც იცოდეთ, რომ თქვენის შთამომავლობის და გვაროვნობის ხე ჰყვავის არა მსუქან სამკვიდროზედ, არამედ მიწაზედ, რომელიც მორწყულია ჯაფის ოფლითა. თუ დაბადების დროს იხილეთ თქვენი თავი არა აკვანში და ოთახში, არამედ ძონძებში გახვეული და ქუჩაში გდებული, — და თუ არ გაგეგებათ რა ხართ და ვინა ხართ — მონახეთ თქვენს ახლო წერილი, საცა ეწეროს: „ღვთის მოყვარე ხალხსა ვთხოვ სამადლოდ გაზარდონ (ამა და ამ სახელის) ყმაწვილი". თუ ამისთანა წერილს იპო-

ვით, მაშინვე მიხვდებით — რომ გადაგდებული ხართ, თუ ვერ იპოვით, — რა-საკვირველია —ამასვე გაიფიქრებთ, მაგრამ მიხვედრით კი".*

რა სურდა ყოველივე ამით ეთქვა ავტორს? მთელი ნაწყვეტის ძირითადი აზრი იმის ღაღადებაშია, რომ მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანს დაბადებისთანავე უბედურ არსებად ხდის, ამახინჯებს. კეთილშობილ მიდრეკილებებს უკლავს, ტანჯვის უღელში აპეურებს სულ მაგრად და მაგრად უკერს. ამიტომ ითელება მისი სული. ირგვლივ გამეფებული უწესივრობა თავიდანვე სიმწარეს ასმევს ყრმას, რომელიც აკვნის არტახებშიაც გრძნობს მომავალში რა მოელის.

და ავტორი შემდეგი სიტყვებით მიმართავს აკვანში ჩაკრულ ყრმებს, რომლებიც ცხოვრების სიმწარისათვის არიან განწირულნი: „თქვენი აკვანში წოლის ხანი თითქო ძალად იმისთვის არის, რომ ყველაფერი სინჯოთო. თქვენ თქვენ-თავად ამ ცხოვრების ხანში შეგიძლიანთ ძვირფასი და შეუდარებელი ცნობები მოკრიფოთ კაცებზედა, და ის ცნობანი თქვენ ცხოვრებაში მერე გამოგადგებათ მით, რომ მეტის-მეტი ნდობა და აღტრფიალება არავისი აღარ გექნებათ. გარეშემო მრავალი ხალხი შემოგერტყისთ. თქვენ მარტო თვალი და გონება ადევნეთ: ბევრს რასმეს შეიძენთ. „აი, ბაიყუში, დაიწყო ბღავილი ძაღლის ნაშობმა!" --- ირტყვის ძიძა თქვენის ჩხავილის გამო, რომლითაც თქვენ გინდათ აცნობოთ, რომ მადა მოგივიდათ და ძიძამ უნდა მოგაწოვოთ თქვენ ძუძუ, ამიტომ რომ თქვენი მოწოვება იმას კისრად აუღია და სამაგიეროდ ფულს იღებს. იგივე ძიძა — შემოვა თუ არა თქვენი მშობელი ოთახში — მოჰყვება თქვენს ქებას. რომ „ბევრი ყმაწვილი უნახავს და ამისთანა მშვენიერის და ჭკვიანის ყმაწვილის ნახვა პირველია". აშკარაა, რომ მოისმენთ თუ არა ამ ფრაზასა და შეადარებთ, თქვენ უნებლიეთ გაიფიქრებთ: „ეს ჩემი ძიძა რა-რიგი დაცემული ხასიათის დედაკაცი ყოფილაო"... ახლა ისე რომ მოხდეს, რომ ყველანი, ვისაც კი თქვენთან საქმე დაუჭერია, ქალი თუ კაცი, სულ მაგ ორპირობაში დაჭიროთ. რა უნდა ქნათ? მე თქვენი ვიყო, მთელი სამი დღე. და ღამე სულ ვიბღავლებდი და აქეთ-იქით ვაწყვეტდი თავსა, ამიტომ რომ, თქვენგან — მიტეევება, გაგება, გამართლება რომ მოვითხოვოთ, მაშინ როდესაც ტუჩებზედ რძე არ შეგშრობიათ, უგუნურობა იქნება და შეუძლებელიცა... რძე თქვენი მხოლოობითი საჭმელია დრომდე, ამიტომაც ამაზედ მოლაპარაკება მეტი არ იქნება. დედაკაცის გვამს მაშინ მოუვა ხოლმე რძე, როცა თქვენ იბადებით; დედის ძუძუებში არის თქვენი პირველი კაფე-რესტორანი, საიდამაც ნისიად გამოგაქვთ თქვენთვის საჭმელი და სადაც დიდი ნდობა გაქვსთ..."**

ჩვენთვის ძნელია დავადგინოთ, საბოლოოდ თუ რა სახეს მიიღებდა ეს ნაწყვეტი. ავტორს რომ დაემთავრებინა, მაგრამ ერთი რამ სრულიად უეჭველია: მივიღებდით თხზულებას, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე თავისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფით მოვლენებს, სოციალურსა და მორალურს, ისევე გააკრავდა სამარცხვინო ბოძზე, როგორც დასრულებულ პროზულ ნაწარმოებებში საქვეყნოდ გამოაფინა.

საინტერესო სიუჟეტური ქარგა აქვს დაუმთავრებელ მოთხრობას — „უღელტეხილი". რომელიც სოფელ კილხში მცხოვრები თავადის —

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 491.

** იქვე, გვ. 491—492.

ქაიხსრო ბაიდურაძის ოჯახს აგვიწერს. თვით თავადი ოცი წლის წინათ გარდაიცვალა, მისი მეუღლე კნეინა თამარი, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა დაქვრივდა — ოცდაცამეტი წლისა, „აღარ გათხოვდა, თუმცა ბევრი ცდილობდა ცოლად მის შერთვას. თამარის ოთხი შვილიდან სამი გარდაიცვალა, ხოლო უმცროსი დიმიტრი. ოცდახუთი წლის ახალგაზრდა, თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, პეტერბურგის უნივერსიტეტში ნასწავლი, შინ ბრუნდება. მთელი ოჯახი — კნეინა თამარი, დიმიტრის გამდელი — მოხუცებული თითია, მოურავი თევდორე, მზარეული, გოგო-ბიჭები ისეთ მზადებას უწყობენ ახალგაზრდა მებატონეს, რომ გეგონებათ „ამ სახლში ჭორწილისათვის ემზადებიანო“. თითია მზარეულსაც კი არ ანებებს და თვითონ ამზადებს დიმიტრისათვის ჩიხირთმასა და ფალუსტაკს. ქალბატონი ჩოხას დაჰპირდა ბიჭს, ხოლო კაბას — გოგოს, ვისც პირველი აცნობებდა შვილის მოსვლას. ნაწყვეტი იქ თავდება. სადაც პატარა ბიჭი იძახის — „ქალბატონო, ჩოხა, ჩოხა!“, რაც იმის ნიშანია, რომ დიმიტრის ცხენები ჭიშკარებს გვიან ღამით უკვე მოადგნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ დიმიტრი, რაკი პეტერბურგში უსწავლია, ამასთან, ობლობაში გაიზარდა, კეთილი ბუნებისაც ჩანს (შინ გამოგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ გრძნობიერი ახალგაზრდაა), მონანიე აზნაურის ან ქართველი რაზნოჩინეცის ტიპს განასახიერებს. შესაძლოა იგი არჩილის პროტოტიპიც იყო.

უთუოდ ქალაქური ცხოვრების აღწერას ისახავდა მიზნად ორ ვაოიანტად შემორჩენილი დაუმთავრებელი მოთხრობა „კატო“. პირველ ვარიანტში ავტორმა გვიჩვენა თბილისი ზაფხულის სიცხეში, შემდეგ, წვიმისაგან საღამოს გაგრილებული ქალაქი, რომლის ერთ-ერთ „ბაწყალ ვიწრო“ ქუჩაზე, დაბალი, ძველი სახლის ფანჯარასთან თავაუღებლად ზის და ჰკერავს ახალგაზრდა ქალი. იგი არაფერს არ აქცევს ყურადღებას. თოახშიც სიჩუმეა. ამ დროს ფანჯარას მოადგება „ერთი წმინდად ჩერქეზულად ჩაცმული ყმაწვილი ბიჭი“. რომელმაც ახალგაზრდა ქალს წერილი გადაცა. ეს წერილი კატოსათვის (ასე ჰქვია ახალგაზრდა ქალს) გამოუგზავნია მის მეგობარს ლიზას, რომელიც სპეციალურად ეპატიჟება. კატო იყო „მშვენიერის ტანისა“... „სახე არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ რაც უფრო ბევრს უყურებდი, უფრო და უფრო მოგწონდა; მისი მშვენიერი შავი თვალები და თვით მთელი სახის მეტყველობა ამტკიცებდა, რომ... ამა შავი თვალებისა ჩეული იყო ფიქრისა; ეს იყო... მიზეზი, რომ სახე მისი თანდათან უფრო მიმზიდავდა, თუ გნებავთ სიამაყეც ეწერა სახეზედ, მაგრამ ის სიამაყე კი არა, რომელსაც მამაკვდინებელ ცოდვად ვუბმობთ, არამედ ის სიამაყე, რომელმაც იცის თავის-თავის პატივი, რომელიც რა ამაღლებს თავისთავს, არამც თუ ამდაბლებს სხვას, არამედ სხვაც აჰყავს თავის თანაწორად“.*

და ეს მშვენიერი ქალი, მოხუც დედასთან ერთად მარტო-მარტო რომ ცხოვრობს, საკუთარი შრომით ირჩენს თავს. სხვა დამხმარე არავინა ჰყავს და ამიტომ მოსთქვამს დედაბერი: „ღმერთო!.. ღარიბის კაცის გაჩენაში [არ] რეულა შენი მოწყალება! დაგებადე და გვიბძანე: ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენი! მინამ შემეძლო, შემომიჩვევია განა შენ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 500.

თვის, მაღალო ღმერთო, ჩემო სიცარიბეო დაებერდი, თვალთ დამაკლდა და ხელი მიკანკალებს, ჯანში ღონე არ შემრჩა. მინამ შემეძლო და ჩემი პატარა კატო იყო ინსტიტუტში, პურის ცხობით ვინახამდი ჩემს თავსა. ეხლა აღარა შემიძლიან–რა. ეხლა ჩემი საწყალი კატო დღე და ღამეს ასწორებს ჩემის შენახვისათვის. მე კი, როგორც ბატონი, ხელგაუნძრევად, ჩემი ქალის თითების ნაშოვარს და მონაგარს ვჭამ და ვსვამ. ტყუილია, რომ შვილმა ხელზედ ერბოკვერცხი მაწვაოთ და ისე ვამოზარდოს მშობელი დედაო, მაინც იმის ამაგს ვერ გადაახდისო. ეე ბედნიერმა უნდა თქვა, რომელმაც არ იცის — რა არის შრომა, რომელსაც არ გამოუცდია დღე შრომითა და ღამე იმ ფიქრითა, რომ ხვალაც ეს დღე იქნება, ღამეც — იგივე ღამე...*

ეს ნაწყვეტი ადასტურებს, რომ ილია ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა დაეწერა მოთხრობა ქალაქის დაბალი ფენების ცხოვრებიდან, ეჩვენებინა მათი ყოფა, შესაძლოა, უსენი ძალის ჩარევა, რაც საბოლოოდ გაანადგურებს ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ობოლ ქალსა და მის ქვრივ დედას. ლიზას კალიასკა, ბულვარში სეირნობა, ვიღაც ბიძაშვილი ალექსანდრე, რომელიც მოთხრობის მეორე ვარიანტში ბოლოს გამოჩნდება, რაღაც ამგვარ კვანძს ჰკრავდა... მაგრამ ყველაფერი აქ თავდება; მეორე ვარიანტმა ახალი მბოლოდ ორი სახელი გვითხრა — ზემოთხსენებული ალექსანდრესი დაის, რომ კატოს დედას მაია ჰქმევია.

საინტერესოა იდეური კონცეფციის მხრივ ზოგიერთი ხანა დაუმთავრებელი მოთხრობისა — „მარგალიტი ლექში". მოქმედ პირებს იქ ჯერ კიდევ არა აქვთ შერქმეული სახელები. ორი ახალგაზრდა — გასათხოვარი ქალი და ყმაწვილი კაცი საუბრობენ განათლების საკითხებზე. ქალი უსაყვედურებს, რომ მისი თანამოსაუბრე, სხვას აძაგებს თუ აქებს, ყოველთვის ეკლებს ხმარობს, რაც სიბოროტის დამამტკიცებელია. ვაჟი კი თავს იმართლებს — „ვინც სიძულვილი არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინებაო". (გაიხსენეთ ილიას ცნობილი ლექსი — „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია"). ამ დროს ქალმა შეხედა იქვე სკამზე ჩაძინებულ „ერთ კურთხეულ ფაშვიან მებატონესა" და „ეშმაკობით სავსე ღიმილით სთქვა: — მე რომ ამისი ქალი ვყოფილიყავ, ერთს აბრეშუმის–სახიან სარტყელს მოუქსოვდი და ზედ ამ სიტყვებს გამოვსახავდი: „ოხ! ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსღა მექნება მე გაღვიძება" (ოდნავ გადაკეთებულია „ელეგიის" ბოლო ორი სტრიქონი). ამ სიტყვების შემდეგ ქალი სიცილს დააყრის ძილში წასულ „ფაშვიან მებატონეს". მაგრამ ყმაწვილი კაცი ამ საქციელს არ მოუწონებს: „ეგრე მადიანად ნუ იცინი, ჩემო ცელქო. — ეუბნება ყმაწვილი კაცი ქალს, — ეგ არ არის პირველი და უკანასკნელი. მეც, შენც და სხვანიც, სწორედ მაგისთანანი ვართ, ხოლოდ იმით განვსხვავდებით, რომ ყოველი ჩვენგანი სხვადასხვა-ნაირად გამოსთქვამს თავის-თავის და გულის ცარიელობას. ეგ კიდევ ჩვენზედ უკეთესია: მაგას არა მიუღია და არას გვაძლევს. ჩვენ კი... ეჰ, რა ჩვენ? ჩვენი დედ-მამა გატყავებულა ჩვენთვის, გავუზდივართ. გავუგზავნიეართ შორს. ჩვენც ვეიზარდენით და რა ნაყოფი მოვიტანეთ? ისა, რომ ქვეყანას ვარწმუნებთ. ქართველები არ ვარგანანო. ქართველები ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ, როგორც დროს და ისტორიას

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. 1. 1937 წ., გვ. 501.

მოუტანია, ჩვენ არ ვარგივართ, ჩვენ, განათლებულები. განათლება იმაში კი არა მდგომარეობს, რომ მიწასთან გავასწოროთ კაცი, რატომ შენც განათლებული არა ხარო; არამედ, როგორც ძმას, რომელსაც ჯერ ჰქონია ბედი განათლებისა, მოჰკიდო მზრუნველი ხელი და დააყენო ფეხზედ. აი — კაცი განათლებული, მარგებელი ქვეყნისა, აი ამ-გვარ კაცის წინ მოვდრეკ თავსა და თაყვანსა ვცემ. თორემ დაგვიყინია, რომ ჩვენს აზრს თანამოზიარე, თანამგრძნობელი არა ჰყავსო, და ამისა გამო დაგვიკრეფია გულხელი და არაფერში ვერევით. ერთი ჰკითხე იმ საზოგადოების გულცივობაზედ განათლებულს მოჩივარს, თავის სიცოცხლეში უთქვამ რამე იმისთანა და იმ რიგად, რომ გაგება შეიძლებოდეს?..“*

. თუ აქ, ამ ნაწყვეტში განათლების საკითხი ზოგადად არის დაყენებული, უფრო მეტი გამოუყენებლობის ასპექტით, დაუმთავრებელ „მოთხრობაში“, რომელსაც რუსთაველიდან მოტანილი ეპიგრაფი აქვს გაკეთებული—„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“, კვლავ გრძელდება დიალოგი ყმაწვილ ქალსა და კაცს შორის, მაგრამ ემატება სხვა საკითხები.

ერთი ახალგაზრდა „დიდი კაცის წვეულებაში“ გაიცნობს განდეგილად კუთხეში მიმჯდარ, თექვსმეტი წლის მშვენიერ ქალს, რომელიც მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენს. ეს გოგონა ძალიან განვითარებული, ნაკითხი, კრიტიკული ალღოთი დაჯილდოებული აღმოჩნდება, გარდა ამისა, მსჯელობაში პირდაპირი, გულახდილი და მოურიდებელი. ყმაწვილი კაცი მოიხიბლება ქალის ასეთი გაბედული ლაპარაკით, მით უმეტეს, რომ „პირში მიხლა სიმართლისა, დაურიდებლობა, რომელსაც ქვეყანაში უზრდელობას ეძახიან“, მას „ყოველთვის ტალანტის და ნიჭიერების ნიშნად“ მიაჩნია (ეს ხომ ოთარაანთ ქვრივის ხასიათის ერთი არსებითი თვისებაა). დიალოგში ისიც ხაზგასმით ჩანს, რომ „უქმობა, ფართიფურთობა, ქარაფშუტობა და უველაზედ მავნებელი — სხვისით ცხოვრება“ საზოგადოების ერთი წრის—არისტოკრატიის ცუდი თვისებებია: ხაგრამ ეს „უველა კაცის ჭირია საერთოდ“. წამოყენებული აზრი თანდათან უფრო სკეპტიკურ სახეს იღებს, ვინაიდან მთელი კონცეფცია ფორმდება, რომ „უქმნი თავიდამ ბოლომდინ უველანი ვართ. სხვისით ცხოვრება უველას გვიყვარს... შრომა კაცის ბუნებას ეჯავრება და სიამოვნებას, სიტკბოებას კი კაცის ბუნება ეტანება. მთელი კაცობრიობის ცხოვრება ამ ორთა გრძნობათა ბრძოლაა, ერთი მხრივ იბრძვის შრომის სიძულვილი, მეორე მხრივ სიამოვნების სურვილი“.

ამ სკეპტიკურ აზრს უპირისპირდება პოზიტიური თეზისი — „არა, შრომა — ცხოვრებაა, ცხოვრება — სიამოვნებაა“, მაგრამ სკეპტიკურ აზრს ეს პოზიტიური თეზისი მარტოოდენ „ლამაზ ფრაზად“ მიაჩნია. ამტკიცებს, რომ „შრომა კაცის ბუნებასა სძულს. ეს სიძულვილი ასეთი ძლიერია, რომ... კაცი იმოდენა შრომასაც არ იკისრებდა, რომ პური ეღეჭნა, თუ რამ სხვა ღონისძიება ჰქონოდა იმავე საჭიროების შესავსებელად“. მაგრამ ადამიანს უყვარს სიამოვნება, მისთვის იბრძვის, შრომასაც ამიტომ კისრულობს. ეს სიამოვნება „უნდა კაცობრიული იყოს, აზრით და ზნეობით სავსე“. კაცობრიულში ნაგულისხმევია უმაღლესი სიამოვნება, როგორც „ზრუნვა

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 505.

მოყვასისათვის, მოქმედება სხვის კეთილდღეობისათვის, „ველა ქვეყნიერობის ფეხის წინ წადგმაში“ და არა პირადი განცხრომა.

პლუტოკრატია ასეთ კაცობრიულ სიამოვნებას არა სცნობს, იმიტომ, რომ იგი მოკლებულია „მეცნიერების სინათლეს“, სიამოვნება მას წარმოდგენილი აქვს, როგორც მარტოოდენ „ჰამა-სმა, ტანსაცმელი და მეჯლისობა“. განათლებას შეუძლია ამ ბიწიერების მოსპობა—ესაა ტიპიური განმანათლებლური იდეა, რომელიც ილიას დაუმთავრებელ „მოთხრობაში“ წითელი ზოლივითაა გავლებული. როცა განათლება ყველგან დაამკვიდრებს სიამოვნების „კაცობრიულ“ გაგებას, მაშინ ბედნიერებაც დამყარდება, „გულხელ-დაკრეფით არვინ გაიფუჭებს ცხოვრებას“, მაშასადამე, აღარ იქნებიან სხვისი შრომით უზრუნველად მცხოვრებნი. შრომა და სიამოვნება ხელიხელ ჩაკიდებულნი ივლიან. როგორც ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენები.

ქალს სრულიად უეჭველად მიაჩნია ეს და პირდაპირ ქებათა-ქებას უძღვნის შრომის მისიას ადამიანის კეთილდღეობაში; „რამოდენაც კაცში დიდია სიამოვნების სურვილი, — ამბობს იგი, — იმოდენად მასში ძლიერია ბეჯითობა შრომაში, რადგან ქვეყანაზედ სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება. შრომა კაცსა სძულს, მაგრამ აუცილებელია. რამდენადაც სიამოვნება მაღალია და შესაფერია ღვთის-კერძ კაცისა, იმოდენად შრომა, როგორც გზა—მამავალი სანატრელ საგნამდინა, ხალისიანია. მხოლოდ. მაშინ კაცი შეიყვარებს ხოლმე შრომას და ბუნებით სიძულილს მოსპობს, როცა იგი მიაღწევინებს ხოლმე დიდ საგნამდინა. საქმე საგანია, რომლის მიღწევაც ადამიანისათვის არის უმაღლესი სიამოვნება. ხალხს მიეცით სურვილი დიდის კაცობრივის საგნის მოპოვებისა, და შრომას იგი სურვილი არამც თუ წაართმევს ყოველ მას, რაც კაცს შრომაში სძულს, არამედ თვით შრომას, თავისთავად საძულველსა. დიდი საგანი სიამოვნებადა ხდის. მარტო ამით აიხსნება ის საკვირველნი ღვაწლნი და შრომაში და ჯაფაში ჯანის დალევა, რომელნიც უკეთეს კაცთა ცხოვრებაშია წაგვიკითხავს. წინ გამოხატული საგანი სცვლის სიამოვნებად შრომასა, თავისთავად უსიამოვნოსა. ეს არის ჩემი აზრი. ამას მერმეთ მგონი უბრალოდღა მკითხავთ, რატომ ჩემი წრის ხალხი არა შრომობსო. იმიტომ არა შრომობს, რომ საგანი არა აქვს. იმ მცირედს საგანს, რომლითაც იგინი იოლად მიდიან, მცირედის შრომითაც ადვილად პოულობენ. რიღასთვის იშრომონ? შრომა ღონისძიებაა მისაღწევად რისადმე. ეგრე რომ არ იყოს, ნაცარქექიობაც შრომა იქნება. და თქვენის აზრით იგივე ნაცარქექიობა. ვითარცა შრომა, ცხოვრება იქნება და ის ცხოვრება — სიამოვნება“.*

დაეთანხმებით, თუ არ დაეთანხმებით ქალის ამ მშვენიერ სიტყვებს, ერთი რამ მაინც შეუძლებელია არ გაიზიაროთ: თუ სიამოვნება გსურთ, უნდა იშრომოთ, ვინაიდან „სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება“. შეუძლებელია ისიც ჭეშმარიტებად არ მიიჩნიოთ, რომ ადამიანისათვის შრომა აუცილებელია, როგორადაც იგი არ უნდა სძულდეს. თუ შრომას სანატრელი საგანი გააჩნია, მაშინ იგი ხალისიანია. ადამიანს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ასეთი შრომა მას უყვარს, რაკი სანატრელ საგანსა სძენს, და ბუნებრივ სიძულვილს შრომისადმი სპობს.

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ., გვ. 509—510.

მთავარია ადამიანს ჰქონდეს საგანი, რომლის მიღწევაც მას სურს და შრომით აღწევდეს ამ საგანს. ეს უკვე სიამოვნებაა. თუ ხალხს მიეცა „დიდის კაცობრივის საგნის მოპოვების“ სურვილი, ეს უკანასკნელი შრომას შეაყვარებს, როგორადაც არ უნდა სძულდეს. ისტორიაში გამოჩენილი ადამიანები იმიტომ იღწვოდნენ ასე საოცრად, იმიტომ ლევდნენ თავიანთ ძალღონეს შრომასა და ჯაფაში, რომ მათ ეს კაცობრიული საგანი (მაშასადამე, მიზანი) ჰქონდათ. არისტოკრატიამ ეს საგანი დაჰკარგა, მასთან ერთად გამოეცალა შრომის სურვილი, დარჩა ისეთივე საგანი, როგორიც მისივე შრომაა, მცირე და უღირსი. როგორც ნაცარქექიობა შრომა არ არის, ასევე ცხოვრება არ შეიძლება ეწოდოს ასეთი მცირე შრომით მიღებულ სიამოვნებას.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ეს მამხილებელი, დიდად პროგრესული, დემოკრატიული, ჰუმანური აზრები იყო და „მოთხრობაში“ გამოყვანილი კაციც ამიტომ ეუბნება ამ იდეების მღაღადებელ ქალს — „კარგად გამრიყეთო“. უკეთეს პასუხს იგი ვერც მოიფიქრებდა. ქალმა კიდევ უფრო დაასაბუთა თავისი აზრი ტოლსტოიანური მორალის ქადაგებით, თუმცა ეს დასაბუთება ვაჟს არ გაუზიარებია. ქალი აშტკიცებს: „...იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულებაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდამ მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვეღარ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე განკიცხვისა (განმკიცხველი კი ვაჟი იყო, როგორც ილია ბატონყმობისა — გ. ჯ.). ან რად გინდათ, რომ მაგ წვრილმანის საგანთა მისაღწევად იშრომონ, ეგ ნაცარქექიობა იქნება. სხვისით ცხოვრობენო, მართალია. ეგ არის ცხადი საბუთი იმათის უღონობისა, შეუძლებლობისა. ჩემი კანონია: უღონო შეიბრალე და ანუ განკიცხავ“.* მაგრამ განა ამ შებრალებით „ქვეყანა თავისთავად გასწორდება?“ — ეკითხება ვაჟი. არა, პირიქით, „ეხლანდელი მცონარე და უქმობით სავსენი უმაწვილკაცნი დიახ გაიხარებენ, — უპასუხებს ქალი, — რომ ეგ აგრე იყოს. მაგრამ არა, ბატონო! თქვენს სიხარულს ფრთები მოეკვეთება, როცა ვიტყვი, რომ ქვეყანას გონების გახსნა უნდა, ქვეყანას სწავლა უნდა, ქვეყანას გაზრდა უნდა. თუ რამ შეგიძლიანთ, იმოქმედეთ“.**

ტიპიური განმანათლებლური იდეებია წამოყენებული და „მოთხრობაში“ გამოყვანილი ორივე პერსონაჟი—ქალი და ვაჟი ტიპიური განმანათლებლები არიან. მათ შორის აზრთა განსხვავება რადიკალური კი არ არის, ერთ წრეში ტრიალებს, როგორც ერთი ძირითადი — განმანათლებლური იდეოლოგიის ორი უახლოესი განშტოება.

„მოთხრობის“ მეორე თავი (პირველი იქ თავდება, სადაც ქალმა თავისი საბოლოო აზრი გამოთქვა და ვაჟთან ერთად ცეკვა დაიწყო) ახალ საკითხს აღძრავს — ეს არის ქალთა პრობლემა. პირველი საუბრიდან ორი თუ სამი თვის შემდეგ ვაჟი იმ ქალს თეატრში ხვდება. მაგრამ ეს შეხვედრა ჩვეულებრივისაგან განსხვავებულია. მართალია, ვაჟს სურდა ლოჟაში შესულიყო, მაგრამ მოერიდა — „ვიზიტი არ გამეკეთებინაო“. ქალმა თვალი მოჰკრა თუ არა, ვაჟს ანიშნა მასთან მისულიყო. ვაჟი დაეთანხმა, და როგორც კი მის გვერ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1937 წ., გვ. 510. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე.

დით ადგილი დაიკავა, ქალმა უთხრა: „მინამ თქვენ აქ ამოხვიდოდით, მე ვფიქრობდი: ეს ადამიანები, რომელთაც მე და თქვენ ვეკუთვნით, რად იქირებენ საქმეს, რომ სხვადასხვა მოგონილის სულელურის წესით, რომელსაც ზრდილობას ეძახიან, ერთი-ერთმანეთს თავისუფლებას ართმევენ". პიროვნების თავისუფლება იმდენად მაღალია, რომ იგი არ უნდა იზღუდებოდეს არისტოკრატიულ წრეში შემუშავებული „სულელური წესით".

იმ დროს, რომელსაც „მოთხრობა" ეხება, ეს პროგრესული აზრი იყო და მისი ავტორი — ქალი გვევლინება ძალიან მოწინავე ადამიანად, რომელსაც გაბატონებული წრის შინაგანი მორალური სიყალბე შეუგნია, ამასთან. თავისუფლების იდეა წინ წამოუყენებია. ვაჟს ეგონა ქალის სიტყვები მისი მისამართით იყო ნათქვამი, მაგრამ არა, თურმე პიესას ეხებოდა. „მოთხრობის" გმირი ქალი ასე ასაბუთებს პიესის გმირი ქალის საქციელს: „ის სულელი ქალი სცენაზედ იტანჯება მისთვის, რომ მისი სულელი მამა ნებას არ აძლევს, რომ თავის საყვარელ კაცთან შეერთდეს, რადგანაც ქალის არჩეული კაცი დიდი ჩინების და შეძლების პატრონი არ არის. მე ვიცი. რომ ამ ტეატრში ორი კაციც არ იპოვება, რომ მამა არ გაამართლონ. საკვირველი კია. თითონ გონების დაუკითხავად დაიჩატვენ ხოლმე კაცის ღირსების სახეს და, ვინც იმ დახატულობით აღტაცებაში არ მოდის, არ მოსწონთ. რად იქცავს ის სულელი ქალი თავს, წავიდეს და თითონ დაიწეროს ჯვარი. მაგრამ სულელს ეშინიან, გარყვნილობაა მამის უნებურად გათხოვებაო,—ეს არის რიგიანის ზრდილობის დასკვნა. კაცის ბედნიერება ისეთი ძვირფასია, რომ მაგისთანა წვრილმანის წესიერებით არ უნდა შებრკოლდეს. მაგრამ ნახეთ, რა გავლენა აქვს დამდგარს და ცხოვრებაში მიღებულს სულელობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს ის ქალი იმას შეირთავს, ვისაც მამა ურჩევს და, თუ ავტორი უხეირო მწერალია, ამ მამის ქცევას ქებას შეასხამს".* მაგრამ ხომ სრულიად უეჭველია, რომ თუ კაცს მონობის ჯაჭვის გაწყვეტა სურს, მან „სულის ღონე" უნდა გამოიჩინოს, პიესის გმირ ქალს კი სწორედ ეგ არა აქვს. — შენიშნავს ვაჟი.

„მოთხრობის" გმირი ქალი მაინც თავის აზრს იცავს: „მე მაინც იმას ვამბობ, რომ კაცი კაცად გახდეს, ამის ღონედ მარტო ცოდნა და განათლებაა. არა ღონე არ ექნება გაუნათლებელს კაცს თავის ჯაჭვის დასამტვრეველად". სამწუხარო ის არის, რომ ასეთი ადამიანები ან სულ არ არიან, ან ძალიან ცოტაა. მიუხედავად იმისა, რომ „უნივერსიტეტში ნამყოფი კი ბევრი ხართო",—დასძენს ქალი ვაჟის მისამართით. ეს უკანასკნელი დებულების პირველ ნაწილს ეთანხმება, მაგრამ მეორეზე გაკვირვებას გამოთქვამს. ქალი კი თვითონვე აყენებს კითხვას: „... თუ ჩვენში მცოდნენი და განათლებულნი ცოტანი არიან, ან სულ არ არიან, მაშ უნივერსიტეტში რას აკეთებდით მაგდენი ხალხიო?" ვაჟის პასუხი მეტისმეტად სიმპტომატურია: „იმას ვაკეთებდით, რომ შინაურობაში წამხდარი გული და ზნეობა ჩვენი ცოტად თუ ბევრად გავისწორეთ, ვადავიკეთეთ, ჩვენ ვჯობივართ ჩვენზედ ცუდებს. ეს არის ჩვენი სახელი". მაგრამ განა ეს არის საკმარისი ან ეს მართლაც სახელია? „შორს არ წასულხართო", — შენიშნავს ქალი. ვაჟის პასუხი კი უკუბრალდებას შეიცავს: „ცოტათი მაინც ხომ წავედით წინ. თქვენ კი უკან და უკან მიდიხართ... ქალები, ე. ი. მთელი ხახევა-

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ., გვ. 511.

რი საქართველოსი“. ქალი თავს იმართლებს—„უნივერსიტეტი ჩვენთვის დახურულია“, კარები კიდევაც რომ გაგვიღონ, მოუმზადებელნი ვართ, არავინ გვამზადებსო. ვაჟი ისევ ბრალდებას აყენებს ქალების მისამართით: „... თქვენ სულ მზა-მზაობა გინდათ. თქვენ ვერას კარგს ვერა იქმთ, თუ ძიძაობის შველაზედ ხელს არ აიღებთ. იბრძოლეთ და წაიღეთ. თორემ დაგიკრეფიათ ხელები და შესცქერით: აცა, კარს გაგვიღებენო. და ჩვენც დავინახავთო მზიან ქვეყანასაო“. ეს ბრალდება ქალმა თითქოს მიიღო, მაგრამ სრულიად გააბათილა, როცა თავისი წრის მდგომარეობა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: „ვთქვათ, გამოვამტვრიეთ ჩვენთვის დახურული უნივერსიტეტის კარები, დავასრულეთ კურსი, მერე სად მოვიხმაროთ ჩვენი სწავლა და ცოდნა? რისთვის გვინდა?..“ აქ წყდება ამ მშვენიერი, დაუმთავრებელი „მოთხრობის“ ხელნაწერი.

გზადაგზა, როცა „მოთხრობას“ ვარჩევდით, ჰკითხველს ვუჩვენეთ, რომ ნაწარმოებში თავიდან ბოლომდე განმანათლებლური იდეებია წამოყენებული, დასმულია მწვავე სოციალური საკითხები და ორი აზრის შეპირისპირებით მიღწეულია ერთი კონცეფციის ხაზგასმა. სამწუხაროა, რომ ეს მშვენიერი მოთხრობა, აზრებით ასე მდიდარი, ავტორს არ დაუმთავრებია. მას რომ განზრახული ჰქონდა თავის ნაწარმოებში დაესაბუთებინა მომავალ სოციალურ ცვლილებათა გარდუვალობა, შეიძლება იქიდანაც დავასკვნათ, რასაც ეპიგრაფი გვეუბნება. ყურადღებას იქცევს „მოთხრობის“ სწორედ ეს ეპიგრაფი, რუსთაველის გენიალური პოემიდან ნასესხები: „იგი წავადასხვა მოვატურფასა საბაღნაროსა“. ძველი სოციალური ურთიერთობა. რასაც სხვადასხვა მხრიდან ასე პოლემიკური ტონით ახასიათებს ქალ-ვაჟი, მიდიოდა, აუცილებლად უნდა წასულიყო, როგორც ახალი დროისათვის სრულიად შეუფერებელი.

მაგრამ ვინ არის ეს ქალი და ვაჟი, რომლებიც გასული საუკუნის 60-იან წლებში ასე ფიბრილად, პროგრესული თვალსაზრისით აფასებენ მდგომარეობას და ასე გონივრულად მსჯელობენ ბევრ შემთხვევაში ძალიან რთულ საკითხებზე?

ქალი, რომელიც „მოთხრობაში“ გვხვდება, სრულიად უეჭველია, ოლღა გურამიშვილია, ხოლო ვაჟი — თვით ილია ჭავჭავაძე. გაიხსენეთ ილიასა და ოლღას მიმოწერა, რომელიც ჩვენ პოეტის ცხოვრების გადმოცემის დროს დავახასიათეთ. რა საოცარი მსგავსებაა „მოთხრობაში“ განვითარებულ იდეებსა და „მიმოწერაში“ გაბნეულ აზრებს შორის. ილიამ ოლღა გაიცნო 1863 წლის იანვარში, ხოლო მასზე ჯვარი დაიწერა იმავე წლის აპრილში. „მოთხრობა“ სწორედ მაშინ იწერებოდა, ამიტომ მას ერთი სავარაუდო თარიღი — 1861 წელი უნდა მოეხსნას და მეორე — 1863 წლის იანვარ-აპრილი დაეწეროს. ახლა დაკვირდით, რამდენად ავტობიოგრაფიულია ეს დაუმთავრებელი მოთხრობა (გარდა იმისა, რომ მიწერ-მოწერა შეცვლილია უშუალო დიალოგებით, სხვა განსხვავებას ჩვენ თითქმის ვერ ვპოულობთ): გაცნობა, ქალის გარეგნული დახასიათება, გონიერება, განათლება, კაცს რომ ჰკუას ასწავლის (ილიაც წერილში ხომ ასე სწერდა ოლღას „...შენ ჩემზე გაცილებით მაღლა დგახარ, არ გეფარისეველები, შენგან ბევრი რამის სწავლა მომიხდება და თუ გავსწორდი, ეს ჩემი ძვირფასი და საოცარი ოლიკოს წყალობა იქნება. რა ჰკვიანი მყავხარ!... ეს რა გამიჩნდი?.. მე ხომ ცხოვრება და მისი აზრი მას შემდეგ გავიგე, რაც შენ შეგიყვარე... მანამდე

დამზრალი ვიყავ... შენ გამომეცხადე და მე დავიწყე სულით აღსილი ნამდვილი ცხოვრება... ტყუილად კი არ გიწოდებ ჯადოქარს: თვით ჯადოქრობას მთელი თავისი ძალით არ შეეძლო ის გაეკეთებინა, რაც შენ ჰქმენ, ჩემო მშვენიერო და კეთილო გენიავ!" განა „მოთხრობის" პერსონაჟი — კაცი ასევე არ უცქერის ქალს, ოლღასავით განათლებულს? — ოლღას ხომ ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული). გარდა ამისა, როგორი იდენტური მსგავსებაა ილიასა და ოლღას „მიმოწერაში" განვითარებულ აზრებთან პლუტოკრატიის, შრომის, სიამოვნების, ბედნიერების, ცხოვრების სათვის ბრძოლის შესახებ.

ჩვენ ისიც სრულიად უეჭველი გვეჩვენება, რომ ილიამ არამარტო მხატვრული ფანტაზიის ასპექტში წარმოგვიდგინა გაცნობის შემდეგ ოლღასთან საუბრების თემატიკა და პრობლემატიკა, არამედ, ზედმიწევნითი სისწორით, იმის, რაც მოხდა, ადექვატური წარმოსახვით. „მოთხრობის" ქალი და ოლღა გურამიშვილი — ორივე მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ორივე, როგორც სულით, ისე განათლებით. ცოდნით, კულტურით, პროგრესული იდეებით მაღლა დგანან თავიანთ წრეზე. პირველი თექვსმეტი წლისაა, მეორე ოცისა (თუ ეს შეიძლება განსხვავება იყოს, როცა ორივე ასაკი მოწიფულია), მაგრამ „მოთხრობის" ქალი გონებრივად იმდენად განვითარებულია, რომ თავისუფლად მსჯელობს სოციოლოგიის, ისტორიის, მორალის, ფილოსოფიის საკითხებზე. ოლღაც რომ დიდად განვითარებული იყო იმ დროს. თავისუფლად მსჯელობდა ყველა ამ საკითხზე, მემუარული ცნობების გარდა. მარტო შემდეგი ფაქტის გახსენება დაადასტურებს: თერგდალეულთა ბელადმა — ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც „მამების" ყველაზე ძლიერი ლიტერატორები სასტიკად დაამარცხა პაექრობაში, თავისი მომავალი მეუღლე ნიჭიერ, მცოდნე ქალად და თავის მასწავლებლად აღიარა.

თუ რამდენად იდენტურ პორტრეტებთან გვაქვს საქმე, შეიძლებოდა პირდაპირი შეხვედრის პარალელები მოგვეყვანა „მოთხრობიდან" და „მიმოწერიდან", მაგრამ ჩვენი დებულების დასამტკიცებლად თქმულიც საკმარისად მიგვაჩნია. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „მოთხრობის" გმირი ქალის აზრი — თუ ქალს ვინმე ღირსეული უყვარს, ხოლო მამა იწუნებს, — დიდი ჩინებისა და შეძლების არ არისო, ქალს უფლება აქვს ჯვარი დაიწეროს — თვით ოლღა გურამიშვილმა განახორციელა. ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ გოროზ მემამულეს — თავად თადეოზ გურამიშვილს თავისი სასიძო არ მოსწონდა — დიდი ჩინები და შეძლება არა აქვსო. მაგრამ ოლღამ მამის სურვილს ანგარიში არ გაუწია. თავის უსაზღვროდ საყვარელ ილია ჭავჭავაძეზე ჯვარი დაიწერა (ისიც ასე უბრალოდ) და ბედნიერება „წვრილმანი წესიერებით" არ დაიბრკოლა.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ითქვა, მგონი საეჭვო ოდნავაც არ არის, რომ დაუმთავრებელი „მოთხრობა" მთლიანად ავტობიოგრაფიულია. ხოლო მისი ერთადერთი მოქმედი პირები — ქალ-ვაჟი — 60-იანი წლების ოლღა გურამიშვილი და ილია ჭავჭავაძეა.

მაგრამ ამ დაუმთავრებელი „მოთხრობის" გარჩევა ჯერ კიდევ არ დაგვისრულებია. ჩვენამდე მოღწეულ ორ დამოუკიდებელ ფრაგმენტს — „გუბე"

პირდაპირი კავშირი აქვს ხსენებულ ნაწარმოებთან. ორივე ნაწყვეტში ახალგაზრდა ქალი „ცივ საფლავშია“, რომელიც მშობლებმა გაუთხარეს. მათ უარი უთხრეს თავიანთ ქალიშვილს არჩეულ მამაკაცს გაჰყოლოდა ცოლად. ახალგაზრდა ვაჟი განიზრახავს მთელ ქვეყანას აუწყოს მისი ტრაგიკული ამბავი, რაც მრავალის ბედს გამოხატავს. „გუბის“ ორივე ნაწყვეტი უთუოდ დაწერილია იმ დღეებში, როცა ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის პირველი ურთიერთობა პირველ წინააღმდეგობას აწყდებოდა. უსაზღვროდ შეყვარებულ ახალგაზრდა ილიას ღრმა სულიერი განცდები სტანჯავდა, როგორც ყოველ გატაცებულ ახალგაზრდას, რომელსაც ეშინია თავისი სატრფო არ დაჰკარგოს. თადეოზ გურამიშვილის უარმა, შემდეგ გარეშე პირების ჩარევამ „საქმეში“, მისი ჩაშლის მიზნით, როგორც ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ვნახეთ, ილია არაერთხელ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მას შეეძლო წარმოედგინა, რომ მშობლის უარს ქალი ვერ აიტანდა, თავს მოიკლავდა ან სამარეში ცოცხლად დაიმარხებოდა. უთუოდ ამ განწყობილების შედეგია ორივე ნაწყვეტი, რომლებშიაც მშობლების უარის გამო მიცვალებულ, უკვე სამარეში მყოფ ახალგაზრდა ქალს ჩვენთვის უკვე ცნობილი ვაჟი აგვიწერს. იგი სასტიკად ჰგმობს „დამპალ გუბეს“, რომელსაც „ქვეყნის სამასხაროდ ცხოვრებას“ ეძახიან. ამ გუბეში ათასგვარი ბოროტება დაბუდებულა, ადამიანით ვაჭრობას ფრთები გაუშლია. ასეთი ბოროტების შედეგად დაიღუპა ის ახალგაზრდა ქალიც. მას უკვე მიცვალებულსა და დამარხულს, ვაჟი შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „მე მახსოვს ის დრო და ის შეყრილობა. საცა პირველად მე შენა გნახე. კარგი რამ იყავ მაშინ: ჯერ ახლად იშლებოდი და დაჰხაროდი ქვეყანასა, რომელიც სიკეთით აღვსილი გეგონა. შენ იყავ მრთელი; შენ ცხოველს სახეს ცხოველის სულის მღვიძარობა ცეცხლს უკიდებდა: მას ჯერ არ დასტყობოდა შინაურის მტარვალობის თელვა, თუმცა კი შენს ფიქრთა ოდნად მიჰკარებოდა ობი იმ დამპალის გუბისა, რომელსაც, ქვეყნის სამასხაროდ. ცხოვრებას ვეძახით. მაგრამ ერთის ცხოველის აზრის მობერვა გეყოფოდა, რომ ის ობი დაკარგულიყო. შენ იყავ მაშინ გასათხოვარი, ესე იგი, შენ ჯერ გაყიდული არ იყავ. შენ იჯექი კუთხეში, გვერდით მოგჯდომოდა ყმაწვილი კაცი; დედაშენი, თითქო ნემსებზედ იჯდაო, ისე ტოკავდა შენი მაყურებელი. ხან თითით, ხან თავის დაქნევით განიშნებდა ამდგარიყავ და თავი დაგენებებინა ყმაწვილკაცისათვის, რომლის ლაპარაკშიაც გართული იყავი“.* დედას ეგონა. რომ ახალგაზრდა კაცი თავისი საუბრებით ქალიშვილს ურყვნიდა. ვაჟი ამას გრძნობს და ამიტომ ეუბნება ქალს: „თუ ამჟამად იმის (ე. ი. დედის — გ. ჯ.) ძახილზე წახვალთ, მე დამარწმუნებთ, რომ თქვენც მაგ აზრისა ხართო“. ამ ბრალდებას ქალი უარყოფს, „მე თუ წავალ, იმისათვის, რომ მორჩილების თოკი ხელთა მდევსო“. აქ, როგორც მკითხველი იგრძნობს, ქალის აზრი რადიკალურად განსხვავებულია „მოთხრობისაგან“. იქ ქალი თვითონ მოითხოვს „თოკის გაწყვეტას“, „გუბეში“ კი თოკის მონაა, ხოლო ვაჟისათვის მორჩილება არამარტო უქმია, „კაცის სულის დამამდაბლებელიცაა“. იგი მარტოდენ ისეთ მორჩილებას სცნობს, სადაც უფალი — გონებაა.

მეორე ნაწყვეტში, რომელიც პირველზე უფრო მცირეა (სულ ოთხი აბ-

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ.. გვ. 513.

ზაცისაგან შედგება), იგივე სურათია აღწერილი, მხოლოდ დამატებულია სამი ახალი აზრი: 1) შენს ფასზე მშობლები ჯერ ვერ მორიგებულან; 2) არ იცოდი, რომ მშობლების საპყრობილე ახალ, უარეს საპყრობილედ შეგეცვლებოდა („მონების, მოთმინების, პირუტყუობის ხუნდი კისრად დაგედებოდა, და ყალბი ოქროს გვირგვინი ქვეყანას აჩვენებდა, რომ ადამიანობა შენი, გათელილი შინ, იყიდა სხვა კაცმა ხულ-ახლად მოსათელავად“); 3) შენ ბედნიერებისათვის იყავი გაჩენილი.

შემდეგ 8 თუ 9 სიტყვით იწყება ქალის გარეგნული სახის აღწერა და ფრაგმენტიც წყდება.

ამით ჩვენ ვამთავრებთ ილია ჭავჭავაძის „მოთხრობისა“ და „გუბის“ ორი ფრაგმენტის, როგორც ერთი ნაწარმოების ცალკენაწილების, მიმობილვითს ანალიზს.

დაუმთავრებელია მოთხრობაც -- „დედის ანდერძი“, რომელშიაც სოფლის ცხოვრების ერთი ტრაგიკული ფურცელია გადაშლილი. ღარიბ გლეხს ანტონა მწყერიაშვილს ჯალაბი უკვდება. ოცდაათი წლის ბაბალე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა გლეხის ქალი, სასიკვდილო სარეცელზეა მიკრული. ბაბალესა და ანტონას ორი შვილი ჰყავთ—თორმეტი-ცამეტი წლის გიტო და ოთხი-ხუთი წლის თაფლო. ერთგული მეუღლე რომ გადაერჩინა, საკუთარ თავში ცემასთან ერთად, ანტონამ რა არ გააკეთა, მაგრამ ვერაფერს ჰპაღწია. „რა ხარჯი არ გასწია: ეს ხატი რამდენჯერმე არ ალოცვინა, ეს ექიმი არ მოიყვანა ქალაქიდამ, ეს ათასნაირი წამლები არ გაუკეთა, ეს ათასნაირ ბალახებში არ ჩააწვინა, ეს სოფლები არ მისძრა-მოსძრა კითხვითა და ექიმების ძებნითა, ეს ვის არ დაადებინა ხელი, ვის არ ეხვეწა და ემუდარა ჩოქვითა“. მაგრამ პატიოსან გლეხკაცს საშველი არ დაადგა. მისთვის ქვეყანა დაბნელდა „აღარც სადმე ლხინი იყო, აღარც სადმე ჭირი“, აღარც ერი, აღარც ბერი, არც მეზობელი, არც მაბლობელი. თუმცა წინათ ანტონა ყველაფერში პირველკაცობით გამოირჩეოდა. ანტონას ურვა-წუხილი, მეუღლის მძიმე ავადმყოფობის ვამო, ავტორმა დიდი შინაგანი სიმართლით დაგვიხატა. გლეხკაცი მარტო რჩება, მცირეწლოვანი ობლების ამარა. და ღმერთს შესჩივის: „ჩემს ერთსულად და ერთხორცად შენგანვე ნაკურთხს, ჩემის ხელითვე შავ მიწაში“ რომ მამარხვინებ რა დაგიშავეთ, „ან რა იყო შენი წყალობა, რომ მაგ დედაკაცს შემყარე. ან რა არის შენი რისხვა, რო ეხლა მყრიო“. საცოდავ მდგომარეობაში, როცა ზაფხულის პაპანაქება ქვეყანას სწვავს, ბაბალე თავის გიტოს მოუხმობს და სიკვდილის წინ ანდერძს უტოვებს. მაგრამ მოთხრობაც აქ წყდება. პირველსავე აბზაცში ანდერძის სიტყვებისა. ილიას უთუოდ სურდა დედის ანდერძში ის დიდაქტიკური იდეები ეჩვენებინა, რომლებიც უსწავლელი გლეხკაცობის წრეში ცოცხლობენ და მათგან ყველაზე ძლიერი, ყველაზე ადამიანური, ყველაზე კაცურ-კაცური ერთად შეკრიბა, რომ მთელი დოქტრინის სახით წარმოედგინა.

სულ მცირე ფრაგმენტი — „პატარა ამბავი“ უკვე არა სოფლის, ქალაქის ცხოვრებას შეეხება. იქ დასაწყისშივე გვხვდება ერთი ფრაზა — „შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქვნა“, რომელიც ილიას გამოყენებული აქვს „ოთარაანთ ქვრივში“ (XXI თავის დასაწყისი). ფრაგ-

შენტი აგვიწერს ქალაქს ზამთრის კარიბჭეზე, როცა „ხშირია წვიმებიც, და თუმცა სულის შემხუთავ მტვერის მაგიერ ქუჩებში ტალახია, მაგრამ ხომ არც ტალახია სასიამოვნო სანახავი. გარდა ამისა, ღარიბისათვის ისევ მტვერი სჯობია ტალახსა. მტვერს ჩამოიბღერტავს კაცი და ტალახს კი ჩამობანა უნდა, ჩამობანას წყალი და წყალს სყიდვა. წადი და გაუძელ!“* მოთხრობა მიზნად ისახავდა ქალაქის ამ ღარიბი ხალხის ცხოვრება ეჩვენებინა. ქალაქში ყველაფერს ფული უნდა, მაგრამ ღარიბ კაცს ფული სადა აქვს, თუნდაც დღე და ღამე იშრომოს. და აი, სწორედ ღამეა, დიდიხანია ფარნებიც აანთეს, რომლებიც ძალიან საკოდავად ჭამოიყურებიან, დუქნებიც დაკეტეს, მაგრამ „ერთგან, ერთს მიყრუებულ კუთხეში, შუა-ბაზარში, დარაბებ-აფარებულ დუქნიდამ სინათლე გამოდის“. ვიღაც ხნიერი კაცი— ხელოსანი მარტოდ-მარტო მუშაობს. ავტორმა მისი მხოლოდ ძველი, გახუნებული ტანსაცმლის აღწერა მოასწრო, ცხოვრება აღარ უჩვენებია, მაგრამ, სრულიად უეჭველია, ეს მოხუცი კაცი იქნებოდა მოთხრობის მთავარი გმირი, მასთან დაკავშირებულ პერსონაჟებით. ილიას უთუოდ სურდა ამ ქრის ცხოვრება აეწერა და ის ტრაგედია ეჩვენებინა. რასაც წვრილ ხელოსნობაში ადგილი ჰქონდა.

დაუმთავრებელია ეტიუდიც — „უცნაური ამბავი“, რომელიც აღზრდის პრობლემატიკას ეხება. მოთხრობა წყდება მეხუთე თავზე, სადაც პედაგოგიური პროცესი იწყება. პირველ თავში, რომელიც მთლიანად დავითისა და სოლომანის დიალოგია, ჩვენ ვხედავთ ახალგაზრდა ღარიბ კაცს, შიშველს, მშიერ-მწყურვალსა და ნესტიან მიწურში წიგნებით გატაცებულს. ეს არის „მეტის-მეტი პატიოსანი მღვდლის“ შვილი სოლომანი, ჭართველი რაზნოჩინეცი, შამისაგან მემკვიდრეობით განძად მარტოოდენ ნესტიანი მიწური რომ დარჩენია. იგი ამ მიწურში დაიბადა, აქ აღიზარდა, აქ დაჰკარგა დედ-მამა, და-ძმა, აქ ცხოვრობს და ჰგონია „ყველანი ესენი გარს“ ახვევიან. სოლომანს მახლობელიც არავინ დარჩენია. ბავშვობიდანვე რაღაც ტრაგიკული უბედობით წავიდა მისი ცხოვრება, როგორც ბევრი რაზნოჩინეცისა (გაიხსენეთ თუნდაც დობროლუბოვის საშინელი ხვედრი).

სოლომანი სემინარიაში პირველი მოწაფე იყო, სწავლაც ყველაზე წარმატებით დაამთავრა, შემდეგ ორი წელი უნივერსიტეტში დაჰყო, მაგრამ სიღარიბემ აიძულა უმაღლესი განათლებისათვის თავი მიენებებინა და სოფლის მწერლად ემუშავნა. როგორც ახალგაზრდა კაცი, სოლომანი ყველა ღირსებით შემკულია: დროს არ ჰკარგავს, შექცევასა და ქეიფს გაურბის, დღე-ღამეს წიგნების კითხვაში ატარებს, პატიოსანი და კეთილშობილია. მცირედითაც კმაყოფილი სოლომანი, რომელსაც თარო სავსე აქვს წიგნებით, ხოლო მუცელი — ცარიელი, თავის მეგობარ დავითს ასე განუმარტავს სიმდიდრე-სიღარიბის არსებას: „ერთს ბევრი აქვს, მეორეს ცოტა, მაგრამ, ჩემის ფიქრით, ამით არ უნდა ირჩეოდეს ღარიბი მდიდრისაგან. საქმე ის არის, სურვილი ჭონებას არ გადაამეტო. მე მგონია, ღარიბი არ არის, ვინც ნდომობს იმას, რაც ეშოვება და არა მეტსა მეტის მდომი მდიდარიც ღარიბია“.** მაგრამ დავითი შენიშნავს — „მაგ ფილოსოფიას, ჩემო სოლომან, დღეს გასავალი არა აქვს, ბევრს მუშტარს ვერ უშოვიო“. სოლომანს კი ეს ფილოსოფია, როგორც თვი-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 517.

** იქვე, გვ. 519.

თონეე ამბობს, მხოლოდ თავისთვის შეუმუშავებია და აქტორად მხოლოდ პირად ცხოვრებაში იყენებს. ამიტომ არის კმაყოფილი, ხოლო დავითი გაკვირვებულია, როგორ შეიძლება ასე ნასწავლი კაცი უსწავლელი დიაკვნის საქმით — სოფლის მწერლის თანამდებობით კმაყოფილი იყოს.

აქ სოლომანი განასხვავებს ორ ჭხარეს — სულიერს და მატერიალურს. ხორციელის მიმართ მას უკმაყოფილება არა აქვს, რაკი მცირესაც სჯერდება მისივე ფილოსოფიის თანახმად, ხოლო სულიერად რომ მართლაც უკმაყოფილოა, — თვითონვე აღიარებს. განა უმჯობესი არ არის, ურჩევს დავითი, — ერთი ბავშვი მაინც აიყვანოს სოლომანმა აღსაზრდელად და კაცად გამოიყვანოს? სოლომანის იდეალიცეს არის, ამისათვის ემზადება, მარტო ცოდნას კი არ იძენს წიგნებიდან, აღზრდის წესებსაც სწავლობს, მიაჩნია, რომ ბავშვის აღზრდა ურთულესი ხელოვნებაა და აღმზრდელს არამარტო საგანი უნდა ესმოდეს, არამედ, ამ საგნის სხვისთვის გადაცემის ოსტატობაც მისი სტიქია უნდა იყოს. ამ მხრივ პირდაპირ სამაგალითოა სოლომანის აზრიცა და მოქმედებაც: „ბევრსა ვცდილობ წიგნით, ხილვით, თუ სმენით, რომ წრთვნა ყრმისა ვისწავლო, შევიგნო და მაგ, ჩემის ფიქრით, უუდიდეს საქმეს ისე მოვკიდო ხელი, ისე ვემსახურო. მაგ საქმის სიყვარული სემინარიიდამვე დამყვა და დღეს-აქამომდე ჩემს ჰკუა-გონებას მაგ საქმეს ვანდომებ. ძნელი საქმეა და უფრო დიდი და მძიმე ვალია. მზრდელი ყრმისა მეორე შემოქმედია. რასაც ერთი მიჰმადლებს ბავშვს, მეორემ უნდა წრთვნას და ჰზარდოს... დიდი გაბედვა კი უნდა, რომ ეგ საქმე კაცმა თავს იდოს".*

ყოველი სიტყვა აქ სრული ჭეშმარიტებაა, იდეალური დახასიათებაა აღმზრდელის ურთულესი მოვალეობისა და რა კარგი იქნებოდა, რომ ყოველ პედაგოგს ეს დიდებული აზრი ისევე ღრმად შთანერგოდა არსებაში, როგორც მის ავტორს. ვიდრე სხვის აღზრდას შეუდგებოდე, შენივე თავი უნდა აღზარდო სხვის აღმზრდელად. უკეთეს ფორმულას ვერც ვიპოვნით პედაგოგის მოსამზადებლად. საგნების შესწავლასთან ერთად მან „წრთვნა ყრმისა" უნდა ისწავლოს, შეიგნოს, და შემდეგ მოჰკიდოს ხელი ამ მართლაც „უუდიდეს საქმეს". სხვისი აღზრდა პედაგოგის მარტო „ძნელი საქმე" კი არ არის, „მძიმე ვალიცაა". პედაგოგს უნდა ესმოდეს, რომ იგი მშობლის შემდეგ „ყრმის მეორე შემოქმედია", მეორე მშობელია. სწორედ მას ევალება ბავშვისათვის ბუნებით მიმადლებული ნიჭის წრთვნა და აღზრდა. განა მართლაც „დიდი გაბედვა" არ უნდა, რომ ეს უმძიმესი ტვირთი იკისრო? ადამიანი, ვინც ასე მსჯელობს, ასე პასუხისმგებლობით ეკიდება სხვის აღზრდას, ნამდვილ პედაგოგად დაბადებულა და მხოლოდ ასეთ პირს შეიძლება ბავშვის მომავალი მიენდოს.

მაგრამ, თუ დაკვირდებით სოლომანის მომდევნო მსჯელობას, თქვენ შეუძლებელია არ იგრძნოთ, რომ იგი კარგად იცნობს პედაგოგიკურ თეორიებს, განსაკუთრებით რუსოს „ემილის" დოქტრინას და მისგან პროგრესულ იდეებთან ისე მცდარიაზრიც გაუზიარებია, რომ თუ გსურს სწავლასთან ერთად ბავშვს ადამიანობა მისცე, ერთ აღსაზრდელს ერთი აღმზრდელი უნდა ჰყავდეს. „თუ წრთვნა გინდა ბავშვისა, — ამბობს სოლომანი, — იგი შენ უნდა ჩაისო გულში და იმან შენ. ბევრში ეგ. ჩემის

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ., გვ. 519—520.

ფიქრით, შეუძლებელია, უმაკისოდ კი შესაძლოა სწავლა, ცოდნა მისცე და ადამიანობა კი არას დროს. მე კი ასე მჯონია, რომ ადამიანობას პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ბავშვის წერთნა-სწავლებაში. მე თუ გავბედავ, მ ა რ ტ ო ე რ თ ს ბ ა ვ შ ვ ს მ ი ვ ი ბ ა რ ე ბ“.* დიახ, ე რ თ ი ა ღ ს ა ზ რ დ ე ლ ი, რ ო გ ო რ ც რ უ ს ო მ ე მ ი ლ ი აღზარდა. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რასაც იგი ამბობდა: „გამოისთქვამენ სურვილს, რომ აღმზრდელს უკვე ჰყავდეს ვინმე აღზრდილი. ეს უკვე მეტისმეტია. ე რ თ ი დ ა ი გ ი ვ ე ა დ ა მ ი ა ნ ს ე რ თ ზ ე მ ე ტ ჯ ე რ ა რ ძ ა ლ უ ძ ს აწარმოოს აღზრდა. თუ წარმატებისათვის საჭირო იყო აღზრდის ორი შემთხვევა, მაშინ რა უფლებით უნდა ეკისრათ იგი პირველჯერ?.. მეტი გამოცდილების მქონეს უკეთ უნდა შესძლებოდა აღზრდა. მაგრამ ეეღარ მოახერხებდა ამას. ვინც არ უნდა იყოს, თუ ერთხელ იმდენად კარგად შეასრულა ეს საქმე, რომ იგრძნო ყველა მისი სიძნელე, აღარ მოისურვებს მის გამეორებას, ხოლო, თუ პირველად ცუდათ შეასრულა იგი, ეს ცუდი საწინდარი იქნებოდა მისი განმეორებისათვის“.** მაგრამ რუსო აქ არ შეჩერებულა. მან წინააღმდეგობა გაუწია „ს ა ე რ თ ო ა ზ რ ს“ და წამოაყენა მოსაზრება, რომ „ბავშვის აღმზრდელი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა კ ა ც ი უნდა იყოს; იმდენად ახალგაზრდა, რამდენადაც ეს შეეფერება ჭკუით დადინჯებულ ადამიანს. კარგი იქნებოდა, რომ ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი თ ი თ ო ნ ა ც ბ ა ვ შ ვ ი ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, შესძლებოდა თავის აღსაზრდელთან დ ა ა მ ს ა ნ ა გ ე ბ ა და მის გართობაში მონაწილეობით მისი ნ დ ო ბ ი ს დამსახურება. ბავშვობასა და მოწიფულობის ხანას იმდენი არაფერი აქვთ ს ა ე რ თ ო, რომ ოდესმე საკმაოდ მტკიცე მეგობრობა დამყარდეს ასეთ ა ს ა კ ო ბ რ ი ვ მ ა ნ ძ ი ლ ზ ე“.*** ბევრ შემთხვევაში ეს პარადოქსალური აზრები ერთ ღირსებას უდავოდ შეიცავენ: ა ღ მ ზ რ დ ე ლ ი ს უ დ ი დ ე ს ი პ ა ს უ ხ ი ს მ გ ე ბ ლ ო ბ ი ს შ ე გ ნ ე ბ ა ს, აღზრდის, როგორც რ თ უ ლ ი ფ ე ნ ო მ ე ნ ი ს აღიარებას, და იმის ელემენტარულ ჭეშმარიტებად მიჩნევას, რომ აღმზრდელი და აღსაზრდელი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი უნდა გახდნენ.

რა უნდა იყოს მ თ ა ვ ა რ ი აღზრდაში? „ბავშვებს უნდა შევასწავლოთ მხოლოდ ერთადერთი მეცნიერება: ეს არის ადამიანის მოვალეობათა მეცნიერება“.**** განსხვავების მიუხედავად, ს ო ლ ო მ ა ნ ი ც ფიქრობს, რომ აღმზრდელისათვის მთავარია აღსაზრდელს ა დ ა მ ი ა ნ ო ბ ა მისცეს. დიდი ფრანგი განმანათლებელი ხომ ამბობდა: აღზრდა უნდა „შეეფერებოდეს ა დ ა მ ი ა ნ ს და კარგად ეგუებოდეს ა დ ა მ ი ა ნ უ რ გუნდს“. „მხედრად უნდათ აქციონ ჩემი აღზრდილი, თუ ეკლესიის მსახურად ან ვექილად — ჩემთვის ამას არა აქვს მნიშვნელობა. მშობლების მოწოდებაზე ადრე ბუნება უბრძანებს მას ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი ცხოვრებისათვის. ხელობა, რომელიც მინდა მე ვასწავლო მას, არის ც ხ ო ვ რ ე ბ ა. ჩემი ხელიდან იგი არც სასამართლოს მოხელე გამოვა, არც მხედარი, არც მღვდელი. ი გ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ი ქ ნ ე ბ ა უ წ ი ნ ა რ ე ს ყ ო ვ ლ ი ს ა“...***** აღზრდის ამგვარი მიზანი აქვს დასახული ილიას გმირსაც, ხოლო თუ გავითვა-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 520. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** ჟ ა ნ ჟ ა კ რ უ ს ო. „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“. 1949 წ., გვ. 29. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე, გვ. 30. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

***** იქვე, გვ. 10—11.

ლისწინებთ რასაც იგი ამბობს სიმდიდრისა და სიღარიბის, ადამიანური მორალის საკითხებზე, თუ ყურადღებას მიაქცევთ სენსუალიზმს, მაშინ არ შეიძლება მის აზროვნებაში რუსოიზმი არ დავინახოთ. სოლომანი ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული რუსოისტია, რასაც მოთხრობის შემდგომი თავებიც გვიდასტურებენ.

დავითმააცნობა სოლომანს, რომ თავად ამირინდო დებედაძისაგან არის მოგზავნილი. თავადი სთხოვს მისი ერთადერთი შვილი პატიკო სოლომანმა აღზარდოს. ამირინდო „კაჟი კაცია", „ყველა სიყვარულით აღსენებს", „ცოლი უფრო უკეთესი" ჰყავს, თუმცა ორივე „უსწავლელი სოფლელები არიან". ბავშვი კი საკვირველი გუნებისაა. „ჩემს სიცოცხლეში ბალღი ბევრი მინახავს და მაგისთანა კი ჯერ არა,—ეუბნება დავითი სოლომანს.—ისე ხომ ცოცხალი, მალხაზი ბიჭია, და თუმცა ხუთი ექვსის წლისაა, მაგრამ უეცრად რაღაც მოუვლის ხოლმე, ჩაფიქრდება, თითქო რთული აზრი რამ გამოეკვანძა და იმისი გამოხსნა უნდაო. მაშინ სახეზე აშკარად დაეტყობა ხოლმე, რომ მისი პატარა ტვინი და გული იძერის და მუშაობს. ცოდოა ერთს ბრიყვს მწიგნობარს ვიღაც ჩაუვარდეს ხელში და უფრო ცოდოა, რომ მის დედ-მამას, რომელთაც გაგიჟებით უყვართ შვილი (მარტო ის ერთი შერჩათ შვილი შვილისაგან — გ. ჯ.), არ ესმით ეს სულის ძვრა პატარა ადამიანისა".* თუ ეს ცუდია, მეორეს მხრივ დავითს სასარგებლოდაც მიაჩნია სოლომანისათვის, რაკი მშობლები ვერ ჩაერევიან ბავშვის წვრთნაში, უცოდინარობის გამო, და მასწავლებელს შეუძლია ისე იმოქმედოს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ ასე უსწავლელმა მშობლებმა გადაწყვიტეს სწავლა დაწყებინონ ხუთი-ექვსი წლის ბავშვს, როცა „ჩვენში მიღებულია" რვა-ცხრა წელზე უფრო ადრე ამ საქმეს ხელი არ მოჰკიდონ? მიზეზი დავითია, რომელმაც გუშინ, დებედაძეებთან სტუმრად ყოფნის დროს, შეამჩნია, რომ პატიკოს გონება რთულ კითხვებზე პასუხებს ეძებს, მშობლები უვიცად პასუხობენ, ბავშვი იტანჯება და აუცილებელია მცოდნე აღმზრდელი მიეჩინოს.

ყოველივე იმან, რაც დავითმა თქვა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სოლომანზე, რომლისთვისაც „ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდის ადამიანისა". სოლომანმა გადასწყვიტა ხელი მოეკიდებინა მისთვის ჯერ კიდევ უცნობი პატიკოსათვის და შედგომოდა დებედაძის პატარა ყმაწვილის აღზრდას. ის დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს, მოიფიქრა საიდან ან როგორ დაეწყო. ბუნებრივია, თავისივე მოძღვრების ერთგული, უნდა ცდილიყო ბავშვის გული მოეგო, თვითონაც გულში ჩაესვა, — ეს იქნებოდა პირველი ნაბიჯი. ამ მიზნით ჩაიხედა უბის წიგნში, სადაც ჩაწერილი ჰქონდა „თავისი ნაფიქრი, ნაგრძნობი, ნახული თუ გაგონილი". წაიკითხა სწორედ ის ადგილი, რომელიც მადლსა და სიბრალულს შეეხება: „რა მადლია ქვეყანაზე, რომ ყველა სხვა მადლი იქიდამ გამოდიოდეს, როგორც სხივები მზისაგან? მწამს და ვაღიარებ, რომ ამისთანა მადლი — მადლია სიბრალულისა. მადლსაც სიმართლისას. პატიოსნებისას, სიყვარულისას, ნუგეშცემისას, ერთმანეთის განკითხვისას, შეწყნარებისას, შენდობისას,—დასაბამად, სათავედ სიბრალულის მადლი აქვს. თუ გებრალება, უსამართლობას ვერ უზამ;

---

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1937 წ., გვ. 521.

თუ გებრალება, უნამუსოდ ვერ მოექცევი; თუ გებრალება, გეყვარება კიდეც; თუ გებრალება, ნუგეშსაცა სცემ; თუ გებრალება, გულით წმინდით განიკითხავ; თუ გებრალება, შეიწყნარებ; თუ გებრალება, შეუნდობ".*

ამ ფილოსოფიურ თეზისებში, ქრისტიანული მორალის პრინციპებთან ერთად, ჩვენ ვგრძნობთ რუსოს სენსუალისტური თეორიის რემინისცენციებს, მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, არამედ, იმის შეგნება, რომ აღმზრდელს თავისი აღსაზრდელი უნდა ებრალებოდეს, როგორც უსუსური, რომელსაც ჯერ დედის რძე არ შეშრობია და გონების თვალი ჭეშმარიტებისათვის არ გაუხელია. რამდენი სიმძიმის გადატანა დასჭირდება მას, რომ ამოიკითხოს ბუნებისა და ცხოვრების საკვირველი საიდუმლოებანი. თუ აღმზრდელს სურს დახმარება აღმოუჩინოს ამ უსუსურ არსებას, უნდა ებრალებოდეს იგი, ეს იქნება „მადლი სიბრალულისა", რომელიც სოლომანს „ყველა სხვა მადლის" დედად მიაჩნია.

როგორ წრეში მოუხდება ასეთ მზრუნველ აღმზრდელს თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა? იმის გარდა, რაც ამირინდო დებედაძის ოჯახზე ითქვა, ავტორმა ისიც გვაცნობა, რომ თავადი და მისი მეუღლე სალომე მუდმივად სოფელში ცხოვრობენ, ქალაქი კი არ უყვართ. „ხომ ჩვენი ქალაქია. — ამბობდა ხშირად ამირინდო, — მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქო ჩვენები აბარგებულან და გახიზნულან და სხვები დასახლებულანო. გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსაო. ლეჩაქი რა არის, ლეჩაქიც-კი ვეღარსად დაგინახავს, თითქო ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო".** როცა მე-19 საუკუნის ბოლო წლებში ასე მსჯელობდა ამირინდო, მკითხველს შეუძლია ადვილად წარმოიდგინოს და ავტორიც გვეუბნება, რომ იგი „ძველი დროის" ადამიანია, მთელი ცხოვრება მარტო პურ-მარილი, სტუმარ-მასპინძლობა ჰგონია. ასეთ ოჯახში სოლომანს ვერავინ შეედავებოდა, თუ როგორ აღეზარდა პატიკო, რომელსაც, სავსებით რუსოს იდეების მსგავსად, ბუნების წიაღი უქნებოდა სკოლის ცივ კედლების სანაცვლო.

პირველ დღესვე, როცა სოლომანი დებედაძეების ოჯახში მივიდა, ისეთი ამბავი მოხდა, რამაც მტკიცედ დაამეგობრა აღმზრდელი და აღსაზრდელი. პატიკო, რომელიც მამას საშველად უხმობდა, „მისდგომოდა ბარდსა და რაღაცას ეძიძგილავებოდა. შალვარი და ახალუხი აქა-იქ შემოჰგლეჯოდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე. ეტყობოდა, ბევრს წვალებულა". ბავშვის ძახილზე მასთან მივიდნენ ამირინდო, დავითი და სოლომანი. „... დაინახეს, ბღარტი გადაფოფხილიყო პატარა ფრთებით ეკლიან ბარდზე, პირი დაეღო, თითქო საჭმელს აწვდიანო, და შეშინებული იყურებოდა. სოლომანმა შეხედა და დაინახა ზედ ჩიტის ბუდე. აშკარა იყო, იქიდამ ჩამოვარდნილა ბღარტი და ტოღონობით შორს ვეღარ წასულა და ბარდს დასცემია იმისთანა ადგილას, რომ პატიკო წვალებულა და ვერ მიმწვდარა".*** ბავშვი ყველას ემუდარებოდა ბღარტი დაეჭირათ. სოლომანმა პატიკოს სურვილი შეუსრულა. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აღმზრდელმა თავისი საქმე დაიწყო. ბავშვს ჰკითხა: „ახლა, რად გინდა საწყალი ბღარტი?.. ბავშვმა პასუხი ვერ უთხრა და

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 1, 1937 წ., გვ. 523.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 524.

შეაჯუიტა ჰკვიანი თვალები, თითქო უნდაო პასუხი სოლომანისგანვე შეიტყოს". განსწავლულმა, დაკვირვებულმა, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით გამსჭვალულმა აღმზრდელმა, ბავშვზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისა და მისი ბუნების შეცნობის მიზნით, კარგად გამოიყენა პირველივე შემთხვევა: პატიკოს შეახედა, თუ როგორ „მოუსვენრად ჰტოკავდა უილაჯო მწუხარებით" იქვე ახლო ხეზე შემჯდარი ბღარტის დედა, სიმწარისაგან „ბუმბულ-აბურძგნული" და დანაღვლიანებული. „იქნება სტირის კიდეც, შვილს რად მართმევთო. იმას უნდა ბღარტი ბუდეში ჰყვანდეს თავისთან". ბუდე სად არის?—იკითხა ბავშვმა. აღმზრდელმა შეახედა. ამსვი, — თქვა ბავშვმა, და როცა სოლომახვა ხელში აყვანილი პატიკო „ბუდის სისწვრივ გააჩერა", პატარა ხელმა ბღარტი შიგ ჩასვა. „აბა. უყურე. დედა ეხლავ მოჰფრინდება და რა-როგორ გაიხარებს". — დასძინა აღმზრდელმა. დედა-ჩიტი უმალ შესკუპდა „ბუდეზე და, რა დაინახა თავისი შვილი მთელი და ცოცხალი, იმის სიხარულს ბოლო არა ჰქონდა. ტანზე ბუმბული დაულაგდა, დამშვიდდა, ხმაც დაუტკბა და ისეთს ჭიკჭიკს სიხარულისას მოჰყვა, თითქო ჰლოცავს თავის შვილის მხსნელსაო". ყოველივე ეს თავისი თვალით იხილა პატიკომ, „სხვაძიას", როგორც სოლომანს ეძახის. დახმარებით და მისადმი იმედი სიყვარული იგრძნო, რომ „მთელი დღე... აღარ მოშორებია". ავტორი შენიშნავს: „ბავშვის პატარა გულმა მაშინვე იგრძნო მეგობარი", ხოლო საღამო ხანს მოითხოვა მისი საწოლი სოლომანის საძინებელ ოთახში დაედგათ.

როცა ოთახში მარტო დარჩა, სოლომანმა თავის უბის წიგნაკში აღნიშნა: „დღეს 15 მაისს 18... წლისას, ჩემი პირველი გაკვეთილი იყო. ღმერთო შენით!.. ბავში ძალიან მომეწონა. ძნელი დასაწყისი სწავლა-წვრთნისა ერთს დღეს მომისერხდა: მე და ბავში დავმეგობრდით. ბეწვის ხიდი გავიარე"...* დიახ, ნამდვილად გაიარა და საბოლოოდ ისიც დაგვიდასტურა, რომ აღზრდის რუსოისტური დოქტრინიდან მას ბევრი რამ თავის სახელმძღვანელოდ გაუხდია.

იქნებ ეტიუდსაც იმიტომ ეწოდება „უცნაური ამბავი", რომ მოთხრობა თუ დასრულდებოდა, ჩვენ ვიხილავდით მართლაც უცნაურ ამბავს: ერთი აღმზრდელი (სოლომანი) ერთ აღსაზრდელს (პატიკოს) შეასწირავდა მთელ თავის მოღვაწეობას, რუსოს დოქტრინის თანახმად, გამოიყვანდა მას კარგ ადამიანად, და ყველაფერს ამით დაამთაერებდა? იქნებ მართლაც ასე ჰქონდა ჩვენს ავტორს თავისი მოთხრობა ჩაფიქრებული? ეჭვი არ გვეპარება. მით უფრო, რომ პარადოქსების მიუხედავად, დიდ ფრანგ განმანათლებელს ბევრი პროგრესული მხარეც ჰქონდა, გენიალურ აზრებთან ერთად. რა გასაკვირია, თუ ერთი საუკუნის მიუხედავად, რომელიც ორ ავტორს შორის ჩამდგარა, ზოგიერთი იდეა უმცროსისათვის გასაზიარებელი ყოფილიყო, როგორც განმანათლებლისა? იქნებ მის უარყოფასაც ფიქრობდა? გვიჩვენებდა, რომ აღზრდის ის სისტემა, რომელსაც სოლომანი მისდევს. უვარგისია; აღმზრდელსა და აღსაზრდელს (პატიკოს) შორის ხიდი ჩატუდება და სოლომანი გარიყული აღმოჩნდება თავისი მოწაფისაგან?

როგორი სახეც არ უნდა მიეღო ილიას „უცნაურ ამბავს", სრულიად უეჭველია, რომ მოთხრობას დიდაქტიკური ხასიათი ექნებოდა,

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I. 1937 წ., გვ. 525. ხაზი ყველგან ჩვენია—გ. ჯ.

აღძრავდა პედაგოგიკური მეცნიერების ზოგიერთ იმ პრობლემას, რომლებსაც „ემილში“ ვხვდებით. თუ როგორ გადაწყვეტდა, ეს შეიძლება მხოლოდ თვით ილიას პედაგოგიური სისტემის მიხედვით გავითვალისწინოთ, რასაც ჩვენ თავის ადგილას ვეხებით.

საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ შეხვდა იმდროინდელი კრიტიკა ილიას ამ დაუმთავრებელ მოთხრობას.

„უცნაურ ამბავს“ ძალიან დაბალი შეფასება მისცა გიორგი წერეთელმა. მისი ტენდენციური დამოკიდებულება ილიას დაუმთავრებელი მოთხრობისადმი იქედანაც ჩანს, რომ ეტიუდი ნინოშვილის „მოსე მწერალს“ შეადარა, „ძალიან შორს ჩამორჩებაო“, დასძინა, და არ დაფიქრებულა, რომ მათი შედარება შეუძლებელია — პირველი სულ სხვაა, მეორე ასევე სულ სხვა. სერიოზული განხილვის ნაცვლად, ავტორმა ირონიული ტონი აიღო, ფელეტონური კრიტიკის გზას მიმართა. ხოლო ფელეტონური კრიტიკა არასოდეს არ იძლევა ლიტერატურული ნაწარმოების ობიექტურად შეფასებას. სასაცილოდ იყო აღებული ეტიუდის შინაარსიც: „მიწურში გამოჩეკილი პედაგოგი-ფილოსოფოსი თავისსავე შესაფერის პაწია ფილოსოფოს ყრმას ჰპოებს აღსაზრდელად. და თვითონ ეს ყრმაც ხომ უცნაური რამ ამბავია. ჯერ ექვსი წლისაც არ არის და ისეთს ფილოსოფიურ კითხვებს იძლევა, ისეთს კრიტიკას უშვრება თავის დედ-მამას, რომ დარვინიც გაწცვიფრდებოდა მის მოქმედებაზე“.* ეს შენიშვნა მოკლებულია ობიექტურობას, მეტისმეტად ტენდენციურია, როგორც იმის მტკიცება, რომ ილიას მხატვრულმა ტალანტმა თითქოს ჩამოქვეითება იწყო „სცენების“ შემდეგ და „გლახა ჭრიაშვილის“ ბადალი მერე არაფერი დაუწერია. ჩვენი განხილვა ეტიუდისა მგონი ნათლად მოწმობს, თუ რამდენად არასწორი იყო გიორგი წერეთელი. როცა „უცნაურ ამბავს“ ასე დაბალ შეფასებას აძლევდა.

მკითხველს ნუ გაუკვირდება, რომ ასე ხანგრძლივად შევაჩერეთ მისი ყურადღება ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელ მოთხრობებზე, ფრაგმენტებსა და ვარიანტებზე. „აჩრდილის“ ავტორი დიდი მწერალია და ასეთი კაცის ხელიდან გამოსული ყოველი სტრიქონი, ყოველი სიტყვა ჩვენთვის ძვირფასია, კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანია. ეს დაუმთავრებელი მოთხრობები, ფრაგმენტები, ვარიანტები იწერებოდა იმ ადამიანის მიერ, რომელსაც ორიგინალურ მხატვრულ ტალანტთან ერთად, შემოქმედების თავისი პრინციპები ჰქონდა, რასაც ესთეტიკური სისტემა ეწოდება. როცა ილია ჭავჭავაძის ხელოვნების თეორიას გავარკვევთ, მაშინ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ რატომ ჰკიდებდა იგი ხელს ცხოვრებისეული ფაქტების მხატვრულ განზოგადებას, როგორც თავის შედევრებსა, ისე დაუმთავრებელ ნაწერებში, და რატომ გაურბოდა განყენებულ თემებს.

---

*„ცქვალი“, 1894 წ., № 6, გვ. 9.

5. ილია ჭავჭავაძე და ხელოვნების რეალისტური თეორია

–დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჩასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამიეიდესო; დრო ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონაწოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის".

ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 80.

I

რაზნოჩინელები თავიანთ სახელოვან ფურცლებს წერდნენ რუსეთის რეოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიაში, როცა ყალიბდებოდა თერგდალეულთა მომავალი ბელადის ლიტერატურული კონცეფცია. ბელინსკის ლიტერატურული კრიტიკიდან ამტყდარმა ქარიშხალმა, რომელიც რაზნოჩინურმა ინტელიგენციამ შემდგომ განავითარა, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვისა და პისარევის მოღვაწეობამ ახალგაზრდა ილიას თვალწინ ჩაიარა. შეუძლებელი იყო ნიჭიერ ახალგაზრდაზე გავლენა არ მოეხდინა ამ თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელმაც გაბედულად გადადგა ნაბიჯი წინ, ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას და საკუთარი თავი მსხვერპლად მიიტანა გლეხური რევოლუციის მიზნებისათვის. შეუძლებელი იყო „საზოგადოებრივი სიკეთით" დაინტერესებული სტუდენტის ცხოვრებისათვის უქმად ჩაევლო იმ „განახლების გრიგალის" ქროლვას, რომელიც ასე მძლავრად დაიძრა რაზნოჩინელების ხეორიისა და პრაქტიკის წიაღიდან. ილია ჭავჭავაძე ყოველივე ამას საკუთარი თვალით ხედავდა. მეტამორფოზა მოხდა მის ესთეტიკურ იდეალებში და „ყვარლის მთების" რომანტიკული სინაზე მალე შეიცვალა ცხოვრებისა და ბრძოლის პრაქტიკული ფილოსოფიით — „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი".

პერიოდი, როცა გაიშალა ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა. სავსეა თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოვლენებით. XIX საუკუნის 60-იანი წლები რუსეთში აღინიშნა საზოგადოებრივი ძალების ინტენსიური მობილიზაციით, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, ორი ქვეყნის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლითა და რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის ამოძრავებით. რა-

მაც თავზარი დასცა ადამიანის უფლებისა და ღირსების დამამცირებელ სოციალურ ინსტიტუტს — ბატონყმობას.

ყოველივე ეს თავისებურ გავლენას ახდენდა საქართველოზე, რომელიც მაშინ რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. როცა იმდროინდელ ფაქტებს ვეცნობით, ვხედავთ, რომ ეს პერიოდი უაღრესად მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. იგი თავისებური „Sturm und Drang"-ის დასაწყისია ჩვენი იმდროინდელი მიძინებული ცხოვრების წიაღში, თავისებური ყიჟინაა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ, — გვეუბნებიან ლიტერატურის ისტორიკოსები; იგი მოითხოვდა ახლისათვის კარის გაღებას, ებრძოდა ძველს, დასცინოდა მის გარდასულ, დაცრეცილ ტრადიციებს და მომავლისაკენ იხედებოდა.

ამ პერიოდში ხელოვნების თეორიას უნდა გაეწმინდა გზა დროის შესაფერი ახალი შემოქმედებისათვის, უკუეგდო ყოველივე ის, რაც მისთვის მიუღებელი იყო. რაზნოჩინელების უტილიტარულმა შეხედულებებმა ხელოვნებაზე კვალი დააჩინეს 60-იანი წლების მოწინავე ქართველი ინტელიგენციის—თერგდალეულების ლიტერატურულ-ესთეტიკურ იდეალებს. ამ ინტელიგენციის ყველაზე ნიჭიერი და ტიპიური წარმომადგენელი იყო ილია ჭავჭავაძე. მისი პირველი ნაბიჯი ლიტერატურაში საკმაო შეიქნა, რომ გამოაშკარავებულიყო, თუ რომელი ნავსაყუდელიდან დაიძრა გრიგალი, რომელიც გარდაქმნით ემუქრებოდა არსებულს.

ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული სტატია, სადაც განხილულია კოზლოვიდან ქართულად თარგმნილი პოემა „შეშლილი", დაწერილია ბელინსკისა და საერთოდ რაზნოჩინელების იდეური გავლენით.* ეს იყო პირველი კრიტიკული წერილი, რომელმაც 60-იანი წლების დასაწყისში გაბედულად დაიცვა ხელოვნების ის უტილიტარულ-რეალისტური თეორია, ასე რომ განავითარეს და განამტკიცეს რაზნოჩინელებმა. ილიამ მკაცრად გააკრიტიკა არა მარტო „შეშლილის" ქართულად მთარგმნელი რევაზ ერისთავი, არამედ, პოეტი კოზლოვიც. ეს კრიტიკა თერგდალეულების ბელადმა მოხდენილად გამოიყენა რეალიზმისა და ხელოვნების რეალისტური თეორიის დასაცავად.

მაგრამ რაში მდგომარეობდა ხელოვნების რეალისტური თეორია ან სად იწყება მისი სათავე?

ამ კითხვის ცოტა შორიდან უნდა გავცეთ პასუხი.

მართალია, თავის პირველ კრიტიკულ წერილში ახალგაზრდა ავტორი ენის პრობლემებს მიაქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ აქ შემდეგი გარემოებაც უნდა აღინიშნოს: ილია ჭავჭავაძე განყენებული ენობრივი საკითხებით არ იწყებს თავის კრიტიკულ სტატიას. ის მიმოხილვას უკეთებს კოზლოვის პოეზიას და კარამზინის ლიტერატურულ სკოლას—სენტიმენტალიზმს. ეს უკანასკნელი მისთვის მიუღებელი და გაუმართლე-

---

* წერილს ეწოდება: „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძის ერისთავის კაზლოვის-მიერ „შეშლილის" თარგმანზედა". დაიბეჭდა „ცისკრის" 1861 წლის აპრილის ნომერში (№ 4) და ამიტომ თვით ილია იხსენიებს „აპრილის სტატიად", თუმცა 1860 წლის ნოემბერშია დაწერილი პეტერბურგს.

ბელი ლიტერატურული მიმდინარეობაა. ილიას აზრით, საჭირო არ იყო კოზლოვის „შეშლილის“ თარგმნა, ვინაიდან სენტიმენტალიზმი მას მიაჩნია ისტორიულად განვლილ საფეხურად ლიტერატურის ისტორიაში. ის მოხარულია, რომ ქართულმა სიტყვიერებამ თავის განვითარებაში არ განვლო სენტიმენტალიზმის სტადია. ამიტომ ზედმეტია დაბრუნება იმ საფეხურთან, რომელიც უკვე განვლილია სხვა ერის ლიტერატურაში და რომელსაც არავითარი დადებითი როლი არ უთამაშნია. „იქნება ფიქრობენ, — წერს ილია, — რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება. თუ ამას ფიქრობენ. მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა“.* ამ ცდომილებისა და სიცრუის ქვეშ ილია გულისხმობს კარამზინის ლიტერატურულ სკოლას—სენტიმენტალიზმს. მისთვის მიუღებელი და ყალბია კოზლოვის წყალწყალა, მტირალა სენტიმენტალისტური ლექსები. ილია კარამზინის „Бедная Лиза“-საც უარყოფითად აფასებს. მართალია, ერთ დროს კარამზინსა და მის მიმდევარ კოზლოვსაც ჰყავდა მკითხველი, მაგრამ ეს იყო სულ სხვა პერიოდი, რომელიც აღარ განმეორდება და მით უმეტეს ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ წარსული დროის ცდომილება. მაშინ ისტორიას თავისი დიდი მნიშვნელობა აღარა ჰქონია, — ამბობს ილია. ისტორიის მნიშვნელობა და ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ „გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანვე გვასწავლის, კვალა, როგორ უნდა მოვიქცეთ“.** შეიძლება ითქვას, რომ ეს მოსაზრება თერგდალეულების იდეური პლატფორმა იყო. უტილიტარული შეხედულებების დროშა პირველად მათ აფრიალეს ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების სომალდზე.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბელინსკის ესთეტიკა ჰეგელიანური ფილოსოფიიდან გადაიხარა ხელოვნების უტილიტარული თეორიისაკენ. ეს საფუძვლად დაედო რაზნოჩინელების შეხედულებებს ხელოვნებაზე იმ განსხვავებით, რომ ჩერნიშევსკიმ იდეალისტური ესთეტიკასთან ბრძოლაში ისე ორიგინალურად ჩამოაყალიბა ხელოვნების უტილიტარული თეორიის პრინციპები, რომ ჩვენს წინაშე მისი დისერტაცია ძევს, როგორც ავტორის დამოუკიდებელ შეხედულებათა სისტემა. ჩერნიშევსკის ესთეტიკური იდეალები უფრო განავითარა სატირიკოსმა და გენიალურმა კრიტიკოსმა დობროლუბოვმა, ხოლო პისარევმა უკიდურესობამდის მიიყვანა უტილიტარიზმი ხელოვნების თეორიაში.

ამ დიდი იდეური დაძაბულობისა და თეორიული შეტევის ეპოქაში ვამოიწრთვნენ თერგდალეულები; მათ თვალწინ განვითარდა „სარატოველი სემინარიელის“ რევოლუციური აზროვნება; მათ არა ერთხელ გადაუკითხავთ დობროლუბოვის გესლიანი სატირული ლექსები და ბრწყინვალე კრიტიკული წერილები; ისინი თვალნათლივ ხედავდნენ პისარევისა და ზაიცევის ნიღილისტურ გალაშქრებას ხელოვნების იდეალისტური თეორიის წინააღმდეგ; მათ პირველსავე ნაბიჯზე დაინახეს პისარევი, რომელმაც სცადა პუშკინის ჩამოგდება პიედესტალიდან, და ზაიცევი, რომელმაც მწვავედ

---

* „ცისკარი“, 1861 წ., აპრილი, გვ. 567. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

გააკრიტიკა ლერმონტოვის პეჩორინის პესიმისტური შეხედულებები, ფეტის წმინდა ლირიკა და საერთოდ „წმინდა ხელოვნების ქურუმები“.

მართლა დიდი იდეური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობის ეპოქა იყო! კლდეს აზვირთებული მდინარე უბრძოდა. წარმოიდგინეთ მისი ტალღების ხმაური: ის ისმოდა რუსეთის გაშლილ ველებზე, შორეულ ციმბირსა და საქართველოში, მთელ ევროპაში; მას გრძნობდნენ ჟანდარმერიის ლაქიებიც და უფროსებიც. მეფის ჩინოვნიკობა და მეშჩანები, ყველა, მიუხედავად სუბიექტური ზრახვებისა — თანაუგრძნობდა, თუ ცდილობდა ჩაეხშო ეს დიდი მოძრაობა.

ილია ჭავჭავაძე ამ მოძრაობასთან ახლო იდგა; მაგრამ როგორც ნიჰილიზმის და დინჯმა პრაქტიკოსმა, მან ყოველივე თავის სუბიექტურ სამყაროში გადაიტანა, იქ მოახდინა საკუთარი იდეებისა და გარემოს ურთიერთობის განსჯა, ყოველივეს კრიტიკული თვალით შეხედა, მიიღო ის, რაც მისთვის ახალი აზრის როლს შეასრულებდა. ამიტომ ილიას პირველი პერიოდის თეორიულ შეხედულებებში ნათლად იგრძნობა არა მარტო რაზნოჩინელების იდეური გავლენა, არამედ. ნათესაობაც ბესარიონ ბელინსკისაზროვნებასთან.

უფრო ახლო მივიდეთ დასმულ საკითხთან.

პირველი კრიტიკული წერილი, რომელიც ილიამ მოათავსა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეეხებოდა კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანს. დაკვირვებული თვალისათვის ძნელი არ არის შენიშნოს, რომ ამ კრიტიკულ სტატიაში აშკარად იგრძნობა ბელინსკის გავლენა. როცა შეუპოვარი თერგდალეული ილია ჭავჭავაძე, რომელსაც გამბედაობისათვის მამებმა „თავხედი“ უწოდეს, აშუქებს რუსული ლიტერატურის საკითხებს, თქვენს წინაშე დგას ბელინსკის შეხედულებებზე აღზრდილი თეორეტიკოსი.

ბელინსკიმ რუსული ფსევდოკლასიციზმის — ხერასკოვისა და სუმაროკოვის შემოქმედების დახასიათება დაიწყო ფრანგული ფსევდოკლასიციზმის — კორნელისა და რასინის თეორიულ-მხატვრული არსენალის კრიტიკით. აღიარებული ფაქტია, რომ გენიალური რუსი კრიტიკოსი უარყოფითად აფასებდა სუმაროკოვის შემოქმედებას, თუმცა მის კრიტიკულ წერილებზე უფრო დადებითი შეხედულება ჰქონდა. ილიაც ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს როგორც ფსევდოკლასიციზმის, ისე რუსული სენტიმენტალიზმის წარმომადგენლის — კარამზინის მიმართ. ის სარკასტული ტონი, რომლითაც ბელინსკი აფასებდა რუსეთის ფსევდოკლასიკოსების შემოქმედებას, მეორდება ილიას კრიტიკულ წერილშიც. „აიღეთ რუსეთში ხერასკოვი და სუმაროკოვი და სხვა მათებრ გაბერილები თავიდან ფეხამდინ უნიჭობითა, — წერს ილია, — რამდენ მკითხველსა დატაშის მკვრელს შოულობდნენ... რუსეთშია“.* ბელინსკიც ასევე მწარედ დასცინის ხერასკოვისა და სუმაროკოვის პოეზიას: „კორნელისა და რასინის პოეზია ჩვენთვის ყალბია, რიტორიული პოეზიაა, და ჩვენ მისგან გვეძინება ისევე ტკბილად, როგორც სუმაროკოვის პოეზიისაგან“.** — წერს გენია-

* „ცისკარი“, 1861 წ., აპრილი, გვ. 563.

** В. Белинский, Сочинения Александра Пушкина, кн. I, გვ. 25.

ლური კრიტიკოსი. ილია ჭავჭავაძე შემთხვევით როლი მიეიდა ბელინსკის თეორიულ შეხედულებებთან. როგორც ვიცით, ბელინსკის უტილიტარული თეორია ხელოვნებისა რაზნოჩინელებმა განავითარეს და, ბუნებრივია, თერგდალეულებსაც ვერ ასცდებოდა ის დიდი გავლენა, რაც ბელინსკიმ მოახდინა არა მარტო მის თანამედროვე, არამედ, მომდევნო თაობებზედაც.

დავუბრუნდეთ კოზლოვისა და ერისთავის საკითხს. რომელიც ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

კოზლოვის პოემას ილია თვლის უსუსურ ლიტერატურულ ნაწარმოებად. რომელშიც არც გრძნობაა, არც გული, არც ცეცხლი და არც ყინული. ლიტერატურული ტიპაჟიც არარეალური და „წირპლიანი კოზლოვის“ ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნია, რადგან „შეშლილს“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, მაგრამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და ჯამშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი“.* პოემის მთავარი გმირი, შეყვარებული რუსი გოგო, ილიას არ მიაჩნია რეალურ ტიპად, რადგან „კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა, ეგ რაღაც ურუსო რუსიო, კოზლოვის ფანტაზიის შვილი და არა რუსის ცხოვრებისა“** ლიტერატურული ნაწარმოების ტიპაჟისადმი ეს თვალსაზრისიც ძალიან უახლოვდება ბელინსკისა და საერთოდ რაზნოჩინელების თეორიულ არსენალს. მაგალითად, როცა ბელინსკიმ მოლიერი გააკრიტიკა, მისი სახელმძღვანელო პრინციპი იყო ცოცხალი ტიპაჟი და არა სქემები. ილიაც ტიპაჟის ხელოვნურობას უსაყვედურებს კოზლოვს. მაგრამ ის აქ არ ჩერდება. აყენებს გმირის მოქმედებისა და დახატვის რეალისტურ პრინციპს. კოზლოვის შეშლილი მას არ მიაჩნია ნამდვილად შეშლილ ადამიანად. „მერე რა მოგახსენოთ. ის გოგო რუსის მუჟიკისა რომ სრულიად შეშლილი არ არის, თუმცა კოზლოვი გვეფიცება, რომ შეშლილიაო, ძალიან კარგ გუნებაზეც გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგათა სჯის“.*** ილია შექსპირის გმირების მაგალითით ამართლებს თავის რეალისტურ მიდგომას ლიტერატურული ტიპაჟისადმი, ოფელია და მეფე ლირი,—აი, შეშლილის დაუვიწყარი სახეები შექსპირის კლასიკურ ტრაგედიებში. განა შექსპირი თავისი გმირების შესახებ ლაპარაკობს. რომ ისინი შეშლილები არიან, რომ მათ გონება დაკარგეს? არა, მაგრამ არავის ეჭვი არ შეუპარება ოფელიასა და მეფე ლირის შეშლილობაში. კოზლოვის შეშლილი კი ავტორის მიერ დარქმეული სახელითაა შეშლილი, სინამდვილეში თუ მას მოვაცილებთ ამ ეპითეტს, ის აღარ იქნება შეშლილი, — ასეთია ილიას დასკვნა. ჩვენ სრული უფლება გვაქვს ეს თვალსაზრისი ხელოვნების რეალისტურ თეორიას მივაკუთვნოთ.

სრულიად უეჭველია, რომ ბელინსკის რეალისტურმა კონცეფციამ ილია ჭავჭავაძის აზროვნების ჩამოყალიბებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა. მას სამარის კარამდე არ უღალატნია ამ უტილიტარულ-რეალისტური დევიზისათვის. ხელოვნებას და პოეზიას ილიამ თავიდანვე შეხედა როგორც ხალხის ცხოვრების გამოთქმას.****

---

* „ცისკარი“, 1861 წ., აპრილი, გვ. 570—571.

** იქვე.

*** იქვე.

**** ილია ჭავჭავაძე. ტ. IV. 1927 წ., გვ. 49.

როგორც დავინახეთ, კარამზინისა და საერთოდ სენტიმენტალიზმის ანალიზში ილია ძალიან უახლოვდება ბელინსკის ესთეტიკას. მართალია, ის არ იზიარებს წყაროს, მაგრამ ზოგჯერ თითქმის უცვლელად გაიმეორებს იმავე შესედულებას. ავიღოთ თუნდაც ერთი საკითხი: როგორ უყურებდა დიდი რუსი კრიტიკოსი თანამედროვეებს, რომელთათვისაც კარამზინი გენიოსი და უკვდავი შემოქმედი იყო?

ბელინსკის კარგად ესმოდა, რომ მართალია, კარამზინს დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსული ლიტერატურის ისტორიაში,* როგორც ენის აღმდგენელს, რუსეთის ცხოვრების ისტორიკოსს, მაგრამ, როგორც შემოქმედს — მას არ თვლიდა დიდ მოვლენად. „კარამზინის ნაწარმოებებში, — წერდა ბელინსკი, — ყველაფერი უცხოა ჩვენი დროისათვის — გრძნობაც, აზრიც, სიტყვაც და თვით ენაც. ყოველივე ამაში არაფერი არ არის ჩვენი და ყოველივე ეს საუდამოდ მოკვდა ჩვენთვის".**

უთუოდ ბელინსკის ამ თვალსაზრისიდან გამოდის ილია ჭავჭავაძე, როცა ანასიათებს სენტიმენტალისტურ მიმდინარეობას რუსეთის ლიტერატურაში და კარამზინის მხატვრულ შემოქმედებას. ილია წერს, თითქმის უცვლელად იმეორებს ბელინსკის შეხედულებას: „კარამზინი, როგორც პოეტი, არ არის პატივცემული რუსეთში, უნიჭოს ეძახიან; მის თხზულების მიმართულებაც დაწუნებულია და მხოლოდ იმისთვის სიამაყით ახსენებენ მაგის სახელსა, რომ რუსული ენის აღდგინება მაგან დაიწყო რუსეთში და პირველი მაგან დაიმუშავა თავის ქვეყნის ისტორია".*** როგორც ვხედავთ, ეს თვალსაზრისი თითქმის უცვლელადაა გადმოღებული ბელინსკის ლიტერატურული კრიტიკიდან.

ხელოვნების სპეციფიკისა და ფუნქციის განსაზღვრაშიც ილია მტკიცედ მიჰყვება რეალისტურ თეორიას, ბელინსკის გზას, მაგრამ პარალელურად წაგვიყვანდა. ბელინსკის მსგავსად, ილიამაც უარყო „წმინდა ხელოვნება", „აბსოლუტური ხელოვნების" იდეა და პოეტის მოვალეობა განსაზღვრა უტილიტარული თვალსაზრისით. „არამარტო ტკბილ ამბათათვის" იბადება პოეტი, — ასეთია ილიას პირველი დასკვნა. მან გაბედულად დაგმო და უარყო განყენებული პოეზია, რომელიც მეშვიდე ცაზე ეძებდა ნავსაყუდელს, დაუსრულებლად უმღეროდა ღრუბლებისა და ვარსკვლავების „ბოლთის ცემას", მთვარესა და ცრემლმორეულ სიყვარულს; მოურიდებლად დასცინა პედანტი პოეტების უბეირო ღიღინს და წაძოაყენა უტილიტარული პრინციპი, რომ ხელოვნებასა და მეცნიერებას ერთი მიზანი აქვთ, ორივე წარმოადგენს ცხოვრების გასაუმჯობესებელ იარაღს.**** ამ უტილიტარული თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძემ მეგობრულად გაუწოდა ხელი დობროლუბოვისა და პისარევის რეალისტურ თეორიას.

დივიტრი პისარევმა ანალოგიურად დააყენა საკითხი თავის სახელ-

---

* ბელინსკის აზრით, კარამზინმა დაასრულა რუსული ლიტერატურის პერიოდი, რომელიც ლომონოსოვიდან პუშკინამდე გრძელდება და რომელსაც მან კარამზინის პერიოდი უწოდა.

** В. Белинский, Сочинения Александра Пушкина, кн. I, გვ. 68.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 60. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** იქვე, გვ. 72—73, 78—79.

განთქმულ სტატიაში -- „XIX საუკუნის სქოლასტიკა". მან კატეგორიულად გაილაშქრა იმ ლიტერატორების წინააღმდეგ, რომლებიც წერენ არა ფართო საზოგადოებრიობისათვის, არამედ, ადამიანთა უმნიშვნელო ხაწილის ინტერესების დასაკმაყოფილებლად. თავისი თანამედროვე ლიტერატორების დიდი ნაწილი პისარევს წარმოდგენილი ჰყავდა „კარიკატილ წრედ", რომელიც თავის კაბინეტში იმუშავებდა იდეებსა და ძეგლებს საზოგადოებისაგან იზოლაციით. ამიტომ მისი გააფთრებული კრიტიკის საგანი გახდა ლიტერატორების კასტა, მწერლები, რომლებიც ივიწყებენ, რომ ისინი წერენ არა თავისთვის, არამედ საზოგადოებისათვის.* პისარევის ამ უტილიტარულ შეხედულებებს უახლოვდება ილიას თვალსაზრისი, რომ ლიტერატურა ჩამოშორდა ხალხს, ვინაიდან მისი ენა გაუგებარი შეიქნა მათთვის.**

მწერალს უნდა ჰქონდეს იდეა, მაგრამ იდეის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის გამარჯვებას. ილიას აზრით, საჭიროა ეს იდეა შეიგრას ხალხში, მონახოს თავისი ადგილი, იქცეს რეალურ ძალად; თუ ხელოვნება და მეცნიერება წარმოშობილია ცხოვრების მიერ და იქმნება ცხოვრებით, მისი მიზანიც ცხოვრების ეაუმჯობესებაში უნდა მდგომარეობდეს. ილია ჭავჭავაძე მტკიცედ იცავს ამ თვალსაზრისს.

მაგრამ, როგორ უნდა ემსახურონ ხელოვნება და მეცნიერება. ცხოვრებას? ილია ჭავჭავაძე აყენებს ხელოვნებისა და სინამდვილის*** ურთიერთდამოკიდებულების მატერიალისტურ-რეალისტურ პრინციპს: „მეცნიერება და ხელოვნება ახსნის ცხოვრების მოთხოვნილებასა, ცნობაში პოიყვანს „ახალსა" და ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი" ისევ ცხოვრებაში დასცელის ცხოვრებასა".**** თუ იდეა, რომელსაც აყენებს მეცნიერება და ხელოვნება, გაუგებარია ცხოვრებისათვის, ხალხისათვის, ის კარგავს ღირებულებას. იდეა მაშინაა ღირებულების შემცველი, როცა ის გასაგებია ხალხისათვის და „სცელის ცხოვრებას", ემსახურება მის გაუმჯობესებას. დობროლუბოვიც ასეთივე თვალსაზრისს ავითარებდა. მას პრწყინვალედ ეამოდა, რომ იდეების მნიშვნელობა განისაზღვრება მათი დამოკიდებულებით სინამდვილისადმი. წარმოიშვა რა არსებული სინამდვილიდან, მან უნდა შეცვალოს მისი სახე. «Идей и их постепенное развитие, — წერს დობროლუბოვი, — только потому и имеют свое значение, что они, рождаясь из существующих фактов, всегда предшествуют изменениям в сомой действительности»***** განყენებული იდეები, რომლებიც არ ემსახურებიან სინამდვილეს. — მკვდარია. მათი არსებობაც შეუძლებელია, რადგან გენეზისი, რომელიც მოწყვეტილია ფუნქციას, — გაუმართლებელია. იდეა იქმნება სინამდვილის არსებული ფაქტებისაგან, მაგ-

---

* Д. И. Писарев. «собр. сочинений». 1934 г., т. 1, გვ. 35.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 75.

*** ეს საკითხი ვრცლად არის განხილული ჩვენს წიგნში — „ხელოვნება და სინამდვილე". 1955.

**** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV. 1927 წ., გვ. 73. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

***** Н. Добролюбов. «Когда-же придет настоящий день?».

რამ მისი დანიშნულებაა შესცვალოს ამ საგნების სახე. დობროლუბოვს კარგად ესმოდა, რომ არა იდეები ქმნიან საგნებს, როგორც ამას ამტკიცებდა ჰეგელის ობიექტური იდეალიზმი, არამედ თვით საგნები ქმნიან იდეებს, გარკვეული იდეების შეგნების მომენტი არ არის ამ იდეების არსებობის უკანასკნელი ინსტანცია, იდეის ღირებულება არ განიზომება იმით, თუ რამდენად შეიგნებენ მას ადამიანები. მისი კრიტერიუმია სინამდვილის შეცვლის ზარისხი. ეს მატერიალისტური დებულებები დობროლუბოვმა ნათლად ჩამოაყალიბა თავის კრიტიკულ სტატიებში: «После периода сознавания известных идей и стремлений должен являться в обществе период их осуществления. За размышлениями и разговорами должно следовать дело».* იდეის შეგნების შემდეგ საზოგადოებაში უნდა წარმოიშვას მისი განხორციელების პერიოდი. განსჯა და მსჯელობას უნდა მოჰყვეს საქმე, — ასეთია ის მატერიალისტური, რევოლუციურ-დემოკრატიული იდეა, რომლითაც დობროლუბოვმა განიხილა ტურგენევის ინსაროვი. როგორც ვნახეთ, ილიას თვალსაზრისი ძლიერ ახლოა ამ კონცეფციასთან.

ილია ჭავჭავაძემ ქართულ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ხელოვნების ის განსაზღვრა, რომელსაც რუსულ კრიტიკაში ბელინსკიმ ჩაუყარა საფუძველი. „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა. აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, — მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა. სიტყვიერებითი ხელოვნება პოეზიასა ჰქვიან“.** საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს ამავე დროს ღრმად სწამდა, რომ პოეზია არის „განსახიერება ნეშმარიტებისა და ცხოვრებისა“. პოეზია „საგრძნობელია. იგი ხატებაა ჩვენთა გრძხობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა და ლხინთა“. როგორ უდგება ხელოვნება სინამდვილის ასახვას? „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა“.*** მაგრამ პოეზია არ არის მარტოოდენ სინამდვილის ასახვა. იგი ცხოვრების გარდაქმნას და გაუმჯობესებას ეძახურება. „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“.**** „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“.*****

---

* Н. Добролюбов, «Когда-же придет настоящий день». გვ. 73.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 31—32. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. V, გვ. 256. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

**** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 79. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

***** იქვე, გვ. 73. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ასეთივე რეალისტური თვალსაზრისით მიუდგა ილია ჭავჭავაძე დრამატული ხელოვნების ანალიზს.

1890 წელს ილია ჭავჭავაძემ მიუთითა: „დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია და ყველა მწერალი — თუნდ ნიჭიერიც — ვერა ჰბედავს ხელი შეჰმართოს".* ილია ყოველ დრამაში ორ სახეს ხედავდა — შინაგანს და გარეგანს. თუ შინაგანი სახე ცარიელია, მოკლებულია ჭეშმარიტი დრამის ღირსებას, მას ვერ დაფარავს და ვერ უშველის გარეგანი სახის თუნდაც ბრწყინვალება.

მაგრამ რა შეადგენს დრამის არსობას, მის ბუნებას?

„...დრამა უსათოდ სულისა და გულის უდიდეს ძვრაზე უნდა იყოს აგებული და ამენებული. და ეს უდიდესი ძვრა სულისა და გულისა ერთადერთი საგანია დრამისა, ერთადერთი ბუნებაა მისი". ისტორიულ პიესა „მტარვალში" და ცაგარელის „ქართველის დედაში" ყოველივე ეს მოცემული იყო არა ხასიათების შიხაგანი გაშლით მოქმედებაში. არამედ, გარეგანი საშუალებებით — გმირები თვითონ ლაპარაკობდნენ თავის თავზე, თვითონ ასაბავდნენ თავის თავს. ამ დრამებშიო, — მიუთითებდა ილია, — „სული და გული ადამიანისა თავისით არა მოქმედობს, თავისდა ბუნებისამებრ არ იშლება. არ იხსნება მოქმედებაში. თითონ ავტორები მომქმედთა პირით გვეუბნებიან. ეს ასეა. ეს ისეაო, მაშინ, როდესაც ამაებს ჩვენ თითონ უნდა ვხედავდეთ. ჩვენ თითონ უნდა ვგრძნობულობდეთ საქმითა და არა ავტორების სიტყვითა. კაცი თუ ქალი თავიანთ ავ-კარგიანობას თითონვე მოგვითხრობენ — მე ასეთი და ისეთი ვარო, და თავიანთ ასეთ-ისეთობას ან სულ არ გვაჩვენებენ საქმითა. ან ძალიან იშვიათად, ისიც მეტის-მეტად მკრთალად და გაკვრით. თითქო დრამისთვის ამისთანები მეტი ბარგი იყოს".**

ეს არ არის ხასიათის გახსნა და გაშლა მოქმედებაში. ილიამ ავქსენტი ცაგარელს სწორედ ხასიათების არასწორი გახსნა დაუწუნა: „დედა სცენაზე შემოდის წინათვე გადაწყვეტილს აზრით და კვარწმუნებს, რომ ჩემის ქვეყნისათვის გავზარდე ჩემი ბუთი შვილი, საქართველოსათვის ვაწოვე ჩემი ძუძუ და სხვა არაფერი აინუშში აღარ მოსდის. თითქო დედა-შვილური სიყვარული ისე ცოტა რამ იყოს, რომ უომრად. უბრძოლველად ლაჩარსავით დაჰნებდეს, თუნდ იმისთანა დიდ-პატიოსანსა და დიდ-მშვენიერს გრძნობას, როგორიც მამულის-შვილური სიყვარული".*** დრამის მოქმედი პირების ასე ჩვენებას ბესარიონ ბელინსკიმ ოდესღაც უწოდა „მოხეტიალე სენტენციები". ეს „სენტენციები" პიესაში ფარავენ გმირის ცოცხალ ბუნებას. კონკრეტულ ადამიანებს, ინდივიდუალურს, დამაჯერებლობას ართმევენ ხელოვანის შთახედვა, აყალბებენ სინამდვილის მხატვრულ გადმოცემას. ამ დროს ნამდვილად მაღალი იდეა ისეთ ეფემერულ სახეს იღებს, რომ იგი ჰკარგავს ზეგავლენის ძალას, ვეღარ აღელვებს და ვეღარ იტაცებს მკითხველს თუ მაყურებელს. დიდი იდეა კნინდება გაცვეთილ ფრაზად, რომელსაც ძალა წართმეული აქვს. რეზონიორობა კი არ გამოხატავს გმირის ხასიათს, მის პატრიოტიზმს, მა-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. II, პაულე ინგოროყვას რედაქციით, გვ. 122.

** იქვე. გვ. 123. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე. გვ. 125. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მაცობას და სიყვარულს, არამედ, მოქმედების ჩვენება. „გული დრამისა უნდა გამოხსნას თითოეულმა სცენამ, თითოეულმა მომქმედმა ისე, როგორც გორგალი ძაფის წვერმა და, საცა ეგ გორგალი არ არის, ან ავტორს არ დაუხვევია, იქ ამაოა ძაფების ტყუილ-უბრალო ცოდვილობა, წევა და გრეხა. შინაგანი ძალი დრამისა უნდა გამოშეტყველებდეს გარეთ და არა ავტორი შიგ ჩასძახოდეს გარედამ“.* ეს მოთხოვნა სავალდებულოა ყოველი დრამატურგიული თხზულებისათვის, როგორიც არ უნდა იყოს იგი: ტრაგედია თუ კომედია, ვოდევილი თუ ფარსი. სიუჟეტის მოქმედებაში ჩვენება დრამატურგიული თხზულების ის ძირითადი ნიშანია, ურომლისოდ ვერ წარმოიდგინება საერთოდ დრამატული ხელოვნება.

ასე ღრმად ჩასწვდა თერგდალეულთა ბელადი მხატვრული შემოქმედების რთულ ქვეყანას და ასე ნათლად გადმოსცა მისი მთელი რიგი ძირითადი ნიშნები. ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს წამოვაყენოთ დებულება, რომ ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებებში მწყობრად არის გადმოცემული ხელოვნების რეალისტური თეორიის პრინციპები. მაგრამ ეს უკვე ვრცელი მონოგრაფიის საგანია“.**

II

ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ ცალკე შეიძლებოდა აღგვენიშნა ის უცილო ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე ლიტერატურული კრიტიკის, საერთოდ, ხელოვნების თეორიის საკითხებს ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც პირველივე წერილები — „ორიოდე სიტყვა“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“, ისე მთელი მისი კრიტიკული ჰემკვიდრეობა წამოყენებული დებულების მკაფიოდ დამადასტურებელია. „ორიოდე სიტყვის“ შემდეგ ილიამ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი „პასუხი“, რომელშიც ახალი არგუმენტებით დაასაბუთა პირველ წერილში განვითარებული შეხედულებები. თავისთავად დიდი რეზონანსი ჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ ახალგაზრდა მწერალმა „პასუხის“ ეპიგრაფად გამოიყენა ბელინსკის სიტყვები, რითაც მამებს დაუდასტურა — თქვენ არ ცდებით, როცა „ქართველ ბელინსკად“ მნათლავთო. „პასუხის“ რამდენიმე ძირითადი აზრი ჩვენ უკვე მოვიტანეთ, ახლა გვინდა შევეხოთ მასში განვითარებულ რეალისტურ-პროგრესულ შეხედულებებს.

საერთოდ, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ილიას „ორიოდე სიტყვაში“ წამოყენებულ დებულებას, რომ ორთოგრაფიიდან იგი დეენის ასოებს: უ, უწ, ჲ, ჳ, ჴ, აგრეთვე შენიშვნას: „თუ.. ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთო“.*** „მამებმა“, ცხადია, მართლაც „ენის წინააღმდეგ“ გალაშქრებად მიიჩნიეს ილიას მოქმედება და „ქართველი ბელინსკი“ იძულებული შეიქნა „პასუხში“ პასუხი გაეცა. დაესაბუთე-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 127. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ასეთი მონოგრაფია უკვე გამოაქვეყნა მ. დუდუჩავამ სახელწოდებით: „ილია ჭავჭავაძის. ესთეტიკა“, 1960 წ.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 3. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ბინა იმ ხუთი ასოს ორთოგრაფიიდან განდევნის აუცილებლობა.* ეს დასაბუთება მით უფრო ძლიერდებოდა, რომ მისი ავტორი ის კაცი იყო, რომელიც პირველივე წერილში ენის მნიშვნელობაზე წერდა: „სამი ღვთაებრივი საუხჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ ძთაძოძაელობას? სხვისა ჯერ ვიცით და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობ-დით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".**

არ დაეუთმობდითო! და აკი „მამებს". მართლაც არ დაუთმო, ენის უცოდინარობა არ აპატია. „შეშლილის" მიხედვით ილიამ იმდენი ფაქტი ძოიტახა რევაზ ერისთავის მიერ ქართული ენის წახდენისა („სატრფოს თავი ჩემზედ რას ჰფიქრობს", „არა, არ მესმის გაუგებრადა", „თითებითა თვლის კიდეცა თვეებს", „ცრემლი არ მშრება არც ერთ თვალზედა", „მის საშინელსა ჩემსა ტანჯვასა", „ბნელი ტუტუნი", „იცი რა მითხრა, ღამე მთვარეში", „ან სვიხილდისს მე ყველრებაში რისთვის ჩავარდი ვფიქრობ ჩემ თავში" და მრავალი სხვა. თითქმის მთელი თარგმანი, რომლის არაერთი სტრიქონი სრულ თახხმობაშია უნიშო პოეტის უფალ ბერიევის, როგორც ილია უწოდებს, უბეირო გაძოთქმასთან: „ხელი გავიქნიე ფეხი"), რომ შეეძლო სრული საფუძვლით ეთქვა: „დრო მოვა, როცა მის (რევაზ ერისთავის — გ. ჯ.) თარგმანის ლექსებითა დასჯიან წარმართთა, როგორც დიდ ეკატერინეს დროს ტრედიაკოვსკის ლექსებითა სჯიდნენ".*** უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა ილიას შემდეგი მწარე განაჩენი გამოეტანა: „...ხან გვეცინებოდა და ხან გვეწუხებოდა, რომ ეგრეთ უენო ენად ვსახეთ ჩვენი საყვარელი ენა, ის ენა, რომელზედაც დაიღიღინა ჩვენმა უკედავმა რუსთაველმა თავისი უკედავი „ვეფხვის-ტყაოსანი", ის ენა, რომელზედაც დაიგალობა თავისი ღვთიური სიმღერები თავად ალექსანდრე ჭავჭავაძემ, ის ენა, რომელზედაც თავად ნ. ბარათაშვილმა, მაგ უდროოდ დამარხულმა ჩვენმა იმედმა, ჰარმონიულად და ნაღველიანად დაიმღერა „ქართლის ბედი" და თავისი მართლა-და ზეგარდმო შთაგონებული წერილი ლექსები!.. გვრკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!****

თითქოს ესეც არ იყო საკმარისი, ილიამ კიდევ უფრო დაუზოგავად ამხილა რევაზ ერისთავის ენა — „ნაღველას გაუხეთქავს კაცსო". ხოლო ქვევით სარკასტიულად დასცინა: „ასეთ-ნაირად ჭრიჭინებენ თავად ერისთავის ლექსე-

---

* ეს საკითხები დაწერილებით არის განხილული ჩვენს წიგნში: „ხელოვნება და სინამდვილე", ტ. I, 1955 წ., გვ. 59—60 და 606—608. ენის საკითხები ყოველთვის იყო ილია ჭავჭავაძის ინტენსიური კვლევა-ძიების საგანი. 1889 წელს დაწერილ პოლემიკურ გამოკვლევაში — „ისტორია", იგივე ჯაბადარის «Письма о Грузии»-ს პასუხად, ილიამ ვრცლად განიხილა ქართული ენისა და დამწერლობის პრობლემები, გამოიყენა ოტო შრადერის წიგნიც — «Сравнительное языкознание и первобытная история», რომელიც რუსულ ენაზე 1886 წელს გამოვიდა.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV. 1927 წ., გვ. 26. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 12—13.

**** იქვე, გვ. 13.

ბი, როგორც გაუსაძანავი საბალნის ურმის თვლები; ასეთ ჟურნალს დაგმართებთ, რომ „ყამი მოგივათ გაციებისა“, თავად რაფ. ერისთავისა არ იყოს. ნამეტნავად ნაზ აგებულების ქალს მოარიდეთ ეგ თარგმანი, თორემ ჭლექად ჩავარდება...“* ამგვარი წინასწარი დასკვნების გაკეთება ახალგაზრდა კრიტიკოსმა იმით განამტკიცა, რომ პირველივე მაგალითებით სრულიად ხათელჰყო „შეშლილის“ ერისთავისეული თარგმანის უმწეობა. ერთ-ერთი პირველი ასეთი მაგალითი იყო შემდეგი ნაწყვეტი:

„დედაც ბუხებაც! მშვენიერებით
შენ ყოველგან ხარ თავისუფლებით:
თუ გინდ რომ იყო საშიშროებით,
მაინცა სუნთქავ ღვთაებრიობით!“

ვიდრე ამ ფრაგმენტს მოიტანდა, ილიამ შენიშვნა გააკეთა: „როგორ ძოგწონთ ეს რახარუხიანი ჰარმონია ამ გაუგებარ ლექსებისაო“, ხოლო მეორე მაგალითს, რომელიც სულ რვა სტრიქონს შეიცავდა („ესე ყოველი ხელოვანება არს საიდუმლოს აღსაარება...“), მან „გარმიანული ლექსი“ უწოდა. ახალგაზრდა კრიტიკოსი ორივე შემთხვევაში მართალი იყო: „გარმიანული“ შეიძლებოდა არა მარტო მეორე, არამედ, თარგმანიდან მოტანილი ყველა ნაწყვეტისათვის თავისუფლად გვეწოდებინა.

მხოლოდ ერთ შემთხვევაში მოუწონა ილია ჭავჭავაძემ კოზლოვის მთარგმნელს „ექვსი სტრიქონი“, როგორც „ლამაზი და მსუბუქი“, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ის ნაწყვეტიც ვერავრად არ განსხვავდება „გარმიანული ლექსებისაგან“. მაგრამ რაიმე ხომ უნდა მოეწონებინა მოურიდებელ კრიტიკოსს, რომ მისთვის სრული „უარმყოფელობა“. „ნიღილისტობა“ არ დაეწამებინათ? „ის ლექსები“ კარგად „ხატავენ შეშლილის მდგომარეობას“, მათში „ჩანს ეხაც, მხატვრობაც, აზრიც“ და ცხადად შეიძლება თვით სურათის წარმოდგენაო.** თუ რამდენად დიდი იყო ეს ქება, მკითხველს შეუძლია დაინახოს თვით იმ ექვსი სტრიქონით, რომელიც ილიას შემდეგი სახით მოჰყავს:

„ხან მიიხედავს, ხან მოიხედავს,
გარემოს ჩვენსა საფლავს შეხედავს...
ამოიოხრებს, იწყებს ლოცვასა...
ხან ათრთოლდება, შეხედავს ცასა,
შეშინებული მე მომეკერება
და ხან უეცრად კრეჭას მოჰყვება“...

დაგეთანხმებით, რომ ეს „ექვსი სტრიქონი“ სრულებით ვერ იმსახურებს იმ ქებას, რასაც ახალგაზრდა კრიტიკოსი აძლევს. მაგრამ სხვანაირად მას არ შეეძლო მოქცეულიყო ← მიკერძოებას უფრო მეტად დასწამებდნენ. ამ ექვს სტრიქონშიაც სულ აფუშტებს „პოეზიას“ ეს ნაძალადევი, მხოლოდ ადგილის შესავსებად ნახმარი გამოთქმა -- „გარემოს ჩვენსა“, რომელსაც მომდევნო სიტყვა „საფლავთან“ ორგანიული კავშირი არა აქვს. ამ ექვს სტრიქონშიაც იგივე ხელოვნურობა, უნიჭობა და ძალდატანებაა, რაც მთელ პოემაში, თუმცა შეიძლებოდა იგი დანარჩენთაგან ოდნავ მაინც გამოგვერჩია.

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 15.
** იქვე, გვ. 25.

როცა „ორიოდე სიტყვას“ მამებმა შეერთებული ძალით „გაჰხადგურებელი პასუხი“ გასცეს, საეჭვო ცხადი შეიქნა, რომ მათი რეაგირება ყველაზე კარგად მოწმობდა მათივე პოზიციის სისუსტეს. ბოლო, როცა ილიას „პასუხი“ დაიბეჭდა,* ეს იყო ახალგაზრდა კრიტიკოსის დიდი გამარჯვება. თავის მოწინააღმდეგეებს, რომლებმაც „ორიოდე სიტყვის“ გაბათილება სცადეს, ილიამ ლიტერატურული მოვლენების ღრმა ცოდნა და რკინისებური ლოგიკა დაუპირისპირა. „მამების“ პოზიცია ილიას პირველივე წერილს პასუხად გაჰხადეს გ. ბარათაშვილმა, ბ. ჯორჯაძემ, თვით რევაზ ერისთავმა (მათი წერილები „ცისკრის“ მომდევნო — მეხუთე ნომერში დაიბეჭდა), ხოლო შემდეგ, მეექვსე ნომერში, ილიას პასუხთან ერთად იბეჭდება სხვა წერილებიც. „მამებისა“ და „შვილების“ ეს პირველი ბრძოლა ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრების ისტორიაში ახალი პერიოდის დასაწყისი იყო და ამიტომაც მეტი მნიშვნელობა ეძლევა ილიას ამ წერილებს, რომელთა შესახებაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ.**

როცა ერთ წერილზე პასუხად სამი სტატია წაიკითხა, ილიას შეეძლო გაბრაზებულიყო, მაგრამ არანაკლებად გააკვირვებდა შემდეგი აზრები: „რვა წელიწადი ერთად“ ვსწავლობდით გიმნაზიაში, მაგრამ „ჩვენი ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალსახელს აღარ გადასცილდა“, „ეს იყო მიზეზი, რომ აქამომდე“ არაფერი დაწერეო (გ. ბარათაშვილი, „წერილი რედაქტორთან შესახებ ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“, ჟურნალი „ცისკარი“, № 5, 1861 წ.); მართალია, ილია ჭავჭავაძე უნივერსიტეტშია გაზრდილი და „სწავლას მიიღებდა, მაგრამ საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუძინებია და ლიტერატორობს კი... მოვახსენებთ, თუმცა კი მაღალ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, და არა თუ მაღალ სასწავლებელში არ ვყოფილვართ, შინიდან გარეთ არ გამოვსულვართ, რომ ყოველივე მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა“ (ბარბარე ჯორჯაძე, „ცისკარი“, № 5, 1861 წ., ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.). ეს უმწეო აზრები მოწინააღმდეგეებისა, რომლებიც უსაფუძვლოდ გაბერილ საკუთარ ავტორიტეტს უფრო ემყარებოდნენ, ვიდრე წმინდა ლიტერატურულ ცოდნასა და შემოქმედი ადამიანისათვის აუცილებელ ტალანტს. ახალგაზრდა კრიტიკოსმა უმალ გამოიყენა თავის „პასუხში“ და წერილიც შემდეგი სიტყვებით დაიწყო: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს-რა, ისიც-კი აალაპარაკე თეორეტიკის გარე საგანზედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურ-

---

* „ცისკარი“, № 6, 1861 წ.

** „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა 60-იან წლებში დაწვრილებით არის გაშუქებული პროფ. მ. ხანდუკელის წიგნში „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II. 1954 წ., გვ. 191—323; აგრეთვე აღ. ხახანაშვილის, ვახტანგ კოტეტიშვილის, სიმონ ხუნდაძის, შ. რადიანის, დ. გამეზარდაშვილის, კ. მეძველიას, ა. ყენჭოშვილის, პ. რატიანის, ი. ბოცვაძის, ს. ხუციშვილის და სხვათა შრომებში.

ვებით და არა თავის სტატიების ღირსებითა; იმ ზღაპრისა არ იყოს: „ასმა კაცმა ვერ შეჭამაო, ერთი კატის ლუკმა იყოო“, ეს სიტყვები სწორედ ჩემს ამრიგად სტატიას უხდება. ეგ არაფერი კიდევა, სხვა კრიტიკებიც კიდევ მზადდება თურმე ჩემზედ. სხვანიც რომ ამ სამს კრიტიკაზედ დაჰმატოდეს, კარგი იქნებოდა; პირველი — რომ პასუხს ერთად გავსცემდი, მეორე — რომ ეს რაძღებაიმე კრიტიკა ერთად კაი ზომიერი ლუკმა მაინც გამოვიდოდა, რომ ღირებულიყო ჩაყლაპვად“.*

ამის შემდეგ ახალგაზრდა კრიტიკოსმა სასტიკად, მაგრამ საძართლიანად გააკრიტიკა აბჯარასხმული „მამები“, რომლებმაც სცადეს, „ქართველი ბელინსკის“ დადუმება. ილია ჭავჭავაძემ პირველყოვლისა კნეინა ბარბარე ჯორჯაძეს გასცა პასუხი, მოურიდებლად უთხრა, რომ მას „არც ხელოვნება ესმის“ და „არც სიტყვიერება“, „ასოს ხმარების გამსაზღვრელი საგანი ტყუილადა სჩემობს ხელოვნების სწავლის სახელსა. ასოს ხმარებას სწავლა არ უხდა; თითონ სიტყვა გვასწავლის, სად უნდა ვიხმაროთ რომელი ასო. მერე თვით ასოს ხმარება გარეგანი საგანია, — ეგ შეხანიკური მიკერ-მოკერებაა ენაში, როგორც კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები; ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება“.** ამ ძირითად მოსაზრებას ახალგაზრდა კრიტიკოსი შემდეგ თანდათან ავითარებს, კონკრეტულ ფაქტებზე დამყარებული ლოგიკური მსჯელობა ბოლომდე მიჰყავს და წერს: „მაშასადამე, ანბანის განსაზღვრა ხელოვნება არ არის, მაშასადამე, კნ. ჯორჯაძისას არ უნებებია გაგება მისი, რაც წაუკითხავს და რაც თავის გულწრფელობით უხმარია. მოგვილოცნია! ხელოვნების სწავლისათვის საკვირველი წიგნების ამორჩევა სცოდნია! თითონ თეორეტიკა, — ეგ სხოლასტიკობის ნაშთი — რა არის, რო მასზედ აშენებული გავითარება რა იყოს? ყოვლის მწერლისათვის საჭირო და აუცილებელიაო იცოდეს თეორეტიკა. ანუ სწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა, ესე იგი ანბანის განსაზღვრაო, ბრძანებს ჩვენი მწერალი ქალი. იქნება ეგ საჭირო იყოს, როგორც მწერლისათვის მელანი და კალამი საჭიროა, ანუ მათემატიკისათვის ნუმერაცია: ვისაც წერა უნდა, ახბახი უთუოდ უნდა იცოდეს, მაგას თქმა არ უნდა, რომ, როგორც მარტო ნუმერაციის ცოდნა არ შეიქმს მათემატიკს, ისე მარტო ანბანის ცოდნა არ შეიქმს მწერალსა. ამას ძალიან ცხადად ამტკიცებენ კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები და მისი სტატია...“***

თუ რა ლექსები ჰქონდა მზედველობაში, ახალგაზრდა კრიტიკოსს არ დაუყოვნებია ფაქტებით ეჩვენებინა. მან მოიტანა ბარბარე ჯორჯაძის შემდეგი, მართლაც ენის საღრძობად გამოსადეგი ლექსი, რომელსაც შენიშვნაც გაუკეთა: „ამ ლექსს, ამბობენ, გორის სასწავლებელში ასწავლიდხეო ერთ დროს. თუ ეს მართალია, ბარაქალა მასწავლებელთ გემოვნებასა!“

ახლა კი ნახეთ თვით ლექსი და დარწმუნდებით, რომ ილია აბსოლუტურად მართალი იყო როგორც ბარბარე ჯორჯაძის პოეზიის, ისე მისი თაყვახისმცემლების კრიტიკაში. აბა, რა პოეტური ხელოვნებაა ეს უაზრო, ხელოვნური ძალდატანება ქართულ სიტყვაზე:

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 29—30.
** იქვე, გვ. 31.
*** იქვე, გვ. 32.

„არჩილ კახიებრ, ბალასანკონა მოებრ,
ყარანფილ ვარდებრ, იაკოსტ ყაყაჩოებრ,
რტო კიპაროსებრ, ია შამპა-სოსანებრ“...

ალბათ, ავტორიც ვერ გეეტყოდა, თუ რა იგულისხმება სიტყვების ამ მართლაც უაზრო კორიანტელში (სხვათაშორის, ყ ა რ ა ნ ფ ი ლ ი კი არა ყ ა რ ა მ ფ ი ლ ი უნდა, მიხაკს ნიშნავს, ი ა კ ო ს ტ ა — თათრულად ი ა ხ ეწოდება, ნ. საბა, მაგრამ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ი ა (იაკოსტა) ყ ა ყ ა ჩ ო ე ბ რ). ამიტომ ილია ჭავჭავაძეს სრული უფლება ჰქონდა სასაცილოდ აეგდო ხსენებული ლექსის ავტორი და ირონიულად ეთქვა: „იქნება ებლაც მოეწონოს ვისმე ეს ლექსი, და სწორედ მოეწონებათ კიდეც, თუ ანბანის თეორეტიკა, კნ. ბ. ჯორჯაძის გარდა, სხვასაც ვისმე ხელოვნების სწავლადა სწყამს და გალახოვის ქრესტომატიის სხოლიოები უფ. გ. ბარათოვსავით კრიტიკად მიაჩნიათ. ეხლა რომ კაცმა სწეროს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი“.* ილიამ იქვე, სქოლიოში, პირდაპირ უთხრა ბარბარე ჯორჯაძეს: „სხვისა არ ვიცი და ჩვენს მწერალს ქალს-კი მოვახსენებ პირდაპირ, რომ სწორედ ეგ საჭირო და აუცილებელი ღირსება აკლია სხვათა შორისო“.** და რომ ნამდვილად ნიჭი წყვეტს ღირსების საკითხს, ილიამ უტყუარი მაგალითი დაასახელა — კ ო ლ ც ო ვ ი ს პოპულარობა. „აი, რუსეთში გაუნათლებელ და უცოდინარმა კალცოვმა თავის ნიჭით ასეთი სახელი დაიგდო, რომ როგორც სახალხო პოეტი, კალცოვი პუშკინზედაც მაღლა დასვეს რუსებმა“.*** როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ეს აზრი, მასში ბევრი სიმართლეა, კერძოდ, ტ ა ლ ა ნ ტ ი ს ხაზგასმა, რასაც ახალგაზრდა კრიტიკოსმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია.

ამ საკითხების პარალელურად, ილია ჭავჭავაძემ აღძრა „კ რ ი ტ ი კ ი ს“, როგორც მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, საკითხი და გულისტკივილით მიუთითა: „სხვათაშორის ჩემს. კრიტიკოსებს არ ესმისთ, რა არის კრიტიკა, არავის არ ესმის, გარდა თ. ერისთავისა; რომ ჩვენ მწერალ ქალს არ ესმის. — ეგ საკვირველი არ არის, რადგანაც ბევრიც სხვა არ ესმის და ანბანის თეორეტიკაზედ აუშენებია თავის ხელოვნება და შინიდგან ფეხი არ გაჰოუდგამს. არც უფ. გ. ბარათოვისა მიკვირს, რადგანაც ძალიან მკვირცხლი გოხება ჰქონია. რომ ჩემ ამ ორ ლექსებში:

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

მწვანე ბალახის ნატვრა დაუნახავს თავის სამ განსაცვიფრებელ ნიშნებითა. იქნება მკითხველი არ იჯერებდეს ამგვარ ამ ლექსის გაგებას, რადგანაც მართლა ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აი უფ. ბარათოვის სიტყვებიც: „გაზაფხულში პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას. ნეტავი დაანახვა ებლა საქართველო, როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!!!“ მართლა და უფ. გ. ბარათოვის ლაღი ფანტაზია და ნიჭიერება უნდა ჰქონდეს, რომ ეგ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 33.
** იქვე. გვ. 33—34.
*** იქვე. გვ. 34.

რეთ გაიგოს უბრალო აზრი, უბრალოდ გამოთქმული. აკი ძოგახსენეთ, რომ მწვანე ბალახის ნატვრა დაუნახავს მეთქი...“* ცხადია, ასეთი „კრიტიკული აზროვნების“ ვითარებაში ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს დიდი მოვალეობა ეკისრებოდა ლიტერატურის ცოცხალი კანონები ისე ნათლად გამოეთქვა, რომ „ჯიუტი მამებიც“ დაერწმუნებინა. მაგრამ ეს რთული საქმე იყო, ვინაიდან იმ დროს თვით „კრიტიკის“ მიმართ ძირითადად მაინც საერთო თვალსაზრისი არ არსებობდა. მართალია, ჯერ კიდევ 1856 წელს ალექსანდრე ს ა ვ ა ნ ე ლ მა „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი — „მ კ ი თ ხ ვ ე ლ თ ა დ მ ი“, რომელშიაც კრიტიკის, როგორც ბერძნული სიტყვისა („ჰსჯა, „განსჯა“) და აზროვნების დარგის კეთილი (არისტარხისეული) განმარტება მოგვცა კარამზინის დაძოწვებით, მაგრამ, იმ დროისათვის შედარებით ეს პროგრესული განმარტება ბევრს არ გაუზიარებია. საკმარისია დავასახელოთ ალექსანდრე ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, რომელმაც ალექსანდრე ს ა ვ ა ნ ე ლ ი ს აზრი ირონიულ ფორმაში უარჰყო.**

დაახლოებით ოთხი-ხუთი თვის შემდეგ ახალგაზრდა ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე თავის „პ ა ს უ ხ ში“ იძლევა „კ რ ი ტ ი კ ი ს“, რომელიც როგორც ლიტერატურისა და აზროვნების დარგის ძალიან ვრცელ, ღრმა დახასიათებას, რაც შემდეგ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში და თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს. საუკუნეზე მეტია, რაც „აჩრდილის“ ავტორმა ქართველ მკითხველს ასწავლა, რომ „კრიტიკა“ — ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა— რომ ყოფილიყო, რადგანაც ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი ძაძაპაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეგ სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ბალში, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში; ძაძასადამე, აკი ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც. გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი. ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე ამბობს, ამოდენად ღირსო, ესე იგი, შინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ. ამ ორგვარ თვისებაებს საგნისას ზოგიერთი კრიტიკოსი, რა განარჩევს ცუდს და კარგსა, სასწორს დაუთმობს ხოლმე თითონ მკითხველს, ზოგიერთიც თითონვე ასწონავს ხოლმე“.*** ეს იყო კრიტიკის ა ხ ა ლ ი, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა და იმის ხაზგასმაც, რომ ძველ ლიტერატურულ ნორმებს, რომლებსაც „მამები“ ებღაუჭებოდნენ, ადგილი უნდა დაეთმოთ ეპოქის შესაფერი პროგრესული შეხედულებებისათვის.

ერთი ასეთი ახალი თვალსაზრისი იყო იმის აღნიშვნა, რომ ს ი ტ ყ ვ ა და ა ზ რ ი მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ში უნდა განვიხილოთ, დამოუკიდებლად ძათი გააზრება არ შეიძლება, როგორც კრიტიკა აზრს უნდა ემყარებოდეს, ნაცვლად

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 34—35.

** ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 551—564.

*** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 36—37. კრიტიკის ბელინსკისეული განმარტება იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები. ტ. II. 1955 წ., გვ. 110—115; „კრიტიკა“ — ჩვენს წიგნში: „ხელოვნება და სინამდვილე“, ტ. I, 1955 წ., გვ. 545—565.

განყენებული სიტყვისა. ეს დებულება ჰაბუკმა ილიამ შემდეგი ფორმულის სახით ჩამოაყალიბა: „...სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა, და კრიტიკაც, მარტო მაგაზედ აშენებული, სამასხარაოდ ხდის კრიტიკის წმინდა მიზანსა... ვინც ამ-გვარად შინჯავს საქმეს და ამ-გვარ დამტკიცებაზედ (მტკრიახი ტანსაცმელის გამო კაცის დაწუნება — გ. ჯ.) ამყარებს თავის აზრსა, იმას თვალებში ჰქონია ჭკუა. მაგ-რიგად გასინჯვა რისამე — თვალის საქმეა და არა სწავლისა, რომელიც ანბანთ თეორეტიკაზედ უფრო აუცილებელია მწერლისათვის. როგორც სჩანს, კნ. ბ. ჯორჯაძისას და უფ. გ. ბარათოვს მარტო სიტყვები უძებნიათ ჩემს სტატიაში და არა აზრი. კიდეც იმიტომ ამათ სტატიებში მარტო სიტყვებია და სხვა არაფერი“.* ლიტერატურა კი მხატვრულ ფორმაში გამოთქმული აზრი და იდეაა, „ლიტერატურა — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და გართლების ხარისხია“. ამიტომ, ახალგაზრდა კრიტიკოსი კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საკითხს: რაკი ამჟამად მთელი ქართული მწერლობის ერთადერთი წარმომადგენელი „ცისკარია“, „ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს?... არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს; რადგანაც იგინი თავის ბღაჯნითა ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირდმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის“.**

ასე კატეგორიული ფორმით მსჯელობა და ხალხის სახელით გამოსვლა, ამავე დროს, ცოცხალი, ჭეშმარიტი, ახალი აზრების ქადაგება, იმის ღაღადება, რომ „სადაც აზრი არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია... მე არსად არ გამიგია, რომ უაზრო ენა იყოს სადმე. აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობას“... იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში ელვა-ქუხილი იყო, რასაც ნამდვილად რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს რევოლუციური ნაბიჯი ენაში უველაზე მკაფიოდ იმით გამოიხატა, რომ ჰაბუკმა ილია ჭავჭავაძემ ქართული ორთოგრაფიიდან განდევნა „ზედმეტი ასოები“, რითაც „მამების“ თითქმის ერთსულოვანი რისხვა გამოიწვია.

მაგრამ, თუ რა ღრმა ცოდნითა და რკინისებური ლოგიკით დაასაბუთა ახალგაზრდა, ოცდაოთხი წლის კრიტიკოსმა თავისი მართებული მოქმედების აზრი, ეს ჩანს მისი შემდეგი მსჯელობიდან, რასაც ჩვენ განზრახ ვრცლად მოვიტახთ. ეს იქნება თვით ილიას მეცნიერული მსჯელობის ერთი მშვენიერი ილუსტრაციაც:

„რისთვისაც არა ვხმარობ — ტ. ს. ვ. კ. ჲ.ფ — ხშირად მოგახსენებთ, ჩემო მკითხველნო!,—წერს ილია.—„ტ“-ზედ ბევრჯელ მქონია ლაპარაკი სხვა-და-სხვა პირთან. ზოგს უთქვამს, უნდა გადაიგდოსო, ზოგს—უნდა დარჩესო, თუმცა არც

* ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, 1927 წ., გვ. 37—38.
** იქვე, გვ. 39—40.

ერთს მათგანს ცხადად არ დაუმტკიცებია თავისი აზრი, მაგრამ მე იმათ ლაპარაკიდგან ეს სარგებლობა გამოვიტანე, რომ ეგ ასო, მართლა თუ უვარგისია, გადაიგდოს, როგორც უსაჭირო, რადგანაც ჩვენი ანბანი უფრო გახმარტივდებოდა და მართლწერა გაადვილდებოდა. ჩემის ფიქრით, მაგის თანასწორ ხმოვანი ასო გვაქვს ჩვენ: „ვ“. თუმცა ამბობენ, რომ სადაც „ვ“ იხმარებაო, იქ „უ“ არაო, იმიტომ, რომ „უ“ ნახევარ „უ“-თ გამოითქმისო, ესე იგი უ-ს და ვ-ს რაღაც შუა-ხმადაო; მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ როგორც „უ“ ისე „ვ“ გამოთქმაში ერთი-ერთმანეთსა ჰგვანან და არაფრით არ განსხვავდებიან, იმიტომ, რომ სადაც „უ“-თია ხმარებული, იქ უ ვ-ათ ისმის და, სადაც ვ-ნია ხმარებული, იქ ვ-ხი უ-თად ისმის. მაგალითებრ: „ვითარი“, სადაც „უ“-ს არა ხმარობენ, სწორედ რომ გამოსთქვას კაცმა და არა დაძალებით, „ვ“ უ-სავით გამოვა; თუ ვინმე მაგრად და მტკიცედ გამოსთქვამს, ის ორს „ვ“-სა ხმარობს და არა ერთსა; აქედამა. ჩემის ფიქრითა, სჩანს, რომ ამ თანასწორ ხმოვან ასოთა შორის ან ერთია ძეტი და ან მეორეა; მე უფრო „უ“ მგონია მეტი, რადგანაც როგორც უ-ის ხმარებაში, ისე „ვ“-ს ხმარებაში —უფრო ვ-ნი ისმის, ვიდრე რაიმე ხმა. მერე უ-თი იქ იხმარება, სადაც „ვ“-ს უხმო ასო შეხვედება ხოლმე და ეგ ორი უხმო ასო ერთადაა გამოსათქმელი. უ-უთაც არ აძლევს კაცს ენა ნებას, რო „ვ“ მტკიცედ გამოითქვას. ამ მიზეზით არა ვხმარობ „უ“-ს. დამიმტკიცეთ წინააღმდეგი და მე სიხარულით დაგეთანხმებით. მე ხომ იმისათვის არ გაუკეთე ჩემ აპრილის სტატიას ეგ სჯოლიო, რომ მართლა არ ვიცოდე მაგ ასოს ხმარება; მაგ ასოს საჭიროებაზედ ეკვი მქონდა და იმისთვისა ვსთქვი, რომ ან მე დამეთანხმოს ვინმე, ან კიდევ წინააღმდეგი დამიმტკიცოს. კაცის ენა კერძო პირსავით იზრდება და ვითარდება; ამ ზრდაში იცვლება, როგორც ჩვენ კაცნი ზრდაში ვიცვლებით ხოლმე; ხშირად იქნება, რომ კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე; იმიტომაც ახალი ენა ძველს ენას არა ჰგავს, როგორც ახალი კაცი არა ჰგავს ძველ კაცსა. მაშასადამე, თუ ძიბრძანებთ, რომ რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ ეგ ასო, — ეგ უსაფუძვლო ბრძანება იქნება, როგორც უსაფუძვლოა თქვენი რჩევა, რომ ანბანის თეორეტიკა უნდა ისწავლოთო ხელოვნებისათვისაო. იქნება მართლა და „უ“-ს და „ვ“-ს შორის უწინ რაიმე განსხვავება ყოფილა გამოთქმაში, მაგრამ ეხლა, ჩემის ფიქრით, არ არის განსხვავება. ეს „უ“-თი კიდევ გადასაწყვეტი საქმეა. მაგრამ ჲ, ჯ, ჳ, ჴ, ჶ, ჵ? ამ ასოებზედ კი თქმა აღარ უნდა, ეს ასოები სულ აღარ ისმიან ეხლანდელს ენაში. მარტო „ჴ“ და „ხ“ ზედ ამბობენ, სხვადასხვანაირად გამოითქმისო: გლეხი კაცი ქიზიყში ისე გამოსთქვამსო „ხოხობი“, თითქო „გხოგხობი“. თუ ეს მართალია, დამიმტკიცონ და მაგ ასოების საჭიროებაზედ დავეთანხმები. სრულიად არ მესმის, რა განსხვავება არის ამ ასოთა შორის: „ჶ“ და „იე“, „ჲ“ და „ი“, „ჳ“ და „ვი“, „ჯ“ და „ჰოი“. იქნება ჩვენს უწინდელ ენაში იყო განსხვავება მაგ ასოთა შორის (და სწორედაც უნდა ყოფილიყო, რადგანაც შემოუღიათ), მაგრამ ეხლანდელ ჩვენს ენაში არა ვხედავ, — და თუ ხედავს ვინმე, ის ანბანთ თეორეტიკით-კი ნუ ცდილობს დამტკიცებას, არამედ ყურადღება მიაქციოს დაკვირვებით ხალხის სიტყვის გამოთქმასა, ხალხის ენაში მონახოს ფაქტი, დამანახოს და მაშინ დავეთანხმები. ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა. თქვენ უნდა დაგენახვებინათ განსხვავება ამ ასოთა შორის და ენიდამ ამოღებულ ფაქტით დაგეშტკიცებინათ: მაშინ მე არა მეთქმოდა-რა. თქვენი თეორეტიკა თქვენთვის შე-

ინახეთ, ეგ ამგვარ საქმეს პასუხს ვერ გასცემს, სხვა უნდა მოინახოს: მერე, ვგონებ, თქვენი სახელოვანი თეორეტიკაც არა ხმარობს ასოსა ф. ეგ ასო ახალი შემოღებულია, არ ვიცი-კი რისთვის. ეგ ასო ქართულს ენაზედ „ფ"-ად იცვლებოდა ხოლმე, მაგ. ფილოსოფია. ამას გარდა ქართველ გლეხკაცს (თუ ბატონთან არ არის ნამყოფი) მაგ ასოს ხმას ვერც-კი გამოათქმევინებთ, „ф"-ს მაგიერად სულ „ფ"-ს გამოსთქვამს, მინამდინ ბევრჯელ არ გაამეორებინებთ. სჩანს, ეგ ასო ჩვენის ენის თვისებისა არ არის და რაღაც ხმარობთ?

ეს ასოები, რომლების ხმაც გამოითქმება სხვა ასოებითაც, ეგ ასოები სულ ტყუილად არიან ჩვენს ანბანში. თუ სულ არა, უფროსთაგანი მაინც; ტყუილად აგრძელებენ ანბანსა, აძნელებენ მართლწერასა და სხვა არაფერს არ შეგვძინებენ. თუ მართლა ეგ ასოები არ ისმის ეხლანდელ ენაში, რატომ არ უნდა გადაიგდონ? შესუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანისა განა ცოტა საქმეა? და თუ ისმის, მაგ ასოების ხმარების კანონს რატომ არ ვეძებთ ენაში, რომ ყველამ ერთნაირად ვიხმაროთ? ვისაც შინიდგან ფეხი კარში გამოუდგამს და, ანბანთ თეორეტიკის გარდა, სხვა რამეც უკითხავს, იმას, რასაკვირველია, გაეგება, რომ ეხლა მთელი ევროპა ცდილობს ყველაფრის გამარტივებას, გაადვილებას და, სხვათა შორის, ანბანისასაც და მართლწერისასაც. შორს არ წავალ: აი, თითონ რუსეთში ცდილობენ і, ѣ, ъ-ს ამოშლას თავის ანბანიდგან, რადგანაც ეხლანდელ იმათ ენაში აღარ ისმის ეგ ასოები. მე შემხვედრია წიგნი 1859 წელში, თუ 1860 დაბეჭდილი, სახელდობრივ: „Сказание об языческих богах", (ამ მართლწერითა), სადაც і—ѣ—ъ არ არიან ხმარებულნი. როგორ გადაწყდება ეს დავა, მე მაგას არ დავეძებ; მე მომყავს ეს, როგორც ფაქტი, რომელიც ამტკიცებს სურვილს, რომ განმარტივდეს ანბანიც და მართლწერაც. ჩვენთვისაც ურიგო არ იქნება, რომ მაგ ასოებზედ კარგად მოვიფიქროთ და, თუ უსაფუძვლოდ არიან ხმარებულნი, ამოიშალონ, როგორც უხმარნი; ეგ მოაშორებდა ახალ მოსწავლეს რამდენიმე უსარგებლო ასოს სწავლასა და მწერალსაც გაუადვილებდა წერასა".*

ასეთი ღრმა ანალიზი, ფაქტებისა და არგუმენტების უხვად მოტანა უკვე სცილდებოდა ჩვეულებრივი თავდაცვის საზღვრებს და მეცნიერული კამათის ფორმას ღებულობდა. ეს სიღრმე ანალიტიკური აზროვნებისა, ფართო ცოდნა და პოლემიკური ხერხების ოსტატური გამოყენება ილიას ყველგან ახასიათებს. აიღეთ თუნდაც „სიტყვების" ხმარება. კნ. ს. ჯორჯაძის სულ მცირე შენიშვნას — „სუბუქ ფრთითა" ქართული არ არისო, ილია ჭავჭავაძემ არამარტო თვით მოკამათე პოეტი ჭალის („თვალ დაკვირვებით"), ჩახრუხაძის („თამარ წყნარი, პირ მცისარი"), რუსთაველის („მოდგა თეთრ ტაიჭოსანი"), გრიგოლ ორბელიანის („უმწედ, უნუგეშ"), გ. ბარათოვის („საყვარელ მამულს") მაგალითები დაუპირისპირა, არამედ, ქართული ენის განმადიდებელი მშვენიერი აზრებიც მიუძღვნა. ილია ჭავჭავაძემ კატეგორიული ფორმით განაცხადა, რომ ქართული „ენა არა ენას არ დაუვარდება ქვეყანაზედ", ხიშიერი

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 42—45.

მწერლის ვალია „ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე"; არა თეორია, არამედ, „ხალხია ენის კანონის დამდები", „მწერალს აქვს უფლება თქვას ისრე, როგორც მოსწონს, როგორც ეხერხება, კრიტიკოსსა — შეხიშნოს, და ხალხსა — მიიღოს მწერლის ნათქვამი: ხოლოდ ეს უფლება ხალხს ეკუთვნის".* ცხადია, ეს დებულებები ურყევი ჭეშმარიტებანი იყო და ქართულმა მეცნიერებამაც მიიღო.

ახალგაზრდა კრიტიკოსმა მხოლოდ ნაწილობრივ გაიზიარა ბარბარე ჯორჯაძის შენიშვნა — „მერცხლის ჰყივილზე". ძაგრამ თავისებურად მაინც დაასაბუთა: „...სწორედ უხერხოდ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული; მაგრამ ეგ ლექსის აზრს არ აბნელებს, რადგანაც „მერცხალიც აგერ ჰყივის"-მეთქი, მოვიყვანე „გაზაფხულის" ნიშნად და ამისთვის ჭიკჭიკი მეთქო, თუ ჰყივილი, მაინც ის აზრი არ მოიშლებოდა. მე რომ ჩემის ლექსისათვის დამერქვა „მერცხალი", მაშინ სხვა იქნებოდა. მაშინ რომ მეთქო „მერცხალი ჰყივის", მკითხველი იფიქრებდა: ან ცუდი მერცხალი იქნებოდაო, ან მწერალს ზმნა ვერ უხმარიაო; ეხლა კი, რადგანაც „გაზაფხული" ჰქვიან, ეგ ზმნა აზრს არ აფუჭებს, მაგრამ მაინც ამით არ ვიმართლებ თავს..."** მაგრამ მთავარი იყო არა ცალკე სიტყვების მართებულ ფორმათა დასაბუთება, ვთქვათ, „ობოლი ვაზი" სწორი გამოთქმაა, თუ არა, არამედ, ყველგან იმის ხაზგასმა, რომ ხალხია ენის კანონის დამდები, ლიტერატურა ხალხის ჭირვარამსა და სიხარულს უნდა გამოხატავდეს, იგი არ არის მარტოოდენ კერძო პიროვნებათა საქმე, როგორც ბევრ შემთხვევაში „მამები" ფიქრობდნენ. ილია ჭავჭავაძე ამიტომ წერდა ლიტერატურისა და ხალხის ურთიერთდაძოკიდებულების შესახებ, ყოველთვის ცალკე გამოყოფდა ცხოვრების გავლენას მწერლობაზე და ამ მწერლობისა თვით სინამდვილეზე. „ჩვენ ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ, —წერს ილია. — ეგეც კარგად ვიცით, რომ მაგინთანა ობოლ მარგალიტებს ძალიან იშვიათად მოჰყრის ხოლმე მდინარე ცხოვრებისა. პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვეფ-ბრძახებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა. თუნდა რომ იყვნენ ეხლა ჩვენში ბაირონის თანასწორი ნიჭნი, ის ნიჭი ბაირონის ოდენას თავის-დღეში ვერ იქმოდნენ. ის ნიჭნი საზრდოს ვერ იპოვნიან ჩვენს ცხოვრებაში; დევს დევის ძუძუ გამოზრდის და, თუ ჩვეულებრივ ადამიანის ძუძუთი გაიზარდა, ის დევი აღარ იქნება, თუმცა კი არც ჩვეულებრივ ადამიანს ეგვანება. დიდს გენიას დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამა; იმ დრომდინ, დროთა ბრუნვის ძალითა, ჩვენ უნდა დავსჯერდეთ მას, რაც ეხლანდელ ჩვენ ცხოვრების კითხვაზედ ძლევენ პასუხს ნიჭიერნი ჩვენი მწერლები, ბაირონამდინ და შექსპირამდინ მე და თქვენ ბევრჯელ დავიჭანცებით

---

* ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, 1927 წ., გვ. 46, 47, 54.
** იქვე, გვ. 18.

რითმებზის ბეჭვაში და მარხვების ტრაკტაციების ბღაჯნაში.* მაგრამ მაინც კი ერთს ბეწვს სარგებლობას არ მივცემთ მაგითი ჩვენს ლიტერატურას".** ,

ეს მშვენიერი, ნათელი აზრები, აღსავსენი ჭეშმარიტებითა და სიყვარულით, მთლიანად რეალისტური ესთეტიკის საკუთრებანი, ახალ მოვლენას წარმოადგენდნენ იმდროინდელი ქართული აზროვნების სარბიელზე. იმის ხაზგასმა, რომ „მხოლოდ ბუნება ჰქმნის პოეტსაო", როგორც გოეთე ამბობდა, მეორეს მხრივ კი დასაბუთება — კნ. ბ. ჯორჯაძესა და მის მსგავს მომღერლებს სწორედ ეს მაღლი არა აქვთო, თავისთავად ნიშნავდა ქართული ლიტერატურის მაღალი ოსტატობისათვის ბრძოლას, უნიჭო მწერლებისა და გრაფომანიით დაავადებული ადამიანების წინააღმდეგ გალაშქრებას. თუ რა მოურიდებელი იყო ახალგაზრდა კრიტიკოსი უნიჭო მწერლების მხილებაში, ჩვენ ეს არაერთხელ ვხაბეთ, მაგრამ აქაც, ბარბარე ჯორჯაძესთან პაექრობის დროს, ის კვლავ და კვლავ ცდილობს ბუნებით დასჯილ პოეტებს უნაყოფო წერაზე ხელი ააღებინოს. ამ მიზნითაა შთაგონებული ბარბარე ჯორჯაძის მისამართით ილიას შემდეგი სიტყვები: „ჩვენი მწერალი ბრძანებს, რომ ისინი სწერენ არა დიდებისათვის, არა ილია ჭავჭავაძის მოსაწონებლად, არამედ „ცისკრისათვის" უანგაროდა. დიდების უსიყვარულობა ძალიან საქებელია, მაგრამ მე და თქვენისთანა თანამშრომლებმაც რომ ხელი და კალამი შეასვენონ, „ცისკარი" უფრო უკეთესს დღეებსა ნახავს. ეს არის ჩვენი უბედურობა, ჩვენისთანა თახამშრომლები ჰყავს „ცისკარსა". თანამშრომლები კი არა, «Бездельники деловые», პუშკინის არ იყოს, ესე იგი, უსაქმო საქმიანები, რომელნიც უფრო ახდენენ საქმეს, ვიდრე აკეთებენ. ძალიან გვიხარიან, რომ ჩვენი მწერალი ქალი აღარ აპირობს ჩეშზედ პასუხის დაწერას, და თუ პოეტობაზედაც ხელს აიღებს, — ღმერთი, რჯული — დიდ ღაწლს მხოლოდ მაშინ დასდებს ჩვენს „ცისკარსა".*** ძნელი იყო ყოველივე ამის უარყოფა, ისევე, როგორც რევაზ ერისთავისადმი ილიას ლოგიკური პასუხის უკუგდება. „თ. ერისთავი იმართლებს თავს „შეშლილის" უვარგისობაში იმით, — წერს ილია, — რომ ათის წლის წინად ვთარგმნეო. თუნდ რომ ოც-და-ათის წლის წინად გეთარგმნოთ, მაინც კიდევ იმას გეტყოდით, რასაც ეხლა მოგახსენებთ: არც მაშინ ვარგებულა ეგ „შეშლილი" და არც ეხლა ვარგა; თქვენი ყმაწვილობა ვერ გაამართლებს მაგ თარგმნის სიცუდესა და ვერც ვერარა ღირსებას მისცემს".**** ხელოვნებაში არავითარი შეღავათი არ არსებობს, არც დროისა და არც ასაკის მხრივ — ასეთი ულმობელი. მაგრამ სავსებით მართალი დასკვნა გამოჰყავს ახალგაზრდა კრიტიკოსს.

ეხლა ადვილია ეკამათო ილიას, რომ მისი „პასუხის" ბოლო ზუსტად

---

* ილია ჭავჭავაძეს აქაც უთუოდ მხედველობაში აქვს კნ. ბ. ჯორჯაძის წერილი — „რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზედ", რომელიც „ცისკრის" ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა. „პასუხის" პირველ ნახევარში, როცა ილიამ თქვა: აპრილის სტატიის წერის დროს „არც მათი ლექსები, არც მათი მარხვების ტრაკტაცია" არ შემგონებიაო, სქოლიოში შენიშნა გაკეთა სწორედ ამ „მარხვების ტრაკტაციაზე". ილიამ შენიშნა: „მაგ სტატიის (ე. ი. ბ. ჯორჯაძის სტატიის — გ. კ.) სახელს რომ დაუკვირდეს კაცმა, იფიქრებს: ან პოლიტიკურ მდგომარეობაზედ იქნება რამდენიმე აზრიო, ან ეკონომიურ მდგომარეობაზედ, ან კიდევ განათლებაზედ. არა, ბატონო, მაგ სტატიაში კნეინა ბრძანებს, მარხვებს არ ინახავენო". იხ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ტ. IV, 1927 წ., გვ. 38.

** იქვე, გვ. 49—50.

*** იქვე, გვ. 50.

**** იქვე, გვ. 57.

ვერ გადმოგვცემს ევროპაში კლასიცისტური ლიტერატურის დაცემის პარალელურად სენტიმენტალიზმისა და რომანტიზმის ვანიეთარებას. თუ სენტიმენტალიზმი, რომელიც ევროპაში, ისევე, როგორც რუსეთში წინ უსწრებდა რომანტიზმს და კლასიცისტურს ბრძოლად მწატვრული პრაქტიკით უპირისპირდებოდა, რომანტიზმმა მის წინააღმდეგ თეორიული credo-ც შეიმუშავა შემოქმედებითს ორიგინალობასთან ერთად. შეიძლება ილიას მართლაც სწორად არ ესმოდა რომანტიზმის წარმოშობა, რაკი სენტიმენტალიზმი მისგან გაშორებულა, ხოლო რომანტიზმის გენიას — ბაირონს სულ არ ახსენებდა, მაგალითისათვის მარტოოდენ გოეთეს, შილერს, ბერნარდენ დე-სენ-პიერს, ჟან-ჟაკ რუსოს (ადრე უნდა დაესახელებინა, ბოლოში კი მოაქცია) მიმართავდა. არც ის გაურკვევია ზუსტად, რომ „ვერტერი", „პოლი და ვირჯინია", „ახალი ელოიზა" რომანტიზმის სადარბაზო შესასვლელებია და არა თვით სასახლეები. ამიტომ წერდა ახალგაზრდა კრიტიკოსი: „როცა ცრუ-კლასიკური მიმართულება ეცემოდა ევროპაში და იბადებოდა ნელ-ნელა რომანტიკული მიმართულება, რომლის წარმოშობგენელი შეიქმნა ბოლოს დიდი შილერი; როცა გამოსჩნდა გეტე თავის „ვერტერით", ბერნარდენ დე-სენ-პიერი თავის „პოლ და ვირგინიით", ჟან-ჟაკ რუსო თავის „ელოიზით", მაშინ ევროპას პირველად ეცა დამატკბობელი სხივი პოეზიისა; მაშინ ცრუ-კლასიკურ მიმართულებით დათრგუნვილნი მწერალნი მივარდნენ მშიერსავით ახალშობილს პოეზიის მიმართულებასა; მაგრამ პირველად ვერ იცნეს ვერც გეტეს „ვერტერი", ვერც „ელოიზა" ჟან-ჟაკ რუსოსი და ვერც „პოლ და ვირგინია" ბერნარდენ დე-სენ-პიერისა: ამათში სენტიმენტალური სული მოესმათ, ეგ სული მიმდევართა მისთა განავითარეს და დაჰბადეს სენტიმენტალური სხოლა"...* ბევრი რამ აქ მართალია,** თუნდაც იმის მითითება, რომ „ახალმა ელოიზამ", „ვერტერმა", „პოლმა და ვირჯინიამ" ევროპაში სრულიად ახალი, მართლაც „დამატკბობელი სხივი პოეზიისა" მოიტანეს. გახსაკუთრებით „ელოიზა" და „ვერტერი" იყო ევროპული რომანტიზმის ორი დიდი მახარობელი. მაგრამ, თუ მეტისმეტი კრიტიკის მიუხედავად, სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ ილიამ არა ერთი სწორი მოსაზრება განავითარა, სამაგიეროდ, მართალი არ არის მტკიცება, თითქოს „ვარდ-ბულბულიანი" და „შამი-ფარვანიანი" სენტიმენტალური მიმართულების თხზულებებია, ხოლო „ვეფხის-ტყაოსანი" — რომანტიკულისა. „...სენტიმენტალურ მიმართულების მაგალითები, — წერს ილია, — გვაქვს ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითები, „ვარდ-ბულბულიანი" და „შამი-ფარვანიანი"; რომანტიკულის მიმართულებისაც გვქონია ჩვენ მაგალითი ჩვენს ლიტერატურაში, მაგალითები, „ვეფხვის-ტყაოსანი"; ცრუ-კლასიკურისაც, მაგალითები, სულ იმ მწერლების მიმართულება, რომელთაც მიბაძეს მარტო გარეგან ფორმასა ჩვენ უკვდავის რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსნისას" და ვერ გაიგეს კი, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი" თუ არის უკვდავი, არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებებით".*** თუ ამ მსჯელობაში ახალგაზრდა კრიტიკოსმა ზოგიერთი შეუსაბამო-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 60—61.

** არა ერთი აზრი აღებულია ბელინსკიდან; იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. II, გვ. 121—130.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 61.

ბა დაუშვა, სამაგიეროდ, ბევრი სიმართლე თქვა, თუნდაც ის, რომ ხელოვნება მარტოოდენ ფორმა კი არა, შინაარსია, რომელსაც თავისი მაღალმხატვრული გამოვლენა უნდა ჰქონდეს.

როგორც ვხედავთ, ორივე წერილი — „ორიოდე სიტყვა“ და „პასუხი“ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული კრიტიკული აზრის ისტორიაში. ეს იყო ჭადაგება ახალი, რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის იდეებისა, ხალხის გამოფხიზლებისათვის მწერლობის მოწოდება, პროგრესული აზრებით ძველისა და დრომოჭმულის წინააღმდეგ ბრძოლა; ეს იყო ჰუმანიზმის დაცვა, კონსერვატორულ შეხედულებათა უკუგდება, პასეიზმის უარყოფა და მომავლისადმი გაბედული სამსახური. პესიმიზმს — ოპტიმიზმი უპირისპირდებოდა, იდილიურ განცხრომას — მოქმედების ფილოსოფია, უნიჭობას — ტალანტი, იდეალიზმს — მატერიალიზმი, ერთი სიტყვით — ეს იყო ძველი ბურჯების ძლიერი შერყევა პროგრესულის სახალხო ტენდენციებისათვის.

და ამ პროგრესულს მთლიანად უნდა დაქვემდებარებოდა თვით ლიტერატურა. ამიტომ „ორიოდე სიტყვის“ დიდი დამსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსმა მუტისმეტად დაამცირა „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხაძე, უთუოდ იყო ლიტერატურის განხილვა. როგორც საზოგადოებრივი და არა პირადი, კერძო მოვლენისა. ახალგაზრდა კრიტიკოსი „ცისკრის“ სისუსტეს არა იმდენად მიაწერდა მის რედაქტორს ივანე კერესელიძეს, რამდენადაც თვით ჟურნალის საზოგადოებრივ მდგომარეობას. „ცისკარს“ საკუთარი სახსრები არ გააჩნდა, როგორც ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს; რედაქტორი ივანე კერესელიძე იძულებული იყო პირველყოვლისა ებეჭდა ის თხზულებები, რომლებსაც მას გადასცემდნენ ჟურნალის მატერიალურად ხელშემწყობნი. ილია ამიტომ წერდა: „...ეფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელის-მომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უხდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წიხდაუხედავად. უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბეჭდიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“ მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიას. რათ უნდა ვეშხურობდეთ უ. რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა, როცა იძულებული იქნებოდა ჩაებარებინა უკანვე გამოსადეგი სტატია“.* ეს იყო სრული ჰეშმარიტება, იმის ერთ-ერთი დიდი მიზეზიც, თუ რატომ იბეჭდებოდა „ცისკარში“ სუსტი თხზულებები და ასე ხშირად ჩნდებოდა „გარმიანული სიტყვები, მაგ. ზადაჩა, ოსტროვები, ლინიები“.. რასაც ილია ჭავჭავაძე, ახალი სალიტერატურო ქართულის დამცველი, სასტიკად ებრძოდა.

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 14. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

გადაჭარბებად ნუ მივიჩნევთ, თუ იმ დებულებებში, რომლებიც ჩვენ ესესაა მოვიტანეთ, დავინახოთ ილია ჭავჭავაძის ბრძოლა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის. ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთში თავისუფალი პრესის შესაქმნელად ბრძოლას უკვე ტრადიცია ჰქონდა, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ „კაციადამიანის?!“ განხილვის დროს. მას შემდეგ, რაც 1853 წელს გერცენმა ლონდონში დააარსა თავისუფალი რუსული სტამბა, ორი წლის შემდეგ გამოსცა „პოლიარხაია ზვეზდა“, ხოლო 1857 წელს — „კოლოკოლი“, რასაც ძალე მოჰყვა თვით მოსკოვში 1860 წელს თავისუფალი სტამბის შექმნა, მოულოდნელი არ უხდა იყოს, თუ საქართველოშიც 1861 წელს თერგდალეულთა ბელადი ახალგაზრდებს წამოაყენებს. ეს იდეა ორგანულად უკავშირდებოდა იმ ძირითად მიზანს, რომელიც ილია ჭავჭავაძემ პირველივე წერილში ხათლად გახსაზღვრა: „უნდა გავსწორდეთ“, სიმრუდე შევიცნოთ, ბოროტება დავინახოთ, ხოლო „ბოროტების ღვიარება ნებეარი გასწორებაა“.* ძველი ნორმების სწორედ ეს გასწორება, ახალი ნერგის ჩაყრა და ამ „ახალს ნერგზედ ახლადმოპოვილი“ ქვეყნის „კვლავ აღყვავება“ — თერგდალეულების, პირველყოლისა ძისი ბელადის, სახელმძღვანელო იდეა, სამოქმედო პროგრამა იყო. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძემ ყველაფერი ამ უმთავრეს საზრუნავს დაუქვემდებარა — პოეზიაც, პროზაც, ლიტერატურული კრიტიკაც.

ყველაზე უფრო ძლიერად ეს ჩანს 1863 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში — „საქართველოს მოამბეზედ“, რომელიც ახალგაზრდა ლიტერატორმა თავის ჟურნალს მოწინავედ დაურთო. ამ წერილს იმდენად ენციკლოპედიური მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენ აქ დეტალურად არ გახვიბილავთ, ვინაიდან იგი ყველგან გამოყენებული გვაქვს, როგორც ილია ჭავჭავაძის უცვლელი credo. ეს არის არა მარტო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მანიფესტი, არამედ, თერგდალეულების, თვით ილია ჭავჭავაძის მანიფესტი და პროგრამა, რომლისთვისაც მის ავტორს არასოდეს არ უღალატნია.

თავისი ჟურნალის მეთაურ წერილში ილიამ წამოაყენა იმ დროისათვის უაღრესად პროგრესული აზრები: ცხოვრება განუწყვეტელ ცვლილებას განიცდის, მოაქვს განახლება, ძველ ჰეშმარიტებათა უკუგდება და ახალის დამკვიდრება; ჰეშმარიტება ის ფილოსოფიაა, რომელიც გვასწავლის „წმინდა აზრს“— დავინახოთ „საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს“.** მხოლოდ გენიოსს შეუძლია თავისი დროის ცდუნებასა და ჭაოსს გასცდეს, „მჯელობით დროებაზედ მაღლა“ აღიმართოს, ცხოვრების ძლიერ ტალღას გაუძლოს. „მარტო გენიოსის მკერდი თუ გააპობს და შემუსრავს მას, თორემ სხვისთვის ძნელია. შორმხედველობა, დროებაზედ უფლობა მარტო გენიოსის საქმეა. ის თავის თამამს სვლაში შემოიბღერტავს ხოლმე დროების მტვერსა, რომელიც ჩვენისთანა კაცსა უფარავს საგნის მნიშვნელობასა, გულუბრყვილოდ მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხსა და უხათებს თავის ჭკუის

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 25—26. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე, გვ. 66.

სხივებით გზასა".* მაგრამ ეს გენიოსი ციდან კი არ ვარდება, იგი თავისი დროის „სრული, დამწიფებული" ნაყოფია, რომელიც „თავის ძლიერ მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია". ცხოვრება კი დიალექტიკურ წესს ემორჩილება — „იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ხაყოფი და შერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევ-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკეთესება უნდა".**

მაგრამ, რა განასახიერებს ამ უკეთესებას, რა არის ის ძლიერი ფაქტორი, რასაც შეუძლია სიკვდილი სძლიოს და უკეთესად დარჩეს? სიკვდილი ხომ ბუნებრივი პროცესია, აუცილებელი მომენტია სიცოცხლისა, როგორც ეს თვით არწმუნა ილია ჭავჭავაძემ? მაშინ უკეთესება როგორღა შეიძლება არსებობდეს, თუ სიკვდილი სიცოცხლის განუყრელი კავალერი და აუცდენელი მომენტია? სიკვდილს ხომ ვერავინ გზას ვერ აუცდენს? დიაღ, როგორც თვით ილია ამბობს, „უველაფრის სიკვდილი შეიძლება", მაგრამ „აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკეთესებისა. იმიტომ, რომ გრეხილი აზრისა გაუწყვეტელია: ერთს ზედ მოსდევს მეორე, უფრო ახალი, ჯანმრთელი და ღონიერი, — ამასთანაც დაუქცეველი, მარად მყოფი სალაროცა აქვს — მეცნიერება და ხელოვნება (наука и искусство), სადაც ისინი ინახებიან".*** ეს უწყვეტი აზრი ყოველთვის წინ უბიძგებს ადამიანს, როცა მას თან ახლავს უკეთესობის სურვილი. ასე სწყამს ილია ჭავჭავაძეს და ამიტომ ფიქრობს სპოეზით იმ „ცხოველ იმედზე", რომელსაც „აზრის უკვდავება" განასახიერებს კაცობრიობისათვის. როცა „აზრის უკვდავებას" ზედ დაერთვის „ნდომა უკეთესობისა", მაშინ „შედგება ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადექ! წინ წადექ!.. ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა!.. ის ხალხი, ის ცხოვრება, რომელიც არ იზრდება, რომელსაც არა აქვს თავისი გაზაფხული და ნაყოფიერი შემოდგომა; რომელიცა ბერდება კი, მაგრამ იმ სიბერის ნაყოფზედ ისევ არ ამოვა განახლებული, განათლებული სიახლის მშვენიერ გვირგვინითა — ის ხალხი, ის ცხოვრება მიჩანჩალებს სამარისაკენ, ბოლოს მივა და აღიგვება, როგორც მტვერი დედამიწის ზურგიდამ".****

ეს იყო მკაცრი, მაგრამ ჭეშმარიტებით სავსე განაჩენი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს თითქოს ზოგადად ჰქონდა გააზრებული, მაგრამ უალრესად კონკრეტულ დამიზნებას გულისხმობდა. ის პირდაპირ, მოურიდებლად ეუბნებოდა იმ დროს საღათას ძილსმიცემულ მშობელ ერს: თუ არ გავიღვიძებთ, თუ წინსვლის სურვილი არ გვექნება, თუ არ განვახლდებით, დაღუპვისაკენ სვლა არ შეჩერდება და მოვისპობითო. უფრო ძლიერი თვითგანსჯა მაშინ წარმოუდგენელიც იყო და უფრო მკაცრი ეროვნული თვითკრიტიკითაც არავინ გამოსულა. ერთი დიდი ღირსება ილიასეული განსჯისა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ახალგაზრდა

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 66.
** იქვე, გვ. 67.
*** იქვე, გვ. 68.
**** იქვე.

კრიტიკოსი ორგანიულ მთლიანობაში განიხილავდა ეროვნულსა და საზოგადოებრივს, მას შესანიშნავად ესმოდა იმდროინდელ ვითარებაში საზოგადოებრივის განუყოფლობა ეროვნულისაგან, ხოლო ეროვნულისა — საზოგადოებრივისაგან. ეს ჩანს არა მარტო მის ლიტერატურულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში, არამედ, მხატვრულ შემოქმედებაშიც, როგორც მკითხველს წინა თავებიდან უკვე შეეძლო დაენახა.

ერის პროგრესსა და განახლებაში უდიდესია როგორც მეცნიერების, ისე ხელოვნების როლი. ორივე ცხოვრების ნაყოფს წარმოადგენს, მაგრამ ორივე მოწოდებულია თავს დასტრიალებდეს ცხოვრებას და სცვლიდეს მას. თუ რა მსგავსება-განსხვავება არსებობს მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ, მაგრამ აქ ზედმეტი არ იქნება იმის გახსენებაც, რომ ილია ჭავჭავაძემ პირველმა ჩამოაყალიბა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში რეალისტური ესთეტიკის ის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ამბობს: მეცნიერება და ხელოვნება — „ეს ორივე ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ“.* მეცნიერებისა და ხელოვნების ცხოვრებისადმი სამსახურს ხელს უწყობს „საზოგადო ჟურნალი“, რომელიც ხალხს უნდა მიეშველოს ცოდნის ნაყოფთა მომკაში.

ასეთი მიზანი დაუსახა ილია ჭავჭავაძემ თავის ჟურნალ „საქართველოს მოამბესაც“. თუ რა უნდა ყოფილიყო ილიას ჟურნალისა და მის ირგვლივ შემოკრებილი თერგდალეულების მთავარი ზრუნვის საგანი, ძალიან კარგად არის ნაჩვენები მეთაურ წერილში, სადაც ნათქვამია: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია... ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, —მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა. გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ ეზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს. ამიტომაც ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა. რამოდენად შეიძლებს ჩვენი ჟურნალი ამის აღსრულებას—მაგას დრო და ჩვენი შეძლება გამოაჩენს: საქმეა ყოველისფრის გამომცდელი. ჩვენ წინადვე ვერას ვიტყვით ამის მეტსა, რომ აწინდელის ცხოვრების წრეში ჩადგომა გვინდა, მისგან ყრუდ ჩაძახილის ამოძახნა, მისის ვითარების ცნობაში მოყვანა, მოძრაობისათვის გზის გახსნა. ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელ ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, — არა, ყოველ გონიერ ჟურნალის თვალი ზშირად არის მიმართული მომავლისაკენა. „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“, ამბობს ერთი ფილოსოფოსი. აი, აწინდელ ცხოვრებას რა მნიშვნელობა ექნება ჩვენის ჟურნალისათვის. აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მაჯში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორიც წარსულში ერივა აწმყოსათვის. თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 73—74.

უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორს სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია, ჩვენის ფიქრით. ჟურნალი და დღეგრძელი".*

მაგრამ ამ ჟურნალს, რომელიც მთელი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველად გამოდიოდა, რომელიც ცდილობდა ყოფილიყო მოურიდებელი და პირდაპირი ნაკლოვანებათა მხილებაში, როგორც ილია ამბობს, მაშინ „მტრობაც შესწამეს". ამიტომ დასჭირდა „აჩრდილის" ავტორს იმავე 1863 წელს ცნობილი „სხარტულა" დაეწერა, რომელშიაც მკაცრად დასცინა „ცისკრის" რედაქტორს ივანე კერესელიძეს, მის შეცდომებს, განსაკუთრებით კი ქერელ ბეჭას (ანტონ ფურცელაძეს). „სხარტულაში" ილია ჰავჭავაძე კვლავ ჩანს, როგორც მახვილი პოლემისტი, მოურიდებელი და უკომპრომისო კრიტიკოსი. ჟურნალ „ცისკარში" წლების მანძილზე დაშვებულ შეცდომებს ილია თვით ივანე კერესელიძესა და ანტონ ფურცელაძეს ამჟღავნებინებს, რითაც „სხარტულა" დიდ ეფექტს აღწევს. „მამების" ეპითეტად იქ ერთგან ბაქია (ანტონ ფურცელაძე) „მტკვარდალეულებს"** ხმარობს „თერგდალეულების" საპირისპიროდ. ილიას მიერ ნახმარი ეს სიტყვა კარგად ხვდება მიზანში: „მამების" ერთი ნაწილი ხომ ამბობდა — შინიდან ფეხი არ გაგვიდგამსო, რითაც სურდა „თერგდალეულებისათვის" ეგრძნობინებინა — მაინც თქვენზე ნაკლებნი არა ვართო. საერთოდ, პირველი „სხარტულა" 1863 წლისა კარგად გვიხატავს „ცისკრისა" და „საქართველოს მოამბის" იმდროინდელ დაძაბულ ურთიერთობას.

ძირითადი დებულებები წერილისა — „საქართველოს მოამბეზედ" ილია ჰავჭავაძემ ბოლოს თვითონვე ჩამოაყალიბა შემდეგი სახით: „ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ... თუცა იგი ბერდება, მაგრამ იმ სიბერის გამოცდილებით ისევ თავის-თავად ახლდება და ჰყვავის... მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილნი კაცის ჭკვის და გამობატულობის არც ვარჯიშობისაგან და არც ვარჯიშობისათვის... იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარების გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება... რაც მაგათგან არის მოყვანილი ცნობაში და დამტკიცებული, ის გადადის ხალხში და იგი სცვლის ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებასა; მაგ დამტკიცებულ აზრების და ცნობების გადასვლის გაადვილება ჩვენის „მოამბის" საქმეა. რამოდენადაც ცნობიერად და ვრცლად მოეკიდება „მოამბე" თავის ძნელ საქმეს, რამოდენადაც მიაგნობს და შეატყობს ცხოვრების მაჯის ცემასა და შენიშნავს იმ მაჯის მცირედსა ცვლილებასა, რამოდენადაც ნათლად გახარჩევს ცხოვრებისაგან მოგუბებულ მასალასა და თვითეულ მის შემადგენელს ხივთსა საყოველთაოდ განაბრწყინებს მეცნიერების შუქით და ხელოვნების წარმოდგენითა, იმოდენად იგი პატივცემული იქნება საზოგადოებაში და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის. გზა დანიშნული აქვს და არჩეული ჩვენს „მოამბესა". ვხედნოთ, როგორ გაიცლის! ღმერთმა კი მშვიდობის და სიკეთის მგზავრობა მისცეს, ღმერთმა მოაპოვებინოს მრავალი თანამშრომელი, რომ ჩვენის ქვეყნის და ხალ-

---

* ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, 1927 წ., გვ. 78—79.
** იქვე, გვ. 109.

ხის სიყვარულის სახელითა და ძმურად ურთიერთს მხარი მისცენ და არ დაივიწყონ, რომ ხალხი დაბალი, თუ მაღალი — ყველა ძოყვასია ჩვენი, შეძლებისამებრ ყველამ უხდა ვუშველოთ... თუ ხალხი მართლა მოყვასია, რუსთაველი გვასწავლის, მოყვასს როგორც უნდა მოექცეს კაცი:

„ხამს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დაშრიდად.
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად".*

ეს არის ტიპიური განმანათლებლის ტიპიური სოციალური დოქტრინა და რეალისტური ესთეტიკის ძირითადი თეორიული პრინციპების გაბედული დაცვა. ზემოთაც მივუთითეთ და აქაც გვინდა გავიმეოროთ, რომ ამ ძირითადი პრინციპების განხორციელებას ილია ჭავჭავაძემ მთელი თავისი ცხოვრება და ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა მოახმარა; არსად ამ დოქტრინისათვის მას არ უღალატნია, პირიქით, გზა და გზა უფრო დასრულებულ. გახვითარებულ სახეს აძლევდა, რომ მთლიან სისტემად გაეფორმებინა. ის იდეები, რასაც ჩვენ გავეცანით „ორიოდე სიტყვაში", „პასუხსა" და წერილში — „საქართველოს მოამბეზედ" ილია ჭავჭავაძის სხვა წერილებშიც გვხვდება, თუხდაც ეს იყოს დაუმთავრებელი სტატიები („სარდიონ მესხიევის კრიტიკის გამო", 1861 წ.; „ცისკარი" 1857—1862 წლამდინა". 1862 წ.; უსათაურო წერილი, რომელშიაც ხელოვნებისა და მეცნიერების შინაგანი არსებაა გახმარტებული, 1862/63 წწ.), ორივე „სხარტულა" (1863 და 1879 წლებისა). თუ მომდევნო ყველა წერილი.

მეორე „სხარტულაც" (1879 წ.), პოლემიკური ხასიათის მიუხედავად (აკრიტიკებს გიორგი თუმანიშვილის „ალმანახს", არანაკლები სიძნელვით ნიკო ნიკოლაძეს და მის „ობზორს", აგრეთვე დ. ერისთავს, რომელმაც მაშინ „მშვენიერი ელენე" თარგმნა), სრულიად გარკვევით იცავს განმანათლებლურ იდეებს, რასაც ჩვენ განხილულ წინა სამ წერილში გავეცანით. დასცინის რა გიორგი თუმანიშვილის ენობრივ სისუსტეს და უხეიროდ გამოთქმულ აზრებს, ილია ჭავჭავაძე წერს: „ახლა თქვენ იტყვით, მთელი კაცობრიობის ლიტერატურა კი არა მარტოო, არამედ, მთელი მოძრაობა სულ ამ საგნებს დასტრიალებსო, ყოველი იმაზეა მიმართული ათადამ-ბაბადამ დღემდე, რომ ამ საგნებს ფართო გზა გაუკაფონ ადამიანის ცხოვრებაში; ყოველისფერი, მეცნიერება, ხელოვნება, სულ იმაზედ ადამებს დღეს, რომ თავისუფლება, თანასწორობა და სიყვარული მომძისა ჩამოაგდოს კაცთა ურთიერთობაში. ყოველი საქმე, რაც უნდა აიღოთ ამ ქვეყნიერობაზედ, ამ საგნებიდამ არის წარმომდგარი და მასვე მიერთმევაო; და მინამ ადამიანი ადამიანად იქნებაო, ეგ ჰეშმარიტებანი ყოველთვის ახალი იქნებიანო და ყოველდღე საჭირონი, თუნდა ათას ანბანში ეწეროსო და გ. თუმანიშვილს კი არ მოსწონსო; გ. თუმანიშვილს კი არ ეპაშნიკებაო ამ საგანზედ მღერაო, მეტყვით თქვენ — აბა რა ჭკუის პატრონიაო? დიაღ, დიდის ჭკუისა, თუხდა „დროების" კრიტიკოსსა ჰკიოხეთ, ბატონო, ახალი აზრები თუ გინდათ ეგ არის. რით ვერ შეიტყეთ, რომ გ. თუმანიშვილი აგებული კი არ არის ახალის აზრებით, გადა-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 83—84. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

გებულია".* მთელი წერილის მკაცრი ირონიული ტონი გიორგი თუმანიშვილის წინააღმდეგ, ასევე მოურიდებელი პირდაპირობა ნიკო ხიკოლაძის მხილებაში** გვაფიქრებინებს, რომ სხვანაირად უნდა დაისვას „სააბაბინო" პრობლემა.

ამიტომ არ არის მართალი, რომ „...გ. თუმანიშვილი აქ მხოლოდ საბაბია, უმთავრესად კი ეს პამფლეტი მიმართულია ნიკო ნიკოლაძის წინააღმდეგ, რომელიც ამ დროს გაზეთ „ობზორის" რედაქტორად იყო".*** პოლემიკა საერთოდ არის მიმართული როგორც ნიკო ნიკოლაძის, ისე გიორგი თუმანიშვილისა და დ. ერისთავის წინააღმდეგ. ილიას არ ესაჭიროებოდა საბაბად სხვა გამოეყენებინა, თუ მარტო ნიკოლაძე ეყოლებოდა მხედველობაში. უსაბაბოდაც შეეძლო „ობზორში" არა ერთი მასალა ეპოვა ძილი რედაქტორის გასაკრიტიკებლად. საბაბი მაშინ იქნებოდა საჭირო, თუ ნიკოლაძეს არ მოიხსენიებდა, მაგრამ თუმანიშვილის კრიტიკით მას გაეხწლავდა. აქ კი „ობზორის" რედაქტორი, როგორც სქოლიოში დამოწმებული გვაქვს, ძალიან მკაცრად არის მოხსენიებული და გაკრიტიკებული. უეჭველია, იმ დროს, როგორც პოეტის ბიოგრაფიაშიც აღვნიშნეთ, „ივერიასა" და „ობზორს" შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო. ისიც უდავოა, რომ ილიას ამ მეორე „სხარტულას" შემდეგ „ივერიასა" და „ობზორს" შორის „პოლემიკამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო, და ბოლოს ეს ლიტერატურული დუელი დასრულდა ნამდვილი დუელით ილიასა და ნიკოლაძეს შორის".**** ეს დუელი და მისი მიზეზები ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს პოეტის ბიოგრაფიაში და აქ აღარ შევეხებით. მაგრამ იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, რომ 1879 წელს გამოქვეყნებული „სხარტულა" ნიკო ნიკოლაძეს ყველგან აუგად იხსენიებს, რაც შემდეგი სურათით მთავრდება: პამფლეტის ბოლოს რუსთაველის ლექსში „ობზორის" რედაქტორი როსტევანის ადგილზეა ჩასმული და „ვეფხისტყაოსნის" დადებითი გმირის თვისებები შეცვლილია ისეთი უარყოფითი მხარეებით, როგორიცაა: ცუღლუტობა, ტრაბახობა და ა. შ. საერთოდ, მთელი პამფლეტი ილიასეული პოლემიკური ტონითა და ძალითაა დაწერილი. ავტორის კრიტიკული უნარი აზროვნების მაღალ მწვერვალებს იმორჩილებს.

ასეთი მძლავრი გონების ადამიანს, ბუნებრივია, ვერ დააკმაყოფილებდა 80—90-იანი წლების ლიტერატურული კრიტიკის მდგომარეობა. ქართული კრიტიკა მაშინ იმდენად სუსტი იყო, რომ ვერ აბერხებდა მწერლობაში ახალი მოვლენების სწორ შეფასებას. მაგალითისათვის მარტოოდენ „განდეგილისა" და „ოთარაანთ ქვრივის" იმდროინდელი ანალიზია საკმარისი, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ მონოგრაფიის წინა თავებში. ქართული კრიტიკის ეს სავალალო მდგომარეობა გაიზიარა ილია ჭავჭავაძემ თავისი

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV. 1927 წ., გვ. 131.

** „ბატონი ნიკოლაძე რათ იკადრებდა გ. თუმანიშვილის ნაწერის განხილვასა? ბატონი ნიკოლაძე!... თქვენ ეს უკანასკნელი საბუთი ცოტა გგონიათ? ერთს დროს ლუი-ბლანს დარიგებას აძლევდა, როგორ უნდა მოევლოს საფრანგეთსა. ხუმრობაა!... იქნებ ეს არ დაიჯეროთ! თითონ ნიკოლაძემ გვაუწყა „კრებულში" ეს ამბავი. იტრაბახო, იტყვით. ნიკოლაძემ დაიტრაბახა!.. ვის გაუგონია იმისაგან ამისთანები!" იხ. ილია ჭავჭავაძე, ტ. IV. 1927 წ., გვ. 128.

*** იქვე, გვ. 411.

**** იქვე.

შსჯელობის საგნად 1887 წლის „ივერიის“ თებერვლის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მოწიხავე წერილებში საერთო სათაურით — „რა შიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. მომდევნო წელსაც მან აღიარა „კრიტიკული აზრის უქონლობა“ და წამოაყენა შემდეგი დებულება: „... დღემდის ვერ დაგვიდგენია სამართლიანი კრიტიკული აზრი ჩვენის ცხოვრების შესახებ“; „კრიტიკულის აზრის უქონლობა იმოდენად შესამჩნევია ჩვენში, რომ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ, თუ ცოტათი მაინც ჩაუკვირდით ჩვენს აზროვნებასაო“.*

მართლაც, რა იყო მიზეზი იმდროინდელი კრიტიკის სისუსტისა?

IV

ილია ჭავჭავაძემ ღრმად ჩაიხედა საკითხის არსებაში, ჯერ თვით კრიტიკის ბუნება განსაზღვრა, შემდეგ კი მიზეზები დაახასიათა. 80-იან წლებში მართლაც გულისტკივილით ამბობდნენ — „ჩვენს ლიტერატურას კრიტიკა აკლიაო“. შეუძლებელი იყო ამ მოსაზრებას ილია არ დათახმებოდა. მას მიაჩნდა, რომ „ეს დიდი და ფრიად დიდი დახაკლისი“ იყო. „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით,—წერდა ილია, — გონების ნაჭირნახულევი ხვავია. საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის. ამ ნაკლის მიზეზად ზოგი იმას ამბობს, რომ ჩვენი ლიტერატურა კრიტიკისათვის მეტად ცოტა საზრდოს იძლეაო; ჯერ ხვავი ჩვენის ლიტერატურისა იმოდენა არ არის, რომ ღირდეს კაცმა კრიტიკის ცხავში გაატაროს და წმინდა ხორბალი ბალახ-ბულახისაგან გამოარკვიოსო. ამ თქმას დიდი საბუთი არ მიუძღვის: ცოტაა, თუ ბევრი, მაინც გარჩევა უნდა და გარკვევა. ამიტომაც სხვები ამბობენ, მარტო სიცოტავე ლიტერატურისა ჯერ კიდევ მიზეზი არ არის, რომ კრიტიკა თავს არ იჩენსო; აქ იციხვს იმოდენად მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც თვით ღირსებას, ესე იგი ლიტერატურის შინაარსსაო, და აი ამ მხრით მეტად ხელმოკლეა ჩვენი ლიტერატურა და კრიტიკას ამიტომაც ჩვენს ლიტერატურაში ჯერ არავითარი საქმე და სარბიელი არა აქვსო“.** მაგრამ ვის შეეძლო დაემტკიცებინა, რომ იმდროინდელ ქართულ ლიტერატურას ღირსება ან შინაარსი აკლდა? თუ ღირსება მხატვრული მწერლობისა ყოველთვის ლიტერატურული კრიტიკის საფუძველია, მაშინ რატომ არ გვჭონდა რუსთაველის, გურამიშვილის, ვახტანგ მეექვსის, არჩილ მეფის, ორივე თეიმურაზის ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა ანალიზი? განა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობა, ალექსანდრე ჭავჭავაძით დაწყებული, 90-იან წლებამდე მაღალი ღირსებით არ გამოირჩევა? მაგრამ რატომ არ არის მისი ასევე მაღალღირსებიანი კრიტიკული განხილვა? არა, — ფიქრობს ილია, — „კრიტიკის უქონლობა ჩვენის ლიტერატურის უშინაარსობას კი არ უნდა დაჰბრალდეს, არამედ ჩვენს ქონდრის-კაცობას, რომელიც იმოდენად უძლურია, იმოდენად უღონოა, რომ ვერც ჩვენის ლიტერატურის სიღრმისათვის გოხებას თვალი ჩაუწვდენია და ვერც ჩვენის პოეზიის სიმაღლისათვის თვალი გაუს-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 256. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
** ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, 1927 წ.. გვ. 161.

წორებია".* ამიტომ „კრიტიკის უქონლობა ჩვენში არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწლს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავის-თავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს".** ეს „სხვაც" — ე. ი. ქართული ლიტერატურა უნაკლო არ არის, მაგრამ „რაცა გვაქვს ჩვენ დღეს, ღირს-შესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის". ეს განძი ჯერ კიდევ ხელუხლებელია, არც უცბოს და არც შიხაურს განხილვის საგნად არ უქცევია, მისთვის ხელი არ მიუკარებია. ამიტომ მეცნიერების მზამზარეული დადგენილი აზრი ქართული მწერლობის შესახებ არსად არ არსებობს. ვისაც სურს იგი განიხილოს, მარტოოდენ საკუთარ ჭკუას, საკუთარ ცოდნას, საკუთარ მსჯელობას უნდა მისდიოს, რომ საკუთარი განაჩენი გამოიტანოს.

ლიტერატურული კრიტიკა რთული საქმეა. იქ მართლაც „ფებს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქოხიეთ". სწორედ ეს საკუთარი აკლია ქართულ კრიტიკას, — ფიქრობს ილია, — და ამიტომაა, რომ „ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი", დარვინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგისა და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავით გადაგიშლიან; შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომიროსზედაც, რომელნიც, — ჩვენში-კი ითქვას, — ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ და იქნება ისეთი სასწაულიც მოხდეს, რომ წასაკითხად . ღირსი წიგნებიც დასწერონ, და ერთს პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია".*** ამ აზრს, რომელიც ჭეშმარიტებას მოკლებული არ არის, ილია დაბეჯითებით იმეორებს.

მეორე შემთხვევაშიაც საკითხი დაყენებულია მზამზარეული, დადგენილი აზრისა და საკუთარი მსჯელობის ასპექტში. მაგრამ იმდენად ძლიერია დასაბუთება, რომ მისი გაცნობა ზედმეტი არ იქნება.

ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია, რომ „შექსპირი, გეტე, ბაირონი სხვა მეცნიერთაგან დიდი ხანია გარჩეულია მრავალგვარად. ამაზედ მრავალი უწერიათ, მრავალი უთქვამთ. მაშასადამე, ამათზედ ასეთისა თუ ისეთის აზრის შედგენა მეტის-მეტად ადვილია და აზრის საბუთის პოვნაც არ არის ძნელი. აქ ყველაფერი, აზრიც და საბუთიც, მზად არის, თქვენ ოღონდ იმოდენა ღონე იქონიეთ, რომ მოჰკრიბოთ, ერთი-ერთმანეთს შეუფარდოთ, შეუწონოთ და ყოველივე შეკრებილი, შეფარდებული და შეწონილი ერთს ძნად შეჰკრათ და ისე მიართვათ მკითხველსა. რა თქმა უნდა, რომ ამასაც ჭკუა, ცოდნა უნდა და მცირეოდენი ხელოვნებაც; მაგრამ აქ თვითმოქმედება უფრო ხელისაა, თუ ესე ითქმის, ვიდრე იმ სულიერის ძალ-ღონისა, რომელიც თითონ ჰქმნის, თითონ სჯის, თითონ სწლავს, თითონ სჩრის და თითონ ჰკერავს. აქ ყველაფერი უჯრა-უჯრად აწყვია ევროპის

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 162.

** იქვე, გვ. 163.

*** იქვე, გვ. 164.

ლიტერატურის სალაროში მზა-მზარეულად, ოღონდ იმ სალაროში შესვლის ღონე მოიპოვეთ და, რაკი ეს გექნებათ, ხელის გაწვდენის მეტი არა არის-რა საჭირო, რომ უჯრა გამოსწიოთ და, რაცა გსურთ, ის გამოიღოთ".* თუ შედარებით ასე ადვილია უკვე „გარჩეული" უცხო მწერლების ნაწარმოებთა ანალიზი, სამაგიეროდ, ძნელი და რთულია ქართული ლიტერატურის ნიმუშთა შეფასება. იქ „ყველაფერი საკუთარის ჭკუით უნდა ჰხედოთ და ყველაფერს საკუთარის გონების შუქი მიაყენოთ". იქ კრიტიკოსი მარტოდმარტო რჩება საკვლევ ობიექტთან, და როგორი ცოდნაც არ უნდა ჰქონდეს, თუ ის მადლი ზედ არ ერთვის, რასაც „თვითმსჯელობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან",** შეიძლება „ერთი ფეხიც ვერ წადგას". ეს არის 80—90-იანი წლების კრიტიკის იმ სისუსტის მიზეზი, რომელმაც არსებითად მისი უქონლობა განაპირობა. თუ სხვისი აზრი რომელიმე საგანზე არ მოუსმენია, უცხო წიგნებსა ან გაზეთებში არ ამოუკითხავს, „ის საგანი იმისათვის (ლიტერატურულ კრიტიკაში იმ დროს მომუშავე ქართველი ინტელიგენტისათვის — გ. ჯ.) ყოვლად ძნელია და იმ საგნისათვის იგი ყოვლად მუნჯია: ვერას იტყვის. იმიტომ, რომ თვითმსჯელობას, თავისის გონების გაძღოლას იგი ჩვეულ არ არის. რამდენი სასაცილო მაგალითია თითონ ჩვენს ლიტერატურაში, რომ საზოგადო თეორიის გულმხურვალე მქადაგებელს ვერ ეცნოს ცალკე მაგალითი ამავე თეორიისა და, რასაც ზოგადად, თეორიით ამტკიცებდეს თავგამოდებით და მხურვალებით, იმას იმავე თავგამოდებით უარჰყოფდეს ცალკე მაგალითში. რათა? იმიტომ —რომ ამ ცალკე მაგალითს ქვეშ არა ჰქონია წარწერილი, რომ ამა-და-ამა მოძღვრებისაო, და თითონაც მოძღვარს იმოდენა თვითმსჯელობა არა ჰქონია, რომ თავისავე მოძღვრების ერთი მაგალითთაგანი საქმეში ეცნო".***

ეს მკაცრი განაჩენი ილია ჭავჭავაძეს ლოგიკურ ბოლომდე მიჰყავს, პარალელსაც უძებნის მსოფლიო ლიტერატურაში. გოეთეს ვაგნერი „ფაუსტში" მას მიაჩნია „სწორედ ზედგამოჭრილ სახედ იმ-გვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვთ და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუმადლებია", ე. ი. თვითმსჯელობა, თვითმხედველობა არ მიუცია. თუ რა დიდია ეს დანაკლისი, შეიძლება იმით წარმოვიდგინოთ, რომ „თვითმსჯელობა, თვითმხედველობა გონებრივი უმაღლესი წერტილია ადამიანის განვითარებისა და წარმატებისა". სამწუხაროდ, ვაგნერის მსგავსად, როგორც ილია ფიქრობს, 80-90-იანი წლების ლიტერატურულ კრიტიკაში მომუშავე „ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვითმსჯელობისა. თვითმხედველობისა არა აქვს გაბსნილი და გადაშლილი. ეგ ნაკლია მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა გვაქვს არა-რომელისამე საგნისა საზოგადოდ, და ლიტერატურისა საკუთრად", მაგრამ, მიუხედავად ასეთი ულმობელი დასკვნისა, ილია ჭავჭავაძეს იმედი არ დაუკარგავს, რომ დადგებოდა ქართული ლიტერატურული კრიტიკის გაზაფხული; ჩვენი ინტელიგენცია შეიძენდა იმ დიდ მადლს, რომელსაც თვითმსჯელობა, თვითმხედველობა, თვითსვლა ეწოდება. ეს იქნებოდა საკუთარი ჭკუის, საკუთარი გონების ნათელით გაშუქება ქართული მწერლობის ავ-კარგისა. ამით კი დადასტურდებოდა თვით ერის სუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 165.

** იქვე, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 166.

ლიერი ძალღონის აღმატება და განდიდება. ილია ჭავჭავაძე ამიტომ წერდა მომავლისადმი სრული რწმენით: „....კრიტიკა ჩვენც გვეღირსება ოდესმე, და მაგის მოვლენა, ვითა შვილი თვითმსჯელობისა, ჩვენის სულიერ ძალღონის აღმატების და განდიდების ნიშანი იქნება“.* მაღალი კრიტიკული აზროვნება მართლაც ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული სულიერ ძალღონესთან, თუნდაც კრიტიკოსს ბელინსკივით სუსტი ტანი და კანტივით ჩია სხეული ჰქონდეს. ეს მაინც არ არღვევს ძველი ლათინელების ტრადიციულ თეზას, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“. მაღალ კრიტიკულ აზრს ერთნაირად შეუძლია მოთავსდეს ავადმყოფ პასკალისა და გლადიატორ სპარტაკის სხეულებში, თუ გონება თვითმსჯელობის ან თვითმხედველობის მადლით არის განათებული.

ამ მადლით დაიწერა მე-19 საუკუნის ქართველ მწერლებზე ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილები, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საერთოდ ჩვენი ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის შექმნაში.

V

ილია ჭავჭავაძეს ღრმად სწამდა, რომ მწერლობა საზოგადოებრივი მოვლენაა, როგორც ეს ჩვენ წინა განხილვიდან დავინახეთ. თუ საზოგადოება მწერლობისათვის არ ზრუნავს, ლიტერატურა მძიმე მდგომარეობაში ვარდება, ვინაიდან „ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება“.** ეს მასაზრდოებელი ძალა საზოგადოებისა აკლდა მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას, მაგრამ ილიას სწამდა ქართველი ერის თვითშეგნება ამაღლებოდა, „ლიტერატურა და საზოგადოება უკეთ მოეწყობოდა, უკეთ მორიგდებოდა და მოთავსდებოდა ერთმანეთში“.*** ამიტომ იყო, რომ „აჩრდილის“ ავტორი სასოებით წერდა მომავალზე: „ამ იმედით აღფრთოვანებული და გატაცებული იბრძვის და იღვწის დღეს მშიერ-მწყურვალი უანგარო მუშაკი დღევანდელის ჩვენის ლიტერატურისა. ეს მართალია, თავგანწირვაა, მსხვერპლია, და თუმცა ამ მსხვერპლს ქართველთა დღევანდელი უმადურება აორკეცებს და წამებად ჰხდის, მით უფრო უმშვენიერესია ის ბრწყინვალე სახსოვარი, რომელიც აღიმართება ძეგლად მერმისის გულში“.****

ასე წერდა ილია ჭავჭავაძე 1886 წელს გამოქვეყნებულ წერილში — „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა“, ხოლო მეორე წერილს — „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ (1886 წელი), ამოცანად უსახავდა ნაადრევი წერისათვის აეცდინა „მოსწავლე ყრმანი“. პოეზიით ქართველი კაცის გატაცება, რომ ავტორი გახდეს, მარტო საქართველოს განთქმული სილამაზით არ არის გამოწვეული. მიზეზი ისაა, რომ „ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ ამხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდე-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 167.
** ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 84.
*** იქვე, გვ. 85.
**** იქვე.

ბა და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა... პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია".* მაგრამ ამ მადლს მოვლა-პატრონობა უნდა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება. „ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას ჰკარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის".** ამ მშვენიერ სიტყვებს უნდა დავსძინოთ პოეზიის ის ღრმა განმარტება, რომელსაც ილია გვაძლევს. ეს განმარტება ჩვენ ადრეც მოვიტანეთ, მაგრამ აქ, საერთო კონტექსტში, მისი გახსენება აუცილებელია, მით უფრო, რომ ეხება პოეზიის როგორც შინაგან არსებას, ისე ზოგადად მხატვრული შემოქმედების სპეციფიკასაც.

რა შეადგენს პოეზიის განმასხვავებელ ნიშანს და რა თვისებებით გამოეყოფა იგი მეცნიერებას? მარტოოდენ მხატვრული საშუალებებით, — ფიქრობს ილია, — და მისი მსჯელობა ასეთ სახეს ღებულობს: „ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, —ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათით. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ ალმობეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის".*** სრული ჭეშმარიტებაა, — დასძენს თანამედროვე მკითხველი, — და იმასაც დაუმატებს, რომ ჩვენი ეროვნული ესთეტიკა სავსებით იზიარებს ამ თეორიულ პოსტულატებს.

ასეთი იდეებითა და აზრებით მიუდგა ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის პრობლემატიკას. მხედველობაში გვაქვს როგორც დაუმთავრებელი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე" (1892 წ.), რომელიც ხუთი ნაწილისაგან შედგება, ისე ცალკე სტატიები: „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო" და „მოკლე ბიოგრაფია იოსებ დავითაშვილისა" (ორივე 1887 წელს განეკუთვნება), აგრეთვე: „აკაკი წერეთელი და „ვეფხის-ტყაოსანი" (1887 წ.), „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ გახტანგის ძის თავ. ჯამბაკურ-ორბელიანისა" (1894 წ.), „სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე" (1883 წ.), „თერგდალეულნი" და ახალი თაობა" (1888 წ.), „სიტყვა, წარმოთქმული ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გამოსვენებაზე" (1893 წ.) და მრავალი სხვა.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 90—91.

** იქვე, გვ. 91.

*** იქვე, გვ. 92.

დაუმთავრებელ „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე" ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად შეეხო ე. წ. ძველი და ახალი თაობის ურთიერთობის საკითხს. თავისი ძირითადი აზრი წერილის პირველივე თავში მან ასე ჩამოაყალიბა: „...როცა საყვედურს აძლევენ ახალს თაობას — არას აკეთებენო. ჩვენ ვერ შამოგვირკვევია, ვინ უნდა მიიღოს ეს საყვედური თავისს თავზე. თუ ამით ეხლანდელს დროს ემდურიან, ეგ სხვაა. ეხლანდელს დროში, როგორც წინანდელშიაც, ჰმოქმედობენ ახალნიც და ძველნიც და, მაშასადამე, აქ ან ერთი, ან მეორე არაფერს შუაში არიან ცალ-ცალკე, და თუ არიან, ორნივ ერთად არიან დამნაშავენი".* მიზეზი ისაა, რომ მე-19 საუკუნეში ილიას არ ეგულება „...იმისთანა ხანა, რომელიც წარმოგვიდგენდეს აზრთა და მიმართულებათა ერთმანეთთან დაჯახებას, ბრძოლას და ჰიდილს". მთელი საუკუნე ისე წავიდა, რომ „... ორი სასსენებლად ღირსი აზრი, ორი მიმართულება, ორი საქმე, ერთმანეთის მოპირისპირე, ერთმანეთს დასჯახებოდეს ცხოვრების მოედანზე ადგილის დასაჭერად, თუ სხვა რისთვისმე". იყო აზრთა განსხვავებანი, მაგრამ არა ისეთი, რომ „...ცალ-ცალკე ბანაკებად გასვლა-გამოსვლას საზოგადო მოღვაწეებისას რაიმე საჭიროება წინ გაესძღოლოდა". ილიას, როგორც თვითონვე ამბობს, მხედველობაში აქვს"... სხვადასხვაობა მარტო იმისთანა აზრების და მიმართულებისა, რომელნიც სახსენებლად ღირსნი არიან, თორემ ჩხირკედელობის ჰო-არაობა ბევრი იყო, ნამეტნავად ამ უკანასკნელ ხანებში, როცა რუსულ ლიტერატურის ძალმომრეობამ ჩაგვითრია წინ-დაუხედავად, უკრიტიკოდ, და ამ გზით რუსეთის აზრთა და მიმართულებათა ბრძოლა ჩვენში გადმოვიტანეთ და ვლამობდით ჩვენი ცხოვრებისათვის ძალად მოგვეხვია თავზე, ვითომც და ჩვენც ნახირ-ნახირიო. ის კი დაგვავიწყდა, რომ ჩვენს ცხოვრებაში ამ ბრძოლას არავითარი მიზეზი არა ჰქონდა არამც თუ არსებობისა, ფეხის ნელად მოკიდებისაც კი".. ჩვენთვის სრულიად უექველია, რომ ილია ჭავჭავაძე აქ გულისხმობს ქართულ ხალხოსნობას, რომელიც იმ დროს უკვე აღსრულებული იყო და არა თერგდალეულობას.

ცალკე საკითხია, რამდენად ცდება ილია ჭავჭავაძე, როცა მე-19 საუკუნის ქართველობაში ხედავს აზრის ზრდასა და მატებას უბრძოლველად, ჰიდილის გარეშე. მაგრამ ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ იმ გარემოებას, რომ „აჩრდილის" ავტორს მხედველობაში აქვს არა დიალექტიკური ბრძოლა, რასაც იგი ყველგან ცნობს, როგორც განვითარების უძლიერეს ფაქტორს, არამედ, ისეთი ბრძოლა, რომელსაც შედეგად მოსდევს „გაბატონება, ბრძანებლობა... ერთისა და დაჩაგრა და ყმობა მეორისა". მგონი სავსებით ნათელია, თუ რა გვარი ბრძოლაა აქ ნაგულისხმევი. ამიტომ ეს ადგილი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ილია ჭავჭავაძეს 90-იან წლებში ხელი აეღოს ბრძოლის დიალექტიკურ გაგებაზე, ბრძოლისა, რომლის ღრმა ანალიზი ასე სრულად მოგვცა ჯერ კიდევ 60-იანი წლების შედეგით — „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე".

ილია ჭავჭავაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ „მეთვრამეტე საუკუნის ვაი-ვაგლახმა და მეცხრამეტის პირველ წლების ჭეწვა-გლეჯამ ჩვენი ერი მოჰღალა, ქანცი გაუწყვიტა, თავის-თავის იმედი დააკარგვინა". დაიწყო „სვენების ხა-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 200. ეს წერილი ილიას დაუწერია ერთგვარ პასუხად დ. ხ.-ს სტატიისა, რომელიც ძველი და ახალი თაობის ურთიერთობას შეეხება. დ. ხ.-ს. წერილი „ხმა შორიდამ" დაიბეჭდა „ივერიის" 1892 წლის 28 იანვრის ნომერში. დაწერილებით იხ. სარედაქციო შენიშვნები, ტ. III. გვ. 492—495.

ნა", რომლის დროსაც მოქმედებდა „ერის ვინაობის" მარტოოდენ „პირველი ნიშანი" —ე ნ ა. ქართველის აზრს, ფართო მოედნის ნაცვლად, მცირე კუნჭული დაეთმო —„ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰზრდის და ინახავს ენასა და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის (მე-19 საუკუნის —გ. ჯ.) ოცდაათიან წლებში. ამით დაიწყო, ჩვენის ფიქრით, მეორე ხანა ჩვენის ცხოვრებისა (პირველ ხანად, უნდა ვიფიქროთ, ილია გულისხმობს პერიოდს მე-18 საუკუნის ბოლოდან — მე-19 საუკუნის 30-იან წლებამდე — გ. ჯ.). ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ".*

ამ ძიებამ ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ მეცხრამეტე საუკუნის 30-იან წლებამდე შესწყდა სახელოვანი ქართული მწერლობა, ხოლო ამ დროიდან „პირველ-დაწყებითი მწერლობა", მიუხედავად იმისა, რომ „დიდ-გავლენიანს შტოს ლიტერატურისას ემსახურებოდა" —პ ო ე ზ ი ას, ისიც „იმ ფარგალში, რომელსაც „ლირიკას" ეძახიან", როგორც „ხელახლად ფეხადგმული", ჯერ უფრო „შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო, უფრო შესაქცევარი, ვიდრე გარჯით მკვლევარი".** მწერლობა 30-იანი წლებისა „შინაურობაში იბადებოდა და ისე შინაურობის მოკლე წრეში ჰტრიალებდა, იმიტომ, რომ მაშინ არც ჟურნალ-გაზეთობა იყო, არც ჩვეულება ცალკე წიგნად ბეჭდვისა". ეს დებულება თითქმის უცვლელად გაიზიარეს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის პირველმა ისტორიკოსებმა, ისევე, როგორც ილიას მიერ წამოყენებული შეხედულება: „...რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი — თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმიწა და ჰკუა-გონების ხედვისა".*** საუკეთესო მაგალითად დასახელებულია ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს პოეზია, უფრო სწორად, მისი შემოქმედების „უმთავრესი ძარღვი", თუმცა ეს „ტკბილი მთქმელიც" თავისუფალი არ არის „მოქალაქური გულისტკივილისაგან". დამადასტურებელი სიტყვები მოტანილია ლექსიდან „ვ ა ჭ ო ფ ე ლ ს ა ა მ ა ს".**** სადაც ჩვენი რომანტიზმის დამწყები ქვეყნად გამეფებულ ბოროტებას იმ უხეშ ძალაში ხედავს, რომელიც სიმართლის ყვავილს ფეხით თელავს, აჭკნობს „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით".***** უხეში ძალა ამოქმედებს მჩაგვრელებს, რომლებიც ამწარებენ „ღარიბთ ცხოვრებას", მაგრამ პოეტს სჯერა, რომ მჩაგვრელები და ჩაგრულები გათანასწორდებიან, შეუძლებელია მარად ბედნიერი იყოს ის, ვინც ნეტარებს „მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით". მაგრამ ეს მოტივები, როგორც ილია ფიქრობს, „უმთავრესი ძარღვი არ არის ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში, რომელიც უფრო სიყვარულის და ტრფიალების პირი და ლხინი, და მაშასადამე, სიყვარულის და ტრფიალების პოეზიაა". ეს მოტივები ძალიან გაძლიერდა სამოციან წლებში, როცა „მცირე ნაკადულად გამონაწური" უჩვეულოდ გაიზარდა.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, 1953 წ., გვ. 206.

** ი ქ ვ ე, გვ. 206—207.

*** ი ქ ვ ე, გვ. 207.

**** იხ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ი. გრიშაშვილის რედაქციით, წინათქმით, შენიშვნებითა და ლექსიკონით, 1940 წ., გვ. 30—31.

***** ი ქ ვ ე, გვ. 30.

ალექსანდრე ჭაკვაძის გზას თავდაპირველად გაჰყვა გრიგოლ ორბელიანიც, მაგრამ ის იყო პოეტი, რომელმაც პირველმა „მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს. თითქო იგრძნოო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავ-გაუტანელი, ფეხ-მოუკიდებელი“. მისი ლექსი — „იარალის“, რომელიც დაწერილია 1832 წელს, ილიას მიაჩნია თავისი დებულების უტყუარ საბუთად და სამი ცნობილი ამონაწერი მოჰყავს: „შენ მომითხრობდე, მე ყრმა გისმენდე“..., „წარსულთა დროთა დიდების დროთა“.. „დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად“... გრიგოლ ორბელიანმა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში მართლაც „პირველმან შეჰკვნესა ჩვენს დავიწყებულს წარსულს“, გარდა ამისა, „თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, რადგანაც ამან სრულად განდევნა სპარსული კილო და მითოლოგიურ სახელებით აჭრელება სიტყვიერებისა, რომელშიაც, ცოტა არ იყოს, წილი უდევს თ. ალექ. ჭავჭავაძეს. ამას ჩვენ წინწაწევას და წარმატებას საქმისას ვეძახით და ვსთვლით განუწყვეტელ ჯაჭვად აზრთა ზრდისა ზედმიყოლებით, იმიტომ, რომ აქ ერთი მეორეს ერთვის, როგორც ცალ-ცალკე ტოტი ერთსა და იმავე მდინარესა, და ერთი მეორისაგან გამოდის, როგორც თესლისაგან ნაყოფი სადღესაოდ და ნაყოფისაგან თესლი სახვალიოდ“.* გრიგოლ ორბელიანმა ნამდვილად „ჩაღრმავა და გააგანიერა ბუნებითად დიდი საწყლე პოეზიისა“. ყველა ეს მოსაზრება შემდგომი დროის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უცვლელად მიიღო და გაიზიარა.

თუ „წერილების“ მესამე თავი არსებითად მიეძღვნა ალექსანდრე ჭავჭავაძესა და გრიგოლ ორბელიანს, მეოთხეში ილიამ მარტოდენ ნიკოლოზ ბარათაშვილის გრძნეული ჩანგი გაიხადა კვლევა-ძიების საგნად. ბარათაშვილს ხომ „აჩრდილის“ ავტორი თავის დიდ წინამორბედად აღიარებდა, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ.

ყველაფერი, რაც მეოთხე წერილში ბარათაშვილზე ითქვა, ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ოქროს ფონდია. არც ერთი ისეთი დებულება „მერანის“ ავტორზე ილიას არ წამოუყენებია, რომელიც თანამედროვე კრიტიკას უცვლელად არ გაეზიარებინოს. მთელი წერილი კლასიკური მაგალითია იმისა, თუ როგორ ღრმად უნდა ჩასწვდეს კრიტიკოსი პოეტის შემოქმედებას, გაიგოს მისი იდეური სულისკვეთება და იგრძნოს მხატვრული ფორმების თვალისმომჭრელი მშვენიერება. ილია ჭავჭავაძემ პირველმა მიუთითა, რომ ბარათაშვილიც „უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხედიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორციასა“...** ისიც პირველად აღინიშნა, რომ „...ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჰირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 210.

** იქვე, გვ. 211.

ვერ მიწვდენია სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“.* ეს ზოგადკაცობრიული მოტივები ბარათაშვილის პოეზიისა ილიამ ბრწყინვალედ დაასურათა ქართველი გენიოსის პოეტური შედევრებით, მიუთითა, რომ გონების პრობლემა „მერანში“, უსაზღვროების წვდენის სურვილი „მთაწმინდაზე შემოღამებაში“, სულით ობლობის ტრაგედია— ყველაფერი ეს განა ისევე ზოგადკაცობრიული არ არის, როგორც „ბაირონის დიდებული და ზარიანი ჭექა-ქუხილი“, ჰამლეტის „ყოფნა-არყოფნა“, ბუდიზმი, თუ ტოლსტოის ქრისტიანული მოძღვრება „ბოროტების წინაღუდგომლობისა“? ამიტომ მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს, რომ ბარათაშვილმა „ჩვენს აზრს, ჩვენს გულთამქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაეწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარ ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც, მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ“... მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში ბარათაშვილი მართლაც ერთადერთი მწერალია, რომელიც „სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალსათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგადკაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“.** ასეთ კაცს ნამდვილად ეკუთვნის იწოდებოდეს „უკვდავად“, „დიდბუნებოვან ადამიანად“, როგორც მას ილიამ მიმართა ერთი წლის შემდეგ —1893 წლის 25 აპრილს, როცა ბარათაშვილის ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს და მთაწმინდის გრძნეულ მიწას მიაბარეს. მართალია, ეს ღირსეული ისტორიული აქტი დიდი დაგვიანებით —ორმოცდაშვიდი წლის შემდეგ მოხდა გენიოსი პოეტის ტრაგიკული დაღუპვიდან, მაგრამ გამართლება მაინც უპოვეს: „ნიკოლოზ ბარათაშვილი უკვდავია, — თქვა ილიამ, — და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე“.*** უკეთესი ახსნა არც შეიძლება. მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს შეეძლო, დაბრკოლების მიუხედავად, ასე აემაღლებინა დიდი წინამორბედის სახელი.

თითქოს მეოთხე წერილში ყველაფერი იყო ნათქვამი, მაგრამ უკანასკნელი —მეხუთე წერილიც ილიამ ისევ ბარათაშვილით დაიწყო და ისევ მიუთითა, რომ „გზა-კვალი მისის პოეზიისა, სიგრძე-სიგანე და სიღრმე მისთა აზრთა დენისა მეტად ღირს-შესანიშნავია... იგი ობოლი მაგალითია, ობოლი იმიტომ, რომ მარტოდ-მარტოა ჩვენს მწერლობაში. არც წინამორბედი ჰყავს, არც უკან მიმდევი“.**** მომდევნო კრიტიკამაც ბარათაშვილს ასეთივე შეფასება მისცა. ცხადია, ილია ჭავჭავაძის მოსაზრებებისადმი სრული თანხმობით.

თუ ამგვარი იყო სურათი „ჩვენთა აზრთა დენისა ორმოცდაათიან წლებამდე“, შემდეგ მოდის ახალი ხანა, როცა იწყება რეალიზმი. ამ დროს „წინაღწერილ სამ მწერალთაგან „ცოცხალთა შორის მარტო გრიგოლ ორბელიანი

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 211.

** იქვე, გვ. 219.

*** იქვე, გვ. 251.

**** იქვე, გვ. 220—221.

იყო დარჩენილი, ხოლო ასპარეზზე „გამოჩნდნენ თ. გ. ერისთავი, თ. ვახტანგ ორბელიანი, თ. რაფიელ ერისთავი". მათ შორის პირველს დიდ დამსახურებად ეთვლება ჟურნალ „ცისკარის" დაარსება, ქართული თეატრის შექმნა და „სათეატრო მწერლობის (დრამატურგიის — გ. ჯ.) მამამთავრობა". გიორგი ერისთავმა ჩვენი გული, ოცდაათიან წლებში „მარტო სიყვარულის და ტრფიალების მორევში მოარული", და ჩვენი გონება „მარტო განლტოვილ ფიქრებში წასული", „ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა", რასაც მისი კომედია „გაყრა" გვიდასტურებს. მან ფრთა შეასხა ზურაბ ანტონოვის ტალანტს. ამ უკანასკნელმა კი „თავის ოსტატს გაასწრო, მის ვიწრო მოედანს (სათავადო-შვილო არემარეს — გ. ჯ.) ღობეები შორს გაუდგა. სარბიელი გაუდიდა და ეგრეთ-წოდებულ მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება", „ხევსურთ ქორწილი", თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის. მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის". გიორგი ერისთავმა ქართულ პოეზიას „ჩაუმატა ის პირწყვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას" ეძახიან... მის მიერ სასაცილოდ აგდებული ჩვენი თბილისის მაღალი საზოგადოება „შეშლილში" და თითო-ოროლა წვრილი ამავე თვისებისა ლექსი ზემოთქმულს მოწამენი არიან".* ყოველივე ეს იმდენად მართებული იყო, რომ მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ კრიტიკაში.

რაც შეეხება ვახტანგ ორბელიანს, ორმოცდაათიან წლებში მას „განსაკუთრებული მიმართულებით თავი არ უჩენია", მაგრამ „სამოციან წლებიდამ მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა და როგორც ამ წლების ხანაში, ისე მერმე, თითქმის მარტო ერთი სფერო აუჩინა თავის პოეზიას და მით მოიპოვა სახელი და ადგილი ჩვენს აზრთა მსვლელობის ისტორიაში". ეს სფერო იყო წარსული, რომელსაც „სულით და გულით არავინ მისცემია" ისე, როგორც ვახტანგ ორბელიანი. ასეთი პოეტი საჭირო იყო სწორედ იმ ხანაში, როცა ერის წარსული დავიწყებულად ითვლებოდა. ილიას კი სწამდა, რომ „ერის დაცემა იწყება იქიდამ, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა". ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ „ვახტანგ ორბელიანმა თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს მოახმარა და ამით განმსჭვალული ცოტად თუ ბევრად იმ სფეროდამდე მივიდა, რომელსაც „რომანტიზმს" ეძახიან, და რომელსაც ერთ დროს ევროპის პოეზიაში მთელი მოედანი ეჭირა და რომლის უდიდესი წარმომადგენელი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი".** ეს აზრები ილიამ კიდევ უფრო ვრცლად წარმოგვიდგინა წერილში „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ვახტანგის ძის თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა" (1894 წ.).*** იქ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „უმთავრესი ძარღვი თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული. იგი დასტირის იმ წარსულის დამხობილს დიდებას, მაგრამ არც ამას გვიმალავს, რა ჭირი დაეგლახა გადახედია საქართველოს".**** ისეთი მშვენიერი ლექსი, როგორიცაა

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 222.

** იქვე, გვ. 231.

*** პირველად დაიბეჭდა 1894 წელს ვახტანგ ორბელიანის ლექსების კრებულში.

**** ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 240.

„იმედი“ — ეს „ერთი უწარჩინებულესი შარგალიტი ქართულ პოეზიაში“, ილიას მიაჩნია თავისი დებულების საუკეთესო მაგალითად.

მაგრამ, თუ ასეა, მაშინ რაღა უნდა ვთქვათ გრიგოლ ორბელიანის პატრიოტულ ლირიკაზე? მსგავსებასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ხედავს განსხვავებასაც: თუ გრიგოლ ორბელიანმა „იმედის“ ავტორზე უფრო ადრე „მიგვახედა წარსულს და ამით ახალი საგანი გაუჩინა ჩვენს პოეზიას“, სამაგიეროდ, „ამ ვაზაზედ ისე გადუხვევლად, ისე სისწრფივ ჩვენში არც ერთს პოეტს არ უვლია. როგორც თ. ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თავისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უძღვნა და შესწირა. ამასთან თ. ვახტანგ ორბელიანს, ვითარცა მამულის სიყვარულის მადლით მოსილს პოეტს, დიდი წილი უდევს, რომ ამ გრძნობამ ჩვენში ფეხი მოიკიდა და ფრთა აისხა. დედა მის წარსულის სიყვარულისა —მამულის-შვილური სიყვარულია და პირველი გაზრდილია მეორეს ძუძუთი“.* მთელი თავისი შემოქმედებით ვახტანგ ორბელიანი „ნამდვილი ლირიკოსია რომანტიულ სკოლისა, ევრედ-წოდებულ „რომანტიზმს“ იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთად-ერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურეველია და აუჭრელებელი. „რომანტიზმს“ ევროპის პოეზიაში იმ ხანებში დიდი ადგილი ეჭირა და მისი უდიდესი დედა-ბოძი იყო ვიქტორ ჰიუგო, საფრანგეთის სახელოვანი პოეტი, რომლის თხზულებათა კითხვა თ. ვახტანგ ორბელიანს, როგორც სჩანს მის ლექსებიდან, ხშირად ჰყვარებია“.** თუ ვახტანგ ორბელიანის „რ ო მ ან ტ ი ზ მ ი ს“ საკითხს ღრმად შევხედავთ, შეიძლება ილიას ნათქვამს ბევრი დაემატოს, მაგრამ ის, რაც მინიშნებულია, მტკიცე საფუძვლად ედება მისი პოეზიის მეცნიერულ შესწავლას.

ვახტანგ ორბელიანის შემდეგ, იმავე დაუმთავრებელ მეხუთე წერილში განხილულია რ ა ფ ი ე ლ ე რ ის თ ა ვ ი ს პოეზია, აღნიშნულია, რომ პირველ ხანებში ისიც ხარკს უხდიდა სიყვარულსა და ტრფიალებას, მაგრამ, პარალელურად, ცხოვრების საშინარ-ბოროტო საგანსაც ყურადღება მიაქცია. ჯერ კიდევ არავინ ლაპარაკობდა ბატონყმობის გადავარდნაზე, როცა რაფიელ ერისთავის „კაცმოყვარე გული“ ორმოცდაათიან წლებში გრძნობდა უსამართლობას და მისი ხმა „ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“. მართალია, ილია არ იხსენიებს დ ა ნ ი ე ლ ჭ ო ნ ქ ა ძ ეს, მაგრამ იმიტომ, რომ ის სამოციან წლებს განეკუთვნება, ორმოცდაათიან წლებში კი რაფიელ ერისთავმა „პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენად“.***

ასე დახატა ილია ჭავჭავაძემ ქართულს ლიტერატურაში აზრთა დენა სამოციან წლებამდე, როცა „გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა“. ამ გარემოებამ, როგორც ილია ამბობს, „აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად იქმნა“. ეს უკვე იყო

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 242—243.

** იქვე, გვ. 243. ვახტანგ ორბელიანმა ფრანგული ენა იცოდა, ჰიუგოს ორიგინალში კითხულობდა.

*** იქვე, გვ. 224.

„რეალური მიმართულება“, რომლის უმთავრეს თვისებას „მიწიერი და-კარგიანობის“ დაკვირვება წარმოადგენდა. ამ ახალ აზრთა დენას ძველი მწერლებიც ვერ ასცდნენ, და მათ შორის გრიგოლ ორბელიანი, რომელიც „თითქო ელოდაო... ახალ მიმართულებას“. მისი „სადღეგრძელო“ და „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ილიამ მიიჩნია, როგორც „ცხადი მაგალითები“ იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანმა „მხარი მისცა ახალს მიმართულებასა და შამუღის სიყვარულს ღრმა კვალე დააჩნევინა“ ქართველის გულში. და როცა 60-იანმა წლებმა ჩვენი პოეზიის „ვიწროდ შემოღობილს სარბიელს... თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები“, როცა „მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა“, მანამდე კი, თითო-ოროლას გარდა, ყველა „დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდ-კაცობის გულთა-თქმას“, გრიგოლ ორბელიანმა „არც აქ უმტყუნა დროთა მიმდინარეობას და ზურგი კი არ შეუქცია, როგორც უღირსს რასმე, თან აჰყვა“.* მისი ლექსები: დიმიტრი ონიკაშვილის დარდები“, „მუხამბაზი“ (ლოპიანა), „მუშა ბოქულაძე“, რომლებიც „თითო-თითო პოემადა ღირს“, — წერდა ილია, — ამის დამადასტურებელიაო. თითქოს საკუთარ „მუშას“ აკრიტიკებდეს, რომელიც 1860 წელს. გრიგოლ ორბელიანის ლექსზე 17 წლით ადრე დაწერა. ილია შენიშნავს: „...მუშა, სამოციან წლებში პირველ-წამოყენებული, უფრო ხორციელობის უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკენესის სულიერობის შევიწროებისათვის. იქ ხორცი მტკივნეულობს, აქ სული იდავე-იწვის უნუგეშ მყოფელობისაგან“.** ილიამ სავსებით მართებულად მიუთითა, რომ „ახალ მიმართულების ტალღებისაგან გატაცებულმა გრ. ორბელიანმაც მიაგნო ამ ღრმად გულში დამალულს სიმწარით ოხვრას მუშა-კაცისას, ამ მალვით მოწწენდილს თვალში მორეულ ცრემლსა, და სხვებთან ერთად მისმა ყურმაც გაიგონა, სად ჰკვნესის მუშა“. სწორედ ეს მიაჩნია მას ერთ-ერთ საბუთად იმისა, რომ გრიგოლ ორბელიანმა არა თუ იუცხოვა, პირიქით, თავისი „ძლიერი ბანი მისცა“ 60-იანი წლების ახალ მიმართულებას.

რაც ითქვა, მარტო ეს არ არის გრიგოლ ორბელიანის დამსახურება ქართულ ლიტერატურაში, „მანვე დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასმაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვიჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა. მისი „მუშა ბოქულაძე“, ამ მშვენიერ „მწყობრ-სიტყვაობის“ შეუდარებელი მაგალითია“*** და მართლაც ასეთ შეუდარებელ მაგალითად დარჩა იგი ქართულ პოეზიაში.

ჩვენ ცალკე უნდა შევეხოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს რუსთაველსა და მის უკვდავ „ვეფხისტყაოსანზე“. მხედველობაში გვაქვს არა ყველა მოსაზრება, რაც ილიას გამოუთქვამს თავის მრავალრიცხოვან წერილებსა და მხატვრულ ნაწერებში. გზადაგზა, საჭიროების მიხედვით, ჩვენ მათ

---

* ილია ჭავჭავაძე, III, 1953 წ., გვ. 230.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 231.

უკვე გავეცანით. ლაპარაკია 1887 წელს დაწერილ პოლემიკურ სტატიაზე — „აკაკი წერეთელი და „ვეფხის-ტყაოსანი", რომელმაც აკაკის გულისწყრომა გამოიწვია. იმ წელს აკაკი წერეთელმა სამი ლექცია წაიკითხა საჯაროდ რუსულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. ლექციებს ილია არ დასწრებია, მაგრამ, ეტყობა, ძირითადი შინაარსი მას გააცნეს სხვა პირებმა. გარდა ამისა, ილიასთვის ნაცნობი იყო აკაკის წინანდელი საჯარო ლექციები ქართულ ენაზე რუსთაველის შესახებ. ორი გოლიათი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენი აზროვნებისა, სხვადასხვა კუთხით მიუდგა დიდი ქართველი გენიოსის უკვდავი ქმნილების შეფასებას.

აკაკის ამოსავალი წერტილი იყო იმის ხაზგასმა, რაც ლექციის დასკვნითს ნაწილში შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „თუმცა თვით ავტორი კი გვარწმუნებს, მაგრამ ეს ამბავი სპარსულით არ არის გადმოღებული. აქ უცხო არა არის რა და მოთხრობაში დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია; ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი; ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს. ამას გარდა, ეს თხზულება არც ზნეობრივი აღლეგორიაა, როგორც გვიმტკიცებს ვახტანგ მეფე, არც ამაო რამ საავაზნეო ზღაპარი, როგორც ამბობს ანტონ კათალიკოსი და არც საკუთრათ თამარის ქება და რუსთაველის პირადი გრძნობები, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ!.. დედა-აზრი სულ სხვაა: ეს გენიოსის წინასწარმეტყველებაა, მარად სახელმძღვანელოთ ავტორისაგან რუკად გადმონაცემი! უკვდავმა მგოსანმა თვალ-და-თვალ დაგვანახვა, რომ ვერც ტარიელი მისი გმირული პირდაპირობით, ვერც ავთანდილ—საოცარი გაჭრიახობით და ვერც ფრიდონ მისი საჭურჭლით ცალ-ცალკე ვერ გამოიხსნიდნენ დაკარგულ ნესტან-დარეჯანს, თუ ერთმანეთისათვის ძმურათ მხარი არ მიეცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედნათ".*

ილია ეყრდნობოდა შემდეგ პრინციპს: „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება... ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი, რამოდენადაც მწერალის შემოქმედების ძალა სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერივნებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედებისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შეთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება... „ვეფხის-ტყაოსანის" გმირნი საერთო-კაცობრიულს რასმე წარმოადგენენ".**

როგორც ვხედავთ, ორი სხვადასხვა კუთხეა მიდგომისა, მაგრამ ორივე ხელოვნების რეალისტური თეორიის პრინციპებს ემყარება. როცა ერთმანეთს

---

* აკაკი წერეთელი, ტ. XII, 1960 წ., გვ. 344.
** ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 168—169.

ვადარებთ ილიას „აკაკი წერეთელს და „ვეფხის-ტყაოსანს და აკაკის „რამდენიმე სიტყვას ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოთ „ვეფხის ტყაოსნის“ გამო“, ჩვენ ვრწმუნდებით: პირველი, რუსთაველის ზოგად-კაცობრიული ხასიათით გატაცებული, ხაზგასმით არ გამოჰყოფს „ვეფხის ტყაოსნის“ გმირების ეროვნულ ხასიათს, პირიქით, „არა კერძოაო“ დასძენს, ხოლო მეორე, რუსთაველის ეროვნული ხასიათით გატაცებული, ხაზგასმით არ გამოყოფს ზოგად-კაცობრიულს, პირიქით, გვეუბნება, რომ ტარიელი — ქართველია, ავთანდილი — იმერელი, ფრიდონი — ზღვისპირის ქართველიო. აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავის პასუხში აკაკიმ, როცა რუსთაველის გმირებს საქართველოს ცნობილი პირები შეუსადაგა და მათი სახით დაინახა „ვახტანგები, დავითები, ბაგრატები, გიორგები“, თვით ირაკლიც, რომელთა სახელები „მსოფლიო გმირად გამოსადეგია“, სავსებით სწორად შენიშნა: „მაშ, რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხვის-ტყაოსნის“ გმირებიც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიცო“.* პრობლემა სწორედ ასე უნდა გადაწყდეს და თუ შევაერთებთ აკაკის ეროვნულ აქცენტირებას ილიას ზოგად-კაცობრიულ კონცეფციასთან, რაც მან წინ წამოსწია, უეჭველად ეჭშმარიტებასთან მივალთ. აკაკის დამსახურებაა, რომ მან ხელი შეუწყო რუსთაველის უკვდავი ქმნილების წმინდა ეროვნული ნიშნების ცხადყოფას; ილიას დამსახურებაა, რომ მან ხელი შეუწყო რუსთაველის უკვდავი ქმნილების ზოგად-კაცობრიული ნიშნების ცხადყოფას. პირველი ეროვნულიდან მიდის ზოგად-კაცობრიულობამდე, მეორე, პირიქით, ზოგად კაცობრიულში ჰვრეტს ეროვნულს, რაკი საქმე აქვს გენიოს მწერალთან და მას „გენიოსურ კალმის მოსმასთან“. ეს იყო ერთი მედლის ორი მხარე და ორივე დიდი სიღრმით გვიჩვენეს ჩვენმა დიდმა ოქროპირებმა.

რუსთაველის სიდიადე, როგორც ხელოვანისა, ილიამ წმინდა შემოქმედებითი პრინციპებითაც ნათელჰყო, როცა ლესინგის მიერ აღნიშნული ლაკონიურობისა და მოქმედებაში ჩვენების ჰომეროსისეული კანონი პირველად მიუყენა რუსთაველის მხატვრულ ლაბორატორიას.** რუსთაველში მან დაინახა მსოფლიო მწერალი, გენიოსი, ხოლო „ვეფხის ტყაოსანში“ — დიდი საუნჯე, „საშვილიშვილოდ საპატიო“ ძეგლი, რომლის გმირთა მოქმედება, სიტყვა-პასუხი, გულისთქმა და საქციელი წარმოადგენს „ზოგადს საფსიხოლოგიო, საესტეტიკო, საეტიკო, საფილოსოფიო საგანს“. რუსთაველი „მართლა სახელოვანი პოეტია“***. ილია ჭავჭავაძისა, როგორც მთელი ქართველი ერისა, მთელი კაცობრიობისა, და ამიტომ თქვა „აჩრდილის“ ავტორმა თავისი დიდი თანამებრძოლის პასუხად: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთო“.**** არც დაუთმია, რაკი თავისივე მსგავსი გოლიათი საჯარო პაექრობაში გამოიწვია. ამ პაექრობამ კი ხელი შეუწყო რუს-

---

* აკაკი წერეთელი, ტ. XII, 1960 წ., გვ. 349.

** ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე. ხელოვნება და სინამდვილე. ტ. I, 1955 წ., გვ. 498—508.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 168.

**** იქვე, გვ. 178.

თაველის გენიისა და მისი უკვდავი ქმნილების ღრმად მეცნიერულ შესწავლას.

მაგრამ არამარტო ქართული ლიტერატურის გენიოსებმა მიიზიდეს ილია ჭავჭავაძის, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსისა და ხელოვნების თეორეტიკოსის ყურადღება. თუ იგი 1884 წელს არკვევდა „ვისრამიანის“ პრობლემატიკას და მიაჩნდა, რომ „ეს ყოველ მხრით შესანიშნავი განძია ქართულის ლიტერატურისა“, მეორეს მხრივ, ლიტერატურის ახალ მოვლენებსაც ეხმაურებოდა. ილიას მოკლე კონსპექტი შეუდგენია სამწერლო ასპარეზზე იმ დროს ახლადგამოსულ ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის შესახებ, აღნიშნავს, რომ „მამის მკვლელის“ დასაწყისი „არ არის ურიგო“; ნაწარმოებში „კარგი აღწერის“ მაგალითებია; „მანერად კარგია, როცა ეპიზოდია აღწერილი და ეპიზოდის ახსნას ავტორი მკითხველს უთმობს. ყაზბეგს ამის მაგალითები აქვს“; „მაგალითი კარგის ნათქვამისა“; „ლამაზი ეთნოგრაფიული სურათი“.* არის კრიტიკული შენიშვნებიც ენის, კვანძის, ცალკე გმირების შესახებ. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „ივერიამ“ შემდეგ ისე დაიტირა უდროოდ გარდაცვლილი ყაზბეგი, როგორც უკვდავი ადამიანი, ნათელი გახდება, რომ ილია მთიდან მოსულ მწერალთა შორის არამარტო ვაჟას აფასებდა. როცა ამბობდა: „კოშებზევე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა შორს“!, არამედ „მოძღვარის“ ავტორსაც. თუმცა მის აქტიორულ ნიჭს იწუნებდა, როგორც ამას ქვევით დავინახავთ.

ილია ჭავჭავაძე ქართველი მუშა-პოეტის იოსებ დავითაშვილის პირველი ბიოგრაფი და პირველი კრიტიკოსია. 1887 წელს, როცა პოეტი გარდაიცვალა (დაიბადა 1852 წელს), ილიამ სპეციალური წერილი დაწერა — „იოსებ დავითაშვილის გარდაცვალების გამო“ და შეადგინა „მოკლე ბიოგრაფია იოსებ დავითაშვილისა“** შეფასებაში ყოველთვის თავდაჭერილი კრიტიკოსი, როგორიც „აჩრდილის“ ავტორია, ძალიან თბილად მოეკიდა მუშა-პოეტის ლექსებს, აღნიშნა, რომ იგი იყო ქართული ლიტერატურის ცაზე „ერთი ცოტად თუ ბევრად მანათობელი ვარსკვლავი“, „რჩეული მრავალთა შორის“, „ტკბილი და მარილიანი ლექსის“ ავტორი, რომლის შემოქმედებიდან ისეთი „მარგალიტები ამოირჩევა, რომ კაცს დაატკბობს აზრითაც და სიტყვიერებითაც“.*** უსწავლელი, მაგრამ ნიჭიერი პოეტისადმი ასეთი სიყვარული ბევრს არ გამოუჩენია.

როგორც ხელოვნების რეალისტური თეორიის წარმომადგენელი — ილია ჭავჭავაძე იკვლევდა ქანდაკების, ფერწერის, მუსიკის, არქიტექტურის საკითხებს. მისი „ქართული ხალხური მუსიკა“ (1886 წელი) ერთი საუკეთესო მაგალითია იმისა, რომ ლესინგის მიერ აღნიშნული პოეზიისა და მუსიკის უაღრესად ახლო ნათესაობა სრულიად უეჭველი ფაქტია. მართლაც, „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკა“. ილიას სწამდა, რომ „ჩვენებური „ზარი“, ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან დაძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებრ „მაყრული“ — სიხარულისა და ბედნიერებისა, როგორც „ორპირი“ — ვაჟკაცობისა, მედგრობისა და მხნეობისა. გალობა ისეთივე მოთხოვნილებაა, ისეთივე საჭიროებაა, ისეთივე განუყრელი თვისებაა ადამიანის ბუნე-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 476.

** იქვე, გვ. 158—165.

*** იქვე, გვ. 165.

ბისა, როგორც ცრემლი—როცა კაცი ან ჰხარობს, ან ჰგოდებს, როგორც კვნესა,— როცა გული შეხუთულია, როგორც ძახილი. თქმა — როცა გული მხიარული და ბედნიერია".* ეს არის სწორედ ის რეალისტური პრინციპი მუსიკის თეორიაში, რომელსაც ყველა საღად მოაზროვნე თეორეტიკოსი ხელს მოაწერს. აღნიაშვილისა და რატილის დამსახურებაა ქართული მუსიკის ნოტებზე გადაღების, აგრეთვე გავრცელების საქმეში ილია ჭავჭავაძე მიესალმა როგორც პატრიოტი, ხელოვნების პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ ქართული ხალხური მუსიკა თვით-ნაჩენი, თვით-მყოფია. ყოველივე ეს შემდეგ მეცნიერულად დაამტკიცა ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

VI

ყველაფერი, რაც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-ესთეტიკურ აზროვნებაზე ითქვა, ჯერ კიდევ ვერ ამოწურავს ჩვენი თემის უმთავრეს საკითხებს. როცა პოეტის ბიოგრაფიას გადმოვცემდით, აღვნიშნეთ, რომ „აჩრდილის" ავტორი ერთხანს იყო დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ (1881 წლამდე), მაშასადამე, მჭიდროდ დაკავშირებული იმდროინდელ ქართულ თეატრთან. მისი წერილი — „ახალი დრამების გამო", რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ, როგორც დრამატიული ხელოვნების რეალისტური თეორიის ერთი შესანიშნავი დასაბუთება, იმასაც გვიჩვენებდა, თუ რა ღრმად იცნობდა ილია თეატრალურ ხელოვნებას. მაგრამ წერილის ძირითადი მიზანი იყო თვით დრამის, როგორც ხელოვნების ურთულესი ჟანრის, ანალიზი და არა იმდენად სპექტაკლის კრიტიკული შეფასება. ახლა ჩვენ უნდა შევეხოთ 1886 წლის შემდეგ ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილ თეატრალურ რეცენზიებს, რომლებშიაც იგი ისევე ღრმა, დაკვირვებული, საქმის მცოდნე და შეუპოვარი კრიტიკოსი ჩანს, როგორიც ლიტერატურულ წერილებში. უკანასკნელ დროს ბევრი ახალი მასალა აღმოჩნდა",** რამაც მთლიანი სახით წარმოგვიდგინა „აჩრდილის" ავტორი, როგორც „თეატრალური რეცენზენტი" და კრიტიკოსი, რომელიც ხელოვნების ამ უაღრესად სინთეტიკურ დარგსაც რეალისტური ესთეტიკის პრინციპებით განიხილავდა.

თეატრი ილია ჭავჭავაძისათვის ხელოვნების ისეთი დარგია, რომელსაც დიდი განმანათლებლური, აღმზრდელობით-შემეცნებითი ფუნქცია აქვს და კარგი რეპერტუარის პირობებში უდიდესი საზოგადოებრივი როლის შესრულება შეუძლია. ამ მხრივ იგი მთლიანად განმანათლებლების პოზიციაზე დგას,*** იცავს და ხელს უწყობს ქართული თეატრის განვითარებას, როგორც დიდი ლესინგი მე-18 საუკუნის გერმანიაში ცდილობდა ჰამბურგის თეატრის განვითარებას.

გასული საუკუნის 80-იან წლების მეორე ნახევარში ქართული თეატრი მძიმე

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 145—146.

** ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსნი არიან პლატონ კეშელავა და თამარ მაჭავარიანი, რომლებმაც ილია ჭავჭავაძის ბევრი უცნობი წერილი გამოაქვეყნეს. ეს წერილები, თამარ მაჭავარიანის ზრუნვის მეოხებით, საჯარო ბიბლიოთეკამ 1963 წელს შეკრიბა სამ ნაწილად, რომლებსაც ჩვენ ვიყენებთ სათანადო მითითებებით.

*** თუ როგორ უყურებდნენ განმანათლებლები თეატრს, იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 130—155.

შდგომარეობას განიცდიდა. 1886 წელს, მთელი ოთხი თვის მანძილზე, იგი დაკეტილი იყო, და მხოლოდ 15 სექტემბერს გაიხსნა. დრამატიულ საზოგადოებას, ილია ჭავჭავაძის ინიციატივით, დიდი ღონისძიება მიუღია: თეატრის შენობა (ახლანდელი გრიბოედოვის თეატრი) შეუკეთებია, ჭუჭყიანი და „განცხადებებით აჭრელებული ფარდა“ განუახლებია. „დღეს ეს ფარდა გაულაზათიანებიათ და ზედ ახლად დახატული სურათიც უფრო შეშვენის თეატრსა, ვიდრე „ზინგერის საკერავი მაშინა“. სცენასაც ლაზათი და ფერი დასტყობია: დაგლეჯილ, დაძველებულ მებელის და მოსართავის მაგიერ, სცენა ახალის ლაზათიანის მოწყობილობით მოურთავთ. თუმცა სიმდიდრე კი არ ეტყობა სცენასა, მაგრამ სისუფთავე, სიფაქიზეც სასიამოვნო სანახავია თვალისთვის“.* რომ მართლაც ილიას დამსახურებაა ყოველივე ეს, დადასტურებული აქვს შალვა დადიანსაც: „ქართული თეატრის დარბაზში ხდებოდა სხდომები. იქ, საცა ახლა გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამაა. არწრუნისუული შენობა, თვით ილიას ინიციატივით, ახლად იყო შეკეთებული, ჭერზე მსოფლიო გიგანტი მწერლები იყო მოხატული“.**

მაგრამ, დრამატიული საზოგადოების, თვით ილია ჭავჭავაძის ენერგიულ ცდას — განეახლებინა ქართული თეატრის გარეგნული სახეც, მიეცა მისთვის სიღრმაზეც, ყოფილიყო შაყურებლისათვის „სტუმრის-მოყვარე, მასპინძელი“, პირველ ხანებში თეატრისაკენ საზოგადოების მობრუნება არ მოჰყოლია. პირველ საღამოს ძალიან ცოტა მაყურებელი დასწრებია სპექტაკლს და განაწყენებული ილია ჭავჭავაძე ამიტომ წერს: „რას უნდა მიეწეროს ჩვენის საზოგადოების ასეთი გულ-გრილობა? ნუ თუ ჩვენს ქართულ საზოგადოებას ცნობისმოყვარეობა სრულიად დაეხშო და საჭიროდ არც-კი ჰხედავს პირველ წარმოდგენაზედ მაინც დასწრებასა?“*** თუ ის არის მიზეზი, ფიქრობს ილია, რომ 15 სექტემბერი ორშაბათი იყო — „მძიმე, მუშაობის დღე“, თანაც უამინდო, მაშინ ეს შესაწყნარებელია, როგორც შარშანდელი ან წინა წლების სეზონში გულგრილობა. მაგრამ, თუ საერთოდ ასეა, თუ საზოგადოებამ საერთოდ აიყარა გული თეატრზე. მაშინ... მაგრამ არა, ილია ჭავჭავაძე დარწმუნებულია, რომ „ყველა ის სამწუხარო მიზეზები, რომელიც ქართველ საზოგადოებას გულს უცრუებდა ქართულ თეატრზე, მოისპობა და თეატრის საქმე რიგიანად წავა. ახალი გამგეობა ეტყობა ჰცდილობს, გულ-მოდგინედ ეკიდება საქმესა და იმედი გვაქვს, რომ საზოგადოებაც თანაგრძნობას აღმოუჩენს, ხელს შეუწყობს და მხარს მისცემს“.**** ისეთივე მოწოდებაა, როგორც ლესინგი „ჰამბურგის დრამატურგიაში“ ბიურგერობას მიმართავდა ხელი შეეწყო თავისი ნაციონალური თეატრისათვის. მაგრამ საქმეს ვერ უშველა ლესინგის ვერც ტალანტმა, ვერც ენერგიამ; თეატრი ვერ იხსნა კატასტროფისაგან ვერც ტრაგიკოს კონრად ეკგოფის გენიამ, რომლის ხილვასაც „ყაჩაღებში“ მთავარი როლის შემსრულებლად შილერი ნატრობდა — ჰამბურგის თეატრი წელიწადნახევარში დაიხურა“.***** ქართული თეატრის კარიც არა-

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, გამოვლინებული თამარ მაჭავარიანის მიერ, რვ. I, ნაწ. 3. 1963 წ., გვ. 8.

** შალვა დადიანი, რაც გამახსენდა, 1959 წ., გვ. 89. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 3, გვ. 7.

**** იქვე, გვ. 8.

***** ამ საკითხებზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I, 1955 წ., გვ. 146—155.

ერთხელ გამოკეტილა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დრამატიული საზოგადოების ენერგიულმა მუშაობამ იმდროინდელი ქართული თეატრი წინსვლის გზაზე დააყენა.

საზოგადოებრივი გულგრილობის კრიტიკასთან ერთად, ილია ჭავჭავაძეს არ დაუმალავს, რომ 1886 წლის 15 სექტემბერს გამგეობა „წყალ-წყალა ღვინოთი გაუმასპინძლდა თავის სტუმრებსა.... მართლა და სხვა რა სახელი დავარქვათ იმ უფერულ, გაცვეთილ და სიცოცხლე მოკლებულ პიესას, როგორც „ახლანდელი სიყვარულია“.... რა აზრი აქვს ამ პიესას? რას მოასწავებს? რას ეუბნება ეს პიესა ან ჭკუას, ან გრძნობას? ქალის მიერ ძალად შერთვას ბებრის კაცისას?.. ეს ისეთი ძველი, აშმორებული და ათასჯერ დაღეჭილი ამბავია, რომ ამაზედ არა ერთხელ თქმულა და თქმულა უფრო უკეთესად!“* აქ ნათლად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ილია ჭავჭავაძე პიესის იდეურ შინაარსს, როგორ იცავს უტილიტარული ესთეტიკის ძირითად პრინციპებს და როგორ იბრძვის ნამდვილად რეალისტური თეატრისათვის.

ძველი, ტრაფარეტული შინაარსის პიესასთან ერთად, 15 სექტემბერს უჩვენებიათ, როგორც ირონიულად შენიშნავს ილია ჭავჭავაძე, „ახალი ხილიც“ — სცენა „მომრიგებელი მოსამართლე“ დავით სოსლანისა. მაგრამ ეს „ახალი ხილიც მკვახე, უგემო და ცოტა დაჭიანებულიც“ გამომდგარა. ნურავინ იფიქრებს, ილია ჭავჭავაძე იმიტომ აძაგებს „მომრიგებელ მოსამართლეს“, რომ მისი ავტორისადმი ცუდად არის განწყობილი. არა, თვით ილიას სიტყვები მოწმობენ, თუ რა უსუსურია დავით სოსლანის პიესა, რომელიც „...გახლდათ უკბილო, უგემოვნო ოხუნჯობა დაბალის ხარისხისა, უმნიშვნელო სიტყვების მიხლა-მოხლა და არა გონების მახვილობა, რომელიც აზრების ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგობიდამ გამომდინარეობს. მთელი მახვილობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი ვიღაც „აბლოკატი“ თუთიყუშივით და სხაპასხუპით ისვრის სიტყვებს, ჰროტავს რაღაცა კანონის ქვიშაზედ უმრავლესს მუხლებსა და ერთი ვიღაც „აჯილდა“ ათასჯერ იმეორებს, რომ მე „ტიტულიარნი სოვეტნიცა“ ვარო“.** ამგვარი პიესა, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებდა ვერც განმანათლებელს, რომელიც თეატრში ხედავდა ხალხის იდეურსა და ზნეობრივს აღმზრდელს, და ვერც იმდროინდელი საზოგადოების მოწინავე ნაწილს — ხალხის ბედნიერებისათვის თავდადებულ მებრძოლს. ამიტომ გამოჰქონდა მოურიდებელ რეცენზენტს ასეთი უკომპრომისო დასკვნა: „დარწმუნებული ვართ, რომ ვინც ერთხელ ნახა „მომრიგებელი მოსამართლე“, მეორედ აღარ მოისურვებს ამის ნახვასაო“.***

პიესების მისამართით ამ კრიტიკულ შენიშვნებს თან ახლავს აქტიორული შესრულების დამსახურებული ქება. მაგრამ არც აქ, „რიგიანად, თანხმად“ მოთამაშე აქტიორებს რომ ეხება, ნაკლსაც შეუმჩნეველად არ ტოვებს. ვასო აბაშიძის თამაშს მაღალ შეფასებას აძლევს, „ფრიად სასიამოვნოდ“ მიაჩნია მისი აქტიორული ოსტატობის ზრდა. აი, თვით ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „დიდად სასიამოვნოდ მივაჩნია, რომ ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი აბაშიძე უფრო მეტს წარმატებაში შედის. შარშანაც გვინახავს ამავე როლში, რომელსაც გუშინ ჰთამაშობდა, და დიდი განსხვავება შევნიშნეთ: ბ-ნი აბაშიძე უფრო მეტის

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 3, გვ. 9.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 9—10.

ხელოვნებით, უფრო მეტის ჭკუით ასრულებდა თავის როლს. კარგი იქნებოდა, რომ ბ-ნი აბაშიძე უფრო კიდევ კარგად დაუფიქრდეს თავის თამაშობას, არ შეაყენოს თავის განვითარება და გაისწოროს ზოგიერთი ნაკლულოვანობა, რომელიც დღემდინ კიდევ შეჰრჩენია. მაგალითად, აქამდინ ვერ მოუშლია ის ცუდი ჩვეულება, რომ ზოგიერთ ადგილას არ გადააჭარბოს, არ გადაამლაშოს ხოლმე. ეი თუ გინდა ავიღოთ ის, როდესაც ბ-ნი აბაშიძე მესამე მოქმედებაში უკან-უკან მიდის და ფეხით კარს აღებს. ფეხს ისე იქნევს, რომ სიცილსა და ტაშსაც იწვევს თეატრში, მეტადრე „ზემო სართულში“, ჰერთან ახლო რომ არის, ჩვენ კი სწორედ გითხრათ, ცირკის „კლოუნი“ მოგვაგონდა. მართალია, ყველა ეს წვრილმანია, მაგრამ კარგმა არტისტმა არც წვრილმანები უნდა დასტოვოს უყურადღებოდ“.* ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ შენიშვნას ვასო აბაშიძე ყურად იღებდა, ვინაიდან გამოწვეული იყო არა პირადი, არამედ ქართული ექტიორული კულტურის შემდგომი ზრდის ინტერესებით.

აქ ერთი საინტერესო მომენტია: ილია ჭავჭავაძე იხსენიებს მსახიობ მაქსიმიძეს ჯამბარაშვილის როლში და შენიშნავს: „ამ როლში წინათ ჩვენ გვინახავს ბ-ნი მოხევე. ბ-ნ მაქსიმიძეს პირ-და-პირ მოხევე აუღია მაგალითად და იმასა ჰბაძავს. მასწავლებელი რა არის, რომ შეგირდი რა უნდა იყოსო“.** შეიძლება აპრიორი დავუშვათ, რომ ეს სიტყვებიც სრულ ჭეშმარიტებას გამოხატავენ. მოჩხუბარიძე — ალექსანდრე ყაზბეგი, როგორც ცნობილია, მსახიობი იყო, ნიჭით არ ბრწყინავდა, თუმცა გენიალური რომანისტი იყო. სცენაზე მაგალითად მისი მიჩნევა, ცხადია, გამართლებული არ იქნებოდა.

ამავე რეცენზიაში ილია ჭავჭავაძე იხსენიებს იმ დროს სცენაზე ახლად გამოსულ მსახიობ ქალს ელისაბედ ჩერქეზიშვილს, რომელიც შემდეგ ქართული თეატრის მშვენება გახდა. ილიამ დიდი კრიტიკოსის უტყუარი ალღოთი გამოიცნო ლიზა ჩერქეზიშვილის აქტიორული ტალანტი: „ჩვენ თეატრს ახალი არტისტი-ქალი შეუძენია, ქ-ბ-ნი ჩერქეზიშვილისა. სამწუხაროდ დღეს ამ არტისტ-ქალზე ვერას ვიტყვით. ისეთი უფერული. უშნო როლი ჰქონდა, რომ ძნელი იყო ან თვითონ მწერალს თავისი ნიჭი გამოეჩინა, ან ჩვენ შეგვენიშნა. მთელი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ქალი დადის სცენაზე და ამთქნარებს. კარგი გამოცდილი, კარგ სკოლაში გამოვლილი არტისტი უნდა იყოს, და ამასთან პირისახის მოძრაობა კარგად უნდა ჰქონდეს შესწავლილი, რომ არტისტმა ცოტად ფერი დასდოს ამისთანა უფერულ როლს. წინასწარ სჯას ისევ მოცდა სჯობია. ძაშ მოვიცადოთ, ძანამ ეს არტისტი-ქალი რომელსამე თვალსაჩინო როლში გამოსცდის თავის თავსა და მაშინ დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველსა“.*** ეს პროგნოზი, როგორც ცნობილია, ისტორიამ სავსებით გაამართლა. ელისაბედ ჩერქეზიშვილმა ღრმა კვალი დასტოვა ქართულ თეატრში.

არსებითად ამით მთავრდება რეცენზიის ბოლო ნაწილი დასკვნამდე, ხოლო რეზიუმე ისევ აქტიორთა კარგ თამაშზე მიუთითებს. სავსებით ლ ე ს ი ნ-

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 3, გვ. 10.
** იქვე, გვ. 10. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე, გვ. 11. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

გის პირველი რეცენზიის მსგავსად „ჰამბურგის დრამატურგიაში“, სადაც სპექტაკლის ზოგიერთი ნაკლის კრიტიკასთან ერთად დიდმა განმანათლებელმა ქება-დიდება უძღვნა ტრაგიკოს ეკგოფის თამაშს, ილია ჭავჭავაძემ წინ წამოსწია აქტიორული შესრულება, აღნიშნა, რომ „პირველი წარმოდგენა ისე მწყობრად ნათამაშები იყო არტისტებისაგან, ისე ლაზათიანად თვალთათვის მოწყობილი, ისე რიგიანი, წესიერი, რომ სასიამოვნოდ დაგვრჩა თეატრში ყოფნა. წარმოდგენა თავის დროზედ დაიწყო, ანტრაქტებმა დიდხანს არ გვალოდინა და, წარმოიდგინეთ, არტისტებმა თავისი როლებიც კი იცოდნენ! დიდი ხანია ეს სიკეთე ჩვენი არტისტებისაგან არავის გვენახა. ყოველსფერში ეტყობა, რომ ჩვენის თეატრის საქმე მცოდნე კაცის ხელში ჩავარდნილა... ყოველივე ეს დიდს იმედს იძლევა, რომ ჩვენი თეატრი ფეხზე დადგება და ერთ უკეთესს გასართობად შეექმნება. ჩვენს მოწყენილს საზოგადოებას... ეს პირველი წარმოდგენა ბევრს სასიამოვნო კეთილს გვიქადის სამერმისოდ... იმედია, თუ საქმე ასე რიგიანად და წესიერად წავიდა, ჩვენს თ ე ა ტ რ ს მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ ი არ დ ა ა კ ლ დ ე ბ ა და საზოგადოებაც ყოველთვის სასიამოვნო დროდ ჩასთვლის, ორსამს საათს თეატრში გატარებულს“.*

მაგრამ სწორედ ეს მაყურებელი აკლდა თეატრს: „ივერიის“ მოწოდებამაც საქმეს ვერ უშველა და ილია ჭავჭავაძე იძულებული გამხდარა 17 ოქტომბერს, ე. ი. პირველი რეცენზიის გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ, ისევ მიბრუნებოდა ამ თავსამტერევ საკითხს. რა არის მიზეზი, რომ საზოგადოება თეატრს არ ეტანება? აბონემენტებიც შემოიღეს, მაგრამ საქმეს ეშველება? ილიას მიაჩნია, რომ საზოგადოების ასეთი გულგრილობა თეატრისადმი არამარტო ს ა მ ა რ ც ხ ვ ი ნ ო მოვლენაა, არამედ დ ა ნ ა შ ა უ ლ ი და ც ო დ ვ ა ა, თუ გვესმის, „რა არის ერისათვის თეატრი და (რა) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას ჩვენთვისა“.** იქნებ დრამატიული საზოგადოებაა დამნაშავე, საქმეს თავი ვერ გაართვა და თეატრი ამიტომ ზარალობს? არა, პირიქით, დრამატიული საზოგადოება ყველაფერს აკეთებს! ამის შედეგია, რომ თეატრი უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ოდესმე ყოფილა. იქნებ საზოგადოებას არა სურს კვირაში ერთხელ „საჯარო ადგილას თავისი თავი ჰნახოს“? არა, ასე არ არის! „მაშ რა აბრკოლებს ჩვენს საზოგადოებას? უფულობა? ამას ცოტაოდენი საბუთი აქვს და ამიტომაც გვინდა ჩვენის დრამატიულის საზოგადოების ყურადღება ამ საგანზედ მივაქციოთ. თეატრში შესასვლელი ფასი, ჩვენის ფიქრით, დიდია. ჩვენი ჯიბე გაუჭირვებლად ვერ გაუძღვება მაგოდენა საფასურსა. თეატრში მოსიარულე საზოგადოება იმოდენად პატარაა ჯერ ხანად მაინც, რომ ძნელად საფიქრელია ამ პატარა წრემ შეინახოს თეატრი. დღეს თეატრში თითქმის ერთი და იგივე ხალხი დადის და მაშასადამე თეატრის შესანახავი ხარჯი მთელის თავის სიმძიმით ამ პატარა წრეს აწევს ტვირთად და ეს ტვირთი ძნელი გასაძღოლია ერთისა და იმავე ჯიბისათვის. ფასებს დაკლება უნდა. ამ გზით საიმედოა, რომ თეატრში მოსიარულე ხალხი იმატებს და ვინც შეუძლებლობის გამო დრო გამოშვებით დაიარება დღეს, იმას გაუადვილდება ეს ერთად-ერთი საჯარო ადამიანური სიამოვნება ჩვენში უფრო ხშირად იგემოს. ჩვენა გვგონია,

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რე. I, ნაწ. 3, გვ. 11—12. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 17.

რომ უფრო ბევრი შემოსავალი უქნება დრამატიულ საზოგადოებას, თუ ლოქებს, სელებს და სკამებს ფასი დაუკლო ერთის მეოთხედის ოდენად".*

კითხულობთ სასოწარკვეთილების გამომხატველ ამ სიტყვებს და გრძნობთ, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაშია იმდროინდელი ქართული თეატრი, მიუხედავად იმისა, რომ გვერდში ისეთი გიგანტი კაცი ჰყავს, როგორიც ილია ჭავჭავაძეა. როგორი აპათიური ჩანს თვით ქართველი საზოგადოება, რომელსაც ილია სწორედ გულგრილობას და ეროვნული ინტერესების შეუგნებლობას უსაყვედურებდა 60-იანი წლებიდანვე. ამიტომ დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს ეზრუნა თეატრის როგორც იდეურ-მხატვრული ოსტატობის ამაღლების, ისე მაყურებლის დარაზმვისა და ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარებისათვის. ყოველ წვრილმანს, რომელსაც შეეძლო თეატრის ავტორიტეტი აემაღლებინა ან ქართველი საზოგადოების ეროვნულ-მორალური სიმაღლე ეჩვენებინა, ილია ჭავჭავაძე უმალ იყენებდა „ივერიაში" განმანათლებლური მიზნებისათვის. მაგალითად, როცა 1886 წლის დეკემბერში მსახიობ აწყურელის ბენეფისი მოეწყო, თეატრს ხანძარი გაუჩნდა, რასაც „ივერია" სპეციალური წერილით გამოეხმაურა. წერილის ავტორი იყო თვით ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ შემთხვევის გამო წერდა: „ჩვენ ის გაგვიკვირდა, რომ თეატრი სავსე იყო ხალხითა მაშინ, როდესაც ხმა გაისმა ცეცხლი გაჩნდაო, და ხალხი ისე გულდამშვიდებული, ისე გულმაგრად დაწუნარებული დახვდა ამ ამბავს, ისე მშვიდობიანად გამოიკრიბა თეატრიდამ, რომ ვერას გზით ვერ შეატყობდით, თუ ზარიანის შიშის ამბავმა დასძრა და აშალა ეს ამოდენა ხალხიო".** ერთი შეხედვით ამ უმნიშვნელო ფაქტს ილია განაზოგადებს, როგორც დადებით მოვლენას, ქართველი საზოგადოების შეგნებისა და ვაჟკაცური სულისკვეთების გამომხატველს. იგი წერს: „ამ სიტყვებს „ცეცხლი გაჩნდაო" გამოუკითხველადაც თავისი ზარი აქვს და, ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კვირა დღეს ამ სიტყვების ზარიც კი, გაცუდდა, რაკი ქართველის კაცის გული დაჰხვდა წინ. ქართველმა აქაც იჩინა თავი და არ დაჰნებდა შიშის ზარსა: წარბ-შეუხრელად, გულ-მაგრად, აუჩქარებლად და დაწუნარებით მიიღო ეს უეცარი ამბავი და გულში შიში ფიქრადაც არ გაიტარა. ამ ვაჟკაცურმა გულ-დინჯობამ სახსარი მისცა თეატრის გამგებელთა ხალხი ისე მშვიდობით და უვნებლად გამოეწვია თეატრიდამ, რომ იმოდენა ხალხი ერთი მეორეს დაჯახებითაც არ დასჯახებია. არავითარი ურიგობა, არავითარი ხმაურობა და ჭრიამული არ მომხდარა, — ისე აუჩქარებლად და ნელ-ნელა გამოიკრიბა ხალხი!

აი, სწორედ ამისთანა ვაჟკაცურს აუჩქარებლობასა და სიწუნარეზედ არის ზედ-გამოჭრილი ნათქვამი:

„ზოგჯერ სიწუნარე გმობილი
სჯობს სიჩქარესა ქებულსა".

ამ ვაჟკაცურმა გულ-დინჯობამ და შეუდრეკელობამ სწორედ გაგვაოცა და ცოდვა იქნებოდა ჩვენი მხრით, რომ შესაბამის სიტყვით არ მოგვეხსენა. სხვამ რაც უნდა სთქვას და ჩვენ კი ამას ვიტყვით:

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 3, გვ. 20—21.

** იქვე, გვ. 43.

„გულოვნის კაცის წესია
ფერხისა მაგრად დგომანი“.
ანუ:

„ჯობს მამაცი გულოვნობდეს,
ჰირსა შიგან არ დაჰღონდეს“.

რომ ჩვენები შიშს არ დაუღონდნენ და გულოვანის კაცის წესს არ უმტყუვნეს, კვირა დღეს ჩვენის საკუთარის თვალითა ვნახეთ ჩვენდა სასიამოვნოდ და ჩვენის საზოგადოების სასახელოდ“.* ეს ფაქტი, როგორც ვხედავთ, გამოხატავდა საზოგადოების გონივრულობას, უშიშრობას, ვაჟკაცურ სულს და საკუთარ ეთანხმებოდა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ი ს იდეოლოგიას. ამიტომ გაიხადა იგი სპეციალური მსჯელობის საგნად ილია ჭავჭავაძემ, ამიტომ მიესალმა იგი ვაჟკაცური სულის გამოვლინებას თუნდაც ისეთ უმნიშვნელო შემთხვევასთან დაკავშირებით, როგორიც ა წ უ უ რ ე ლ ი ს ბენეფისის დროს მოხდა.

საერთოდ, 1886 წელს, როცა ქართულ თეატრს დრამატიულმა საზოგადოებამ უფრო აქტიურად მოჰკიდა ხელი, ილია ჭავჭავაძეს, „ივერიის“ რედაქტორს, დასჭირდა არაერთი რეცენზია დაეწერა. ამ წერილებით „აჩრდილის“ ავტორი ო რ ძ ი რ ი თ ა დ მ ი ზ ა ნ ს ისახავდა: ქართული თეატრის იდეურ-მხატვრული სრულყოფისათვის ხელის შეწყობას და მაყურებლების დარაზმვას. ორივე მიზანს ილია ჭავჭავაძე მისთვის ჩვეული დაჟინებით აღწევდა, რასაც ქართული თეატრის ზრდა-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვაგვარად შეუძლებელია განვიხილოთ ამ პერიოდის მისი რეცენზიები, კერძოდ, ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ნაწარმოების შესახებ. თავის რეცენზიას, რომელიც „ივერიის“ 1886 წლის 228-ე ნომერშია მოთავსებული, ილია იწყებს კომედიის — „რას ვეძებდი და რა ვიპოვე“ შინაარსის გადმოცემით.

ერთი ქვრივი თავადიშვილი, რომელსაც ქონება გაუფლანგავს, ცდილობს სიღარიბეს თავი იმით დააღწიოს, რომ ჭალაჭში მოდის და მდიდარი ქალის ცოლად შერთვას აპირებს. მაჭანკალი ორივეს ატყუებს — ქალსაც და კაცსაც, მაგრამ ბოლოს თვითონაც მოტყუებული რჩება — გასამრჯელოს ვერ ღებულობს. ამიტომ ცდილობს საქმე ჩაშალოს. აქაც ხელმოცარული რჩება, თუმცა „მოტყუებული თავადიშვილი დიდად მოხარული იქნებოდა, თავი დაეღწია და თავის ახალ ცოლს შორს სადმე გაჰქცეოდა“. მიზეზი ის იყო, რომ ცოლმა ქონება ქმრის სახელზე არ დაამტკიცებინა. ამ დროს მოურავმა სოფლიდან ამბავი მოუტანა: „შენი ცოლი ტყვეობიდამ დაბრუნდა და სოფელში მოუთმენლად გელისო“. ლეკებთან შვიდწლიანი ტყვეობისათვის თურმე ქალს თავი დაუღწევია. მოხდა მეორე სასიხარულო ამბავიც: რუსეთში სასწავლებლად წასული ვაჟიშვილი თავადს ატყობინებს: „ცოლი შევირთე და 20 ათასი თუმანი მზითვად ავიღეო“. ამის შემდეგ პიესაც თავდება: „გახარებული თავადიშვილი თავს ანებებს თავის ახალ ცოლს და შინისკენ მიეშურება. საწყალი ქალი, ახალი ცოლი, გაშტერებული, გულ-ჩათუთქული რჩება, მაჭანკალი და მიკიტანი-ბიძა ნიშანს უგებენ, რომ ქალს ასეთი უბედურება მოუვიდა“...**

ამგვარი შინაარსის კომედია, რომელშიაც დაწვრილმანებული სული ტრიალებს და არ არის არცერთი ის იდეა, რასაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 3, გვ. 45—46. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ი ქ ვ ე, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 18.

მოძრაობა ემსახურებოდა, ცხადია, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს არ მოეწონებოდა. ამიტომ იყო, რომ მან ბ ა რ ბ ა რ ე ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს კომედია მთლიანად დაიწუნა. „ეს პიესა, — წერდა ილია, — როგორც გვითხრეს, ამ ექვსის წლის წინად ყოფილა ნათამაშევი ქართულ სცენაზე და მას აქედ ხელ-უხლებლად დებულა თეატრის წიგნთ-საცავში. ჩვენის ფიქრით, ურიგოს არ იზამდა თეატრის ეხლანდელი გამგეობა, რომ, თუ შეიძლება, იშვიათად შეაწუხონ ხოლმე ეს პიესა“.*

მაგრამ ერთ უბედურებას — სუსტ პიესას, მეორეც მიმატებია: მსახიობების უფერული თამაში. გამოუცდელ მსახიობს ი ვ. ც ა გ ა რ ე ლ ს თავადის როლი ისე ულაზათოდ შეუსრულებია, რომ რეცენზენტი იძულებული გამხდარა ეთქვა: „ჯერ სრულებით გამოუცდელი არტისტია, სცენას კარგად ვერც კი შეჰჩვევია; როლებს არა თამაშობს კი, კითხულობს და აქაც კი ხშირად წაიბორძიკებს ხოლმე: ხან სიტყვები შეეშლება და ხან სრულიადაც ჰყლაპავს“.** გარდა ამისა, ცაგარელს სხვა ნაკლიც ჰქონია, როგორც აქტიორს: თამაშში ერთგვაროვნება არ შესძლებია მეტყველებისათვის სიცხოველე მიეცა, „სულის მოძრაობა“ და „გულის ღელვა“ ეჩვენებინა. „პიესის ისედ ადგილებშიაც კი, — წერს ილია, — როდესაც კაცს გული უნდა უფანცქალებდეს, ბ-ნი ცაგარელი გრძნობას ვერ აღვიძებს, გულს ვერ შესძრავს ხოლმეო“.*** მეორე მსახიობიც — მ აქ ს ი მ ი ძ ე, რომელსაც მოურავის როლი შეუსრულებია, თავის სიმაღლეზე არ მდგარა. მართალია, მოურავი გლეხობიდან იყო, მაგრამ მსახიობი „ძალიან გლეხურ კილოს უქცევდა“, ივიწყებდა, რო ის მოურავია, ბატონის მიმბაძველი სიტყვა-პასუხში, თან გლეხის ტყაპუჭი ეცვა. „თუ ამით იმის ჩვენება უნდოდა, რომ თვითონ თავადიშვილი ღარიბი იყო... ესეც,ჩვენის ფიქრით შეცდომაა. რაც უნდა ღარიბის კაცის მოურავი იყოს, რაკი მოურავია, არ შეიძლება ტანისამოსითაც სხვა გლეხთაგან არ გაირჩევოდეს. მეორე გარემოება თუ მისატევებელი შეცდომაა, პირველი მაინც უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს არტისტმა, თუ ჰსურს ნამდვილი ტიპი გამოჰხატოს“.****

ყველა ეს მოსაზრება თავისთავად სწორი და მართებულია; არამარტო ხელოვნების რეალისტური თ ე ო რ ი ი ს ღრმა ცოდნით, არამედ, თ ე ა ტ რ ი ს შინაგანი ბუნების, მისი ს პ ე ც ი ფ ი კ ი ს სრული გათვალისწინებითაც არის ნაკარნახევი. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ქართველ მსახიობებს სცენის კულტურას, აქტიორულ ოსტატობას ისევე ასწავლიდა, როგორც გამოცდილი რეჟისორი, აღმზრდელი-პედაგოგი. ეს ჩანს მის მიერ მოცემულ მშვენიერ დახასიათებაში იმ მსახიობებისა, რომლებიც მეორე მოქმედებაში გამოვიდნენ. ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე, მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი და ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა — ქართული სცენის მშვენებანი მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ უკვე ბრწყინავდა მათი ნიჭის ნაპერწკალი. „მეორე მოქმედებაში, როდესაც სცენაზე გამოვიდნენ ბ-ნი აბაშიძე, ქალბ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და აბაშიძე-საფაროვისა, — წერს ილია, — სცენა ს რ უ ლ ი ა დ გ ა მ ო ც ვ ა ლ ა, სულ სხვა ფერი დაედო, ს ი ც ო ც ხ ლ ე მოემატა და თეატრიც გამ

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2 გვ. 18.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 19.

**** იქვე, გვ. 20.

ზიარულდა. თქმა არ უნდა, რომ სამი ჩინებული არტისტი ჩვენის თეატრისა, ბბ-ნები გაბუნია, საფაროვისა და აბაშიძე მკვდარსაც გააცოცხლებენ, თუ კი ავტორი ერთად შეჰყრის სათამაშოდ. ეს არტისტები უმარილო პიესასაც ისე გამოაკეთებენ, — ისე მარილიანად ითამაშებენ, რომ ერთბაშად სიამოვნებას მოჰფენენ ხოლმე მთელს თეატრსა".* მაგრამ ილია ამით არ ამთავრებს თავის მოსაზრებას. ქება-დიდებას თან ურთავს იმ ნაკლის აღნიშვნას, რაც ამ შესანიშნავ მსახიობთა თამაშსაც კი ახასიათებდა პიესის ან სხვა მიზეზის გამო.

აიღეთ ვასო აბაშიძის შესრულება, რომელიც მსახიობის მხრივ უნაკლო იყო. სირაჯის როლი მან თავისებურად გაიგო და გვერდი აუქცია ავტორისეულ სახეს. ბარბარე ჯორჯაძის სირაჯი ნამდვილად ის არ არის, რაც უნდა იყოს; სირაჯი კი არა, დაბალი ზნეობის „ჩარჩი-მიკიტანია", „ბ-ნმა აბაშიძემ იგრძნო, რომ აქ სახელი ერთია და სახრავი კი სხვა და, ვგონებ, ამიტომაც მან სირაჯობას თავი დაანება და დაბალის ჯურის ჩარჩი-მიკიტანი წარმოგვიდგინა. რაკი ესე ცნობიერად მოექცა ამ მარტო სახელით სირაჯის როლსა და საქმით კი— ჩარჩ-მიკიტნისას, ამ გზით სახელის საქმესთან შეუფერებლობა არტისტმა ავტორს გაუსწორა და, სწორედ გითხრათ, დიდად დაავალა კიდეც ავტორსა, თორემ ეგ როლი არც ჩლავი იქნებოდა და არც ფლავი. ჩარჩ-მიკიტნის როლში კი ბ-ნი აბაშიძე შეუდარებელი იყო. ჩაცმა დახურვა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა — ნამდვილი სურათი იყო მისი, ვისიც ჩვენება უნდოდა ჩვენთვის არტისტსა. თვალწინ გედგათ ნამდვილი ჩარჩი მიკიტანი და არა სირაჯი, რომელსაც სულ სხვა თავისებური ჩაცმა-დახურვა აქვს, ასე-რომ თუნდა არ იცოდეთ სირაჯს მაშინვე ტანისამოსზედ შეატყობთ. გარდა ამისა, სირაჯს მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი უფრო დამჯდარი, უფრო დარბაისლური აქვს, და ამის გამო სულ სხვა რიგად მოაქვს თავი ხოლმე და არას ფრით არა ჰგავს ჩარჩს-მიკიტანსა, რომელიც ცხოველად და მიხვედრილად დაგვიხატა ბ-ნმა აბაშიძემ, რადგანაც სხვა გზა არ იყო. კარგი რამ იყო ბ-ნი აბაშიძე, როცა თალალო დაინახა და გული იმის სილამაზეზე შეუვარდა. მისი მაყურებელი მხოლოდ ვნანობდით, რომ ამისთანა ტალანტი ამისთანა უფერულ როლზე სცდებოდა".**

ამ დახასიათებისა და შენიშვნების შემდეგ ზედმეტი იქნება კიდევ რაიმე ითქვას.

რაც შეეხება ნატო გაბუნიას მაჭანკლის როლში, მისი თამაში ილიას მიაჩნია შეუდარებლად: „...ამ არტისტ-ქალს ვერავინ ვერ შეედრება, რაკი ჩვენის ცხოვრების სურათი, ხასიათი, ავ-კარგიანობა და თვისება შეხვედება ხოლმე გამოსახატავადო".*** მაგრამ რეცენზენტი თვალს არ ხუჭავს შემჩნეულ ხარვეზებზე, ვინაიდან კარგად იცის: თუ აქტიორის ნაკლი, ამა თუ იმ როლში შემჩნეული, არ გამოსწორდა, საბედისწერო გახდება. ამიტომაა, რომ ილია წერს: „ერთი ფრიად სამწუხარო ნაკლი კი შევნიშნეთ გაბუნიას. ვინ არ იცის, რომ არტისტისათვის დიქცია, სიტყვების მკაფიოდ და სრულად გამოთქმა ერთი უმთავრესი ღირსებათაგანია. დღეს აქამომდე დიქციაში, სიტყვების სრულად და მკაფიოდ გამოთქმაში ბ-ნს გაბუნიას და ბ-ნს საფაროვისას

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 20. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 21. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 22.

არავინ სჯობდა ჩვენს ტრუპაში. ყოველივე მათი სიტყვა მოჭრილად მკაფიოდ და სავსებით ისმოდა სცენიდამ ხოლმე. კვირას კი ბატონს გაბუნიას სიტყვებში როგორღაც ასოები აკლდებოდა, ნამეტნავად ბოლოებსა ჰკვეცდა და სიტყვა მთლად არ გაიხმაურებდა ხოლმე. ეს, რასაკვირველია, ბუნებითი ნაკლი არ არის და ადვილად მოსაშლელია, თუ არტისტი მოიწადინებს. ჩვენ ეს ნაკლი იმიტომ შევნიშნეთ, რომ ამ ნიჭით შემკულმა არტისტმა-ქალმა ყურადღება მიაქციოს, თორემ თუ თავი მიანება და ჩვეულებად გადაექცა, მერე ძნელი ასაცილებელი-ღა იქნება, ცოდვაა რომ მაგისთანა ნიჭმა ამისთანა ნაკლი არ მოიცილოს".* ნატო გაბუნია, როგორც ცნობილია, შემდეგ ისე გაიზარდა შემოქმედებითად, რომ ვასო აბაშიძისა და მაკო საფაროვის გვერდით ქართული სცენის ვარსკვლავი შეიქნა.

თავის რეცენზიაში ილიამ ასევე მაღალი შეფასება მისცა მაკო საფაროვის თამაშს; უფერული როლის მიუხედავად, იგი „აქაც კი კარგი იყო და ამით ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ კარგი ყოველთვის და ყველგან კარგია".**

ურიგოდ არ უთამაშნია თავისი როლი „გასათხოვარი ქალის" შემსრულებელ მსახიობს, მაგრამ მეტყველება სწორად არ ჰქონია დაყენებული, სიტყვების ერთმანეთთან გადაბმაში შეცდომები დაუშვია, ერთგან სიტყვებიც აურევია. მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, ილია მაინც შენიშნავს: თავისი როლი „ბ-ნმა მელიქოვისამ ურიგოდ არ წარმოადგინაო". გარდა აღნიშნული ნაკლისა. ისიც ნათქვამია, რომ მსახიობი ქალი „ვერც როლის შესაფერად იყო კვირა დღესა ჩაცმული და სახე-გაკეთებული. სახის კარგად გაკეთება, ესე იგი, როლის შესაფერად და შესაფერადვე მოკაზმულობა დიდი რამ არის თვითონ თამაშობის სიკეთისათვის. სცენაზე ჰლაპარაკობენ, რომ ორმოცის წლის მახინჯი ქალიაო და ჩვენ კი მაყურებლები არც ისე მახინჯს და არც ისე ხნიერს ვხედავდით. ამისთანა შეუფერებლობაში, როცა ყური ერთს გვეუბნება და თვალი სხვასა ჰხედავს, — მაყურებელს ძლუნია ეკარგება და მაშასადამე სიამოვნება უფუჭდება".*** ამ სიტყვებში ყველაფერი რეალისტური თეატრის პრინციპებს ეთანხმება და მის განმტკიცებას ემსახურება.

როცა ბარბარე ჯორჯაძის კომედიის წარმოდგენა დამთავრებულა, გაუმართავთ დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღია „ალექსიევ-მესხიევს". ეს არის სახელოვანი ლადო მესხიშვილი, იმ დროს ჯერ კიდევ ახლადგადმოსული ქართულ სცენაზე რუსული დასიდან (ქართველი საზოგადოების თხოვნით, ლადო მესხიშვილი, ენის უცოდინარობის მიუხედავად, 1881 წელს ქართულ თეატრში იწყებს მუშაობას). ხუთი წლის შემდეგ ლადო პირველად კითხულობს სცენაზე ქართულ ლექსს, და ისე კარგად, რომ ილია ჭავჭავაძე თავის რეცენზიაში ქებით იხსენიებს. „...ჩვენ დავრწმუნდით,— წერს რეცენზენტი, — რომ ბ-ნის ალექსიევ-მესხიევისათვის ღმერთს ყოველის ფერი მიუნიჭებია, რაც კი საჭიროა კარგად წაკითხვისათვისა, რომ ამ მხრითაც იგი ისახელებს თავს და ქართველს საზოგადოებისთვის ამ ტკბილს სიამოვნე-

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 22. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 23. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ბას ხან-დის-ხან მაინც არ დაიშურებს. ოღონდ შეეჩვიოს ლექსთა კითხვას, შრომა არ დაიზაროს, დაუკვირდეს ხოლმე და უეჭველია ლექსთა კითხვაში თავს გამოიჩენს".* ქვევით ჩვენ კვლავ მოგვიხდება ლადო მესხიშვილის ილიასეული შეფასების გაცნობა და ამიტომ აქ მეტის თქმა აღარ არის საჭირო. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს გარდა, დივერტისმენტში მონაწილეობა მიუღია ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა ს, შეუსრულებია ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „ჭმუნვის მახვილი", მაგრამ, მომღერალი „სამწუხაროდ, ხმაზედ ვერ იყო, — წერს რეცენზენტი, — თუმცა ჰანგი კი მშვენივრადა სთქვა და ბევრი ტაშიც დაუკრეს. ვგონებთ, მეთარემაც როგორღაც ვერ ააყოლა თარი".** როგორც ჩანს, იმ პერიოდში ნატო გაბუნია თანაბრად ვერ გამოდიოდა სცენაზე, შესაძლოა, პირადი სულიერი მდგომარეობის მიზეზითაც.

დასასრულს წარმოუდგენიათ ვ ო დ ე ვ ი ლ ი „სუსტი მხარე", რომელსაც ილია დადებითად აფასებს — „კარგი მხიარული ვოდევილიაო". მსახიობებსაც (მაკო საფაროვი, მელიქოვისა, აწყურელი, მაქსიმიძე) უწონებს შესრულებას: „ისე მწყობრად და თანხმად მიდიოდა ვოდევილი, რომ სწორედ მოსაწონი იყოო".*** მ ა ქ ს ი მ ი ძ ე ს კვლავ „გამოცდილ არტისტს", „სცენის მცოდნეს" უწოდებს, ასეთი არ არის „ბ-ნი აწ ყ უ რ ე ლ ი", მაგრამ ამ ვოდევილში „სასიამოვნო სანახავი იყოო". თუ რამდენად ცდილობდა ილია, რომ ახალგაზრდა თეატრალური ძალებისათვის ხელი შეეწყო, შემდეგიდანაც ჩანს: უფრო დაწვრილებით გამოუცდელი მსახიობის თამაშს განიხილავს, რათა ა ღ ზ ა რ დ ო ს, თავისი ნაკლი და ღირსება შეაგნებინოს, შემოქმედებითი სიხარული განაცდევინოს, გ ა ა მ ხ ნ ე ვ ო ს. ამით არის შთაგონებული ილიას შემდეგი სიტყვები: ბ-ნ აწყურელის თამაშობა თუმცა ისე სრული, დახელოვნებული, ერთბაშად არ არის, როგორც სასურველია, მაგრამ ყოველს ამის მიხვრა-მოხვრაში, ამის სიტყვის კილოში დიდი ბუნებითი ნიჭი, მდიდარი სახის გამომეტყველება, სიცოცხლით სავსე მოძრაობა სჩანს; იქ სადაც სიტყვა სწყდება და სრულ შთაბეჭდილებას არ გიხატავთ, სახის მოძრაობა, გამომეტყველობა გეუბნებათ დანარჩენს. თუ სასაცილო თქვა რამე და არ გაგეცინათ, სახეს და მთელს სხეულს ისეთ მოძრაობას მისცემს, რომ უთუოდ სიცილს მოგგვრით და ისეთ სიცილს, როგორიც სწორედ გარემოებას შეჰფერის. ასეთია ნამდვილის ნიჭის თვისება!"**** და რეცენზენტმა შესანიშნავად იცის, რომ „ბ უ ნ ე ბ ი თ ი ნ ი ჭ ი" დაიღუპება, თუ სწორად არ წარიმართა. ამიტომ ცდილობს აუხილოს გონების თვალი ნიჭიერებას, შეაგნებინოს მისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს საერთოდ დამახასიათებელია ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა, როგორც თეატრალური კრიტიკოსისა. ამ ნიშნებს ატარებს გაზეთ „ივერიის" მომდევნო ნომერში დაბეჭდილი რეცენზიაც — „ქართული თეატრი".

ეს რეცენზია, ისევე როგორც ზემოთ განხილული, პიესის შინაარსის გადმოცემით იწყება, რაც ილია ჭავჭავაძის თეატრალურ-კრიტიკული წერილებისათვის სავსებით დამახასიათებელია. პიესა ყოფილა თარგმნილი კომედია — „ც ო ლ ი-მ უ ღ ლ ე", რომლის თვით სახელწოდება ილიას კანონიერ დაეჭ-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 23—24.
** იქვე. გვ. 24.
*** იქვე.
**** იქვე.

ვებას იწვევს. განა ცოლი მეუღლე არ არის? განა საკმარისი არ იქნებოდა „ეს უკანასკნელი სახელი?“ რაც შეეხება ლიტერატურულ ნაწარმოებს, იგი არ ყოფილა „აზრ-მოკლებული“, იქ მოთხრობილ ამბავში ბევრს დაუნახავს ან მოწმედ უცვნია თავისი თავი. კომედიის შინაარსს ილია ჭავჭავაძე ასე გადმოგვცემს: „ერთს ღარიბს სახლობაში მარტო დედა და შვილია“. ამ უკანასკნელს მიღებული აქვს რიგიანი სწავლა-განათლება; ჰკვიანს, პატიოსან და შრომისმოყვარე ახალგაზრდა კაცს შეუყვარდება „ერთის თავადისშვილის ქალი“, რომლის დედას თავი იმითაც მოაქვს, რომ „მამა გენერალ-ლეიტენანტი ჰყოლია და ქმარიც რაღაც გენერალი“. ასეთ წრეში აღზრდილ დედას, ადამიანის ცხოვრების საგნად დროსტარება რომ მიუჩნევია, ქალიშვილიც ურიგოდ აღზრდილი ეყოლებოდა. მაგრამ ცუდ აღზრდას მისთვის „მარტო ჭკუა დაუბრმავებია“, „გული მისი კი არ დაუხუთავს კეთილისათვის“. ღარიბი ვაჟის გულისწადილს ის თანხმობით უპასუხებს. ქალის დედასაც მალე დაითანხმებენ შეყვარებულები, და ილია სამართლიანად შენიშნავს, რომ „პიესა ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს გაუგებარია“. ვინაიდან ასე სწრაფად დათანხმება იმ არისტოკრატი დედისა, რომელიც სულ მდიდარ სიძეზე ფიქრობს, მაყურებელს დაუჯერებელი ეჩვენება.

გადის ორი წელი. დიდძალი ხარჯი, რაც თეატრებსა და ბალებში დედა-შვილის სიარულმა მოითხოვა, ყმაწვილ კაცს აიძულებს დღე-ღამე გაასწოროს პატიოსან შრომაში, მაგრამ ამაოდ: „პატიოსანი შრომა, ხომ მოგეხსენებათ, ეხლანდელს დროში მარტო იმას თუ იძლევა, რომ კაცი მშიერ-მწყურვალი არ მოკვდეს“. ასეთმა შრომამ ყმაწვილი კაცი სასიკვდილოდ მიაკრა სარეცელს, იმითაც დასტანჯა, რომ სიკვდილის წინ, როცა მისი მეუღლე და სიდედრი ბალში არიან, ღალატის „უტყუარი საბუთი“ ჩაუგდო ხელში. განთიადისას, შინ დაბრუნებულ ცოლს, იგი უმხელს საიდუმლოს, ქალი თავს იმართლებს, ქმარიც ამშვიდებს: შენ დანაშაული არ მიგიძღვის, ყველაფერში დამნაშავე შენი აღზრდა არისო. ყმაწვილი კაცი კვდება და კომედიაც აქ თავდება.

როგორ შეაფასა რეცენზენტმა ეს ნაწარმოები? მას არ დაუმალავს ეთქვა, რომ ყველაზე ძნელი შესასრულებელი იყო სიდედრის როლი, არა აქტიორული თვალსაზრისით, არამედ, ხასიათის „უხერხულად ნაქსოვობის“ გამო. ილიამ ამიტომ აღნიშნა ასე კატეგორიული ფორმით: „მაგისთანა ქარაფშუტა დედა-კაცი, როგორიც სიდედრია ამ პიესაში, ჩვენებური ხასიათი არ არის. რაც უნდა გულ-წამხდარი დედა იყოს, ჩვენებური დედა თავის დღეში არ ეტყვის თავის ქალს: რამდენი გეკურკურებოდა წუხელის ბალშიაო და ამით არ მოაწონებინებდა თავს. გულშიაც რომ სდომოდა ეს, ვერ გაჰბედავდა წარმოთქმას, ასეთი ძლიერია ჩვენებურის მართებულობის კრძალვა, რიდი და კდემა. ეს ამისთანა ხასიათის დედა-კაცები ხშირნი არიან იმ საზოგადოებაში, რომლის ენაზედაც დაწერილია დედანი პიესისა. ჩვენში კი ძნელად მოიპოვება, თუმცა ამ ბოლოს ხანებში თითო-ოროლა მაგალითებია მისი, რომ ეგ ჭირი ცოტ-ცოტაობით და ნელ-ნელა ჩვენც გვეპარება, ჩვენდა საუბედუროდ. ქარაფშუტა, წინდაუხედავი უთავ-ბოლო დედა-კაცები ჩვენშიაც ბევრია, მაგრამ თავისებურნი არიან და არას დროს ერთს ალიაქოთს იმაზედ არ ასტეხენ, რატომ თეატრში აბონემენტით ლოჟა არა გაქვს ჩემის ქალისათვისაო. დიდი შეცდომაა პიესის გადმომკეთებლის მხრით რომ ჰსურვებია ქართველი ცუდ-მედიდი დედა-კაცი ეჩვენებინა და ქართული ცუდ-მედიდობა კი დაჰვიწყებია მიეთვისებინა. არ-

ტისტი-ქალი, რომელსაც ეს როლი შეხვდა სათამაშოდ, ორ-წუალშუაა მოყოლილი გადმომკეთებლის წუალობით. მიხვრა-მოხვრით, ტან-საცმელით, მიმიკით, სიარულით — ერთის სიტყვით ყველაფრით ქართველი დედაკაცი უნდა წარმოედგინა და თვისება და ხასიათი კი ქართველისა არა ჰქონოდა. აი რისთვისა ვსთქვით, რომ ეს როლი ძნელი ასასრულებელია".*

ვინ შეასრულა ეს უალბი როლი? მისი განმასახიერებელი ყოფილა ნ ა ტ ო გ ა ბ უ ნ ი ა, რომელსაც სიძნელისათვის თავი გაურთმევია და ილიას მოწონებაც დაუმსახურებია. „ბ-ნმა გაბუნიამ რაც კი შესაძლო იყო, — წერს ილია, — დასძლია ეს სიძნელე და თუ რამ ნაკლი იყო, ეგ ნაკლი ავტორის ბრალია და არა არტისტისა".** დამამტკიცებელი არგუმენტები ისე ძლიერია, რომ ულოგიკობა იქნებოდა რეცენზენტის სიტყვებში ეუჭი შეგვეტანა.

დანარჩენ შემსრულებელთაგან ილია ჭავჭავაძე ცალკე გამოჰყოფს მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ი ს თამაშს და სერიოზულ კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს. პირდაპირ ამბობს: „ვერ მოვუწონებთ თამაშობას ბ-ნს საფაროვისას. მისი როლი, ყმაწვილის-კაცის ცოლისა, შინაარსით მეტად ძნელია, ძნელია იმიტომ, რომ ჰკუა-გაუხსნელი, ჰკუა-გაფუჭებული ქალი უნდა წარმოედგინა და ამასთანავე გულ-წაუმხდარიცა, გულ-წმინდა და კეთილისათვის ყოველთვის გულღია. იგი სხვერპლია ავად-გაზრდილობისა და არა ძვალსა და რბილში გამჯდარ ავ-ზნეობისა. იგი მაგალითით, ნახულით და გაგონილით არის წამხდარი და არა სულითა და გულითა. ჩვენის ფიქრით, ბ-ნ საფაროვისამ ეს ერთ-ბუნებიანი ორ-ნაირობა ხასიათისა ვერ გამოგვისახა. ამით სიბრალული კი არ აღძრა მაყურებელთა გულში, რომ ასეთი გულ-კეთილი, ბუნებითად მადლიანი ქალი, რომელსაც ღმერთმა ყველაფერი მიანიჭა, რომ ჩვენი უგემური ცხოვრება ნეტარებად გადაექციოს, ასე წამხდარია ავად-აღზრდილობის გამო და სიკეთისათვის კიდევ შერჩენილი გული იმაე მიზეზით უქმად რჩება, თითქოს დიდი ხნის მოძრაობისათვის ღონე არა აქვსო. ამ სიბრალულის მაგიერ ჩვენს გულში გულის წყრომა ჰლაპარაკობდა, რისხვა და ძულება ჰტრიალებდა და ამ გზით მსხვერპლს ვახდევინებდით იმ სასჯელს, რომელიც მემსხვერპლეს, სხვერპლის მიზეზს უნდა გადახდომოდა. ზოგიერთს ადგილას ბ-ნი საფაროვისა მაინც არტისტი იყო და არტისტი. მაგალითებრ, როცა ბალში წასვლაზედ იმედ-გადაწყვეტილს კვლავ მოეცა იმედი წასვლისა, აქ შეუდარებელი იყო".***

ეს ტონი, ეს შეფასება პირდაპირი, მოურიდებელია, საგნის ღრმა ცოდნაზეა დამყარებული; მასში გულისტკივილიცა ჩანს და შემოქმედებითი წარმატებით გამოწვეული სიხარულიც. კრიტიკის ბუნებაზე სწორი თვალსაზრისი ილია ჭავჭავაძეს ყოველთვის ეხმარებოდა ობიექტური დარჩენილიყო თავის მკაცრ დასკვნებშიც და ეს ღირსება, როგორც თეატრალურ რეცენზენტს, მას ბოლომდე შენარჩუნებული ჰქონდა.

აიღეთ თუნდაც „ყმაწვილის კაცის დედის როლი". ილია შენიშნავს, რომ „ბ-ნი ლ ე ო ნ ი ძ ი ს ა თამაშობდა და თამაშობდა რა რიგად!.. იმისთანა გულის მოძრაობა, რომელიც ამ პატივცემულმა არტისტმა-ქალმა გამოგვატარა, არა გვგონია ბევრჯელ შეხვედროდეს მაყურებელს არამც თუ ჩვენს სცენაზედ,

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 28—29.
** იქვე, გვ. 29.
*** იქვე, გვ. 29—30.

არამედ დიდ და გამოჩენილ სცენებზედაც".* მსახიობი განსაკუთრებით კარგად ყოფილა „პირველს ორ მოქმედებაში და ნამეტნავად მეორეში. ჩვენებური დინჯი, აუჩქარებელი, დარბაისელი, ოჯახის მონა დედა-კაცი, რომლისათვისაც ყოველივე სხვერპლი სხვერპლი კი არ არის, წყურვილია, ბუნების მოთხოვნილებაა, საზრდოა სულისა, როგორც ჰამა-სმა ხორცისათვის, — წამოგვიყენა თვალ-წინ ბ-ნმა ლეონიძისამ. ამისთანა დედა-კაცი, რომელიც ვაი რომ უკანასკნელ მოგიკანად ღა თუ შეგხვდებათ სადმე ეხლანდელს დროში და რომელზედაც უწინ დამყარებული იყო დიდება, სახელი ოჯახისა და ოჯახზედ თვითონ ქვეყნის სიკეთეცა, — ამისთანა დედაკაცი საოცარის ხელოვნებით გაგვიტარა თვალ წინ და გულმა უნებურად კვნესა დაგვიწყო, რომ იმისთანა დედა-კაცები მართლა იყვნენ და დღეს აღარ არიან. მეორე მოქმედებაში ისე ბრწყინვალედ დიახ ისე ბრწყინვალედ!.. — დაასრულა თავისი როლი, რომ ბევრს დიდს არტისტს შეენატრება. მთელი თეატრი ერთის გრძნობით შესძრა და ერთიანმა ხანგრძლივმა ტაშმა გულ-ამომჯდარ მაყურებლებისამ დაგვანახვა, რომ ჰეშმარიტის ხელოვნების დაფასება ჩვენც ვიცით. ბევრმა თეატრში თავი ვეღარ შეიმაგრა და ტირილი დაიწყო. ამას ბევრი არტისტი ვერ მოახდენს. სამწუხაროდ ჩვენდა, უკანასკნელს მოქმედებაში ბ-ნი ლეონიძისა ისე აღარ იყო, როგორსაც გულის-ცემით მოველოდებოდით, რომ ხელ-ახლად მოვეხიბლნეთ ხელოვნურ თამაშობით. მომაკვდავ შვილის წინ ისეთი მწუხარება გამოსახა, როგორც ყველა მგრძნობიერი უცხო კაცი სწუხს ხოლმე, როცა შემთხვევით შეხვდება ამისთანა უბედურებას. ამისთანავე მწუხარება გამოხატა, როცა მის წინ საყვარელმა შვილმა სული დაჰლია და არა იგი თვალ უჩინარი გულისგლეჯა და ტეხა, რომელიც გაარინდებს ხოლმე კაცსა, გააშეშებს, ცრემლს უშრობს, თითქო მეხი დაეცა და ყოველივე ძალი სიცოცხლისა უეცრად მოსწყდაო".** მთელი მსჯელობა ილიას აზროვნებისათვის დამახასიათებელ კრიტიკულ ასპექტშია მოქცეული და ზედმეტ კომენტარს აღარ საჭიროებს.

ყმაწვილი კაცის როლი, განსაკუთრებით სიკვდილის სცენა უკანასკნელ მოქმედებაში კარგად შეუსრულებია ლ ა დ ო მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს. „მშვენიერი", „საკმაოდ კარგი" — ამ ეპითეტებით ამკობს რეცენზენტი მესხიშვილის თამაშს, ბოლო მოქმედებაში კი „იმ სითბოთი გაატარა თავისი როლი, რა სითბოსაც მხოლოდ ჰეშმარიტად ნაგრძნობი გული იძლევაო". მაგრამ ასევე კარგი არ ყოფილა ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე სვიმონის როლში. ილია ჭავჭავაძე კრიტიკულად შენიშნავს: „ბ-ნს აბაშიძეს მართალია დიდი როლი არა ჰქონდა, მაგრამ არც ისე ტყუილ-უბრალო იყო, როგორც მან წარმოგვიდგინა. იმისთანა ქალს, როგორიც, ავტორის აზრით, ყმაწვილი-კაცის ცოლი უნდა ყოფილიყო, იმისთანა წყალ-წყალა კაცი ვერ გაიტაცებდა, როგორიც ბ-ნმა აბაშიძემ წარმოგვიდგინა და ამის გამო, როცა იგი თავის ტრფიალებას უცხადებდა ქალს, მაყურებელს ყოველივე ილლუზია დაეკარგა. ჩვენის ფიქრით, სვიმონი, თუმცა თავ-ქარიანი და ქარაფშუტა კაცია, მაგრამ ის ვარაყი, ის გარეგანი გაწვრთნილობა ცუღლუტის კაცისა მაინც უნდა ჰქონოდა, რომლის წყალობითაც ამისთანა კაცები თვალს აუბმენ ხოლმე ყმაწვილ-ქალსა".*** ეტყობა დიდი მსახიობებიც

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რე. I, ნაწ. 2, გვ. 30.

** იქვე, გვ. 30—31.

*** იქვე, გვ. 31.

ვერ ასწევენ ხოლმე ისეთ როლებს, რომლებსაც ისინი ამპლუად არ თვლიან. სვიმონი ალბათ სწორედ ასეთი როლი იყო ვასო აბაშიძისათვის, რაც ილია ჭავჭავაძის მახვილ კრიტიკულ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

რეცენზიის დასასრულს საერთო შეფასება ეძლევა მთელ საღამოს, როგორც „სასიამოვნო“ მოვლენას და კვლავ იხსენიება დედის როლის შემსრულებელი მსახიობი ლ ე ო ნ ი ძ ე; ვინც მისი თამაში ვერ ნახა, „ბევრი დაჰკარგაო“, — დასძენს ი ლ ი ა, — როგორც ერთ დროს ლ ე ს ი ნ გ ი ცდილობდა ანალოგიური ნიშნის მოგებით დაეინტერესებინა ჰამბურგის თეატრზე გულგაციებული ბიურგერობა.

ილია ჭავჭავაძე უყურადღებოდ არ ტოვებდა ისეთი საღამოების შეფასებასაც, როცა იგი ეძღვნებოდა ერთი რომელიმე აქტიორის შემოქმედებას. 1887 წლის 28 იანვარს ქართულ თეატრში გამართულა მაკო საფაროვ-აბაშიძის ბენეფისი და „ივერიის“ ფურცლებზე ილიას მოუთავსებია სპეციალური წერილი, რომელშიაც ნათქვამია „...ბ-ნ საფ. აბაშიძის საბენეფისოდ, პირველად ითამაშეს აკაკის დრამატიული პოემა „თამარ ცბიერი“, ლექსად დაწერილი. ქართულ სცენაზედ ჩვენ ეს პირველად ვნახეთ, რომ ლექსით დაწერილი პიესა ეთამაშნათ. ლექსების კითხვას სცენიდამ საზოგადოდ დიდი ხელოვნება და გამოცდილება უნდა. არტისტმა ლექსთა-წყობისა და კითხვის წესი უნდა იცოდეს, რომ ლექსის თქმის წესი და რიგი თამაშობას შეურჩიოს და შეუწონოს. ყველამ ვიცით, რომ ჩვენს არტისტებს არც სკოლა აქვთ გამოვლილი და თითქმის არც შეჰხვედრიათ ლექსით ნაწერ პიესების თამაშობა, ამიტომ ცოტა გვეფიქრებოდა, რომ ვაი თუ ვერა გააწყონ-რა და წარმოდგენამ უფერულად ჩაიაროსო. მაგრამ ჩვენი შიში ტყუილი გამოდგა და დღეს დიდი სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა არტისტებმა ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინეს და ისახელეს: ისე მშვენივრად, გამორკვევით, მკაფიოდ, რითმის დაცვით კითხულობდნენ, რომ ყურისათვის სწორედ სასიამოვნო იყო; ლექსს ფერი არ ეკარგებოდა და ლექსის კითხვაც თამაშობას არ უშლიდა. ურიგო არ იყო ანდრონიკოვის ქალი თამარის როლში. ზოგან ძალიან კარგად ამბობდა ლექსს და თითონ თამაშობასაც ლექსის აზრს შეუფერებდა ხოლმე. საკმაოდ კარგად ამბობდა ლექსებს და თამაშობდა ბ-ნი ალექსიევი-მესხიევი, თუმცა ზოგან რითმი ლექსისა არა ერთხელ ეშლებოდა. მეორე მოქმედებაში დიალოგი ბ-ნმა ანდრონიკოვის ქალმა და მესხიევმა ძალიან კარგად გაატარეს, და აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ ძალიან მოიწონა... თეატრი სავსე იყო. საზოგადოებას ძალიან მოეწონა აკაკის ახალი ნაწარმოები, ავტორი ბევრჯერ გამოიწვიეს და დიდის აღტაცებით, ხანგრძლივის ტაშის-ქვრით გადაუხადეს მადლობა“.* შემდეგ წარმოუდგენიათ ოპერეტა „მეჯლისი იტალიელებით“, სრულიად უშინაარსო, როგორც ილია შენიშნავს, მაგრამ „ძალიან სახუმარო“, რასაც თეატრში განუწყვეტელი სიცილი და ხარხარი გამოუწვევია. მსახიობთაგან საუცხოოდ უთამაშნიათ: ბენეფიციანტ მ ა კ ო ს ა ფ ა რ ო ვ ს და ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე ს კანიფასის როლში. „თავიანთ სიცოცხლით სავსე თამაშობით, — წერს ილია, — მთელი თეატრი შესძრეს და მხიარულობა მოჰფინეს“. სიმღერა კარგი არ ყოფილა, მაგრამ „ხუმრობამ კი მართლა მხიარულად ჩაიარაო“. ბენეფიციანტისა და ვასო აბაშიძის გარდა, ურიგონი არ ყოფილან აწყურელი და მაქსიმიძე. ამ უკანასკნელის მარ-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 33—34.

ტო „...გრიმს, ტანსაცმელს და მიხვრა-მოხვრას რომ უყურებდა (მოსამსახურის როლში — გ. ჯ.), სიცილს ვეღარ იკერდა კაცი. გაუთლელს, ცოტა ჭკუაზე თხელს და გამოყეყეჩებულს, ბეჩავს კაცს რომ იტყვიან სწორედ ისეთი კაცი წარმოგვიდგინა თვალწინ ბ-ნმა მაქსიმიძემ“.* საზოგადოება აღტაცებული დარჩენილა მაკო საფაროვ-აბაშიძის ბენეფისით, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი ანტრაქტები ყველას შეუმჩნევია.

ერთი კვირის შემდეგ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე „ცვეერიის“ 1887 წლის 30-ე ნომერში აკაკის „თამარ ცბიერის“ შესახებ ათავსებს მოკლე წერილს, რომლის დედანი აღმოჩენილი არ არის, ხოლო დაბეჭდილი ტექსტი ცენზორის მიერ შეკვეცილია.** ეს წერილი იმითაც საგულისხმოა, რომ ილია გულწრფელად აღ ტა ცე ბუ ლი ა თავისი დიდი თანამებრძოლის წარმატებით: ქება-დიდებას ასხამს „თამარ ცბიერის“ ავტორს, გვიხატავს, როგორც ხალხის უსაყვარლეს მწერალს. მეგობრის გამარჯვებით ასეთი გულწრფელი სიხარული განცდა შეეძლო მხოლოდ დიდბუნებოვან ადამიანს, რომლის არსებაში პირადი და საზოგადოებრივი ისე ორგანიულად არის შეერთებული, რომ პირველს ყოველთვის წინ დაუყენებია მეორე და მისთვის თავიც შეუწირავს. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ყოველთვის ასეთი ჩანდა ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლაში, ჰე შ მ ა რი ტ ე ბ ი ს და ო ბ ი ე ქ ტ უ რ ო ბ ი ს წინაშე, რასაც ეს პატარა, ცენზორის მიერ შემოკლებული წერილიც გვიდასტურებს. „თუ ვისმე ოდესმე სწყურებია თვალით ნახვა მწერლობის აპოთეოზისა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — კვირას უნდა მოსულიყო ქართულს თეატრში და ამ ნეტარებას დასწაფებოდა. თუ არ თვალით ნახულს, ძნელად წარმოიდგენს კაცი იმას თუ, — როგორ დახვდა საზოგადოება „თამარ ცბიერის“ წარმოდგენას და მის ავტორს აკაკის. საზოგადოების აღტაცებას დასასრული არა ჰქონდა. ავტორი დიდის ტაშის ცქმით და „ბრავოს“ ძახილით რამდენჯერმე გამოიწვიეს. სცენაზედ გამოსულს აკაკის ერთიანის ტაშის გრიალით და ერთიანისვე დიდის აღტაცების კიჟინით მიეგება მთელი საზოგადოება, დიდი თუ პატარა. თეატრში ტაშის ცემა და ძახილი კი არ იყო, იყო ერთი რაღაც გერგვინა და ჰეჭა-ჭეხილი აღტაცების ფრთით გატაცებულის გულისა. სამწუხაროა, რომ ეხლა გარემოება ხელს არ გვიწყობს, ღრმად და ვრცლად ჩავუკვირდეთ ამ არაჩვეულებრივს ამბავსა და განვუზიაროთ მკითხველებს იგი დიადი სიამოვნება, რომელმაც ასე აბაგერა საზოგადოების გული მისდა სასახელოდ... ჩვენმა არტისტებმა მიართვეს ბ-ნს აკაკის დაფნის გვირგვინი და საათი და საზოგადოებამ — ძვირფასი სამწერლო იარაღი“.***

ეს მოკლე წერილი არა მარტო იმ მხრივაა მნიშვნელოვანი, რომ აკაკი წერეთლისადმი ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარულის ერთ-ერთი მკაფიო ფურცელია. ღირებულება ამ სიტყვებისა თავდაპირველად ის არის, რომ პანეგირიკის ავტორიც და ობიექტიც ორივე დიდი ადამიანია, რომლებიც წინ მიუძღვიან ერის თვითშეგნების ამაღლებას, ორივე ერთად იპოსტასია ქართველი ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ორსახიანი იანუსია, ერთი მედლის ორი მხარეა! ისინი სულიერად ზრდიდნენ ერის

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 34.

** ასე ფიქრობს პლატონ კვშელავა (იხ. იქვე, გვ. 35, პლატონ კვშელავას შენიშვნა).

*** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 35.

ცოცხალ ძალებს და ყველაფერს იყენებდნენ დასახული მიზნისათვის ბრძოლაში. თეატრი ერთი ასეთი ღონისძიება იყო, ხოლო სიტყვა, რომელსაც აქტიორი სცენიდან წარმოთქვამდა, აღაგზნებდა მაყურებელს წმინდა იმისათვის უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდანვე ქართულმა თეატრმა უშუალოდ მიმართა შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტ რ ა გ ე დ ი ე ბ ს და ბოროტებათა ამ გენიალურ მამხილებელს პირველი ადგილი დაუთმო თავის სცენაზე. შ ე ქ ს პ ი რ ი ორგანიულად დამკვიდრდა ქართულ თეატრში, ხოლო ქართველი მაყურებელი მშობლიურად დაუნათესავდა „ჰ ა მ ლ ე ტ ი ს“ უკვდავ ოქროპირს. სწორედ „ჰამლეტი“ იყო ის ტრაგედია, რომელმაც ქართველ ინტელიგენციაში დიდი ინტერესი გამოიწვია ლ ა დ ო მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი ს ბრწყინვალე შესრულებით. 1887 წელს ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ სპეციალური წერილი მიუძღვნა შ ე ქ ს პ ი რ ი ს ამ უკვდავი ტრაგედიის განსახიერებას ქართულ სცენაზე და „ივერიაში“ საინტერესო მოსაზრებანი განავითარა.

რას წარმოადგენს „ჰამლეტი“, როგორც დრამატიული ნაწარმოები? ჟანრობრივად ტ რ ა გ ე დ ი ა ა, მაგრამ მისი მთავარი გმირი, რომლის გარშემოც თავს იყრიან ფაბულის არტერიები, ლ ი რ ი კ უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი ა. ამიტომ „ჰამლეტი, როგორც სალირიკო ხასიათი, — წერს ილია ჭავჭავაძე, — არტისტისაგან... უფრო კარგს მეტყველებას, კარგად თქმას როლისას ითხოვს ვიდრე თამაშობასა. ჰამლეტის როლი უფრო სათქმელია, ვიდრე სათამაშო და სამოქმედო. ამიტომაც ჰამლეტის როლის ხელ-აღებით გაფუჭება მარტო მაშინ არის შესაძლო, როცა სათქმელს კარგად ვერ ამბობს არტისტი. საზოგადოდ ჩვენს არტისტებს ერთი დიდი ნაკლი აქვთ ამ მხრითა. კარგს გამომეტყველობას, კარგად თქმასა მკაფიოდ გამოთქმა უნდა სიტყვისა, რომ თვითეული ცალკე სიტყვა გარკვევით და ცალკე ისმოდეს. ვისაც დაბადებითვე ენა არ ებმის, ეს იმისათვის მეტად ადვილია, თუ სათქმელი კარგად დაუსწავლია და თუ თვითონ არტისტი ცოტაოდნად მაინც ჰკდილა მკაფიოდ გამოთქმასა. გამომეტყველების სიძნელე კილოა. აზრს, გრძნობას, სიტყვით გამოსახატავს კილო თუ მოსახდენი და შესაფერი არ შეურჩია, მეტყველება უქმია და ვერა რა ზემოქმედებას ვერ იქონიებს მსმენელზედ“*.

ეს ერთი ნაწილია სცენაზე მეტყველების კულტურისა. მსახიობმა ისიც უნდა იცოდეს, რომ „ყველა ფრაზაში ერთი იმისთანა სიტყვაა და ყველა ხანაში ერთი იმისთანა ფრაზა, რომელიც შუა-გულია ფრაზისა, თუ ხანასი და რომელსაც დანარჩენი სიტყვები ფრაზისა და ფრაზები ხანასი გარს ახვევია, როგორც ვარსკვლავნი მზესა. ამ შუაგულის გამოსახსნელად, გასანათებლად საჭიროა შესაფერი ხმა შეეწყოს, შესაფერი კილო მოემარჯვოს. ერთხელაც გვითქვამს, რომ ადამიანის სიტყვა თავის-თავად ხშირად უღონოა სულისა და გულის მოძრაობის გამოსათქმელად და რაც ბუნებითად აკლია სიტყვას, ის კილომ, ხმამ, თქმის ჟუსიკამ უნდა შეამთავროს, შეავსოს. ჩვენ თითქმის არც ერთი არტისტი არ გვეგულება ჩვენში, რომ ეს შუა-გული სიტყვა ფრაზისა, შუა-გული ფრაზა ხანასი მისგან განგებ შემჩნეულ ყოფილიყოს და შესაფერის კილოთი გამოთქმული, და თუ ხანდისხან ეგ მოსდით ხოლმე, უფრო ზეგარდმო შთაგონებას უნდა მიეწეროს, ვიდრე განგებ დასწავლასა. თუ ამ მხრით გამოსარჩევია ვინმე, კიდეც

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 36—37.

ბ-ნი კ. ყ ი ფ ი ა ნ ი და კ. მ ე ს ხ ი. ერთსაც და მეორესაც ზოგჯერ ამის ხელოვნება გამოუჩენიათ და სასიამოვნოდ უმოქმედნიათ მსმენელზედ. ვის არ ახსოვს ის მართლა საოცარი კილო, როცა ბ-ნი ყ ი ფ ი ა ნ ი იტყვის ხოლმე „მ ე გ ე რ ა ს ი მ ი ა კ უ ლ ი ჩ ზ ა მ ბ ა ხ ო ვს შ ე ძ ა ხ ი ა ნ“. ამ ფრაზაშია თითქმის მთელის როლის ნასკვი და ბ-ნს ყიფიანს ეს უცვნია და დიდის ოსტატობით შეურჩევია შესაფერი კილოცა. ბ-ნი ყიფიანი ყოველთვის ერთნაირის ფხით ამბობს ამ ფრაზას და ეს გვიმტკიცებს, რომ იგი არ მოსდის ზეგარდმო შთაგონებით, რომელიც ხშირად ჰღალატობს ხოლმე არტისტსა, არამედ ცოდნით და დასწავლითა. ცოდნა და დასწავლა კი თავის დღეში არ უმტყუნებს ხოლმე არავის“.*

მაგრამ რა არის ეს ც ო დ ნ ა და დ ა ს წ ა ვ ლ ა განმანათლებლისათვის, რომელსაც მიზნად დაუსახავს ასწავლოს როგორც მსახიობს, ისე საზოგადოებას, საბოლოოდ კი ხალხში იდეები შეიტანოს სოციალური და ეროვნული მიზნების განსახორციელებლად? ი ლ ი ა უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ამა თუ იმ „როლის ცოდნა მარტო სიტყვების გაზეპირება არ არის, ეგ თუთიყუშსაც შეუძლიან. საქმე სიტყვის თქმის კილოს პოვნაა. ყოველს ფრაზაში შუა-გული სიტყვა უნდა უსათუოდ იპოვოს არტისტმა და ყოველს ხანაში შუა-გული ფრაზა. რაც უნდა მდარე თხზულება იყოს, ეს შუა-გული არ შეიძლება არ ჰქონდეს ფრაზასა და ხანასა. უამისოდ როლის ცოდნა, როლის თქმა, როგორც ვსთქვით, თუთიყუშობა იქმნებოდა, უგემური, უფერული. რაკი ეს შუა-გული იპოვა ფრაზისა, თუ ხანისა, მაშინ კილოც უნდა შეურჩიოს შესაფერი და მოსახდენი აზრისა, თუ გრძნობისა. ამ კილოსაც დასწავლა უნდა, ზედ-მიწევნით დასწავლაცა. ამიტომაც არის ხოლმე, რომ ყოველი დიდი არტისტი ერთსა და იმავე შუა-გულის სიტყვას და ფრაზას ერთისა და იმავე კილოთი ამბობს. ეს დაუსწავლელად შეუძლებელია. ხოლო იმისათვის, რომ არტისტმა შუა-გულს სიტყვას მიაგნოს ფრაზაში და შუა-გულს ფრაზას ხანაში, საკმაოდ გონება-მახვილი კაცი უნდა იყოს და რომ შესაფერი კილო შეუწყოს მიგნებულს სიტყვას, თუ ფრაზას, დიდი მცოდნე უნდა იყოს ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ი გ ნ ი თ ი ს ბ უ ნ ე ბ ი ს ა, იმიტომ რომ ყოველს ს ი ტ ყ ვ ა შ ი მარტო ს უ ლ ი და გ უ ლ ი ადამიანისა მეტყველებს და ყოველს მ ო ძ რ ა ო ბ ა ს სულისას და გულისას თავის კ ი ლ ო აქვს, თავის ჰ ა ნ გ ი, თავისი მ უ ს ი კ ა“.** რომ იტყვიან, უკეთესი დახასიათება არც შეიძლება.

მაგრამ სწორედ ეს უმთავრესი მოთხოვნა ყოფილა მივიწყებული „ჰ ა მ ლ ე ტ ი ს“ წარმოდგენის დროს. ამიტომ ილია გულისტკივილით აღნიშნავს, რომ სპექტაკლი მოწოდების სიმაღლეზე სრულებით არ იდგა, პირველყოვლისა აქტიორთა თამაში იყო სუსტი, მესაფლავის როლის შემსრულებელ ა წ ყ უ რ ე ლ ი ს გარდა ყველა მოიკოჭლებდა. შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტრაგედია კი ისეთი დრამატიული თხზულებაა, რომ იქ სიტყვა უნდა ისმოდეს მთელი თავისი სიძლიერით. მაგრამ, სამწუხაროდ, „ჰამლეტის“ წარმოდგენაში არც ერთმა არტისტმა ქალმა, თუ კაცმა ამ ხრით თავი არ იჩინა. ჩვენ რომ ბ-ნი მესხიევი ვნახეთ „თამარ ცბიერში“, გვეგონა, რომ ჰამლეტის როლში არ იქნებოდა ურიგო. მაგრამ ჩვენი იმედი გაგვიმტყუნდა და მეტის-მეტადაც. მშვენიერნი სათქმელნი

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 37—38. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ი ქ ვ ე, გვ. 38. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ჰამლეტისა სულ ხელაღებით გაუფუჭდა, გაუცუდდა ბ-ნს მესხიევს. ძნელად გამოარჩევდა კაცი, სად რას ამბობდა, სად რას მოგვითხრობდა. ბევრზედ არას ვიტყვით, მხოლოდ ესეც საკმაოა ვსთქვათ, რომ სახელოვანი მონოლოგი ჰამლეტისა „ყოფნა, თუ არ ყოფნა“ ისე დაიკარგა, რომ ბევრნი ეჭვობდნენ, ითქვა თუ არა, ბევრნი ჰკითხულობდნენ, ეს ადგილი გამოუტევა არტისტმა, თუ რა მოუვიდაო? ცოდვაა, ასე უგულოდ, ასე მოუმზადებლად მოექცეს კაცი შექსპირს, მერე სად? ჰამლეტში, საცა კარგად თქმას ასეთი დიდი და უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ წრფელის გულითა ვწუხდით, რომ ასეთი მარცხი მოუვიდა ბ-ნს მესხიევს, რომლის მოსაწონს ნიჭს არა ერთხელ უსიამოვნებია საზოგადოებისათვის“.*

თუ „ჰამლეტში“ ასე დაემართა უნიჭიერეს ლადო მესხიშვილს, შემდეგ დანიის მწუხარე პრინცის ყველაზე უკეთეს შემსრულებელს უშანგი ჩხეიძის გამოჩენამდე,** ადვილი წარმოსადგენია როგორი აქნებოდნენ დანარჩენი მსახიობები. ილია ჭავჭავაძე დიდი გულისტკივილით, ქართული თეატრის მომავლისადმი შთაგონებული ზრუნვით აღნიშნავს იმ სამწუხარო ფაქტს, რომ 1887 წლის სარეცენზიო სპექტაკლში ვერც ერთ მსახიობს თავი ვერ უსახელებია, ბრწყინვალე აქტიორებიც კი გაფერმკრთალებულან. ამას გვიდასტურებენ გულშემატკივარი რეცენზენტის შემდეგი სიტყვები: „ოფელიას ოფელიობამდე ბევრი რამ აკლდა, მაგრამ ბ-ნ საფაროვისას ისე არ წაუხდენია როლი, როგორც ბ-ნმა მესხიევმა წაახდინა. ესევე ითქმის ლეონიძისაზედ, რომელიც ჰამლეტის დედას თამაშობდა, პოლონიოს თამაშობდა ბ-ნი აბაშიძე. ჩვენის ფიქრით, ბ-ნი აბაშიძე ვერ შესწვდა ამ როლის შინაარსსა. პოლონიოს მართალია კარის-კაცია, ძალიან გაოსტატებული, ცბიერი, ლაქუცა, მაგრამ ამასთანავე თავ-მოწონებული ტახტის აზნაურია. ეს დიდი გვარი-შვილობის ღირსება და კარისკაცის, საცა საჭიროა ფიანდაზად ფეხ-ქვეშ გაშლა, ერთად უნდა მოეთავსებინა მოთამაშეს და იმან კი ის წარმოგვიდგინა, თითქო სოფლის გზირი იყოსო და არავითარი თავ-მოწონება და მედიდურობა არ უნდა ჰქონდესო“.*** ეს მშვენიერი სიტყვები შეიძლებოდა დაეწერა და აბსოლუტურად სწორი ეს შენიშვნები „ჰამლეტის“ გმირთა ხასიათზე შეიძლებოდა იმ დროს გაეკეთებინა მარტოდენ შექსპირის საუკეთესო მცოდნეს. ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთი შექსპიროლოგი იყო, რომელმაც ჯერ კიდევ 1873 წელს პეტერბურგში ხელი მოჰკიდა ინგლისურიდან „მეფე ლირის“ თარგმნას ივანე მაჩაბელთან ერთად. ჩვენ უცილოდ გვეჩვენება ის მოსაზრება, რომ მეტრი, რომლითაც გადმოღებულია გენიალური დრამატურგის ტექსტი ივანე მაჩაბლის მიერ „ჰამლეტსა“ და სხვა ტრაგედიებში, პირველად მიასადაგა ილია ჭავჭავაძემ, როგორც პოეტმა. ივანე მაჩაბლის უდიდესი დამსახურება შექსპირის ქართულად ამეტყველებაში, ცხადია, ამით ოდნავაც არ მცირდება.

ქართულ შექსპიროლოგიაში ასე დიდი წვლილის შემტანი ადამიანის სიტყვებს სრული ნდობა უნდა გამოეცხადოს, რომ 1887 წლის სარეცენზიო სპექ-

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2. გვ. 39.

** ქართულ სცენაზე შექსპირის განსახიერების შესახებ იხ. გიორგი ჯიბლაძე. ესთეტიკური თეორიის საკითხები, 1961 წ., გვ. 384—389.

*** ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 39—40.

ტაკლის დროს „...ჰამლეტმა უგემურად ჩაიარა, ბევრს არა ესმოდა-რა, რა ამბავია სცენაზედ, რადგანაც სიტყვას არამც თუ კილო ჰქონდა, თვითონ სიტყვაც რაღაც დუდუნად გადაჰქმნეს ასე, რომ კაცი ვერას არჩევდა. თუმცა თვითონ პიესა საკმაოდ კარგად არის ნათარგმნი და კარგნი მთქმელნი რომ მაინც შეხვედროდა, თავის სიკეთეს და ფხას არ დაჰკარგავდა ასე ხელ-აღებითა. მარტო ერთი არტისტი-ღა გამოჩნდა ამ წარმოდგენაზე, რომელიც არამც თუ შესწევდა თავის როლსა, არამედ მშვენივრად და ხელოვნებით გამოსახა. ეგ არტისტი ბ-ნი აწყურელი იყო მესაფლავის როლში. ძალიან კარგი რამ იყო. სრულს სიამოვნებას იმან დაუშალა, რომ ბ-ნი აწყურელი სიტყვებს გასაგონად არ ამბობდა, როცა მღეროდა. სხვაფრივ კი მისი ლაპარაკი და თამაშობა საგანგებო რამ იყო. რაც შეეხება ამ პიესის გარეგან მოწყობილობას, ესე იგი რეჟისორის საქმეს, ამ მხრით თითქმის ყოველივე არსებითი საჭიროება დავიწყებული იყო. ვწუხვართ, რომ ჰამლეტის წარმოდგენამ, რომელმაც აუარებელი ხალხი მოიწვია თეატრში, ასე უხერხულად ფუჭად, ასე ცუდად ჩაიარა... პიესას მთარგმნელი რამდენჯერმე გამოიწვია საზოგადოებამ და მობენეფისეს ბ-ნს მესიევს საჩუქარი მიართვა“.*

აქ ბევრი რამ არის საყურადღებო: ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მაღალ შეფასებას აძლევს ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ლ ი ს თარგმანს, და ქართულად ამეტყველებული „ჰამლეტი“ მართლაც ერთი უმშვენიერესი ძეგლია შემოქმედებითი თარგმანისა. საზოგადოებამ ეს უკვე იცოდა იმ დროს და ამიტომ გამოიწვია სცენაზე გულმხურვალედ ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი. სუსტი შესრულების მიუხედავად, ლ ა დ ო მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ს, როგორც მობენეფისეს, მაინც ასაჩუქრებენ და ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს რეცენზია მას დიდად დაეხმარებოდა ოსტატურად დაეხვეწა ჰამლეტის სახე. თვით დადგმა რეჟისორულად სუსტი ნამუშევარი ყოფილა, მხატვრული გაფორმებაც ასეთივე, ერთი სიტყვით, სპექტაკლს ნამდვილად ჰკლებია „არსებითი“ მოთხოვნები.

ამ რეცენზიით არ მთავრდება ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს დამოკიდებულება შ ე ქ ს პ ი რ უ ლ ი სპექტაკლებისადმი. მხედველობაში გვაქვს 1890 წელს საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსული ე რ ნ ე ს ტ ო რ ო ს ი ს სპექტაკლი „მეფე ლირი“, რომელიც 27 მაისს გამართულა. სახელოვანი იტალიელი ტრაგიკოსი მაშინ მესამედ იყო ჩამოსული რუსეთში და ასაკის მიუხედავად (როსი უკვე 63 წელს იყო მიღწეული), უდიდესი წარმატებით გამოდიოდა შ ე ქ ს პ ი რ ი ს ტრაგედიებში. შესრულების ღრმა ფსიქოლოგიურმა გააზრებამ, თავიდან ბოლომდე რეალისტური ესთეტიკიდან მომდინარემ, ე რ ნ ე ს ტ ო რ ო ს ი ს უმაღლესი ავტორიტეტი მოუპოვა მთელ მსოფლიოში. სახელოვანი იტალიელის ხელოვნება იმდენად ახლობელი შეიქნა ფართო მაყურებლისათვის გასული საუკუნის 50-იანი წლებიდანვე, რომ მას ყველგან, სადაც როსი გამოდიოდა, ქება-დიდებას ასხამდნენ. მისი ჰ ა მ ლ ე ტ ი, ო თ ე ლ ო, მ ე ფ ე ლ ი რ ი, რ ი ჩ ა რ დ ი, რ ო მ ე ო დ ა მ ა კ ბ ე თ ი, როგორც რეცენზენტები აღნიშნავდნენ, აქტიორული შესრულების მწვერვალი იყო. და თუმცა იმ დღეს, როცა თბილისში რ ო ს ი გამოვიდა, ს ა ვ ი ნ ა ს ბენეფისიც ყოფილა, მაგრამ გაძოჩენილი იტალიელის სპექტაკლზე საზოგადოებას „მთელი ბანკის თეატ-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 40.

რიც“ აუვსია. გაორკეცებული ფასების მიუხედავად, თეატრში „ტევა არ ყოფილა“. „ქანდარაც კი (რაიოკი) ძლივს იტევდა ხალხსო“.

როსისა და მისი სპექტაკლის ასეთი წარმატება სავსებით ბუნებრივია. „მეფე ლირი“, — წერს ილია, — ერთი უმთავრესი და უკეთესი როლია ბ-ნ როსის რეპერტუარში... და თვით არა ნაკლებ სახელოვან არტისტს სალვინის უთქვამს თურმე, რომ „მეფე ლირის“ წარმოდგენაში პირველობა და უპირატესობა ბ-ნ როსის უნდა დაუთმოთ ყველამაო. მართლა რომ კარგი რამ იყო ბ-ნი როსი კვირა დღეს მეფე ლირში. საზოგადოება აღტაცებული დარჩა. მშვენივრად მოუვიდა წყევლა უფროსის ქალის გონერილასი. ყველა მშვენიერებაზე უმშვენიერესად გაატარა ის ადგილი, როცა უფროსის ქალისაგან გულ-ნატკენი ლირი შესჩივის მეორე ქალს რეგანას — რა უდიერად და უმადურად მომექცა შენი და გონერილაო. ვერ წარმოიდგენს კაცი რა საოცრებით გადადიოდა ხოლმე როსი წყრომის ელვა-ჭექისაგან, როცა იგონებდა უფროსის ქალის ქცევას, იმ სილბოსა და სიტკბოზე, როცა რეგანას ეუბნებოდა, — „არა, რეგანავ, შენ იმისთანა არა ხარო“. მეტის-მეტად კარგი რამ იყო ბ-ნი როსი, როცა უფროს ქალის უმადურობისაგან ყელში სისხლ-მოსული იკავებს რისხვასა და წყრომასა და თითქმის გულ-ამოჯდომით ეუბნება, შენდობასავით, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე შენს თავზე არ მოვიწვევ რისხვას მღვთისას, რომ მოხუცებულს მამას ესე მოეპყარიო. ხოლო კალმით აუწერელია და უნახავადაც დაუჯერებელი იგი სცენა, როცა ლირი, შემდეგ ჭკუისაგან შეშლისა, იღვიძებს კარავში, გონზე მოდის და ცნობილობს მის მიერ უსამართლოდ განდევნილს და დაწყეველილს უმცროსს ქალს კორდელიას და მის მიერვე დასჯილს ერთგულს კენტსა. როცა როსი წამოდგა ფეხზე საწოლიდამ, მივიდა კორდელიასთან და მოწიწებით მუხლზე დაეშვა თავისს უმცროს ქალის წინაშე და შენდობა სთხოვა, უსამართლოდ მოგექეციო, ეს სცენა ისეთის უაღრესის ცოდნით, ოსტატობით და გრძნობით გაატარა, რომ არა გვგონია მომეტებული ხელოვნება-და შესაძლისი იყოს ადამიანისაგან. ბევრს მაყურებელს, თუ არა ყველას, ამ სცენის დანახვაზე გული ამოუჯდა და ბევრმა გულ-ამოჯდომისაგან ყურება ვეღარ შესძლო, ვერ აიტანა. კალამი უღონოა, სიტყვა ადამიანისა უქმია წარმოსთქვას ის „ქებათა-ქება“, რომელიც ღირსეულად ეკუთვნის ბ-ნ როსის. ვისაც როსი არ უნახავს „მეფე ლირში“, ის ნუ იტყვის, რომ ხელოვნება მინახავსო: ის გონებითაც ვერ მისწვდება რა შესძლებია ჭეშმარიტს ხელოვნებასა და მღვთისაგან მიმადლებულს და სწავლისაგან გაბრწყინვებულს არტისტსა. ერთის სიტყვით ბ-ნმა როსიმ გვაჩვენა და თვალ-წინ გაგვიტარა ცხოვლად და ნამდვილად მეფე ლირი — ეს უცნაური და ჰოარაობით და ავკარგიანობით სავსე კაცი მთელის მისის უხიაკობით, მთელის მისის მეტ ნაკლებობით. გვაჩვენა იმისი საშინელი რისხვა, წუეწლაკრულვა, უაღრესის გრძნობის ჭექა-ქუხილი, მეფური თვით-ნებობა და მოუდრეკელობა და ამასთანავე მისი კაცური-კაცობა, მისი ადამიანური გულ-მტკივნეულობა, მისი ჭეშმარიტი გულ-ლბილობა, დატკბობა, სიყვარული, ალერსიანი სიტყვა იქ, საცა გულისძგრა ლირისა მოითხოვდა“.*

არც ერთი სიტყვა აქ გადაჭარბებული არ არის. მოხუცებულობის მიუხედავად, როგორც ჩვენი ალექსანდრე იმედაშვილი, დიდი იტალიელი აქტიორი ერნესტო როსი სიკვდილამდე (1896 წელი) უჩვეულო წარმა-

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რე. I, ნაწ. 2, გვ. 41—43.

ტებით გამოდიოდა ლირის როლში".* ქართველმა საზოგადოებამ არა მარტო დაუსრულებელი ოვაცია გაუმართა რეალისტური თეატრის ვეტერანს, არამედ, დიდი ლხინიც მოუწყო და ქება-დიდება უძღვნა. გასაკვირიც არ არის: იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი შთამაგონებელი, რომელმაც თავისი უზადო ხელოვნება რევოლუციური მღელვარებით შეამკო, არ შეიძლებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელებსა და მონაწილეებს არ მოწონებოდათ, მისთვის სავსებით დამსახურებული პანეგირიკი არ მიეძღვნათ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, როგორც მშობელ მიწაზე ამ მოძრაობის აღიარებული ხელმძღვანელი, ამიტომ მიესალმება გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს სამშობლოს წარმოგზავნილს და შესაძლოა რ ო ს ი ს განდიდებაში იგი ახალგაზრდობისდროინდელ სიყვარულსაც აქსოვს „კლელიას" ავტორისადმი.

ახლა ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე საკითხს და დავამთავრებთ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, როგორც თეატრალური კრიტიკოსის, ქართული რეალისტური აქტიორული ხელოვნების თეორეტიკოსის დახასიათებას.

როცა 1891 წელს დ ა ვ ი თ ე რ ი ს თ ა ვ ი ს „სამშობლო" განახლდა, ილიამ სპეციალური რეცენზია მოათავსა „ივერიაში". რეცენზენტი მხურვალედ მიესალმა „საზოგადოების დიდად საყვარელი პიესის" აღდგენას სცენაზე, იმ გარემოებასაც, რომ თეატრის დარბაზი „ჰედით იყო სავსე".

მაგრამ პიესას „უფხოდ ჩაუვლია", მიზეზი კი მსაბიობი ს ვ ი მ ო ნ ი ძ ე უოფილა, რომელიც მთავარი გმირის ლევან ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა. მან „სათამაშოს ის მადლი ვერ დასდო, რომელსაც მისი როლი ითხოვს. ვერც სიხარული, ვერც მწუხარება ვერ გამოხატა ისე, როგორსაც მაყურებელი უნდა მოელოდეს იმისთანა ვაჟკაცისაგან, როგორიც ლევან ხიმშიაშვილია". რეალისტური თეატრის ღრმად მცოდნემ — ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად იცის, რომ „მეტის-მეტი გრეხა და პრანჭვა არ უხდება ლევან ხიმშიაშვილის სათამაშოს. კლაკნა მწუხარებისაგან და აქეთ-იქით თავის ხრა ვაჟ-კაცს არ შეშვენის. მაგისთანაები უფრო გულსუსტის კაცის გრძნობათა გამოსახვაა და არა გაუტეხელის ვაჟ-კაცის ღრმად დაძრულის გულისა. ვაჟ-კაცსაც უნდა დაატყოს თავის ბეჭედი ღრმა მწუხარებამ, მაგრამ ვაჟ-კაცურად-კი. დიადობა ვაჟ-კაცობისა და მთელი მისი ღირსება, ესე საოცრად მაყურებლის სასიამოვნოდ ამაღელვებელი, იმაშია, რომ კაცმა გული რკინისა გამოიჩინოს და აბჯარი ხისა იქ, საცა სუსტი კაცი გულს ბამბისას იჩენს და აბჯრად ცრემლსა ჰხმარობს. ნუგეში ვაჟ-კაცისა ვაი და ვიში არ არის. იგი ყოველს შემთხვევაში ბატონი და მბრძანებელი უნდა იყოს მწუხარებისა და უბედურებისა და არა ყურ-მოჭრილი ყმა და მონა. იგი უბედურებას უნდა ჰგრძნობდეს და არ-კი ელახვინებოდეს, იმიტომ რომ ვაჟკაცობა ძალაა და არა უღონობა, რომელსაც ვაისა და ვიშის მეტი სხვა გზა არა აქვს".**

განა შეიძლება ამ მშვენიერ სიტყვებს, ღრმა აზრებსა და თავიდან ბოლომდე მართებულ შენიშვნებს რაიმე დაემატოს? მარტოოდენ ადამიანის შინაგანი ქვეყნის უნივერსალურ მცოდნეს შეეძლო მოეცა ა ქ ტ ი ო რ ი ს ა და მისი

---

* შეადარეთ ალექსანდრე იმედაშვილის ლირი (იხ. გ ი ო რ გ ი ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, 1961 წ., გვ. 384—389, სადაც დახასიათებულია იმედაშვილის ლირი).

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 60.

რ ო ლ ი ს ამგვარი დასრულებული ა ნ ა ლ ი ზ ი, სადაც ჰ ე შ მ არ ი ტ ე ბ ი ს სამსხვერპლოზე მოურიდებლად ყველაფერია ნათქვამი. მსახიობს თითქოს ისიც კი არ აკმარა, რაც მწარედ უთხრა, რეცენზენტმა მის თამაშში სხვა ნაკლიც აღნიშნა: „ერთი სხვა არა სასიამოვნო ჩვეულებაცა სჭირს ბ-ნს სვიმონიძეს. მეტის მეტად დიდი ქშენა იცის სცენაზე, მითამდა გრძნობათა აფორიაქების ნიშნად. ვერაფერი ნიშანია და მეტის-მეტად წამახდენია მაყურებლის გუნებისა, როცა ეგ ქშენა, საერთოდ დასაწუნი, უადგილო ადგილსაც თავს იჩენს ხოლმე. მართალია, გამოჩენილმა როსსიმ ხანდისხან იცოდა ხოლმე, რომ მკერდი აუდის და ჩამოუდის, როცა გული, მოქმედების მიხედვით, შეეძროდა რაიმე დიდის გრძნობითა, მაგრამ იცის ხანდისხან და თავის ადგილას და არა ისე ხშირად და თითქოს ყველგან, როგორც ბ-ნს სვიმონიძეს მოსდის.

ეგ მკერდის ძვრა და გახშირებული დიდი ქშენა ბ-ნ სვიმონიძისა უფრო უმიზეზო დაღალვასა და დაქანცვას გვისახავს ხოლმე, ვიდრე საშინელს ძვრას იმ ძლიერის გრძნობისას, რომელიც კაცის გულის სიღრმეში აიშლება ხოლმე და ადამიანის მკერდს აქეთ-იქით აქანებს, იმიტომ, რომ გული, გრძნობის ქარტეხილით შეპყრობილი, თავის ბუდეში იძვრის და არა დგება. დიდი ოსტატობა უნდა, დიდი გამოცდილება, დიდი ხელოვნება, რომ მკერდის ძვრამ და გახშირებულმა, აჩქარებულმა ჰქშენამ აღმობეჭდოს ჭეშმარიტი გულის ძვრა და არ მიემგზავსოს დაღალვის და დაქანცვის განსურათებას. ჩვენ ვურჩევთ ბ-ნს სვიმონიძეს მაგ ჩვეულებაზე ხელი აიღოს“.* დიაღ, ცუდ ჩვეულებაზე მართოდენ „ხელის აღება“ უშველიდა მსახიობს გათავისუფლებულიყო იმ მავნე სენისაგან, რაც რეალისტური თეატრის ბუნებისათვის სრულიად შეუფერებელი ჩანდა, რ ო ს ი ს მაგალითი ერთხელ კიდევ მოწმობდა, რომ ბუნებრიობა, ზომიერება, გრძნობისათვის შესაფერი ადგილის მიჩნევა რეალისტური თეატრის ალფა და ომეგაა, ხოლო აქტიორს მათი ოსტატური დაცვა' მოეთხოვება. როგორც კი სვიმონიძემ ეს შეიძლო, ილიამ არ დააყოვნა აღენიშნა „უკანასკნელს მოქმედებაში, როცა ხიშიაშვილი თანახმად აღთქმისა, ჰკლავს ხანჯლით ქეთევანს, ბ-ნმა სვიმონიძემ საგანგებოდ გაატარა სცენაო“. ობიექტურმა რეცენზენტმა არ დაუკარგა მსახიობს, რაც მას კარგი ჰქონდა.

ასეთივე მიდგომა გამოიჩინა რეცენზენტმა კოტე ყიფიანისადმი, რომელიც ლეონიძის როლში გამოვიდა. ილია ჭავჭავაძე ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ს, როგორც აქტიორს („თავით ფეხამდე არტისტიაო“), მის მიხვრა-მოხვრას, სცენაზე თავის დაჭერას, ყველაფერში ჰარმონიულობას, მაგრამ ნაკლსაც არ უმალავს: „ცოდვა არ არის, რომ ამისთანა ნიჭით შემკულს არტისტს ენა არ ემორჩილება! ცოდვა არ არის, რომ ამისთანა არტისტი სიტყვებს ჰყლაპავს და ენა ებმის ხოლმე!..“** ამ ნაკლისაგან თავისუფალი იყო ვ ა ს ო ა ბ ა შ ი ძ ე, მაგრამ, მიუხედავად შაჰის გარეგნული სწორი პორტრეტირებისა (ჩაცმა-დახურვაც ხელს უწყობდა), მაყურებელს მაინც გაუცინებია, როგორც კი იგი სცენაზე დაუნახავს. ასე იცის ამპლუამ. და ილია ჭავჭავაძე მართალია, როცა ამბობს: „საკომიკო არტისტი, რაც გინდ სატრაგედიოდ მოირთოს, სახე გაიკეთოს, რაც გინდ, მოქმედების მიხედვით, ოსტატურად მოიქცეს, ხელოვნურად ითამაშოს, მაინც ისე არ გადურჩება, რომ იქ, სა-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 60—61.
** ი ქ ვ ე, გვ. 61.

ცა იგი სტირის, მაყურებელმა არ გაიცინოს, თითქო მისი ტირილი არა სჯერაო. იმიტომ-რომ მაყურებელნი ჩვეულს არიან იმისაგან მარტო სიცილს და ყოველი სხვა მოქმედება მისი სასაცილოდვე მოგონილად მიაჩნიათ. ესეთია ძალ-მომრეობა ჩვეულებისა და ამიტომ სასურველი არ არის, რომ მაგისთანა სახელოვანი არტისტი, როგორიც ბ-ნი აბაშიძეა, რეჟისორმა თავის კუთვნილს ადგილს არ ჩააყენოს ხოლმე. არტისტიც ცუდს მდგომარეობაშია ხოლმე და მაყურებელსაც ვერ უძლევია ჩვეულება და ილუზია ეკარგება იმის მოლოდინით, რომ საცაა ბ-ნი აბაშიძე სასაცილოს რასმე გამოატყუვრენსო".* თუ ასევე არ ემართებათ ტრაგიკოსებს კომიკურ როლებში (ესე იგი, როგორღა გვაცინებს ტანჯვას შეჩვეული მსახიობი?) ეს უკვე სხვა საქმეა, შებრუნებული მდგომარეობაა, იქ „ძალ-მომრეობას ჩვეულებისას" ბორკავს დიდი არტისტის ოსტატური თამაში, როგორც ამას ჩვენს დროში ახერხებდა უ შ ა ნ გ ი ჩ ხ ე ი ძ ე — ერთ ღამეს ჩ ე ნ ჩ ი, მეორე ღამეს — ყ ვ ა რ ყ ვ ა რ ე, ერთ ღამეს — უ რ ი ე ლ ი, მეორე ღამეს — კ ვ ე ქ ე ნ ა ძ ე.

მაგრამ, ეტყობა, სვიმონ ლეონიძეს შემდეგ (1892 წელს) თავისი უნაკლო შემსრულებელიც უპოვია. ილია ჭავჭავაძემ არ დააყოვნა სპეციალური რეცენზია დაეწერა — „ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში" და აღნიშნა: „შესაფერი მორთულობითაც" და თამაშითაც მსახიობი „ისე შეესაბამებოდა ძველს, დარბაისელს ქართველს და ამასთან დიდსულოვანს და დიდგულოვანს კაცს, როგორც სვიმონ ლეონიძეა, რომ სწორედ აკვირვებდა მაყურებელსო".** ძალიან კარგი ყოფილა ლევან ხიმშიაშვილთან სიკვდილის წინ გამოთხოვების სცენა, როცა ლეონიძე ამბობს: „ლევან, აღთქმა, აღთქმა, არ დაივიწყო აღთქმაო". ეს სიტყვები გამყრელიძეს ჩურჩულით უთქვამს, მაგრამ მთელ დარბაზს მოჰფენია და მაყურებელი აღტაცებაში მოუყვანია. როლი იმდენად დიდი ოსტატობით ყოფილა შესრულებული, რომ გამყრელიძე მაშინაც კი, როცა დიდი ხნიდან (უკანასკნელ მოქმედებებში ლეონიძე აღარ მონაწილეობს) ვალმოხდილი „იჯდა ლოჟაში, დიდის ძახილით ხელახლავ გამოიწვიეს და ერთიანის ტაშის გრიალმა აჩვენა არტისტს, რომ ნიჭის დაფასება ჩვენცა გვცოდნია".*** გამყრელიძეს ოსტატურ თამაშთან ერთად „სიტყვა-პასუხის კილოც მშვენიერი" ჰქონია. ყველაფერში იგი უაღრესად ბუნებრივი ყოფილა, როგორც ილია წერს — „ფრიად ჰკვიანური, გრძნობიერი, უმეტნაკლებო", რეალისტური თეატრისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი მაჯისცემით გამთბარი: „მისი თამაშობა ამ შემთხვევაში თვით ბუნება იყო, არაფერი მეტი, არაფერი ნაკლები. თავიდამ ბოლომდე ერთნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილ გმირის ბუნების შეუბღალავად გაატარა თავისი როლი".****

ის მიდგომა სცენისა და აქტიორებისადმი, რაც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, გეხვდება ილია ჭავჭავაძის სხვა რეცენზიებშიც. მაგალითად, როცა „ხათაბალას" განიხილავს, ჯერ კ ო ტ ე ყ ი ფ ი ა ნ ი ს, როგორც აქტიორის, თამაშს გამოჰყოფს, მიესალმება დრამატიული საზოგადოების მიერ მოწვეულ არტისტად მის მოწვევას, ვინაიდან მიაჩნია, რომ იგი „საკმაოდ ღონიერი ნი-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 62.
** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, 1953 წ., გვ. 195.
*** იქვე, გვ. 196.
**** იქვე, გვ. 195—196.

ჭია და ნიჭს გარდა დახელოვნებული არტისტიც არის".* ეს ორი აუცილებელი პირობა ნამდვილი აქტიორისა კოტე ყიფიანს იმდენად ძლიერი აქვს, რომ თავისი არამარტო „ჭეშმარიტის გრძნობის სიმებს ააღერებს" ხოლმე ადამიანის გულში, არამედ „ესტეტიურს სიამოვნებას აგრძნობინებს" მაყურებელს „თავიდამ ბოლომდე მწყობრი, დალაგებული, თანაბარი" წარმოდგენით დაკისრებული როლისა. კოტე ყიფიანის შესრულება იმით გამოირჩევა, რომ „ნიჭი ხელოვნებას ეკითხება თავის საზღვარს და ხელოვნება ნიჭსა სთხოვს სითბოს და ბრწყინვალებასა". არც ერთი არ იჩაგრება, ორივე ერთმანეთს ემორჩილება. არსად ეს ბედნიერი შერწყმა ორი სიკეთისა არ ირღვევა, გარდა იმ განსაკუთრებული შემთხვევისა, როცა „როლის არცოდნასთან" გვაქვს საქმე. ეს კი ისეთი არტისტისათვის, როგორიც კოტე ყიფიანია, „შეუნდობელ ცოდვად" მიაჩნია ილია ჭავჭავაძეს; გარდა ამისა, „უკადრისობაა მაყურებელთა საზოგადოების წინაშე" და „თავის საკუთარის ღირსების გამომეტებაც არის".** რაც შეეხება იმ ნაკლს, რომელიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ილია ისევ დასძენს, რომ ყიფიანს „ზოგჯერ ენა ებმის და სიტყვების ბოლოებს ჰყლაპავს". მაგრამ ეს ზადი ორგანული არ არის, ისევე, როგორც „მეტად ხშირად და უადგილო ადგილას... ხელებისა და თითების უთავბოლო მოძრაობა". საერთოდ, „მიმიკა", როგორც სამართლიანად დასძენს ილია, — „სახსარია მხოლოდ სიტყვით გამოთქმულის აზრის შესავსებელი".*** არც ერთი ნაკლი, რაც ყიფიანს ზოგჯერ ახასიათებდა, პიესა „ხათაბალაში" მას აღარ ჰქონდა; ზამბახოვის როლი მას უნაკლოდ შეუსრულებია, მხოლოდ იმ საღამოს (კვირას) კარგად ვერ გამოსვლია ცნობილი ფრაზა: „მე გერასიმ იაკულიჩ ზამბახოვს მეძახიანო". სხვა დროს კი, როგორც ვნახეთ, იგი საოცარი ოსტატობით წარმოთქვამდა ამ სიტყვებს. ილია ჭავჭავაძე დაასკვნის, რომ მას სურს კოტე ყიფიანმა ყურად იღოს შენიშვნები, უნაკლოდ ითამაშოს, და ეს სურვილი გადაჭარბებული არ არის, რადგანაც მისთვის „ღმერთს საკმაო ნიჭი მიუცია და შრომას საკმაო ხელოვნება".

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ილია ჭავჭავაძეს უდიდესი როლი მიუძღვის ქართული თეატრის შემოქმედებითს დაწინაურებაში, ქართველ არტისტთა ოსტატობის აღზრდაში. მისი შენიშვნები ა წ ყ უ რ ე ლ ი ს ნიჭზე — „თვითმყოფი არტისტობა"**** შეიძლება გასწიოსო, ა ლ ე ქ ს ი მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ზ ე — ჭკვიანი, ლაზათიანი, რიგიანი, წინდახედული, სასიამოვნო მსახიობია, მხოლოდ „უყურადღებოდ ექცევა ქართულს ენასო"***** — უფრო აღმზრდელ-რეჟისორს გვანიშნებს, ვიდრე მარტოოდენ თეატრალურ რეცენზენტს. ეტყობა, ამ შენიშვნას ლადო მესხიშვილი დიდ ანგარიშს უწევდა. მაგალითად, „შეშლილია"-ში, როგორც თვით ილია წერს, ეს ნაკლი აღარ ჩანდა.****** ილია რეჟისორის მუშაობასაც აღნიშნავდა ხოლმე; ნამუშევარი მოუწონა „ხათაბალას" დამდგმელს — რეჟისორ თ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს, მაგრამ „შეშლილია"-ში დაიწუნა რეჟისორის არჩევანი—ცოტად თუ ბევრად სადრამო როლის დაკისრება კომიკური ჟანრის

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. III, 1953 წ., გვ. 93.
** ი ქ ვ ე. გვ. 94.
*** ი ქ ვ ე.
**** ი ქ ვ ე, გვ. 96.
***** ი ქ ვ ე, გვ. 97.
****** ი ქ ვ ე. გვ. 102.

მსახიობისათვის. ეს მსახიობი ვასო აბაშიძე იყო. ექიმის როლში მისი გამოსვლა, სერიოზული სახის ნაცვლად, კომიკური ყოფილა. ილიას ამიტომ მიაჩნია რეჟისორის არჩევანი „დიდ შეცდომად“. როგორ შეიძლება სადრამო როლი ისეთ მსახიობს მიენდოს, რომლის ყოველგვარი მოქმედება სცენაზე, უბრალო გამოჩენაც კი მაყურებლის განუწყვეტელ სიცილს იწვევსო. ვასო აბაშიძეს ექიმის როლში იგივე მოსვლია, რაც შაჰის განსახიერებისას. სამაგიეროდ, ვოდევილში — „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ!“ ისე უთამაშნია, რომ მაყურებელი სიცილით დაუღლია. „არ გაგონილა ამისთანა კომიკი, როგორიც ბ-ნი აბაშიძეა,—წერს ილია,—როცა თავის როლშია და გუნებაზედაც არის. ნამდვილი არტისტია“. ისეთი შემოქმედებითი ნიჭი აქვს, რომელიც „იშვიათად ექნება ხოლმე დიდს გამოჩენილს არტისტსაც და რომელიც ჩვენს არტისტებში არ შეგვინიშნავს. ყოველს მოქმედ პირს, თუ კი მისის შესაფერის როლისაა, იგი განასახოვნებს ხოლმე და „ტიპად“ გარდააქცევს, რაც უნდა ცოტა სახსარი ჰქონდეს მიცემული ავტორისაგან არტისტს ამისათვის“.* როგორც მესხიშვილის „საოცარი ხელოვნება“, ისე ვასო აბაშიძის „გაუგონარი კომიკობა“ ილიამ პირველმა განაზოგადა, თავის თავში ჩაახედა, რომ მათი არტისტული ზრდისათვის ხელი შეეწყო.

ილია ჭავჭავაძისაგან ასევე ბევრად იყო დაჯილდოებული მაკო საფაროვისა. მის დიდ ტალანტს „აჩრდილის“ ავტორი ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდა. ნატო გაბუნიას ნიჭი კი, რომლის ბრწყინვალებაში ზოგჯერ აუხსნელი ხარვეზებიც იყო, ილიას მიაჩნდა ბუნების ჯილდოდ. „ხათაბალაში“, სადაც იგი გიორგის დეიდის როლს ასრულებდა, მისი პირველივე გამოსვლა ჩადრითა და სხაპა-სხუპიანი ლაპარაკით, ისე კარგი ყოფილა, რომ ილია წერს: „მარტო ეს ერთის წუთის სცენა ჰღირდა ერთ მთელ წარმოდგენადრე“.** სამივე მსახიობი — საფაროვისა, გაბუნია, აბაშიძე ისე დიდი ოსტატობით გამოდიოდნენ სცენაზე, რომ პირველის ბენეფისის დროს, როცა „დავიდარაბა“ და „ბარაქალა მასწავლებელო“ წარმოადგინეს, ერთ-ერთ მაყურებელს უთქვამს, „ამ არტისტების უბედურობა ის არის, რომ ქართველებად არიან დაბადებულნიო. ეგენი რომ ან რუსეთში იყვნენ ან სხვაგან სადმე და რომელიმე გავრცელებული ენა ჰცოდნოდათ და ისე ეთამაშნათ, აუარებელს სიმდიდრეს და დიდს სახელს შეიძენდნენო“.***

ქართული სცენის ოსტატები: ავალიშვილი (რომელსაც ქალთა შორის ძალიან ეხერხებოდა სცენაზე „დიდკაცურად თავის დაჭერა“), აწყურელი (თვითმყოფი, თავისებური ნიჭი) და მრავალი სხვა ბედნიერნი იყვნენ, რომ შემფასებლად ილია ჭავჭავაძე ჰყავდათ. სასცენო ხელოვნების ღრმად მცოდნე რეცენზენტი, იმ დროს ქართული კულტურის გოლიათი—ილია ჭავჭავაძე მისთვის დამახასიათებელი ენციკლოპედიურობით განიხილავდა ნიჭიერი, მაგრამ ჯერ კიდევ გამოუცდელი, ახალგაზრდა აქტიორების შემოქმედებას. „აჩრდილის“ ავტორს არ დაუტოვებია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული ქართული თეატრის არც ერთი პრობლემა, რომელსაც არ შეხებოდეს და სპეციალური მსჯელობის საგნად არ ექციოს. თეატრის იდეურობა,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 106.
** იქვე, გვ. 98.
*** იქვე, გვ. 113.

როგორც აუცილებელი ნიშანი სასცენო ხელოვნებისა, ტრაგიკული და კომიკური („სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდიქმნას ლაზღანდარობაღ და ტირილი კიდევ უგემურ კნავილად"), ორიგინალური და თარგმნილი რეპერტუარი, თარგმანში ხარვეზის (ინტრიგის) შესადგენება ქართულ სინამდვილესთან (მაგალითად, ფრანგი მწერლის სარდუს „დივორსონი", რუსულიდან ქართულად გადმოკეთებული ვასო აბაშიძის მიერ), გარდა ამისა, აქტიორული და რეჟისორული შემოქმედების, თეატრის ორგანიზაციულ-ადმინისტრატიული და მრავალი სხვა. საკითხი „აჩრდილის" ავტორმა ისე ღრმად განიხილა, რომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით: ილია ჭავჭავაძემ თავისი დროის ქართულ თეატრს ისეთივე სამსახური გაუწია რეცენზიებით, როგორიც თანამედროვე ქართულ ლიტერატურას კრიტიკული წერილებით. ორივე შემთხვევაში მას უხდებოდა ყამირი გადაეხნა.

ეს ყამირი ზოგჯერ არამარტო ქართული თეატრის უშუალო ეროვნული ინტერესების შევნების გზაზე აღმართებოდა, არამედ მასთან დაკავშირებულ სხვა საქმეებშიც. ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის დიდი მეთაური, ასეთ ყამირსაც ტეხდა ხოლმე: როცა 1886 წლის 6 მაისს ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ გოგოლის „რევიზორს" პეტერბურგის სცენაზე პირველი დადგმიდან 50 წლის იუბილე გადაუხადა, ილია სპეციალური წერილით გამოეხმაურა ამ ღირსსახსოვარ თარიღს. თავის წერილში — „გოგოლის „რევიზორის" საიუბილეოდ" მან გულისტკივილით აღნიშნა, რომ იუბილეს არ ესწრებოდნენ თბილისში მყოფი რუსი მწერლები, რომელთათვისაც გოგოლი „... საკუთარი გულის და სულის საქმე უნდა ყოფილიყო".* ასეთი გამოქომაგება დიდი რუსი მწერლის უკედავსაყოფად ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ „აჩრდილის" ავტორი აზრითაც და საქმითაც ერთი იყო. მისთვის „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვა ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად" მარტო თავის ერს არ უკუთვნოდნენ. მართალია, ამ მწერლების მეოხებით „ევროპამ... სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალღონეს"; ამ მწერლებმა განადიდეს მშობლიური ერი; ისინი რუსეთის დიდი მწერლებია; ისინი, ეს „დიდებუნებიანნი კაცნი", თუმცა „სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თავისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელი კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯესა სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა".** ეს კოსმოპოლიტიზმი კი არ არის ილიას მსოფლმხედველობისა, არამედ, ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის განმანათლებლური ასპექტით ერთიანობაში განხილვაა, რომლის მკაფიო მაგალითი ჩვენ უკვე ვნახეთ ბარათაშვილის პოეზიისა და რუსთაველის გმირების დახასიათების დროს.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. III, 1953 წ., გვ. 87.

** იქვე.

შეიძლებოდა დაგვეწერა მთელი ტრაქტატი — „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი". იმდენად დიდია ამ თემაზე მასალა, ისეთი ღრმა და საინტერესო, რომ მკვლევარს შეუძლია ჩვენი თეატრის ისტორიული საკითხების პარალელურად ფართოდ გაარკვიოს სასცენო ხელოვნების მრავალი პრობლემა. ჰაკრამ ის, რაც ითქვა, ნათლად გვიჩვენებს, რომ ილია ჭავჭავაძემ უდიდესი ამაგი დასდო მშობლიური თეატრალური კულტურის განვითარებას; მის სახელს მჭიდროდ უკავშირდება მე-19 საუკუნის შეორე ნახევრიდან ქართული სცენის, რეჟისურის, რეპერტუარისა და აქტიორული ოსტატობის ყველა საკითხი. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა: განმანათლებლობა უველგან — ევროპასა თუ რუსეთში თეატრს მიაჩნევდა. როგორც უველაზე ძლიერ ფაქტორს ხალხის თვითშეგნების ამაღლებასა და განვითარებაში. ილია ჭავჭავაძე ხომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე განმანათლებელი დარჩა.

VII

მაგრამ ის, რაც განმანათლებლობაზე ითქვა, მხოლოდ ერთი მხარეა. ახლადმიკვლეული მასალები მოწმობენ, რომ ილია ჭავჭავაძემ ბოლომდე შეინარჩუნა პატივისცემა რუსეთის 60-იანი წლების მოღვაწეებისადმი. ამას ადასტურებენ მისი წერილი-ნეკროლოგები 1891 წელს გარდაცვლილი ორი ძველი რაზნოჩინეცის—ელისეევისა და შელგუნოვის ხსოვნისადმი. პირველ ნეკროლოგში — „გრ. ელისეევი", რომელიც დაბეჭდილია „ივერიის" 1891 წლის 64-ე ნომერში, ილია ჭავჭავაძე ასე ახასიათებს ელისეევს: „დემოკრატობა ჭეალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. პრინციპები კი არა, ინსტინქტებიც კი დემოკრატებისა ჰქონდა. არც უღალატნია ამ პრინციპებისა და ინსტინქტისათვის 1858 წლიდამ, როცა დაიბეჭდა მისი პირველი წერილი «Современник»-ში, 1891 წლამდე, ესე იგი, უკანასკნელ სულის დგმამდე. აი სახელწოდება ზოგიერთის იმის წერილებისა: „როდის იყო ბედნიერი რუსეთის გლეხკაცი და როდის დაიწყო მისი უბედურება?", „გლეხ-კაცთა საქმე", „ბატონ-ყმობის გადავარდნა", „მომცევი და სხვ. ძალა რუსეთისა" და მწარმოებელი".* როგორც ეს დახასიათება, ისე მთელი ნეკროლოგი მოწმობს ელისეევისადმი დიდ პატივისცემას. არც ისე მცირე სამგლოვიარო წერილში (მანქანაზე გადაბეჭდილი 6 გვერდია), ძალიან კარგად ჩანს, რომ ავტორი ახლოს იცნობს გარდაცვალებულის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის მუშაობას „სოვრემენნიკსა", „ოტეჩესტვენიე ზაპისკისა" და „ვესტნიკ ევროპის" რედაქციებში; მოტანილია ზოგიერთი ისეთი ცნობა „იმ ძვირფასი კაცის" პირადი ღირსებისა, რომელიც გარეშე მაყურებელს ვერ ეცოდინებოდა, თუნდაც ნ. მიხაილოვსკის წერილით „რუსკოე ვედომოსტში" ვერ შეიტყობდა.

აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ილია ჭავჭავაძეს შეუძლებელი იყო ერთგვარი სიახლოვე არ ეგრძნო ელისეევთან სოფლის ანტიპეიზანურ გაგებაში, ერთის მხრივ, და გლეხობისადმი ერთგულ სამსახურში, მეორეს მხრივ. იყო კიდევ წარსულის თეორიულ განსჯაში კლასების შესახებ არა ერთი

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, გამოვლენილი პლატონ კეშელავას მიერ; შეკრიბა საჯარო ბიბლიოთეკამ, რვ. I, ნაწ. 2, 1963 წ., გვ. 50.

შემხვედრი წერტილი, თავი რომ დავანებოთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფაქტებს. ყველაზე მთავარი მაინც იყო ბატონყმობის, გლეხობის საკითხი, და ის სიახლოვე, რომელსაც ეს პრობლემა ააშკარავებდა ამ ორი ადამიანის აზრთა დენაში. შესაძლოა ილიამ ამიტომაც გამოჰყო ცალკე ელისეევის ეს დამსახურება და მიუთითა: „ყველა თავის ნაწერებში (ელისეევი — გ. ჯ.) მუდმივს დარაჯობას უწევდა ერისა და გლეხ-კაცობის ინტერესებსა. ვერაფრით, ვერა სიტყვების კაზმა-ლამაზობით, ლიბერალურის სიტყვების რახა-რუხით ვერ მოატყუებდა ელისეევს კაცი და ვერ გადააბვევინებდა ერთხელ არჩეულს სადემოკრატო გზას. სუნით მიხვდებოდა ხოლმე, როცა უნდოდათ დამცირება და დაჩაგრა გლეხ-კაცობისა, იმდენად ხალხის მოსიყვარულე გული ჰქონდა განსვენებულს“.* ხალხის ეს მოსიყვარულე გული, როგორც ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიის გადმოცემის დროს ვუჩვენეთ, თვით „აჩრდილის“ ავტორს იმდენად ძლიერი ჰქონდა, რომ შეუძლებელი იყო სხვისიც დიდი პატივისცემით არ მოეხსენებინა. ამიტომ დაწერა ასე სიყვარულით ძველ რაზნოჩინეცზე, ამიტომ გაიხსენა მისი ცხოვრების წვრილმანებიც, რომ 80-იან წლებში კარჩაკეტილი ელისეევი დაესწრო პუშკინის ძეგლის გახსნას მოსკოვში, როგორც „ოტეჩესტვენნე ზაპისკის“ დეპუტატი, რითაც ნაცნობები გააკვირვა, ლორის-მელიქოვის დროს მწერლობის მთავარ სამმართველოს უფროსს აბაზას ეახლა და შემდეგ ჟურნალში ვრცელი წერილი მოათავსა; ისიც არ დავიწყებია ეთქვა, რომ „განსვენებული დიდად თავ-დაჭერილი, დინჯი და დარბაისელი კაცი იყო, დიდად შორიდებული“... „არც ბევრი ლაპარაკი უყვარდა“; „სკეპტიკი დიდი იყო, მაგრამ ცივს წყალს არავის გადაასხავდა ხოლმე“; დაცინვაც იცოდა. მაგრამ „არა ისე, რომ გული ეტკენინებინა და დაეწვა“;** იყო უაღრესად გულკეთილი, მთელი ქონება (50 ათასი მანეთი) ცოლ-ქმარმა (მეუღლე ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა) სალიტერატურო ფონდს დაუტოვეს.

ეს ფაქტები ჩვენ განზრახ მოვიტანეთ, იმის დასადასტურებლად, რომ ნეკროლოგს არა აქვს მშრალი ოფიციალური ტონი, ავტორის სინანული გულწრფელი და ღრმაა, რაკი გამოწვეულია ახლობელი, საყვარელი ადამიანის დაკარგვით

ეს სიყვარული და სინანული ჩანს მეორე ნეკროლოგშიც — „ნიკოლოზ ვასილის ძე შელგუნოვი“, რომელიც მოთავსებულია იმავე 1891 წლის გაზეთ „ივერიის“ 88-ე ნომერში. ვინც კარგად იცნობს რაზნოჩინცურ მოძრაობას. მან ასევე კარგად იცის შელგუნოვის დიდი როლი გაღვიძების საუკუნის 60-იანი წლების ისტორიაში. იმ დროს არ მომხდარა არც ერთი ფაქტი (პოეტ მიხაილოვის ტრაგედია, დობროლუბოვის, პისარევისა და ზაიცევის მოღვაწეობა, ჩერნიშევსკის გადასახლება შორეულ იაკუტთა შორის, „სოვრემენიკის“ მდგომარეობა, რევოლუციური აჯანყებისათვის მზადება და სხვ.), რომელიც შელგუნოვის სახელსაც არ უკავშირდებოდეს. ეს იყო ერთი უაღრესად პრინციპული ადამიანი, ნათელი და სპეტაკი მოღვაწე, მთელი ცხოვრება უანგაროდ რომ ხალხის სამსახურს მოახმარა. ასეთი ადამიანი, მწერალი და მოაზროვნე, რაზნოჩინ-

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, გამოქვეყნილი პლატონ კეშელავას მიერ; შეკრიბა საჯარო ბიბლიოთეკამ, რე. 1, ნაწ. 2, 1963 წ., გვ. 51.

** იქვე, გვ. 52.

ცური მოძრაობის ერთ-ერთი კორიფე შეუძლებელი იყო თერგდალეულთა ბელადს არ ჰყვარებოდა, მისი სიკვდილი მტკივნეულად არ განეცადა. ნუკროლოგში ძალიან ნათლად ჩანს ეს სიყვარულიცა და ეს ტკივილიც. ამასვე გვიდასტურებს სამგლოვიარო წერილის შემდეგი ადგილი: „დასაფლავება ბევრია და ნათლობა კი იშვიათი არისო“ უმახვილნია ვიღასაც გრ. ელისეევის დასაფლავებაზე. მართლაც ამ ბოლო დროს თითქმის ზედი-ზედ გამოეთხოვნენ წუთი-სოფელს რუსეთის უკეთესნი მწერალნი, რომელნიც ამშვენებდნენ რუსეთის ლიტერატურას და მათ მაგიერ კი ახალნი მნათობნი როგორღაც აღარ ჩნდებიან... შელგუნოვისთანა მწერალის დაკარგვა, თუმცა განსვენებული მოხუცებაში იყო და 67 წელში გადადგა წელს, დიდი დანაკლისია რუსეთის მწერლობისათვის. ამისთანა ერთგული მუშაკი მწერლობისა, ამისთანა გულითა და სულით მწერლობის მოყვარული კაცი იშვიათია ყველგან და, რასაკვირველია, რუსეთშიაც“.*

შემდეგ დახასიათებულია შელგუნოვის მოღვაწეობის დასაწყისი, მოხსენიებულია მისი პირველი თხზულება ტყის საკითხებზე (შელგუნოვი თავდაპირველად მეტყეველ იყო), გამგზავრება უცხოეთში, სადაც იგი, „ჯერ კიდევ ახალგაზრდა, გულით წვინდა და გონებით გამჭრიახი“ კაცი „გაიტაცა ახალმა აზრებმა კაცთ-მოყვარეობისა და სიმართლის სამსახურისამ. რუსეთში რომ დაბრუნდა, მიეკედლა მაშინდელ შესანიშნავ მეთაურ და მესვეურ კაცებს და იმათთან ერთად დაიწყო მოძღვრება-ქადაგება განთავისუფლების აზრებისა. უფრო დაახლოებული იყო განსვენებული მწერალ მ. ლ. მიხაილოვთან და როცა ეს მიხაილოვი ციმბირში გაჰგზავნეს, შელგუნოვმა თავი დაანება სახელმწიფო სამსახურს და თავის ნებით გაჰყვა თან თავის მეგობარს“.** როცა ციმბირიდან დაბრუნდა, მან „დასწერა პირველი თავისი თხზულება «Сибирь по большой дороге». ეს იყო და ეს. მისი ბედი გადაწყდა და შელგუნოვი შეიქნა მწერალი და მხნე თანამშრომელი მაშინდელის ჟურნალის «Русское слово»-სი, როცა ამ ჟურნალში მოღვაწეობდა რუსეთის შესანიშნავი პუბლიცისტი დ. პისარევი (და აგრეთვე ზაიცევი, რომელსაც ილია რატომღაც არ იხსენიებს, თუმცა თვით შელგუნოვს ისინი განუყრელად ჰყავს ერთმანეთთან დაკავშირებული*** — გ. ჯ.). შემდეგ შელგუნოვი მუდმივი თანამშრომელი იყო ბლაგოსვეტლოვის «Дело»-სი. 70 წლებში სწერდა «Неделя»-ში, სადაც შესანიშნავი იყო მისი 22 წერილი Письма о воспитании и заметки провинциального философа. ამ ბოლო დროს ხომ შელგუნოვი მუდმივი თანამშრომელი იყო ჟურნალის «Русская мысль»-ისა. ბევრ-გვარი გაჭირვება გამოიარა ნ. ვ. შელგუნოვმა თავის ხანგრძლივს სალიტერატურო მოღვაწეობაში. ბევრი ვაი-ვაგლახი, უბედობა და სიმწარე ჰნახა განსაკუთრებით ამ მოღვაწეობის გულისათვის, მაგრამ არც ერთხელ არ შემდრკალა, არ უღალატნია თავის დროშისათვის, არ შეუწყვეტია კალმით ბრძოლა უსამართლობისა და უმეცრების წინააღმდეგ“.**** დახასიათებაში არც ის არის გამორჩენილი, რომ შელგუნოვის თხზულებანი რამდენიმე

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, 1963 წ., გვ. 53—54.

** იქვე, გვ. 54.

*** ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე, ხელოვნება და სინამდვილე. ტ. I, 1955 წ., გვ. 226—227.

**** ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, გვ. 54—55.

ტომად არის გამოცემული „რუსეთის ეხლანდელის უკეთესის პუბლიცისტ-კრიტიკოსის ნ. მიხაილოვსკის“ ვრცელი წინასიტყვაობით, რომელშიაც მისი ცხოვრება და ღვაწლია გარკვეულიო.

ნეკროლოგში ცალკეა გამოყოფილი ის გარემოება, რომ „... შელგუნოვი ერთად მუშაობდა იმისთანა ბუმბერაზებთან, როგორნიც იყვნენ ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი და შემდეგ პისარევი. ისინი აჩრდილებდნენ შელგუნოვის ნიჭსა და უნარს. მაგრამ შელგუნოვმა მაინც დიდის ღირსებით და დამშვიდებით აიტანა ეს ადგილი მეორე-ხარისხოვან მწერლისა და იშვიათია მაგალითი, რომ ისეთის ფულ-წრფელის პატივისცემით მოჰქცეოდა სხვა თავის პირველხარისხოვან ამხანაგებს, როგორც მოექცა შელგუნოვი. თუმცა-კი ისიც უნდა ითქვას, რომ მისი სახელი მაშინაც საკმაოდ იზიდავდა მთელის რუსეთის მკითხველ საზოგადოების ყურადღებას... იმედია მალე დაიბეჭდება შელგუნოვის კერძო წერილები, რომელიც უფრო ცხადად დაგვანახვებს, რა პატიოსანი, უწყინარი და ოქროს გულის კაცი იყო განსვენებული და რა საუნჯე დაჰკარგა მის დაკარგვით რუსეთის ლიტერატურამ“.*

ასე დატირება მხოლოდ მეგობარსა და პირისუფალს შეეძლო. მომავალში კიდევაც რომ დამტკიცდეს ელისეევისა და შელგუნოვის ნეკროლოგთა არაიდეალური ავტორობა, ის ფაქტი მაინც ყოველთვის გადამწყვეტი იქნება, რასაც ვერავინ უარყოფს: ორივე ნეკროლოგი ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ დაიბეჭდა, მისი რედაქტორობით გამოვიდა, ამათ მნიშვნელოვან წერილებში იგი არ დატოვებდა არც ერთ სიტყვას, რომელსაც არ ეთანხმებოდა ან რომელიც არ მოსწონდა. ამგვარად, ორივე წერილი მჭიდროდ უკავშირდება „აჩრდილის“ ავტორს. ისინი მოწმობენ, თუ რა გულისტკივილით გამოეთხოვა თერგდალეულთა ბელადი ვეტერან რაზნოჩინცებს, თავის უფროს მეგობრებს, რუსეთში რეალისტური ესთეტიკის მედროშეებს და როგორ დაიტირა ხალხის ინტერესებისათვის უშიშრად მებრძოლი გლადიატორები.

ახლა ისევ ძირითად საკითხს მივუბრუნდეთ.

ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური სისტემა ჩვენ უნდა გავიაზროთ არა მარტოდენ მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილების მიხედვით. მწერლის მხატვრული შემოქმედების კრიტიკულ-ესთეტიკური ანალიზი თავისთავად გვანიშნებს ავტორის მსოფლმხედველობას ხელოვნების თეორიაში. ეს სრულიად კანონზომიერი, ბუნებრივი პროცესია, ვინაიდან შემოქმედების საგნისადმი მწერლის დამოკიდებულება, ნებით თუ უნებლიეთ, მისივე ესთეტიკური სისტემის გამჟღავნებაა. ყოველგვარი ესთეტიკური თეორია ნიშნავს სინამდვილის მხატვრულ განზოგადებაში ფილოსოფიურ აზრთა დენას და ხელოვნების კანონთა სისტემატიზებულ გააზრებას. როცა წინა თავებში ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების ანალიზს ვიძლეოდით, ჩვენ ვცდილობდით ხაზი გაგვესვა იმ წვინდა შემოქმედებითი, ესთეტიკური პრინციპებისათვის, რასაც „აჩრდილის“ ავტორი ყველგან და ყოველთვის იცავს. ეს არის ილია ჭავჭავაძის ესთეტიკური სისტემა. რომელიც უშუალოდ შეჯუმული და განფენილია მის მხატვრულ პრაქტიკაში, მის

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 2, 1963 წ., გვ. 58.

ბოეტურ შედევრებში. რაც შეეხება ამ სისტემის თეორიულ დასაბუთებას, ჩვენ ეს უკვე ვნახეთ თერგდალეულთა ბელადის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების ანალიზით.

ხელოვნების ის მატერიალისტურ-რეალისტური თეორია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ავითარებდა, თავის წყაროს პოულობს, ერთის მხრივ, ბელინსკის ლიტერატურულ კრიტიკაში, ხოლო, მეორეს მხრივ, რაზნოჩინელების ესთეტიკურ იდეალებში. მაგრამ თუ საკითხი დადგება პრიმატის შესახებ, ბელინსკიმ უფრო მეტი როლი შეასრულა თერგდალეულთა იდეური ბელადის ლიტერატურული კონცეფციის ჩამოყალიბებაზე, ვიდრე ჩერნიშევსკიმ, დობროლიუბოვმა და პისარევმა.

მაგრამ ილია ჭავჭავაძე არ არის მარტოოდენ მწერალი-კრიტიკოსი, რომელიც ლიტერატურის საზღვრებიდან არ გამოდის. პირველხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოებებისა და კრიტიკული წერილების ავტორი — მეცნიერი-მოაზროვნე იყო, რომელიც ერთ რომელიმე დარგს ვერ ეწყობოდა. ამიტომ სამოქმედოდ ვრცელი მოედანი ჰქონდა არჩეული. იმ მრავალ დარგთაგან, სადაც „აჩრდილის“ ავტორმა ღრმა კვალი გაავლო, ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს პუბლიცისტიკას, რომლის დახასიათებასაც ჩვენი მონოგრაფიის მომდევნო თავში შევუდგებით.

6. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა

ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი, უაღრესად დიდი და ერთი უშესანიშნავესი მოვლენაა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. ეს გასაკვირიც არ არის, ვინაიდან საქართველოს ისტორიის, ეკონომიური ცხოვრების, ენის, პედაგოგიკის, ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხები ილია ჭავჭავაძის, როგორც პუბლიცისტისა და მოაზროვნე-მეცნიერის, ფუნდამენტალური კვლევის საგანი იყო.

მრავალრიცხოვან პოლიტიკურ მიმოხილვებსა და „ივერიის“ მოწინავე წერილებში ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის როგორც ევროპის, ისე აზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო ურთიერთობათა ღრმა ანალიზს იძლევა, ბევრ შემთხვევაში იმდროინდელი ქართული სინამდვილის ასპექტით. როცა ამ მემკვიდრეობას ვეცნობით, ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ პოეტი უკომპრომისო ბრძოლას უცხადებს ძალმომრეობას, დამპყრობლურ ომებს, ხალხების ჩაგვრასა და დამონებას, ომის წარმოების პრუსიულ მეთოდს, რომელსაც ბისმარკი იყენებდა საფრანგეთის, დანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

ილია ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ კოლოსალური სამხედრო მზადება, რასაც ევროპის სახელმწიფოები და, კერძოდ, გერმანია იმ დროს აწარმოებდა, ომის გიგანტურ ხანძრად გადაიქცეოდა, რომელიც საშინელ უბედურებად დაატყდებოდა თავს კაცობრიობას. ამ საკითხს ილიამ, მთელ რიგ სტატიებთან ერთად, „ივერიაში“ მიუძღვნა რამდენიმე მოწინავე წერილი, რომლებიც მის თხზულებებში შესულია სახელწოდებით; „მილიტარობა ევროპაში“, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“. ახლახან გამოვლინებულმა წერილებმა სავსებით დაადასტურეს, რომ გერმანიისა და მისი იმდროინდელი კანცლერის — ბისმარკის პოლიტიკა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი იყო. 1886 წელს ილიამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ბისმარკი „დღეს ყოვლად შემძლებელი სახელმწიფო კაცია“,* ხოლო „გერმანია, თვალად განძლიერებული დამუქარასავით წამომდგარი“.**

რამდენიმე ხნის შემდეგ, კერძოდ, 1889 წელს, როცა შედარებით ძიწყდა

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. I, 1963 წ., გვ. 7.

** იქვე, გვ. 25. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ლაპარაკი ომის შესახებ, ილია ჭავჭავაძეს თვალი არ მოუხუჭავს იმ დიდი გახსაცდელის წინაშე, რომელიც გერმანიის წყალობით ზვავად აწვა კაცობრიობას. მან იმდროინდელი ევროპის მდგომარეობა იმ თ ი ვ ა ს შეადარა. რომელშიც ც ე ც ხ ლ ი ა დამალული. ილია ამტკიცებდა, რომ „გერმანია უომრად ვერ გადარჩებაო“, თან ჰქვე მიუთითებდა: „ამაში ეჭვი არავის უნდა ჰქონდეს. საქმე იმისთანა დროისა და გარემოების ხელში ჩაგდებაა, რომ გერმანიისათვის გაბარჯღვება უეჭველი იყოს ცოტად თუ ბევრად. ამ დროისა და გარემოების მოლოდინშია დღეს გერმანია და იმის ცდაში, რომ ეს დრო და გარემოება მოიმზადოს... დღევანდელს მიყუჩებულს ყოფას ევროპისას კაცმა სანდო თვალით არ [უნდა] უყუროს“.* შემდეგი დროის მოვლენებმა სავსებით გაამართლეს ეს შორსმჭვრეტელობა. ჰ ო ჰ ე ნ ც ო ლ ე რ ნ ე ბ ი ს გერმანია მართლაც უცდიდა ხელსაყრელ დროს, რომ ომი დაეწყო. კ ა ი ზ ე რ ი ს გერმანიის ეს მოლოდინი 1914 წლამდე გაგრძელდა, რასაც ილია ჭავჭავაძე ვერ მოესწრო, მაგრამ მოესწრნენ ადამიანები, რომლებიც ილიას მსგავსად ეჭვით უყურებდნენ ევროპის მ'შვიდობიახობას და შეგნებული ჰქონდათ, რომ გერმანიის მიერ ათეული წლების მ.ანძილზე წარ-ვოებულ სამხედრო მზადებას დიდი სისხლისღვრა და ხოცვა-ჟლეტა მოჰყვებოდა.

რა მიზანს ისახავდა გერმანია?

მას აშკარად ი მ პ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ზრახვები ამოქმედებდა, ცდილობდა რა ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისათვის წაერთმია სამფლობელოები და თვითონ გაბატონებულიყო ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიებში, აზიასთან, შეევიწროებინა რუსეთი მისთვის უკრაინის, პოლონეთისა და ბალტიის მხარის წაგლეჯით. ათეული წლების მანძილზე გერმანიის მზადებამ დამპყრობლური ომისათვის იგი გააძლიერა სამხედრო თვალსაზრისით, ისე, რომ მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში გერმანიას ევროპის მასშტაბით ყველაზე დიდი სამხედრო მანქანა ჰყავდა. და აი, 1914 წელს იფეთქა მსოფლიო ომმა, რომელიც წლების განმავლობაში მზადდებოდა და რაშიაც დამნაშავენი იყვნენ მთელი მსოფლიოს იმპერიალისტები. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი აგრესორი ჰ ო ჰ ე ნ ც ო ლ ე რ ნ ე ბ ი ს გერმანია იყო. იგი ამ ომისათვის ათეულ წლობით ემზადებოდა. ეს ომი არსებითად იყო გაგრძელება ი მ ა გ რ ე ს ი უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ი ს ა, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ო ტ ო ბ ი ს მ ა რ კ ი ატარებდა.

ბისმარკი** დაიბადა იმ წელს, როცა ევროპამ საბოლოოდ მოიშორა ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს ბატონობის უღელი. ეს იყო 1815 წელი. გერმანიის იმპერიის შემქმნელსა და შთამაგონებელს ბ ი ს მ ა რ კ ს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპის ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, როგორც პოლიტიკოსს და დიპლომატს. ბისმარკი თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე ქმნიდა გერმანიის პოლიტიკას — პ რ უ ს ი ა შ ი კაპიტალიზმის განვითარების სტადიიდან იმპერიალიზმის სტადიამდე. იგი სწორედ ამ წლის ივლისში გარდაიცვალა, როცა ახალმა მძლავრმა სახელმწიფომ,

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1957 წ., ტ. IX, X, გვ. 54.

** იხ. О. Бисмарк, Мысли и воспоминания, 1940 г., т. I, გვ. V—VIII. очерк проф. А. С. Ерусалимского.

ამ წერილში არის სადავო ადგილები, მაგრამ ფაქტიური მასალები, რომლებიც ჩვენ გამოვიყენეთ, სწორია.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი დაიწყო ესპანეთთან. ეს იყო 1898 წელი. „იმპერიალიზმის“ ცნებაც ამ პერიოდიდან იწყებს შეჭრას ლიტერატურაში. ლენინი თავის კლასიკურ ნაშრომში — „იმპერიალიზმი როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ — მიუთითებდა, რომ „...განსაკუთრებით ესპანეთ-ამერიკის (1898) და ინგლის-ბურთა (1899—1902) ომების შემდეგ, ძველი და ახალი ქვეყნის ეკონომიური, და აგრეთვე პოლიტიკური, ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ხშირად ჩერდება თანამედროვე ეპოქის დასახასიათებლად „იმპერიალიზმის“ ცნებაზე“. ამ ეპოქას წინ უსწრებდა ბისმარკი, რომელიც იყო რეაქციის სულისჩამდგმელი ევროპაში და მუშათა რევოლუციური მოძრაობის დაუძინებელი მტერი. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში „რკინის კანცლერმა“ გააერთიანა გერმანია და გადაიხადა სამი სისხლისმღვრელი ომი. მის სინიდისს არ ამძიმებდა 80 ათასი სიცოცხლე, რომელიც ამ ომებს შეეწირა. ბისმარკის როლი და პოლიტიკური მოღვაწეობა ლენინმა გენიალურად განსაზღვრა 1914 წელს წერილში — «О национальной гордости великороссов». ლენინი წერდა, რომ „ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, პროგრესული ისტორიული საქმე გააკეთა“, — რომ იგი „...ეკონომიურ განვითარებას უწყობდა ხელს, იმ გერმანელებს აერთიანებდა, რომელთაც სხვა ერები ჩაგრავდნენ“.* მაგრამ ლენინი იქვე მიუთითებდა, რომ „კარგი სანახავი იქნებოდა „მარქსისტი“, რომელიც ამიტომ გაამართლებდა სოციალისტის დახმარებას ბისმარკისადმი“! ბისმარკი იყო 1848 წლის რევოლუციის მესაფლავე, რევოლუციის მტერი, პროლეტარიატის კლასობრივი მოძრაობის მტერი, იგი რეაქციის მხარეზე იდგა და ძალადობით, სისასტიკით უკაფავდა გზას XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჰეგემონისტური ბურჟუაზიის გერმანიის დინასტიურ ომებს.

„ყოველგვარი პოლიტიკა სჯობს მერყეობის პოლიტიკას“** — ბისმარკის ამ სიტყვებში თითქოს ჩაქსოვილია მისი სახელიც — „რკინის კანცლერი“. იგი შემთხვევით როდი იმეორებდა, რომ „დიპლომატისათვის ყველაზე საშიშია ილუზიებიო“. ბისმარკი რეალურ ძალთა პრაქტიკული შეფარდების ანგარიშიდან გამოდიოდა და მისი ცბიერება ყველაფერს ამ პრაქტიკის სასწორზე დებდა. ასეთი იყო იგი ახალგაზრდობაშიც და მით უფრო ხანცლერის პოსტზე. გერმანიის 1848 წლის რევოლუციის დღეებში ახალგაზრდა ბისმარკი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა ფრიდრიხ ვილჰელმ IV დასაცავად. ამ პერიოდში მარქსი და ენგელსი „ახალ რეინის გაზეთში“ წერდნენ: „პრუსიის, როგორც საერთოდ გერმანიის ბურჟუაზიის ისტორია მარტიდან დეკემბრამდე, გვიჩვენებს, რომ გერმანიაში წვინდა ბურჟუაზიული რევოლუცია და ბურჟუაზიული ძალაუფლების შექმნა კონსტატუციური ხელოვნების ფორმით შეუძლებელია, რომ შესაძლებელია მხოლოდ ან ფეოდალურ-აბსოლუტისტური კონტრრევოლუციით. ან სოციალ-რესპუბლიკური რევოლუციით“.*** 1848 წლის რევოლუციის დამარცხებას გერმანიაში შედეგად მოჰყვა ფეოდალურ-აბსოლუტისტური კონტრრევოლუცია. ულტრაროიალისტმა ბისმარკმა ძალები მოიკრიბა და დაიწყო თავისი უკვე ჩამოყალიბებული პოლიტიკური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლა.

---

* იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. VIII, გვ. 98. ქართ. გამ.

** О. Бисмарк, 1940, т. I, გვ. XVI.

*** Маркс и Энгельс, соч., т VII, გვ. 72.

1851 წელს ბისმარკი შეუდგა დიპლომატიურ მოღვაწეობას — მაისში დანიშნა ჯერ მრჩეველად, ხოლო შემდეგ ელჩად პრუსიისა მაინის ფრანკფურტის სამოკავშირეო სეიმთან. 1859—1862 წლებში იგი პრუსიის ელჩი იყო პეტერბურგში, სადაც პუშკინის ლიცეუმელ ამხანაგ, შემდეგ კი ნიჭიერ დიპლომატ გორჩაკოვთან საფუძვლიანად გაეცნო რუსეთის დიპლომატიას. ამ დიპლომატიას კი ევროპაში მაღალ შეფასებას აძლევდნენ. 1862 წელს იგი ხდება პრუსიის მინისტრი-პრეზიდენტი. უფრო ადრე კი მან მტკიცედ გადაწყვიტა, რომ პარლამენტს არ დაეყრდნობოდა, საჭიროა მხოლოდ ძალა და ძალით მოქმედება. „ეპოქის დიდი საკითხები წყდება არა სიტყვებითა და საპარლამენტო რეზოლუციებით, — წერდა ბისმარკი 1862 წელს, — ეს 1848—1849 წ. წ. შეცდომა იყო, — არამედ რკინითა და სისხლით"*. ეს „რკინა და სისხლი", ეს ძალმომრეობა დაედო საფუძვლად ბისმარკის მთელ პოლიტიკურ მოღვაწეობას გერმანიის იმპერიის შექმნისათვის. 1864 წელს ბისმარკი წერდა: „საბელშწიფოებრივი უფლების საკითხები საბოლოო ანგარიშით წყდება ხიშტის დახმარებით"-ო. ეს იყო აგრესიული პოლიტიკის აპოლოგეტიკა და შედეგს არც დაუყოვნებია. იმავე წელს ბისმარკმა დაიწყო ომი დანიასთან. მისი ამოცანა იყო უძარავ პატარ-პატარა სახელმწიფოებად და სამთავროებად დაქუცმაცებული მაშინდელი გერმანიის გაერთიანება პრუსიის ჰეგემონიის ქვეშ: ამ ჰეგემონიაზე ორი მეტოქე ეცილებოდა ერთმანეთს — ორი გერმანული სახელმწიფო — ავსტრია და პრუსია. პრუსიის ჰეგემონიის იდეა ბისმარკს გაცილებით ვვიან დაებადა. თავდაპირველად იგი ცნობდა ავსტრიის ჰეგემონიას, რაზედაც ავსტრია პრუსიასთან შედარებით უფრო მძლავრი იყო და პრუსიას დროისათვის უნდა ეცადა, რომ შეიარაღებულიყო და შემდეგ იარაღით გაეფართოებინა თავისი გავლენის სფეროები. დიპლომატის პოსტზე ბისმარკმა საბოლოოდ შეიმუშავა თავისი პოლიტიკური იდეალები. რომელთა განხორციელებას მან შეძლებ მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა. ისტორიული განვითარების პირობები მაშინ ისეთი იყო, რომ დღის წესრიგში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. ამის შესახებ ლენინი წერს: „რიგში იდგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო, კლასების მაშინდელი ურთიერთმიმართების პირობებში, ორგვარად: ან რევოლუციის გზით, რომელსაც პროლეტარიატი უხელმძღვანელებდა და გერმანიის რესპუბლიკას შეჰქმნიდა, ან პრუსიის დინასტიური ომების გზით, რომლებიც განამტკიცებდნენ პრუსიელ მეშაპულეთა ჰეგემონიას გერმანიის გაერთიანებაში".** ბისმარკი მეორე გზას ადგა: იგი junკრულ-დინასტიურ საფუძველზე ცდილობდა მონარქიისა და მეშამპულური წყობის დაცვას და გერმანიის გაერთიანებას პრუსიის მეთაურობით. ამ ბრძოლაში იყენებდა ორივე ძალას — პროლეტარიატსა და იუნკრობას, რომლებსაც, მისი აზრით, ხელმძღვანელობა უნდა გაეწიათ გერმანიის გაერთიანებისათვის და აიძულებინათ ბურჟუაზია. მათ გზას გაჰყოლოდა. ბისმარკი გრძნობდა, რომ გერმანიის ნაციონალური გაერთიანებისათვის ბრძოლაში პრუსიისა და ავსტრიის ინტერესები ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მათ შორის აუცილებელი იყო შეტაკება გავლენის სფეროებისათვის. და ბისმარკი თვითონაც მოემზადა, მეტი შეიძლება ითქვას: ბისმარკმა ხელი შეუწყო და თვითონვე

* «Мысли и воспоминания», 1940, т. I, გვ. X.
** ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XVII, გვ. 547, რუს. გამოცემა.

მოამზადა ეს შეტაკება. როგორც ცნობილია, ავსტრიასთან ომი 1866 წელს დაიწყო, ორი წლის შემდეგ. რაც პრუსიამ დანია დაიმორჩილა.

ბისმარკის ამ დამპყრობლურ ომებში ილია ჭავჭავაძემ სავსებით სწორად დაინახა ის ვერაგობა, რომელსაც პრუსია თავისი მინისტრ-პრეზიდენტის საშუალებით ახორციელებდა. ფაქტი იყო. რომ ბისმარკს ყოველთვის ვადა ჰქონდა სხვის ლუკმას დაჰპატრონებოდა. გერმანიის მეზობლებმა ეს კარგად იცოდნენ. მათ ისიც იცოდნენ, რომ „ბისმარკი მეტად მოხერხებული კაცია, საქმეს ისე მოიყვანს ხოლმე, რომ როცა ერთის მტრის, თუ მოპირდაპირის, გათახსირება უნდა, მეორე მტერს, თუ მოპირდაპირეს. გაიმეგობრებს ხოლმე, და პირველს რომ ანდერძს აუგებს, ეხლა გამეგობრებულს დაეჯახება და ტყავს აძრობს“.* ამ სავსებით სწორი დებულების საილუსტრაციოდ ილია მოჰყავს დანიისა და ავსტრიის მაგალითი. როცა პრუსია 1864 წელს დანიას ეომებოდა, რომელსაც შლეზვიგ-გოლშტინია წაართვა და „ავსტრიას ჩალა გამოავლო“, ამ ომში მან ავსტრია გაიმეგობრა, ორი წლის შემდეგ კი თვით ავსტრიას შეესია და „საფრანგეთმა თუმცა მაშინ ბალანი აუშვა, მაგრამ ბისმარკმა მოატყუა: შენ დამაცალე, ერთი ავსტრიას მოვრჩეო და შენც შენსას გარგუნებო“, 1870 წელს კი თვით საფრანგეთს შეესია და მაშინ იტალიას აღუთქვა დაპირებები. საფრანგეთი დაამარცხა, წაართვა მას ელზასი და ლოტარინგია. „ამ სახით, ავსტრიის შემწეობით დანია დაამარცხა, საფრანგეთის მოთათბირებით ავსტრიას ტყავი გააძრო, ავსტრიის დაუძლურებით და რუსეთ-იტალიის მომხრეობით საფრანგეთზედ გაიმარჯვა და ამ გზით თითო-თითოდ გაინაპირა თავისი მეტოქენი, თითო-თითოდ და ცალ-ცალკე დაჰლახა. მართალს ამბობენ ზოგიერთნი, რომ დანიაზე ბისმარკის გამარჯვება ავსტრიის დამარცხება იყოო, ავსტრიაზედ გამარჯვება — საფრანგეთის დამარცხებაო, და საფრანგეთზედ გამარჯვება, ვისი დამარცხება იქნება, ამას ბოლო გამოაჩენს“.**

ასე იკაფავდა გზას გერმანიის კაპიტალიზმი. კაპიტალის მთელი ისტორია კი „...ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის, სისხლისა და სიბინძურის ისტორიაა“.*** უსასტიკესი ტერორითა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით იპყრობდა პრუსია ახალ ტერიტორიებს. მაგრამ დაპყრობილით იგი არ კმაყოფილდებოდა. სამხედრო შეიარაღებას და ახალი ომებისათვის მზადებას კვლავ განაგრძობდა. 80-იან წლებში მთელი ევროპა ილიას წარმოდგენილი ჰქონდა „ერთს დიდ სამხედრო ბანაკად“, რომელიც უზარმაზარ თანხებს ნთქავდა, შრომისათვის ვარგის ადამიანებს აცდენდა. ყოველივე ეს კი უმძიმეს ტვირთად აწვა მთელი ევროპის ხალხებს. „სიმძიმე დღევანდელის დღისა, — წერდა ილია 1886 წელს,—...ეს სულ ბისმარკის ეგრეთწოდებულ „მილიტარობის“ ბრალია“. გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკას ილია უკავშირებს ევროპის იმ ადამიანებს, რომლებიც ებრძოდნენ „მილიტარობას“, არაფერს ზოგავდნენ „ამ გერმანიისაგან შემოტანილის მილიტარობის დასამხობად“. ასეთი მებრძოლები იყვნენ არა მარტო ესპანეთში, არამედ, თვით გერმანიაშიც და ილია შენიშნავს: „თითონ გერმანიაშიც უკეთესნი გერმანიელნი ამ მილიტა-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1957 წ., გვ. 99.
** იქვე, გვ. 100.
*** ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XVIII, გვ. 98. ქართ. გამოც.

რობის ბოლოს მოღებას დაუცხრომლად ჰცდილობდნენ".* მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი ევროპა გააღარიბა და გ ა ა ღ ა ტ ა კ ა; მან ჩაყლაპა და იგი კვლავ ყლაპავდა ქვეყნის დოვლათს.

რა უნდა მოჰყოლოდა ამ მდგომარეობას?

ილია ჭავჭავაძე ხალხებისა და ქვეყნების უბედურების მიზეზს ხედავდა მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ში, რომელიც ახალმა საზოგადოებრივმა პირობებმა წარმოშვეს და, მართალია, „აჩრდილის" ავტორს არ მოუცია ამ პირობების, კაპიტალისტური განვითარების დაწვრილებითი ანალიზი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მიჯნაზე. 1899 წლის 31 დეკემბრის „ივერიის" მოწინავე წერილში — „მ ე ც ხ რ ა მ ე ტ ე ს ა უ კ უ ნ ე" სწორად მიუთითა, რომ მიუხედავად მეცნიერებისა და ტექნიკის არნახული აყვავებისა, უზარმაზარი სიმდიდრის დაგროვებისა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანისათვის უფრო ადვილია წასვლა-წამოსვლა, მეცნიერებამ გააღონიერა და გააძლიერა იგი, უ ბ ე დ უ რ ე ბ ა მ და ტ ა ნ ჯ ვ ა მ უ ფ რ ო მ ა ტ ა. რა იყო ამის მიზეზი? ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა. სიმდიდრის დაგროვება ერთ მხარეზე, როცა საზოგადოების უდიდესი ნაწილი მას მოკლებული იყო. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე წერდა: „...ღ ა რ ი ბ ს ა და მ დ ი დ ა რ ს შ ო რ ი ს, ძ ლ ი ე რ ს ა და უ ძ ლ უ რ ს შ ო რ ი ს უ ფ რ ო დ ი დ ი ზ ღ ვ ა რ ი ა რის, ვ ი დ რ ე ო დ ე ს მ ე უ ო ფ ი ლ ა".** ასე შეხვდა მეცხრამეტე საუკუნე მეოცე საუკუნეს, რომელსაც უანდერძა ამ ტკივილის მორჩენა. მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი კი უფრო მეტად აძლიერებდა ხალხების ეკონომიურ ჩაგვრას და ევროპაში ამ უბედურების ხელს უწყობდა „ბ ი ს მ ა რ კ ი ს „რ კ ი ნ ი ს და ს ი ს ხ ლ ი ს" პ ო ლ ი ტ ი კ ა", რასაც ილიამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ამტკიცებდა. რომ გერმანიის მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ი მიღწეულზე არ გაჩერდებოდა, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ მდებარე პატარა ქვეყანას — ნ ი დ ე რ ლ ა ნ დ ე ბ ს გადალახავდა, რათა ზღვისაკენ აქედანაც ეპოვნა თავისი გზა. გერმანიის ამ ძალმომრეობისა და ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ილია მიიჩნევდა იმ უბედურებათა მიზეზად, რომელიც შავ ღრუბლად აწვა მთელ ევროპას.

რატომ გამოირჩეოდა გერმანია ასეთი აგრესიული პოლიტიკით?

როგორც ცნობილია. დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან გერმანია ყველაზე ბოლოს დაადგა კაპიტალისტური განვითარებისა და იმპერიალისტურ დაპყრობათა გზას. 1871 წლიდან იგი უკვე ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფო იყო, რომელიც ინგლისზე უფრო სწრაფად ვითარდებოდა. ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად მიუთითა, რომ „გერმანიის კაპიტალიზმის ასეთი სწრაფი განვითარება იყო განვითარება ახალგაზრდა და ძლიერი მხეცისა, რომელიც ევროპის სახელმწიფოების კავშირში გაჩნდა". იგი მიისწრაფოდა რაც შეიძლება სწრაფად და მალე დაეპყრო სხვისი მიწები, მიეღო რაც შეიძლება მეტი სამფლობელოები. „ახალგაზრდა და ძლიერი მხეცი" — გ ე რ მ ა ნ ი ი ს კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი — მიმართავდა უხეშ ძალმომრეობას და ძარცვა-გლეჯას, არ ერიდებოდა არავითარ სისხლსა და სიბინძურეს. გერმანელმა ფაშისტებმა ფეტიშად გაიხადეს გერმანიის იმპერიალიზმის ყველაზე საზიზღარი მხარეები. ჰიტლერელი ვანდალები, რომლებიც გერმა-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 101.

** ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. VI, გვ. 8.

ნელ ბანკირთა ყველაზე მხეცური ინტერესების უერთგულესი დამცველები და გამტარებლები იყვნენ, აგრძელებდნენ ჰოჰენცოლერნების დინასტიის საშინელ სისხლიან დესპოტიზმს.

90-იანი წლებიდან იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობანი მკვეთრად იზრდებოდა. ამ წინააღმდეგობას აძლიერებდა ბისმარკი, ხოლო ვერ ანელებდა „დიდი გლადსტონი", რომელსაც შაშინ „ძიხაურთა საქმეთა განწყობაში" ვერაფერ შეედრებოდა. ორ დიდ კაცს ხედავდა იმდროინდელ ევროპაში ილია ჭავჭავაძე — გლადსტონსა და ბისმარკს, თან ნანობდა, რომ ისინი ღმერთს ერთ კაცად არ გაეჩინა. „ღმერთს რომ ეს ორი კაცი ერთად შეერთებინა, რაც ერთს აკლია მეორით შეევსო, ერთის სიტყვით, გლადსტონ-ბისმარკი ერთი განუყოფელი კაცი ყოფილიყო, ქვეყანა იმისთანა მაგალითსა ჰნახავდა, რომელიც თითქმის ჯერ არ უნახავს".* მაგრამ უბედურება იყო ბისმარკის ცალმხრივი პოლიტიკა. რომლის მეოხებითაც გერმანიის კაპიტალიზმი კიდევ უფრო საშინლად ღმუოდა, უფრო აგრესიულად მიისწრაფოდა დამპყრობლური ომებისაკენ. სამხედრო ძლიერებით გერმანიამ გაუსწრო ყველა იმპერიალისტურ ქვეყანას. როგორც ცნობილია, მან ამ მხრივ გაუსწრო თვით ინგლისს, რომელმაც ერთ დროს ნიდერლანდებს ზღვაზე პირველობა წაართვა და მბრძანებელი თვითონვე გახდა. მსოფლიოს ახალი გადანაწილების დროშით, გერმანიამ უჩვეულო სამხედრო მზადება გააჩაღა და პირველი მსოფლიო ომიც მან გამოიწვია. თავის დამპყრობლურ ომებში გერმანიის იმპერიალიზმი ყოველთვის გამოირჩეოდა სიმკაცრით, ძალადობით, უხეშობით. აგრესიის საშინელებათა კონცენტრირებითა და მხეცური ავაზაკობით. ფაშიზმი ამ იმპერიალიზმის ყველაზე მუხანათური, ყველაზე ბარბაროსული გაგრძელება და გაფართოება იყო, მასში გავრთიანდა უკიდურესობამდე აყვანილი პრუსიელობის ყველა ძალადობა, მხეცობა და ძარცვა-გლეჯა. რასაც თავის დროზე მარქსი და ენგელსი გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის არქივში არის კარლ მარქსის გაშოუქვეყნებელი ხელნაწერი — „პრუსიელები — არამზადები", რომელიც ვიღაბს ხდის ფრიდრიხ მეორის დესპოტიზმს და მის მიერ ჩადენილ საშინელ დანაშაულთ მე-18 საუკუნის მეორე ნახევრის პრუსიის მიერ დაპყრობილ ევროპულ ქვეყნებში. მარქსი ფრიდრიხ მეორის ვერაგობათა მკაცრ კრიტიკასთან ერთად გვაძლევს ამ ბრანდენბურგელი კურფიურსტის — დიდმამულიანი თავადის გამანადგურებელ დახასიათებას. მარქსი წერს, რომ ფრიდრიხ მეორის მიზნები არარაობას წარმოადგენდნენ, და მისი მისწრაფების საგანი მხოლოდ საკუთარ სამფლობელოთა გაფართოება იყო. ფრიდრიხ მეორე მოქმედებდა არა ხალხის, ნაციის ინტერესების მიხედვით, არამედ, პირადი განდიდებისა და პირადი ინტერესების თვალსაზრისით. ამ ინტერესებს დაუქვემდებარა მან მთელი პრუსია და მისი არმია. იგი განზრახ ნერგავდა ჯარისკაცებში მონურ მორჩილებას, ნერგავდა უზრდელობას, უხეშობასა და სიბრიყვეს. რომ ხელში ადვილად დაეკავებინა ჯარისკაცთა მასა, როგორც ბრმა იარაღი ყოველგვარი ვერაგობის ჩასადენად. მარქსი წერს: „მსოფლიო ისტორია არ იცნობს მეორე მეფეს, რომლის მიზნები ასე არარა

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რვ. I, ნაწ. 1, 1963 წ., გვ. 25.

ყოფილიყო! და რა უნდა ყოფილიყო „დიადი“ მეფედწოდებული ბრანდენბურგის კურფიურსტის გეგმაში, რომელიც ნაციისათვის კი არ მოქმედებდა, არამედ თავისი მამულისათვის და მხოლოდ იმისაკენ მიისწრაფოდა, რომ ამ ნაციის ტერიტორიაზე დაემრგვალებინა და გაეფართოებინა თავისი სამფლობელოები“.*

პრუსიელი იუნკრებისა და კურფიურსტების ბრძოლას ფრანგი პარტიზანების წინააღმდეგ, რაც უხეში პრუსიული მეთოდების ძთელი სიმკაცრით წარმოებდა, ენგელსი ძველთაძველ და ბარბაროსულ მეთოდს უწოდებდა. ენგელსი ამბობდა: პრუსიელმა ლანდსკნეხტებმა „წესად შემოიღეს, რომ ყოველი ქალაქი ან სოფელი, სადაც ერთი ან რამდენიმე მცხოვრები მონაწილეობას ღებულობს თავდაცვაში, ესვრის მათ ჯარს ან საერთოდ ეხმარება ფრანგებს, უნდა დაიწვას, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც შეპყრობილი იქნება იარაღით ხელში და, მათი აზრით, რეგულარული არმიის ჯარისკაცი არ არის, ადგილზევე უნდა დაიხვრიტოს“.** ფაშისტურმა კამარილიამ, რომელმაც მილიონობით ადამიანთა სისხლით მორწყო ევროპის ვრცელი ტერიტორიები, წარმოუდგენლად გადააჭარბა თავის ბარბაროს წინაპრებს — ყველა ამ პრუსიელ იუნკრებსა და კურფიურსტებს. ამ ძველბაძველ ბარბაროსულ მეთოდებს სასტიკ ბრძოლას უცხადებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლები.

1870—1871 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს, როგორც ცნობილია, ეს მეთოდი დასაყრდენი იყო ბისმარკის პოლიტიკისა, რომელიც აშკარად დამპყრობლურ ომს აწარმოებდა. პრუსიამ ამ ომში იმას მიაღწია, რომ დაამხო ნაპოლეონ მესამის ბატონობა. მისთვის ომს არ ჰქონდა თავდაცვითი ხასიათი, მაგრამ ამ ომს მაინც განაგრძობდა ფრანგების წინააღმდეგ, ვიდრე საფრანგეთში ღრმად არ შეიჭრა და ამ ლმაზი ქვეყნის ქონება არ დაიტაცა. საფრანგეთში პრუსიელების მიერ მოწყობილი ძარცვა-გლეჯის შესახებ ენგელსი აღნიშნავს, რომ პრუსიაში შედგენილ იქნა საფრანგეთის სამხედრო კონტრიბუციების სიები და მათი მიხედვით დაადგინეს სამხედრო ხარკების ოდენობა, რაც უნდა გადაეხადათ საფრანგეთის ცალკეულ ქალაქებსა და დეპარტამენტებს. მეტს იხდიდა ის, ვისაც მეტი ჰქონდა. „სურსათ-სანოვაგის, ფურაჟის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვ. რეკვიზიციას ახდენდნენ დემონსტრატიული დაუნდობლობით... მართალია, აგრეთვე ნაამბობი სამშობლოში გაგზავნილი კედლის საათების შესახებ; ამას Kölnische Zeitung-ი თვითონ იუწყებოდა, მხოლოდ, პრუსიელების გაგებით, ეს საათები მოპარული კი არ იყო, არამედ, ნაპოვნი იყო, როგორც უპატრონო ქონება პარიზის ახლოს მიტოვებულ ვილებში და ანექსირებულ იქნა ძვირფას თანამემამულეთა სასარგებლოდ“.*** ასეთი მუხანათობა და ვერაგობა დამახასიათებელი იყო მთელი პრუსიული პოლიტიკისა, და არმიაში, ჯარშიც ეს ბარბაროსობა მეფობდა.

ღრმა სარჩული ედო იმ ბრძოლას, რომელსაც პრუსაკობის წინააღმდეგ აწარმოებდნენ დიდი რუსი მთავარსარდლები. საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ გენერალისიმუსი ალექსანდრე სუვოროვი მეფესაც კი ებრძოდა რუსეთის არმიაში პრუსიული სამხედრო წესების დანერგვის გამო. პავლე

---

* К. Маркс, «Пруссаки-кашальи» —. Маркс и Энгельс о реакционном пруссачестве», 1943, გვ. 17.

** К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XIV, გვ. 486.

*** იქვე.

პირველის მონური მორჩილება პრუსიელი წესებისადმი გენიალური მხედართმთავრის სუვოროვის დაცინვისა და ღრმა გულისწყრომის საგანი იყო. სუვოროვი, კუტუზოვი, ბაგრატიონი ჯარისკაცის პირად ღირსებაზე ამყარებდნენ სამხედრო წარმატებას. ფრიდრიხ მეორე კი ჯარისკაცს მონად აქცევდა, რომ მისგან ბრიყვი მიეღო. ცნობილია ფრიდრიხ მეორის უგუნური ფორმულა: „ჯარისკაცს თავისი ოფიცრის უფრო მეტად უნდა ეშინოდეს. ვიდრე მტრისა". თავის დროზე ამ მეტად გაერცელებულმა მხეცობამ პრაქტიკული განსახიერება ჰპოვა პრუსიის დამპყრობლურ ომებში და იმ ვერაგობაში, რასაც ფრიდრიხ მეორის ჯარისკაცები სჩადიოდნენ, მაგალითად. დამონებულ პოლონეთში 1771 წელს. მარქსი მიუთითებს, რომ მაშინ პოლონეთი აივსო „პრუსიელი დაჭირავებულებით, რომლებიც გაუგონარ ძარცვა-გლეჯას. სიმკაცრეს, საზიზღრობასა და ყოველგვარ მხეცობას სჩადიოდნენ. დამშეული არამზადები არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ ძარცვავდნენ საკუთარი ინიციატივით და სახელმწიფო ბრძანებით. მათ სოფლებიდანაც კი წინასწარ შედგენილი სიების მიხედვით, ხარკად მიჰყავდათ ქალები, რომლებსაც აიძულებდნენ ეცხოვრათ საზიზღარ პრუსიელ არამზადა ბრიყვებთან".* ამ ძალადობისა და ძარცვა-გლეჯის, ხალხების აკლებისა და აოხრების, დამპყრობლური ომებისა და საერთაშორისო ავაზაკობის წინააღმდეგ მთელი არსებით იბრძოდა ილია ჭავჭავაძე.

ილიას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მილიტარიზმი, მრავალრიცხოვანი ჯარის შექმნა, იარაღის უდიდესი რაოდენობით წარმოება და მზარდი სამხედრო ხარჯები ევროპის ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიურ გაღატაკებას იწვევდნენ. „ივერიის" 1889 წლის 25 თებერვლის მოწინავე წერილში მან პარალელი გაავლო ევროპის სახელმწიფოებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შესაძლოა ამერიკამ ეკონომიურად „მსოფლიო მეთაურობა" დაიმკვიდროსო.

რას ემყარებოდა პოეტის ეს დასკვნა?

საკუთარი ეთანხმებოდა რა ფრანგი განმანათლებლის მონტესკიეს დებულებას, რომ ევროპა თანდათან უმატებს ჯარებსა და თოფ-იარაღს, რითაც თავს იღატაკებს და იღარიბებსო, ილიას მოჰყავდა ზოგადი სტატისტიკური მონაცემები გასული საუკუნის 90-იანი წლების ევროპის სინამდვილიდან და აღნიშნავდა: ევროპას უკვე 16 მილიონამდე ჯარი ჰყავს. მალე 20 მილიონი ეყოლება. ამგვარად, იარაღასხმულია ევროპის მეუშაკელის 1/8, რომელიც მხოლოდ სამხედრო ხელოვნებას ეუფლება და არაფერს არ ქმნის ქვეყნის ეკონომიკის სასარგებლოდ. ადამიანთა ეს უზარმაზარი მასა სხვისი შრომით იკვებება. საფრანგეთში, მაგალითად, თითოეულ მოსახლეს წელიწადში 24 1/2 ფრანკი უჯდება 4 მილიონი ჯარისა და ფლოტის შენახვა, ინგლისელებს — 21 ფრანკი, ხოლო გერმანელებს — 12½ ფრანკი. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი სულ 27 000 ჯარისკაცისაგან შედგება არმია და იქ თითოეული მოსახლე წლიურად მხოლოდ 4½ ფრანკს იხდის არმიისა და ფლოტის შესანახად. მართალია, ამერიკა დიდად ჩამორჩა ევროპას სამხედრო თვალსაზრისით, მაგრამ ამ ქვეყნის დოვლათმა და ეკონომიურმა ძლიერებამ მსოფლიოს ყველა ქვეყანას გადა-

* К. Маркс, «Пруссаки-каналья», «Маркс и Энгельс о реакционном пруссачестве», 1943, გვ. 18.

აჭარბა. „თუ საქმე ამრიგად წავიდა, იმედია, რომ შტატები ეკონომიურად სულ ერთიანად დაიმორჩილებენ ევროპას, რომელიც აუცილებლად გაკოტრდება. მაშინ, როდესაც შტატები თანდათან იხდიან სახელმწიფო ვალებს, ევროპის სახელმწიფონი-კი თანდათან ვალებში სცივიან“.* მეოთხედი საუკუნის შემდეგ ევროპამ და მთელმა მსოფლიომ განხორციელებულ ფაქტად დაინახა ის, რის შესახებაც ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, საერთაშორისო ურთიერთობათა მონაცემების ანალიზის მიხედვით, მხოლოდ თეორიულ პოსტულატებს აყენებდა და ამერიკის მერმისად მიიჩნევდა.

თუ რა ღრმად ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს შეგნებული საერთაშორისო ვითარება 80-იან წლებში და ამ მხრივ როგორ პროგრესულ პოზიციაზე იდგა, ნათლად მოწმობს ის ფაქტიც, რომ მან სასტიკად გაკიცხა ბ უ ლ ა ნ ჟ ი ზ მ ი, რევანშისტული, აშკარად რ ე ა ქ ც ი უ ლ-შ ო ვ ი ნ ი ს ტ უ რ ი მიმდინარეობა საფრანგეთში 80-იანი წლების მეორე ნახევარში, რომელსაც გენერალი ბ უ ლ ა ნ ჟ ე მეთაურობდა. ილია აღშფოთებით ლაპარაკობდა ბულანჟეს პოლიტიკურ გეგმებზე. მის რევანშისტულ ოინებზე. ნათლად გრძნობდა იმას, რომ შოვინისტური სამხედრო ხროვის ავანტიურები მძიმე ტვირთად თვით ხალხს აწვა კისერზე, ხალხს, რომელიც კვნესოდა, ტანჯვით დრტვინავდა და შიშობლობდა. ილიამ ბულანჟეს სხვა სახელი ვერ მოუნახა, გარდა „პამპულა გენერლისა“, რომელიც საიდანღაც გამოტყვრა და იძახოდა: „მე ვარ მხსნელი საფრანგეთისა ჭირთაგან და ვაი-ვაგლახისაგანო. მოდით და მე განგისვენებთ თქვენო“... და თუ ფრანგი ბალხის ნაწილი მაინც თანაგრძნობით ეკიდებოდა ბ უ ლ ა ნ ჟ ე ს დემაგოგიას, ილია ამ ფაქტში ხედავდა თვით ფრანგი ხალხის მძაფრ მისწრაფებას — თავი დაეხსნა იმ მძიმე მდგომარეობისაგან, რომელშიაც ჩავარდნილი იყო. ილია ამ მდგომარეობის დასახასიათებლად ხალხურ ანდაზას იშველიებს — წუალწაღებული ხავსს ეჩიდებოდაო. „აქ გაწირული ერია, და რაღა საკვირველია, რომ იგი ზოგან ჰტოკავს, ზოგან შფოთავს, და ხანაც იმისთანა პამპულას მრეჩიდება ხოლმე კალთაზედ, როგორც ბულანჟეა და სხვა ამისთანა ცრუპენტელა და ჩიტირეკია გენერალი“.** ბულანჟიზმი როდი იყო ერთი რომელიღაც გენერლის აკვიატებული იდეა. ილიამ მას ნაკუწები შემოაცალა. მის გულში ჩაიხედა და დაინახა, რომ „მიზეზი მისის მოვლენისა და მერე გაძლიერებისა მარტო ის არის, რომ ერს ვეღარ აუტანია დღევანდელი ყოფა“.*** აქაც უბედურების მიზეზს ილია გერმანიის მ ი ლ ი ტ ა რ ი ზ მ ში ხედავს და იმ ცბიერ, ვერაგულ პოლიტიკაში, რომელსაც ო ტ ო ბ ი ს მ ა რ კ ი ახორციელებდა.

ბისმარკი ცნობილი იყო თავისი მოურიდებელი, უხეში და ცბიერი პოლიტიკით. შემთხვევითი არ არის, რომ მას ამ მხრივ ადარებენ ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი ს მინისტრს ტ ა ლ ე ი რ ა ნ ს.**** ბევრი უფრო მეტ მსგავსებას პოულობს მათ შორის, ვიდრე განსხვავებას. ზოგიერთი კი, პირიქით, განსხვავებას უფრო მეტ დგილს აკუთვნებს. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ბ ი ს მ ა რ კ ი ს და ტ ა ლ ე ი რ ა ნ ი ს შედარება, რა განსხვავებაც არ უნდა ვნახოთ ამ ორ ცნობილ

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 56.

** იქვე, გვ. 51.

*** იქვე, გვ. 52.

**** ა. ტ ა რ ლ ე ს წიგნში „Талейран“, 1948 წ., გვ. 3—295, მკაფიოდ არის ნაჩვენები ამ ნიჭიერი, მაგრამ ვერაგი, მოღალატე და მექროამე მინისტრის სახე.

დიპლომატს შორის, მათ საერთო მსგავსებად მაინც რჩება ქსელების ოსტატური გაბმის უდიდესი უნარი. მათ ორივეს ახასიათებდა ეს დიპლომატიური ეშმაკობა: ტალეირანს უმრავლეს შემთხვევაში პირადი კარიერისა და პირადი კეთილდღეობისათვის, ბისმარკს კი. ყოველთვის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, რომელსაც იგი ისე ემსახურებოდა, როგორც ჯარისკაცი. ვერავინ შეძლო მისი შოსყიდვა. ბისმარკი ოსტატურად იყენებდა არა მარტო თავისი მტრების რიგებში, არამედ, მეგობართა შორისაც არსებულ წინააღმდეგობებს. იგი პირდაპირ ლაპარაკობდა, როცა ეს საჭიროდ მიაჩნდა, ხშირად იმას ლაპარაკობდა, რასაც სრულიად საწინააღმდეგო საქმით ასრულებდა. ამ მხრივ იგი ისეთივე რთული იყო, როგორც მისი პოლიტიკა.

ეს სირთულე იყო მიზეზი, რომ მის შეფასებაში ინგლისის ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეც კი შეცდა, როგორიც დიზრაელია. დანიასთან ომის დაწყებამდე ორი წლით ადრე, ლონდონში ყოფნის დროს, ბისმარკმა დიზრაელს გადაუშალა თავისი მომავალი მოღვაწეობის გეგმები, გაუმხილა, რომ მალე იგი ხელში აიღებს პრუსიის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. პირველ რიგში შეეცდება პრუსიის არმიის რეორგანიზაციას, მიუხედავად იმისა. ბუნდესთაგი,* რომ პირველი ხელსაყრელი მომენტისთანავე ომს გამოუცხადებს ავსტრიას, მოსპობს გერმანიის კავშირს, თავის გავლენას დაუმორჩილებს საშუალო და წვრილ სახელმწიფოებს და შექმნის გაერთიანებულ გერმანიას პრუსიის მეთაურობით. ბისმარკის ამ სიტყვებში ბევრი იყო მართალი, იმ გაგებით, რომ ეს გეგმა მან შემდეგ მართლაც განახორციელა, ბაგრამ ავსტრიის ნაცვლად ორი წლის შემდეგ პრუსიის ჯარი ჯერ დანიას შეესია. ამ გულახდილმა და მოურიდებელმა სიტყვებმა, რაც ძალზე შორს იდგა ინგლისური დიპლომატიის ხვეულებიდან, დიზრაელი ისე გააოცა, რომ უთქვამს: „უფრთხილდით მას, იგი იმას ლაპარაკობს, რასაც ფიქრობს!“** მაგრამ ბისმარკი როდი იყო ყოველთვის ასე პირდაპირი. იგი ხშირად იმას საწინააღმდეგოს აშტაცებდა, რასაც საქმით აკეთებდა.

ცნობილია, მაგალითად, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყების წინ ბისმარკი ამტკიცებდა — ფრანგების წინააღმდეგ არავითარი ინტერესები არ გვამოძრავებს და პრუსია-საფრანგეთის ომი წარმოუდგენელიაო. საფრანგეთთან ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე ბისმარკი არწმუნებდა ინგლისელებს: „ჩვენ არასოდეს არ დავიწყებთ ომს, იმიტომ, რომ ჩვენ არაფერი გვაქვს მოსაპოვებელი. თუ დავუშვებთ, რომ საფრანგეთი მთლიანად იქნება დაპყრობილი, ხოლო პრუსიის გარნიზონები განლაგდებიან პარიზში, მაშინ რაღა უნდა ვეუქნათ ჩვენ გამარჯვებას? ჩვენ ხომ არ შეგვიძლია დავიპყროთ ელზასი, ვინაიდან ელზასელები ფრანგები გახდნენ და სურთ ფრანგებად დარჩნენ“.*** ეს აშკარა დიპლომატიური სიცრუე და ბტრის თვალისახვევის ცდა იყო. რათა შემდეგ მოულოდნელად თავს დასხმოდა მოწინააღმდეგეს.

ამ დროს ორივე მხარე ომისათვის ემზადებოდა. ილია ჭავჭავაძე. რომელსაც ღრმად ჰქონდა შესწავლილი ბისმარკის პოლიტიკის წვრილმანებიც კი, ამ პოლიტიკას და მის ავტორს სავსებით სწორ შეფასებას აძლევს.

---

* პრუსიის პარლამენტი.

** О. Бисмарк. т. I, 1940, გვ. XIV—XV.

*** იქვე, გვ. XXIV.

1882 წლის იანვრის „ივერიის“ მოწინავე წერილში ილია წერს, რომ „ეხლანდელის პოლიტიკის მავთულები ხელთ უპყრია“ ბისმარკს, რომელიც „რაღაცას ცუღლუტობს, რაღაცას ამზადებს და რიღასთვისაც ემზადებაო“.* ბისმარკის პოლიტიკის რთულ ხვეულებს ილია ჭავჭავაძე ისე ნათლად და ვასაგებად ხსნის, რომ მკითხველი ადვილად ერკვევა მთელ ამ პოლიტიკურ ლაბირინთში. თუ რატომ მოახდინა ავსტრიამ ბოსნიის, ჰერცეგოვინისა და სერბიის დამონება; რატომ აღუთქვა თურქეთს ბისმარკმა რუსეთისაგან ახლად წართმეულ ქვეყნებს ისევ უკან დაგიბრუნებო; რატომ არის შესაძლებელი, რომ პრუსიამ უსისხლოდაც კი დაუბრუნოს საფრანგეთს ბრძოლით წართმეული ელზას-ლოტარინგია; რად სჭირდება ბისმარკს ახალი საქმეები გაუჩინოს საფრანგეთს ტუნისში, რითაც ორი კურდღელი დაიჭირა — დროებით ჩამოაშორა საფრანგეთი და იტალია მისი მომდურავი გახადა; როგორ ცდილობს „რკინის კანცლერი“ ხელი შეუშალოს ინგლის-საფრანგეთის დამეგობრებას; კრახის შემდეგ რა ღონისძიება იხმარა, რომ იტალია მაინც ჩამოეშორებინა საფრანგეთინგლისისათვის და ამ მიზნით იტალიას ახალი საქმე გაუჩინა — სწრაფად შეცვალა რომის პაპისადმი დამოკიდებულება და ამით გვერდში ამოიყენა უდიდესი ძალა, რამაც თვით საფრანგეთსაც ახალი საქმე გაუჩინა — ბისმარკის მიერ ევროპაში გაბმულ ამ რთულ ქსელს ილია ისე ღრმა ანალიზს უკეთებს, რომ შესანიშნავად ხატავს „რკინის კანცლერის“ ტენდენციას: ყოველგვარი წინააღმდეგობანი შექმნას და ეს წინააღმდეგობანი გამოიყენოს გერმანიის მილიტარიზმის სასარგებლოდ.

მთელ ამ პოლიტიკურ არსენალში ილია ჭავჭავაძე ხედავს გერმანიის მილიტარიზმის საშინელ შედეგს, ომის მომზადებას და მილიონობით ადამიანების განწირვას ხოცვა-ჟლეტისათვის. თავისუფლების, დემოკრატიის, ხალხთა ბედნიერებისა და სიყვარულის მომღერალი პოეტი არ შეიძლებოდა შერიგებოდა ბისმარკის პოლიტიკას. მას აშკარად ნეგატიური, აშკარად შეურიგებელი პოზიცია ეკავა „ევროპაში მილიტარობისადმი“ და, ბრალს დებდა რა „ევროპის ონავრებს“, გამოდიოდა ექსპლოატაციაზე დაფუძნებული მსოფლიოს გაბედულ მამხილებლად. ამიტომ იყო, რომ კომუნის დაცემის დღე — 1871 წლის 23 მაისი შანის ტორიის შეფერხებად მიიჩნია. „განახლების შესდგენენ ძალნი“, — წერდა პოეტი. როძელმაც ზიზღი და კრულვა შეუთვალა ტიერს, გამარჯვებულ მტარვალებს.

ეს ბრძოლა ილიას პუბლიცისტიკაში ნათლად ჩანს და მისთვის დამახასიათებელი რკინისებური ლოგიკური თანმიმდევრობით იგრძნობა ყოველი წერილის პირველიდან უკანასკნელ სტრიქონამდე. პოეტი გრძნობდა ჯეზიერის ამეტყველების წინადღეებს და სამართლიანი იყო მისი შიში, რაცა კითხულობდა: „ტყვია-წვალის სუნი ჰაერში ტრიალებს. ვინ იცის? იქნება ბევრი ხანიც არ გავიდეს და ჯეზიერმა დაიჭექოს კიდეც. ამ ამბების მაყურებელისათვის გასაკვირველი არა არის-რა“** ასე ღრმად იყო პოეტი დარწმუნებული გერმანიის მილიტარიზმის შედეგად ომის გარდუვალობაში. ის უდიდესი ყუ-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 65.
** იქვე, გვ. 67.

რადღებით აკვირდებოდა ევროპის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განვითარებას, განსაკუთრებით გერმანიის აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც ომის მთავარ გამჩაღებლად მიაჩნდა. ილია ჭავჭავაძე სამართლიანად ამტკიცებდა, რომ მთავარი დამნაშავე ამ ომში გერმანიაა. „გერმანია, რომელმაც საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ბატონობა დაიჩემა ევროპის საქმეებში, დიდი ხანია შემდგარია — თავისი გამოჩენილი მხედრობა უფრო გაძლიეროს, და ეს საქმე უჩუმრად ისე მიჰყავს, რომ ძილსა და მოსვენებას უფრთხობს მოსაზღვრეებსა“*. ავსტრია-უნგრეთი. რომელიც იძულებით მიემხრო ბისმარკს, აძლიერებდა შეიარაღებას. იმავე გზას ადგა იტალიაც. საფრანგეთის სამხედრო მინისტრი პარლამენტისაგან მოითხოვდა უფლებას პარლამენტის დაუკითხავად გაეწვიათ რეზერვები. ჰაერში ტყვია-წამლის სუნი იდგა. თითქმის ყველგან ლაპარაკობდნენ ომის შესახებ. ამ დროს გაისმა რუსი გენერლის სკობელევის ანტიგერმანული სიტყვა პარიზში სერბიელი სტუდენტების წინაშე. ამ სიტყვამ ვილჰელმ პირველიც აალაპარაკა და...

თუ რა ღრმად ჰქონდა ილიას შეგნებული ამ პერიოდის ევროპის რთული ვითარება, ევროპის ძალთა განაწილება, იქიდანაც ჩანს, რომ მან ძირითადად სწორად განსჭვრიტა ის ორი ბანაკი, რომელიც შემდეგ 1914 წლის იმპერიალისტურ ომში ჩამოყალიბდა. ეს ორი ბანაკი მე-19 საუკუნის უკანასკნელ მეხუთედში ილიას ასე ესახებოდა: ერთი მხრით დადგებოდნენ გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, თურქეთი, და, მეორე მხრით — რუსეთი, საფრანგეთი, იტალია. მაგრამ ეს კავშირი სრულებითაც არ იყო დამყარებული ურთიერთპატივისცემასა ან უანგარობაზე. როგორც საფრანგეთი, ისე იტალია რუსეთს ჩამოშორდებოდნენ, თუ რაიმე სხვა გზით მიაღწევდნენ დასახულ მიზანს. ილია პირდაპირ ასე აღნიშნავდა: „საფრანგეთი და იტალია იმისთვის კი არ ჩაერევიან საქმეში, რომ რუსეთს უშველონ, არამედ იმისათვის, რომ პირველმა გერმანიას ჩამოართვას ელზას-ლოტარინგია, და მეორემ ავსტრიას იტალიის საკუთარნი ადგილები. ერთიც და მეორეც ჩამოეცლება რუსეთს, რომ ეს გულისწადილი როგორმე სხვა გზით აუსრულდეთ“**. ეს იყო მოხდენილი დახასიათება ანგარებაზე დამყარებული ევროპის „კავშირებისა“.

წლების მანძილზე ბისმარკი ცდილობდა გერმანიის იმპერიისათვის უზრუნველეყო რუსეთის მოკავშირეობა. იგი დაჟინებით მიუთითებდა, რომ რუსეთს „უველაზე დიდი ღირებულება“ ჰქონდა გერმანიისათვის, ვიდრე მტკიცე საფუძველი არ იქნებოდა ჩაყრილი ავსტრიასთან ურთიერთობაში და ინგლისში მტკიცედ არ დამკვიდრდებოდა აზრი, რომ ინგლისს ევროპის კონტინენტზე „ერთადერთი, სრულფასოვანი და საიმედო მოკავშირე“ შეიძლებოდა ეპოვა გერმანიის სახით. როცა 1871 წელს ინგლისთან შეთანხმებას ვერ მიაღწია (როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ბისმარკი ინგლისისაგან მოითხოვდა „ერთიან ფრონტს საერთო საშიშროების წინააღმდეგ“, რომლის ძირითადი მიზანი იქნებოდა პირველი ინტერნაციონალის წინააღმდეგ ბრძოლა, ინტერნაციონალისა, რომლის ხელმძღვანელი ორგანოები ინგლისში მუშაობდნენ), ბისმარკმა გადაწყვიტა მიეღწია მეფის რუსეთთან და ჰაბსბურგების ავსტრიასთან დაახლოებისათვის. მას შემდეგ, რაც „ჩაინის კანც-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 68.
** იქვე, გვ. 74.

ლერმა" ვერ შეძლო სამთა შეთანხმების მიღწევა, შეთანხმებისა, რომელსაც ხელს მოაწერდნენ გერმანია, ინგლისი და ავსტრია, რაც რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული (ამ შეთანხმების დადება იმიტომ არ მოხერხდა, რომ ინგლისმა ეს არ ისურვა), ბისმარკის ორიენტაცია კარკვევით შეჩერდა რუსეთზე. ამ შეჩერებამ 1873 წელს სამი იმპერატორის— გერმანიის, რუსეთისა და ავსტრიის კავშირის მიღწევა შეძლო. ეს იყო ინგლისის წინააღმდეგ მიმართული კავშირი, რომელიც ამავე დროს მიზნად ისახავდა საფრანგეთის იზოლაციას. დამარცხებულმა საფრანგეთმა გადახდა კონტრიბუცია და მთელი ძალები აამოქმედა არმიის შესაიარაღებლად. გერმანიის გენერალური შტაბი ამ დროს ნათლად გრძნობდა, რომ შესაძლოა საფრანგეთმა რევანში აიღოს და გერმანიას სამრევენციო ომი დაჭირდეს საფრანგეთის წინააღმდეგო. ეს ბისმარკმაც იცოდა.

1871 წლის 10 მაისს, საფრანგეთის დამარცხების შემდეგ დადებული ფრანკფურტის ზავი ბისმარკისათვის სრულებითაც არ ნიშნავდა საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობათა საბოლოო გადაწყვეტას. და როცა გერმანიის გენერალური შტაბი ბისმარკისაგან მოითხოვდა: საფრანგეთის მხრივ მოსალოდნელია თუ არა ომი, ბისმარკი ამ აზრისა იყო, რომ ეს ომი არა მარტო შესაძლებელია, არამედ, აუცილებლადაც მოხდებაო. ამიტომ მან ყველა ზომა მიიღო საფრანგეთის იზოლაციისათვის, თუ ის ომს გაბედავდა გერმანიის წინააღმდეგ, და რუსეთს მიაშურა. ღრმად დამკვირვებლის გონებით მიუთითა ილია ჭავჭავაძემ: „რუსეთისა და საფრანგეთის დაზავების შიში რომ არა ჰქონდეს ბისმარკს, ვინ იცის რას არ იქმოდა ევროპაშიო"*. მაგრამ ბისმარკმა ვერ მიაღწია თავის ძირითად მიზანს, როგორც მას სურდა კავშირი გერმანიის სასარგებლოდ რუსეთთან ან ინგლისთან. რუსეთი და ინგლისი ნათლად ხედავდნენ ბისმარკის ანგარიშის ირეგორც უახლოეს, ისე მორეულ პერსპექტივებს. მაგრამ ბისმარკი ყოველთვის იყო დარწმუნებული ერთ უდავო დებულებაში: რუსეთის გრანდიოზული ტერიტორიული სივრცე საშიში იყო ომის ასპარეზად გერმანიისათვის, და აშკარად დამღუპველი, თუ ორ ფრონტზე ომი დასჭირდებოდა. ჯერ კიდევ მოლტკეს აფრთხილებდა იგი საფრანგეთთან მოსალოდნელი ომის დროს გერმანიას მეორე ფრონტი არ გაჩენოდა. ამიტომ იყო, რომ ხან ინგლისს მოუსინჯა ნიადაგი და ხან რუსეთს — რა პოზიციას დაიკავებდნენ ისინი, თუ გერმანიას ომი დასჭირდებოდა.

როგორი იყო ბისმარკის არგუმენტი ან რა ანდერძი დაუტოვა მან გერმანიას?

ინგლისთან დაახლოებისა და კავშირის შემთხვევაშიც კი ბისმარკი ცდილობდა გერმანიისათვის აეცდინა ომი რუსეთთან. ბისმარკს არ ახასიათებდა წარსულის გაუთვალისწინებლობა. ომების ისტორიამ იგი დაარწმუნა, რომ ომი რუსეთის წინააღმდეგ უიმედოა, ვინაიდან ვერავითარ არმიას, ვერავითარ სამხედრო ძალას ვერ ძალუძს აითვისოს რუსეთის უზარმაზარი სივრცე, დაამსხვრიოს რუსი ხალხის გიგანტური შესაძლებლობანი. კარლოს XII და ნაპოლეონ I დამარცხებანი რუსეთთან ომში ისეთ გამაფრთხილებელ

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 102.

ნიშანსვეტებად იყვნენ აღმართულნი მსოფლიო ისტორიაში, რომ ბისმარკმა არა მარტო შეხედა მათ, არა მარტო მონურად მოიხარა ქედი მათ წინაშე, არამედ ღრმად განიაზრა ისინი და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საჭიროა ვიდრე ომს განიზრახავდე რუსეთის წინააღმდეგ, ამ ნიშანსვეტებს შეხედო, რათა რუსეთთან ურუგეშო ომზე უარი თქვა. ამიტომ ბისმარკის პოლიტიკის რთულ ლაბირინთში საუსებით ნათელი და გასაგები ხდება ის ფაქტი, თუ მთელი სიცოცხლის მანძილზე რატომ გამოთქვამდა იგი შიშს რუსეთის მიმართ, რატომ ცდილობდა დაემტკიცებინა, თითქოს მეფის რუსეთსა და ჰოჰენცოლერნების გერმანიას შორის არ არსებობდა ისეთი წინააღმდეგობანი, რომლებიც ომს გამოიწვევდნენ. მაშინ, როცა რუსეთ-გერმანიას შორის იყო წინააღმდეგობანი, რატომ ცდილობდა რუსეთთან შეთანხმებისა და კავშირის მიღწევას.

„სამთა კავშირის" გაუქმების შემდეგ ბისმარკის მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქნა. 1890 წელს იგი გადააყენეს, რამაც კიდევ უფრო ნათლად დაარწმუნა, თუ რა ძალა და ფასი ჰქონდა და აქვს რუსეთს არა მარტო აღმოსავლეთის, არამარტო დასავლეთის — ევროპის, არამედ, მთელი მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე. მსოფლიო დიპლომატიის საქმიანობაში რუსეთის ხვედრითი წონა რომ დიდი იყო, ეს ბისმარკმა ყოველთვის იცოდა. მაგრამ მისი კანცლერობის უკანასკნელმა წელმა მას ახალი ფურცელი გადაუშალა: რუსეთის ხვედრითი წონა უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ეს „რკინის კანცლერს" წინათ ჰქონდა წარმოდგენილი. მას ყოველთვის სწამდა, რომ ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს, თუ პრუსია ინგლის-საფრანგეთის კოალიციას შეუერთდებოდა რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ რუსეთი მომავალში პრუსიის მტრების ერთგული მოკავშირე იქნებოდა, რაც პრუსიის ბედის გადაწყვეტაზე უდიდეს გავლენას მოახდენდა: „ის გახდებოდა პრუსიის ყოველგვარი მომავალი მტრის ერთგული მოკავშირე". ამიტომ ფრთხილად იყო „რკინის კანცლერი". ეს სიფრთხილე ილიას მიაჩნდა არა ბისმარკის თვითნებობად ან პირად მოსაზრებად, არამედ, იმ ფაქტის ლოგიკურ შედეგად, რომ რუსეთის სამხედრო ძლიერების წინააღმდეგ გერმანული მახვილის აღმართვა საბედისწერო იქნებოდა თვით გერმანიისათვის. და თუ რუსეთი რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კავშირს შეჰკრავდა, მაშინ მით უფრო განწირული იყო გერმანია.

ამ კავშირის შეკვრის საფრთხეს კი რეალური წანამძღვრები ჰქონდა. ბისმარკის წინაშე ჯერ კიდევ საფრანგეთის წინააღმდეგ ომის დაწყებამდე ისახებოდა რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის მეგობრობის შესაძლებლობა და იგი მზად იყო ჩაეშალა ეს მეგობრობა, რათა რუსეთი არ ჩამოეშორებინა პრუსიისათვის. მას არ ასვენებდა კაუნიცის კოალიციის საკმაოდ მწარე ისტორიული გაკვეთილი და, მისი შედეგებით შეშფოთებული, ყველაფერს აკეთებდა, რათა პრუსიის წინააღმდეგ არ დაეშვა არავითარი კოალიცია. ბისმარკამდე სწორედ ერთი საუკუნის წინ ავსტრიის კანცლერმა კაუნიცმა* პრუსიის წინააღმდეგ მოაწყო კოალიცია, რომელშიც შედიოდნენ ავსტრია, საქსონია, რუსეთი, საფრანგეთი და შვეცია. ეს კოალიცია 1756—1763 წლებში

---

* კაუნიცი ავსტრიის კანცლერი იყო 1753—1792 წწ.

— მთელი შვიდი წლის განმავლობაში — ეწეოდა ომს პრუსიის წინააღმდეგ, რამაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა თვით პრუსიის არსებობას.* ამ ფაქტის სერიოზულობა ბისმარკს ისე ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე პრუსიის წინააღმდეგ ყოველგვარ მოსალოდნელ კოალიციას თავის დროზე ითვალისწინებდა, ყველაფერს აკეთებდა ამ კოალიციის ჩასაშლელად და ცდილობდა ყოველთვის თვითონ მოეწყო კოალიცია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ბისმარკის პოლიტიკის ეს კულუარები კარგად იცოდა ილია ჭავჭავაძემ. „მსუნაგი თვალი ბისმარკისა“ ყოველთვის იყო მიპყრობილი რუსეთისაკენ, მაგრამ მას ყოველთვის აკავებდა რუსეთის სამხედრო ძლიერება, პლუს ის უზარმაზარი სივრცე, რომელიც შთანთქავდა გერმანიის ჯარს. „ძლიერება რუსეთისა ბევრს უშლის ბისმარკსა რუსეთი რომ არ ყოფილიყო, ბისმარკს ხელმძღვანელად უნდოდა დასჯახებოდა საფრანგეთსა, და რაც პირველში დააკლო, ის მეორედ შეესრულებინა, მაგრამ რუსეთმა თავი გამოიდო და ბისმარკი დასცხრა“.** გერმანიის კანცლერი მთელ ძალ-ღონეს ახმარდა რუსეთისა და საფრანგეთის დასუსტებას, რომ ამით თავისი პოლიტიკის საქმე გაეკეთებინა. ილიამ შემდეგნაირად განმარტა ბისმარკის პოლიტიკის ეს მისწრაფება: „...ღარიბი გერმანია დიდხანს ვერ აიტანს ამოდენა ჯარის ყოლას და შენახვას, და ვიდრე საფრანგეთი და რუსეთი ასე ძლიერნი არიან — არც შეიძლება ჯარის შეცოტავება, ამიტომაც გერმანიისათვის აუცილებელი საჭიროებაა ერთისაც და მეორის დასუსტებაც. თითო მათგანს ცალ-ცალკე კიდევ გაუბედავს რასმე ბისმარკი, ორივეს ერთად-კი ძნელად თუ გაემკლავოს“.***

რუსეთის ამ სამხედრო ძლიერებაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა არა მარტო იმ ბურჯს, რომელმაც საფრანგეთს ააცდინა გერმანიის მეორე თავდასხმა, დაიცავა ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები ბისმარკის შეტევისაგან, შებოჭა გერმანია — არ მისცა დამპყრობლური ომების თავისუფლად წარმოების საშუალება, არამედ, რუსეთის დაცვაში გარეშე მტრებისაგან მან სავსებით სწორად დაინახა საქართველოს კეთილდღეობა. რუსეთი და რუსი ხალხი ილიას მიაჩნდა იმ კოლოსალურ ძალად, რომელსაც შეეძლო უზრუნველეყო საქართველოსა და ქართველი ხალხის უშიშროება გარეშე მტრების თავდასხმისაგან. ერეკლეს ორიენტაციას, მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად, ილია ჭავჭავაძე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწორად და ისტორიულად სავსებით გამართლებულ გზად აღიარებდა. შემთხვევითი არ იყო, რომ „ივერიის“ ფურცლებზე ამ ორიენტაციის მაღალი შეფასება ეძლევა. უკვდავი პუშკინის დაბადების ასი წლისთავზე ილია ჭავჭავაძის „ივერიამ“ ცნობილი ქართველი მწერლის ნიკოლოზ ორბელიანის წერილში რუს ხალხს უფროსი ძმა უწოდა: „...აღფრთოვანებულის გრძნობით ხელს ვუწვდით ჩვენს უფროს ძმას — რუსეთის ერს — და მასთან ერთად ვდღესასწაულობთ დიდებული მგოსნის დაბადების დღეს“.**** ისეთ პატარა ქვე-

---

* О. Бисмарк, т. I, 1940, გვ. XXX.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 102.

*** იქვე, გვ. 102—103.

**** „ივერია“ 1899, № 100. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ყანას, როგორიც იყო საქართველო, უშუალოდ მოქცეული სპარსეთისა და ოსმალეთის მხრივ აგრესიის ორბიტში, უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი საუკუნეობრივი ბრძოლების შემდეგ ხსნა შეეძლო ეპოვნა მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო კავშირში.

ერეკლეს შემდეგ მისმა შვილმა გიორგი მეფემ პრაქტიკულად გააგრძელა რუსეთთან საქართველოს შეერთების იდეა და გარსევან ჭავჭავაძის მისია რუსეთის კარზე წარმატებით დაგვირგვინდა. 1799 წლის 26 ნოემბერს რუსეთის ჯარი თბილისში შემოვიდა.

ამ ისტორიული თარიღის ასი წლისთავს ილია ჭავჭავაძემ ასეთი შეფასება მისცა: „ესე შემოვიდა რუსის ჯარი ტფილისში... მეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა ფაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტკივრად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენს საუკუნეების განმავლობაში ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსსახსოვარ დღიდამ საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს შამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა“.* რუსეთის დაცვა გარეშე-მტრებისაგან ილიას მიაჩნდა საქართველოს დაცვად, ვინაიდან ამ ორი ქვეყნის ინტერესები უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ისტორიამ ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა.

ცნობილია, რომ პირველი სამამულო ომის დროს, როცა ნაპოლეონის არმია რუსეთს შეესია, დიდი კუტუზოვის გენერალთა შორის ცოტა როდი იყვნენ სახელგანთქმული ქართველი გენერლები, დაწყებული ბაგრატიონით და დამთავრებული ფანჩულიძით.** საგულისხმოა, რომ იმერეთის მეფის არჩილის შვილი ალექსანდრე, პეტრე პირველის დროს რუსეთის არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტერი იყო და რუსეთის არტილერიის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული მის სახელთან. რუსი და ქართველი ხალხის ეს მჭიდრო ისტორიული ძმობა ილიას ბოლომდე ჰქონდა შეგნებული და შავრაზმელ კატკოვის პასუხად 1880 წელს წერდა: „ქართული დროშა ორი ათასის წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისათვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გარდაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955 წ., გვ. 216—217.

** იხ. ბორის ესაძის წიგნი — „Летопись Грузии“, 1913, გვ. 262, 275-დან 292-მდე. აგრეთვე 338.

სეთის დროშასთან ერთად არა-ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არა-ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად".* მთელი მოწინავე ქართველი ინტელიგენცია მე-19 საუკუნისა რუსეთის მიწაწყლის მტრებისაგან დაცვას უყურებდა, როგორც საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობას. ამ აზრს იცავდა აკაკი წერეთელი, ასეთივე აზრისა იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი და მრავალი სხვა მოღვაწე, რომ აღარაფერი ვთქვათ გარსევან დაალექსანდრე ჭავჭავაძეების, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ეს თვალსაზრისი ემყარებოდა საერთაშორისო ურთიერთობათა დიდ ცოდნას და იმ ჭეშმარიტების შეგნებას, რომ ისეთი პატარა ქვეყანა, როგორიც საქართველოა, საუკუნეების მანძილზე თათარ-მონღოლთა ურდოების მიერ მრავალჯერ აოხრებული, არსებობას ვერ შეინარჩუნებდა, რუსეთს რომ არ დაეცვა. ილიას შორსმჭვრეტელობის უნარი და ევროპის საქმეების საფუძვლიანი ცოდნა ჩანს არა მარტო ბისმარკისა და გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკაში, არამედ იმაშიც, რომ იგი, ერთ ენებათა თანასწორუფლებიანობისა და ნაციონალური დამოუკიდებლობის მხურვალე დამცველი, ამასთან ერთად გამოდიოდა ხალხთა უფლებებისა და ღირსებების დაცვის პრინციპიდან.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: ილია იცავდა არა მარტო ე. წ. „პატარა ერებს", არამედ მან ხმა აღიმაღლა ებრაელი ხალხის დასაცავად. ერთ სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნების არსებობას ილია ჭავჭავაძე უყურებდა არა მარტო როგორც კანონზომიერ და გამართლებულ მოვლენას, არამედ, როგორც „დიდ საქმეთა განს", კაცობრიულ, ჰუმანურ ფაქტს. ამიტომ იყო, რომ თავის ცრცელ პუბლიცისტურ ნარკვევში „ირლანდია და ინგლისი".** ილია მხურვალედ მიესალმა გლადსტონის პროექტს, მან დაიცვა ის აზრი, რომ „ერთსა და იმავე სახელმწიფოში შესაძლოა სხვადასხვა გვარტომობა მოთავსდეს ასე, რომ არც გვარტომობამ შეჰხუთოს სახელმწიფო ინტერესები და არც სახელმწიფომ — ინტერესები გვარტომობისა".*** გლადსტონის პროექტს ირლანდიისათვის ცალკე პარლამენტის მინიშების შესახებ ილიამ მთელი რიგი წერილები მიუძღვნა, თვალს ადევნებდა ამ პროექტის ირგვლივ ატეხილ ბრძოლას და როცა გლადსტონის მტრებმა გაიმარჯვეს, დიდი პოეტი მწუხარებით შეხვდა ამ ცნობას.

ილია ჭავჭავაძე სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ბისმარკს, რომელმაც პოლონელები აჰყარა პოზნანიდან, გააძევა მშობლიური მიწა-წყლიდან და ეს „სახელმწიფო ინტერესებად" გამოაცხადა, მაშინ, როცა არსებითად სხვა ეროვნების დაჩაგვრითა და დამონებით იყო ნაკარნახევი. ეს იყო ხორცშესხმა იმ შოვინიზმისა, რასაც ათეული წლების მანძილზე ნერგავდნენ გერმანიის აგრესიული ძალები. ამ შოვინიზმმა მოწამლა გერმანელი ხალხი, „რაინის კანცლერის" ამ ნაბიჯს ილიამ „შემაძრწუნებელი კანონის" გატარება უწოდა. ბის-

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 12.
** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 9.
*** იქვე, გვ. 11.

მარკის შესახებ ილია წერდა: „სახელმწიფო ინტერესი ითხოვსო, რომ პოლიაკები პოზნანში არ იყვენონ და გაიყვანა ის შემაძრწუნებელი კანონი პოლიაკების განდევნისა, მაშა-პაპეულ მამულებიდან ძალად აყრისა და გაძევებისა"...* პრუსიიდან პოლონელების განდევნას ილიამ რამდენიმე წერილი მიუძღვნა და ქართველ მკითხველს გააცნო გერმანიის პარლამენტის სხდომებზე გამოსულ ორატორთა აზრები. იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა ამ საქმის უსამართლობა.

ასე შეურიგებლად ებრძოდა პოეტი მხეცურ ძალმომრეობას, ეროვნებათა ჩაგვრას, მშობლიური მიწა-წყლიდან მათ განდევნას. იგი თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ საკითხში ბისმარკის წინააღმდეგ მებრძოლებს და განსაკუთრებით ვილჰელმ ლიბკნეხტს, რომელმაც „საოცარის მჭევრმეტყველებით ილაპარაკა" და პოლონელების განდევნას ბარბაროსობა უწოდა. და თუ ილია ასე აღშფოთებული იყო ბისმარკის მიერ შარტოოდენ პოზნანიდან პოლონელების განდევნით, ადვილი წარმოსადგენია, რა უნდა განეცადა მას, ჩვენს დროს რომ მოსწრებოდა, როცა სისხლმწყურვალი გერმანელი ფაშისტები ევროპის მთელ რიგ ხალხებს არა მარტო ასახლებდნენ მშობლიური მიწა-წყლიდან, არამედ ქადაგებდნენ და პრაქტიკულადაც ახორციელებდნენ ებრაელების, პოლონელების, საერთოდ სლავების სრულ დამონებას და გაქრობას. ბარბაროსული ანტისემიტიზმი, რომელსაც ფაშისტი განგსტერები პრაქტიკულად ახორციელებდნენ, ყოველთვის მიუღებელი იყო კაცობრიობის მოწინავე ადამიანებისათვის. პროგრესული მოღვაწენი ყოველთვის დაუნდობელ ბრძოლას უცხადებდნენ ანტისემიტიზმს, ებრძოდნენ მას. ამ მებრძოლთა შორის დგას ილია ჭავჭავაძე.

„ივერიაში" 1888 წელს ილიამ მოათავსა წერილი — „ებრაელთა საკითხზე", რომელშიაც აღწერს ებრაელი ხალხის საუკუნეობრივ ტანჯვას და შენიშნავს, რომ არც ერთ ერს არ განუცდია იმდენი წამება და სატანჯველი, რამდენიც „ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულ ერს", რომელსაც ისტორიამ მწარე განსაცდელი არგუნა. მთელი ეს წერილი გამსჭვალულია ებრაელი ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობითა და სიბრალულით. იგი წარმოადგენს ეელური ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მკაფიო დოკუმენტს. „აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალებლად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგროს. სდევნიდნენ ებრაელებს — ვითარცა ერს, სდევნიდნენ — ვითარცა თავისებურისა და განსაკუთრებულის რჯულის მაღიარებელთ, სდევნიდნენ — ვითარცა უსამართლო ეკონომიურის წესწყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგვრელებს. მდევნელები ხან ერთს საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს არ დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი".** ანტისემიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ეს მოძრაობა ძლიერ არის განვითარებული ავსტრიასა და გერმანიაში. „ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ევრეთწოდებული ანტისემიტიური, ესე იგი ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს რაც

---

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, 1957 წ., გვ. 189.

** იქვე, გვ. 248.

შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დაჩაგროს ებრაელნი. ნამეტნავად ავსტრიასა და გერმანიაშია ძლიერი ივი მოძრაობა, ისეთ წრეშიაც კი, რომლისაგანაც ნაკლებად მოსალოდნელი და საფიქრებელი იყო".* ვენაში გლაზერის ძეგლის გახსნის დროს მომხდარი ფაქტი და შენერერის გასამართლების დროს მის მომხრეთა მიერ გაკეთებული განცხადება — შენერერს რომ ებრძანებინა, ებრაელებს თავს დავესხმოდით და ამოვწყვეტდითო, — ილიას ანტისემიტური მოძრაობის გაძლიერების სამწუხარო ფაქტებად მიაჩნია და მთელ წერილში მხოლოდ ის ძირითადი აზრია გატარებული, რომ ანტისემიტიზმს ცხა გადაეღობოს. ამ წერილით ილია ჭავჭავაძე დღესაც ულმობლად ებრძვის ანტისემიტებს. და პირველ ყოვლისა, ფაშისტ ბარბაროსებს, რომლებმაც მთელი ევროპა ებრაელთა სისხლით მორწყეს.

ებრაელი ხალხისადმი ილია ჭავჭავაძის ღრმა თანაგრძნობით არის ნაკარნახევი დიდი ბაირონის „ებრაული მელოდიებიდან" თარგმნილი ლექსი — „სტიროდეთ!" ოცდაერთი წლის ჭაბუკი პოეტი ბაირონის გოდებასთან ერთად თვითონაც ღრმა სიბრალულით ამოიკვნესებს ებრაელი ხალხისადმი:

„ოხ, სტიროდეთ მათ, ვინცა სტირიან
მდინარეებზედ ბაბილონისა,
მათ, ვისაც ტაძარნი ნანგრევ არიან...
ვ-სიც მამული სამშობლოისა
არარა არს რა, გარდა სიზმრისა!

. . .

ტომო, ფეხითა — სვლით მოწყლულითა,
ტომო, გულითა დაღალულითა,
ვით აღფრინდები სამშვიდო ადგილს?..
მელას აქვს ხვრელი და თვის ბუდე — ჩიტს,
კაცსა — სამშობლო, და ისრაილსა —
არარა, გარდა თვის საფლავისა".**

ასე იცავდა ილია ჭავჭავაძე ებრაელ ხალხს და ებრძოდა ბარბაროსულ ანტისემიტიზმს, რასაც მან არა ერთი წერილი მიუძღვნა.

მაგრამ ახლა ისევ მივუბრუნდეთ გერმანიის მილიტარიზმის კრიტიკას და ევროპის 90-იანი წლების დახასიათებას, როგორც ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტს ილია ჭავჭავაძის ექსტენსიურ პუბლიცისტიკაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ ბისმარკის გადადგომის წინ ევროპის საშინაო მდგომარეობას ილია ჭავჭავაძე ახასიათებს, როგორც „შეთოფიარაღებულს მშვიდობიანობას". ასეა ნათქვამი „ივერიის" 1889 წლის 16 იანვრის მოწინავე სტატიაშიც. ევროპის ხალხთა მთელ უბედურებას ამ პერიოდში ილია განმარტავს როგორც პირდაპირ შედეგს იმ პოლიტიკისა, რომელსაც ბისმარკი ახორციელებდა ათეული წლების მანძილზე. ამ პოლიტიკას ილია გაკადნიერებულსა და მოურიდებელს უწოდებს. ევროპის მილიტარიზმში მან დაინახა ის „გაუმაძღარი ვეშაპი", რომელიც ხალხის დოვლათს ნთქავს და ერის საუკეთესო ნაწილს ღუპავს. მისთვის ძნელი არ იყო დაენახა, რომ მე-19 საუკუნის 90-იანი წლების ევროპის დიპლომატიის კულუარებში ტყვია-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 249.
** ილია ჭავჭავაძე თხზულებანი, ტ. I, გვ. 209.

წამლის სუნი იდგა და გასვრეტილი გროშის ფასადაც კი არ ღირდა ის საზეიმო აღთქმანი, რომლებითაც „მშვიდობიანობის ანგელოზს“ ამკობდნენ იმდროინდელი ევროპელი დიპლომატები ინგლისის ჩათვლით. ჯარების სწრაფი მომზადება, საომარი საჭურველის მკვეთრი გადიდება, და მეორე მხრივ, მშვიდობიანობაზე ფიცი ისეთი ორი მოწინააღმდეგე პოლუსი იყო, რომელთა შორის საერთო ენა მხოლოდ ომი შეიძლებოდა ყოფილიყო. ევროპის ხალხი კი იმ ორთაპირიდილში სულს ღაფავდა. ილია ღრმა გულისტკივილით ებმაურება ხალხის იმ აუტანელ მდგომარეობას, რომ მას „მუხლი ეკეცება დღევანდელი დღის სიმძიმის ქვეშ, სული ეხუთება, არაქათი აღარა აქვს“.*

დამპყრობლური ომების, გერმანიის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ილიას ბრძოლა არ ნიშნავს, თითქოს იგი ყოველგვარ ომს უარყოფდა. გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის ელზას-ლოტარინგიის წართმევა—ეს ანექსია იყო, რასაც ფრანგი ხალხი არ ურიგდებოდა და ვერც შეურიგდებოდა — ამას ნათლად ხედავდა ილია და მხარს უჭერდა ომს უსამართლობის წინააღმდეგ. ამიტომ მოიხსენია მან ფრანგი პოეტის დერულედის სიტყვები: „ომს სამაგიეროს გადახდისას რომ მარტო პატიოსნება და ინტერესები ითხოვდეს, მაშინაც არ უნდა მოვერიდნეთ. ხოლო მაგისთანა ომი ხომ სიმართლის ომიც არის. როგორ დავსთმოთ და როგორ დავტოვოთ მტრის ხელში მილიონ ნახევარი ჩვენი თანამემამულენი, რომელნიც გამოგვგლიჯეს ჩვენ უსამართლობის გულქვაობითაო“. უსამართლობის წინააღმდეგ სამართლიან ომს ილია არა თუ უარყოფდა, არამედ, მხარს უჭერდა და იცავდა. 1890 წელს ილია პორტუგალიის მდგომარეობას ეხმაურება და ღრმა თანაგრძნობით აღსავსე სტრიქონებს უძღვნის იმ „პატარა ერებს“, რომლებიც სამშობლოს განსაცდელის დღეებში მთელი ძალების მობილიზაციას ახდენდნენ დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის მომღერალი ილია აღფრთოვანებით შეხვდა 1860 წელს ჯუზეპე გარიბალდის გამარჯვებას, რასაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა—„მესმის, მესმის სანატრელი“. ერი, თუნდაც პატარა, მშობლიური ქვეყნისადმი სიყვარულმა უმძიმესი განსაცდელის ვითარებაში უნდა გაამხნევოს დამპყრობლების შესაჩუსრავად—ეს იყო პოეტის იდეალი. ასეთი ერი ილიას ღრმა სიმპათიას და სიყვარულს იმსახურებდა. ამიტომ წერდა პოეტი: „ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს. ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს-კი არ აკრებინებს, როგორც იმედ-გადაწყვეტილს, სასოება-დაკარგულს. არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მიძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი“. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ომი ილიას ყოველთვის მიაჩნდა „სიმართლის ომად“ და ამ ომს სამშობლოს დაცვად მიიჩნევდა.

ამგვარად, გერმანიის აგრესიული ძალების, გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის ბრძოლას ღრმა თეორიული ხასიათი აქვს და მის პუბლიცისტიკაში ეს არ არის მარტოოდენ ევროპის საგარეო პოლიტიკის ანალიზის საკითხი. ამ პრობლემებს დიდ პოეტი განიხილავდა მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობათა ასპექტში, სოციალური, ეკონომიური და პო-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი. ტ. IX, გვ. 50.

ლიტიკური მონაცემების საფუძვლიანი ანალიზით, რასაც ყოველთვის უკავშირებდა თავისი ქვეყნის ისტორიულ მდგომარეობას. ევროპის ვითარების გათვალისწინებით ილია დიდი სიფრთხილით სწყვეტდა მომავლის პრობლემებს და მის ღრმა პოლიტიკურ ცოდნას, დიდ ინტუიციას, შორსმჭვრეტელობას უნდა მიეწეროს, რომ პოეტის ბევრი მოსაზრება მომავალმა წლებმა სავსებით გაამართლეს.

როგორც დავინახეთ, ბისმარკის დროინდელი ევროპის ხალხთა მთელი უბედურების მიზეზს ილია ჭავჭავაძე ხედავს რეაქციული პრუსიელობის აგრესიულ ზრახვებში, იმ ძალადობასა და უხეშობაში, დამპყრობლური ომების მომზადებასა და მოწყობაში, რასაც ბისმარკის გერმანია ახორციელებდა. „ეს უბედურება მოუვლინა ამ ბრწყინვალედ განათლებულ ქვეყანას თ. ბისმარკმა და მისმა მეტისმეტად გაკადნიერებულმა და მოურიდებელმა პოლიტიკამ“,*—წერს ილია. მაგრამ შფოთი და ალიაქოთი, მძიმე მდგომარეობა ვერც გერმანიამ აიცილა თავიდან. „შეიხედეთ ერთი გერმანიაში, რა ყოფა აქვთ პარლამენტში ერთის მხრიდამ ბისმარკსა და მის დამჭაშებსა და მეორის მხრით გერმანიის ერის გულშემატკივართა. ტყუილად ეძებენ თ. ბისმარკი და მისი ავანჩავანები ამის მიზეზს იმაში, ვითომც პირადი შური და მტრობა აგებებდეს მის მოპირისპირეებს, როცა ეგრე მიესევიან ხოლმე თ. ბისმარკსა“.** პირადულით არ შეიძლება აიხსნას ამ ბრძოლის მექანიკის რთული ზამბარა, რომლის ფესვები ღრმად არის გადგმული სოციალ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებაში. ილია ამ ბრძოლის მიზეზს ხედავს იმ პოლიტიკაში, რომლის მესვეურნიც წინ აყენებენ პოლიტიკას და შემდეგ ერის ინტერესებს. ამის შედეგად ყოველთვის ხალხი გამოდის დაზარალებული, ვინაიდან ასეთი პოლიტიკა უშუალოდ მისი ინტერესებიდან არ გამომდინარეობს და პოლიტიკა როგორღაც მოწყვეტილი, ხალხისაგან განდგომილი რჩება.

ორ მიმდინარეობას ხედავს საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ევროპის პოლიტიკის მთელ ისტორიაში. „გამგებელნი სახელმწიფო ბედისანი იძახიან, რომ ერი პოლიტიკისათვის არის ქვეყანაზედ გაჩენილი და ამიტომაც ჰქვენ სუო; სახელმწიფოს გულშემატკივარნი, ერის მოყვარენი-კი პასუხად ეუბნებიან: უკაცრავად, პოლიტიკაა ერისათვის გაჩენილი და არა ერი პოლიტიკისათვისაო... დროთა მდინარეობაში ხან ერთი მოძღვრებაა ქვეშ და ხან მეორე, რადგანაც დღემუდამ ჰიდილში არიან, ხოლო დღეს-კი ევროპის ერი თ. ბისმარკის წყალობით იმ მოძღვრების ქვეშ არის, რომელიც ჰქადაგებს, ჯერ პოლიტიკა და მერე ერიო. აქ გაწირული ერია“...*** ამ პოლიტიკამ უდიდეს საგონებელში ჩააგდო როგორც საფრანგეთის, ისე იტალიისა და ავსტრიის ხალხი. გერმანიის მიერ მოტყუებული და ფაქტიურად გაძარცული იტალიელები ზოგჯერ ყრუდ, ზოგჯერ კი აშკარად გამოთქვამდნენ პროტესტს გერმანიის ძალადობის წინააღმდეგ. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი გავიდა და მეორე მსოფლიო ომის დროს იტალია ისევ იმავე მოწყურ მდგომარეობაში აღმოჩნდა გერმანიასთან, როგორც ბისმარკის ბატონობის პერიოდში. ჰიტლერულმა გერმანიამ კი იტალია თავის სრულ ვასალად გაიხადა. ბისმარკის

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 49.
** იქვე, გვ. 50.
*** იქვე, გვ. 51.

დროს საცოდავად მოთქვამდა „იტალიის ერი უქონლობისა და უილაჯობისაგან, — გავწყალდით, ლუკმა პური აღარ შეგვრჩაო... მოგვაშორეთ ეგ რაღაც ჭირი გერმანიაა, რომელმაც ეს უბედურება აგვკიდა ზურგზედ და სული ვეღარ მოგვიბრუნებიაო“.*

გერმანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანალიზს ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ეს პოლიტიკა კრახის წინაშე დგას. გერმანიის საშინაო პოლიტიკის სფეროში ილია ოთხ ძირითად ძალას აღნიშნავს, რომლებიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებიან ბისმარკს: ერთი დასია „პარტიკულიარისტებისა“, მეორე — „კლერიკალებისა“, მესამე — „თავისუფალ მოაზრეთა“ და მეოთხე — სოციალ-დემოკრატებისა“. ეს უკანასკნელი დასი დღითი დღე ძლიერდებოდა, რაც მოსვენებას არ აძლევდა ბისმარკს. ჯერ კიდევ 1878 წელს მან პარლამენტს მიაღებინა „კანონი სოციალისტების შესახებ“. რომ მუშათა მოძრაობისათვის გზა შეეკრა. ჩაეხშო იგი. მაგრამ ამ კანონებმა ბისმარკს ვერ მისცეს ის შედეგი, რასაც მოელოდა. ხუთი წლის შემდეგ, 1884 წელს ბისმარკმა კვლავ მოითხოვა ამ კანონის ვადის განგრძობა ორი წლით, და ილია შენიშნავს: „...განაგრძობა ამ კანონებისა მიიღეს 183 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 158 ხმისა. ამ ხმათა რიცხვიდამ აშკარად ჰსჩანს, რომ სოციალისტთა საწინააღმდეგოდ ბისმარკს ძლიერი ჯარი არა ჰყოლია“.**

სოციალიზმისა და მუშათა კლასის წინაღმდეგ ბისმარკის ბრძოლა ილია ჭავჭავაძის ყურადღების ცენტრში მოექცა. როგორც ეპოქის ერთი უაღრესად სერიოზული საკითხი. ილიას აზრით, ბისმარკის დროინდელი გერმანიის წყობა წარმომდგარი იყო 1848 წლის რევოლუციის შემდეგ და იგი იყო „ევრეთწოდებული „ბურჟუათა“ წყობა“ ეს კლასი განაგებდა „თითქმის ყველგან შინაურ, თუ საგარეო საქმეებს სახელმწიფოებისას“. მთელი დოვლათი მის ხელში გროვდებოდა. მას „ბევრნი გულნაკლულნი რჩებოდნენ“. პირველ ყოვლისა, ეს „გულნაკლულნი, რომელსაც მეოთხე წოდებას ეძახიან, მუშა ხალხია, რიცხვით მრავალი, და იგი შეადგენს დღეს სოციალობის რაზმსა და დღევანდელს სატკივარსაც გერმანიისას“.*** ამ ორი ძალის წინააღმდეგობამ და შეჯახებამ ძალიან მწვავე ხასიათი მიიღო. ბისმარკმა, რომელსაც „გული პირველთათვის უფრო უცემდა“, გადაწყვიტა პირველთათვისაც შეეკრა ფრთები და მეორენიც ხელში ჩაეგდო. ამ მიზნით მან „მოიგონა ეგრეთწოდებული „სახელმწიფო სოციალიზმი“, რითაც სამი კურდღლის დაჭერა სცადა: ჯერ ერთი, რომ „ბურჟუაზიას“, მეტად გაძლიერებულს და თითქმის სახელმწიფოს მფლობელს, მართლა-და შეკრეჭა უნდა, თორემ მეტად თამამობს და საჭიროა დიდი სახსარი ძლიერებისა პატარად შეაკვეცოს; მეორე მხრით, მუშათა გულს მოიგებს, რაკი სახელმწიფო ჩაიგდებს ხელში გამორჩობის წყაროს და მაშასადამე თითონ სახელმწიფო აუჩენს მუშებს საქმესა; და მესამეს მხრით—რაც გამორჩომა იქნება, სახელმწიფოს ერგება“.**** მაგრამ ბისმარკის პოლიტიკის კრახს ვერ უშველა „რკინის კანცლერის“ ვერც დიპლომატიურმა ნიჭმა, ვერც დაუცხრომლობამ და დაუღალავმა მუშაობამ.

---

* ილია ჭავჭავაძე. ტ. IX, გვ. 50.

** იქვე, გვ. 106.

*** იქვე, გვ. 107.

**** იქვე, გვ. 108.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ოტო ბისმარკმა ვეღარ შეძლო იმ წინააღმდეგობათა თავიდან აცილება, რომლებიც გაერთიანებულ გერმანიაში კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია მუშათა კლასსა და ხელმძღვანელ კლასებს შორის. კრახი განიცადა აგრეთვე ბისმარკის ეკონომიურმა პოლიტიკამ. მან ვერ შეძლო აგრეთვე სწრაფად მზარდი ფინანსური კაპიტალისთვის უზრუნველეყო ახალი კოლონიების დაპყრობა. რევოლუციური მოძრაობისა და სოციალისტების წინააღმდეგ ბისმარკის განსაკუთრებულმა კანონებმა ვერ შეძლეს და არც შეეძლოთ მუშათა რევოლუციური მოძრაობის სრული დათრგუნვა. წინააღმდეგობანი ქვეყნის შიგნით თანდათან ძლიერდებოდა. მეზობელ სახელმწიფოებში ანალოგიურ ამბებს ჰქონდა ადგილი. ბოლოს, კრახი განიცადა ბისმარკის საგარეო პოლიტიკამაც. მან ვერ შეძლო ინგლის-რუსეთის ორიენტაციის საბოლოო გადაწყვეტა* და ყოველივე ეს საფუძვლად დაედო მოხუცი „რკინის კანცლერის“ გადადგომას კაიზერ ვილჰელმ მეორის დროს, რომელმაც შემდეგ კატასტროფობას თავს დაატეხა პირველი მსოფლიო ომის ხანძარი. მართალია, ბისმარკი ისე ჩავიდა სამარეში 1898 წელს, რომ ვერ გამოარკვია, თუ როდის დაებადა ვილჰელმ მეორეს მისი განდევნის აზრი. მაგრამ აქ გადამწყვეტი და საბოლოო როდი იყო იმპერატორის შეხედულება ბისმარკზე. „თუ როდის დაებადა იმპერატორს აზრი და მოუმწიფდა გადაწყვეტილება თავიდან მოეშორებინე, — წერს ბისმარკი თავის „აზრებსა და მოგონებებში“, — არ ვიცი“.** თვით ბისმარკი დარწმუნებული იყო: მომავალ იმპერატორს ვიდრე პრინცი იყო, კანცლერის მტრებმა ჩააგონეს აზრი, რომ იგი თავისი მომავლის დიდებას ბისმარკს არ გაუნაწილებდა. ჩემს წინააღმდეგ უფრო ადრე გამოყენებულ იქნა გრაფ ვალდერზეს ფრაზა: ფრიდრიხ დიდს რომ ასეთი კანცლერი ჰყოლოდა, მაშინ ის დიდი ვერ გახდებოდაო.***

1888 წელი გერმანიის იმპერატორის სასახლეში მრავალ მოულოდნელობათა წელი იყო, ვილჰელმ პირველი ამ წლის დასაწყისში გარდაიცვალა. მარტში ტახტზე ავიდა მისი ძმა—კრონპრინცი ფრიდრიხი, შემდეგ იმპერატორ ფრიდრიხ მესამედ წოდებული, რომელიც ამ დროს 67 წლის მოხუცი იყო და ყელის კიბოთი ავადმყოფობდა. მისმა მეფობამ სულ 3 თვეს გასტანა. ფრიდრიხ მესამის სიკვდილის შემდეგ ტახტი დარჩა მის შვილს — ვილჰელმს — შემდეგ იმპერატორ ვილჰელმ მეორეს. ერთი წლის განმავლობაში — 1889 წლის შემოდგომამდე, როგორც თვით ბისმარკი მიუთითებს, არავითარი ცვლილება არ მომხდარა იმპერატორისა და კანცლერის ურთიერთდამოკიდებულებაში. მაგრამ 11—13 ოქტომბერს, როცა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე ბერლინში ჩავიდა და ვილჰელმ მეორეს შეხვდა, ბისმარკის აზრით, ამ შეხვედრის დროს იმპერატორს არ მოსწონებია ბისმარკის რჩევა რუსეთში მისი მეორე სტუმრობის შესახებ. მეორეს მხრივ, ბისმარკი ნანობდა, რომ მან, უკვე მოხუცებულმა, ვერ გაითვალისწინა თავისი მომავალი გადადგომის მოახლოება და არ მიიღო ზომები ისეთი ფორმით გადამდგარიყო, რომ უფრო შესაფერი ყოფილიყო იმპერატორისათვის და „უფრო ღირსეული“ მისთვის.**** მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა ამ ფაქტს მეორე

---

* О. Бисмарк, т. I, 1940, გვ. XVII.
** О. Бисмарк, «Мысли и воспоминания», т. III, 1941, გვ. 42.
*** იქვე.
**** იქვე.

თუ მესამეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ბისმარკის გადადგომის მიზეზი სულ სხვა იყო, ის, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. „აზრებსა და მოგონებებში“, განსაკუთრებით ამ წიგნის მესამე ტომში, იგი, მართალია, ლაპარაკობს თავის შეცდომებზე პოლიტიკაში, ეკონომიურ საკითხებში, მაგრამ მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მიხვდა „რკინის კანცლერი“, რომ დრო გამოცვლილი იყო, რომ ჰამბურგიდან შორ- რეისით მშავალი საოკეანო ხომალდები ახალ სამყაროზე იუწყებოდნენ.

ეს მიზეზები ბისმარკის გადადგომისა შესაძლოა უფრო ღრმად ჰქონოდა შეგნებული ილია ჭავჭავაძეს, ევროპის საქმეებზე შორიდან დამკვირვებელსა და არა მონაწილეს, ვიდრე თვით ბისმარკს, რომელიც მის მიერვე გაბმულ ქსელში შემდეგ თვითონაც ვეღარ გაერკვა. რომ გერმანიის მილიტარიზმმა არა მარტო ფრანგი, იტალიელი. ავსტრიელი და სხვა ხალხების მძიმე მდგომარეობა შექმნა, არამედ, იგი უმძიმეს ლოდად დააწვა თვით გერმანიის ხალხსაც. რის გამო ვილჰელმ მეორე მეფობის პირველი წლიდანვე იძულებული შეიქნა ახალი ბრძანებები გამოეცა შრომის. ხელფასის. სამუშაო დროის და ეკონომიკის მთელ რიგ საკითხებზე,*—ეს კარგად ჰქონდა შეგნებული ილია ჭავჭავაძეს. ლაპარაკობდა რა ევროპის ხალხთა ამ მძიმე მდგომარეობაზე, ილია მიუთითებდა: „ამისთანავე დღე ადგია თითონ ძლევამოსილსა და გათამამებულს გერმანიასაც. ეს ეგრეთწოდებული „თავისუფლად მსჯელთა“ დასი რომ ასე გაცხარებულად ზედმისევია თ. ბისმარკს და მოსევნებას არ აძლევს, — რის ნიშანია? აბა შიგ გულში ჩაჰხედეთ ამ დასის ღაღადსა,-თუ იმავე მიზეზთან არ მიხვიდეთ. ეს მიზეზი დღეს გერმანიაში ისეთი ძლიერია, რომ ლამის შეარყიოს აქამდე შეურყეველი ციხე-სიმაგრე თ. ბისმარკის ავტორიტეტობისა და სხვისთვის დაათმობინოს ბურთი და მოედანი“.** ასე წერდა ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ 1889 წლის 11 თებერვლის მოწინავეში. დიდი პოეტის ეს სიტყვები ერთი წლისშემდეგ სრულიად გამართლდა. დაახლოებით ნახევარი საუკუნის მანძილზე ბისმარკის ავტორიტეტის შეურყეველი ციხე-სიმაგრე კიდევაც შეირყა და ბისმარკი იძულებული გახდა „სხვისთვის დაეთმო ბურთი და მოედანი“. — 1890 წელს „რკინის კანცლერი“ გადადგა.

რა შედეგი მოჰყვა ამას?

ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ ამ მხრივ რაიმე ცვლილება „გულს მოჰფხანს“ საქმესო. მან მართლაც „გული მოჰფხანა“ გერმანიის სწრაფად მზარდ კაპიტალიზმს, ფინანსურ კაპიტალს, რომლის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას მოხუცი კანცლერი წარმატებით ვეღარ ახერხებდა.

ბისმარკის გადადგომის შემდეგ გერმანიის კაპიტალიზმი კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა. ახალი კოლონიების დასაპყრობად გერმანიის განუწყვეტელი მზადება 1914 წელს პირველ იმპერიალისტურ მსოფლიო ომად გადაიქცა. ამ ომში გერმანია დამარცხდა. კაიზერის დამსხვრეული სამხედრო მანქანა ფრანსტებმა შემდეგ აღადგინეს უფრო უხეში, უფრო საზიზღარი სახით. ჰიტლერის გერმანიამ დაიმონა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, მიიგერ-მოიგერია სინი, სისხლსა და ცრემლში ჩაახრჩო ევროპის მილიონობით ადამიანი. ფა-

---

* ამ საკითხზე საინტერესო მასალებია ბისმარკის „აზრებისა და მოგონებების“ მესამე ტომში.

** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX. გვ. 53.

შისტმა კანიბალებმა აღადგინეს პრუსიელთა მხეცობა და ბარბაროსობა ისე, რომ მათ დანაშაულთა წინაშე მკრთალი ელეჩენება ერთად აღებული პრუსიელობის, ბისმარკის დროინდელი გერმანიისა და კაიზერის გერმანიის შემაძრწუნებელი დანაშაულობანი.

გერმანიის სამხედრო ხროვას. ამ ლანდსკნეხტებს, რომლებმაც ისტორიაში უაღრესად რეაქციული როლი ითამაშეს, ყოველთვის გამანადგურებლად აკრიტიკებდნენ მარქსი და ენგელსი. 1848 წელს, როცა გერმანიაში რევოლუცია ბობოქრობდა, მუშათა კლასის დიდი მასწავლებლები მთელი ძალ-ღონით იბრძოდნენ შექმნილიყო დამოუკიდებელი, თავისუფალი გერმანია. ისინი ებრძოდნენ გერმანიის სამხედრო ხროვას, რომელიც არა მარტო მიისწრაფოდა სხვა ხალხების დამონებისა და სხვისი ტერიტორიების დაპყრობისაკენ. არამედ, ამ მიზანს კიდეცაც ახორციელებდა პრაქტიკულად. წერილში — „გერმანიის საგარეო პოლიტიკა“ მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ: გერმანელის სახელი უცხოეთში ასე საძულველი არ იქნებოდა, გერმანიის ხალხს რომ ხშირ შემთხვევაში არ ეთამაშნა ლანდსკნეხტების როლი გერმანიის სამხედრო ხროვისადმი მონური მორჩილების შედეგად. ამ წერილში ეკითხულობთ: „რომ არ ყოფილიყო მისი დაბრმავება, მისი მონური სული, მისი ვარგისობა და მზადყოფნა ეთამაშნა ლანდსკნეხტების, „გულმოწყალე“ ჯალათებისა და „წყალობითა ღვთისათა“ ბატონების მორჩილი იარაღის როლი,— ვერმანელის სახელი საზღვარგარეთ არ იქნებოდა ასე საძულველი, დაწყეველილი და შეზიზღებული, ხოლო გერმანიის მიერ დამონებული ხალხები დიდი ხნის წინათ მიაღწევდნენ თავისუფალი განვითარების ნორმალურ მდგომარეობას“.* მარქსი და ენგელსი იქვე მიუთითებდნენ, რომ გერმანელი ხალხის თავისუფლება და სიკეთე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ თავისუფლებასა და სიკეთეს მისცემს სხვა ხალხებს. პირდაპირ ასეა ნათქვამი: „გერმანია თავისუფალი იქნება იმდენადვე. რამდენადაც თავისუფლებას მისცემს მეზობელ ხალხებს“.

ამ საკითხს ილია ჭავჭავაძეც შეეხო. იგი ბრალს სდებდა ბისმარკის ევრეთწოდებულ „მილიტარობას“, და აღნიშნავდა, რომ მთელი ევროპის მძიმე მდგომარეობაში ჩაგდება ეს სულ გერმანიის პოლიტიკის მიზეზია და, ადვილი მისახვედრია, ევროპის სხვა სახელმწიფოებიც მსურველნი არიან სადმე გაეხლართოს ბისმარკი, რომ მისი შენობა ერთბაშად დაინგრესო. ამას ჭეშმარიტებისაკენ ასაბუთებს ილიას შემდეგი სიტყვები: „ყველას, ვისაც ასეთი საქმეები დაწყია ბისმარკმა, რასაკვირველია გულში ხვანჯი ჩაჰყვებოდა და, თქმა არ უნდა, უთვალთვალებენ, ერთი როგორმე განსაცდელში თავი გაიბას გერმანიამა, რომ ჩვენ ჩვენი ჯავრი ამოვიყაროთო“.** დიდი მწერალი თითქმის ყველგან მიუთითებს—სხვისი შემავიწროებელი გერმანია თვითონაც შეეწროებულ და შფოთიან მდგომარეობაშია ჩაყარდნილიო. ეს იყო ისტორიული პარალელებისა და ისტორიის ქარტეხილების გამოცდილების შედეგად მიღებული ლოგიკური დასკვნა, რომელიც ხალხური გამოთქმით ასე შეიძლება გამოიხატოს: ნუ გაუთხრი სხვას ორმოს, შიგ თვითონვე ჩავარდები. ილია ჭავჭავაძეს ბოლომდე სწამდა, რომ ბისმარკისა და გერმანიის პოლიტიკის პრაქტიკა ამ სიბრძნის უარყოფას წარმოადგენდა.

---

* К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. VI, გვ. 238.
** ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IX, გვ. 100.

რაც ითქვა, სავსებით ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ღრმა პოლიტიკური ინტუიცია და მახვილი პუბლიცისტური ალღო ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს. სულ ბოლო ხანებში გამოვლინებულმა წერილებმა, რომლებიც უეჭველად „აჩრდილის“ ავტორს ეკუთვნიან. ერთხელ კიდევ ნათელი მოჰფინეს ჩვენს დებულებას*

ამით ჩვენ არ ვამთავრებთ ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაზე მსჯელობას. ეს იმდენად ვრცელი თემაა, რომ ცალკე ტომიც საკმარისი არ იქნებოდა. მაგრამ რასაც აქ ვამბობთ, ძირითადად გვისურათებს „აჩრდილის“ ავტორს, როგორც თავისი დროის გამოჩენილსა და დიდ პუბლიცისტს. მომდევნო, უკანასკნელ თავში, სადაც ჩვენ ვიძლევით ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ზოგად დახასიათებას, კვლავ იქნება აღძრული პუბლიცისტიკის ის საკითხები, რომლებიც ამ თემას უფრო გაამრუდებენ.

---

* ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები, რე. I, ნაწ. 1, 2, 3, 1963 წ., საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკის მანქანური ბეჭდვით გამოცემული კრებულებად.

7. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ზოგადი დახასიათება

I

ყოველი მწერალი თავისი ეპოქის პირმშოა, და როგორც სარკე, მისი შემოქმედება ხშირად მთელ ეპოქას გამოხატავს. ჩვენ დავინახეთ, რომ ახალი იდეებით მოვიდა ის ეპოქა, რომელმაც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ დებიუტს ხელი შეუწყო და პირობები მოამზადა ბატონყმობის გაუქმებისათვის. ვიდრე ეს ისტორიული აქტი მოხდებოდა, პოეტი მთელი არსებით გრძნობდა „განახლებისა გრიგალის ქროლას“, რომელსაც ძველი ქვეყანა ვერ გაუძლებდა, ჭეშმარიტებით აღძრული ბრძოლა მოსპობდა ქვეყნის მძარცველს, დაიმსხვრეოდა კაცთა ცხოვრების შემაფერხებელი ბორკილი და „ახალს ნერგზედ ახლად შობილი“ ქვეყანა კვლავ აყვავდებოდა.

ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების მამხილებელმა დიდმა კრიტიკოსმა—ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ეპოქის ახალ იდეებს ეზიარა, „ა ჩ რ დ ი ლ შ ი“ ყმა გლეხის პირით მრავლისმეტყველად ამოიგმინა: „ვინა შრომობდა და ვინა ჰძღება, ღმერთო, სად არის აქ სამართალიო?!“... სულითა და გულით ჰუმანისტმა-დემოკრატმა ბრწყინვალედ განსჭვრიტა თავისი საუკუნის ისტორიული ძისია და იწინასწარმეტყველა:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტკივილი
ძლევამოსილის ამ საუკუნისო“.*

თუ რა ვრცელი იყო ილია ჭავჭავაძის იდეური სამყარო, ნათლად მოწმობს მისი შემოქმედების პრობლემათა მრავალფეროვნება. ამ მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ნ ე ბ ი ს რეტროსპექტული მიმოხილვაც კი უხვ მასალას იძლევა მწერლის მსოფლმხედველობის დასახასიათებლად. გზადაგზა ჩვენ ეს ამოცანა ნაწილობრივ შესრულებული გვაქვს, როცა მის შემოქმედებასა და პუბლიცისტიკას ვახასიათებდით. ახლა კი, როგორც ვთქვით, ცალკე შევჩერდებით „აჩრდილის“ ავტორის მსოფლმხედველობის ზოგად ანალიზზე.

თავის მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ ნაწერებსა და მხატვრულ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძე ამბობდა, რომ მეცხრამეტე საუკუნემ ახალ საუკუნეს უანდერძა მორჩენა იმ ტკივილისა, რომელსაც სოციალ უ რ უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა ჰქვია. „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრა-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 132.

მეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა" ქ ა ც თ მ ო უ ვ ა რ უ ლ ს მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ს... „მართალია. ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გაფართოვა და, დაუდგა რა მეცნიერული საბუთი. ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია"*. ეს მოძღვრება მ ა რ ქ ს ი ზ მ ი იყო და სრულიად უეჭველია, რომ უკვე მოხუცობაში შესული ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე გრძნობდა მისი ჰეშმარიტი მეცნიერული საფუძვლების რეალურობას.

მწვავე სოციალური პრობლემატიკის პარალელურად, სულ ახლებურად დაისვა ხალხთა მდგომარეობისა და ბედის საკითხი. ილია ჭავჭავაძემაც ხალხთა ბედნიერების იდეა ორგანულად დაუკავშირა მშობელი ქვეყნის ისტორიულ ყოფასა და მისი სოციალური ძალების კეთილდღეობისათვის ბრძოლას. ეს არ იყო შემთხვევითი, ვინაიდან სამშობლოსადმი სიყვარული ყოველთვის მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ქვაკუთხედს წარმოადგენდა. ჯერ კიდევ ოცი წლის ახალგაზრდა „ყ ვ ა რ ლ ი ს მ ო ე ბ ი" სამშობლოს სიყვარულს ეფიცებოდა. ამ დიდმა სიყვარულმა განაპირობა პ ა ტ რ ი ო ტ ი ზ მ ი ს მხურვალე გრძნობა მთელ მის მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. მაგრამ ეს იყო არა ბრმა სიყვარული, არამედ, წარსული დიდების ფონზე აწმყოს ფხიზელი შეფასება. სამშობლო ქვეყნის ნაკლთა მხილება და კრიტიკა მას საფუძველს აძლევდა ეთქვა: „...კარგი გული კი მაშინვე სცნობს, — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულიაო". ამ იდეებით გამსჭვალული ილია ჭავჭავაძე წინ უბიძგებდა ხალხს, თავის ქვეყანას კარგისა და უკეთესისაკენ. ეს იყო მისი მიზანი, მისი უდიდესი დამსახურება.

მთელი თავისი მღელვარე ცხოვრება ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ სამშობლო ქვეყნის აყვავებას მოახმარა. იგი მგზნებარედ მოუწოდებდა სიმართლისათვის ხმალი არ დაჩლუნგებულიყო, აღვივებდა შრომისადმი სიყვარულს, ადამიანის „ურგებ კვალს" ცრემლის ღირსად არ მიიჩნევდა. ეს იდეა, როგორც ვნახეთ, წითელი ზოლივით მიჰყვება ილია ჭავჭავაძის პოეზიას, მ თ ე ლ შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს. ამ შემოქმედის ერთი დიდი ძარღვია მ ა მ უ ლ ი ს ა თ ვ ი ს ზ რ უ ნ ვ ა. ამიტომაა, რომ მშვენიერ ლექსში „ნ ა ნ ა" პოეტი ყრმის აკვანთან დედას ათქმევინებს: მას დედის ტკბილი ძუძუ შხამადაც შერგებია. ვისაც მამულისთვის სიკვდილი დაზარებიაო.

აღვიძებდა რა ხალხში გმირობას და მამაცობას, თავისუფლების სიყვარულს, ილია ჭავჭავაძე „ებრძოდა სიმდაბლეს, მტრობას", სამარცხვინო ბოძზე აკრავდა სოციალურ უთანასწორობას. განუმეორებელ „ო თ ა რ ა ა ნ თ ქ ვ რ ივ შ ი" ხალხის შემოქმედებით ნიჭთან და შეუპოვარ ძალასთან ერთად, მან დიდი მხატვრული ექსპრესიით დავვისურათა ხიდჩატეხილი ცხოვრების უკუღმართობა. თავისუფლების იდეალი განუმეორებელი სახეებით ასახა „მ გ ზ ა ვ რ ი ს წ ე რ ი ლ ე ბ შ ი" — ამ საოცარი ძალის მხატვრულ ნარკვევში. ექსპლოატაციისა და ძალმომრეობაზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში ადამიანთა გაქელვისა, დაღუპვისა და ტრაგედიის შემაძრწუნებელი სცენები გვიჩვენა პატარა მოთხრობაში — „ს ა რ ჩ ო ბ ე ლ ა ზ ე დ". ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა და სამშობლოსათვის თავდადების სურათებია დახა-

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1957 წ., გვ. 507.

ტული პოემაში — „მეფე დიმიტრი თავდადებული“ და საახალ წლო მოთხრობაში — „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. ზოგად-კაცობრიული იდეა — რეალური და იდეალური ცხოვრების დაპირისპირება პრაქტიკულის გამარჯვების ფონზე შთამაგონებელი პოეტური ყალმით აისახა პოემაში „განდეგილი“.

დიდმა ხელოვანმა და მახვილმა კრიტიკოსმა ილია ჭავჭავაძემ თავის დროის სარკეში ღრმად ჩაიხედა. პოეტი „ჩავიდა ცხოვრების მდინარის ძირში“. „იქ მონახა შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის“. იქ მან იპოვა „ბევრი მარგალიტი და უფრო ბევრი ლექი და ლაფი“. არც ერთის გამოხატვას პოეტი არ მორიდებია. მის მიერ დიდი ხელოვანის ოსტატობით გამოკვეთილმა სახეებმა და ტიპებმა ღრმა კვალი გაავლეს ქართულ ლიტერატურაში. ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეები, ოფარაანთ ქვრივი და გიორგი, არჩილი და კესო, ვაბრო და დათიკო, კაკო და ზაქრო, მოსეევე ლელთ ღუნია—ამ ლიტერატურულ ტიპებში ილია ჭავჭავაძემ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიული ყოფა გამოხატა. ეს სახეები ჩვენს ლიტერატურაში სამუდამოდ დარჩნენ ავრეთვე როგორც მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი ქმნილებანი.

ხალხის მომღერალს — ილია ჭავჭავაძეს გულს უწყლულებდა თვით ხალხის აუტანელი ეკონომიური ყოფა. მშრომელთადმი სიყვარულით ეღერდა მისი პოეტური ჩანგი. ლექსში — „მუშა“ მან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაგვიხატა ძალმომრეობასა და ექსპლოატაციაზე დამყარებული ცხოვრების პირობებში მშრომელთა აუტანელი მონური ცხოვრება. ბატონყმობის მძიმე უღლისაგან გლეხთა განთავისუფლების იდეებით არის გაჟღენთილი საუკეთესო პოემები „კაკო ყაჩაღი“ და „აჩრდილი“. ბატონყმობის, ძალადობის, მონობის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა პოეტი. „კაცია-ადამიანში?!“ და „გლახის ნაამბობში“ ილია ჭავჭავაძემ დიდი მხატვრული დამაჯერებლობით ოსტატურად დაგვიხატა ბატონყმური მონური ცხოვრების შემაძრწუნებელი სცენები. აბა, ნახეთ, რა ცოცხალი და ტრაგიკული სურათებია „აჩრდილში“ დახატული ბატონყმობის უღელქვეშ მოქცეული ყმა გლეხისა:

„შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმისდურსა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას...“*

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია“.**

აღარ გავაგრძელებთ ანალოგიური პირველხარისხოვანი მხატვრული სურათების ამოწერას „კაცია-ადამიანიდან?!,“ „კაკო ყაჩაღიდან“, „გლახის ნაამბო-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 131.
** იქვე, გვ. 133.

ბიდან", „აჩრდილიდან", „ოთარაანთ ქვრივიდან". ეს ნაწარმოებები ქართველი მკითხველისათვის ფართოდ არის ცნობილი და ჩვენ დაწვრილებით გარჩეული გვაქვს მონოგრაფიის წინა თავებში. იმ დროს ასეთი სიყვარული ჩაგრულთა და დამცირებულთადმი, ასეთი უხადო მხატვრული ოსტატობით აღწერა ექსპლოატაციის საშინელებისა — გაიხსენეთ თუნდაც კლასიკური ლექსი „მუშა" — შეეძლო მხოლოდ დიდი ბუნებისა და დიდი გონების ადამიანს, ჰუმანისტს ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და შემოქმედი, პირველყოვლისა დიდი ჰუმანისტია და მისი ნაწერებიდან ქრის ჰუმანიზმის სული. ასე წარმოსდგა ეს ბუმბერაზი ადამიანი თავისი დროისა ქართველი ხალხის წინაშე და ასე ესახება იგი დღეს შთამომავლობას.

დიდი ადამიანები ხშირად დიდ ეპოქაში იბადებიან და ხელს უწყობენ მის კიდევ უფრო განდიდებას. ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა, როგორც ვნახეთ, დაიწყო გასული საუკუნის 60-იან წლებში, ერთ-ერთ მღელვარე ეპოქაში, როცა ლენინის კლასიკური დახასიათებით, სოციალიზმი და დემოკრატიზმი განუყოფელი იყო, — და დამთავრდა სოციალისტური რევოლუციის წინა ათწლეულში.

როცა მის მიერ განვლილ ცხოვრების გზას სრულად წარმოვიდგენთ, ვრწმუნდებით, რომ ილია ჭავჭავაძე მართლაც არის „მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე უფრო პოპულარული საზოგადო მოღვაწე და მწერალი". ასეთი მოღვაწისათვის ფსიქოლოგიურადაც შეუძლებელი იყო დარჩენა იმ კლასთან, რომელიც სხვისი სოციალური ჩაგვრით არსებობდა უზრუნველად. ამიტომ, ისე, როგორც მსოფლიო ლიტერატურის დიდმა კლასიკოსებმა გაარღვიეს თავიანთი კლასობრივი შეზღუდულობა, ილია ჭავჭავაძემ მშრომელთა და ჩაგრულთა დამცველად აღიარა თავისი თავი და პირველხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებებში უმღერა ხალხთა ბედნიერებას, მშრომელის კეთილდღეობას, ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას და ბატონყმობას, აგრესიას და ექსპლოატაციას. მან გადაიტანა „მამათა" და „შვილთა" ორი ბრძოლა და ორივე შემთხვევაში პროგრესულ თვალსაზრისზე იდგა — 60-იან და 70-იან წლებშიც. ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ ხსენებული ბრძოლის როგორც ისტორიული საფუძვლები, ისე შინაარსი, და ერთი რამ ცხადად დავინახეთ: ამ ბრძოლამ გამოაფხიზლა იმდროინდელი ქართველი ინტელიგენცია და მას უფრო ნათელი პერსპექტივა მისცა. „აჩრდილის" ავტორი ყოველთვის იდგა თავისი ეპოქის ინტერესთა ცენტრში და სავსებით ბუნებრივი იყო ის მაჯისცემა, რასაც ქართველი მკითხველი შეუნელებლად გრძნობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში. ამ შემოქმედების გარიჟრაჟზე იწყებოდა ახალი ეპოქა. მისი ვარსკვლავის ბრწყინვა თუმც ჯერ არ ჩანდა, მაგრამ მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ, რომ დროთა სვლაში იგი უნდა გამოჩენილიყო, ადრე თუ გვიან გაენათებია ის დიდი გზა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ ასე ნათლად წარმოიდგინა. პოეტის სიტყვები მოწოდების ზარად გაისმა და ლოზუნგად წაე-

წერა თერგდალეულთა დროშას, რათა დაწყებულიყო ბრძოლა მომავლისათვის.

და ბრძოლაც დაიწყო: მომავლის პრობლემატიკამ გაბატონებული ადგილი დაიკავა 60-იანი წლების ლიტერატურაში. სამოქალაქო მოტივები წინ წამოიწია, როგორც მწერლობის უმთავრესი თემა. ამიტომაა, რომ ეპოქის მოწინავე იდეებით სუნთქავს ილია ჭავჭავაძის ყველა ნაწარმოები, დიდია თუ პატარა, ლირიკულია თუ ეპიკური, მხატვრულია თუ პუბლიცისტური. ყველგან გრძნობთ დროის ტკივილებს, სისარულსა და ტანჯვას, ცრემლთა დენას თუ ღიმილს. თავისი დროის მჭვრეტელობა და სევდა ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად გამოხატა ლირიკულ ლექსებსა და პოემებში. რადა ღირს თუნდაც პოეტის მიმართვა ალაზნისადმი:

„შენც გამოცელილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა...
მეც უდროო-დროდ გამჭრია თმებში ჭაღარა...
სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრულის!"*

ამ ბედკრულ ხსოვნას დიდი შინაგანი სულიერი ღელვაც თან ერთვოდა:

„დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაჭვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულილში, არც სიყვარულში".**

ილია ჭავჭავაძემ ბარათაშვილის შემდეგ ქართულ ლექსს მისცა ფილოსოფიური სიღრმე, მან ქართულ პოეზიას ბარათაშვილის შთაგონებით ახალი გზა უჩვენა და ახალი ჰორიზონტები დაანახა. შემთხვევითი არ არის, რომ 60-იან წლებში ბარათაშვილის აღმოჩენა და პირველი დაფასება დაკავშირებულია სწორედ ილია ჭავჭავაძის სახელთან. მისი პირველი წერილი ჟურნალ „ცისკარში", კოზლოვიდან „შეშლილის" ერისთავისეული თარგმანის გამო, როგორც ვნახეთ, არა მარტო ახალი ენობრივი ნორმების ქადაგება იყო, არამედ, „საქართველოს მოამბეს" მოწინავე წერილთან ერთად წარმოადგენდა ახალი ლიტერატურის, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობის, ახალი ეთიკის, ესთეტიკისა და პოლიტიკური მრწამსის სისტემატიკურ გადმოცემას. ილია ჭავჭავაძე შეიქნა თავისი დროის ენციკლოპედიური გონება, რომელმაც ერთნაირი ძალით შეძლო პასუხი გაეცა ეპოქის მიერ დაყენებული საჭირბოროტო კითხვებისათვის.

თავისი ყველაზე საუკეთესო ფიქრები და აზრები ილია ჭავჭავაძემ სამშობლოს დიდების საკურთხეველზე მიიტანა. როგორც დიდი პატრიოტი, იგი შეჰხაროდა მშობელი ქვეყნის განახლებასა და აყვავებას:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მდები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?"***

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 49.
** იქვე, გვ. 66.
*** იქვე, გვ. 71.

არასოდეს ილია ჭავჭავაძეს ეჭვი არ შეპარვია, რომ მშობელი ქვეყანა იხილავდა ბედნიერ მომავალს, დაიმსხვრეოდა ბორკილი და ნათელი მომავალი ხალხს სიხარულს დაუმკვიდრებდა. თავის მოწყენილ სამშობლოს ილია გამამხნევებელი სიტყვებით მიმართავდა:

„ჩემო კარგო ქვეყანაო, რაზედ მოგიწყენიხარ..
აწმყო თუ არა გეწყალობს, მომაუალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია“...*

მომავალს რომ უნდა აღედგინა წარსულის დიდების დღენი და შეექმნა უკეთესი აწმყო, ოღნავაც არ იყო საეჭვო იმ ადამიანისათვის, ვისაც თავისი თავი მსხვერპლად მიჰქონდა სიმართლისათვის ბრძოლაში, ვინაც ასე გატაცებით უმღერა თავისუფლებას, როგორც ცხოვრების აუცილებლობას. გაიხსენეთ თავისუფლების შესანიშნავი ოდები „აჩრდილსა“ და „ქართველის დედაში“, „კაკო ყაჩაღსა“ და პროზაულ შედევრებში. გაიხსენეთ ქართველი დედის გულში ჩამწვდომი სიტყვები:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნაუთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო...
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?...“**

ეს სიტყვები ყოველთვის შეატოკებს მკითხველის გულს თავისი ღრმა აზრითა და ისტორიული ჭეშმარიტების უაღრესად მკაფიო სურათით. განა ეს სიტყვები დღესაც საბრალდებო აქტად არ გაისმის მშვიდობის ყველა მტრისა და ომისგამჩაღებლის წინაღმდეგ? ეს სიტყვები მართლაც ისე გაისმის, თითქოს დღეს იყოს დაწერილი, თითქოს დღეს ხდიდეს ნიღაბს ომისგამჩაღებლებსა და მსოფლიო იმპერიალისტებს, რომლებსაც სურთ ახალი ომის საშინელ უფსკრულში გადასჩეხონ თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

აკაკი წერეთელთან, ვაჟა ფშაველასთან და ალექსანდრე ყაზბეგთან ერთად ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული კრიტიკული რეალიზმის კლასიკური წარმომადგენელია. ეს რეალიზმი უდავოდ წინამორბედია ქართული საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის ყველაზე საუკეთესო მიღწევები მოპოვებულია სოციალისტური რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდის გამოყენებით.

ქართული კლასიკური ლიტერატურა, საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად, ჩვენს ახალგაზრდობას ზრდის პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი მხურ-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 97.
** იქვე, გვ. 141—142.

ვალე სიყვარულის გრძნობით. ამ დიდ საქმეს ხელს უწყობს ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლაც. შემთხვევითი არ არის, რომ ილია ჭავჭავაძემ შესანიშნავად განსჯერიტა მომავალი, მის შემოქმედებაში ცნაურდება ჩვენი დიდი ეპოქის მღელვარე აზრები და განცდები. ამიტომ ჩვენ დღესაც უდიდესი გატაცებითა და სიყვარულით ვეწაფებით მის შემოქმედებას, რომელმაც მხატვრული სურათებით აუწყა მსოფლიოს, რომ „ბაზალეთისა ტბის ძირას ოქროს აკვანი არისო, და მის გარშემო წყლის ქვეშე უცხო წალკოტი ჰყვავისო". დიდი პოეტი, მოკრძალებით შთაგონებული, უმღეროდა ხალხის იმ სიხარულს, რომელიც ამ ლეგენდარულ აკვანთან იყო დაკავშირებული:

„იქნებ, აკვანში ძს ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?
თუ ესე არის, ნეტა მას
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწედება იმა აკვანსა!"*

მომავლის ასე სასიხარულოდ განჭვრეტა და ძლიერი გმირის მოვლინება, რომელიც უსამართლობას მოსპობდა, საერთო იდეალი იყო ქართველი თერგდალეულებისა. ისინი ოცნებობდნენ სახალხო გმირზე, ფიქრობდნენ, როგორც რომანტიკოსები, რომ ეს გმირი განახორციელებდა მათ იმედებს. ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი თავიანთ მხატვრულსა და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ამ ლეგენდარული გმირის მოვლინებას ეტრფოდნენ, როგორც მომავლის პრედესტინაციას.

მკითხველი ხედავს, რომ რთული და ვრცელია ილია ჭავჭავაძის შემოქმედების იდეური სამყარო, მრავალფეროვანია მისი პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ყოველივე იმასთან, რასაც თვით „აჩრდილის" ავტორი „ხატებსა და სურათებს" უწოდებდა.

II

ძნელია ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის მიკუთვნება რომელიმე სკოლისა თუ მიმართულებისათვის. მისი მსოფლმხედველობა შეიცავს მატერიალიზმსაც (უფრო მეტად მატერიალიზმს) და იდეალიზმის ელემენტებსაც; იგი განმანათლებელიც არის და ზოგიერთ ნაროდნიკულ იდეებსაც მხარს უჭერს; აქ შეიძლება იგივე გავიმეოროთ, რასაც ლენინი ამბობდა ნაროდნიკ ენგელგარდტის შეხედულებათა წინააღმდეგობრივ ხასიათზე. „...მის შეხედულებებში ჯერ კიდევ იმდენად ბევრია ისეთი თვისებანი, ყველა განმანათლებელთათვის საერთო რომ არის, იმდენია ისეთი რამ, რაიც უკუგდებულია ან შეცვლილია თანამედროვე ნაროდნიკების მიერ, — რომ გაგიჭირდებათ გადაწყვეტა, თუ ვის მიაკუთვნოთ იგი: ნაროდნიკული შეფერადების არმქონე „მემკვიდრეობის" წარმომადგენელთა-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 101.

ერთოდ — თუ ნაროდნიკებს".* ეს სირთულე უდავოდ აღიმართება იმის წინაშე, ვინც ცდილობს ილია ჭავჭავაძის მთელი მემკვიდრეობის კრიტიკულად შესწავლას, ვინც მიზნად დაისახავს იგი წარმოიდგინოს გარკვეული სისტემის სახით.

ილია ჭავჭავაძე, როგორც არაერთხელ მიგუთითებთ, აღზრდილი იყო გასული საუკუნის 40—60-იანი წლების განმანათლებელთა ტრადიციებზე და პუნქტირია, მისი მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა რაზნოჩინელების იდეური გარემოცვის პირობებში; მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა მთელი 50 წლის მანძილზე, როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და მეთაური, „ერის წინამძღოლი", რომელსაც ერთი ძირითადი აზრი ასულდგმულებდა: უზრუნველეყო „ერის მთლიანობა", გაექარწყლებინა, შეენელებინა, შეერიგებინა შინაგანი წინააღმდეგობანი, არ დაუშვა ძალების გათიშვა. ცხადია, ყოველივე ეს გავლენას ახდენდა მის მსოფლმხედველობაზე; ხშირად იგი იძულებული იყო დაეცვა თავისი თავი და ანგარიშიც გაეწია ზოგიერთი ახალი საწინააღმდეგო მომენტებისათვის. ასეთ რთულ ვითარებაში რთული მსოფლმხედველობა უნდა ჩამოყალიბებულიყო და აი ჩამოყალიბდა კიდეც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობის სახით.

როგორც მეთვრამეტე საუკუნის ევროპელი ეკონომისტები და ევროპელი განმანათლებლები, როგორც მეცხრამეტე საუკუნის 40—60-იანი წლების რუსი განმანათლებლები მხურვალედ ებრძვიან ბატონყმობას მისი გამოვლინების ყველა ფორმაში, ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი საქართველოს პირობებში საუკეთესოდ გამოხატავდა განმანათლებელთა ამ პირველ დამახასიათებელ თვისებას. მისთვის არც მეორე დამახასიათებელი თვისება იყო უცხო და მიუღებელი. მხურვალე დაცვა განათლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და ევროპეიზაციისა საერთოდ, შემდეგ დაცვა თვითმმართველობისა, რასაც ჩვენ ქვევით უფრო დაწვრილებით შევეხებით, მხოლოდ იმას გვიჩვენებს, რომ ლენინის მიერ აღნიშნული სამი დამახასიათებელი თვისება „განმანათლებლისა", მთლიანად უდგება ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას.

მაგრამ რა იყო განმანათლებლის დამახასიათებელი მესამე თვისება? ეს იყო, როგორც ლენინი ამბობს, „ხალხის მასათა, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ საფსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა თავისუფლდებოდნენ მხოლოდ განმანათლებლების ეპოქაში) მასებისა, გულწრფელი რწმენა იმისა, რომ ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობას თან მოჰყვებოდა საყოველთაო კეთილდღეობა; გულწრფელი სურვილი ამისადმი ხელის შეწყობისა".** თუ მწერლის მსოფლმხედველობაში ეს სამი თვისება ჩანს, მაშინ „მას ყველგან და ყოველთვის სცნობენ „60-იანი წლების ტრადიციათა შემანარჩუნებლადო",—იქვე შენიშნავს ლენინი. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ „იმ ხანებში. როდესაც მე-18 საუკუნის განმანათლებლები წერდნენ (რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით — ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებიან), როდესაც

* ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 447—448.
** ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 445.

წერდნენ ჩვენებური განმანათლებელნი 40-იანისა და 60-იანი წლებისა, ყველა საზოგადოებრივი საკითხი მაშინ ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით გამოიხატებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობანი და მათი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ ვერავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები ვერ იჩენდნენ. პირიქით, დასავლეთ ევროპაშიაც, რუსეთშიაც მათ სავსებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელადვე სწადდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ვერც შეეძლოთ ჯერ დაენახათ) წინააღმდეგობანი იმ წყობილებისა, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა".* ეს გულწრფელი სურვილი ხალხის მასების საყოველთაო კეთილდღეობისა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში მკითხველს შეუძლია ადვილად დაინახოს, ასევე იოლად შეამჩნიოს მისწრაფება ყოველივე იმისადმი, რასაც „განმანათლებლობა" ეწოდება, თუმცა სპეციფიკური პირობებითა და ასევე სპეციფიკური თვალთახედვით.

თუ „განმანათლებელს სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს", ილია ჭავჭავაძესაც სწამს არსებული საზოგადოებრივი განვითარება, ვინაიდან ის ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, ვერ ამჩნევს იმ წინააღმდეგობებს, ამ განვითარებას რომ მოსდგამს. თუ „განმანათლებლები" სრულიად არ აყენებდნენ რეფორმის მერმინდელი დროის განვითარების საკითხებს; ისინი სჯერდებოდნენ მხოლოდ რეფორმის წინადროის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლას, კმაყოფილდებოდნენ რუსეთის ევროპულად განვითარებისათვის გზის გაწმენდის უარყოფითი ამოცანით",** ილია ჭავჭავაძეც ხშირად ასე იქცეოდა, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ის არღვევდა „განმანათლებლის" ამ თვისებას და სწორედ ამაში მდგომარეობდა მისი ორიგინალური თვალთახედვა. თუ განმანათლებელთა თვალსაზრისის ერთ-ერთ ძირითად თვისებას წარმოადგენს ევროპეიზაციისადმი მისწრაფება, ილია ჭავჭავაძეც ამ კარად ამჟღავნებს ანალოგიურ ტენდენციას და ამ მხრივ ის ტიპიური განმანათლებელია. თუ „განმანათლებლები მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოყოფდნენ, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ისინი ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საზოგადოდ, არამედ ერზეც კი საზოგადოდ",*** ილია ჭავჭავაძე ამ შემთხვევაშიც ტიპიური განმანათლებელია, ვინაიდან ის მართლაც არც ერთ კლასს არ გამოყოფს განსაკუთრებული ზრუნვის საგნად, ლაპარაკობს არა მარტო ხალხის, არამედ, თითქმის ყოველთვის ერის დამცველის სახელით.

ამ წინასწარი მოსაზრებების გაუთვალისწინებლად არა მარტო ძნელია, შეუძლებელიც არის ნათლად დავახასიათოთ ილია ჭავჭავაძის ეგზომ რთული მსოფლმხედველობა და კრიტიკულად შევაფასოთ მისი მთელი მემკვიდრეობა. ეს მსოფლმხედველობა ძალიან კარგად, მთელი თავისი არსებით გამოიხატა 1877 წელს დაწერილ ლექსში „ქ. ბ. მ.-ს ას". აქ ყველაფერი ისე ნათლად არის გამოთქმული, რომ არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. მოვუსმინოთ ამ ლექსს:

---

* ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ.. 446.

** იქვე, გვ. 467.

*** იქვე.

„ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ეაწვედიდი მეგობრობისას,
რომ უარეყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...
მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჰირში თუ ლხინში წინ მიმიძღოდა...
გული თრობილი მის წმინდა მადლით
ჭკუის ციებს თათბირს ეურჩებოდა.
ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება, —
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!“*

ეს „კაცთ სიკეთე“ ილია ჭავჭავაძემ საფუძვლად დაუდო თავის მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებას, რომელიც ნამდვილად არის გამსჭვალული იმ მხურვალე რწმენით, რომ ადამიანთა ცხოვრება შეიძლება გონივრულად მოეწყოს, ყველა ბედნიერი იყოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა ადამიანებმა ერთმანეთს მეგობრობის ხელი გაუწოდონ, უარყონ „სულის სიმდაბლე“, „შხამი მტრობისა“ და აღიარონ პუშკინის მაღალი იდეები. მაგრამ პრაქტიკულად თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს მაღალი იდეები, ძნელია ამ კითხვაზე დასრულებული პასუხი იპოვოთ განმანათლებლური აზროვნების იმ რთულ სისტემაში, რომელსაც ჩვენ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობას ვეძახით და რომელიც ერთნაირი ძალით გადაიშალა მის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ შემოქმედებაში.

III

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს პუბლიცისტიკის და მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართება, გამოგვიკვეთია, რომ ისინი წარმოადგენენ სინამდვილის შემეცნებისა და მსჯავრის დადების სპეციფიკურ საშუალებებს, თუმცა შეუძლებელია მათი გაიგივება, ისევე როგორც წარმოუდგენელია პოლიტიკისა და ფილოსოფიის იდენტიფიკაცია; შეუძლებელია არსებობდეს ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც გარკვეულ იდეას არ ემსახურებოდეს, რომელიც არ იყოს მწერლის შეხედულებათა გამოვლენა, მისი იდეების მხატვრული სინთეზი. და თუ თქვენ აღიარებთ საწინააღმდეგო მოსაზრებას, მაშინ იძულებული იქნებით ასევე სცნოთ ის ჭეშმარიტება, რომ მსგავსი მხატვრული ნაწარმოებიდან, თუ იგი შეიქმნება, ვერავითარ გავლენას ან შთაბეჭდილებას ვერ მიიღებთ. „უიდეო“ ლექსები ყოველთვის გარკვეული იდეების გამოვლენა იყო; თუ მათ შეეძლოთ რაიმე გავლენა მოეხდინათ მკითხველზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ემსახურებოდნენ რაღაც იდეას, რომელიც მათში თავსდებოდა, როგორც არსებული, და განსახიერებული იყო, როგორც შინაარსი და ფორმა. უკიდურესი მისტიკური ხასიათის ლექსებიც ორგანულად გამოხატავდნენ საზოგადოების ერთი ნაწილის იდეებსა და შეხედულებებს. რატომ უნდა გავაკეთო ან შევქმნა ისეთი საგანი, რომელიც ჩემს საზოგადოებრივ-პიროვნულ შემეცნებას ინტერესის გარეშე დაუტოვებია?

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 99.

რატომ უნდა ვფიქრობდე მზის, მთვარისა და ვარსკვლავების შესახებ, თუ არ მსურს ჩავსწვდე სამყაროს საიდუმლოებას, განვიცადო ან ავხსნა მისი რაობა? რატომ უნდა ჩავიდე ზღვის ფსკერზე, თუ არ მსურს გავიგო რას წარმოადგენს ეს დაძირული ქვეყანა? რატომ უნდა გავფრინდე სტრატოსფეროში, თუ არ მსურს შევისწავლო და გავიგო ატმოსფეროს იქით მდებარე ქვეყნის თვისებები? რატომ უნდა გაქცეულიყო პლინიუსი ჯერ კიდევ გაუცივებელი ვულკანისაკენ, რომელმაც ის იმსხვერპლა, თუ არ სურდა დაეკმაყოფილებინა მეცნიერული ინტერესი — შეესწავლა და განემარტა ვულკანის მოქმედება? ან ინკვიზიტორებით გარშემორტყმულ მიშელეს რატომ უნდა გაეწირა თავი, თუ არ სურდა ჭეშმარიტება დაემტკიცებინა თავდადებული გმირობით?

თუ მე რაიმეს ვქმნი, ბუნებრივია, ჩემში ნება, რომელიც დეტერმინებულია გარშემორტყმული სინამდვილით, მაძლევს იმპულსს, რომ მსურს მისი შექმნა: თუ მე განვიზრახე რაიმე დავწერო, არ შეიძლება ეს განზრახვა მოკლებული იყოს მიზეზს, მაგრამ თუ მე ლექსი დავწერე, სადაც აუცილებლად გამოვლინებულია ჩემი იდეა, ურომლისოდ მე მას არ დავწერდი, და მეტყვიან: „ეს ლექსი არ არის იდეის გამოვლენა“, — მე ირონიულად უნდა გავიცინო, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ჩემი იდეა ვერ გამოვხატე ისე, როგორც საჭირო იყო.

ხელოვნების პირველი ნაბიჯი, მისი სინკრეტული ხასიათი, იდეების სამსახურით გამოირჩეოდა და მას ეს ძირითადი სპეციფიკა—იდეის სამსახური, ამ შემთხვევაში შრომისა და ცხოვრებისათვის ხელშეწყობა, არასოდეს არ დაუკარგავს. უიდეო ხელოვნება არსად და არასოდეს არ არსებულა, ის ვერც იარსებებდა, ვინაიდან საარსებოდ აღარაფერი დარჩებოდა. არც ერთი მწერალი კალამს არ მოკიდებდა ხელს, რაიმე იდეა რომ არ ჰქონებოდა. ხელოვნების იდეალისტური თეორია, რომელიც ქებათა ქებას უძღვნიდა „ხელოვნებას—ხელოვნებისათვის“, გარდა იმისა, რომ უაღრესად ყალბი იყო, გამოხატავდა გარკვეული საზოგადოებრივი კლასის იდეას, ემსახურებოდა მისწრაფებას — მიჩქმალულიყო საქმის არსებითი შინაარსი. მარქსისტულ-ლენინურმა ესთეტიკამ დიდი ხანია ცხადყო ეს ჭეშმარიტება, ისიც მკაფიოდ გვიჩვენა, რომ მხატვრული შემოქმედება იდეებისა და შეხედულებების სინთეზია, ხოლო იდეები და შეხედულებები შეპირობებულია საზოგადოებრივი კლასის იმ ადგილით, რომელიც მას ისტორიაში უკავია.

თუ ასეა, რა საზღვარი შეიძლება არსებობდეს პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის? თუ ხელოვნება იდეების გამოვლენაა და ემსახურება ცხოვრების შეცვლას, გაუმჯობესებას, ახლის შექმნას, პუბლიცისტიკის მიზანიც ხომ იგივეა? მაშ სადღა ვეძიოთ მათ შორის განსხვავება?

პუბლიცისტიკა მხატვრული შემოქმედებისაგან განსხვავდება არა თავისი დანიშნულებით, მიზნითა და შინაარსით, არამედ, გამოხატვის, შემეცნებისა და მსჯავრის დადების სპეციფიკური საშუალებით. პუბლიცისტიკა ობიექტური რეალობის შემეცნების სილოგისტიკური გზაა, ისე როგორც ფილოსოფია, მაგრამ სილოგისტიკის ადგილითა და ფორმით მისგან განსხვავებული. ის არღვევს მხატვრული სახეების სინთეზს — ხელოვნების ამ პირველ სპეციფიკურ მხარეს — და გზას მიიკვლევს სილოგისტი-

კით. თუ ხელოვანი სინამდვილეს გადმოგვცემს და მსჯავრმდებელია მხატვრული სახეებით, პუბლიცისტი ასეთივე ფუნქციის შესრულებას სილოგისტიკის გზით აღწევს. შესაძლებელია პუბლიცისტმაც გამოიყენოს მხატვრული სახეები, მაგრამ ეს არ იქნება მისი წამყვანი გზა, ისე როგორც ხელოვანი ხშირად მიმართავს სილოგისტიკის არსენალს, მაგრამ ეს მისთვის არ არის არსებითი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეთა შორის ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომელმაც ამ თვალსაზრისით შეხედა ხელოვნებას და ეს უკანასკნელი იდეების სპეციფიკურ გამოვლენად მიიჩნია. პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების განსხვავებაში მან მსგავსებაც შენიშნა და მთელი მისი მემკვიდრეობაც ამ დებულების საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. ილია ჭავჭავაძე პუბლიცისტიკაში ხშირად მიმართავს ალეგორიებს, შედარებებს, მხატვრულ სახეებსაც, მაგრამ მისი პუბლიცისტური სტატიები განა შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულ ნაწარმოებად? ან კიდევ, პირიქით, კლასიკურ მოთხრობაში—„ოთარაანთ ქვრივი" ილია ჭავჭავაძე იდეებს ხშირად გადმოგვცემს სილოგისტიკის შიშველი გზით, მაგრამ ეს ნაწარმოები მაინც მხატვრული შემოქმედების არსენალს განეკუთვნება და არა პუბლიცისტურს. მათი ურთიერთშეპირა არათუ გამორიცხავს, არამედ, განამტკიცებს ორივეს დამოუკიდებელ ბუნებას, ისე როგორც დადებითი და უარყოფითი ელექტროობა წარმოადგენს ერთი მატერიალური არსის ორ განსაზღვრულ სახეს.

როგორია პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების გამოვლინების ბუნება? ის, რაც პუბლიცისტიკაში ვლინდება მკაცრი სილოგიზმებით, რომლებიც აშკარად გამოხატავენ იდეას ან წარმოადგენენ იდეის დაუფარავ ცხადყოფას, — ხელოვნებაში შეცელილია მხატვრული სახეებით, რომლებიც ზოგჯერ ნათლად, ზოგჯერ ბუნდოვნად გამოხატავენ ხელოვანის იდეას. მხატვრული სახე ხშირად გვევლინება როგორც იდეის ბუნდოვანი ცხადყოფა. აქ დიდი განსაცდელი ადგება მკითხველს და კრიტიკოსს, განსაკუთრებით ამ უკანასკნელს, ვინაიდან ის ვეღარ ახერხებს შეუცდომლად ამოიკითხოს მწერლის იდეა და სწორი პასუხი გასცეს ნაწარმოებში გადაწყვეტილ საკითხს. ეს ძალიან კარგად გამოსცადეს თავის თავზე ისეთმა დიდმა კრიტიკოსებმა, როგორიც იყვნენ ბელინსკი და პისარევი. მათ ასევე კარგად ესმოდათ პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში იდეების გამოვლინების დიფერენციული ხასიათი. 60-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილი ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედება თავის ორგანულ არსებაში ნათლად ააშკარავებს იდეების ცხადყოფის ფორმათა განსხვავებას. მაგრამ განსხვავებული ფორმები, — მხატვრული და პუბლიცისტური, — გადმოგვცემენ ხშირად ერთსა და იმავე, ხოლო ასევე ხშირად — საწინააღმდეგო იდეებს.

ავიღოთ ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საკითხი. 60-იან წლებში მატერიალიზმით დაინტერესებული ილია ჭავჭავაძე აღიარებს მატერიალისტურ დებულებებს, თუმცა მხატვრულ შემოქმედებაში იხსენიებს ღმერთსაც და ქრისტესაც. მაგრამ ღმერთისა და ქრისტეს სახელის ხსენება რომ მარტოოდენ იდეალისტებისათვის ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ ძველი დროის მატერიალისტები, მათ შორის,

შეცხრამეტე საუკუნის ის მატერიალისტები, რომლებიც ხშირად იხსენიებდნენ ერთსაც და მეორესაც, იდეალისტებად უნდა გამოგვეცხადებინა. რელიგია სხვა ძალა იყო, სხვა სამოსელი ჰქონდა, ის კვებავდა იდეალიზმს, მაგრამ ბევრი მატერიალისტიც არ შორდებოდა ქრისტიანულ მორალს, თუმცა თავისი მოძღვრებით აშკარად უპირისპირდებოდა დოგმატიზმსა და იდეალიზმს. ეს მომენტი მით უფრო გასათვალისწინებელია ილია ჭავჭავაძის ადრინდელი მსოფლმხედველობის დახასიათების დროს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვიცით ის დიდი იდეური ჰიდილი, რასაც ახალგაზრდა თერგდალეული განიცდიდა ჟამწერლო ასპარეზზე გამოსვლამდე და რაც ასე კარგად გადმოგვცა ლექსით „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში".

პოეტი თავის თავს ამავე ლექსში „გამოუცდელს" უწოდებს და ეს სიტყვა საგანგებოთ შეეფერება სინამდვილეს: პოეტი ამ დროს, 1858 წელს, ჯერ კიდევ გამოუცდელი იყო არა მარტო პრაქტიკული, არამედ, პირველ ყოვლისა, თეორიული და პოეტური მოღვაწეობისათვის. ის იძიებდა, იკვლევდა, გულსა და გონებას ივარჯიშებდა, როგორც ეს აღნიშნულია „მგზავრის წერილებში", და რა გასაკვირია, თუ ამ დროს, მატერიალიზმის მიღებასთან ერთად, მის ცნობიერებაში დარჩენილიყო ბავშვობიდანვე ნავარჯიშევი რელიგიური აზრები, ღვთაებისა და ქრისტეს მცნებისადმი მოკრძალება. სამაგიეროდ, მას რომ მატერიალიზმი არ ეცნო ჭეშმარიტ მეცნიერულ მოძღვრებად, რომ არ გამსჭვალულიყო მატერიის უოვლადობის იდეით, წარმოუდგენელია ბელინსკისა და ჩერნიშევსკის იდეები გაეზიარებინა და სამოციან წლებშივე გამოსულიყო ისეთი წერილებით, როგორიცაა „რამდენიმე სიტყვა", „პასუხი", განსაკუთრებით „საქართველოს მოამბეზედ". ცხოვრებასთან ჰიდილში ყალიბდებოდა ილია ჭავჭავაძის მთელი მსოფლმხედველობა, რომელიც სინამდვილის პასიური ჭვრეტიდან თანდათან აქტიურ პოზიციას იკავებდა. ამას საუკეთესოდ მოწმობს 1859 წელს დაწერილი ლექსი „გავსწორდეთ ბედო", რომელშიაც ახალგაზრდა პოეტი ეთხოვება თავის „გამოუცდელობას", სინანულს გამოთქვამს, რომ თავის სიცოცხლეში სულ ბედის ნებაზე უთამაშნია, ამ ბედს მოუკლავს მისი „ბევრი კარგი ნუგეში", სისხლის ცრემლით დაუწვავს თვალები და გულზე ატყვია მისი ბრჭყალები. ახლა კი

> „გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
> მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალები,
> წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
> დროა დაუსცვალოთ ჩვენ ადგილები...
> შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი,
> ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
> ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
> მე დაუკრავ და — შენ კი იხტუნე".*

ეს იყო პასიური ჭვრეტიდან გამოფხიზლება, აშკარა ბრძოლის დაწყება ბედთან და მზადყოფნა იმ დიდი მოვალეობის შესრულებისათვის, რაც პოეტმა თავისი ცხოვრების მიზნად დაისახა. მანამდე ის ემზადებოდა საბრძოლველად, იმუშავებდა თავის მრწამსს, რომელიც ფილოსოფიაში მატერია-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 39.

ლიზმის აღიარებით გამოიხატა. ადრინდელ ლექსში „სანთელი“ პოეტმა შემთხვევით არ შეადარა ადამიანის სიცოცხლე სანთელს, რომელიც „ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს“... ეგრეა ადამიანის სიცოცხლეც. განუწყვეტელი ბრძოლაა ყოფნისა არყოფნასთან... „აგერ სანთელიც შანდალში ჩაჰქრა...“ რა დარჩა მისგან?.. „მწვარი პატრუქი“. ადამიანის სიცოცხლეც ასე ესახება პოეტს:

„ეგრეთაც კაცი ძლიერი ჰქრება,
რა ეწვეცა მას სიკვდილი — მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი“.*

ადამიანის სიკვდილის შემდეგ გვრჩება მისი მტვერი, ისე როგორც სანთლის დაფერფვლის შემდეგ რჩება „მწვარი პატრუქი“. არ შეიძლებოდა ილია ჭავჭავაძეს რუსული და ევროპული მატერიალიზმის თეორიულ განზოგადებასთან ერთად უკვე მაშინ არ სცოდნოდა კლასიკური ლიტერატურის აშკარად გამოხატული მატერიალისტური ტენდენცია ან კიდევ შექსპირის ჰამლეტის ფილოსოფიური სენტენცია: „თიხად გარდიქცა კეისარი ყოვლად ძლიერი...“ მაგრამ უკვე ამ დროს ილია ჭავჭავაძეს საკუთარი მოაზროვნე მატერიის განმასხვავებელი ნიშანი უბრალო მტვერისაგან. თუ ერთის მხრივ მას „მიცვალებული“ წარმოდგენილი ჰყავს „სამარეს მტვრადა შდებარედ“, მეორეს მხრივ მოითხოვს შეცნობილ იქნას „სიცოცხლის ფასი“, ადამიანმა გაიგოს, რომ, მართალია, შექმნილია მტვრისაგან, მაგრამ მარტოოდენ მტვერი კი არ არის, არამედ, სრულქმნილია, აქვს „უკვდავი ნიჭი“ სიცოცხლე, რითაც იგი ღმერთს ემსგავსება. მთელი ეს ფილოსოფიური იდეა და ქრისტიანული მორალი გადმოცემულია 1858 წელს დაწერილ ლექსში — „როდემდის“:

„როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტეს არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა მტვრითა შექმნილს ჰხედავ კვლავ მტვრათა,
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს, მტვრის თანამგზავრად?
რომ შარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...
ნუთუ არ იცი რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბრძანა: „ეითა მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“.**

ადამიანი უნდა ამაღლდეს თავის თავზე, შეივნოს თავისი დანიშნულება, სრულყოს თავისი თავი. ამ სენტენციას, ქრისტიანული მორალიდან გამოყვანილს, ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ქმნილებებში საზოგადოებრივი მნიშვნელობა ეძლეოდა, პერსონიფიცირებული პრობლემა ზოგადდებოდა, რომ მეტი ღირებულების შემცველი ყოფილიყო.

საერთოდ, იდეების ერთიანობას მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში ილია ჭავჭავაძის ბევრი ნაწარმოები გვიჩვენებს. ჩვენ ზემოთ შესაძლებლობა გვქონდა მიგვეთითებინა, რომ „ოთარაანთ ქვრივის“ მეხუ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 5.
** იქვე, გვ. 24.

თუ თავი — „დედა-შვილობა“ მთლიანად წარმოადგენს ილიას პედაგოგიურ შეხედულებათა მხატვრულ რეზიუმეს. მაგრამ, შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი დებულების ნათელსაყოფად მივმართოთ ისევ მხატვრულ მასალას.

მოთხრობიდან ვიცით, რომ ოთარაანთ ქვრივს ძალიან უყვარდა თავისი შვილი გიორგი, უყვარდა, როგორც ნამდვილ დედას უყვარს თავისი პირმშო. მაგრამ ეს სიყვარული მას არასოდეს გაუმეღავნებია შვილისათვის. არასოდესო, — ამბობდა ილია ოთარაანთ ქვრივზე, — არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად ის ტუქსავდა. შვილი (გიორგი), რომელიც სხვისაგან თავზე ფრინველსაც არ გადაიფრენდა და ფეხქვეშ პიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

„მართალია დამიტომაო, — იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, — ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო“.*

ამ პედაგოგიურ კონცეფციაში მეორე მომენტიც საყურადღებოა. გიორგი არა მარტო გარეგნულად ამართლებს თავისი დედის მოქმედებას, არამედ, მას გულის სიღრმემდე სწამს და სჯერა, რომ დედა ყოველთვის მართალია მასთან დამოკიდებულებაში. „არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დაჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გაწყრომატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა. თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა ამიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა“...**

ტუქსვას მოელოდა, დედამ კი მოუწონა! ამ პატარა მაგალითით ილია მხატვრულად გვიჩვენებს, თუ რატომ უყურებდა შვილი დედას ასე მორიდებით, რატომ შიშჩნდა გიორგის თავისი დედა მართალ ადამიანად, რატომ დავაჟკაცდა იგი ისეთივე შეუპოვარ, პირდაპირ და მორალური მხრითაც სპეტაკ ადამიანად, როგორიც თვით ოთარაანთ ქვრივი იყო. აქ წამოყენებულია აღსაზრდელზე მორალური ზემოქმედების, აღზრდის ეთიკური პრინციპი.

როგორ გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ ეს პედაგოგიური იდეა წერილებში?

ავიღოთ „პედაგოგიის საფუძვლები“, რომელიც დაწერილია 1888 წელს. ამ წერილში აღზრდის სწორედ ეს პრინციპია წამოყენებული, განვითარებული და გამოცხადებულია სკოლის ძირითად სახელმძღვანელოდ. ილია ჭავჭავაძე იზიარებს ცნობილი იტალიელი ჰუმანისტი პედაგოგების ვიტორინო დე-ფელტრეს, ვერჟერიოსა და ვეჯიოს პედაგოგიურ შეხედულებებს. ძირითადი პრინციპი, რომელიც იტალიის განმანათლებელმა პედაგოგებმა წამოაყენეს, აღსაზრდელზე მორალურ ზემოქმედებასა და მის ეთიკურ სრულყოფაში მდგომარეობდა. ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულებაშიც თავისი შვილისადმი სწორედ ამ პრინციპს ვხედავთ.

* ილია ჭავჭავაძე. ტ. I, 1937 წ., გვ. 432.

** იქვე.

ახლა ავიღოთ საკითხის მეორე მხარე. გიორგი დატუქსვას მოელის მშობლისაგან, მაგრამ სრულიად სხვა პასუხს მიიღებს, ვინაიდან სამართლიანობა გამოიჩინა — დაიცვა პატარა ბავშვი უფრო მოზრდილის გალახვისაგან. დედამ მოუწონა საქციელი თავის შვილს. ამან ძალიან იმოქმედა გიორგიზე: შის თვალში კიდევ უფრო ამაღლდა დედის მართალი სახე, კიდევ უფრო გამოჩნდა მისი სპეტაკი მშობლიური გრძნობა.

ეს მორალური პრინციპი პათეტიკურად გაშალა ილია ჭავჭავაძემ თავის პედაგოგიურ სტატიაში, როდესაც მოიყვანა შემდეგი მაგალითი: ახალგაზრდა კაცმა დაამთავრა უნივერსიტეტი. დანიშნეს მასწავლებლად. აი, ის პირველად შევიდა მოწაფეებთან და დაფაზე წერს გაკვეთილს. ამ დროს რომელიღაც მოწაფემ დაღეჭილი ქაღალდი მოახვედრა დაფას. მასწავლებელი ექსცენტრიულად არ გამოეხმაურა მოწაფის ამ უდიერ საქციელს. როცა მასწავლებელმა დაამთავრა დაფაზე წერა, შემდეგი სიტყვებით მიმართა მოწაფეებს: „მე არ მინდა ვიცოდე, მე არ მინდა შევიტყო, ვინ არის დამნაშავე ამ ჩემს გაუპატიურებაში. რა საჭიროა!.. დეე განიკითხოს ის იმისმავე სინდისმა. მე მით უფრო ვერ გამიგია ჩემის გამაუპატიურებელის საქციელი, რომ მან ჯერ არ იცის, როგორი ოსტატი ვარ და როგორი კაცი... სამწუხაროა, რომ ჩემი პირველი გამოსვლა საპედაგოგიო სარბიელზედ ამისთანა ამბით დაიწყო. ხელმეორედ მოგახსენებთ, რომ მე არ მინდა შევიტყო ვინ არის ამ უკადრისის ცელქობის მომქმედი. დამნაშავის სახელი რომ შევიტყო, — ვინ იცის, მეც კაცი ვარ, — იქნება გულში მისი ჯავრი ჩავიყოლიო და ჯავრმა ცოტათ თუ ბევრად იმაზე გული ამაყრევინოს“.* მასწავლებლის ამ სიტყვების შემდეგ მოწაფეებში ჩოჩქოლი ატყდა. ერთი მოწაფე ადგა და თავისი ამხანაგების სახელით მასწავლებელს მიმართა: „ყველა ჩემი ამხანაგები გთხოვენ გვაპატიოთ ეგ შეტად ცუდი საქციელი ერთი ჩვენგანისა“. ამის შემდეგ მასწავლებელი ყველა მოწაფისათვის საყვარელი შეიქნა.

ეს მაგალითი ტიპიურია, როგორც მასწავლებლის აუცილებლად საჭირო პედაგოგიური ტაქტი. „ერთი ასეთი ჭკვიანური, გულთბილი საქციელი ოსტატისა უფრო ძლიერ მოქმედობს ბავშვის გაადამიანებაზედ, ვიდრე სამისა და ოთხის წლის ზეპირება გრამატიკისა“.** ეს სრული სიმართლეა და განსწავლებელი პედაგოგების მსგავსად, ილია ჭავჭავაძის პედაგოგიურ შეხედულებებშიც ძირითადი ადგილი უკავია მორალურ-ეთიკური ზემოქმედების პრინციპს. ვიტორინო დე-ფელტრეს, ვერეერიოს და ვეჯიოს მსგავსად ილია აღიარებს პლატონის შეხედულებას, რომ თავისუფალი არსება თავისუფალი უნდა იზრდებოდეს. მაგრამ ეს პრინციპი დავიწყებული იყო. გასული საუკუნის 90-იანი წლების სკოლას ილია ჭავჭავაძე სწორედ იმას უსაყვედურებს, რომ მან პრაქტიკული საქმიანობიდან განდევნა ბავშვის აღზრდის მორალური და ეთიკური პრინციპი იმ დროს, როცა უდიდესი ადგილი დაუთმო მეცნიერებათა ცალკე დარგების შესწავლას.

მაგრამ რას წარმოადგენს ასეთი სკოლა, რა მიზანს ისახავს?

იმას, რომ „პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტოს. ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მარტო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის. ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ეხლანდელი ყმაწ-

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 321.

** იქვე.

ვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებული სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-დადღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ".* სწავლის თვითმიზნური ხასიათი მანკიერებაა, რომელიც ზედმეტ ბარგს აძლევს ადამიანს და ხელს არ უწყობს მის გადამიანებას. სკოლას, აღმზრდელს უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვს, ჭკუა-გონებასთან ერთად, აქვს გულიც და ეს უკანასკნელი ისევე მოითხოვს წვრთნას, როგორც გონება, ან კიდევ მისი ტანი და აგებულება მოითხოვს ვარჯიშს. ცალმხრივი მოქმედება აღზრდაში, მარტოოდენ გონების ვარჯიში, ხელს არ უწყობს კაცის გადამიანებას. აღზრდაში კი მთავარი უნდა იყოს კაცის გადამიანება და არა სწავლის თვითმიზნური ხასიათი. ყველა ნასწავლი — კაცად ვერ გახდება, ხოლო ბევრი უსწავლელი — კაცური კაცია. უსწავლელმა ოთარაანთ ქვრივმა თავისი შვილი ცხოვრების სკოლაში აღზარდა, თეორიული მორალური კოდექსების ნაცვლად ცხოვრების მორალი მისცა და ადამიანი გამოიყვანა. შეიძლება აქ მოვნახოთ რუსოს დიდაქტიზმის ელემენტები, მაგრამ არა რუსოიზმი.

ასე ორგანულად ეჭსოვება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური და მხატვრული შემოქმედება ერთმანეთს, ასე ნათლად წარმოდგება ამ დიდი ადამიანის აზროვნება სილოგიზმებითა და მხატვრული სახეებით.

IV

თუ ჩვენ მთლიანად განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობას, არ შეიძლება არ ვიგრძნოთ, რომ მისი პუბლიცისტიკა, პოზიტიური გაგებით, ექსტენსიურია ფორმითაც და შინაარსითაც. არ დარჩენილა იმ დროისათვის არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც ილია არ შეხებოდეს. ღრმა ცოდნასთან ერთად, მას ჰქონდა მახვილი პოლემისტის მკაფიო უნარი. ფილიპე მახარაძემ ერთხელ მიუთითა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძლიერ ემარჯვება მოწინააღმდეგის არა მარტო დამცირება, არამედ, თავისი თავის გამართლებაცო. მის მსჯელობას ყოველთვის თან ახლდა დიდი დამაჯერებლობა. მაშინაც კი, როცა ილია ყალბ საფუძველზე დგას, მისი არგუმენტირება ისეთ ფორმას ატარებს, რომ არამახვილი მკითხველისათვის დამარწმუნებელია. სწორედ ამ დროს შესამჩნევია წინააღმდეგობათა რთული კონგლომერაცია, რასაც თავისი საფუძვლები უნდა მოენახოს.

მაგრამ რა საბუთით ვაყენებთ ამ დებულებას?

საკითხის ღრმად გაგებისათვის მოგვიხდება ცოტა შორიდან დავიწყოთ, განვიხილოთ ვრცელი პუბლიცისტური წერილი „ცხოვრება და კანონი", რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შემოღებული ეგრეთწოდებული „მეოთხედობის" უკანონობის დამტკიცება და მისი ახალი სახით წარმოდგენა. ეს იყო იმ დროის ერთი ურთულესი საკითხი, რომლის მოგვარებასაც პოეტი ასე ესწრაფებოდა, მით უფრო, რომ „მეოთხედობის" შემოღება მას არ მიაჩნდა კანონიერად, რადგან იგი ხელს უწყობდა გლეხობასა და მემამულეებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებას.

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, 1928 წ., გვ. 324.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ „ჩამოვარდა მეოთხედობა, — წერს ილია ჭავჭავაძე, — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც. მოჰყვა ამას, ვითარცა აუცილებელი შედეგი, სხვადასხვა კანონები სადავიდარაბო და ორივე მხრისათვის თავში საცემი“.* რომ მართლაც ასე იყო, სრულიად უეჭველია, და ფაქტებითაც მტკიცდება. ისიც ნათლად ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძე უარყოფით დამოკიდებულებაშია „მეოთხედობისადმი“, თუმცა თანმიმდევრულად ვერ იცავს ამ თვალსაზრისს. წერილში „ნ უ თ უ?“ მან სცადა „მეოთხედობისათვის“ მოეშორებია ნეგატიური, უარყოფითი მომენტები და გადაეკეთებინა ორივე მხარისათვის (მემამულე და გლეხი) სასარგებლოდ. „მ ე ო თ ხ ე დ ო ბ ი ს“ ამ ორიგინალურ ფორმას ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვუწოდოთ „მ ე ო თ ხ ე დ ო ბ ი ს“ ი ლ ი ა ს ე ბ უ რ ი წ ე ს ი“. მაგრამ რას ნიშნავს, როგორია მისი შინაარსი, ან რატომ დასჭირდა ილიას შეეტანა ცვლილებები „მეოთხედობის“ წესში? ვისთვის იყო აუტანელი „მეოთხედობა“ — მ ე მ ა მ უ ლ ი ს, თუ გ ლ ე ხ ი ს ა თ ვ ი ს? ამ საკითხებს უნდა გავცეთ პასუხი, თუ გვინდა გავიგოთ „მეოთხედობის“ ბუნება და „ილიასებური წესი“.

„მეოთხედობა“ ნიშნავდა გლეხის მიერ მებატონისაგან დასამუშავებლად აღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან მეოთხედი ნაწილის მიცემას მებატონის სასარგებლოდ. ილია ამბობს, რომ ამ წესს ჰქონდა უარყოფითი მხარეები, ვინაიდან ის იწვევდა გლეხსა და მებატონეს შორის კ ო ნ ფ ლ ი ქ ტ ს, მებატონესა და გლეხს შორის უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს გ ა მ წ ვ ა ვ ე ბ ა ს. „რომ მებატონესთან გლეხი პირნათლად გამოსულიყო, რასაკვირველია, მებატონის კაცი უნდა დასწრობოდა ნამუშევარის შინ შემოტანის დროს, რომ მეოთხედი მიეთვალა. თუ აეწყო. დაიდვა ეს კანონიცა. ყველამ იცის, რომ ნამუშევარი თითქმის ერთსა და იმავე დროს შემოდის, მთელ საქართველოში თუ არა, ერთ და იმავე სოფელში მაინც. აბა, ეხლა იფიქრეთ, რა უნდა ექმნა ამ შემთხვევაში იმ მებატონეს. რომელსაც ათი და ოცი კომლი ნაყმევი ეყოლებოდა? როგორ უნდა გასწვდენოდა ათსა და ოც კომლსა? სადა ჰყვანდა ათი და ოცი კაცი მაგ მეოთხედების უკან სადევნებლად ერთ და იმავე დროს? არ გაგზავნიდა — ეჭვში უნდა ჩავარდნილიყო, გლეხი მომპარავსო, და გაგზავნიდა კიდეც — იმ მეოთხედიდამ კაცების დაშერის ხარჯს კაი წილი მიჰქონდა. იყო ორ ჭირს შუა. ამ შემთხვევაში ან გლეხის კეთილ სინდისიანობას უნდა დამყარებოდა, ან არა და ერთი თუ ორი კაცი უნდა ეტარებინა მეოთხედების ასაკრეფადა, რადგანაც მეტს მძიმე ხარჯი მოსდევდა. გლეხი უფრო ცუდ დღეში იყო. თუ მოუცდიდა ნაბატონარის კაცს, ვინ იცის, როდის მოვიდოდა, და ბატონის კაცის ლოდინში შიშით სული ელეოდა, ავდარმა ნამუშევარი არ წამიხდინოსო; არ მოუცდიდა კიდევ — შიში კლავდა, მეტს წამომედავებიანო“.** საჭირო იყო რაღაც გაკეთებულიყო ორივე მხარის სასარგებლოდ. და პოეტმა სცადა გამოეყენებინა თავისი კ ა მ ა რ ა ლ უ რ ი გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა — საქმე მოეგვარებინა. ამ წესის გაუმჯობესების მიზნით, თავის მამულში მან შემოიღო „მეოთხედების“ ჩაბარების „საბაბართო სისტემა“, რომელსაც „უ ბ რ ა ლ ო და უ მ ა ნ კ ო წ ე ს ი“ უწოდა. გლეხი ჩააბარებდა თუ არა მოურავს „მეოთხედს“, მისთვის უნდა გამოერთმია ქვითარი — „მეოთხედის“ რაოდენობის აღნიშვნით. მაშინ სადავო თითქოს ალარაფერი იქნებოდა.

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 7.

** ი ქ ვ ე.

როგორც ვხედავთ, თუ პირველ შემთხვევაში ილია ჭავჭავაძე ნეგატურად უყურებდა „მეოთხედობის“ სისტემას, მეორე შემთხვევაში ის შეეცადა ვაეუმჯობესებინა ეს წესი და, ამგვარად, არა მარტო დაეცვა თეორიულად, არამედ. გაეტარებინა პრაქტიკულადაც.

მსგავსი წინააღმდეგობანი ილიას პუბლიცისტიკაში ბარ არის შემთხვევითი, რაც საერთოდ დამახასიათებელია განმანათლებლობისათვის. თანმიმდევრული აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ მტკიცე მეცნიერული საფუძვლების განპირობებით. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ განმანათლებელს ბრალდებად წავუყენოთ, თუ რატომ არ არის იგი ასეთი საფუძვლებით შეიარაღებული, მაგრამ ვერც დავიცავთ, როცა მისი აზროვნება წინააღმდეგობაში ვარდება. ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ თანმიმდევრული მოძღვრება მხოლოდ მატერიალისტური ფილოსოფიაა, დიალექტიკური მატერიალიზმია, რომელიც მეცნიერული აზრის უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს. ისიც სრულიად უეჭველია, რომ ყოველი მოაზროვნე ააშკარავებს წინააღმდეგობას, თუ იგი მატერიალისტური დიალექტიკით არ ხელმძღვანელობს. მართალია, ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ჩვენ ხშირად გვხვდება მატერიალისტური შეხედულებები, დიალექტიკური მსჯელობა, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და საერთოდ სინამდვილის შემეცნებაში იგი ვერ იცავს თანმიმდევრულ მატერიალისტურ შეხედულებებს.

ამ დებულების ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ პუბლიცისტური სტატია — „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები“, დაწერილი 1897 წელს. ილია ჭავჭავაძე ერთის მხრივ ემყარება ავაზაკობისა და ქურდობის გამომწვევ მიზეზად ეკონომიურ სარჩულს, მაგრამ მას ამათუიმ კუთხის მცხოვრებთა ბუნება უფრო მიაჩნია მიზეზად, ვიდრე ეკონომიური სივიწროვე, საზოგადოებრივი ურთიერთობა და გაბატონებული საზოგადოებრივი წყობა. მისმა თანამედროვე, გაცილებით უფრო ნაკლები ტალანტის მწერალმა ეგნატე ნინოშვილმა თავის მოთხრობაში „სიმონა“ და პუბლიცისტურ წერილებში სულ სხვანაირად წარმოიდგინა საქმის ვითარება, გვიჩვენა ავაზაკობის სოციალური შინაარსი, ავაზაკობის მიზეზად მიიჩნია მთელი ხაზოგადოებრივი წყობა.* ცხადია, ეს უფრო ახლო იყო ჰეშმარიტებასთან, ვიდრე „მცხოვრებთა ბუნებით“ მიზეზის ახსნა. ავაზაკობის უმთავრეს მიზეზად კი ილია ჭავჭავაძემ აღიარა არა იმ დროს გაბატონებული საზოგადოებრივი ურთიერთობის პოლიტიკური და სოციალური შინაარსი, არა ის, რომ თვით ეს საზოგადოებრივი წყობა იწვევს ავაზაკობასა და ქურდობას, არამედ, ამ საზოგადოებრივი წყობის ერთი ნაწილი — სასამართლო და მთავრობის მოხელეები. ეკონომიური სარჩულით ავაზაკობისა და ქურდობის ახსნამან „მეტის მეტად“ მიიჩნია.

ჩვენ არაფერს ვიტყოდით, რომ აქ იყოს ბაზისის მექანისტური თეორიის კრიტიკა. არა, ილია ჭავჭავაძეს ეკონომიური ურთიერთობა ამ შემთხვევაში წარმოდგენილი აქვს დამოუკიდებელ თვითარსად, რომელიც არსებობს

---

* ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. გიორგი ჯიბლაძე. „კრიტიკული ეტიუდები“, ტ. IV, 1963 წ., გვ. 476—478.

და არავითარ გავლენას არ ახდენს მთელ საზოგადოებრივ წყობაზე, მაშინ, როცა სხვა მთელ რიგ შემთხვევებში მას ეკონომიური ბაზისის როლი სწორად აქვს გაგებული. ქურდობისა და ავაზაკობის განმარტების დროს კი ეკონომიური ურთიერთობა ილიას ნაწერებში განსახიერებულია ცალკე ინდივიდების, განმხოლოებულ პიროვნებათა ბედნიერებისა და უბედურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოთიშვით. „მეტის მეტი იქნება ყოველივე ხსენებულ ეკონომიურ უღონობას დავაბრალოთ, როცა ქურდობისა და ავაზაკობის მიზეზს ვიკვლევთ. თუ ეკონომიური უღონობაა მიზეზი ქურდობისა და ავაზაკობისა ჩვენში, არიან იმისთანა გარემოებანიც, რომელნიც აქეზებენ და ასაზრდოებენ ამნაირ ავკაცობასა და რომელთა წყალობითაც გაჭირვებული კაცი გაეტაცებინება ხოლმე მაცდურებას — რაც არ უთქვამს, ის მომკოს. ერთი ამ გარემოებათაგანი არის იმედი — არავინ გამომეკიდებაო“.* ეს მითითება, რომ ავაზაკობას და ქურდობას ხელს უწყობდნენ მთავრობის ადგილობრივი მოხელენი, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ ავაზაკებსა და ქურდებს — განმარტებას საჭიროებს. ჯერ ერთი, უკიდურესად ბარბაროსულად უმასპინძლდებოდა მეფის ბიუროკრატია თავისი მოხელეებით უმრავლეს შემთხვევაში ყოველად უდანაშაულო ადამიანებს, რომლებიც ავაზაკის სახელს იმსახურებდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ეგუებოდნენ გაბატონებულ ძალადობას; მაგრამ, მეორე მხრით, ვანა მათ მიმართ კიდევ უფრო მკაცრი ზომების მიღებას შეეძლო მეამბოხე ადამიანების გულისთქმის შეჩერება?

გავიხსენოთ წარსულის ისტორიული ფაქტები. ერეტიკოსების წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ცნობილია, ინკვიზიციამ ცეცხლითა და მახვილით სცადა სქოლასტიკის დაცვა მეცნიერული აზრის ქარიშხლისებური კრიტიკისაგან, რისთვისაც ასეულობით მეცნიერი გაგზავნა კოცონებსა და საპატიმროებში, მაგრამ მაინც ვერ გადაარჩინა სქოლასტიკა, ვერ შეაჩერა მეცნიერების ძლევამოსილი წინსვლა. საქმეს ვერ უშველა ინკვიზიტორების მიერ შემოღებულმა სიკვდილით დასჯის უსაშინელესმა მეთოდებმა. ცოცხლად დაწვა და ხანგრძლივი წამება ყოველად ბარბაროსული საშუალებებით, მიზანს ვერ აღწევდა. ერთი დაღუპული ერეტიკოსის ადგილზე ათეულები ჩნდებოდნენ. ინკვიზიცია მხოლოდ აყოვნებდა, მაგრამ ვერ აჩერებდა მეცნიერული აზრის წინსვლას. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ სოციალურ უბედურებათა და ბოროტებათა საფუძველია ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოება; მათი მოსპობისათვის აუცილებელია დაემხოს ანტაგონისტური კლასობრივი ინსტიტუტი თავისი ნორმებითა და კატეგორიებით; ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობანი განსაზღვრავენ მათ მოქმედებასა და აზროვნებას. კარლ მარქსის ცნობილი მე-11 თეზისი ლუდვიგ ფოიერბახის ფილოსოფიის შესახებ სწორედ იმ მომენტიდან გამოდიოდა, რომ საჭირო იყო მსოფლიოს არა მარტო ახსნა, როგორც ამას სჩადიოდნენ ფილოსოფოსები, არამედ, შეცვლა. ამ შეცვლის მთელი დედააზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ურთიერთობანი, რომელნიც ისტორიის გრძელ მანძილზე ჩამოყალიბდნენ მტრულ კლასებად დაყოფილ სა-

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 255.

ზოგადოებაში, — შეცვლიყო, რაც მთელი კაცობრიობის ცხოვრების შეცვლის აუცილებელი პირობა იქნებოდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ეკონომიური ფაქტორით განსაზღვრავენ საზოგადოების არა მარტო ყოფას, არამედ, შეგნებასაც. საზოგადოების უარყოფითი, მახინჯი მოვლენების მოსასპობად, უპირველესად საჭიროა იმ ურთიერთობის მოსპობა, რომელიც გაბატონებულია ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძის აზრით კი საჭიროა არა მთელი ეკონომიური ურთიერთობის ანუ ბაზისის შეცვლა, არამედ, სხვადასხვა ზომების გატარება, რომელნიც თუ „მთლად არ აღმოჰკვეთს ქურდობასა და ავაზაკობას... უეჭველად ალაგმავს, შეაცოტავებს, შეასუსტებს, და სხვა არა იყოს-რა, ხელს მაინც არ შეუწყობს, და ესეც მოგება იქნება“.*

საზოგადოებრივი მოვლენების შეცნობის ანალოგიური თვალსაზრისით არის დაწერილი ვრცელი გამოკვლევა „ცხოვრება და კანონი“, რომელშიაც ის აზრია გატარებული, რომ საქართველოს წარსული არ იცნობს ხალხის დაყოფას წოდებად, და რაც მთავარია, მათ შორის ბრძოლას. ევროპისა და რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველო ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია ისეთ ქვეყნად, რომელიც არ ხასიათდება რთული საზოგადოებრივი მოვლენებით. მართალია, იყო ელემენტები, რომელთა მოძრაობა და განვითარება საქმეს ბრძოლამდე მიიყვანდა, მაგრამ ამ ელემენტებს არასოდეს მისცემია მოძრაობისა და განვითარების საშუალება. რაკი ბრძოლა არ არსებობდა, „ბანაკებად დაყოფაც ერისა არ იქნებოდა, არ იყო წყობ-წყობად განცალკევების მიზეზიც ჩვენს ერობაში, რომელიც, თუ თვის ცხოვრებაში უნუგეშობას რასმეს ჰგრძნობდა, საერთოდ ჰგრძნობდა, რადგანაც ყველანი. როგორც ზევითა ვსთქვი, ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში. თუ ევროპას მივხედავთ, იქ სულ სხვა ამბავი იყო“.** ევროპაში საშუალო საუკუნეების მთელ მანძილზე განვითარებული იყო „ხელთმოქმედება“, იგივე „მიწის შემუშავება“, რაც გადაიქცა „ცილების საგნათ, რადგანაც იგი იყო პირველი და მხოლობითი წყარო ქონებისა“. მაგრამ შემდეგ,—შენიშნავს ილია,— „როცა ვაჭრობა გახშირდა, გახშირდა საფაბრიკო და საქარხნო ხელთმოქმედება, მაშინ ქონებითმა ძალამ სხვა სახე მიიღო: მაშინ მოძრავმა ქონებამ ფესვი გაიდგა და უპირატესი ადგილი დაიჭირა ერის ცხოვრებაში. მაშინ მოძრავთა სიმდიდრის პატრონნი შეეცილენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივს უფლებას მიწის მფლობელთა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. ეს შეცილება გათავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციით. ამ რევოლუციამ წამოაყენა მესამე წოდება „ბურჟუაზია“, რომელმაც მიწათმფლობელობას ჩამოაცალა უპირატესობა სახელმწიფო წყობაში და მის მაგივრად დაადგინა მფლობელობა მოძრავის ქონებისა“. ილია ჭავჭავაძეს კარგად ესმის, რომ ბურჟუაზიამ

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 273.

** ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 5, 7. სხვათა შორის, ილიას „ხელთმოქმედების“ აღსანიშნავად მოჰყავს რუსული „промышленность, производство“. რაც ნიშნავს მრეწველობას, წარმოებას. თარგმანი არ არის სწორი. მართლაც, ევროპაში განვითარებული იყო მანუფაქტურული წარმოება, რაც ნამდვილად ნიშნავს „ხელთმოქმედებას“, ხოლო თუ მანუფაქტურული წარმოება „ხელთმოქმედებაა“, მაშინ ეს სიტყვა არ შეიძლება ვიხმაროთ მიწათმოქმედების აღსანიშნავად, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე ხმარობს.

განიზრახა მთელი ქონება ჩაეგდო ხელში და ეს განზრახვა სისრულეშიც მოიყვანა. მან საზოგადოების დიდი ნაწილი ქონების გარეთ დატოვა. ეს დიდი ნაწილი იყო მუშაკაცი, ის მუშა-კაცი, რომელიც იბრძვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რომელიც „ყოველგვარი წყობის ქვაკუთხედად დევს შრომასა, რომელიც ბუნებითაც ყველას განმათავისუფლებელია, რადგანაც ყველა უნდა მშრომელი იყოს“. ეს ბრძოლა, პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძეს მიაჩნია სავსებით კანონიერ, „საბუთიან“ მოვლენად, თვით დებულება მარქსის მოძღვრებიდან აქვს აღებული, მაგრამ ასეთი ბრძოლის მიზეზი მას საქართველოს პირობებში არ ეგულება.

საქართველოს თავადაზნაურობის უპირატეს უფლებას გლეხობასთან შედარებით ილია მხოლოდ იმაში ხედავს, რომ თავადაზნაურობა „მოკითხვის წიგნში“ ბრწყინვალედ იხსენიება, გლეხი კი არა. „წოდებათა შორის უფლების ცილება ეკონომიურის თუ პოლიტიკურისა, ცილება — რომელიც უაღრესი მიზეზი იყო დაუძინებელის განხეთქილებისა სხვა ქვეყნებში, ჩვენში არ არსებობდა“. ისტორიის გრძელ მანძილზე საქართველოს თავადაზნაურობა „არ დაჰშორებია გლეხობას, არ შეუკეტნია თავი, თავისი საკუთარი ინტერესები არ შემოუხაზავს ისე, როგორც სხვაგან. ერთის სიტყვით, არ განსაკუთრებულა ერთს წყობად, ერთს დასად“.* მაგრამ თუ გლეხსა და თავადაზნაურობას შორის იყო ანარსებობს განხეთქილება, ამის მიზეზია „თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხარბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის ქუდის ახდა“.** ძნელი არ არის მივხვდეთ, რომ ეს ყალბი, იდეალისტურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისია, რომელსაც ისტორიული გამართლება არ გააჩნია. პირიქით, საქართველოს ისტორია წარმოადგენს არა მარტო წოდებათა შორის განხეთქილებისა და „ცილების“ ისტორიას, არამედ, ისე, როგორც კაცობრიობის მთელი ისტორია, იგი კლასთა ბრძოლის ისტორიაა. თუ განხილვის სფეროდან გვერდზე დავტოვებთ საქართველოს ისტორიას მეთვრამეტე საუკუნემდე, მარტო მეცხრამეტე საუკუნე ათეულობით ითვლის გლეხთა აჯანყებებს არა მარტო მეფის თვითმპყრობელური პოლიტიკის, არამედ, თავადაზნაურობის წინააღმდეგ.

მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძე საქართველოს სპეციფიკურ პირობებს განმარტავს, როგორც განსხვავებულსა და დამოუკიდებელს ევროპისა და რუსეთისაგან, შესაძლებელია აქ ჩანდეს ნაროდნიკობის იდეური გავლენა, კერძოდ, იმ ნაროდნიკებისა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თითქოს რუსეთში პროლეტარიატი, როგორც კლასი, მსგავსად ევროპისა, არ არსებობდა; იმ ნაროდნიკობისა, რომლის გენიალური კრიტიკა ლენინმა მოგვცა; იმ ნაროდნიკობისა, რომლის თეორიული არსენალის სიყალბე ჯერ კიდევ სალტიკოვ-შჩედრინმა გამოააშკარავა. ვისაც სოციალური უთანასწორობის მოსპობის ერთადერთ საშუალებად კლასობრივი ბრძოლა (ილიას გამოთქმა რომ ვიხმაროთ, წოდებათა შორის ბრძოლა) მიაჩნია, ილია ჭავჭავაძის აზრით, „დიდად სცოდავს“. ეს პირდაპირ საბედისწერო შეცდომაა, რომელმაც ილია ჭავჭავაძეს საშუალება არ მისცა სწორად წარ-

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 59—60.
** იქვე, გვ. 61.

მოედგინა საზოგადოებრივი ცხოვრების რთული მოვლენები. მეტიც შეიძლება ითქვას: საქართველოში კლასობრივი ბრძოლის არსებობის საბუთად, ილია ჭავჭავაძის აზრით, არ შეიძლება გამოდგეს ის ფაქტი, რომ ევროპაში კლასობრივი ბრძოლაა. ეს იგივე იქნება „კაცმა ნაგავი შეიტანოს საბლში მარტო იმისათვის, რომ მერე საბუთი ქონდეს თქვას: სახლს დაგვა უნდაო". ეს მართლაც იყო ილია ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის, მიუტევებელი, საბედისწერო შეცდომა, რაც მხოლოდ მისი განმანათლებლობით შეიძლება აიხსნას. ულმობელი ისტორია, ყველაზე დიდი მსაჯული, თვითონვე უარყოფს ამ ცდომილებას და გამორჩხული არ არის, რომ ილია ჭავჭავაძე შემდეგ თვითონვე იტყოდა უარს თავის იმ დებულებებზე, რომლებიც, სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი მხატვრული შემოქმედების ანსამბლს არღვევდნენ.

საქართველოს ისტორია თურმე არ იცნობს არა მარტო კლასებს, რასაც ილია „დასებს" უწოდებს, არამედ, საზოგადოების დაყოფას წოდებებად. „ჩვენს ენაში სიტყვაც არ მოიპოვება იმ აზრის გამოსახატავად, რასაც რუსული სიტყვა «сословие» ნიშნავს. ეხლანდელი ჩვენი სიტყვა „წოდება" გუშინდელი სიტყვაა; ეხლა შემოგვყავს ვაინაჩრობით და ისიც ვინ იცის — ვარგა სახმარად თუ არა. არამც თუ ხალხში არ არის ეგ სიტყვა, ან მაგის მსგავსი რამ აზრითა და მნიშვნელობითა, ძველს კანონებშიაც და წერილებშიაც არსად არ შეხვედრივართ. ეს იქნება იმის მიზეზითაც იყოს, რომ ჩვენს ძველს ცხოვრებაში დასდასად დაყოფა ერობისა არ არსებობდა. არ არსებობდა იმ მხრით, რომ ერთს წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონოდა უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს — არა, და ერთს ამით ეჩაგრა მეორე. ჩვენში ყველანი ერთნაირად უხმონი და უფლებას მოკლებულნი იყვნენ წინაშე უმაღლესის მთავრობისა. თუ რაიმე მაგალითებია ჩვენს ისტორიაში, რომ ჩვენს ხელმწიფეებს კრება მოუხდენიათ და მოუწვევიათ სამღვდელონი და დიდკაცნი რჩევისათვის, ეგ ამ წოდებათა განსაკუთრებითს უფლებას კი არ მოასწავებდა, არამედ უფლებას თვით ხელმწიფისას, რომელიც, თავისის სურვილისამებრ, თუნდა მოიწვევდა და თუნდა არა. ამის გამო, იმ ბრძოლას და შეხეთქებას წოდებათა შორის უფლების დასაპყრობად, გასავრცობად, რომელიც ევროპაში იყო და ეხლაც არ გათავებულა, და რომელიც უპირველესი მიზეზი იყო ერის წყობა-წყობად დაყოფისა, ჩვენში ადგილი არა ჰქონია".* თუ არ ჰქონდა, მაშინ როგორღა ავხსნათ ის დიდი შინაგანი სოციალური ჰიდილი, ჩაგვრა და დამონება, რომელიც ილია ჭავჭავაძის მხატვრულმა გენიამ ასე მომხჯადოებელი ხელოვნებით დაგვიხატა „აჩრდილში", „კაკო ყაჩაღში", „სარჩობელაზედ" და ღრმა პათეთიკით დაწერილ ლირიკულ შედევრებში?

V

ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, საჭიროა ჯერ აღვნიშნოთ, რომ მწერლის პუბლიცისტიკა და მხატვრული შემოქმედება ხშირად არ არის იდენტური. ენგელსის კლასიკური დახასიათებით, ლეგიტიმიზმმა პოლიტიკაში ხელი ვერ შეუშალა ბალზაკს ბურჟუაზიის სახით დაენახა იმ დროს აღმავალი კლასი და მოეცა არისტოკრატიის გამანადგურებელი კრიტიკა „ადა-

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 56.

მიანურას კომედიაში". მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, თითქოს მწერალი პოლიტიკური მრწამსი მხატვრულ შემოქმედებაში ყოველთვის საწინააღმდეგოდ იხატებოდეს. ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება და პუბლიცისტიკა მთლიანობაშია ერთმანეთთან, თუმცა არის ურთიერთდაშორებაც. მაგალითად, თუ პუბლიცისტიკაში ილია უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას საქართველოს პირობების მიხედვით, ამავე დროს, მისი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს კლასობრივი ბრძოლა და საზოგადოების დაყოფა როგორც კლასებად, ისე წოდებებად.

მხატვრული შემოქმედებისა და პუბლიცისტიკის მთლიანობას ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობაში ნათელს ჰფენს სეპარატიზმის საკითხია გარკვევაც. თავის ადრინდელ პროზულ ნაწარმოებში — „მგზავრის წერილები" — ილია ჭავჭავაძემ სეპარატისტული ტენდენცია რადი გამოამჟღავნა, როგორც ეს აღიარებულ იქნა ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსის მიერ. მოხევის პასუხი, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო", სეპარატიზმი კი არ იყო, არამედ, იმის მოთხოვნა, რომ შინაურ საქმეებში ხარეშე ძალის — ამ შემთხვევაში თვითმპყრობელობის უხეში ჩარევა შეუთავსებელია ხალხთა კანონიერ უფლებებთან — თავისუფლად იცხოვროს და თავისუფლად მართოს თავისი შინაური საქმეები. ამიტომ, ავტორის სიტყვები: „მიგიხვდი ჩემო მოხევევ რა ნესტარითაცა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო" — თქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ გულში გაითბარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..." ვიმეორებთ, ავტორის ეს სიტყვები სეპარატისტული ტენდენცია კი არ არის, არამედ, ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი იდეაა, რომელიც თერგდალეულებმა თავიანთ დროშას წააწერეს და რუსეთის მოწინავე რაზნოჩინურ ინტელიგენციასთან სოლიდარობის გრძნობით წამოაყენეს როგორც ბატონყმობის, ისე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. მისი მახვილი მოხვდა „მგზავრის წერილებში" იმ ქარაფშუტა ოფიცერს, სულელ. ჰკუათხელ, გულზვიად ადამიანს, რომელსაც ქართველი კაცის ყოფნა პეტერბურგში მიაჩნია საოცარ მოვლენად, ხოლო პეტერბურგთან შედარებით ტფილის- „წიტიან" ქალაქად, სადაც „ერთი თავიდან რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა". ეს იყო თვითმპყრობელობის უხეში ძალის კრიტიკა და ავტორი სწორედ ამიტომ გვიხატავდა მეფის ოფიცერს ასე მუქი ფერებით. ამიტომ იყო ის, ჰკუათხელი ოფიცერი, განცვიფრებული იზლერის ბაღით, ამიტომ მიაჩნია მას, შინაგანად ცარიელ ადამიანს, თავისი თავი მეცნიერად, რომელსაც გამოგონება აქვს, გამოგონება, რომლის „ყოველის შემძლე ძალით მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლია".

და მერე რა არის ეს გამოგონება? „ჩემი დენშჩიკი ფრიად დიდი ქურდი იყო, — ამაყად ამბობს ოფიცერი, — საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა. მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე ორი ბუზი, დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ — რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ

შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო, რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მივიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე, ვინ ახდიდა, თუ არა ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ვეღარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას, ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ. დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინად ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონთ ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახობაში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისთვის არ გამომჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ — თქვენც გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არაყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ იხრჩობიან — Губа не дура. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ".*

ეს მხატვრული სახე ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში იმ მიზანს ემსახურება, რომ გამოააშკარაოს მეფის თვითმპყრობელობის შინაგანი სიცარიელე და დასაბუთება მისცეს ცარიზმის წინააღმდეგ პროგრესულ ძალთა ბრძოლას, როგორც გონიერ საწყისს. მაგრამ ეს რომ სეპარატიზმი არ იყო, თვითონ ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა თავის პუბლიცისტურ წერილებში. სტატია „კატკოვის პასუხად", რომელიც დაწერილია 1880 წელს, ნათლად ამტკიცებს ჩვენს დებულებას.

«Московския ведомости»-ს ერთ-ერთ ნომერში (№ 44) დაიბეჭდა კორესპონდენცია ტფილისიდან. კორესპონდენტი სომხებსა და ქართველებს ამხელდა და ახასიათებდა როგორც სეპარატისტებს. «Московския ведомости»-ს რედაქტორობდა შავრაზმელი კატკოვი, რეაქციონერ პობედონოსცევისა და მისი ამქრების ტიპიური ნათესავი. ილია ჭავჭავაძემ სასტიკი პასუხი გასცა არა მარტო კორესპონდენტს, არამედ, თავისი პუბლიცისტური სტატიის მახვილი მიმართა, პირველ ყოვლისა, კატკოვის წინააღმდეგ. კორესპონდენტი, როგორც ილია აშბობს, აბრალებდა სომხებსა და ქართველებს, რომ ისინი სეპარატისტები არიან, ქართულსა და სომხურ წარმოდგენებს თავს აკლავენ, სხვა წარმოდგენებზე კი არ დადიანო. ილია ჭავჭავაძემ სავსებით სამართლიანად დასცინა კორესპონდენტსა და კატკოვს, რომლებსაც მოურიდებლად უწოდა „მაბეზღარი ადამიანები". ასეთი „მაბეზღრები" იყვნენ პობედონოსცევები და ძმანნი მათნი, კუგუშინსკები და მარსოვები, რემერტები, ილიაშენკოები და სემენენკოები, რომლებსაც კატკოვებთან ერთად, შურდათ მცირე ერების ყოველგვარი ღირსება. „რათა ჰშურსო ბ-ნს კორესპონდენტს, — წერს ილია,—რომ ქართველები და სომხები თავიანთ თეატრში დაიარებიან? რა საკვირველია, რომ მე ჩემი უფრო მიყვარდეს, ჩემსას უფრო ვეზაროდე, ჩემი უფრო მიამებოდეს და ჩემსას უფრო ხელს ვუწყობდე: გული ადამიანისა ფიცარი ხომ არ არის, რომ ერთი წაშალო და მის მაგიერ სხვა რამ დასწერო. გრძნობა თავისიანის სიყვარულისა ისეთივე ძლიერია, ისეთივე მკვიდრია, ისეთივე ბუნებრივია, მაშასადამე ისეთივე სამართლიანი და პატივსაცემი, როგორც სიყვარული მამა-შვილური, დედა-შვილური. ვერა ძალი მაგ სიყვა-

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, გვ. 254—255.

რულს ვერ ამოჰკვეთს ადამიანის გულიდამ! ყოველივე იარაღი მის წინაშე უქმია!" *

ვის შეეძლო ჰეშმარიტების გამომხატველი ამ მშვენიერი აზრების, მშვენიერი სიტყვების უარყოფა? არავის, გარდა თვით ჰეშმარიტების წინააღმდეგ ამხედრებული უმეცარისა, რომელსაც შოვინიზმით მოწამლული ჰქონდა უგრძნობი გული და ხეპრე გონება. ასეთ უმეცარს სწორედ შავრაზმელი კატკოვი წარმოადგენდა თავისი მოსყიდული კორესპონდენტებით. მისი გამოლაშქრება ქართველებისა და სომხების წინააღმდეგ დიდმპყრობელური შოვინიზმის უხეში გამოხდომა იყო და საკადრისი პასუხიც მიიღო. ილია ჭავჭავაძემ კატეგორიულად უარჰყო ბრალდება, თითქოს ქართველები და სომხები სეპარატისტები იყვნენ. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან „აჩრდილის" ავტორი ყოველთვის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამცველად გამოდიოდა, ამასთან, მხურვალედ იცავდა რუსი და ქართველი ხალხების მჭიდრო კავშირის იდეას თვითმპყრობელობის უხეში ძალის გარეშე.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის მიერ არაერთგზის ნათქვამი სიტყვები დიდ რუს ხალხთან ქართველების მჭიდრო კავშირის ისტორიულ მნიშვნელობაზე. 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლიდან 100 წლისთავს, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ილია ჭავჭავაძემ მიუძღვნა სპეციალური წერილი, რომლითაც მან მთელი ქართველი ხალხის სიხარული გამოხატა. ეს წერილი პირდაპირ საბრალდებო აქტია შავრაზმელი კატკოვისა და მისი ავან-ჩავანების წინააღმდეგ, რომლებიც ხმის ჩაწყვეტამდე გაჰკიოდნენ სეპარატიზმზე, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის სახელის გასატეხად. წინანდელი მცირე ნაწყვეტიც მაგიერ. ჩვენ აქ მთლიანად მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს სტატიიდან — „ასი წლის წინათ", მთლიანად იმიტომ. რომ მკითხველი თვითონ დარწმუნდეს — სეპარატისტული ვერ დაწერდა იმას, რასაც ილია ჭავჭავაძე ასე გულმხურვალედ გვეუბნება.

თბილისში რუსეთის ჯარის შემოსვლით საქართველოს უკანასკნელმა „მეფემ და ერმა ძლივს ნუგეშითა და იმედით გაიცოცხლა გული. ბეფის კარიდამ დაწყებული უკანასკნელ ქოხამდე სიხარულმა გაშალა თავისი სანატრელი ფრთა, სიხარულმა ხსნისამ და ნუგეშისამ. დიდი ხანია საქართველოს ამისთანა ბრწყინვალე დღე აღარ ენახა. ყველას, დიდიდამ პატარამდე, ქალით კაცამდე, გული აევსო იმ სანატრელ იმედითა, რომ რუსის მხედრობის დაბინავება საქართველოში საქართველოს მოუვლენს იმ მშვიდობიანობას, იმ მოსვენებას, იმ პატრონობასა და მფარველობას, იმ ბედნიერად და უტკივარად შინაურ ცხოვრებას, რომელთათვისაც ამდენ საუკუნეების განმავლობაში, ასე თავგამეტებით, ასე თავდადებით იბრძოდა საქართველოს შვილი და თავისის სისხლით ჰრწყავდა ყოველს კუთხეს თავისის ქვეყნისას. ამ ღირსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდის ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან. დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ყიერა ხმლისა და მახვილისა. მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე. გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 7.

ჰპუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრადღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოკვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლადნთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა საკაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინაღამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს. რომელნიც უმწედ, უნეტარეს. ყველასგან შორს, მარტოდ-მარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავისის ვინაობის გადასარჩენად. დაიდგა საზღვარი მშვიდობის-მყოფელ ცხოვრებისა. ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში და 26 ნოემბერს, 1799 წელს, კვლავ სასოებაგაღვიძებული მეფე და ერი, გულწრფელად მიენდო თავისს მომავალსა დიდის რუსეთის მფარველობის იმედითა და ნუგეშინით ფრთაშესხმული".*

შეეძლო თუ არა ეს გულმხურვალე სიტყვები დაუწერა იმ ადამიანს, რომელიც სეპარატიზმით იქნებოდა გატაცებული? შეეძლო თუ არა ეს აზრები გამოეთქვა იმ ადამიანს, რომელსაც ბოლომდე არ ექნებოდა შეგნებული საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული საფუძვლები? განა შეეძლო ასე ღრმად წარმოედგინა ამ ისტორიული აქტის მნიშვნელობა საქართველოს ფიზიკური არსებობის შენარჩუნებაში იმ ადამიანს, ვინც ცალმხრივად სეპარატიზმს გამოედევნებოდა, ხოლო სინამდვილეს ფიზიკური თვალით არ განსჯერეტდა? რა თქმა უნდა, არ შეეძლო, აქ ორი აზრი სავსებით გამორიცხულია. ილია ჭავჭავაძეს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი ამ საკითხის მთელი არსება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ესმოდა, რომ შეერთების აქტი უფრო ნაკლები ბოროტება იყო, ვიდრე ოსმალეთისა და ირანის ბარბაროსული აგრესიის კლანჭები. მას აგრეთვე კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა და რუსი ხალხი ერთი და იგივე არ არის, რომ მათ შორის ისეთივე უფსკრულია, ისეთივე განსხვავებაა, როგორიც რუსეთის თვითმპყრობელობასა და ქართველ ხალხს შორის. მას აგრეთვე კარგად ესმოდა, რომ რუსი ხალხის ამხედრება მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველ ხალხში უდიდეს თანაგრძნობას პოულობდა, ისევე, როგორც თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის გაბრძოლება რუსი ხალხის მხარდაჭერით ძლიერდებოდა.

ყოველივე ეს დასრულებული კონცეფციის სახით ჰქონდა შემუშავებული ილია ჭავჭავაძეს. ამიტომ მისთვის ძნელი არ იყო შავრაზმელი კატკოვი, თავის უნიჭო კორესპონდენტებთან ერთად, განესხვავებინა დიდი რუსი ხალხისაგან, რომლის პატივისმცემლად და ერთგულად „აჩრდილის" ავტორი ყოველთვის გამოდიოდა. ამითაც უნდა აიხსნას შემდეგი ფაქტი: «Московския ведомости»-ს კორესპონდენტმა გამოთქვა აზრი, რომ კარგი იქნება ქართველებმა ქართული დროშები, რომლითაც დამშვენებული იყო წარმოდგენა „საშობლო", გოდფრუას ცირკს შიყიდონო. კორესპონდენტის კი ბოროტი ირონია ილია ჭავჭავაძემ მისთვის ჩვეული შეუპოვრობითა და დაუნდობლობით გააკრიტიკა: „ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად

* ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 11, 1941 წ., გვ. 498.

სისხლი უქცევია მამულისათვის, — დღეს იგი დროშა საცირკოთ გაგვიხადა ერთმა ვიღაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმა ბანი მისცა". ეს ბანი შავრაზმელების ბოროტი გულიდან მოდიოდა და რუს ხალხთან, რუსეთის სახელოვან, მოწინავე ინტელიგენციასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ასე სწორად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს დიდი რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობა, ასეთი იდეებით ხასიათდებოდა მისი პოეზიაც და პუბლიცისტიკაც, ხოლო თუ ასეა, მაშინ სეპარატიზმის ბრალდებამ თვითონვე უნდა უარყოს თავისი თავი, მას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია.

ილია ჭავჭავაძე ყოველთვის გამოდიოდა ხალხთა შორის მეგობრობის მხურვალე დამცველად და ქომაგად, რასაც მისი ისტორიული ხასიათის წერილები, აგრეთვე პოლემიკური სტატიები გვიდასტურებენ. განა ხალხთა მეგობრობის იდეა და სხვა ერების დამონების წინააღმდეგ ამხედრება წითელი ზოლივით არ გასდევს „ოსმალოს საქართველოს", „დავით აღმაშენებელს", „აი ისტორიას", „ერსა და ისტორიას", განსაკუთრებით „ქვათა ღაღადს", რომელშიაც დაგმობილია ნაციონალიზმი თუ შოვინიზმი, როგორც ყოველად მიუღებელი დოქტრინა? წერილში — „დავით აღმაშენებელი" წინ წამოწეული და ხაზგასმულია დავით მეფის პირადი თვისებები, რაც მან სხვა ერებისადმი პატივისცემაში გამოამჟღავნა. ილია ჭავჭავაძემ საამაყოდ სწორედ ის მიიჩნია, რომ დავით აღმაშენებელი „თავგადადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებელის სარწმუნოებისა, დიდი პატივისმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა".* თუ მე-19 საუკუნეში „საკირველებად მიაჩნდათ გლადსტონი", რომელიც კაცთმოყვარულად ესარჩლებოდა „ირლანდიის ეროვნებას და სარწმუნოებას", მით უფრო საოცარი უნდა იყოს დავით აღმაშენებლის თაყვანისმცემლობა „სხვა ერის ღირსებისადმი" იმ დროს, როცა „კაცი კაცს შესაჭმელადაც არა ჰზოგავდა". რომ ქართველი მეფე მე-12 საუკუნისა თავის სახელმწიფოში სხვა ეროვნებათა მართლაც დიდი შემწყნარებელი იყო, ილიას დადასტურებული აქვს დიმიტრი ბაქრაძის მიერ მოტანილი თვით ამ ერების მემატიანეების წყაროებით. მაჰმადიანი მწერალი ალ-აინი გადმოგვცემს, რომ „დავითი უფრო მეტს პატივისცემდა მუსულმანთა, ვიდრე მთავარნი მუსულმანთანი", იგი „თავის შვილის დიმიტრითურთ ყოველ-დღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას", „უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მუაძინებს", „ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები, და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა". აკრძალა მუსლიმანთა „ავად ხსენება". მაგრამ მუსლიმანები გამონაკლისს როდი წარმოადგენდნენ. დავით აღმაშენებელი ასეთივე პატივისცემით ექცეოდა იმდროინდელ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებას, მათ შორის სომხობას, რასაც გვიდასტურებენ მათე ედესელი (მე-12 საუკუნე) და ვარდან დიდი (მე-13 საუკუნე). პირველს აღნიშნული აქვს, რომ „დავით იყო წმინდა, კეთილმსახური, სავსე ქველმოქმედებით და მართლმსაჯული. დავითის გარშემო იკრიბებოდა დანარჩენი სომეხთა ნათესავი, რომელთათვის მან დააფუძნა საქართველოში ქალაქი კორი (გორი), სადაც მრავალი უკლესია და მონასტერი ააშენა. მიაგო ჩვენს ნათესავს

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1955 წ., გვ. 181. ხაზი ჯველგან ჩვენია — გ. ჯ.

(სომხობას — გ. ჯ.) ყოველგვარი ნუგეშის ცემა და შვება". რაც შეეხება ვარდან დიდს, მასაც ნათქვამი აქვს, რომ „დავითს არავითარი სიძულვილი არა ჰქონდა სომხურის წირვა-ლოცვისა და ეკლესიისა: იგი ხშირად იდრეკდა თავს ჩვენს ხელქვეშ და ითხოვდა ჩვენს ლოცვა-კურთხევას".

მემატიანეთა ამ ფაქტების გახსენების შემდეგ, ილია ჭავჭავაძეს გამოჰყავს დასკვნა, რომ „ყოველივე ეს დიდსულოვანობა და სულგრძელობა დავითისა მაშინ არის მომხდარი, როცა ძლევამოსილი იგი მეფე სრულად გაბატონდა თავის ქვეყანაში და, მაშასადამე, ამისთანა პატიოსანი და განათლებული ქცევა მარტო ამის დიდებულებოვან გულს და გონებას უნდა მიეწეროს და არაფერს სხვას".* შეიძლებოდა აქ ისიც დაგვემატებინა, რომ ილია ჭავჭავაძე ყოველთვის გამოდიოდა ამა თუ იმ სახელმწიფოში სხვადასხვა ეროვნებათა თანაარსებობის პრინციპიდან, როგორც სავსებით კანონზომიერი ჰუმანური ფაქტიდან, რაც ჩვენ დახასიათებული გვაქვს მისი პუბლიცისტიკის განხილვის დროს და აქ აღარ შევეხებით.

მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ილია ჭავჭავაძის ხანგრძლივი ბრძოლა იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც შეგნებით თუ შეუგნებლად ხელს უწყობდნენ ერთა შორის არა მეგობრობის განმტკიცებას, არამედ, მათი მტრობის დათესვას ან გაღვივებას. საუკეთესო მაგალითია 1899 წელს დაწერილი ვრცელი სამეცნიერო-პოლემიკური გამოკვლევა — „ქვათა ღაღადი".** რომელიც დიდ გულისტკივილს გამოხატავს „ჩურუქა მეცნიერების", „გაბეცნიერებული ცრუღუტების" უკადრისი საქციელის გამო. ამ „მეცნიერებმა", სენკოვსკით დაწყებული, და პატკანოვ-ეზოვხუდაბაშოვებით დამთავრებული, რასაც კვერი დაუკრა გოლმსტრემმა თავისი წერილით—«И Камни возопиют!». უღირსი საქციელი ჩაიდინეს, რამაც მდგომარეობა იმდროინდელ ქართველებსა და სომხებს შორის გაამწვავა. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე პატკანოვების, ეზოვების, ქიშმიშოვების, არწრუნების, ხუდაბაშოვებისა და მათი თანამოზიარეების წინააღმდეგ გულისტკივილით ამბობდა: „...აქ არის თავი და ბოლო, დასაბამი და დასასრული იმ მწვავის განხეთქილებისა, რომელიც ასეთის გულმოდგინებით შთამოსთესეს ჩვენში უმეცართა მეცნიერთა და ერთმანეთზე აალურსეს ქართველი და სომეხი. ამით, სწორედ ამ პირმოშვებულმა ფილოსოფოსებმა გაუფუჭეს გული ქართველებს სომხებზე და სომხებს ქართველებზე, თორემ სად იყო ჩვენში ამ ორმოც-სამოცის წლის წინად ერთმანეთის ასეთი ათვალწუნება! ერთმანეთში არ ვირჩევდით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნოებისანი ვიყავით, მაგრამ სომხობით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში ადგილი არა ჰქონია ჩვენდა საერთო საბედნიეროდ და სასახელოდ"...***

მაგრამ პირველი ამღვრევა წყალისა სცადა უნიჭო მწერალმა სენკოვსკიმ, რომელიც რუსულ მწერლობაში გამოდიოდა ბარონ ბრამბეუსის ცნობილი, თუმცა სახელგატეხილი ფსევდონიმით. ეს ის სენკოვსკია,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1955 წ., გვ. 182—183.

** მასალად სახელწოდებისათვის: იოანე ბატონიშვილს „ქალმასობაში ნათქვამი აქვს: „ჭეშმარიტი ბრძანებაარს, გარნა თუ გინდა ამას დაედუმებინა, ქვანიც ღაღადებენ" („ქალმასობა", 1936 წ., გვ. 131). ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 193. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბელინსკიმ თავის პირველივე დიდ წერილში — „ლიტერატურული ოცნებანი“, სამასხარაოდ გაიხადა; ეს ის ბარონი ბრამბეუსია, რომელიც ჯერ კიდევ ჰაბუკმა ბელინსკიმ იმავე „ლიტერატურულ ოცნებაში“ მიწასთან გაასწორა, როგორც კუკოლნიკის, ბულგარინისა და გრეჩის კომპანიონი.* სწორედ ამ სენკოვსკიმ, ჟანდარმერიასთან სრული თანხმობით, არა ერთხელ სცადა რუსეთის იმპერიაში შემავალ ერთა ურთიერთწყაიდება ცარიზმის პოლიტიკისადმი ერთგულების ნიშნად. სენკოვსკის ერთ-ერთი წერილიც — «Некоторые сомнения касательно истории Грузии» ქართველებსა და სომხებს შორის განხეთქილების ჩამოგდებას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე რაიმე ჭეშმარიტების გარკვევას. წერილი დაიბეჭდა „Библиотека для чтения-ს“ 1838 წლის ნომერში. შეიძლებოდა სენკოვსკის ცრუ ღაღადება ისევე უგზო-უკვლოდ გამქრალიყო, როგორც მისი უნიჭო მხატვრული თხზულებანი, რომ პატკანოვებსა და ეზოვებს არ ეცადათ ისტორიის გაყალბება. საქმე მარტო ის კი არ იყო, რომ ისტორიას აყალბებდნენ, აუგად იხსენიებდნენ საქართველოს წარსულსა და მის მომავალსაც; მიუხედავად სერებრიაკოვის, ნიკოლსკის, ლენორმანის, გასტონ მასპეროს, რაულისონის, ბურნუფის და სხვა ევროპელ მეცნიერთა მტკიცებისა, გამოდიოდნენ ყალბი არგუმენტებით, უარათუს საკითხს ტენდენციურად განიხილავდნენ, აიძულებდნენ ქვებს ის ელაღადებინათ. რასაც არ იმბობდნენ. ილია ჭავჭავაძე გამოდის მათ წინააღმდეგ და მკაცრად აკრიტიკებს მარის ადრინდელ შეცდომებსაც. თან დასძენს, რომ მას კარგად ესმის ვისი სახელით ლაპარაკობენ ეზოვები და პატკანოვები, „ჩვენ ადრეც გვითქვამს და ეხლაც ვიტყვით: ღმერთმა გვაშოროს იგი ბრალი, იგი ცოდვა (ე. ი. ეზოვ-პატკანოვებისა — გ. ჯ.) — მთელს ერს სომხისას შევწამოთ, რომელიც მარტო ერთს გვარს გუნდს სომხებისას და იმ გუნდის მწიგნობარ-მეცნიერთ ეკუთვნისო“.** ჩვენ ყოველთვის დიდი პატივისმცემელი ვიყავით სომეხი ერისა. ვინაიდან „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთამქმა. თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამაების შეგინება ერთი იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონებაგახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა. ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი“.*** ილია იქვე დასძენს, რომ „მთელი ერი სომხებისა აქ არაფერს შუაშია, იგი, ვითარცა მშვიდობიანად მშრომელი და გამრჯელი, თავისს საქმეს ადგია... ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არა გვშურს. პირიქით, თუ სიკეთე, ღირსება რამ სჭირთ. იგი ჩვენთვის მხოლოდ სანატრელია და არა საშურველი“.**** მაგრამ ერთმა ვიგინდარა ჟურნალისტმა, კუტულად წოდებულმა, რომელიც 1877 წელს საქართველოს ესტუმრა ოსმალეთთან ომის დროს, „შშაკის“ რედაქტორ გრიგოლ არწრუნის შთაგონებით, ისეთი რამ დასწერა ფრანგულ გაზეთში, რომ არ შეიძლებოდა ყველა კეთილგონიერი ადამიანის გულისწყრომა არ გამოეწვია.

* დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. გიორგი ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, 1955 წ., ტ. II, გვ. 5—156. გამოკლებით — „ბესარიონ ბელინსკი“.

** ილია ჭავჭავაძე, ტ.VIII, 1957 წ., გვ. 97.

*** იქვე, გვ. 97—98.

**** იქვე, გვ. 98—99.

ილია ჭავჭავაძე მკაცრად აკრიტიკებს კუტულს, შფოთვის მთესველ ვიგიდარას, როგორც ყველა იმ გარეწარს, ვინც ცდილობს ერთა შორის განხეთქილება დასთესოს. ილია ჭავჭავაძეს, როგორც თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ისე პუბლიცისტიკაში ის აზრი ასულდგმულებს, რომ ერთი ერის უბედურება მეორე ერის ბედნიერებად ვერ გადაიქცევა. ქართველთა და სომეხთა ისტორიული მეგობრობაც ამის საუკეთესო დადასტურებაა. „ჩვენ კარგად ვიცით, რომ წინანდელ საქართველოს უძლურება დაიწყო იმ უბედურ დღეთაგან, — წერს ილია ჭავჭავაძე, — როცა-კი პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი წინანდელი ზღუდე სამხრეთით. ჩვენ ჩრდილოეთით ვინახავდით სომხეთს და სომხები ჩვენ გვინახავდნენ სამხრეთით... ამიტომაც ჩვენნი უდიდესნი მეფენი და სამეფო კაცნი არაფერს არა ჰზოგავდნენ, რომ ეშველნათ სომხეთისათვის, როცა-კი გაუჭირდებოდათ... დაეცა სომხეთი და სამხრეთის კარი ღია დარჩა საქართველოში შემოსასევად".* ილია ჭავჭავაძე იმასაც წუხდა, რომ სომხები დაქსაქსულნი და შევიწროებულნი იყვნენ, „ღმერთმა მისცეთ ღონე და უნარი (სომხებს — გ. ჯ.) ერთად მოიყარონ თავი იქ, საიდამაც აყრილან და აქა-იქ გაფანტულანო".** — წერდა ილია ჭავჭავაძე.

როგორც ვხედავთ, მთელი წერილი — „ქვათა ღაღადი" სომეხი ერისადმი უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემითაა გაჟღენთილი. იგი მოურიდებლად ამხელს მხოლოდ იმათ, ვინც თავისი ერის ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობს, არამედ წყალს ასხამს ერთა შორის განხეთქილების მთესველთა წისქვილზე, არსად, არც ერთ წერილში, ილია ჭავჭავაძეს არცერთი ერი აუგად არ მოუხსენებია, პირიქით, იგი ყველგან, პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ თხზულებებში გამოდიოდა, როგორც ხალხთა შორის მშვიდობის, ძმობისა და მეგობრობის თავდადებული მედროშე.

ჩვენ ნათლად დავინახეთ, თუ რა ორგანული მთლიანობაა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებას შორის. ანალოგიური სურათი გვაქვს გლეხობის საკითხშიც. პუბლიცისტური სტატიებიდანაც ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძეს ძალიან აწუხებს გლეხებთან განხეთქილებისა და უთანხმოების შიში, ვინაიდან „წვალე — ასე იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი და ხორციელი ცხოვრებაო". ეს დებულება უცვლელად მეორდება კესოსთან არჩილის დიალოგში „წყალგაღმა დაწერილი წიგნის" შესახებ, რაც „ოთარაანთ ქვრივის" გარჩევის დროს ჩვენ უკვე დახასიათებული გვაქვს. მაგრამ აქ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ თუ პუბლიცისტურ სტატიებში ილია ყველგან ამტკიცებს — გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არ უნდა მოხდეს არავითარი გათიშვა, არავითარი „ცილება", ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ერთ ორგანიზმს, ისინი ისტორიულადაც „ერთნაირად იყვნენ უფლებას მოკლებულნი, ერთნაირად უხმონი და უტყვნი ქვეყნის საქმეთა გამგეობაში", არჩილიც მსგავს თვალსაზრისს იცავს, მისთვის გლეხობა — „ეს წყალგაღმა დაწერილი წიგნი", დაკარგული ნახევარია, დაკარგული იმიტომ, რომ მათ შორის ხიდია ჩატეხილი.

ილია ჭავჭავაძე თავის პუბლიცისტურ სტატიებში ამტკიცებს, რომ ისტო-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 193—194.

** იქვე, გვ. 194.

რიულად გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის არ იყო ხიდჩატეხილობა, მაგრამ შემდეგ იგი მოხდა, როგორც ტრაგიკული აქტი. უკანასკნელ ხანებში თეორიამ საზოგადოების კლასებად დაყოფისა მათ შორის ნამდვილად კიდევ უფრო ჩატეხა ხიდი. სწორედ ამიტომ გლოვობს არჩილი, რომ თავადაზნაურობამ დაკარგა თავისი მეორე ნახევარი, ურომლისოდ მას ცხოვრება და არსებობა არ შეუძლია. გავიხსენოთ არჩილის ცნობილი სიტყვები: „მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ, და როგორც ჭკვადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არ მემართლება კი... ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კდომაა“.* ძნელია რაიმე ვანსხვავებთ ნახოთ ილიას პუბლიცისტურ შეხედულებებსა და არჩილის დებულებებს შორის. არჩილი ისეთივე „მონანიე აზნაურია“ ილიასათვის, არჩილი ისეთივე ავტობიოგრაფიული ტიპია, როგორც ნეხლუდოვი ტოლსტოისათვის. სწორედ ის ნეხლუდოვი, რომლითაც ტოლსტოიმ თავისივე თავი ასე ოსტატურად გამოხატა. ბევრია აგრეთვე ავტობიოგრაფიული მომენტები ოთარაანთ ქვრივის პორტრეტში, მის შეხედულებებსა და მკაცრ სენტენციებში.

აქ საინტერესოდ ირკვევა მეორე საკითხიც, თუ როგორ შემუშავდა ხიდჩატეხილობის თეორია, რომელიც განვითარებულია მოთხრობის XIX თავში.

„ოთარაანთ ქვრივის“, საერთოდ ხიდჩატეხილობის, განკერძევების, განთვითმყოფების პრობლემა ილია ჭავჭავაძეს გაცილებით უფრო ადრე აწუხებდა, ვიდრე თავის მხატვრულ შედევრს დასწერდა. 60-იანი წლების ლექსებში პოეტი ამაოდ არ უჩიოდა მარტოობას, „კაცი არ არიო“ ამბობდა. ხოლო 1862 წელს დაწერილ ერთ ფრაგმენტში — „ცისკრის ლექსთმთხზველები“ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ქართველი ხალხის დიდი უბედურებაა მისი წევრების „ცალკე გადგომა“. ერთმანეთზე „გულიაცრუება, გულის აგრილება“ და ურთიერთუნდობლობა. ამის გამო ქართველი საზოგადოება „სწორედ ჭრიანტელია... რომელსაც აკროშკას ეძახიან“, მაგრამ ჭრიანტელისაგან იმით განსხვავდება, რომ „ერთობ უწყინარია“ (ჭრიანტელი კი, — შენიშნავს ილია, — თუ ბევრი მიირთვა კაცმა, „კეპს მოუშლის“). ჭრიანტელს მეორე თვისებაც გააჩნია — სიცხეში კაცს აგრილებს“, ჩვენს საზოგადოებას კი რა ფუნქცია აქვს? ძნელი ასახსნელიაო. — დასძენს ილია, — მან რომ „...ამ კითხვის პასუხი მოახერხოს, ხომ ჭრიანტელი ღარ იქნებოდა, არამედ იქნებოდა გონიერი მწყობრი, რომელმაც იცის რისთვის არის, ე. ი. ერთი აზრი აქვს, ერთი საგანი, ერთი იდეალი, რომლის მისაწვდომად ყოველივე ერთად და ყველა ცალკე იბრძვის და ჯაფასა სწევს“.** რაკი ეს ერთობა დროთა ვითარებაში დაირღვა, ამიტომაა, რომ „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამული“ გავანამცეცეთ“.*** სიტყვის მნიშვნელობაც კი დაიკარგა, იმ სიტყვისა, რომლის ხსენებაზე „სხვა ბედნიერ-

---

* „ოთარაანთ ქვრივი“, მე-19 თავი, „ჩატეხილი ხიდი“.

** ილია ჭავჭავაძე IV, 1927 წ., 386. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე. გვ. 387. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ქვეყნებში უღონოსაც ძალი მიეცემა ხოლმე და მტლად დაედება საყვარელს ჰამულს". სულ ოთხი-ხუთი წლის წინათ ჟურნალმა „ცისკარმა" ამ სასწაულთმოქმედ სიტყვას თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაუბრუნა. მაგრამ რა: „სიტყვა აღვადგინეთ, ჩვენ-კი ვეღარ აღვდგით, ვეღარ ავყევით თანაო".* ეს არის მთელი ერის ტრაგედია, რამაც ქართველ კაცს „გული დაუშინა", ეჭვი და უნდობლობა შეჰყარა, როგორც მავნე სენი. „მრავალმა პორტებამ. მრავალმა ღალატმა, გმობამ. მტრობამ და შურმა ქართველი იქამდინ დააშინა, რომ ყოველი კაცი მიაჩნივა გველად. რომელიც ბნელად მოეკარება და თუ მოგეკარა, ჯერ გულში ჩაგიძვრება. რომ მერე უფრო კარგად დაგშხამოს. ჩვენი ცხოვრება ათას მაგალითს აჩვენებდა. ჩვენ სიკეთე აღარა გვწამს. იმიტომ რომ გადაჯერებულნი ვართ, რომ კაცმა კაცს სიკეთე უყოს (გაიხსენეთ — „ჩემო რაოვო?" — „ოთარაანთ ქვრივში — გ. ჯ.); იმიტომ გადავჯერდით, რომ ჩვენს გარშემო სულ ერთი-ერთმანეთის მტრობასა ვხედავთ. ამიტომაც ქართველსა საზოგადოების აზრი დაეკარგა. ყოველი ჩვენგანი ცალკე გადგა. გული აიცრუა სხვაზედ, იმიტომ რომ სხვამაც ამაზედ გული აიცრუა, გული აიგრილა; იშოვა პატარა მიწა, შემოღობა. განზედ გადგა და იმ შემოღობილს დაარქვა სახელად: „მამული". — იმიტომ, რომ ის დიდი, საზოგადო, სამშობლო ქვეყანა გაირღვა. პატარა მამულებად დაიყო და თვითეულმა წილი ირგუნა. მაშინ ყოველი ფიქრი, ყოველი აზრი იმ წილად-რგებულს მამულს ანაცვალა. ეგრე განამცეცდა ქართველი და განამცეცდა მამულიცა"...** ეს არის დიდი პატრიოტის დაწყლულებული გულის მოთქმა-გოდება, რაც პოეტს სამარის კარამდე არ განშორებია.

ეს ტკივილები მეტყველებენ რამდენიმე წლის შემდეგ დაწერილ პუბლიცისტურ წერილშიც — „ზოგიერთი რამ" ანუ „საქართველო", რომელსაც შემთხვევით არა აქვს ეპიგრაფად გაკეთებული გრიგოლ ორბელიანის მშვენიერი სიტყვები: „თქმით ჰმუნჯა მაინც შემცრდებისა". წერილი ილიას დაუწერია 1866 წელს, ხოლო „დროებაში" გამოუქვეყნებია 1876 წელს.*** ჩვენ ამ წერილს ქვევით, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის სხვა საკითხების განხილვის დროსაც შევეხებით, მაგრამ აქ გვაინტერესებს პრობლემათა ის წრე, რომელსაც „ოთაარანთ ქვრივთან" უშუალო კავშირი აქვს, როგორც მხატვრული სურათების ერთგვარ წინასწარ შემზადებას.

თავის წერილს ილია ჭავჭავაძე ქართული ენის საკითხებით იწყებს, მაგრამ დიდი სოციალური და პოლიტიკური პრობლემებით ამთავრებს. შემთხვევითი არ არის: ენა მთელი ერის შინაგანი დაგარეგანი არსების კალეიდოსკოპია, მისი ფიზიონომიის მართალი სახე და სარკეა. ამიტომ, როცა ილია ქართველობის დარღვევასთან ერთად ქართული ენის ყოფნა-არყოფნას უჩივის, მას თვითონვე გული ეთანაღრება. წუხს, თითო სიტყვას მართლაც „თითო კოშტს სისხლსაც თან ამოაყოლებს". სიმართლეს თვალს უსწორებს, ჰგოდებს, რომ „განვთვითეულდით. ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო ასოდ დაეიჭერით, და მაგ განთვითეულებამ,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 387.

** იქვე, გვ. 387—388. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 413. დაადგინა პ. ინგოროყვამ. ათი წლის ღაგვიანებით გამოქვეყნება ახსნილია უმთავრესად ცენზურული მიზეზებით.

ცალცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წკეპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს". გა-ნა ეს „გ ა ნ თ ვ ი თ ე უ ლ ე ბ ა". „ც ა ლ-ც ა ლ კ ე დ ა შ ლ ა", „ა ს ო ა ს ო დ დ ა ჩ რ ა" არ აწუხებს მონანიე ა რ ჩ ი ლ ს „თთარაანთ ქვრივში"? ახლა დააკვირდით ილიას სიტყვებს წერილში: „გ ა ნ ვ თ ვ ი თ ე უ ლ დ ი თ, და რამოდენადაც თვითეული ჩვენგანი მთელს ქართველობაზედ უძლურია და პატარა, იმოდენად თვითეულის ჩვენგანის აზრი საყოველთაო საგანზედ დ ა უ ძ ლ უ რ დ ა, დ ა პ ა ტ ა რ ა ვ დ ა... მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრის-კაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმე; მამულისათვის ბრძოლა ეხლა სასამართლოში შეტანილი ღერბიან ქაღალდზედ სადავო საჩივარია; მამულისათვის ძლევამოსილობა — მოგებულის საქმის განაჩენის პირია. ჯეროვანად შემოწმებული; მამულის სიმაგრე — ტყრუშული ღობეა, ვენახ გარე შემო შემორტყმული; მამულის პატივი — ნეხვია, სახნავ მიწაზედ სასუქად დაყრილი"....* მწარედ არის ნათქვამი, მაგრამ „გ ა ნ თ ვ ი თ ე უ ლ ო ბ ი ს" შედეგს თუ ანალიტიკურად განაზოგადებდა მოაზროვნე, სხვანაირად ვერ იტყოდა. ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთი მოაზროვნე იყო, ა ნ ა ლ ი ტ ი კ უ რ მ ე თ ო დ ს იყენებდა, ძალიან ღრმად შეეძლო საგნის განხილვა და სწორი დასკვნების გამოტანა. სინამდვილის გაშუქებაშიც წონასწორობას არ ჰკარგავდა. მეტაფიზიკურ აზრს ყოველთვის შეავსებდა ხოლმე ფსიქოლოგიური დაკვირვების მონაცემებით. შ ე მ ე ც ნ ე ბ ა მისთვის ყოველთვის ნიშნავდა საგნისა და აზრის უეჭველ არსებობას ერთიანობაში.

შემეცნების ამ გზის შედეგი იყო მისი სიტყვები „გ ა ნ თ ვ ი თ ე უ ლ ე ბ ი ს" ტრაგიკული სურათების შესახებ, რომლებიც მან ასე დაახასიათა: .....განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა. რაღა უნდა გვექმნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარა-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული" დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტიენით, და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტიეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული" დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო".**

ეს „გ ა ნ თ ვ ი თ ე უ ლ ე ბ ა", როგორც ილია ჭავჭავაძის კონცეფციის მთლიანობაში წარმოდგენა გვაღწევინებს, ტ რ ა გ ი კ უ ლ ა დ შეეხო ქართველი ერის ფ ი ზ ი ო ნ ო მ ი ას, მის ს ო ც ი ა ლ უ რ ს ა და ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს მდგომარეობას. თუ პუბლიცისტურ წერილში უმთავრესად აქცენტირებულია ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი ფიზიონომია, მოთხრობაში სიმძიმე გადატანილია სო-

---

* ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 152. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
** ი ქ ვ ე, გვ. 153.

ციალურზე. მაგრამ ორივეგან. წერილშიაც და „ოთარაანთ ქვრივშიაც". „ხიდჩატეხილობა „განთვითეულობა", „განკერძევება". „გათავ-თავება" წარმოადგენს როგორც ეგზედურების, ისე ტრაგედიის წყაროს თავისი ისტორიული თუ რეალური სათავეებით.

ამგვარად, „დაშორების" კატასტროფული შედეგები პირდაპირ დამოკიდებული აღმოჩნდა. **„თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის" ნაშთი.** თავ-თავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული" თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო. ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ეზო და ღობე აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თავი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა. ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ვეღარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა".* ამან დაბადა თვითეულის „გაცალკევებული საკუთარი და კერძო ნაღველი". ერთმანეთის აზრთა სრული გათიშულობა, რომლის დროსაც აღარ სდება „სალაპარაკოდ შეყრილობა". ან რა აზრი ექნებოდა სალაპარაკოდ ერთად შეყრას, როცა „ლაპარაკი აზრის აღებ-მიცემობაა. მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, საერთო აზრის აღებ-მიცემობა გაგვეწია"** ჩვენ თვითეული მხოლოდ საკუთარ სახნავზე. საკუთარ მამულზე ვზრუნავთ, „საერთო მოსაფიქრებელი აღარა", გვაქვს. განთვითეულები ვართ, „ამიტომაც დავშორდით ჩვენ ერთმანეთსა. შენ იქით წახველ და მე აქეთ წამოვედი, და მას აქეთ მე და შენ ერთად აღარ გვილაპარაკნია. დიდის ხნის ულაპარაკობამ, როგორც აზრით, ისე სიტყვითაც, ერთმანეთს დაგვაშორა, ერთი-ერთმანეთის სიტყვას ყური გადავაჩვიეთ. შენ ჩემი სიტყვა ან სულ არ გესმის, და თუ გესმის, შენებურად გესმის, მე კიდევ შენი სიტყვა ჩემებურად მესმის... რათ მოხდა ესე? იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ ყოველსფერში გავთავ-თავდით, აზრი და ყოველი საგანი გავითავთავეთ და სიტყვაც, რომელიც მარტო აზრისა და საგნის ნიშანია, გათავ-თავდა".*** სწორედ ისეა, როგორც „ოთარაანთ ქვრივში", მაგრამ აქ ყველაფერი ეროვნულ მანტიაშია გახვეული (ქუთხური განცალკევება—იმერელი, კახელი, ქართლელი, გურული, მეგრელი), მოთხრობა კი სოციალურს (თავადი, აზნაური, გლეხი) წამოსწევს წინა პლანზე, თუმცა პუბლიცისტური წერილის მთელი IV თავი მარტოოდენ სოციალური (თავადი, აზნაური, მღვდელი, ვაჭარი, გლეხი, ჩინიანი და უჩინო) პრობლემატიკის ანალიზს შეიცავს. ეროვნულთან მჭიდროდ დაკავშირებულს. საერთოდ, ილია ჭავჭავაძეს, ისევე როგორც განმანათლებლებს, ეროვნული და სოციალური, სოციალური და ეროვნული ერთმანეთისაგან არ დაუშორებიათ. მაგრამ ისინი რომ უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებოდნენ ეროვნულს, ვიდრე სოციალურს, მეტსაც წერდნენ ეროვნულზე, ვიდრე სოციალურზე, სრულიად უეჭველია.

ამას გვიდასტურებს იაკობ გოგებაშვილიც, როცა სპეციალუ-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 153—154.

** იქვე, გვ. 154.

*** იქვე, გვ. 154—155. ხაზი ყველგან ჩვენია. — გ. ჯ.

რად ეხება საკითხს, თუ როგორ განიხილავდა „ჩვენა ინტელიგენცია“ (ქართული განმანათლებლობა) ეროვნულსა და სოციალურ პრობლემებს. თვით განმანათლებელი — იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ მარტოოდენ „ეროვნული პრინციპის დამყარება ყოველს სფეროში“, მიუხედავად მისი დიდი ღირსებისა, საკმარისი არ არის ქვეყნის „წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ“. პარალელურად, თუ მეტად არა, საჭიროა „ზრუნვა სოციალურს ცხოვრებაზედ, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუკეთესობაზედ“. ეროვნულის გადაწყვეტა მხოლოდ „შუამავლობითს“ და არა „პირდაპირ“ გავლენას ახდენს „დოვლათის აღორძინებაზედ“. ეკონომიური და ეროვნული „ორი დედა-ბოძია ხალხის ცხოვრებისა“, რომელთა გაყრა ან დაშორება არ შეიძლება. „ეს კარგად ესმოდა ჩვენს ინტელიგენციასა, — დასძენს გოგებაშვილი, — და ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ეროვნულ საქმეებთან ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალურ და ეკონომიურ კითხვებისთვისაც; მაგრამ უნდა გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ჩვენში ტოლად არ მიდიოდა პირველ კითხვებთან ერთად და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა“* რა იყო ამის მიზეზი? გოგებაშვილმა თვითონვე მოგვცა განმარტება: „ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა: უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური“** ეს სავსებით მართალია იმ დროისათვის, რასაც მკაფიოდ გვაგრძნობინებენ როგორც ილიასა და აკაკის. ისე გიორგი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვა განმანათლებლების ლიტერატურული მემკვიდრეობანი. მაგრამ ყველაზე მეტი სოციალურ-ეკონომიურ საკითხებზე მაინცილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ, აკაკი წერეთელმა დასერგეი მესხმა დაწერეს.

წმინდა ეკონომიურ საკითხებზე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა ისე დიდია, რომ ვრცელი მონოგრაფიის საგანია.*** არ დარჩენილა იმდროინდელი სოფლის მეურნეობის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი. რომელსაც „აჩრდილის“ ავტორი არ შეხებოდეს. ხიზნების საქმე, ტყეების საკითხი, მელიორაცია, ბათუმის „პორტოფრანკოს“ გაუქმება, მევენახეობისა და მეღვინეობის პრობლემები, მებამბეობა, მესაქონლეობა, რკინისგზა, პური და სიმინდი, გზების მოწყობა, შავი-ქვის მრეწველობა, ნავთი, „სატამოჟნო პოლიტიკა“ ევროპასა და საქართველოში, ფრიტრედერობა (თავისუფალი ვაჭრობა) თუ პროტექციონობა (შინაური მრეწველობის მოსარჩლეობა), მეურნეობაში ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა, — ყველა ამ საკითხს ილია ჭავჭავაძემ სპეციალური წერილები მიუძღვნა. ამ წერილებმა ტომები შეადგინეს**** და თავისებური კუთხით გააშუქეს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ძირი-

---

* იაკობ გოგებაშვილი, ტ. I, 1952 წ., გვ. 391. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** ამ საკითხებზე ბოლო დროს არა ერთი ნაშრომი დაიწერა, მათ შორის პ. გუგუშვილის, პ. რატიანისა და სხვ.

**** ეს წერილები ძირითადად შესულია ილია ჭავჭავაძის V, VI, VII, VIII ტომებში.

თადი ტენდენციები. დამახასიათებელი კიდევ ის არის, რომ ყველა საკითხზე ილია ჭავჭავაძეს თავის საკუთარი აზრი შემუშავებული ჰქონდა და სავსებით ნათლად გამოთქვამდა. ეს ჩანს, კერძოდ, ფრიტრედერობის მაგალითზე. თავის წერილში, რომელიც საკითხის საფუძვლიანი ცოდნითაა დაწერილი, ილია ჭავჭავაძე გამოდის ფრიტრედერობის დამცველად, ქებით იხსენიებს არამარტო ადამ სმიტს, არამედ, რობერტ პილსაც, 1841 წელს რომ ინგლისს „უდიდესი სამაბური“ გაუწია პურზე დადებული ბაჟის გაუქმებით, აძაგებს ბისმარკს — ფრიტრედერობის მესაფლავეს, ხოლო პროტექციონობას. მიუხედავად 80-იან წლებში გაძლიერებისა, მიიჩნევს მეცნიერების მხრივ „ანდერძაგებულად და დაწუნებულად“.* ეს იყო გამოვლენა ილიასებური ჰუმანიზმისა, ვინაიდან პოეტს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ფრიტრედერობა სიკეთეა, „ღარიბთა მცხოვრებთა საოხად და საკეთილდღეოდ“ გაჩენილი.

მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ „განთვითეულების“ პრობლემას.

როგორც დავინახეთ, მთლიან გრეხილად ააცვა ილია ჭავჭავაძემ „განთვითეულების“, „გათავ-თავების“ განმანათლებლური ფილოსოფია, რომლის ძირითადი აზრი მისი დამღუპველი შედეგის გაგებასა და გამოსწორებას, მაშასადამე, ეროვნულ-სოციალური ერთიანობის მიღწევას ემსახურებოდა. იყო აქ, ამ სოციალურ-ფილოსოფიურ დოქტრინაში უტოპიზმის ელემენტები, მაგრამ არსად არ მოიძებნებოდა სალხისადმი თავდადებული სამსახურის, მისი კეთილდღეობისათვის ბრძოლის უგულებელყოფა. ყველგან ერთი და იგივე ტკივილი ჩანდა, ერთი და იგივე გოდება ისმოდა ხალხის უბედურებით გამოწვეული; ყველგან ერთი და იგივე კვნესა ისმოდა იმის გამო, რომ „ჩვენ... ერთმანეთს გადვუდექით. თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულაებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკენით... განკერძოვების შემდეგ გონებითად აღარ გვიცხოვრია და რადგანაც ენას მაინც პირში ტოკვა უნდოდა ჩვეულებისამებრ, ავიღეთ და უაზრო ხმები, რომელიც ჩვენი ხუხულაების გარეშემო პირუტყვის ბუნებაში ისმოდა, ენის საქალაქო ქართულ სიტყვებად ვაქციეთ... ამიტომაც პირუტყვბუნების ხმის მსგავსის სიტყვებით აივსო ჩვენი ენა, და დახე, თუ ერთი გონებითი აზრის მცველი სიტყვა ემატნა. მაგალითები ათასია: „ფრიალი, კრიალი, ბრიალი, პრიალი გრიალი, ქრიალი, ღრიალი, ჭრიალი. ხრუტუნი, ღრუტუნი, სრუტუნი, წრუტუნი, ჭრუტუნი, ფრუტუნი, და ათასი ამისთანით აივსო აზრმოკლებული, უნიადაგო ჩვენი უბედური ენა. სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათავ-თავდა, მაშული — აგრეთვე. სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის“** და, ბოლოს მთლიანად „ჩთარაანთ ქვრივის“ ფილოსოფიური პრობლემა გვახსენებდა, პარადიგმა გვგონია, როცა ვკითხულობთ: „მე რა მაქვს შენთან საერთო, რომ ერთად გვეაზრნა, რომ ერთმანეთის აზრის აღებ-მიცემობისათვის საერთო მნიშვნელობის სიტყვა და ენა შეგვექმნა? შენ შენთვისო, მე ჩემთვისო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დაუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნე-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VII, 1956 წ., გვ. 323.

** ილია ჭავჭავაძე. ტ. IV, 1927 წ., გვ. 156—157. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ლი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადღა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ — მე, და მე — შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!“...*

ეს დაკარგული ძმა თუ და სწორედ ის „დაკარგული“, ის „მოკვეთილი ნახევარია“, რომელიც „ოთარაანთ ქვრივში“ მონანიე აზნაურ არჩილს ენანება, ებრალება, მაგრამ მომხდარის გამოსწორება ვერ უპოვია; „როგორც ჭკვა-დამჯდარი მგლოვიარე“, იგი დასტირის თავის „დაკარგულს ნახევარსა“, რომელიც მისგან ოდესღაც მოკვეთილა. შეადარეთ „საქართველოს“ ფილოსოფია „ოთარაანთ ქვრივში“ განვითარებულ „ჩატეხილი ხიდის“ ისტორიულ-სოციალურ კონცეფციას, რომელიც ამ მშვენიერი მოთხრობის გარჩევის დროს ჩვენ დავახასიათეთ, და შეუძლებელია თქვენ არ იგრძნოთ შემხვედრი წერტილები, ბევრგან კი აზრობრივი იდენტიკობა.

მარტო ეს ფაქტი კმარა იმის დასადასტურებლად, თუ რა მთლიანი მონოლითური პიროვნება იყო ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე და მხატვარი; მარტო ეს ფაქტიც დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ „აჩრდილის“ ავტორი ძირითადად ერთი იყო პუბლიცისტიკასა და მხატვრულ შემოქმედებაში; მისთვის არსებობდა ორივე ეს დარგი, მაგრამ ორივესათვის ის მაინც ერთი იყო — ილია ჭავჭავაძე განა მტკიცებაა საჭირო, თუ ვიტყვით, რომ ყველა ვითარებაში ასე „ერთი იყოს“ შეუძლია მხოლოდ კოლოსს, აზრისა და ნებისყოფის ტიტანს, რომელსაც ერისა და საზოგადოების სამსახური კერპად დაუსახავს, მაგრამ ხასიათით თვითონაც კერპად გადაქცეულა.

VI

როგორ-ღა ესმოდა ილია ჭავჭავაძეს საზოგადოება, მისი განვითარება, მისი ყოფა, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერების მიღწევა?

ყველგან, ეს იქნება პუბლიცისტური სტატია, თუ მხატვრული ნაწარმოები. იგი საზოგადოების ბედნიერების აუცილებელ პირობად აღიარებს კერძო საკუთრებას, რომელიც დამყარებული უნდა იქნას არა უთანხმოებასა და განხეთქილებაზე, არამედ, სრულ ჰარმონიასა და ადამიანთა შორის კეთილ განწყობილებაზე. კერძო საკუთრება არ უნდა იყოს საფუძველი დავისა, რომ ეს ჩემია, რომ ის შენ არ გეკუთვნის, რომ მე ვარ მისი სრული მფლობელი. ლეგიტიმაციური კერძო საკუთრება, — აი რა უნდა დაედვას საფუძვლად საზოგადოების ბედნიერებასა და მომავალს.

მაგრამ ავტორს არა აქვს თანმიმდევრულად წარმოდგენილი, რომ საზოგადოების მტრულ კლასებად დაყოფა წარმოიშვა სწორედ კერძო საკუთრების ჩასახვისთანავე და რუსოს მოხდენილი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, პირველი უდიდესი დამნაშავე ისტორიაში სწორედ ის ადამიანი იყო, რომელმაც მიწის ნაკვეთს პირველად შემოავლო ღობე და თქვა: ეს ჩემია. ამ პირველი უდიდესი სოციალური ბოროტების შემდეგ საჭირო იყო ადამიანი,

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 157. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

რომელიც კაცობრიობას მოაშორებდა კერძო საკუთრების საფუძველზე წარმოშობილ მთელ საშინელებას, ადამიანი, რომელიც აღნიშნულ ღობეს აჰყრიდა, რომ ეთქვა: ეს მიწა საერთოა, ის არ არის ერთი ადამიანის საკუთრება, ის საერთო საკუთრებაა. კერძო საკუთრების ინსტიტუტი ილიას მიაჩნდა ხელშეუხებელ ტაძრად, სადაც სიმშვიდე არ იყო და უნდა დამყარებულიყო. თუ რომელიმე ადამიანი გაიბრძოლებდა დაამსხვრიოს კერძო საკუთრების ინსტიტუტი, გააუქმოს მისი ნორმები და კატეგორიები, მიწასთან გაასწოროს საუკუნეობით შექმნილი ტრადიცია მესაკუთრეობისა და პრაქტიკულად გადადგას ნაბიჯი კერძო საკუთრების ინსტიტუტის დასამხობად, ილიას აზრით, ის დანაშაულს ჩაიდენს, ვინაიდან „რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხკაცს, რომელიც არც ხიზანია თქვენი, არც ნაყმევი, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამც-თუ მთელს სახელმწიფოს და საზოგადოებრივ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე“.* იმ ეპოქაში, როცა ილია ჭავჭავაძე მოღვაწეობდა და დღევანდელ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მთელ სახელმწიფოებრივ წყობას, მართლაც, კერძო საკუთრება ჰქონდა და აქვს დადებული ქვაკუთხედად, მაგრამ თერგდალეულების ბელადს არ ესმოდა, რომ სწორედ ეს იყო მიზეზი სოციალური ჩაგვრისა, კლასობრივი ბრძოლისა, რომელიც თავის მიზნად კერძო საკუთრების მოსპობას ისახავს, რათა ის საყოველთაო ბედნიერების წყაროდ გადააქციოს. ამით ბოლო მოეღება ლეგიტიმაციურ კერძო საკუთრებას, როგორც დაკანონებული უკანონობის ფორმას. მაგრამ ეს პრობლემა ილია ჭავჭავაძეს ასე არა აქვს წარმოდგენილი. პირიქით, როგორც მოვიხსენიეთ, მას დამნაშავედ მიაჩნდა ის, ვინც არღვევდა ლეგიტიმაციურ მფლობელობას და თუ გლეხკაცი ხელს იშვერდა კერძო საკუთრების მოსპობისაკენ, „აჩრდილის“ ავტორს ეს მიაჩნდა გლეხკაცის არა სამართლიან აქტად, არამედ. მიზეზად იმ მოძრაობისა, რომელიც „ცეცხლივით მოედო მთელ საქართველოს და ყველა, ნებით თუ უნებლიეთ, თან წაიყოლია“. მისთვის კერძო საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლის საბუთი სხვა არაფერია, თუ არა ის, „რომ მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო“. ეს ბრალდება უდიდესი შეცდომა იყო, რომელმაც ხელი შეუშალა ილია ჭავჭავაძეს მეცნიერულად განემარტა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა, უფრო ახლო მისულიყო მარქსიზმთან და არ დაკმაყოფილებულიყო მარტო იმით, რომ მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კარლ მარქსისათვის სახელოვანი ეწოდებინა, ზოგიერთი რამ მიეღო მისგან, მაგრამ მთავარი კი ხელიდან გაეშვა და უყურადღებოდ მიეტოვებინა.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლები სწორედ ანალოგიურ ბრალდებას უარყოფდნენ, როცა მიუთითებდნენ, რომ „ჩვენ კომუნისტებს, გვისაყვედურებდნენ, — თქვენ გსურთ მოსპოთ პირადად შეძენილი, თავისი შრომით მოპოვებული საკუთრება, საკუთრება, რომელიც ყოველი პირადი თავისუფლების, მოქმედებისა და თავისთავადობის საფუძველს შეადგენსო.

შრომით მოპოვებული, პირადად შეძენილი, პირადად მონაგარი საკუთრე-

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 190.

ბა! ხომ არ ლაპარაკობთ თქვენ წვრილბურჟუაზიულ, წვრილგლეხურ საკუთრებაზე, რომელიც წინ უძღოდა ბურჟუაზიულ საკუთრებას? ჩვენ არ გვჭირდება მისი მოსპობა, — მრეწველობის განვითარებამ მოსპო იგი და სპობს მას ყოველდღე".* ეს უკვე მომხდარი ისტორიული ფაქტია, რომელსაც ვერაფერი უშველის. მისი მომდევნო ბურჟუაზიული კერძო საკუთრება ნამდვილად არის უკანასკნელი და უსრულესი გამოხატულება პროდუქტთა ისეთი წარმოებისა და მისაკუთრებისა, რომელიც დამყარებულია კლასობრივ წინააღმდეგობაზე, ექსპლოატაციაზე ერთისა მეორის მიერ და ამ აზრით კომუნისტებს შეუძლიათ თავიანთი თეორია გამოხატონ ერთი დებულებით: კერძო საკუთრების მოსპობა. მაგრამ სწორედ ამან დასცა თავზარი კერძო საკუთრების აპოლოგეტებს. რა მართალი იყვნენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსი და ენგელსი, როცა კერძო საკუთრების მოსპობის თეორიით შეშფოთებული ბურჟუაზიის მისამართით ამბობდნენ: „თქვენ თავზარდაცემული ხართ იმის გამო, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ კერძო საკუთრება. მაგრამ თქვენს დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წევრთა ცხრა მეათედისათვის; იგი არსებობს სწორედ იმის მეოხებით, რომ არ არსებობს ცხრა მეათედისათვის. მაშასადამე, თქვენ იმას გვისაყვედურებთ, რომ ჩვენ გვსურს მოვსპოთ ის საკუთრება, რომელიც აუცილებელ პირობად გულისხმობს საკუთრების არქონას საზოგადოების დიდძალი უმრავლესობის მიერ".** ეს იყო სრული ჰეშმარიტება, რომლის. დარღვევა, თუ ელემენტარული საღი აზრი გაიმარჯვებდა, არავის შეეძლო. და თუ ჩვენ არ გვინდა ჰეშმარიტებას დავშორდეთ, ეს დებულებები გამოყენებული უნდა იქნას კერძო საკუთრების ილიასეული კონცეფციის კრიტიკაშიც.

მივყვეთ ამ კრიტიკას. გამორიცხული არ არის ის გარემოება, რომ კერძო საკუთრების არასწორმა გაგებამ ილია ჭავჭავაძეს ხელი შეუშალა სწორად შეეცნო კლასობრივი ბრძოლის შინაარსი და მისი სახით დაენახა არა პირადი ინტერესი, არა ქაოსი, არამედ ბურჟუაზიული ცხოვრების უმთავრესი ზამბარა. ვინ მონაწილეობს კლასობრივ ბრძოლაში ან ვინ არიან ისინი? რა მიზანს ისახავენ ან რა შედეგი მოსდევს მათ ბრძოლას? ყველა ეს საკითხი გარკვეულ პასუხს მოითხოვდა, ხოლო მათი გადაწყვეტის თეორიული ასპექტი უკვე აცდენილი იყო მეცნიერულ საფუძველს, ვინაიდან კლასობრივი ბრძოლის მონაწილეებად ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰყავდა არა საზოგადოებრივი კლასები ან ჯგუფები, არამედ, ცალკე აღებული ადამიანები, რომლებიც იბრძვიან არა საზოგადოების, მარტოოდენ პირადი ინტერესებისათვის. გარდა ამისა, ეს ბრძოლა, სიმშვიდის ნაცვლად, ილიას გაგებით, ქაოსს იწვევდა, აფრთხობდა და ავიწროებდა „კეთილად და მშვიდად განწყობილ" საზოგადოებას, რკინის ბორკილებით კრავდა საზოგადოებრივ ბედნიერებას. „აბა უკიდურესი სიღატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელ ამ დიდს მანძილზე.

კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ, კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში და

---

* კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", გვ. 65.
** იქვე, გვ. 67.

ბის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება“.* გესმით და არ გჯერათ, ვინაიდან ეს შეხედულებანი ხშირ შემთხვევაში ალარ ეთანხმებიან ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების მაგისტრალურ ხაზს, რომელიც მკითხველის ცნობიერებაში აღვიძებს თანაგრძნობას ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ძველი, სოციალურ ბოროტებაზე დამყარებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობისადმი. სრულიად უეჭველია, რომ ბატონყმური ინსტიტუტის ილიასებური კრიტიკის ყველა ნეგატიური მხარე თავის საფუძველს სწორედ ამ იდეებში პოულობდა. შესაძლოა თავიდანვე ამიტომ იყო რთული ეროვნებაშად პოზიტიურად გადაჭრილიყო საკითხი: ნამდვილად მოითხოვდა თუ არა ბატონყმობის, როგორც სოციალური ინსტიტუტის გაუქმებას, „კაკო ყაჩაღის“, „კაცია-ადამიანისა?!“ და „გლახის ნაამბობის“ ავტორი, თუმცა აქ დაეჭვება მხოლოდ იმას შეეძლო, ვისაც მხატვრულ შემოქმედებაში ბევრი არაფერი გაეგებოდა.

როგორც ვხედავთ, მთელი რიგი პუბლიცისტური შეხედულებები, რომლებიც ილია ჭავჭავაძის სტატიებშია წარმოდგენილი, ორგანულ მთლიანობაშია მის მხატვრულ შემოქმედებასთან, ხოლო ზოგიერთი არ ეთანხმება და სრულ წინააღმდეგობას შეიცავს. ჩვენ დავინახეთ, რომ პუბლიცისტიკაში ილია ჭავჭავაძე გამოდის მთელი ქართველი ხალხის, ამასთან, თავადაზნაურობისა და გლეხობის დამცველად, მაგრამ უდიდეს საყვედურსაც გამოთქვამს თავადაზნაურობის მიმართ. ეს საყვედური იმაში მდგომარეობს, რომ თავადაზნაურობამ ალღო აუღოს ობიექტურ რეალობას, ფხიზლად შეხედოს ისტორიას, უკუაგდოს უმოქმედობა, თავისი ცხოვრების ქვაკუთხედად გადააქციოს შრომა, მამულისა და ქონების რაციონალური თაოსნობა. „კაცია-ადამიანში?! ილია ჭავჭავაძე სწორედ იმას უსაყვედურებს ლუარსაბს, რომ იგი გადაგვარებულია, გაუბედურებულია, განსაკუთარი ოთახის იქით ვერ გაუხედია, საკუთარი თავი ვერ შეუცნია, სწავლა „ჭირად“ მიუჩნევია და გადაქცეულა ცოცხალ ლეშად, მარტოოდენ ფიზიკურ არსებად. პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც ილია ცდილობდა ის გაეკეთებინა, რასაც პუბლიცისტურსა და მხატვრულ შემოქმედებაში ქადაგებდა. საადგილმამულო ბანკიც იმიტომ დააარსა, რომ თავადაზნაურობის დეპრესიას ჯებირი აღმართოდა, მისი ყოფა სხვაგვარად წარემართა — ახალ სინამდვილესთან შეეგუებინა. ილია ჭავჭავაძე ამტკიცებდა — ბანკის მიზანი მთელი საზოგადოების კეთილდღეობა არისო, მაგრამ თავადაზნაურობის მიერ დაარსებული ბანკი თავის უპირველეს მიზნად, ცხადია, თავადაზნაურობის ინტერესებს, მის ეკონომიურ კეთილდღეობას ისახავდა და არა მარტო საერთოდ მთელი საზოგადოებისას, როგორც ამას ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა. და თუ ბანკის ეს მიზანი კრახით დასრულდა, აქ ისტორიის გარკვეული კანონი მოქმედებდა, კანონი, რომლის ძალითაც ჯერ კიდევ საფრანგეთში, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟის წინ, დიდი რევოლუციით ბურჟუაზიამ უფლება აჰყარა თავადაზნაურობას, რომ ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური საჭე ხელში ჩაეგდო. საადგილ-მამულო ბანკის მოღვაწეობის

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 190.

ეპოქა იყო საქართველოს ფეოდალური არისტოკრატიის დეგრადაციის ეპოქა, ეპოქა, როცა კაპიტალიზმი თავის ძლიერებას ამტკიცებდა სოფლად და ქალაქად, ძირს უთხრიდა საქართველოს თავადაზნაურობას, რომელიც, ილიას აზრით, უნდა შეგუებოდა ახალ ძალას. მაგრამ ეს რომ შეუძლებელი იყო, ეს რომ ეწინააღმდეგებოდა ისტორიულ კანონზომიერებას, ილია ჭავჭავაძეს არ ჰქონდა ნათლად შეგნებული და სწორედ ამიტომ ასე დაბეჯითებით ამტკიცებდა თითქოს ბანკმა დიდი როლი შეასრულა თავადაზნაურობის ეკონომიურად გაძლიერებაში, საერთოდ, მთელი საზოგადოების კეთილდღეობაშიო.

ილია ჭავჭავაძის უველა პუბლიცისტური სტატია თითქმის ერთი ძირითადი საკითხის — ერთვნულ ასპექტში საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხის ირგვლივაცაა დაწერილი. მაგრამ ზოგჯერ აზროვნების მეტაფიზიკური წესი მას არ აძლევდა საშუალებას აღნიშნული საკითხი ყოველთვის მეცნიერულად გადაეწყვიტა. ჩვენ ეს რამდენიმე მაგალითზე უკვე ვნახეთ. ინტერესს მოკლებული არ იქნება განვიხილოთ „ცხოვრება და კანონის“ ძირითადი საკითხის — ადამიანთა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების ერთ-ერთი ფორმის — მმართველობის ბუნების ილიასებური ინტერპრეტაცია.

ამ საკითხზე დაწერილი სტატიების ანალიზი გვარწმუნებს, რომ ილია ჭავჭავაძეს თვითმმართველობა გაცილებით უფრო მისაღებ და პოზიტიურ საშუალებად მიაჩნია საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგებისათვის, ვიდრე მმართველობა. რაც უნდა მდიდარი იყოს ბუნება, მიწა ნოყიერი, „მრთელი ჰავა“ — ხალხთა კეთილდღეობა მაინც მიუღწეველი ოცნება იქნება, თუ „ქაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად გამსაზღვრული არ არის ურთიერთშორის უფლება და მოვალეობა“. ილია ჭავჭავაძეს ეს მიაჩნია საზოგადოების კეთილდღეობის პირველ და აუცილებელ პირობად. მაგრამ უფლება და მოვალეობა მას წარმოდგენილი აქვს არა როგორც ბაზისის ზედნაშენი, არა როგორც ადამიანთა ეკონომიური ურთიერთობის გამოხატულების ფორმა, არამედ, თვით ადამიანების სურვილით დადგენილი კანონი. მაგრამ უფლება და მოვალეობა რომ სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობათა გამოვლინების ცოცხალი ფორმა, ილია ჭავჭავაძეს არ ესმის. მას წარმოდგენილი არა აქვს, რომ უფლება და მოვალეობა ისტორიის კანონზომიერი კატეგორიებია, ეკონომიურ ურთიერთობათა ჯაჭვიდან მომდინარე და მის გარეშე არ არსებული. შეუძლებელია ვილაპარაკოთ საყოველთაო უფლებაზე იქ, სადაც საზოგადოების ერთი ნაწილი გამოდის როგორც მთელი ეკონომიური დოლაბის ბატონ-პატრონი, ექსპლოატატორი, რომელიც საკუთარ კეთილდღეობას მთლიანად აშენებს საზოგადოების მეორე ნაწილის დაუნდობელი გაუკეთფის ხარჯზე.

მაგრამ, რატომ ენიჭება თვითმმართველობას დიდი მნიშვნელობა?

სრულიად უეჭველია, რომ თვითმმართველობა, როგორც საზოგადოების ურთიერთობის მოწესრიგების ფორმა, ილია ჭავჭავაძემ დაიცვა და აღიარა უპირატეს საშუალებად. თუ დავუკვირდებით, უპირატესად აღიარა მხოლოდ იმიტომ, რომ შეესუსტებინა ის უთანხმოებანი, რომელნიც სოციალურ-ეკონომიურად განსხვავებულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის არსე-

ბობდა და რომელიც ილიას ეხატებოდა, როგორც პიროვნებათა შორის პირადი ინტერესების კონფლიქტი. იმისათვის, რომ უფრო ღრმად გავიგოთ, თუ რატომ მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს თვითმმართველობა საზოგადოებრივი კეთილდღეობის უპირატეს ფორმად, აუცილებელია გავიგოთ თვითმმართველობის დედაარსი.

აქ უნდა გავიხსენოთ ზოგიერთი ისტორიული ფაქტი თვითმმართველობის საკითხზე სრული წარმოდგენის მისაღებად. მხედველობაში გვაქვს ლენინის პოზიცია კაპიტალიზმის დროინდელი თვითმმართველობის მიმართ. ეს პოზიცია ყველასათვის ცნობილია. ლენინს შეუძლებლად მიაჩნდა კაპიტალიზმის პირობებში თვითმმართველობის ისეთ ფორმად წარმოდგენა, რომელიც რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში დასაყრდენი იქნებოდა. პლეხანოვის მტკიცებას — საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორგანოებში, რომელნიც მიწას ფლობენ, მუნიციპალიზაცია ქმნის რეაქციის საწინააღმდეგო სიმაგრესო, — ლენინი გაუმართლებლად თვლიდა, და სწორედ იმიტომ, რომ „არსად და არასოდეს (მიაქციეთ ყურადღება — არსად და არასოდეს — გ. ჯ.) ადგილობრივი თვითმმართველობა არა ყოფილა და არ შეიძლება იყოს რეაქციის საწინააღმდეგო სიმაგრედ კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმს აუცილებლად მივუყევართ სახელმწიფო ძალაუფლების ცენტრალიზაციისაკენ, და ყოველგვარი ადგილობრივი თვითმმართველობა უსათუოდ დამარცხებული იქნება რეაქციული სახელმწიფო ძალაუფლების დროს“.* საკითხი ნათელია და არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. მაგრამ აუცილებელია ითქვას შემდეგიც: პლეხანოვის მტკიცებას ლენინი ოპორტუნიზმს უწოდებს, ვინაიდან პლეხანოვი ყურადღებას აქცევს არა რესპუბლიკას, რომელიც ლენინს მიაჩნია ერთადერთ წარმოსადგენ სიმაგრედ რეაქციის წინააღმდეგ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, არამედ, „ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც ყოველთვის უძლურია დიდი ისტორიული ამოცანების მიმართ, რომელიც წვრილმანია, დამოკიდებული და დაქუცმაცებულია“.** ნათელი ხდება, თუ რატომ გამოდიოდა ლენინი, რატომ იბრძოდნენ ბოლშევიკები ადგილობრივი და „რევოლუციური თვითმმართველობის“ წინააღმდეგ კაპიტალიზმის პირობებში; რატომ იყო, რომ იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას — ინგლისელ ფაბიანელებს, გერმანელ ბერნშტეინელებს, ფრანგ ბრუსისტებს, — სიმძიმის ცენტრი სახელმწიფო წყობილების საკითხებიდან გადაჰქონდათ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხზე. ლენინი ხაზგასმით ამტკიცებდა: „პროლეტარიატის ამოცანას შეადგენს მასების დარაზმვა... რევოლუციური ბრძოლისათვის, რათა განხორციელდეს სრული დემოკრატიზაცია დღეს და სოციალისტური გადატრიალება ხვალ“.*** სიტყვითა და საქმით ბოლშევიკები გამოდიოდნენ მენშევიკური „რევოლუციური თვითმმართველობის“ წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, რომ იგი არასაკმაოა, არასრულია, არ გამოხატავს რევოლუციის სრული გამარჯვების პირობებს. ბოლოს, პლეხანოვიც იძულებული შეიქნა ეღიარებინა, რომ მენშევიკების მიერ

---

* ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. XII, გვ. 365. ხაზი ყველგან ლენინისაა.

** იქვე, ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 370. ხაზი ლენინისაა.

გადმოსროლილმა ლოზუნგმა „რევოლუციური თვითმმართველობის“ შესახებ არავის არაფერი არ განუმარტა და ბევრი აცდინა სწორ გზას“.* როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მხრივ ლენინს „რევოლუციური თვითმმართველობის“ ლოზუნგი არასწორად მიაჩნდა. „რევოლუციური თვითმმართველობის“ ლოზუნგის ნაცვლად 1905 წელს ლენინი აყენებდა „ხალხის თვითმპყრობელობის“** ლოზუნგს. ვინაიდან პირველი ეხებოდა მმართველობას, ხოლო მეორე სახელმწიფო წყობილებას.

მთავარი კი სახელმწიფო წყობილების საკითხი იყო, ურომლისოდაც თვითმმართველობას არავითარი რეალური შედეგი არ ექნებოდა, იგი დამარცხდებოდა. ამასთან ერთად, არ შეიძლებოდა რევოლუციური თვითმმართველობის გაიგივება აყოველთაო-ხალხო აჯანყებასთან. „აჯანყება არის სამოქალაქო ომი, — წერდა ლენინი, — ომი კი მოითხოვს არმიას“. თვითმმართველობა კი არმიას არ საჭიროებს. განა ასეთი უდიდესი განსხვავების შემდეგ შეიძლება მათი გაიგივება, როგორც ამას მენშევიკები, მათ შორის პლეხანოვი, ჩადიოდნენ? მენშევიკების „ისკრის“ მიერ გადმოსროლილი ლოზუნგი — „რევოლუციური თვითმმართველობის“, როგორც „აჯანყების შესაძლო პროლოგის“ ორგანიზაცია, არაფრად არ ვარგაო, — თქვა ლენინმა. რევოლუციური თვითმმართველობა, ხალხის მიერ თავისი წარმომადგენლების არჩევა ეს აჯანყების პროლოგი კი არა, მისი ეპილოგი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვექნება უაზრობასთან, დაბნეულობასთან, ჯერ აჯანყების გამარჯვებაა საჭირო. საჭიროა დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნა, რომ ამ უკანასკნელმა, როგორც აჯანყების ორგანომ, როგორც რევოლუციური მასების აღიარებულმა ბელადმა, შეძლოს რევოლუციური თვითმმართველობის ორგანიზაციის დაწყება. „აჯანყების გაუმარჯვებლად ლაპარაკიც კი არ შეიძლება სერიოზულად ნამდვილ და სრულ თვითმმართველობაზე“.*** რეაქციონერია თვით მოსაზრება სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას სახელმწიფოს მმართველობაზე და არა სახელმწიფოს მოწყობაზე; უდიდესი სისულელეა რევოლუციური თვითმმართველობა გაიგივებულ იქნას რევოლუციურ არმიასთან; რევოლუციური არმია გამარჯვებისთანავე გულისხმობს რევოლუციურ თვითმმართველობას, ხოლო რევოლუციური თვითმმართველობა აუცილებლად როდი შეიცავს რევოლუციურ არმიას. „ჩვენ არა ვართ რევოლუციური თვითმმართველობის წინააღმდეგი“, — წერდა ლენინი, — მაგრამ აქ იგივეობაზე ლაპარაკი სრული აბსურდია. ჯერ საჭიროა არა რევოლუციური თვითმმართველობა, არამედ, რევოლუციური ხელისუფლება, და არა მარტო აღგილობრივი რევოლუციური ხელისუფლებანი. — ცენტრალური რევოლუციური ხელისუფლებაც.

ასე ნათლად ჩამოაყალიბა ლენინმა თავისი შეხედულება საერთოდ თვითმმართველობის საკითხში.

---

* Ленин, Сочинения, т. IX, გვ.191.

** Ленин, Сочинения, т. VIII გვ. 172—173.

*** იქვე, გვ. 307. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

ყოველივე ამის შემდეგ საკვლევად ბუნებრივად მიგვაჩნია განვიხილოთ საკითხი, თუ როგორ ესმოდა თვითმმართველობა ილია ჭავჭავაძეს.

ილია ჭავჭავაძე მმართველობის ორ სახეს განარჩევდა. პირველია ისეთი მმართველობა, როცა „სახელმწიფოს საჭიროების საქმესაც თვით მთავრობა განაგებს და საზოგადოებისასაც, ყველგან და ყოველს ნაწილში. ამ შემთხვევაში მთავრობა ყოველგვარი საქმის დამწყები და მოთავეა, ყოველგვარის საქმის მწარმოებელია, ყოველის მზრუნველი და გამგეა, ასე რომ ყოველივე მისგან წარმოსდგება და ყოველივე მასვე ერთვის. ამგვარად გამგეობისათვის მას თავისი საკუთარნი მოხელე-კაცნი ჰყვანან, რომელთაც თვით ირჩევს, თვით ნიშნავს, თვით გადააყენებს და რომელნიც მხოლოდ მის წინაშე არიან პასუხისმგებელნი. ამგვარს მმართველობას ცენტრალიზაციას ეძახიან“.* მაგრამ ცენტრალური მმართველობა არ არის ხალხის კეთილდღეობის უზრუნველმყოფელი ფორმა. ილია ჭავჭავაძე იცავს მმართველობის მეორე სახეს, რომელიც „ხალხს აფხიზლებს, ხალხს ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალისს უღვიძებს და საზოგადო საქმისთვის სწურთნის და ავარჯიშებს“.**

რომელია მმართველობის ეს მეორე სახე?

ეს ისეთი მმართველობაა, „საცა მთავრობას ხელთ უპყრია მარტო მთელის სახელმწიფოის საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე აბე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი, ადგილობრივად განაწილებულნი, განიგებიან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან. ამ-გვარს გამგეობას თვითმართველობას უწოდებენ, რადგანაც ამ შემთხვევაში თვითეული ნაწილი ერთისა და იგივე სახელმწიფოისა თავის საკუთარს საქმეს თვით ჰპატრონობს, თვით უვლის და თვით ჰმართავს. ერთის სიტყვით, ამ-გვარის მმართველობის დედა-აზრი იგია, რომ ადგილობრივნი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგებოდეს“.***

ასეთია ილია ჭავჭავაძის ნათლად ჩამოყალიბებული აზრი თვითმმართველობის შესახებ. დროებით აქ დავსვათ წერტილი და საკითხს მეორე კუთხიდან მივუდგეთ.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ასეთ თვითმმართველობას იცავდა გერმანიის კანცლერი ოტტო ბისმარკიც. მიუხედავად ბისმარკის შეხედულებათა მკაცრი კრიტიკისა, ილია ჭავჭავაძე ეთანხმებოდა „რკინის კანცლერის“ მიერ წარმოთქმულ სიტყვას პარლამენტში, — საფრანგეთისათვის პრუსიის მიერ ელზას-ლოტარინგიის წართმევის გამო. ბისმარკი მოითხოვდა, რომ ელზას-ლოტარინგიაში გაებატონებინათ თვითმმართველობა, ვინაიდან, ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ამორჩეული მოხელეები უფრო უკეთ გაიგებდნენ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებას და ინტერესებს,

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 36. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 37. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 36—37.

ვიდრე პრუსიის მოხელეები. ეს უკანასკნელები იქ მიჩნეული იქნებოდნენ როგორც უცხო კაცები და მოსახლეობასა და პრუსიის მოხელეთა შორის უფრო მეტი იქნებოდა დავა, ვიდრე თვითმმართველობის დროს. თუ რა ქვენა აზრებით ხელმძღვანელობდა ბისმარკი, მკითხველი ამას ადვილად მიხვდება. ეს თვით „რკინის კანცლერმა“ თქვა და განმარტებას აღარ საჭიროებს.

მაგრამ აქ საყურადღებოა მეორე მომენტიც. გარეგნულად შემკობილ, ბისმარკის მიერ დახასიათებულ თვითმმართველობის ამ წესს ილია ჭავჭავაძეც ეთანხმება და მოითხოვს მის განხორციელებას. ეთანხმება იმიტომ, რომ მიაჩნია — ელზასელებისათვის თვითმმართველობა ერთი შეღავათი მაინც იქნებოდა, ვინაიდან კითხვაზე, თუ რას გააკეთებდა თვითმმართველობა, ილიას პასუხიც მზად ჰქონდა: თვითმმართველობის ფუნქციაში შედიოდა ადგილობრივი საქმეების მოგვარება, მცხოვრებლების ღირსებისა და ქონების მფარველობა, ბეგარის აკრეფა, ადგილობრივი საჭიროებისათვის გადასახადის დადგენა, სწავლის მოწყობა, ადგილობრივი გზების, ხიდების შეკეთება და ადგილობრივი მოსახლეობის სახელით შუამდგომლობა უმაღლესი მთავრობისადმი. ამასთან ერთად, თვითმმართველობაში ხმა და არჩევის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონოდა ყველა ადგილობრივ მცხოვრებს, თუ ის სრულწლოვანი იყო. არ უნდა ყოფილიყო წოდებათა შორის უთანხმოება და კონფლიქტი. თვითმმართველობის ყველა წევრი არჩეული უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მოხელეთა მიერ და მას პასუხი ეგო არა თავისი უფროსების, არამედ. „საზოგადო სამართლისა და სამსჯავროს“ წინაშე.

ასე ნათლად ეხატებოდა ილია ჭავჭავაძეს თვითმმართველობის ბუნება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო საზოგადოების კეთილდღეობა და ბედნიერება.

მაგრამ, განა ცხადი არ არის, რომ ვერავითარი თვითმმართველობა, მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში, ვერ უზრუნველყოფდა საზოგადოების დაბალი ფენების კეთილდღეობას, სწორედ იმიტომ, რომ იგი ნამდვილად განუხორციელებელი იყო იქ, სადაც საზოგადოებაში ბატონობდა მისი მხოლოდ ერთი ნაწილი. ოცნება მათ უფლებრივ გათანასწორებაზე მხოლოდ ოცნება იყო, ვინაიდან უფლება ეკონომიური ურთიერთობის გამოვლინების ფორმაა და თვითმმართველობაში ყველა წოდების საერთო უფლების ქადაგება განუხორციელებელი რჩებოდა სწორედ იმ მიზეზის გამო, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით უკვე მივუთითეთ. მაგრამ, თუ ილია ჭავჭავაძე მაინც თვითმმართველობას მიიჩნევდა საზოგადოების ყველა წოდების კეთილდღეობის უზრუნველმყოფელ ფორმად, ეს უნდა აიხსნას იმ იდეალისტურ-მეტაფიზიკური თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც „აჩრდილის“ ავტორი ზოგჯერ განიხილავდა საზოგადოებრივ მოვლენებს.* ხალხის კეთილდღეობის გულწრფელი სურვილის მიუხედავად, სოციალურ სფეროში მეტის გაკეთება იმ დროს მან ვერ შეიძლო და ეს ტკივილი ჩვენს დიდ პოეტს სამარეში თან ჩაჰყვა

---

* ილია ჭავჭავაძე ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა „მშვიდობიანად მოეწყობა“ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ წყობაში — მონარქიული იქნება ის, თვითმყრობელობითი თუ რესპუბლიკური. მკითხველი ადვილად დაგვეთანხმება, რომ ეს დებულება იდეალისტური და მეტაფიზიკურია.

ჩვენთვის სავსებით გამორკვეულია ის საკითხი, რომ თავის მოძღვრებას ილია ჭავჭავაძე ჰუმანიზმის ისეთ მანტიაში ხვევდა, ისეთი ზოგადკაცობრიული მასშტაბით აყენებდა სოციალურ პრობლემებს, რომ თუ მკვლევარი ასო-ასო ცალკე დებულებებს განყენებულად გამოეკიდება. შეიძლება იქ ბევრი რამ სრულიად საწინააღმდეგო თეორიებსა და რადიკალურად დაპირისპირებულ სკოლებს მიაკუთვნოს. ამიტომ, პირველყოვლისა, საჭიროა გავიგოთ ილია ჭავჭავაძის მოძღვრების არსი, მოვახდინოთ მისი მთავარი იდეების კლასიფიკაცია, ყოველივე ეს განვიხილოთ მთლიანობაში. წინ წამოვსწიოთ ის, რასაც ქვაკუთხედს ვეძახით და ამ თვალსაზრისით დავალაგოთ მთელი სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში მკვლევარი შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ ილია ჭავჭავაძის შეხედულებები ინტეგრალური სოციალიზმის „თეორიად“ გამოაცხადოს. თქვენ გგონიათ მასალას ვერ იშოვის? რამდენიც გნებავთ. აიღეთ თუნდაც ბანკის საკითხი. მაგრამ ცოტა უფრო შორიდან დავიწყოთ.

ილია ჭავჭავაძე ძალიან თანმიმდევარი იყო იმ ძირითადი პრინციპისა დაცვაში, რომ ადამიანი, რომელიც ბუნების მეფედ არის აღიარებული, ღირსია ბედნიერად ცხოვრობდეს; ვინც არ უნდა იყოს იგი, რაკი ადამიანია, ადამიანური არსებობისათვის არის დაბადებული. თანასწორობა, ძმობა, ერთობა, თავისუფლება, საყოველთაო ბედნიერება, ადამიანის მიერ ადამიანის დამცირების უარყოფა. უარყოფა ერთის მიერ მეორის ჩაგვრისა — ეს იდეები, რომელნიც ჯერ კიდევ „აჩრდილში“ გაისმა ასე მძაფრად და შეუპოვრად, იყო ის საფუძველი, რომელმაც სათავე მისცა ილია ჭავჭავაძის სოციალისტობის თეორიას. რომ სოციალიზმის ელემენტები უხვად გვხვდება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, ეს უდავოა. მაგრამ თუ სოციალისტურ მიმდინარეობათა ცალკე ჯგუფებს ისე განვიხილავთ, როგორც ზევით უარყოფითად მოვიხსენიეთ, ჩვენ შეგვიძლია მასში ინტეგრალური სოციალიზმის ელემენტებიც კი აღმოვაჩინოთ. ის „სოციალისტური“ თეორია, რომელსაც დასაბამი ბელგიელმა სოციალისტმა დეპაპამ მისცა გასული საუკუნის 60—70-იან წლებში, კაცობრიობის არსებობას უყურებდა როგორც უდიდეს ტრაგედიას, რომელშიაც დაჩაგრულია ყველა, ბურჟუა იქნება ის, თუ პროლეტარი, გლეხი თუ მემამულე, მაღალი თუ დაბალი ჩინის მოხელე.

ეს ტენდენცია არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს ჩვენს მკითხველს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ სტატიებშიც. მაგალითად, ერთგან ილია პირდაპირ დეპაპისებურად ამბობს, რომ „მართალია, გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნველია, უფრო მეტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ყველა ესენი ადამიანები არ არიან? განა ცოდვაა, რომ ამათთვისაც ვიზრუნოთ და თავი შევიტკივოთ? რაკი ცხოვრებას და ისტორიას გლეხებთან ერთად ეგენიც გაუჩენია სამართლიანად და უსამართლოდ, განა შესაძლებელია ერთის კალმის მოსმით, თუნდ იმისთანა ძლიერისით, როგორიც დღეს „მოგზაურის“ რედაქციას ქვეყნის სასაცილოდ თავისი თავი ჰგონია, განა შესაძლებელია, ვამბობთ, ისე ამოდენა ხალხი დედამიწის ზურგიდან წაიშალოს!

მართალია, თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა, დიდი ხანია თავისი დრო მოჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს, ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება. რომ დღეს კაცი ისე არ გაუელის გეერდით თავადს თუ აზნაურს, — წიხლი არა ჰკრას, ან მის ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაროს. ზოგიერთს ასე ჰგონია. რომ, თუ ესე არ მოიქცა, რეტროგრადობას დასწამებენ და ლიბერალობით თავს ვეღარ მოიწონებს, რადგანაც ჰეშმარიტის ლიბერალობისა არა გაეგება-რა და მთელი მისი ლიბერალობა ამაზეა ჩამომხდარი და ამაზე შორს აღარ წასულა. ღღონდ წიხლი უთავაზოს, თავადია თუ აზნაური, და მიზეზს აღარავინ იკითხავს".* ადამიანი ადამიანია და ყველას თავისი სატკივარი, ყველას თავისი უბედურება აწუხებს. გლეხი მეტად გაჭირვებულია, მეტად საზრუნავი. მაგრამ სხვა წოდებებსაც უნდა მიეხედოს, რაკი მათაც თავიანთი გაჭირვება აქვთ, — ჯეთია ილიას აზრი. ჩვენს მიერ მოტანილი ვრცელი ამონაწერიდან საკმაოდ ნათელია, რომ ილია ჭავჭავაძე გამოდის. როგორც დამცველი არა მარტო თავადაზნაურობისა, რომელმაც „თავისი დრო მოჭამა", არამედ, გლეხობისაც, ამავე დროს, ერთი შეხედვით, ის სწორედ იმ „ჰუმანიურობის" რკალში აქცევს წმინდა სოციალურ საკითხებს, როგორც ამას ჰხადიოდნენ და როგორც ამას ამტკიცებდნენ ლავროვი, ბრუსი, დეპაპი, ბენუა მალონი და ათასი ჯურის სხვა წვრილბურჟუაზიული სოციალისტები. მაგრამ განა ეს იდენტური ან სწორი შედარება იქნება?

მეორეს მხრივ, მოგეჩვენება, თითქოს ბანკის ამოცანაც ილია ჭავჭავაძემ ინტეგრალური სოციალიზმის თვალსაზრისით განიხილა, როცა წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ ბანკის მიზანია არა მარტო თავადაზნაურობის, არამედ, მთელი საზოგადოების კეთილდღეობაო. თუ რა იყო ან როგორ მიღწეულიყო ეს კეთილდღეობა, შემთხვევით არ სწარმოებდა გაცხარებული დისკუსია, ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს, ხოლო, მეორეს მხრივ, ილია ჭავჭავაძესა და დიმიტრი უიფიან —აკაკი წერეთელს შორის, რაც შემდეგ საბედისწერო კამათად გადაიზარდა ივანე მაჩაბელთან.

თავის მრავალრიცხოვან წერილებში თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების შესახებ, რომლებსაც პავლე ინგოროყვამ ტექსტებიდან ამოღებული სათაურები მისცა,** ილია ჭავჭავაძე საფუძვლიანად ეხება ხსენებული საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების არამარტო არსებას. არამედ, მიზნებსა და ამოცანებსაც; ერთმანეთისაგან განასხვავებს როგორც მოკლევადიან, ისე საადგილმამულო ბანკებს, ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელს „დიდი სასიკეთო მნიშვნელობა ექვს" საზოგადოებისათვის, როგორც „ნაყოფს თვითმოქმედებისა".*** საადგილმამულო ბანკების ამ მნიშვნელობას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ეხება ილია ჭავჭავაძის წერილები: „ნიკო ნიკოლაძე და მისი შეხედულება ბანკზე", „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკი", „ქუთაისის ბანკის საქმე", „ტფილისის ქართული საადგილმამულო ბანკის

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IX, 1957 წ., გვ. 273—274. წერილი — „ნუთუ?". ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** ილია ჭავჭავაძე, ტ. VII, 1956 წ., გვ. 512. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 345.

მორიგი კრების გამო", „ბანკების შეერთების საკითხებზე" და მრავალი სხვ. ყველგან ის აზრია გატარებული, რომ საადგილმამულო ბანკების მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ კეთილდღეობას. მაგრამ, სწორედ ეს უკანასკნელი რომ არ ჩანდა, პირიქით, ქართული მამულები ბანკის მეშვეობით ზოგჯერ ხელში უვარდებოდათ უცხოელ და სომეხ ვაჭრებს, უეჭველი ფაქტი იყო, რაც ილია ჭავჭავაძეს აღონებდა, თუმცა პრაქტიკული შედეგებით გამოსავალს ვერ ამოვნინებდა, გარდა „თვითმოქმედებისა", რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ერის ყველა წოდების კეთილდღეობას.

მთელი აზრი თვითმოქმედებისა მხოლოდ ის იყო, რომ ყველა წოდებას, განსაკუთრებით თავადაზნაურობას, რომელიც სიბარიტიზმით იღუპებოდა, შრომისათვის ხელი მიეყო, შეეგნო, რომ ახლა ისეთი დროა, როცა „თუ კაცი თვითონ არ არის, თვითონ არა ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავკარგიანობის გასაძღოლად,—ამისთანა კაცი ეადვილებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ".* თუ ადამიანი გადაეჩვევა „თავის-თავის პატრონობას", სრულიად უეჭველია, რომ ამ გადაჩვევას „უღონობა, დაუძლურება სულისა და ხორცისა მოსდევს და ეს უღონობა დაუძლურება კვდომაა, ხრწნაა, აგებულების დაშლა და დარღვევაა".** არამარტო ცალკე კაცი, მთელი წოდება, მთელი საზოგადოება იღუპება, როცა ეს სენი შეეყრება და განკურნებისათვის არ იზრუნებს. „ამაზედ უარესი სენი ჩვენ არ ვიცით, რომელს წოდებასაც, თუ საზოგადოებას, ეს სენი ჩასჯდომია გვამსა და აგებულებაში, ფუტურო ხესავით დღედადღე იფხვნება და პირქვე დასამხობლად გამზადებულია და გადადებული: თავოსნობას მუხლი ეჭრება, თვითმოქმედებას, გამრჯელობას და მხნეობას—ამ დედაბოძებს წარმატებისას—ძირი ულპებათ და აქ დარღვევისა და წაქცევის მეტს რას უნდა მოელოდეს ადამიანი?"*** არაფერს, გარდა იკვდილისა, და ილია ჭავჭავაძე არ მალავს, რომ ამ საშინელი სენით, ყველაზე მეტად დაავადებულია ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც შრომას გადაჩვეულა, სულ სხვისი დახმარების შემყურეა, გაჭირვების დროსაც მხნეობას კი არ მიმართავს, „თავის გარეთ, ხელ-ფეხ-გაუნძრეველად, გაურჯელად" სურს თავი გადაირჩინოს.

ეს არის „სულმოკლეობა, მარტო სხვის სულგრძელობაზედ დამყარებული", და იგი „კარგს არას მოასწავებს". რაც უფრო გაგრძელდება ეს პროცესი, დაღუპვა მით უფრო გარდუვალი გახდება. თავადაზნაურობამ უნდა შეიგნოს, რომ „წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვა ხერხით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვი-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 315.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 315—316. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

თონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა, იმისია და მარტო იმისი“.*

ყველაფერი ეს ნათქვამი იყო 1887 წლის დეკემბრის „ივერიაში“, ხოლო, ერთი წლის შემდეგ, ილია ჭავჭავაძემ კვლავ წამოაყენა თვითმოქმედების საკითხი და ყველაზე მკაცრად ისევ თავადაზნაურობა გააკრიტიკა. თეზისი—თავადაზნაურობა „დაჩვეულია სხვისით თავის საქმის გასწორებას“, სურს უზრუნველად და უშრომლად იცხოვროსო,—აქაც ხაზგასმულია, როგორც ამ წოდების არსებაში ღრმად გამჯდარი სასიკვდილო ავადმყოფობა. კვლავ წამოყენებულია მოთხოვნა „გარჯისა და მხნეობისა“. დამოწმებულია „ჩვენი ბრძენი დავით გურამიშვილი“, რომელიც გვიმოძღვრებდა:

„მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია,
მხნე იყავ და გაძლიერდი,
დაეით რაც უთქვამს სწორია“.

რაკი ყოველივე ეს ვერ ჰპოვა, ილია ჭავჭავაძემ პირდაპირ მოითხოვა თვითმოქმედება: „გამრჯელობა, მხნეობა, როგორც წარმატების დედაბოძები; თან დასძინა: „მხნე იყავ და გაძლიერდი. აი ერთადერთი გზა, რომელიც კაცს მთას და გორას გაარღვევინებს ხოლმე, აი ერთადერთი (დააკვირდით—აქაც ერთადერთი — გ. ჯ.). სახსარი უღონობისა და უძლურებისაგან გამომხსნელი, აი ერთადერთი გზა, რომელმაც ადამიანი ღვთის სახედ გაახადა და ძლევამოსილ ჰყო ქვეყნიერობაზედ. საცა ეგ მხნეობა გაქარწყლებულია, საცა გარჯა, ჯაფა, შრომა დავიწყებულია, იქ ერთი უღონოა და უძლური, თუნდა სულ თავიდამ ფეხამდე ოქროში ჩასვა. ვოლტერმა სთქვა, რომ „ფულის უქონლობა-კი არა, ნიჭიერთა და მხნე კაცთა უყოლობა ჰქმნის ერს უღონოდაო“. სწორედ მოგახსენოთ, ჩვენი დღევანდელი ტკივილიც ეს არის. ჩვენ მხნეობა და გამრჯელობა გვაკლია და აი სათავე, საიდამაც უნდა მოსწყდეს ჩვენის უძლურებისა და უღონობის მომდინარეობა“.** სწორედ ეს ტკივილი მიაჩნდა ილია ჭავჭავაძეს იმის მიზეზად, რომ იკარგებოდა ჩვენი მიწა-წყალი, დავიწყებული იყო ის დიდი ჭეშმარიტება, რომ „ქვეყანა და მისნი მადლნი ყოველთვის და ყოველგან მარტო მშრომელისა და გამრჯელისა ყოფილა და არის... გამრჯელი და მშრომელი არის შემქმნელი და მომქმედი ამ ცხოვრებისა და თავის კერძსაც ცხოვრების სუფრაზედ მარტო იგი ჰშოულობს სხვის დაუყვედრებლად, სხვის უმუნათოდ“.*** ხოლო ის „კაცი, რომელიც მარტო მჭამელი და შთანმთქმელია და არა მომქმედი და მოამაგე, გადადებულია დედამიწის ზურგიდამ ასაგველად. იგი ყოველთვის უღონოა ჰიდილისათვის არსებობისათვის ბრძოლაში და ამიტომაც მარტო ერთი უბრალო შემთხვევა ჰქმარის ხოლმე ძირს დასცეს და პირქვე დაამხოს“.**** ეს აზრი რომ უფრო ღრმად შეაგნებინოს მკითხველს, ილია არ ერიდება ტავტოლოგიასაც; ერთ ფაქტს მეორეს მიაშველებს, არგუმენტი—არგუ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 316. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
** იქვე, გვ. 320. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
*** იქვე, გვ. 325. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.
**** იქვე, გვ. 326. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მენტზე მოჰყავს, ცდილობს ისე დახატოს სურათი, როგორიც შეიძლება ნამდვილად იყოს უარეს შემთხვევაში.

ამიტომ ხდება განმეორება, სრულიად ახალი რედაქციით, იმ ძირითადი აზრისა, რომ დოვლათი „ყოველთვის მიურბის ხელიდამ უუნაროს და უქმს და მიეზიდება უნარიან და საქმიან კაცისკენ. ეს ეკონომიური რკინის კანონია და ისე გარდაუვალი, აუცილებელი, დაურღვეველი, როგორც ყოველივე ბუნებური კანონი". რაკი ეს ჭეშმარიტებაა, ილია ჭავჭავაძეს ისიც უეჭველად მიაჩნია, რომ მამულებს ჰკარგავენ მხოლოდ უუნარო, უქმი თავადაზნაურები, რომლებსაც შრომა და გარჯა არ უყვართ. „მამულები ხელიდამ მიგვდისო, — ვისგან ისმის ეს ჩივილი? აბა ამ ჩივილში გამოარკვიეთ თუნდ ერთადერთი ხმა იმისთანა წოდების კაცისა, რომელიც თავის შრომასა და გამრჯელობაზეა დამყარებული? გლეხი სჩივის ამას? არა. ვაჭარი, აღებ-მიცემის კაცი სჩივის ამას? არა. მღვდელი, დიაკვანი ჰყვირის: გვიშველეთო? არა. ხომ ვერ დავუფიცავთ, რომ ამათში ან ერთს, ან მეორეს, ან მესამეს მამული არა ჰქონდეს. რატომ ესენი არა სჩივიან, მამულები ხელიდამ მიგვდისო? იმიტომ რომ მამულის ყადრი ამათ კარგად იციან, იმიტომ რომ ყველა ესენი თითონ ირჯებიან, თითონ მხნეობენ, იმიტომ რომ მამულს უყვარს გამრჯელი ხელი და გამრჯელის ხელში დარჩენა და ყოფნა მამულის ეკონომიური ბუნებაა, იმისი დანიშნულებაა".* ასეთი „გარჯით", — ფიქრობს ილია, — ისინი არამარტო არ ჰკარგავენ მამულს, პირიქით, იძენენ და აფართოებენ, ვინაიდან „ეს აუცილებელი შედეგია, გაუტეხელი ბუნებაა ყოველგვარის სიმდიდრისა, რომელიც ყოველთვის უქმს მიურბის, რომ საქმიანს კაცს მიეცეს".** ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ მამულების ხელიდან გამოცლას მარტოოდენ თავადაზნაურობა ჰგოდებს, მოითხოვს ბანკმა მოუაროსო, იმას კი ივიწყებენ, რაც მთავარია — შრომასა და გარჯას. ეს სნეულებაა, ჭირია, რომელსაც „შიგნიდამ წამლობა უნდა". ვინც უწამლა, თავსაც უშველა. „განა არ არიან იმისთანა თავადნი, თუ აზნაურნი, რომელნიც მხნეობენ, ირჯებიან, ყაირათობენ და რიგიანად ჰპატრონობენ და უვლიან მამულებსა. რატომ ამათ არ მიურბით ხელიდამ მამული? აბა ერთი ამისთანა თავადი, თუ აზნაური გვიჩვენეთ, რომ სჩიოდეს და ჰყვიროდეს მამული ხელიდამ მიდისო? ამისთანა კაცს რად წაუვა მამული ხელიდამ? პირიქით, სხვაც მოუვა, თორემ თავისი ხომ შერჩება და შერჩება". მაშასადამე, რა არის მიზეზი უღონობისა და მამულების დაკარგვისა? „მიზეზი ჩვენი საკუთარი (ამ შემთხვევაში თავადაზნაურობის — გ. ჯ.) უქმობაა, ჩვენი საკუთარი გაურჯელობაა და ამ მიზეზს იქ უნდა მოწყვეტა, საიდამაც მომდინარეობს".*** მხოლოდ თვითმოქმედებას, შრომას, გარჯას, შეუძლია საყოველთაო დოვლათის შექმნა, ყველა ადამიანის, ერის ყველა წოდების სიკეთე, — ასე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე, როგორც განმანათლებელი, მისთვის დამახასიათებელი უტოპიზმითა და სოციალისტური ელემენტებით.

საერთოდ, ილია ჭავჭავაძის აზროვნებაში ინტეგრალური სოციალიზმის აღმოსაჩენად შეგვეძლო ცრტატების ზღვა დაგვეყენებინა. მაგრამ ეს საჭიროდ არ მიგვაჩნია, ვინაიდან, ჩვენი მსჯელობის მთელ მანძილზე საკმაოდ ნათელი

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 327.

** იქვე.

*** იქვე, გვ. 328. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მოვფინეთ „აჩრდილის" ავტორის მისწრაფებას—ანგარიში გაწეოდა არა მარტო გლეხობას, არამედ, თავადაზნაურობასაც, რომ ორივე ადამიანია, ორივე ამ ქვეყნის შვილია.

თუ ღრმად ჩავუკვირდებით პრობლემას, დავინახავთ, რომ ილია ჭავჭავაძე უფრო შორს მიდიოდა. 1888 წელს მან გამოაქვეყნა წერილი — „წოდებათა თანასწორობა", რომელშიაც სავსებით ნათელი მოჰფინა თავის კონცეფციას. „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის,—წერდა ილია, — რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფელად, დიდ-პატარაობის გაურჩეველად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰკიდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად სა-ყოველთაოდ. ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე ხვნა და მკა, ცალ-ცალკე თლა ლხინისა თავისაკენ და ჭირისა სხვისაკენ, მარტო თავისთავის ხსოვნა და სხვისი დავიწყება მომაკვდინებელია კაცთა საურთიერთო ცხოვრებისა და საცა ეგ ურთიერთობა არ არის, იქ არც იგი კრებულია, რომელსაც ერი ჰქვიან".* ამაოა რომელიმე „წოდებამ ცალკე ბინა გაიკეთოს, ცალკე ინტერესები შემოიღობოს, შემოიფარგლოს და ამით რაიმე ხეირი და სიკეთე ჰნახოს საბოლოოდ". ეს იქნება „ქვიშაზე აგებული სახლი", რომელიც „პირველ ქარის შებერვაზედვე დაიფუშება". თვით ისტორიული ფაქტები მოწმობენ,—ფიქრობს ილია,—რომ „ქვეყანაზედ მარტო იმ ერს გაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავი ათასგვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწევა არაფრის მაქნისია. თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია".** ტყუილი ქადაგება იქნება, თუ ერთი წოდება იტყვის—რაკი „მე კარგადა ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო". ეს სასაცილოა, — ფიქრობს ილია,—ეხლა სხვა დროა, რომელშაც „სხვა მოძღვრება" მოიტანა, „მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი", ქადაგება იმისა, რომ „თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო". ეს ჭეშმარიტება უნდა შეიგნოს თავადაზნაურობამაც, უნდა გაიგოს, რომ „ეს ცალკე ყოფნა და ცალკე ბედნიერება შეუძლებელია და ამიტომაც ამაოა ამისათვის ცდაცა. არც ერთს თავად-აზნაურობას საბოლოოდ თავი არ დაუჭერია არსად, საცა-კი ამ ცალკე ყოფნასა და ცალკე ბედნიერებას გაჰყოლია. ყველამ ერთად და თვითეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს".*** ეს იყო განმანათლებლის ტიპიური იდეალი თავისი ჰუმანიზმით, დემოკრატიზმითა და უტოპიზმით.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. VIII, 1957 წ., გვ. 312. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

** იქვე, გვ. 312—313. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

*** იქვე, გვ. 313—314. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

მთელი ერის ყველა წევრისა და ყველა წოდების ბედნიერების მიღწევა კლასთა ბრძოლის გარეშე, შრომაზე დამყარებული სამართლიანობა, ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც არ იქნება ერთმანეთის მოტყუება, სხვისი შრომის უკანონო მითვისება, ძარცვა-გლეჯა და ექსპლოატაცია, ყველა, რომელ წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ადამიანურ ღირსებას მოიპოვებს, რაკი ადამიანია, არ იქნება ერთა თუ ხალხთა შორის ომები სხვისი ტერიტორიების მისატაცებლად,—ერთი სიტყვით, როგორც შინ, ისე გარეთ ცხვარი და მგელი ერთად სძოვდეს—განა ძნელია აქ დავინახოთ განმანათლებელი თავისი კაცთმოყვარეობით, ჰუმანიზმით, დემოკრატიზმით. სოციალისტური ტენდენციებითა და უტოპიური იდეებით? რა გასაკვირია, თუ ილია ჭავჭავაძემ, როგორც ტიპიურმა განმანათლებელმა, ყველაფერი ამ ძირითადი ამოცანების შესრულებას დაუქვემდებარა, მათ შორის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი, როგორც საკრედიტო-საფინანსო დაწესებულება, რომელსაც ხალხის საყოველთაო კეთილდღეობისათვის ხელი უნდა შეეწყო. როცა ამ პრობლემას ვეხებით, ჩვენ უეჭველად ვხედავთ განმანათლებელს თავისი სოციალური დოქტრინით, რომელიც ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის იდეებით შეუმოსავს, შეუფარავს, გულწრფელად დაუჯერებია, რომ მისთვის მთელი არსებით იბრძოლოს.

ამიტომაა, რომ სათავადაზნაურო ბანკის მიზანი ილია ჭავჭავაძემ თითქოს ინტეგრალური სოციალიზმის თვალსაზრისით დაასაბუთა, რაკი მის საქმიანობაში „საზოგადო ჭირის“ გაძღოლა და ინდივიდუალური სარგებლობის უკუგდება დაინახა. მოვუსმინოთ მას: „ჩვენებური ბანკები დაფუძნებულია თავადაზნაურთაგან და განსაკუთრებულ საგნადა აქვს ბანკის მოგებიდამ გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს. ყოველივე ინდივიდუალური შეხედულება ბანკიდამ გამოდევნილია. თითონ დამფუძნებელთ არავითარი წილი საკუთრად თავიანთ სასარგებლოდ არ ჩაუდვიათ ბანკის მოგებაში. ყოველი კერძო გამორჩენა, კერძო სარგებლობა უარუყვიათ და გაუბათილებიათ თვისდა სასახელოთ და თითო გროშები ერთმანეთს მიუწებებიათ და შეუწირავთ საზოგადო საჭიროებისათვის“.* მაგრამ განა მართლაც ასე იყო? თვით ილია ჭავჭავაძეს რომ თავისი წილი პირადი სარგებლობისათვის, კერძო გამორჩენისათვის „არ ჩაუდვია“ ბანკში, ეს სრულიად უეჭველია, მაგრამ ისიც სავსებით ნათელია, რომ თავადაზნაურობა, რომელიც „ბანკის მოგებიდამ უნდა გაუძღვეს საზოგადო ჭირსა და ვარამს“—ასეთი თავადაზნაურობა ისტორიაში არ არსებულა; ყოველი საზოგადოებრივი კლასი თუ წოდება საკუთარი კლასობრივი ინტერესებით უდგებოდა სინამდვილეს, განსხვავებულია მხოლოდ პროლეტარიატი, რომელიც სპობს მტრულ კლასებს და ქმნის უკლასო საზოგადოებას. თუ ასეთია ისტორიის სვლა, ამ შემთხვევაში საადგილმამულო ბანკიც არ შეიძლება გამორიცხულ იქნას მოვლენათა ჯაჭვის საერთო რგოლიდან. მაგრამ ყველაფერი ილია ჭავჭავაძის მიერ ისეა წარმოდგენილი, რომ თავად-

---

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ IX, გვ. 151. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

აზნაურობის ჩვენს მიერ დახასიათებული გაგება თითქოს მთლიანად გამომდინარეობს „ინტეგრალური სოციალიზმის“ კონცეფციიდან.

განა ამასვე არ მოწმობს „ზოგიერთი რამ“, სადაც პირდაპირ გაშლილია თეზისი იმის შესახებ, რომ თუ დაუკვირდები „იმ ხასიათებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხაროდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვყუყუპალაობთ და, რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და—რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების“,—ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღარ!“* ეს იყო სოციალური უკუღმართობით გამოწვეული გოდება დიდი ადამიანისა, რომელსაც ნამდვილად სურდა ყველა ერისა და ყველა წოდების „საყოველთაო ბედნიერება“, მაგრამ ბედავდა, რომ წინ გარდუვალი წინააღმდეგობანი ეღობებოდა. იყო ბრძოლა, მაგრამ არ ჩანდა სასურველი შედეგი.

თავისი დროის ყოფნა-არყოფნის ამ ჰიდილში ილია ჭავჭავაძე არკვევდა სოციალურ პრობლემას, ეძებდა სოციალურ უბედურებათა მიზეზებს; ზოგჯერ იგი სხვა გამოსავალს ვერ პოულობდა, გარდა იმისა, რომ წმინდა სოციალურს თავისი ქვეყნისას უკავშირებდა ქართველობის ზოგად ცნებას. ურომლისოდ მას საერთოდ ვერ წარმოედგინა ერის ძალა, რომელიც საყოველთაო ბედნიერებას ბურჯად უნდა აგებოდა. მაგრამ სად იყო ეს ძალა? სწორედ იგი არ ჩანდა, არ ჩანდა საერთო სახელიც—ქართველობა. „განვთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით, ასო ასოდ დავიბერით, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოველს-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წყებას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტერევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა და აკი აღარ შეგვრჩა“.** ამიტომ აღარ არიან ქართველები, — ჰგოდებდა ილია,—„არიან თავადნი, აზნაურნი, მღდელნი, ვაჭარნი, გლეხნი. ჩინიანნი და უჩინონი — ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის“.*** ეს იყო ტრაგედია, რომელსაც ილია ჭავჭავაძე მწვავედ განიცდიდა, ხოლო როცა აყენებდა კითხვას—მაინც რატომ არ არსო, თვითონვე უპასუხებდა: იმიტომ, რომ ისინი განცალკევებულნი არიან, ერთს მეორე სძულს, თავადს—აზნაური, აზნაურს—თავადი, გლეხს — ორივე, მათი აზრები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ასომთავრული ასომხედრულს გზას უღობავს, თავადი ზურგს აქცევს აზნაურს, აზნაური—თავადს, ორივე ერთად — გლეხს, ვაჭარი კი სამივეს ერთად სიბარბით სწოვს. თითო-თითოდ, ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით ცალ-ცალკე დავგორავთ, — დასძენდა ილია ჭავჭავაძე, — და ეს არისო ტრაგედია, რომელშიც დაასამარა საერთო სახელიც—ქართველობა. როდისღა შეიძლება მისი აღდგენა? სად არის ან სად შეიძლება იყოს ქართველი? ურთულესი საკითხია. მაგრამ პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: „თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება სა-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 146—147.
** იქვე, გვ. 150.
*** იქვე, გვ. 147.

„ყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი“.* ეს საყოველთაო იდეა საქართველოს სიკეთისათვის ამოძრავებდა ილია ჭავჭავაძის მთელ შემოქმედებასა და ფილოსოფიას, აქ თავს იყრიდა მისი აზროვნების ყველა არტერია და, ბუნებრივია, აქვე იყო მისი მოძღვრების ჰუმანისტური და სოციალისტური ნაკადები. სწორედ ეს იყო ილია ჭავჭავაძის ანდერძი, რომელიც მან შთამომავლობას მერმისისათვის საბრძოლველად დაუტოვა.

რაც შეეხება სოციალიზმის იმ განშტოებას, რომელიც ანტაგონისტურ საზოგადოებაში ვერ ამჩნევდა გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლას, მთელი კაცობრიობა მიაჩნდა ტრაგედიის ცოცხალ განხორციელებად, ტრაგედიისა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის გაჩენის პირველი დღიდანვე დაიწყო და რომელმაც მთელი კაცობრიობა საშინელებათა უღელში შაბა; ინტეგრალური „სოციალიზმი“, რომელიც საზოგადოების გაღატაკებულსა და დამონებულ კლასებსა და წოდებებს უყურებდა როგორც ერთი უდიდესი საერთო ტრაგედიის შემადგენელ ელემენტებს, მთელ კაცობრიობას განიხილავდა, როგორც მის უდანაშაულო მსხვერპლს—სწორედ ამ სოციალიზმის ზოგიერთ პრინციპს ვხედავთ ილია ჭავჭავაძის თეორიულ სისტემაში. მაგრამ ჯერ-ჯერობით, თუ ღრმად არ დავუკვირდებით, ღრმად არ ავწონ-დავწონით და მარტოოდენ გარეგნულ, ციტატური შთაბეჭდილებებით დავკმაყოფილდებით. ინტეგრალური სოციალიზმი იცავდა ადამიანს საერთოდ, კაცობრიობას საერთოდ; ინტეგრალური სოციალიზმიც ქადაგებდა კლასთა თანამშრომლობასა და შეთანხმებას, მათი ინტერესების გაერთიანებას — საყოველთაო ბედნიერებისათვის; ინტეგრალური სოციალიზმიც თავის ეკლექტიკურ ფილოსოფიაში „ზეკლასობრივობის“ წინაშე იხრიდა ქედს. მაგრამ განა შეიძლება ილია ჭავჭავაძე „ინტეგრალური სოციალიზმის“ წარმომადგენლად გამოვაცხადოთ ქართული აზროვნების ისტორიაში? ეს ხომ აშკარა შეცდომა იქნება?

ილია ჭავჭავაძე განმანათლებელი იყო თავის მხატვრულ შემოქმედებასა და აზროვნებაში, და როგორც განმანათლებელს, რომელსაც ბედმა არგუნა აქტიურად ემოღვაწნა იმ დროსაც, როცა განმანათლებლების ეპოქა უკვე წარსულს ეკუთვნოდა, როცა ახალ სინამდვილეს სრულიად ახალი შეხედულებები თან მოჰყვა,—არ შეიძლებოდა ის ნაკლიც არ ჰქონოდა, რაც საერთოდ ამ სისტემისათვის დამახასიათებელია. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ილია ჭავჭავაძის აზროვნების ეს სისტემა რთული, წინააღმდეგობრივი და ჰუმანისტურია თავის მრავალფეროვნებაში. ამ დებულების სრულ ცხადყოფას წარმოადგენს თერგდალეულთა იდეური ბელადის ექსტენსიური პუბლიცისტიკა, რომელიც ზოგჯერ ძალიან უახლოვდება მარქსისტულ ფილოსოფიას, მაგრამ ზოგჯერ ასევე ძალიან დაშორებულია მისგან. ამიტომ შეუძლებელია მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკის ნიშნები პირდაპირ ვეძიოთ იქ, სადაც გულუბრყვილო დიალექტიკა თავისი მორცხვი სახით იცქირება, თუმცა მკითხველი ერთი შეხედვით გაოცდება, როცა ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ნახავს ისეთ დებულებებს, რომლებიც მარქსის შეხედულებებს ძალიან უახლოვდებიან.

ავიღოთ დიალექტიკის **საკითხი.**

ილია ჭავჭავაძეს მშვენივრად ესმოდა სინამდვილის განვითარე-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1927 წ., გვ. 148. ხაზი ყველგან ჩვენია — გ. ჯ.

ბის შინაგანი ლოგიკა. ცხოვრების დიალექტიკური წინსვლაში მან ასევე მშვენივრად დაინახა ის აუცილებელი ჭეშმარიტება, რომ ცვლილება და განახლება არსებულის მუდმივი თანამგზავრია, რომ თვით აზრს არსის ძალა წარმართავს, რომ წინააღმდეგ მეტაფიზიკისა. ის, რაც გუშინ იყო, დღეს აღარ არის, რომ თვით ჭეშმარიტება შეფარდებითია, თუმცა თავის რელატიურობაში აბსოლუტურსაც გამოხატავს. ვიმეორებთ, ილია ჭავჭავაძეს მშვენივრად ესმოდა, რომ „ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება — იმისათვის კი არა, რომ მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს, არამედ იმისათვის, რომ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი, ნედლი ცხოვრება, რომელიც ისევე-ისე უნდა წავიდეს ცხოვრების გზაზედ, როგორც პირველი, თუ უკეთესება უნდა. ცხოვრებასაცა აქვს თავისი შემოდგომა და გაზაფხული, როგორცთავის ბუნებასა".* ბუნების ამ დიალექტიკურ წესთან ერთად, ილია ჭავჭავაძეს ისევე მშვენივრად ესმოდა, რომ ცხოვრება ბადებს მეცნიერებასა და ხელოვნებას, რომლებიც მხოლოდ ცხოვრებისათვის არსებობენ. მაგრამ, თუ ცხოვრებას წინ მიჰყავს ისინი, თავის მხრივ ისინიც წინ უბიძგებენ ცხოვრებას. ერთიც და მეორეც, მეცნიერებაც და ხელოვნებაც ცნობაში მოყვანილი. დამტკიცებული ჭეშმარიტებებით გადადიან ხალხში, გავლენას ახდენენ. ცვლიან ხალხის მდგომარეობასა და ცხოვრებას. ცნობაში მოყვანილ ჭეშმარიტებას კი ღრმადესი ძალა აქვს, როგორც გაცნობიერებულ რეალობას.

ეს იყო სრულიად ახალი, მანამდე უცნობი იდეები საქართველოს სინამდვილისათვის, ახალი მეცნიერული ჭეშმარიტებანი, რომლებსაც გზა უნდა გაეკვლიათ და აღიარება ეპოვათ ხალხს გულში. და ჰპოვეს კიდეც, რაკი ჩვენი მომდევნო აზროვნების ისტორიაში დამკვიდრდნენ.

თანამედროვე მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ეს იდეები ძალიან უახლოვდება მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის დასკვნებს, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ავტორი მარქსიზმი არ იყო და, შესაძლოა, არც იცნობდა იმ ახალ მოძღვრებას, რომელიც უფრო გვიან გაიცნო, შეისწავლა და რომელსაც თავისებური სიმპათიით მიესალმა.

თუ რა ღრმა მოაზროვნე იყო ილია ჭავჭავაძე, მარტო იქიდან ჩანს, რომ მან ჯერ კიდევ ადრე, ცხრაასიან წლებში შენიშნა ნოე ჟორდანიას თეორიული წაჯეგ-უკუჯეგობანი და უყოყმანოდ იწინასწარმეტყველა: „ბ-ნი ჟორდანია, მარქსისტი კი არა — პამპულაა მარქსისა, ღეარუნებით მორთულ კაბაში", „ანბანი პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებისა რომ ვერ გაუგია და ვერ უსწავლია, მოდით და აბლა დაუჯერეთ, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია გაგებული და შიგჩახედული მარქსისტია". ამგვარი კრიტიკა მხოლოდ იმ ადამიანს შეეძლო, რომელსაც მარქსიზმი ისე ეცოდინებოდა, რომ იგი მისი გამყალბებლებისაგან გაერჩია. ჟორდანია კი სწორედ ამ გზით მიდიოდა. მის კრიტიკას შეიცავენ პოლემიკური წერილები: „უმეცრობის პართი-ფურთი", „ახალი უმეცრობანი ბ-ნ ნოე ჟორდანიასი", „ქარაფშუტობა. ორთავიანობა და ორპირობა უმეცარისა", „ისევ და ისევ ბ-ნ ჟორდანიას უმეცრობანი და მისი წაჯეგ-უკუჯეგობანი". ამ წერილებში ილია ჭავჭავაძემ დიდი პოლემისტის ოსტატობით ნიღაბი ჩამოჰგლიჯა ნოე ჟორდანიას, გამოიცნო ქართული მენშევიზმის

* ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. 1958 წ., გვ. 57.

მომავალი მეთაურის სრული დაშორება მარქსიზმისაგან და პირდაპირ უთხრა მას: „შენ მარქსისტი არა ხარ, შენგან მწერალი არ გამოვაო“. მართლაც, უშეცდომოდ გამართლდა ილია ჭავჭავაძის ეს პროგნოზი. რომელიც დამყარებული იყო საგნის ღრმა ცოდნაზე. სწორედ ამ ღრმა ცოდნამ ათქმევინა მას შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვებიც: ჟორდანიასო.—წერდა ილია ჭავჭავაძე, — „ცა ჭუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო. ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა“.*

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ისტორიამ სავსებით დაადასტურა ეს სიტყვები და ისიც გვიჩვენა, რომ ილია ჭავჭავაძე აზროვნებაში ღრმად დაკვირვებული, საგნის ბოლომდე გამგები ადამიანი და მახვილი პოლემისტი იყო. მას ესმოდა ცნობიერების შეპირობება ყოფიერებით, თუმცა ყოველთვის ვერ იცავდა ამ თეზისს. მაგრამ, სრულიად უეჭველია, რომ მის ნაწერებში ხშირად გვხვდება ისეთი შეხედულებანი, რომლებიც მოგვაგონებენ მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მთელ რიგ დებულებებს. ეს ჩანს, როგორც ზემოთ ვნახეთ, ილია ჭავჭავაძის პირველ პუბლიცისტურ თხზულებებშიც, განსაკუთრებით მის კლასიკურ წერილში „საქართველოსმოამბეზედ“.

ყოველივე ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისეთ დიდ გონებას, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა. შეუმჩნეველი არ დარჩა თავისი დროის თითქმის არც ერთი საკითხი; მის ნაწერებში ჩვენ ხშირად გვხვდება გამოჩენილი რუსი და ევროპელი მოაზროვნეების შეხედულებანი, ჩანს ავტორი ღრმად იცნობს თვითეული მათგანის მოძღვრებას, იძლევა მათი სისტემების კრიტიკულ გარჩევას.

ერთი ასეთი დიდი მეცნიერია კარლ მარქსი თავისი გენიალური ფილოსოფიური სისტემით, რომელსაც მარქსიზმი ეწოდება. რომ მარქსის გენიას ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა. ეს სრულიად უდავოა. ამიტომ არის, რომ მის ნაწერებში ზოგჯერ პირდაპირ არის განმეორებული „სახელოვანი მეცნიერის“ კარლ მარქსის სიტყვები, გამოთქმები, ან ის, რაც „კაპიტალის“ გენიალურ ავტორს მოსწონდა. შორს რომ არ წავიდეთ, აქ კი მართლაც შეიძლება შორს წასვლა, გვინდა გავიხსენოთ მარქსის „აღსარება“, პასუხი თავისი ქალიშვილების — ლაურასა და ჟენის კითხვებზე. ისე, როგორც მარქსს მიაჩნია თავის უველაზე საყვარელ გამოთქმად — „არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“, ილია ჭავჭავაძეც უცვლელად იმეორებს: „ადამიანი უველგან ყოველთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოება“.**

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. IX, გვ. 131. ხაზი ჩვენია — გ. ჯ.

** ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. II, გვ. 62. ხაზი უველგან ჩვენია — გ. ჯ.

მართლაც ადამიანის პრინციპით მიუდგა ეს დიდი მოაზროვნე და დიდი მხატვარი როგორც თეორიული პრობლემების გადაწყვეტას, ისე მთელ სინამდვილეს. ჰუმანიზმის პრიზმაში გადატეხა მან აზროვნებისა და ყოფიერების საპირბოროტო საკითხები. მაგრამ, ამავე დროს, თავის იდეურ სამყაროს მხატვრულ შემოქმედებაში ისეთი ძლიერი აფერადება მისცა, განსხეულების ისეთი იერი შესძინა, ჰუმანიზმის ისეთი შარავანდედი დაადგა, ხელოვნების ისეთი ენით დაწუებინა მეტყველება, რომ მკითხველს გულსა და გოხებაში პირველ ყოვლისა ეპედებოდა დიდი ხელოვანის მიერ მხურვალე გრძნობით გამთბარი უმაღლესი ადამიანური აზრები, რომლებიც ხალხის საუკეთესო შვილებს საუკეთესო საქვეყნო საქმეებისა და კეთილშობილური პატრიოტული იდეალებისაკენ მოუწოდებდნენ. მონური ცხოვრების ყინული უნდა გამდნარიყო, არავითარი სხვა გზა არ ჩანდა, ადამიანის ღირსებას დამცველი უნდა გამოჩენოდა, ეპოქის მამოძრავებელ იდეებს მხატვრული მესიტყვე უნდა ეპოვნა. მოვიდა ეს ადამიანიც, რომელსაც მაშინ ყველაზე უკეთესად შეეძლო დროის ჰიდილში მეთაურის ადგილი დაეკავებინა და მოზღვავებული გრძნობებისათვის ფართო გზა მიეცა.

ეს ადამიანი ილია ჭავჭავაძე იყო! მან გაბედულად მოჰკიდა ხელი დიდ საქმეს, დიდ აზრს დიდი გრძნობაც მიაყოლა. მაგრამ, როცა მონუმენტური შენობა უნდა აიგოს: შესაძლოა რამდენიმე აგური ხელიდან გაგივარდეს; მერე რა ვუყოთ? ამით შენობა როდი დაინგრევა. თუ მზესაც ლაქები თან ახლავს, საკვირველი არ უნდა იყოს ხარვეზები იმ ჰუმანიზმის სისტემაში, რომელიც ილია ჭავჭავაძემ შეიმუშავა თავისი დროის მოწინავე იდეებთან ორგანულ კავშირში, პირველ ყოვლისა რუსული რაზნოჩინცური მოძღვრებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებაში. აქედან გამომდინარეობს მისი მისწრაფებაც არა ფეოდალური თუ ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისადმი, რომელიც თავიდან ბოლომდე უალბია, არამედ, ინტერნაციონალიზმისადმი. და თუ პუბლიცისტიკაში ილია ჭავჭავაძე რუსეთისა და ევროპის, აზიისა და ამერიკის როგორც სოციალურ. ისე ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხებს ვრცლად აშუქებდა, მხატვრული შემოქმედებითაც ის ერთგვარ ხარკს უხდიდა იმ ბრძოლას, რომელიც სამშობლოს საზღვრებს იქით წარმოებდა. ეს მომენტი ძალიან საგულისხმოა. ჯერ კიდევ 1860 წელს ილია ჭავჭავაძემ დაწერა მშვენიერი ლექსი, რომლითაც შეაქო ჯუზეპე გარიბალდის ბრძოლა იტალიის განთავისუფლებისათვის და ინატრა თავის სამშობლოშიც გაეგონა ეს „ხმა ტკბილი“:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნდა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.
აღმიტაცებს ბოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!“*

დაახლოებით თერთმეტი წლის შემდეგ, ამ ლექსის დაწერიდან, პარიზის კომუნის დაცემას ილია ჭავჭავაძე ღრმა გულისტკივილით გამოეხ-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 60.

მაურა, როგორც ჩვენ ეს უკვე ვნახეთ. პოეტურ შედევრში მან გამოხატა უდიდესი თანაგრძნობა კომუნარებისადმი. ცხარე ცრემლით დაიტირა ბარიკადებზე დაღუპულნი და ისტორიის შეფერხებად მიიჩნია ის, რომ:

„ტყვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.
კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.
კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წამებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი სჯმე
ყოვლად მხსნელი სიყვარულის...
კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი".*

ასეთი დიდი გოდება მხოლოდ დიდ სოციალურ პოეტსა და სულით ინტერნაციონალისტს შეეძლო. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პარიზის კომუნის შესახებ დაწერილ მსოფლიო პოეზიის შედევრებში, რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ, ილია ჭავჭავაძის ამ ლექსს ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს. სრულიად უეჭველია, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა ლიტერატურამ ილია ჭავჭავაძის ამ ლექსით სოლიდარული გრძნობა გამოხატა ფრანგი ხალხისა და ფრანგი კომუნარებისადმი, გვიჩვენა, რომ ინტერნაციონალიზმის იდეა ახლობელი იყო ჩვენი იმდროინდელი მწერლებისათვის, კერძოდ, ილია ჭავჭავაძისათვის. მან შეიგნო მცირე ერებისადმი პატივისცემისა და დახმარების დიდებული აზრი. მან აღმართა კაცთმოყვარების, დაჩაგრულისადმი თანაგრძნობის, ადამიანთა თავისუფლებისათვის მებრძოლი დროშა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის საშინელ წყვდიადში. სწორედ იმ წყვდიადში ჯადოსნური ღამპარივით აენთო მისი მოწოდება ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად; სწორედ იმ წყვდიადში, როცა ბევრი საღათას ძილს მისცემოდა, რომ წარსულის დიდებული სურათები კვლავ აღედგინა სიზმარში მაინც, და თუ აწმყოთი არა, ისევ წარსულის მოგონებებით ეცხოვრა, — ილია ჭავჭავაძემ საბრძოლველად გამოიხმო ხალხის ცოცხალი ძალები, უჩვენა მათ მოქმედების არე, დაანახა თვალისმომჭრელი ჰორიზონტები, რომლებზედაც ელავდნენ ეპოქალური ტრანსპარანტები: „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი", „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 75. ამ ლექსთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: გიორგი ჯიბლაძე, ესთეტიკური თეორიის საკითხები, 1961 წ., გვ. 491—492.

ვარსკვლავს", „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი". „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს".

სწორედ ამ დიდი ისტორიული მისიის შესრულებაში, ჯერ კიდევ ადრე, 1858 წელს, ილია ჭავჭავაძემ დედის მაღალ და საღმრთო მოვალეობად მიიჩნია აღეზარდა ისეთი შვილი, რომელსაც ძლიერი სული ექნებოდა, რომელიც დედის მიერ კაცთა სიყვარულით, ძმობით, ერთობით, თავისუფლებით შთაგონებული, მომავლის თვის იბრძოლებდა ბედთან სიკეთისათვის მფეთქავი გულით და ამ ბრძოლაში წინ გაუძღვებოდა ჰეშმარიტება, ხოლო უკან დარჩებოდა კვალი ვანათლებული:

„აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჰეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული".*

ეს იყო განმანათლებლის იდეალი, რომელიც ჰეშმარიტების სხივით უნდა გაბრწყინებულიყო თაობათა გონებაში, რომ ხალხს თავისი წიაღიდან აღეზარდა ჯანელოვანი მებრძოლი შვილები, თვით ხალხის ინტერესების დამცველნი.

ასეთ შვილთა ფალანგას ეკუთვნოდა თვით ილია ჭავჭავაძე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება, უყოყმანოდ და უანგაროდ, საკუთარი სისხლიც კი წვეთ-წვეთად მშობელი ერის სამსხვერპლოზე მიიტანა, როგორც ზვარაკმა.

ასე დაიწყო ახალი ეპოქა, რუსეთში რაზნოჩინცებისა და ჩერნიშევსკის, ხოლო საქართველოში თერგდალეულებისა და ილია ჭავჭავაძის ეპოქა.

ასე წარმოგვიდგება აზროვნების ის რთული და ღრმა სისტემაც, რომლის ზოგიერთი არსებითი საკითხის გარკვევა სცადა წინამდებარე ნაშრომის ავტორმა. აზროვნების ამ სისტემაში, მხატვრული იყო ის თუ პუბლიცისტური, ილია ჭავჭავაძე გამოჩნდა, როგორც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი, რომელსაც ერთნაირი ძალით აწუხებდა ეპოქის მიერ წამოჭრილი ყველა საკითხი. და სწორედ სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულმა, სწორედ პატრიოტიზმის მაღალმა გრძნობამ, დიდ აზრებთან შეერთებულმა, გააშუქა მისი რთული მსოფლმხედველობა და გამოაჩინა თავისი მიმზიდველი მრავალფეროვნებით.

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 30—31.

საკმარისია ერთხელ კიდევ გადავხედოთ „აჩრდილს“, „მეფე დიმიტრი თავდადებულს“, „დედა და შვილს“, რომ ნათელი წარმოდგენა მივიღოთ ილია ჭავჭავაძის, როგორც დიდი ეროვნული პოეტის ღრმა პატრიოტიზმზე. „აჩრდილში“ მოხუცის მსასოებელი სიტყვები:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულებია“.*

ვიმეორებთ, მოხუცის ეს სიტყვები თვით ილია ჭავჭავაძის საკუთარი გულისა და სულის ძახილია, უფრო ღრმად და ძლიერად გამოთქმული, ვიდრე „ყვარლის მთებში“ ჰაბუკი პოეტის აღთქმა:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა.
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან იქნით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“**

სწორედ სამშობლოს სიყვარულში ილია ჭავჭავაძემ ჰპოვა ის დიდი ძალა, რომელიც მთელ მის მოღვაწეობას საძირკვლად დაედო. ამიტომ გასაკვირიც არაფერია, თუ ასეთივე ძალით მან დიდების ჰიმნი უმღერა სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს:

„წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
შამულისათვის თავის დადება!,
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჰაბუკთა ყრმათა
ხმლის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს“.***

წმინდაა იგი, ვისაც მამულისათვის თავის დადება ეღირსაო! დიახ, წმინდაა! წმინდაა ილია ჭავჭავაძეც, რაკი სამშობლოსათვის თავი გასწირა; ნეტა მას, მართლაც გმირსა და ვაჟკაცს, რომელსაც თავისი ხალხი, თავისი ერი არასოდეს არ დაივიწყებს. ის ცოცხალია თვით ხალხის სიმღერებში, მისი სახელი საუკუნეებს გასწვდება და ყოველთვის იქნება შთამომავლობის რაინდული თავდადების შთამაგონებელი.

მხოლოდ ასეთ კაცს — ილია ჭავჭავაძეს, სულითა და ხორცით უშიშარ რაინდს, შეეძლო მშობელი ქვეყნის სიყვარულით ფენიქსის მსგავსად ანთებულიყო, საქართველოსადმი ტრფობა ყველა გრძნობაზე მაღლა დაეყენე-

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 128.
** იქვე, გვ. 3.
*** იქვე, გვ. 129.

ბინა და კიაზოსთვის ეთქმევინებინა სამშობლოს განმადიდებელი, ჭეშმარიტად დიდი შთაგონებით გამსჭვალული სიტყვები:

„ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში".

სწორედ სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულმა, ღრმა პატრიოტულმა გრძნობამ ილია ჭავჭავაძის მთელ მემკვიდრეობას ისეთი ძალა მისცა, რომ ერთბაშად აპოვნინა ფართო მკითხველის სავსებით დამსახურებული სიყვარული; სწორედ პატრიოტიზმმა გააშლევინა ფრთა მის დიდ გონებას, დაკვირვებით ჩაახედა ცხოვრების მდინარებაში, ამოაცნობინა მრავალი დამარხული ჭეშმარიტება და კიარ შეუზღუდა, ყოველმხრივ განუვითარა აზროვნების სისტემა; სწორედ პატრიოტის მოვალეობამ შეაჭიდა ეს ჩუმბერაზი ადამიანი თავისი დროის პრობლემებს და იმავე პატრიოტიზმმა უკარნახა ეთქვა ის, რაც მას სწამდა, სჯეროდა, ეთქვა გულწრფელად, მოურიდებლად, ძალღონის დაუზოგავად; სწორედ პატრიოტიზმის სულმა შთაბერა მას სიმართლისათვის სამსახურის იდეა, რომ ყოველივე შეეცნო მეცნიერული თვალთახედვით, ანგარიში არ გაეწია დრომოჭმული ცდომილების მღაღადებელთათვის, რომლებიც ბრძოლის ნაცვლად მხოლოდ პარაკლისის ზარებს რეკავდნენ; სწორედ პატრიოტიზმის ცეცხლმა აანთო მისი შემოქმედების დიდი ჩირაღდანი, რომელიც გზას უნათებდა მთელ თაობას ახალი ცხოვრებისათვის; სწორედ პატრიოტიზმმა მიიყვანა იგი ჭეშმარიტების შეცნობის დიალექტიკურ მეთოდთან და ათქმევინა, რომ თუ ცდომილებისაკენ ათასი გზა მიდის, ჭეშმარიტებისაკენ მხოლოდ ერთადერთია და ეს გზაც „ჰოს" და „არას" დაპირისპირება, მათი შეჭიდებაა.

მართლაც, რა საოცარი ძალით წარმოსდგა ჩვენს წინაშე ეს დიდი ადამიანი, რომელსაც კარგად შეუგნია ანტიკური ფილოსოფიის პოსტულატი, რომ ჭეშმარიტება აზროვნებაში დაპირისპირებისა და წინააღმდეგობის შვილია, რომელიც იოლად არ იბადება. მეცნიერული აზრის მთელი ისტორია გვიდასტურებს იმ უცილო ფაქტს, რომ აზროვნების განვითარება შეუძლებელია წარმოვიდგინოთ აზრთა უ.რთიერთდაპირისპირების, წინააღმდეგობის, შეხლა-შემოხლის, შეჭიდების, მიღებისა და უარყოფის გარეშე. ყველა დიდი ჭეშმარიტება მხოლოდ ამ გზით ყოფილა მიღწეული და მხოლოდ ამ სახით მოვლენია კაცობრიობას. ძველმა ბერძნებმა, რომლებიც დიალექტიკური აზროვნების ოსტატები იყვნენ, ეს პირველებმა შენიშნეს. ანტიკურმა ფილოსოფიამ იმის კლასიკური მაგალითები მოგვცა, რომ ჭეშმარიტების შეცნობა მარტოოდენ წინააღმდეგობის გზით არის შესაძლებელი. გავიხსენოთ სოკრატე, რომელიც თავის მრავალრიცხოვან დიალოგებს, როგორც პლატონი და ქსენოფონტე ათინელი გვიდასტურებენ, ყოველთვის აწარმოებდა მოწინააღმდეგესთან კამათის დროს მის აზრებში წინააღმდეგობის გამოაშკარავების მეთოდით.

ანტიკური ფილოსოფოსების მსგავსად, აზროვნების დიალექტიკურმა წესმა ილია ჭავჭავაძესაც სავსებით სწორად გადააწყვეტინა საკითხი, რომ ყოველგვარი უარმყოფელობა, ყოველგვარი „არა" ერთი და იგივე როდია,

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937 წ., გვ. 145.

მათ შორის ხშირად გაუვალი უფსკრულია, მაგრამ ეს უფსკრული რომ წარმოვიდგინოთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის უარყოფა ცალკე? ეს არის „ჰოს“ კაბათილება და მის სამაგიეროდ „არას“ გაჰოება, თუ ესე ითქმის. თუ ამ უარყოფას თავისთავად შეუძლიან რამ, ხომ ამ გაჰოებულს არასაც თავისი ქამანდი უნდა უგდოს და ტახტიდამ გადმოაბრძანოს, თუ ბოლომდე თავის საკუთარს წერას ჰსურს რომ აჰყვეს და თავისთავს არ უღალატოს, თავისი-თავივე უარი არ ქყოს, არ გააბათილოს“.* „ჰოც“ ისეთივე უარყოფაა „არასი“, როგორც „არა“ „ჰოსი“ და „ჰოსაც“, ვით „არას“ უარმყოფელს, ისეთივე პატივი უნდა ქონდეს, როგორც „არას“ „ჰოს“ უარმყოფელს“. დამადასტურებელი მაგალითები უთვალავია. სქოლასტიკა გონების თავისუფლად მსჯელობის უარყოფა იყო, რენესანსი, რასაც ილია „განახლების ეპოქას“ უწოდებს, „სქოლასტიკის უარმყოფელად მოგვევლინა, მაგრამ ეს ორი უარმყოფელობა დიამეტრულად გამორიცხავენ ერთმანეთს, თუმცა ორივეს თავისი „ჰო“ — „არა“ ჰქონდათ და სხვის ჰოს უარყოფდნენ. მაგრამ სქოლასტიკას უფსკრული თიშავს რენესანსისაგან და იგი სასახელოდ მისაჩნევი როდია, მაშინ როცა რენესანსის მიერ სქოლასტიკის უარმყოფელობა სასახელოდ არის აღბეჭდილი კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში. მეტაფიზიკა ყოველთვის ჭეშმარიტი გონების მტერი იყო, ვინაიდან ცალმხრივობა ყოველთვის გამორიცხავს ჭეშმარიტ აზრს. ეს შესანიშნავად ესმოდა ილია ჭავჭავაძეს და მას არასოდეს ხელი არ აუღია მეტაფიზიკური აზროვნების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

მაგრამ ნუ დავიწყებთ მტკიცებას, რომ „აჩრდილისა“ და „განდეგილის“ ავტორს ცდომილებანიც არ ჰქონდეს. თვით ფანატიკოსები არ უარყოფდნენ თავიანთ ღვთაებათა ზოგიერთ შეცოდებას. როგორღა უნდა მოვთხოვოთ ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ეკლების ტყეში ჩვენთვის ვარდები დაჰკრიფა. ხელი არ გაკაწვროდა. გასაკვირი ეს კი არ არის, არამედ, ის, რაც ამ დიდმა ადამიანმა შეიძლო. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ, იმის მიხედვით, თუ რა მოგვცეს ახალი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“** ეს მიდგომა. ეს კრიტერიუმი აუცილებლად უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი, თუ გვსურს სწორად შევაფასოთ წარსულის ყველა დიდი მოღვაწე, როგორც ენგელსმა ჩერნიშევსკი გაიგო. განა თვით ჩერნიშევსკის არ ჰქონდა შეცდომები და შეზღუდული არ იყო ბარიერით? მაგრამ ეს კი არ მიიჩნია უმთავრეს მომენტად ენგელსმა, არამედ, ის, რისი გაკეთებაც ჩერნიშევსკის გენიამ შეიძლო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობაში ჩვენ ზოგჯერ ვპოულობთ მეტაფიზიკური და იდეალისტური შეხედულებების რეციდივებს, სამართლიანობა მოითხოვს აღიარებულ იქნას შემდეგი თეზისი: მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მარქსიზმის გავრცელებამდე, მთელ ქართულ ლიტერატურას იდეალიზმისა და მეტაფიზიკის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი, ყველაზე დიდი მე-

* ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. II, გვ. 188—189.
** ლენინი, ტ. II, 1948 წ., გვ. 217.

ბრძოლი ილია ჭავჭავაძის სახით ჰყავდა. მის მემკვიდრეობაში ჩაქსოვილი იყო სოციალიზმის ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მოწინავე კლასების განათლებას და თვითშეგნების ამაღლებას. ზოგადად თუ ვიტყვით, საქართველოს მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძეზე უფრო დიდი, უფრო მრავალმხრივი მოღვაწე არა ჰყოლია. ყველა დარგს, რომელსაც ხელი შეახო, მან წარუშლელი კვალიც გაუტარა, როგორც შემოქმედმა, თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა, მაგრამ თუ ილია ჭავჭავაძეს ზოგიერთი მიკერძოებით უსაყვედურებდა წარმოშობით თავადია, ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდაო, მათ არ იცოდნენ, რომ ამ ღარიბ ფეოდალზე უფრო დიდი დემოკრატი და უფრო დიდი ჰუმანისტი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურას არა ჰყოლია, გარდა აკაკი წერეთლისა. ორივე ძველ ფეოდალურ წიაღში დაიბადა, მაგრამ ორივემ საოცარი ძალით გაარღვია კლასობრივი შეზღუდულობა. ისინი, როგორც რომული და რემი, გარეული მგლის ძუძუთი არ იკვებებოდნენ, მაგრამ ახალი რომის შექმნისათვის ძალას მარტოოდენ ხალხის სულიერი ქვეყნიდან იძენდნენ. და არავინ ისე ახლოს არ მისულა მშობელი ერის გულისტკივილთან გასული საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ჩვენი მხატვრული მეტყველების ეს ორი ლევიათანი და ჩვენი აზროვნების ეს ორი გოლიათი. მათ შექმნეს მთელი ეპოქა, რომელსაც ილიასა და აკაკის ეპოქას უწოდებენ. ისინი ნამდვილად დიდნი იყვნენ, როგორც გრძნეული სულით, ისე უკვდავი შემოქმედებით. მათ სიდიადეს ისიც უეჭველად მეტყველებს, რომ სიჭაბუკეში ზიარებულ რწმენას სამარემდე შერჩნენ, როგორც დიმიტრი თავდადებული და ლუარსაბ წამებული. ეს კი „მხოლოდ დიდ-ბუნებიანთა კაცთა თვისებაა ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და მას ქვეშ დაუგონ თავისი ცხოვრება და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“.* ლუარსაბ წამებულზე ნათქვამი ამ მშვენიერი სიტყვებით თვით ილია ჭავჭავაძე ხასიათდება, როგორც ნამდვილად დიდბუნებიანი კაცი.

დიდი ადამიანები თითქოს იმიტომ ევლინებიან ქვეყანას, რომ ტკივილი დაუამონ, ჭირი მოაშორონ, სულიერად გაამხნეონ და განადიდონ. თვითონ გადაიწვებიან, დაიფერფლებიან ხოლმე და სხვისთვის ლამპარს აანთებენ. სწორედ ასეთი დიდი ადამიანი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელმაც თავის ერს უქრობი ლამპარი აუნთო.

რა აუტანელი იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, როგორი უხალისო და შინაგანად გამოფიტული, დიდი ადამიანების შარავანდედი რომ არ აცისკროვ-

---

* ილია ჭავჭავაძე, ტ. IV, 1955 წ., გვ. 187.

ნებდეს! ჩვენ თავს ვერ დავაღწევდით ცხოველურ არსებობას, მარტოოდენ ფიზიოლოგიური პროცესების მონად ვიქცეოდით, საუკუნეების მანძილზე დიდ ადამიანებს გონების შუქით რომ არ გაეკაფათ ცხოვრების გზა და უღრანი ტევრი საკუთარი მკერდით არ გაერღვიათ.

კაცობრიობის ასეთ დიდ ადამიანთა გვერდით დგას ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, როგორც თავისი უკვდავი მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი შ ე დ ე ვ რ ე ბ ი თ. ი ს ე ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი ს ქადაგებით. და მერმისსაც ისტორიის ანალებში უკვდავად დარჩება. ვიდრე ქვეყნად იარსებებენ ნათელი გ ო ნ ე ბ ა, შეუბღალავი ს ი ნ ი დ ი ს ი და ამაღლებული მ ო რ ა ლ ი!

ბ ო ლ ო თ ქ მ ა

გასრულდა ჩვენი ბანგრძლივი რუდუნების ნაყოფი — „ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“.

მართალია, ეს ნაშრომი მონოგრაფიაა, მაგრამ არავითარი პრეტენზია არა აქვს თემას ამოწურულად მიიჩნევდეს ან ცდილობდეს უკანასკნელი წერტილი დასვას.

ილია ჭავჭავაძე ისეთი ფენომენია ქართული მწერლობისა, რომ მომავალშიც არა ერთი გამოკვლევის მიზეზი გახდება. ჩვენ გვსურდა მისი შემოქმედების მ ე ც ნ ი ე რ უ ლ პიედესტალზე მხოლოდ ერთი აგური მიგვეტანა. თუ ეს მიღწეულია, მეტი არც გვიფიქრია, მაშინ შედეგი მიზეზის გამართლება იქნება და კმაყოფილი დავრჩებით.

შესაძლოა მომდევნო მკვლევარსაც გამოადგეს უფრო ს რ უ ლ ყ ო ფ ი ლ ი მ ო ნ ო გ რ ა ფ ი ი ს დასაწერად.

ამიტომ გვინდა ვთხოვოთ მომავალ უცნობ მეგობარს, რომელიც თავისი კვლევის საგნად ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ცხოვრებასა და მემკვიდრეობას გაიხდის: ჩვენს მონოგრაფიას მკაცრად ნუ მოეკიდება, იქნებ ინტრადად გამოადგეს ან მასალად გამოიყენოს. ყველა შემთხვევაში მიეესალმებით მის არჩევანს და წარმატების გზას დავულოცავთ.

ა ვ ტ ო რ ი

28 სექტემბერი, 1964 წელი.

სახელთა საძიებელი

ა

აბაზა 635
აბაღა ყაენი 312
აბაღა ყაენი (არღუნ ყაენის მამა) 316
აბაშიძე ვასო 54, 79, 134, 609, 610, 614—616, 620, 621, 629, 630, 632, 633
აბაშიძე ტასო (მსახიობი) 632
აბაშიძე კიტა 338, 340, 366, 533
აბრაჰამ კათალიკოსი 316, 321—323, 330, 336, 337
აბხაზი გიგო 196
აბხაზი კოხტა 26, 54, 57, 58, 153, 154, 193, 204, 205, 294, 334, 377
აბხაზი ნინო (ილია ჭავჭავაძის უფროსი და) 26, 42, 55, 60, 155, 170, 196, 294
აბხაზი ივანე 227
ავალიშვილი დავით 88
ავალიშვილი ბარსანოფე (არქიმანდრიტი) 33
ავალიშვილი (მსახიობი ქალი) 632
ავთანდილოვი 224
ალაანი (მაჰმადიანი მწერალი) 693
ალექსანდრე მეფე (მეფობდა XVI საუკუნეში) 25, 26, 27
ალექსანდრე მეორე 211, 214, 224, 225, 432, 433, 662
ალექსანდრე (იმერეთის მეფის არჩილის შვილი) 655
ალექსანდრე ბატონიშვილი 32
ალექსი (სოლომონ დეკანოზის მამა) 35
ალექსიშვილი დავით (თელავის სემინარიის რექტორი) 33
ალექსიშვილი ზურაბ სოლომონის ძე 71, 72
ალექსიშვილი ეგიაზარ სოლომონის ძე 71, 72
ალექსი-მესხიშვილი სარდიონ 14
ალექსიევ-მესხიევი 621
ალის უბნელი (რ. ჩხიკვაძე) 461, 462
ალიხანოვ-ავარსკი 103, 106
ამბროსი ნეკრესელი (მღვდელმთავარი) 33
ამილახვარი ოთარ 33
ამილახვარი ნიკო 227
ამილახვარი ივანე 33
ამილახვარი ბარბარე (გიორგის ცოლი) 17
ამილახვარი (ვახტანგ მეფის ალექსანდრეს ცოლის ძმის შვილი) 27
ანაკრეონტი 164
ანატოლ ფრანსი 6
ანდრე შენიე 368
ანდრონიკაშვილი ნენე 60
ანდრონიკაშვილი რევაზ 211, 212
ანდრონიკაშვილი ქეთევან პაპუნას ასული (გიორგი XII მეუღლე) 41
ანდრონ [იკაშვილი] ზაქ [არია] 227
ანდრონ [იკაშვილი] ივანე 227
ანდრონიკოვი (Андроников) 39, 40
ანტონ პირველი (კათალიკოსი) 13, 63, 232, 604
ანტონ მეორე (კათალიკოსი) 35
ანტონოვი ზურაბ 601
არდაზოვი ნიკოლოზ 66
არისტოტელე 461
არსენა 397
არღუთაშვილი მოსე 223, 227
არღუნ ყაენი 312, 315, 327, 329, 330, 335, 336
არღუთინსკი-დოლგორუკოვი ნ. ო. 54
არჩილ მეფე 29, 30, 489, 592, 655
არწრუნი გრიგოლ („მშაკის" რედაქტორი) 694, 695
ასათიანი ლევან 23—26, 29, 209—212
აქვინელი თომა 349
ალა-მაჰმად-ხანი 227
აღმაშენებელი დავით 693
აღნიაშვილი 607
აშორდია თედო 97—99
აწყურელი 617, 624, 626, 631, 632
ახმედ-ფაშა კახაბერი (გრიგოლ ორბელიანი) 209
აჰმად ყაენი 315, 316

ბ

ბაგრატიონი 647, 655
ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე 214, 226; 227
ბაგრატიონ-მუხრანსკი კონსტანტინე 49
ბაგრატიონ-დავითაშვილი გ. ა. 134, 135
ბაზაროვი 59
ბაირონი 15, 17, 59, 149, 151, 153, 260, 340, 368, 372, 404, 406, 584, 593, 600, 658

ბალზაკი 688
ბარამიძე ალექსანდრე 29
ბარათაშვილი ნიკოლოზ 3, 10—12, 14, 18, 19, 22, 23, 54, 79, 148, 150, 151, 153, 156—162, 169, 179, 193, 214, 220—222, 234, 270, 295, 573, 596, 599, 600, 633, 656, 670.
ბარათაშვილი (ბარათოვი) გ. 575, 577, 579, 581
ბარათაშვილი მამუკა 9
ბარიათინსკი ალექსანდრე ივანეს ძე 214
ბარიათინსკი 225, 248
ბაქრაძე დიმიტრი 227, 240, 693
ბახტაძე ლ. 260
ბებელი აგუსტ 349, 350, 351, 363
ბებურიშვილი მარიამ ქრისტეფორეს ასული (ილიას დედა) 41, 42, 50
ბებუთაშვილი ვ. ო. 223
ბებუთოვი ეასილ იოსების ძე 44, 45, 54
ბეზგინი 102
ბელინსკი 12, 13, 19, 61, 68, 172, 563, 565—568, 570, 572, 578, 584, 595, 638, 677, 678, 695
ბელოკუროვი ს. ა. (С. А. Белокуров) 27, 28
ბენუა 713
ბენჟამენ ლაროში 79
ბერნარდენ დენ-სენ-პიერ 584
ბერნშტეინი 76, 708
ბერძენიშვილი ნიკო 27, 29
ბერტა დედოფალი 350
ბეწუკელი ვახტანგ 313
ბითარიშვილი იაკობ 120, 122, 144, 145
ბიონი 302
ბირთველიჩი-თუმანიშვილი მ. 212
ბირიბეი (შაჰის ელჩი საქართველოში 1596 წ.) 27
ბისმარკი ოტო 333, 639, 646, 648—654, 656—658, 660—664, 702, 710, 711
ბლაგოი დ. დ. 188
ბლაგოსვეტლოვი 636
ბოლქვაძე მალაქია 105—107, 111, 114—118
ბოსლეველი ესტატე 339, 340, 363
ბოცვაძე იოსებ 364, 575
ბრამბეუსი (ბარონი) 694, 695
ბროკ-პაუზ-ეფრონი 23
ბრუსი 708, 713
ბუალო 89
ბულანე 648
ბულგარინი 149, 695
ბურნუფი 695
ბუღა 312, 315, 316, 329

გ

გაბაშვილი ეკატერინე 62, 67, 82, 134, 240
გაბრიელ ეპისკოპოსი 82
გაბუნია ნატო 614—617, 619, 632
გალახვი 577
გამზარდაშვილი დ. 575
გამყრელიძე ალ. 341
გამყრელიძე 630
გარიბალდი ჯუზეპე 94, 190, 279, 628, 639
გაუხარაშვილი 294, 295
გაწერილია აკაკი 30, 31, 227
გედევანიშვილი მიხეილ 24, 25, 105, 203, 211
გელასი კესარიელი (ეპისკოპოსი) 341, 342
გელაშვილი გ. 32, 49, 50
გერცენი 172, 373, 382, 432, 433, 586
გიორგი მთაწმინდელი 14, 321
გიორგი XI (მეფე) 489, 490
გიორგი XII (მეფე) 24, 30, 32, 41, 47
გიორგი XIII (მეფე) 30, 31, 34, 35, 41, 43, 205, 206, 243, 491, 492, 655
გიორგი ბატონიშვილი 33
გიორგი ლაშა (დავით სოსლანის შვილი) 312
გიორგი V ბრწყინვალე 322
გიულდენშტედტი იოჰან 32, 49, 50, 310, 342, 343
გიზელა დედოფალი 350
გლაზერი 658
გლინკა 7
გოგებაშვილი იაკობ 13, 52, 89, 125, 129, 130, 265, 656, 700, 701
გოგოლი 411, 412, 451, 462, 633
გოეთე 15, 17, 59, 61, 94, 153, 313, 315, 368, 371, 583, 584, 593, 594
გონჩაროვი 451
გორგასლანი 94
გოროდეცკი სერგეი 137, 138
გორჩაკოვი (დიპლომატი) 642
გლადსტონი 645, 656, 693
გრეჩი 695
გრიბოედოვი 139, 185, 220, 608
გრიბოედოვი ნინა 42
გრიგოროვიჩი 403, 404, 406
გრიგოლ VII (პაპი) 350
გრინევიცკი 225
გრინგმუტი 143
გრიშაშვილი იოსებ 78—80, 164, 170, 573
გრუზინსკი მ. ა. 90
გუგუშვილი პ. 62, 701
გუნია ვალერიან 133, 135
გურამიშვილი ოღლა თადეოზის ასული 62—66, 78, 118—121
გურამიშვილი დავით 10, 50, 270, 271, 353, 388, 592, 715

გურამიშვილი დავით ალექსანდრეს ძე 135
გურამიშვილი დადეშ 62, 66, 553, 554

დ

დადიანი შალვა 608
დადიანი კოწია (Дадиани Коция) 98
დადიანი ნიკოლოზ (Дадиани Николай) 98
დადიანი (სახეთის მეფის ალექსანდრეს სა-ძე) 27
დადიანი (სამეგრელოს მთავრის ასული) 193
დავით რექტორი 166, 186
დავით ბატონიშვილი (ალექსანდრეს შვი-ლი) 27
დავით ბატონიშვილი (გიორგი XII შვი-ლი) 32, 33
დავით სოსლანი 312
დავით მეფე (აფხაზეთის მეფე) 312, 329, 330
დავითი (რუსუდანის შვილი) 336
დავითაშვილი ბაგრატიონ 107
დავით ულუ (დემეტრეს მამა) 319
დავით ნარინი 330
დავითი (ფსალმუნის ავტორი) 271, 274
დავით აღმაშენებელი 272
დავითაშვილი ათოსებ 596, 606
დანილინ (Данилин Ю.) 197
დანტე 153, 182, 270
დარეჯან დედოფალი 31—33
დეზიდერ ერაზმ როტერდამელი 19
დემეტრე მეფე 336—339
დემეტრე მეორე 312, 314—318
დემენტიევი 154
დეპაპი (ბელგიელი სოციალისტი) 712, 713
დერულედი (ფრანგი პოეტი) 659
დიასამიძე თინათინ (ბაგრატ მუხრან-ბატო-ნის ცოლი) 47
დიდრო 366
დიზრაელი 649
დიმიტრი მეფე 272, 321—325, 327—333
დობროლუბოვი 19, 59, 149, 172, 190, 433, 451, 556, 563, 565, 568, 569, 635, 637, 638
დოდაშვილი სოლომონ 9
დონ-პედრო 87
დუდუჩავა მ. 572
დუმბაძე დ. 134

ე

ედესელი მათე (XII საუკ.) 693
ედუარდ მორო 197
ევდოშვილი იროდიონ 121, 130, 131, 134
ევლახოვი ივანე 15
ეზოპე 699
ეზოვი 694, 695
ეკალაძე გოგოლა შიოს ძე 71, 72
ეკატერინე იმპერატორი (რუსეთის დედო-ფალი) 31, 573
ეკგოფი 608, 611
ელენე (ერეკლე მეფის შვილი) 242
ელისეევი 634—637
ენგელგარდტი (ნორდნიკი) 672
ენგიენის პრინცი 140
ენგელსი 20, 641, 645, 646, 664, 688, 705
ერეკლე I (მეფე) 25
ერეკლე II (მეფე) 11, 30, 32, 35, 41, 45, 94, 205, 206, 227, 242, 243, 423, 431, 466, 472, 476, 491, 492, 605, 654, 655
ერისთავი რაფიელ 54, 334, 574, 601, 602
ერისთავი რევაზ შალვას ძე 12, 61, 229, 234, 564, 567, 570, 575, 577, 583, 670
ერისთავი ასიკო 211
ერისთავი ალ. 133
ერისთავი ნიკო (ლოლა) 82, 83, 88, 134, 136, 227
ერისთავი დავით 273, 274, 590, 591, 628
ერისთავი გიორგი 14, 54, 78, 226, 601, 611
ერისთავი ვარლამ (Эристави Вардам) 99
ერმია სოზომენე 341, 342
ერნესტო როსი 626—629
ესაძე ბორის 655
ექვთიმე მთაწმინდელი 14

ვ

ვაიდენგრუნი პაელ 76
ვალზერზეე (გრაფი) 662
ვალტერ სკოტი 15, 368
ვაჟა-ფშაველა 3, 13, 23, 121, 125, 127—129, 136, 260, 295, 606, 671, 672
ვარდან დიდი (XIII საუკ.) 693, 694
ვაჩნაძე ლუარსაბ 46
ვაჩნაძე ანიკო 60
ვახტანგ მეფე 241, 466, 475, 489
ვახტანგი (აფხაზეთის მეფის დავითის შვი-ლი) 312, 329
ვახვახოვი დავით 227
ვახუშტი ბატონიშვილი 343
ველი-ხანი (შაჰის ელჩი საქართველოში, 1797 წ.) 27
ვერვერიო პაოლო 19, 680, 681
ვესელოვსკი ნ. ი. 27, 28
ვეჯიო 680, 681
ვილჰელმ პირველი 651, 662
ვილჰელმ მეორე 662, 663

ვირგილიუსი 270, 302
ვიტორინო დე-ფელტრე 19, 680, 681
ვოვჩოკი მარკო (მარია მარკოვიჩი) 403, 405
ვოლკი გრიგოლ 336—338
ვოლტერი 14, 715
ვორონცოვი მიხეილ სემიონის ძე 37, 44—46
ვორონცოვ-დაშკოვი 140, 141, 145, 146

ზ

ზაიცევი 59, 172, 565, 635, 636
ზანდუკელი მ. 575
ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი 134
ზოილი (დავით კუზელი) 149, 258, 261
ზოლა 6, 340
ზომბარტი 76
ზურაბიშვილი ილია 135

თ

თამარ მეფე 198, 272, 312, 385, 423, 603
თამარ ბატონიშვილი (ერეკლე მეფის მეუღლე) 42
თარხნიშვილი იოსებ დავითის ძე 211, 221, 227
თედორე ივანეს ძე (რუსეთის მეფე) 26
თეიმურაზ პირველი 14, 20, 25, 28—30, 592
თეიმურაზ მეორე (კახეთის მეფე, ერეკლე II-ს მამა) 25, 28, 592
თეკლე (ერეკლე მეორის ქალიშვილი) 31
თეოდორიტე კვირელი 341, 342
თეოკრიტე 302
თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია 220
თუმანიშვილი ბარბარე (მიხეილ თუმანიშვილის ასული) 79
თუმანიშვილი თ. 631
თუმანიშვილი ბირთველი 220
თუმანიშვილი გიორგი 220, 334, 335, 590, 591
თუმანიშვილი მიხეილ 54, 67, 79, 211, 220, 224
თუმანოვი (თუმანიშვილი) სულხან ნიკოლოზის ძე 66
თხორჟევსკი 148

ი

იაშვილი ა. (ექიმი) 122
იაშვილი ს. 133, 134
იაზონი 273
იანოვსკი 95, 97—99, 103
იერონიმი 349
ივანიძე ი. 136
ილარიონ (მღვდელი) 47
ილიაშენკო 690
იმედაშვილი ალექსანდრე 627, 628
იოანე ბატონიშვილი 9, 24, 694
იოანიკე ბერძენი 31
იოანე ბოდბელი 33
იოანე ნათლისმცემელი 364
იოანე პეტრიწი 14
ინაშვილი ივანე 144, 145
ინგოროყვა პავლე 28, 29, 31, 61, 63, 64, 105, 110, 113, 166, 171, 191, 211, 249, 266, 287, 294, 311, 313, 334, 339, 463, 571, 698, 713
იოვაძე ა. 35, 40, 43, 44
იოსელიანი ავთანდილ 489
იოსელიანი (Иоселиани И. А.) 100
იოსელიანი (Иоселиани И. А.) 100
იოსელიანი პლატონ 30—35, 41, 46—48, 67, 88, 211, 214, 215, 229—231, 239—241
ისაკი (მწიგნობარი) 35
იულონ ბატონიშვილი (ერეკლეს ვაჟი) 32, 33
იური ბატონიშვილი (ალექსანდრეს შვილი) 27

კ

კაველინი კ. დ. 59
კავთილაძე სიმონ პავლეს ძე (ამ გვარით იმალებოდა ბერბიჭაშვილი) 146
კაიზერი 640, 663, 664
კალანდაძე ა. 48
კალინოვსკი 434
კამკია (Кашкия Петр) 98
კანტი 595
კარამზინი 17, 405, 565, 568, 578
კარიჭაშვილი დავით 99, 132, 134
კარბელაშვილი ე. 41
კარტერი ჰოვარდ 74
კარლოს XII 652
კასატკინ-როსტოვსკი 109
კატკოვი (შავრაზმელი, «Московские ведомости“-ს რედაქტორობდა) 655, 690 — 693
კატონ მცირე 34
კაუნიცი 653
კეზელი დავით 266
კეკელიძე კორნელი 13, 14
კელენჯერიძე მელიტონ 136
კენჭოშვილი ა. 575
კერესელიძე ივანე 61, 65, 147, 585, 589
კეშელავა პლატონ 90, 139, 607, 634, 635
კიმონტი 121

კლიმაშვილი იოსებ 71
კლოტილდა (ქრისტიანობაზე მოაქცია ფრანგთა მეფე ხლოდვიგი) 350
კოდრი მეფე (ცხოვრობდა XI საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) 336, 337
კოზლოვი 61, 234, 564—567, 574, 670
კოლხიდელი 67
კოლცოვი 577
კონსტანტინე მეფე (კახეთის მეფე XVIII) 25, 28
კონსტანტინე-მირზა (ალექსანდრე პირველის ვაჟი) 26, 27
კორნელი 566
კოსტომაროვი ვსევოლოდ 434
კოტეტიშვილი ვახტანგ 575
კრუშევანი 143
კრუპენსკი 107
კრიმ-გირეი (Крым-Гирей) 104
კუკოლნიკი 695
კურციუსი გიორგი 75
კუტუზოვი 647, 655
კუტული (ვიგინდარა ჟურნალისტი) 695

ლ

ლავროვი 713
ლაზარევი (გენერალი) 41
ლაიბნიცი 3
ლაისტი არტურ 118, 119, 121, 122, 124, 135, 148, 170, 365
ლასალი 76
ლაურა (მარქსის ქალიშვილი) 722
ლეიზეგანგი 14
ლენინი 3—5, 20, 641—644, 669, 672—674, 687, 708, 709, 728
ლეონ მეფე 24
ლეონიძე გიორგი 25, 26, 41
ლეონიძე სვიმონ (მსახიობი) 619—621, 625, 630
ლერმონტოვი 15, 59, 61, 139, 150, 153, 162, 275, 338, 340, 364, 365, 368, 566, 600, 633
ლესინგი 17, 593, 605—608, 610, 621
ლიბკნეხტი 657
ლიონიძე სოლომონ (ირაკლი მეფის კანცლერი) 33, 34
ლილო 405
ლოლაძე სალომე (ილიას გამზრდელი) 42, 52
ლომოური ნიკო 654
ლორის მელიქოვი მიხეილ ტარიელის ძე 211, 217, 218, 223, 225—227, 635
ლორთქიფანიძე კირილე 13, 210, 238, 334
ლოპიანა 255
ლუთერი 363
ლუი-ბლანი 591

მ

მაიკოვი აპოლონ 364
მაკედონელი 284
მამაცაშვილი ქრისტეფორე 68, 69
მამუჩიშვილი 25
მამფორია გ. (Мампория Г.)98
მარი ნიკო 695
მარიამი (ილია ჭავჭავაძის დედა) 39, 41
მარტინ ოპიცი 17
მარკაბერდელი საღუნ 312, 329
მარტიროზოვი ივანე 123
მარქსი 76, 641, 645, 647, 664, 685, 687, 705, 721, 722
მარჯანოვი (სოლომონ ჭავჭავაძის ასული, კოტე მარჯანიშვილის დედა) 154
მარჯანიშვილი კოტე 54
მასპეროს გასტონ 695
მატეო ვეჯიო 19
მაქსიმიძე (მსახიობი) 610, 614, 617, 622
მალალაშვილი გ. 134
მაჩაბელი მიხეილ 262, 263
მაჩაბელი ივანე 78—80, 87, 88, 93, 262, 264, 265, 346, 625, 626, 656, 713
მაჩაბელი ვასილ 105
მაკავარიანი თამარ 607, 608
მაჯახელიძე 242
მახარაძე ფილიპე 682
მდივანი ა. 133, 134, 136
მედონტი (კოდრის შვილი) 337
მელანია (ნიკოლოზ ნათიძე, „ბნელეს“ ავტორი) 333
მელიქიშვილი დავით ზაქარიას ძე 105
მელიქიშვილი სტეფანე 238
მელიქიშვილი ლევან 211, 218, 219
მელიქიშვილი პეტრე 54
მელიქოვი 616, 617
მემარნიშვილი მოსე 144
[მემარნიშვილი] ევა გრიგოლის ასული (მოსე მემარნიშვილის მეუღლე) 144
მესხი კოტე 79, 624
მესხი სერგეი 147, 210, 235, 238—240, 248, 701
მესხიშვილი ლადო 616, 617, 620, 625, 631
მესხიშვილი ალექსი 631
მესხიევი სარდიონ 590, 625, 626
მეუნარგია იონა 38, 42, 43, 52, 56, 67, 72—74, 82—87, 89, 93, 94, 98, 136, 147, 148, 214, 215, 218, 239—243, 363, 364
მეძველია კ. 575

მთავრიშვილი 99, 100
მიურატი (ნაპოლეონის ცნობილი მარშალი) 242
მიურატი აშილ (სალომე ჭავჭავაძის მეუღლე) 242
მიქელაძე დავით 134, 238
მიქელაძე ვ. 107
მიშელ სერვე 676
მიცკევიჩი 14, 59
მიხაილოვი 433, 434, 473
მიხაილოვსკი ნ. 634
მოლიერი 567
მოლტკე 652
მონტესკიე 647
მოსე 235, 330
მოსხი 302
მოძღვრიშვილი ილია 144
მურილიო ბარტოლომეო 94
მუხრან-ბატონი გიორგი (მუხრანსკი) 57, 211—214, 248, 251
მუხრან-ბატონი ივანე კონსტანტინეს ძე (მუხრანსკი) 69, 211, 213, 214
მშვიდობიძე (ბოსლეველი) ევსტათი 149

ნ

ნათიძე ნიკოლოზ 190
ნაკაშიძე ნინო 133, 134, 136
ნაკაშიძე პეტრე 67, 287, 311
ნანეიშვილი ალ. 58
ნაპოლეონი 140, 242, 640, 648, 652, 655
ნაპოლეონ მესამე 646
ნახუცრიშვილი დ. 136
ნეველი ალექსანდრე 116
ნეიდჰარტი 53
ნეკრასოვი 183, 335
ნემიროვიჩ-დანჩენკო 54
ნიკოლაძე ნიკო 13, 82, 83, 84, 86, 191, 211, 212, 238, 240, 403—407, 433, 462—464, 473, 477, 590, 591, 701, 713
ნიკოლაძე გიორგი 54
ნიკოლაძე იაკობ 22
ნიკოლოზ პირველი 37, 432
ნიკოლოზ მეორე 140
ნიკოლსკი 65
ნიკოლაი (ბარონი) 70, 211, 212
ნინო წმინდა 93, 341, 350
ნინოშვილი ეგნატე 562, 684
ნიქარაძე დ. 134, 135
ნურ მაჰმადი 47, 48

ო

ობრუჩევი 433
ოგარიოვი 432, 433
ოვიდიუსი 153
ომარ-ხანი 32
ოლდრიჯი 78
ოლჯათი (არღუნ ყაენის ასული) 330
ოპელი 74
ორბელიანი გრიგოლ 10, 54, 56, 67, 82, 185, 209—212, 216—218, 226—244, 247, 251, 254—257, 265—266, 270, 275, 364, 521, 526, 581, 596, 599, 600, 602, 603, 656, 698
ორბელიანი სულხან-საბა 14, 23, 160, 254, 342, 497, 577
ორბელიანი ალექსანდრე დავითის ძე 31, 214, 471, 578
ორბელიანი ილია 218, 227, 295
ორბელიანი ვახტანგ 54, 601, 602
ორბელიანი დიმიტრი 38, 242
ორბელიანი მანანა 242
ორბელიანი სოსიკო 227
ორიგენი 349
ოსიტაშვილი ნიკო 72
ოძელაშვილი არსენა 300

პ

პაველ პირველი 33, 646, 647
პაველ (წმინდანი) 349
პაპაშვილი ნასყიდა 72
პაპიაშვილი 69, 70
პასკალი 595
პატკანოვი 694, 695
პეკარსკი 100
პეტრე (წმინდანი) 349
პეტრე პირველი 655
პეტრარკა 153
პილი რობერტ 702
პისარევი 59, 172, 188, 433, 563, 565, 568, 569, 635—638, 677
პისემსკი 403, 404, 406
პლატონი 215, 336, 681
პლეხანოვი 708, 709
პლინიუსი 676
პლუტარქე 214
პოლტარაცკი ივანე 62, 273
პომპეუსი 34
პონსეტი (ვორონცოვის ადიუტანტი)
პოტეხინი ალექსი 403, 404, 406
პოტიომკინი 115
პროპერციუსი 153
პურიშკევიჩი 143
პუშკინი ა. ს. 7, 14, 15, 23, 59, 61, 149, 150, 153, 164, 168, 188, 275, 365, 368, 565, 568, 577, 583, 633, 635, 642, 654

ჟ

ჟან-ბატისტ-მილერი 197
ჟან ფრანსუა შამპოლიონი 74
ჟენი (მარქსის ქალიშვილი) 722
ჟირარდენი 94
ჟიულ-ანტუან-მუალენი 197
ჟორდანია თედო 25
ჟორდანია ნოე 721, 722
ჟუკოვსკი 168

რ

რაბლე ფრანსუა 19
რადიანი შ. 575
რადიშჩევი 17, 432
რაევსკი 53
რასინი 566
რატიანი ჰ. 701
რატილი 607
რატიშვილი ივანე 132, 134
რაულისონი 695
რაულ რიგო 197
რაუტლეჯი 79
რეიტერი კონსტანტინე 88
რეუტი (გენერალ-ლეიტენანტი) 41
რიეკერტი 15, 61, 368
რიჩარდსონი 405
რიხტერი 405
რუმიანცევი 53
რუსთაველი შოთა 3, 8, 9, 23, 30, 85, 94, 149, 150, 158, 232, 234, 236, 247, 270, 272, 274, 295, 325, 352, 380, 385—387, 393, 504, 526, 548, 552, 573, 579, 581, 590—592, 603—605, 633
რუსო ჟან-ჟაკ 366, 486, 522, 557, 561, 584, 682, 703
რუსუდან დედოფალი 336
რუფინუსი 341, 342
რცხილაძე ვ. 136

ს

საადი (Саади) 139
საათნავა 255
საგინაშვილი ელისაბედი (ილიას უმცროსი და) 42, 52, 84, 93
საგინოვი ალექ. დიმ. 226
სადლერი 80
სავანელი ალექსანდრე 227, 578
სავინა 626, 627
სალტიკოვ-შჩედრინი 687
სანაძარო 302
სარაჯიშვილი ალექსანდრე 87, 133, 336, 338, 339, 488
სარაჯიშვილი დავით 346
საფო 65
საფაროვა-აბაშიძისა მაკო 79, 614—617, 619, 625, 632
სემენენკო 690
სენკოვსკი 694, 695
სენკევიჩი 59
სერაპიონ კედელაური 14
სერაკოვსკი 434
სერებრიაკოვი 695
სერნო-სოლოვიევიჩი ალექსანდრე 473
სერნო-სოლოვიევიჩი ნიკოლოზ 433, 473
სვიმონიძე (მსახიობი) 628, 629
სიმბორსკი ნიკოლოზ 83
სკობელევი 651
სმიტი ადამ 702
სოკრატე 341, 342, 727
სოლომონ მეფე 30
სოლომონ დეკანოზი 35
სოლომონ მდივანბეგი 186
სოსლანი დავით 364, 365, 533—536, 609
სპარტაკი 595
სპასოვიჩი ვლადიმერ დანილის ძე 59
სტარიცკი 251
სტაროვი 46
სტერნი 405
სუვოროვი 53, 646, 647
სუმაროკოვი 566.
სუმბათაშვილ-იუჟინი 54

ტ

ტაგანცევი 113
ტალეირანი 140, 648, 649
ტაუხნიცი 79
ტერ-ასატუროვი 153, 154
ტენი 593
ტიბუელი 153
ტიერი 650
ტიციანი 157
ტოლსტოი ლევ 295, 366, 511, 550, 600, 633, 697
ტომას მური 15, 17, 368
ტორკვატო ტასო 302
ტრედიაკოვსკი 573
ტრიფილე არქიმანდრიტი 35
ტურგენევი 403, 404, 406, 570, 633

უ

უღუ დავითი (დემეტრე მეორის მამა) 317, 319
უმიკაშვილი პეტრე (მ. პეტრაძე) 76, 77, 87, 88, 248, 249

ტორდროპი (M. Wordrop) 148
უსპენსკი 406

ფ

ფაბიანი 708
ფაბრიციოსი (რომაელი სარდალი) 34
ფაველიშვილი დ. 134
ფალავანდოვი ნ. ო. 54
ფანჩულიძე 655
ფანცხავა ი. 133, 134, 136
ფარნავაზ მეფე 284
ფალავა 134, 144
ფეზი (გენერალი) 34
ფეიქრიშვილი ლადო 144, 145
ფერგათ-ხანი (შაჰის სარდალი) 27
ფეტი 566
ფლობერი 340
ფოერბახი ლიუდვიგ 685
ფრანსი 341
ფრანსუა ლენორმანი 74, 695
ფრიდრიხ ვილჰელმ IV 641
ფრიდრიხ მეორე 645, 662
ფრიდრიხ მესამე (კრონპრინცი, ვილჰელმ პირველის ძმა) 662
ფურცელაძე ანტონ (ქერელ ბეკა) 90, 121, 135, 152, 240, 248, 261, 266, 589

ქ

ქავთარაძე ქ. 133
ქეთევან დედოფალი 243
ქეთევან ბატონიშვილი 186
ქვარიანი სიმონ 136
ქიშმიშოვი 694
ქობულოვი 227
ქუთათელაძე ი. 134

ღ

ღვამიჩავა რ. 90, 134
ღვიმელი 150
ღოღობერიძე ბესარიონ 58, 211, 212, 216

ყ

ყაენი 332
ყავრიშვილი 133
ყაზბეგი დიმიტრი 67
ყაზბეგი მიხეილ გაბრიელის ძე 226
ყაზბეგი ალექსანდრე 3, 54, 73, 74, 79, 240, 606, 610, 671, 672
ყაუხჩიშვილი ს. 341
ყიფიანი სამსონ 95—100
ყიფიანი ვ. 223
ყიფიანი დიმიტრი 14, 36—38, 53, 54, 68, 79, 80, 82, 85, 95, 98, 211, 213, 214, 221, 222, 224—226, 248, 713
ყიფიანი მიხ. ზ. 223, 224
ყიფიანი კოტე 79, 624, 629—631
ყიფიანი დავით ქაიხოსროს ძე 66, 67
ყიფშიძე ალექსანდრე (ფრონელი) 263
ყიფშიძე გიგა (გრიგოლ) 23—25, 53, 55, 56, 58, 59, 66, 67, 70, 83, 84, 89, 125, 147, 211, 223, 227, 263, 311, 312, 345, 346

შ

შავთელი 232, 270
შალიკაშვილი სოსიკო 82, 83
შამანაური მ. 69
შანიძე აკაკი 321
შარლ დელეკლიუზი 197
შარვაშიძე გიორგი 88
შაუმიანი 106
შაფათავა 95
შაჰ-აბასი 26—28
შაჰ-სულთან-უსეინი (ყიზილბაშების ყეინი) 490
შელგუნოვი 433, 473, 634—637
შენერერი 658
შექსპირი 42, 59, 78—80, 94, 112, 153, 264, 567, 582, 593, 623—626, 679
შილერი 15, 59, 61, 368, 404, 584, 608
შალიკოვი ივ. 226, 227
შრადერი ოტო 573
შტომლერი 76
შუხარდტი ჰუგო 136

ჩ

ჩაიკოვსკი (გენერალი) 154, 155
ჩაიკოვსკაია სოფიო 155, 162
ჩახრუხაძე 20, 232, 270, 581, 585
ჩერნიშევსკი 13, 19, 20, 59, 63, 68, 149, 172, 190, 302, 405, 406, 432—434, 473, 563, 565, 635, 637, 638, 678, 725, 728
ჩერნიშევი (სამხედრო მინისტრი) 45, 46
ჩერქეზიშვილი ვ. ნ. 133, 136
ჩერქეზიშვილი ელისაბედ 134, 610
ჩიკოიძე 67
ჩირქინშან-ბუღა 331
ჩიტაძე შიო 115, 116
ჩიქობავა არნოლდ 13
ჩიქოვანი გრიგოლ 23
ჩობაკაური შიო 123
ჩოლოყაშვილი (ჩოლოყაევი) ილია ზაალის ძე 66

ჩრდილელი 71
ჩუბინაშვილი დავით 15
ჩხეიძე უშანგი 625, 630
ჩხიკვაძე რ. (ალის უბნელი) 461, 462
ჩხოტუა დავით 60
ჩხოტუა ნიკოლოზ 60

ც

ცაგარელი აქსენტი 571
ცაგარელი ივ. 614
ცაგარელი ალექსანდრე 116, 117, 151, 194, 461, 462
ციშვილი სოლომონ 43, 239
ცუზარი 34
ციციანოვი (საქართველოს მთავარმართებელი) 53
ციციშვილი მარიამ გიორგის ასული (გიორგი XII მეორე ცოლი) 41
ციციშვილი გიორგი 47
ცხვედაძე ნიკო 99, 135, 136, 265

წ

წამალაძე დათიკა 72
წერეთელი აკაკი 3, 6, 13, 23, 30, 31, 54, 92, 93, 98, 103, 125—127, 129, 136, 150, 151, 161, 169, 207, 210, 222, 238, 240, 242, 249—258, 261, 263, 265, 332, 364, 473, 596, 604, 605, 621, 622, 656, 671, 672, 701, 713, 729
წერეთელი გიორგი 13, 229, 230, 232—235, 238, 240, 255, 257, 258, 260, 265, 266, 411, 467, 562, 701
წინამძღვრიშვილი ილია 62, 69, 273
წულაშვილი გიო 71

ხ

ჭავჭავაძე ილია 3—24, 26—31, 34, 37—42, 48—66, 68—71, 73—109, 111—134, 136—153, 155—166, 168—175, 177—181, 183, 185—190, 192—207, 209—211, 213—216, 219—229, 231—235, 238, 243—249, 251, 254, 257—261, 263—271, 273—278, 280—296, 299—301, 303, 304, 306—309, 311—321, 323—325, 327—335, 337—340, 343—348, 351—355, 357—381, 383, 384, 386—395, 397—403, 405—421, 424—426, 428—432, 434, 435, 438—440, 442—444, 446—453, 455—458, 460—466, 468—477, 479—482, 484—486, 488—503, 505, 506, 508—521, 523, 526—534, 536—640, 643—645, 647—661, 663—671, 673—675, 677—731
ჭავჭავაძე ალექსანდრე პაატას ძე (ილიას ბიძა) 26, 34
ჭავჭავაძე ალექსანდრე (პოეტი) 10, 14, 18, 42, 49, 79, 151, 164—166, 168, 169, 227, 234, 573, 592, 598, 599, 617, 656
ჭავჭავაძე გრიგოლ პაატას ძე (ილიას მამა) 26, 34, 38—46, 49, 50, 154
ჭავჭავაძე გარსევან პაატას ძე (ილიას ბიძა) 24, 26, 34
ჭავჭავაძე გარსევან გულბაათის ძე (XVII საუკ.) 28—30
ჭავჭავაძე გარსევან (XVIII საუკ). 31, 32, 655, 656
ჭავჭავაძე პაატა ბესპაზის ძე (ილიას პაპა) 26, 30, 31, 34, 35, 37
ჭავჭავაძე მამუკა გულბაათის ძე 26, 29, 30
ჭავჭავაძე იასონ 26—28, 227
ჭავჭავაძე სოლომონ 26, 154
ჭავჭავაძე იოსები 26, 31—34
ჭავჭავაძე-გურამიშვილი ოღღა თადეოზის ასული (ილიას მეუღლე) 58, 62—66, 78, 118—121, 140—143, 155, 552—554
ჭავჭავაძე ივანე (წ/კ გამავრცელებელი საზ. გამგეობის წევრი) 132
ჭავჭავაძე ლიზა 154
ჭავჭავაძე მელიქსედექ იოსების ძე 34, 37
ჭავჭავაძე-აფხაზი ნინო (ილიას და) 26, 42, 55, 155, 170, 196, 294
ჭავჭავაძე კონსტანტინე გრიგოლის ძე (ილიას ძმა) 26, 38, 40, 42, 49, 55
[ჭავჭავაძე] ელისაბედი (ილიას და) 26, 38, 39, 40, 154
ჭავჭავაძე სვიმონ (ილიას ბიძა) 26, 34
[ჭავჭავაძე] სვიმონ (ილიას ძმა) 26, 55
ჭავჭავაძე ეკატერინე 242
ჭავჭავაძე ნიკოლოზ 66, 227
ჭავჭავაძე იასე 211, 212, 215
ჭავჭავაძე თეიმურაზ (თემური) გრიგოლის ძე (ილიას ძმა) 26, 39, 40, 55, 56
[ჭავჭავაძე] თეიმურაზ [პაატას ძე] 34
ჭავჭავაძე თ. ზ. (ილიას ნათესავი) 120
ჭავჭავაძე-[მიურატი] სალომე 242, 243
ჭავჭავაძე-ერისთავი მაკრინე (ილიას მამიდა) 42, 55
ჭავჭავაძე დავით (ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილი) 45, 49, 79
ჭავჭავაძე დიმიტრი 26
ჭავჭავაძე ვ. 135
ჭავჭავაძე პაპუნა 26.

[ჭავჭავაძე] სოფიო (ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალი) 79
ჭავჭავაძე ოტია 26
ჭავჭავაძე ფარემუზ 26
ჭავჭავაძე ბესპაზ 26
ჭავჭავაძე ფაროდი 25, 26
ჭიქინაძე კონსტანტინე 137
ჭონქაძე დანიელ 310, 602
ჭრელაშვილი სტეფანე 149, 150, 533, 534

ხ

ხარჭაშნელი ნიკოლოზ 33
ხახანაშვილი ალექსანდრე 54, 124, 125, 151, 152, 293, 461—463, 477, 536, 537, 575
ხელაშვილი იოანე (მღვდელი) 24, 241
ხერასკოვი 566
ხიზანიშვილი სანდრო 144, 145
ხიმშიაშვილი გიორგი იპანეს ძე 41, 72
ხლოდვიგი (ფრანგთა მეფე) 350
ხოდოროვიჩი (მოქანდაკე) 135
ხონელი ილია 88, 260, 261
ხორეშანი (ერეკლე მეფის შვილის ელენეს ქალიშვილი) 242
ხოჯა აზიზი 330, 336
ხუნდაძე სიმონ 36
ხუნდაძე სილოვან 135, 248, 249, 259—260, 266—267, 335—337
ხუსკივაძე თ. 136
ხუტლუ ბუღა (ხოჯა აზიზის შვილი) 312, 329—331, 336
ხუციშვილი ს. 575

ჯ

ჯაბადარი ივანე სპირიდონის ძე 105, 573
ჯავახიშვილი ივანე 54, 489, 490, 607
ჯავახიშვილი მიხეილ 104, 134
ჯამბაკურ-ორბელიანი ა. ი. 105, 106, 134
ჯამბაკურ-ორბელიანი გრიგოლ დიმიტრის ძე 54
ჯამბაკურ-ორბელიანი ვახტანგ ვახტანგის ძე 596, 601
ჯანაშია სიმონ 316
ჯანდიერიშვილი იოანე 31
ჯანდიერიშვილი სვიმონ 31
ჯაყელი სარგის 319
ჯაში დიმიტრი 120, 121, 123, 140, 141, 144, 145
ჯიბლაძე გიორგი 59, 94, 104, 153, 228, 239, 295, 340, 353, 388, 412, 433, 578, 584, 605, 607, 608, 625, 628, 684, 695, 724
ჯორჯაძე ბ. 575—577, 579, 581—583, 614—616
ჯორჯაძე დიმიტრი 211, 212, 215

ჰ

ჰაინე ჰაინრიხ 15, 127, 150, 151, 195, 368
ჰაკკე 53
ჰანიბალი 137
ჰაჯი მურატი 295
ჰეგელი 565, 570, 593
ჰესიოდე 269
ჰიუგო ვიქტორ 79, 87, 133, 147, 335, 601, 602
ჰომეროსი 149, 269—270, 352, 593, 605

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3—22

1. ცხოვრება ილია ჭავჭავაძისა 23

I. (გვ. 28—50)

ილიას ავტობიოგრაფია. დაბადების თარიღი. ყვარელი. ჭავჭავაძეთა გენეალოგიური შტო. ფარიდა და იასონ ჭავჭავაძეები. იასონის მისია შაჰ-აბასთან. არმილის ერთი ცნობა. ორი პაატა ჭავჭავაძე — ბესპაზის ძმა და ბესპაზის შვილი. გარსევან ჭავჭავაძე. იოსებ ჭავჭავაძე. პაატას — ბესპაზის შვილის — ილიას პაპის შთამომავლობა. გრიგოლ პაატას-ძე ჭავჭავაძე — ილიას მამა. პაატას თხოვნა თავადაზნაურთა საგვარტომო ნუსხაში შეტანის შესახებ. დომენტი ყიფიანის ცნობები. ილიას მამის თხოვნა მისი შვილების თავადის წოდებაში დამტკიცების შესახებ. მსჯავი თხოვნა სიღარიბის მოწმობის მიცემის შესახებ. ილიას დედ-მამის ადრე ვარდაცვალება. სრული ობლობა. უმწეო მდგომარეობა. სამხედრო გუბერნატორის შეწყნარებლობა. უსაფუძვლო უარი. ილიას მძიმე მდგომარეობა. დედ-მამის ხელმოკლეობა. მამიდის მზრუნველობა ობლებზე. გრიგოლ ჭავჭავაძის სამხედრო დამსახურებანი. გმირობა ყვარელზე თავდასხმის დროს 1850 წლის 14 ივლისს. ლეკთა თავდასხმები საქართველოზე აწიოკებელი სოფლები გიულდენშტედტის აღწერებით.

II. (გვ. 50—77)

ილიას ოჯახური გარემო. დედის ზრუნვა შვილის სწავლა-აღზრდისათვის. სოფლის მთავართან. ილია — ბავშვი. მეუნარგიას ცნობა, ელისაბედ საგინაშვილისა და სალომე ლოლაძის მოგონებანი. ილია თბილისში, „პაკეს პანსიონში“. პაკეს პიროვნება. სწავლა თბილისის გიმნაზიაში. „კეთილშობილთა სასწავლებლისა“ და გიმნაზიის აღზრდილები. კოხტა აბხაზის ცნობა ილიას მოწაფეობის შესახებ. თვით პოეტის გახსენება წარსულისა. ხუთი სამარე. თემურის სიკვდილი 1860 წელს. ლექსი „ძმის სიკვდილზედ“. 1857 წელს რუსეთში გამგზავრება. გუდაურზე შეხვედრა გრიგოლ ორბელიანთან. სწავლა პეტერბურგის უნივერსიტეტის კამერალურ განყოფილებაზე. ვასილიევის კუნძული, პაულოვსკი და ტიარლევო. ილიას ინტენსიური მუშაობა. ხელმძღვანელი როლი ქართველ სტუდენტთა წრეში. მღელვარე 60-იანი წლები. ნიღილიზმი. პარადოქსები. პროფესორი სპასოვიჩი. 1861 წლის არეულობანი. ილიას ხელმოკლეობა და გამოქმაგზავრება საქართველოში. სტუდენტობისდროინდელი თარგმანებითა და საკუთარი ლექსებით, რომლებიც „ცისკარში“ იბეჭდებოდა, ილია 1861 წელს უკვე კარგად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. პირველი კრიტიკული წერილი. ქართველი ბელინსკი. „პასუხი“. ოლღა გურამიშვილის ვაცნობა. „საქართველოს მოამბის“ გამოსვლა. ილიას და ოლღას მშვენიერი რომანი. შეუღლება. ოლღას სპეტაკი პიროვნება. „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“ მძიმე მდგომარეობაში. ჟურნალის დახურვა. ილია სამსახურში შედის. ჭუთაისის პერიოდი. ბატონყმობის წინააღმდეგ პრაქტიკული გალაშქრება. ქრისტეფორე მამაცაშვილის ცნობები. დუშეთში მოღვაწეობა. ილიას მიერ გამოტანილი განაჩენები. ქართული „ფრჩხილის საკვეთი“. ეგვიპტური პარალელები ილიას უბის წიგნაკიდან. 1873 წელს დუშეთიდან თბილისში გადმოსვლა. საადგილმამულო ბანკის საკითხებზე რუსეთში გამგზავრება.

III. (გვ. 77—90)

ილია პეტერბურგში. წესდების დამტკიცება პეანურდება ბიბლიოგრაფიულ აპარატში. მეგრთამეობა დიდ მოხელეებშიც. ილიას წერილები მეუღლისადმი მოსკოვიდან და პეტერბურგიდან. ივანე მაჩაბელთან ერთად „მეფე ლირის" თარგმანზე მუშაობა. შექსპირის „ცოცხალი სურათები". დიმიტრი ყიფიანი „მეფე ლირის" ქართული თარგმანის შესახებ. ილიას აზრი. 30 წელი **ბანკის** გამგეობის თავმჯდომარედ. ჟურნალი და გაზეთი „ივერია". ილიობა საგურამოში. მეფის მთავრობის უკმაყოფილება. ილიას თანამდებობანი. ილია, როგორც ადამიანი, პიროვნება, საზოგადო მოღვაწე. ილიასა და ნიკოლაძის დეული. ილიას უკანასკნელი დღეები. სიდინჯე თუ სიზარმაცე? დონ-პედრო და ექტორ პიუგო. ილიას ეძღვნებოდა მასპინძლობაში. ხელმოკლერილობა თუ ხელგაშლილობა? ბუალოს ნსგავსად. ხელოვნებისადმი უმწიკვლო სიყვარული. მდიდარი ეგონათ, თორემ პენსიამ იხსნა. სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ბანკი უჩივის თავის დამაარსებელს.

IV. (გვ. 90—100)

ნაფიცი ვექილი. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე. „ივერიას" რედაქტორი. დიმიტრი ყიფიანის მოადგილე. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე. სამსონ ყიფიანის საკითხი ძველი სენაკის სკოლაში. ილია ჭავჭავაძე — მთლიანი პიროვნება.

V. (გვ. 100—118)

ილია ჭავჭავაძის პოლიტიური დევნა. პოლკოვნიკ პეკარსკის საიდუმლო მიმართვა 1884 წლის 13 იელისისა ილია ჭავჭავაძეზე საიდუმლო პოლიტიური მეთვალყურეობის დაწესების შესახებ. პოლიტიური მიწერ-მოწერები იმავე 1884 წლისა. თბილისის პოლიტმეისტერი გუბერნატორს ატყობინებს ილიას ყოველი ნაბიჯის შესახებ. მკაცრი საიდუმლო მეთვალყურეობა. პოლკოვნიკ ბეზგინის ^ ვართვა და მისი ნამდვილი არსი. სამი მიზეზი. ილია ჭავჭავაძე 1905 წლის მღელვარე დღეებში. 1906 წელს ილიას არჩევა სახელმწიფო საბჭოში. პირველი ინტერვიუ პეტერბურგის ჟურნალისტებს. ქართველთა ინტერესების დამცველი. მემარცხენეებთან კაეშირი სახელმწიფო საბჭოში მეცდარსაც არ ამატიეს. პირველი სიტყვა სახელმწიფო საბჭოში და „განაწესის" ილიასეული შესწორებანი. სიტყვა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ 1907 წელს. სამი საბუთი სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად. სახელმწიფო საბჭოს წევრი სხვა მოვალეობასაც ასრულებს. დაუღალავი მოხეცია, თუმცა უკვე ავადმყოფია. ილია ათალეერებს პიტიომკინის სასახლეს. ესწრება შიო ჩიტაძის პანაშვიდს ალექსანდრე ნეველის ლავრაში. ისევ ზარუნვა ქართველთათვის. სიკვდილის წინათგრძნობა? ყველა ურჩევს საქართველოში ნუ წახვალო, ^ლია მაინც მოემგზავრება სამშობლოში.

VI. (გვ. 118—180)

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ილიამ იგრძნო მოახლოებული საშინელება. არტერიასკლეროზის მოგონება. საბედისწერო დღე — 30 აგვისტო. ოღლა წინააღმდეგია საგურამოში გამგზავრებისა. ილია მეორედ ეუბნება უარს თავის ერთგულ მეუღლეს. წიწამურის საშინელი ტრაგედია აღსრულდა. პირველი გამოხმაურება დიდი პოეტის დაღუპვაზე. ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი იმდროინდელ პერიოდიკაში. ილიას თავს ეხვია მკვლელთა ბანდები. გრძნობა შურისძიებისა. მთელი ქართველი ხალხის გლოვა. რას ამბობდნენ ალექსანდრე ხახანაშვილი, გიგა ყიფშიძე, ქართველი ხალხის დიდი ბურჯები — აკაკი, ვაჟა, იაკობ გოგებაშვილი. იოდოთ ეკდოშვილის სიტყვა წიწამურში. მზადება ილიას ღირსეული დაკრძალვისათვის. პიუგოს და ილიას პარალელი. დამკრძალავი კომისიის ენერგიული მუშაობა. ვალერიან გუნიას ორგანიზატორული ტალანტი და მამაცობა. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ვ. ჩერქეზიშვილის წინადადება. ქართველ ქალთა ორი კრება. დამკრძალავი კომისიის წესი გადმოსეენებისა და დაკრძალვისა საგურამოდან გადმოსეენება 7 სექტემბერს. დახვედრა თბილისში. თბილისის გლოვა. 179 ეერცხლის გვირგვინი. ვამოსეენება სიონის ტაძრიდან. ავადმყოფი აკაკი უკანასკნელად ეთხოვება მიცვალებულ ილიას. ილიას დაკრძალეაში 100 ათასი კაცი მონაწილეობდა. სიტყვები დაკრძალვის დროს. საღამოს 7 საათზე დაკრძალვა დამთავრდა.

VII. (გვ. 180—182)

რამდენიმე ათასი სამგლოვიარო დეპეშა და წერილი, მათ შორის მოსკოვის, პეტერბურგის, ვენის, ბრიუსელის, ბერლინის, პარიზის, კიევის, ბაქოს, ერევნის მარკებით. პროფესორ ჰუგო შუხარდტის წერილი ვენის სამეცნიერო აკადემიიდან. ილია ჭავჭავაძის დახასიათებანი. წქდარებათა ზღვა: ილია და პანიბალი, „ბელადი ქართველი ერისა". სერგეი გოროდეცკის ლექსი. ილიას დასტირიან. რა მოხდა ილიას სიკვდილის შემდეგ? ნამდვილ მკვლელებს არ ეძებენ. ჯაშუშ ათასისუფლებენ. ოღონდ ჭავჭავაძის თხოვნა მეფის ნაცვლისადმი 1908 წლის 26 იანვარს. ილიას მოკვლა მეფეს მხოლოდ 2 სექტემბერს აცნობეს. სატრაპის დანაშაულებრივი გულგრილობა. ხუთი თვის მანძილზე მას არავითარი ზომები არ მიუღია ილიას მკვლელთა აღმოსაჩენად. პროკურორიც ინსპირირებელია. გრაფის მშრალი პასუხი. ადგილობრივი პოლიციის საკვირველი მოქმედება. თვითმხილებისა ეშინიათ, მაგრამ მაინც ამხელენ. დამნაშავე თვით მეფის მთავრობა იყო თავისი აგენტებით. წიწამურის ტრაგედიის ფარდა სრულად აიხადა 34 წლის შემდეგ. ილიას მკვლელის გასამართლება 1941—1942 წელს. საზარელი მკვლელობის ნამდვილი სურათი. წიწამურის ტრაგედიის დასასრული. ილიას უკვდაება. გიგა ყიფშიძე და ირონა მეუნარგია ილიას ენის შესახებ. ილიას თხზულებათა თარგმანები მსოფლიოს ხალხთა მრავალ ენაზე. ილიას ქება და ბაგება. შემთხვევითობა თუ აუცილებლობა. სტეფანე ქრელაშვილი ილია ჭავჭავაძის შესახებ. ღვიმელის წერილი „ცისკარში". ალექსანდრე ცაგარელი ილიას შესახებ 1870 წელს. ალექსანდრე ხახანაშვილის შეფასება. ანტონ ფურცელაძის აზრი. ისტორიული სამსჯავროს წინაშე ილია ჭავჭავაძე დამცველს არ საჭიროებს.

2. ილია ჭავჭავაძის ლექსები

გვ. 153

I. (გვ. 158—164)

სატრფიალო ლირიკა. პირველი გატაცებანი. „მეც შაეს თვალებს". „ეხილე სატრფო". „ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი". „მაშინ დავსტკბები". სიყვარული, როგორც ამაღლებული გრძნობა. „რისთვის მიყვარხარ?" „მითხარით, რისთვის". „ხმა გულისა". „ციური ხმები". „ოჰ, სად არიან". „ალაზანი". „მტკვრის პირას". „მძინარე ქალს". ლექსები სოფიო ჩაიკოვსკისადმი. „გახსოვს, ტურფავ". უკანასკნელი სატრფიალო ლექსი.

II. (გვ. 164—169)

ანაკრეონტული „ლოთის რჩევა". „ჩემი თარიალალი". „ალექსანდრე ჭავჭავაძე".

III. (გვ. 169—185)

ნიკოლოზ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. „ყვარლის მთებს". „სანთელი". „ხმა სამარიდამ", „გაზაფხული". „გუთნის დედა". „სიმღერა". „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში". „დაე თუნდ მოკვდე". „ქაროლის დედას". „ნანა". „ლოცვა". „გავსწორდეთ, ბედო". „ვეჯ მას". სოციალური სინამდვილის ალეგორია „სიზმარი". „მუშა". იდეური ნათესაობა „აჩრდილსა" და „მუშას" შორის.

IV. (გვ. 185—199)

ეროვნული კითხვები. „უცხოეთში". „გიყვარდეს". „მწუხარება". „ელეგია". „უსულგულო ცხოვრება". ილიას „პოეტი" და პუშკინის «Чернь»-ი. „მესმის, მესმის". გარიბალდის თაყვანისცემა. „ქართველი სტუდენტების სამღერა", „იანიჩარი" („კანეოელი"). ისევ ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ". სულით ობლობა. „როცა წუხილი". „მას აქეთ". „გაზაფხული". ალექსანდრე ცაგარელი „გაზაფხულის" შესახებ. „ჩემო ქალამო". „გ. აბხ..." პარიზის კომუნა და ილია ჭავჭავაძე. „ჩემო კარგო ქვეყანავ". „ბაზალეთის ტბა".

V. (199—204)

ილიას აფორიზმები — „დამაკვირდი". „კითხვა პასუხი".

VI. (გვ. 204—210)

ილიას სატირული თხზულებანი. „რა ეკეთეთ, რას ეშვრებოდით". „ბედნიერი ერი". აკაკის „ახმედ-ფაშა კახაბერი". აკაკის „გამტანია ჩვენი ერი".

VII. (გვ. 210—228)

„გამოცანები" და „კიდევ გამოცანები". რევაზ ანდრონიკაშვილი, გიორგი მუხრან-ბატონი, ივანე მუხრან-ბატონი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, ეასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ღოღობერიძე, გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე — „გამოცანების" გმირები. ლორის მელიქოვი, ლევან მელიქიშვილი, იოსებ თარხნიშვილი, „ქართული მალჩალინი" — მიხეილ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე „კიდევ გამოცანების" გმირები. ილიას სატირიკული ლექსების დიდი გახმაურება.

VIII. (გვ. 228—235)

ლორის მელიქოვის კარიერა და დიმიტრი ყიფიანი. გრიგოლ ორბელიანის „პასუხი შვილთა". გრიგოლ ორბელიანის კრიტიკული წერილი: ქართული ენის განდიდება, გიორგი წერეთლის მოთხრობის კრიტიკა და ილიას ქება. პლატონ იოსელიანის გრამატიკის ერთგული.

IX. (გვ. 235—243)

გრიგოლ ორბელიანის „დროების ათი წლის იუბილე". გრიგოლ ორბელიანი და სალომე ვიერატი.

X. (გვ. 243—257)

ილია ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი". „რჩევა". გიორგი მუხრანსკის კოსმოპოლიტური, ანტიეროვნული და ნიღილისტური ბროშურის წინააღმდეგ. აკაკი წერეთლის „ენების გასამართლება". აკაკის „აღარ გვაქვს გრძნობა". აკაკის მოგონება. „უკანასკნელი პასუხი". „ვინ სტყუვის?" აკაკის მიერ თაობათა დახასიათება. აკაკის „ხარაბუზა გენერალს". აკაკის „ფარშავანგი". გრიგოლ ორბელიანის დატირება.

XI. (გვ. 257—266)

ილია ჭავჭავაძის „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი" და მისი გმირები: გიორგი წერეთელი, ზოილი (დავით კეზელი), „კვალი", სილოვან ხუნდაძე, ილია ხონელი (ბახტაძე), „მოამბე", აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ილია ჭავჭავაძე. ილია ჭავჭავაძის ერთი უსათაურო ლექსი. თანამედროვენი ილიას ლექსების შესახებ. ილიას პოეტიკა—ლიცენზია.

3 ილია ჭავჭავაძის პოემები გვ. 269—270

პოემა, როგორც შემოქმედების უძველესი ჟანრი. ხალხური პოემა. ჰომეროსის პოემა. ბედისწერის კულტი ჰომეროსის, ჰესიოდეს, ვირგილიუსის, რუსთაველის პოემებში. რენესანსის დროინდელი ჰუმანიზმი რუსთაველისა და დანტეს პოემებში. რენესანსული სახეები ჩახრუხაძისა და შაითელის პოემებში. გურამიშვილის ისტორიულ-ავტობიოგრაფიული და ბუკოლიკური პოემები. გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემები. ილია ჭავჭავაძის პოემები.

ა) „აჩრდილი" (გვ. 271—286)

პოემის დაწერის დრო. პირველი ვარიანტის მიძღვნა მეგობრებისადმი. ეპილოგი „ქართველთადმი". არსება „დამხსნელი ვარსკვლავისა". პოემის დაკარგული თუ დაუწერელი XXII და XXIII თავების შესახებ. წერილი დავით ერისთავს „აჩრდილის" ისტორიულ მასალაზე. ეპიკ

რაფის ძირითადი აზრი. მყინვარის სახე. „უნდო გონების“ სკეპტიციზმი. ოპტიმიზმის გამოჩენა. მოხუცის სახე მყინვარზე. თერგი და პოეზია. არავგი. ისევ მოხუცის სახე. საქართველოს უკვდავი სული. სამშობლოს გმირთა სავალობელი. ეროვნული იდეა. სოციალური ჩაგვრის სურათები. საუკუნის ტკივილი — „შრომისა ახსნა“. ადამიანის აღდგენა. თბილისი და მცხეთა. პოემის XVIII და XIX თავების საკითხი. დღე შურისგებისა. წარსულისა და აწმყოს შეპირისპირება. მოხუცის ვედრება უზენაესისადმი. შესმენა უზენაესისა. ცისარტყელას ამოთეზი. „ამირდილი“ — ქართული პოეზიის შედევრი.

ბ) დრამატიული პოემა „ქართვლის დედა“ (287—293)

პოემის დაწერის დრო. ეპიგრაფი. მომაკვდავი და არა წარსული. მიძღვნა პეტრე ნაკაშიძეს. პოემის ანალიზი: დედის მონოლოგი. ორი გრძნობის ჭიდილი — მამული-შვილი. დრამის კანონი. აქსენტი ცაგარელი და ილია ჭავჭავაძე. თავისუფლების ოდა. კიაზო და თავისუფლება. დედისა და შვილის დიალოგი სამშობლოზე. პატრიოტი დედა. შვილის სიხარული. პატრიოტული ხალხური ლექსი. კიაზოს გამოთხოვება. მამულის ტრფობა. დედის ძიკვდილი. პოემის ზოგადი დახასიათება.

გ) „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი უაჩაღის ცხოვრებიდამ“ (გვ. 293—311)

პოემის დაწერის დრო და მისი პუბლიკაცია. „კოლა“ და „კაკო“. კაკოს პროტოტიპი. კოხტა-ბაბახის ცნობა უაჩაღ გაუხარაშვილზე. პროტოტიპის საკითხისათვის დიდ მწერლებთან. პოემის ძირითადი აზრი. დიდი სულმნათის ქადაგება. ბატონყმობისაგან გათავისუფლების იდეა. პოემის ექსპოზიცია. „მწუხრის ზეწარი“, როგორც ალეგორია. მხედრისა და მეურმის დიალოგი. პოემის არქიტექტონიკა. მისი ექსპრესიული ხასიათი. კაკოსა და ზაქროს შეხვედრა. ფსიქოლოგიური შეუსაბამობის გამართლება. ზაქროს ბუნებრივი პარენფირსი. კაკოს აღსარება. თავისუფლების განდიდება. ზაქრო განადიდებს კაკოს და არსენას. წარსულის განდიდება, მაგრამ არა პასეიზმი. ზაქროს ბავშვობა. თავისებური ეკლოგები. ბუკოლიკური პოეზია — თეოკრიტე, მოსხი, ბიონი, ვირგილიუსი, სანაძარო, ტორკვატო ტასო. „არკადიას“ და „ამინტას“ პასტორალები. თავისებურად ბუკოლიკური სცენების შინაგანი არსი. არსენობის ნატვრა. მამისადმი სიყვარული. ზაქროს მამა. ბატონყმობის გაუქმების იდეა. მხეცი ბატონი. მამის ვედრება ბატონისადმი. ბატონის უარი. პროტესტის ხმა. მოხუცის ცემა. კაკოს ამხედრება. ზაქროს პასუხი. კაკოსა და ზაქროს ხასიათთა განსხვავება. ბატონის მოკვლა. კაკოს მობოდიშება. ბატონის მოკვლის შემდეგ. ფინალი. ფაბულის რეალურობა. გიულდენშტედტის ცნობები. პოემის შემეცნებითი მნიშვნელობა.

დ) პოემა „მეფე დიმიტრი თავდადებული“ (გვ. 311—339)

დიმიტრი თავდადებულის პირველი გამოჩენა „ამირდილში“. დემეტრეს ვინაობა. სადუნ მანკაბერდელი. ხუტლუ ბუღა. ისტორიულ-პატრიოტული პოემა. ბრძა მეფანდურე. ჟამთააღმწერლის ცნობების რეალია. დიმიტრის დახასიათება. არღუნ ყაენი და ასმად ყაენი. ბუღას ტრაგიკული აღსასრული. დემეტრეს განსაცდელი. სამეფო თათბირი. მღვდელმთავარ აბრაამის სიტყვა. მეფის პატრიოტული გადაწყვეტილება. არღუნ ყაენთან წასასვლელად მეფის გაცილება. პატრიოტი მოხუცის სახე. დიმიტრის დატყვევება არღუნ ყაენის ურდოში. ხუტლუ ბუღას ღალატი. არღუნ ყაენის ყოყმანი. განწირული მეფის ზმანება. გრძნობა და გმირობა. ერისთვის თავგანწირვა. პოემის ამაღლებული სახე. მაღალი ზნეობისა და მაღალი იდეალებისათვის. პოემის ზოგადი დახასიათება. გიორგი თუმანიშვილი და სილოვან ხუნდაძე ილიას პოემის შესახებ. გრიგოლ ვოლკის წერილი. დემეტრე და კოდრი. კიტა აბაშიძის დებულება. ალექსანდრე სარაჯიშვილის უმართებულო შენიშვნა. ლერმონტოვი და ილია ჭავჭავაძე. კლასიკური პოეტური შედევრი.

ე) პოემა „განდეგილი“ (გვ. 339—366)

პოემის დაწერის დრო და ადრინდელი სახელწოდებანი. ბოსლეველის კრიტიკული წერილი „განდეგილზე“. კიტა აბაშიძე ბოსლეველს არ ეთანხმება. ქრისტიანული განდეგილობა

(ანახორეტები). პირველი ქრისტიანი განდეგილი საქართველოში — გელარი კესარიელის, რუფინუსის, თეოდორიტე კვირელის, სოკრატე სქოლასტიკოსის, ერმია სოზომენის ცნობები. გიულდენშტედტი მე-18 საუკუნის საქართველოში განდეგილებს აგვიწერს. ეახუშტი ბატონიშვილი ბეთლემის მონასტრის შესახებ. ეახუშტისა და ილიას აღწერების მსგავსება. პოემის შესავალში მყინვარისა და ბეთლემის მონასტრის სურათი. ბეთლემის მკვიდრნი. განდეგილობის მოტივები. მწირის განდგომის მიზეზები. მწირის პორტრეტის შესახებ გიგა ყიფშიძის ცნობა. ილია კითხულობს „განდეგილს“ ლიტერატორთა წრეში. მწირის პორტრეტი. მზის სხივის სევეტი. მყუდროების პირველი დარღვევა. სტიქიონური ძალების - ამოძრავება. განდეგილს ესმის „რაღაც კაცის ხმა“. მწირი უშიშარია — მტკიცე ნებისყოფა აქვს, მაგრამ ეშვებისაგან თავისუფალი არ არის. სტუმარი ქალის ხმა მწირს უმალ შეაშინებს. ქრისტიანობა ქალს უცქერის, როგორც ბოროტს, უწმინდურსა და მაცდურს. ტერტულიანი, იერონიმი, ორიგენი, ევსევი, პეტრე, პავლე, თომა აქვინელი ქალის შესახებ. რატომ მიიღეს ქალებმა თავდადებული მონაწილეობა მათი დამამცირებელი რელიგიის გაერცელებაში? ბებელის დასაბუთება. ილიას განდეგილიც ქალის საკითხში ქრისტიანულ დოქტრინას იცავს. მწყემსი ქალთან შეხვედრით მისი შიში ამითაა გამოწვეული. ბედთან შერიგება. ისევ სიმტკიცე. საბედისწერო ურთიერთობა. მიწიერი მშვენიერების ძალა. მშვენიერის გადმოცემის კლასიკური პრინციპები. განდეგილი მიწიერ მშვენებასთან. თვალის და გულის შეპირისპირება, განდეგილისა და მწყემსი ქალის დიალოგი. მწირის პირველი შეცოდება და „საშინელების“ პირველი შეცნობა. მკაცრი თვითანალიზი. შინაგანი ბრძოლა ხორციელი სილამაზის წინაშე. ცოდვის ჩადენა. ისევ სასტიკი შინაგანი ღელვა. კვანძის გახსნა. ტრაგედიის აღსასრული. ფინალის აზრი — ცხოვრების გამარჯვება და ასკეტიზმის დამარცხება. ლუთერის ბრძოლა ასკეტიზმის წინააღმდეგ. „განდეგილის“ პირველი კრიტიკოსები. პარალელი ილიას, ლერმონტოვის და მაიკოვის ანალოგიურ პოემათა შორის. ივანე მეუნარგიას მცდარი მოსაზრებანი. „განდეგილის“ გამარჯვება. სოსლანის შეცდომები. არტურ ლაისტი „განდეგილის“ შესახებ. ალექსანდრე ხახანაშვილის შეფასება. კიტა აბაშიძის აზრი. დიდრო და რუსო განდეგილობის შესახებ. განდეგილობა — ანახორეტობა ეგოიზმია. „განდეგილი“ — ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი პოემა.

4. ილია ჭავჭავაძის მხატვრული პროზა

გვ. 367

მთლიანი შემოქმედი. მხატვრულ პროზაშიც იდეური მთლიანობა. კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი. პირველი პოზული ნაწარმოები „ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე“. „დროების“ კრიტიკული შეფასება.

ა) „მგზავრის წერილები“ (გვ. 367 — 376)

„ყვარლის მთები“ და „მგზავრის წერილები“. ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. ძვირფასი ოთხი წელიწადი. მომზადება ცხოვრებისათვის. რევოლუციას მშვიდობიანობა მოაქვს. აბერაციისა და პასეიზმის წინააღმდეგ. ქვეყნის სამსახურში პირველი ნაბიჯის წინ. სიტყვა და საქმე. გოეთეს „ფაუსტი“ — რა იყო პირველად? მოძღვრობა და მოქმედება. მყინვარი და თერგი. მოქმედების ფილოსოფია. დღისა და ღამის პარალელი მოქმედების ფილოსოფიურ ასპექტში. ადამიანის განმადიდებელი ჰიმნი. ძილშიაც რომ არ სძინავს. ხალხის ხმა — მოხვეულეთ ღუნია. ასეთი ადამიანები პროზელიტები არასოდეს არ გახდებიან. წარსული და აწმყო ლელთ ღუნიას გაგებით, ეროვნული თავისუფლება და არა სეპარატიზმი. აზრი გამოსათხოვარი სიტყვისა. პასუხს დაუგეიანდა.

ბ) „გლახის ნაამბობი“ (გვ. 376 — 408)

ილიას „პირშო ძე“. მოთხრობის ძირითადი მორალი. ეპიგრაფი და ნადირობის პარალელი სოციალურ ცხოვრებასთან. კოხტა აბზაზის მოგონება ილიას ნადირობაზე. ანალოგიური სცენა მოთხრობაში. ისევ პარალელი. მოთხრობის თავისებური inceptio. თხრობა პირ-

ეული პირით, დიალოგებთან ერთად. მოქმედი პირი ექსპოზიციაში. ავტორისა და მისი გმირის შეხვედრა. გლახას სახის აღწერა. ავტორისა და გმირის თვითგანსჯა. მოთხრობის მთავარი გმირი — გაბრო. მისი თავგადასავალი — ყაჩაღად გაყვარდნა. ბავშვობა — 7 წლიდან 20 წლამდე ბატონთან სამსახური. ბავშვობაში დათიკოს დახასიათება. დათიკოს და გაბროს უყვარდათ ერთმანეთი. სინანული სიყვარულისა. „უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია". 14 წლის დათიკო და გაბრო ქალაქში. დიდი ბატონის გულმოწყალება გაბროს მამის — დათოსადმი. გაბრო და რაჭველი გლახუკა. იდეალური სასულიერო პირი. მისი გაელენით ყმა-გლეხს პეტრეს თვალება აეხილა. შრომას და კეთილშობილებას პირადი მაგალითით განადიდებს. კულტურტრეგერის წინამორბედი. გაბრო სწაელობს რუსთაველს. ორი სასწაულებრივი ფაქტი. დედის სიყვარულის განმარტება. საქმე ყველაზე უკეთესი სახელია. „ჯერ ქეყანა, მერე დედა და მამა". ბატრონყმობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. თავისუფლებას არაფერი შეედრება. რატომ არის გამოყვანილი მოძღვარი პროგრესულ ადამიანად? გაბრო ახასიათებს თავის მოძღვარს. განმანათლებლური იდეების ქადაგება. ღმერთის შემქმნელი ადამიანია. პატარა ბატონის საქმიანობა ქალაქში. ექვსი წლის დროსტარება. დათიკოს მამის გარდაცვალება. მოძღვრის უკანასკნელი დარიგება. მშობელი მიწის სიყვარული. ყმის ერთგულება. როგორი იყო დათიკო. მისი ავი სენი. ძლიერი სული და უხეში ძალა. პეპია და თამრო. გაბროს პირველი სიყვარული. ურთიერთთანაგრძნობა. სამწუხარო ისტორიის მოთხრობა. დათიკოს „უნამუსობის ავან-ჩავანი". გიტო. გაბროსა და დათიკოს შუა ხიდი ჩატყდა. გაბრო შეუთანხმდა პეპიას. პეპიას და თამროს დიალოგი. გაბროს სიხარული. ბოროტების გენია კვლავ ამოქმედდა. დათიკომ ხაფანგი დაუგო გაბროს. „ჯერ ჩემი უნდა იყოს". გაბრომ ხანჯლით მიიწია დათიკოზე. დიამბეგის სამართალი. გაბროს პატიმრობა. „ბრალიანი კაცი ყველაფერს აიტანს... ვაი იმას, ვინც უბრალოა". გაბრო ციხის გალაეანში ხვდება პეპიას. „ცრემლს ამ ქეყანაში გასავალი არა აქვსო". მწარე განცდა სამშობლოსთან გამოთხოვებისა. გაბროს და პეპიას გათავისუფლება მყინვარის მთასთან. გაბროს პირველი ატაცება. პეპიას ანდერძი. ნამუსის განდიდება. პეპიას გარდაცვალება და დამარხვა. გაბოროტებული კაცი. გაბროს შეხვედრა დიღმის დუქანში მეძავ თამროსთან. მოძღვარი აღარ იყო საჭირო. ლოდინი დათიკოს მოსაკლავად. ყაჩაღის სახელი. გაბრო ჰკლავს დათიკოს. გაბროს და დათიკოს უკანასკნელი დიალოგი — შერმადინ-ავთანდილობა. გაბრო შრომას უბრუნდება. ყაჩაღობას ვერ ეგუება. გულწრფელი აღსარება. გლეხებშიც არიან უსულგულო ადამიანები. ყოველთვის ადამიანური. კონტრასტების მეთოდით. მოძღვრისა და გაბროს უკანასკნელი შეხვედრა. გაბროს აღსარება — რვა კაცი გაუძარცვავს, ერთი მოუკლავს. შენდობა. გაბროს გარდაცვალება. მოთხრობის ფინალი. „გლახის ნაამბობის" ნიკოლაძისეული შეფასება. პეიზანები ლიტერატურაში (გრიგოროვიჩის, პოტეხინის, ტურგენეევის, პისემსკის მარკო ვოვჩოკის მხატვრულ ნაწარმოებთა მიხედვით). უსპენსკი. ჩერნიშევსკის პოზიცია. არავითარი უცხო მინარევი. ქართული კრიტიკული რეალიზმის შედეგები.

გ) „კაცია-ადამიანი?!" (გვ. 408 — 463)

ქართული კლასიკური რეალიზმის უმშვენიერესი ძეგლი. ეპიგრაფის ნამდვილი აზრი. ლუარსაბის სახლ-კარი. „ეტყობა, რომ ქართველია". უწმინდური, როგორც „ძველი ჩინოვნიკის გული". ლუარსაბის სახლის შინაგანი მორთულობა. გოგოლი, ბლია, გიორგი წერეთელი. ისევ ლუარსაბ ზაალის-ძის ოთახი. ლუარსაბის ქონება. მიზეზის განმანათლებლური ახსნა. ლუარსაბი და დარეჯანი — სრული პარალელია მათივე მოშლილი სახლ-კარისა. ლუარსაბის ფიზიონომია. პარალელები. ლუარსაბი და სწავლა. ყმას ჯოგში განსხვავება არა აქვს. ლუარსაბის რწმენა — პასეიზმი. კონტრასტის ღრმა აზრი. დარეჯანი — ლუარსაბის ორეული. დარეჯანის საქმიანობა. ბუზების თვლა და ლუარსაბის დამარცხება. უკმაყოფილება და შერიგება. ლუარსაბიც „ბიჭებს აწიოკებს". მოურავ დათოს და ლუარსაბის ორი დიალოგი. თანმიმდევრული ფსიქოლოგიური გაშიშვლება. ლუარსაბ-დარეჯანის გონებრივი პაუპერიზმი. ტაბი. დარეჯანი ლუარსაბთან შედარებით მაღლა დგას. დარეჯანმა ლუარსაბი ისევ გამოიშირა. ზღაპრები და ჭორები. ანტისაზოგადოებრივი ადამიანები — უვიცნი. „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე". იდილიური განცხრომა და ირონია კრიტიკოლინზე. ბაბალეს ქრთამი და ლუარსაბის სამართლიანობა. ქმრის დიდება და მაზლის ძაგება. წართმევა არაფერია. რძლის ძაგება.

ეცაცარი მოვლენა — დარეჯანს წერა-კითხვა სცოდნია. ძმების მტრობა. ელისაბედი და დარეჯანი. პირფერობაში მტრობა მაინც მეღავნდება. თავად— თავადობა უნდა ეტყობოდეს, გლეხს — გლეხობა. ლამაზისეული. მისი სახელიც დამცირების სინონიმია. ლამაზისეულის სახელ გამოჩენა მოთხრობაში. შესაბრალებელია და არა დაცინვის ღირსი. ლამაზისეულის ფატორისეული აღწერა. ადამიანი, პირუტყვად ქცეული. ლამაზისეულის ორეულები — ელისაბედის გოგო და „პატარა ბიჭი". ძაღლის ბედი ეტატრება. სრული კონტრასტი. სამგზავნო სურათი. ისევ კონტრასტი. ელისაბედისა და დარეჯანის უეცობა დიალოგში მოსავალზე. ლუარსაბის უსაფუძვლო ტრაბახი. თუმც თავადები ღვინო და ნიკოლოზი ურმებს აჭერაგვებენ. ლუარსაბი, დარეჯანი, ელისაბედი კი არ იკადრებდნენ. თავადიშვილების დაცემა. ზაქარიას ცოლის მოქმედება. პატარა ბიჭს ქალებიც სცემენ. ქალი რომ ვაჟკაცს სცემს — ეს თავადიშვილების გადაგვარებაა. ლუარსაბიც ამბობს: ცემისათვის ბატონს ვინ დასძრახავს, მაგრამ ქალმა — ქალს, კაცმა — კაცს უნდა სცემოსო. თავად ნიკოლოზის ამორალური ქცევა. ჩემებრ, როგორც ძველად იყო, ყველაფერი შეიძლება — ესაა ლუარსაბის მორალური კოდექსი. ლუარსაბისათვის ქვეყნის წაბდების ყველაზე სამწუხარო ფაქტი. საგლეხო რეფორმის ხანა. გურიაში, 1853 წელს ლონდონში დაარსებული თავისუფალი რუსული სტამბა, 1855 წელს — ჟურნალი „პოლიარნაია ზვეზდა", 1856 წელს ლონდონში გერცენთან ჩადის ოგარიოვი. 1856 წლის 30 მარტს ალექსანდრე მეორის სიტყვა — უმჯობესია ზევიდან, ვიდრე ქვევიდან. ჩერნიშევსკი, რევოლუციური ორგანიზაციების შექმნა, 1856 წელს დობროლუბოვი „სოვრემენიკში", 1857 წლის 1 იელისს ლონდონში გამოდის „კოლოკოლი", რომელიც „ცოცხლებს ეძახის!" ოგარიოვი ადგენს ერთიანი რევოლუციური ორგანიზაციის გეგმას. როსტოვცევის კომისია გლეხთა დებულების შესადგენად. 1859 წელს ჩერნიშევსკი გერცენთან მიდის ლონდონში. მოსოლოვისა და ზაიჩნევსკის წრეები. 1860 წელს თავისუფალი სტამბა არსდება მოსკოვში. ნიკოლოზ სერნო-სოლოვიევიჩი ევროპაში ეცნობა გერცენსა და ოგარიოვს. განხეთქილება „სოვრემენიკში". ჩერნიშევსკის „საბატონო გლეხებს". 19 თებერვლის მანიფესტი 1861 წლისა და ჩერნიშევსკის „სისაძაგლე". მანიფესტის გამოქვეყნება მარტში (5—7) და მარტშივე გლეხთა მღელვარებანი. „მიწა და თავისუფლება". რევოლუციონერთა დაპატიმრებანი. პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვა. შელგუნოვის მოწოდება—„ჯარისკაცებს". სტუდენტთა მასობრივი ცემა და დაპატიმრებანი. „ახალგაზრდა რუსეთი". ნიკოლაძე—პროფიციორებელი ხანძრებისა მოწმე. 1859 წლიდან არსებული საკეირაო სკოლების დახურვა. სერაკოსკის სკვანდალით დახურა. კალინოვსკის დაღუპვა. ჩერნიშევსკის სამოქალაქო დასჯა 1864 წლის 19 მაისს მიტინის მოედანზე. უკანასკნელად პოეტ მიხაილოვთან. ილიასეული სატირაკული გმირების რეგვრება ბატონყმობის გაუქმების ცნობებზე. „კედიანი ვარსკვლავი". გველეშაპი, კარაბადინი და ყმების ჩამორთმევა. ლუარსაბის რისხვა და დამშვიდება. თუ ყმები არ იქნება, „რისღა თავადიშვილი ვიქნებით". თავადები ცდილობენ ბატონყმობის გაუქმება სიცრუედ გამოაცხადონ. ლუარსაბისა და დათოს დიალოგი ყმების ჩამორთმევაზე. დათოს გონებამახვილობა. ლუარსაბის ეგოცენტრიზმი. ლუარსაბის ეახშამი და განთქმული მადა. ეახშმის გადაგორება და ხვალისათვის ზრუნვა. ლუარსაბი ორტალაზედ „ვაციცით არის". ჩიხირთმა სჯობია, თუ ბოზბაში? „თეეზების მეფედ ორაგული ითვლება და არა თართა". არ უთქვამს! ადამიანური არსებობის აზრი? არაგონიერული სიმანდილე წარმოშობს არაგონიერულ პიროვნებას. ლუარსაბის ცოლის თხოვა თავგადასავლებით. ხარეშანის — სუტ-კნეინას პირველი გამოცხადება ლუარსაბთან. სუტ-კნეინას ოინები და ლუარსაბის გულუბრყვილობა. ილიას პიესა — „მაჭანკალი". ისევ სუტ-კნეინას ოინები. ლუარსაბი ამაყობს თავისი გვარით. აჩქარების მოსე გძელაძის ქალთან საქმის დამთავრებას. სუტ-კნეინას ანგარიშები. მოსე გძელაძისა და სუტ-კნეინას გარიგება. ლუარსაბის ძმა — დავით მოატყუეს. მოსე გძელაძე მახეს უგებს სუტ-კნეინას. მოსე აიძულებს დავითს ამა ათ თუმნად გაჰყიდოს. ბედთან შერიგება — ლუარსაბს დარეჯანი შეუყვარდა კიდეც. თერგდალეულთა ერთი ძირითადი მოტივი — არსებულით უკმაყოფილების გრძნობა. ავტორის რეპლიკების აზრი. „მხოლოდ ერთი ჯავრი". ელისაბედი ასაბუთებს დარეჯან-ლუარსაბის უშვილობის მიზეზს. ქალაქელი მკითხავის დანაბარები — თელეთის ხატია გამწყრალი, მიდიდ და ილოცეთო. თბილისისკენ გამგზავრება თელეთის ხატის სალოცავად. ავტორისეული სარკაზმი. თბილისი მხოლოდ უკან გაბრუნებისას შეამჩნიეს. ცოლ-ქმრის დიალოგი ცოლის სასწაუ-

ლებზე. უბოროტოა თუ არა ლუარსაბი? გოგოლის მანილოვი, გონჩაროვის ობლომოვი და ილია ჭავჭავაძის ლუარსაბი. ლუარსაბი ორივეგანზომილებიანი სახეა და ლიტერატურული რემინისცენციებისაგან თავისუფალია. ბევრე მებატონეების იმედი. ლუარსაბს უშეილობა ისე არ აღონებს, როგორც უშეილობის შედეგი. ლუარსაბს მამაშვილური გრძნობა ატროფირებული აქვს. შუდარა დარეჯანისადმი და დავითის გამოჯერება. დარეჯანის დასტურიც — „ეშობამ, თუ ეგრეაო!“ თუ დავითმა თავისი ძმა ათ თუმნად გაჰყიდა, ლუარსაბიც ვალში არ რჩება — ღვიძლ ძმას სიზმარში ღმერთთან აბეზღებს. ლუარსაბის საშინელი სიზმარი, რომ ის მოკვდა, ხოლო დავითი მის მამულებს ისაკუთრებს. გამოფიზიკლებული ლუარსაბი გიჟი ეგონათ. გულმოსულია დარეჯანი რატომ საფლაზე არ ჩაჰყვა და მარტო ტირილით დაკმაყოფილდა. ლუარსაბს სუტს მსგავსი ეელური კანონი ეზმანება: ბარბაროსული სინამდვილე ბარბაროსის რუდიმენტებს აღვიძებს. ლუარსაბის გულჩვილობა და ავი სიზმრის კეთილად დამთავრება. ჩამჩიაშვილის მიერ მოყვანილი მკათხავი და ლამაზისეულის სასიხარულო ცნობა. ჭაბუკი ავტორის მიერ ცხოვრებისეული დეტალების ღრმა ცოდნა. მკითხავის კოლორიტული სახე. სულელი ლამაზისეული ყველაფერს ეუბნება მკითხავს. ცრუმორწმუნე ცოლ-ქმრის ალიაქოთი და ყმა გლეხების საღი გონება. „ჩიტურაშვილის დედა“ კედიანია. კაცი ყოველთვის თავმოყვარეა. მთვრალი ცოლ-ქმარი. ლუარსაბის დასრულებული სახე. ქვეყანა მართლა ურღვევია? რღვევა ყოველთვის არ ნიშნავს მოსპობას. რღვევა ხშირად განახლებისა და კვლავ-აღდგენის მახარობელია. მეორე სახის რღვევა — მოსპობაა. „რასაც ჩინეთის ფერი ადევს“, ის დაირღვევა. დარეჯანის გარდაცვალება. დაქვრივებული და დამწუხრებული ლუარსაბის „ნაწილი სიამოვნებისა“. ლუარსაბს წახდენა და სიკვდილი — კალმახმა იმსხვერპლა. ფინალში ავტორისეული რემარკების დედააზრი. ნახევარი საუკუნის ცხოვრება. მარტო „შენდობისათვის?“ თურმე ერთი და იგივე საგანი სხვაცილოცაა და სატირალიც. ავტორის მიზანია მართალი სიტყვა, თუნდაც ღალატი დასწამონ. „კაცია-ადამიანი?!“ სარკეა! მტერი ნაკლს დაგიმალავს, მოყვარე სარკეს მოგიტანს, რომ ნაკლი დაგანახოს. ავტორს მკითხველის წყრომისა არ ეშინია. გათენების მოლოდინი. გათენება — ბატონყმობის მოსპობას გულისხმობდა. მოთხრობის II თავში ავტორისეული სიტყვების დედა-აზრი და მიზანი. ამ სიტყვების კავშირი ილიას წერილთან — „საქართველოს მოამბეზედ“. „კაცია-ადამიანის?!“ შეფასება ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილისა და ალისუბნელის (რ. ჩხეიძის) მიერ.

დ) „გლეხთა განთავისუფლების პირველ-დროების სცენები“ (გვ. 408 — 477)

ილია ჭავჭავაძე და დრამატიული ეანრი. „სცენების“ დრო — 1865 წლის პირველი ნახევარი. პირველი რუსული თარგმანი (და პუბლიკაცია 1883 წელს ნიკო ნიკოლაძისა. მიროვოი პოსრედნიკი — თვით ავტორია. გლახა ჭრიაშვილის სახე. ბატონყმობის ცხოვრებისეული შედეგი. ილიას გმირები ლიტერატურაში და ცხოვრებაში. რას ნიშნავს ჭრიაშვილობა? გლახა ჭრიაშვილის ტირადები და რეტირადები. ბატონყმობაში ასი წლის მოხუცებულს დამსგავსებია. აზნაურიშვილის ქერივი აღშფოთებულია ბატონყმობის გაუქმებით. შუამავალს ბრალსა დებს — ყმების მხარე გიყავიაო. ყმის ფასი. ქერივის ოინები. ყმის უსიტყვო მორჩილება. ილიას ავტობიოგრაფიული ბომენტები „სცენებში“. შოხუცი შებატონე და მისი ერთგული ყმა იაკო. ბატონყმობა ბამბა-შეილობად ხომ არ მიაჩნდა? არა, ღარიბი აზნაურისა და ყმის „მამა-შვილობა“ ეპიზოდური ფაქტია, ისიც სოციალურად შოტივირებული. შებატონეები ახალ კანონს არ ცნობენ. უმიწოდ, ფაქტიურად გათავისუფლებული გლეხი ისევ შებატონის მიწას უნდა მიეკრას. ჩერნიშევსკის, ნიკოლოზ და ალექსანდრე სერნო-სოლოვიევიჩების, მიხაილოვის, შელგუნოვის, ნიკო ნიკოლაძის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის პოზიცია. ბატონები დამშვიდდნენ. ქერივის მაზლი თანახმაა ყმები გათავისუფლდნენ, მაგრამ უმიწოდ. ეერ გაიგო, რატომ არა აქვს მიწის ჩამორთმევის უფლება, თუ მიწა ისევ მისია. ვის ებრძვის ილია ჭავჭავაძე? შებატონეთა გარყვნილი ფორალი. აზნაურის ქერივმა მთელ სოფელს სიცოცხლე გაუმწარა. ქერივის ეპითეტები და თვისებები. ქერივი და ჭრიაშვილი. ხახანაშვილის შედარება. ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სოციალური ბორბოტება ისევ უცვლელი დარჩა. მისი ჩვენება 1789 წელს დაწერილ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“.

ე) „სარჩობელაზედ“ (გე. 477 — 489)

შორალური თუ სოციალური სფერო? მოთხრობის ეჭვსაზრისია. მეურმეები ლოჭინის ხეში. შეხვედრა ორ ყმაწვილთან. უფროსს ბეჟანი ჰქვია, უმცროსის სახელს ავტორი არსად არ გეიმეღავნებს. ბეჟანის ორი სიცრუე. მოხუც პეტრეს მამობრივი გრძნობა. პეტრე მოატყუეს და გაძარცვეს. სირცხვილ გამოუთქმელი ტკივილიც თან ერთვოდა. ოთხი წლის შემდეგ პეტრე „ყეენსაით“ ისევ ქალაქისაკენ მოემართება, თუმცა მეურმე უკვე აღარ არის. მაგრამ „გზის ვაშლი“ მაინც მის ურემზეა, რომელსაც შვილი მართავს. აღლაბრის მოედანზე პეტრემ შეიტყო — მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო“. პეტრეს არა სჯერა. დაინახა ჩამოსახრჩობი კაცი, მაგრამ მაინც ეჩვენება, რომ მაცდურობაა. სიკვდილმისჯილი ყმაწვილი კაცი ეცნობა, მაგრამ ვერ მოიგონა. პეტრეს თვალთმაქცობა ჰგონია. გაორებული პეტრე. მოხუცი ადგილებს ინაცვლებს — გუნებისა და გონების ჰიდღშია. ყმაწვილი სარჩობელას ქვეშ დააყენეს, ჩამოხრჩობის ყველა ცერემონიალი სრულდება, მაგრამ პეტრეს მაინც არ სჯერა. კაცი ჩამოახრჩევენ, მოხუცს მაინც ჯაბანობა ჰგონია. პეტრე უკმაყოფილია. ეძებს ჰიმართლეს და ვერ გაუგია. პეტრეს ნაბდიანი ყმაწვილიც ეცნაურა. ნაბდიანის სიდუმლო წერილი. საშინელი ტრაგედიის სიმართლე. მოქარა, შურისძიება და თბილი სიტყვაც. პიროვნების საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მოთხოვნა. ხიდჩატეხილობა. ჩემი ბედიც სარჩობელაა. საბრალდებო აქტის პოზისა თეზისი და ილიას მოთხრობა. როცა საერთო მიზანი არ არსებობს, ადამიანი ბოროტად არ იბადება. უსამართლო საზოგადოება მას ბოროტების მონაწილედ ხდის. ხიდჩატეხილობის პრობლემა საერთოდ. თუ საზოგადოება დანაშაულს ჩადის, სასჯელი მისმა თვითეულმა წევრმა უნდა ვიწინაწილოთ. რა შეაშია პეტრე? რა არის მისი დანაშაული? პეტრეს გამართლება და მისი ერთადერთი ბრალი. პატიოსანი კაცი უსამართლო საზოგადოებაში. უსამართლო საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლის იდეა. მოთხრობის ზოგადი შეფასება.

ვ) „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“ და „ამბავად გაგონილნი“ (გე. 489—492)

ისტორიული თემატიკა მწერლობაში. 1880 წელს დაწერილი ნახევრად ავტობიოგრაფიული „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. გიორგი მეთერთმეტის ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. შაჰების პოლიტიკის ერთი მხარე. რამაც მე-17 საუკუნის საქართველო კატასტროფის წინაშე დააყენა. ერთი ყიზილბაშის თავზედობა — ხუთი უსულოდ დასცა. ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი. სიბერემორეული სახელოვანი გმირი უარს ამბობს — ყიზილბაში ვაჭალაგზრდაა, მე როგორ დავამარცხებო. აუცილებლობით გამოწვეული თანხმობა. გოსტაშაბიშვილის გმირობა — ყიზილბაშის დამარცხება. შერკინების ლაკონიური აღწერა. მოულოდნელი ფინალი. მოთხრობის ძირითადი სენტენცია და მორალი. ჯანსაღი პასეიზმი მწერალთა ნაწერებში — „ამბავად გაგონილნი“

ზ) „ოთარაანთ ქვრივი“ (გე. 493 — 537)

მოთხრობის დაწერისა და გამოქვეყნების წლები — 1887—1888. ოთარაანთ ქვრივის — მოთხრობისა და გმირის დახასიათება. ქვრივის ნებისყოფა და გაუტეხლობა. შიშით, არა სიყვარულით. რკინის ქალიშვილი, რკინის ჯიხი. თქმა და ჭმნა. დათია ბადიაშვილი ქვრივს აქეზებს, როგორც მართალსა და მშრომელს. ტკბილი სიტყვა — თვალთმაქცობაა. გულის მაგიერ ქვა უდევს? რეალური, იდეალიზებული, ხელოვნური, ავტორისეული? რეალისტური სახე. მრავალის ერთში გაერთიანება და ერთის ფიგურალური წარმოსახვა. ქართველი დედა, მშრომელი გლეხი ქალი, მაღალი სულის ადამიანი. საქართველოს და ქართველი ერის ალეგორიული სახეები — ამრდილი და ოთარაანთ ქვრივი. „პილიგრიმული მადლი“. წერილშეკლიანი ქვრივი და ოთარაანთ ქვრივი. მწარე სიტყვებისათვის მადლობას უარს ეუბნება. გაჯითხვა და გაკიცხვა. ოთარაანთ ქვრივის ერთი სიტყვა. ცხოვრების ფილოსოფიაზე ოთარაანთ ქვრივთან კამათი სახიფათოა. ოთარაანთ ქვრივისა და ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარის პარალელი. ქვრივის ხუთი ქინა. თედორეს განძისა და ანდერძის დაცვა. თედორეს დახასიათება — დიდი გამბრჯე და განთქმული მონადირე. ანდერძის შესრულება. ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის დედაშვილობა. გიორგის დახასიათება. დოინჯის შემოყრა აკლია, თორემ თაყვანისმცემელია. გლეხკაცები აქებენ გიორგის შრომისმოყვარეობასა და ადამიანობას. თედორესთან მსგავსება და მისგან

გაბრაზება. ყველაფერში პირველი. ოჯახში მუთაფრობას გიორგი დედას არ ართმევს. დედის ეკადეტებული, მაგრამ ყოველთვის თავდაჯერილი სიყვარული შვილისადმი. აღმზრდელი დედის ტაქტი. „გიჟია, თუ რა?" ორი მნიშვნელოვანი შემთხვევა გიორგის ცხოვრებაში: ომარაანთ მოჯამაგირესთან და პეჟანიშვილის მოჯამაგირესთან. მართლა გიჟია? ვინ არიან ომარაშვილები? „ჯარი დედასა". შიახლოება საიდუმლოსთან. გიორგის უცნაურობათა მისნები — გლეხს თავადს ქალი უყვარს და ვერ ამხელს. თავგი პურის კიდობანთან. კიდობანი — საიდუმლოება, თავგი — დედის ეკჯი. იმ ღამეს ორივემ იცოდეილა. ადგა და შავი ფიქრებიც აიყოლია. ცოდვა თუ სიყვარული? არა, სიყვარულია. ბსხვეპილი გაიღო — შვილს თავი შეაბრალა. მხოლოდ დედის ცრემლს შეეძლო გიორგი გაეტეხა და გატეხა კიდეც. ჰექა-ქუხილი ომარაანთ ქვრივის თავზე. თითქოს მიაგნო. არჩილთან და მის ლამაზ დასთან გიორგის მოჯამაგირეობა გადაუწყვეტია. „გასტეხს ქვასაცა მაგარსა..." ვინ არის არჩილი? ვინ არის კესო? არჩილი ჰამლეტის სიტყვებს იშველიებს. გიორგის ხასიათის ანაწყვლიები. არისტოკრატული მზარდით გიორგი ომარაშვილის ხასიათი აუხსნელი იყო. გიორგი მოჯამაგირეობას თხოვს არჩილს. დაძმა გაკვირვებულია ამ თხოვნით. დედის თანხმობის გარეშე და-ძმა უარზეა. „უცნაური ნასკვი". ომარაანთ ქვრივი თვით ეახლა და-ძმას თხოვნით — ჩემი შვილი მოჯამაგირედ დაიყენეთო. „მარტონი თქვენა ხართ". ქვრივი ამხელს თავადიშვილების უზრუნველობას, უსაქმობას, უმოქმედობას. „წინდაბუდული ნიჩლება" თუ „წინდაუხედავი კაცნიერება"? „მხილებაა, თუ კაცნიერება?" კომპრომისისული და უკომპრომისო. ბრძენი ომარაანთ ქვრივი. გიორგის საქმე გადაწყდა. შვილის სიხარული და დედის „მზიან-ჩრდილიანი" სიამოვნება. დედის ზრუნვა შვილის გაჯანსაღებამდე. მოთხრობის ერთი გვერდი, რომელიც მთელ რომანად ღირს. ფსიქოლოგიური ჩაღრმავებანი „ანა კარენინასა" და „ომარაანთ ქვრივში". ორი თვალი დედა-შვილობაში. დედა-შვილობის უფრო ამაღელვებელი ფილოსოფია მგონი არც არსებობს. „უცნაური წყვილი". გლეხი ახწაულს თავადს. წიგნი და ჯუბა. „ყველა გონიერი კაცი იგივე წიგნია". წიგნებიდან თეატრიკია. „ახალი ცოცხია და კარგად ჰგვრის". მეწისქვილეს სხვა საფუძველი აქვს, „ამირებული გული" თუ „დიდი ნამუსი"? ბურკიაშვილის კამეჩები. თავადი შეჯიბრად ეპატრონა გლეხ-კაცს. კესოს ახალი ბაღის გაშენების წინ თათბირი თავადის ქალთან. „ახლო" გრძელი აღმოჩნდა. იმ დღეს თათბირი ჩაიშალა. ბაღი გაშენდა. ნახევარი წელიწადია გიორგი მუშაობს. მაგრამ კამაგირზე უარს ამბობს. შეშფოთების ელამაზესი სურათი. ტრაგიკული შემთხვევა გიორგის მოჯამაგირეობის მეცხრე თვეს. მთხუთი პეტრე თივის ზვინში დგამს. გიორგი თვითონვე ამჯორებს პეტრეს შეცდომებს. გიორგის ჩამოვარდნა — ურმის ჭალს დაეგო და ხერხემალი გადაუტყდა. და-ძმის საარაყო მზრუნველობა. კესო მომაკვდავ გიორგის სარეცელთან. ომარაანთ ქვრივი მომაკვდავი შვილის სარეცელთან. „უკანასკნელი განდობა". „ანგელოზი კესო" ჩემი ბედისწერა იყო. კესომ გიორგის შუბლზე აკოცა და მისი ცრემლი მომაკვდავი გიორგის გულს დაეცა. სიყვარულის შეცხადება. „უკანასკნელი განდობა" და გიორგის სიკვდილი. დედის გლოვა და სალხა შეწირულვილე. და-ძმამ ჭირისუფალივით დაიტირა გიორგი. სოფელი კი ჭირსა უკმაყოფილო იყო. და-ძმის რეაგირება სოფლის მითქმა-მოთქმაზე. მონანიე აზნაურის აღიარება და ხიდჩატეხილობა. გაღმაპირელები და გამოღმაპირელები. არჩილის ანტითეზა. ორი ტრანსმისია — ბრტყელი ენა და ხარბი ხელი. გული და მადლი, გაწირვა და შეწირვა. ძველი მოთხრობა ახალი ფორმით. დაკარგული ორი ნახევარი. მონანიე აზნაური ფანტაიკოსი არ არის, მისთვის გლეხი არ ნიშნავს პეიზაჟს, ანალტიკოსი, მსჯავრმდებელი, მამხილებელი და განმცხადებელია. კი არ ამართლებს. იბრალებს და ნანობს. მონანიე აზნაური და ხალხოსანი. გამოღმაპირელი ნახევარკაცია, ბიბლიური მითი, თუ სოციალური კატაკლიზმი? პირველად მაშინ ჩატყდა ხიდი. გოგანტურ ობობას ქსელში. უფსკრული დაკარგულ ორ ნახევარს შორის. პრობლემის მთელი ძირი — საქმეა, რითაც მეორე ნახევარმა სიცოცხლე შეინარჩუნა. რა არის კარგი პატას მოქმედებაში? კესოს საშინელ ბრალდებას გლეხებისადმი არჩილი აბათილებს. ძირში სუფთაა. ჰუმანიზმი და განურჩეველობა. სიყვარული და გვარიშვილობა. „არ მიყვარდაო". შეტრიალება? „თვალის ახილებას ტკივილი". გიორგი — „ხიდგადმა დაწერილი წიგნი". არჩილი კარგად იცნობს რუსთველის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკო ბარათაშვილის პოეზიას. მასში ავტორისეული შტრიხები ისევე გვხვდება, როგორც ომარაანთ ქვრივში. რომანტიკული და ანალიტიკური არჩილში. „სიყვარული ბრძანებით არ მოდის". არჩილს კესო შეეცოდა. „ცრემლი ზოგჯერ ფარია". უკან ხიდი ჩატეხილი, ბნელა და ღამეა, მაგრამ რა იქნება წინ? „ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი"? ნიშანი განთიადის დაწყებისა. წინ — ხიდის გაშენებაა. სოციალური კატაკლიზმების მეტაფორა. არჩილს შრომის შვილთა მხარე უკვია. მოთხრობის

განმანათლებელი, დემოკრატიული და სოციალისტური იდეა. ტრაგედია ისევ გრძელდება. ოთარაანთ ქვრივის მიმწუხრი. ზამთრის ფერწერული ტილო. „ეძახის!“ ძნელია გავიგოთ. „წყევა-კრულვანი საკითხავი“. შვილის საფლავზე დამკვდარი დედა. „გატყდა ეს რკინის დედაკაცი“. „ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცა“. ისევ სოფია მეწინავეა. ოცდათწლიანი სიყვარული. მთელი სიცოცხლე სოსიამ ოთარაანთ ქვრივს შეუწირა. ახლა კი ვიღაც ბიჭი დაჩცრუნა. მეორემ წიხლით წააქცია. „სხვა ვინ არ არის ცოდო?“ სოციალურ-ფილოსოფიური მხატვრობა. მხატერული ღირსებები. სტეფანე პრელაშვილი, კიტა აბაშიძე, შიო დავითაშვილი, დავით სოსლანი, გიბერ ხელთუფლიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი „ოთარაანთ ქვრივის“ შესახებ. განძი მე-19 საუკუნის ქართულ მხატერულ პროზაში.

თ) დაუმთავრებელი მოთხრობები, პროზული ფრაგმენტები ვარიანტებით (გვ. 537 — 562)

მოთხრობა „დიამბეგობა“. დიამბეგ ბექან ბეჟანის-ძე კალმახიძის ავტორისეული დახასიათება. სრული პორტრეტი. დიამბეგის მორალი — ყალბი „საქმეები“ და „ბრალდებისაგან“ გათავისუფლების მოტივით გასამრჯელოს აღება (თუმაშვილიშვილის „საქმე“). „ან ერთით მოინადირებ ან მეორით“. დიამბეგი ტურიძე. პირველი ვარიანტის წყვეტილი და ძირითადი იდეა. მეორე ვარიანტი. ესენი ბექან კალმახიძე და მისი უმცროსი ძმა მათე (დავითი). ცხოვრების მგლური წესი. სტოლნაჩალნიკი ავეტიც პეტრაწყოვი. სოვეტნიკი სიდორ (ივან) კარპიჩი. მღიქვნელობა, ეერაგობა და ცილისწამება. დიდ გაიძვერას ავიწყდება, რომ პატარა გაიძვერებიც არიან. ბოროტი კეთილი სახით ეელინება თავის მსხვერპლს. იუდა კრისტეს ამშეიდებს. ბოროტმოქმედის სტიქია დანაშაულია. ორი ეშმაკი. სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია? პერანგოვ-კალმახიძეების დასი. პერანგოვის სახის ახალი შტრიხები — ჯოჯო და არა ადამიანი. „დიამბეგობის“ ფრაგმენტთა მნიშვნელობა. „დიამბეგობის“ მესამე ვარიანტი — „მარგალიტი ლეკში“, რომელიც თითქმის მთლიანად არის გამოყენებული მოთხრობაში — „სარჩობელაზედ“. სახელები და სერათები. ანტიპოდური სახეები. პაშფეტი „ცხოვრების გამონაკადი და გამონაფიქრი“. ირონია მორალის სფეროში. „მშვიდობა თქვენზედ წინ იბადება“. ფრაგმენტის ძირითადი აზრი. მოთხრობა „უღელტეხილი“. ოცი წლის წინად მიცვალებულ თავად ქაიხოსრო ბაიდურაძის ოჯახი. ქაიხოსროს ქვრივი თამარი. უმცროსი შვილი დიმიტრი პეტერბურგიდან ბრუნდება. გამდელი თითია, მოურავი თეიდორე, ქალბატონის დაპირებანი. დიმიტრი არჩილის პროტოტიპი ხომ არ არის? ორ ვარიანტად მოღწეული მოთხრობა „კატო“. თბილისის აღწერა ზაფხულის სიცხეში. კატო და ლიზა. მობუქი დედის ვედრება. ალექსანდრე, რაღაც კვანძი და მაია. ისევ „მარგალიტი ლეკში“. ახალგაზრდა ქალისა და კაცის კამათი განათლების საკითხებზე. „ვინც სიბუღეით არ იცის, მას სიყვარულიც არ ეცოდინება“. „ელეგიის“ ბოლო სიტყვების გადაკეთება. ახალგაზრდა კაცი განმანათლებლურ იდეებს ჰქადაგებს. ისევ ახალგაზრდა ქალი და კაცი „მოთხრობაში“. უქმობა და შრომა. სკეპტიკური და პოზიტიური აზრები შრომის შესახებ. ტიპიური განმანათლებლური იდეა. ახალგაზრდა ქალის აზრები შრომის სადღეს და მისიის შესახებ. „სიამოვნება უშრომოდ არ მოიპოვება“. არისტოკრატიის კრიტიკა, რაკი შრომის საგანი დაკარგა. ტოლსტოიანური მორალის ქადაგება. ორიენ განმანათლებელია. „მოთხრობის“ II თავში თავისუფლების იდეა და ქალაქის პრობლემა. „მოთხრობისა“ და პეტრეს გმირი ქალები. ქალი და უმაღლესი განათლება. „მოთხრობის“ აზრი. ვინ არიან მისი მოქმედი პირები? ოლია გურამიშვილი და ილია მეკვანაძე. ავტობიოგრაფიული შტრიხები ქალსა და ვაჟში. „მოთხრობა“ მთლიანად ავტობიოგრაფიულია. „მოთხრობა“ და „გუბეს“ ორი ფრაგმენტი. რატომაა ახალგაზრდა ქალი „ცივ სფლაშე“ მდებარე? განსხვავება „მოთხრობასა“ და „გუბეს“ ხასიათებში. მეორე ნაწყვეტში სხვი ახალი აზრი. მოთხრობა „დედის ანდერძი“. ღარიბი გლეხი ანტონა მწყერიაშვილი და მისი მოკაკვადავი მეუღლე ბაბალე. მათი შვილები — გიტო და თაფლო. გლეხკაცის ტანჯვა. სოკვდილის წინ შვილისადმი დედის ანდერძი. ფრაგმენტი — „ბატარა ამბავი“. ღარიბთა ცხოვრება ქალაქად. მოხუცის შრომა. ამჟრის ტრაგიკული სურათები? ეტიუდი — „უცნაური ამბავი.“ თემა — აღზრდის პრობლემატიკა. დავითი და სოლომანი. ქართველი რაზნოჩინეცი. „მეტის მღომი მდიდარიც ღარიბია“. სულიერისა და მატერიალურის განსხვავება სოლომანის მიერ. აღზრდა — ურთულესი ხელოვნებაა. „ძნელი საქმე“ და „მძიმე ეალი“. პედაგოგი „ყრმის მეორე შემოქმედია“. ნამდვილ პედაგოგად იბადებიან. სოლომანი რუსოს დოქტრინის მომდევარი გამხდარა. მხოლოდ ერთი აღსაზრდელი. თვით რუსოს დებულებანი. აღსაზრდელ ადამი-

ანობა უნდა მისცე — ესაა მთავარი. ქართველი რუსოისტი. უსწავლელი თავადი ამირინდო დეპედაძე და მისი ერთადერთი შვილი პატიჟო. ხუთი-ექვსი წლის ყმაწვილი რთულ საკითხებს ეჭიდება. „ბავშვი სათაყვანოა, დასწყევლისა დიდი ადამიანისა“. სოლომანის პირველი ნაბიჯი. მძიმე და სიპრალული. ამირინდო და სალომე ქალაქს გაურბიან. რუსოისებური ბუნების წიაღი. დაკვირვებულმა აღმზრდელმა პირველივე გონივრული ნაბიჯით ბავშვს მეგობარი აგრძნობინა. აღმზრდელმა ბეწვის ხიდი გაიარა. რა იყო „უცნაური ამბის“ ძირითადი იდეა? დიდაქტიკური პრობლემის გადაწყვეტა მხატვრული საშუალებებით. როგორ შეაფასა კრიტიკამ „უცნაური ამბავი“.

5. ილია ჭავჭავაძე და ხელოვნების რეალისტური თეორია 563

I. (გვ. 563 — 572)

რაზნოჩინცური ლიტერატურული კრიტიკა — ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი, პისარევი, ზაიცევი. ილია ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, 60-იან წლებში. თერგდალეულთა უტილიტარიზმი. ილია ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული წერილი — „ორაოდე სიტყვა“. სენტიმენტალიზმის წინააღმდეგ. კარამზინისა და კოზლოვის კრიტიკა. ისევ რაზნოჩინცური ესთეტიკის შესახებ. ბელინსკი და ილია ჭავჭავაძე. აკრიტიკებენ როგორც რუსულ ფსევდოკლასიციზმს (ხერასკოვს, ხმელნიცკის), ისე რუსულ სენტიმენტალიზმს (კარამზინს, კოზლოვს). კოზლოვის „შეშლილის“ კრიტიკა. რეალიზმის დაცვა. „წმინდა ხელოვნება“ არ არსებობს. მწერალი და საზოგადოება — პისარევი და ილია ჭავჭავაძე. ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება. იდეები და ხანმოკლენი. ხელოვნების ახალი განმარტება. დრამატული ხელოვნების ბუნება. აქსენტი ცაგარელის კრიტიკაა.

II. (გვ. 572 — 585)

მამების კრიტიკა „პასუხში“ და ენის საკითხები. „კრიტიკის“ განმარტება. ორთოგრაფიული ცვლილებების რეაქციური მნიშვნელობა. კლასიციზმის, სენტიმენტალიზმისა და რომანტიზმის პრობლემა. უცხოურსა და ქართულ ლიტერატურაში. „ორიოდე სიტყვისა“ და „პასუხის რევოლუციურ-პროგრესული მნიშვნელობა. ივანე კერესელიძისა და მისი „ცისკრის“ შეფასება.

III. (გვ. 586 — 592)

ბრძოლა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის. წერილი — „საქართველოს მოამბეზედ“ და ჟურნალი — „საქართველოს მოამბე“. გენიოსის შესახ. ილიას მატერიალიზმი. აზრის უკუდავება და ნდომა უკეთესობისა. საზოგადოებრიების და ეროვნულის განუყოფლობა: მეცნიერებისა და ხელოვნების როლი ერის ცხოვრებაში. „საზოგადო ჟურნალის“ ამოცანა — ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება. 1963 წლის „სხარტული“. ივანე კერესელიძის და ანტონ ფურცელაძის კრიტიკა. ისევ განმანათლებლის სოციალური დოქტრინა. მეორე „სხარტული“ 1879. წლისა. ნიკო ნიკოლაძის, გიორგი თუმანიშვილისა და დ. ერისთავის კრიტიკა.

IV. (გვ. 592 — 595)

1887 წლის სტატია — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“. რატომ არ არის ქართული კრიტიკა ქართული ლიტერატურის ცხაური? თვითმყოფელობის, თვითმხედველობის უქონლობა. გოეთეს ვაგნერთან პარალელი. კრიტიკა —„სულიერ ძალღონის აღმატებისა და განდიდების ნიშანია.

V. (გვ. 595 — 607)

ლიტერატურას საზოგადოება ამაზრდოებს. წერილები — „ჩვენი ლიტერატურის დღევანდელი ყოფა" და „პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულნი". პოეზიის ილიასეული განმარტება. დაუმთავრებელი „წერილები ქართულ ლიტერატურაზე" (1892 წ.). თაობათა ბრძოლა. ძირითადი მოტივები ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიისა. ზოგადკაცობრიული მოტივები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში. 50-იანი წლების ქართული ლიტერატურა — გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, ზურაბ ანტონოვი. „გაყარა", „მზის დაბნელება", „ხევსურთ ქორწილი", „შემლილი". გიორგი ერისთავის დამსახურება. წარსული ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში. ლექსი „იმედი". პოეტი და ვახტანგ ორბელიანის „რომანტიზმი". რაფიელ ერისთავის პირველი ხმა „სამწუხაროდ უსამართლოდ ჩაგრულთათვის". დავიწყებული სიტყვა „მამული" და გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელო", „თამარ მეფის სახე გეთანიის ეკლესიაში". გრიგოლ ორბელიანმაც მხარი მისცა ლიტერატურაში ახალ მიმართულებას. მისი ლექსები „დიმიტრი ონიკაშვილის დარდები", „მუხამბაზი" და „მუშა ბოქულაძე". პირველი საუცხოო მაგალითი ეროვნული ლექსისა. ილია და აკაკი „ვეფხისტყაოსნის" შესახებ. აკაკის ამოსავალი წერტილი. ილიას დასაყრდნობი პრინციპი. ეროვნულიც და ზოგადკაცობრიულიც. მოქმედებისა და ლაკონიურობის კანონი „ვეფხის ტყაოსანში". „ვისრამიანის", „მამის მკვლელის" შესახებ. პოეზია და ცხოვრება იოსებ დავითაშვილისა. რატილისა და აღნიაშვილის, ქართული ხალხური მუსიკის შეფასება.

VI. (გვ. 607 — 634)

ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრის განმანათლებლური მისია. პარალელი ჰამბურგის თეატრთან. „ახლანდელი სიყვარული" და „მომრიგებელი მოსამართლე". ვასო აბაშიძის შეფასება. მაკაშვილი და მოხევე. ახალგაზრდა ელისაბედ ჩერქეზიშვილის პირველი შეფასება. თეატრისადმი ისევ საზოგადოებრივი გულგრილობა. მსახიობ აწყურელის ბენეფისი და ხანძარი თეატრში. ქართველი საზოგადოების ვაჟკაცური სულის ერთი პატარა მოწმობა. ბარბარე ჯორჯაძის კომედია — „რას ვეძებდი და რა ვიპოვე". პიესის შინაარსი და მისი დაწუნება. მსახიობების — ივ. ცაგარელისა და მაქსიმიძის სუსტი თამაში. ქება ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვისა და ნატო გაბუნიასი. სირაჯი თუ ჩარჩი-მიკიტანი? მსახიობი ამწორებს ავტორის ჩანაფიქრს. ნატო გაბუნია — შეუდარებელი მაჭანკალი. დიქციის ნაკლი. მაკო საფაროვი უფერულ როლში, მაგრამ კარგი ყველგან კარგია. მელიქოფისა გასათხოვარი ქალის როლში და სახის დაყენების მნიშვნელობა. ლადო მესხიშვილის, როგორც დეკლამატორის, ქება. ნატო გაბუნია თარეს აკომპანიმენტით მღერის ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს — „მშვენის მახვილი". მაქსიმიძე და აწყურელი. ილია ჭავჭავაძე ახალგაზრდა მსახიობებს მეტი ყურადღებით ეპყრობა. ცდა — გონების თვალი აეხილოს ნიჭიერებას. თარგმნილი კომედია — „ცოლი მეუღლე". ისევ ნატო გაბუნია, მაკო საფაროვი, მსახიობი ლეონიძისა და ლადო მესხიშვილი. ვასო აბაშიძე სვიმონის როლში ილიას არ მოსწონებია. აკაკის „თამარ ცბიერი" მაკო საფაროვის ბენეფისზე 1887 წლის 28 იანვარს. ქება „თამარ ცბიერებისა" და მისი ავტორისა. შექსპირი ქართულ სცენაზე. „ჰამლეტი", როგორც ტრაგედია და ჰამლეტი, როგორც ლირიკული ხასიათი. კოტე ყიფიანისა და კოტე მესხის ტალანტი. „მე გერასიმ იაკუნინ ზამბახოვს მეძახიან". ფრაზაში შუა-გული სიტყვა და ხანაში შუა-გული ფრაზა. შესაფერი კოლორ პოვნა. შიგნითი ბუნება ადამიანისა. ილია აკრიტიკებს „ჰამლეტის" პირველ წარმოდგენას, მესხიშვილს (ჰამლეტს), მაკო საფაროვს (ოფელიას), ლეონიძეს (ჰერტრუდას), ვასო აბაშიძეს (პოლონიუსს). ქება აწყურელისა მესაფლავის როლში. ჩაჩაბლის თარგმანის მაღალი შეფასება. ერნესტო როში „შეფე ლირში" 1890 წელს. როსი და იმედაშვილი. როსის ქება-დიდება. დაჟით ერისთავის „სამშობლოს" შეფასება. სვიმონიძე ხიმშიაშვილის როლში. მისი კრიტიკა. კოტე ყიფიანის სვიმონ ლეონიძე. ვასო აბაშიძე — შაჰ-აბასი. აშალუს მნიშვნელობა. გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში. შესრულების რეალისტური პრინციპები. „ხათაბალა". კოტე ყიფიანის, როგორც არტისტის, ღირსებანი. თეატრალური კრიტიკოსი — აღმზრდელ-რეჟისორი. „ხათაბალას" კარგი დადგმა — რეჟისორა თ. თუმანიშვილი. ვასო აბაშიძე-ეჭიში — ისევ შეუფერებელი როლი. „ჯერ დაიხოცნენ და მერე. დაქორწილდნენ!", ლადო მესხიშვილის „საოცარი ხელოვნება" და ვასო აბაშიძის „გაუგონარი კომიკობა". ილია ჭავჭავაძე — ქართველი მსახიობების

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ომს ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა. საერთაშორისო პრობლემების საქართველოს მდგომარეობასთან დაკავშირება. ილიას პროგნოზების გამართლება. ერი პოლიტიკოსთვის, თუ პოლიტიკა ერისათვის. ბისმარკის საწინააღმდეგო ოთხი ძირითადი ძალა: პარტიკულარისტები, კლერიკალები, თავისუფალი მოაზრენი და სოციალ-დემოკრატები. „ბურჟუათა წყობა". „სოციალიზმის რაზმი", ბისმარკის „სახელმწიფო სოციალიზმი". ბისმარკის ღონისძიებათა კრახი. გრაფ ვალდეერზეს ფრაზა. საბედისწერო 1888 — 1889 წლები. ბისმარკის გადადგომის მიზეზები. ილია ჭავჭავაძემ ერთი წლით ადრე იწინასწარმეტყველა ბისმარკის გადადგომა. გერმანია ბისმარკის გადადგომის შემდეგ. ილია ჭავჭავაძის ისტორიული პროგნოზი.

7. ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ზოგადი დახასიათება გვ. 666

I. (გვ. 666 — 672)

60-იანი წლების ეპოქა და ილია ჭავჭავაძის credo. მე-19 საუკუნის „ერთი დიდი და სახელოვანი საქმე" — კაცთმოყვარული მოძღვრების შექმნა. სოციალური და ეროვნული საკითხი. ეპოქის მოწინავე იდეები მხატვრულ შემოქმედებაში. ენციკლოპედიური გონება. მომავალი აღადგენს წარსულის დიდებას. თავისუფლების ოდა და მისი თანამედროვე ეღერადობა. ქართული კრიტიკული რეალიზმის კლასიკური წარმომადგენელი. კლასიკური და საბჭოთა ლიტერატურა. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობა. ჭლიერი გმირის პრობლემა, როგორც მომავლის პრედესტინაცია.

II. (გვ. 672 — 675)

ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ნაკადები. ხალხოსანი ენგელგარდტი და მისი ლენინური დახასიათება. რთული პირობები — რთული მსოფლმხედველობა. განმანათლებლის ამი დამახასიათებელი თვისება. ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. ცხოვრების ევროპული ფორმებისა და თვითმმართველობის დაცვა. საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის რწმენა. ვულწრფელი რწმენა და გულწრფელი სურვილი ხალხის მასების საყოველთაო კეთილდღეობისა. ილია ჭავჭავაძის ორიგინალური თვალთახედვა. ტიპიური განმანათლებელი. მთელი ხალხის, მთელი ერის ინტერესთა დაცვა. „კაცთსიკეთის" ძირითადი აზრი. მაღალი იდეების პრაქტიკული მხარე.

III. (გვ. 675 — 682)

პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების ურთიერთმიმართება. პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების განსხვავება. სილოგიზმი და მხატვრული სახე. ილია ჭავჭავაძის კონცეფცია. იდეის ზოგჯერ ბუნდოვანი ცხადყოფა მხატვრულ სახეში. იდეების ცხადყოფის ფორმათა განსხვავება. მატერიალიზმის აღიარება. „სანთელი". ბრძოლა ყოფნისა არყოფნასთან. მოაზროვნე მატერია და უბრალო მტევნი. სიცოცხლე — „უკუდავი ნიჭი". ადამიანის ბედნიერების პრობლემა და მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ადამიანური და ღვთაებრივი. იდეების ერთიანობა მხატვრულსა და პუბლიცისტურ შემოქმედებაში. პედაგოგიური იდეები „ოთარაანთ ქვრივსა" და დიდაქტიკურ წერილებში. აღზრდის ეთიკური პრინციპი. წერილი — „პედაგოგიის საფუძვლები" (1888 წელი). ვიტტორინო და-ფელტრეს, ვერეერიოსა და ეჯიოს შეხედულებანი — აღზრდის ეთიკური პრინციპი. ახალგაზრდა მასწავლებლის პედაგოგიური ტაქტი. აღზრდაში მთავარია კაცის გადამიანება და არა სწავლას თვითმიზნური ხასიათი.

IV. (გვ. 682 — 686)

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის ხასიათი. წერილი — „ცხოვრება და კანონი". ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მიღებული წესი — „მეოთხედობა". ილიასეული ცვლილებები. „ნუთუ?" თანმიმდევრული აზროვნების საკითხი. წერილი — „საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლი და მისი ეკონომიური მიზეზები" (1897 წელი). ილია ჭავჭავაძე და გვანტე ნინოშვილი ავადაკობის მიზეზთა შესახებ. ეკონომიური ბაზისის საკითხი. ერეტიკოსები და ინკვიზიცია. მარქსიზმ-ლენინიზმი სოციალურ ბოროტებათა მოსპობის გზებზე. წარსულის იდეალისტური გაგება „ცხოვრება და კანონში". ქართველი ერის წოდებად დაყოფა არ იყოო. „ხელმოქმედება",

როგორც ცილების წყარო, და ილიას არასწორი თარგმანი სიტყვისა. კლასობრივი ბრძოლა ევროპაში კანონიერია, საქართველოში არ არსებობსო. თავადაზნაურობის „მოკითხვის წიგნი". თავადი და გლეხი ისტორიულად, ილიას გაგებით. იდეალიზმი და მეტაფიზიკა. საქართველოს ისტორიაც კლასთა ბრძოლის ისტორიაა. ნაროდნიკობის გაელენაა? ილია ჭავჭავაძის საბედნიეროდ შეცდომა. წიგნებაც არ იყო, გუშინდელი სიტყვაო. მაშინ როგორ აეხსნათ სოციალური პიდილი, რასაც თვით ილია ჭავჭავაძე მხატვრულ შედევრებში გვიხატავდა?

V. (გვ. 686 — 708)

ბალზაკის ლეგიტიმიზმი ენგელსის დახასიათებით. მთლიანობა და ურთიერთდაშორება. სეპარატიზმის საკითხი. „შეზავრის წერილებში" სეპარატიზმი კი არ არის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ღელვა. ოფიცრის სახით გაკრიტიკებულია თვითმპყრობელობის უხეში ძალა. წერილი — „კატკოვის პასუხად" (1880 წელი). ქართველები და სომხები სეპარატისტები რომ არიან. ხალხთა მეგობრობა თვითმპყრობელობის გარეშე. კიდევ ერთი ფაქტი სეპარატიზმის უარსაყოფად. უფსკრული თვითმპყრობელობასა და ხალხს შორის. ქართული დროშების ლორსებათა დაცვა. გლეხობასთან ურთიერთობის საკითხში უცვლელი პოზიცია. პუბლიცისტური სტატიებიდან მტკიცება, რომ იყო დრო, როცა ხიდჩატეხილობას ადგილი არ ჰქონდა. ხიდჩატეხილობის თეორიის აღრინდელი სათავეები. 1862 წელს დაწერილი ფრაგმენტი — „ცისკრის ლექსთ-მთხზველები". 1866 წელს დაწერილი წერილი — „ზოგიერთი რამ" („საქართველო"). ანალიტიკური მეთოდის გამოყენება. „განთიადიულების", „განკერძევების", „გათავ-თავების" ტრაგიკული შედეგები. მოთხრობაში — სოციალური, პუბლიცისტიკაში — ეროვნული და სოციალური. ისევ ეროვნული და სოციალურის ერთიანობა. უტოპიზმის ელემენტები. უგუნური სიტყვების შეპრა ქართულ ენაში. „ოთარაანთ ქვრივის" ფილოსოფიური პრობლემის პარადიგმა. იაკობ გოგებაშვილის მოსაზრება ეროვნულსა და სოციალურ საკითხზე. წერილი — „საქართველო" და მოთხრობა — „ოთარაანთ ქვრივი".

VI. (გვ. 708 — 711)

ლეგიტიმაციური კერძო საკუთრება. რუსოს თეორია და ილია ჭავჭავაძის კონცეფცია. დაკანონებული უკანონობა. ილია ჭავჭავაძის დიდი შეცდომა. ბრალდების უარყოფა. მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიული კერძო საკუთრების არსებობს შესახებ. ილიას მცდარი აზრი კლასობრივი ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებზე. საადგილ-მამულო ბანკის მიზანი. მმართველობა და თვითმმართველობა. პირველი და აუცილებელი პირობა. უფლება და მოვალეობა. თვითმმართველობის უპირატეს ფორმად აღიარება. თვითმმართველობა კაპიტალიზმის პირობებში. ლენინისა და პლეხანოვის პოზიცია. ფაბიანელები, ბერნშტეინელები, ბრუსისტები და ადგილობრივი თვითმმართველობა. „რევოლუციური თვითმმართველობის" წინააღმდეგ. „ხალხის თვითმპყრობელობის" ლოზუნგი. მთავარია სახელმწიფო წყობილების საკითხი. თვითმმართველობა არმიას არ სჭირიოებს. ეპილოგია და არა პროლოგი. როგორი უნდა იყოს ნამდვილად „რევოლუციური თვითმმართველობა". ილია ჭავჭავაძე მმართველობის ორ სახეს განარჩევს: ცენტრალურ მმართველობას და თვითმმართველობას. ბისმარკი და თვითმმართველობის საკითხი. რატომ მოითხოვდა ბისმარკი ელზას-ლოტარინგიისათვის თვითმმართველობის მიცემას? რატომ დაეთანხმა ილია ბისმარკს? კაპიტალიზმის პირობებში ნამდვილი თვითმმართველობის განუხორციელებლობა.

VII. (გვ. 712 — 730)

ინტეგრალური სოციალიზმის საკითხისათვის. დეპაპის „სოციალიზმი". ილია და პრობლემა: ადამიანი — ადამიანია, ყველას თავისი სატკივარი აქვს (ლაგროვი, ბრუსი, ბენუა, მალონი). ამ ასპექტში სათავადაზნაურო ბანკი და მისი მიზანი. გოდება დიდი ადამიანისა. ჰუმანისტური სოციალისტური ნაკადები. ილია ჭავჭავაძის ანდერძი შთამომავლობისადმი, განმანათლებელი

და არა ინტეგრალური სოციალისტი. დიალექტიკის საკითხისათვის. ცნობაში მოყვანილი ჭეშმარიტებანი. ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველური კრიტიკა. მარქსის ილიასეული შეფასება. ისევ არა კოსმოპოლიტიზმი, არამედ, ინტერნაციონალიზმი. ისევ ჯუზეპე გარიბალდი. ინტერნაციონალური თანაგრძნობა იტალიელი და ფრანგი ხალხისადმი. ეპოქალური ტრანსპარანტები. ისევ განმანათლებლის იდეალი. პატრიოტიზმის მაღალი აზრი. საკუთარი გულისა და სულის ძახილი. გზები ცდომილებისა და ჭეშმარიტებისაკენ. „ჰოს“ და „არას“ შეჯიდება. კრიტერიუმი ისტორიულ მოღვაწეთა შეფასებისა და ილია ჭავჭავაძის განდიდება.

ბოლოთქმა . . . . . გვ: 731

Джибладзе Георгий Николаевич

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ

монография

(на грузинском языке)

რედაქტორი ვ. სვანიძე

გამომც. რედაქტორი ე. პოლოლიკაშვილი
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე
ტექრედაქტორი თ. მანჯგალაძე
კორექტორი ა. ხტურუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/V-66 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ნაბეჭდი თაბახი 47,5.
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 57,48.

ფასი 1 მან. 22 კაპ.

უე 00259 ტირაჟი 2000 შეკვ. № 3180.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 18.

Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо № 18.

1966

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.